

თამაზ გომიჩაიშვილი

განვითარების ფსიქოლოგია

(ნასკოლო ანაკი)

თბილისი
2005

ასოტაცია

ნაშრომში განხილულია უმცროსი, გარდამავალი და უფროსი სასკოლო ასაკის მოსწავლეთა ასაკობრივ-ფსიქოლოგიური თავისებურებანი. ნაჩვენებია ბავშვის ადამიანად, საკუთარი ნების გამოშხატველ პიროვნებად ჩამოყალიბების საფეხურები და კანონზომიერებები, აგრეთვე „ძნელი“ ბავშვების, ფსიქოსექსუალური განვითარებისა და დევიაციური (გადახრილი) ქცევების თავისებურებანი.

წიგნი განკუთვნილია ასაკობრივი და პედაგოგიური ფსიქოლოგიის სპეციალობის ბაკალავრებისათვის. იგი დახმარებას გაუწევს აგრეთვე განათლების სისტემის ფსიქოლოგიის სპეციალობის მაგისტრებს, ზოგადი, სოციალური და შრომის ფსიქოლოგიის სპეციალობის სტუდენტებს, უნივერსიტეტის ჰუმანიტარული ფაკულტეტების იმ სტუდენტებს, რომელთაც ეკითხებათ „პედაგოგიური ფსიქოლოგიის“ კურსი, სკოლის მასწავლებლებს, აღმზრდელებს და ასაკობრივი ფსიქოლოგიით დაინტერესებულ პირებს.

რედაქტორი
რეცენზენტები:

პროფ. **ბ. მჭედლიშვილი**
პროფ. **ბ. მერაბიშვილი**
დოც. **თ. კარანაძე**

© გამომცემლობა „უნივერსალი“, 2005

© თამაზ გოგიჩაიშვილი, 2005

ISBN 99940-32-38-0

ავტორისაზნა

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფსიქოლოგიის ფაკულტეტის ასაკობრივი და პედაგოგიური ფსიქოლოგიის სპეციალობის ბაკალავრებს, რომლებიც განათლების სისტემის ფსიქოლოგებად ემზადებიან, ეკითხებათ „სასკოლო ასაკის ბავშვის ფსიქოლოგიის“ კურსი, რომელიც მოიცავს სამ ნაწილს: უმცროსი, გარდამავალი და უფროსი სასკოლო ასაკის მოსწავლეთა ასაკობრივ-ფსიქოლოგიური თავისებურებანი. ესაა ბავშვის მოსწავლეობის ხანა, სკოლაში შესვლიდან მის დამთავრებამდე, განვითარების ფსიქოლოგიის მეტად მნიშვნელოვანი პერიოდი.

წინამდებარე წიგნი წარმოადგენს ჩვენივე „მოსწავლის ასაკობრივი ფსიქოლოგიის“ შეესებულ ვარიანტს, რომლის გამოსვლიდან გავიდა ორი წელი. მოუხდავად ასე მცირე დროისა დღის წესრიგში დადგა მისი მეორედ გამოცემის საკითხი. ჯერ ერთი აღნიშნული წიგნი უკვე აღარ იშოვება და, რაც მთავარია, განვითარების ფსიქოლოგია ამ მცირე დროის განმავლობაშიც კი ძალიან გამდიდრდა ახალი მეცნიერული გამოკვლევებით, რომელთა მონაცემების ასახვა ნებისმიერ სახელმძღვანელოში არა თუ სასურველი, არამედ აუცილებელიცაა.

„მოსწავლის ასაკობრივი ფსიქოლოგიის“ მომზადებაში ფართოდ იქნა გამოყენებული დ. უზნაძის, უ. პიაჟეს, ლ. ვიგოტსკის, პ. გალპერინის, დ. ელკონინის, ლ. ბოჟოვიჩის, შ. ჩხარტიშვილის, რ. ნათაძის, შ. ნადირაშვილის, რ. ბერონის, დ. რიჩარდსონის, ა. რენანის, ი. კოლომინკის, რ. უოლტერსის, დ. მაიერსის, გ. ოლპორტის, რ. მუსენის, ი. კაგანის, ა. ჰიუსტონის, ფ. რაისის, გ. კრაივის და სხვა ფსიქოლოგთა მონოგრაფიები და სახელმძღვანელოები.

„განვითარების ფსიქოლოგია“ კი შეივსო ისეთი პოპულარული და აღიარებული თანამედროვე ავტორთა უახლესი გამოკვლევებით, როგორიცაა დ. შუფერი, ნ. ნიუკომბი, ს. მილერი, ნ. ზეისი, რ. ფრენკენი და სხვები.

დარწმუნებული ვარ, რომ ეს წიგნი არ იქნება უნაკლო. ძალიან დავალებული ვიქნები ყველასაგან, ვინც წიგნის შესახებ ობიექტურ კრიტიკულ მოსაზრებებს მომაწვდის.

ნაშრომის ემელება ჩემი მასწავლებლის, პროფესორ შალვა ნოეს ძე ჩხარტიშვილის, ნათელ ხსოვნას.

დოც. თამაზ გოვიჩაიშვილი

ი. ჭავჭავაძის გამზირი № 1,
ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი. ფსიქოლოგიის ფაკულტეტი.
ასაკობრივი და პედაგოგიური ფსიქოლოგიის კათედრა.

§1. განვითარების ფსიქოლოგიის საგანი

განვითარების ფსიქოლოგია, როგორც ფსიქოლოგიის დამოუკიდებელი დარგი, ჩამოყალიბდა მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში, რაც განაპირობა ფსიქოლოგიური მეცნიერების განვითარების მაღალმა დონემ და საზოგადოების პრაქტიკულმა დაკვირვებამ დადგენილიყო ადამიანის ინტოგენეზის ცალკეული ეტაპების, პერიოდების კანონზომიერებანი და უნიკალობა.

განვითარების ფსიქოლოგიას აქვს საკუთარი საგანი, ამოცანები და კვლევის მეთოდები. განვითარების ფსიქოლოგიის კვლევის საგანია ადამიანის ფსიქიკის ასაკობრივი დინამიკა, მისი ფსიქიკური პრცესებისა და ფსიქოლოგიური თვისებების ინტოგენეზი. განვითარების ფსიქოლოგია სწავლობს სხვადასხვა ასაკის ადამიანთა ფსიქოლოგიურ თავისებურებებს, მის ასაკობრივ დინამიკას დაბადებიდან მოხუცებულობამდე. განვითარების ერთი ასაკობრივი ეტაპიდან, პერიოდიდან მეორეზე გადასვლის თავისებურებებს.

განვითარების ფსიქოლოგიის დარგებია: სკოლამდელი ასაკის ბავშვის ფსიქოლოგია, უმცროსი სასკოლო ასაკის მოსწავლის ფსიქოლოგია, გარდამავალი ასაკის მოზარდის ფსიქოლოგია, ადრეული ჭაბუკობის ფსიქოლოგია, ზრდადამთავრებული (მოწიფული) ადამიანის ფსიქოლოგია და ხანდაზმულობის ფსიქოლოგია (გერონტოფსიქოლოგია).

განვითარების ფსიქოლოგია შეისწავლის ფსიქიკური პროცესების ასაკობრივ თავისებურებებს, ცოდნისა და ჩვევების შეთვისების ასაკობრივ შესაძლებლობებს, პიროვნების განვითარებისა და ჩამოყალიბების წაწყვეთ ფაქტორებს. თითოეული ასაკობრივი პერიოდი ხასიათდება განვითარების სპეციფიკურ კანონზომიერებათა ერთობლიობით, რომლის შესწავლა უნდა მოხდეს კომპლექსურად მოცემული კონკრეტული პერიოდის სპეციფიკური ახალწარმონაქმნის კანონზომიერების დასადგენად.

ამ თვალსაზრისით განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ყოველ კონკრეტულ ასაკობრივ საფეხურზე თვითცნობიერების თავისებურების დადგენას.

განვითარების ფსიქოლოგია მჭიდრო კავშირშია ფსიქოლოგიური მეცნიერების ყველა დარგთან, მაგრამ მას განსაკუთრებული დამოკიდებულება აქვს პედაგოგიურ ფსიქოლოგიასთან, რომლის ამოცანაა სწავლებისა და აღზრდის ფსიქოლოგიური კანონზომიერებების შესწავლა და დადგენა. პედაგოგიური ფსიქოლოგია შეისწავლის სწავლების პროცესის მართვის ფსიქოლოგიურ საკითხებს, იკვლევს შემეცნებითი პროცესების განვითარებისა და ჩამოყალიბების კრიტერიუმებს, განსაზღვრავს სწავლების პროცესში ეფექტური გონებრივი განვითარების პირობებს, განიხილავს მოსწავლისა და მასწავლებლის ურთიერთდამოკიდებულებას, მოსწავლეებისადმი ინდივიდუალური მიდგომის საკითხებს და მასწავლებლის ფსიქოლოგიას. სკოლამდელის, უმცროსკლასელის, მოზარდისა და ჭაბუკის ფსიქოლოგია

ასაკობრივი, ხოლო სწავლების, აღზრდისა და მასწავლებლის ფსიქოლოგია პედაგოგიური ფსიქოლოგიის დარგებია. გამოყოფენ ერთ დარგს, რომელსაც თანაბრად აკუთვნებენ როგორც განვითარების, ასევე პედაგოგიურ ფსიქოლოგიას. ესაა სწავლების და განვითარების, სწავლების პროცესში მოსწავლეთა განვითარების პრობლემები.

განვითარების და პედაგოგიური ფსიქოლოგიის მჭიდრო ერთიანობა აიხსნება აგრეთვე შესწავლის საერთო ობიექტითაც: ბავშვი, მოზარდი, ჭბაბუკი. თუ ეს ობიექტები შეისწავლება მათი ასაკობრივი განვითარების დინამიკის პლანში, ისინი განვითარების ფსიქოლოგიის ობიექტებია, ხოლო თუ ისინი განიხილება პედაგოგიურ მიზანდასახულობასთან დაკავშირებით - პედაგოგიური ფსიქოლოგიის ობიექტებს წარმოადგენენ. განვითარების და პედაგოგიური ფსიქოლოგიის ასეთი მჭიდრო კავშირი მათ საზღვრებს პირობითად აქცევს.

განვითარების და პედაგოგიური ფსიქოლოგიის საგნისა და ამოცანების დიფერენციაციასთან ერთად უკანასკნელ ხანებში შეინიშნება ერთგვარი უკუპროცესიც - ინტეგრაცია. ეს მდგომარეობა განპირობებულია იმით, რომ დღევანდელ საზოგადოებაში პრაქტიკულად ყველა ბავშვი უკვე საბავშვო ბაღიდანვე ერთვება აღზრდისა და სწავლების ორგანიზაციულ სტრუქტურაში, რაც იმის მაჩვენებელია, რომ ბავშვთა ფსიქიკური განვითარება უშუალოდ უკავშირდება აღზრდისა და სწავლების სისტემას, რის გამოც ბავშვის განვითარების შესწავლა ასაკობრივი და პედაგოგიურ-ფსიქოლოგიური კვლევის გარეშე შეუძლებელი ხდება. განვითარების ფსიქოლოგიის საფუძვლების ცოდნის გარეშე აღზრდისა და სწავლების თეორიის და პრაქტიკის ვერც ერთი საკითხი წარმატებით ვერ გადაწყდება. მეორე მხრივ, თვით ასაკობრივი ფსიქოლოგია მაშინ განვითარდება სრულყოფილად, როცა იგი არ შემოიფარგლება ბავშვის მხოლოდ ასაკობრივი თავისებურებების შესწავლით, არამედ ბავშვის ქცევას შეისწავლის სწავლებისა და აღზრდის კონკრეტულ პირობებში.

ბავშვის ასაკობრივი განვითარების კანონზომიერების ცოდნა მომავალ პედაგოგსა და აღზრდელს საშუალებას აძლევს სწორად განაზოციელოს სწავლებისა და აღზრდის პროცესი, დაეხმაროს მოსწავლეებს საკუთარი ფსიქო-ფიზიკური ძალების მაქსიმალურ ამოქმედებაში, ხასიათის დაღებითი, მყარი თვისებების ჩამოყალიბებაში, გრძობებისა და ნებისყოფის მართვაში, პროფესიის არჩევაში და ა.შ.

განვითარების ფსიქოლოგიის განვითარების თანამედროვე ეტაპზე გამოყოფენ ხუთ უმთავრეს პრობლემას:

1) თანამედროვე ეპოქისათვის დამახასიათებელი ფსიქიკური განვითარების ზოგადი ტიპის განმსაზღვრელი ობიექტური ფაქტორებისა და მახასიათებლების გამოვლენა, რომელიც გულისხმობს თანამედროვე ბავშვობის და სისტემის „ბავშვისაზოგადობა“ სოციალურ-ეკონომიკური და სოციალურ-ფსიქოლოგიური ფუნქციებისა და თავისებურებების ანალიზს, ბავშვობის ისტორიის სათანადო დამუშავებას, რომლის კონტექსტში უფრო ღრმად გაიკვება მისი თანამედროვე ფორმისა და შინაარსის წანამდევრები.

2) ფსიქიკური განვითარების ისეთი პერიოდიზაციის შექმნა, რომელიც

სათანადოდ უპასუხებს თანამედროვე ბავშვობის ზოგად ბუნებას.

3) პერიოდიზაციის აგების დროს აუცილებლად უნდა გამოიყვეთოს ისეთივე ფუნდამენტალური ფსიქოლოგიური ცნებების შემეტყნებითი კომპლექსური მნიშვნელობა, როგორცაა განვითარება (ბიოლოგიური, ფსიქოლოგიური და სოციალური), წამყვანი მოქმედიანობა და ასაკობრივი გარემო.

4) თუ მოცემული ასაკობრივი პერიოდის წამყვანი მოქმედიანობა მისივე ფსიქოლოგიური ახალწარმონაქმნების საფუძველია, აუცილებლად დგება ამ მოქმედიანობის ობიექტური სტრუქტურის ბავშვის სუბიექტურ აქტივობაში გარდაქმნის პირობებისა და მექანიზმების საკითხი, აგრეთვე ბავშვის პიროვნების კანონზომიერებათა შესწავლისა და მოქმედიანობის განსხვავებულ ტიპთა ურთიერთკავშირის პრობლემა:

ბავშვის სუბიექტური აქტივობის აღმოცენების კვლევა დაკავშირებულია სამყაროსადმი შესაბამისი დამოკიდებულების, განსაზღვრული მოთხოვნილებების, მოტივების, ემოციების და სხვა ფსიქოლოგიური მექანიზმების ჩამოყალიბების პირობების დადგენასთან, რომლებიც უზრუნველყოფენ ამ პერიოდის, ეტაპის წამყვანი მოქმედიანობის განზორციელებას, რაც შემდგომ ასაკობრივ პერიოდზე გადასვლის წინამძღვრებს ქმნის.

5) თითოეული ასაკობრივი პერიოდის ფსიქოლოგიური თავისებურებების შესწავლის საფუძველზე უნდა შემუშავდეს ისეთი პედაგოგიური რეკომენდაციები, რომელთა გამოყენება სასწავლო-სააღმზრდელო პროცესში საშუალებას მოგვცემს შევქმნათ ბავშვის პიროვნების ნორმალური და ყოველმხრივი განვითარებისათვის მოცემული ასაკის ყველა შესაძლებლობის გამოყენების ოპტიმალური პირობები.

§2. განვითარების ფსიქოლოგიის მეთოდები

განვითარების ფსიქოლოგიაში გამოიყენება ასაკობრივ თავისებურებებთან მისადაგებული ზოგადი ფსიქოლოგიის ყველა მეთოდი. ნებისმიერი მეცნიერების მეთოდები დამოკიდებულია შესასწავლი საგნის თავისებურებებზე. განვითარების ფსიქოლოგიის მეთოდებია ფაქტების შესწავლის ის ზერხები, რომლებიც ახასიათებენ ბავშვის, მოზარდისა და ჭაბუკის ფსიქიკურ განვითარებას.

განვითარების ფსიქოლოგია, რომელიც სწავლობს ფსიქიკური განვითარების დინამიკას, განვითარების ფაქტებს მობილიზებს სხვადასხვა ასაკის ბავშვთა თავისებურებების ერთმანეთთან შედარების საფუძველზე. ამის გაკეთება კი შესაძლებელია ორი გზით:

ა) ერთი და იმავე ბავშვების ხანგრძლივი შესწავლის საფუძველზე დადგინდეს ასაკობრივი განვითარების თავისებურებანი და სპეციფიკა ან ბ) მოზდეს თითოეული ასაკობრივი ჯგუფის ბავშვების დიდი რაოდენობით შესწავლა და იმის დადგენა, თუ რით განსხვავდება ერთი ასაკობრივი ჯგუფი მეორისაგან.

განვითარების ფსიქოლოგიაში გამოყენებული ყოველი მეცნიერული მეთოდი აუცილებლად გაივლის ოთხ ეტაპს (გ. კრაივი): ა) პრობლემის დასმა. მკვლევარმა

უნდა განსაზღვროს კვლევის კონკრეტული სფერო, სახელდობრ ის, რაც მან შეისწავლოს. განვითარების ფსიქოლოგიაში შესასწავლია ბევრი საინტერესო საკვლეობა. მაგალითად, რას და როგორ აღიქვამს ჩვილი ბავშვი, რა განსხვავებაა ადრეალური განვითარების თვალსაზრისით ბიჭებსა და გოგონებს შორის გარდამავალ ასაკში, როგორია შემეცნებითი ფსიქიკური პროცესების განვითარების უნდო უმცროს და უფროს მოზარდებთან და მრავალი სხვა. მაგრამ მკვლევარს ყოველთვის უნდა ახსოვდეს, რომ რაც არ უნდა საინტერესო იყოს ასეთი კითხვები, ისინი მაინც ზოგად, გლობალურ ხასიათს ატარებენ და შესწავლისათვის დიდ ეფექტს ვერ მოიტანს. ძალიან საინტერესოა, მაგალითად საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ ეუფლებიან ბავშვები მშობლიურ ენას, მაგრამ ძალიან ფართო და მასშტაბურია, ზოლო საკითხი, თუ როგორ მიდის ბავშვი მეტაფორის, სარკაზმის ან შედარების გაგებაზე, უფრო კონკრეტული, შესასწავლად მოსახერხებელი და ეფექტურია.

ბ) ჰიპოთეზის ჩამოყალიბება. მკვლევარმა უნდა განსაზღვროს და ერთგვარად წინასწარმეტყველოს ის მიზეზები, რომლებიც მისი აზრით, იწვევენ მიხთვის საინტერესო მოვლენას.

გ) ჰიპოთეზის შემოწმება. მკვლევარმა უნდა ჩაატაროს ექსპერიმენტი, შეაგროვოს მონაცემები, გაანალიზოს ისინი სტატისტიკური კრიტერიუმების გამოყენებით.

დ) დასკვნების ჩამოყალიბება. მკვლევარმა ექსპერიმენტული მონაცემების საფუძველზე უნდა ჩამოაყალიბოს მეცნიერული დასკვნები იმ მიზეზების შესახებ, რომელიც მოცემული იყო წინასწარ ჰიპოთეზაში.

განვითარების ფსიქოლოგიის ყოველი მეთოდი უნდა იყოს ობიექტური, მაქსიმალურად უნდა იყოს გამორიცხული სუბიექტივიზმი; ერთა და იგივე თვისებებისა და ნიშნების გაზომვის განსხვავებული ფორმების გამოყენებამ შეიძლება განსხვავებულ შედეგებამდე მიგვიყვანოს. მაგალითად, იმის კვლევისას, თუ რამდენად აგრესიულია ბავშვები რომელიმე ჯგუფში, შეიძლება მივიღოთ სრულიად განსხვავებული სამი პასუხი იმის მიხედვით, რას გამოვიყენებთ კრიტერიუმად ამ საკითხის საკვლეად: მასწავლებლის შეფასებებს, თანატოლთა აზრს თუ დავეყრდნობით უშუალო დაკვირვებებს ბავშვებზე. ნ. ნიუკომბის სამართლიანი აზრით, კვლევის შედეგები მაშინა უფრო ობიექტური და სანდო, როცა სხვადასხვა მეთოდებით კვლევის შედეგები კოგერენტულია ანუ ერთმანეთს ეთანხმება და ემთხვევა.

განვითარების ფსიქოლოგიაში გამოიყენება კვლევის სხვადასხვა სახის მეთოდებიც, რომლებიც ერთმანეთს აესებენ და აკონტროლებენ. ეს მეთოდები გამოიყენება როგორც მეცნიერულ კვლევებში, ასევე სწავლების და აღზრდის პრაქტიკული მიზნებითაც; სწავლებისა და აღზრდის პროცესში მოსწავლეებისადმი ინდივიდუალური მიდგომა გულისხმობს მათი ინდივიდუალურ-ფსიქოლოგიური თავისებურებების ღრმა ცოდნას, რაც კვლევის რომელიმე მეთოდის ან მეთოდთა ჯგუფის მარჯვე გამოყენების გარეშე ვერ მიიღწევა: გამოყოფენ მეთოდთა ოთხ ჯგუფს:

1) *მარიგანი ზებელი მეთოდები (შედარებითი, ლონგიტიდური და კომპლექსური) შედარებითი მეთოდი* წარმატებით გამოიყენება ზოგად ფსიქოლოგიაში (ცდის პირთა სხვადასხვა ჯგუფების შედარება), სოციალურ ფსიქოლოგიაში (სხვადასხვა ტიპის მცირე ჯგუფების შედარება), პათოფსიქოლოგიასა და დეფექტოლოგიაში (აუადმყოფთა შედარება ჯანმრთელებთან). განვითარების ფსიქოლოგიაში შედარებითი მეთოდი გამოიყენება ასაკობრივი ჭრილების ფორმით, რომელიც წარმოადგენს ცალკეულ უნართა და შესაძლებლობათა ასაკების მიხედვით შედარებას, რათა დადგენილი იქნას შესასწავლი ფსიქიკური პროცესის ასაკობრივი დინამიკა.

აღნიშნული მეთოდის პარალელურად გამოიყენება აგრეთვე *ლონგიტიდური მეთოდი*, რომელიც გულისხმობს ერთსა და იმავე ცდისპირთან ხანგრძლივი დროის განმავლობაში (წლობითაც) მრავალჯერად გამოკვლევას. მაგალითად, ფრანგმა ფსიქოლოგმა რ. ზაზომ მრავალი წლის განმავლობაში იკვლია ერთკერცხიანი (მონოზოგოტური) ტყუპები სოციალური გარემოს გავლენით მათი პიროვნული განსხვავებულობის ჩამოყალიბების მიზნით. როგორც აღვნიშნეთ, ლონგიტიდური მეთოდი გულისხმობს ერთსა და იმავე პირების შესწავლას მათი ცხოვრების განსხვავებული პირობებსა და სხვადასხვა პერიოდებში. აუცილებელია, რომ გაზომვები მეორედობდეს დროის გარკვეულ მონაკვეთებში და შედეგები შედარებული იქნას წინა შემოწმების შედეგებთან. ასეთი ბავშვების დაკვირვება უნდა ხორციელდებოდეს ხანგრძლივი დროის განმავლობაში, მოწიფულობამდე კი.

ლონგიტიდური მეთოდის გამოყენება იძლევა შესაძლებლობას დავადგინოთ რა აღბათობა არსებობს იმისა, რომ ბავშვები, რომლებიც ამა თუ იმ ასაკში ავლენენ ქცევის კონკრეტულ ფორმებს, სხვა ასაკში ქცევის სხვა ფორმებს გამოავლენენ. ეს მეთოდი გვეხმარება დავადგინოთ ქცევის გამძლეობისა და სიმყარის ხარისხი ხანგრძლივი დროის განმავლობაში. თუმცა ამ მეთოდსაც გააჩნია ნაკლი. იგი მოითხოვს ხანგრძლივ დროს და დაკავშირებულია დიდ ხარჯებთან. ამასთანავე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ რომელიმე ცდის პირის მიერ სხვადასხვა მიზეზით რეგულარული დაკვირვების დარღვევა იწვევს მის ამოვარდნას კვლევის პროცესიდან.

ფსიქოლოგიური მეცნიერების განვითარების დღევანდელ ეტაპზე სულ უფრო იზრდება ისეთი კვლევების რიცხვი და საჭიროება, რომლებშიც მონაწილეობენ სხვა მეცნიერების წარმომადგენლებიც. ეს ისეთი *კომპლექსური* კვლევებია, რომლებშიც ვლინდება განსხვავებულ მოვლენებს შორის არსებული კავშირები და დამოკიდებულებები (მაგალითად, პიროვნების ფიზიკურ, ფიზიოლოგიურ, ფსიქოლოგიურ და სოციალურ განვითარებას შორის.)

2) *ემპირიული მეთოდები*. ამ ჯგუფში ერთიანდებიან შემდეგი მეთოდები: დაკვირვება და თვითდაკვირვება, ექსპერიმენტული მეთოდები, ფსიქოდაგნოსტიკური მეთოდები (ტესტები, ანკეტები, კითხვარები, ტყუპების მეთოდი, სოციომეტრიული მეთოდები, ინტერვიუ, საუბარი), ქცევის პროცესებისა და პროდუქტების ანალიზი, ბიოგრაფიული მეთოდები.

3) *ექსპერიმენტული მასალის დამუშავების მეთოდები*. ამ ვჯგუფს მიეკუთვნება რაოდენობრივი (სტატისტიკური) და თვისობრივი ანალიზი. (ესაა მასალის ვჯგუფებად და ვარიანტებად დაყოფა, ტიპების აღწერა).

4) *ინტერპრეტაციული მეთოდები*. მეთოდთა ეს ვჯგუფი მოიცავს გენეტიკურ და სტრუქტურულ მეთოდებს. გენეტიკური მეთოდის საშუალებით შესაძლებელია დამუშავებული მასალის ინტერპრეტაცია განვითარების მახასიათებლებში და ფსიქიკის ახალწარმონაქმნების ფაზების გამოყოფა. ინტერპრეტაციული მეთოდების გამოყენება გულისხმობს მიღებული შედეგების ახსნას რომელიმე ფსიქოლოგიური თეორიის საფუძველზე. ერთსა და იმავე ექსპერიმენტულ მონაცემებს შეიძლება მიეცეს განსხვავებული ინტერპრეტაცია იმის და მიხედვით, თუ რომელი ფსიქოლოგიური სკოლის (განწყობის, ბიპვეიორიზმის, ფროიდიზმის და სხვა) თეორიის საფუძველზე ეთდება იგი.

მასალის დამუშავების დროს გამოყოფენ რამდენიმე მომენტს: ა) პირველადი ანალიზი ე.ი. თითოეული ცალკეული ფაქტის ანალიზი; ბ) პირველადი სინთეზი. ე.ი. კავშირის დამყარება პირველადი ანალიზის მონაცემებსა და წამოყენებულ ჰიპოთეზას შორის; გ) შედარებითი (მეორადი) ანალიზი – ე.ი. ისეთი ფაქტების გამოყოფა, რომლებიც ხშირად გვხვდება. დ) მეორადი სინთეზი ე.ი. ამ ფაქტების გარეთიანება, მათი შედარება ჰიპოთეზასთან და არსებითი კანონზომიერებების დადგენა.

დაკვირვების მეთოდი. ფსიქიკის უშუალო დაკვირვება შეუძლებელია. იგი ვლინდება ქცევებში, მოქმედებებში, მეტყველებაში; დაკვირვების მეთოდის არსი მდგომარეობს იმაში, რომ დამკვირვებელი (ფსიქოლოგი) ბავშვის ფსიქიკის შესახებ მსჯელობს მისი გარეგანმოვლინებების (ქესტი, მიმიკა, მეტყველება, საქციელი) მიხედვით. ამის მიხედვით კი შეიძლება იმსჯელო ბავშვის ფსიქიკური თავისებურების, მისი აღქმის, აზროვნების, მეხსიერების, წარმოსახვის და პიროვნული ნიშნების შესახებ. დაკვირვება ღრმა ცოდნასა და მოზადებას მოითხოვს. ბავშვის ფსიქიკის თავისებურების გასაგებად საჭიროა არა მარტო ზუსტი დაკვირვების უნარი, არამედ ფსიქიკის გარეგანმოვლინებების ზუსტი ახსნაც. არაა საკმარისი შეამჩნიო ცვლილებები მოსწავლის სახის გამომეტყველებაში, არამედ საჭიროა გაიგო რისგანაა იგი გამოწვეული. ყოველდღიური დაკვირვებები განსხვავდება მეცნიერული დაკვირვებისაგან. ყოველდღიური დაკვირვებები შემთხვევითი, არაორგანიზებული და უგეგმაა. მოუხედავად ამისა, ასეთ დაკვირვებებსაც აქვთ გარკვეული მნიშვნელობა. დაკვირვების, როგორც მეცნიერული მეთოდის, ძირითად მოთხოვნებია: მიზანმიმართულობა, სისტემატურობა, გეგმურობა, სპეციალურ დღიურებში დაკვირვების შედეგების სისტემატური აღრიცხვა.

დაკვირვების მიზანმიმართულება ვლინდება დაკვირვების კონკრეტული ამოცანისა და მიზნის დასახვაში. (მაგალითად, პირველკლასელის ემოციურ-ნებელობითი თვისებების შესწავლა).

დაკვირვების სისტემატურობა მდგომარეობს იმაში, რომ ბავშვის ფსიქიკის შესწავლა არ უნდა დაიწყებოდეს ცალკეულ მოქმედებებზე, საქციელზე, შემთხვევით

მოვლენებზე და ა.შ. ბავშვის ქცევაზე მხოლოდ სისტემატური დაკვირვება გვაძლევს საშუალებას ვიმსჯელოთ მისი ფსიქიკის ინდივიდუალური თავისებურებების, განვითარებისა და ცვალებადობის კანონზომიერებების შესახებ.

დაკვირვების გვემოურობა ხელს უწყობს მის ორგანიზაციას. გვემაში აისახება ის საკითხები, რომელთაც პირველ რიგში უნდა მიექცეს ყურადღება. გაკეთებულზე მოსწავლის გონებრივი მუშაობის დაკვირვების სამუშაო გვემა:

ა) სწრაფად თუ რეაგირებს მასწავლებლის კითხვებზე, სწრაფად პასუხობს თუ დიდხანს ფიქრობს;

ბ) რომელ მასალას იმახსოვრებს უკეთესად (აბსტრაქტულს თუ თვალსაჩინოს);

გ) გააზრებულად იმახსოვრებს თუ მექანიკურად. შეუძლია თუ არა მაგალითების მოყვანა დამოუკიდებლად;

დ) შეუძლია თუ არა დასკვნების გაკეთება დამოუკიდებლად.

მოსწავლის ხასიათის გამოვლენის დაკვირვების სანიშნო გვემა: ა) როგორც ასრულებს მოსწავლე შრომით, სასწავლო და საზოგადოებრივ დავალებებს, სჭირდება თუ არა შეხსენება; ბ) როგორ ურთიერთობას ამყარებს კოლექტივთან; გ) როგორ რეაგირებს მიღებულ ნიშნებზე; დ) რამდენად შეუძლია გრძობების შეკავება; ე) რა მდგომარეობაში აქვს წიგნები, რეკულები, ტანსაცმელი.

დაკვირვების შედეგები აღინუსხება სპეციალურ დღიურებში. ჩაწერა შეიძლება იყოს სრული და შერჩევითი. სრული, მთლიანი ჩაწერა ხდება მაშინ, როცა შეისწავლება ბავშვის ინდივიდუალური თავისებურებები, მისი ქცევები მთელი დღის განმავლობაში. მთლიანი დაკვირვება ერთდროულად ბავშვის ქცევის მრავალ მხარეს მოიცავს და საკმარის ხანგრძლივი დროის განმავლობაში მიმდინარეობს, რაც გარკვეულ სიძნელეს წარმოადგენს. ამიტომ დაკვირვება შეიძლება იყოს მეტ-ნაკლებად შერჩევითი. უნდა შეირჩეს და დღიურებში დაფიქსირდეს ბავშვის ისეთი მოქმედებები, რომლებსაც დამკვირვებლის აზრით, არსებითი მნიშვნელობა აქვს. ან კიდევ შერჩევითი ჩაწერა გამოიყენება მაშინ, როცა საჭირო არაა ბავშვის ფსიქიკის ყველა გამოვლინების აღნუსხვა, ან კიდევ მაშინ, როცა კვლევის ამოცანა და მიზანი შემოფარგლულია რომელიმე კერძო საკითხის შესწავლით.

საკუთარი შეილების ფსიქიკური განვითარების შესახებ დაკვირვების შედეგებს დღიურების სახით მრავალი ცნობილი ფსიქოლოგი აფიქსირებდა. ესენი იყვნენ ბავშვთა ფსიქოლოგიის ფუძემდებელი ე. პრაიერი, ე. შტერნი, კ. და შ. ბოულერები, ე. ჰაუე, ნ. ლადიგინა-კოტსი, ნ. მენჩინსკაია, ე. მუხინა. ა. ავალიშვილი, ნ. იმედაძე და მრავალი სხვა. აღნიშნულ ავტორთა დაკვირვების დღიურები საფუძვლად დაედო საინტერესო მონოგრაფიებს და დაკვირვების მასალა და შედეგები აისახა სპეციალურ სახელმძღვანელოებშიც.

დაკვირვების მეთოდს ფსიქოლოგიაში, და განსაკუთრებით განვითარების ფსიქოლოგიაში, ძალიან დიდი გამოყენება აქვს. ფაქტების პირველადი დაგროვებისათვის, შეიძლება ითქვას, დაკვირვების მეთოდი შეუცვლელია. მოუხდავად უდიდესი მნიშვნელობისა და ღირებულებისა ამ მეთოდს გაააჩნია ზოგიერთი ნაკლიც, რომელიც მეცნიერული სიზუსტით მ. ყოლბაიამ ჩამოაყალიბა ოთხ პუნქტად:

1) დაკვირვებისას ბავშვის ქცევა დამკვირვებელს ეძლევა მთლიანობაში, რის გამოც ძალზე ძნელია არსებითისა და არარსებითის, მეორეხარისხოვანის ერთმანეთისაგან გარჩევა. მათი ერთმანეთისაგან იზოლირებულად შესწავლის შესაძლებლობას, სამწუხაროდ დაკვირვების მეთოდი არ იძლევა.

2) დამკვირვებელმა წინასწარ იცის რომელი მოვლენის შესწავლა უნდა. მაგრამ იმის გამო, რომ დაკვირვების დროს ბავშვის ქცევის მიმდინარეობაში არ ვრევიან, საჭირო ხდება დაცდა, სანამ დასაკვირვებელი მოვლენა არ მოხდება. ვთქვით, გვიანტერესებს დავაკვირდეთ ბავშვის ემოციას (ტირილს). დამკვირვებელმა უნდა იცოდოს მანამ, სანამ ბავშვი არ ატირდება. ამიტომ დამკვირვებელს ხშირად უწევს ლოდინი.

3) რომელიმე მოვლენის შესასწავლად ხშირად ერთი ან რამდენიმე დაკვირვებაც არაა საკმარისი, საჭირო ხდება დაკვირვების მრავალჯერ გამეორება. იმის გამო, რომ ყოველ ახალ დაკვირვებას სჭირდება დაცდა, დროის დიდ დანახარჯებას გვაქვს საჭიქე.

4) დაკვირვების გზით მოპოვებული ფაქტები მოცემულია აღწერის გზით, რომელშიც ერთმანეთზეა გადახლართული მრავალი არსებითი და შემთხვევით დაკავშირებულია მომენტი. ამის გარდა ბავშვის ქცევის ბევრი მნიშვნელოვანი კომპონენტის აღწერა ან საერთოდ შეუძლებელია ან მაშინათვე ვერ ხერხდება. ამიტომ დიდი დროის შემდეგ ასეთი მასალის ანალიზი ძნელდება.

დაკვირვების ერთი სახეა *თვითდაკვირვება*, რომლის დროსაც ფსიქიკის თავისებურებების შესწავლა ხდება საკუთარ ფსიქიკურ მოვლენებზე დაკვირვებით. თვითდაკვირვება განვითარების ფსიქოლოგიის ერთ-ერთი დამხმარე მეთოდია. მისი გამოყენება ბავშვებში ძალზე შეზღუდულია. განვითარების ფსიქოლოგიაში იგი გამოიყენება როგორც სხვა მეთოდების კომპონენტი ცდის პირთა სიტყვიერი ანგარიშის ფორმით.

ექსპერიმენტული მეთოდი. ექსპერიმენტი ფსიქოლოგიის ძირითადი მეთოდია. განვითარების ფსიქოლოგია ექსპერიმენტული მეცნიერებაა. ექსპერიმენტის უპირატესობა დაკვირვების მეთოდთან შედარებით იმაში მდგომარეობს, რომ მკვლევარი კი არ ელოდება მისთვის საინტერესო ფსიქიკური მოვლენის აღმოცენებას, არამედ თვითონ იწვევს მას.; დაკვირვებისაგან განსხვავებით ექსპერიმენტი ცდის პირის ქცევაში აქტიური ჩარევის საშუალებას იძლევა. ექსპერიმენტატორი თვითონ ქმნის ისეთ პირობებს, რომელიც იწვევს მისთვის საინტერესო ფსიქოლოგიურ მოვლენას და შეუძლია მისი ვარირება. ექსპერიმენტის გზით მიღებული შედეგები ყოველთვის შეიძლება შემოწმდეს სხვა ცდისპირობებზე. ფსიქოლოგიაში ანსხვავებენ ექსპერიმენტის ორ სახეს: ა) ლაბორატორიული და ბ) ბუნებრივი ექსპერიმენტი.

ლაბორატორიული ექსპერიმენტი ხშირად ტარდება საეციალური აპარატების გამოყენებით. მისი თავისებურება ისაა, რომ ფსიქიკური პროცესების შესწავლა ხდება ხელოვნურ პირობებში, ლაბორატორიაში. მაგალითად, ბავშვის მხედველობითი აღქმის განვითარების შესასწავლად საჭირო ხდება თვალის მოძრაობის მარგვისტრირებელი საეციალური ხელსაწყოების გამოყენება. ბავშვის ემოციების შესწავლის დროს საეციალური აპარატურის გამოყენებით ხდება სუნთქვის, გულისცემის და ორგანიზმის სხვა პროცესების რეგისტრაცია.

ბუნებრივი ექსპერიმენტის თავისებურება ისაა, რომ ცდის პირების შესწავლა ხდება ბუნებრივ პირობებში. ბავშვებზე ლაბორატორიული ექსპერიმენტის ჩატარებას ბევრი უხერხულობა და სიძნელე ახლავს. მიუხედავად, ხელოვნურ გარემოში ყოფნა და უცხო პირთან (ექსპერიმენტატორთან) კონტაქტი ბავშვებს აბნევს და ხელს უშლის თავიანთი შესაძლებლობების მთლიანად გამოვლენაში. სწორედ ამ უხერხულობისა და სიძნელის თავიდან ასაცილებლად იქნა შემოტანილი ბუნებრივი ექსპერიმენტის იდეა (ფ. ლაზურსკი). შესაძლებელია მოგონებული იქნას ისეთი თამაში, რომელიც ბავშვებში მკვლევარისათვის საინტერესო მოკლენას გამოიწვევს. ასეთ თამაშში ბავშვი აქტიურად და ხალისით ერთვება და მთელ თავის შესაძლებლობას ინტენსიურად ავლენს, რაც დამკვირვებლისათვის ხელმისაწვდომი ხდება. ბუნებრივი ექსპერიმენტის მეორე უპირატესობა ლაბორატორიულთან შედარებით იმაში მდგომარეობს, რომ ამ დროს ბავშვმა არ იცის, რომ მასზე ექსპერიმენტს ატარებენ და მას აკვირდებიან. მაგალითად, მენსიერების ლაბორატორიული შესწავლის მაგიერ ექსპერიმენტი ტარდება გაკეთილის ფორმით, სადაც მასალის დამახსოვრება და აღდგენა მოსწავლეთა ჩვეულებრივ სამუშაოს წარმოადგენს.

სკოლაშიდელი ასაკის ბავშვებთან, ხშირად, ბუნებრივი ექსპერიმენტი ტარდება საბავშვო ბაღის ჯგუფებში თამაშის სახით. ამ დროს მკვლევარი გამოდის აღმზრდელის როლში და ორგანიზაციას უკეთებს ბავშვთა ამა თუ იმ ქცევას. ამასთანავე ბავშვები ვერ ხვდებიან, რომ ის თამაშები, რომელთაც მათ სთავაზობენ ან კითხვები, რომლებსაც მათ აძლევენ, სპეციალურადაა მოფიქრებული.

ბუნებრივი ექსპერიმენტი იყოფა დამდგენ და ჩამომყალიბებელ ექსპერიმენტებად. პირველად ტარდება ჩვეულებრივ დამდგენი ექსპერიმენტი, რომლის დროსაც ვლინდება შესასწავლი ფსიქიკური პროცესის განვითარების ის დონე, რომელიც ჩამოყალიბდა ამ პერიოდისათვის. დამდგენი ექსპერიმენტი ბუნებრივ, მაგრამ სპეციალურად ორგანიზებულ პირობებში ავლენს განსაზღვრულ ფსიქიკურ თვისებებს და მათი განვითარების მიღწეული დონის შესახებ იძლევა წინასწარ მასალას. მაგალითად, სპეციალურად ორგანიზებულ გაკეთილზე მკვლევარი ადგენს, რომ მოსწავლეები ცნების შემუშავების საწყის ეტაპზე ავიწროებენ ან აფართოებენ მის შინაარსს.

ჩამომყალიბებელი ექსპერიმენტი გულისხმობს მოსწავლეებზე მიზანმიმართულ მოქმედებას მათში განსაზღვრული თვისებების ფორმირების მიზნით. მაგალითად, სპეციალურად აგებული მეცადინეობის საშუალებით მოსწავლეებელი აკვირდება თუ რა გავლენას ახდენს სწავლების განსხვავებული ფორმები აზროვნების თავისებურებებზე ცნების შემუშავების პროცესში.

ბოლოს ტარდება საკონტროლო ექსპერიმენტი, რომლის მიზანია იმის დადგენა, თუ რა წინსვლა შეინიშნება ჩამომყალიბებელი ექსპერიმენტის შედეგად. საკონტროლო ექსპერიმენტი დამდგენი ექსპერიმენტის უცვლელი სახით გამოირება.

სწავლების პროცესში გამოყენებული ჩამომყალიბებელი ექსპერიმენტს *მსწავლეებელ ექსპერიმენტსაც* უწოდებენ. ჩამომყალიბებელი ექსპერიმენტი შეიძლება გამოვიყენოთ აგრეთვე აღზრდის პროცესშიც (როცა მკვლევარი აყალიბებს

მოსწავლის პიროვნების ამა თუ იმ თვისებას. ასეთ შემთხვევაში მას ეწოდება *აღმზრდელი ექსპერიმენტი*.

პედაგოგიური ექსპერიმენტი. პედაგოგიური ექსპერიმენტი გარეგნული პარამეტრებით ძალიან გავს ჩამოყალიბებულ ექსპერიმენტს, მაგრამ მათ შორის არსებითი ხასიათის სხვაობაა. პედაგოგიური ექსპერიმენტის დანიშნულებაა მოსწავლეთა სწავლებისა და აღზრდის ახალი პროგრამებისა და მეთოდების ეფექტურობის შემოწმება და დადგენა.

პედაგოგიური ექსპერიმენტი ტარდება სასწავლო ან სააღმზრდელი მუშაობის ჩვეულებრივ პირობებში და მისი მიზანია სასწავლო ან სააღმზრდელი მუშაობაში გამოყენებული კონკრეტულ მეთოდთა ან ხერხთა შედარებითი ეფექტურობის დადგენა. პედაგოგიური ექსპერიმენტი გულისხმობს განსხვავების ინდუქციური ანუ ერთადერთი განსხვავებული მეთოდის გამოყენებას. ერთ ჯგუფს, რომელშიც ტარდება ექსპერიმენტი, ეწოდება ექსპერიმენტული ჯგუფი. იმ ჯგუფს კი, რომელიც ადებულაა შესადარებლად და რომელშიც ექსპერიმენტული ფაქტორი არ გამოიყენება, ეწოდება საკონტროლო ჯგუფი. პედაგოგიური ექსპერიმენტი გულისხმობს მეცნიერულ-კლასიკური ექსპერიმენტის ჩატარებას მნიშვნელოვანი პედაგოგიური პრობლემის გადასაჭრელად აუცილებლად ორ პარალელურ (ექსპერიმენტული და საკონტროლო) ჯგუფთან.

პედაგოგიური ექსპერიმენტის ჩასატარებლად საჭიროა შემდეგი პირობების დაცვა: 1) ორი პარალელური ჯგუფის (კლასის) შერჩევა; 2) ორივე ჯგუფის წევრთა იმ უნარების საწყისი დონეების განსაზღვრა და გაზომვა, რომლებიც ცოდნის ამა თუ იმ საძიებელ სფეროს მიეკუთვნება, 3) ერთ ჯგუფში ექსპერიმენტული მეთოდის შეტანა, მეორეში – არა. 4) მეორეჯერ შემოწმება და გაზომვა იმ უნარებისა, რომელთა შემოწმება ადრე მოხდა. 5) იმ შედეგების შედარება, რომელსაც ექსპერიმენტულმა ჯგუფმა ექსპერიმენტული ფაქტორის გავლენის შედეგად მიაღწია საკონტროლოსთან შედარებით. ესაა პედაგოგიური ექსპერიმენტის ჩატარების ზოგადი წესი.

პედაგოგიურმა ექსპერიმენტმა რომ მეცნიერული ღირებულება მოიპოვოს, საჭიროა შემდეგი პირობების შესრულება: 1) ყოველგვარი სუბიექტური და პირადი აზრის გარეშე ობიექტურად გაიზომოს როგორც ექსპერიმენტული, ისე საკონტროლო ჯგუფის წევრთა მონაცემები. წინააღმდეგ შემთხვევაში ექსპერიმენტის შედეგი არ იქნება „სუფთა“ და სანდო. 2) საკონტროლო და ექსპერიმენტული ჯგუფები მაქსიმალურად მსგავსი უნდა იყოს ყველა შესაძლებელ პარამეტრში. ფსიქოლოგიური ექსპერიმენტის დროს ასეთი ჯგუფები დგება ექსპერიმენტატორის მიერ ხელოვნურად, ხოლო პედაგოგიური ექსპერიმენტის დროს ხელოვნურად შექმნილი ჯგუფის ნაცვლად იღებენ მზა ორ კლასს, ვინაიდან ხელოვნური შერჩევა არღვევს სასწავლო-სააღმზრდელი მუშაობის პროცესს.

მსგავსი კლასების შერჩევის დროს მხედველობაში უნდა იქნას მიღებული შემდეგი: 1) მოსწავლეთა აკადემიური წარმატების საერთო დონე. 2) მოსწავლეთა ასაკი (არის შემთხვევები, როცა ერთ კლასში განსხვავებული ასაკის ბავშვები სწავლობენ), 3) ბავშვის მომზადების დონე იმ საგანში, რომელშიც ტარდება

ექსპერიმენტი, 4) ჯანმრთელობის მდგომარეობა, 5) მოსწავლეთა სქესი (გოგონებისა და ბიჭების რაოდენობაც როგორმე უნდა გათანაბრდეს), 6) გარემო (ქალაქი, სოფელი, სოციალური წრე და სხვა.) არ შეიძლება ექსპერიმენტული კლასი ქალაქში იყოს და საკონტროლო – სოფელში, 7) მოსწავლეთა ინდივიდუალური თავისებურებანი.

როგორც ვხედავთ ჯგუფების (კლასების) გათანაბრება მეტად რთული საქმეა, მაგრამ გაცილებით უფრო რთული და ძნელია ჯგუფებში ექსპერიმენტის ჩატარების პირობების გათანაბრება. ექსპერიმენტის ჩატარების პირობები იყოფა ორ ჯგუფად:

1) *მასწავლებელთან დაკავშირებული პირობები.* აქ იგულისხმება მასწავლებლის პროფესიული უნარი, მონდობა, ჯანმრთელობა, ასაკი, პიროვნული თვისებები. მასწავლებლის ჯანმრთელობა იმიტომაცა გასათვალისწინებელი, რომ მასზეა ძირითადად დამოკიდებული შრომისუნარიანობა, მუშაობისუნარიანობა და შრომისმოყვარეობა. მასწავლებელთან დაკავშირებული პირობების გათანაბრება შესაძლებელია ორი გზით: პირველი ის, რომ თითოეული ჯგუფის (ექსპერიმენტულის და საკონტროლოს) მასწავლებელი თითოეულ კლასს ასწავლის მთელი ექსპერიმენტის დროის ნახევარს. მაგალითად, გვყავს IIIა და IIIბ კლასები, რომელთაგანაც ერთი ექსპერიმენტულია, მეორე კი – საკონტროლო. ერთი მასწავლებელი სექტემბრიდან იანვრამდე ასწავლის IIIა კლასს, იანვრიდან ივნისამდე – IIIბ-ს. მეორე მასწავლებელი კი სექტემბრიდან იანვრამდე ასწავლის IIIბ კლასს და იანვრიდან ივნისამდე IIIა კლასს. მასწავლებელთან დაკავშირებული ექსპერიმენტის პირობების გათანაბრების მეორე გზა ისაა, რომ ერთი მასწავლებელი ასწავლის ორივე, როგორც ექსპერიმენტულს, ასევე საკონტროლო კლასს, მაგრამ ერთ კლასში ერთი მეთოდით, ხოლო მეორეში – მეორეთი. ესეც გარკვეულ სიმძლეებთანაა დაკავშირებული. შეიძლება მოხდეს, რომ მასწავლებელი თანაბრად ვერ ფლობდეს სწავლების ამ ორ განსხვავებულ მეთოდს ან პირადად, სუბიექტურად რომელიმეს ანიჭებდეს უპირატესობას

2) *სკოლასთან დაკავშირებული პირობები.* აქ გასათვალისწინებელია შემდეგი:

1) სასწავლო მასალა, სახელმძღვანელოები, სკოლის მატერიალური ბაზა, სასკოლო ბიბლიოთეკა, ტექნიკური აღჭურვილობა და სხვა. 2) კლასის, როგორც მოსწავლეთა ორგანიზებული კოლექტივის თავისებურება, 3) კურსის გავლაზე დახარჯული ზუსტი დრო, მასწავლებლის ან მოსწავლის ავადმყოფობა, 4) მოსწავლეთა რაოდენობა კლასში, 5) სკოლაში სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის საერთო ორგანიზაცია, სკოლის ტრადიციები.

3) *სკოლისგარეშე პირობები.* მოსწავლეთა მონაწილეობა სხვადასხვა წრეებში, სპორტულ ღონისძიებებში, მოსწავლეთა მეცადინეობისა და დასვენების პირობები ოჯახში.

პედაგოგიური ექსპერიმენტი უნდა აკმაყოფილებდეს საერთოდ ყოველგვარი ექსპერიმენტის ზოგად მოთხოვნებს: მას უნდა ჰქონდეს პრობლემა, ჰიპოთეზა და გეგმა.

ვინ უნდა ჩაატაროს პედაგოგიური ექსპერიმენტი? ფსიქოლოგიაში არის ურყევი კანონი – „ექსპერიმენტატორი ფსიქოლოგიაში უნდა იყოს ფსიქოლოგი“.

რომელიც ვრცელდება პედაგოგიკაზეც. პედაგოგიური ექსპერიმენტი უნდა ჩაატაროს სპეციალისტმა პედაგოგმა, რომელიც კარგად ფლობს ზოგად ექსპერიმენტულ განვითარების, პედაგოგიურ ფსიქოლოგიას და სტატისტიკურ მეთოდებს. რაც შეეხება მასწავლებელს, რა თქმა უნდა მისი მონაწილეობა პედაგოგიურ ექსპერიმენტში არ არის გამორიცხული. მაგრამ, იგი დამოუკიდებელი მკვლევარის ან ექსპერიმენტატორის როლში კი არ უნდა გამოდიოდეს, არამედ უნდა ასრულებდეს ექსპერიმენტატორის თანაშრომლის, თანამშრომლის მოვალეობას.

განვითარების ფსიქოლოგიაში ძირითადი მეთოდების (დაკვირვება და ექსპერიმენტი) გარდა გამოიყენება აგრეთვე დამხმარე მეთოდები. ისინი ზმირად გამოიყენება როგორც დაკვირვების და ექსპერიმენტის დამატება, ან ბავშვის ფსიქიკის რომელიმე კერძო მხარის შესასწავლად. ამიტომ ეწოდება მათ დამხმარე მეთოდები. დამხმარე მეთოდებია: ტესტური მეთოდი, ტყულების მეთოდი, სოციომეტრია, ანკეტა, საუბრის (გამოკითხვის) მეთოდი, ქუევის პროცესისა და პროდუქტების ფსიქოლოგიური ანალიზი და ბიოგრაფიული მეთოდი.

ტესტური მეთოდი. იმის მიხედვით, თუ რა შეადგენს ექსპერიმენტის ამოცანას ფსიქიური მოვლენების რაოდენობრივი თუ თვისობრივი დახასიათება, ან მონაცემების მოპოვება განსაზღვრული პირის (პირთა ჯგუფის) დასახასიათებლად, ექსპერიმენტი იყოფა კვლევით და გამომცდელ ექსპერიმენტად. გამომცდელ ექსპერიმენტს ეწოდება **ტესტი** (ინგლისურად თესტ- გამოცდა), რომელიც გამოიყენება პიროვნების ფსიქიკური განვითარების მიღწეული დონის დასადგენად.

ტესტების მეთოდი უკანასკნელ ხანებში ფართოდ გამოიყენება განვითარების და პედაგოგიურ ფსიქოლოგიაში. ამ მეთოდის გამოყენება ეჭრ კოდე XX საუკუნის დასაწყისისთვის დაიწყო ამერიკაში, ევროპასა და რუსეთში. (ფგალტონი, დ. კეტელი, თ. სიმონი, ა. ბინე, ვ. შტერნი, გ. როსოლიმო და სხვები). ამ მკვლევარებს მიაჩნდათ, რომ ბავშვის გონებრივი უნარები შეიძლება სწრაფად და ზუსტად გაიზომოს ტესტებით, რომლებიც წარმოადგენენ მოკლე სტანდარტიზებულ დაეალებათა ნაკრებს, და რომლებიც გარკვეულწილად გრადუირებული იყო თითოეული ასაკისთვის. ბოლოს გამოითვლებოდა „ინტელექტუალური განვითარების კოეფიციენტი“ (IQ), რომლის სიდიდის მიხედვით განისაზღვრებოდა ბავშვის ინტელექტუალური შესაძლებლობანი. ტესტის ამოცანა დაადგინოს, აქვს თუ არა მოცემული ასაკის ბავშვს ესა თუ ის უნარი, და თუ აქვს რა დონითაა იგი მოცემული. როცა ტესტებს ქმნიან, ყოველთვის ადგენენ გარკვეული ასაკის ბავშვისთვის დამახასიათებელ გამოსარკვევი უნარის საშუალო მაჩვენებლებს. ყოველი ტესტის გამოსადგობას სწავლობენ ერთი ასაკის ათასობით ბავშვზე, რომლის საფუძვლადაც გამოჰყავთ საშუალო მაჩვენებლები, რომლებიც მიღებულია ამ ასაკის ნორმად. გამოსაკვლევ ბავშვის ტესტირების შედეგებს კი ამ ნორმას ადარებენ.

ტესტების დამუშავებისას კითხვარის ამოცანებს ადგენენ სიბნელის შედარებით მაღალ დონეზე იმგვარად, რომ ბავშვებმა დამოუკიდებლად მათი შესრულება მთლიანად ვერ შეძლონ. დაეალებებს აძლევენ ერთი და იმავე ასაკის დიდი რაოდენობის ბავშვებს და გამოჰყავთ საშუალო ბალი, რომელიც ითვლება ასაკობრივ ნორმად.

ტესტური დავალბების შემოწმებისა და ასაკობრივი ნორმების დადგენის პროცესს ეწოდება ტესტების სტანდარტიზაცია, რომლის შემდეგაც ტესტში არავითარი ცვლილებების შეტანა არ შეიძლება. ტესტების საშუალებით გამოკვლეულმა ბავშვებმა ზუსტად ის დავალბები უნდა შეასრულონ, (და შეასრულონ იმავე პირობებში), რომელსაც ასრულებენ ის ბავშვები, რომელთა მონაცემების საფუძველზე იქნა დადგენილი ასაკობრივი ნორმა. სწორედ ამიტომ ეწოდება ტესტებს სტანდარტიზებული გამოცდის მეთოდი.

განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ე.წ. ინტელექტუალურ ტესტებს, რომელთა კითხვებში მოცემული ამოცანები ბავშვებისათვის უცნობია და მათ სჭირდებათ გარკვეული ინტელექტუალური ძალისხმევის, მიზვედრილობისა და საზრიანობის გამოჩენა სწორი პასუხის გასაცემად. ინტელექტუალური ტესტების ეფექტურობა დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად მეცნიერულადაა დასაბუთებული მასში შემავალი კითხვარის დავალბები. ბავშვის გონებრივი განვითარება მეტად რთული პროცესია, რომელიც მრავალ ასპექტს მოიცავს. ტესტის დავალბებმა უნდა გამოავლინოს მათგან უმთავრესის განვითარების დონე, რომლის საფუძველზეც შეიძლება ვიმსჯელოთ ბავშვის გონებრივი განვითარების შესახებ.

გონებრივი განვითარების ტესტების გამოყენება შესაძლებლობას იძლევა შესწავლილი იქნას ის გავლენა, რომელსაც განვითარებაზე სხვადასხვა პირობები ახდენს. მაგალითად, ექვსწლიანი ბავშვის მასობრივი ტესტური გამოკვლევის შედეგად დადგინდა, რომ საბავშვო ბაღში აღზრდილი ბავშვები გონებრივი განვითარებით უფრო მაღალ დონეზე იდგნენ, ვიდრე ის ბავშვები, რომლებიც საოჯახო პირობებში აღიზარდნენ.

ინტელექტუალურ ტესტებს აქვს პრაქტიკული გამოყენებაც. ბევრ ქვეყანაში ტესტური გამოკვლევების საფუძველზე ბავშვების ანაწილებენ სხვადასხვა ტიპის კლასებსა და სკოლებში.

ტესტების გამოყენებას დიდი ხნის ისტორია აქვს. ტესტებს არ მოკლებია კრიტიკაც. ამ მეთოდის კრიტიკოსებს მიაჩნიათ, რომ მას გააჩნია ისეთი ნაკლი, რომლის მხედველობაში მოუღებლობას შეიძლება მოჰყვეს არასასურველი შედეგები. მართალია, ინტელექტუალური ტესტების ავტორები ამტკიცებენ, რომ ისინი იკვლევენ ბავშვთა ნიჭიერებას და არა ცოდნას, მაგრამ შეუძლებელია ტესტების ისეთი სრულყოფა, რომ ტესტირების შედეგებში გარკვეულწილად ბავშვის ცოდნის დონე არ აისახოს. ამიტომ არცაა გასაკვირი, რომ პრივილეგირებული ოჯახის შვილები უკეთეს კოეფიციენტს ავლენენ, ვიდრე ნაკლებად უზრუნველყოფილი ოჯახის შვილები. ტესტი ასახავს ბავშვის გამოკვლევის მომენტებში მისი ინტელექტუალური განვითარების დონის „მომენტალურ ფოტოგრაფიას“, რომელიც მხოლოდ გონებრივი მონაცემებით კი არაა განსაზღვრული, არამედ განპირობებულია, აღზრდის, სწავლების და კულტურის განსხვავებული ფორმითაც.

ინტელექტის შეფასებისათვის, როგორც აღვნიშნეთ, ძალიან პოპულარულია ე.წ. „ინტელექტის კოეფიციენტის“ (IQ) გამოყენება, რომელიც საშუალებას გვაძლევს დავადგინოთ ინდივიდის ინტელექტის განვითარების დონე და შევადაროთ იგი მის თანატოლთა შესაძლებლობებს ამ მიმართულებით. ეს დონე დგინდება

ტესტური ამოცანების გადაწყვეტისას ბალებით შეფასების მიხედვით, რაც გამოიხატება ქულათა გარკვეული რაოდენობით დაგროვებაში, რომელიც წარმოადგენს გონებრივი განვითარების კოეფიციენტს. ინტელექტის განვითარების კოეფიციენტის გამოთვლა ხდება გონებრივი ასაკის ქრონოლოგიურ (მეტრიკული) ასაკზე გაყოფით და შედეგის 100-ზე გამრავლებით. მაგ. თუ 4 წლის ასაკის ბავშვი ამჟღავნებს 5 წლის ასაკის ბავშვის შესაძლებლობებს, მისი გონებრივი ასაკი არის 5 მისი ინტელექტის კოეფიციენტი შესაბამისად იქნება $5:4 \times 100 = 125$.

IQ საშუალო მაჩვენებელი არის 100 ბალი ე.ი. ყველაზე დაბალი მაჩვენებელია 0, ხოლო მაღალი – 200. ყოველი მესამე ადამიანის IQ მერყეობს 84-100 ბალს შორის. ადამიანთა 32% იმყოფება 100-116 ბალს შორის, ხოლო ადამიანთა ძირითადი მასა (68%) იმყოფება ინტელექტის საშუალო დონეზე. ადამიანები 10-84 მდე ითვლებიან გონებრივ ჩამორჩენილებად, ხოლო 116-180-მდე – მაღალი ინტელექტის მქონეებად. თანამედროვე განვითარების ფსიქოლოგიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა მეცნიერულად დასაბუთებული ტესტების შემუშავება და აპრობაცია, რომელიც საშუალებას მოგვცემს ობიექტურად შევისწავლოთ ბავშვის გონებრივი განვითარების შესაძლებლობები.

პიროვნების კვლევის დროს გამოიყენება, აგრეთვე, ტესტების ერთი სახე, რომელსაც ეწოდება პროექციული ტესტები. ეს ტესტები ახდენენ ინტერპრეტაციას ტესტის დავალებებზე ცდისპირის წარმოსახულ რეაქციებზე. თუ ცდისპირს მიეცემა ისეთ დავალებას, სადაც საჭირო იქნება წარმოსახვის მუშაობა, მაშინ მისი წარსახვის შედეგების ანალიზიდან გასაგები იქნება პიროვნების გრძნობების, აზროვნების და განწყობილების ზოგიერთი თვისებაც. ცდისპირები ამ სიტუაციებში ახდენენ საკუთარი გრძნობების, მოთხოვნილებების, ინტერესების, შფოთვების პროექციას.

არსებობს პიროვნების შესწავლის მრავალი პროექციული ტესტი. ერთ ასეთ ტესტში ცდის პირებს მოეთხოვებათ დაამთავრონ რომელიმე მოთხრობის სტანდარტული დასაწყისი (მაგალითად, „ჩემი მისწავლებელი ხშირად...“).

არსებობს, აგრეთვე, თემატური აპერცეპციის ტესტი (TAT), რომლის მიხედვითაც ცდისპირებს ევალებათ ნაჩვენები ნახატების მიხედვით მოთხრობების შედგენა, თითოეული ცდისპირი, რა თქმა უნდა, განსხვავებული შინაარსის მოთხრობას შეადგენს და მკვლევარი-ფსიქოლოგი ამის მიხედვით მსჯელობს პიროვნების განსხვავებული ინტერესებისა და განწყობილებების შესახებ.

პროექციული ტესტის ერთ-ერთი სახეობაა დავალება – „დახატე ადამიანი“. ასეთი ნახატების ანალიზის დროს ზატვის საციკალური ნიჭი მხედველობაში არ მიიღება. აქ ყურადღება ექცევა დახატული ადამიანის სქესს, ასაკს, სოციალურ მდგომარეობას, ნახატის დასრულებას და, აგრეთვე, იმას, თუ რაზეა აქცენტი გაკეთებული და რა დეტალზეა ნახატში გამოტოვებული. ითვლება, რომ დახატული გამოხატავს დამხატავის წარმოდგენებს საკუთარი თავის შესახებ და მკვლევარს აძლევს განსაზღვრულ ინფორმაციას „მხატვრის“ პიროვნების შესახებ.

პროექციული ტესტებიდან ყველაზე უფრო პოპულარულია რორშახის ტესტი, ე.წ. მელნის ლაქის ტესტი, რომელშიც ცდისპირთა დიდი ნაწილი „ხედავს“

გარკვეულ ფორმებსა და თვისებებს. იმის მიხედვით, თუ რას „დაინახავენ“ ცდისპირები ამ ლაქებში, მკვლევარები აკეთებენ გარკვეულ დასკვნებს. მაგალითად, თუ ცდისპირი ლაქას ალიქვამს როგორც ზოლიანს, უნდა ვიგულისხმოთ, რომ იგი უპირატესობას ანიჭებს აბსტრაქტულ იდეებს, ხოლო თუ ყურადღებას აქცევს ლაქის ფრაგმენტებს, მაშინ ასეთ ცდისპირს გააჩნია მიდრეკილება კონკრეტული რეალობისადმი. დაინახო ადამიანების ფიგურები მოძრაობაში, ნიშნავს იმას, რომ ასეთი ცდისპირი ავლენს შინაგან მსჯელობებს, ხოლო თუ ცდისპირი შეუთეთრ და ფერად ლაქებზე ერთნაირად რეაგირებს, მსჯელობენ მისი ემოციური მხარის შესახებ. ლაქაში ახალ-ახალი ობიექტების „აღმოჩენა“ ცდის პირის შემოქმედებითი აზროვნების მაჩვენებელია.

უნდა აღინიშნოს, რომ რორშახის ტესტით მიღებული შედეგები არაა აბსოლუტურად ზუსტი და სანდო. საჭიროა მისი შეჯერება სხვა ტესტებით. აღნიშნული ტესტები, უმეტესწილად, ზომავენ პიროვნების სტილისტურ თვისებებს, ხოლო პიროვნული დამოკიდებულებებისა და შეფასებების კვლევისას საჭიროა სხვა ტიპის ტესტების გამოყენება. ერთ-ერთი ასეთი ტესტია კ. ონგის ტესტი. კ. ონგი თვლიდა, რომ პიროვნების შეფასების უმთავრესი ფაქტორია მისი მდგომარეობა პიროვნების შეფასების სკალაზე, რომლის საპირისპირო მხარეებია „ექსტრავერსია“ და „ინტრავერსია“. ექსტრავერტი ესაა ისეთი სუბიექტი, რომლის ძირითადი ინტერესები მიმართულია საგნების, მოვლენების და ადამიანების გარეთ, მაშინ, როცა ინტროვერტი, უმეტესწილად „ჩამორულია“ საკუთარ განცდებში. ექსტრავერტი ცხოვრობს აწმყოში და რეალურად აფასებს საკუთარ შესაძლებლობებსა და წარმოდგენებს, ხოლო ინტროვერტს ახასიათებს შეფასების საკუთარი კრიტერიუმები და აზრები.

კ. ონგმა და მისმა მოწაფეებმა დაამუშავეს მრავალი კრიტერიუმი, რომელიც საშუალება იძლევა ერთმანეთისაგან გავმიჯნოთ ექსტრავერტული და ინტროვერტული პიროვნებები.

არსებობს, აგრეთვე, პროფესიული ტესტები, რომლებიც გამოიყენება პროფესიული ორიენტაციისათვის კანდიდატების შესარჩევად საშუაოზე მისაღებად და სამსახურეობრივი წინსვლისათვის.

პროფესიული ტესტები იყოფა სამ ჯგუფად: ა) ინტელექტის ზოგადი დონის საკვლევი ტესტები; ბ) პიროვნების ტიპების დასადგენი ტესტები და გ) პროფესიული ვარგისიანობისა და კონკრეტული უნარების დასადგენი ტესტები.

დღეს ჩვენს სკოლებში შეინიშნება უცხოური ტესტების გამოყენების დიდი გატაცება. ისმება მეტად სამართლიანი კითხვა, რამდენად ვალიდურია სხვა ქვეყანაში და ეთნოსში დამუშავებული და სტიანდარტიზირებული ტესტები ჩვენი ქვეყნის მენტალიტეტისათვის? პასუხი ცალსახაა – ასეთი ტესტებით მიღებული შედეგები არაა ზუსტი; არც ერთ განვითარებულ ქვეყანაში უცხო ტესტებს აპრობაციის გარეშე არ იყენებენ. ზოგიერთ ქვეყანაში უცხოური ტესტების აპრობაციას, კორექტირებას და ადაპტირებას (ცდის პირთა დიდ რიცხვზე) სპეციალური დაწესებულებები ახორციელებენ. ამასთანავე უნდა გვახსოვდეს, რომ ტესტი არის ფსიქოლოგიის დამხმარე მეთოდი და იგი უნდა გამოიყენოთ

კვლევის ძირითადი მეთოდებით მოპოვებული მასალის შესავსებად და დასაზუსტებლად.

ბუნებრივი ექსპერიმენტის განსაკუთრებული სახეა *სოციომეტრული მეთოდი*, რომელიც გამოიყენება მოსწავლეთა მცირე ჯგუფებისა და კოლექტივების შესასწავლად. მისი საშუალებით განისაზღვრება ურთიერთმიმართება ჯგუფის წევრებს შორის, დგინდება პიროვნების ადგილი ამ ჯგუფებში. ეს მეთოდიკა დაფუძნებულია ჯგუფის წევრთა არჩევანზე. ჯგუფის წევრებს ეძლევათ კითხვები ჯგუფის სხვა წევრებისადმი სიმპათიის ან ანტიპათიის დასადგენად. სოციომეტრული მეთოდის ავტორის, ამერიკელი ფსიქოლოგის ჯ. მარენოს მიხედვით, მთელი საზოგადოება დაყოფილია მცირე სოციალურ ჯგუფებად და ყოველი ადამიანი რომელიმე ასეთი ჯგუფის წევრია. ეს ჯგუფებია: ოჯახი, კლასი, კურსი, ბრიგადა, საამქრო, ფეხბურთელთა გუნდი და ა.შ. ჯგუფის წევრთა შორის მყარდება პირად ურთიერთობათა (სიმპათიური, ანტიპათიური, ნეიტრალური) სისტემა. ეს ურთიერთობები კი საზღვრავენ ჯგუფის მიკროსოციალურ კლიმატს, რომელიც გავლენას ახდენს მის წევრებზე. სოციომეტრული მეთოდის საშუალებით იზომება ჯგუფის წევრთა პირადი ურთიერთობები.

საკვლევ მასალად გამოიყენებულია კითხვარი, რომელიც შეიცავს ჯგუფის წევრთა პირადი ურთიერთობების ამსახველ კითხვებს. „ვისთან ისურვებდი ერთ მერხზე ჯდომას?“, „დაბადების დღეზე რომელი თანაკლასელის მოსვლა გაგებარდებოდა ყველაზე უფრო?“. ცდის პირებს ევალებათ ჩამოწერონ სამი თანაკლასელის გვარი იმის მიხედვით, თუ ყველაზე მეტად ვისთან სურთ ურთიერთობა. გამოკითხვის დამთავრების შემდეგ ხდება იმის გამოანგარიშება, თუ ვინ მიიღო ხმების ყველაზე მეტი და ყველაზე ნაკლები რაოდენობა, რის მიხედვითაც დგება თითოეული თანაკლასელის სოციალური სტატუსი. ამის საფუძველზე კი დგინდება ვარსკვლავები (ვინც მეტი არჩევანი მიიღო) და გარიყულები (ვინც ნაკლები ხმები დააგროვა).

სოციომეტრულ კვლევებში გამოიყენება აგრეთვე უარყოფითი კრიტერიუმებიც. „ვისთან არ ისურვებდი ერთ მერხზე ჯდომას?“, ან „ვის არ დააპტიყებდი დაბადების დღეზე“ და ა.შ.

განვითარების ფსიქოლოგიაში წარმატებით გამოიყენება ე.წ. *„ტყუებების მეთოდი“*. ეს მეთოდი დაფუძნებულია მონოზოციტური ტყუებების ფსიქიკურ შესაძლებლობათა შედარებით შესწავლაზე. ერთკერცხოვან ტყუებებს ბუნებამ დააყოლა ერთნაირი მემკვიდრეობა. ამ მეთოდის გამოყენება საშუალებას გვაძლევს უფრო ღრმად გავიგოთ გარემოსა და აღშზრდელობითი ფაქტორების განსაკუთრებული ზემოქმედება ბავშვის პიროვნების ჩამოყალიბებაზე.

„ტყუებების მეთოდით“ ჩატარებული მრავალრიცხოვანი ცდები უჩვენებენ, რომ პიროვნების მრავალი ნიშანი განპირობებულია გენეტიკურად. ცდები ჩატარდა პიროვნების სამი თვისების: ემოციურობის, სოციაბილურობის და აქტივობის დონის ასაკობრივ ცვალებადობაზე სხვადასხვა გარემოში აღზრდილ ტყუებებზე. პიროვნების ისეთი თვისებები, როგორიცაა ემოციურობა და სოციაბილურობა,

ჩვეულებრივ, იკვლევა ვრცელი კითხვების საშუალებით. აქტივობის დონე კი განისაზღვრება უშუალო დაკვირვებით, ან ფასდება მასწავლებლისა და მშობლების მიერ. დადგინდა, რომ მსგავსება ემოციურობაში (ესაა თვისება ადამიანმა ადვილად გამოავლინოს შიში ან რისხვა). შენარჩუნებულია ტყულების მთელი სიცოცხლის განმავლობაში. რაც შეეხება აქტივობასა და სოციაბილურობას (ადამიანთა შორის ყოფნის სურვილი) ასაკის წინსვლასთან ერთად მათი მსგავსება კლებულობს, რაც იხსნება განსაკუთრებული გარემოს გავლენით.

ცალ-ცალკე აღზრდილი მონოზიგოტური ტყუალების პიროვნულ ნიშნებს შორის კორელაცია ძალიან მაღალია, ხოლო დიზიგოტურ ტყუალებში ასეთი კორელაცია შედარებით დაბალია.

ანკეტა. ანკეტა არის სტატისტიკური მასალის შეგროვების მეთოდი ცდის პირთა პირდაპირი გამოკითხვის გზით. ბავშვი პასუხობს ადრეული მოგონებების, საყვარელი სათამაშოების და სხვა კითხვების შესახებ; ანკეტის საშუალებით შეიძლება მივიღოთ ინფორმაცია სხვა პირების შესახებაც (მასწავლებელთა ანკეტები ბავშვის იდეალების, ინტერესების, მეგობრობის და ამხანაგობის შესახებ). არის რიგი სფეროებისა, სადაც ანკეტური მეთოდი მეტად ეფექტურია. მაგალითად, სასწავლო და სააღმზრდელო ღონისძიებების სწორად წარმოებისათვის მასწავლებელს ძალიან სჭირდება ბავშვთა ინტერესების, სასწავლო საგნებისადმი მათი დამოკიდებულების დადგენა.

საუბრის მეთოდი. ეს მეთოდი კვლევის ამოცანებთან დამოკიდებულებასში სხვადასხვა ვარიანტებით გამოიყენება. საუბრის მეთოდის წარმატება დიდადაა დამოკიდებული მისი მომზადების დონეზე (საუბრის ზუსტი გეგმის არსებობა, მოსწავლეთა ასაკობრივი და ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინება) და პასუხების გულწრფელობაზე. საუბრის მეთოდით მიღებული მასალა საშუალებას გვაძლევს ვიმსჯელოთ ბავშვის ხასიათზე, ტემპერამენტზე, ინტერესებზე, ნიჭსა და უნარზე.

აღნიშნული მეთოდის გამოყენება სკოლამდელელებთან მეტად შეზღუდულია. ოთხ წლამდე ასაკის ბავშვებთან საუბარი ფაქტიურად შეუძლებელია და მათ უჭერენ სურათებს, რომლის შინაარსის შესახებ ექსპერიმენტატორის შეკითხვაზე მათ პასუხი უნდა გასცენ. ოთხი წლის შემდეგ კი უკვე შესაძლებელია ნამდვილი საუბრის წარმოება, როცა ბავშვები გამოთქამენ საკუთარ აზრს საგნებზე, მოვლენებზე, ადამიანებზე, საკუთარ თავზე და ა.შ. საუბრისათვის კითხვების მომზადება დიდ დახელოვნებას და ცოდნას მოითხოვს.

ბავშვის ფსიქოლოგიაში წარმატებით გამოიყენება საუბრების თავისებური სახე, რომელიც შეიმუშავა გამოჩენილმა შვეიცარიელმა ფსიქოლოგმა ჟ. პიაჟემ, და რომელსაც მან უწოდა **კლინიკური საუბარი**. კლინიკური საუბარი არის ექსპერიმენტისა და საუბრის მეთოდის თავისებური შერწყმა. ამ დროს ბავშვს აყენებენ ისეთ პირობებში, რომ მისგან სპეციალურად შედგენილი ამოცანის გადაწყვეტას და დასმულ შეკითხვებზე პასუხს მოითხოვენ. მაგალითად, ექსპერიმენტატორი ბავშვს აძლევს თიხის გუნდას და სთხოვს გააკეთოს ისეთივე

ზომის და ფორმის მეორე გუნდა. მას შემდეგ, როცა ბავშვი ამ დავალებას შეასრულებს, ექსპერიმენტატორი ცვლის თიხის გუნდის ფორმას და აძლევს მას კითხვებს იმის გამოსარკვევად, თვლის თუ არა ბავშვი, რომ ამ ნაწილებს ისევ ერთნაირი წონა და მოცულობა აქვს.

ქავეის პროცესების და პროდუქტების ფსიქოლოგიური ანალიზი. ეს მეთოდი გამოიყენება ბავშვის ფსიქიკის შესასწავლად სხვადასხვა ასაკობრივ საფეხურზე. ბავშვის ფსიქიკური თავისებურებების შესახებ წარმოდგენას გვაძლევს არა მარტო მათი შესწავლა თამაშისა და სასწავლო-საღმწერდლო სიტუაციებში, და ამ პროცესთა ფსიქოლოგიური ანალიზი, არამედ მათი შემოქმედებით პროდუქციის ანალიზიც. ამ მხრივ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთი შემოქმედებით პროდუქტები, როგორცაა ნახატები, ნახაზები, ალიკაციები, ლექსები, ზღაპრები, ტექნიკური მოდელები და ა.შ. ყოველივე ეს კი იძლევა ობიექტურ სურათს ბავშვის ინტერესებზე, პიროვნების მოძრაობაზე, ნიჭზე, მიდრეკილებებზე, ბავშვის განვითარების საერთო დონეზე.

ბიოგრაფიული მეთოდი. ბავშვის ფსიქიკური განვითარების შესწავლაში ხელშეწყობ რიგს ასრულებს ბიოგრაფიული მეთოდიც, რომელიც მდგომარეობს პიროვნების ცხოვრებისეული გზის შესახებ მონაცემების შეგროვებასა და ანალიზში. თუ გვეცოდინება ბავშვის ცხოვრების ძირითადი მომენტები და საფეხურები, შეიძლება ვიმსჯელოთ იმის შესახებ, თუ რა გარემოებათა გავლენის შედეგად ჩამოყალიბდა მისი პიროვნების ესა თუ ის თვისება.

ძალზე საინტერესო სურათს იძლევა დ. შეფერის განვითარების კვლევის მეთოდების თანამედროვე კლასიფიკაცია.

I. თვითანგარიშის მეთოდები. მეთოდთა ეს კლასი მოიცავს ინფორმაციის შეგროვებისა და ჰიპოთეზების შემოწმების სამ ძირითად მეთოდს: ა) ინტერვიუ, ბ) გამოკითხვა და გ) კლინიკური მეთოდები. ამ მეთოდთა ზოგადი პრინციპია ცდისპირებისადმი შეკითხვების დასმა.

ინტერვიუ და კითხვარები. მკვლევარები ბავშვებს (ან მათ შშობლებს) აძლევენ შეკითხვებს, რომელიც ეხება ბავშვის განვითარების რომელიმე კონკრეტულ ასპექტს (ქცევა, ემოციები, მრწამსი ან აზროვნების საეციფიკური ხასიათი). კითხვარების (ტესტების) საშუალებით ინფორმაციის მიღება გულისხმობს ცდისპირთა მიერ პასუხის წერილობითი ფორმით გაცემას. ესაა დიდი რაოდენობის ინფორმაციის მოკლე დროში შეგროვების ეფექტური საშუალება. ამ მეთოდის ნაკლი ისაა, რომ მიღებული მონაცემები შეიძლება არ იყოს ზუსტი ან არ ასახავდეს ცდისპირთა განსხვავებულ ვერბალურ შესაძლებლობებს და შეკითხვების გაგება-გააზრების განსხვავებულ ხარისხებს.

კლინიკური მეთოდი. ეს მეთოდი მჭიდრო კავშირშია ინტერვიუს მეთოდთან. ყ. პიაჟე ამ მეთოდს წარმატებით იყენებდა ბავშვის მორალური და ინტელექტუალური განვითარების დონეების დასადგენად. მკვლევარი, რომელიც იყენებს კლინიკურ მეთოდს, ჩვეულებრივ, ამოწმებს შემუშავებულ ჰიპოთეზას. იგი ამას აკეთებს ცდისპირებისადმი მიცემული ამა თუ იმ ტიპის დავალებების ან სტიმულების საშუალებით. მიღებული პასუხის შემდეგ მკვლევარი, როგორც წესი,

აძლევს ბავშვს მეორე შეკითხვას ან ახალ ამოცანას იმისათვის, რომ უფრო ნათელი გახდეს ცდისპირის თვლადპირველი პასუხი. საუბრის დასაწყისში ბავშვებს ეძლევათ ერთი და იგივე კითხვები, ხოლო შემდეგ თანდათანობით გადადიან ინდივიდუალურ შეკითხვებზე. ესაა მოქნილი მეთოდი, რომლის თანახმადაც ბავშვი განიხილება როგორც უნიკალური პიროვნება. ნაკლი ისაა, რომ გამოტანილი დასკვნები შეიძლება არ იყოს მთლად სანდო, რადგანაც ცდის პირების მიმართ გამოიყენება განსხვავებული მიდგომები. გამოკვლევათა სიზუსტე და სანდოობა დამოკიდებულია ცდის პირთა პასუხების სუბიექტურ ინტერპრეტაციაზე.

II. სისტემატური დაკვირვების მეთოდები.

1) ბუნებრივი დაკვირვება. ეს მეთოდი საშუალებას იძლევა შევისწავლოთ ბავშვების ქცევა ბუნებრივ პირობებში. ნაკლი ისაა, რომ შესაძლებელია დასაკვირვებელ ქცევაზე მოხდეს დამკვირვებლის გავლენა. არაორდინარული, არაჩვეულებრივ და არასასურველ ქცევებს ბავშვები დამკვირვებლის წინაშე არ გამოავლენენ.

2) სტრუქტურული დაკვირვება. ამ დროს თითოეულ ცდისპირს უქმნიან ისეთ გარემობას, რომ შესაძლებელი ხდება სასურველი ქცევის ნიუანსების დანახვა. ამასთანავე მათზე ხდება შეუმჩნეველი დაკვირვებაც (ფარული კამერით ან შოგნიდან ჩაბნელებული მინით და ა.შ.). ეს მეთოდი დიდი პოპულარობით სარგებლობს ბავშვის ფსიქოლოგიაში. ნაკლი ისაა, რომ ხელოვნურ პირობებში დაკვირვება ყოველთვის არ გამოხატავს ბავშვის ქცევის სპეციფიკას ბუნებრივ პირობებში.

3) ცალკეულ შემთხვევათა შესწავლა. კვლევის ნებისმიერი მეთოდით მუშაობისას აუცილებლად უნდა იქნას მხედველობაში მიღებული ბავშვის ბიოგრაფიის ცალკეული შემთხვევებიც (ოჯახური მდგომარეობა, წარმომავლობა, სოციალურ-ეკონომიური სტატუსი, ჯანმრთელობის მდგომარეობა, განათლება და ფსიქოლოგიური ტესტების შედეგები. ესაა მეტად თავისუფალი მეთოდი, რომელიც გულისხმობს იმას, რომ ლოგიკური მსჯელობებისას და დასკვნების გამოტანის დროსაც ყურადღება უნდა მიექცეოდ ბავშვის სხვა მონაცემებსაც. ნაკლი ისაა, რომ მიღებული მონაცემების სპეციფიკა ხშირად განიცდის ვარიაციას. ინდივიდუალური შემთხვევების საფუძველზე გამოტანილი დასკვნები ძალზე სუბიექტურია.

4) ეთნოგრაფია. ესაა განსხვავებული კულტურის (ღირებულებები, რწმენა) გავლენის როლის დადგენა ბავშვთა და მოზარდთა განვითარებაზე. ამისათვის ეთნოფსიქოლოგები და ეთნოგრაფები, ხშირად, თვეობითა და წლობითაც კი ცხოვრობენ შესასწავლი ეთნოსის საზოგადოებებში. ნაკლი ისაა, რომ დასკვნები შეიძლება დამახინჯდეს თვით მკვლევარის განწყობების, ღირებულებების და ტრადიციების გავლენით. მიღებული შედეგები სხვა ეთნოსზე არ უნდა გაკრულდეს.

5) ფსიქოფიზიოლოგიური მეთოდები. უკანასკნელ წლებში ბავშვის განვითარების მკვლევარები ხშირად იყენებენ ფსიქოფიზიოლოგიურ მეთოდებს. ესაა კოგნიტური, ემოციური და სხვა სფეროს განვითარების ფიზიოლოგიური

საფუძვლების ძიება. მაგალითად, გულის რიტმი უნებლიე, ფიზიოლოგიური რეაქციაა, რომელიც დამოკიდებულია ფსიქიკურ რეაქციებთან. სიმშვიდეში მყოფი და შეშინებული ბავშვის გულისცემა ძალიან განსხვავებულია. თავის ტვინის ფუნქციის შესწავლა ძალიან სასარგებლოა ფსიქოლოგიური მდგომარეობების აღსაწერად. კვლევის ფსიქოფიზიოლოგიური მეთოდი არის ფსიქიკური განვითარების ბიოლოგიური დეტერმინანტების ძიების მეთოდი. ნაკლი ისაა, რომ ამ დროს არაა შესაძლებელი იდგი სიზუსტით მოხდეს ცდისპირთა გრძნობებისა და ემოციების იდენტიფიკაცია.

III. კორელაციური და ექსპერიმენტული მეთოდები (პროექტი). მეთოდთა ეს ჯგუფი მოიცავს კვლევის ისეთ გეგმას ან პროექტს, რომელიც საშუალებას იძლევა საგნებსა და მოვლენებს შორის ურთიერთდამოკიდებულებისა და მიზეზობრივი განპირობებულობის დადგენას.

1) კორელაციური პროექტი (მეთოდი). ამ მეთოდის საშუალებით მკვლევარი აგროვებს ინფორმაციას იმისათვის, რომ დაადგინოს არსებობს თუ არა კავშირი ორ ან მეტ ცვლადს შორის. ცვლადებს შორის ურთიერთკავშირის არსებობა (ან არარსებობა) განისაზღვრება სტატისტიკური დამუშავების საშუალებებზე და დგინდება კორელაციის კოეფიციენტი, რომლის დიაპაზონია 1.00-დან მინუს 1.00-მდე. კორელაციის კოეფიციენტის ნიშანი მიუთითებს კორელაციის მიმართულებას. დადებითი ნიშანი აღნიშნავს იმას, რომ ერთი ცვლადის მნიშვნელობის ზრდისას იზრდება მეორის მნიშვნელობაც. დადებითი კორელაციის მაგალითია სიმაღლისა და წონის შეფარდების დინამიკა. ზრდის მატებასთან ერთად წონაც მატულობს. არსებობს დადებითი კორელაცია ძალადობრივი შინაარსის ტელეგადაცემების ნახვისა და აგრესიას შორის. ბავშვები, რომლებიც ნახულობენ ბევრ ძალადობრივ ტელეგადაცემას, უფრო მეტ აგრესიას ამჟღავნებენ, ვიდრე ისინი, რომლებიც ასეთ გადაცემებს არ უყურებენ. აგრესიულობა და პოპულარობა უარყოფით კორელაციაშია ერთმანეთთან. აგრესიული ბავშვები არ არიან პოპულარულები.

კორელაციური მეთოდის ნაკლი ისაა, რომ ეს მეთოდი არ იძლევა საგნებსა და მოვლენებს შორის მიზეზ-შედეგობრივი დამოკიდებულების ზუსტი გაზომვის შესაძლებლობას.

2) ექსპერიმენტული მეთოდი (პროექტი). ის, რაც კორელაციური მეთოდის ნაკლი იყო, სწორდება ექსპერიმენტული მეთოდის გამოყენებისას. ამ დროს შესაძლებელია ორ ან მეტ ცვლადს შორის კაუზალური მიმართულების ზუსტი შეფასება.

დ.შუფერი ბუნებრივი ექსპერიმენტის ერთ-ერთ სახედ წარმოგვიდგენს საველე ექსპერიმენტს. ავტორის სიტყვებით რომ ვთქვათ, ესაა ლაბორატორიული ექსპერიმენტის გაგრძელება ბუნებრივ პირობებში. ბუნებრივი ექსპერიმენტი კი იძლევა ისეთი ხელოვნური მოვლენების გაველნის შესწავლის შესაძლებლობას, რომლებიც არ ჩანდა ლაბორატორიული და საველე ექსპერიმენტებში. მაგალითად, იმ ბავშვების სოციალური დეპრევიაციის შესწავლა, რომლებიც იზრდებოდნენ ცუდ სახელმწიფო დაწესებულებებში და სახლში, სადაც ბავშვების სოციალური ურთიერთობის მოთხოვნილება მაქსიმალურად კმაყოფილდებოდა.

IV. ასაკთაშორისი კვლევების მეთოდი (პროექტი). ამ მეთოდის (პროექტის) მიხედვით განსხვავებული ასაკების ადამიანების გამოკვლევა ტარდება ერთსა და იმავე დროს და მხოლოდ ერთხელობრივად. განსხვავებული ასაკის ცდისპირების ერთმანეთთან შედარებისას მკვლევარებს შესაძლებლობა ეძლევათ დააფიქსირონ ასაკობრივი ცვლილებები განვითარების რომელიმე განსაზღვრულ სფეროში. ამ მეთოდის ეფექტურობა იმაში მდგომარეობს, რომ მკვლევარს შესაძლებლობა აქვს განსხვავებულ ასაკებზე შეკრიბოს მეცნიერული ინფორმაცია მოკლე დროში, ე.ი. ეს მეთოდი გულისხმობს სხვადასხვა ასაკის ადამიანების ერთდროული და ერთჯერად გამოკვლევას.

IV. ლონგიტიდური კვლევები. ეს მეთოდი, როგორც ვიცით, გულისხმობს ერთი და იგივე ცდის პირების გამოკვლევას ხანგრძლივი დროის განმავლობაში. მკვლევარები სწავლობენ განვითარების რომელიმე კონკრეტულ ასპექტს (მაგ. ინტელექტი, სოციაბილიზაცია...).

V. შემდგომი კვლევების მეთოდი. მაგალითად, 2004 წელს ჩატარებული ექსპერიმენტის შედეგების შედარება იმავე ასაკის (და იმავე მასალით) ჩატარებული ექსპერიმენტის შედეგებთან 2006 წელს.

კვლევების ეთიკური საკითხები

ექსპერიმენტის ჩატარების ან დაკვირვების პროცესში არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაირღვეს ბავშვთა და მოზარდა უფლებები; ექსპერიმენტის ჩატარებისას ადრეულ ბავშვებში ხელოვნური სენსორული დეპრივაციის შექმნა არის არაეთიკურიან კიდევ, როცა საუბრის დროს მკვლევარი ეკითხება ბავშვს მისი მშობლების მიერ აღზრდის მეთოდების გამოყენების შესახებ და ოჯახის წევრების ურთიერთობის ინტიმური ასპექტების შესახებ. მკვლევარები თვლიან, რომ ეს შეიძლება განვიხილოთ ცდისპირის პირად ცხოვრებაში ჩარევად. არაეთიკურია, როცა ექსპერიმენტატორი ბავშვს ეუბნება, რომ ისინი მარტონი არიან, ხოლო სინამდვილეში ფარდის უკან ასისტენტი დგას. ამ თვალსაზრისით დგება მრავალი საკითხი. მაგალითად, რამდენად ეთიკურია ექსპერიმენტის მიზნების შესაბამისად ბავშვებს განუვითაროთ მსუბუქი ფრუსტრაცია ან სტრესი? ეთიკურია თუ არა ბავშვებზე დაკვირვება ან ექსპერიმენტის ჩატარება მათი მშობლების თანხმობის გარეშე? ე.ი. ექსპერიმენტატორს აქვს დიდი პასუხისმგებლობა ექსპერიმენტის ჩატარებაზე და მან ამ დროს უნდა დაიცვას მაღალი ეთიკური ნორმებიც.

ფსიქოლოგიური კვლევების ეთიკური საკითხების გადასჭრელად ამერიკაში შექმნილია პროფესიული ორგანიზაცია, რომელსაც ეწოდება „ამერიკის ფსიქოლოგიური ასოციაცია და ბავშვის განვითარების კვლევების საზოგადოება“. ამ ორგანიზაციამ ჩამოაყალიბა ექსპერიმენტების ჩატარების დროს გასათვალისწინებელი ზოგადი პრინციპები.

1) არ ავბო. მკვლევარმა არ უნდა გამოიყენოს ისეთი პროცედურა, რომელიც ბავშვს მოუტანს ფიზიკურ ან ფსიქიკურ ზიანს. მკვლევარი უნდა ცდილობდეს ექსპერიმენტის ჩატარების დროს შექმნას რაც შეიძლება ნაკლები სტრესული სიტუაცია.

2) ინფორმაციული თანხმობა. ბავშვებზე ექსპერიმენტის დაწყებამდე მკვლევარმა მათ უნდა მიაწოდოს ინფორმაცია ექსპერიმენტის მიმდინარეობის ყველა ნიუანსის და თავისებურების შესახებ, რომელმაც შეიძლება გავლენა მოახდინოს ბავშვის სურვილზე მიიღოს ან არ მიიღოს მონაწილეობა ექსპერიმენტში. მკვლევარი, რომელიც ცდებს ატარებს ჩვილ ბავშვებზე, უნდა ეცადოს, რომ მათ არ შეუქმნას დისკომფორტი.

3) შშობელთა თანხმობა. აუცილებლად საჭიროა შშობლების და მზრუნველების ნებართვა ბავშვების ექსპერიმენტულ კვლევებში მონაწილეობის მისაღებად. ეს თანხმობა სასურველია იყოს წერილობითი ფორმით. შშობლები (ან მისი შეპყვლილი პირები) ინფორმირებულნი უნდა იყვნენ ექსპერიმენტის მიმდინარეობის ყველა დეტალის შესახებ.

4) დამატებითი თანხმობა. საჭიროა აგრეთვე დამატებითი თანხმობის მიღება მასწავლებლების მხრიდანაც. საკმის კურსში უნდა იყვნენ ჩაყვნილებულნი სკოლის დირექტორები და ბაგა-ბაღის ხელმძღვანელებიც.

5) აღმძვრელი სტიმულები. ექსპერიმენტულ კვლევებში მონაწილე ბავშვებისათვის დასაშვებია რაიმე ჯილდოს შეპირება, მაგრამ ეს ჯილდო არ უნდა იყოს იმ დასაშვებ ნორმაზე მეტი, რომელსაც გულისხმობს ამა თუ იმ ბავშვის ჩვეული ცხოვრების წესი.

6) დეზინფორმაცია. ბავშვის მიერ ექსპერიმენტში მონაწილეობის მისაღებად სრული ინფორმაციის მიწოდება არის ეთიკური იდეალი, მაგრამ ზოგიერთი კვლევა მოითხოვს არ იქნეს გამჟღავნებული ინფორმაცია ანუ ადგილი ჰქონდეს მსუბუქ ტყუილს. თუ ინფორმაციის ასეთი დამალვა უარყოფითად არ იმოქმედებს ცდის პირებზე, ექსპერიმენტის ჩატარება შესაძლებელია, მაგრამ აუცილებლად უნდა აეხსნას ცდის პირებს ასეთი ინფორმაციის დამალვის მიზეზი.

7) ანონიმურობა. საჭიროების შემთხვევაში ექსპერიმენტატორმა უნდა დაიცვას ინფორმაციის ანონიმურობა და არ გამოიყენოს იგი სპეციალური ნებართვის გარეშე.

8) უსაფრთხოება. თუ ექსპერიმენტის მიმდინარეობისას მკვლევარმა აღმოაჩინა ისეთი ფაქტი, რომელიც საფრთხეს უქმნის ბავშვის კეთილდღეობას, იგი ვალდებულია ყოველივე ეს განსაჯოს შშობლებთან და ამ დარგის სპეციალისტებთან, რის საფუძველზეც ბავშვს უნდა აღმოუჩინონ სათანადო დახმარება.

9) გაუთვალისწინებელი შედეგები. თუ ექსპერიმენტის პროცედურას აღმოაჩნდა გაუთვალისწინებელი უარყოფითი შედეგები, დაუყოვნებლოდ უნდა იქნას მიღებული შესაბამისი ზომები ამის გამოსასწორებლად და შემდგომში ეს პროცედურა აუცილებლად უნდა შეიცვალოს.

10) კონფიდენციალობა. ექსპერიმენტატორმა ცდის პროცესში მოპოვებული ყველა ინფორმაცია უნდა შეინახოს საიდუმლოდ. ექსპერიმენტის შედეგების შესახებ წერილობითი ან ზეპირი ანგარიშის დროს ან სტუდენტებთან ან კოლეგებთან მსჯელობისას ცდისპირთა გვარები არ უნდა დასახელდეს.

11) მონაწილეთა ინფორმირება. ექსპერიმენტატორმა ცდის პირებს ინფორმაცია ექსპერიმენტის შესახებ უნდა მიაწოდოს მათთვის გასაგებ ტერმინებში. იმ

შემთხვევაში, როცა ექსპერიმენტის შედეგად მოპოვებული ინფორმაციის დამალვა არ ეწინააღმდეგება მეცნიერულ და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებს, უნდა ვეცადოთ, რომ ამას არ ჰქონდეს ცდის პირებზე არავითარი ნეგატიური გავლენა.

12) შედეგების შეტყობინება. შედეგების შეტყობინების, შეფასებითი დასკვნის ან რჩევების (რეკომენდაციების) მიცემის დროს მკვლევარი უნდა იყოს ძალიან ფრთხილად, რომ მან დაუფიქრებლობის გამო რაიმე გავლენა არ მოახდინოს ბავშვებზე და მათ შობილებზე.

13) კვლევის შედეგების მნიშვნელობა. მკვლევარს ყოველთვის უნდა ახსოვდეს, რომ მისი კვლევის შედეგებს აქვს სოციალური, პოლიტიკური, მეცნიერული და ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობა. (მასალა აღებულია წიგნიდან: Н.Ньюкомб. Развитие личности ребенка. Питер, 2002).

თავი II

ბავშვის ფსიქიკური განვითარების ფაქტორები და განმსაზღვრელი პირობები

§1. განვითარების თეორიები

ცხოველთა ფსიქიკის განვითარების ძირითად მექანიზმს წარმოადგენს ბიოლოგიურად განმტკიცებული გამოცდილების შექმნის გზით გადაცემა, რომლის საფუძველზეც ხორციელდება ცხოველთა შვეუება გარესსამყაროსადმი. ადამიანის ფსიქიკური განვითარება კი ბავშვის მიერ საზოგადოებრივ-ისტორიული გამოცდილების დაუფლების პროცესში მიმდინარეობს. ბავშვი ცხოვრობს ადამიანურ ურთიერთობათა სამყაროში, სადაც საზოგადოებრივი პრაქტიკის გამოცდილებაა ფიქსირებული. ბავშვის ფსიქიკური განვითარება ამ გამოცდილების დაუფლებას წარმოადგენს.

ადამიანი ბიოსოციალური არსებაა, რის გამოც მის ფსიქიკურ განვითარებაზე ფსიქოსოციალურ ფაქტორებთან ერთად მნიშვნელოვან ზემოქმედებას ახდენენ ფიზიკური და ბიოლოგიური ფაქტორებიც. ამიტომ, როცა ბავშვის ფსიქიკურ განვითარებაზე ვლაპარაკობთ, აუცილებლად უნდა დაისვას თეორიული საკითხი განვითარების არსისა და რაობის შესახებ, რომლის გადაწყვეტასაც ამავე დროის დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. როგორც შეკვლევარები აღნიშნავენ თეორიული საკითხების გადაწყვეტა ფაქტობრივად წარმართავს ბავშვის ფსიქიკის განვითარების კონკრეტული საკითხების კვლევის მიმართულებასაც.

ფსიქიკის განვითარების თეორიული ასპექტების დამუშავება მეტად აქტუალურია, რომლის დასტურიცაა განვითარების ამხსნელი მრავალი თეორიის არსებობა. ყოველმა შემდგომმა თეორიამ მოუთხა წინამავალი თეორიის ნაკლები, მაგრამ არ აღმოაჩნდა მისი გამანადგურებელ ლოგიკური არგუმენტები, რის გამოც მივიღეთ თეორიათა სიმრავლე. ამასთანავე სხვადასხვა თეორია განსხვავებული კუთხითა და ასპექტით იხილავს ბავშვის ფსიქიკური განვითარების პროცესს. ყველა თეორიას გააჩნია დადებითი და უარყოფითი მხარეები, ყველა მათგანს აქვს არსებობის უფლება, მაგრამ დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ჯერ-ჯერობით არ არსებობს განვითარების ერთადერთი სწორი თეორია. საქმე ისაა, რომ განვითარების პროცესის უაღრესი სირთული გამო ეს თეორიები წინა პლანზე სწევდნენ განვითარების განსხვავებულ ფაქტორებს, პირობებსა და მიზეზებს. ზოგიერთი ავტორის განვითარების კონცეფცია კი ამოდის იმ ფსიქოლოგიური მიმდინარეობის, სკოლის ტრადიციებიდან, რომლის წარმომადგენელიცაა იგი.

ბავშვის ფსიქიკის განვითარების ფაქტორებისა და პირობების ასახსნელად იმთავითვე დაუკავშირდა ერთმანეთს ნატევიზმი და ემპირიზმი. ნატევისტური თეორიის მიხედვით, ბავშვს დაბადებისთანავე და დაკავება ყველა ადამიანური უნარი. გარემო კი ხელსაყრელ პირობებს ქმნის თანდაყოლილ მონაცემთა სრულყოფისათვის. როგორც ვხედავთ ნატევისტურ თეორიაში განვითარების

თანდაყოლილი ფაქტორების როლი გაზვიადებულად არის წარმოდგენილი, ხოლო გარემოს ფაქტორების როლი უმნიშვნელოდაა შეფასებული. ამ თეორიის მიხედვით საერთოდ იგნორირებულია ბავშვის პიროვნებაზე სოციალური გარემოს ზემოქმედებისა და გავლენის ფაქტი.

ემპირისტული თეორია ნატურისტურის საპირისპიროა. ამ თეორიის მიხედვით ბავშვი იზადება „სუფთა დაფად“ და მას დაბადების მომენტში არავითარი ადამიანური მონაცემი არ გააჩნია. ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, თუ გარემო რას და როგორც დააწერს ამ დაფაზე.

ამ ორ საპირისპირო თეორიას შორის წინააღმდეგობას ხსნის ცნობილი გერმანელი ფსიქოლოგის ვ. შტერნის ე.წ. *კონვერგენციის თეორია*, რომლის მიხედვითაც ბავშვის ფსიქიკური განვითარება განხილული უნდა იქნეს როგორც შინაგან ტენდენციათა (მემკვიდრეობის), ისე გარემოს გავლენითაც. განვითარების ყოველგვარ ფაქტში მონაწილეობს როგორც მემკვიდრეობა, ასევე – გარემოც. ბავშვს ყოველგვარი ფუნქცია მემკვიდრეობით დაყვება პოტენციური შესაძლებლობის სახით, მაგრამ იგი რეალობად იქცევა გარემო პირობების გავლენის შედეგად. ამრიგად, როგორც ვხედავთ, კონვერგენციის თეორია (კონვერგენცია - ლათინურად შეთანხმება, თანხვედრა) აღიარებს ბავშვის ფსიქიკური განვითარების მიზეზად ორივე ფაქტორის აუცილებლობას და მათ შეთანხმებულ მოქმედებას.

ბავშვის ფსიქიკის განვითარების თანამედროვე თეორიები მიუთითებენ იმას, რომ ადამიანის განვითარება არის ერთად მოქმედი მრავალი ძალისა და ფაქტორის შედეგი. თვლიან, რომ განვითარება არის ბიოლოგიური და კულტურული საწყისების ურთიერმოქმედებისა და ურთიერთკავშირის სინთეზი, რომელიც იწყება ჩასახვის მომენტიდან და გრძელდება მთელი სიცოცხლის განმავლობაში. ადამიანის ფსიქიკის განვითარებაზე აქტიურად მოქმედებენ ბიოლოგიური, ანთროპოლოგიური, სოციალური და ფსიქოლოგიური ფაქტორები.

განვითარების ცნების დეფინიციიდან სრულყოფილად მიგვაჩნია ვ. კრაივის განსაზღვრება, რომლის მიხედვითაც განვითარება არის ცვალებადობა, რომელიც მიმდინარეობს სხეულის აგებულებაში, ფსიქიკასა და ქცევაში, ორგანიზმში მიმდინარე ბიოლოგიური პროცესებისა და გარემომცველი გარემოს ზემოქმედების შედეგად. როგორც მკვლევარი მიუთითებს ჩვეულებრივ ეს ცვლილებები თანდათანობით პროგრესირდება, გროვდება და საბოლოო ანგარიშით საფუძვლად ედება ფუნქციების გართულებას. მაგალითად, ჩვეულებრივი, გამოუცდელი დამკვირვებელიც კი შენიშნავს, რომ ჩვილი ბავშვის მოტორული განვითარება იწყება ხელებისა და ფეხების მოუწესრიგებელი მოძრაობებით. მაგრამ ასაკის წინსვლასთან ერთად ბავშვი უკვე ცდილობს რალაციის ხელში ჩაგდებას, მიიწევს საგნებისაკენ, ცდილობს ცოცვას და, ბოლოს, დგამს პირველ ნაბიჯებს. სიმბოლოების, განსაკუთრებით, სიტყვების გამოყენება, კითხვის, ანგარიშის, სწავლის საფუძველი ხდება. რომლის პროცესშიც ხდება აზროვნების ფორმების გართულება, რაც პატარა ბავშვს საშუალებას აძლევს იცნოს საგნები, ხოლო მოზარდს დაუფლოს რთული ცნებებსა და იაზროვნოს აბსტრაქტული კატეგორიებით.

განვითარების ისეთი პროცესები, როგორცაა ნაყოფის პრენატალური ზრდა, უმთავრესად ბიოლოგიურ ხასიათს ატარებს, ხოლო სხვა პროცესები, ძირითადად მიმდინარეობენ გარესსამყაროს უშუალო გავლენით. ამის ნათელი მაგალითია უცხო ენის შესწავლა საზღვარგარეთ ყოფნის პერიოდში ან ოჯახის წევრების მეტყველების მანერისა და არტიკულაციის შეთვისება.

შ. ჩხარტიშვილისა და გ. კრაიგის მიხედვით ადამიანის განვითარება მიმდინარეობს სამ სფეროში. ესაა ფიზიკური, კოგნიტური და ფსიქოსოციალური განვითარება.

განვითარების ფიზიკური მხარე ისეთი ფიზიკური მახასიათებლები, როგორცაა ორგანოების სიდიდე და ფორმა, ტვინის სტრუქტურა, სენსორული შესაძლებლობანი და მოტორული ჩვევები. აქ შედის ადამიანის სხეულის ზრდა და ცვალებადობა, აგრეთვე ძვალ-კუნთოვანი სისტემის, ჯირკვლებისა და შებენიანების ღინამიკა და განვითარება.

განვითარების კოგნიტური სფერო მოიცავს გონებრივ უნარებს და შემეცნებით ფსიქიკურ პროცესებს, რომელიც დაკავშირებულია აზროვნებასთან და პრობლემების გადაჭრასთან.

სხვა დეფინიციის მიხედვით „განვითარება განისაზღვრება როგორც რეგულარული და შედარებით მყარი ცვლილებები ორგანიზმში, სააზროვნო პროცესებში, ემოციებში, სოციალური ურთიერთობის ფორმებსა და ქცევის სხვა სახეებში“ ნ. ნიუკომბი

ცოცხიდან სიარულზე, ტიტინიდან მეტყველებაზე ან კონკრეტული აზროვნებიდან აბსტრაქტულზე გადასვლა განვითარების კონკრეტული სურათის მარჯვენებელია. ყველა შემთხვევაში განვითარების ყოველი შემდგომი სტადია სრულყოფილია წინაზე.

ნ. ნიუკომბი გამოყოფს განვითარების სამ ასპექტს:

ა) უნივერსალური კანონზომიერებების განვითარება, რომელიც საერთოა ნებისმიერი ბავშვისათვის კულტურული ღონისა და ეთნიკური მიკუთვნებულობის მიუხედავად. მაგალითად, მთელ მსოფლიოში 2-3 თვის ბავშვი იღიმება ადამიანის სახის დანახვაზე, დაახლოებით ერთი წლის ასაკში ყველა ბავშვი იწყებს პირველი სიტყვების წარმოთქმას და ცამეტი თვის ასაკში თითქმის ყველა ბავშვი იწყებს დამოუკიდებლად სიარულს.

ბ) ინდივიდუალური განვითარების თავისებურებანი, რომელთა ცოდნა აუცილებლად უნდა იქნას გათვალისწინებული სწავლებისა და აღზრდის პროცესში.

გ) სოციალური გარემოს გავლენა. ესაა ოჯახი, სკოლა, მეზობლები, ბავშვის სოციალურკულტურული გარემოცვა, რასაც ხანდახან, ბავშვის ქცევის გეოლოგიასაც უწოდებენ.

ბავშვის განვითარების შესწავლისას აუცილებლად უნდა იქნას გათვალისწინებული რამდენიმე თეორიული საკითხიც, რომელთაგანაც ერთ-ერთი მნიშვნელოვანია განვითარებაში ბიოლოგიური და სოციალური (თანდაყოფილი და შეძენილი) ფაქტორების წილის საკითხი. დღეს არც ერთი მეცნიერი არ იზიარებს აზრს იმის შესახებ, რომ განვითარების პროცესში რომელიმე ერთს ქონდეს

გადამწყვეტი მნიშვნელობა. მკვლევართა უმრავლესობის აზრით, ბავშვის ქცევა არის ბიოლოგიური და სოციალური ფაქტორების ურთიერთმოქმედებისა და განპირობებულობის პროდუქტი.

ბავშვის განვითარების კვლევებში შეიძლება იყოს როგორც გამოყენებითი, ასევე ფუნდამენტალურ-თეორიული კვლევებიც. გამოყენებითი ხასიათის კვლევები გამიზნულია მშობელთა და მასწავლებელთა დასახმარებლად, ხოლო ფუნდამენტალური კვლევები მიმართულია განვითარების პროცესების შესახებ მეცნიერული ცოდნის გაფართოებისაკენ.

ადამიანის განვითარება მთლიანობითი (პოლისტიკური) პროცესია. ადამიანი ერთსა და მთავ დროს არის ფიზიკური, შემეცნებელი, სოციალური და ემოციური არსება და თითოეული ამ კომპონენტის „მე“ სხვა სფეროებში მიმდინარე ცვლილებებზეა დამოკიდებული.

ადამიანის განვითარების შესწავლისადმი არსებობს ორნაირი მიდგომა: ა) ქრონოლოგიური მიდგომა. ესაა ასაკობრივი განვითარების პერიოდებისა და სტადიების შესწავლა. ამ მიმართულების კვლევებში ქრონოლოგიურ პერიოდებზე დაყრდნობა განიხილება როგორც მაორგანიზებული პრინციპი. ბ) თემატური მიდგომა. ამ დროს განვითარების სხვადასხვა სფეროების შესწავლა ხდება მოცემული კონკრეტული სფეროს ევოლუცია ჩასახვიდან სიმწიფემდე. განვითარებისადმი მთლიანობითი მიდგომა უფრო ასახავს განვითარების გლობალურ ხასიათს, რის გამოც გამოკვლევათა უმრავლესობა ქრონოლოგიური მიდგომის საფუძველზე წარმოებული. თუმცა რიგი ავტორებისა განვითარებისადმი მიდგომის მეორე გზას ირჩევენ. (ამის მაგალითია სულ ახლახან გამოცემული დ. შუფერის ათასგვერდიანი მეტად საინტერესო წიგნი (იხ. ბიბლიოგრაფია).

ფსიქოსოციალური ჩვენებები. იგი მოიცავს პიროვნების ინტოგენეტურ განვითარებას და პიროვნებათაშორის ურთიერთობებს. განვითარების ეს ორი სფერო მჭიდრო ურთიერკავშირშია ერთმანეთთან და მოიცავს, ერთი მხრივ, თვითცნობიერების, გრძნობების და ემოციის და მეორე მხრივ - სოციალური ჩვენების და ქცევის მოდელების ჩამოყალიბებას.

განვითარების ბიოლოგიური პროცესი გულისხმობს სამ ასპექტს:

ა) მომწიფება ბ) ზრდა გ) დაბერება. მომწიფება არის განვითარების პროცესი, რომელიც გულისხმობს წინასწარ დაპროგრამებულ ცვალებადობას გენეტიკური კოდის საფუძველზე. სხეულის ორგანოების მომწიფება მიმდინარეობს განსხვავებული ტემპით. თითოეული ორგანოს ან რომელიმე უნარს აქვს ოპტიმალური სიმწიფის საკუთარი წერტილი. ტერმინი ზრდა მიუთითებს სხეულის ნაწილების სიდიდეს და ორგანოთა ფუნქციონალური შესაძლებლობების მომატებას და გართულებას ოპტიმალური სიმწიფის წერტილამდე. დაბერება არის ორგანიზმის ბიოლოგიური ცვლილებები, რომელიც მიმდინარეობს ოპტიმალური სიმწიფის წერტილის გავლის შემდეგ. ამასთანავე დაბერების პროცესი აუცილებლად არ გულისხმობს აქტიუობის მკვეთრ დაქვეითებას ან ორგანიზმის გაცუვებას.

განვითარების ბიოლოგიურ ფაქტორს მიეკუთვნება მემკვიდრეობა. რა მემკვიდრეობით იბადება ბავშვი? უპირველეს ყოვლისა მას მემკვიდრეობით დაყვება

ადამიანური ნერვეული სისტემა, სამეტყველო აპარტი, თავის ტენი, გრძობათა ორგანოები, სპეციფიკური ფიზიკური მონაცემები და მემკვიდრული ინფორმაციის მატარებელი გენები. თანამედროვე მონაცემებით გენები წარმოადგენს გამძლე სტრუქტურებს, მაგრამ გარკვეულ პირობებში ისინი იცვლებიან. შინაგანი და გარეგანი ზემოქმედების (ინტოქსიკაცია, დასხივება ადა ა.შ.) შედეგად ისინი იცვლებიან. ამ პროცესს ეწოდება მუტაცია. სწორედ გენებში მიმდინარე მუტაციებით აიხსნება ადამიანის ორგანიზმის განვითარების ზოგიერთი ანომალია. ბავშვის ფსიქიკურ განვითარებაში ბიოლოგიური ფაქტორს დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან იგი ადამიანის ბუნებრივ საფუძველს წარმოადგენს.

განვითარების სოციალური პროცესი გულისხმობს დასწავლას და სოციალიზაციას. დასწავლა არის ძირითადი პროცესი, რომლის საშუალებითაც გარემო იწვევს ქცევის შეცვლას. ესაა ინდივიდის ცვალებადობის პროცესი პირადი გამოცდილების შექმნის შედეგად. ყოველთვის, როცა ვიმუშავეთ განწყობებს, აზრებს, ღირებულებებს ან აზროვნების სტერეოტიპებს, ჩვენ ვიძენთ ცოდნა-ჩვევებსაც.

სოციალიზაცია არის პროცესი, რომლის საშუალებითაც ადამიანი ხდება სოციალური ჯგუფის წევრი. ესაა საზოგადოებრივ ღირებულებებში შეზრდა, რომლის პროცესი მთელი სიცოცხლის განმავლობაში გრძელდება.

§2. განვითარების ძირითადი თეორიები

განვითარების ფაქტორების, ხასიათისა და ობიექტის ბუნების შესახებ სპეციალურ ლიტერატურაში განსხვავებული აზრებია გამოთქმული, რომლებიც, საბოლოო ანგარიშით, თეორიების სახით ჩამოყალიბდა. განვითარების ძირითადი თეორიებია:

1) დასწავლის თეორიები (ბიპევიორიზმი, ჯ. უოტსონი, ე. თორნდაიკი, ბ. სკინერი, ი. პავლოვი, ა. ბანდურა

2) კოგნიტური თეორიები (ჟ. პიაჟე, ლ. ვიგოტსკი)

3) ფსიქოანალიტიკური თეორიები (ზ. ფროიდი, ე. ერიკსონი)

4) ჰუმანიტური თეორიები („მე“-ს თეორიები) ა. მასლოუ, კ. როჯერსი)

✓ დასწავლის თეორიები. დასწავლის თეორიების მიხედვით დასწავლა არის საყოველთაო და ყოვლისმომცველი პროცესი, რომელიც ადამიანის ფსიქიკურ განვითარებაში გადამწყვეტ როლს ასრულებს. ამ თეორიის წარმომადგენლები თვლიან, რომ ბავშვის განვითარება სხვა არაფერია, თუ არა ცოდნის, უნარ-ჩვევების და მესხიერების პროდუქტების თანდათანობით დაგროვება. ბავშვის მოზარდად და შემდეგ კი ჭაბუკად გადაქცევა ძირითადად წარმოადგენს გამოცდილების შექმნას და დასწავლას.

დასწავლის თეორიებში ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი უჭირავს ბიპევიორიზმს თავისი მრავალრიცხოვანი განმტლებით. ბიპევიორიზმის სახელს უკავშირებენ ამერიკელი ფსიქოლოგს ჯ. უოტსონს, რომელმაც თავიდანვე ლაკონურად

ჩამოაყალიბა ბიპევიორიზმის კრედო: „ფსიქოლოგიის საგანი არის ქცევა“. აქედან წარმოდგება მისი სასწავლო დებაც (ინგლისურად სიტყვა ბეჰავიორ ქცევას ნიშნავს.) ბიპევიორიზმი შეიძლება სიტყვა-სიტყვით ვთარგმნოთ როგორც ქცევის ფსიქოლოგია ან ქცევითმეცნიერება. უოტსონი თვლიდა, რომ ქცევის ანალიზი უნდა ატარებდეს მკაცრ ობიექტურ ხასიათს და უნდა შემოიფარგლებოდეს მხოლოდ გარეგანი რეაქციების რეგისტრაციით. ობიექტური შესწავლა და რეგისტრაცია კი შეიძლება მხოლოდ ადამიანის გარეგანი რეაქციების, იმ სტიმულირებისა და სიტუაციების აღწერით, რომლებიც ამ რეაქციებს განაპირობებენ. ფსიქოლოგიის ამოცანა სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ რეაქციების მიხედვით განისაზღვროს მოსალოდნელი სტიმული და ამის მიხედვით მოხდეს განსაზღვრული რეაქციის წინასწარმეტყველება.

ბიპევიორისტული მოძღვრების ერთ-ერთი პიონერი იყო აგერთვე ამერიკელი ფსიქოლოგი ე. თორნდაიკი, რომლის მიხედვითაც ადამიანის პიროვნება არის ისეთი ქცევითი რეაქციების ერთობლიობა, რომელიც დამასასიათებელია მხოლოდ მოცემული ინდივიდისათვის. ფორმულა „სტიმული-რეაქცია“ წამყვანია ბიპევიორიზმში. კავშირი სტიმულსა და რეაქციას შორის ძლიერდება მაშინ, როცა ხდება მისი განმტკიცება.

ბიპევიორიზმის მიხედვით პიროვნება არის ჩვევათა ორგანიზებული და მყარი სისტემა. ჩვევები მყარი ქცევების ძირითადი საფუძველია. ისინი შეგუებული არიან ცხოვრებისეულ სიტუაციებთან, რომელთა შეცვლა იწვევს ახალი ჩვევების ფორმირებას. ბიპევიორიზმს ადამიანი ესმის, უპირველეს ყოვლისა, როგორც მრეაგირებელი, მოქმედი და დასწავლის უნარის მქონე არსება, რომელიც წინასწარაა დაპროგრამებული ამა თუ იმ რეაქციაზე და საერთოდ ქცევაზე. სტიმულებისა და განმტკიცებების ცვლით შეიძლება ადამიანის დაპროგრამება შეკვეთილი ქცევების განსაზღვრის მიზნით.

ბიპევიორიზმი ამოდის იმ დებულებიდან, რომ ადამიანი თავისი ბუნებით არის რეაქტიული (საპასუხო რეაქციების მომცემი) არსება. ადამიანები მხოლოდ რეაგირებენ გარე სამყაროს გამღიზიანებლებზე, ყოველი ინდივიდი ყალიბდება სტიმულებზე საკუთარი რეაქციების ჩამოყალიბების საფუძველზე. ბიპევიორიზმი თვლის, რომ დასწავლის პროცესი ხდება ავტომატურად. იმის გამო, რომ ადამიანები გაიგივებულია ცხოველებთან და მანქანასთან, ბიპევიორიზმის კრიტიკოსები ამ ახსნას მიიჩნევენ მექანიკურად. ბიპევიორიზმი არ აანალიზებს იმას, თუ რა პროცესები მიმდინარეობს სტიმულსა და რეაქციას შორის, როგორი დამკვიდრებულება და კავშირება მათ შორის. მათი თვალსაზრისით ფსიქიკა და ცნობიერება პრაქტიკულად მიუწვდომელია დაკვირვებისათვის და აღწერისათვის. ბიპევიორისტები არ აღიარებენ აგრეთვე ქცევის არაცნობიერ-და გენეტიკურ დეტერმინანტებსაც.

ადამიანის ქცევის ბიპევიორისტული მოდელის მიხედვით, როგორც ვნახეთ, ინდივიდის ქცევა, რომელიც მოიცავს ღირებულებებს, განწყობებს, ემოციურ რეაქციებს და ა.შ. განპირობებულია გარე გამღიზიანებლების სტიმულირების მოქმედებით. ამიტომ ისეთი ცნებები, როგორიცაა პატივისცემა, ღირსება, ღინაშაული და ა.შ.

ქვეყნის აღწერისა და ანალიზის დროს არც მიიღება მხედველობაში.

ბიპევიორიზმის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია აგრევე ბ. სკინერი, რომელიც იზიარებს ჯ. უოტსონის და ე. თორნდაიკის ქცევის ორწევრიან (S-R) სქემას, მაგრამ აქცენტი გადააქვს მხოლოდ მის აღმძრავ მხარეზე. ცხოველებზე ჩატარებულა ექსპერიმენტების საფუძველზე იგი აყალიბებს დებულებას ქცევის სამი სახის შესახებ: ა) უპირობო რეფლექსური ქცევა, ბ) პირობით რეფლექსური ქცევა და გ) ოპერანტული ქცევა.

ქცევის უპირობო და პირობით რეფლექსური ფორმები გამოიწვევიან გარეგანი სტიმულებით (S) და მათ ეწოდება რესპოდენტური, საპასუხო ქცევები. მაგრამ მხოლოდ მათი საშუალებით ვერ ხერხდება გარესამყაროსთან შეგუება. შეგუების პროცესი რეალურად ხორციელდება სამყაროზე ზემოქმედების აქტიური მცდელობის საფუძველზე. ზოგიერთმა ცდამ შეიძლება შემთხვევით მიგვიყვანოს სასურველ შედეგამდე, რომელიც ამის გამო შემდეგში განმტკიცდება, ესაა ისეთი რეაქციები (R), რომლებიც სტიმულით კი არაა გამოწვეული, არამედ ხორციელდება ორგანიზმის მიერ. თუ რომელიმე ნაწილი აღმოჩნდება სწორი და სასარგებლო, მოხდება მისი განმტკიცება. ასეთ ქცევებს უწოდებს ბ. სკინერი ოპერანტულს. მისი აზრით სწორედ ასეთი რეაქციები სჭარბობენ ცხოველთა შეგუებით ქცევებში. ქცევის მისეული ანალიზის საფუძველზე ბ. სკინერი აყალიბებს დასწავლის საკუთარ თეორიას, რომლის მიხედვითაც ქცევას ფორმირების ძირითადი საფუძველია განმტკიცება.

ბიპევიორიზმის წიაღშივე იქნა მითითებული ამ მიმდინარეობის ზოგიერთი ნაკლის შესახებ. ჯერ კიდევ ე. ტოლმენმა ჩათვალა (S-R) სქემა ძალზე მარტივად და მათ შორის მოათავსა მნიშვნელოვანი ცვლადი (J). ესაა მოცემული ინდივიდის ფსიქიკური პროცესები, რომლებზედაც გავლენას ახდენს შემკვიდრება, ფიზიოლოგიური მდგომარეობა, წარსული გამოცდილება და ა.შ.

ბ. სკინერის დასწავლის თეორიას ახალი მიმართულება მისცა ა. ბანდურამ, რომელმაც შემოიტანა სოციალური დასწავლის ცნება, რაც განსხვავდება მექანიკური დასწავლის სხვა თეორიებისაგან. ა. ბანდურას აზრით ადამიანები უშუალო გამოცდილებით სწავლობენ არა მარტო საკუთარი ქცევის შედეგებს, არამედ სხვა ადამიანთა ქცევებზე დაკვირვებითაც ე.ი. ადამიანზე მოქმედებს არა მხოლოდ გარეგანი პირობები, არამედ - შინაგანი.

ბიპევიორიზმმა და მისგან გამომდინარე დასწავლის თეორიებმა დიდი წვლილი შეიტანეს ადამიანის განვითარების მეცნიერულ გააზრებაში. ამ თეორიებში მთავარი ყურადღება ექცეოდა ქცევაზე მოქმედ სოციალური ფაქტორების როლს. როგორც მკვლევარები მიუთითებენ, მიუხედავად ბიპევიორიზმის დიდი მნიშვნელობისა ფსიქოლოგიის ისტორიაში, ეს მიმდინარეობა, სამწუხაროდ, ყურადღებას არ აქცევს აზროვნებას, ემოციებსა და პიროვნებას. ბიპევიორისტული თეორიები მიმართულია უნივერსალური პრობლემების მიებისაკენ და ყურადღებას არ აქცევს ინდივიდუალურ სხვაობებს. ბ. სკინერის თეორია გამორიცხავს შეგნებული დასწავლის პროცესს. მის თეორიაში უგულვებელყოფილია ადამიანის შინაგანი სამყარო, მისი ცნობიერება. აზროვნებას, მეხსიერებას, მოტივებს და სხვა ფსიქიკურ

პროცესებს იგი აღწერს რეაქციისა და განმტკიცებების მარტივ ტერმინებში და მისთვის ადამიანი წარმოადგენს რეაქტიულ არსებას, რომლის ქცევაც გარეგანი გარემოებებითაა განპირობებული.

კოგნიტური თეორიები. XX საუკუნის დასაწყისში ფსიქოლოგიაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა კოგნიტურმა მიმდინარეობამ. სიტყვა „კოგნიტური“ ნიშნავს ცოდნას, შემეცნებას. ამ მიმდინარეობის წარმომადგენლები ამტკიცებენ, რომ ადამიანი არაა არც მანქანა და არც ცხოველი, რომელიც ბრძალ, შექანიკურად რეაგირებს გარესამყაროს მოვლენებზე თუ შინაგან ფაქტორებზე. მათი აზრით ადამიანის გონებას შეუძლია ისეთი ურთულესი და უფაქიზესი ოპერაციების წარმოება, როგორცაა სიტუაციის ლოგიკური ანალიზი, პრობლემური ამოცანის გადაჭრა და ა.შ.

ბიპევიორიზმისაგან განსხვავებით, რომლის მიხედვითაც ადამიანები განიხილებოდა როგორც პასიური მანქანები, რომლებიც მოქმედებენ გარესამყაროს გავლენის საფუძველზე, განვითარების კოგნიტური თეორიები ადამიანს იხილავს როგორც რაციონალურ, აქტიურ და ემოციურ არსებას. კოგნიტივისტების აზრით ადამიანი არა მხოლოდ ღებულობს ინფორმაციას, არამედ ამუშავებს კიდევ მას. ადამიანი არა მხოლოდ რეაგირებს სტიმულზე, არამედ მას უკეთებს სტრუქტურულ ორგანიზაციას და აძლევს განსაზღვრულ აზრს.

კოგნიტური თეორიის მიხედვით განვითარება წარმოადგენს გენეტიკურად დაპროგრამებულ ევოლუციურ პროცესს, რის გამოც შესწავლილი და აღწერილი უნდა იქნას ქცევის სტადიალური განვითარება, რომელიც იცვლება ინდივიდის ზრდისა და მომწიფების დონის კვალობაზე.

კოგნიტური მიმდინარეობის ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენელია შვეიცარელი ფსიქოლოგია ჟ. პიაჟე, რომელმაც მიშნად დაისახა ეკვლია თუ როგორ შეიცნობს ადამიანი სამყაროს, განვითარების რა კანონზომიერებებს ემყარება ბავშვის აზროვნება და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ კოგნიტური განვითარება წარმოადგენს უწყვეტი პროცესის შედეგს, რომელიც მოიცავს ერთმანეთში გარდაბავალ სტადიებს. ბავშვის ინტელექტის განვითარება ხდება წონასწორობის მუდმივი ძიების შედეგად იმას შორის, რაც ბავშვმა იცის და რის გაგებაც მას უნდა. განვითარების ამ სტადიებს, ე.პიაჟეს მიხედვით, გაივლის ყველა ბავშვი ერთი და იმავე რიგის მიხედვით, მაგრამ ზოგიერთი ბავშვის განვითარება რიგი ფაქტორების გავლენის გამო მუხრუჭდება რომელიმე ფაზაზე. ეს განვითარება განისაზღვრება ნერვული სისტემის მომწიფებით, სხვადასხვა საგნების მოხმარების გამოცდილებით და ისეთი სოციალური ფაქტორების გავლენით, როგორცაა ენა და აღზრდა.

ჟ. პიაჟეს ფიქლოგიური კონსეფცია ჩამოყალიბდა განვითარების, როგორც ასიმილაციისა და აკომოდაციის, ბიოლოგიურად გაგების საფუძველზე. ასიმილაციის დროს ორგანიზმი გარემოს ერთგვარად თავს ახვევს ქცევის საკუთარ სქემებს, ხოლო აკომოდაციის დროს ამ სქემებს გარდაქმნის გარემოს თავისებურებათა შესაბამისად. აქედანვე გამომდინარეობს ჟ. პიაჟეს მიერ ინტელექტის განვითარების

თავისებური გაგებაც, რომლის მიხედვითაც განვითარება არის ასიმბლაციის და აკომოდაციის ერთიანობა და ინტელექტი, როგორც ნებისმიერი ცოცხალი სტრუქტურა, არა მხოლოდ რეაგირებს გამლიზიანებლებზე, არამედ იგი თვითონ იზრდება, ვითარდება, იცვლება და ვგუება გარემოს.

ე. ჰიაჟეს ინტერესი ინტელექტის მიმართ თავდაპირველად ატარებდა ბიოლოგიურ ხასიათს, შემდგომში კი - ფილოსოფიურს; მისი გენეტიკური ეპისტემოლოგია არის ბიოლოგიურისა და ეპისტემოლოგიის შერწყმის ცდა. (ეპისტემოლოგია არის ფილოსოფიის დარგი, რომელიც სწავლობს ცოდნის წარმოშობის პრობლემებს).

ე. ჰიაჟეს კვლევებს საფუძველი ეყრება პარიზში ა. ბინესა და თ. სიმონის ლაბორატორიაში მუშაობის პერიოდში, სადაც იგი მუშაობდა ინტელექტის სკალის სტანდარტიზებული ვერსიის სრულყოფაზე. ა. ბინემ და თ. სიმონმა, როგორც ცნობილია, შექმნეს ბავშვთა ინტელექტის განვითარების დონის საკვლევე სტანდარტიზებული ტესტები, რომელთა ანალიზისას ე. ჰიაჟეს ყურადღება მიიპყრო ტესტის კითხვებზე ბავშვების მცდარი პასუხების კანონზომიერებამ. სწორედ ეს კანონზომიერებები მიაჩნდა მას ბავშვთა სააზროვნო პროცესების განვითარების მაჩვენებლად. მან იწინასწარმეტყველა, რომ განსხვავება უფროსებსა და ბავშვებს შორის მდგომარეობს არა მხოლოდ ცოდნის მოცულობის თვალსაზრისით, არამედ შემეცნების ხერხების განსხვავების მიხედვითაც. მისი აზრით ბავშვის აზროვნება უფროსების აზროვნებისაგან განსხვავდება არა მხოლოდ რაოდენობრივი ნიშნით, არამედ - თვისობრივადაც.

ჩვილობის ასაკიდან მოწიფულობამდე ინტელექტი ვითარდება და იგი გაივლის რამდენიმე სტადიას, რომლებიც ერთმანეთისაგან განსხვავდება და თითოეული მათგანი ხასიათდება საკუთარი სპეციფიკით. აღნიშნული პრობლემის საკვლევად ე. ჰიაჟეს სკოლა იყენებდა თავისუფალი ანუ „კლინიკური“ საუბრის მეთოდს, რომლის არსი იმაში მდგომარეობდა, რომ პატარა ცდის პირებისათვის განკუთვნილი კითხვები ისე მარტივად უნდა ყოფილიყო შედგენილი, რომ რაც შეიძლება ახლო ყოფილიყო მათ სპონტანურ პასუხებთან. რა ამოძრავებს ღრუბლებს, ქარს, წყალს? საიდან ჩნდება სიზმრები? რატომ არ იძირება ნავი, გემი? რატომ არ ვარდება დაბლა მზე, მთვარე, ვარსკვლავები და ა.შ. ესაა იმ კითხვების მოკლე ნუსხა, რომელსაც ითვალისწინებდა „კლინიკური“ საუბრის მეთოდი.

ე. ჰიაჟე თვლიდა, რომ ყველა ბავშვის აზროვნებისათვის დამახასიათებელია *ჰეგორტრიზმი*. მისი აზრით პატარა ბავშვი არის საკუთარი სამყაროს არაცნობიერი ცენტრი, რომელსაც არ შეუძლია სხვის პოზიციაზე დადგომა, საკუთარი თავისადმი კრიტიკულად შეხედვა და იმის გაცნობიერება, რომ საგნებსა და მოვლენებს სხვები განსხვავებულად ხედავენ და აღიქვამენ. სწორედ ამიტომ, რომ ბავშვები ერთმანეთში ურევნ სუბიექტურსა და ობიექტურს, განცდადსა და რეალურს. ბავშვები პირადულ თვისებებს მაწერენ საგნებს, საკუთარი განცდები გადააქვთ მათგან დამოუკიდებლად არსებულ მიზეზ-შედეგობრივ კავშირებზე.

ე. ჰიაჟეს მიხედვით ბავშვების აზროვნებაში არსებობს თავისებური მაგია, რაც იმაში მდგომარეობს, რომ მათ სიტყვებსა და ქესტებს აქვთ უნარი იმოქმედონ

გარესამყაროს საგნებზე და ზოგერთი მოვლენა მიიჩნეონ საკუთარი მიზნებისათვის აღძვანის მიერ სპეციალურად დაშვადებულიად. ესაა *ანიმიზმი* და *არტიფიციულიზმი*, რაც აისახება ბავშვების მეტყველებაში. სხვების თანადასწრებითაც კი ბავშვი მსჯელობს ხმაშემალით, თითქოს იგი მართო იყოს. მას არ აინტერესებს გაუგებენ თუ არა მას სხვები. ბავშვის მეტყველება გამოხატავს მის სურვილებს, ოცნებებს და გვევლინება მათი ქცევის ერთგვარი აკომპანიმენტად, მაგრამ რეალური ცხოვრება აიძულებს ბავშვს გამოვიდეს ოცნებათა სამყაროდან და ურთიერთობა დაამყაროს გარესამყაროს კონკრეტულ საგნებთან და მოვლენებთან. ამ დროს ბავშვის მეტყველება კარგავს თავის პირველქმნილობას, განიცდის დეფორმაციას და იწყებს უფროსების ლოგიკისადმი დამორჩილებას. „კლინიკური“ საუბრის მეთოდის კითხვების დანიშნულებაა, უპირველეს ყოვლისა, ბავშვის აზროვნების განვითარების დონის დადგენა და არა მის მიერ დაგროვილი კონკრეტული ცოდნის გამოვლენა.

ჟ. პიაჟეს ცნობილი ექსპერიმენტი მიზნად ისახავდა გამოერკვია ბავშვების მიერ „შენახვის“ ფენომენის გაგება. „შენახვის“ ცნება ჟ. პიაჟემ შემოიღო იმის გაცნობიერების აღსანიშნავად, რომ საგანთა ფიზიკური თვისებები (მოცულობა, მასა, რაოდენობა) რჩება მუდმივი, მიუხედავად იმისა, რომ იცვლება მისი ფორმა და გარეგნული სახე. ამ ექსპერიმენტში ბავშვს უჩვენებენ ორ ერთნაირ ჭიქას, რომლებშიც ასხნა სითხის თანაბარი რაოდენობა. მას შემდეგ, რაც ბავშვი ამაში დარწმუნდებოდა, ექსპერიმენტატორი ერთ-ერთი ჭიქიდან სითხეს ასხამდა მეორეში, უფრო მაღალ და ვიწრო ჭიქაში. ამის შემდეგ ბავშვს უსვამდნენ კითხვებს იმის შესახებ, თუ რამდენი სითხეა მაღალ ჭიქაში, მეტია თუ ნაკლებია, ვიდრე მეორე ჭიქაში. ანალოგიური ექსპერიმენტს ჟ. პიაჟე ატარებდა აგრეთვე თანაბარი მასის თიხის გუნდებზეც.

6-7 წლის ასაკის ბავშვთა უმრავლესობა პასუხობდა, რომ ორთავე ჭიქაში არსებული სითხე თანაბარი რაოდენობისაა, მაგრამ ექვს წლამდე ასაკის ბავშვები ამას ვერ ხვდებოდნენ და პასუხობდნენ, რომ მაღალ ჭიქაში სითხე უფრო მეტია. ეს ექსპერიმენტები ჩატარდა კულტურის სხვადასხვა დონეზე მყოფ ბავშვებზედაც და შედეგი ყველგან თითქმის ერთნაირი იყო. ჟ. პიაჟე მივიდა იმ დასკვნამდე, რომ განვითარების განსაზღვრული სტადიის მიღწევამდე საკუთარ მსჯელობებში ბავშვები ეყრდნობიან უმეტესწილად პერცეპტულ, ვიდრე – ლოგიკურ პროცესებს. მარტივად რომ ვთქვათ, ისინი ეყრდნობიან საკუთარ თვალებსა და ყურებს. პატარები ხვდავენ, რომ სითხის დონე მაღალ ჭურჭელში უფრო მაღალია და შესაბამისად თვლიან, რომ ამ ჭურჭელში სითხეც მეტია. მეორე მხრივ, 6-7 წლის ასაკის ბავშვები სწორ პასუხებს ყოველგვარი ძალისხმევის გარეშე იძლევიან. მათ ისედაც იციან, რომ სითხის რაოდენობა ერთნაირი დარჩება ჭიქის ფორმის სიმაღლისა და ზომის მიუხედავად. როცა ბავშვები ასეთ უნარს ავლენენ, ფსიქოლოგები ასკვნიან, რომ მათთვის მისაწვდომია „შენახვის“ ცნება. ასეთი ბავშვები თავიანთ მსჯელობებში არ ემყარებიან მხოლოდ აღქმას, არამედ იყენებენ ლოგიკასაც.

ჟ. პიაჟეს აზრით ინტელექტი ყოველთვის აქტიურია. იგი არაა არც „სუფთა დაფა“, რომელზედაც შეიძლება დაიწეროს ცოდნა და არც - სარკე, რომელშიც

აისახება აღქმადი სამყარო. თუ ადამიანის მიერ მიღებული ინფორმაცია, პერსექტული ხატები ან სუბიექტური განცდები შეესაბამებთან მისი ინტელექტის სტრუქტურას, მაშინ მოხდება ასეთი ინფორმაციის გაგება ანუ ასიმილაცია. თუ ინფორმაცია არ შეესაბამება ინტელექტის სტრუქტურას, იგი მას განდევნის. ხოლო ასეთ შემთხვევაში, როცა ინტელექტის სტრუქტურა შზადაა ცვლილებებისათვის, იგი ეგუება ახალ ინფორმაციებსაც. ჟაიაეუს მიხედვით ასიმილაცია არის ახალი გამოცდილების ინტერპრეტაცია ყოველგვარი ცვლილების გარეშე არსებული მენტალური სტრუქტურიდან გამომდინარე. ხოლო აკომოდაცია არის არსებული მენტალური სტრუქტურების შეცვლა ახალი და ძველი გამოცდილების გაერთიანების გზით.

გენეტიკურ ფსიქოლოგიაში მენტალური სტრუქტურების აღსანიშნავად ჟ. ჰიაეუს შემოაქვს სქემის ცნება. სქემა არის ინფორმაციის გადაშუშავების ხერხი, რომლებიც იცვლებიან ადამიანის ზრდა-განვითარების და ცოდნის დაგროვების კვალობაზე. ჟ. ჰიაეუს მიხედვით არსებობს ორი სახის სქემა: ა) სენსომოტორული ანუ მოქმედების და ბ) კოგნიტური, რომელიც, უმეტესწილად, ცნების ტიპისაა. ადამიანები გარდაქმნიან ხოლმე თავიანთ ცნებებს ახალი ინფორმაციისადმი შესაგუებლად (აკომოდაცია) და ამავე დროს ახალ ცოდნას ძველი სქემებიდან ითვისებენ (ასიმილაცია). ადამიანი, რომელმაც პირველად ნახა რომელიმე ახალი საგანი, ცდილობს იგი მოაქციოს მისთვის უკვე ცნობილ კატეგორიაში. რა უნდა იყოს ეა, იარაღი? სამზარეულო ნივთი? სადურგლო ხელსაწყო? თუ ახალი ობიექტი ადამიანმა ვერ მოათავსა უკვე არსებულ მის ცნებათა სისტემაში (ე.ი. ვერ მოახდინა მათი ასიმილაცია), მაშინ იგი შეცვლის მის ცნებებს ან შექმნის ახალს (ე.ი. ახდენს აკომოდაციას).

ჟაიაეუს მოძღვრების მიხედვით ინტელექტი სულ იმის ცდაშია, რომ დაამყაროს წონასწორობა აკომოდაციასა და ასიმილაციას შორის და თავიდან აიცილოს რეალურის წარმოსახეასთან არსებული შეუსაბამობა. სწორედ გაწონასწორების ეს პროცესი ედება საფუძვლად ნებისმიერ ბიოლოგიურ ადაპტაციას. ჟ. ჰიაეუსათვის ინტელექტის განვითარება არის ბიოლოგიური ადაპტაციის მნიშვნელოვანი ფაქტი. იგი ფიქრობდა, რომ ასიმილაცია და ადაპტაცია საფუძვლად ედება აგრეთვე ადამიანის ინტელექტუალურ ადაპტაციას გარემოსადმი და შესაძლებლობას აძლევს მას გადარჩეს როგორც სახეობა.

დროთა ვითარებაში დიდი მეცნიერების ცნობილი და აღიარებული თეორიების გადაფასება ხდება. არც ჟ. ჰიაეუა გამონაკლისი. მას სიცოცხლეში და მერეც არ მოკლებია კრიტიკა. დრომ მის მიერ მოპოვებულ და აღიარებულ ფუნდამენტალურ დებულებებშიც კი შეიტანა ზოგიერთი კორექტივი.

როგორც ცნობილია, ჟ. ჰიაეუ თვლიდა, რომ შენახვის კანონის აღმოჩენა არ შეუძლიათ იმ ბავშვებს, რომლებსაც არ მიუღწევიათ ჯონკრეტული ოპერაციების სტადიისათვის. ე.ი. მისი აზრით, არ შეიძლება დაჩქარდეს ბავშვის კოგნიტური განვითარება. იგი თვლიდა, რომ ბაზისურ კოგნიტურ ცნებებს ბავშვები ვერ იმუშავებენ ოპერაციამდელი აზროვნების ფაზაზე.

ეს დებულება ცალსახად არ იქნა დადასტურებული. კვლევებმა უჩვენეს, რომ იმ ბავშვებს, რომლებიც იმყოფებიან ოპერაციამდელ სტადიაზე, შეუძლიათ შენახვის

და სხვა ძირითადი კოგნიტური კანონების აღმოჩენა. დადგინდა, რომ საეციალური ვარჯიშის საფუძველზე შესაძლებელია ოპერაციამდელ და კონკრეტული ოპერაციების სტადიებს შორის შეიქმნას გარდამავალი ეტაპი, ზონა, როცა ბავშვებს შეუძლიათ კოგნიტური კანონების აღმოჩენა.

დადგინდა, აგრეთვე, რომ ბავშვებს კონკრეტული ოპერაციების სტადიის დადგომამდე შეუძლიათ აღმოაჩინონ შენახვის კანონი. მაგალითად, რაოდენობის შენახვის კანონის დღევანდელი ბავშვები გაცილებით ადრე პოულობენ, ვიდრე ამას ამტკიცებდა ე. შიპე. მაგრამ ეს ხდება გაიოლებული და გაადვილებული დავალებების და ამოცანების მიწოდებისას. ამის გაკეთება შეუძლიათ 2,5-3 წლის ბავშვებსაც კი.

კლასებად დაყოფის ერთ-ერთ ცდაში ე. შიპე ბავშვებს აჩვენებდა ორი წითელ და ორ თეთრ სეგანს და ეკითხებოდა „აქ უფრო მეტი წითელია თუ საერთოდ ფერი“? ოპერაციამდელი სტადიის ბავშვები პასუხობდნენ, რომ წითელი ფერი უფრო მეტია, რის საფუძველზედაც ე. შიპემ დაასაკენა, რომ ოპერაციამდელი სტადიის ბავშვებს არ შეუძლიათ საგნების კლასებად და ქვეკლასებად დაყოფა. თუმცა სხვა მკვლევარებმა დაადასტურეს, რომ ოთხი წლის ბავშვებს ეს შეუძლიათ. მაგალითად, ერთ-ერთ ექსპერიმენტში ბავშვებს აძლევდნენ ასეთ კითხვას: „ბატატი არის საკვების სახეობა, მაგრამ იგი არაა ხორცი. ბატატი კამბურგერია?“ „პაპია ხილის სახეობაა, მაგრამ იგი არაა ბანანი. პაპია საკვებია?“ ოთხი წლის ბავშვების უმრავლესობა ამ ამოცანებს კარგად წყვეტდა.

კვლევების შედეგად აღმოჩნდა აგრეთვე, რომ ე. შიპეს კვლევის შედეგებისგან განსხვავებით ადრეული ასაკის ბავშვებიც კი გამოდიან სივრცითი ეგოცენტრიზმის ჩარჩოებიდან, მათაც კი შეუძლიათ სხვების პოზიციაზე დადგომა.

ნ. ნიუკომბის აზრით, ე. შიპესა და სხვა ავტორთა მონაცემებს შორის ეს სხვაობა აიხსნება ექსპერიმენტული მასალისა და კითხვარის კითხვების განსხვავებული სირთულით. თანამედროვე მკვლევარები ე. შიპეს საყვედურობენ იმაში, რომ მისი საკვლევი მასალა იყო რთული, რომ მისი ზოგიერთი ამოცანის გადაწყვეტა მოზრდილ ადამიანსაც კი გაუჭირდებოდა.

ჩვენი აზრით, ეს მდგომარეობა (სხვაობა ე. შიპესა და თანამედროვე სხვა ავტორთა მონაცემებს შორის) ბუნებრივია და იგი უნდა აიხსნას აქსელერაციის ფაქტით. ე. შიპესა და თანამედროვე მკვლევართა ექსპერიმენტებს შორის გასულა 50-60 წელი და, ბუნებრივია, თანამედროვე ბავშვები გაცილებით უკეთეს კოგნიტურ შესაძლებლობებს გამოავლენენ, ვიდრე მათი თანატოლები ნახევარი საუკუნის უკან. ამის ნათელი დასტურია შ. ჩხარტიშვილის ხელმძღვანელობით ჩატარებული მ. ზარანდიას ცდები (1967 წელს), რომელმაც ზუსტად გაიმეორა დ. უზნაძის ის ცდები, რომელიც ჩატარდა 1928 წელს. ამ ცდების საშუალებით დადგინდა, რომ 1967 წელს ინტელექტუალურ ოპერაციებს ექვსი წლის ბავშვი გაცილებით უფრო მაღალ დონეზე ასრულებს, ვიდრე შვიდი წლის ბავშვი 1928 წელს და ზოგიერთი სააზროვნო ოპერაციის შესრულების მიხედვით ხუთი წლის ბავშვებიც კი მაშინდელ შვიდწლიანებს სჯობნიდნენ.

ჟ. ჰიაუეს თეორიის ურყევი პრინციპის მიხედვით სტადიალური განვითარება არის უნივერსალური პრინციპი და იგი მოიცავს აზროვნების ყველა სფეროს. იგი ფიქრობდა, რომ ბავშვები იფრებენ ერთსა და იმავე კოგნიტურ სტრუქტურებს ნებისმიერი სააზროვნო ამოცანის გადაწყვეტაში. ჟ. ჰიაუე ფიქრობდა, რომ ბავშვები გაიგებენ რა საგნების იერარქიული სტრუქტურას, იწყებენ ცხოველთა კლასების, ადამიანების, მანქანების იერარქიული სტრუქტურის გაგებასაც. ამასთანავე იგი ამტკიცებდა, რომ კლასიფიკაციის უნარი მჭიდროდაა დაკავშირებული კონკრეტული ოპერაციების სტადიისათვის დამახასიათებელი სხვა (შენახვისა და სერიაციის) კანონებთან.

როგორც ბოლოდროინდელმა კვლევებმა უჩვენა განვითარებას არ ახასიათებს ჟ. ჰიაუესული მკაცრი სტადიალური ხასიათი. გამოირკვა, რომ ბავშვებს შეუძლიათ წარმატებით გადაჭრან სერიაციის ამოცანები და ვერ გადაწყვიტონ შენახვის ამოცანები. ასეთი დეტალები, მართალია, ჟ. ჰიაუემაც შეაშინა, მაგრამ როგორც თანამედროვე მკვლევარები სამართლიანად მოუთითებენ, მან არ გადაუხვია მისი თეორიის უნივერსალური პრინციპებიდან.

ჟ. ჰიაუეს თანამედროვე კრიტიკოსები თვლიან, რომ ბავშვის კოგნიტური განვითარება მიმდინარეობს ცოდნის განსხვავებულ სფეროებში პარალელურად, ე.ი. ბავშვები დამოუკიდებლად იბუშავენ წარმოდგენებს ცალკეული სფეროების შესახებ (რიცხვი, სივრცე, დრო...) და ერთ სფეროში ცოდნის გაფართოება-განვითარება ყოველთვის არ უკავშირდება სხვა სფეროში დაგროვილ ცოდნას.

მკვლევარები აღნიშნავენ, რომ თანამედროვე ფსიქოლოგები გაყოფილნი არიან ორ ბანაკად: ჟ. ჰიაუეს მომხრეთა ბანაკი აღიარებს, რომ ადამიანის ორგანიზმი ფუნქციონირებს ადაპტაციისა და ორგანიზაციის ზოგადი პრინციპებით. ფსიქოლოგთა უმრავლესობა აღიარებს, რომ ბავშვები აქტიურად მოქმედებენ და პასუხად არ აღიქვამენ გარესამყაროს სიგნალებს. აგრეთვე თვლიან, რომ კოგნიტური განვითარება არის ბავშვისა და გარემოს აქტიური ურთიერთმოქმედების შედეგი. თანამედროვე ფსიქოლოგთა ერთი ნაწილი ამტკიცებს, რომ ჟ. ჰიაუეს მიერ ჩამოყალიბებული გლობალური სტადიები ზუსტად არ ასახავს სინამდვილეს და საჭიროა ვილაპარაკოთ ცალკეული კოგნიტური ჩვევების ვიწრო მიმართულებით განვითარების შესახებ. დღეს მკვლევარები კოგნიტურ განვითარებას განიხილავენ როგორც აქტიურ, კონსტრუქციულ პროცესს, რომელსაც საფუძვლად უდევს ზოგიერთი ბიოლოგიური წინამძღვარი.

მაგრამ ყველა მკვლევარი ერთხმად აღიარებს, რომ ჟ. ჰიაუეს თეორიის ზოგიერთი საკამათო დებულება იოტის ოდენადაც არ ამცირებს მის მეცნიერულ ღირებულებას და ფუნდამენტალურ მნიშვნელობას.]

განვითარების კოგნიტური მიმართულების ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია აგრეთვე გამოჩენილი რუსი ფსიქოლოგი ლ. ვიგოტსკი, რომელიც ბავშვის კოგნიტურ განვითარებას იხილავს სოციალურ ასპექტში. ლ. ვიგოტსკის ინტერესების საგანს შეადგენდა არა მარტო ფსიქიკისა და ინტელექტის განვითარება სოციალურ ასპექტში, არამედ საერთოდ ცოდნის ისტორიული განვითარება. მისი გამოკვლევების ცენტრალური საკითხი იყო იმის დადგენა, თუ როგორ გავიზარებთ

საკუთარ სამყაროს კოლექტიურად. ლ.ვიგოტსკის დამსახურება ისაა, რომ იგი ცდილობდა სოციოლოგიის, ანთროპოლოგიის, ისტორიის ფსიქოლოგიის ასპექტების გაერთიანებას განვითარების სრული სურათის მისაღებად.

მრავალრიცხოვანი კვლევების საფუძველზე ლ. ვიგოტსკი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ სამყარო ჩვენთვის აზრს იძენს მნიშვნელობის შექმნის საფუძველზე. ადამიანები თანაცხოვრების პირობებში ქმნიან კოლექტიურად გამოსაყენებელ მნიშვნელობებს, რომლებიც თაობიდან თაობებს გადაეცემა.

ლ. ვიგოტსკის მიაჩნდა, რომ ადამიანის კულტურული განვითარება არის განვითარების განსაკუთრებული სახე, რომელიც განსხვავდება ბიოლოგიური და ინტელექტუალური განვითარებისაგან. კულტურული განვითარება დაკავშირებულია ადამიანის როგორც ინდივიდუალურ ისტორიასთან, ასევე კაცობრიობის ისტორიასთანაც. კულტურული განვითარების არსი მდგომარეობს ბავშვის მიერ საკუთარი ქცევის პროცესების დაუფლებაში, რომლის ძირითადი წინამძღვარია პიროვნების განათლება. ნებისმიერი ფსიქიკური პროცესის (შეხსიერება, ყურადღება, აზროვნება, მეტყველება, წარმოსახვა) განვითარება განპირობებულია მთლიანი პიროვნების საერთო განვითარების დონით. ლ. ვიგოტსკის აზრით პიროვნება თითქოს უხილავად მონაწილეობს ადამიანის მიერ საკუთარი რეაქციების დაუფლების პროცესში მთელი მისი სიცოცხლის განვითარებაში.

ლ. ვიგოტსკი ფსიქიკური ფუნქციების განვითარების ისტორიული შედარების საფუძველზე ასკენის, რომ არსებითი ცვლილებები დაკავშირებულია ნიშნების დაუფლებასთან. სწორედ ნიშნების დაუფლებასა და გამოყენებაზეა აგებული ის ქცევა, რომელსაც ლ. ვიგოტსკის შემოქმედებაში ბიოლოგიურისგან განსხვავებით უმაღლესი სოციალური ქცევა ეწოდება. ადამიანის მიერ ნიშნების აღმოჩენა და გამოყენება, ავტორის აზრით, იარაღის დამზადების და გამოყენების ტოლფასია. იარაღისა და ნიშნების გამოყენება არის გაშუალებული მოქმედების გამოვლენა, რომელიც ადამიანის გონების ერთ-ერთი უმთავრესი მონაპოვარია. ლ. ვიგოტსკისათვის გაშუალებული მოქმედების, ნიშნებისა და იარაღის გამოყენების ცნებები არის აზროვნების ხერხი, ადამიანის კულტურული განვითარების ანალიზის ლოგიკური სქემა. ადამიანის ქცევითი ნიშნების და იარაღის გამოყენების განსხვავების საფუძველია მათი ხმარების მიმართულება. იარაღი არის ადამიანის მიერ ობიექტზე ზემოქმედების გარეგანი საშუალება, რომლის მიზანია მოქმედების ობიექტში ცვლილებების შეტანა, ხოლო ნიშანი ობიექტში არაფერს არ ცვლის. იგი არის საკუთარი ან სხვის ქცევაზე ფსიქოლოგიური ზემოქმედების საშუალება. ნიშანი მიმართულია შიგნით და არის შინაგანი მოქმედების საშუალება. ნიშნის გამოყენება ნიშნავს აქტივობის ორგანული სისტემიდან გამოსვლას, რაც უდიდეს წინსვლასა და პროგრესს წარმოქმნის განვითარების გზაზე.

ლ. ვიგოტსკის შემოქმედებაში კულტურული განვითარების მოდელის აგება მჭიდროდ არის დაკავშირებული ბავშვის განვითარების ინტელექტუალური და მექანიკური თეორიების კრიტიკასთან. მისი აზრით ინტელექტუალურ შეხვედრებებს კულტურა ესმით როგორც ადამიანის ინტელექტის მუშაობის შედეგი და ბავშვის განვითარებას იხილავენ როგორც ლოგიკური ოპერაციების ათვისების პროცესს.

მექანიკური შეხედულებები კი ქცევის მაღალ ფორმებს იხილავენ მათი საშემსრულებლო მექანიზმის, როგორც შეგუების ზერხის, თვალსაზრისით. ლ. ვიგოტსკი ყოველთვის მკაცრად აკრიტიკებდა ამ შეხედულებათა ცალმხრივ ხასიათს და მითითებდა, რომ ცალმხრიობა დაიძლევა ნიშნების ხმარების ბუნებრივი ისტორიის გააზრების საშუალებით. ნიშნების სიმბოლიკა გვიჩვენებს, რომ ქცევის კულტურულ ფორმებს აქვს ნატურალური ფორმის ბუნებრივი, ბიოლოგიური ძირები, მაგრამ ისინი მჭიდრო კავშირშია მათთან და მათ საფუძველზევე ყალიბდებიან.

კ. ვიგოტსკის მიხედვით ერთ-ერთი ცენტრალური და ფუნდამენტალური კანონია ის, რომ განვითარების პროცესში ბავშვი საკუთარ თავთან დამოკიდებულებაში იყენებს ქცევის იმ ფორმებს, რომელსაც თავდაპირველად უფროსები იყენებდნენ მისდამი დამოკიდებულებაში. ბავშვი ითვისებს ქცევის სოციალურ ფორმებს და გადააქვს ისინი თავის თავზე. ნიშანი, უპირველეს ყოვლისა, არის სოციალური კავშირებისა და სხვებზე ზემოქმედების საშუალება და მხოლოდ შემდეგ იქცევა საკუთარ თავზე ზემოქმედების საშუალებად.

ლ. ვიგოტსკი თვლიდა, რომ კულტურული განვითარების პროცესი უნდა განვიხილოთ როგორც ბავშვის პიროვნებისა და მსოფლმხედველობის განვითარება. შეიძლება ითქვას, რომ იგი ბავშვის პიროვნებასა და მის კულტურულ განვითარებას შორის ტოლობის ნიშანს სვადა. ინდივიდუალობის მრავალ ნიშანს, რომლის მიხედვით ერთი ადამიანი მეორისაგან განსხვავდება, პიროვნების გასაგებად არ აქვს გადაშწყვეტი მნიშვნელობა. ლ. ვიგოტსკის აზრით, პიროვნების ცნება გულისხმობს ადამიანის ბუნებრივ ორგანიზაციაზე დამატებული სოციალური და ისტორიული შინაარსის თვისებებს.

მსოფლმხედველობის ქვეშ ლ. ვიგოტსკის ესმოდა გარესამყაროსადმი ბავშვის კულტურული დამოკიდებულება, რომელიც არაა სამყაროს ლოგიკური და გაცნობიერებული სურათი. მისი აზრით მსოფლმხედველობას ბავშვი დიდხანს, თითქმის სქესობრივ მოწიფებამდე ვერ იძენს. მისი აზრით პიროვნება ვითარდება როგორც განუყოფელი მთლიანი და მხოლოდ მეცნიერული ანალიზის საჭიროებისათვის შეიძლება მისი ცალკეული ნაწილების აბსტრაქცია.

ბავშვის კულტურული განვითარების ასაკობრივი თავისებურებების აღწერისას ლ. ვიგოტსკი გამოყოფს რამდენიმე ფსიქოლოგიურ ეტაპს, რომელიც ამ პროცესის გაგებისათვის მეტად მნიშვნელოვანია. მკვლევარის აზრით ახალშობილი თითქმის მთლიანად ბუნებრივი არსებაა. მისი ქცევის „კულტურული“ ფორმები ნახევრად ორგანული ხასიათისაა და დაკავშირებულია დედის ხმასთან და სხვა ადამიანების აღქმასთან. ახალშობილის კულტურული განვითარება დაკავშირებულია იარაღის დაუფლებასთან და იგი არის სვლა ინსტინქტივიდან პირობითი რეფლექსებისაკენ და აზროვნების უმაღლესი ფორმებისაკენ. ბავშვის მიერ მეტყველების დაუფლება შემდგომში ამ მიმართულებით უდიდესი მოვლენაა, რადგანაც იგი ახლა სოციალურ ფუნქციებს მეტყველებით ითვისებს.

დიდი ხნის განმავლობაში ბავშვის ყოველგვარი მოქმედება ატარებს შერეულ ხასიათს, რადგანაც მისი მოქმედებები წარმოადგენს ბუნებრივ-ისტორიულს, პრიმიტიულ-კულტურულს ან ორგანულ-პიროვნულს. ამ პერიოდში ბავშვს არ

გაჩნია პიროვნება და მსოფლმხედველობა. ბავშვის დამოკიდებულება შინაგანი სამყაროსადმი და ადამიანებისადმი განუყოფელია. ბავშვს არაფერი არ ახსოვს თავისი ჩვილობის ისტორიიდან, რადგანაც მას არ აქვს ნიშანი (მეტყველება), რომელიც შეინახავდა ამ ისტორიას.

ბავშვის კულტურული განვითარების შემდგომი ეპოქა იწყება მაშინ, როცა ბავშვი სწავლობს ვერტიკალურ სიარულს და ეუფლება მეტყველებას. ვერტიკალური სიარული არის ორგანული ცვლილება, ხოლო მეტყველების დაუფლება კულტურული. მეტყველება ხდებასამყაროზე ზემოქმედების უნივერსალური საშუალება. ბავშვის პიროვნების განვითარებაში გადამწყვეტი არის მის მიერ საკუთარი მე-ს გაცნობიერება და საგნებისა და ადამიანების მიმართ ლიფერენციალური მოქმედებების განხორციელება. მხოლოდ სასკოლო ასაკში ელინდება პიროვნებისა და მსოფლმხედველობის პირველი, ასე თუ ისე, მყარი ფორმები, რის საფუძველზედაც ბავშვი ხდება უფრო სოციალური და, ამავდროს, ინდივიდუალური არსება.

ლ. ვიგოტსკის აზრით გადამავალ ასაკში ხდება ორი მნიშვნელოვანი ცვლილება. ესაა სქესობრივი მომწიფება (ორგანული) და საკუთარი მე-ს აღმოჩენა (კულტურული), რაც მყარი პიროვნებისა და მსოფლმხედველობის ჩამოყალიბების დასაწყისია. ბავშვის კულტურულ განვითარებას ამთავრებს ცხოვრებისეული გეგმების ჩასახვა, რაც გულისხმობს შედეგების სისტემის ჩამოყალიბებას და, რომელიც მოზარდების მიერ უკავე გაცნობიერებულია.

ლ. ვიგოტსკის კულტურულ-ისტორიული განვითარების კონცეფციაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ორიგინალურ შეხედულებას აზროვნებისა და მეტყველების შესახებ, რომელიც მჭიდრო კავშირში იმყოფება ადამიანის სოციალური ცხოვრების ერთ-ერთ ცენტრალურ მოვლენასთან – სწავლებასთან. ესაა სწავლება, რომელიც მიმდინარეობს სკოლაში და რომელიც სპეციალურადაა ორგანიზებული. ლ. ვიგოტსკი ერთმანეთისაგან ანსხვავებს აზროვნების ორ სახეს: სპონტანურს და მეცნიერულს. ბავშვის კულტურულ განვითარებაში მათი როლი ერთმანეთისაგან პრინციპულად განსხვავებულია.

სპონტანური აზროვნება ფალობდება გარესამყაროს საგნებისა და მოვლენების პრაქტიკული დაუფლების პროცესში კონკრეტული გამოცდილების განზოგადების საფუძველზე. ესაა ყოველდღიური ცნებები, რომლებიც ვითარდებიან ბუნებრივ, ცხოვრებისეულ სიტუაციებში. ხოლო სასკოლო სწავლების დროს მეცნიერული ცნებების შეთვისება ხდება განსხვავებულად – სიტყვიერი დეფინიციიდან განზოგადებისა და კონკრეტიზაციის ორგანიზებული სისტემიდან – მოვლენებამდე. სასკოლო სწავლების დროს მეცნიერულ ცნებებში გამოყენებული განზოგადების დონე გავლენას ახდენს სპონტანურ აზროვნებაზე იმით, რომ განსაზღვრავს აზროვნების ახალ, მაღალ დონეს.

ბავშვის მიერ საკუთარი აქტივობის გაცნობიერება მიმდინარეობს მეცნიერული ცნებების საფუძველზე, რომლის საშუალებითაც ხდება მოქმედების საკუთარი პროცესის განზოგადება. მეცნიერულ ცნებებს განსხვავებული დამოკიდებულება აქვთ ობიექტებთან, ვიდრე – სპონტანურს.

მეცნიერული ცნებები უკვე გაშუალებული არიან, რის გამოც მათი განზოგადება უფრო ადრე ხდება. ამ გარემოებათა გამო სწავლება და განვითარება ღებულობს ახალ შინაარსს და მეცნიერულ ცნებათა სისტემა გარდაქმნის და ცვლის ყოველდღიური ცნებების ბუნებას.

მეტად ორიგინალურია ლ. ვიგოტსკის შეხედულება სწავლებისა და განვითარების შესახებ. იგი კრიტიკულად ეკიდება იმ შეხედულებებს, რომლებიც სწავლებასა და განვითარებას იხილავენ ორ დამოუკიდებელ, ერთმანეთთან დაკავშირებელ პროცესს და იმ თეორიებს, რომლებიც აიგივებენ სწავლებასა და განვითარებას. ლ. ვიგოტსკის აზრით სწავლების პროცესი დაკავშირებულია ახალი ფსიქიკური სტრუქტურების აღმოცენებასთან და ძველის სრულყოფასთან. „სწავლების ერთი ნაბიჯი ნიშნავს განვითარების ას ნაბიჯს.“ ლ. ვიგოტსკი ფიქრობს, რომ სწავლება ყოველთვის წინ უსწრებს განვითარებას. ეს დასკვნა მეტად ღირებულია სწავლებისა და განვითარების ურთიერთმიმართების საკითხის გადასაწყვეტად.

განვითარება არასოდეს არ განისაზღვრება მხოლოდ მისი მომწიფებული ნაწილის განხილვით. განვითარების სრული სურათის დახატვისათვის აუცილებელია მხედველობაში იქნას მიღებული მისი ჯერ კიდევ მოუწიფებელი ფუნქციებიც. განვითარების ამ მოუწიფებელ ფუნქციებს ლ. ვიგოტსკიმ უწოდა *განვითარების უახლოესი ზონა*, ხოლო მომწიფებულ ფუნქციებს – *განვითარების აქტუალური ღონე*. განვითარების უახლოესი ზონა არის მანძილი ბავშვის განვითარების აქტუალურ, მიღწეულ ღონესა და განვითარების პოტენციურ, შესაძლებელ ღონეს შორის, რომლის მიღწევა ხდება უფროსების დახმარებით.

განვითარების აქტუალური ღონე განისაზღვრება იმ ამოცანათა ხასიათის მიხედვით, რომელსაც ბავშვი ხსნის დამოუკიდებლად უკვე მომწიფებული ფსიქიკური ფუნქციების საფუძველზე. განვითარების უახლოესი ზონა კი განისაზღვრება შემდეგნაირად: ჯერ იკვლევენ ბავშვის განვითარების აქტუალურ ღონეს და შემდეგ მას აძლევენ უფრო რთულ ამოცანებს, რომლის გადაჭრაშიც მას უფროსები ეხმარებიან მიმხვედრი კითხვების საშუალებით. უფროსების დახმარებით ბავშვს უფრო შეუძლია ამ რთული ამოცანების გადაჭრა, ვიდრე იგი ამას დამოუკიდებლად შეძლებს. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ბავშვის ეს შესაძლებლობა არაა უსაზღვრო და ამოცანის უფრო გართულების დროს დგება პერიოდი, როცა იგი უფროსების დახმარებითაც ვერ აღწევს მიზანს.

განვითარების უახლოესი ზონა ესაა განვითარება ბავშვის ჯერ კიდევ მოუწიფებელ ფუნქციათა იმ ნაწილისა, რომელიც უახლოეს ზანში მომწიფდება და გადაიქცევა აქტუალურ ღონედ. ლ. ვიგოტსკის მიხედვით სასკოლო სწავლება ორიენტირებული უნდა იყოს განვითარების უახლოეს ზონაზე, თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ სწავლების პროცესში განვითარების აქტუალური ღონე უშოკმდოდ და უგურადღებოდ დავტოვოთ.

ლ. ვიგოტსკის დიდი დამსახურება ისაა, რომ მან პირველმა მოუთითა სწავლების განსაზღვრულ როლზე ბავშვის განვითარებაში.

ამრიგად, განვითარების კოგნიტური თეორიები აკრიტიკებენ განვითარების სხვა თეორიებს და მოუთითებენ, რომ აქცენტის გაკეთება მრავალჯერად გაუმჯობესებასა

და დადებით განმტკიცებაზე არის განვითარებისადმი მეტად მარტივი მიდგომა. კოგნიტური თეორიების მიხედვით განვითარების ძირითადი მამოძრავებელია ბავშვის ინტელექტუალური განვითარება. ე.ი. ძირითადი აქცენტი კეთდება ინტელექტზე და კვლევის სფეროს მიღმა რჩება ადამიანური ქცევის ისეთი მნიშვნელოვანი ასპექტები, როგორცაა ბავშვის პიროვნების განვითარების კანონზომიერებანი, სოციალური და ემოციური განვითარება.

ფსიქოანალიტიკური თეორიები. ფროიდიზმი. როგორც ვნახეთ განვითარების კოგნიტური თეორიები ძალიან დიდ ინტერესს იჩენდა ბავშვის პერსონალური უნარების, მეტყველებისა და აზროვნების რთული ფორმების, განვითარების თვალსაზრისით. მაგრამ მათ ყურადღების გარეშე დარჩათ ბავშვის განვითარების მეტად მნიშვნელოვანი – ფსიქოსექსუალური სფერო, რაც შემდგომში განვითარების ფსიქოანალიტიკური თეორიების ინტერესის საგანი გახდა. ამ მიმართულების თეორიების ფუძემდებელია ზ. ფროიდი, რომლის მიხედვითაც განვითარების მამოძრავებელი დეტერმინანტია შინაგანი ლტოლვები. ზ. ფროიდი თვლიდა, რომ ადამიანის ქცევა განპირობებულია, უპირველეს ყოვლისა, ბიოლოგიური, სექსუალური, აგრესიული და ცხოველური ლტოლვებით.

ზ. ფროიდის მიხედვით ფსიქიკურ ცხოვრებაში გამოიყოფა სამი დონე: ცნობიერება, ქვეცნობიერი და არაცნობიერი. ცნობიერების დონეს შეადგენენ შეგრძნებები და განცდები, რომელსაც ადამიანი აცნობიერებს დროის მოცემულ მონაკვეთში. ცნობიერება მოიცავს მხოლოდ ტენიში შენახული ინფორმაციის მცირე ნაწილს, ამასთანავე განსაზღვრული ინფორმაცია ცნობიერდება მხოლოდ დროის მცირე მონაკვეთში, შემდგომში იგი ჩქარა გადადის ქვეცნობიერსა და არაცნობიერში. ქვეცნობიერი ან წინარეცნობიერი სფერო მოიცავს იმ გამოცდებებს, რომელიც მოცემულ მომენტში არ ცნობიერდება, მაგრამ ადვილად შეუძლია გაცნობიერება სპონტანურად ან მინიმალური ძალისხმევის შედეგად. ზ. ფროიდის მიხედვით ადამიანის ფსიქიკის ყველაზე ღრმა და მნიშვნელოვანი სფეროა არაცნობიერი, რომელიც წარმოადგენს ინსტინქტური სწრაფების, ემოციებისა და მოვლენების საწყობს და, რომელიც ცნობიერების მიერ ჩაზმობილი და განდევნილი იქნა არაცნობიერში. მაგრამ ეს გაუცნობიერებელი სფერო მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ადამიანის ფსიქოლოგიურ ქცევას. არაცნობიერი სიამაღლე ადამიანის ცნობიერებისათვის სრულიად მიუწვდომელია, მიუხედავად იმისა, რომ მნიშვნელოვნად აპირობებს და განსაზღვრავს მის ქცევებს.

მრავალწლიანი კლინიკური დაკვირვების შედეგად ზ. ფროიდმა ჩამოაყალიბა ფსიქოლოგიური კონცეფცია, რომლის მიხედვით ადამიანის ფსიქიკა შედგება სამი სტრუქტურისაგან, დონისაგან: „იგი“, „მე“ და „ზე-მე“. ესაა ფსიქიკური ცხოვრების ზ.ფროიდისტული მოდელი. „იგი“ არის ფსიქიკის არაცნობიერი ნაწილი, თანშობილი ინსტინქტების, აგრესიულ და სექსუალურ სწრაფვითა ადვილსამყოფელი, რომელიც შეიცავს დიდ სექსუალურ ენერგიას, ლიბიდოს. „იგი“ ემორჩილება სიამოვნების პრინციპს, ე.ი. ამ სფეროსათვის სიამოვნება და ბედნიერება არის ცხოვრების ძირითადი და მთავარი ამოცანა.

ქცევის მეორე ძირითადი პრინციპია პომეოსტაზი – შინაგანი წონასწორობის შენარჩუნების ტენდენცია. ცნობიერების „მე“-ს დონე მუდმივ კონფლიქტში იმყოფება

„იგი“-სთან და ახშობს სექსუალურ ლტოლევებს. ცნობიერების დონე ყალიბდება საზოგადოების გავლენის საფუძველზე. „მე“-ზე მოქმედებს სამი ძალა: „იგი“, „ზე-მე“ და საზოგადოება, რომელიც ადამიანს უყენებს თავის მოთხოვნებს. „მე“ ყოველთვის ცდილობს, რომ მათ შორის დაამყაროს პარაბონია. იგი ემორჩილება არა სიამოვნებას, არამედ რეალობის პრინციპს. „ზე-მე“ არის მორალური სტანდარტების მატარებელი, პიროვნების ის ნაწილი, რომელიც ასრულებს კრიტიკის, ცენზორის და „პოლიციელის“ ფუნქციას. ესაა სინდისი. როცა „მე“ ღებულობს გადაწყვეტილებას და განახორციელებს „იგი“-სთვის მისაღებ მაგრამ „ზე-მე“-სთვის მიუღებელ ქცევას, ამ დროს პიროვნება განიცდის დანაშაულის, სირცხვილის, სინდისის ქეჩენას. ზ. ფროიდის ფსიქიკური ცხოვრების სტრუქტურული მოდელი ასეთია: „იგი“-ს სფერო მთლიანად არაცნობიერია, მაშინ როცა „მე“ და „ზე-მე“ ვლინდება სამთავე დონეზე.

დაბლების მომენტში ბავშვი წარმოადგენს სუფთა „იგი“-ს, რომელიც ცდილობს ცხოვრებისაგან მიიღოს მხოლოდ სიამოვნება. ბიოლოგიური მოძწიფების კვალობაზე ბავშვს უვითარდება „მე“, რომელიც, როგორც აღვნიშნეთ, ემყარება არა სიამოვნებას, არამედ – რეალობას, რაც იმას ნიშნავს, რომ „მე“ აიბულებს ინდივიდს დაემორჩილოს საზოგადოების მოთხოვნებს და სერიოზული მიზნების მისაღწევად თავი შეიკავოს სიამოვნებისაგან. 5-6 წლის ასაკში ყალიბდება „ზე-მე“, სინდისი, რომელიც მუდმივ კონფლიქტურია „იგი“-სთან.

ბავშვებში ფსიქიკის, განსაკუთრებით კი „ზე-მე“-ს ანუ „სუპერეგოს“ ჩამოყალიბება იწყება ოიდიპოსის კომპლექსის დაძლევათ. ზ. ფროიდის მიხედვით ძველბერძნულ მითში ოიდიპოსის მეფის შესახებ, რომელშიც იგი კლავს საკუთარ მამას და ქორწინდება დედამისზე, ჩამარხულია ყოველ მამაკაცში მუდმივად არსებული სექსუალური კომპლექსის გასაღები: ბიჭი განიცდის დედისადმი ლტოლვას და ამავე დროს იგი მამას აღიქვამს როგორც მოწინააღმდეგეს და მის მიმართ განიცდის ზიზღსა და შიშს. ბიჭს უნდა მამის სიკვდილი, რის გამოც მის მიმართ განიცდის დანაშაულს და ეშინია კიდევ მისი. კასტრაციის შიშით ბავშვი თრგუნავს სექსუალურ ლტოლვას დედისადმი, 5-6 წლის ასაკში თავის თავში ახშობს ოიდიპოსის კომპლექსს და მას უწინდება „ზე-მე“, სინდისი.

„ზე-მე“ ანუ სუპერეგო შეიცავს საზოგადოებაში მიღებული ღირებულებებისა და ნორმების სისტემას, რომელიც საშუალებას აძლევს პიროვნებას გაიგოს რა არის კარგი და ცუდი, ზნეობრივი და უზნეო. ზ. ფროიდმა სუპერეგო დაყო ორ ნაწილად: სინდისი და ეგო-იდეალი. სინდისი არის კრიტიკული თვითშეფასების უნარი. ესაა მორალური აკრძალვებისა და ადამიანის მიერ დანაშაულის განცდა, როცა მან არ გააკეთა ის, რაც უნდა გააკეთებინა, ან კიდევ ისე არ გააკეთა, როგორც უნდა გააკეთებინა. ეგო-იდეალი ყალიბდება იმის მიხედვით, თუ განსაკუთრებით რას იწონებენ და აფასებენ შშობლები, რომლის საფუძველზედაც ბავშვი (ადამიანი) აყალიბებს ქცევის მაღალ მორალურ სტანდარტებს. სუპერეგო საბოლოოდ მაშინ ფორმირდება, როცა ბავშვის პიროვნების თვითკონტროლი ჩენაცვლება შშობლების გარეგან კონტროლს. სუპერეგო ცდილობს მკაცრად დათრგუნოს „იგი“-ს მხრიდან წამოსული „მიუღებელი სურვილები“ და როცა ადამიანი არღვევს მორალის ნორმებს, დასჯის მას.

„ზე-მე“ არ უშვებს ინსტინქტებს „მე-ში“ და როცა ინსტინქტების ენერგია სუბლიმაციას და ტრანსფორმაციას განიცდის, იგი ვლინდება ადამიანისათვის და საზოგადოებისათვის მისაღებ, ქვეყისა და ფორმების სახით (შემოქმედება, ხელოვნება, შრომა). ამრიგად სუბლიმაცია არის დათრგუნული, განდევნილი, აკრძალული სურვილების გარდაქმნა ქვეყის ისეთ ფორმებად, რომელიც მიღებულია და ნებადართულია საზოგადოების მიერ.

თუ ლიბიდოს ენერგია ვერ პოულობს გამოსავალს, ადამიანს ემართება ფსიქიკური აშლილობები, ნევროზები, ისტერია და დაეუფლება სედა და დეპრესია. „მე“-სა და „იგი“-ს შორის კონფლიქტის აღმოსაფხვრელად გამოიყენება ფსიქოლოგიური დაცვის საშუალებები. ფსიქოლოგიური დაცვის მექანიზმი ეხმარება ადამიანს თავი დაიცვას იმ პრობლემებისაგან, რომელთა გადაწყვეტა მას ჯერ-ჯერობით არ შეუძლია. ეს მექანიზმი მას ეხმარება გაეცალოს „საშიშ რეალობას“. ზ. ფროიდმა გამოყო რამდენიმე დამცავი მექანიზმი:

1) *სურვილების განდევნა*. ესაა მიუღებელი ანუ აკრძალული სურვილების, აზრების, გრძობების, განცდების ცნობიერებიდან არაცნობიერში განდევნა. განდევნა არაა საბოლოო. არაცნობიერში განდევნილი აზრები არ კარგავენ აქტიუობას და იბისათვის, რომ თავიდან ავიცილოთ მათი ცნობიერებაში დაბრუნება, საჭიროა ფსიქიკური ენერჯის მუდმივი ძალისხმევა. განდევნა ხშირად გვევლინება ფსიქოგენური წარმოშობის სხეულებრივი დაავადებების მიზეზადაც (თავის ტკივილები, ართრიტები, წყლული, ასთმა, ჰიპერტონია და ა.შ.). დათრგუნულ, განდევნილ სურვილთა ფსიქიკური ენერგია არსებობს ადამიანში მისი ცნობიერებისგან დამოუკიდებლად და ზიანს აყენებს მის პიროვნებას.

2) *უარყოფა*. ესაა ფანტაზიაში წასვლა, რომელიმე მოვლენის, როგორც „არამართლის“ უარყოფა, „ეს არ შეიძლება მოხდეს“. ადამიანი უგულვებელყოფს ყოველგვარ ლოგიკას, ვერ ამჩნევს წინააღმდეგობებს საკუთარ მსჯელობებში.

3) *რაციონალიზაცია*. ესაა საკუთარი არასწორი, აბსურდული ქცევის ახსნის და გამართლების არაცნობიერი მცდელობა. ამ დროს ადამიანი თხზავს მისთვის მისაღებ ლოგიკურ დასაბუთების არგუმენტებს, ქცევის მიუღებელი ფორმების, აზრების, საქციელის, სურვილების გასამართლებლად და დასასაბუთებლად.

4) *ინვერსია ანუ საწინააღმდეგოს კეთება*. ესაა ნამდვილი სურვილების საპასუხო მოქმედებების, აზრების, გრძნობების შეცვლა დიამეტრულად საწინააღმდეგო ქცევებით, აზრებითა და მოქმედებებით.

5) *პროექცია*. ესაა არაცნობიერი მცდელობა თავიდან იქნას მოშორებული აკიატებული სურვილები სხვებისადმი მისი მიწერიისა და მიკუთვნების კვალობაზე. სხვა ადამიანებისადმი საკუთარი თვისებების მიწერა არის „საშიშროების თავიდან მოშორება“. პროექცია ეხმარება ადამიანს საკუთარი დანაშაული სხვას დააკისროს, ეი. სხვას მიაწეროს მისი პიროვნების უარყოფითი თვისებები.

6) *შეცვლა*. შეცვლა არის ემოციური იმპულსების გადართვა უფრო საშიში ობიექტიდან ან პიროვნებიდან ნაკლებად საშიშზე. მაგალითად, ბავშვი, რომელიც შშობლებმა დასაჯეს, სამაგიეროს უხდის თავის პატარა დას, ამტვრევს მის სათამაშოებს, ცემს ძაღლს. ამ დროს პატარა და და ძაღლი ცვლის მის შშობლებს, რომელთა მიმართაც ბავშვი ავლენს წყენას, ბრახს და აგრესიას.

7) იზოლაცია. ესაა სიტუაციის საშიში ნაწილის გამოყოფა და ჩამოშორება დანარჩენი სფეროსაგან, რაც იწვევს ადამიანის პიროვნების გაორებას, განკერძოებულობას, „მე“-ს არასრულ განვითარებას.

8) რეგრესია. რეგრესია არის რეაგირების ადრეული, პრიმიტიული ფორმებისაკენ დაბრუნება, რაც ვლინდება ისეთ ქცევებში, რომლებშიც ადამიანი თავის ქცევებს აშართლებს და ასაბუთებს ბავშვური აზროვნების ლოგიკის პოზიციიდან. თავის თვალსაზრისს დაეინებით იცავს იმ შემთხვევაშიც კი, როცა მოკამათე მართალია. ასეთი ადამიანი არ ვითარდება ფსიქიკურად და იგი ხანდახან იმეორებს ინფანტილურ მსჯელობებს.

დროთა განმავლობაში ფროიდისტული თეორია განვითარდა და გამდიდრდა ახალი იდეებით, რის საფუძველზეც აღმოცენდა ნეოფროიდისტული თეორიები (ნეოფროიდიზმი), რომლის თვალსაჩინო წარმომადგენლები არიან ე. ერიკსონი, კ. პორნი და ე. ფრომი.

მოუხედავად იმისა, რომ ე. ერიკსონი ზ. ფროიდის სკოლის წარმომადგენელია, მათ შეხედულებათა შორის არსებობს მნიშვნელოვანი სხვაობა. ე. ერიკსონი თვლიდა, რომ ყოველი ადამიანის განვითარება გაივლის რამდენიმე ეტაპს, რომელთაგანაც ბევრი შეესაბამება ზ. ფროიდის სტადიებს. მაგრამ, ზ. ფროიდისაგან განსხვავებით განვითარების მისი მოდელი არის არა ფსიქოსექსუალური, არამედ — ფსიქოსოციალური. ე. ერიკსონი თვლიდა, რომ პიროვნება ვითარდება სოციალური კონფლიქტების გადაჭრის შედეგად, რომლებიც აღმოცენდებიან განვითარების საკვანძო წერტილებში ერთმანეთთან ურთიერთობებში. ფსიქიკური განვითარება ხდება ინდივიდის ბიოლოგიური ფაქტორებისა და საზოგადოების მოთხოვნათა ურთიერთმოქმედების საფუძველზე. მაგალითად, ჩვილობის ასაკში კვების დროს ან საშუალო ბავშვობაში განსხვავებულ ჩვევათა სწავლების დროს. ე. ერიკსონი პიროვნების განვითარებას იხილავდა როგორც დინამიურ პროცესს, რომელიც გრძელდება დაბადებიდან სიკვდილამდე, თუმცა იგი ეთანხმება ზ. ფროიდს იმაში, რომ განვითარების ადრეულ ასაკს აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა. ისევე, როგორც ზ. ფროიდი, ე. ერიკსონი თვლიდა, რომ ცხოვრების ერთ-ერთი მამოძრავებელი ძალა არის ინსტინქტების განვითარება, მაგრამ დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა „ეგო“-ს სინთეზს. ე. ერიკსონის შემოქმედებაშიც სექსუალობასაც ენიჭება მნიშვნელოვანი ადგილი, მაგრამ იგი თვლის, რომ სექსუალობა არის განვითარების ერთ-ერთი მამოძრავებელი ძალა.

კ. პორნის აზრით ნევროზების მიზეზების აღმოსაჩენად აუცილებელია იმ სოციალური გარემოცვის შესწავლა, რომელიც აპირობებს ამ ქცევებს. ნევროტული ქცევების წყაროა არა „იდიპოსის კომპლექსი“, არამედ განგაშის, შფოთვის, შიშის გრძობა, რომლებიც ბავშვებს აღმოუცენდებათ მაშინ, როცა ისინი პოტენციურად მტრულ გარემოში თავს გრძობენ იზოლირებულად და უწყობად. შიში მაშინ იქცევა მყარ განცდად, როცა მშობლები შვილების მიმართ არ ამყდარებენ აღერსს, სიყვარულს, სხვების მუქარისაგან დაცვას და ა.შ. კ. პორნის მიხედვით ადამიანის ქცევას განსაზღვრავს არა აგრესიული სექსუალური იმპულსები, არამედ შიშისაგან თავისუფალი უსაფრთხოებისა და თავისუფლების

მოთხოვნები. ზ. ფროიდის მიერ აღწერილი სექსუალური დარღვევები და აგრესიული ქცევები არის არა ნევროზების მიზეზი, არამედ — შედეგი.

განგაშის, შიშის გრძობა ბავშვობაში ბაღებს ნევროტულ მოთხოვნებს, რომელთაგანაც უმთავრესია: სწრაფვა ადამიანებისაგან, ადამიანებისაკენ და ადამიანის საპირისპიროდ. ინდივიდის ქცევაში ერთ-ერთი ამ ვექტორის მყარი დომინირების შემთხვევაში ყალიბდება ნევროტული პიროვნება, ისეთი, რომელიც ისწრაფვის ადამიანებში ნებისმიერი ვნებით მოიპოვოს სიყვარული და აღიარება, ან ისეთი, რომელიც ცდილობს საზოგადოებისაგან განდგომას და ჩამოშორებას, ან კიდევ აგრესიული, რომელიც ესწრაფვის პრესტიჟსა და ძალაუფლებას.

საინტერესოა აგრეთვე ნეოფროიდისტული მიმდინარეობის ერთ-ერთი წარმომადგენლის, ~~გ. ფრანკის~~ შეხედულებებიც. თუ ზ. ფროიდი ქცევის ერთადერთ აღმქრელად აღიარებდა ბიოლოგიურ ძალებს, ე. ფრომის მიხედვით, მართალია, არსებობს ყველა ადამიანისათვის დამახასიათებელი საერთო ბიოლოგიური მოთხოვნები (შეშლილი, წყურთილი, და სექსი), მაგრამ ისეთი მოთხოვნები, რომლებიც ქმნიან ადამიანის ხასიათისა და პიროვნულ სხვაობებს (სიყვარული, სიძულვილი, ძალაუფლებისაკენ სწრაფვა, მორჩილება და ა.შ.), სოციალური წარმოშობისაა. ადამიანის დადებითი ან უარყოფითი მიწრაფებები ბიოლოგიურად ფიქსირებული კომპონენტები კი არაა, არამედ წარმოადგენენ სოციალურ მოვლენებს.

ე. ფრომის აზრით, ადამიანი არის „დიხოტომური არსებობის“ მონა. მას აქვს ძლიან ბევრი პოტენცია, მაგრამ მოკლე დროში ყველაფრის რეალიზაციას ვერ ახერხებს. იგი საზოგადოების წევრია, მაგრამ მასთან სრულ პარზონიაში არასოდეს არ შედის, რადგანაც წარმოადგენს ცალკეულ, ინდივიდუალურ არსებას.

პირველყოფილ საზოგადოებაში ადამიანს იცავდა ჯგუფებთან და კლასებთან იდენტიფიკაცია, მითოლოგია და მაგია. ევროპული ცივილიზაციის ისტორიაში, ე. ფრომის აზრით, სოციალურ უსაფრთხოების და სოლიდარობის პერიოდი იყო შუა საუკუნეები: თითოეულმა ადამიანმა იცოდა საკუთარი ადგილი სოციალურ სისტემაში და არ განიცდიდა მარტოობის გრძობას და ერთმანეთისაგან განკეობებულობას.

შუა საუკუნეების სტაბილურობა დაარღვია რენესანსმა. ადამიანმა მოიპოვა თავისუფლება, მაგრამ დაკარგა სოციალური უსაფრთხოება. ძლიან გაიზარდა ერთი ადამიანის დამოკიდებულება მეორეზე. ადამიანს ახლა მწკვევედ აწუხებს ფიქრი იმის შესახებ, თუ როგორ მიიღებენ მას სხვები. სწორედ ამან მიიყვანა ადამიანები „თავისუფლებიდან გაქცევის“ მექანიზმების აღმოჩენამდე. ეს მექანიზმებია: საღიზმი, მაზოხიზმი, დესტრუქტივიზმი და ავტონომიური კონფორმიზმი.

სადიზმი ვლინდება ადამიანთა მცდელობაში მოიპოვონ განუსაზღვრელი ძალაუფლება სხვებზე, ხოლო მაზოხიზმი - სხვების მორჩილებაში. დესტრუქტივიზმი მექანიზმი გულისხმობს იმას, რომ ადამიანს შეუძლია დანგრეოს ქვეყანა იმისათვის, რომ თვითონ არ დამარცხდეს, არ გაბტყუნდეს, ხოლო კონფორმიზმი სოციალურ ნორმებთან ისეთი კავშირის დამყარებაა, რომელიც უარყოფს ყველგვარ ორიგინალურს.

ე. ფრომისათვის პიროვნებაში არაფერია თანშობილი. ყოველგვარი ფსიქიკური გამოვლინება არის განსხვავებულ სოციალურ სფეროებში მისი მოღვაწეობის

ფეკტი. მაგრამ პიროვნების მარტოსულობის, განკერძოებულობის იდეა და მისი ქცევის მოტივების არაცნობიერი დინამიკა ე. ფრომისათვისაც ისევე ხელშეუხებელია, როგორც მთელი ფროიდისტური მიმართულებისათვის.

ამრავალ, ნეოფროიდიზმისათვის დასახსიათებელად განვითარებაში სოციალური ფაქტორების როლის წინ წამოწვევა „ოიდიპოსის კომპლექსის“ და სექსუალური ლტოლვების ყოველშეშლვებაზე უარის თქმა.

განვითარების ჰუმანისტური თეორიები. ჰუმანისტური ფსიქოლოგია ჩამოყალიბდა მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში. როგორც რეაქცია და პროტესტი დასწავლის თეორიების წინააღმდეგ, რომლებიც განვითარებაში გარედან დეტერმინიზმს აძლევდნენ უბრატეობას და ასევე სექსუალური და აგრესიული ინსტინქტების შინაგანი დეტერმინიზმის წინააღმდეგ, რომელსაც ქადაგებდა ფროიდიზმი.

ჰუმანისტური ფსიქოლოგია უარყოფს როგორც ინსტინქტებისა და ლტოლვების დეტერმინიზმს, ასევე გარემოს პროგრამირებულ გავლენასა და თვლის, რომ ადამიანი თვითონ ირჩევს როგორ უნდა იცხოვროს მან, ადამიანები ხაკუთარ ნებას თვითონ გამოხატავენ და მოქმედებენ შემოქმედებითაც. ამ თეორიის წარმომადგენლები თვლიან, რომ ცხოველებზე ჩატარებული ექსპერიმენტების შედეგების და დასკვნების ადამიანებზე გადმოტანა და გავრცელება მიუღებელია.

ჰუმანისტური ფსიქოლოგიის თვალსაჩინო წარმომადგენლებია ა. მასლოუ და კ. როჯერსი.

ა. მასლოუს მიხედვით პიროვნების განვითარებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ყველა ადამიანისთვის დამახსიათებელი თვითაქტუალიზაციის თანშობილ მოთხოვნილებებს, რომელიც მდგომარეობს ინდივიდის მთელი პოტენციალის სრულ რეალიზაციაში. მისი აზრით თვითაქტუალიზაციის მოთხოვნილების დაკმაყოფილება ხდება ისეთი „დაბალი“ მოთხოვნილებების დაკმაყოფილების შემდეგ, როგორცაა თვითშენახვა, საკვები და ა.შ. როცა ადამიანი მაძლარი, ჩაცმული და დაცულია, ის მაშინა მზად თვითაქტუალიზაციისათვის. ა; მასლოუ თვლიდა, რომ პიროვნების განვითარებული თვითაქტუალიზაციის გრძნობა თამაშობს არა ნაკლებ როლს, ვიდრე მისი ბაზისური მოთხოვნილებები. თუმცა თვითაქტუალიზაციის მოთხოვნილების სრულად დაკმაყოფილება შეუძლებელია, იგი ყოველთვის დინამიურია და მის დაკმაყოფილებისათვის მუდმივი მზადყოფნა და მცდელობა განვითარების ძლიერი ფაქტორია.

კ. როჯერსი თვლიდა, რომ ადამიანის ხასიათის ცენტრს შეადგენენ დადებითი შინაარსის იმპულსები, რომლებიც მოქმედებენ დაბადების მომენტიდან. ა. მასლოუსთან ერთად კ. როჯერსი იზარებდა იმ შეხედულებას, რომ საჭიროა ადამიანების დახმარება, რათა მათ მაქსიმალურად გამოავლინონ თავიანთი შინაგანი პოტენციალი.

განვითარების ჰუმანისტური თეორიების მიღწევად ითვლება ის, რომ მათ ყურადღება მიაქციეს იმას, რომ ადამიანურ შესაძლებლობათა სიმდიდრე და მრავალფეროვნება გვევლინება ფსიქიკური განვითარების მნიშვნელოვან სტიმულებად. ამ თეორიის აზრით განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი

პარამეტრია (ინდივიდის მიერ საკუთარი იდენტურობის განვითარების გაცნობიერება. მათი თვალსაზრისით ადამიანები მოქმედებენ საკუთარი ნება-სურვილების მიხედვით და მიზნის მიღწევის გზაზე ავლენენ აქტივობასა და შემოქმედებას.

ბავშვის ფსიქიკური განვითარების შესახებ ორიგინალური შეხედულებები აქვთ გამოთქმული ქართველ ფსიქოლოგებს დ. უზნაძეს და შ. ჩხარტიშვილს., საინტერესოა დ. უზნაძის კონცინდენციის თეორია, რომელიც აღიარებს ბავშვის განვითარებაში შინაგანი (შემკვიდრება) და გარეგანი (გარემო) ფაქტორების ერთიანობას. ამ დებულებას, როგორც ენახეთ, ასე თუ ისე, ვ. შტერნიც იზიარებდა, მაგრამ დ. უზნაძისა და ვ. შტერნიის თეორიებს შორის არსებითი განსხვავებაა. ვ. შტერნიის კონვერგენციის თეორიისათვის განვითარების შინაგანი და გარეგანი ფაქტორები განიხილებოდა როგორც ერთმანეთისაგან მოწყვეტილი, ერთმანეთთან დაუკავშირებელი და დამოუკიდებელი მოვლენები, რომლებიც ბავშვის განვითარების პროცესში შემთხვევით ხდებიან ერთმანეთს. დ. უზნაძის კონცინდენციის თეორია კი მათ შორის მჭიდრო და აუცილებელ შინაგან კავშირს გულისხმობს (კონცინდენცია ნიშნავს ერთიანობას, შეთანხმებას). ის შესაძლებლობები, რომლებიც ბავშვს დაბადებისთანავე დაეცემა, იმავეითვე გულისხმობს გარემოში არსებული მათი განვითარების საჭირო პირობებს. ბავშვის შინაგან ფსიქოფიზიოლოგიურ ძალებს სწორედ ამ გარემოსთან შესვედრის დროს შეუძლია ამოქმედება და განვითარება.

დ. უზნაძის მიხედვით ბავშვი რომ იბადება მასზე სწორედ ის გამლიზიანებლები იწყებენ ზემოქმედებას, რომლებიც მოცემულ სოციალურ წრეში მიღებულ ბავშვის მოვლის წესის მიხედვით არის შერჩეულია. პოტენციური სახით მოცემულ ძალთაგან ბავშვს სწორედ ისინი უვითარდება, რომლებიც აღმზრდელის, სოციალური წრის მიერაა შერჩეული, რის შედეგადაც ეს ძალები პოტენციური მონაცემებიდან აქტუალურ თვისებებად ყალიბდებიან. როგორც ვხედავთ დ. უზნაძის მიხედვით, ყოველ ასაკობრივ საფეხურზე ბავშვის აქტუალურად მოცემული ფსიქო-ფიზიკურ ძალთა შინაარსი სოციალურადაა განსაზღვრული. დ. უზნაძე ამას უწოდებს ასაკობრივ გარემოს, რომელიც ბავშვის განვითარების მისეული პერიოდიზაციის კრიტერიუმია. ბავშვის ფსიქო-ფიზიკურ ძალთა განვითარება სპონტანურად ხდება, რაც ასაკობრივი კანონზომიერებების შესატყვისად ვლინდება მათ ფუნქციონირების ტენდენციად.

დ. უზნაძის მიხედვით ბავშვის განვითარების მამოძრავებელი ძალა თვით ინდივიდის ბუნებაშია და იგი არის აქტივობის მოთხოვნილება. მისი აზრით ბავშვს დაბადებიდანვე დაკება ორი ძირითადი მოთხოვნილება: ა) თავდაცვის და ბ) ფუნქციონირების მოთხოვნილება. როცა ინდივიდის შემკვიდრებით განსაზღვრულ სტრუქტურაში რომელიმე ფუნქცია იწყებს მოშლილებას და განვითარებას, თავს იჩენს ფუნქციონალური ტენდენცია, რომელიც ინდივიდს შიგნიდან სპონტანურად ასაკობრივი გარემოს შესატყვისის მოვლენისაკენ მიმართავს და მასთან უთიფრიაობის პროცესში ისეთ აქტივობას განახორციელებს, რომელიც ფუნქციის მოშლილებასა და განვითარებას იწყებს.

დ. უზნაძის შემოქმედებაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ასაკობრივი გარემოს ცნებას. ახალდაბადებულ ბავშვს მშობლები განსაკუთრებულ გარემოს

უქმნიან, რაც არა მხოლოდ იცავს მას მაენე გარეგანი ზემოქმედებისაგან, არამედ უნარჩუნებს მას სიცოცხლესა და მისი განვითარების ოპტიმალურ პირობებსაც კმნის. ე.ი. ბავშვის დაბადებისთანავე მასზე ფიზიკური გარემო უშუალოდ არ იწყებს ზემოქმედებას. ფიზიკური გარემოდან მომდინარე ყველა ძლიერი გამლიზინებელი ისეა შერბილებული, რომ ჩვილი ბავშვისათვის ასატანი ხდება. ყველა შშობელი ცდილობს ჩვილს შეექმნას დედის პუცლის მახლოებული პირობები, ისინი არეგულირებენ ბავშვის მოქმედ ტემპერატურას, ხმაურს, სინათლეს და ა.შ. ისე, რომ ჩვილი ბავშვისათვის ასატანი იყოს. შეიძლება ითქვას, დაბადებისას „ბავშვის განვითარება იმიტომ ხდება შესაძლებელი, რომ იგი იმთავითვე ფიზიკურს კი არა, სოციალურ გარემოში იწყებს და გაჩაგრძობს ცხოვრებას“. (დ. უზნაძე).

ასაკის წინსვლასთან ერთად ასაკობრივი გარემო თანდათანობით იცვლება. ყოველ ასაკს თავისი სპეციფიკური გარემო აქვს, რომელიც უპირველეს ყოვლისა, სოციალურადაა განსაზღვრული. „ბავშვის განვითარება, რომელიც მხოლოდ ორგანიზმისა და გარეგანის არსებითი კონცინდენციის ნიადაგზეა შესაძლებელი, სოციალურად განსაზღვრული ასაკობრივი გარემოს ზემოქმედების პირობებით ხორციელდება.“ (დ. უზნაძე) ასაკობრივი გარემო შესაძლებლობას იძლევა ბავშვის გარშემო ისეთი სოციალური გარემო შეიქმნას, რომელიც მის ფსიქიკურ ძალათა განვითარების შესატყვისია მოცემულ ასაკში. ამის გამო ასაკობრივი გარემოს შექმნა დაფუძნებულია ბავშვის განვითარების ასაკობრივ-ფსიქოლოგიური კანონზომიერებების ღრმა ანალიზზე.

ამრიგად, დ. უზნაძის მიხედვით, ორგანიზმში იმთავითვე მოცემული მისი შინაგანი ძალები და ის გარემო პირობებიც, რომლებმაც ეს ძალები უნდა განავითაროს. განვითარება მხოლოდ შინაგანის და გარეგანის ერთიანობის, კონცინდენციის ნიადაგზეა შესაძლებელი. ემპირიზმს, ნატივიზმსა და ვ. შტერნის კონვერგენციის თეორიას სწორედ ეს იდეა აკლდა.

„... განვითარების ყოველ მოცემულ საფეხურზე ბავშვის აქტუალურ ძალათა შემადგენლობა სოციალურადაა განსაზღვრული. ბავშვის ფენქციათა განვითარება, მისი სტრუქტურული თავისებურებებიდან გამომდინარე და სოციალურად შერჩეულ გარე პირობათა ზემოქმედების ნიადაგზე სწარმოებს“ (დ. უზნაძე)

დ. უზნაძე თვლის, რომ ბავშვის პერიოდიზაციის მანამდე არსებული თეორიები განვითარებას ბიოლოგიურისა და სოციალურის მთლიანობითი, ერთიანი გაგების გარეშე იხილავენ. ასაკობრივი გარემო არის სწორედ ისეთი ერთიანობა, რომელშიც მოცემულია ბიოლოგიურისა და სოციალურიის განუყრელი მთლიანობა და ერთიანობა.

დ. უზნაძის აზრით, ბავშვის თითოეული პერიოდის განვითარების მისი ასაკობრივი გარემო განსაზღვრავს. მაგრამ აქვე ისმება მეტად სამართლიანი კითხვა — რა განსაზღვრავს თვითონ ასაკობრივი გარემოს? რის საფუძველზე არჩევს ბავშვის სოციალური წრე სწორედ ამ ასაკისათვის დამახასიათებელ და სენზიტიურ გამლიზინებელთა სისტემას? განვითარება მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, როცა სოციალური გარემოს ზემოქმედება ცოცხალი ორგანიზმის

შინაგან ძალთა განვითარების მოცემულ დონეს შეესატყვისება. ე.ი. ასაკობრივი გარემოს შექმნის არსი ისაა, რომ ბავშვის, მისი შინაგანი ძალების შესატყვისმა ძალებმა იმოქმედოს. დ. უზნაძის მიხედვით ასაკობრივი გარემოს სტიმულების შერჩევა დამოკიდებულია ბავშვის ფსიქო-ფიზიკურ შესაძლებლობათა განვითარების დონესა და ხასიათზე მოცემულ ასაკში. „... ერთი მხრივ ბავშვის ძალთა განვითარება მასზე მოქმედ ასაკობრივ გარემოზე დამოკიდებული, ზოლო მეორე მხრივ, პირიქით, თვითონ ასაკობრივი გარემოს შინაარსი ბავშვის ძალთა განვითარების დონით განისაზღვრება“ (დ. უზნაძე)

შ. ჩხარტიშვილის აზრით განვითარების უშუალო და უახლესი მიზეზია თვით ბავშვის აქტივობა და არა ქცევის, აქტივობის სუბიექტური (შინაგანი) და ობიექტური (გარეგანი) შესაძლებლობები. ეს შესაძლებლობები განვითარებაზე მოქმედებენ იმდენად, რამდენადაც ისინი აქტივობის ძირითად პირობებს წარმოადგენენ და, ყოველი კონკრეტულ შემთხვევაში, მისი მდგომარეობის თავისებურებას განსაზღვრავენ. „...მოცემული შინაგანი და გარეგანი შესაძლებლობებიდან ფაქტიურად აღმოცენდება თუ არა ქცევის რეალური პროცესი, რომელმაც განვითარება უნდა გამოიწვიოს, ეს ამ შესაძლებლობებზე არაა დამოკიდებული... შეიძლება განვითარების კარგი შინაგანი და გარეგანი პირობები არსებობდეს, მაგრამ განვითარება მაინც არ მოხდეს, თუ ინდივიდმა ეს პირობები არ გამოიყენა და მათ ნადავზე შესაბამისი აქტივობა არ განახორციელა“. (დ. უზნაძე)

შ. ჩხარტიშვილის აზრით განვითარების პრობლემა არ გადაწყდება ქცევის წყაროების მხედველობაში მიუღებლად, რომელიც მოიცავს ინდივიდის მთხოვნილებებსა და ნებლობით სუეროს. იგი აქტივობის შინაგანი ფაქტორის ქვეშ გულისხმობს ქცევის ფსიქო-ფიზიკურ შესაძლებლობებს და მათ მოძრაობაში მომყვან წარმმართველ ძალებს-მთხოვნილებებს.

შ. ჩხარტიშვილი ფანხმება დ. უზნაძეს იმაში, რომ განვითარების წარმმართველი ქცევის მამოძრავებელი ძალა არის ინდივიდის ბუნებაში არსებული ფუნქციონალური სტრუქტურაში აღძრული აქტივობის მოთხოვნილება. მისი აზრით ეს მოთხოვნილება განვითარების დასაწყის ეტაპზე ღიაა და ფუნქციონალური სტრუქტურისათვის შესაძლო რომელიმე კონკრეტულ ფორმაში არაა დიფერენცირებული. ეს ხდება თანდათანობით, როცა იგი იმ კონკრეტულ, კერძო მოქმედებაში ფიქსირდება, რომელშიც უფრო ხშირად უხდება დაკმაყოფილება.

მოთხოვნილებათა გარეშე ფსიქო-ფიზიკური შესაძლებლობები არ განვითარდებიან. აქტივობა, რომელიც განვითარებას იწვევს, შეიძლება ფუნქციონალური მოთხოვნილებითაც აღიძრას და საგნობრივითაც. მაგრამ მოშწიების პროცესი ძირითადად იმ აქტივობაში მიმდინარეობს, რომელიც თვით მოშწიების პროცესში მყოფი შესაძლებლობებიდან მომდინარე ფუნქციონის მოთხოვნილებას მიჰყავს. განვითარების პირველი და მამოძრავებელი ძალაა აქტივობის მოთხოვნილება, რომელიც გამოხატავს სიცოცხლის ბუნებას.

შ. ჩხარტიშვილი განვითარების პროცესს იხილავს განწყობის ფსიქოლოგიის თვალსაზრისით. ინდივიდი დაბადებიდან გამოეყოფა და უპირისპირდება გარემოს. მათ შორის არსებული პირველადი ერთიანობა არასაღვეს წყდება. იცვლება მხოლოდ მისი ფორმა და შინაარსი. ინდივიდის მთელი ცხოვრება და განვითარება

ამ დაპირისპირებაში, ამ ერთიანობის შიგნით არსებულ წინააღმდეგობათა დაძლევის გზით მიმდინარეობს. განვითარების მამოძრავებელი ძირითადი წინააღმდეგობა უნდა ვეძიოთ დაპირისპირებულთა ერთიანობის შიგნით და არა მისი რომელიმე მხარის შინაგან ბუნებაში. აქტივობა არის ის ერთიანობა, რომელშიც ინდივიდი და გარემო უპირისპირდებიან ერთმანეთს, სადაც თავს იჩენს ის წინააღმდეგობა, რომელიც სწორედ განვითარების პროცესს ამოძრავებს.

ქვეყის უშუალო და უახლოესი მიზეზი არის განწყობა, რომელიც მის ყველა თავისებურებას განსაზღვრავს. ფსიქიკური განვითარების საკითხთან დაკავშირებით ინდივიდის მოთხოვნილებანი, აქტივობის ფსიქო-ფიზიკური შესაძლებლობანი და შესატყვისი მობიქტური პირობები განწყობის მთლიან მდგომარეობაში მოდიან ერთმანეთთან ისეთ მიმართულებაში, რომელიც განვითარებისთვისაცაა აუცილებელი. როცა რომელიმე შინაგანი შესაძლებლობა იწყებს განვითარებას, მისგან წარმოიქმნება აქტივობის ანუ ფუნქციონის მოთხოვნილება, რომლის საფუძველზეც ხორციელდება ის აქტივობა, რომელმაც ფუნქციონის მოთხოვნილება უნდა დააკმაყოფილოს და განვითარება უზრუნველყოს. აღზრდის წამყვანი როლი განვითარებაში იმაში მდგომარეობს, რომ იგი სიტუაციას ისეთ ფორმას აძლევს, რომელიც ბავშვს შესატყვისი აქტივობისას განწყობას აძვილად უქმნის, მისი დახმარებით შინაგანი შესაძლებლობები აძვილად ნახულობენ იმ სიტუაციურ მიმართებებს, რომელზედაც უნდა აიგოს აქტივობა. ბავშვის ფსიქიკის განვითარების ძირითადი პირობა და ფაქტორია მისი ადამიანთა საზოგადოებაში ცხოვრება. ადამიანური ურთიერთობის გარეშე ბავშვის ფსიქიკის განვითარება არ მოხდება. ამის აშკარა მაგალითია ცხოველთა გარემოში გაზრდილი ბავშვები, რომლებსაც ჰქონდათ ადამიანური ბიოლოგიური შეძკვიდრება, მაგრამ მოკლებულნი იყვნენ ადამიანურ სოციალურ ურთიერთობებს. ამის გამო ისინი ვერ შეტყველებდნენ, არ ჰქონდათ განვითარებული ინტელექტი, ადამიანური გრძნობები, თვითცნობიერება, ბავშვის ფსიქიკური განვითარება ხდება როგორც უშუალო გარემოცვით (ოჯახი, თანატოლები, ნათესავები, მეზობლები), ასევე უშთავრესად, ფართო სოციალური გარემოს (მასობრივი ინფორმაციის სხვადასხვა საშუალებები, ცხოვრებისეული გარემოებები) გავლენით.

ბავშვის ფსიქიკის განვითარების მამოძრავებელი ძალები რთული და მრავალფეროვანია. ბავშვის ფსიქიკური განვითარების უშუალო მამოძრავებელია ახალსა და ძველს შორის არსებული წააღმდეგობა, რომელიც აღმოცენდება და დაიძლევა სწავლებისა და აღზრდის პროცესში. ასეთ წინააღმდეგობას მიეკუთვნება წინააღმდეგობა ახალ მოთხოვნილებებსა და მათი დაკმაყოფილების შესაძლებლობებს შორის, წინააღმდეგობა უფროსების მოთხოვნებსა და ბავშვის ფსიქიკური განვითარების დონეს შორის და ა.შ. ასეთი წინააღმდეგობების გადალახვის პროცესში ბავშვის ფსიქიკის განვითარება უფრო მაღალ დონეზე ადის.

ყოველი წინააღმდეგობის მოხსნა ხდება ფსიქიკური მოქმედების უფრო მაღალი ფორმების განვითარებით, რის შედეგადაც ბავშვი ფსიქიკური განვითარების უფრო მაღალ საფეხურზე გადადის. მოთხოვნილების დაკმაყოფილებით წინააღმდეგობა იხსნება, მაგრამ დაკმაყოფილებული მოთხოვნილება ბავშვს ახალ მოთხოვნილებებს. ერთი წინააღმდეგობა იცვლება მეორეთი – განვითარება არ ჩერდება, იგი გრძელდება.

თავი III

ბავშვის ფსიქოლოგიური მზარობა სასკოლო ცხოვრებისათვის

ბავშვის სასკოლო ცხოვრების დაწყებისათვის ფსიქოლოგიურ მზარობას საფუძველი სკოლამდელ ასაკში ვერება. სკოლამდელი ასაკი ბავშვის მრავალი თვისებისა და ფუნქციის განვითარების სენზიტური, ხელსაყრელი პერიოდია.

ალბრდის თანამედროვე სისტემაში უმცროსი სასკოლო ასაკი ჩვენს ქვეყანაში იწყება ექვსი წლიდან. იყო პერიოდები, როცა სწავლის საწყისი ასაკი რვა, ხოლო დიდი ხნის განმავლობაში შეიძინა წელი იყო. უნდა აღინიშნოს, რომ სასკოლო სწავლის დასაწყისი, ქრონოლოგიური საზღვრები არ შეიძლება ჩაითვალოს საბოლოოდ გადაწყვეტილად. სწავლის დასაწყისი ასაკი შეიძლება შეიცვალოს იმის მიხედვით, თუ როგორ შეიცვლება დაწყებითი განათლების მიზნები და ამოცანები ზოგადი განათლების სისტემაში. ამიტომ სულაც არაა გამორიცხული, რომ რამდენიმე ათეული წლის შემდეგ სასკოლო სწავლის საწყისმა ასაკმა რამდენადმე დაიცვას.

სკოლაში შესვლა ბავშვის ცხოვრების გარდატეხის მომენტია. მისი ძირითადი თავისებურება ისაა, რომ უზრუნველი ბავშვობა დამთავრდა და ამერიდან იგი მოსწავლე ხდება. ეს თავისებური გარდამავალი მომენტია, როდესაც ბავშვებში ჯერ კიდევ შერწყმულია სკოლამდელისა და მოსწავლის თავისებურებები. ეს ასაკი ძალიან მდიდარია განვითარების ფარული შესაძლებლობებით. უმცროს სასკოლო ასაკში საფუძველი ვერება პიროვნების ბევრ ფსიქიკურ თვისებას.

სასკოლო ცხოვრების დასაწყისისათვის მზარობა განისაზღვრება ბავშვის ანატომიურ-ფიზიოლოგიური და ფსიქიკური განვითარების მიღწეული დონითა და პიროვნების თავისებურებებით. რა თქმა უნდა მნიშვნელოვანია ის, რომ ბავშვი სკოლაში შევიდეს ფიზიკურად ჯანმრთელი. ამიტომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მის გაჯანსაღებას, ნერვული სისტემის გამაგრებას. ცნობილია, რომ ხშირად კარგი ინტელექტუალური მონაცემების ბავშვები სუსტი ჯანმრთელობის გამო ვერ ერთვებიან სასკოლო ცხოვრებაში. ამ ასაკში ბავშვის ფიზიკური განვითარების ერთ-ერთი მთავარი მაჩვენებელია ამტანობა და გამძლეობა. ეს თვისებები მჭიდროდაა დაკავშირებული შრომისუნარიანობასა და მუშაობისუნარიანობასთან, რაც სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის წარმატების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირობაა. სასწავლო ცხოვრების დაწყება ბავშვებისაგან მოითხოვს არა მარტო მნიშვნელოვან ინტელექტუალურ დაძაბვას, არამედ დიდ ფიზიკურ გამძლეობას.

ესაკობრივი ფსიქოლოგია თვლის, რომ ბავშვის სასკოლო ცხოვრებისათვის მოზადების საქმეში პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭება მის ფსიქოლოგიურ მზარობას. ეს გამოიხატება ბავშვის ისეთი ფსიქიკური პროცესებისა და პიროვნული თვისებების განვითარების დონის მიღწევაში, რომელიც აუცილებელია დაწყებით კლასებში წარმატებით სწავლისა და ახალ პირობებში ადაპტაციისათვის.] სწავლისათვის ფსიქოლოგიური მზარობის შინაარსი განისაზღვრება იმ სისტემით,

რომელსაც ბავშვის წინაშე სკოლა აყენებს. ეს მოთხოვნები მნიშვნელოვნად განსხვავდება საბავშვო ბაღში არსებული მოთხოვნებისაგან. ეს დაკავშირებულია ბავშვის სოციალური მდგომარეობის შეცვლასთან, იმ ახალ როლთან, რომელიც მან დაიკავა სკოლაში შესვლასთან დაკავშირებით. ესაა მოსწავლის როლი.

პირველკლასელისაგან ახლა მოითხოვენ გაცილებით მეტ დამოუკიდებლობას, ორგანიზებულობას და საკუთარი ქცევის მართვის უნარს.

სკოლაში შესვლით იცვლება გარშემომყოფებთან დამოკიდებულებაც. მასწავლებელი ბავშვებს გაცილებით მეტად ეყარება, ვიდრე მათ აღმზრდელი ეყარებოდა. მას სახლშიაც სხვანაირად ექცევიან — ახალა იგი პატარა „მოზრდილია“, რომელსაც თავისი „საქმე“ უფლებები და მოვალეობები გააჩნია. პირველკლასელის ცხოვრების მთავარი შინაარსი სწავლაა. სწავლა მისი ქცევის ძირითადი ფორმაა. ბავშვები თავიანთ მარცხს და წარმატებებს სწავლაში განსაკუთრებით მძაფრად განიცდიან. უფროსების ბავშვებისადმი დამოკიდებულებაც ძირითადად იმით განისაზღვრება, თუ როგორ სწავლობენ ისინი. ახლა სწავლა არა მხოლოდ ცოდნის შექმნისა და ინტელექტუალური განვითარების საფუძველია, არამედ პიროვნების ჩამოყალიბების პრობაციაა. აღნიშნული გარემოება კიდევ უფრო ზრდის ბავშვის სკოლისათვის ფსიქოლოგიური მზაობის როლსა და მნიშვნელობას. უფროსი სკოლამდელი სკოლისათვის მზად უნდა იყოს შემეცნებითი ფსიქიკური პროცესების განვითარების, ნებელობითი და ეთიკური ემოციური სფეროს გარკვეული დონით. მას უნდა ჰქონდეს აგრეთვე გამოუმუშავებული უმცროსკლასელის სოციალური პოზიცია.

ბავშვის სკოლისათვის ინტელექტუალური მზაობა გამოიხატება იმაში, რომ მას ამ ასაკში სკოლამდელთან შედარებით ინტელექტუალური განვითარების უფრო მაღალი დონე უნდა გააჩნდეს. დიდი ხნის განმავლობაში ინტელექტუალური განვითარების შესახებ მსჯელობდნენ ბავშვის მიერ შეთვისებული ცოდნა - ჩვევების მოცულობისა და რაოდენობის მიხედვით. მათ შორის ერთმნიშვნელოვანი, პირდაპირი დამოკიდებულება არ აღინიშნება. რა თქმა უნდა, განსაზღვრული თვალსაწიერი, კონკრეტული ცოდნის მარაგი აუცილებელი ფუნდამენტია ბავშვის განვითარებისათვის. სასკოლო პროგრამის დაძლევა და ათვისება ბავშვისაგან მოითხოვს პირველ რიგში შედარების, ანალიზის, სინთეზის, განზოგადების და დასკვნის უნარს, შემეცნებითი პროცესების განვითარების გარკვეულ დონეს, რთული საგნებისა და მოვლენების დაფერენციალური აღქმის უნარს.

უ. პიაჟესათვის სასკოლო სწავლის დასაწყისია ის ასაკი, როცა ბავშვი გადაევა კონკრეტული ოპერაციების სტადიაზე. ესაა 6-8 წელი, ე.ი. როცა მას შეუძლია შენახვის კანონის აღმოჩენა. თუმცა, როგორც ახალმა კვლევებმა აჩვენა სპეციალური ვარჯიშების საფუძველზე კონკრეტული ოპერაციების სტადიის დადგომამდე შესაძლებელია შენახვის (და სხვა საბაზო კოგნიტური) კანონის აღმოჩენა.

დიდი მნიშვნელობა აქვს ბავშვის მიერ გარკვეულ უნართა განვითარების დონეს, რომელიც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს სასკოლო წარმატებას. დამატებითი თვისებურებაა სასწავლო ამოცანის გამოყოფა და ბავშვის

ქვეყის დამოუკიდებელ მიზნად გადაქცევა. ასეთი ოპერაცია სკოლაში შემსვლელისაგან მოითხოვს არა მხოლოდ ინტელექტუალური განვითარების განსაზღვრულ დონეს, არამედ სამყაროსადმი შეხედვებითი დამოკიდებულების, მის მიერ შექმნილი სიახლის მიზეზთა ძებნის უნარს. ზოგიერთ ბავშვს შეეძლება მოთხოვნილება უფრო აქვს გამოხატული და ატარებს თეორიულ ხასიათს, ზოლო სხვები პრაქტიკული, საყოფაცხოვრებო მოთხოვნილებებთან უფროა დაკავშირებული. პედაგოგის თვალს არ უნდა გამოეპაროს კლასის ასეთი „თეორეტიკოსები“ და „პრაქტიკოსები“. ეს თეორეტიკოსები ამკარა „რატომელები“ არიან.

ბავშვის სკოლისათვის ინტელექტუალური მომწიფება მნიშვნელოვანი, მაგრამ არა ერთადერთი ფაქტორია. ბავშვის სკოლისათვის ფსიქოლოგიური მზაობა, როგორც აღვნიშნეთ, გულისხმობს აგრეთვე ახალი „სოციალური პოზიციის“ ჩამოყალიბებას. ამიტომ სკოლისათვის სოციალურ-ფსიქოლოგიურ მზაობას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. ესაა მასწავლის მდგომარეობა, რომელსაც სკოლამდელთან შედარებით საზოგადოებაში სხვა უფლებები და მოვალეობა გაუჩნდა. ასეთი სახის პიროვნული მზაობა გულისხმობს ბავშვის სკოლისადმი, სასწავლო ქვეყისადმი, მასწავლებლისადმი და საკუთარი თავისადმი სპეციფიკურ დამოკიდებულებას. თუ ბავშვს არ გააჩნია მოსწავლის სოციალური პოზიცია, რაც არ უნდა მაღალი ინტელექტუალური განვითარებისა და ცოდნის დონე ჰქონდეს, მას სწავლა ძალიან გაუჭირდება. სწავლისათვის პიროვნული და ინტელექტუალური მზაობა არ ემთხვევა ერთმანეთს.

სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს ბავშვის სკოლისათვის მომწიფების ნებელობით მხარეს. მომავალ-პირველკლასელს სკოლაში დამატული შრომა ულის. ახლა მან უნდა გააკეთოს არა მარტო ის, რაც მას სურს, არამედ ის, რასაც მისგან მოითხოვს მასწავლებელი, რეჟიმი, სისვოლო პროგრამა. იმისათვის, რომ გააკეთოს არა მარტო სასიამოვნო, არამედ აუცილებელიც, საჭიროა ნებისყოფის დამატება, საკუთარი ქვეყის მართვა: ამისათვის ბავშვი უნდა შეეაჩვიოს თანდათან გართულებული სიტუაციების გადალახვას.

ბავშვის სასკოლო ცხოვრებისათვის მზაობას შ. ჩხარტიშვილიც სამი თვალსაზრისით იხილავს. მისი აზრით მომწიფებას აქვს სამი მხარე: ა) ფიზიკური, ბ) ინტელექტუალური და გ) სოციალურ-პიროვნული ანუ ეოლიტური. ბავშვი სასკოლო სწავლის დაწყებისათვის მაშინაა მზად, როცა მისი ფიზიკური, ინტელექტუალური და სოციალურ-პიროვნული მომწიფების დონე ისეთია, რომ მას უმტკივნელოდ შეუძლია მიიღოს და აიტანოს ის ფიზიკური, ინტელექტუალური და სოციალურ-პიროვნული დატვირთვა, რომელსაც ბავშვს სასკოლო ცხოვრება უყენებს.

სასკოლო სწავლისათვის ინტელექტუალური მომწიფება ნიშნავს, რომ ბავშვის ინტელექტუალური ოპერაციები იმდენადაა მომწიფებული, რომ მას მასწავლებლის დახმარებით შეუძლია პირველკლასელის პროგრამით გათვალისწინებული მასალის გაგება-ათვისება და დამახსოვრება. უპირველეს ყოვლისა აუცილებელია ბავშვი ახერხებდეს სასწავლო მასალის აღქმას, წარმოსახვაში მოცემული თვალსაჩინო მოუღწეების ობიექტივაციას, ელემენტარულ ანალიზს, სინთეზს, განყენებასა და

განზოგადებას. ანალიზისა და სინთეზის ელემენტარული დონის გარეშე ბავშვი წერა-კითხვასაც კი ვერ დაეუფლება. სასკოლო სწავლება იწვევს მოსწავლეთა ინტელექტუალური ძალების მაღალ აქტივობას, რაც თავის მხრივ ამ ძალთა განვითარებას იწვევს. ამ ძალების მაქსიმალური ამოქმედება კი დიდადაა დამოკიდებული ბავშვის ფიზიკურ განვითარებაზე, რასაც სასკოლო ცხოვრება არახელსაყრელ პირობებს უქმნის. საქმე იმაშია, რომ პროგრამული მასალის ათვისების დროს (გაკვეთილებზე თუ საშინაო დავალებების შესრულებისას) ბავშვი მოკლებულია ფიზიკური განვითარების ძირითად წყაროს - მოტორული აქტივობას. ამ ასაკის ბავშვს კი ამდენი ფიზიკური უმოქმედობის ატანა ძალიან უჭირს.

ბავშვის სკოლისათვის ფიზიკური მომწიფებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს მისი ძველ-ნრტილოვანი და კუნთური სისტემის მომწიფების დონეს. მაგრამ უპირატესობა აგზნებისა და შეკავების რეგულაციის უნარს ენიჭება. ამ ასაკში ბავშვის ნერვული სისტემის დატვირთვას იწვევს არა აქტივობა, არამედ — შეკავება. ამიტომ, როცა ბავშვის სკოლისათვის ფიზიკური მომწიფების საკითხი დგება, უწინარეს ყოვლისა მხედველობაში უნდა მივიღოთ შეუძლია თუ არა ბავშვის ნერვულ სისტემას აიტანოს ის დატვირთვა (შეკავება), რომელიც გაკვეთილზე უნდა განახორციელოს.

მხოლოდ ფიზიკური და ინტელექტუალური შესაძლებლობანი სასკოლო სწავლას ვერ უზრუნველყოფს. მათთან ერთად სათანადოდ უნდა იყოს მომწიფებული სოციალური პიროვნებაც. როგორც აღვნიშნეთ, ბავშვის სასკოლო სწავლის დასაწყებად ინტელექტუალურად მამონა მომწიფებული, თუ მისი აღქმა, მესხიერება, ყურადღება, აზროვნება ისეა განვითარებული, თუ მან მოინდომა, შეუძლია საპროგრამო მასალის დაძლევა, სწავლა მაგრამ მოინდობებს თუ არა იმის აღქმას, დამახსოვრებას, გაგებას და დასწავლას, რასაც მისგან მასწავლებელი მოითხოვს, ეს დამოკიდებულია სასკოლო ცხოვრებისათვის მომწიფების სოციალურ-პიროვნულ ასპექტზე, რაც იმას გულისხმობს, რომ ბავშვი შინაგანად მზადაა სოციალური მოთხოვნების სავალდებულო შესრულებისათვის.

ბავშვის სკოლისათვის მომწიფების ამ სამ ასპექტს შორის არსებობს გარკვეული მიმართება და როცა ეს მიმართება დაცულია, მაშინ ბავშვი ჰარმონიულადაა განვითარებული. სამწუხაროდ ეს ჰარმონია ყოველთვის არაა დაცული, რომელიმე მხარე ხანდახან ჩამორჩება ან წინ უსწრებს სხვებს.

შ ჩხარტიშვილი გამოყოფს ექვსი წლის ბავშვის სკოლისაკენ მისწრაფების რამდენიმე მოტივს:

1) *სწავლისაკენ მისწრაფების მოტივი*. სკოლამდელი ასაკის ბოლოსთვის ბავშვის საგრძობლად აქვს განვითარებული ინტელექტუალური ძალები და მათთან დაკავშირებული სწავლისათვის საჭირო აქტივობის მოთხოვნილება. ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილების ყველაზე საუკეთესო პირობას სკოლა წარმოადგენს;

2) *სწავლისა და ცოდნის ობიექტური ღირებულების წვდომა*. სკოლამდელი ასაკის ბავშვის ქცევის ძირითადი ფორმა თამაშია. ბავშვი, არსებითად, თამაშით

ცხოვრობს და ვითარდება. მაგრამ იგი კარგად ზედაეს, რომ უფროსები თამაშთან შედარებით სწავლას მეტ ფასსა და ღირებულებას ანიჭებენ. ამავე დროს მას ინტელექტუალური ძალების აქტივობის საკმაოდ ინტენსიური მოთხოვნები აქვს და იგი ბუნებრივად იღებს სკოლის მიმართულებას.

3) *სოციალური კონტაქტების გაფართოების ინტერესი*. ექვსი წლის ბავშვის უკვე აღარ აკმაყოფილებს ორ-სამ წევრიანი ხანმოკლე დაჯგუფებები.

4) *ცნობის მოყვარეობა*. ამ მიმართულებით სკოლა განსაკუთრებულ ადგილს იჭერს. სკოლის ცხოვრების მიმზიდველი ეპიზოდების შესახებ მას ბევრი ესმის მშობლების, მეზობლებისა და უფროსი და-ძმებისაგან;

ბავშვის სკოლაში შესვლასთან დაკავშირებით გამოიყოფა სამი სახის სიძნელე:

ა) *სასკოლო რეჟიმის თავისებურებები*. ესაა თავის დროზე გაღვივება, გაკვეთილებზე წყნარად და სწორად ჯდომა, საშინაო დავალებების დროული შესრულება და ა.შ. თვლიან, რომ ფსიქო-ფიზიოლოგიური თვალსაზრისით პირველკლასელთა უმრავლესობა მზადაა შესატყვისი ქცევითა ფორმირებისათვის. აუცილებელია მხოლოდ ის, რომ მშობლებმა და მასწავლებლებმა გასაგებად და ცხადად ჩამოაყალიბონ ახალი მოთხოვნები და გააკონტროლონ მისი შესრულება.

ბ) *მასწავლებელთან და ოჯახთან დამოკიდებულების თავისებურება*. მასწავლებელი, როგორც თბილი და ალურსიანიც არ უნდა იყოს იგი, მაინც მკაცრი დამრიგებელია, რომელიც არ უშვებს გარკვეული წესებიდან რაიმე გადახვევას. ბავშვებს ამის გამო მასწავლებლის მიმართ უჩნდებათ ერთგვარი მოკრძალების განცდა.

სკოლაში შესვლასთან ერთად იცვლება ბავშვის მდგომარეობა ოჯახში. მშობლებმა ახლა ანგარიში უნდა გაუწიონ მის დღის რეჟიმს. ბავშვს უჩნდება ახალი ვალდებულებები და უფლებები. თუმცა, უნდა ვეცადოთ, რომ ბავშვმა მეტისმეტად არ გააზვიადოს თავისი სასკოლო კოლიზიები

გ) *„სწავლის მოყვარეობა“*. ეს პროცესი იწყება სასწავლო წლის შუა პერიოდიდან. სწავლების პროცესი პირველ კლასში ისეა აგებული, რომ ბავშვები იღებენ ამ თუ იმ ცოდნას მზა სახით, რომელიც უნდა დაიმასსოვრონ. სპეციალურად არ განიხილება ამ ცოდნის საჭიროება, მისი პრაქტიკული გამოყენების საკითხი. ამის გამო ბავშვის შემეცნებითი აქტივობა ერთგვარად შეზღუდულია. ბავშვი ჯერჯერ სკოლის გარეგან ატრიბუტებს და მას უქრება და უძნელდება პირვანდელი სწრაფვა სკოლისაკენ, რის შედეგადაც მას უჩნდება უხალისობა და გულგრილობა. ამ მოვლენიდან გამოსავალია სასწავლო-შემეცნებითი ამოცანების გართულება, ბავშვის წინაშე დავალებათა ისეთი სისტემის შექმნა, რომელიც მოითხოვს მისი გადაწყვეტის უფრო აქტიური გზებისა და საშუალებების ძიებას.

სკოლაში შესვლის პირველი დღეები მეტად ფაქიზი და თავისებურია ბავშვისათვის. იგი დიდი იმედებითა და მოლოდინით მიდის სკოლაში და მისი სულიერი განწყობილებაც აწეულია. ბავშვი რომ სახლში სკოლისა და მასწავლებლის სიყვარულით დაბრუნდეს, საჭიროა პირველ ხანებში ინტელექტუალურზე მეტი ემოციური საზრდო მიეცეს.

ასაკობრივი პერიოდიზაციის პრობლემა ასაკობრივი ფსიქოლოგიის ერთ-ერთი ცენტრალური, მაგრამ ჯერ-ჯერობით ბოლომდე დაუშუშავებელი პრობლემაა. ასაკობრივი ფსიქოლოგიის ისტორიას რომ თვალი გადავაკლოთ, აღმოვაჩინოთ ასაკობრივი პერიოდიზაციის მრავალ ცდას, სადაც პერიოდიზაციის კრიტერიუმად სხვადასხვა ასპექტი იქნა წამოყენებული და ამის გამო პერიოდიზაციათა მრავალფეროვნება მივიღეთ. ყოველი მომდევნო პერიოდიზაციის ცდამ წინა პერიოდიზაციის მხოლოდ ნაკლებ მუთითაა, პერიოდიზაციის ძირითადი სიმძლეე მისი კრიტერიუმის, საფუძვლის მონახვაა. პერიოდიზაციის თანამედროვე ცდებიც ვერ აცდება ამგვარ კრიტიკას.

რა არის ასაკი? სწორი პასუხი ამ კითხვაზე იმაზე დამოკიდებული, თუ როგორაა გაგებული ადამიანის ზოგადი ბუნება;

ისტორიული განვითარების პროცესში იცვლებიან ის საერთო პირობები, რომელშიც ბავშვი ვითარდება, იცვლება სწავლების შინაარსი და მეთოდები. ყოველივე ეს გავლენას ახდენს ბავშვის განვითარების ეტაპობრივ ცვლილებებზე. თითოეული ასაკი თავისთავად ფსიქიკური განვითარების თვისობრივად ახალი, განსხვავებული ეტაპია და ხასიათდება მრავალი სპეციფიკით, რომელიც ერთობლივად ქმნის ბავშვის პიროვნების სტრუქტურის სპეციფიკასა და თავისებურებებს მისი განვითარების მოცემულ ეტაპზე.

ლ. ვიგოტსკი ასაკს განიხილავდა როგორც განვითარების განსაზღვრულ ეპოქას, ციკლს ან საფეხურს, როგორც განვითარების შედარებით დაბნულ პერიოდს, რომლის მნიშვნელობა განისაზღვრება მისი ადგილით განვითარების საერთო ციკლში და, რომელშიც განვითარების ზოგადი კანონები ყოველთვის თავისებურად არიან გამოხატული. ერთი ასაკობრივი საფეხურიდან მეორეზე გადასვლისას წარმოიშობა ახალი წარმონაქმნი, რომელიც წინა საფეხურზე, სტადიაზე არ არსებობდა. ასაკის თავისებურებანი კი განისაზღვრება მრავალი პირობათა ერთობლიობით: მოთხოვნილებათა სისტემა (ყველა ასაკში სპეციფიკური), გარემომოქოფებთან დამოკიდებულების თავისებურება (სპეციფიკური დამოკიდებულება თანატოლებთან და უფროსებთან), ცოდნისა და მოქმედებების ტიპი, რასაც იგი ამ მონაკვეთში დაეუფლება და ამ ცოდნის შეთვისების წესებიც.

ასაკის თავისებურებებისა და სპეციფიკის განსაზღვრელი გარე პირობები ბავშვზე, უშუალოდ არ მოქმედებენ. ასაკის სპეციფიკას განსაზღვრავს გარეგან და შინაგან პირობათა ერთობლიობა, ზოლო მათ შორის არსებული მიმართების შეცვლა განაპირობებს შემდგომ ასაკობრივ საფეხურზე გადასვლის აუცილებლობას. ამრიგად, ასაკი ხასიათდება ცხოვრების პირობების თავისებურებებით, ბავშვის განვითარების მოცემულ ეტაპზე წარმოდგენილი მოთხოვნილებებით, გარემომოქოფო ადამიანებთან მისი დამოკიდებულების თავისებურებებით, პიროვნების ფსიქოლოგიური სტრუქტურის განვითარების დონით, მისი ცოდნისა და აზროვნების საფეხურებით და განსაზღვრულ ფიზიოლოგიურ თავისებურებათა ერთობლიობით.

ასაკის სპეციფიკის განმსაზღვრელ ერთ-ერთ ძირითად ფაქტორს ბავშვის ცხოვრების პირობების, აღზრდისა და სწავლების ფორმების ცვალებადობა წარმოადგენს. სასწავლო მეცადინეობამ საბავშვო ბაღში, სკოლისათვის მოსამზადებელმა მუშაობამ არსებითად შეცვალა სკოლამდელი ასაკის საზღვრები და შინაარსი, ფსიქოლოგიურ-პედაგოგიურმა კვლევა-ძიებითმა გამოცდილებამ და სრულყოფილი პროგრამებით სწავლების შედეგებმა გვიჩვენეს, რომ სასწავლო პროცესის გარკვეული ორგანიზაციის შემთხვევაში სწავლების შინაარსისა და მეთოდების შეცვლით არსებითად იცვლება უმცროს მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებანი. ამიტომ უკანასკნელ ხანს ასაკობრივ და პედაგოგიურ ფსიქოლოგიაში ხშირად მიმართავენ პედაგოგიურ კრიტერიუმებზე დაფუძნებულ ასაკობრივ პერიოდიზაციას. ამ თვალსაზრისით ბავშვების ასაკს ყოფენ სკოლამდელ და სასკოლო პერიოდებად; სასკოლო ასაკი კი თავის მხრივ იყოფა სამ დიდი პერიოდად:

- 1) უმცროსი სასკოლო, ანუ დაწყებითი სკოლის ასაკი I - II- III კლასები;
- 2) საშუალო სასკოლო ასაკი - IV - V - VI - VII- VIII კლასები
- 3) უფროსი სასკოლო ასაკი IX- X XI კლასები.

ამ დაყოფას შეესაბამება პერიოდები:

ა) უმცროსი სასკოლო ასაკი ბ) გარდამავალი ასაკი, რომელიც თავის მხრივ იყოფა უმცროს და უფროს მოზარდებად და გ) ჭაბუკობის ასაკი. ჭაბუკობის ასაკის იმ პერიოდს, რომელსაც ბავშვით სკოლაში ატარებს, ეწოდება ადრეული ჭაბუკობა. მიუხედავად იმისა, რომ პერიოდიზაციის ეს ფორმა ძალიანაა გავრცელებული და აღიარებული, მას აქვს არსებითი ზასიათის ნაკლი. უპირველეს ყოვლისა იგი ასახავს განათლების დაწესებულებების არსებულ სისტემას და არა ნამდვილ, ჭეშმარიტ ასაკობრივ თავისებურებებს. საჭიროა მხედველობაში მივიღოთ ის გარემოება, რომ ზოგადი ასაკობრივი თავისებურებანი წარმოადგენს გაშუალების გზით მიღებულ დაზასიათებებს. პედაგოგიურ მუშაობაში აუცილებელია ბავშვთა ასაკობრივ მანქვენებლებთან ერთად გავითვალისწინოთ აგრეთვე ინდივიდუალური თავისებურებებიც, რომელიც შეიძლება არსებითად განსხვავდებოდეს ერთმანეთისაგან ერთსა და იმავე ასაკის ბავშვებსში.

ბავშვის ორგანიზმი განუწყვეტლივ იზრდება და ვითარდება. ონტოგენეზის პირობებში აღმოცენდება სპეციფიკური ანატომიური და ფუნქციონალური თავისებურებანი, რომელსაც მარტივად ასაკსაც უწოდებენ. ამის შესაბამისად ადამიანის ცხოვრებისეული ციკლი შეიძლება დაგვით პერიოდებად, ანუ ეტაპებად. ამ პერიოდებს შორის მკვეთრად გამოყოფილი საზღვრები არაა და ისინი მნიშვნელოვანწილად პირობითია. მაგრამ ასეთი პერიოდების გამოყოფა აუცილებელია, რადგან ერთი და იგივე კალენდარული (საპასპორტო), მაგრამ სხვადასხვა ბიოლოგიური ასაკის ბავშვები განსხვავებულად რეაგირებენ სასწავლო თუ შრომით დატვირთვაზე. ამასთან ერთად მათი სპორტული მუშაობისუნარიანობაც შეიძლება მეტ-ნაკლები იყოს რაც აუცილებლად გასათვალისწინებელია მათი სწავლა-აღზრდის პროცესში.

საპასპორტო ასაკისაგან განსხვავებით, სადაც ასაკთაშორისი ინტერვალი ერთი წელია, ბიოლოგიური (ანატომიურ-ფიზიოლოგიური) ასაკი მოიცავს

ადამიანის ცხოვრების რამდენიმე წელს, რომელშიც ხდება განსაზღვრული ბიოლოგიური ცვლილებები.

რა კრიტერიუმები უნდა დაედოს საფუძვლად ასაკობრივ პერიოდიზაციას? როგორც აღვნიშნეთ, ამ საკითხში დღემდე არაა შემუშავებული ერთიანი აზრი. ზოგი ავტორი პერიოდიზაციას საფუძვლად უდებს სქესობრივი ჯირკვლების მომწიფებას, ორგანიზმისა და ქსოვილების ზრდის სისწრაფესა და დიფერენციაციას, მეორენი ჩონჩხის გაძვლოვანების დონეს (ძვლოვანი ასაკი). პერიოდიზაციის კრიტერიუმებად ასახელებენ აგრეთვე ისეთ ნიშნებსაც, როგორიცაა ცენტრალური ნერვული სისტემების (თავის ტვინის ქერქის) განვითარების დონე, ასაკობრივი საფეხურების ენერგეტიკული პროცესების თავისებურებანი და ორგანიზმისა და გარემო პირობებთან ურთიერთობის ხერხები.

გავრცელებულია ნ. გუნდობინის პერიოდიზაცია, რომლის მიხედვითაც გამოიყოფა შემდეგი პერიოდები:

- 1) დედის საშოს პერიოდი
- 2) ახლად დაბადებული (ორი-სამი კვირა)
- 3) ბუბუს ასაკი (ერთ წლამდე)
- 4) სკოლის წინარე ასაკის წინარე პერიოდი (1-3 წლამდე)
- 5) სკოლაძღული ასაკი (3-7 წლამდე)
- 6) უმცროსი სასკოლო ასაკი (7-12 წლამდე)
- 7) საშუალო ანუ გარდამავალი ასაკი (12-15 წლამდე)
- 8) უფროსი სასკოლო ანუ ჭაბუკობის ასაკი (გოგონებთან 14-18 წელი ბიჭებთან 15-16, 19-20 წელი)

ნ. გუნდობინის პერიოდიზაცია განეკუთვნება იმ პერიოდს, როცა სასკოლო სწავლა 8 წლის ასაკში იწყებოდა.

1965 წელს ქალაქ მოსკოვში ჩატარდა ასაკობრივ პერიოდიზაციის სიმპოზიუმი, რომელმაც რეკომენდაცია მისცა პერიოდიზაციის სქემას, რომელიც თანდათანობით პოპულარული ხდება, (განსაკუთრებით ბიოლოგთა წრეებში). ეს სქემა ასეთია:

- 1) ახალდაბადებული (1-10 დღე)
- 2) ბუბუს ასაკი (10 დღიდან – 1 წლამდე)
- 3) აღრეული ბავშვობა (1-3 წლამდე)
- 4) პირველი ბავშვობა (4-7 წელი)
- 5) მეორე ბავშვობა (8-12 წელი ვაუებისათვის, 8-11 წელი გოგონებისათვის)
- 6) გარდამავალი ასაკი (13-16 წელი ბიჭებისათვის, 12-15 წელი გოგონებისათვის)
- 7) ჭაბუკობის ასაკი (17-21 წელი ვაუებისათვის 16-20 წელი გოგონებისათვის)
- 8) მოწიფულობის პერიოდი (I პერიოდი 22-35 წლამდე II პერიოდი 36-60 წლამდე მამაკაცებისათვის, 36-55 ქალებისათვის)
- 9) ზანდაზმული ასაკი (61-74 მამაკაცებისათვის, 56-74 ქალებისათვის)
- 10) მოზუტეებულობის ასაკი (75-90 წელი)
- 11) მსცოვანი (90წელს ზევით).

ამ პერიოდიზაციის კრიტერიუმად აღებულია ისეთი ნიშნების კომპლექსი, როგორიცაა ორგანოთა და სხეულის ზომები, მასა, ჩონჩხის გაძვლოვანება, შინაგანი

სეკრეციის ჯირკვლების განვითარება, სქესობრივი მომწიფების ხარისხი, კუნთური ძალა. ამ სქემაში გათვალისწინებულია გოგონებისა და ვაჟების თავისებურებანი, მაგრამ, საკითხი ბიოლოგიური ასაკის კრიტერიუმების შესახებ, რომლებიც ასაკობრივი პერიოდიზაციის საფუძვლად გამოდგება, მომავლის საქმეა.

ცალკეული ასაკობრივი საფეხურის განსხვავება ერთმანეთისაგან ყოველთვის მახლოებითაა, რადგან განვითარება წარმოებს განუწყვეტლივ და ძნელაა ზუსტი საზღვრების დადგენა იმისა, თუ როდის მთავრდება ერთი ასაკობრივი პერიოდი და როდის იწყება მეორე. არსებობს აგრეთვე მნიშვნელოვანი ინდივიდუალური ვარიაციებიც.

ასაკობრივი პერიოდიზაციის საფუძვლად ხშირად იღებენ მხოლოდ ბიოლოგიურ მომწიფებას, მაგალითად კბილების ცვლას (უკბილო, სარძევე და მუდმივი კბილების ბავშვობის პერიოდები), სქესობრივ მომწიფებას (წინაპუბერტატული და პუბერტატული პერიოდები). სინამდვილეში კი ბიოლოგიური მომწიფება ქმნის ასაკობრივი ცვლილებების მხოლოდ წინაპირობებს.

ასაკობრივი თავისებურებანი მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული სოციალურ პირობებსა და აღზრდაზე. ზოგი ავტორი ფიქრობს, რომ სკოლამდელი და უმცროსი სასკოლო ასაკი მისი სპეციფიკური გამოვლინებით, ადამიანის ისტორიულ განვითარებაში ჩამოყალიბდა შედარებით გვიან და იყო დრო, როცა იგი საერთოდ არ არსებობდა.

ზოგი მკვლევარი თვლის, რომ ასაკის დახასიათებისათვის, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს „წამყვან მოქმედიანობას“ (პ. გალპერინი). ამ მოქმედიანობაში რეალიზდება ამ საფეხურის ბავშვის ტიპური დამოკიდებულება ადამიანებთან და გარემოსთან და ხორციელდება მისი ფსიქიკის ძირითადი გარდაქმნები. ასეთ მოქმედიანობად გვევლინება თამაში, სწავლა და შრომა. წამყვანი მოქმედიანობის პროცესში ბავშვის მიერ სოციალური გამოცდილების აქტიური ათვისება ხდება. ასაკობრივი განვითარების ელემენტარული წამყვანი მოქმედიანობიდან უფრო რთულზე გადასვლის დროს იზრდება ახალი გამოცდილების შექმნის შესაძლებლობა. ამ პერიოდიზაციას საფუძვლად უდევს წარმოდგენა იმის შესახებ, რომ თითოეულ ასაკს, როგორც ადამიანის ცხოვრების თავისებურ და სპეციფიკურ პერიოდს, შეესაბამება წამყვანი მოქმედიანობის განსაზღვრული ტიპი. ამ ტიპთა შეცვლა აპირობებს ასაკობრივი პერიოდების შეცვლას. როგორც ვხედავთ ბავშვობა გაგებულა როგორც ადამიანური ცხოვრების გარკვეული ეტაპი, რომელიც ატარებს კონკრეტულ-ისტორიულ ხასიათს. წამყვან მოქმედიანობას აქვს შემდეგი ნიშნები:

ა) მასში ქარმოიქმნება სხვა კერძო ფსიქიკური პროცესები (მაგალითად, თამაშში ფორმირდება წარმოსახვა).

ბ) მასზეა დამოკიდებული მოცემულ ასაკობრივ პერიოდში ბავშვის პიროვნების ფსიქოლოგიური ცვლილებები (თამაშის პროცესში სკოლამდელი ეუფლება საზოგადოებრივ ფუნქციებს და ქცევის შესაბამის ნორმებს).

ბავშვის ფსიქიკური განვითარების ძირითადი პერიოდები, როგორც იგი წარმოადგენილია დ. ელკონინის შრომებში, დამოკიდებულია წამყვანი მოქმედიანობის შემდეგ ტიპებზე და მათ საფუძველზე აღმოცენებულ თითოეული ასაკის ცენტრალურ ფსიქოლოგიურ ახალ წარმონაქმნებთან:

1) ჩეილისათვის (დაბადებიდან წლამდე) დამახასიათებელია უფროსებთან უშუალო ემოციური ურთიერთობა, რომლის პროცესშიც ბავშვს უყალიბდება მათთან მუდმივი კონტაქტის მოთხოვნილება. ეს კონტაქტები ბავშვის მიერ უფროსების გამოცდილების შემდგომი ათვისების აუცილებელი პირობაა;

2) აღრეული ბავშვისათვის (3წლამდე) სპეციფიკურია საგნობრივ-მანიპულაციური მოქმედება, რომლის საშუალებითაც ბავშვი ითვისებს საგნების მოხმარების საზოგადოებრივად გამოუმუშავებულ ხერხებს;

3) სკოლამდელი ბავშობა (3-7 წლამდე) დაკავშირებულია თამაშთან, რომლის პროცესში ბავშვი ეცნობა განსაზღვრულ საზოგადოებრივ ნორმებსა და ფუნქციებს. თამაშში ყალიბდება ამ ფუნქციებისა და ნორმების შესრულების მოთხოვნილება, წარმოსახვა და სიმბოლური ფუნქციები.

4) უმცროსი სასკოლო ასაკი (7-10 წლამდე) დაკავშირებულია სწავლასთან, რომლის პროცესშიც ბავშვებს აღმოუცენდებათ ფსიქოლოგიური ახალწარმონაქმნების რიგი, რომლებიც უზრუნველყოფენ სინამდვილესთან თეორიული დამოკიდებულების საფუძვლებს, განყენებული ცნებებით ოპერირების უნარს;

5) მოზრდილობის ასაკისათვის (10-15 წელი) დამახასიათებელია ურთიერთობა სხვადასხვა სახის საზოგადოებრივ-სასარგებლო მოქმედების საფუძველზე, რის შედეგადაც მოზარდს უყალიბდება საზოგადოების შესაბამისი მორალური ქცევის გაცნობიერებული ნორმები, საკუთარი ქცევის წარმოება და შეფასება კოლექტივის სხვა წევრთა პოზიციის გათვალისწინებით;

6) უფროსკლასელები (15-17 წელი) აქტიურად უთავსებენ ერთმანეთს სწავლასა და სასარგებლო შრომას, რაც პროფესიის არჩევისა და ცხოვრებისეული გეგმების შედგენის საფუძველი ხდება.

ა. გეზელის მიხედვით, ასაკობრივი პერიოდიზაცია პირობითია, რის გამოც ასაკობრივი საფეხურები წარმოადგენენ პირობით ორიენტირებს. მან გამოყო შვიდი ასაკობრივი საფეხური: 1) ემბრიონი (0-8 კვირა) 2) ფეტუსი (8-40 კვირა), 3) ტუბუს ასაკი (დაბადებიდან 2 წლამდე), 4) სკოლის წინარე ასაკი (2-5 წელი) 5) სკოლის ასაკი (5-12 წელი) 6) ჭაბუკობის ასაკი (12-20 წელი); 7) ზრდასრულობის ხანა.

ა. გეზელს აინტერესებდა საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ აისახებოდა ინდივიდის ქცევაზე მისი განვითარების პროცესი და ინდივიდუალური თავისებურებანი. ა. გეზელის განვითარების ე.წ. სპირალური მოდელი, ძირითადად, ბიოლოგიური ორიენტაციისა და გულისხმობს, რომ მომწიფებისა და განვითარების პროცესს ერთობლივად მართავენ გენეტიკური და ბიოლოგიური ფაქტორები, რომლებიც, თავის მხრივ, განსაზღვრავენ განვითარების ტენდენციებსა და ნიშნების თანმიმდევრობას. მის მიხედვით ნიჭი და უნარები ჩნდებიან თავისთავად, სპეციალური სწავლებისა და პრაქტიკის გარეშე. განვითარების ეს ბიოლოგიური დეტერმინიზმი, ა. გეზელის მიხედვით, გამორიცხავს ბავშვის განვითარებაზე მასწავლებლებისა და მშობლების რაიმე ზეგავლენას. იგი თვლიდა, რომ ბავშვი იბადება უნიკალური გენეტიკური ფაქტორებით, ანუ ინდივიდუალური

კონსტიტუციითა და განვითარების თანმიმდევრობით. იგი არ უარყოფდა განვითარებაში გარეყოფა ფაქტორებისა და აღზრდის მნიშვნელობას, მაგრამ მიაჩნდა რომ განვითარებაში ცენტრალური ადგილი მიიღო ბიოლოგიურ ფაქტორებს განეკუთვნება.

ბუზემანი ანსხვავებს ადგენებისა და დამშვიდების ფაზებს, რომლებიც ყოველ ასაკობრივ საფეხურს ახასიათებს და კანონზომიერად ენაცვლებიან ერთმანეთს. ბუზემანისათვის თვით ფაზების თანმიმდევრობაც განვითარების ფაქტს წარმოადგენს. მის მიხედვით ასაკობრივი განვითარება სამ საფეხურადაა დაყოფილი: ა) ადრეული ბავშვობა ბ) საშუალო და მომწიფებელი ბავშვობა და გ) მოწიფული ასაკი. თითოეულ საფეხურს ორ-ორი პერიოდი და თითოეულ პერიოდს ორ-ორი ფაზა, რომელიც ყოველი საფეხურის ყოველ პერიოდში ტალღისებურ ცვლილებებს აღნუსხავენ ფუნქციითა ხან ერთ, ხან მეორე სფეროში.

ტუმპლარცის ასაკობრივი საფეხურების თეორიაში დაყოფის საფუძვლად აღებულია „მე“-სთან დამოკიდებულება, რის საფუძველზეც მან გამოყო სამი საფეხური:

- ა) ადრეული ბავშვობა (2-5 წელი)
- ბ) სკოლის ასაკი (7-11 წელი)
- გ) მომწიფების წლები (14-17 წელი)

ჰანსენის კლასიფიკაცია შეიცავს სამ ფაზას:

ა) ბავშვობის ადრინდელი ფაზა, გრძელდება 4 წლამდე და ხასიათდება იმით, რომ ბავშვების მიერ საგნები განიცდება არა ნივთობრივ-საგნობრივი განსაზღვრულობის მიხედვით, არამედ უფრო მეტად თვით ბავშვის მიდრეკილებების და აქტუალური სურვილების მიხედვით.

ბ) ბავშვობის მთავარი ფაზა გრძელდება 4-5 წლიდან მომწიფებამდე. ამ ფაზის საერთო სურათი ნივთობრივ - რეალისტურია.

გ) მომწიფების ხანა (15-17 წელი). ინდივიდის შინაგანი სამყაროსაკენ მოზრუნება ამ პერიოდის მთავარი თვისებაა. საკუთარი პოზიციისკენ მიდრეკილებას თანდათანობით სამყაროს სურათის შეცვლა მოყვება. (ა. გეზელის ბუზემანის, ტუმპლარცის და ჰანსენის პერიოდიზაციები მოტანილია ნ. ჭრელაშვილის შრომიდან - „მოზარდის ფსიქოლოგიური თავისებურებანი“).

პ. ბლონსკის პერიოდიზაციას საფუძვლად უდევს კბილების ამოსვლა და მოცვლა. ამ პერიოდიზაციაში, იმის გამო, რომ მას საფუძვლად უდევს ბიოლოგიური პრინციპი, სხვადასხვა ასაკის ბავშვები განვითარების ერთსა და იმავე საფეხურზე შეიძლება აღმოჩნდნენ. (მაგალითად 8-9 წლიანები და 18-19 წლიანები) პ. ბლონსკი გამოყოფს 4 პერიოდს: 1) დედის მუცლის ხანა, 2) უკბილო ბავშვობის ხანა (1 წელი) 3) სარძევე კბილების ხანა (7 წლამდე) და 4) მუდმივი კბილების ხანა.

პერიოდიზაციის შესახებ საინტერესო შეხედულებები აქვს გამოთქმული ამერიკელ ფსიქოლოგს სტენლი პოლს. იგი იყო განვითარების ბიოლოგიური თეორიის წარმომადგენელი, რომლის მიხედვითაც მოზარდში მიმდინარე

ყოველგვარი ცვლილების მიზეზი არის ბიოგენეტიკური ფაქტორები. ინდივიდის განვითარების პროცესს, ისევე როგორც მის ქცევებს, განსაზღვრავს მემწიფების შინაგანი ძალები, ხოლო აღზრდის სოციალ-კულტურული პირობების როლი უმნიშვნელოა.

ბ. პოლის რეკაპიტულაციის თეორიის თანახმად, ყოველი ინდივიდი თავის განვითარებაში გაივლის იმ ეტაპებს, რომლებიც შეესაბამებიან ადამიანის ევოლუციური განვითარების პერიოდებს. მან გამოყო 4 ასეთი ეტაპი:

1) ჩვილობა (პირველი ოთხი წელი) როცა ბავშვი აღადგენს და იმეორებს განვითარების ცხოველურ ფაზას;

2) ბავშვობა (5-7 წელი). ეს ეტაპი შეესაბამება იმ ისტორიულ ეპოქას, როცა უძველესი ადამიანები ცხოვრობდნენ გამოქვაბულებში და ეწეოდნენ ნადირობას და თევზაობას. ამ ასაკში ბავშვები თამაშობენ ნადირობისა და ფაჩალობის სცენებს, ამასთანავე იყენებენ სათამაშო იარაღებსაც.

3) ყრობა ანუ მოზარდობის წინა პერიოდი (8-12 წელი). განვითარების ეს ეტაპი შეესაბამება ველურობის დასარულსა და ცივილიზაციის დასაწყისს. ამ ასაკში ბავშვები სწავლობენ წერა-კითხვას, ზატვას, რიცხვით ოპერაციებს, უცხო ენებს.

4) ჭაბუკობა ანუ ჰუმბერტატული პერიოდი (13-24 წელი). ესაა ადამიანის ცხოვრების ის პერიოდი, როცა კაცობრიობა გამოვიდა გარდამავალი ეპოქიდან და ეზიარა ცივილიზაციას.

პერიოდიზაციის შესახებ საინტერესო შეხედულება აქვს გამოთქმული ფრანგ ფსიქოლოგს ა. ვალონს. იგი დიალექტიკურად წყვეტს ბავშვის ფსიქიკის განვითარების სტადიალურობის საკითხს. მის მიხედვით თითოეული სტადია რაოდენობრივი და თვისობრივი ცვლილებების შედეგია. იგი გამოყოფს ბავშვის ონტოგენეტიკური განვითარების შემდეგ სტადიებს:

1) დედის საშოს პერიოდი. ამ სტადიაზე ჩანასახი მთლიანადაა დამოკიდებული დედის ორგანიზმზე.

2) მოტორული იმპულსების სტადია (დაბადებიდან 6 თვემდე). კვებისა და მოძრაობის აქტივობის მოთხოვნილებებს ბავშვი ავლენს სპაზმურ მოძრაობებში, ყვირილში. ყოველივე ეს საფუძვლად ედება კვებისა და მოტორიკის ელემენტარული პირობითი რეფლექსების გამოუმუშავებას (რეიში, მდებარეობა, რწყვა);

3) ემოციური სტადია (6 თვიდან წლამდე) ამ დროს ბავშვი იყენებს რა მიმიკასა და ფესტებს, ამყარებს დამოკიდებულებას გარშემო მყოფ ადამიანებთან. იგი უკვე გამოხატავს ბრუნს, ტკივილს, სიმპათიებს, კმაყოფილებას. განსაკუთრებულ მჭიდრო კონტაქტს ბავშვი ამყარებს დედასთან, რაც პირველ რიგში მისი განვითარების მძლავრი სტიმულია. ამ სტადიის დასაწყისს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ბავშვის ფსიქიკის განვითარებისათვის.

4) სენსომოტორული სტადია (1-7 წლამდე). ეს სტადია ხასიათდება საორიენტაციო რეფლექსის აღმოცენებისა, მეტყველებისა და სიარულის ჩვევების შემუშავებით. ამის გამო ბავშვის ყურადღება გადადის გარემო საგნებზე, სცილდება ახლობელ უფროსებთან დამოკიდებულების საზღვრებს.

5) პერსონალიზმის სტადია (3-5 წელი) აღნიშნული სტადია იწყება სამი წლის კრიზისიდან, რომლის დროსაც ბავშვს აღმოუცენდება „მე“-ს გრძნობა და მეტი სწრაფვა თავისუფლებისაკენ ქცევებში. ბავშვი უკვე ხაზს უსვამს საკუთარ „მე“-ს. შემდგომ ჩნდება გარშემო მყოფთა ყურადღების ცენტრში მოქცევის და სხვა ადამიანთა მიზანების სურვილი.

6) განსხვავებულობის სტადია (6-11 წელი). ამ სტადიაზე ბავშვის ერთიერთადმოკიდებულებათა წრე ფართოვდება. ბავშვთა კოლექტივში იგი თავს გრძნობს ერთდროულად როგორც თავისუფალი და როგორც მორჩილი. ამ ასაკისთვის დამახასიათებელია აღიარების მოპოვების და კოლექტივში განსაზღვრული ადგილის დაკავების სურვილი. ამ ასაკში ვითარდება როგორც ურთიერთდამოკიდებულებები და ურთიერთმიმართებები, ასევე გონებრივი შესაძლებლობებიც.

7) სქესობრივი მომწიფებისა და ჭაბუკობის სტადია. ეს სტადია ხასიათდება პიროვნების გაუწონასწორებელი განვითარებით.

ფსიქიკის განვითარება გამოირჩევა აშკარად გამოხატული წინააღმდეგობებით. ვითარდება ისეთი გრძნობები, როგორიცაა სიყვარული, სიძულველი, დარწმუნებულობა, დაურწმუნებლობა, გულლიაობა და ჩაკეტილობა. იდეალები იღებენ სამოქმედო ძალას. ვითარდება თვითშეფასება და თვითანალიზი.

ა. ვალონის აზრით ეს სტადიები მკაცრად თანმიმდევრული. თითოეული მათგანი დამოუკიდებელია და ბავშვის პიროვნების განვითარებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს.

ზ. ფროიდის მოძღვრებაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს მის თეორიას სექსუალური განვითარების შესახებ. მისი აზრით თავის განვითარებაში პიროვნება გაივლის ხუთ ფსიქოსექსუალურ სტადიას.

1) ორალური სტადია. ესაა ფსიქოსექსუალური განვითარების პირველი სტადია (დაბადებიდან 1.5 წლამდე), რომლის განმავლობაში ჩვილის პირი იქცევა კმაყოფილებისა და ტკბობის ცენტრად.

2) ანალური სტადია (1.5-3 წელი). ამ ასაკში ბავშვის გრძნობითი ტკბობა დაკავშირებულია გამოყოფის პროცესებთან.

3) ფალოსური სტადია (3-5 წელი) ამ ასაკში გრძნობადი სიამოვნების ცენტრი პირიდან და ანალური სფეროდან ინაცვლებს გენიტალებზე.

4) ლატენტური სტადია (6-12 წელი). ეს სტადია ხასიათდება ცხოვრების სექსუალური მხარისადმი ინტერესის დროებითი დაქვეითებით. ესაა განვითარების შედარებით მშვიდი პერიოდი, როცა ბავშვი ძირითადად მეგობრობს საკუთარი სქესის წარმომადგენლებთან.

5) გენიტალური სტადია (12 წლიდან). ეს სტადია იწყება გარდამავალ ასაკში და მისი მიზანია სრულყოფილი სექსუალობის ჩამოყალიბება.

ე. ერიკსონის ფსიქოსოციალური განვითარების თეორიის მიხედვით ყოველი ინდივიდი გაივლის რვა კრიზისული ანუ კონფლიქტურ მდგომარეობას. ე. ერიკსონი ამ პერიოდებს იხილავს როგორც ცხოვრებისეულ პერიოდებს, რომლის განმავლობაშიც ინდივიდის მიერ შექმნილი ცხოვრებისეული გამძლილება კარნახობს

მას სოციალური გარემოსადმი შეგუების მნიშვნელოვან პრინციპებს და საკუთარი პიროვნების შეცვლის პარამეტრებს. კონფლიქტების გადაჭრის ამ ხერხებზე დიდ გავლენას ახდენს მშობლების განწყობები და სოციალური გარემო. ე. ერიკსონის მიერ შემოთავაზებული რვა ასაკობრივი სტადია მოიცავს ყველა ადამიანისათვის დამახასიათებელ განვითარების პირობებს. თითოეული სტადია ხასიათდება ფსიქოლოგიური კონფლიქტით, რომელიც უნდა გადაიჭრას. ინდივიდის ფსიქოლოგიური განვითარება ხდება მისი ბიოლოგიური მოთხოვნილებებისა და საზოგადოების მოთხოვნებს შორის ურთიერთობის საფუძველზე. თითოეული კრიზისი ანუ კონფლიქტი კრიტიკულია მხოლოდ ერთ-ერთი სტადიისათვის, მაგრამ გარკვეული ზომით იგი მონაწილეობს მთელი ცხოვრების განმავლობაში.

1) ორალურ-სენსორული სტადია (დაბადებიდან 1 წლამდე). იმის მიხედვით თუ როგორ უვლიან ჩვილებს, ბავშვებს უყალიბდებათ შთაბეჭდილება იმის შესახებ, იმსახურებს თუ არა გარესამყარო ნდობას. თუ ბავშვის მოთხოვნები კმაყოფილდება, თუ მას აქცევენ შესაფერის ყურადღებას და მათზე ზრუნავენ, იგი იგრძნობს, რომ სამყარო უსაფრთხოა და იმსახურებს ნდობას. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ სამყარო მას აყენებს ტკივილს, იწვევს სტრესს და საფრთხეს უქმნის მის უშიშროებას, ბავშვი ჩათვლის, რომ სამყარო არაა სანდო.

2) კუნთურ-ანალური სტადია (2-3 წელი). სიარულის დაწყებით ბავშვები აღმოაჩენენ თავისი სხეულის შესაძლებლობებს და ცდილობენ დაეუფლონ მისი მართვის ხერხებს. ისინი სწავლობენ ჭამას, ჩაცმას და ტუალეტით სარგებლობას. როცა ბავშვი მოახერხებს რაიმეს გაკეთებას დამოუკიდებლად, მას ეუფლება საკუთარ თავში დარწმუნებულობის გრძნობა. მაგრამ თუ ბავშვს მუდამ მოსდის მარცხი, იგი ამისათვის ისჯება, მას ეძახიან ცუდს, თხუნიას და ა.შ. ამის გამო იგი განიცდის სირცხვილს და ეჭვი ეპარება საკუთარ თავში.

3) ლოკომოციურ-გენიტალური სტადია (4-5 წელი). ამ ასაკში ბავშვებს საკუთარი ძიებითი აქტივობა გააქვთ თავიანთი სხეულის ფარგლებს გარეთ. ისინი ცდილობენ გაიგონ როგორაა სამყარო მოწყობილი და როგორ შეიძლება მასზე ზემოქმედების მოხდენა. მათთვის სამყარო წარმოადგენს როგორც რეალურ, ასევე წარმოსახულ ადამიანებსა და საგნებს. თუ ამ ასაკის ბავშვების ძიებითი მოქმედება ეფექტური იქნება, ისინი საგნებთან და ადამიანებთან კონსტრუქციული ურთიერთობის ხერხებს ეუფლებიან, რის საფუძველზედაც მათ უყალიბდებათ ინიციატივიანობის ძლიერი გრძნობა. ხოლო თუ მათ ინიციატივას უფროსები არ მიიწონებენ, მკაცრად გააჭრიტიკებენ ან დასჯიან კოდეჯ, ისინი თავისთავს დამნაშავედ გრძნობენ.

4) ლატენტური სტადია (6-11 წელი). ამ ასაკში სახლში და სკოლაში ბავშვები ეუფლებიან მრავალ ჩვევას და თანდათანობით იზრდება მათი კომპეტენცია საქმიანობის სხვადასხვა სფეროში. ახლა უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭება საკუთარი თავის შედარებას თანატოლებთან, რომლის დროსაც დიდი ზიანის მოტანა შეუძლია თანატოლებთან შედარებით საკუთარი თავის უარყოფით შეფასებას, რაც უკმარობის განცდის ჩამოყალიბების საფუძველი შეიძლება გახდეს.

5) ყრმობა და ჭაბუკობა (12-18 წელი). ჭაბუკობის დაწყებამდე ბავშვები ითვისებენ მრავალ (მოსწავლის, ძმის, დის, სპორტსმენის, მუსიკალური ჯგუფის წევრის და ა.შ.) როლს. ამ ასაკში ეს როლები საბოლოო ანგარიშით ერთიანდებიან ერთ მთლიან სისტემაში, რომელსაც ეწოდება იდენტურობა. მოზარდი საკუთარ თავს უსევამს ასეთ კითხვებს: ვინ ვარ მე? როგორია ჩემი შეხედულებები, მრწამსი და პოზიციები. თუ არ მოხდება შესაბამისი, მისაღები იდენტიფიკაცია, წარმოიშობა სერიოზული კონფლიქტები, რის შედეგადაც მიიღება იდენტურობის დიფუზია.

6) ახალგაზრდობა. ადრეული მოწიფულობა. ამ ასაკში განვითარების ძირითად წინააღმდეგობად ითვლება კონფლიქტი სიახლოვესა და იზოლაციას შორის. სიახლოვე გაიცლებით ფართო ცნებაა, ვიდრე სექსუალური სიახლოვე, რომელიც ამ საერთო სიახლოვის ერთი ნაწილია. ესაა ადამიანის უნარი მისცე საკუთარი თავი ნებისმიერი სქესის სხვა ადამიანს ისე, რომ არ დაიკარგოს საკუთარი იდენტურობა. ადამიანებთან ასეთი ახლო ურთიერთობის დამყარების წარმატება იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორ იქნება გადაჭრილი წინა კონფლიქტები.

7) მოწიფულობა. ამ ასაკში, როცა წინა კონფლიქტები ასე თუ ისე გადაჭრილია, ადამიანებს შეუძლიათ ყურადღება მიაქციონ და დაეხმარონ სხვა ადამიანებს. მშობლები ეხმარებიან შვილებს, ბევრი ადამიანი ეწერვას არ იშურებს სოციალური პრობლემების მოსაგვარებლად, მაგრამ წინა კონფლიქტების გადაჭრის მარცხს ხშირად მიყავს ადამიანები უპირატესად საკუთარი პრობლემის მოგვარების მიმართულებით.

8) სიმწიფე. ამ ასაკში ადამიანები გადახედავენ ხოლმე ცხოვრების განვლილ გზას და ახლებურად აფასებენ მას. შეიძლება ითქვას, რომ ეს ასაკი განვლილი ცხოვრების შეფასების ასაკია. თუ ადამიანი კმაყოფილებას გამოთქვამს განვლილი ცხოვრების შესახებ და ფიქრობს, რომ მას ჰქონდა აზრი, იგი ფიქრობს, რომ ფუჭად არ უცხოვრია და მთლიანად მოახდინა საკუთარი თავის რეალიზაცია. ხოლო თუ იგი განვლილ ცხოვრებას აფასებს როგორც დროისა და ძალების ფუჭ ხარჯვას, მას ეუფლება სასოწარკვეთის გრძობა.

მრავალრიცხოვან გამოკვლევათა საფუძველზე ჟ. პიაჟე და მისი თანაშემრობლები მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ ბავშვის ფსიქიკა თვისობრივად განსხვავდება უფროსების ფსიქიკისაგან. ბავშვის აზროვნებაში ვითარდება ისეთი თვისებები, როგორცაა ეგოცენტრიზმი, სინკრეტიზმი, შეუსაბამობის ვერ შემჩნევა და ა.შ. ჟ. პიაჟემ ბავშვის ინტელექტის განვითარებაში გამოყო შემდეგი ოთხი პერიოდი: 1) სენსო-მოტორული ინტელექტი (დაბადებიდან 1.5-2 წელი). ესაა კოეგნიტური განვითარების პირველი სტადია, რომლის დროსაც ამ ასაკის ბავშვები სარგებლობენ მცირე რაოდენობის სქემებით, უმეტესად ისეთი მოქმედებებით, როგორცაა ჭერება, ტაცება, წოვა, კბენა, დეკვა და ა.შ. ჩვილი ბავშვები გარესამყაროს მხოლოდ ამ გზით იმეცნებენ. ამ სტადიას იმიტომ ეწოდება სენსო-მოტორული, რომ ასიმილაციისა და აკომოდაციის წონასწორობის პროცესში ჩვილის ინტელექტი ვერდნობა მხოლოდ შეგრძნების ორგანოთა მონაცემებს და სხეულებრივ მოძრაობებს.

2) ოპერაციამდელი სტადია (2-7 წელი). ეს ასაკი იწყება მეტყველების დაუფლებიდან. ამ პერიოდში ბავშვები საყაროს ძირითადად იმეცნებენ საკუთარი

მოქმედებების საშუალებით. ბავშვები ეუფლებიან ცნებას და სარგებლობენ სიმბოლოებით. ეს ცნებები შეზღუდულია მათი პირადი (ეგოცენტრული), უშუალო გამოცდილებით. ამ სტადიაზე ბავშვებს აქვთ მეტად შეზღუდული წარმოდგენები საგანთა და მოვლენათა არსებული მიზეზ-შედეგობრივ დამოკიდებულებებზე და ძალიან უჭირთ ობიექტებისა და მოვლენების ლოგიკური კლასიფიკაცია. ამ ასაკში ბავშვებს არ შეუძლიათ განზოგადება ობიექტთა მთელი კლასის შესახებ. ამ პერიოდის ბოლოს ბავშვები აღმოაჩენენ რომ სიტყვები არის პირობითი ნიშნები და რომ ერთი და იგივე სიტყვით შეიძლება აღინიშნოს არა მხოლოდ ერთი, არამედ რამდენიმე საგანიც.

3) კონკრეტული ობიექტების სტადია (7-12 წელი). ამ ასაკში ბავშვები იწყებენ ლოგიკურ აზროვნებას და შეუძლიათ ობიექტების კლასიფიკაცია რამდენიმე ნიშნის მიხედვით. მაგრამ მათ მიერ ამ ობიექტების გამოყენება მაინც შეზღუდულია კონკრეტული ობიექტებითა და მოვლენებით. კონკრეტული ობიექტების სტადიის დასაწყისში ბავშვები უკვე იგებენ „შენახვის“ არსს.

ობიექტობრივ სტადიაზე ბავშვისათვის მეტად ძნელი გასაგები იყო, რომ მოცემული ცხოველი ერთდროულად შეიძლება იყოს „ძალირი“ და „ნაგაზი“. შეიძლება წლის ასაკის ბავშვებისათვის კი „ნაგაზი“ არის ძაღლების კლასის ერთ-ერთი წევრი. მათ ახლა ისიც კი შეუძლიათ დაინახონ, რომ „ნაგაზის“ შიგნითაც არსებობს უფრო მცირე ქვეჯგუფებიც.

4) ფორმალური ობიექტების სტადია (12 წლიდან). ამ ასაკის ბავშვებს უკვე შეუძლიათ აბსტრაქტული ცნებებით ოპერირება. მოზარდებს ახლა შეუძლიათ ლოგიკური ცნებების ანალიზი აბსტრაქტული შინაარსის მასალაზე. მათ უკვე ხელუწყოფაობს სამომავლო გეგმების შედგენა, ამოცანის გადაჭრის მრავალი შესაძლო ვარიანტის განხილვა, ანალოგიით შესჯელობა და მეტაფორული ხერხების გამოყენება, რაც წინა ასაკის ბავშვებისათვის მიუწვდომელი იყო.

გ. კრიაგი განვითარებას იხილავს ფიზიკური, კოგნიტური და ფსიქოსოციალური კომპონენტების თვალსაზრისით და გამოყოფს შვიდ ეტაპს:

- 1) ჩვილობის ასაკი (დაბადებიდან 2 წელი)
- 2) ადრეული ბავშვობა (2-6 წელი)
- 3) საშუალო ბავშვობა (6-12 წელი)
- 4) გარდამავალი და ჭაბუკობის ასაკი (12-20წელი)
- 5) ადრეული მოწიფულობა (20-40წელი)
- 6) საშუალო მოწიფულობა (40-60წელი)
- 7) გვიანი მოწიფულობა (60წლიდან)

საინტერესოა მამაკაცის ცხოვრების ლევისონისეული პერიოდიზაცია. მამაკაცის ცხოვრებისეულ ციკლში მან გამოყო სამი ერა, თითოეული დაახლოებით ოცი წლის ხანგრძლივობით. თითოეული ერის განმავლობაში ინდივიდი იძენს ცხოვრების სტრუქტურას, რომელიც შეადგენს ცხოვრების ფორმის საფუძველს და, რომელიც არის საზღვარი და დამაკავშირებელი რგოლი პიროვნებასა და საზოგადოებას შორის. ცხოვრების სტრუქტურა ყალიბდება უმეტესწილად ინდივიდისა და გარემოს დამოკიდებულების საფუძველზე. ეს შეიძლება იყოს

დამოკიდებულება კონკრეტულ ადამიანებთან, ვეგუფებთან, სისტემებთან და საგნებთანაც კი. მამაკაცთა უმრავლესობისათვის მთავარია საშსახურებრივი და ოჯახური დამოკიდებულებები. განსაზღვრულ ასაკობრივ პერიოდებში ადამიანები ცვლიან ცხოვრების ძველ სტრუქტურებს და ქმნიან ახალს, ისეთს, რომლებიც შეესაბამება ახალ სიტუაციებს. ეს სტრუქტურა დომინირებს გარკვეული პერიოდის განმავლობაში და შემდეგ კი მთელი პროცესი თავიდან იწყება.

ლევინსონის აზრით სრული სიწიფის მისაღწევად ახალგაზრდა ადამიანმა უნდა გადაჭრას განვითარების პროცესში წამოჭრილი ოთხი ძირითადი ამოცანა:

1) ოცნებებისა და რეალობის შესაბამისობაში მოყვანა. განვითარების პირველ ეტაპზე ოცნებები სუსტადაა დაკავშირებული რეალობასთან. ოცნების საგანს შეიძლება წარმოადგენდეს რაიმე კონკრეტული მიზანი. ოცნების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია ახალგაზრდას შეუქმნას სამომავლო ოპტიმიზმი და საკუთარი ახალგაზრდული ცხოვრების სტრუქტურა ააწყოს ისე, რომ ანგარიში გაუწიოს რეალობას, ყველაფერს მოეკიდოს გონივრული ოპტიმიზმით, რაც მას მისი ოცნებების განხორციელებაში დაეხმარება. უნიადაგო ფანტაზიები და მიუღწეველი მიზნები ზრდასა და განვითარებას არ იწვევენ.

2) დამრიგებლის (ხელმძღვანელის) პოვნა. ოცნების რეალიზაციაში ახალგაზრდას უდიდეს დახმარებას უწევს დამრიგებელი (ხელმძღვანელი), რომელიც მას გადასცემს მდიდარ ცხოვრებისეულ გამოცდილებას, არწმუნებს არჩევანის სისწორეში. დამრიგებელს უნდა ჰქონდეს მშობლიური თვისებებიც. მოწაფისადმი უნდა ავლენდეს სიმპათიას, ნდობასა და თანაგრძობას, რაც მაქსიმალურად უწყობს ხელს გადაილახოს თაობათა შორის საზღვარი, რაც, თავის მხრივ, დამოუკიდებლობის მოპოვების რეალური გზაა.

3) უზრუნველყოს კარიერა. ახალგაზრდა ადამიანი მუდამ უნდა ზრუნავდეს თავის სამომავლო კარიერაზე და კარგად უნდა აითვისოს კარიერის კიბეზე მიმავალი მრავალრიცხოვანი ბილიკებიც.

4) ინტიმური ურთიერთობების მოგვარება. ესაა, უპირველეს ყოვლისა, ფაქიზი ურთიერთობები ქალებთან. მან თავისთვის კარგად უნდა გაარკვიოს რა თვისებების გამო მოსწონთ ის ქალებს და რა მოსწონს ქალებში თვითონ მას. მან უნდა გააცნობიეროს თავისი ძლიერი და სუსტი სექსუალური მხარეები. მამაკაცის ცხოვრებისეული პერიოდიზაციის ლევინსონისეული სქემა ასეთია:

1) ადრეული მოწიფულობის ერა (17-45წელი)

ა) ადრეულ მოწიფულობაზე გადასვლა (17-22 წელი)

ბ) ადრეულ მოწიფულობაში შესვლის პერიოდის ცხოვრებისეული სტრუქტურა (22-28წელი)

გ) ოცდაათწლიანი ზღვრის გადალახვა (28-33წელი)

დ) ადრეული მოწიფულობის კულმინაციური პერიოდის ცხოვრებისეული სტრუქტურა (33-40წელი)

2) საშუალო მოწიფულობის ერა (40-65 წელი)

ა) საშუალო მოწიფულობაზე გადასვლა (40-45 წელი)

ბ) საშუალო მოწიფულობის დაწყებითი პერიოდის ცხოვრებისეული სტრუქტურა (45-50წელი).

გ) ორმოცდათწლიანი ზღვარის გადალახვა (50-55 წელი)

დ) საშუალო მოწიფულობის კულმინაციური პერიოდის ცხოვრებისეული სტრუქტურა (60-65 წელი)

3) გვიანდელი მოწიფულობის ერა (60წელი)

ა) საშუალო მოწიფულობაზე გადასვლა (60-65 წელი)

თანამედროვე რუსულ ასაკობრივ და პედაგოგიურ ფსიქოლოგიაში ასაკობრივი პერიოდიზაციის ცდები ხორციელდება წამყვანი მოქმედიაზობის საფუძველზე. ამ თვალსაზრისით აღსანიშნავია გ. აბრამოვას კლასიფიკაცია, რომლის მიხედვითაც გამოიყოფა 11 სტადია:

1) ჩვილობა (დაბადებიდან 2 წლამდე)

2) ადრეული ბავშვობა (2-4 წელი)

3) საშუალო ბავშვობა (5-7 წელი)

4) ბავშვობის დასასული (8-12 წელი)

5) მოზარდობა (13-17წელი)

6) ჭაბუკობა (18-22 წელი)

7) მოწიფულობა (23-30წელი)

8) გარდამავალი ასაკი (30-35წელი)

9) სიმწიფე (36-50 წელი)

10) მოხუცებულობა (51-65 წელი)

11) სიბერე (65 წლიდან).

დ. უხნაძემ ასაკობრივ პერიოდიზაციას საფუძველად დაუღო ასაკობრივი გარემო. მის მიხედვით, ბავშვის სოციალური წრე ისეთ გარე-გამლიზიანებლებს არჩევს, რომელიც შეესატყვისება მის შინაგან შესაძლებლობებს და ქმნის მათი მომწიფებისა და განვითარების პირობებს. ასაკობრივი გარემო ცვალებადია, იგი რამდენიმე განსხვავებულ სახეს გაივლის. დ. უხნაძე არჩევს შემდეგ პერიოდებს:

1) დედის მუცლის ზანა, 2) ახალდაბადებულობის ზანა, 3) ბუბუს ზანა, 4) სკოლისწინარე ასაკის წინა პერიოდი, 5) სკოლისწინარე ასაკი, 6) სასკოლო ასაკი, 7) პროფესიონალური სკოლის ზანა.

საინტერესოა შ. ჩხარტიშვილის ორიგინალური შეხედულება ასაკობრივი პერიოდიზაციის შესახებ. მისი აზრით, როცა მოზარდის რომელიმე ასაკობრივი ეტაპის სპეციფიკის შესახებ ვლაპარაკობთ, მხედველობაში უნდა მივიღოთ მისი ფიზიკური, ინტელექტუალური და სოციალურ-უოლიტური თავისებურებები, რომლებიც განსაზღვრავენ მოცემული ასაკისათვის სპეციფიკური ქცევის რაგვარობას.

ორგანიზმის ბიოლოგიური მომწიფებისა და ფიზიკური განვითარების პროცესები ასაკობრივი ფაზებით მიმდინარეობენ და თავისებურ ასახვას პოულობენ ბავშვობის ამა თუ იმ საფეხურისათვის დამახასიათებელ სულიერ ცხოვრებაში და ქცევებში. ბიოლოგიური მხრიდან ასაკის თავისებურებების განსაზღვრაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ნერვული სისტემის მომწიფების დონეს. შ. ჩხარტიშვილი გვთავაზობს პერიოდიზაციის შემდეგ სქემას:

ასაკობრივი განვითარების ფაზები
ქრონოლოგიური ასაკი
გოგონების ეაუების
სასწავლო კლასები

ბავშვობა

საშუალო ბავშვობა 7-9 7-9 I-II I-II

გვიანი ბავშვობა 9-11 9-12 III-IV III-IV-V

მოზრდილობა

მომწიფების წინარე (წინააუბერტეტი) 11-13 12-14 V-VI VI-VII

მომწიფების (უბერტეტი) 13-15 14-16 VII-VIII VIII-IX

ჭაბუკობა 15-20 16-21 IX-X-XI X-XI

ორიგინალური შეხედულება აქვს გამოთქმული შ. ჩხარტიშვილს ტერმინ „მოზარდის“ შესახებაც. იგი ასე მსჯელობს: მოზარდი ეწოდება იმას, ვინც იზრდება, ზრდის პროცესშია, ზრდადუსრულებულია. ამიტომ ამ ტერმინით შეიძლება აღვნიშნოთ ადამიანი მისი ზრდისა და განვითარების ყველა ფაზაში – დაბადებიდან მოწიფულობამდე. იმის გამო, რომ საეციალურ ფსიქოლოგიურ ლიტერატურაში ეს ტერმინი ასეთი მნიშვნელობით არ არის დაკანონებული, ხშირად 15-16 წლის მოზარდასაც ბავშვს უწოდებენ, რაც საკმაო უხერხულობას ქმნის. ტერმინი „მოზარდი“ კი აღნიშნავს მოზარდს, რომელმაც ბავშვობა დატოვა და გარდამავალ ასაკში იმყოფება, ხოლო ბავშვობასა და ჭაბუკობის შორის ასაკს იგი მორზადილობის ასაკს უტოვებს. მოზარდია ბავშვიც, მოზრდილიც და ჭაბუკიც. შ. ჩხარტიშვილის აზრით მოზარდი რუსული „პოდროსტოკ“-ის მექანიკური თარგმანია და ქართულ სინამდვილეს არ შეეფერება.

საინტერესოა დ. შეფერის პერიოდიზაცია:

- 1) პრენატალური (ჩასახვიდან დაბადებამდე)
- 2) ჩვილობის და ბავშვობის ასაკი (პირველი ორი წელი)
- 3) სკოლამდელი ასაკი (2-6 წელი)
- 4) საშუალო ბავშვობა (6-12 წლამდე)
- 5) ახალგაზრდობა (12-20 წელი)
- 6) სიმწიფის საწყისი პერიოდი (20-40 წელი)
- 7) საშუალო ასაკი (40-65 წელი)
- 8) სიბერე (65 წლის ზევით)

დღევანდელი გადასახედიდან მეტად საინტერესოა აგრეთვე უძველესი დროის შეხედულებებიც ცხოვრებისეული ასაკების შესახებ. ელინელი ფილოსოფოსების შეხედულებებში ადამიანური ასაკების შესახებ ერთმანეთში გადახლართული იყო მითოლოგია, ფილოსოფია, მაგია, სტიქიური მატერიალიზმი, სამედიცინო და ესთეტიკური პარამეტრები. ამ დროს ფილოსოფიაში გაბატონებული იყო ე.წ.

„კოსმოსური დეტერმინიზმის“ იდეა, რომელიც განაპირობებდა და ასულდგმულებდა ყველაფერს – პლანეტების მოძრაობებიდან ადამიანის ბედ-იბღის ჩათვლით. ამის გამო იყო, რომ პითაგორა ცდილობდა ეპოეა ანალოგია ადამიანის ცხოვრების საფეხურსა და წელიწადის დროების ცვალებადობას შორის. მისი პერიოდიზაციის სქემა ასეთია:

- 1) ჩამოყალიბების პერიოდი (0-20 წელი. გაზაფხული)
- 2) ახალგაზრდა ადამიანი (20-40 წელი. ზაფხული)
- 3) გაფურჩქნის ასაკი (40-60 წელი. შემოდგომა)
- 4) მოხუცებული (60-80 წელი. ზამთარი)

როგორც ვხედავთ თითოეული ასაკობრივი საფეხურის სიცოცხლის ხანგრძლივობა ოცი წელია. დღევანდელი აზროვნებისათვის ეს დაყოფა გულუბრყვილო და ძალზე პირობითია. პითაგორას ასაკობრივი პერიოდიზაცია რიცხვთა სიმბოლიკის გამოშატველია, რომელისთვისაც რიცხვი არა მხოლოდ მათემატიკური ნიშანია, არამედ რელიგიური სპეკულაციის, სამყაროს ფიზიკური აღწერის და მაგიური წეს-ჩვეულებების განუყოფელი ელემენტიცაა. რიცხვის საშუალებით ძველი ბერძნები აღგენდნენ სამყაროს კანონზომიერებებს, რაც კარგად ჩანდა ცხოვრებისეული ასაკობრივი საფეხურების მაგალითზეც. ამ პრინციპზეა აგებული პიპოკრატეს ასაკობრივი პერიოდიზაციაც:

- 1) პირველი პერიოდი (0-7 წელი)
- 2) მეორე პერიოდი (7-14)
- 3) მესამე პერიოდი (14-21)
- 4) მეოთხე პერიოდი (21-28)
- 5) მეხუთე პერიოდი (28-35)
- 6) მეექვსე პერიოდი (35-42)
- 7) მეშვიდე პერიოდი (42-49)
- 8) მერვე პერიოდი (49-56)
- 9) მეცხრე პერიოდი (56-63)
- 10) მათე პერიოდი (63-70)

პიპოკრატეს რიცხვითი სიმბოლიკის იდეის მიხედვით ყოველ შვიდ წელიწადში ხდება ადამიანის ორგანიზმის ძირეული გარდაქმნები, რომლებიც ორგანიზმისათვის წარმოადგენენ საშიშროებას. ძველ ბერძნებს ძალიან ეშინოდათ 7,14,21,63,70 და 77 წლებისა. განსაკუთრებით საშიშად მათ 63 წელი მიაჩნდათ.

ძველ რომში ყრმობის ასაკად ითვლებოდა 14-17 წელი. ესაა ასაკობრივი პერიოდი უფროსის ტოგის მიღებამდე. შემდგომი საფეხური იყო ახალგაზრდობა – 46 წლამდე. რომაელები, რომლებიც მიაღწევდნენ 46 წლის ასაკს, თავისუფლდებოდნენ სამხედრო სამსახურისაგან და გადადიოდნენ შემდგომ საფეხურზე. რომელსაც უწოდებდნენ ხანდაზმულობის (46-60 წ.), ხოლო რომაელთა წარმოდგენით 60 წლის ასაკში დგებოდა სიბერე. რომაელებთან სრულწლოვანება ფორმალურად დგებოდა იმ მომენტიდან, როცა ოჯახის საბჭოს გადაწყვეტილებით ახალგაზრდა გაიხდიდა ბავშვურ სამოსს და ჩაიცვამდა მამაკაცის ტოგას.

სრულწლოვანების ძირითადი ნიშანი იყო სქესობრივი მომწიფების დადგომა, რომელიც აგრეთვე ითვლებოდა სამხედრო სამსახურისათვის ვარგისიანობის სიმპტომად.

საინტერესოა აგრეთვე ძველჩინური ასაკობრივი პერიოდიზაცია, რომლის მიხედვით ადამიანური ცხოვრებისეული ციკლი დაყოფილია შვიდ პერიოდად:

- 1) ახალგაზრდობა (20 წლამდე)
- 2) ჯორწინების ასაკი (30 წლამდე)
- 3) საზოგადოებრივ დავალებათა შესრულების ასაკი (40წლამდე)
- 4) საკუთარ შეცდომათა გაცნობიერები ასაკი (50 წლამდე)
- 5) შემოქმედებითი ცხოვრების ბოლო პერიოდი (60წლამდე)
- 6) სასურველი ასაკი (70წლამდე)
- 7) მოხუცებულობა (70 წლიდან)

სულხან-საბა გამოყოფდა ასაკობრივი განვითარების რამდენიმე პერიოდს:

- 1) ჩვილობა (5წლამდე)
- 2) უსუარობა (5-10წლამდე)
- 3) ნინველობა (10-15წლამდე)
- 4) ყრბობა (15-20წლამდე)
- 5) ჭაბუკობა (20-30 წლამდე)
- 6) სრული ასაკი (30-50წლამდე)
- 7) მოხუცებული, ბერი მხცოვანი, მიხრწნილი

როგორც ვხედავთ განვითარების პირველ ოთხ საფეხურს შორის ასაკობრივი ინტერვალი ხუთი წელია. უნდა ვივარაუდოთ, რომ სულხან საბას მიერ წამოყენებული პერიოდიზაცია მიესადაგება და შეესაბამება სწავლა-განათლების იმდროინდელ საფეხურებს:

- ა) სწავლების წინარე პერიოდი (ხუთ წლამდე)
- ბ) დაბალი განათლება (5-10 წლამდე)
- გ) საშუალო განათლება (10-15წლამდე)
- დ) მაღალი განათლება (15-20)

ამრიგად, ასაკობრივი პერიოდიზაციის პრობლემა მუდმივი პრობლემაა. ცხოვრების ასაკების ისტორია არ დამთავრებულა. ყოველი ახალი თაობა მასში ახალ გვერდებს ჩაწერს.

ბავშვთა და მოზარდთა დაჩქარებული განვითარება – აქსელერაცია, რომელიც მეცნიურულ ლიტერატურაში იხსენიება როგორც მეოცე საუკუნის ერთ-ერთი გამოცანა, მოზარდი თაობის ფიზიკურ განვითარებასა და ფსიქიკაში მის მიერ გამოწვეული ძვრებისა და ცვლილებების გამო ექიმათა, ფიზიოლოგთა, თურისტთა, ფსიქოლოგთა, პედაგოგთა, ეკონომისტთა და სხვა დარგის სპეციალისტთა შეუნელებელ ყურადღებას იქცევს.

მეოცე საუკუნე არა მარტო მეცნიერების და ტექნიკის არნახული წინსვლისა და განვითარების საუკუნეა, არამედ წინსვლა და განვითარება მეცნიერებისა და ტექნიკის თვით შემოქმედში – ადამიანშიც ხდება. აქსელერაცია უპირველეს ყოვლისა ესაა ორგანიზმის ზრდის და განვითარების ბიოლოგიური რიტმის აჩქარება, მისი ზოგიერთი ანატომიურ-ფიზიოლოგიური ფუნქციის შეცვლა, ნაადრევი სქესობრივი მოწიფება, ახალდაბადებულის წონისა და სიგრძის გადიდება, სარძევე და მუდმივი კბილების უფრო ადრე ამოსვლა და სხვა. შეინიშნება აგრეთვე თანამედროვე მოზარდების ე.წ. ფსიქოლოგიური წყობის გარდაქმნაც: გადიდებული გონებრივი შრომისურაიანობა და მუშაობისუნარიანობა, გაუმჯობესებული წარმატება სწავლაში, „ინტელექტუალური ასაკის“ წინსვლა „სოციალურ ასაკთან“ შედარებით და სხვ. მოვლენათა ამ კომპლექსს საუკუნის ტენდენცია ანუ „სექულარული ტრენდი“ უწოდეს.

ადამიანი თავისი სიცოცხლის მანძილზე ბიოლოგიური ორგანიზაციის რამდენიმე პერიოდს, სტადიას გაივლის. გამოკვლევები გვიჩვენებს, რომ აქსელერაციის პროცესი ყველა სტადიას მოიცავს, მაგრამ მეტ-ნაკლები ინტენსივობით. აქსელერაციის მოვლენები უფრო ბავშვობის ასაკშია შესწავლილი.

აქსელერაციის განსაზღვრებებიდან შედარებით სრულყოფილად ითვლება გერმანელი მეკვლევარის ა. ზელცლერის განსაზღვრება, რომლის მიხედვითაც აქსელერაცია არის კომპლექსური ორგანული პროცესი, რომელიც ხასიათდება განვითარების დაჩქარებით, ადამიანის ნორმალური ფუნქციონალური უნარის პერიოდებისა და განვითარების ფაზების განანგამოლეებით არსებული წარმოებითი ურთიერობის და გარესამყაროს მოვლენებთან ურთიერმოქმედების საფუძველზე.

ფიზიკური, ბიოლოგიური აქსელერაციის შესახებ საკმაოდ მდიდარი მეცნიერული ლიტერატურა არსებობს, ზოლო ფსიქიკურ სფეროში აქსელერაციის შესახებ სპეციალური ლიტერატურის ერთგვარი სიღარიბე შეინიშნება. ეს აიხსნება იმით, რომ ფსიქიკურ სფეროში აქსელერაციის ფაქტის დადგენა რთულია. ფიზიკური აქსელერაციის კვლევას ადვილეს ის გარემოება, რომ წარსულში ახალგაზრდების არმიაში განწვევასთან ან სპორტულ მომზადებასთან დაკავშირებით ხდებოდა მათი ანთროპომეტრიული მონაცემების გაზომვები და დღევანდელ პირობებში ანალოგიური მონაცემების შედარება საფუძველს გვაძლევს დავადგინოთ საშუალო მაჩვენებლები და ვიშსჯელოთ მათი მიზეზების შესახებ.

აქსელერაციის მოვლენების შესწავლას როგორც დიდი თეორიული, ასევე პრაქტიკული მნიშვნელობაც აქვს. მისი შესწავლის თეორიული მნიშვნელობა

გამოიხატება იმაში, რომ აქსელერაციის ფაქტმა ზოგიერთი აღიარებული ქვეშარიტება ეჭვის ქვეშ დააყენა. ამასთანავე აქსელერაციის გამოშვებე მიზეზთა ძიებაში წარმოიშვა მრავალრიცხოვანი თეორიები, რომლებმაც გაამდიდრეს მეცნიერული აზრი. აქედან გამომდინარეობს აქსელერაციის შესწავლის პრაქტიკული მნიშვნელობა და ის საკითხები, რომლებიც ახლებურად მოითხოვენ მეცნიერულ გადაწყვეტას. ასეთი საკითხებია:

1. არიან თუ არა პარმონულად განვითარებული ის ბავშვები, რომელთაც აქსელერაციის პროცესი შეეხო?

2. შეესაბამება თუ არა ბავშვისა და მოზარდის აჩქარებული ფიზიკური და სქესობრივი მომწიფება მათ სოციალურ მომწიფებას?

3. შეესაბამება თუ არა ნაადრევ ფიზიკური განვითარებას გონებრივი განვითარებას?

4. ხომ არ უნდა გადაისინჯოს სწავლის, შრომითი საქმიანობის დასაწყისის, ჭრწინების და იურიდიული პასუხისმგებლობის მინიმალური ასაკები?

5. ხომ არ უნდა გადაისინჯოს სასკოლო და საოჯახო ავეჯის, ფეხსაცმლისა და ტანსაცმლის სტანდარტები?

6. როგორ უნდა დავაყენოთ უფროსკლასელთა სანიტარული განათლების საკითხი (სქესობრივი აღზრდის სფეროში)?

7. როგორც უნდა განვსაზღვროთ ფიზიკური კულტურისა და სპორტის როლი თანამედროვე ეტაპზე?

8. ხომ არ წარმოიშება ახალი პრობლემები ასაკობრივი პერიოდიზაციის საკითხში?

ბავშვის ფიზიკური განვითარების ტემპის აჩქარების შესახებ ლაპარაკი ჩვენი საუკუნის ოციანი წლებიდან დაიწყო, ხოლო უფრო გვიან მეცნიერულ წრეებში იწყება მსჯელობა ინტელექტუალური განვითარების აჩქარებაზეც. ერთ-ერთი პირველი მეცნიერი, რომელმაც ყურადღება მიაქცია აჩქარებულ ზრდა-განვითარებას იყო ე. კოხი. მანვე შემოიტანა ცნება „აქსელერაცია“, რაც აჩქარებას ნიშნავს. 1921 წელს გამოკვლეული იქნა ქ. იენის მოსწავლეთა საშუალო ანთროპომეტრიული მონაცემები წონასა და სიმაღლეში. როცა ეს მონაცემები 1880 წელს ჩატარებულ ანალოგიურ მონაცემებს შეადარეს, აღმოჩნდა, რომ 1921 წელს ქ. იენის მოსწავლეები ამ მონაცემების მიხედვით ერთი წლით უსწრებდნენ თავიანთ თანატოლებს, რომლებიც 1880 წელს ცხოვრობდნენ ამ ქალაქში.

ა. ზელცერის მონაცემების მიხედვით გერმანიაში ოცდაათიან წლებში დაწყებითი და საშუალო სკოლის ასაკის ბავშვთა საშუალო სიმაღლე 5-10 სანტიმეტრით, ხოლო საშუალო წონა რამდენიმე კილოგრამით მეტი აღმოჩნდა იმავე ასაკის ბავშვებთან შედარებით ცხრაასიან წლებში. ანალოგიური ფაქტი იქნა დადასტურებული მკვლევართა მიერ სხვა ქვეყნებშიც. აღმოჩენილია სანიტარული ფაქტიც, რომ ცხოვრების ყველა პირობებში წონასა და სიმაღლეში ზრდის ტემპის აჩქარება ერთნაირად არ ხდება, რომ მოზარდის წონისა და სიმაღლეში ზრდის საშუალო ტემპი ცხოვრებისეული პირობების მიხედვით

ცვალებადობს. ხანგრძლივი ომებისა და კრიზისების პერიოდებში, როცა ცხოვრებისეული პირობები უარესდება, ეს ტემპიც საგრძობლად მცირდება. შემდგომ პერიოდებში კი, როცა ცხოვრებისეული პირობები უმჯობესდება, მოზარდა ფიზიკური განვითარების საშუალო ტემპიც იზრდება.

გამოირკვა, რომ ბავშვის წონასა და სიმაღლეში ზრდა წინანდელთან შედარებით დედის საშოშიც აჩქარებულად მიმდინარეობს. ა. ყანჩელის მონაცემების მიხედვით ახალშობილ ბავშვთა საშუალო ანთროპომეტრიული მონაცემები 1970 წელს 1935 წელთან შედარებით მომატებულია: 1970 წელს ახალშობილ ვაჟთა საშუალო სიმაღლე 2 სანტიმეტრით, ხოლო წონა 200 გრამით მეტია. ასეთივე კანონზომიერება დასტურდება გოგონებშიც.

აქსელერაცია, როგორც აღვნიშნეთ, ყველაზე უფრო თვალსაჩინოდ ვლინდება სიმაღლისა და წონის მატებაში და სქესობრივი მოშლილების ნაადრევად დადგომაში. იგი ვლინდება აგრეთვე სარძევე და მუდმივი კბილების ნაადრევად ამოსვლაში და ჩონჩხის გაძვლოვანებაში., გარდამავალი ასაკის „ზრდის ნახტომი“ 30-50 წლის წინათ დგებოდა 1.5-2 წლით უფრო გვიან, ვიდრე დღეს.

საინტერესო სურათს იძლევა სიმაღლეში ზრდის ტემპის შესახებ სხვადასხვა ქვეყანაში ვ. ბუნაკი.

ქვეყნები
ახალგაზრდა მამაკაცების საშუალო სიმაღლე
1925წ. 1965წ.

შვეცია	172.5	174.5
ნორვეგია	172.5	174.0
დანია	169.5	172.0
ფრე	172.0	175.0
საფრანგეთი	167.0	169.0
იტალია	167.0	168.0
ჩეხოსლოვაკია	170.0	173.0
რუსეთი	167.0	170.0

თანამედროვე ექვსწლიანი ბავშვის საშუალო წონა და სიმაღლე დაახლოებით ამავე საუკუნის ოცდაათიანი წლების შეიდწლიანი ბავშვის წონასა და სიმაღლეს უდრის, ხოლო ცხრაასიანი წლების დასაწყისის რვაწლიანი ბავშვის საშუალო სიმაღლესა და წონას უტოლდება. მოვლენების ანალიზი ბადებს ლოგიკურ კითხვას: სანამდე გაგრძელდება აქსელერაციის პროცესი და რითაა იგი განპირობებული, ხომ არ არის გოლიათობის საშიშროება? მკვლევართა ვარაუდით ვერ კიდევ არ გვაქვს მონაცემები იმისათვის, რომ გავაკეთათ ზუსტი პროგნოზი, თუ რა ხასიათს მიიღებს მომავალში ბიოლოგიური აქსელერაცია, მაგრამ იმის მიხედვით, თუ როგორ მიმდინარეობდა აქსელერაცია წარსულში, შეიძლება ვთქვათ შემდეგი:

1. აქსელერაციას ადგილი ჰქონდა და აქვს ყველაზე უფრო მეტად იმ ინდივიდებში, რომელთა განვითარება წინათ შეფერხებული იყო. აქსელერაცია განვითარებაში იმ დანაკლისის კომპენსაციას ახდენს, რომელსაც ადგილი ჰქონდა განვითარების ოპტიმალური პირობების უქონლობის გამო;

2. აქსელერაციის პროცესისათვის დამახასიათებელია აჩქარებისა და შენელების პერიოდები. პერიოდებს, როცა გარეგანი ფაქტორების (ომები, კრიზისები) ზეგავლენით აქსელერაციის პროცესი ნელდება, თან მოსდევდა მასი გაძლიერების პერიოდები, როცა საზოგადოება ნორმალური ცხოვრების პირობებით ხდებოდა უზრუნველყოფილი.

ანთროპოლოგთა მონაცემებით ადამიანის ფიზიკური განვითარების აქსელერაციას ადგილი ჰქონდა აგრეთვე სხვა ისტორიულ ეპოქებშიც. ნეოლითისა და ბრინჯაოს ხანაში ევროპაში ცხოვრობდნენ ადამიანები, რომელთა სიმაღლე იგივე იყო, როგორცა ამ რეგიონებში მეოცე საუკუნეში. ძველ საბერძნეთში გოგონების სქესობრივი მოშწილება იწყებოდა თორმეტი წლის ასაკში, ხოლო ჩვენი საუკუნის 50-იან წლებში 13 წლის ასაკში. რიგი მკვლევარებისა მომავალ ათწლეულში აქსელერაციის პროცესების შენელებას ვარაუდობს.

მ. ჩხარტიშვილის სამართლიანი აზრით ბავშვის სხეულის სიმაღლისა და წონის ზომები არსებითად არაფერს გვეუბნება მისი ინტელექტუალური ძალების მოშწიფების შესახებ. აქსელერაციის საკითხი ამ მიმართულებით ჩვენს ქვეყანაში ერთ-ერთმა პირველმა იკვლია მ. ზარანდიამ. მან ზუსტად გაიმეორა ის ცდები, რომელიც 1928 წ. დ. უზნაძემ ჩატარა 5-6-7 წლის ბავშვებზე. იმ წლებში ეს ასაკი სკოლამდელ ასაკად ითვლებოდა. დ. უზნაძემ გამოიკვლია სკოლამდელთა ცნებითი აზროვნების განვითარების დონეები.

მ. ზარანდიამ 1967 წელს გაიმეორა დ. უზნაძის ცდები იმავე ბავშვებზე და იმავე მეთოდიკით. აღმოჩნდა, რომ ახლა ინტელექტუალურ ოპერაციებს ექვსი წლის ბავშვი გაცილებით უფრო მაღალ დონეზე ასრულებს, ვიდრე 1928 წელს შვიდი წლის ბავშვი, რომ ზოგიერთი ინტელექტუალური ოპერაციის შესრულების მიხედვით ახლანდელი ხუთი წლის ბავშვებიც კი მაშინდელ შვიდწლიანებს სჯობნიან. მ. ზარანდია მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ახლა ექვსი წლის ბავშვის ინტელექტუალური განვითარების დონე წლინახევრით უსწრებს 1928 წელს მცხოვრები თანატოლების ინტელექტუალურ დონეს.

განზოგადებისა და განსაზღვრების ინტელექტუალური ოპერაციები ახლა ბავშვთა მნიშვნელოვან ნაწილს 5-7 წლის ასაკში ისე აქვთ მოშწიფებული, რომ მათ შეუძლია დაეუფლონ ცნებას. დ. უზნაძის ცდებში კი ამგვარ უნარს ამჟღავნებდა მხოლოდ ზოგიერთი ბავშვი. ეს სხვაობა განპირობებულია ბავშვების მიერ თავიანთი გარემოდან მიღებული ინფორმაციის იმ რაოდენობრივი და თვისობრივი ცვლილებებით, რაც ამ ორი ექსპერიმენტის ჩატარების დროთა შუალედში მოხდა.

ჟედაგოგიურად ორგანიზებულ გარემოდან მიღებული ინფორმაციის ზრდის პირდაპირპროპორციულად იზრდება ბავშვის ინტელექტუალური შესაძლებლობანი,

ჩქარდება გონებრივ ოპერაციათა მოშწიფების პროცესი. გონებრივი განვითარების აჩქარების ან შენელების პროცესი ასაკზე არაა დამოკიდებული. იგი მთლიანად გარეშოს ზემოქმედების შედეგია. სამოცდაათიანი წლების ბავშვთა გონებრივი ასაკი ორი წლით უსწრებს ოცდაათიანი წლების ბავშვთა გონებრივ ასაკს ერთი და იმავე ამოცანის გადაწყვეტისას.

მოუხედავად სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერთა დიდი მცდელობისა, ამომწურავად შეისწავლან და მართონ აქსელერაციის პროცესი, იგი ჯერ კიდევ რჩება გადაუჭრელ პრობლემად. თუ მეცნიერების განვითარების დღევანდელ ეტაპზე აქსელერაციის ფაქტები ეჭვს არ იწვევს, მისი გამომწვევი მიზეზების შესახებ არსებობს განსხვავებული შეხედულებანი, რომელიც მრავალი თეორიის სახით ჩამოყალიბდა. მოკლედ გავეცნოთ რამდენიმე თეორიას:

ქელიოგენური თეორია. ამ თეორიის წარმომადგენელი იყო თვით ე. კოხი, რომელმაც შემოიღო ცნება „აქსელერაცია“. იგი ფიქრობდა, რომ სიმაღლისა და წონის მომატების ამაჩქარებელი არის მზის სხივები. მისი აზრით აჩქარებული ზრდა გამოწვეულია მზის სხივების პერიოდული ცვალებადობით. მზის სხივების გავლენის გამო ხდება ვიტამინის მოქმედების სტიმულირება.

ალიმენტარული თეორია. ეს თეორია აქსელერაციის პროცესზე კვების პროდუქტების გავლენას უსვამს ხაზს. ამ თეორიის წარმომადგენლები თვლიან, რომ განვითარებულ ქვეყნებში ძალზე იზრდება ერთ სულ მოსახლეზე ზორცისა და ზორცის პროდუქტების მოხმარება. ისინი თვლიან, რომ კვების ხასიათის შეცვლა მოქმედებს შინაგანი სეკრეციის ჯირკვლებზე, მათ ფუნქციაზე, რომელიც თავის მხრივ, აჩქარებს ზრდა-განვითარებას.

კონსტიტუციონალური შერჩევის თეორია. ამ თეორიის მიხედვით აქსელერაცია განპირობებულია მრავალი გამლიზიანებლის მოქმედებით, რომელსაც ადგილი აქვს თანამედროვე ცივილიზაციის დროს და ისეთი ადამიანების მომრავლებით, რომელთაც საერთოდ აქვთ აწეული აგზნებადობა. ასეთ ადამიანებს აქვთ „ორგანიზმის აწეული რეაქტიულობა“. ისინი ცხოვრობენ სოციალურად და ეკონომიურად უზრუნველყოფილ ქვეყნებში. აქტიური ადამიანები, ბუნებრივია, დაჩქარებულად ვითარდებიან. ეს თეორია რეაქციული თეორიაა.

რასიული თეორია. ამ თეორიის მიხედვით ზრდის პროცესი განპირობებულია რასიული მიკუთვნებულობით. ამიტომ ის ფაქტორები, რომლებიც იწვევენ აქსელერაციას, თავს იჩენენ ბიოლოგიური წინამძღვრების ჩარჩოებში. ამ თეორიის წარმომადგენლებს მოყავთ ცეცხლოვანი მიწის ორი ტომის ონას (საშუალო სიმაღლე 175 სმ) და იახგანის (საშუალო სიმაღლე 158 სმ) მაგალითი. ეს ტომები ერთმანეთის მეზობლად ცხოვრობენ და მათ შორის ოდნავი განსხვავება კვებაში სიმაღლეში განსხვავებამდე ვერ მიგვიყვანს.,

ნუტრიციონური თეორია. ეს თეორია ალიმენტარული თეორიის სახესხვაობაა, რომელიც ხაზს უსვამს დიდი რაოდენობის ვიტამინებისა და მინერალური მარილების მნიშვნელობას. ბ-12 და ბ-1 ვიტამინის რეგულარული მიღება მნიშვნეულად ზრდის ბავშვის სიმაღლესა და წონას. თუმცა ნორმალური ფიზიკური განვითარების ბავშვებზე ამ ვიტამინების მოქმედება არ ახდენს რაიმე შესამჩნევ გავლენას.

რადიოტელევიზიური თეორია. ეს თეორია ვარაუდობს, რომ ადამიანის ორგანიზმში რადიოტელევიზიის მუდმივი და ინტენსიური შეღწევა, რასაც ადგილი აქვს უკანასკნელ ათწლეულებში, ხელს უწყობს ზრდის ჰორმონების აქტივიზაციას. მაგალითად, იონური რადიაციის მცირე დოზით დასხივების შედეგად ცხოველები მატულობენ წონაში.

ურბანიზაციის თეორია. ურბანიზაციის პროცესი მსოფლიო მოვლენაა. მეოცე საუკუნეში ჩვენი პლანეტის მოსახლეობა ორჯერ გაიზარდა, ხოლო ქალაქის მოსახლეობა თერთმეტჯერ. ქალაქების ზრდა ემთხვევა აქსელერაციის ზრდას. ამ თეორიის მიხედვით დიდ ქალაქებში ადამიანზე მოქმედებს ფაქტორთა რიგი: კინო, ტელევიზია, ინტელექტუალურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების მეტი შესაძლებლობა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ბავშვების ნადრევ ფსიქიკური განვითარებაზე. სტრესული ფაქტორები, ქალაქის ხმაური მოქმედების ნერვულ სისტემაზე და სხვა სასიცოცხლო ფუნქციებზე. ეს თეორია თავის დამტკიცებას ნახულობს იმაში, რომ აქსელერაციის ტემპები ძირითადად ქალაქულ ბავშვებშია ნათლად გამოხატული.

ზოგიერთი თეორიის მიხედვით აქსელერაციის მიზეზი არის არა რომელიმე ცალკეული ფაქტორი, არამედ ყველა ფაქტორის კომპლექსური მოქმედება.

მოუხედავად თეორიათა სიმრავლისა (არსებობს სხვა თეორიებიც) საკითხი ბოლომდე არაა გადაწყვეტილი. ყოველ შემდგომ თეორიას არ აღმოაჩნდება წინამავალი თეორიის გამანადგურებელი ლოგიკური არგუმენტები, რის გამოც მივიღეთ თეორიათა სიმრავლე. აქსელერაციის მიზეზთა მეცნიერული ახსნა მომავლის საქმეა.

თავი მეექვსე

უმცროსი სასკოლო ასაკის მოსწავლეთა ასაკობრივ-ფსიქოლოგიური თავისებურება

§1. ფიზიკური განვითარება

უმცროსი სასკოლო ასაკი თითქმის ყველა ქვეყანაში განისაზღვრება 6-7 წლიდან 9-10 წლამდე. ჩვენს ქვეყანაში, როგორც აღვნიშნეთ, სწავლის დაწყების მინიმალური ასაკი ექვსი წელია.

უმცროსი სასკოლო ასაკში ხდება ბავშვის სალოკომოციო აპარატის ინტენსიური განვითარება და მოტორული კოორდინაციის სრულყოფა. ექვსი წლის ასაკში ბავშვის ორგანიზმის მოშლინება გრძელდება. ხდება არსებითი ცვლილებები ყველა ორგანოსა და ქსოვილში. იზრდება წონა და სიმაღლე, ცვლილებები ხდება სხეულის პროპორციაშიც, გრძელდება ხერხემლის გაძვლოვანება. ახლა ბავშვს შეუძლია ხერხემლის ვერტიკალურ მდგომარეობაში (მერხზე ჯდომისას) დაჭერა შედარებით ხანგრძლივი დროით. ჩონჩხის გაძვლოვანება ვერ არ დამთავრებულა, რის გამოც ამ ასაკის ბავშვს მოძრაობაში დიდი მოქნილობა ახასიათებს. ეს მოძრაობები ხელს უწყობენ მათი ნერვული სისტემის განვითარებისა და კოორდინაციის სრულყოფას. ამ ასაკში იზრდება პირობითი რეფლექსების შექმნავეების სისწრაფე.

პირველკლასელთა ზრდა მიმდინარეობს თანაბრად. სიმაღლისა და წონის ზრდასთან ერთად იზრდება ამტანობის უნარი, და ფილტვების სასიცოცხლო მოცულობა. პირველკლასელთა მუსკულატურა და კუნთური ძალა განვითარების უფრო მაღალ საფეხურზეა, ვიდრე სკოლამდელებთან. სრულყოფილი ხდება კუნთების აგებულება მათში წყლის შემცირებისა და კუნთური ქსოვილის ორგანული სითბურების ზრდის გამო. ამ ასაკში მსხვილი კუნთები უფრო ინტენსიურად ვითარდებიან, რის გამოც ბავშვებს უფრო ეხერხებათ და უადვილდებათ ფართო და გაშლილი მოძრაობების შესრულება, ვიდრე მცირე მოძრაობებისა, რომელთა შესრულება დიდ სიზუსტეს მოითხოვს.

ასაკობრივი ფსიქოლოგიის მონაცემებით ექვსი-შვიდი წლის ასაკში ხდება თავის ტვინის ქერქში უჯრედების ყველა ფენის სტრუქტურული გაფორმება, იზრდება შუბლის წილი, რომელიც აკონტროლებს აზროვნებასა და ცნობიერებას, სრულყოფილი ხდება ქერქის ანლიზური და სინთეზური მოქმედება. იცვლება ურთიერთობა და ურთიერთმიმართება ნერვული სისტემის ორ ფუნქციას-აგზნებასა და შეკავებას შორის. ახლა შეკავება შედარებით უფრო გამძლე და მდგრადია, ვიდრე სკოლამდელ ასაკში, თუმცა აგზნებითი პროცესები მაინც სჭარბობენ შეკავებისას. პირველი და მეორე კლასის მოსწავლეები ადვილად აგზნებადნი არიან.

სწრაფად და ინტენსიურად იზრდება უმცროსკლასელთა გულის კუნთი. იმის გამო, რომ იზრდება აგრეთვე სისხლძარღვთა დიამეტრიც, თავის ტვინი კარგად

მარაგდება სისხლით, რაც ბავშვის შრომისუნარიანობის მნიშვნელოვანი პირობაა ამ ასაკში. პირველკლასელებს უჭირთ მოძრაობის დროს საკუთარი სხეულისა და სხვა ახლო მდებარე სხეულებისა და საგნების მდებარეობისა და მდგომარეობის კოორდინაცია. ამიტომ ხშირია შემთხვევები, როცა ბავშვები ეჯახებიან ერთმანეთს, კედელს, მასწავლებელსაც კი.

ექვსწლიანი ბავშვის საშუალო წონა 20,5 კგ. და სიმაღლე 106 სატიმეტრია. სკოლაში მოსვლის მომენტიდან იწყება ბავშვის თანაბარზომიერი ზრდა და გრძელდება დაახლოებით ჰუბერტატული ზრდის ნახტომის დაწყებამდე. შეინიშნება აგრეთვე განვითარების ინდივიდუალური ვარიაციებიც, რომელიც დამოკიდებულია გარეშო პირობების ზემოქმედებაზე, კვებაზე, სქესობრივ განვითარებაზე და გენეტიკურ ფაქტორებზე. ცხრა წლის ასაკამდე გოგონები უფრო მსუქნები და დაბლებია ბიჭებთან შედარებით, მაგრამ მათი განვითარების ტემპები მკვეთრად იზრდება იმ პირმძალური ცვლილებების შედეგად, რომელიც გოგონებში ბიჭებთან შედარებით უფრო ადრე იწყება. ცხრა წლის შემდეგ ზრდის ტემპებში გოგონები ასწრებენ ბიჭებს.

უძცროს სასკოლო ასაკში ხდება ჩონჩხის ინტენსიური განვითარება, რასაც შეიძლება თან ახლდეს ტკივილის შეგრძნება, რაც სხეულის ზრდის ნორმალური რეაქციაა. ამ ასაკში ბავშვის ჩონჩხი, ძირითადად, არაა საბოლოოდ მომწიფებული. იგი უფრო მეტი რაოდენობით ხრტილოვან ნივთიერებას შეიცავს და გაძვლოვანების პროცესი კიდევ დიდხანს გრძელდება. ამის გამო დიდი ფიზიკური დატვირთვები უნდა შეიზღუდოს.

ამ ასაკში ბავშვები იცვლიან სარძევე კბილებს, რაც დაკავშირებულია ძვლოვანი სისტემის განვითარებასთან. ექვსი-შვიდი წლის ასაკში ბავშვები ოცამდე სარძევე კბილს იცვლიან. გ. კრაიჯის მხატვრული შედარება რომ ვიხმაროთ ამ ასაკის ბავშვის თვალში საცემი ნიშანია „ექვსწლიანთა უკბილო ღიმილი.“

როგორც აღვნიშნეთ, ამ ასაკში ბავშვებს უფრო ეხერხებათ გაშლილი მოძრაობების წარმოება, ვიდრე მცირე, ფაქიზი მოტორული ქცევისა. ამ ასაკის ბავშვებს ვადვილებათ ხეებზე ცოცვა, ცურვა, ბურთის სროლა და დაჭერა და ა.შ. მიუხედავად იმისა, რომ ფაქიზი მოძრაობების შესრულება მოითხოვს სიზუსტეს, ამ ასაკში მაინცაა შესაძლებელი წერის დაუფლება, ხატვა და სხვა. ექვსი-შვიდი წლის ასაკში შესაბამისი დახმარების აღმოჩენით შესაძლებელია ბავშვმა უფრო ზუსტი და ფაქიზი მოძრაობების შესრულება შეძლოს. მაგრამ ზოგიერთ, საკვებით ნორმალური განვითარების, ბავშვს არ შეუძლია რომისა და სამკუთხედის დახატვა და ზოგიერთი ასოს სწორად დაწერა რვა წლის ასაკამდე.

ამ ასაკში დიდი მნიშვნელობა ენიჭება მოქმედებათა დიფერენციაციას. ჯერ კიდევ სკოლამდე ასაკში მოტორული აპარატის განვითარების პროცესში მიმდინარეობს ბავშვის მარჯვენა და მარცხენა ხელის სპეციალიზაცია. სკოლაში შესვლის მომენტში კი აუცილებლად უნდა გაირკვეს და დაგინდეს ბავშვის მარჯვენა და მარცხენა ხელის საბოლოო ორიენტაცია. ექვსი წლიდან ათ-

თერთმეტ წლამდე ბუნებრივი ასიმეტრია უკვე ჩამოყალიბებულია და გამოვლენილია დომინირებული ხელი, ფეხი, თვალი და ყური. უნდა აღინიშნოს, რომ ცაცია ბავშვების რიცხვი ძალზე მცირეა. მკვლევართა ვარაუდით ბუნებრივი ასიმეტრია განპირობებულია ადამიანის ნერვული სისტემის სტრუქტურით. დადგენილია, რომ ტვინის მარცხენა ნახევარსფერო აკონტროლებს სხეულის მარჯვენა მხარის რთულ სამოძრაო ფუნქციებს. ცაციები იბადებიან მაშინ, როცა ნერვული სისტემის რაიმე ფუნქციონალური დაზიანების დროს მარჯვენა ნახევარსფერო თავის თავზე იღებს მარცხენას ფუნქციებს, რაც იშვიათი მოვლენაა.

ცაცია ბავშვები სკოლას ბევრ საზრუნავსა და პრობლემას უჭმნიან. ეს უპირველეს ყოვლისა ვლინდება უმცროს სასკოლო ასაკში წერის დაუფლების პროცესში. სკოლის ფსიქოლოგის უპირველესი ამოცანაა გამოავლინოს ბავშვის რეალურად დომინირებული ხელი და ბავშვს წერა მხოლოდ დომინირებული ხელით დააწეებინოს. თუმცა არის შემთხვევები, როცა ბავშვი ხელით ცაციაა, მაგრამ თვალით, ფეხით და ყურით მარჯვენა. ასეთ შემთხვევებში მკვლევარები გვირგვინ ვიხელმძღვანელოთ საღი აზრით. თუ ბავშვს ხელის ძლიერი ასიმეტრია აქვს, წერა უნდა დავაწეებინოთ აუცილებლად მარცხენა ხელით, ხოლო თუ მას „მსუბუქი“ მარცხენა გადახრა აქვს, წერა უნდა დავაწეებინოთ მარჯვენა ხელით.

უმცროს სასკოლო ასაკში ბავშვის ფიზიკურ განვითარებაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ჭარბი წონის ანუ სიმსუქნის პრობლემას. სიმსუქნი არის ბავშვის მდგომარეობა, როცა მისი წონა 20%-ით მეტია მის იდეალურ (სიმაღლეზე გათვლილ) წონაზე. როგორც მკვლევარები მიუთითებენ ამერიკელ უმცროსკლასელთა მეოთხედი დაავადებულია სიმსუქნით. ასეთ ბავშვების დიდ ნაწილს მოწიფუბულობაშიც აღენიშნებათ ჭარბი წონა, რაც გულ-სისხლძარღვთა დაავადების, დიაბეტის, მომატებული არტერიალური წნევის და სხვა სერიოზული დაავადებათა მიზეზი ხდება. ამ თვალსაზრისით ჩვენს სკოლებში, შეიძლება ითქვას, საგანგაშო მდგომარეობაა, რომლის მიზეზი გენეტიკურ ფაქტორებთან ერთად არის ცხოვრების უმოძრაო წესი და ჭარბი კვება.

ჭარბწონიან ბავშვებს შეიძლება ადვილათ ჩამოუყალიბდეთ უარყოფითი „მე“-ს ხატი და ოჯახმა ყველაფერი უნდა იზრუნოს მათი ფიზიკური ფორმის შესანარჩუნებლად. ზომიერი ფიზიკური ვარჯიშების შედეგად მიიღწევა ფიზიკური ჯანმრთელობის ისეთი მთავარი ასპექტები, როგორიცაა მოქნილობა, ამტანობა, ძალა და გულ-სისხლძარღვთა სისტემის ნორმალური ფუნქციონალობა.

ამრიგად უმცროსკლასელთა ფიზიკური განვითარების ზოგადი სურათი ასეთია: ხუთი-ექვსი წლის ასაკში ხდება ორივე სქესის ბავშვების წონის, სიმაღლისა და ძალის ინტენსიური ზრდა, სხეულის ყველა ნაწილის გამოყენების შესაძლებლობა, ტლანქი მოტორიკის სრულყოფა, ცალკეული მოტორული ჩვევების ერთ რთულ მოქმედებაში გაერთიანებისა და დაკავშირების უნარობა, წონასწორობის დაცვის უნარის გაუმჯობესება.

§2. შეშეცნებითი ფსიქიკური პროცესები. აღქმის განვითარება

სწავლის პროცესში ბავშვის წინაშე დგება მრავალი ამოცანა, რომელთა გადაჭრა ბევრადაა დამოკიდებული ორგანიზებულ და გეგმაზომიერ აღქმასთან. აღქმა ბავშვის ცოდნისა და გამოცდილების შექმნის ძირითადი წყაროა. იგი მჭიდრო კავშირში იმყოფება აზროვნებასთან, რადგანაც აზროვნება აღქმაში მოცემულ მასალას ემყარება. ყოველგვარი სწავლა აღქმით იწყება. სწავლის პროცესში, განსაკუთრებით პირველ ხანებში, ყველაზე ძნელი ამოცანაა მოსწავლეს სასწავლო მასალა მიაწოდო ისეთ ფორმაში, რომ მან იგი აღიქვას ყველა იმ მომენტით, რომელთა ცოდნა აუცილებელია. მასწავლებელი, რომელიც არ იცნობს აღქმის ასაკობრივ თავისებურებებს, შეცდომებს თავს ვერ დააღწევს.

უმცროსკლასელთა აღქმა მჭიდრო კავშირშია აღქმის შინაარსის, შეგრძნების განვითარების დონესთან. აქ უპირველეს ყოვლისა იგულისხმება მხედველობისა და სმენის შეგრძნების განვითარების დონე. გარესამყაროს შესახებ ინფორმაციის 80% ბავშვი მხედველობით იღებს. ექსვი წლის ბავშვს ყველა ანალიზატორი შედარებით ჩამოყალიბებული აქვს, რაც მგრძობელობის ყველა ფორმის შესაბამისად განვითარების საფუძველია. მხედველობისა და სმენის შეგრძნებები მთელი სასკოლო პერიოდის განმავლობაში განიცდის განვითარებას. უმცროსკლასელთა ის შეგრძნებები, რომლებიც უშუალოდ სწავლაში ერთვებიან, საგრძობლად განვითარებული. ისინი ვითარდებიან აღქმითი აქტივობის გზით, აღქმასთან ერთად.

მოუხედავად იმისა, რომ უმცროსკლასელს აღქმას შედარებითი სიტხველე ახასიათებს, იგი მაინც ბევრ რამეს ვერ ამჩნევს იმაში, რასაც ხედავს და რაც ესმის. მისი აღქმა ამ მიმართულებით ნაკლოვანია. პირველკლასელებთან სჭარბობს პირველი სასიგნალო სისტემის მოქმედება, რის გამოც სწავლებაში წამყვანი როლი თვალსაჩინოებსა და გრძობად აღქმას ენიჭება. ამ ასაკის ბავშვებს, სამწუაროდ, არ აქვთ ფაქიზი მგრძობელობა ელფერებისა და ნახევარტონების მიმართ.

პირველკლასელთა აღქმის ერთ-ერთი თავისებურება არის აგრეთვე სიტყვათა გრაფიკული გამოსახულების არასაკმაროდ დაფერენცირებული აღქმა. ფორმით მსგავს ასოთა შორის განსხვავების წედლომა ფაქიზი ანალიზის უნარს მოითხოვს, რაც ამ ასაკის ბავშვებს ძალიან უჭირთ.

ზებირი და წერიითი მეტყველების შეცდომების ფსიქოლოგიური ანალიზისას გ. მჭედლიშვილი გამოყოფს ტიპური შეცდომების ერთ სახეს – „შეცვლა“, როდესაც ბავშვები ერთმანეთში ურევენ იმ ასოებს, რომლებიც გრაფიკულად მეტ-ნაკლებად გვანან ერთმანეთს. ეს იმიტომ ხდება, რომ პირველ კლასში მათ არ აქვთ დიფერენცირებული ცალკეული ასოს ფორმამოყვანილობა. პირველ კლასში ასოთა წერის დაუფლებისას ბავშვი ხელმძღვანელობს მხედველობითი აღქმით, ე.ი. საამისოდ საჭირო მოტორულ მოძრაობებს წარმართავს მხედველობითი ხატი, რომელიც მესხიერებაშიც იმავე სახითაა შემოანახული.

მეორე კლასში გარფიკული აღრევის გარდა ადგილი აქვს ასოთა საარტიკულაციო აღრევასაც, ხოლო მესამე კლასში წერით ნამუშევრებში ადგილი

აქვს შეცვლის ორთავე სახეს, როგორც გრაფიკულს, ასევე საარტიკულაციოს, მაგრამ მათი ურთიერშეფარდება განსხვავებულია. მეორე კლასში საარტიკულაციო მსგავსებით გამოწვეული შეცდომები ებიზოდურია, ხოლო მესამე კლასში საერთოდ შეცვლის შეცდომები 15-20% აღწევს. ბავშვები ერთმანეთში ურევნი ისეთ ასობებს, როგორიცაა ძ-ხ, წ-შ, ვ-კ, ტ-ც, თ-ფ. ბავშვებს რომ შემდგომში ასეთი შეცდომები არ მოუვიდეთ, საჭიროა მათი სისტემატური ვარჯიში მსგავსი საგნების შედარებაში, მიმამსგავსებელი და განმასხვავებელი ნიშნების დადგენაში: „ხარი-ძროხა“, „თხა-ცხვარი“, „ბატი-იხვი“ და ა.შ.

შემდგომ კლასებში მოსწავლეთა აღქმა შედარებით უფრო სრულყოფილი ხდება. ბავშვები ეუფლებიან აღქმის „ტექნიკას“, უვითარდებთ არსებითისა და არარსებითის გამოყოფის უნარი, აღქმა ხდება დანაწევრებული და მართვადი. შედარებებში ვარჯიშისა და, საერთოდ, აღქმის პროცესში მასწავლებლის ხელმძღვანელობის შედეგად აღქმა თანდათანობით შეგნებულ ხასიათს ღებულობს. სწავლა, საერთოდ, ღიდ გავლენას ახდენს აღქმის განვარებაზე, იგი უზრუნველყოფს ბავშვის უნარს დინახოს და გააანალიზოს ის, რასაც აღიქვამს. გამოკვლევების მიხედვით უმცროსკლასელები, რომელთაც მასწავლებლები ამ თვალსაზრისით ღიდ ყურადღებას აქცევენ, უფრო ხშირად და უშეცდომოდ გამოყოფდნენ საგნის ფორმასა და სიღიდეს, ვიდრე ჩვეულებრივი საკონტროლო ჯგუფის მოსწავლეები. ასეთი მიზანმიმართული სწავლების შედეგად ბავშვებს უვითარდებთ აღქმის უფრო რთული ფორმა – დაკვირვება.

მაღზე ღიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ბავშვმა შეძლოს საგანთა იდენტურობის დადგენა ამა თუ იმ ეტალონისადმი. ეტალონები არის ადამიანური კულტურის ისტორიის პროცესში შემუშავებული საგნების განსხვავებული თვისებების ნიშნები და მოღელეები. მაგალითად, აღქმის ასეთი ეტალონებია: ფერები, სივრცითი და ღრიითი ერთეულები. თუ ბავშვს შეუძლია შეუსაბამოს აღსაქმელი თვისება ეტალონს, მას უკვე შეუძლია დაადგინოს იდენტურობა, მგსავსება (ბურთი მრგვალია) და განსხვავება (ბურთი და კუბი). სასწავლო წარმატება ღიდადა დაშოკიდებული იმაზე, თუ რამდენად მაღალ ღონეზეა განვითარებული უმცროსკლასელის სენსორული განვითარება. ეს უნარი ბავშვებს მასწავლებლის დახმარებით მეორე კლასიდან ინტენსიურად უვითარდებთ.

პირველკლასელებს ჯერ კიდევ არ აქვთ საკმარე ჩამოყალიბებული ანალიზისა და სინთეზის უნარი. ისინი ხშირად საგნებისა და მოვლენების ცალკე ნაწილებს აღქვამენ ისე, რომ მათ მთლიან მიმართებას ვერ ამჩნევენ. ხდება პირიქითაც, მთლიანს წვდებიან და ნაწილებს ვერ ამჩნევენ. უმცროსკლასელები ხშირად ისეთ წერილმანებს აღიქვამენ, რასაც უფროსები ვერ ახერხებენ. ეს იმიტომ ხდება, რომ უფროსებისათვის ამ წერილმანებს არავითარი მნიშვნელობა, ღირებულება არ აქვს და არ აქცევენ მათ ყურადღებას, ხოლო ბავშვებისათვის ამ წერილმანებს ხშირად გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს.

მიუხედავად იმისა, რომ სკოლამღელი ასაკის ბოლოს ბავშვის აღქმაში ჩნდება ნებისმიერი ფორმის ელემენტები, სკოლამღელის აღქმა მინც უნებლიეა, ასევე უნებლიეა თავდაპირველად უმცროსკლასელთა აღქმაც. პირველკლასელებს

არ შეუძლიათ თავიანთი აღქმის მართვა, ამ თუ იმ საგნისა და მოვლენის დამოუკიდებელი ანალიზი. ამის გამოა, რომ სურათების დათვალიერებისასა და ტექსტის კითხვისას ისინი ხტებიან შემდეგზე, გამოტოვებენ ხოლმე სიტყვებსა და დეტალებს. მათი აღქმა განპირობებული და განსაზღვრულია ობიექტური მიზეზით, თვისი აღსაქმელი საგნის თავისებურებით. ამიტომაც, რომ საგნებსა და მოვლენებში ბავშვები აღიქვამენ არამთავარს, უზნიშვნელოსა და არაარსებობას.

უმცროსკლასელი საგნებსა და მოვლენებში უპირველეს ყოვლისა აღიქვამს იმას, რაც მისთვისაა მნიშვნელოვანი და შეესაბამება მის ასაკსა და ინტერესებს. ხშირად მას იზიდავს გარეგანი ნიშნები, ნათელი, მოძრავი და დიდი საგნები. აღქმის პროცესი შეზღუდულია მხოლოდ ცნობით და აღსაქმელი ობიექტის დასახელებით. ჩადრმაკებული ანალიზისა და საგნების შემეცნების პროცესი მისთვის ჯერ კიდევ ძნელია. უმცროსკლასელთა აღქმა მჭიდროდაა დაკავშირებული პრაქტიკულ მოქმედებასთან. აღიქვა რომელიმე საგანი, ნიშნავს რაღაცა მოიძოქედო ამ საგნით, აიღო ის ან შეეხო მას, აღიქმება ძირითადად ის, რაც უმცროსკლასელთა მოთხოვნილებებს შეესაბამება, მისი ინტერესების სფეროში შემოიხდის. პირველ და მეორეკლასელთა აღქმის ერთ-ერთი თავისებურებაა აშკარად გამოხატული ემოციური ხასიათი – პირველ რიგში აღიქმება ისეთი საგნები და მოვლენები, მათი ისეთი ნიშნები და თვისებები, რომლებიც ბავშვებში იწვევენ უშუალო განცდებს. გ. კერზუაშვილმა სპეციალურად იცვლია უმცროსკლასელთა მუსიკალური განვითარების საკითხები. იგი აკეთებს დასკვნას, რომლის მიხედვითაც პირველ და მეორე კლასებში მუსიკის შინაარსეული განცდა უმთავრესად ობიექტის სენსორულ თვისებებს ემყარება. ეს თავისებურებანი განსაზღვრავს ბავშვთა ესთეტიკურ არჩევანს (სწრაფვებშიანი, მაჟორული პიესები). დაწყებითი სკოლის ზედა საფეხურზე კი თუქცა მუსიკის სენსოროტორული განცდა კიდევაც შემორჩენილი, მაგრამ ახლა იგი შედარებით უფრო მეტ აკუსტიკურ გამოხატველობით თავისებურებათა აღქმას ემყარება.

აღქმის განვითარება და უმცროს სასკოლო ასაკში მისი შედარებით მაღალ საფეხურზე ასევე თავისთავად არ ხდება. აქ მასწავლებლის როლი განუზომელია. მასწავლებელი მოსწავლეთა აღქმის სპეციალურ ორგანიზაციას ახორციელებს, ასწავლის მათ საგნებისა და მოვლენების შედარებისას არსებითი ნიშნების გამოყოფას, აჩვენებს მათ სისტემატურ ანალიზს, რაც ამ ასაკის ბავშვისათვის დიდი მიღწევაცაა. ამ მნიშვნელოვან საქმეში დიდი როლი ენიჭება სიტყვას. სიტყვა ბავშვის მოქმედებას უკვე მიმართულებას აძლევს. პირველკლასელებთან სიტყვა-დასახელებით აღქმის პროცესი თითქოს მთავრდება. მეორე და მესამე კლასებში სიტყვას უკვე სხვა ფუნქცია აქვს. ასახელებენ რა საგნებს, ბავშვები სიტყვიერად ავრბელებენ მის აღწერასა და შემდგომ ანალიზს, რასაც პირველკლასელები ვერ ახერხებდნენ. იცვლება აგრეთვე აღქმის შერჩევითობის მიზეზებიც. ახლა წინა პლანზე სუბიექტური მიზეზები გამოდის. აღქმის პროცესი უფრო მეტად განისაზღვრება ინტერესებით, მოთხოვნილებებითა და მოსწავლეთა, წარსული გამოცდილებით, ვიდრე საგნის გარეგნული ნიშნებით.

პირველი და მეორეკლასელები, როგორც ენახეთ, მოკლებულნი არიან ღრმა ანალიზისა და სინთეზის შესაძლებლობას, რაც თავისებურ სიძნელებებს ქმნის

წერა-კითხვის სწავლებაში. ცნობილი ქართველი ფსიქოლოგის ა. მოსიავეას გამოკვლევის საფუძველზე შ. ჩხარტიშვილს მაჩნია, რომ ერთ-ერთი სერიოზული ამოცანა, რომელიც პირველკლასელმა უნდა გადაწყვიტოს სანამ წერა-კითხვის სწავლებას შეუდგებოდეს, არის მეტყველების, როგორც ფსიქოლოგიური ფაქტის აღმოჩენა და ანალიზის გზით მისი დანაწევრება წინადადებად, სიტყვებად, მარცხლებად და ბგერებად. ექსი-შვიდი წლის ბავშვები ვერ ამჩნევენ, რომ სიტყვა ერთი მოვლენაა, ხოლო რასაც ეს სიტყვა აღნიშნავს – მეორე. მათთვის მაგალითად, საგანი წიგნი და სიტყვა წიგნი ორი რამეა, არამედ ერთი. მათთვის სიტყვა გამჭვირვალეა, აღიქმენ იმას, რაც სიტყვაშია მოქცეული, მაგრამ თვითონ სიტყვას ვერ ხედავენ. წერა-კითხვის სწავლა კი პირველ რიგში მეტყველების ფაქტების ნათლად გაცნობიერებას მოითხოვს. ბავშვმა ყურადღება უნდა შეაჩეროს არა მარტო სიტყვათა საგნობრივ შინაარსზე, არამედ მის ფონემატიკურ და გრაფიკულ შემადგენლობაზე, თვითონ მეტყველებაზე, როგორც სპეციფიკურ აქტივობაზე. ბავშვის მიერ მეტყველების, როგორც ფსიქოლოგიური ფაქტის აღმოჩენა, მთლიანად მასწავლებელზეა დამოკიდებული. სიტყვისა და მისი ელემენტების თავისებურება ბავშვმა ერთ მთლიანობაში უნდა აღიქვას და განიცადოს. ამ მიმართულებით მასწავლებლის მიერ გაწეული მუშაობა მოსწავლეთა გონებრივი განვითარების საქმეში მნიშვნელოვანი შედეგების მომტანია.

დაწყებითი სკოლის ასაკში დიდი სიძნელებაა დროისა და სივრცის აღქმის საქმეში. პრაქტიკულ-პედაგოგიური თვალსაზრისით (წერა-კითხვის შესწავლა, გეოგრაფიული, გეომეტრიული და ისტორიული ცნებების ათვისება) დროისა და სივრცის აღქმის ასაკობრივი კანონზომიერებებისა და თავისებურებების ცოდნას მასწავლებლისათვის პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭება.

უძველესი მოსწავლეთა დროისა და სივრცის აღქმის თავისებურებების პრობლემას სპეციალური გამოკვლევა მიუბღწნა შ. ჩხარტიშვილმა. მისი აზრით სკოლამდელ ასაკში ბავშვი სივრცით მიმართებებს საკუთარ თავთან მიმართებაში აღიქვამს. აღქმული სივრცის ცენტრში ყოველთვის თვითონ იმყოფება და აქედან განსაზღვრავს საგნის დაშორების მანძილსაც და სივრცით მიმართებასაც. იგი ვერ ახერხებს აღქმის კოორდინატები საკუთარი თავიდან სხვა წერტილში გადაიტანოს და სივრცის რომელიმე მონაკვეთის მოცულობა, მიმართულება და ზომა ამ წერტილთან მიმართებაში აღიქვას.

პირველკლასელის აღქმაში ამ მიმართულებით საგრძნობი ცვლილებებია. ახლა ბავშვი სწორად საზღვრავს მარჯვენა და მარცხენა ხელს, წინა და უკანა მხრეებს. იგი აგრეთვე სწორად საზღვრავს სხვის მარჯვენა და მარცხენა ხელს, გამოიცნობს რა სივრცით მიმართებაში იმყოფება მაგიდაზე განლაგებული საგნები ერთმანეთთან, ოღონდ ეს ნივთები მოცემული უნდა იყოს ბავშვის მხედველობის არეში. მესამე და ჩუოთხეკლასელები კი არათვალსაჩინოდ მოცემულ სიტუაციაშიც ახერხებენ მიმართულების გარკვევას.

სივრცითი მიმართებების აღქმის განვითარების საქმეში დიდ როლს გეოგრაფიული და გეომეტრიული ცნებების დაუფლება ასრულებს, რასაც დასაბამი დაწყებით კლასებში ეძლევა პირველკლასელისათვის „ასა კილომეტრი“, „ხუთასი

კილომეტრი“, „სამი ათასი კილომეტრი“ არის ძალიან შორს, იგი ამ ასაკობრივი პერიოდის ბოლომდე უფრო ფაქიზ დიფერენციაციას ვერ ახდენს. ამ მიმართულებით მნიშვნელოვანია აგრეთვე ისეთი დაბირისპირებული ცნებების შედარების ვარჯიშები, როგორიცაა: „დიდი-მატარა“, „სქელი-თხელი“, „მალა-დაბლა“, „მოკლე-გრძელი“, „ვიწრო-ფართი“, „ნახევარი-მთელი“ და ა.შ. სწავლის პროცესში ბავშვები ითვისებენ სივრცის საზომ ერთეულებს, რომელთა პრაქტიკულ დაუფლებას სივრცის აღქმის განვითარებაში გარკვეული ორგანიზაცია შეაქვს.

საინტერესოა აგრეთვე ფორმის აღქმის განვითარების დინამიკაც. გამოკვლევებმა უჩვენეს (ს. შაბალინი), რომ სკოლამდელები ახდენენ უცნობი გეომეტრიული ფორმების აღქმის გასაგნებას: წრეს აღიქვამენ ბორბლად, სამკუთხედს ჯიბედ, ოთხკუთხედს ზედაფუტეზე დაყრდნობილი სამკუთხედით – სახლად. ანალოგიურ მდგომარეობას აქვს ადგილი პირველკლასელებთანაც. უფრო გვიან კი, როცა მოსწავლეები გეომეტრიულ ფორმებს უუფლებიან და საცეციალურ ცნებებსაც ითვისებენ, ხდება პირველ პროცესში, საგანთა კონკრეტული ფორმები განისაზღვრება გეომეტრიულ ფორმებში. მოსწავლეები ასე მსჯელობენ: მთა კონუსივითაა, მოედანი კვადრატს გავს, მიწის ნაკვეთს სამკუთხედის ფორმა აქვს. პირველკლასელი ფორმის აღქმის დროს ყოველთვის არ უწევს ანგარიშს ფიგურის სივრცით მდებარეობას. ამ მიმართულებით ყველაზე გავრცელებული შეცდომაა ფიგურის, ციფრისა და ასოს თავდაყირა გამოხატვა ან მისი სარკისებრი შებრუნება. ეს მდგომარეობა დიდ სიძნელეს წარმოადგენს წერა-კითხვის სწავლებაში. მასწავლებელმა, რომელმაც იცის ბავშვის აღქმის ეს თავისებურება, ადვილად დააძლევინებს მოსწავლეს ამას.

სასკოლო ცხოვრება განუწყვეტლივ უყენებს ბავშვს დროში ორიენტაციის ამოცანებს. ახლა ბავშვი ყოველდღე გარკვეულ დროს უნდა ადგეს, იჯდეს გაკვეთილზე, დროზე დაიძინოს და ა.შ. დაწყებითი სკოლის ასაკში ბავშვები ითვისებენ დროის ძირითად საზომ ერთეულებს, რაც ხელს უწყობს დროითი ინტერვალების შედარებით ზუსტ შეფასებას. დროის აღქმას ბავშვის ცხოვრებაში დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს, მაგრამ არის დიდი სიძნელეებიც. დადასტურდა, რომ წუთის აღქმა კლასიდან კლასში უფრო ზუსტი ზდება, მაგრამ მოსწავლეთა უმრავლესობა ამცირებს წუთის რეალურ ხანგრძლივობას, ხოლო პირიქით, როცა მათ უფრო ხანგრძლივი დროის მონაკვეთების აღქმას ავალებდნენ (5-10-15 წუთი), მოსწავლეები აჭარბებენ დროის რეალურ ხანგრძლივობას. ამასთანავე მხედველობაში უნდა მივიღოთ ის გარემოება, რომ დროის მონაკვეთის აღქმა დამოკიდებულია იმაზე, თუ რა შინაარსითაა შევსებული დრო. იმის გამო, რომ უმცროსკლასელებს დროის რეფლექსი ჯერ არ აქვთ ჩამოყალიბებული, ისინი ხშირად შეცდომით აფასებენ დროით ინტერვალებს. დროის ზუსტი აღქმის განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს დღის რეჟიმის დაცვას, რაც დროის გრძობის განვითარების მნიშვნელოვანი საფუძველია. მეორე და მესამეკლასელები შედარებით ზუსტად აღიქვამენ გაკვეთილების ხანგრძლივობას, სწორად საზღვრავენ დასვენებისა და მეცადინეობის დროს. უმცროსკლასელებმა უკვე იციან დროის ის მცირე მონაკვეთები, რომელთანაც მათ ცხოვრებაში პრაქტიკული დამო-

კიდებულება აქვთ. ბავშვის პირადი ცხოვრებისეული გამოცდილება და გონებრივი განვითარების მიღწეული ღონე არაა საკმარისი პირობა, რომ ნათელი ხატები ჰქონდეს დროის ისეთი მონაკვეთების შესახებ, როგორცაა საუკუნე, ეპოქა, ერა.

დროის აღქმა პირველკლასელთათვის დიდ სიძნელეს წარმოადგენს. მათთვის არაა ადვილი აღიქვა ის, რასაც თვალსაჩინო ფორმა არ აქვს, თანაც მუდმივ მიმდინარეა. პირველკლასელებს შედარებით არ უჭირთ აწმყო დროის აღქმა, ხოლო წარსული დროის, განსაკუთრებით მისი ხანგრძლივი პერიოდების, აღქმა ძალიან უძნელდებათ. აღწერილია შემთხვევა, როცა შესამეკლასელი მოსწავლე მთელი სერიოზულობით ეკითხება ბაბუას უნახავს თუ არა მას მამონტები. დროში ორიენტაციების უნარის ჩამოყალიბება მთელი დაწყებითი სწავლის პერიოდში მიმდინარეობს. მეორეკლასელებს უკვე შეუძლიათ გაიგონ და აითვისონ, რომ დროის შეჩერება არ შეიძლება, მისი შეჩერება და შეცვლა ადამიანის სურვილზე არაა დამოკიდებული. დროის ისტორიული მონაკვეთების აღქმისა და გაგების საქმეში დაწყებითი სკოლის ასაკის ბავშვები გარკვეულ თავისებურებას ამჟღავნებენ: ესაა შორეული წარსულის აწმყოსთან ახლოს მოტანა, აწმყოსთან დაახლოება. მაშინაც კი, როცა ისინი ამბობენ – „ეს იყო ძალიან დიდი ხნის წინათ“ არც ისე შორეულ წარსულს გულისხმობენ.

ასეთია, ზოგადად, უმცროსკლასელთა აღქმის განვითარების თავისებურებანი, რომელთა გათვალისწინებას სწავლებისა და აღზრდის პროცესში პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭება. ამ მიმართულებით მასწავლებლის მუშაობას განსაკუთრებული როლი აქვს. მასწავლებელს, რომელიც კარგად იცნობს უმცროსკლასელის აღქმის თავისებურებას, ყოველთვის შეუძლია ივარაუდოს, რას დაინახავს ბავშვი დამოუკიდებლად მიწოდებულ მასალაში და რა დახმარება უნდა გაეწიოს მას ამ მიმართულებით.

დაწყებითი სკოლის ბოლოს მასწავლებლის მიერ გატარებული სპეციალური ღონისძიებების შედეგად ბავშვს უკვე შეუძლია დამოუკიდებლად დაგვეგმოს თავისი აღქმითი მუშაობა, მიზანმიმართულად, წინასწარი განზრახვით განახორციელოს იგი. ასეთი აღქმა თანდათანობით ნებისმიერი დაკვირვების ფორმას იღებს.

§3. ყურადღების განვითარება

უმცროსკლასელთა სასკოლო წარმატება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მათი ყურადღების განვითარების ღონეზე. ყურადღების მიზანია მოსწავლისათვის საჭირო სასწავლო შინაარსი მისი ცნობიერების ცენტრში მოათავსოს, მიღწეული შედეგი შეინარჩუნოს საჭირო ღონემდე და შემდეგ, ახალი მოთხოვნისთვის კვალობაზე სწრაფად მოამზადოს პირობები ცნობიერების ცენტრში სხვა საჭირო შინაარსის მოსათავსებლად. ყურადღება თავისებური, სპეციფიკური ფსიქიკური პროცესია. მიუხედავად იმისა, რომ მას ხანდახან არ თვლიან განსაკუთრებულ ფსიქიკურ პროცესად, იგი ცნობიერების წარმატებით მუშაობას უზრუნველყოფს. ყურადღება სხვა შემეცნებითი ფსიქიკური პროცესების მუშაობისთვის აუცილებელ

ფსიქოლოგიურ პირობებს ქმნის. ყურადღების მიპყრობა შეიძლება როგორც გარესამყაროს ობიექტებზე, ასევე საკუთარი შინაგანი სამყაროს მოვლენებზეც.

უმცროსკლასელის ყურადღების მთავარი ასაკობრივი თავისებურება არის ნებისმიერი ყურადღების სისუსტე. უნებლიე ყურადღება ამ ასაკში უკეთესადაა განვითარებული. ყურადღება თავისთავად ექცევა ახალს, მოულოდნელ, ნათელ, მოძრავ, შთაბეჭდვად და ა.შ. შთაბეჭდილებებს. ასაკობრივი თავისებურებებიდან ამ მიმართულებით აგ ზნებისა და შეკავების პროცესების მიმდინარეობაა განმსაზღვრელი. ეს პროცესები უმცროსკლასელებთან სწრაფად მიმდინარეობს. ამიტომ ახალი გამღიზიანებლები ტვინის ქერქში იწვევს აგ ზნების ახალ კერას და აკავებს მეორეს. აქედან ადვილი გასაგები ხდება თუ რატომ „გადახტება“ ბავშვის ყურადღება სწრაფად ერთი საგნიდან მეორეზე.

უმცროსკლასელის ქცევის ძირითადი ფორმა სწავლაა და მისი ყურადღება იმ შემთხვევაში იჭნება ინტენსიური, თუ სასწავლო მასალა ნათელი, ხატოვანი და ემოციურია. ამასთანავე უნდა გვახსოვდეს, რომ აღსაქმელი მასალისაგან გამოწვეული ძლიერი უშუალო შთაბეჭდილებები უმცროსკლასელებს ხელს უშლიან. ეს იმით აიხსნება, რომ ძლიერი შთაბეჭდილებები დაკავშირებულია ტვინის ქერქში აგ ზნების ძლიერი კერის აღმოცენებასთან, რომელიც იწვევს შეკავებითი პროცესების ინდუქციას, სხვა კერების შეკავებას, რის შედეგადაც სასწავლო მასალის ათვისება ფერხდება.

სკოლამდელი ასაკის ბოლოს იწყება ნებისმიერი ყურადღების ჩასახვა, მაგრამ პირველკლასების ყურადღება ძირითადად უნებლიეა. მიუხედავად ამისა ამ ასაკში ყურადღების ნებისმიერი ფორმების ჩასახვა ფსიქიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ახალწარმოქმნილია. ნებისმიერი ყურადღების ჩამოყალიბებას დიდად უწყობს ხელს სასწავლო პროცესი. ამ ასაკში ბავშვებს უკვე შეუძლიათ ყურადღება მიაქციონ არა მხოლოდ ნათელ და მიმზიდველ საგნებს, არამედ უინტერესო და ნაკლებმიზიდველ მოვლენებსაც კი, რაც ამ მიმართულებით წინსვლის აშკარად მაჩვენებელია.

ახლა ყურადღება ხდება უფრო ადაპტური, ე.ი. უმცროსკლასელებს უკვე შეუძლიათ, თუ სიტუაცია მოითხოვს, ყურადღების ველში მოათავსონ რამდენიმე ობიექტი და კონცენტრაცია გააკეთონ რომელიმე მათგანზე.

ამვე დროს ბავშვებს შეუძლიათ გამოავლინონ ანტიციპაციის უნარიც, ე.ი. აწარმოონ იმის მიზანმიმართული ძიება, რისი დანახვაც ან მოსმენაც უნდათ. ამასთანავე მათ უვითარდებათ რამდენიმე (ძირითადად ორ) ობიექტზე ყურადღების განაწილების უნარი.

ვ. კაკაბაძის აზრით ბავშვებში ნებისმიერი ყურადღების გამომუშავება არაა ყურადღების განვითარების უკანასკნელი საფეხური. არსებობს ყურადღების განვითარების უფრო მაღალი ფორმა, ე.წ. „ნებისმიერის შემდგომი ყურადღება“. ნებისმიერ ყურადღებას აქვს უარყოფითი მხარეც. დადებითი მხარეა, როცა ის ბავშვისათვის საჭირო და ღირებულ შინაარსზე ჩერდება, ხოლო უარყოფითი – როცა იგი ობიექტური და სუბიექტური ფაქტორების ბრძოლის ასპარეზია, რაც ძვირად უჯდება სუბიექტს. ყურადღების აღზრდის ამოცანა უნდა იყოს ნებისმიერი

და უნებლიე ყურადღების დადებითი მომენტების, მხარეების შერწყმა და ბავშვებში ისეთი პროცესის განვითარება, რომელიც ხასიათდება როგორც უმაღლესი და ღირებული ყურადღების აქტის მოქმედებაში. ეს დადებითი მხარეებია: ყურადღების აქტის სიაღვრე. ძალდაუტანებლობა (უნებლიე ყურადღების დროს) და ამ აქტის შინაარსის ობიექტური ღირებულება (ნებისმიერი ყურადღებისათვის). ყურადღების აღზრდის მიზანია ისეთი ყურადღების გამოუმუშავება, როცა ბავშვის ცნობიერებას მიიზიდავს ობიექტურად ღირებული მოვლენები ისე, რომ ცნობიერების ხანგრძლივად შეჩერება აღარ მოითხოვს ბავშვისაგან ძალისხმევას და ნებისყოფის დახმარებას. ფაქტურად ეს არის ნებისმიერი ყურადღების ჩვევად გადაქცევა. „ყურადღებით ყოფნის“ ჩვევის გამოუმუშავებას ხელს უწყობს ნებისმიერი ყურადღების აქტების ხშირი წარმოება. აღნიშნული ჩვევა შეძღვომში ბავშვის პიროვნების თვისებად იქცევა.

ი.სტრახოვმა ჩამოაყალიბა უმცროსკლასელთა ყურადღებიაზრობის ოთხი მდგომარეობა) ა) ნამდვილი ყურადღება, ბ) მოჩვენებითი უყურადღებობა, გ) მოჩვენებითი ყურადღება და დ) ნამდვილი უყურადღებობა. გაკვეთილზე ბავშვის ნამდვილი ყურადღებიაზრობა გამოიხატება იმაში, რომ უმცროსკლასელები მზად არიან გაკვეთილის დაწყებისთანავე ჩაებან მის შესვლელობაში და შეძლებისდაგვარად წინაღამდევობა გაუწიონ ყურადღების გადაშვრულ ფაქტორებს. ამ ასაკის ბავშვის ნამდვილი ყურადღების ნიშნებია საქმიანი პოზა და გაკვეთილებისადმი მზაობის მიმიკური გამოხატულება. გაკვეთილზე შეიძლება არსებობდეს აგრეთვე მოჩვენებითი უყურადღებობა. ამ მდგომარეობას ადგილი აქვს ისეთ მოსწავლეებთან, რომელთაც ყურადღების გარეგნული ნიშნები სუსტად აქვთ გამოხატული. სანგვინიკური ტემპერამენტის ბავშვთან მოჩვენებითი უყურადღებობა კლინდება ძალზე გამოკვეთილად მაშინ, როცა ბავშვი ერთდროულად აკეთებს რამდენიმე საქმეს: იგი მოძრაობს, ხშირად იცვლის პოზას, ლაპარაკობს ამხანაგებთან, თავის აზრს გამოთქვამს ხმამაღლა. სახის მიმიკა ხშირად ეცვლება. მაგრამ მასწავლებლის კითხვებზე იგი არ იბნევა, მისი პასუხები მეტყველებენ, რომ იგი კლასთან ერთადაა, კლასის ცხოვრების ფერხულშია. ასეთი ბავშვების ყურადღების აღზრდა დაკავშირებულია თავშეკავების აღზრდასთან.

ზოგიერთი უმცროსკლასელი ამჟღავნებს მოჩვენებით ყურადღებიაზრობას. ამ დროს ყურადღების გარეგნული ფორმები არ შეესაბამება ბავშვის მდგომარეობას გაკვეთილზე. გარეგნულად ბავშვის თითქოს ყურადღებიაზრობაა, მაგრამ მასწავლებლის კითხვებზე ვერ პასუხობს. ამის მიზეზი სხვადასხვაა: ზოგიერთ მოსწავლეს ახასიათებს აზრის სიზარმაცე, სწავლისადმი არასერიოზული დამოკიდებულება და ა.შ. ასეთმა ბავშვმა გაკვეთილი შეიძლება იცის, მაგრამ გაფანტულია. დაბოლოს ისეთი ბავშვები, რომლებიც ამჟღავნებენ ნამდვილ უყურადღებობას, მათ არ აქვთ მზაობა გაკვეთილისადმი, მათი პოზა და მიმიკა აშკარად ამჟღავნებს უყურადღებობას, რომლის შედეგია სუსტი აკადემიური წარმატება და დიდი რაოდენობის შეცდომები.

უმცროსკლასელთა ყურადღება არაა გამძლე უცვლელი ობიექტების მიმართ. ამიტომ, რომ მათ არ შეუძლიათ დიდი ხნის განმავლობაში ერთი და იგივე სამუშაოს შესრულება. ისინი ჩქარა იღლებიან, რაც თავის მხრივ, აქვეითებს მათ

ყურადღებას. ამიტომ მასწავლებელმა უნდა ისარგებლოს მცირე პაუზებით და დაასვენოს პატარა მოსწავლეები. უმცროსკლასელთა (განსაკუთრებით პირველ და მეორეკლასელთა) ყურადღების სუსტი გამძლეობის მიზეზია შეკავებითი პროცესების სისუსტე.

ყურადღება და ინტერესი მჭიდრო ურთიერთობაშია ერთმანეთთან. ყურადღების სიმტკიცე მაღალია ინტერესებზე დაყრდნობის ხარისხის მიხედვით. უმცროსკლასელის ყურადღების სიმტკიცე დამოკიდებულია მის ზოგად განვითარებაზე, უნარ-ჩვევების, ინტერესებისა და ნებისყოფის ღონეზე. უმცროს მოსწავლეთა ყურადღების ხიმყარის დაბალი ღონე დამოკიდებულია სხვადასხვა მიზეზებზე: ინტელექტუალური ძალისხმევის არასებობა, თვითოკტროლის სისუსტე, ჩვევებისა და ჩვეულებების არქონა, სწავლის ინტერესების დაქვეითება და პასუხისმგებლობის სუსტი გრძნობა. გამოირკვა, რომ ყურადღების გადანაცვლება მჭიდროდაა დაკავშირებული სასკოლო წარმატებასთან. ყურადღების ადვილი გადანაცვლებით ხასიათდებიან „ძლიერი“ მოსწავლეები, ხოლო „სუსტ“ და „საშუალო“ მოსწავლეებს ყურადღების გადანაცვლება უჭირთ.

უმცროსკლასელთა ყურადღების მოცულობა შეზღუდულია. მათი ყურადღება უმეტესად ერთ ობიექტზეა მიმართული. მათ უჭირთ ყურადღების განაწილებაც. მაგალითად, მათ ძალიან უჭირთ კარნახით წერა იმიტომ, რომ მათთვის ერთდროულად ყურადღების მიქცევა წერასა და მასწავლებლის კარნახზე ერთობ ძნელია. ვ. სტრანოვს შემოაქვს კოლექტიური ყურადღების ცნება. მისი აზრით კოლექტიური ყურადღება არაა გაკვეთილზე მოსწავლეთა ინდივიდუალური ყურადღების მექანიკური ჯამი. კოლექტიური ყურადღება ესაა მასწავლებლის მიერ ორგანიზებული და აღზრდილი ყურადღება, რომელიც მიმართულია ერთი მიზნისაკენ, ასახსნელ მასალაზე ყურადღების მიპყრობისაკენ. ესაა კლასის ყურადღება საერთოდ, რაც ყურადღების განვითარების მაღალ ფორმას წარმოადგენს. პირველკლასელებს ასეთი ფორმის განვითარებული ყურადღება არ აქვთ. მეორე კლასში ფალობდება მისი ჩანასხოვანი ფორმები, მაგრამ ეს თავისთავად, მასწავლებლის მუშაობის გარეშე არ მოხდება. კოლექტიური ყურადღების აქტიური ჩასახვისა და დაწყების ეტაპია შესამე კლასი.

უმცროს სასკოლო ასაკში მოსწავლეთა სუსტი აკადემიური წარმატების ერთ-ერთი მიზეზია ის, რომ მათ არ შეუძლიათ დროულად და მთლიანად გადართონ თავიანთი ყურადღება არა მარტო მოქმედების ერთი ფორმიდან მეორეზე, არამედ ერთსა და იმავე მოქმედებას შორისაც. ყურადღების გადართვა განსაკუთრებით გაძნელებულია შემდეგ შემთხვევებში:

ა) ახალ და ძველ ცოდნას შორის კავშირის დამყარების დროს. ყურადღების გადართვის პროცესის გასაადვილებლად სასარგებლოა ყურადღების გამახვილება ადრე შესწავლილ იმ დებულებებზე, წესებსა და კანონებზე, რომელც ახალი მასალის შეთვისებას ვდება საფუძვლად;

ბ) მასწავლებლის სიტყვიერი ახსნიდან თვალსაჩინო მასალაზე გადასვლის დროს. ამ შემთხვევაში ყურადღების გადართვა ხელს უწყობს მასწავლებლის მიერ გადაცემული თეორიული ცოდნის კონკრეტიზაციას. ამიტომ მიზანშეწონილია თვალსაჩინო მასალა ვარჯიშით ბავშვებს მასწავლებლის სიტყვიერად გადაცემული

მასლის ლოგიკის მიხედვით და ამასთანავე უნდა ეუკარნახოთ მათ რა და როგორ უნდა დაინახონ;

გ) სააზროვნო პროცესში ყურადღების გადატანის დროს: ეს პროცესი მოითხოვს ანალიზისა და სინთეზის განვითარების მაღალ დონეს. აღნიშნული პროცესი მაშინაა წარმატებული, როცა მასწავლებელი გაკვეთილზე სისტემატიურად ასწავლის ბავშვებს საგნებისა და მოვლენების შედარებას, განზოგადებას, კლასიფიკაციას.

უძეოროსკლასელთა ყურადღების განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს მათ წინაშე ნათელი და საინტერესო ამოცანების დასმას. დიდ როლს თამაშობს აგრეთვე აქტიური, მიზანშეწონილი აღქმის წარმოება. ამასთანავე უნდა გვახსოვდეს, რომ ის, რაც ადვილად ეჩვენება უფროსებს, ბავშვისათვის შეიძლება მეტად რთული აღმოჩნდეს. ერთ-ერთ გაკვეთილზე მასწავლებელმა პირველკლასელებს უჩვენა ციყვის სურათი, რის შემდეგაც ბავშვებს უნდა დაეხატათ მისი კონტური. როცა მასწავლებელმა სურათი აიღო ბავშვებმა დასვეს მრავალი კითხვა იმის შესახებ თუ როგორი და რა ფერის თვალები, ყურები, ულვაშები და წარბები ჰქონდა ციყვს. აღმოჩნდა, რომ ამ ნახატში ბავშვებმა ბევრი რამ ვერ დაინახეს, მიუხედავად იმისა, რომ ყველამ კარგად დათვალიერა იგი.

პირველი კლასის მასწავლებლები ხშირად ჩივიან მოსწავლეთა ყურადღების გაფანტულობის შესახებ. ამ ასაკში ყურადღების გაფანტულობას შეიძლება აპირობებდეს ისეთი ფიზიოლოგიური ფაქტორები, როგორცაა ნერვული სისტემის ზოგადი დაავადება, სისხლნაკლებობა, გაძნელებული სუნთქვა (ადენოიდები). მასწავლებელმა ამ მდგომარეობას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს. ბავშვთა გაფანტულობის მიზეზი შეიძლება იყოს ტვინის გადატვირთვა შთაბეჭდილებათა სიმრავლით, ყურადღების სუსტი გადამტყდებისა და განაწილების უნარი. უძეოროსკლასელთა ყურადღების გაფანტულობაში ხანდახან დაძნალება თვით მასწავლებელი, რომელიც გაკვეთილს ატარებს მონოტონურად, უნტერესოდ და ნაკლებმიზიდველად.

მეორე და მესამე კლასებში ნებისმიერი ყურადღების განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მაჩვენებელია ყურადღების გადამხრელი ფაქტორებისადმი წინააღმდეგობის გაწევის უნარი. პირველკლასელებს ეს ძალიან უჭირთ და თითქმის ვერც ახერხებენ. ამის მთავარი მიზეზი ნებისყოფის სისუსტეში მდგომარეობს. ძირითადი სიძნელე მაინც ყურადღების გადამხრელ ობიექტურ ფაქტორებთან ბრძოლაა. ასეთებია: მერხებზე მსხლომი სხვა მოსწავლეები, მათი ჩაცმულობა, ვარცხნილობა, პლაკატები, სურათები და დიდაქტიკური მასალები საკლასო ოთახში, ქუჩიდან შემოსული ხმაური. არ მიაქციო უნებლიედ ყურადღება ამ მიზეზიდველ გამაღიზიანებლებს – ამ ასაკში არაა ადვილი საქმე, მაგრამ მასწავლებლის სისტემატიური დახმარებითა და ვარჯიშით თანდათანობით მიიღწევა. რაც შეეხება ყურადღების გადამხრელ სუბიექტურ ფაქტორებს (მათ შორის უმთავრესს - ოცნებას), მისი გავლენა ამ ასაკში არაა მნიშვნელოვანი. გაკვეთილზე ყურადღების გადამხრელ ცენტრალურ ფაქტორად იგი გარდამავალ ასაკში გვევლინება.

§4. წარმოსახვის განვითარება

უმცროსკლასელთა ცხოვრებაში წარმოსახვა სუბიექტურად გაცილებით მეტ როლს თამაშობს, ვიდრე მოზარდებისა და ჭბაუკების ცხოვრებაში. ამ ასაკში ფანტაზია ბავშვის მიერ გარესამყაროს შექცვნების ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია. ესაა პირადი პრაქტიკული გამოცდილების ჩარჩოებიდან გამოსვლის ხერხი და შემოქმედებითი უნარების განვითარების მნიშვნელოვანი ფსიქოლოგიური წინამძღვრები. წარმოსახვის პროცესში ბავშვი ასრულებს მრავალრიცხოვან მოქმედებებს და ამით ერთვება წარმოსახულ პერსონაჟთა ისეთ რთულ ურთიერთობებში, რომლებშიც ჯერ-ჯერობით, იგი რეალურად ვერ ჩაერთვება.

სკოლამდელთან შედარებით უმცროსკლასელის წარმოსახვაც მნიშვნელოვან ცვლილებებს განიცდის. სწავლების პროცესი ბავშვის წარმოსახვას დიდ მოთხოვნებს უყენებს. კითხვისას, მათემატიკური ამოცანების ამოხსნისას, ბუნებისა და ისტორიის გაკეთილებზე ბავშვებს უხდებათ ისეთი საგნების, მოვლენების და ადამაზების წარმოდგენა, რომლებიც მათ არასოდეს უნახავთ. ნებისმიერი სასწავლო მასალის ათვისება წარმოსახვის აქტიური მოქმედების გარეშე შეუძლებელია.

უპირველეს ყოვლისა სრულყოფილი ხდება რეპროდუქციული წარმოსახვა, რომელიც დაკავშირებულია ადრე აღქმულის წარმოდგენასთან ან აღწერის, სქემის, ნახატის შესაბამისად ხატების შექმნასთან. შემოქმედებითი წარმოსახვა, როგორც ახალი ხატების შექმნა, დაკავშირებულია წარსული გამოცდილების გარდაქმნასთან, სხვადასხვა კომბინაციასთან.

ბავშვების წარმოსახვა ამ ასაკში თანდათან თავისუფლდება უშუალო შთაბეჭდილებათა გავლენისაგან და მათ წარმოსახვაში ძლიერდება რეალიზმი. 9-10 წლის ბავშვის უკვე კარგად გრძობს მისი ფანტაზიის „პირობითობას“, სინამდვილესთან შეუფერებლობას. ასაკის წინსვლასთან ერთად ეს რეალიზმი სულ უფრო იზრდება, რაც დაკავშირებულია ახალი ცოდნის დაგროვებასა და კრიტიკულობის ზრდასთან. ფანტაზიის და რეალობის შერწყმის ნათელი მაგალითია ბავშვის მკერდ მონაყოლ (მონათხრობ) ამბებში უნებლიე გადაჭარბებები და მოგონილი, შეთხზული წერილმანების ჩართვა. ამასთანავე ამ ასაკის ბავშვს გულწრფელად სჯერა, რომ ყოველივე ეს სრული სიმართლეა. ექვსწლიანთა ფანტაზიაშიც თავისებური რეალიზმი მაინც არის. მათი აზრით ზღაპარშიაც კი ყველაფერი არაა შესაძლებელი. მაგალითად, ექსპერიმენტატორის მიერ მოყოლილ ზღაპარში, სადაც ფეხსაცმელში ხარშავდნენ სუპს, სამელნე დარაჯობდა სახლოს და „ყფუფა“, 6-7 წლის ბავშვებმა პროტესტი გამოთქვეს სამელნისა და ფეხსაცმლის შეცვლილი „ფუნქციის“ შესახებ.

უმცროსკლასელთა წარმოსახვის თავისებურებაა კონკრეტულ საგნებზე დაყრდნობა. მაგალითად, თამაშის პროცესში ბავშვები იყენებენ სათამაშოებსა და სხვა ნივთებს, რომელთა გარეშეც ისინი ვერ შექმნიან წარმოსახვის ხატებს. ისინი კითხვისას უყრდნობან სურათებს, ნახატებს, კონკრეტულ საგნებს, რომელთა გარეშეც მათ აღწერილი სიტუაციების წარმოსახვა არ შეუძლიათ. შემდგომში

კი თანდათანობით საყრდნობ საფუძვლად გვევლინება არა საგნები, არამედ სიტყვა, რომელიც ახალი ხატების აზრობრივად შექმნის საშუალებას იძლევა.

უმცროსკლასელთა წარმოსახვა პირველ წლებში ხასიათდება მოცემული წარმოდგენების უშუალო გადამუშავებით. მაგალითად თამაშში ბავშვები ასახევენ ნანახსა და განცდილს თითქმის იმავე თანმიმდევრობით, როგორც ნახეს სინამდვილეში. უფრო გვიან კი იწყება წარმოდგენათა შემოქმედებითი გადამუშავება. მაგალითად, შესამეკლასელები ტყეში გასეირნების აღწერისას ქნიან არა მხოლოდ ახლახან ჩატარებული კონკრეტული გასეირნების ხატს, არამედ მრავალი გასეირნების საფუძველზე შემუშავებულ კრებით ხატებს, რაც წინსვლას წარმოადგენს ამ მიმართულებით.

მართალია ზღაპრების სიყვარული ამ ასაკშიაც დიდია, მაგრამ ზღაპრული სიუჟეტების როლი ბავშვების ცხოვრებაში თანდათანობით მცირდება. წარმოსახული ხატები უკვე მნიშვნელოვან როლს ასრულებენ (უფრო და უფრო იზრდება ინტერესი იმისადმი, რაც ბავშვებს არ უნახეთ, მაგრამ უფროსებისაგან გაუგონათ). განვითარებას იწყებს აღმდგენი (რეპროდუქციული) წარმოსახვა, რომლისთვის მდიდარ მასალას სასკოლო სწავლა იძლევა. მაგალითად, ისტორიის გაკვეთილებზე ბავშვები ცდილობენ წარმოიდგინონ შორეული დრო, ქვეყნები, ქალაქები, კოსმოსური ზომადლები. დიდ როლს თამაშობს ბავშვის ცხოველი ფანტაზია. ისმენს რა ზღაპრებს ან უფროსების საინტერესო მონათხრობს, ამ ასაკის ბავშვები ხშირად თავის თავს წარმოიდგენენ აღწერილი ამბების მონაწილედ და გმირად. იგი მონათხრობში ერთვება ფორმალურად. მოქმედი გმირის სახელს უბრალოდ თავისით ცვლის.

უმცროს სასკოლო ასაკში ვითარდება შემოქმედებითი წარმოსახვა. ბავშვებს უკვე შეუძლია სურათების ან რაიმე თემის მიხედვით პატარ-პატარა მოთხრობების შექმნა. ამის გამო ბავშვის წარმოსახვის განვითარებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სხვადასხვა თემებზე მასწავლებლის მიერ მოთხრობებისა და ზღაპრების შედგენის დავალებებს. ასეთი თემები ამოუწურავია: „ძალიან სასაცილო“, „ძალიან საინტერესო“, „პატარა, მაგრამ მამაცი“ და მრავალი სხვა, რაც ბავშვის ფანტაზიის დიდი სტიმულია. ამ მიმართულებით შშობლები და მასწავლებლები დიდ გამოიმგონებლობას უნდა იჩინდნენ.

უფროს სკოლამდელებთან იწყება და უმცროს სასკოლო ასაკში ვითარდება წარმოსახვის ნებისმიერი ფორმები. მისი შემდგომის განვითარება დაკავშირებულია ქცევის უფრო რთული ფორმების აღმოცენებასთან, უფროსებთან ბავშვის ურთიერთობის ფორმებისა და შინაარსის ცვლასთან. დასაწყისში ნებისმიერი წარმოსახვის ხატები აღმოცენდება სიუჟეტური როლების თამაშში უფროსების სიტყვიერი ზემოქმედების საფუძველზე. უფრო მოგვიანებით ნებისმიერი წარმოსახვა ვლინდება ქცევის სხვა სფეროებშიც, რომელიც წინასწარ დაგეგმვას მოითხოვს (ხატვა, ძერწვა, კონსტრუირება, სწავლა, შრომა...). ექვსი წლის ასაკში იზრდება მიზანმიმართული წარმოსახვა და ჩანაფიქრის სიყვარე.

ო. დიაჩენკოსა და ა. კირილოვას წარმოსახვის კვლევის ცდებში, სადაც 3-7 წლის ბავშვებს ვეალებოდათ სურათების სიუჟეტების დამთავრება, გამოიკვლიდა ექვსი ტიპი.

1) ეს ტიპი ხასიათდება იმით, რომ ბავშვი ჯერ ვერ ღებულა ამოცანას წარმოსახვის ხატის შესაქმნელად დავალებული ელემენტების გამოყენებით., იგი არ ხატავს დავალებულ ელემენტს, არამედ გვერდზე ხატავს თავისუფალ ფიგურებს.

2) ამ საფეხურზე ბავშვი ხატავს ფიგურებს ისე, რომ გამოხატულია ცალკეული ობიექტი. მაგრამ კონტურულად და სქემატურად, მოკლებულია დეტალებს.

3) ამ საფეხურზეც ცალკეული ობიექტების მოცემული, მაგრამ მრავალრიცხოვანი დეტალებით.

4) ბავშვი ამ ეტაპზე ცალკეულ ობიექტებს ხატავს, მაგრამ ახლა მასში ჩართულია მის მიერ წარმოსახული სიუჟეტები (დახატულია არა მარტო გოგონა, არამედ გოგონა, რომელიც ვარჯიშობს და ა.შ.)

5) ბავშვი გამოხატავს რამდენიმე ობიექტს წარმოსახული სიუჟეტის მიხედვით (გოგონა სეირნობს ძაღლთან ერთად).

6) ეს ტიპი დავალებულ ფიგურას უკვე ახლებურად და ხარისხიანად იყენებს. თუ პირველიდან მეოთხე ტიპის ჩათვლით ფიგურა გვეკვლინებოდა როგორც სურათის ძირითადი ნაწილი, რომელსაც ბავშვი ხატავდა, ახლა კი ფიგურა არის ბავშვის მიერ შექმნილი ხატის მეორეხარისხოვანი ელემენტი (სამკუთხედი ახლა სახლის სახურავი კი არაა, არამედ ფანქრის გრიფელია, რომლითაც ბავშვი სურათს ხატავს და ა.შ. ეს ტიპი წარმოსახვის ხატების შესაქმნელად მოცემული ელემენტების გამოყენებით დიდ თავისუფლებას ავლენს.

წარმოსახვის ხატების განვითარების შესწავლის ცდებში უცნობი საგნების სიტყვიერი აღწერის შემდეგ უმცროსკლასელებს უნდა დაეხატათ შესაბამისი ობიექტების სურათები. პირველკლასელთა ნახატები სქემატურია, გამოხატულია ობიექტის მხოლოდ ზოგადი კონტური, გამოტოვებულია ობიექტის მოქმედების ამსახველი ბევრი დეტალი. მაგალითად, მოსწავლეებისაგან მოითხოვდნენ მოქმედი ეულკანის წარმოსახვას. ბევრმა მოსწავლემ იგი წარმოსახა კვამლის გარეშე. მეორე და შესამეკლასელებმა წარმოსახულ ხატში პირველკლასელებზე მეტი ნიშანი ჩართეს. მეოთხეკლასელებმა ხატში ჩართეს ის ნიშნები, რომლებიც ობიექტის მოქმედებას გამოხატავდნენ, თუმცა აუცილებელი ნიშნების ამომწურავი ასახვა ჯერაც არაა მიღწეული. ამის მიზეზია ბავშვის არასრულყოფილი აღქმა და დაკვირების უნარი.

გონებრივი განვითარების კვალადკვალ უმცროსკლასელის წარმოსახვა უფრო მართვადი ხდება და ხატების შექმნა დასმული ამოცანის მიხედვით მიმდინარეობს. ცოდნის დაგროვება და გონიერი მოქმედების მაღალი დონე ხელს უწყობს შემოქმედებითი წარმოსახვის განვითარებას, რაც უმთავრესად ბავშვის ცოდნასა და უნარებზეა დამოკიდებული.

გამოყოფენ მასწავლებლის მიერ უმცროსკლასელთა წარმოსახვის განვითარების ოთხ მიმართულებას:

ა) წარმოსახვის ხატები ჯერ არაა გამოკვეთილი, იგი თანდათან ხდება უფრო ზუსტი და განსაზღვრული.

ბ) დასაწყისში ხატში ასახულია მხოლოდ რამდენიმე ნიშანი, ხოლო მეორე და შესამეკლასელებთან – გაცილებით მეტი, ამასთანავე არსებითი.

გ) წარმოდგენათა ხატების გადარეშება პირველკლასელებთან უნბიშენლოა, მესამე კლასში კი ცოდნისა და გამოცდილების შექმნის კვალობაზე ხატები უფრო განზოგადებული და ნათელია, ბავშვებს უკვე შეუძლიათ მოთხრობის სიუჟეტური ხაზის შეცვლა, შემოაქვთ პირობითობა.

დ) დასაწყისში წარმოსახვის ყოველგვარი ხატი მოითხოვს კონკრეტულ საგანზე დაყრდნობას, ხოლო შემდეგ წინა პლანზე გამოდის სიტყვა, რომელიც აზრიანი ხატების შექმნის საშუალებას იძლევა.

სწავლების პროცესში უმცროსკლასელთა წარმოსახვა თანდათან მიზანმიმართული და მართვადი ხდება. წარმოსახვის ხატები აღმოცენდება იმ ამოცანების შესაბამისად, რომელსაც ბავშვის წინაშე სწავლის შინაარსი სვამს.

წ5. მესხიერების განვითარება

სკოლაში შესვლით ბავშვის მესხიერება არსებითად იცვლება. მისი მესხიერება აქამდე ძირითადად უნებლიე ხასიათს ატარებდა. ბავშვი იმახსოვრებდა იმას, რაც საინტერესო და საჭირო იყო მოცემულ მომენტში. სკოლამდელ ასაკში დამახსოვრების მოცულობაზე, სიმყარესა და სისწრაფეზე დიდ გავლენას ახდენდა დასამახსოვრებელი შინაარსისადმი ემოციური დამოკიდებულება. პირველ და მეორე კლასელებთან ეს კანონზომიერება ძირითადად დაცულია. ამიტომ, რომ ისინი დიდი ხალისით სწავლობენ და იმახსოვრებენ ლექსებს, ზღაპრებს, სიმღერებს, უმცროსკლასელის სასწავლო წარმატება დიდადა დამოკიდებული მესხიერების მუშაობაზე.

უმცროსკლასელთა მესხიერება განვითარების თვალსაზრისით სკოლამდელის მესხიერებაზე უფრო მაღალია. იგი ადვილად იმახსოვრებს ყოველივე ახალს, ნათელს, კონკრეტულსა და საინტერესოს. ცნობილია, რომ დამახსოვრების ეფექტი დამოკიდებულია ძველი ცოდნის სისტემაზე - რაც მეტია ძველი ცოდნა, მით ადვილად შეიძინება ახალი. სკოლამდელებთან შედარებით უმცროსკლასელთა მესხიერება უფრო ცნობიერია და დამახსოვრების პროცესიც უფრო ორგანიზებულია. პირველკლასელებს უკვე უწინდებთ ნებისმიერი მესხიერების ჩანასახოვანი ფორმები, მაგრამ ეს უნარი მათთან ვერ არაა სრულყოფილი. მაგალითად, პირველკლასელს ხშირად არ ახსოვს რა აქვს მიცემული საშინაო დავალებად (ეს მოითხოვს ნებისმიერ მესხიერებას), ხოლო ადვილად და ძლისხმევის გარეშე იმახსოვრებს მისთვის საინტერესო მასალას (უნებლიე მესხიერება). უნებლიე მესხიერების პროდუქტოლობა ვლინდება იმაში, რომ ასაკის წინსვლასთან ერთად ფართოვდება ზღაპრებისა და საინტერესო ტექსტების მოცულობა. ბავშვი ახლა უფრო დაწვრილებით ყვება და შედარებით ღრმად გადმოსცემს შინაარსს. უნებლიე მესხიერება უფრო გააზრებული ხდება.

ექვსწლიანთა მესხიერების თავისებურება, როგორც აღვნიშნეთ, ისაა, რომ სჭარბობს უნებლიე დამახსოვრების ფორმები. ამ დროს მწეპური მიზნის ცნობიერებად დასმა არ ხდება. ბავშვი ადვილად იმახსოვრებს იმას, რამაც

მიუპერო მისი ყურადღება თავისი სიახლით, არაჩვეულობრივობით და დინამიზმით. იგი უკეთ იმასხორებს იმ მასალას, რომელზედაც აქტიურად მოქმედებს (თამაშობს, აწყობს). სასწავლო წლის ბოლოს იწყება ნებისმიერი მეხსიერების ფორმების თანდათანობით განვითარება. მეხსიერების ნებისმიერი და უნებლიე ფორმების თანარსებობა ამ ასაკის ბავშვში მეხსიერების განვითარების ერთ-ერთი ახალწარმოანქნაა. მაგრამ მწეპური მიზნის დასმა (რაც თვისთავად დიდი მიღწევაა) არაა საკმარისი. საჭიროა დამახსოვრების პროცესი მოტივირებული იყოს.

პირველკლასელთა ნებისმიერი მეხსიერების განვითარების მნიშვნელოვანი მაჩვენებელია მწეპური ამოცანის შესრულების კონტროლი, რასაც ამ ასაკის ბავშვები შედარებით მეტ-საკლები წარმატებით ახორციელებენ. ბავშვების უმრავლესობა წარმატებით იყენებს თვითკონტროლს როგორც თვალსაჩინო, ასევე სიტყვიერ მასალაზე, რაც ძლიერ უწყობს ხელს ბავშვის სასწავლო წარმატებას. იგი სასწავლო ქცევის შემადგენელი ნაწილია. ავითარებს რა ამ თვისებას მოსწავლეებში, მასწავლებელი ხელს უწყობს არა მარტო მეხსიერების, არამედ საერთო ქცევის ნებისმიერი ფორმების განვითარებას. სასწავლო პროცესის გავლენით ბავშვები თანდათან ეუფლებიან ნებისმიერი დამახსოვრების ხერხებსა და მეთოდებს, რაც ძელი, შედარებით ხანგრძლივი პროცესია. ნებისმიერი მეხსიერება ამორჩევიითა, ყველაფრის დამახსოვრება და აღდგენა არაა საჭირო. ამიტომ მასწავლებელმა ბავშვს ამა თუ იმ შინაარსის მხოლოდ დამახსოვრება კი არ უნდა მოთხოვოს, არამედ ასწავლოს დასამახსოვრებელი მასალის ლოგიკური დამუშავებისა და წერილმანებიდან ძირითადის გამოყოფის ხერხები. ასე თანდათანობით გახდება კლასიდან კლასში უმცროსკლასელთა მეხსიერება ლოგიკური, გააზრებული, ნებისმიერი და მართვადი. როგორც ვნახეთ, იმის გამო, რომ ამ ასაკში სჭარბობს პირველი სასიგნალო სისტემის მოქმედება, უფრო განვითარებულია თვალსაჩინო-ხატოვანი მეხსიერება, უმცროსკლასელები ბევრ რაბეს იმასხორებენ მექანიკურად. ისინი საკმაოდ ადვილად იმასხორებენ ადამიანებს, ფაქტებს, საგანთა თვისებები ძალიანა დამახასიათებელი, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მათთვის ლოგიკური მეხსიერების ფორმები არაა მისაწვდომი. ლოგიკური მეხსიერების განვითარებაში მთავარი როლი მიეკუთვნება სწავლას, რომლის პროცესშიც ბავშვებს შეუძლიათ ლოგიკური მეხსიერების ისეთი ხერხების დაუფლება და მწეპურ ამოცანებში მათი წარმატებით გამოყენება, როგორიცაა აზრობრივი დაჯგუფება და აზრობრივი მიკუთვნება.

ი. კოლომინსკისა და ეპანკოს მიხედვით კლასიფიკაციის მწეპური მოქმედების სწავლების დროს წარმატება მაშინ მიიღწევა, თუ მისი ჩამოყალიბება მიმდინარეობს პ. გალპერინის გონებრივი მოქმედებების ეტაპობრივი ფორმირების თეორიის შესაბამისად. ასეთი მუშაობის ძირითადი ეტაპებია:

1. პრაქტიკული მუშაობის ეტაპი. ამ ეტაპზე ბავშვები იყენებენ მატერიალურ-პრაქტიკულ მოქმედებებს – სწავლობენ სურათების ჯგუფების მიხედვით დალაგებას.

2. მეტყველებითი მოქმედების ეტაპი. სურათების წინასწარი გაცნობის შემდეგ ბავშვებს ვეალებათ მოყოლა იმის შესახებ, თუ რომელი საგნები რომელ ჯგუფს უნდა მიაკუთვნონ:

3. გონებრივი მოქმედების ეტაპი. ამ ეტაპზე ბაშვის მიერ სურათების ჯგუფებისადმი მიკუთვნება ხორციელდება გონებაში, ხოლო ბავშვი შემდეგ ასახელებს ჯგუფებს. როცა ბავშვი ისწავლის დასამახსოვრებელ მასალაში განსაზღვრული ჯგუფების გამოყოფას, თითოეული სურათის განსაზღვრული ჯგუფებისადმი მიკუთვნებას, შესაძლებელი ხდება ჯგუფების გამოყენება დამახსოვრების მიზნით. მასწავლებელმა, რა თქმა უნდა, ყველა ღონე უნდა იზმაროს ბავშვის ნებისმიერი შეხსიერების განვითარებისათვის, მაგრამ არ უნდა დაავიწყდეს ის, რომ ამ ასაკში უნებლიე შეხსიერების როლი და პროდუქტიულობაც არაა მცირე.

პირველკლასელებს კარგად აქვთ განვითარებული ემოციური მეხსიერება, მაგრამ ამ ასაკის ბავშვები იმახსოვრებენ არა საზოგადოდ გრძნობებს და ემოციებს, არამედ გრძნობას რომელიმე კონკრეტული ადამიანის ან საგნის მიმართ. ემოციური მეხსიერება განუყოფელია თვალსაჩინო-ხატოვანი საგანს.

სწავლების გავლენით უმცროსკლასელთა მეხსიერება ვითარდება ორი მიმართულებით: ა) იზრდება აზრობრივი სიტყვიერ-ლოგიკური დამახსოვრების როლი და ხვედრითი წონა, ბ) ბავშვი ეუფლება საკუთარი მეხსიერების მართვას და რეგულაციას (შეუძლია დამახსოვრება, აღდგენა და მოგონება). იმის გამო, რომ პრევალირებს პირველი სასიგნალო სისტემა, როგორც აღვნიშნეთ, უმცროსკლასელებს უფრო აქვთ განვითარებული თვალსაჩინო - ხატოვანი, ვიდრე სიტყვიერ-ლოგიკური მეხსიერება. მექანიკური განმეორების გზით ისინი სიტყვასიტყვით იმახსოვრებენ მასალას. ამასთანავე არ აცნობიერებენ აზრობრივ კავშირებს და არ გადმოიცემენ საკუთარი სიტყვებით. ვ. კრუტიცკი ამ მდგომარეობას ხსნის ოთხი გარემოებით.

1) უმცროსკლასელებს უკეთ აქვთ განვითარებული მექანიკური მეხსიერება და ამის გამო ისინი მასალას იმახსოვრებენ სიტყვასიტყვით.

2) დასამახსოვრებელი ამოცანების დასმისას უმცროსკლასელი ჯერ კიდევ ვერ აცნობიერებს კონკრეტულად რას მოითხოვენ მისგან, მას არ შეუძლია მნეპური ამოცანის დიფერენციაცია, ხოლო მასწავლებელი მისგან სრულად და სწორად აღდგენას მოითხოვს. სრულად და სწორად კი ბავშვისათვის ნიშნავს სიტყვასიტყვით;

3) უმცროსკლასელები (განსაკუთრებით I-II კლასელები) ჯერ კიდევ ცუდად არიან დაუფლებულნი მეტყველებას, რის გამოც მათ უფრო ეადვილებათ წიგნის ენით, ვიდრე საკუთარი სიტყვებით გადმოცემა;

4) უმცროსკლასელებს უჭირთ აზრიანი დამახსოვრების ორგანიზაცია: არ შეუძლიათ ტექსტის დაყოფა აზრიან ჯგუფებად, ლოგიკური სტრუქტურით სარგებლობა, ტექსტის დამახსოვრების ლოგიკური გეგმის შედგენა. ყოველივე ეს თანდათანობით ხორციელდება სწავლების შემდეგ ეტაპზე.

გამოკვლევებმა უჩვენა, რომ დამახსოვრების პროდუქტიულობა უმცროს მოსწავლეებთან დამოკიდებულია დამახსოვრების შესაბამისი განწყობის შექმნაზე. თუ ბავშვი ერთ მასალას იმახსოვრებს იმ განწყობით, რომ მასალა მას გამოადგება მომავალში, ხოლო სხვა მასალას - იმ განწყობით, რომ ეს მას უფრო ადრე

დასჭირდება – მეორე შემთხვევაში მას მასალა ამახსოვრდება უფრო ჩქარა, და ახსოვს უფრო მეტხანს და ზუსტად. მასწავლებლის ამოცანაა მოსწავლეებს შეუქმნას დამახსოვრების შესაბამისი განწყობა. მასწავლებელმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს დასამახსოვრებელი მასალის აზრობრივ მხარეს, რაც შემდგომში საფუძვლად ედება ლოგიკური მეხსიერების ჩამოყალიბებასა და განვითარებას. წინააღმდეგ შემთხვევაში ბავშვის მეხსიერება მექანიკური და ნაკლებპროდუქტიული იქნება. ასმირნოვის მიხედვით სიტყვასიტყვით დამახსოვრება მეხსიერების ასაკობრივი თავისებურება კი არ არის, არამედ განპირობებულია ცხოვრებისეული გამოცდილების ხასიათით. იმის გამო, რომ მოსწავლეები ვერ გამოყოფენ მთავარსა და ძირითადს, ზოლო მასწავლებელი მათგან მითითვს სრულად და სწორად აღდგენასა და გადმოცემას, პატარა მოსწავლე ცდილობს მასალა სიტყვა-სიტყვით დაიმახსოვროს.

უმცროსკლასელებს არ აქვთ სრულყოფილი კონტროლისა და თვითკონტროლის უნარი. ისინი თავის თავს უმეტესად ამოწმებენ გარეგნული, რაოდენობრივი ნიშნების მიხედვით: აღადგინა თუ არა ყველაფერი, გაიმეორა თუ არა იმდენჯერ, რამდენჯერაც დაეკალა მასწავლებელმა. ეს მდგომარეობა განსაკუთრებით პირველ და მეორეკლასელებისთვისაა დამახასიათებელი. შესამეკლასელები თავის თავს ამოწმებენ აგრეთვე იმის მიხედვით, მოხდა თუ არა სწორი აღდგენა, ხომ არაა დაშვებული რაიმე შეცდომა მასწავლებლის მიერ. სწორი, მეცნიერული ხელმძღვანელობით მეოთხეკლასელთა მეხსიერება შედარებით მაღალ დონეს აღწევს. ბავშვები ახლა ეჩვევიან გეგმის შედგენასა და ლოგიკურად დამახსოვრებული შინაარსის საკუთარი სიტყვებით გადმოცემას.

მოზრდილებთან და ბავშვებთან მექანიკური დასწავლა და დამახსოვრება უფრო ნაკლებეფექტურია, ვიდრე გააზრებული, ზოლო ბავშვები უაზრო მასალას უფრო ძნელად იმახსოვრებენ, ვიდრე უფროსები. ეს აიხსნება იმით, რომ უაზრო მასალის დამახსოვრება მითხვოს ნებისყოფის ძალისხმევას, რაც უმცროსკლასელებს უჭირთ. აზრიანი და უაზრო მასალის დამახსოვრების ექსპერიმენტებში ბავშვები უფრო აზრიანს იმახსოვრებენ, ვიდრე – უაზროს.

გააზრებული დამახსოვრების მნიშვნელოვანი ხერხია ტექსტის დაყოფა აზრობრივ ნაწილებად, მაგრამ პირველი და მეორე კლასელები ამას ვერ ახერხებენ. ამ ასაკის ბავშვები ტექსტის დაყოფას ახორციელებენ არა არსებითის, მთავარის, არამედ რომელიმე ცალკეული ნაწილის მექანიკური გამოყოფით.

უმცროსი სასკოლო ასაკის მანძილზე სიტყვიერი მასალის დამახსოვრების სპეციფიკა მდგომარეობს იმაში, რომ ბავშვები იმახსოვრებენ ისეთ სიტყვებს, რომლებიც აღნიშნავენ საგნების სახელებს, ვიდრე ისეთ სიტყვებს, რომლებიც აბსტრაქტულ ცნებებს აღნიშნავენ. კონკრეტული და აბსტრაქტული სიტყვების დამახსოვრების დროს დიდ როლს თამაშობს სასიგნალო სისტემათა ერთიანობა. მაგალითად, ბავშვები კარგად იმახსოვრებენ კონკრეტულ მასალას, რომელიც უკავშირდება თვალსაჩინო ხატებს და წარმოადგენს ღირებულს, ზოლო უფრო ცუდად იმახსოვრებენ იმ მასალას რომელსაც საფუძვლად არ აქვს თვალსაჩინო ხატები და ღირებულებაც ნაკლებია. განსხვავებულია აბსტრაქტული მასალის

დამახსოვრებად. უკეთესად იმახსოვრებენ ისეთ აბსტრაქტულ მასალას, რომელიც ანზოგადებს ზოგიერთ ფაქტს (ურთიერთკავშირს ცალკეულ გეოგრაფიულ მოვლენებს შორის) და პირიქით, მოსწავლეები ძნელად იმახსოვრებენ ისეთ აბსტრაქტულ მასალას, რომელიც არ ეყრდნობა კონკრეტულ მასალას. (ცნებების დუფინიცია მაგალითების გარეშე).

მას შემდეგ, რაც ჩამოყალიბდება გააზრებული დამახსოვრებისა და თვითკონტროლის სერხები, ნებისმიერი მენსიურება უფრო პროდუქტიული და ეფექტური ხდება, ვიდრე – უნებლიე. როგორც ვნახეთ პირველკლასელებთან პირიქით იყო. თუმცა ნებისმიერი მენსიურების გვერდით თანაარსებობს უნებლიე ფორმებიც, რომლებსაც ერთმანეთთან მჭიდროდაა დაკავშირებული. სასურველია, რომ მენსიურების ორივე ფორმა ბავშვმა შესატყვის პირობებში გამოიყენოს. სასწავლო მასალის სრულფასოვანი შეთვისებისათვის მხოლოდ ნებისმიერი მენსიურება არაა საკმარისი. ამ დროს უნებლიე მენსიურებაც მნიშვნელოვან როლს თამაშობს.

ა. სმირნოვი გამოყოფს ტექსტის დამახსოვრების რამდენიმე საფეხურს:

1) პირველი საფეხური ხასიათდება ტექსტის მრავალჯერადი უბრალო კითხვით, დამახსოვრების მთელი პერიოდის განმავლობაში ტექსტზე ერთგვაროვანი მოქმედებით.

2) ამ საფეხურზე ჩნდება კითხვის რამდენიმე სახე, მაგრამ მოსწავლე ვერ აცნობიერებს, რომ ყოველი წაკითხვისას ტექსტს განსხვავებულად კითხულობს, რადგან თვითონ არ სვამს განსხვავებულ ამოცანებს;

3) ეს საფეხური ხასიათდება იმით, რომ ყოველი წაკითხვის წინ მოსწავლე თვითონ სვამს განსხვავებულ ამოცანას და მის გადასაწყვეტად ყოველ წაკითხვას შეგნებულად იყენებს. ეს საფეხური უფრო მეტად შესამეკლასელებისთვისაა დამახასიათებელი. ამ საფეხურზე ბავშვები კითხვისას უბრუნდებიან წაკითხულ ნაწილებს დასამახსოვრებელი მინარისის უფრო ნათლად გასაგებად, ახორციელებენ წაკითხულის აზრიან მოგონებას.

ე. კეფერაძემ ექსპერიმენტულად შეისწავლა უმცროსი სასკოლო ასაკის ბავშვის მენსიურება. ამ ასაკში თავისებურად ვლინდება მენსიურების ზოგადი კანონზომიერებანი. კვლევის შედეგად დადგინდა შემდეგი თავისებურება:

ა) უაზრო მასალის დახსოვება დახსოვების განზრახვის გარეშე პირველ და მეორე კლასებში მცირე ეფექტს იძლევა. უაზრო მასალის დახსოვების ეფექტის მხრივ კლასებს შორის სხვაობა უმნიშვნელოა.

ბ) დახსოვების ეფექტი ორჯერ უკეთესია, როცა გამოიყენება წარმოებს დახსოვების განზრახვით. დახსოვების ეფექტი ამ დროს ასაკის შესატყვისად მატულობს.

გ) რიცხვების დახსოვების ეფექტი უფრო მეტია ვიდრე უაზრო მარცვლებისა. რიცხვის დახსოვებისთვის განზრახვის გარეშე გამოიყენება კარგ ეფექტს იძლევა.

დ) დახსოვების განზრახვის შედეგად დახსოვების ეფექტი არსებითად არ იცვლება. უმცროსკლასელი აზრიან მასალას (მოთხრობა) განზრახვის გარეშე ეფექტურად იმახსოვრებს, ხოლო განზრახვით დახსოვების პროდუქტიულობა უმნიშვნელოდ მატულობს.

დაწყებითი სკოლის ასაკის ბავშვს აქვს დასწავლის მიზნით გამოკრების გამოყენების უნარი. მიწოდებულ მასალას ბავშვი იმეორებს არა პასიურად, არამედ გამოკრების ყოველ აქტს შემოქმედებით პროცესად აქცევს.

კონკრეტული ოპერაციების სტადიაზე ბავშვებს უკვე შეუძლიათ აითვისონ მასალის დამახსოვრების განსხვავებული სტრატეგიები, რომელსაც გ. კრაივი მეხსიერების მართვის ხერხებს უწოდებს. არსებობს ექვსი ასეთი ხერხი, სტრატეგია:

1) გამოკრება, 2) ორგანიზაცია, 3) სემანტიკური დამუშავება, 4) აზრობრივი ხატების შექმნა, 5) მეხსიერებაში ინფორმაციის ძიება და 6) სცენარების შექმნა.

გამეორება. დასაწყისში ბავშვები უბრალოდ იმეორებენ თითოეულ დასამახსოვრებელ სიტყვას და რამდენჯერმე წარმოთქვამენ მას თავისთავის. ცხრა წლის ასაკში თითოეული სიტყვის მაგივრად ისინი უკვე იწყებენ სიტყვების ჯგუფებად გამეორებას.

ორგანიზაცია. ესაა დასამახსოვრებელი მასალის ორგანიზაცია, რაც დამახსოვრების სტრატეგიის მნიშვნელოვანი ხერხია. თუ პირველი, მეორე და მესამეკლასელები დასამახსოვრებელ სიტყვებს ერთმანეთთან აკავშირებენ მარტივი ასოციაციების საფუძველზე ან წარმოდგენილ სიაში ერთმანეთთან სიახლოვის მიხედვით, უფროსი ასაკის ბავშვები ზოგადი ნიშნების საფუძველზე სიტყვებს ჯგუფებში აერთიანებენ. ბავშვები, რომლებსაც შეუძლიათ სიტყვების დაჯგუფება კატეგორიების მიხედვით, იმახსოვრებენ და აღადგენენ უფრო მეტ მასალას, ვიდრე ისინი, ვისაც ამის უნარი არ აქვს. თუმცა ცხრა წლის ასაკამდე ამ სტრატეგიით საკუთარი ინიციატივით ბავშვები იშვიათად სარგებლობენ.

სემანტიკური დამუშავება. ესაა დამახსოვრების აქტიური პროცესი, რომელიც გულისხმობს მოვლენათა რეკონსტრუქციისათვის ლოგიკურ დასკვნას. ბავშვებს შეუძლიათ დადამახსოვრონ და აღადგინონ არა მარტო ფაქტიურად მიცემული მასალა, არამედ ისიც, რასაც ისინი დასკვნის სახით აკეთებენ მიცემული დაჯგუფებიდან. მაგალითად, უმროსკლასელებს ეძლეოდა დასამახსოვრებლად ფრაზა „მისმა მეგობარმა გამოხვეტა იატაკი“, რის შემდეგადაც მათ გკითხებოდნენ იმის შესახებ ჰქონდა თუ არა ამ ამხანაგს ცოცხი. თერთმეტი წლის ბავშვებს არ უჭირდათ მისულიყვნენ ლოგიკურ დასკვნამდე ცოცხის აუცილებლად არსებობის შესახებ, ხოლო შვიდი წლის ბავშვები ვერფერს ვერ ამბობდნენ მის შესახებ. ამის მიზეზად ისინი ასახელებდნენ ინფორმაციის არარსებობას.

აზრობრივი ხატების შექმნა. ბავშვებს შეუძლიათ დადამახსოვრონ არაჩვეულებრივი მასალა აზრობრივი ხატის შექმნის საფუძველზე. რაც მეტი ასაკისაა ბავშვი, ასეთი ხატის შექმნა მას უფრო უადვილდება, ამასთანავე ეს ხატები გამოირჩევიან ღიდი სიკხადით.

ინფორმაციის ძიება მეხსიერებაში. ბავშვები ხშირად ცდილობენ დაანაწევრონ სიტყვა ასოების მიხედვით. მათ შეიძლება იცოდნენ რა ასოთი იწყება სიტყვა, მაგრამ ხანდახან სჭირდებათ შეამოწმონ რამდენიმე ვარიანტი.

სცენარების შექმნა. რეგულარულად განმეორებადი მოვლენების მეხსიერებაში შენახვისათვის, შეიძლება ორგანიზებული იქნას სცენარები, მოვლენა, რომელიც ხშირად მეორდება, არაა აუცილებელი მეხსიერებაში შენახული იქნას ყოველ

მომენტში. მისი შენახვა შესაძლებელია უცვლელი მოვლენების სტანდარტული თანმიმდევრობის სქემების შექმნით.

ამ ასაკში გარკვეულ პროგრესს განიცდის ხანგრძლივი მეხსიერება. ამასთანავე შეინიშნება ერთგვარი დიფერენციაცია. ხანგრძლივი მეხსიერება მნიშვნელოვნად შეიძლება განვითარდეს ერთი მიმართულებით და უმნიშვნელოდ – მეორე მიმართულებით. მაგალითად, ნებისმიერ ასაკში ცნობა გაცილებით ადვილია, ვიდრე წარმოადგენა. მაგრამ ბავშვებში ეს განსხვავება მაქსიმუმს აღწევს. ასაკის წინსვლასთან ერთად წარმოადგენის უნარი გაცილებით უკეთესად ვითარდება, ვიდრე – ცნობის. მაგალითად, ნ. ნიუკომბის მიხედვით: „ათი წლის ბავშვი თორმეტი სურათის ჩვენების შემდეგ აღწერს რვას, ხოლო ცნობს ყველას. ოთხი წლის ბავშვი ასევე იცნობს ყველას, მაგრამ აღწერს მხოლოდ ორ-სამს.“

ამ მოვლენის ერთ-ერთი მიზეზია ამ ასაკში ცოდნის იმ ბაზის სპეციფიკა, რომელიც გამოიყენება ინფორმაციის კოდირებისა და აქტუალიზაციისათვის.

შემდეგი მიზეზია დამახსოვრების სხვადასხვა სტრატეგიის უნარის ჩამოყალიბება. ერთ-ერთი ასეთი სტრატეგიაა დამახსოვრება ლოგიკური ზერზებით, დაეგუფება მსგავსი და განსხვავებული ნიშნის მიხედვით.

წმ. აზროვნების განვითარება

აზროვნება ადამიანური შემეცნების უმაღლესი საფეხურია, რომელიც სინამდვილეს ასახავს განზოგადებულად და გაშუალებულად. ბავშვის აზროვნება მჭიდროდაა დაკავშირებული მისი ცოდნის დონესთან. უმცროსკლასელი გონებრივი მოქმედების იმავე ფორმებს იყენებს, რასაც მოზრდილი. ესაა თვალსაჩინო - მოქმედებითი, თვალსაჩინო-ხატოვანი და სიტყვიერ-ლოგიკური ანუ ცნებითი აზროვნება. ბავშვის ინტელექტუალური განვითარება უმთავრესად სკოლაში მიმდინარეობს., უმცროსი სასკოლო ასაკი ბავშვის აზროვნების ინტენსიური განვითარების ასაკია. უმცროსკლასელი, ჩვეულებრივ, კონკრეტული კატეგორიებით აზროვნებს. იგი მისთვის კარგად ნაცნობი სცენებისა და მოვლენების თვალსაჩინო ნიშნებს ეყრდნობა.

უმცროსი სასკოლო ასაკი ემთხვევა ე. პიაჟეს აზროვნების განვითარების კონკრეტული ოპერაციების სტადიას. 5-7 წლის ასაკს ე. პიაჟე განიხილავს ერთგვარ გარადამკვალ პერიოდს ოპერაციამდულს და კონკრეტული ოპერაციების სტადიებს შორის. ოპერაციამდელი სტადიის ბოლოს ე. პიაჟეს მიხედვით ბავშვის აზროვნების ისეთი მხარეები, როგორცაა რეგიდულობა, სტატისტიკურობა, შეუქცევადობა, ეგოცენტრიზმი, თვალში საცემი ნიშნებით ოპერირება და ა.შ. იწყებენ „დნობას“. ბავშვის აზროვნება ხდება უფრო შექცევადი, მოქნილი და რთული, მცირდება ეგოცენტრიზმი, ვითარდება ლოგიკური დასკვნებისა და მიზეზ-შედეგობრივი კავშირების ძიების უნარი.

ოპერაციამდელი სტადიიდან კონკრეტული ოპერაციების საფეხურზე გადასვლა ხდება თანდათანობით, წლების განმავლობაში ბავშვის მთელ საგნებისა და მოვლენების მანიპულირებისა და შემეცნებითი გამოცდილების კვალობაზე. აზროვნების უფრო

როულ და ფაქიზ ფორმებს ბავშვი ითვისებს ფიზიკური სინამდვილის აქტიური შემეცნების პროცესში. სწავლა-აღზრდის პროცესი ბავშვთა კოგნიტური განვითარებისათვის მეტად ხელსაყრელ პირობებს ქმნის და მნიშვნელოვნად აჩქარებს ამ განვითარებას.

ჟ. პიაჟეს მიხედვით ექვსი-შვიდი წლის ბავშვს ახასიათებს „ცენტრაცია“. როცა საგნებისა და მათი ნიშან-თვისებების აღქმა ბავშვს მიაჩნია ერთადერთ შესაძლებელ ფორმად. უმცროსკლასელს ჯერ-ჯერობით ვერ წარმოუდგენია, რომ გარესამყაროს მისუფი ხედავ არ ემთხვევა სხვა ადამიანების აღქმას. ამ ასაკის ბავშვს ძნელად წარმოდგენია, რომ შეიძლება არსებობდეს ერთსა და იმავე მოვლენის შესახებ განსხვავებული თვალსაზრისი, რომ საგნების აღქმა შესაძლებელია განსხვავებულად.

ამრიგად: ჟ. პიაჟეს თეორიის მიხედვით სკოლამდელისათვის დამახასიათებელია ოპერაციამდელი აზროვნება, რომლის შესახებაც შეიძლება ვიმსჯელოთ თვრამეტი თვის ბავშვის მიერ სიმბოლოების გამოყენების უნარის მიხედვით. სკოლამდელის აზროვნებასა და მეტყველებაში ვლინდება ეგოცენტრიზმი, მოუქნელობა, სიტუაციის ერთზე მეტის ასაქეტის მხედველობაში მოუღებლობა და ლოგიკური პრინციპების გამოყენების შეუძლებლობა.

5-6-8 წლის ასაკში კი ბავშვები გადადიან კონკრეტული ოპერაციების სტადიაზე, სადაც სკოლამდელის აზროვნების ყველა ხარევი სწორდება და ახლა უკვე შესაძლებელია დეცენტრაცია, ე.ი. საგნის ან მოვლენის რამდენიმე პარამეტრის ერთდროულად გათვალისწინება. ამასთანავე, ბავშვები ეყრდნობიან არა მარტო პერცეპტულ ინფორმაციას, არამედ ისეთ ლოგიკურ პრინციპებსაც, როგორცაა იგეობის და ექვივალენტურობის პრინციპი.

კონკრეტული ოპერაციების სტადიაზე ბავშვს უკვე შეუძლია გაიგოს შენახვის ფენომენის არსი, რომელიც მას აძლევს საშუალებას მიხედეს, რომ საგანთა რაოდენობა რჩება უცვლელი გარეგნული ფორმის შეცვლის მიუხედავად. ახლა ბავშვის უკვე შეუძლია სერიაციის წარმოება, ე.ი. მას უკვე აქვს უნარი დააღაგოს ობიექტები რაოდენობრივი ნიშნის მიხედვით.

უმცროსკლასელთა აზროვნება კონკრეტულ-ხატოვანია. კონკრეტულობა ვლინდება იმაში, რომ ბავშვი ამ თუ იმ სააზროვნო ამოცანას სწორად წყვეტს მაშინ, როცა სიტყვებს უკან კონკრეტული საგნები და მოვლენები იმალება. აზროვნების კონკრეტულობა იმაშიც ვლინდება, რომ მოსწავლეებს არ შეუძლიათ ზოგადი დებულებების მაგალითებით ილუსტრირება და ამ დებულებების კონკრეტული ფაქტების მიმართ გამოყენება. მათ უფრო კონკრეტული ფაქტების ანალიზი და შესაბამისი დასკვნების გამოტანა უადვილდებათ. ესაა ინდუქციური დასკვნა, ზოლო დედუქციური – უფრო მოგვიანებით ვითარდება.

ხატოვანი აზროვნება არის აზროვნების ძირითადი სახე უმცროს სასკოლო ასაკში. რა თქმა უნდა უმცროსკლასელს ლოგიკური აზროვნებაც შეუძლია, მაგრამ ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ ეს ასაკი სწავლებისათვის მაშინაა სენზიტიური, როცა აზროვნება ეფუძნება თვალსაჩინო ხატებს.

პირველ კლასში ბავშვის აზროვნებას ახასიათებს ეგოცენტრიზმი, განსაკუთრებული ვონებრივი პოზიცია, რომელიც განპირობებულია განსაზღვრული

პრობლემური სიტუაციების გადასაჭრელად აუცილებელი ცოდნის უკმარობით. ბავშვს თავის პირად პრაქტიკაში არ შეუძლია დამოუკიდებლად მოიპოვოს ცოდნა საგნების ისეთი თვისებების „შენახვის“ შესახებ, როგორცაა სივრცე, მოცულობა, წონა. სისტემატური ცოდნის უკმარობას და ცნებითი აზროვნების განვითარების დაბალ დონეს ბავშვი მიჰყავს იქამდე, რომ მის აზროვნებაში ბატონობს აღქმის ლოგიკა.

დაწყებით კლასებში აბსტრაქტული აზროვნების განვითარებაში მნიშვნელოვან როლს არითმეტიკის გაკვეთილები თამაშობს, რადგანაც ამ შემთხვევაში შესწავლის ობიექტებად გვევლინება განწყნებული ცნებები. პირველკლასელი, სამწუხაროდ, რიცხვს აზრის ობიექტად არ აქცევს. მისთვის რიცხვი უშუალოდაა დაკავშირებული განსაზღვრულ საგნებთან. რიცხვით ოპერაციებს ბავშვი აწარმოებს არა კონკრეტული საგნებიდან ან წარმოდგენებიდან მოწყვეტით, არამედ მათზე დაყრდნობით. მათემატიკის გაკვეთილებზე ბავშვები თანდათანობით გადადიან საგნებით მოქმედებებიდან გონებაში მოქმედებაზე, რომლის დროსაც ისინი წარმოდგენებსა და სიტყვას ეყრდნობიან. ეს უკვე განვითარების შედარებით მაღალი დონეა და რიცხვებთან ოპერაციების დროს აზროვნება კონკრეტულ საგნებზე არაა მიჯაჭვული. ვ. დავიდოვის ექსპერიმენტებმა დაამტკიცა, რომ უმცროსკლასელებს შეუძლიათ აღგებრის ელემენტების ათვისება, სიდიდეებს შორის მიმართების დამყარება.

აბსტრაქტული აზროვნების განვითარების საქმეში მნიშვნელოვან როლს თამაშობს აგრეთვე გრამატიკის გაკვეთილები. გრამატიკის სწავლა სიტყვის კონკრეტულ-აზრობრივი მხარის განწყნებას და მათ განსაზღვრულ კატეგორიებისადმი მიკუთვნებას მოითხოვს. წერა-კითხვის სწავლების პროცესში მოსწავლეს სიტყვა ეხლევა გრაფიკისა და ბგერის მხრივ, ხოლო გრამატიკის სწავლებისას – როგორც მეტყველების ნაწილი. სკოლაძღვლებთან და უმცროსი სასკოლო ასაკის საწყის ეტაპზე სიტყვა საგნებიდან არ გამოიყოფა. იგი თითქოს საგნის ერთ-ერთი თვისებაა. სწავლების შესაბამისი ორგანიზაციის შედეგად უმცროსკლასელებს შეუძლიათ სიტყვის მატერიალურ ფორმასა და მნიშვნელობის ცვალებადობას შორის კავშირების დამყარება. (მაგალითად, თევზი – მეთევზე – თევზაობა – თევზეული).

მრავალრიცხოვანმა ექსპერიმენტებმა დაადასტურა, რომ უმცროსი სასკოლო ასაკში ბავშვს ცნების დაუფლების ფართო შესაძლებლობები გააჩნია, რის შედეგადაც განზოგადებისა და აბსტრაქციის უნარი განვითარებისა და პროლექტიულობის მაღალ დონეს აღწევს. პირველ და მეორე კლასებში ცნების შემუშავების დროს ეყრდნობიან საგნებისა და მოვლენების თვალში საცემ, გარეგან ნიშნებს. მაგალითად, ასკილი ლამაზია, იზრდება ტყეში, კარგი სუნი აქვს. ძროხა იძლევა რძეს, ზმუის. დელეჟინსა და ვეშაპს ისინი აკუთვნებენ თევზებს, იმიტომ, რომ ისინი ცხოვრობენ წყალში და ცურავენ. მესამეკლასელთა ცნებები უფრო ზუსტია, რადგანაც ამ ასაკის ბავშვებს მეტი ცხოვრებისეული გამოცდილება და წარმოდგენათა ფართო წრე აქვთ. მაგალითად, ისეთი ცნებების განსაზღვრებისას, როგორცაა „მინაური“ და „გარეული ცხოველები“, ბავშვები გამოყოფენ ნიშანთა ფართო წრეს, არსებით ნიშნებად თვლიან ცხოველთა ცხოვრების ნიშს, ამყარებენ კავშირებს ცხოვრების

ბუნებრივ პირობებსა და ცხოველთა სხეულის აგებულებას შორის. მეოთხე კლასელები კი ყვარდნობიან შედარებით უფრო განზოგადებულ ნიშნებს, რომლებშიც შინაგანი არსებითი კავშირებია ასახული.

ცნებითი აზროვნება ჩანასახის სახით ჯერ კიდევ სკოლაძელ ასაკში იწყებს ჩამოყალიბებას. კითხვაზე – რა არის კატა? სამი წლის ბავშვი ასე პასუხობს: „მე ვიციან კატას, იგი ჩვენს ეზოში ცხოვრობს“. ხუთი წლის ბავშვი კი პასუხობს: „კატა თავის იჭერს, მას კიდევ რძე უყვარს“. ექვსი წლის ბავშვის პასუხობს: „კატა ცხოველია. იგი სახლში ცხოვრობს, მაგრამ მე ვიცი, რომ არსებობს გარეული კატებიც. ისინი თავგებს იჭერენ.“ თვალსაჩინოა რომ გაეყოლოთ ბავშვების ცნებითი აზროვნების ასაკობრივ დინამიკას, ვნახათ, რომ ერთეული ცნებებიდან ბავშვები თანდათან ზოგადზე გადადიან. მრავალი ერთმნიშვნელოვანი თვისებიდან გამოყოფენ მთავარს, სახეობით ცნებებს აკუთვნებენ გვაროვნულს. სკოლაძელებთან შედარებით პირველკლასელთა ცნება უფრო ღრმაა, სრული და შედარებით განზოგადებულია. ასაკის წინსვლასთან ერთად შეთვისებული ინფორმაციის კვლობაზე იზრდება ცნებების რაოდენობაც. ბავშვი აბსტრაქტული ცნებების დაუფლებასაც ასწავლებს. კონკრეტულ ცნებებს აბსტრაქტულთან შედარებით ბავშვები შედარებით უფრო სწრაფად და ადვილად ეუფლებიან.

პირველკლასელთა ცნებითი აზროვნება ჯერ არაა ჩამოყალიბებული. აღნიშნავენ ერთი შეხედვით პარადოქსულ მოვლენას, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ ამ ასაკში სასწავლო წარმატებისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ზატოვანი აზროვნების ფორმებს. ლოგიკური აზროვნების განვითარების დონე კი არ იძლევა სასწავლო წარმატების გარანტიას. ლოგიკურად ცნებითი აზროვნების შესაბამისმა დონემ გაცილებით უფრო უნდა უზრუნველყოს მოსწავლეთა საერთო სასკოლო წარმატება. ამ მოჩვენებით პარადოქსს მკვლევარები ხსნიან იმით, რომ მოქმედების ის ნორმები და ხერხები, რომელთაც ბავშვებს სწავლების პირველ ეტაპზე ავალბენ, ძალზე მარტივია. მათი კონტროლისათვის ლოგიკური აზროვნების საშუალო დონეც სრულიად საკმარისია. მისი განვითარების უფრო მაღალი დონე კი ამ ასაკში ვერ უზრუნველყოფს მოსალოდნელ უპირატესობას. ზატოვანი აზროვნება ბავშვს საშუალებას აძლევს დასახოს მოქმედების პოტენციურად შესაძლებელი ხერხები, ამასთანავე ამოვიდეს კონკრეტული სიტუაციის, ამოცანის თავისებურებიდან. თუ ეს ფუნქცია ლოგიკურ აზროვნებას გადაეცემა, მაშინ სიტუაციის მრავარიცხოვანი კერძო თავისებურების გათვალისწინება ბავშვს ძალიან გაუჭირდება.

ასხვებებზე საგნობრივ და მიმართებით ცნებებს. საგნობრივი ცნებებია ცოდნა საგანთა და მოვლენათა ზოგადი, არსებითი ნიშნებისა და თავისებურებების შესახებ (მაგალითად, ფრინველი, ფანჯარი, წიგნი და ა.შ.). მიმართებითი ცნებები კი საგნებსა და მოვლენებს შორის კავშირებსა და დამოკიდებულებებს ასახავენ (რევოლუცია, დიდ-პატარა და ა.შ.). საგნობრივი ცნებების ათვისების პირველ საფეხურზე მოსწავლეები ჩვეულებრივ აღნიშნავენ საგანთა ფუნქციონალურ ნიშნებს („ძროხა გვამღვს რძეს“, „კატა იჭერს თავგებს“). საგნობრივი ცნებების განვითარების შემდგომ ეტაპზე ბავშვები ჩამოთვლიან მათთვის ცნობილ ნიშნებსა და თავისებებს,

ოღონდ ვერ ასხვავებენ არსებითს არაარსებითისაგან, ზოგადს კერძოსაგან (სკიტრი ხილია. ის იზრდება ბოსტანში, შწვანა, შეიცავს ბევრ წყალს, გემრიელია, შიგნით აქვს თესლი“). საგნობრივი ცნებების განვითარების უმაღლეს საფეხურზე მოსწავლეები საგანთა არსებით, ზოგად ნიშნებსა და თვისებებს გამოყოფენ, შეუძლიათ მათი სინთეზი და განზოგადება. უმცროსკლასელთა მიერ მიმართებითი ცნებების ათვისების პროცესში გამოყოფენ შემდეგ ეტაპებს: ისინი პირველად ცალკეულ კონკრეტულ შემთხვევებს იხილავენ და პრაქტიკულად ნახულობენ, რომ ერთი სიდიდე მეორეზე მეტი ან ნაკლებია, მაგრამ ჯერ-ჯერობით განზოგადებას ვერ ახერხებენ. შემდგომ ეტაპზე მოსწავლეები ანზოგადებენ, მაგრამ ეს განზოგადება მხოლოდ განსახილველ შემთხვევებს ეხება. შემდგომ ეტაპზე მიღებულ განზოგადობებს ბავშვები იყენებენ სხვადასხვა შემთხვევების მიმართაც.

ცნების დაუფლების ასაკობრივი ღინამიკა ექსპერიმენტულად შეისწავლა რ. ნათაქემ. დადგინდა, რომ შეიდი წლის ასაკში ცნების ექვივალენტში არ ხდება საგნის ზოგადი არსის ასახვა. ამ ასაკის ბავშვებისათვის ზოგადისა და არსებითის ძიება უცხოა. იგი ცნებაში კონკრეტულ საგანთა სიმრავლეს გულისხმობს. ცნების რაობა მისთვის ცნების ნიშნებით არ გამოიხატება. ამ ასაკში არც ერთი ტიპის გონებრივ ოპერაციაში ბავშვები ცნების სპეციფიკურ ნიშნებს არ ეყრდნობიან, აზროვნების კონკრეტულობა შეიძის წლის ასაკში იმ დონეზეა, რომ ცნებაში ნაგულისხმევ საგანთა კატეგორიის ნაცვლად ბავშვი მასში ერთ-ერთ კონკრეტულ საგანს გულისხმობს. აზროვნების კონკრეტულობა და სპეციფიკური ნიშნის ძიების უუნარობა ბავშვისათვის მასალის კლასიფიკაციის მოწვედომლობაშიც ვლინდება, თუ ეს ოპერაცია არასენსორული, არააღქმადი თვისებების მიხედვით ხდება. ამ ასაკის ბავშვის ცნებით აზროვნებაში ჯერ კიდევ შეუზღუდავად სუფევს თვალსაჩინობა. ცნებები, რომელთაც ბავშვი პრაქტიკურად ეუფლება, კონკრეტული მასალის საფუძველზე შეიდი წლის ბავშვისათვის სრულად მოწვედომელი რჩება თუ მათი მიწოდება თვალსაჩინო მასალის გარეშე, მხოლოდ სიტყვიერი გზით ხდება.

შეიდი წლის ბავშვი უშწუა აგრეთვე გეაროვნული ცნების შემუშავებაშიც. იგი ვერ ახარხებს ქვეცნებათა ერთ ზოგად ცნებაში გაერთიანებას.

რვა წლის ასაკშიც ცნება არსებითის ასახვის ფუნქციას ვერ ასრულებს. ცნების შემუშავებისას ბავშვი არ ეძებს საგნის არსს, არ ცდილობს ჩასწვდეს ცნების მთავარ ნიშნებს. ბავშვის ცნებას ჯერ კიდევ ახასიათებს უადრესი კონკრეტულობა, მასში ისევ მაღალია თვალსაჩინობა, მაგრამ წინა ასაკთან შედარებით წინსვლა მაინც არის. ამ ასაკში იღვიძებს სპეციფიკური ნიშნის ცნობიერება და წინა ასაკისათვის დამახასიათებელი „ცნების სუბიექტური ექვივალენტის“ ფუნქცია გადალახულია. თუმცა ნიშნის ცნობიერება ჯერ მოღწეული არაა, მაგრამ ზოგიერთ ბავშვთან არსებითი ნიშნის ცნობიერებაც იღვიძებს. რვა წლის ასაკის ბავშვების უმეტესობა უკვე ახერხებს ზოგადი ცნების დაუფლებას ქვეცნებათა შეგამების გზით, რასაც შეიდიწლიანი ვერ ახერხებდა. ამ ასაკში ცნებათა შორის ლოგიკური დამოკიდებულება ე.ი. ცნებათა სისტემა ბავშვისთვის

ჯერ კიდევ მიუწვდომელია, რაც განპირობებულია აზროვნების კონკრეტულობით (ცნების შინაარსი კონკრეტული საგნების ჯგუფის სახითაა წარმოდგენილი) და ფორმალური აზროვნების სისუსტით, რის გამოც ბავშვს არ შეუძლია ცნებათა შორის დამოკიდებულების გააზრება. ამრიგად, რვა წლის ასაკში ცნების დაუფლების განვითარებაში შეიძლება წლის ასაკთან შედარებით აღინიშნება ორი მთავარი მიღწევა:

ა) ცნების შემეცნებითი ფუნქციის განვითარების მიმართულებით იწყება „ნიშნის ცნობიერების“ განვითარება და

ბ) ამ ასაკიდან ბავშვი ახერხებს გვაროვნულ ზოგად ცნებებში „უშუალო ცნებათა“ ჯამისებურ შეერთებას.

ცხრა წლის ასაკში ცნებათა დაუფლების განვითარების მთავარი წინსვლაა შემდეგი:

ა) რვა წლის ასაკში დაწყებული „ნიშნის ცნობიერების“ შემდგომი განვითარება. ამ ასაკში პირველად ბავშვების დიდი რაოდენობა აღწევს ცნების ნიშნის გაცნობიერების ისეთ დონეს, რომ ამ ნიშნებს ცნების დეფინიციისას იყენებს.

ბ) ამ ასაკში ჩანასახის ფორმაში თავს იჩენს არსებითი ნიშნის ძიების ტენდენცია. შედარების ამოცანებში ბავშვი სპეციფიკურ ნიშანთა შორის „უფრო მთავარს“ გამოყოფს, მაგრამ ამ ნიშნების მეტი მნიშვნელობის ობიექტივაციას იგი ვერ ახერხებს.

გ) ბავშვისათვის პრაქტიკულად მისაწვდომი ხდება გვაროვნული ცნებების შემუშავება ქვეცნებათა „შეჯამების“ სახით.

ათი წლის ასაკში ცნების შემუშავების თვალსაზრისით ცხრა წლის ასაკის ბავშვების დონეზე რჩებიან. წინსვლა უმთავრესად იმაში მდგომარეობს, რომ, ერთი მხრივ, ერთეული ბავშვები აღწევენ თერთმეტი წლისათვის დამახასიათებელ ცნების დაუფლების დამახასიათებელ დონეს, ხოლო, მეორე მხრივ წინა ასაკისათვის დამახასიათებელი მიღწევები, რომელიც ბავშვების უმეტესობას ახასიათებდა, ათი წლის ასაკში უკვე საყოველთაოა. ამ ასაკში ბავშვს შეუძლია კონკრეტული მასალის გარეშე, ვერბალური გზით მიწოდებულ ცნებათა საფუძველზე ახალი ზოგადი ცნებების შემუშავება და მათ შორის ძირითად ლოგიკურ მიმართებათა პრაქტიკულად სწორი დაუფლება.

ასეთია, მოკლედ, რ. ნათაძის ექტსპერიმენტული გამოკვლევის შედეგები. როგორც ვხედავთ მისი მონაცემების მიხედვით 7-10 წლის ბავშვების გონებრივი შესაძლებლობანი ჩამორჩება დღევანდელი ანალოგიური კვლევების შედეგებს. ვფიქრობთ ეს განსხვავება ფსიქო-ფიზიკური აქსელერაციის ფაქტით და დაწყებით კლასებში სწავლების ინტენსიური სისტემის შემოღებით უნდა აიხსნას.

ცნების წარმატებით შემუშავება დიდადაა დამოკიდებული სააზროვნო ოპერაციების განვითარების დონეზე. დაწყებითი სკოლის საფეხურზე ეს გარემოება სპეციალურად შეისწავლეს მ. შარდაკოვმა, შ. ნადირაშვილმა და სხვებმა. უძეროსკლასელთა ანალიზის სააზროვნო ოპერაციის თავისებურება ისაა, რომ მათი ანალიზი არის პრაქტიკულ-ქვედითი და გრძნობადი. მოსწავლეები ადვილად წვეტენ ისეთ ამოცანებს, სადაც გამოიყენება ამ საგნებთან პრაქტიკული მოქმედებები:

მაგალითად ჩხირებით, კუბებით (პრაქტიკულ-ქმედითი ანალიზი) ან საგნების ნაწილების პონა მათ ბუნებრივ პირობებში ან თვალსაჩინო მასალაზე დაკვირვებით, ასობის გამოყოფა სიტყვებიდან და სიტყვების გამოყოფა წინადადებიდან (გრძობადი ანალიზი).

ანალიზური აზროვნება გაივლის რამდენიმე ეტაპს, განვითარება ნაწილობრივად კომპლექსურ და სისტემურ ანალიზამდე მიმდინარეობს. უმცროსკლასელთა ანალიზის ძირითადი სახეა ნაწილობრივი და კომპლექსური ანალიზი. კომპლექსური ანალიზისას შეთვისება უფრო ღრმაა, რადგან ამ დროს ბავშვები იხილავენ შესასწავლი მოვლენის თითქმის ყველა ნაწილს, მაგრამ მათ შორის ურთიერთკავშირს ვერ ამყარებენ.

ელემენტარული სინთეზი არის შემკრები სინთეზი. ეს მთელის ნაწილების გაერთიანების პროცესში ხდება. მაგალითად, ცნობილი ცხოველების, ფრინველების ან ქალაქების ჩამოთვლა. ნამდვილი სინთეზი თვისობრივად განსხვავებულ შედეგს იძლევა. როცა უმცროსკლასელი ასანთით, პლასტილინითა და წითელი ნაჭრით აკეთებს ტანკს, ეს სინთეზის უფრო მაღალი ფორმაა, რადგან მან ტანკისა და სამშენებლო მასალის ნაწილებს შორის აზრობრივი კავშირების დამყარებით მიიღო ახალი საგანი. უმცროსკლასელებთან სჭარბობს პრაქტიკულ-ქმედითი სინთეზი. უფრო მაღალი საფეხურია გონებრივი სინთეზი, როცა ბავშვი ნაცნობ კონკრეტულ საგნებსა და მოვლენებს არ ეყრდნობა.

ანალიზი და სინთეზი მჭიდრო კავშირშია ერთმანეთთან. უმცროსკლასელებს ანალიზი უფრო ეადვილებათ, ვიდრე სინთეზი. ამ ორი სააზროვნო ოპერაციის სრულყოფა მას ერთიანობაში მიმდინარეობს.

თაკისებურია უმცროსკლასელთა შედარებაც. შედარებისას უმცროსკლასელები უფრო ადვილად პოულობენ განსხვავებას, ვიდრე მსგავსებას. სწავლების პროცესში შედარებით სააზროვნო ოპერაციის გარდაქმნა ხდება. მეორე კლასში მატულობს ისეთი ბავშვების რიცხვი, რომლებიც ნახულობენ არა მარტო განსხვავებას, არამედ მსგავსებასაც. საგნების შედარებისას მეორეკლასელები უფრო მეტ ნიშნებს გამოყოფენ, ვიდრე პირველკლასელები. ამასთანავე შედარება მეორეკლასელებთან ხშირად არსებითი ნიშნების მიხედვითაც მიმდინარეობს.

პირველი და მეორეკლასელთა შედარების პროცესის მიმდინარეობაზე ღიდ გავლენას ახდენს ცოდნის დონე. ბავშვები ნაცნობ და უცნობ საგნებს ერთმანეთს განსხვავებულად ადარებენ. კარგად ნაცნობი საგნების შედარებისას უმცროსკლასელები უფრო ადვილად პოულობენ მსგავსებას, ვიდრე განსხვავებას და პირიქით, როცა შესადარებელი საგნები და მოვლენები უცნობია, მაშინ უფრო ადვილად განსხვავებას ამჩნევენ.

უმცროსკლასელთა მიერ მსგავსება-განსხვავების გაცნობიერებაზე განწყობის გავლენის ექსპერიმენტულად შესწავლის საფუძველზე დადგინდა, რომ

ა) შედარების მიმართულებაზე განსაზღვრულ გავლენას ახდენს ობიექტის, ფიგურის ფაქტორი (ფერი, ფორმა, სიდიდე, რიგში ადგომდებარეობა და ა.შ.). მსგავსების ან განსხვავების შემჩნევაზე დახარჯული საშუალო დრო იმის მიხედვით იცვლება, თუ მსგავსი ან განსხვავებული ფიგურების პარალელურ რიგში იცვლება რომელიმე ჩამოთვლილი მომენტი.

ბ) შესაძამის პირობებში შესაძლებელია როგორც მსგავსების, ასევე განსხვავების აღქმის განწყობის ფიქსირება, რომლის საფუძველზეც უფრო ადვილად და სწრაფად აღმოცენდება ან მსგავსება ან განსხვავება. როცა აღქმა განსაზღვრულია მსგავსების ფიქსირებული განწყობით, ბავშვები უფრო ადრე და ადვილად ამჩნევენ მსგავსებას და პირიქით.

გ) სწავლების პროცესში მასწავლებლის მიერ შედარების სააზროვნო ოპერაციის შეგნებული გამოყენება არის ლიდაქტიური ხერხი, რომელიც გამოიყენება სასწავლო მასალის ახსნის დროს, ზოლო მოსწავლეთათვის – სააზროვნო ოპერაცია, რომელიც საჭიროა ამ მასალის ასათვისებლად.

დ) მსგავსი ცოდნა უნდა გადაიცეს განსხვავებაზე ხაზგასმით და პირიქით, განსხვავებული – მსგავსებაზე მითითებით.

უმცროსკლასელთა აბსტრაქციის განვითარება ვლინდება არსებითი და ზოგადი ნიშნების გამოყოფასა და არარსებითისაგან განსხვავებაში. აბსტრაქციის საფუძველზე მიმდინარეობს განზოგადება და ცნებების ჩამოყალიბება. უმცროსკლასელთა აბსტრაქციის ერთ-ერთი თავისებურება ისაა, რომ ბავშვები არსებით ნიშნებად გარეგნულ ნიშნებს გამოყოფენ. ისინი უფრო ადვილად ახდენენ საგნებისა და მოვლენების თვისებების, ვიდრე მათ შორის დამოკიდებულებათა დაკავშირების, აბსტრაქციას.

მნიშვნელოვანი სააზროვნო ოპერაციაა განზოგადება. უმცროსკლასელთა განზოგადების ერთ-ერთი თავისებურება ისაა, რომ ისინი იყენებენ მხოლოდ იმ არსებით ნიშნებს, რომლებიც მათ აქვთ გაცნობიერებული. მათ კი, სამწუხაროდ, არ შეუძლიათ ყველა იმ ნიშნის გაცნობიერება, რომელიც ამა თუ იმ ცნების შინაარსს შეადგენს.

ასხვავებენ განზოგადების განვითარების სამ დონეს:

ა) გრძობადი, პრაქტიკულ-ქმედებითი; ბ) ხატოვან-ცნებითი და გ) ცნებით – ხატოვანი, მეცნიერული.

გრძობადი განზოგადება ბორციელდება საგნებსა და მოვლენებთან უშუალო პრაქტიკული მოქმედების, მათი აღქმის პროცესში. განზოგადების ასეთი ფორმა ძირითადად სკოლამდელთათვის, მაგრამ იგი პირველკლასელებისთვისაცაა დამახასიათებელი. გრძობადი განზოგადობისას შეიძლება გაერთიანდეს ნიშნები, თვისებები, კავშირები და დამოკიდებულებები, რის საფუძველზედაც მიიღება ელემენტარული ცოდნა ზოგადი წარმოდგენების სახით. მაგალითად, ბავშვები ერთ ცხოველს ასხვავებენ მეორისაგან, კაცს – ქალისაგან და ა.შ.

გრძობით-ცნებითი განზოგადება არის როგორც არსებითი, ასევე არარსებითი ნიშნების განზოგადება თვალსაჩინო ხატების სახით. „შინაური ცხოველები ისეთი ცხოველებია, რომლებიც ცხოვრობენ ადამიანებთან და მათთვის სარგებლობა მოაქვთ. ძროხა იძლევა რძეს, ცხვარი მატყლს და ზორცს.“

ცნებით-ხატოვანი, მეცნიერული განზოგადობა საგანთა და მოვლენათა არსებითი ნიშნების, კავშირებისა და დამოკიდებულებების განზოგადობაა. ასეთი განზოგადობის შედეგად ყალიბდება მეცნიერული ცნებები, კანონები და წესები. ბავშვების განზოგადების განვითარება მიდის გრძობადიდან ცნებით-ხატოვანამდე,

ხატოვან-ცნებითის გზით. აზრის განმაზოგადებელ მუშაობაში სულ უფრო დიდ როლს თამაშობს სიტყვა. პირველი და მეორე კლასის მოსწავლეები – ძროხას, ქათამს, მელას, ცხვარს, მგელს, იხვს ჩვეულებრივ ერთ ჯგუფში ანზოგადებენ – ცხოველები. ე.ი. აკეთებენ მხოლოდ ფართო განზოგადებას. მესამე და მეოთხეკლასელები იმავე ცხოველებს ანზოგადებენ უფრო ღიფერენტირებულად: შინაური ცხოველები, გარეული ცხოველები, შინაური ფრინველები, მხეცები.

მ. ნადირაშვილის მიხედვით მთელი დაწყებითი სკოლის ასაკის მანძილზე მოსწავლეთა განზოგადება „არასისტემურ“ ხასიათს ატარებს. ამ დრომ განზოგადების პროცესი იზოლირებული ოპერაციების სახით ხორციელდება და მთლიანი განზოგადებითი მოქმედების სახით არ არიან გაერთიანებული. განზოგადების ოპერაცია მჭიდრო კავშირში იმყოფება კონკრეტულ ზაციანთან. შეთვისებული ცნებები, კანონები და წესები კერძო, კონკრეტული ამოცანების გადასაჭრელად გამოიყენება. მაგალითად, მოსწავლეები ითვისებენ „ქვემდებარის“ ცნებას მრავალი წინადადების ანალიზის საფუძველზე, ხოლო შემდეგ ისინი პოულობენ ქვემდებარეს ამა თუ იმ წინადადებაში შესაბამისი ამოცანის მიხედვით. განზოგადებისა და კონკრეტული ზაციის დამოკიდებულება მრავალფეროვანია, რაც შესასწავლი მასალის შინაარსზე, სწავლების მეთოდებსა და აზროვნების განვითარების დონეზე დამოკიდებულია. ასეთი მიმართება შეიძლება იყოს არასრული, როცა ბავშვმა იცის ზოგადი თვისებების ნაწილი და კონკრეტულ ზაციას ახდენს ასევე ნაწილობრივ, რამდენიმე მაგალითზე. მათი ურთიერთობის შემდგომი საფეხურია კონკრეტული, თვალსაჩინო სასწავლო მასალის ფარგლებში ერთიანობის დადგენა. განზოგადებისა და კონკრეტული ზაციის ურთიერთობის უმაღლესი ფორმაა მათი სრული ერთიანობა. ალევორიის გაგებაში ბავშვები აღწევენ ისეთ საფეხურს, როცა მათ არა მარტო ესმით ალევორიის აზრი, არამედ მარჯვედ აკონკრეტებენ მას აღამიანთა ცხოვრების ახალ-ახალი ფაქტებით.

ცნების დაუფლების საქმეში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ინდუქციასა და დედუქციას. როგორც აღვნიშნეთ ანალიზის, სინთეზის, შედარების და აბსტრაქციის საფუძველზე ცალკეული საგნისა და მოვლენის შესწავლის დროს განზოგადება და ზოგადი ცნებების, კანონებისა და წესების შეთვისება ხდება. ესაა ინდუქციური გზა. განზოგადებული ცოდნა შემდგომ გამოიყენება პრაქტიკული მოქმედების პროცესში კონკრეტული ამოცანების გადაწყვეტისას. ესაა დედუქცია. უმცროსკლასელები ინდუქციურ საზოგადოებრივ პროცესს დედუქციურთან შედარებით უფრო ადრე და სრულყოფილად აცნობიერებენ.

უმცროსკლასელებსა მსჯელობები დასაწყისში წაბაძვითი ხასიათისაა. ისინი სამყაროს ჯერ კიდევ უფროსების თვალთ უყურებენ. ბავშვები ძირითადად მასწავლებელს ბაძავენ. მათი მსჯელობა ხშირად არაა კონკრეტული და მტკიცებითი. თანდათანობით ყალიბდება დასკვნის უნარიც. პირველ და მეორე კლასებში ბავშვის დასკვნები საკუთარ გამცდილებაზე დამყარებულ წანამძღვრებზე აიგება, ხოლო მესამე კლასიდან – შედარებით უფრო აბსტრაქტულ მასალაზე.

უმცროსკლასელებს უწვევდებათ საგნებსა და მოვლენებს შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დამყარება. ამ მიმართულებით მასწავლებლის ამოცანაა

მაჩვიოს მოსწავლეები საგანთა და მოვლენათა სიტყმატურ ანალიზს და სინთეზს, გაუცნობიეროს მათ მოვლენათა შორის შინაგანი კავშირები და განასხვავოს ისინი გარეგნულსაგან. უმცროსკლასელთა აზროვნებაზე მსჯელობისას უნდა გავითვალისწინოთ მათი შეკითხვების ხასიათიც. სკოლაბდელთა მრავალრიცხოვანი შეკითხვები ცნობისმოყვარეობითაა გამოწვეული, ხოლო უმცროსკლასელთა შეკითხვები ცოდნისმოყვარეობით. ამ შეკითხვებში, ხშირად გამოხატულია მიზეზ-შედეგობრივი დამოკიდებულება „რატომ“-ის ფორმაში („რატომ არ იძირება ბატი წყალში?“, „რატომ არ ცურავს ქათამი?“). გაცილებით მრავალეროვნია, აგრეთვე, უმცროსკლასელთა შეკითხვების მოტივებიც.

ვ. დავიდოვა და მისმა მოწაფეებმა იკვლიეს უმცროსკლასელთა თეორიული და ემპირიული აზროვნების კანონზომიერებანი. თეორიული აზროვნება ხასიათდება ერთმანეთთან ურთიერთდამოკიდებული კანონზომიერებებით:

ა) რეფლექსია, ე.ი. ბავშვის მიერ საკუთარი მოქმედების გააზრება და მათი ამოცანის პირობებთან შესაბამისობა

ბ) ზოგადი პრინციპის გამოვლენის მიზნით ამოცანის შინაარსის ანალიზი. ესაა ამოცანის გადაწყვეტის ისეთი ზოგადი ხერხის პოვნა, რომელიც შემდეგ ანალოგიური ამოცანების მთელ კლასზე გადაიტანება;

გ) მოქმედების შინაგანი პლანი, რომელიც უზრუნველყოფს მის დაგეგმვასა და „გონებაში“ შესრულებას.

დაწყებით კლასებში ცოდნის შეთვისება შეიძლება აზროვნების სხვა ტიპის საფუძველზეც, რომელსაც ემპირიული აზროვნება ეწოდება. ამ დროს ცოდნის ათვისება მსგავსი საგნების შედარების საშუალებით ხდება. ასეთი აზროვნება არაა ანალიტიკური, მისთვის უცხოა რეფლექსია.

უმცროს სასკოლო ასაკში თეორიული აზროვნების განვითარება დამოკიდებულაა სწავლების შინაარსზე. თუ სწავლება მიმდინარეობს უმცროსკლასელთა თეორიული აზროვნების რეფლექსური ხერხების ათვისების საფუძველზე როგორც საგნობრივ-ქმედით, ასევე თვალსაჩინო-ხატოვან ფორმებში, ბავშვების უმრავლესობა თეორიულ აზროვნებაზე გადადის გაცილებით უფრო ადრე, ვიდრე საკონტროლო კლასებში.

მ. მელჩიშვილმა იკვლია დაწყებითი სკოლის მოსწავლეების მიერ არათვალსაჩინო მიმართებების წვდომის საკითხი ფოტოსურათებით ოჯახის შედგენისა და ოჯახის წევრებს შორის არსებული მიმართებების დადგენის საფუძველზე. ცდაში მონაწილე ყველა უმცროსკლასელმა, რომელმაც შეძლო სურათებით ოჯახის შედგენა, გააკეთა ეს ევოცენტრულად, საკუთარი პოზიციებიდან გამომდინარე. ბავშვი თვითონ წარმოადგენდა ოჯახის ცენტრს და ოჯახის სხვა წევრებს მასთან მიმართებაში განალაგებდა.

ოჯახის შედგენასა და ოჯახის წევრებს შორის დამოკიდებულებაში ბავშვები შედარებით ადვილად წვდებიან უშუალო მიმართებებს „და-ძმა“, „დედ-მამა“, „მამა-შვილი“. ასევე მათ არ უჭირთ ცხოვრებისეული გაშუალებით, პრაქტიკული მიმართებების დამყარება („ბები-შვილიშვილი“, „ბაბუა-შვილიშვილი“).

ბავშვებს გაცილებით უჭირთ გაშუალებული მიმართებების წვდომა („ძმის

შვილი“, „დის შვილი“, „ცოლის ძმა“, „ძმის ცოლი“). ოჯახის წევრებს შორის მიმართების წვდომაში გარდატეხის ასაკია 7-8 წელი, როდესაც შეიძლება სწავლების გზით ბავშვები არათავალსაჩინო მიმართებებს დაუფლონ.

ექვსი და შვიდი წლის ასაკის ბავშვის მიერ ტექსტის გაგების ფსიქოლოგიური საკითხების ექსპერიმენტული შესწავლის საფუძველზე თ. ბერიშვილი ასკვნის, რომ ბავშვს აქვს გარკვეული გამოცდილება, რომელსაც იგი პრაქტიკული მოქმედების დროს იძენს. თუ სასწავლო მასალა გასცდება ამ გამოცდილების ფარგლებს, გაგება არ მიიღწევა. მასწავლებელმა მისწავლოში ხერხებით და მეთოდებით უნდა შეაიარაღოს ბავშვები გარკვეული გამოცდილებით და ამის საფუძველზე განახორციელოს სწავლება.

უმცროსკლასელთა აზროვნების განვითარება იწვევს სხვა შემეცნებითი პროცესების (განსაკუთრებით აღქმისა და მეხსიერების) ინტენსიურ-გარდაქმნასა და განვითარებას. აზროვნების პროცესის სრულყოფაში მნიშვნელოვანი როლი ენიჭება სწავლების შინაარსსა და მეთოდებს. შეიძლება ითქვას, რომ უმცროსკლასელის გონებრივი განვითარება შეფარდებითია, იგი დამოკიდებულია სწავლების თანამედროვე სისტემის განვითარების ღონეზე. დაწყებითი სწავლების სისტემის გარდაქმნისადმი მიძღვნილმა მრავალრიცხოვანმა ექსპერიმენტებმა დამტკიცა, რომ ტრადიციულ ფსიქოლოგიასა და ლინგვისტიკაში გაბატონებული შეხედულება დაწყებითი სასკოლო ასაკის ბავშვის აზროვნების „კონკრეტულობის“ შესახებ მთლად გასაზიარებელი არაა. სწავლების განსაზღვრულ, მეცნიერულ საფუძველზე დამყარებული შინაარსის გველენით უმცროსკლასელებს გარკვეულ ფარგლებში ცნებებისა და თეორიული მეცნიერული ხასიათის ცოდნის შეთვისებაც შეუძლიათ.

როგორც აღვნიშნეთ, ორგანიზებული სასწავლო და სააღმზრდელო პროცესი ხელსაყრელ პირობებს ქმნის აზროვნების განვითარებისათვის. სწორედ სკოლაში ხდება ბავშვის ინტელექტუალური, ფიზიკური, სოციალური და ემოციური შესაძლებლობების შემოწმება და იმის განსაზღვრა, თუ რამდენად შეესაბამებია ისინი დადგენილი ნორმის სტანდარტებს. ამიტომ ნებისმიერი საგნის სასკოლო პროგრამა ისე უნდა შედგეს, რომ იგი უპირველეს ყოვლისა აზროვნების განვითარებისაკენ იყოს მიმართული. ასწავლო ბავშვებს ისე, რომ მათ განუვითარდეთ აზროვნება გაცილებით რთულია, ვიდრე აათვისებინო მათ ცალკეული ფაქტები და კანონზომიერებანი. სწავლების პროცესში აზროვნების განვითარების მრავალი სტრატეგიის შექმნა შესაძლებელია. ამერიკელი ფსიქოლოგის კოსტას მიხედვით ნებისმიერი სასკოლო პროგრამა ისე უნდა შედგეს, რომ მან ბავშვს უნდა განუვითაროს გონებრივი მოქმედების ექვსი სახე:

- 1) *გაზსენება*. მეხსიერებაში ფაქტების, წარმოდგენებისა და ცნებების აღდგენა.
- 2) *აღდგენა*. ნიმუშისადმი ან ალგორითმისადმი მიყოლა.
- 3) *დასაბუთება*. კერძო შემთხვევების ზოგად პრინციპებში ან ცნებაში გაერთიანება.
- 4) *რეოგრანიზაცია*. ამოცანის საწყისი პირობების ისეთ ახალ პრობლემურ სიტუაციად გარდაქმნა, რომელიც საფუძვლად დაედება ორიგინალურ გადაწყვეტას.

5) მიკუთვნება. ახალი ცოდნის ძველ ცოდნასთან ან პირად გამოცდილებასთან დაკავშირება.

6) რეფლექსია. თვით აზრისა და მისი გაჩენის მიზეზების კვლევა. ნებისმიერი საგნის სწავლების მეთოდთაგან ამ საგნის მეცნიერული კანონზომიერების მაღალ დონეზე შეთვისებისა და სხვადასხვა ასაკის ბავშვთა აზროვნების განვითარებისაკენ უნდა იყოს მიმართული.

უმცროს სასკოლო ასაკში არსებობს ბავშვების კატეგორია, რომელიც ამჟღავნებს სწავლის უუნარობას, მიუხედავად იმისა, რომ მათი გონებრივი განვითარება ნორმას შეესაბამება და არც სხვა რაიმე სენსორული ან მოტორული გადაზრაც არ აღენიშნებათ. ასეთ ბავშვებს უბნელდებათ კითხვა, წერა და არითმეტიკა. გ. კრაივის მონაცემებით ასეთი ბავშვების 80% ბიჭებია. სწავლის უუნარობა არის კითხვის, წერისა და მათემატიკის დაუფლების მნიშვნელოვანი სიმბოლოები ნორმალური ინტელექტისა და სენსორული ან მოტორული განვითარების პირობებში. ესაა დისლექსია, დისგრაფია და დისკალკულაცია.

დისლექსია არის სწავლის უუნარობა, რომელიც დაკავშირებულია კითხვის დაუფლების სიმბოლოებთან. დისლექსიის დროს ნორმალური მხედველობის მქონე ბავშები ხშირად ურევენ ხოლმე ერთმანეთში მსგავსი ფუნქციონირების ზოგიერთ ასოს (მაგალითად თ-ღ) ან უკუღმა კითხვობენ ზოგიერთ მოკლე სიტყვას. ეს ძალიან გავრცელებული შეცდომაა კითხვის დამწყებ ბავშვებს შორის. ბავშვების უმრავლესობა ამ შეცდომას სწრაფად ასწორებს, ხოლო დისლექსიით დაადაბლებულს იგი დიდხანს მიჰყვებათ. დისლექსია საჭიროებს ინტენსიური კვალიფიციური კორექციული მუშაობის ჩატარებას.

დისგრაფია არის სწავლის უუნარობა, რომელიც დაკავშირებულია წერის დაუფლების სიმბოლოებთან.

დისკალკულაცია კი არის სწავლის უუნარობა, რომელიც დაკავშირებულია არითმეტიკული ჩვევების დაუფლების სიმბოლოებთან.

§7 მეტყველების განვითარება

უმცროსკლასელთა აზროვნების განვითარება მჭიდროდაა დაკავშირებული მეტყველების განვითარებასთან. ექვსი წელი მეტყველების ინტენსიური განვითარების ასაკია. სკოლაში შესვლისას ბავშვი პრაქტიკულად ფლობს მშობლიური ენის თითქმის ყველა მხარეს: ლექსიკას, ბგერათა შემადგენლობას და გრამატიკულ წყობასაც. ექვსი წლი ასაკში ბავშვის აქტიურ ლექსიკონში უკვე 3000-4000 სიტყვაა. ამ ასაკში ბავშვები ვითარდებიან მეტყველების გრამატიკული მხარის დაუფლების თვალსაზრისითაც. ისინი უფლებიან გრამატიკული ფორმების მორფოლოგიურ სისტემას, ითვისებენ ბრუნვათა ტიპებს, ბგერათა მონაცვლეობის ფორმებს, სიტყვათა ცვალებადობისა და სიტყვათწარმოთქმის ხერხებს. ამ ასაკში ბავშვებმა კარგად იციან რომელია კარგი და ცუდი სიტყვა, რომლის წარმოთქმაც არ შეიძლება, სირცხვილია.

ექვსი წლის ასაკში ვითარდება მეტყველების სინტაქსური მხარეც. სკოლამდელბთან შედარებით ახლა იზრდება რთული წინადადებების რაოდენობა. თუ

სკოლაში შესვლამდე ბავშვი გრამატიკულ კანონებს პრაქტიკულად ითვისებდა, ახლა იგი იწყებს გრამატიკის სისტემატურ შესწავლას, რაც მეტყველებისადმი, გრამატიკული წყობისადმი გაცნობიერებულ დამოკიდებულებას გულისხმობს. პირველკლასელებს ეს პირველ ხანებში ძალიან უჭირთ, რადგანაც ისინი სიტყვის არსებით მხარეებზე ყურადღებას ვერ წარმართავენ.

უმცროსკლასელები უფროსებთან და თანატოლებთან ურთიერთობაში ხმარობენ მეტყველების სიტუაციურ, კონტექსტურ და ახსნით ფორმებს. სიტუაციური მეტყველება შეკუმშულობით, ბოლომდე ართქმით ხასიათდება. იგი მჭიდროდაა დაკავშირებული კონკრეტულ სიტუაციასთან და ტიპურია როგორც უფროსი სკოლამდელისათვის, ასევე პირველკლასელისთვისაც, მაგრამ პირველკლასელი ახლა იყენებს კონტექსტურ მეტყველებას, ე.ი. მეტყველების ისეთ ფორმას, როცა ლაპარაკია მოვლენებისა და სიტუაციის შესახებ, მაგრამ ესენი მოცემულ მომენტში არ არიან. ეს მეტყველების შედარებით მაღალი ფორმაა, რადგანაც კონკრეტული სიტუაციისაგან მოწვეტა წინსვლაა ამ ასაკში. ბავშვი ყვება იმ სიტუაციის შესახებ, რომელსაც მსმენელი არ იცნობს. იმისათვის, რომ მსმენელს გააგებინოს, ბავშვის მეტყველება უნდა იყოს გაბმული, გაშლილი და დიფერენცირებული. ამასთანავე პირველკლასელებთან კონტექსტური მეტყველება სიტუაციურს ვერ გამოდევნის. პირველკლასელი ორივე ფორმას ხმარობს.

მეტყველების ძირითადი ფუნქცია კომუნიკაცია, სხვა ადამიანებთან ცნობიერი ურთიერთობის დამყარებაა. ექვსი-შვიდი წლის ასაკის ბავშვს შეუძლია ასეთი ურთიერთობის დამყარება კონტექსტური მეტყველების დონეზე, რაც იმას ნიშნავს, რომ მას შეუძლია ასე თუ ისე სრულად აღწეროს ის, რაზედაცაა საუბარი და იგი სავსებით გასაგებია განსხვავებული სიტუაციის უშუალო აღქმის გარეშე. მეტყველების სიტუაციური ფორმები თადათანობით გადადიან კონტექსტურ ფორმებზე.

პირველი კლასის საფეხურზე ჩასახვას იწყებს ე.წ. ამხსნელი მეტყველება (განსჯა, დადგენა, ახსნა, მომავალი მოქმედების გეგმის შემუშავება). აქ უკვე ზუსტი ლექსიკაა საჭირო, რომელიც საგანთა და მოვლენათა თვისებებს, ნიშნებს, მომხდარი ფაქტის ადგილსა და დროს ახსნის, აღწერს. მეტყველების ეს ფორმა განსხვავდება უბრალო მონათხრობისაგან იმით, რომ ვერ დაუშვებს შინაარსის გადმოცემის უნებლიე ხერხებს. ახლა განსაზღვრული თანმიმდევრობაა საჭირო. ეს მეტყველების შედარებით რთული ფორმაა და მისი სრულყოფა შემდგომ კლასებში ხდება;

პირველკლასელთა მეტყველება ასრულებს აგრეთვე დამკვეთე ფუნქციას. იგი შინაგანი მეტყველების სახეობაა და ამ ასაკში ჩანასახის ფორმითაა წარმოდგენილი.

მეორე და მესამე კლასებში იზრდება არა მარტო სიტყვათა მარაგი, არამედ ფაქიზი ხდება სიტყვის მნიშვნელობაც, სიტყვები იხმარება სწორად, ვითარდება გაბმული მეტყველება. ბავშვს ახლა შეუძლია ხანგრძლივად მოუსმინოს სხვას ისე, რომ არ შეაწყვეტინოს საუბარი და არ გაფანტოს საკუთარი ყურადღება.

როგორც აღვნიშნეთ, უმცროსკლასელთა აზროვნება თვალსაჩინო და ხატოვანია. პირველკლასელთან იგი გამოიხატება თავისებურად. ის ყოველთვის ვერ

აცნობიერებს, რომ მასწავლებელი მთელი კლასისათვის მიმართვისას, მასაც მიმართავს კონკრეტულად, ე.ი. აბსტრაქტული მიმართვა ყოველთვის საკუთარი მისამართით არ აღიქმება.

უმცროსკლასელთა მეტყველებაში ადგილი აქვს არასწორ გამოთქმებს – სიტყვა-პარაზიტებს, ვულგარიზმებსა და ფარგონებსაც კი. მასწავლებელმა ყველა ზომა უნდა იხმაროს ამ ნაკლის აღსაკვეთად.

უმცროსკლასელთა მეტყველების განვითარების საქმეში დიდი როლი ენიჭება თავისუფალ თემებზე თხზულებების წერას და სისტემატურ ვარჯიშს გამომეტყველებით კითხვაში.

სასკოლო ცხოვრება ხელს უწყობს წერითი მეტყველების განვითარებას. როგორც აღვნიშნეთ, წერითი მეტყველება მონოლოგიური მეტყველების სახესხაობა და პირველკლასელებთან მისი განვითარება ფიზიკური კონდიციების სისუსტის გამო შეზღუდულია. იმის გამო, რომ წერითი მეტყველების პროცესში თანამოსაუბრესთან უკუკავშირი არაა, იგი სტრუქტურულად უფრო რთულია, ვიდრე – ზეპირი მეტყველება. იგი მოკლებულია უესტებს, მიმიკას და ინტონაციას, რის გამოც უმცროსკლასელთა წერითი მეტყველება უფრო ღარიბია, ვიდრე ზეპირი. წერით მეტყველებაში ნაკლებადაა კავშირები და ნაცვალსახელები, სჭარბობს არსებითი და ზედსართავი სახელები.

მესამეკლასელთა წერით მეტყველებაში სჭარბობს მარტივი გავრცობილი წინადადებები (71%), რთული წინადადებები შეადგენს 29%, ხოლო ზეპირ მეტყველებაში 35%, ამასთანავე ზეპირ მეტყველებაში რთული ქვეწყობილი წინადადებები სჭარბობენ რთულ თანწყობილს, რაც იმის მაჩვენებელია, რომ სინტაქსური კონსტრუქციებით ზეპირი მეტყველება წერითს სჭარბობს. ზეპირ და წერით მეტყველებაში წინადადებათა და სიტყვათა რაოდენობა მეტყველების განვითარების ერთ-ერთი ცენტრალური მაჩვენებელია. მესამე კლასელები წერენ მოკლე წინადადებებით (6-7 სიტყვა), ზეპირ მეტყველებაში კი წინადადებები უფრო გრძელია, ვიდრე – წერითში.

უმცროსკლასელებს უჭირთ წაკითხული ტექსტის გაგება, რაც თავისთავად, რთული ფსიქოლოგიური პროცესია. შინაარსის გაგებას ბევრითი ანალიზი, სინთეზი, ჩქარი კითხვის ჩვევა და რთული სააზროვნო ოპერაციების სათანადო დონეზე განვითარება სჭირდება. ამას ძალიან უწყობს ხელს ზმამაღალი გამომეტყველებითი კითხვა, ამათანავე მოსწავლეები უნდა შეაჩვიოთ ტექსტი შეავსონ ცოცხალი ინტონაციით, რომელიც წაკითხული შინაარსისადმი განცდებსა და ემოციებს გამოიწვევს.

როგორც აღვნიშნეთ, უმცროსი სასკოლო ასაკის მანძილზე ვითარდება მეტყველების ფონეტიკური, გრამატიკული და ლექსიკური მხარეები. პირველკლასელი პრაქტიკულად ყველა ფონემას ფლობს. წერა-კითხვის სწავლება კარგად განვითარებულ ფონემატურ სმენას მოითხოვს, რისთვისაც ფონემათა ფაქიზი ბგერითი ანალიზი და სინთეზია საჭირო.

დაწყებითი სკოლის საფეხურზე, როგორც ენახეთ, ვითარდება მეტყველების გრამატიკული მხარეც. სკოლაში შესვლამდე ბავშვი პრაქტიკულად ფლობს

გრამატიკულ კატეგორიებს, მაგრამ სპეციალურ სწავლებამდე მისთვის სიტყვა საგანგებო შესწავლის საგანს არ წარმოადგენს.

მეტყველების ფონეტიკური და გრამატიკული მხარის სიძნელები ხელს უშლის ლექსიკური მხარის ათვისებას, რაც სიტყვის მნიშვნელობის ათვისებასთანა დაკავშირებული, მეტყველება სიტყვების მექანიკურ დამახსოვრებას კი არ მოითხოვს, არამედ ახალ სიტუაციებში მათ გააზრებულ ხმარებას გულისხმობს. ამიტომ მეტყველების ლექსიკური მხარის განვითარება მნიშვნელოვნად უწყობს ხელს წერა-კითხვის წარმატებით დაუფლებასა და მეტყველების მთავარი, კომუნიკაციური ფუნქციის განვითარებას.

უპროსკლასელთა ბრძოლაში, ემოციები
და ნაბელობითი სჯერო.

გრძობა და ემოცია ეწოდება ადამიანის ფსიქიკურ მდგომარეობას, რომელიც გამოხატავს მის დამოკიდებულებას სხვა ადამიანებთან, საკუთარ თავთან და გარესამყაროს მოვლენებთან.

გრძობა დღის ასვამს ადამიანის ფსიქიკური მოქმედების ყველა მხარეს - შეგრძობას, აღქმას, აზროვნებას, წარმოსახვას, ქცევის ნებისმიერ ფორმას. დადებითი ემოციები მჭიდროდაა დაკავშირებული ორგანიზმის სასიცოცხლო ტონუსის მომატებასთან და მუშაობისუნარიანობის ამაღლებასთან. უარყოფითი ემოციები კი იწვევენ ადამიანის ფსიქიკური აქტივობის დაქვეითებას.

გრძობა და ემოცია არაა ერთი და იგივე. ემოცია არის რომელიმე მოთხოვნის დაკმაყოფილება - დაუკმაყოფილებასთან დაკავშირებული მომენტის მარტივი, უშუალო განცდა. ემოციები ცხოველებსაც გააჩნიათ. ადამიანის ემოციებს კი ატყვია სოციალური ცხოვრების ადგილი, რის საფუძველზედაც იცვლება ემოციის ხასიათი და მისი გამოვლენის ფორმები. √

ემოციასთან შედარებით გრძობა უფრო რთული ბუნების განცდაა. იგი ასახეის უფრო რთული ფორმა და დამახასიათებელია მხოლოდ ადამიანისათვის. გრძობები სოციალურადაა განპირობებული. გრძობა პიროვნებას მიმართავს იმ საგნებისა და მოვლენებისაკენ, რომლებსაც სუბიექტისათვის პირადული ღირებულება გააჩნია. ონტოგენეზში გრძობები უფრო გვიან ჩნდებიან, ვიდრე სიტუაციური ემოციები. გრძობებისა და ემოციების შინაარსია, უპირველეს ყოვლისა, ის საგნები და მოვლენები, რომლებზედაცაა დამოკიდებული პიროვნების ღირებულება, სერიოზული და მნიშვნელოვანი ცხოვრებისეული მომენტების განვითარება. სწორედ ამის გამო აღიქმება ისინი ემოციურად. გრძობები ყალიბდება ემოციური გამოცდილების განზოგადების საფუძველზე.

უფროს სკოლამდელს გარკვეულ ემოციურ გამოცდილებასთან ერთად ემოციური ქცევის განსაზღვრული თავისებურებაც ახასიათებს, რომელიც მის ქცევას ინდივიდუალურ ხასიათს ანიჭებს. √ სკოლაში ბავშვი გარკვეული ემოციური „ქონებით“ შემოიღის. მასწავლებლის ამოცანაა ზუსტად დაინახოს მისი ემოციური გამოცდილების ტენდენციები და სადამზრდელი მიდგომის ის ზერხი გამოიხატოს, რომელიც ამ შემთხვევაში იქნება ნაყოფიერი. √

გრძობა არის განცდა, რომელშიც ასახულია ბავშვის დამოკიდებულება ადამიანთა და გარესამყაროს მოვლენების მიმართ. ბავშვის გრძობებისა და ემოციების განვითარება რამდენიმე ფაქტორთანაა დაკავშირებული (ასაკის მატება, სოციალური გარემოსა და აღზრდის გავლენა). √ ბავშვის ემოციური განვითარების ეტაპები გვიჩვენებს თუ რა სპეციფიკური თავისებურებებით ხასიათდება ამ მიმართულებით თითოეული ასაკი და მოცემული ასაკის რომელი ემოციური მხარეა აღზრდისათვის სენზიტიური. √ მასწავლებელმა და აღმზრდელმა ყოველ ასაკობრივ საფეხურზე უნდა იპოვოს ემოციური ცხოვრების არა მარტო ის

შპარეები, რომლებიც წარმატებით ექვემდებარებიან სააღმზრდლო ღონისძიებებს, არამედ ის კონკრეტული ხერხები და საშუალებებიც, რომლებიც გრძობების და ემოციების მიზანმიმართულ ფორმირებაზე მიგვიყვანს. ემოციური ქცევის ასაკობრივი დინამიკის ცოდნის გარეშე ამ მიმართულებით მუშაობაში მასწავლებელი შეცდომებს თავს ვერ დააღწევს.

პირველკლასელი, ისევე როგორც სკოლამდელი ასაკის ბავშვი, მკვეთრად რეაგირებს ყოველგვარ ზემოქმედებაზე. თეატრალური სექტაკლი, ზღაპრები, ნებისმიერი შევადრებაში წაგების ან მოგების წყენა და სიხარული, ამხანაგებთან წაჩხუბება და ა.შ. ამ ასაკის ბავშვებში აშკარად გამოხატულ ემოციურ რეაქციებს იწვევს. ამასთანავე მკვეთრად იცვლება ბავშვის მიმიკა და მთელი საერთო ემოციური მდგომარეობა. სკოლამდელთან შედარებით უმცროსკლასელის ქცევაში არის ახალი თავისებურება. იგი ახლა თავის ემოციებს (წყენა, გაღიზიანება, შური და ა.შ.) შედარებით უფრო შეკავებულად გამოხატავს, განსაკუთრებით მაშინ, როცა ის თანატოლებში იმყოფება. ბავშვს ჩანასახის სახით უჩნდება საკუთარი გრძობებისა და ემოციების მართვის უნარი, რომელიც წლიდან წლამდე ვითარდება.

✓ უმცროსკლასელი ძალიან ემოციურია, მისი გრძობები და ემოციები, უპირველეს ყოვლისა, გამოიწვევა იმით, რაც ახალია, მოულოდნელია, სასიხარულოა, საინტერესოა. სურვილებისა და, საერთოდ მეტყველებაში ამ ასაკის ბავშვები ხშირად გამოხატავენ გარესამყაროს საგნებთან და მოვლენებთან თავიანთ დამოკიდებულებას: „მინდა“, „არ მინდა“, „გამებარდა“, „მეწყინა“ და.შ. პატარა წყენაც კი უმცროსკლასელის შედარებით მყარ ამხანაგურ დამოკიდებულებას არღვევს. ✓

უმცროსკლასელი უკმაყოფილებას, ბრაზს, რისხვას და ა.შ. არა მხოლოდ მოტორულ ფორმაში ავლენს (ჩხუბი), არამედ სიტყვიერშიდაც (უხეშობს, სხვებს აბრაზებს). უმცროსკლასელთა ერთ-ერთი თავისებურებაა აგრეთვე შთაბეჭდილებათა ინტენსიურობა/როგორც აღნიშნეთ, ისინი მკვეთრად რეაგირებენ ყოველგვარ ახალზე, მოულოდნელზე, ნათელზე. მონოტონური, მოსაწყენი მეცადინეობები მკვეთრად ანელებენ შემეცნებით ინტერესებს, იწვევენ უარყოფით ემოციებს, საბოლოო ანგარიშით, სწალისადმი უარყოფით დამოკიდებულებას.

სკოლაში შესვლით ბავშვის ცხოვრებისეული პოზიცია იცვლება. ახლა იგი მოსწავლეა და მისი ქცევის ძირითადი ფორმა სწავლაა, რომელიც ქცევის რთული, ძნელი და მეტად თავისებური ფორმაა. ცხოვრების ეს ახალი გარემოება ბავშვებში ისეთ გაცნდებსა და გრძობებს აღძრავს, როგორიც მათ ჯერ არ განუცდიათ. უსწავლის ცხოვრებაში შემოდის მასწავლებელი, რომელიც მისთვის უმაღლესი ავტორიტეტი ხდება და ბავშვის ცნობიერებაში უმაღლეს ადგილს იკავებს. ამიტომ მასწავლებლის ყოველ შეფასებას, წახალისებას, შექებას, წაქეზებას და გაკიცხვას ბავშვის გრძობებისა და ემოციების შესაბამისი მიმართულებით განვითარების საქმეში გადაწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. მასწავლების პროცესში მასწავლებლისადმი, ასეთი უსიტყვო ავტორიტეტული ფიგურისადმი, დამოკიდებულება უმცროსკლასელებში განცდათა რთულ კომპლექსს ბადებს. ესაა შექების სიხარული, წარუმატებლობის წყენა, დეუვა, შიში და საკუთარ თავში დაურწმუნებლობის გრძობა. ბევრი განცდაა დაკავშირებული მასწავლო

პროცესში კონკრეტულ ამოცანების შესრულებასთან, საინტერესო ან უინტერესო მოთხოვნების და ზღაპრების მოსამენასთან, სახალისო თუ უხალისო ამოცანების ამოხსნასთან.

უმცროსკლასელთა გრძნობები და ემოციები მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ აგრეთვე მათი შეგუენებითი პროცესების: აღქმის, მეხსიერების, ყურადღების, აზროვნების, წარმოსახვის მიმდინარეობაზეც. ემოციები თანდათანობით ქცევის მოტივებად იქცევიან. გრძნობა, როგორც ქცევის მოტივი, სკოლამდელეთან შედარებით უმცროსკლასელთა ცხოვრებაში დიდ ადგილს იჭერს. ბრაზის განცდა იწვევს აგრესიას იმის მიმართ, ვისგანაც ეს ემოცია მოდის, მაგრამ ამ ასაკის ბავშვებში ჩნუბი იწვეება მაშინ, როცა განცდა მიადწევს ისეთ დონეს, როცა შემაკავებელ მომენტებს ყურადღება უკვე აღარ ექცევა.

ბავშვის სკოლაში შესვლა დაკავშირებულია როგორც დადებით, ასევე უარყოფით რეაქციებთან. დადებითი რეაქციებია: ახალი ჩანთისა და ფორმის შექმნის სიხარული, სერიოზული საქმის – სწავლის დაწყება. უარყოფითია – შიში ახლის, უცნობი გარემოს მიმართ. სასკოლო ცხოვრების დაწყებისათვის ფსიქოლოგიური მზადობის პრობლემის დამუშავებისათვის აუცილებელია ბავშვის სკოლისათვის ემოციური მზადობის გათვალისწინებაც. დადებითი განცდების საფუძველზე წარმოქმნილი ქცევის მოტივები უმცროსკლასელებთან ლეზულობენ უფრო მყარ, ქმედით ხასიათს და განსხვავებულ ფორმებში ვლინდებიან. ასეთი განცდებია: თანაგრძნობა, სიბრალული, მხარდაჭერა და ა.შ.

სასწავლო-სააღმზრდელო პროცესი მოქმედებს უმცროსკლასელთა გრძნობებზე და განსაზღვრავს მათ. მოსწავლეს სკოლაში უჩნდება ახალი ვალდებულებები. მისი ქცევის ყოველგვარი შედეგი ფასდება, რაც მათში სიამოვნების ან უსიამოვნების განცდას იწვევს. სიამოვნებისა და კმაყოფილების დადებითი განცდა სასწავლო ქცევის აქტიური აღმძვრელი და წყაროა. ასახელებენ რა უმცროსკლასელთა გრძნობებსა და ემოციებს, მასწავლებლები ხანდახან აღნიშნავენ მოსწავლეთა მხრივ სწავლის მიმართ გულგრილ დამოკიდებულებას, როცა შეფასება მათში არანაირ განცდებს არ იწვევს. ეს საგანგაშო მდგომარეობაა. ^{სმ} ასაკში გრძნობებისა და ემოციების ინდიფერენტულობა ბავშვის პიროვნებაში რალაც გადახრის მაჩვენებელია. ✓

✓ უმცროს სასკოლო ასაკში ემოციათა გამოშწვევ სიტუაციებსა და მათ გამოვლინებებში მკვეთრად იზრდება სოციალური მომენტები. ახლა ემოციის ძირითად გამოშწვევად იქცევა სოციალური ურთიერთობა და მასთან დაკავშირებული მარცხი ან წარმატება. თვით ემოციების მიმდინარეობა კონტროლირებული ხდება სოციალური ნორმებით. უმცროს სასკოლო ასაკში ხშირად აღინიშნება აფექტური მოვლენები (სიხარულისაგან ხტუნვა და ა.შ.). ბავშვის ემოციები ხშირად იცვლება და თანდათანობით ხასიათის თავისებურებად ყალიბდება. ყოველგვარი აფექტი უნდა განვიხილოთ როგორც საზოგადოებაში მიღებულ ნორმის დარღვევა. ბავშვმა უნდა ისწავლოს ემოციური რეაქციებისადმი კონტროლის განწვევა ისე, რომ ეს რეაქციები ჩართული იყოს სიტუაციის მიმართ მიზანშეწონილ, ადეკვატურ ქცევებში.

დროთა განმავლობაში უმცროსკლასელი იწყებს სასწავლო საგნების სიმპატია-
ანტიპათიის მიხედვით დიფერენცირებას., იმ საგნის გაკეთილები, რომელთა
მიმართ მას უარყოფითი ემოციები აქვს, იწყებს ცივ, გულგრილ დამოკიდებულებას,
რაც საბოლოო ანგარიშით უარყოფითი დამოკიდებულების საფუძველი ხდება.

უმცროსკლასელთა გრძნობებისა და ემოციების ერთ-ერთი თავისებურება
არის გაცნობიერება და შეკავება, თუქცა ეს მდგომარეობა ძალიან არ უნდა
გადავაჭარბოთ. ამ ასაკში მისი ჩანასახოვანი ფორმები არსებობს და სრულყოფამდე
გრძელი ვზა გასავლელი. პირველ და მეორეკლასელთა ემოციურ ტონუსში
ცხოველმყოფელი განწყობილებები სჭარბობს. ისინი თამაშშიც და სწავლის
პროცესშიც მზიარულები და ხალისიანნი არიან. ეს უმცროსკლასელთა ემოციური
ცხოვრების ასაკობრივი ნორმაა. ასაკის წინსვლასთან და ნებისყოფის უფრო
მაღალი ფორმების ჩასახვასთან ერთად ბავშვები თანდათან ეჩვევიან, იმპულსების
მოთოკვას, გრძნობების შეკავებას და საერთოდ ემოციების მართვას და რეგულაციას.

უმცროს სასკოლო ასაკში არა მარტო მოტივთა, მოთხოვნილებათა და
ღირებულებათა იერარქია ჩნდება, არამედ გრძნობათა იერარქიაც ისახება.
მასწავლებლის შექებით გამოწვეული საისამოვნო გრძნობა სათამაშოს ან
ტებილეულის მიღებით გამოწვეულ სასიამოვნო გრძნობას სჭარბობს. გრძნობათა
სწორი იერარქიის შექმნა გრძნობათა აღზრდის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი
ამოცანაა ამ ასაკში.

როგორც აღვნიშნეთ დადებითი ან უარყოფითი შეფასებების დროს ჩნდება
შესაბამისი ემოციებიც, რომლებიც შემდგომ გადადიან სიხარულში ან წყენაში,
რაც თავის მხრივ ხელს უწყობს სასწავლო ენერჯის ზრდას ან შესუსტებას.
უმცროსკლასელთათვის ქვეყის უმაღლესი შეფასება მასწავლებელთა და მშობელთა
შექება და მოწონება. (ასაკის წინსვლასთან ერთად ამ მიმართულებით თანდათან
უგრო მეტ მნიშვნელობას იძენს თანატოლთა აზრი. სკოლამდელელებთან შედარებით
უმცროსკლასელები წყენას განსხვავებულად განიცდიან. სკოლამდელეები წყენას
განიციდიან მაშინ, როცა ვერ ღებულობენ იმ საგნებსა და ნივთებს, რომლებიც მათ
მოსწონთ (ან ვერ ღებულობენ იმ მომენტში, როცა მათ სჭირდებათ.)
უმცროსკლასელებს კი სწყინთ მაშინ, როცა მათ არ ანდობენ განსაზღვრულ
დავებებს ან საქმეს (მაღაზიაში წასვლა, ოთახის დალაგება, გარეცხვა და ა.შ.).

უმცროსკლასელთა ქვეყის ძირითადი ფორმა სწავლაა, მაგრამ თამაშის როლი
და ადგილი მის ცხოვრებაში ჯერ-ჯერობით კიდევ დიდია ამიტომ მისი ემოციური
ცხოვრება თამაშშიც ვლინდება. თამაშის კოლექტიური ფორმების დროს ბავშვებს
უყალიბდებათ ისეთი თვისებები როგორიცაა კოლექტივიზმის, ამხანაგობის,
პასუხისმგებლობის და სხვა გრძნობა. სწავლა, თამაში და ფსიქო-ფიზიკური
ძალების შესაფერისი შრომა უმცროსკლასელთა გრძნობებისა და ემოციების
წყაროა.

უმცროსკლასელთა გრძნობებისა და ემოციების ერთ-ერთი ძლიერი წყაროა
აგრეთვე თანატოლთა საკლასო კოლექტივი, რომელთაგანც ბავშვს მრავალი
კავშირი აქვს. კლასში არის საყვარელი და იზოლირებული, გაიყვლი ბავშვებიც

სწავლების პროცესი, სასწავლო წარმატება და წარუმატებლობა, თანატოლებთან და უფროსებთან ამ კავშირების ხასიათი ქმნიან უმცროსკლასელთა თვითშეფასების საფუძვლებს. თვითშეფასება, როგორც ცნობიერების მყარი აქტი, გარადამავალ ასაკში ვითარდება, მაგრამ მისი ცალკეული კომპონენტების ჩამოყალიბება დაწყებითი სკოლის ზედა კლასებში იწყება. მაღალი ან დაბალი თვითშეფასება უმცროსკლასელებში ბაღებს საკუთარ ძალებში დარწმუნებულობის ან დაურწმუნებლობის, შფოთვის და უკმარობის, შურისა და წყენის გრძობებს, ხანგრძლივ უარყოფით თვითგრძობებს. წმ ასაკის ბავშვებს არა აქვთ სრულყოფილი კოლექტივიზმის გრძობა (ეს გვიან ჩნდება), მაგრამ კლასში მდგომარეობას ისინი ძალიან განიცდიან. მათ ძალიან ახარებთ თანატოლთა აღიარება, რომელიც უკერძოდ დადებით ემოციებს ბაღებს.

უმცროსკლასელთა გრძობათა სამყაროში დიდ ადგილს იჭერს ოჯახი, მშობლებთან ურთიერთობა. თუ ბავშვი სახლში უფროსების ფაქიზ, აღერსიან დამოკიდებულებას გრძობს, მას დადებითი ემოციები უყალიბდება, ხოლო თუ მშობლები ზედმეტად მკაცრნი არიან ან საერთოდ არ აინტერესებთ ბავშვის გრძობები და ემოციები, ეს მდგომარეობა ბავშვებში მძიმე ემოციურ დაძაბულობას და შფოთვის რეაქციებს იწვევს. ✓

უმცროსკლასელის გრძობებზე, როგორც ადვინშნით, სპეციფიკურ გავლენას ახდენს სასწავლო საქმიანობა. რა თქმა უნდა, ყველა ის გრძობა და ემოცია, რომლის მარაგითაც იგი სკოლაში მოვიდა, შენარჩუნებულია და ვითარდება. მაგრამ ახლა ბავშვის სოციალური არე სკოლაშეღწეულთან შედარებით ძალიან ფართოა და მასწავლებელთან და თანატოლებთან ახალი ურთიერთობები მის გრძობებს ახალ მიმართულებას აძლევს. ახლა ბავშვის ურთიერთობა გარესამყაროს საგნებთან და მოვლენებთან შემეცნებით-ემოციურია.

წმ ასაკში მეტად მნიშვნელოვანია სხვა ადამიანებისადმი თანაგრძობის უნარის განვითარება, რასაც საფუძველი ეყრება თანატოლებთან და უფროსებთან აქტიური ურთიერთობით. ასეთი გრძობები უკვე სოციალური ხასიათისაა. თანაგრძობის განცდას დინამიკური ხასიათი აქვს და ბავშვი უკვე, შეძლებისდაგვარად, ცდილობს პრაქტიკული დახმარება გაუწიოს იმას, ვისაც იგი თანაუგრძობს. ეს შეიძლება იყოს მკორ მატერიალური (ტკბილეული, ბურთი, წიგნი, გელოსიპედი) ან მორალური დახმარების მარტივი ფორმები. უმცროსკლასელებს უკვე შეუძლიათ სხვა ადამიანის უბედურებით ან ბედნიერებით გამოწვეული სიბრალულის განცდა. მათ უკვე ახარებთ თანაკლასელთა წარმატებები და სვედას გვრის მათი წარუმატებლობა და მარცხი. ✓

უმცროს სასკოლო ასაკში ბავშვის ფსიქიკა განვითარების თვისობრივად ახალ მდგომარეობაში იმყოფება: ყალიბდება მსოფლმხედველობრივი ცოდნა, ინტელექტი, ხდება გააზრებული სოციალური გამოცდილების შექმნა და იწყება ბავშვის შეგნებული ცხოვრების ეტაპი. ბავშვის განვითარების ეს პერიოდი გამოირჩევა არსებითი ნიშნით - ესაა მორალური, ესთეტიკური და ინტელექტუალური გრძობების ჩამოყალიბების დასაწყისი. ბავშვი ახლა იწყებს ზნეობრივი საქციელის, სიხარულის, მშენიერების განცდას, ლამაზი საგნებისა და

მოვლენებისაგან საიმპონების გრძობის მიღებას. ზნობრივი ქცევები იხსება და ვითარდება ადამიანურ ურთიერთობებში. მათი ფორმირება ხდება როგორც სტიქიურად (უფროსების წაძაბით), ასევე შეგნებულად, სწავლა-აღზრდის, თამაშისა და შრომის პროცესებში. ზნობრივი გრძობის ზოგიერთი სახე (სირცხვილი, თანაგრძობა, სიბრალული) ჩანასახის სახით ბავშვებს სკოლამდელ ასაკში უვითარდებათ. სკოლაში შესვლით კი გრძობათა ამ სახის ინტენსიური განვითარება იწყება.

✓სინდისის გრძობის ფორმირება ჯერ კიდევ სკოლამდელბთან იწყება. უმცროსკლასელებთან სინდისის გრძობის განვითარება დადებითი და უარყოფითი საქციელების მექანიკურ ჩამოთვლაზე დაიფანება, ხოლო გარდამავალ და, განსაკუთრებით უფროს სასკოლო ასაკში პიროვნების ინტელექტუალური და ემოციური განვითარების შესაბამის დონეს აღწევს.

მასწავლებლებსა და აღზრდელებს ყოველთვის უნდა ახსოვდეთ, რომ თუ უმცროსი სასკოლო ასაკი ზნობრივი გრძობების ინტენსიური განვითარების ასაკია, შეიძლება აგრეთვე განვითარდეს ასოციალური გრძობებიც. ამიტომ მთელი გულისყური მაღალი დადებითი მორალური გრძობების აღზრდის მიმართულებით უნდა იყოს მიმართული და თითოეული უზნეო საქციელი ფართო მსჯელობის საგანი უნდა გახდეს. ✓

ესთეტიკური აღზრდის საწყისი საფუძველი ბუნებაა. უმცროსკლასელის ესთეტიკური აღქმისათვის დამახასიათებელია ერთგვარი გულუბრყვილო ობიექტივიზმი. გარესამყაროს სილამაზე და სიმშვენიერე ბავშვის ემოციებს ჯერჯერობით ვერ ექსოვება და ცხოველ გრძობებს არ იწყებს. სკოლაში სწავლის როლი ამ თვალსაზრისით განუზომელია. მასწავლებელმა ბავშვს არა მარტო მშვენიერების დანახვა, არამედ მისი ნახტში ან მუსიკალურ რიტმში გამოსახვა უნდა ასწავლოს. სწავლების პროცესში უმცროსკლასელებს თანდათან უმუშავდებათ მუსიკის მოსმენის ესთეტიკური განცდის უნარი, ბუნების ლამაზი მოვლენები უკვე სიხარულსა და აღტაცებას იწყებს. ამ ასაკის მოსწავლეებში მხატვრული ნაწარმოების შინაარსი უფრო ბეტ ემოციას იწყებს, ვიდრე ფერმწერის ან შემოქმედის ოსტატობა.

ესთეტიკური გრძობის აღზრდის ერთ-ერთი მხარეა აგრეთვე შრომა. შრომა თვითონაა ესთეტიკური ფუნოშენი, რომელსაც ბავშვები გვიან აღმოაჩენენ. უმცროსკლასელს კი უნდა დაეანახოთ, რომ ადამიანის შრომას ბუნების სილამაზის უფრო სრულყოფა შეუძლია, რომ სამრეწველო ნაწარმის ესთეტიკური მხარე ხშირად მისი ზარისხის საზომი და მაჩვენებელია. უმცროსკლასელები უნდა მიეჩვიონ, რომ მათ ყველაფერი აკეთონ მშვენიერების კანონებით (სათამაშო, ფრინველის გალა, წერა, კითხვა, ყვავილების გვირგვინი და ა.შ.)

ინტელექტუალურ გრძობებს მიეკუთვნება ცოდნისმოფვარეობა, ცნობისმოფვარეობა, გაკვირება, ვკვი, მარჯვედ ამოხსნილი ამოცანით გამოწვეული კმაყოფილება, საიმპონება ან მარცხი და წარუმატებლობა. ინტელექტუალური გრძობის განვითარებას მრავალი ფაქტორი იწყებს, მაგრამ ცენტრალური სწავლა-აღზრდაა. შებეცების პროცესში აღმოცენებული ემოციები აძლიერებენ შებეცებით

მოთხოვნალებს, ხოლო შემცენება თავის მხრივ ბაღებს და ავითარებს ინტელექტუალურ გრძობებს. ამიტომა, რომ ბავშვის ცოდნის მოყვარებას ხელშეწყობა სჭირდება. სკოლა ბავშვს არა მარტო ცოდნას აძლევს, არამედ სამყაროს შემცენების მეთოდს ასწავლის. პირველკლასელი სკოლის ზღურბლის გადალახვას მოუთმენლად ელის. მას ყველაფერა აინტერესებს: პირველი წაკითხული და დაწერილი ასო-ბგერა, რიცხვები, აშანაგები, მასწავლებელი. ბავშვებს უწინდებთ დადებითი ემოციები. დღევანდელ დაწვებით სკოლებში დიდი მნიშვნელობა ენიჭება შემცენებით ამოცანებს, შეიქმნა სწავლების პრობლემური მეთოდები, გააკეთილზე მოსწავლეთა ინტელექტის მაღალ დონეზე ამოქმედებისათვის ყველა პირობა შექმნილი, რის შედეგადაც ჩქარდება ინტელექტუალური გრძობებიც. ცნობილია, რომ მოსწავლეთა ინტელექტუალური გრძობების გარნვითარებას ხელს უწყობს არა მარტო მეცნიერება, საგნის შინაარსი, არამედ გამოჩენილ მეცნიერთა პაულარული ბიოგრაფიები, მეცნიერულ კანონთა და კანონზომიერებათა აღმოჩენის ხალისიანი ისტორიები. ინტელექტუალური გრძობები თანდათანობით მოთხოვნილებად იქცევა.

მასწავლებლებსა და მშობლებს ყოველთვის უნდა ახსოვდეთ, რომ მოსწავლე არა მარტო აღზრდის ობიექტი, არამედ აღზრდის აქტიული სუბიექტიცაა. მას შეძლებისდაგვარად შეუძლია საკუთარი თავის თვითაღზრდაც. მას აქვს საკუთარი მოთხოვნილებები, ინტერესები, მისწრაფებები და სურვილები, რომელთა იგნორირებამ უფროსების მხრიდან უმცროსკლასელებში შეიძლება გამოიწვიოს წყენა, წინააღმდეგობა და ნეგატივიზმი. უნდა გვახსოვდეს აგრეთვე ე.წ. დროებითი ემოციური მდგომარეობების შესახებაც. მაგალითად, დაღლა იწვევს უმცროსკლასელთა აგზნებულობას, დაძაბულობას, რაც მათ რეაქციების ხასიათზე აისახება. ბავშვი ხდება კაპრიზული, ცდილობს არ შეასრულოს ის დავალებები, რომელთაც ადრე ხალისით ასრულებდა. ასეთი დროებითი ემოციური მდგომარეობები აღინიშნება რაიმე მარცხისა და წარუმატებლობის (ორიანის მიღება, უხეში გაკიცხვა წაგება ფეხბურთში და ა.შ.) შემხთვევაში. ასეთ დროს არავითარ შემთხვევაში არ უნდა გამოვიყენოთ გაკიცხვის არც ერთი ფორმა. უნდა მივალწიოთ ბავშვების ფსიქოლოგიურ განმუხტვას, სასიამოვნო შინაარსზე გადავრთვას ანდა სულაც არ მივაქციოთ არავითარი ყურადღება. იგი თანდათან თვითონ გამოვა ამ მდგომარეობიდან. ემოციური გამოვლენის შეზღუდვამ შეიძლება განცდა გააღრმავოს და იგი ხანგრძლივ დაძაბულობად გადააქციოს, რის შედეგადაც ემოცია შეიძლება შეუფერებელ სიტუაციაში გამოვლინდეს. ამიტომ მოსწავლეთა ემოციური აღზრდის კონკრეტულ ამოცანას ისეთი გზების მონახვა წარმოადგენს, რომელთა საშუალებითაც ემოციური დაძაბულობის განმუხტვა მოხდება.

უმცროსკლასელთა ემოციური სფეროს სათანადო ორგანიზაციით, ემოციური გამოვლილების გაფართოებით და საჭირო მიმართულების ფორმირებით ბავშვის მთელი პიროვნების აღზრდა ხდება. ემოციური სფეროს აღზრდის მიმართულებით მასწავლებლის მუშაობის მთელი ხელოვნება იმაში მდგომარეობს, რომ უმცროსკლასელმა შესაბამისი თვითაღზრდა მასწავლებლის პროგრამით განახორციელოს ისე, რომ იგი დარწმუნებული იყოს იმაში, რომ ეს პროცესი

მისი პირადი პროგრამით მიმდინარეობს და საკუთარ მოთხოვნებს, ინტერესებს, გრძნობებსა და ემოციებს პასუხობს.

უმცროსკლასელის ნებისყოფა. ნეისყოფა არის ადამიანის მიერ საკუთარი ქცევის შეგნებული მართვა და რეგულაცია, რომელიც მიზანმიმართული ქცევის აქტების განხორციელების დროს შინაგანი და გარეგანი დაბრკოლებების დაძლევა და გადალახვაში გამოიხატება. ნებისყოფა ვლინდება პიროვნების სოციალურ აქტივობაში, მის სასწავლო, შრომით და საზოგადოებრივ საქმიანობაში. სასწავლო ქცევაში ნებისყოფის მოქმედების ასაკობრივი ღონამძიკისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მისი კანონზომიერებებისა და თავისებურებების შესწავლას დაწყებითი სკოლის ასაკში.

უმცროსკლასელის ნებისყოფის აღზრდის ძირითად ფაქტორია სწავლება და აღზრდა. ნებელობითი პროცესები ბავშვს უვალბდება და უვითარდება შექცნებით და ემოციურ პროცესებთან ერთად. შექცნითი ცხოვრებისეული გამოცდილება ბავშვს საშუალებას აძლევს თავის ქცევის ზოგიერთი შედეგი განჭვრიტოს და შეგნებულად შეაკავოს ის მოქმედებები, რომლებიც შედეგის მიღწევაში ხელს უშლიან. უფროსების მითითებით ბავშვს მცირე ხნით შეუძლია თავშეკავება, ზოგიერთი არასასურველი მოქმედების შესრულება გასეირნების ან სასაამოვნოს შეპირების შემდეგ, რაც ნებისყოფის გამოვლენის უმარტივესი ფორმაა. სკოლაშდელ ასაკში შეგნებული ნებელობითი ქცევის ჩანასახოვანი ფორმები ყალბდება. ამ ასაკში ბავშვებს უფროსების დახმარების გარეშე მცირე დაბრკოლებების გადალახვა არ შეუძლიათ.

თანამედროვე ნებისყოფის ფსიქოლოგიის მიხედვით პიროვნების ნებისყოფასა და მისი ნერეული სისტემის ტიპოლოგიურ თავისებურებებს შორის არის გარკვეული კავშირი, ძლიერი ნერეული სისტემა ნებელობის განვითარების საქმეში ხელსაყრელი ბუნებრივი საფუძველია. სუსტი ნერეული სისტემის ტიპს უძნელდება წინააღდეგობების გადალახვა და შეკავებითი პროცესების წარმოება. მოუხედავად ამისა პატარა მოსწავლის ნებისყოფის ჩამოყალიბებაში განშსაზღვრული ფაქტორი სწავლება და აღზრდაა. სკოლაში შესვლასთან დაკავშირებით ბავშვის ქცევის სფერო ძალიან ფართოვდება. განსაზღვრული რეჟიმის, სასწავლო, შრომითი დავალებებისა და ურფოსების მოთხოვნათა შესრულება თანდათანობით ზრდის მოსწავლეებში თავშეკავებას, დისციპლინას, ორგანიზებულობას, დამოუკიდებლობას და ნებისყოფის სხვა თვისებებს.

სასწავლო-სააღმზრდელო ზემოქმედებას დადებითი ეფექტის მოცემა მანამ არ შეუძლია, სანამ ბავშვი ვერ ფლობს საკუთარ თავს, სანამ რეჟიმული სიტუაციისადმი შეგუებასა და მორჩილებას ვერ ახერხებს. ეს კი, თავისთავად, ბავშვის ნებისყოფის განვითარების გარკვეულ დონეს გულისხმობს, რეჟიმისადმი დაქვემდებარების ეს პროცესი ბავშვის ნებისყოფის შემდგომი განვითარების სტიმულია. უმცროსკლასელმა რომ სასკოლო ცხოვრებისადმი შეგუება და დამორჩილება შეძლოს, მან ბევრი აქტუალური მოთხოვნის იმპულსი უნდა შეაკავოს და საკუთარი ფსიქო-ფიზიკური ძალების ორგანიზაცია უნდა მოახდინოს. სკოლაშდელი ასაკის ბავშვის ამ თვალსაზრისით თავისუფალია. მას თავისი

სურვილების, გრძობების და შიშობების უშუალოდ გამოხატვა შეუძლია. იგი ხშირად საკუთარი თავისადმი კონტროლის გაწვევის გარეშე იქცევა. სასკოლო გარემო კი სულ სხვანაირი სინამდვილეა. იგი ავალდებულებს ბავშვს გააკეთილზე მოსწავლის პოზიში იჯდეს, თავი შეიკავოს უადგილო სიტყვიერი და მოტორული რეაქციებისაგან, ზედმეტი გრძობებისა და ემოციების გამოვლენის გარეშე ყურადღებით უსმინოს მასწავლებელსა და ამხანაგებს. ახლა მან საკუთარი შემეცნებითი ფსიქიკური პროცესების – აქტის, მესხიერების, ყურადღების, აზროვნების, წარმოსახვის ნებისმიერად ამოქმედება, სასწავლო-სააღმზრდელო ამოცანების შესატყვისად წარმართვა უნდა შეძლოს.

სასწავლო-სააღმზრდელო ამოცანები ზოგჯერ წინააღმდეგობაში მოდის უმცროსკლასელთა პირად სურვილებთან და მოთხოვნილებებთან, რაც ბავშვს აიძულებს ხშირად შეამოწმოს საკუთარი ქცევა, გარდაქმნას თავისი ფსიქიკური და ფიზიკური ძალები სასკოლო ცხოვრების შესატყვისად. ბავშვი ვერ ისწავლის თუ აქტუალურ, შემთხვევით წამოჭრილ მოთხოვნილებებს გაჰყვება, რადგანაც ეს აქტუალური მოთხოვნილებები, მის ფსიქო-ფიზიკურ ძალებს თავის სამსახურში ჩააყენებს და სწავლა-აღზრდის პროცესს ძალიან შეასუსტებს., აქტუალურ მოთხოვნილებათა იმპულსების დაძლევის და ვალდებულებების მიხედვით საკუთარი ქცევის წარმართვას ბავშვის იმ შემთხვევაში მოახერხებს, თუ მას სათანადო ნებისყოფა აღმოაჩნდება.

ასაკის წინსვლასთან ერთად ნებელობის სფეროში მნიშვნელოვანი ცვლილებები ხდება. ბავშვი სულ უფრო მეტად ახერხებს აქტუალურ მოთხოვნილებათა იმპულსების შეკავებას და იგი საჭიროების მიხედვით იქცევა. სკოლაში შესვლისას, როგორც აღვნიშნეთ, იგი გარკვეულ რეჟიმს უნდა დაემორჩილოს. სკოლის რეჟიმის შესრულება მას თანდათან ორგანიზებულობასა და დისციპლინას აჩვენებს. უმცროსკლასელებს არ შეუძლიათ ხანგრძლივად შეინარჩუნონ მოქმედების დასახული მიზანი, ამიტომ უფროსების დახმარების გარეშე მათ საქმის ბოლომდე მიყვანა უჭირთ. უფროსების კონტროლით კი ბავშვს ერთი და იგივე საქმის შესასრულებლად შედარებით ხანგრძლივი დროით მობილიზება შეუძლია. მაგრამ დარჩება რა მარტო, უფროსების ყურადღების გარეშე, ბავშვი ხშირად ატოვებს დაწყებულ საქმეს.

ნებელობითი თვისებების მხრივ უმცროსკლასელებში შეიმჩნევა სქესობრივი განსხვავებულობაც. გოგონები, როგორც წესი, უფრო თავშეკავებულნი, მომთმენნი არიან, ვიდრე – ბიჭები. ეს განსხვავება გარდამავალ და უფროს სასკოლო ასაკშიც შეიმჩნევა. ამის მიზეზად ფსიქოლოგები ასახელებენ თვითმომსახურების შრომით ჩვევებს, რომელშიც გოგონები პატარა ასაკიდანვე ჩაბმული და რომელიც მათგან მომთმენას, თავშეკავებასა და გარკვეულ ძალისხმევას მოითხოვს. ქცევის ერთ რომელიმე სფეროში ჩამოყალიბებული ნებელობა სხვა სფეროებზეც გადადის.

უმცროსკლასელის ნებისყოფა ჯერ არაა საბოლოოდ ჩამოყალიბებული. მას არ აქვს ნათლად გამოხატული მოტივირებული მიზანსწრაფვა, რომელიც თავისთავად მომავლათანა დაკავშირებული. უმცროსკლასელი ხშირად მოვალეობის გრძობით, ვალდებულებების მიხედვით მოქმედებს, მაგრამ მისი ძირითადი ნებელობითი

აქტივობა უშუალო ემოციებითა და ინტერესებით ხორციელდება. უმცროსკლასელთა ნებელობით აქტივობაში ღიღი როლს თამაშობს გრძნობები, რომლებიც ხშირად ქცევის მოტივებად გვევლინებიან. ამ ასაკში ნებისყოფისა და გრძნობის განვითარება მჭიდრო კავშირში მიმდინარეობს. პირველკლასელის ნებისყოფა ძლიერი შეფერილობით, გამოვლენის სფეროს სიფიწროვით (უშეტესად საინტერესო მოქმედებებში), პერსპექტივის არასაკმარისი გაცნობიერებით, ყოველი მოქმედების უფროსების მიერ შეფასების სურვილით ხასითდება. პირველკლასელთა ნებისყოფის რეგულაციას განსაკუთრებით უშლის ხელს მოქმედების მიზნის არასრული გაცნობიერება. ამ ასაკის ბავშვის ნებისყოფის ერთ-ერთი თავისებურება არის სწრაფი, და ამიტომ ხშირად მოუფიქრებელი, მოქმედების მიზნის დასმა და მისი ხშირი ცვლა.

აღნიშნავენ უმცროსკლასელთა ნებელობითი აქტივობის კავშირს სწავლის ინტერესებთან. იმ ბავშვებში, რომელთაც შესაძინევი სწავლის ინტერესები არ ჰქონდათ, მხოლოდ 20% აღწევს შედარებით მდგრად ნებელობით აქტივობას, მაშინ, როცა ასეთი სიმყარე ახასიათებს სწავლის გარკვეული ინტერესების მქონე ბავშვთა მესამედს. ამის გამო სწავლა, ბავშვების ქცევის ძირითადი ფორმა, უნდა იყოს საინტერესო და მიმზიდველად ორგანიზებული, იწვევდეს დადებით ემოციებს. ყოველივე ეს ბავშვის პიროვნების და მისი ნებისყოფის განვითარების მტკიცე საფუძველია. ნებელობით აქტივობას აქვს რთული ფსიქოლოგიური სტრუქტურა. უმცროს მოსწავლეთა ნებელობითი აქტივობის უშუალო აღმძვრელია გარეგანი ზემოქმედებანი, პიროვნების დამოკიდებულება ამ ზემოქმედებებთან, მოტივაცია და შეგნებული თვითსტიმულაცია.

გარეგანი ზემოქმედების აღმძვრელი ძალა არა მხოლოდ მისი ინტენსივობით განისაზღვრება, არამედ ნებისყოფის სუბიექტის, პიროვნების მასთან დამოკიდებულებით. ეს დამოკიდებულება არის განსაზღვრული ემოცია, რომელიც, როგორც აღვნიშნეთ, ნებისყოფის პროცესის მიმდინარეობაზე გარკვეულ გავლენას ახდენს. დადებითი დამოკიდებულება საბოლოო მიზნის მიღწევის ხელშეწყობი პირობაა. იგი უმცროს მოსწავლეთა ნებელობითი აქტივობის ერთ-ერთი ფსიქოლოგიური კომპონენტია.

ნებისყოფის შემდეგი მნიშვნელოვანი კომპონენტია მოტივაცია. უმცროს მოსწავლეთა ნებელობითი აქტივობა ხშირად მრავალმოტივიანია. ნებელობით აქტივობაში მოტივები ასრულებენ ორ ფუნქციას: ესაა მიმართულებითი და აღმძვრელი ფუნქცია. მოტივის ენერგეტიკულ ძალაზე დიდადაა დამოკიდებული სიძნელეების გადალახვა და საბოლოო მიზნის მიღწევა. ქცევის ყოველი ფორმის თავისებურება მისი მოტივის ხასითზეა დამოკიდებული. თუ ამ მოტივს არ ვიცნობთ, არც მის მიერ განსაზღვრული ქცევის კანონზომიერებანი იქნება ჩვენთვის გასაგები.

ექსპერიმენტულად დადგინილია, რომ მოსწავლეები მაღალ შედეგებს სუსტი მოტივებითაც კი აღწევენ, თუ მოქმედება ძლიერდება შეგნებული თვითსტიმულაციით. ამ გზით ძლიერდება არა მხოლოდ სუსტი, არამედ პიროვნების მაღალმნიშვნელოვანი მოტივებიც. შეგნებული თვითსტიმულაცია არის მოსწავლეთა ნებელობითი აქტივობის შემდეგი კომპონენტი. მოსწავლეები მას იყენებენ სიძნელეებისა და

დაბრკოლებების გადალახვის დროს. როგორც ყოველგვარი მოტივი, ნებელობით აქტივობაში იდეალიც ორ ფუნქციას ასრულებს: ა) ნებელობით აქტივობას განსაზღვრული ნიშნის მიხედვით გარკვეულ მიმართულებას აძლევს და ბ) ნებელობით აქტივობისათვის ენერგეტიკური ძალის მიძევა. უმცროს სასკოლო ასაკში მოსწავლეთა ნებელობით აქტივობაზე იდეალების გავლენა უკერ კიდევ სუსტია, ჩანასახოვან ფორმაშია. ნებელობით აქტივობის ძლიერ აღმძვრელ ძალად იგი გარდამავალ ასაკში გვეკლინება.

ნებელობითი აქტივობის ფსიქოლოგიური სტრუქტურის გაშუქება საშუალებას გვაძლევს უფრო ღრმად გავიგოთ ნებისყოფის ასაკობრივი და ინდივიდუალური თავისებურებები, სასკოლო ასაკში მისი ჩამოყალიბების დინამიკა. მოსწავლეთა ნებელობითი აქტივობის ასაკობრივი და ინდივიდუალური თავისებურებანი ძირითადად ნებელობითი აქტივობისა და მისი ფსიქოლოგიური კომპონენტების განვითარების სტრუქტურით განისაზღვრება.

უმცროსკლასელებს გარეგანი აღძვრის გარეშე არ შეუძლიათ მიზნის ხანგრძლივად დაფიქსირება და მდგრადობის გამოვლენა. თავშეკავება, ორგანიზებული და სხვა ნებელობითი პროცესების წარმოება. ამ ასაკის ბავშვთა ქცევა მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული სიტუაციაზე. ეს დამოკიდებულება განპირობებულია იმით, რომ ამ ასაკის ბავშვს თვითორგანიზაციის სისუსტის გამო არ შეუძლია სიტუაციის გავლენის დაძლევა და მისგან თავის დაღწევა. ამიტომ უმცროსკლასელთა ნებელობითი აქტივობა ძირითადად გარეგანი სტიმულაციის გავლენით ზორციელდება. მოსწავლეთა ნებელობითი აქტივობის სხვა კომპონენტები (მოტივები და შეგნებული თვითსტიმულაცია) უკერ კიდევ არასაკმარისადაა განვითარებული. უმცროსკლასელებზე გარეგანი სტიმულები მოქმედებენ როგორც კანონი, რომელსაც ისინი ვერ გადაუხვევენ. ამიტომ, რომ უმცროსკლასელი სხვისი ნების კარგი შემსრულებელია.

როგორც აღვნიშნეთ, უმცროსკლასელთა ნებელობითი აქტივობა მრავალმოტივიანია. ამ ასაკის ბავშვთა მოტივები სუსტი და არამდგრადია. უმცროსკლასელთა ერთ-ერთი გავრცელებული მოტივია უფროსების მიერ შექმნილის სურვილი, მათი აღიარება მაპოვება. შეგნებული თვითსტიმულაცია, გაცნობიერების დონის თვალსაზრისით, ამ ასაკში ძალზე სუსტია, რის გამოც მას არ აქვს საკმარისი ძალა წინააღმდეგობა გაუწიოს ხელშემშლელ ფაქტორებს, ძლიერ ემოციებს და ა.შ.

უმცროს სასკოლო ასაკში ჩამოყალიბებული ნებისყოფის ზოგიერთი თვისება შემდგომ წლებში (განსაკუთრებით უფროს სასკოლო ასაკში) ხასიათის ნიშნებად იქცევა. ასეთი თვისებებია: დისციპლინიზებულობა, მიზანსწრაფულობა, თავშეკავება, ინიციატივა, დამოუკიდებლობა. ამ თვისებების ფორმირებას ხელს უწყობს მოელი სასწავლო პროცესი.

უმცროსკლასელთა ქცევის ნებელობით რეგულაციაში დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ამოცანები (დავლებები) იყოს ოპტიმალური სირთულის. ეს უზრუნველყოფს წარმატების განცდას, რითაც მიზანს უფრო მისაწვდომს ხდის,

რაც, თავის მხრივ, მის მისაღწევად ბავშვის ძალისხმევას ააქტიურებს. ძალიან ძნელი ამოცანების (დავალებების) მიცემამ შეიძლება უარყოფითი გაცდები და ძალისხმევის გამოვლენაზე უარის თქმა გამოიწვიოს. ძალიან ადვილი დავალებები კი არ უწყობენ ხელს ნებულობის განვითარებას, რადგან მოსწავლეები ძალისხმევისა და მონღობების გარეშე მუშაობას ეჩვევიან.

როგორც ვნახეთ უმცროსკლასელთა ნებისყოფის მუშაობა დიდადა დამოკიდებული მათზე უფროსების ნების გავლენაზე. მაგრამ სასწავლო პროცესის გავლენით, ცნობიერების ღონის ამღლებით, საკუთარი თავისადმი, სხვებისადმი, საკლასო კოლექტივისადმი განსაზღვრული დამოკიდებულების გაჩენით უმცროსკლასელი ამა თუ იმ ნებულობითი აქტის შესრულებას არა მხოლოდ ინსტრუქციის გავლენით ახერხებს, არამედ იმ მოთხოვნილებების, ინტერესებისა და მოტივების შესატყვისად, რომელიც მას ჩამოუყალიბდა. ამასთან დაკავშირებით ხანდახან ოჯახურ და სასკოლო ურთიერთობებში ბავშვები კონფლიქტში ვარდებიან.

იმის გამო, რომ უმცროსკლასელებს თავშეკავება უჭირთ, პირველ ხანებში ისინი წესრიგს არღვევენ. დისციპლინის ეს უნებლიე დარღვევები არ უნდა დაისაჯოს, მაგრამ არც უურაღებოდ შეიძლება მათი დატოვება. სკოლაში შესვლისას ბავშვმა თავი უნდა შეიკავოს გრძობათა გამოვლენისაგან, მოტორული აქტივობისაგან და უადგილო სიტყვიერი რეაქციებისაგან. პირველკლასელი ასე თუ ისე ახერხებს გრძობათა გამოვლენისა და სიტყვიერი რეაქციებისაგან თავის შეკავებას, მაგრამ მოტორული აქტივობისაგან თავის შეკავება მას ძალიან უჭირს. თავშეკავება არის ქცევის იმპულსების შეკავების ერთ-ერთი ძირითადი მხარე. თავშეკავება ხორციელდება მაშინ, როცა მოსწავლე უპირისპირდება აქტუალური მოთხოვნისებების გავლენას და აკავებს მათ.

✓ თავშეკავების ასკობრივი განვითარების ექსპერიმენტული კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ბავშვი სკოლაში თავშეკავების გარკვეული უნარით შემოდის, რის გარეშეც სასკოლო ცხოვრების დასაწყისისათვის მზადყოფნა შეუძლებელია. ხუთი წლის ასაკში თავშეკავება გარკვეულ როლს თამაშობს, მაგრამ მისი ხვედრითი წონა ბავშვის ცხოვრებაში ვერ კიდევ დაბალია. ექვსი წლის ასაკში თავშეკავების უნარი სწრაფად ვითარდება, იზრდება მოტივის მიხედვით თავშეკავების ეფექტი. ხუთი წლის ასაკში კი მოტივები ქცევაზე ვერ ახდენენ გავლენას, მათი გავლენა ძალიან უმნიშვნელოა. სასკოლო ასაკში განსხვავებული მოტივების მოქმედებისას ბავშვები თავშეკავების განსხვავებულ დონეს აღწევენ, რაც იმის ნიშანია, რომ მათ ბავშვისათვის განსხვავებული ღირებულებები აქვთ. თავშეკავების პროცესზე მოტივების ეფექტის ასკობრივი განვითარება დაწყებითი სკოლის ასაკში კლასიდან კლასამდე იზრდება მიზნის განხორციელებისათვის გარკვეული მოქმედებისაგან თავის შეკავების აზრი და მნიშვნელობა. შეკავების პროცესში იგი უშეტესად მოტივებით (მასწავლებლის შექება, შენიშვნებისაგან თავის არიდება) ხელმძღვანელობს. (რ. ქვარცხავა)

✓ უმცროსკლასელთა ნებისყოფის განვითარების ძირითადი ნაკლი მის იმპულსურობაში, კაპრიზულობაში, სიჯიუტეში, ღიდ შთაგონებაში, პასიურობასა და თავის თავში დაურწმუნებლობაში მდგომარეობს. ამ ნაკლთანა დაკავშირებული

უმცროსკლასელთა გაფანტულობა გაკვეთილებზე, მათი ჯიუტობა პირადი ინტერესების დაკმაყოფილებასთანა დაკავშირებული, ბავშვები ჯიუტობას ნაკლად არ თვლიან ან მას უარყოფითად არ აცნობიერებენ. ისინი თვლიან, რომ ჯიუტობა მიზანსწრაფულობის გამოვლენაა. ჯიუტობა ხშირად მოსწავლეებსა და უფროსებს შორის კონფლიქტების მიზეზი ხდება.

სწავლების პროცესში უმცროსკლასელთა ნებისყოფასა და პრეტენზიის დონეს შორის მჭიდრო ურთიერთკავშირი არსებობს. უმცროსკლასელთა უმრავლესობას სწავლების პროცესში აქვთ პრეტენციების საკმაოდ მაღალი დონე, რაც მოწმობს მათთან სასწავლო ქცევის პრესტიჟულობასა და მნიშვნელობას, სიძნელეთა დაძლევის აქტიუობისათვის მზაობას. უმცროსკლასელთა პრეტენზიის დონე მრავალი სუბიექტური და ობიექტური ფაქტორითაა დეტერმინირებული (მოტივები, თავშეკავება, ცოდნა და უნარები, მასწავლებლის პიროვნება, ყოველი კონკრეტულ სიტუაციაში ფორმირებული ჯგუფური ეტალონები).

უმცროსკლასელთა პრეტენზიის დონის ჩამოყალიბება და რეალიზაცია მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მათი ნებისყოფის განვითარების დონეზე. იმ მოსწავლეებს, რომელთა ნებისყოფა შედარებით მაღალი დონით გამოირჩევა, გაცილებით მაღალი და ადეკვატური პრეტენზიის დონე და თვითშეფასება აქვთ, ვიდრე სუსტი ნებისყოფის ბავშვებს, რომელთანაც შეიძინევა მნიშვნელოვანი განსვლა თვითცნობიერებასა და პრეტენზიის დონეს შორის (განსაკუთრებით იმულისურ ბავშვებთან). ნებისყოფიანი მოსწავლეების მოტივთა სტრუქტურაში სჭარბობს კონკრეტული მოტივები, თვითდამკვიდრებისადმი და თვითგამოსახვისადმი სწრაფვა, ამასთანავე მათთვის მნიშვნელოვანია აგრეთვე კლასის კოლექტივის პრეტენზიის დონის ღირებულებითი ორიენტაცია და მოსწავლეთა აზრიც. სუსტი ნებისყოფის მოსწავლეები ადვილად ექცევიან სიტუაციური მოტივების გავლენის ქვეშ. პრეტენზიის და ნებისყოფის მაღალ დონეთა შერწყმა არის მყარი პიროვნული წარმანაქმნი, რომელიც მოსწავლეთა ქცევის აქტიური მოტივის როლს ასრულებს.

6. როგავას მონაცემებით 7-8 წლის ასაკში ბავშვს ვალდებულების შეგნება იმ დონეზე აქვს განვითარებული, რომ მან მისი ძალების შესატყვისი დავალებები და ამოცანები შეასრულოს. ასაკის წინასვლასთან ერთად ბავშვის ნებისყოფა განვითარების ისეთ დონეს აღწევს, რომ სასწავლო მასალის უფრო ძნელ ფორმებში მიწოდება ხდება შესაძლებელი. ამ ასაკში აქტუალურ მოთხოვნილებათა იმულისები ხშირად იბდენად ძლიერია, რომ ისინი ბავშვს ცნობიერებიდან ამოუგდებენ სავალდებულო შესასრულებელ ამოცანას და მის აქტიუობას სხვა მიმართულებას აძლევენ.

7-8 წლის ასაკის ბავშვი არ სვამს კითხვას თუ რატომ უნდა მოიქცეს იგი ასე, რატომ უნდა შეასრულოს ესა თუ ის დავალება. იგი ამას სავალდებულოდ თვლის და უფროსების მიერ მიცემულ დავალებებს უკრიტიკოდ ღებულობს. იგი ვერ ახდენს საკუთარი ქცევის მოტივირებას, მას ჯერჯერობით სავალდებულო ქცევის მორალური საფუძველი არ აინტერესებს.

სასწავლო-სააღმზრდელო ზემოქმედების შედეგად 10-11 წლის ასაკში ვალდებულების ცნობიერება ყალიბდება. ბავშვი უკვე ხედავს, რომ სავალდებულო

ქვევის წესების შეუსრულებლობა ზიანს აყენებს როგორც მის პირად წარმატებებს, ასევე კოლექტივის ინტერესებსაც. 10-11 წლიდან ბავშვის საკმაოდ მყარ თვისებად იქცევა ინიციატივა. ორგანიზებული სასწავლო პროცესის და შრომითი ამოცანების შესრულება ინიციატივის გამოვლენის გარეშე შეუძლებელია, ამ ასაკის ბავშვი მიზნის მიღწევის საშუალებათა შერჩევისა და სიბნელების გადალახვისას ინიციატივას უფრო ავლენს, ვიდრე – მიზნის დასახვის პროცესში. ეს იმიტომ ხდება, რომ მას საკუთარი ძალებით ვერ კიდევ არ შეუძლია სასწავლო და შრომითი ამოცანების დამოუკიდებლად დასახვა.

7-8 წლის ასაკის ბავშვების ნებისყოფას არ აქვს დროში გამძლეობის უნარი. ბავშვის საკუთარ ნებისყოფას ვერ კიდევ ხანგრძლივად ვერ წარმართავს და ხშირად აქტუალურ მოთხოვნილებათა იმპულსებს უთმობს ადგილს. 10-11 წლის ასაკში კი ბავშვები საკმაოდ ხანგრძლივად ანერსებენ ვალდებულებების მიხედვით მოქმედებას. თუ 7-8 წლის ასაკში ნებისყოფის მიზნის მიხედვით მოქმედება ებიზოდური იყო, 10-11 წლის ასაკში იგი სისტემურ, მუდმივ თვისებად იქცევა.

7-8 წლის ბავშვებს აღმზრდელთა და მშობელთა მეთვალყურეობისა და კონტროლის გარეშე უძნელდებთ ვალდებულებების შესრულება, 10-11წლის ასაკში კი ვალდებულების მიხედვით ქვევის აქტები მაშინაც კი ადვილად ხორციელდება, როდესაც მეთვალყურეობა და კონტროლი მოხსნილია.

სახეელისა და წახალისების ღონისძიებათა გამოყენება ყველა ასაკის ბავშვის მიმართ საჭიროა, მაგრამ მისი უმცროს სასკოლო ასაკში გამოყენება განსაკუთრებულ ეფექტს იძლევა. ეს იმიტომ ხდება, რომ ამ ასაკში საკუთარი შინაგანი ძალებისადმი რწმენა მოისუსტებს. როდესაც უმცროსკლასელი ნებისყოფის მოტივისა და მიზნის მიხედვით მოქმედებს, მის ქცევას იწონებენ, დადებითად აფასებენ, ხოლო როცა იგი სასწავლო-სააღმზრდელო რეჟიმის მოთხოვნებს არღვევს, მას კიცხავენ და სჯიან. როცა ემცროსკლასელი ვალდებულების მიხედვით მოქმედებს, აღმზრდელმა და მშობლებმა იგი უნდა შეაქონ, წააქეზონ და წაახალისონ,

ნებისყოფის აღზრდა ნიშნავს ბავშვში იმ უნარის გამოუმუშავებას, რომელიც მას შესაძლებლობას მისცემს შეაკავოს აქტუალური მოთხოვნილების იმპულსები და მისი ქცევა ობიექტური ღირებულების მქონე მიზნის განხორციელებისაკენ წარმართოს. ნებისყოფის აღზრდა ნიშნავს არა მხოლოდ წინააღმდეგობებისა და დაბრკოლებების გადალახვის დაძლევის უნარის გამოუმუშავებას, არამედ ობიექტური ღირებულებებისა და ვალდებულებების უნარის აღზრდას. წინაშეაღი ადგილი ამ ბეორე, შინაარსეულ მხარეს მიეკუთვნება. ნებისყოფის სპეციფიკური ბუნება სწორედ ამ მომენტებში ჩანს, მის მიზანსა და მოტივში ვლინდება.

შესაძლებელია ბავშვს აქონდეს მოვალეობის შესახებ ცოდნა, მაგრამ ქცევაში მისი განხორციელება უჭირდეს. ბავშვებში ვალდებულების შეგნების ჩამოყალიბება და მისი შესრულების ჩვევის შექმნა მეტად რთული საქმეა და იგი ამ მიმართულებით სასწავლო-სააღმზრდელო დაწესებულებათა ხანგრძლივი და სისტემატიური მუშაობის შედეგად მიიღწევა.

სასწავლო-სააღმზრდელო ურთიერთობათა პროცესში ბავშვში თანდათანობით ვითარდება დამოუკიდებელი მუშაობის ჩვევა და ამით საფუძველი ეყრება ნებისყოფის

თვითაღზრდის უნარის ჩამოყალიბებას, რომელიც შემდგომ ასაკებში სრულდება.

უმცროსკლასელთა ნებისყოფა თანდათანობით ვითარდება და სრულყოფილი ხდება. ამ მიმართულებით სასკოლო ცხოვრების მნიშვნელობა განუზომელია. მასწავლებლის მიერ ამ ასაკის მოსწავლეთა ნებისყოფის ფსიქოლოგიური თავისებურებების ცოდნა და მისი აღზრდის მიმართულებით გაწეული მუშაობა მნიშვნელოვან შედეგებს მოიტანს: ვითარდება მოვალეობის გრძნობა, მუშაობა მიზანსწრაფულობა და ნებისმიერი სიძნელეების გადალახვის უნარი.

თახი მერვე

პიროვნების განვითარება უმცროს სასკოლო ასაკში

§1. პიროვნების ცნება

ადამიანი ბიოსოციალური არსებაა, რომელშიც თავმოყრილია ფიზიკური და სულიერი, ბუნებრივი და სოციალური, თანშობილი და შექმნილი თვისებები. როგორც ცოცხალი არსება, ადამიანი არის ინდივიდი, რომელსაც აქვს განსაზღვრული ფიზიკური აღნაგობა, ნერვული სისტემის ტიპი, მაღალგანვითარებული თავის ტვინი და ა.შ. მას გააჩნია ცნობიერება, მეტყველება, შრომის უნარი, გარესამყაროს საგნებისა და მოვლენების შემცნებისა და გარდაქმნის შესაძლებლობა. ამასთანავე ადამიანი არის საზოგადოებრივი არსება. იგი არა მარტო ისტორიულად ჩამოყალიბებული საზოგადოებრივ ურთიერთობათა სისტემის პროდუქტია, არამედ საზოგადოებრივი პროცესის სუბიექტიცაა, აქტიური გარდამქმნელი არსებაა. საზოგადოებაში ცხოვრება, საზოგადოებრივ-სოციალური დამოკიდებულებანი ცვლიან და იმორჩილებენ მის ბიოლოგიურ ორგანიზაციას. სწორედ სოციალური მახასიათებლები აპირობებენ ადამიანის პიროვნებას. სოციალური და ბიოლოგიური ადამიანში არსებობს ერთმანეთთან მჭიდრო კავშირში.

პიროვნება არის ადამიანი, რომელიც განიხილება მხოლოდ როგორც საზოგადოებრივი, სოციალური არსება. როცა ვლაპარაკობთ პიროვნების შესახებ, მხედველობაში არ ვიღებთ ადამიანის ბიოლოგიურ მხარეს.

ფსიქოლოგიაში ადამიანისა და პიროვნების ცნებებთან ერთად იხმარება ინდივიდუალობის ცნებაც. იმის გამო, რომ თითოეული ადამიანის ცხოვრებისეული, სწავლის, აღზრდისა და გამოცდილების შექმნის პირობები თავისებური და განსხვავებულია, არ არსებობს ორი აბსოლიტურად ერთნაირი პიროვნება. ინდივიდუალიზმი არის თითოეული, ცალკეული, კონკრეტული ადამიანი, რომელიც ავლენს მხოლოდ მისთვის დამახასიათებელ განუყოფლობას.

ადამიანი არ იბადება პიროვნებად. ცხოვრებისეული გამოცდილების შექმნის კვალობაზე პიროვნებად იგი შედარებით გვიან ყალიბდება. თვლიან, რომ პიროვნება იბადება ორჯერ. პირველად 2-3 წლის ასაკში, როცა ბავშვი იწყებს პირის ნაცვალსახელის „მე“-ს ხმარებას და უკვე შეუძლია მარტივი ინტროსპექციისა და რეფლექსიის აქტების წარმოება. ამ ასაკში იწყება თვითცნობიერების ჩასახვა. ბავშვი თავის თავს სხვებისაგან გამოყოფს როგორც განსაზღვრული სახელის მატარებელს. საკუთარი სახელი და ნაცვალსახელი „მე“ ერთიანდება განსაზღვრულ ფიზიკურ ტიპში. ბავშვი იწყებს საკუთარი თავის გაიგივებას სახელთან და თავის ფიზიკურ ხატთან.

ამ ასაკში ბავშვს იწყება სქესობრივი მიკუთვნებულობის გრძობის განვითარება, ყალიბდება სქესობრივი იდენტიფიკაცია. ბავშვს უჩნდება საკუთარი თავის დროში განცდის უნარი (წარსულის, აწმყოსა და მომავლის განცდა), რის გამოც იგი უკვე ახლებურად ეკიდება საკუთარ თავს.

დიდი მნიშვნელობა ენიჭება აგრეთვე იმასაც, რომ ამ ასაკში შესაძლებელი ხდება ზოგიერთი მარტივი უფლებებისა და ვალდებულებების შესაფერისი ფორმით განცობიერებაც. პიროვნების მეორე დაბადება ხდება გარდამავალ ასაკში, როცა მოზარდში ვითარდება ნამდვილი შეგნებული პიროვნება, როგორც თვითგანვითარებადი, თვითრეგულირებადი სისტემა, რომელიც ყალიბდება მიზანმიმართული, თვითსრულყოფისა და თვითგანვითარების სუბიექტად. მოზარდი იწყებს ე.წ. „დამოუკიდებლობის მაქსიმალიზმის“ პოზიციის დაკავებას. იგი ახლა საკუთარ პიროვნებას უპირისპირებს გარესამყაროს, რაც ხელს უწყობს საკუთარი „მე“-ს განმტკიცებას და საკუთარი პიროვნების უფრო ღრმა გაცნობიერებას. ამ დროს მოზარდს უვითარდება ისეთი ცენტრალური მახასიათებლები, როგორიცაა თვითცნობიერება, თვითშეფასება, მოწიფულობის გრძნობა და ზნეობრივი იდეალები. პიროვნების მეორე დაბადება დაკავშირებულია მსოფლმხედველობისა და მრწამსის ჩამოყალიბებასთან.

ადამიანი პიროვნებად იქცევა ადამიანურ საზოგადოებაში. ადამიანური ურთიერთობების გარეშე პიროვნება არ არსებობს. თუ ჩვენ წარმოვიდგინოთ უკაცრიელ კუნძულზე მცხოვრებ ადამიანს, რომელსაც არ გააჩნია არავითარი სოციალური საზრუნავი, ის არაა პიროვნება. ადამიანური საზოგადოების გარეშე აზრს კარგავს ყოველივე პიროვნული. ისეთი ადამიანური თვისებები, როგორიცაა სიკეთე, სიაცე, მზრუნველობა, შური, ეჭვი, მოუთმენლობა, პრინციპულობა, უხეშობა და სხვა მრავალი, ვლინდება მხოლოდ ადამიანურ ურთიერთობებში. შეიძლება იქვას, რომ პიროვნება არის ის, რაც „ჩემშია სხვისთვის“ და „სხვაშია“ ჩემთვის. ყველაფერი, რაც პიროვნების ღრმა შრეებშია დალექილი, წარმოშობილია ადამიანურ ურთიერთობებში და მისთვისაა განკუთვნილი.

ამრიგად, პიროვნება არის კონკრეტული ადამიანი, როგორც საზოგადოებრივ ურთიერთობათა სუბიექტი. პიროვნების პრობლემატიკის კვლევისას ფსიქოლოგის მხედველობაში აქვს ადამიანის ფსიქიკური თავისებურებანი და თვისებები, რომლებიც მას, როგორც საზოგადოების წევრს, უვითარდება. ადამიანი ყოველთვისაა რომელიმე სოციალური გჯგუფის წევრი.

კითხვაზე რა არის პიროვნება, ფსიქოლოგები განსხვავებულად პასუხობენ. განსვლა მათ მოსაზრებებში მიუთითებს იმაზე, რომ პიროვნება მეტად რთული ფენომენია. პიროვნების თეორიათა ერთი ნაწილი პიროვნების ფუნქციას განიხილავს როგორც ნებისმიერი ორგანიზმის ზოგადბიოლოგიური ფუნქციის განსაკუთრებულ სახეს, ე.ი. როგორც ფიზიკური და სოციალური გარემოსადმი შეგუების მექანიზმს.

პიროვნების ბევრი განსაზღვრება უკავშირდება ინდივიდის ცხოვრებისეულ ისტორიას ან მისი განვითარების სამომავლო პერსპექტივებს. ევოლუციის პროცესში პიროვნება ყალიბდება გარეგანი და შინაგანი ფაქტორების გავლენის სუბიექტის სახით, სადაც ჩაერთვის როგორც ბიოლოგიური ფაქტორები, ასევე სოციალური გამოცდილებაც.

პიროვნებაში ბიოლოგიურისა და სოციალურის როლის შესახებ მრავალი თეორია არსებობს. ინდივიდის განვითარების ბუნებრივი წინამძღვრები, მისი

სხეულებრივი ორგანიზაცია, ნერეული და ენდოკრინული სისტემები ღიდ გავლენას ახდენენ მისი ინდივიდუალურ-ფსიქოლოგიური და პიროვნული ფორმირების პროცესში . ადამიანური პიროვნების ინდივიდუალობას მნიშვნელოვან დაღს ასევეს მისი ბუნებრივი, ბიოლოგიური ორგანიზაცია. მაგრამ ბიოლოგიური ადამიანური პიროვნების სფეროში შესვლისას სოციალურ ელფერს ღებულობს.

არსებობს პიროვნების მრავალრიცხოვანვი ღეფინიცია. მათ უმრავლესობაში არ მოიხსნეიება ფიზიკური და გონებრივი მაჩვენებლები. ზოგიერთ განსაზღვრებაში აქცენტი კეთღება იმ შთაბეჭდიღებაზე, რომელსაც ადამიანი ახდენს გარემომღმყოფებზე. სხვა ღეფინიცებში კი ცენტრალური როლი ენიჭება ჩვეულებებსა და გარესამყაროს სტიმუღებზე ადამიანთა რეაქციებს. მოუხეღეად ამისა, მრავალი ავტორის მიხეღვით პიროვნება არის შინაგანი პროცესების სისტემა, რომელიც „თავსღება“ სტიმუღებსა და საპასუხო რეაქციებს შორის და რომელიც განსაზღვრავს ქცევის მრავალრიცხოვან ფორმებს.

ფსიქოლოგები პიროვნების ცნებაში განსხვავებულ აზრს ღებენ. ზოგისათვის მნიშვნელოვანია ის, თუ ადამიანები როგორ რეაგირებენ სხვა ადამიანთა ქცეღებზე. სხვა მკვლევარებისათვის კი პიროვნების ღეფინიციაში უმთავრესად ყურადღება უნდა მიეკცეს ბიოლოგიურ და მემკვიღრულ ფაქტორებს.

პიროვნების, შეღარებით, ყვეღაზე უფრო გავრცეღებულ ღეფინიცად ითვეღება გ. ოღპორტის განსაზღვრება, რომღის მიხეღვითაც „პიროვნება არის ინდივიღუმის შიგნით არსებული იმ ფსიქოფიზიკური სისტემების ღინამიკური ორგანიზაცია, რომელიც განსაზღვრავს მისთვის ღამახასიათებულ ქცეღებსა და აზროვნებას.“ ეი. გ. ოღპორტისათვის პიროვნება არის ადამიანის ფსიქო-ფიზიკური სისტემების ინდივიღუალურ თავისებურებათა ერთობღობა, ის, რითაც ერთი კონკრეტული ადამიანი განსხვავღება მეორისაგან. ამიტომაც ყოვეღი ადამიანი უნიკალური და სხვაში განუმეორებაღია.

ჰ. კელი თვეღიდა, რომ პიროვნება ღამახასიათებელია თითოეული ინდივიღისათვის, როგორც ცხოვრებისეული გამოცდიღების გაცნობიერების უნიკალური ხერხი.

კ. როჯერსის მიხეღვით პიროვნება არის ინდივიღის გამოცდიღების ნაწიღი. იგი აღმოცნეღება ინდივიღის გამოცდიღების პროცესში და თავის თავში მოიცავს საკუთარ გამოცდიღებას, საკუთარ ყოფიერებას და საკუთარ „მე“-ს. მის მიხეღვით ინდივიღი, უპირვეღეს ყოვეღისა, განპირობებულია მისი გენეტიკითა და მემკვიღრებით, მაგრამ თანღათანობით, ცხოვრებისეული გამოცდიღების ღაგროფების კეაღობაზე იგი ყალიბღება როგორც პიროვნება. ადამიანში წარსული გამოცდიღების არსებობა განაპირობებს იმას, რომ გარემო პირობები და ინდივიღუმიღან მოჰღინარე შინაგანი სტიმუღები თავისთავად და უშუაღოდ ვერ განსაზღვრავენ მის ქცეღას.

კ. როჯერსის მიხეღვით ადამიანი ცხოვრობს, მოქმეღებს და ვითარღება განსაკუთრებული, შუაღღვური რეაღობის, ინდივიღისა და გარემოს გავლენის გამოცდიღების საფუძვეღზე. ეს შინაგანი გამოცდიღება კი მასთან არის თვითცნობიერება და თვითშეფასება.

კ. ლეინი თვლის, რომ პიროვნება არის განსაზღვრულ მოთხოვნილებათა ერთობლიობა, სისტემა, სტრუქტურა, რომელიც აპირობებენ მის ქცევას. ე.ი. პიროვნება არის სტრუქტურა, რომელიც ადვილად იცვლება როგორც გარეგანი, ისე შინაგანი აღმშრელების გავლენით.

გ. აიზენკი პიროვნებას განსაზღვრავს როგორც ხასიათის, ტემპერამენტის, ინტელექტის და ფიზიკური აგებულების მეტ-ნაკლებად უცვლელ, მუდმივ და მყარ ორგანიზაციას, რომელიც აპირობებს მის ერთადერთობას და უნიკალობას. პიროვნებაში აქ იგულისხმება როგორც ფსიქოლოგიური, ასევე ბიოლოგიური მახასიათებლებიც. გ. აიზენკი თვლის, რომ პიროვნულ თვისებათა წარმოშობაში ძალზე დიდი როლი ენიჭება მემკვიდრეობას. იგი ცდილობს უჩვენოს, რომ მემკვიდრეობითი მემკვიდრეობის როლი განუზომელია კონკრეტული ადამიანის მრწამსის ჩამოყალიბებაში. ერთნულ და რასობრივ თვისებებსაც კი იგი განიხილავს როგორც პიროვნების თვისებურებებს და ამას ხსნის მემკვიდრული ფაქტორებით. გ. აიზენკის მიხედვით პიროვნების 75% განპირობებულია მემკვიდრული ფაქტორებით.

რ. კეტელი ახასიათებს პიროვნების როგორც ფსიქიკურ თვისებათა სისტემას, რომლის მიხედვითაც პიროვნება არის ნებისმიერი ადამიანი (ნორმალურიც და ფსიქიკურად დაავადებულიც), ჩვილი ბავშვიც კი. ამ შეხედულებიდან დიდად არ განსხვავდება პიროვნების ნეოფროიდისტული თეორიებიც, რომელთა საერთო ძირითად ნაკლად თელან პიროვნების სპეციფიკის განსაზღვრული ძირითადი ნიშნის, საზოგადოებრივი ქცევის სუბიექტობის უგულვებელყოფას.

ბ. სკინერი თვლის, რომ ადამიანის პიროვნება არის მთლიანად 100% დასწავლის შედეგი. იგი დასწავლის ფუნქციას ხედავს საზოგადოების მოთხოვნებისადმი უკეთესად შეგუებაში.

ე. ფრომის მიხედვითაც პიროვნება განისაზღვრება ადამიანის ბუნებრივი და საზოგადოების ისტორიულად ცვალებად მოთხოვნათა ურთიერთობებით, რის შედეგადაც მიღწევა პიროვნების საზოგადოებისადმი შეგუება.

ტ. შებურანისათვის პიროვნება არის სოციალური როლების სისტემა, რომელიც ზორციელდება სოციალური ჯგუფის მოთხოვნებისა და მოლოდინების საპასუხოდ.

უ. ჯემსის მიხედვით პიროვნების ანალიზი წარმოებს მხოლოდ ცნობიერების ფსიქოლოგიის ჩარჩოებში. მისთვის პიროვნება არის მხოლოდ ის, რასაც ადამიანი განიცდის როგორც „მე“-ს.

მადის მიხედვით პიროვნება არის მყარი ტენდენციები და მიმართულებანი, რომელთა საშუალებითაც ადამიანთა ფსიქოლოგიურ ქცევებში (აზროვნება, გრძობები, მოქმედებები) არსებობენ ზოგადი და განსხვავებული ნიშნები, რომლებსაც აქვთ ზანგრძლივი მოქმედების ხასიათი და არ წარმოადგენენ მოცემული მომენტის სოციალური ან ბიოლოგიური გავლენისა და განპირობებულობის შედეგს.

ა. ლეონტიევი თვლის, რომ პიროვნება არის განსაკუთრებული წარმონაქმნი, „განსაკუთრებული მთლიანობა“, რომელიც აღმოცენდება ონტოგენეტიკური განვითარების შედარებით გვიანდელ საფეხურზე. ეს წარმონაქმნი ჩნდება სპეციფიკურ ადამიანურ ურთიერთობებში და ამ ურთიერთობებითაა განპირობებული.

რაც შეეხება ისეთ ბუნებრივ ინდივიდუალურ თავისებურებებს, როგორცაა მორფოლოგია, ფიზიოლოგია, აგრეთვე ადამიანის მიერ შექმნილი ზოგიერთი ფსიქოლოგიური თვისება, ისინი საკუთრივ პიროვნულ მახასიათებლებს არ განეკუთვნებიან, ისინი ახასიათებენ ადამიანს, როგორც ინდივიდს. ინდივიდი, უპირველეს ყოვლისა, ის რეალობაა, რომელიც მოქცეულია ადამიანის სხეულებრივი სფეროს ჩარჩოებში, მაშინ, როცა პიროვნება არის წარმონაქმნი, რომელიც გადის ამ სხეულებრივი საზღვრის ფარგლებიდან და აყალიბებს სოციალურ ურთიერთობებს გარესსამყაროსთან.

ა. პეტროვის მხედვით პიროვნება არის სისტემური სოციალური წარმონაქმნი, რომელიც ინდივიდის მიერ შეიძინება საგნობრივი მოქმედებებისა და ადამიანური ურთიერთობების პროცესში. პიროვნება არის პიროვნებათაშორისი ურთიერთობების სუბიექტი, რომელიც ჩამოყალიბდა და ვითარდება ამავე ურთიერთობებში. თითოეული ადამიანის პიროვნება მოიცავს მხოლოდ მისთვის დამახასიათებელ თვისებათა და თავისებურებათა ერთობლიობას, რომელიც საბოლოო ანგარიშით, აყალიბებს მის ინდივიდუალობას. იგი კი უღივდება ტემპერამენტში, ხასიათში, ჩვეულებებში, ინტელექტში, ნიჭში, მოქმედების სტილსა და აგრეთვე შემეცნებით ფსიქიკურ პროცესებში.

დ. უზნაძის მხედვით პიროვნების სტრუქტურაში მნიშვნელოვან ადგილს იჭერს აგრეთვე გაუცნობიერებელი აღმქმედებებიც. ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი უჭირავს განწყობას, რომელიც არის პიროვნების გაუცნობიერებელი მზაობა, რომლის საშუალებითაც მას შეუძლია დაიკმაყოფილოს განსაზღვრული მოთხოვნილებები. განწყობა არის არაცნობიერი მზაობა, რომელიც გულისხმობს თუ სახელდობრ რა განსაზღვრული სახით იქნება აღქმული საგნები და მოვლენები. განწყობის კანონზომიერებანი საფუძვლად ედება პიროვნების ქცევას.

პიროვნების ძირითადი ფსიქოლოგიური თავისებურებებია: თვითცნობიერება, თვითშეფასება, ზნობრივი იდეალები, ინდივიდუალობა, თვითრეგულაცია, აქტივობა და ურთიერთკავშირი სოციალურ გარემოსთან.

ა) თვითცნობიერება. ადამიანი, როგორც პიროვნება, თავის თავს შეიმეცნებს როგორც საკუთარ „მე“-ს. ამასთანავე „მე“-ს ცნობიერებაში იგი ასახავს მხოლოდ მისთვის დამახასიათებელ თვისებებსა და ნიშნებს. ადამიანი საკუთარ „მე“-ს უპირისპირებს სხვებს და ამით საკუთარ პიროვნებას გამარჩევს სხვებისგან.

ერთ-ერთი პირველი ფსიქოლოგი, რომელმაც „თვით“-ობას სერიოზული ყურადღება მიაქცია, იყო უ. ჯემსი. მან მასში გამოყო ორი კომპონენტი: „ჩემი“ და „მე“. „ჩემი“ არის ყველაფერი იმის ერთობლიობა, რასაც კაცობრიობა თვლის თავისად. მათ შორისაა ნიჭი, სოციალური და პიროვნული მახასიათებლები, მატერიალური საკუთრება. „მე“ კი არის „შემეცნებელი სუბიექტი“. „თვით“-ობის ეს ასპექტი სუბიექტურ ინტერპრეტაციას აძლევს აღქმული გამოცდილებას, საგნებსა და მოვლენებს, ადამიანებს.

ნ. ნიუკომბის მხედვით „მე“ აცნობიერებს საკუთარ არსს. მე კონცეფციის შესწავლა მოიცავს „თვით“-ობის ორივე ასპექტს.

თვითცნობიერების ჩანასახი ჯერ კიდევ ორი წლიდან იწყება. დაახლოებით თვრამეტი თვის ბავშვები უკვე ცნობენ საკუთარ თავს სარკეში და ფოტოზე.

სასკოლო ასაკში კი ეს ელემენტარული თვითცნობიერება გადაიქცევა საკუთარი თავის შესახებ წარმოდგენის უფრო რთულ სისტემად და საკუთარი თავისადმი მისართების გრძობად.

შე – კონცეფცია არის საკუთარი თავის აღწერა, ხოლო თვითშეფასება – საკუთარი თავის დადებითად ან უარყოფითად შეფასება. როცა ბავშვი ჩამოთვლის, რომ მას აქვს შავი თმა, დიდი ყურები, მაღალია და ა.შ. იგი ამას არ აღიქვამს როგორც კარგს ან ცუდს. ისინი ნეიტრალურია, აღწერილია.

შე – კონცეფცია მოიცავს რასიული, ეთნიკური და რელიგიური მიკუთვნებულობის ასაქტებსაც. უკვე სამი წლის ასაკიდან ხდება ადამიანთა დაყოფა ამ პარამეტრების მიხედვით.

ბ) თვითშეფასება თვითცნობიერების ძირითადი კომპონენტია. იგი საკუთარი თავის, მოქმედების, კოლექტივში მდგომარეობის, გჯუვის წევრებთან ურთიერთობის და საკუთარ შესაძლებლობათა შეფასებას გულისხმობს. თვითშეფასება აღმოცენდება თვითცნობიერების პროცესის განმაზოგადებელი მუშაობის საფუძველზე.

თვითშეფასება არსებობს აწეული (მაღალი) და დაწეული (დაბალი). აწეული თვითშეფასების დროს ადამიანები გადაჭარბებით აფასებენ საკუთარ თავს, რის გამოც ისინი ხშირად აწყდებიან წინააღმდეგობებს გარეშემოყოფ ადამიანებთან ურთიერთობაში, რომლებიც უგულვებელყოფენ მის დაუსაბუთებულ პრეტენზიებს. ამ დროს იგი ავლენს აგრესიას და ხდება კონფლიქტური. დაწეული თვითშეფასების ადამიანს უეითარდება უკმარისობის კომპლექსი (თავის თავში დაურწმუნებლობა, პესიმიზმი, უნიციპატივიანობა, გულგრილობა, შფოთვა, აბულია).

გ) *ზნობრივი იდეალი* არა მარტო ადამიანის მიერ შეთვისებული ობიექტური ეთიკური კატეგორიაა, არამედ ესაა შინაგანად მიღებული ემოციურად შეფერილი ხატი, რომელიც ადამიანის ქცევის რეგულატორი და სხვა ადამიანთა ქცევის შეფასების კრიტერიუმი ხდება. იდეალი არის პიროვნების თვითაღზრდის ერთ-ერთი ძირითადი მოტივი.

დ) *ინდივიდუალობა* არის მოცემული კონკრეტული ადამიანის პიროვნება, როგორც ფსიქოლოგიურ თავისებურებათა განუმეორებლობა. ფსიქიკური პროცესები, რეალურად, იზოლირებულად არ მიმდინარეობენ. ისინი ყოველთვის მიეკუთვნებიან რომელიმე კონკრეტულ ადამიანს და განპირობებულნი არიან მისი პიროვნების თავისებურებებით.

ე) *თვითრეგულაცია* არის საკუთარი ქცევის შეგნებულად მართვის უნარი. ადამიანი გარესამყაროს მექანიკურად არ ეგუება. იგი თვითონაა ამ სამყაროს შეგნებული წევრი, რომელიც გამძიზიანებლებს აღიქვამს შერჩევით და მისეული გადაამუშავებისა და ანალიზის საფუძველზე მართავს ან არეგულირებს საკუთარ ქცევებს.

ვ) *აქტივობა*. პიროვნება ყოველთვის მოქმედი და აქტიურია. სხვაანაირად იგი ვერ იარსებებდა სოციალურ თუ ბუნებრივ გარემოში. მხოლოდ სოციალურად განპირობებული აქტივობის პროცესში ყალიბდება ადამიანი პიროვნებად.

ზ) *სოციალურ გარემოსთან ურთიერთკავშირი*. წარმოადგენს რა საზოგადოების აქტიურ წევრს, ყოველთვის იმყოფება სხვა ადამიანებთან განსაზღვრულ კავშირებსა

და დამოკიდებულებებში, რის გარეშეც იგი, როგორც საზოგადოების წევრი, ვერ იარსებებდა და იმოღვაწებდა. ეს დამოკიდებულებები და კავშირები ყოველთვის განსაზღვრავენ ადამიანის ნაძვლილ არსს.

ინდივიდის სოციალიზაცია. სოციალიზაცია არის ინდივიდის მიერ საზოგადოებრივი გამოცდილების შეთვისების პროცესი, რომლის შედეგადაც იგი ხდება პიროვნება და ლებულობს ცოდნა-ჩვევებს ადამიანთა საზოგადოებაში თანაცხოვრების წესების შესახებ. ე.ი. ადამიანებთან თანაცხოვრებისა და თანამშრომლობის პროცესში იგი იძენს მათთან ურთიერთდამოკიდებულების უნარს. ესაა ადამიანის საზოგადოებრივ ღირებულებებში შეზრდა. ამრიგად, სოციალიზაცია არის ადამიანის მიერ საზოგადოებრივი გამოცდილების ათვისების პროცესში მისი ბუნებრივი არსებიდან საზოგადოებრივ არსებად, პიროვნებად გადაქცევის პროცესი. სოციალიზაცია გულისხმობს ადამიანის მიერ ადამიანური ურთიერთობის კულტურის, საზოგადოებაში არსებული მორალური და სამართლებრივი ნორმების შეთვისებას. ამრიგად, სოციალიზაცია არის პროცესი, რომლის საშუალებით ბავშვი ითვისებს მისი კულტურისთვის დამახასიათებელ ქცევას, ჩვევებს, ღირებულებებს, მოტივებს, მრწამსსა და ნორმებს. სოციალიზაციის ძირითადი მექანიზმებია: იდენტიფიკაცია, მიბაძვა, შთაგონება, სოციალური ფაცილიტაცია და კონფორმულობა.

იდენტიფიკაცია არის ბავშვის მიერ სქესობრივ-როლური ქცევების ათვისება. ესაა ე.წ. სქესობრივ-როლური ტიპიზაცია, რომელიც საფუძვლად ედება ქალისა და მამაკაცის ფსიქოლოგიური ნიშნებისა და განწყობების გაცნობიერებას.

მიბაძვა არის ინდივიდის მიერ სხვა ადამიანთა გამოცდილების ცნობიერი ან არაცნობიერი აღდგენა და გაშორება. მიბაძვის მექანიზმი თანშობილია. მიბაძვითი მოძრაობების მრავალფეროვანი ფორმები უმაღლესი ცხოველებისთვისაცაა დამახასიათებელი.

შთაგონება არის პროცესი, რომლის შედეგადაც ხდება ადამიანის მიერ იმ ადამიანთა აზრების, გრძნობების და ფსიქიკური მდგომარეობების არაცნობიერი გამოვლენა, რომელთანაც მას უკონდა ურთიერთობა.

სოციალური ფაცილიტაცია არის ადამიანთა ერთი ჯგუფის მაქსიმალური გავლენა სხვა ადამიანთა ქცევებზე, რის შედეგადაც ეს ქცევები მიმდინარეობენ თავისუფლად, აქტიურად და უფრო ინტენსიურად. (ფაცილიტაცია ნიშნავს შექმნის უწყობას). ესენია, ძირითადად, ნაცნობი და ახლობელი ადამიანები, რომელთა მიმართ ადამიანს აქვს დადებითი ემოციები.

კონფორმულობა არის ადამიანის ისეთი ქცევა, როცა ხდება გარემომყოფ ადამიანთა აზრებთან თანხმობა, მიუხედავად იმისა, რომ ხშირად გარეგნულად არ ეთანხმებიან მათ. კონფორმულობა ესაა თავისებური შეგუება, რომელიც ემყარება იმას, რომ ადამიანს არ შეეძინას ზედმეტი სირთულეები და სიძნელეები სხვა ადამიანებთან ურთიერთობაში. კონფორმულობა სოციალიზაციის სხვა მექანიზმებისაგან იმით განსხვავდება, რომ ადამიანს აქვს შინაგანი კონფლიქტი იმის გამო, რომ იგი ამ დროს სხვას ფიქრობს და სხვა ლაპარაკობს.

§2 უმცროსკლასელის პიროვნება

პიროვნება რთული ბუნების ფენომენია. იგი სხვადასხვა მეცნიერების შესწავლისა და ინტერესის საგანს შეადგენს. პიროვნების განვითარების ასაკობრივ-ფსიქოლოგიური კანონზომიერების ცოდნის გარეშე მასწავლებელი და აღმზრდელი, რომელსაც მოსწავლეთა სულის ფორმირების რთული მისია აკისრიათ, შეცდომებს თავს ვერ დააღწევს.

მოუხდავად იმისა, რომ მოსწავლის პიროვნების ჩამოყალიბების და განვითარების ასაკობრივი საფეხურების კანონზომიერებების შესწავლას სააღმზრდელო ღონისძიებათა გატარებისათვის პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭება, პიროვნების ზოგადი ფსიქოლოგია უფრო ფართოდაა შესწავლილი, ვიდრე ბავშვის პიროვნების ასაკობრივი ფსიქოლოგია.

ბავშვის პიროვნების განვითარება თანდათანობით მიმდინარეობს და გამოიხატება მისი შესაძლებლობების არა მხოლოდ რაოდენობრივი ზრდით, არამედ ახალ თვისებათა ჩამოყალიბებითაც. ეს თვისებები სინამდვილის უფრო ღრმა შეცნობისა და ნაყოფიერი მოღვაწეობის შესაძლებლობას იძლევა.

ზაზს უსვამენ რა პიროვნული თვისებებების განვითარებისათვის გარეგანი ზემოქმედების პირველხარისხოვან და გადამწყვეტ მნიშვნელობას, დიდ ყურადღებას უთმობენ აგრეთვე ბავშვის შინაგან სამყაროსაც; პიროვნების განვითარებას თავისი შინაგანი კანონზომიერებანი და ასახვისა და მოქმედების ფორმების ცვლის განსაზღვრული პერიოდულობა ახასიათებს.

სკოლამდელ ასაკში, როცა აგზნებითი პროცესები სჭარბობს შეკავების, აღინიშნება პირველი სასიგნალო სისტემის პრევალირება ძეორესთან შედარებით, ადგილი აქვს დიდ მოტორულ აქტივობას, იმპულსურ ქცევას, დადებითი ხასიათის ძლიერ ემოციურ რეაქციებს, აზროვნების კონკრეტულ ხასიათს. ბავშვს არ შეუძლია გაითვალისწინოს ქცევის ყველა გარემოება. განსაკუთრებით მოქმედების შორეული, პერსპექტიული შედეგები. ეს თვისებებებანი სკოლამდელი ასაკის ბავშვის ასახვითი მოქმედების ხასიათს განსაზღვრავენ. ამ ასაკში ბავშვი სინამდვილეს ძირითადად უშუალოდ წაბაძვის გზით შეიცნობს, მისი ქცევაც წაბაძვითი ხასიათისაა, რომელიც ჯერ არაა მოტივირებული და სტიქიურ ხასიათს ატარებს.

უფროს სკოლამდელებთან წაბაძვითი მოქმედება თანდათანობით რთულდება, მასში უკვე წარსულის გამოცდილება ერევა. მართალია ამ ასაკში წაბაძვა სტიქიურ ხასიათს ატარებს, მაგრამ ბავშვის პიროვნების განვითარება სტიქიურად არ მიმდინარეობს. აღზრდის მიზანდასახულობა სწორედ იმაშია, რომ სასურველი სააღმზრდელო ღონისძიებების გატარებით შეგნებულად უხელმძღვანელოს და მართოს ეს პროცესი. წაბაძვა ასახვის ერთ-ერთი ხერხია, ხოლო თუ რა იქნება ასახული, ეს უფროსებზე, ბავშვის ცხოვრების ორგანიზაციაზე დამოკიდებული. უფროსებმა (მშობლებმა და აღმზრდელებმა) ხელმძღვანელობა უნდა გაუწიონ ბავშვის წაბაძვით მოქმედებებს, ბავშვის ყურადღება მიაპყრონ ქცევისა და მოქმედების ნიმუშებზე და ამით სასურველი წაბაძვითი ქცევა

განამტკიცონ, მცდარი და მანუ მოქმედებები შეაკაონ. სკოლამდელის პიროვნების განვითარება შეიძლება განვსაზღვროთ როგორც პიროვნების სიტუაციური განვითარების სტადია. ამ ასაკის ბავშვის პიროვნების განვითარების ძირითად ფაქტორს მისი ცხოვრებისეული პირობები და აღზრდა წარმოადგენს. ამ ასაკში ცხოვრების პირობების შეცვლითა და უფროსების მოთხოვნით ადვილად შეიძლება ქცევის კორექცია.

სკოლამდელი ასაკის ბოლოს ბავშვს ცხოვრებისეული გამოცდილებისა და აღზრდის გავლენით უვითარდება უმაღლესი ნერვული მოქმედების ისეთი შინაგანი თვისებები, რომლებიც სისტემატიური სწავლისა და მარტივი შრომითი საქმიანობის დაწყების შესაძლებლობას უზრუნველყოფენ. ამ ასაკში, ერთი მხრივ, ავზნებითი და შეკავებითი პროცესების, ხოლო, მეორე მხრივ, პირველი და მეორე სასიგნალო სისტემის შეფარდებითი გაწონასწორება ხდება, რაც იმის საშუალებას იძლევა, რომ ბავშვის აღქმა უფრო ადექვატური, ხოლო ყურადღება უფრო მყარი ხდება. განვითარებას იწყებს ლოგიკური აზროვნებაც. მეორე სასიგნალო სისტემის როლის შემდგომი ზრდა სინამდვილის როგორც უშუალო, ასევე შუალობით ასახვას უზრუნველყოფს. პირველკლასელი აღქმაში უკვე იწყებს არსებითი ნიშნის წვდომას, ხოლო ადამიანთა ქცევას უკვე გარკვეული მორალური თვალსაზრისითაც აფასებს.

უმცროსი სასკოლო ასაკის ბავშვი იწყებს იმის გაცნობიერებას, რომ იგი წარმოადგენს გარკვეულ ინდივიდუალობას, რომელიც განიცდის სოციალური გარემოს ზეგავლენას. მან იცის, რომ იგი ვალდებულია ისწავლოს ვითარდება სქესობრივი იდენტიფიკაცია. უმცროსკლასელმა უკვე მყარად იცის თავისი მიკუთვნებულობა რომელიმე სქესისადმი. განიცდის კიდევ თავის უნიკალობას და „მეობას“. მას თავისი სახელისა და გვარის მიმართ უჩნდება დადებითი ემოციები. იწყებს ჩამოყალიბებას ბავშვის შინაგანი პოზიცია საკუთარი თავის შესახებ.

პატარა მოსწავლეები, უმრავლეს შემთხვევაში, სწავლის განუზომელ სიყვარულს ამჟღავნებენ. მათ იტაცებთ სერიოზული საქმიანობა და საკმაოდ ცივად ეკიდებიან ისეთ საქმეს, რომელიც საბავშვო ბაღს აგონებთ. პირველ და მეორეკლასელებს უფრო უყვართ კითხვის და არითმეტიკის, ვიდრე ხელგარჯილობის, სიმღერისა და ფიზკულტურის გაკვეთილები. მათ შესვენებებს გაკვეთილები ურჩვენიათ და სურვილს გამოთქვამენ შემოკლდეს არდადეგები და სწყინთ, როცა საშინაო დავალებებს არ იძლევიან. სწავლის სოციალური აზრი ელინდება პირველკლასელთა ნიშნებისადმი დამოკიდებულებაში. ისინი დიდი ხნის განმავლობაში ნიშნის აღიქვამენ როგორც თავიანთი მონდომების, სიბეჯითის და არა როგორც შესრულებული მუშაობის ზარისხის შეფასებას.

სკოლამდელ და უმცროს სასკოლო ასაკში გამოყოფენ პიროვნების განვითარების სამ ფაზას: სკოლამდელთა ჯგუფებს მართავს აღმზრდელი, რომელიც მშობლებთან ერთად ბავშვისთვის საუკეთესო რეფერენტულ პირს წარმოადგენს. თავისი სოციალურ-ფსიქოლოგიური პარამეტრებით აღმზრდელისა და მშობლების ხელმძღვანელობით ეს ჯგუფები ცდილობენ

ათვისონ ჰუმანურობა, შრომისმოყვარეობა, კოლექტივიზმი და სოციალურად ღირებული სხვა თვისებები. ეს ფაზებია:

ა) ადატაცია-აღმზრდელისა და მშობლების მოწონებული ქცევის ნორმებისა და საშუალებების შეთვისება ერთმანეთთან ურთიერთობის პროცესში;

ბ) ინდივიდუალიზაცია - ბავშვის მისწრაფება საკუთარ თავში იპოვოს ისეთი რამ, რაც მას პოზიტიურ ქცევებში, სიცელქესა და კაპრიზებში სხვა ბავშვებისაგან განასხვავებს;

გ) ინტეგრაცია-სკოლამდელის არაცნობიერი მისწრაფება ქცევებში შეიძინონ საკუთარი განუმეორებლობა და მშობელთა და აღმზრდელთა მისწრაფება, მიიღონ მხოლოდ ის, რაც საზოგადოებრივად განპირობებული და მნიშვნელოვანია სკოლაში შესვლის უზრუნველსაყოფად.

უმცროსკლასელთა პიროვნების ფორმირების სიტუაცია სკოლამდელთა კანონზომიერებს ჰგავს. საკლასო ჯგუფების ხელმძღვანელი ახლა მასწავლებელია, რომელიც საბავშვო ბაღის ჯგუფებთან შედარებით ბავშვისთვის უფრო რეფერენტულია. ეს იმიტომ ხდება, რომ მასწავლებელი იყენებს ნიშნებს, არეგულირებს ბავშვის სხვა უფროსებისადმი მიმართებებს, მათ საკუთარი თავისადმი და მისდამი დამოკიდებულებებს. უმცროსკლასელთა პიროვნების განვითარების ფაქტორია არა იმდენად სასწავლო პროცესი, რამდენადაც უფროსების დამოკიდებულება მათ სასწავლო წარმატებასთან, დისციპლინასთან და სიბეჯითოსთან. სასწავლო ქცევა მაქსიმალურ პიროვნებაწარმოქმნელ ფაქტორად უფროს სასკოლო ასაკში იქცევა, როცა სწავლისადმი სერიოზული დამოკიდებულება და მსოფლმხედველობა ყალიბდება.

უმცროსკლასელთა პიროვნების მიმართულობა მათ მოთხოვნილებებსა და მოტივებში უკიდრება. უმცროსკლასელებს შემორჩენილი აქვთ სკოლამდელთათვის დამახასიათებელი ზოგიერი მოთხოვნილება. მათი ერთ-ერთი ძლიერი მოთხოვნილებაა თამაშის მოთხოვნილება, თუმცა თამაშის შინაარსი ამ ასაკში იცვლება. ძლიერი მოთხოვნილებაა აგრეთვე მოძრაობის მოთხოვნილება. უმცროსკლასელებს უჭირთ გაკეთილებზე სანგრძლივად ჯდომა. ეს მოთხოვნილება განსაკუთრებული ცხოველყოფილობით უკიდრება შესვენებაზე. ძლიერია გარეგანი შთაბეჭდილებებისადმი მოთხოვნილებაც. როგორც ვნახეთ, პირველკლასელებს ძალიან იზიდავთ საგანთა და მოვლენათა გარეგნული, ნათელი მხარეები. ეს მოთხოვნილებანი საერთოა სკოლამდელთათვის და პირველკლასელთათვისაც. სკოლაში კი ისეთი მოთხოვნილებები ჩნდება, რომლებიც სკოლამდელ ასაკში არ არსებობდა. ესაა მასწავლებლის დავალებების ზუსტი შესრულების, ცოდნის შექმნის, კარგი ნიშნების მიღების, შექებისა და სხვა მოთხოვნილებები.

უმცროსკლასელთა მოთხოვნილებებიდან წამყვანი შემეცნებითი მოთხოვნილებებია. მასწავლებლის დახმარებით ბავშვებს უჩნდებათ კითხვის, წერის, თვლის და ასლი ცოდნის შექმნის მოთხოვნილებები. ეს მოთხოვნილებები ხშირად იცვლებიან. ზოგიერთი მათგანი პიროვნების მყარ თვისებად, ქცევის მოტივებად იქცევა, ზოგიერთი კი სულაც ქრება. უმცროსკლასელთა მოთხოვნილებები ვითარდება სულიერი მოთხოვნილებების მატერიალურზე

დომინირების ნიშნით. უმცროსკლასელთა მოთხოვნილებები იცვლება შინაარსულად და მიმართულების თვალსაზრისიდაც. უმცროსი სასკოლო ასაკის ბოლოს, მოსწავლეთა მოთხოვნილებები უფრო გაცნობიერებული ხდება და თვითრეგულაციას ექვემდებარება.

უმცროსკლასელთა მოთხოვნილებების განვითარებაზე მასწავლებელთან ერთად დიდ გავლენას ახდენს თანატოლთა კოლექტივიც. სწავლის დასაწყისში თანატოლთა აზრს ბავშვისთვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, მაგრამ ასაკის წინსვლასთან ერთად, თანდათანობით თანატოლთა აზრს დიდი ღირებულება ენიჭება.

სკოლამდელ ასაკში ვითარდება უფროსების საქმეში მონაწილეობის მოთხოვნილება, მაგრამ ბავშვის ძალებისა და უნარების უკმარისობის გამო, ამ მოთხოვნილებების რეალიზაცია არ ხდება. ამასთანავე ამ ასაკის ბავშვებისათვის დამახასიათებელია სურვილების დაუყოვნებლივი რეალიზაციის ტენდენცია, ამიტომ იგი უფროსის ქცევას ნიშუამდ იღებს და მას ბაძავს, მოქმედებს როგორც უფროსი, მაგრამ სათამაშოებთან, სიუჟეტურ-როლურ თამაშში. თამაშ სკოლამდელისათვის უმაღლესი მონაპოვარია, რომელიც განვითარების უახლოვეს ზონას ქმნის და სადაც მომავალ სასწავლო ქცევას ეყრება საფუძველი. უფროს სკოლამდელთან თამაშში საფუძვლად ედება საზოგადოებრივი ცხოვრების წესებისა და ნორმების დაუფლებას, ადამიანთა ფუნქციისა და დამოკიდებულებების გაცნობიერებას და თვითცნობიერების ჩამოყალიბებას. უმცროსკლასელთა ზოგიერთი პიროვნული მეტამორფოზაც თამაშის პროცესში ხდება. ესაა პიროვნების ფსიქოლოგიური შექანის შემების ჩასახვა-ჩამოყალიბება, რაც მჭიდროდაა დაკავშირებული ამ ასაკის მნიშვნელოვან ახალწარმოქმნაში - მოტივთა პირველ ურთიერთდაქვემდებარებებთან და ცნობიერების პირველ გაშუალებასთან.

სკოლამდელის ქცევა, ძირითადად, სიტუაციური მოტივების გავლენით მიმდინარეობს. სკოლაში შესვლისას ბავშვის მოტივები მნიშვნელოვან ცვლილებებს განიცდის. პირველკლასელის ქცევა სკოლამდელთან შედარებით უფრო გააზრებულია. იგი ახლა ისეთი მოტივებითაა განპირობებული, რომლებიც ადრე მას არ აქონდა. პირველკლასელთა მოტივების ერთი ჯგუფი უფროსების ცხოვრების ინტერესებთან, მათთან მსგავსების სურვილებთანაა დაკავშირებული. მოტივთა მეორე ჯგუფი კი უფროსებთან დადებითი ურთიერთდამოკიდებულებების დამყარებასა და მათი შეფასებების დამსახურებას უკავშირდება. ექვსწლიანთა ქცევის მოტივებად ხანდახან პირადი მოღწევის, თავმოყვარეობის, თვითდამკვიდრებითი და შეჯიბრებითი მოტივები გვევლინება.

უმცროსი სასკოლო ასაკში სწავლის როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი მოტივაცია ადინიშნება. დადებითი მოტივაციაა ბავშვის საერთო დადებითი დამოკიდებულება სკოლისადმი, მისი ინტერესების სიფართოვე, ცოდნისმოყვარეობა. ბავშვის ინტერესების სიფართოვე იმაში გამოიხატება, რომ მას ახლა გარე სამყაროს მრავალი ისეთი ფაქტი და მოვლენა აინტერესებს, რომელიც სასწავლო პროგრამას სცილდება. ცოდნის მოყვარეობა უმცროსკლასელის ფართო გონებრივი აქტივობის გამოვლენაა. უშუალოდ, დამყოლობა, მასწავლებლის ავტორიტეტის ხელშეუხებლობის რწმენა და ნებისმიერი დავალების შესრულებისადმი მზაობა

დადებითი სოციალური მოტივების ჩამოყალიბებისა და განმტკიცების ხელსაყრელ პირობებს ქმნის.

უმცროსკლასელთა მოტივაციას უარყოფითი მხარეც აქვს. ბავშვის ინტერესები არასაკმაოდ ქმედითია, სიტუაციურია, არამყარია, ჩქარა კმაყოფილდება, ქრება. (სასწავლო მასალა და დაველებები მოსწავლეებს სწორად ბეზრდება და იწვევს დაღლას). ეს ინტერესები ნაკლებადაა გაცნობიერებული, ბავშვებს უჭირთ დაასხელონ რა და რატომ მოსწონთ მოცემულ საგანში, ეს ინტერესები სუსტადაა განვითარებული, მოიცავს ერთს ან რამდენიმე საგანს, მაგრამ მათი გაერთიანება გარეგნული ნიშნებით მიმდინარეობს. ბავშვები ორიენტირებულნი არიან სწავლების შედეგებზე ფაქტურით ცოდნის შექმნის მიმართულებით, ხოლო კანონზომიერებები მათ ნაკლებად აინტერესებთ. ყველა ეს ნაკლი ხელს უწყობს სწავლისადმი ნეგატიური დამოკიდებულების ჩამოყალიბებას. უმცროსკლასელთა სწავლის მოტივთა დინამიკა ასეთ სურათს იძლევა: პირველ კლასში სჭარბობს სკოლაში ყოფნის გარეგნული მხარისადამის ინტერესი (მერსზე ჯდომა, ფორმის, საწიგნის ტარება...) შემდეგ თანდათან ვლინდება სასწავლო შრომის პირველი შედეგებისადმი ინტერესები (პირველ დაწერილი ასოები, ციფრები, პირველად მიღებული ნიშანი). მესამე კლასში ჩნდება სწავლის შინაარსისადმი და ცოდნის შექმნის ზერხებისადმი ინტერესი.

შეშენებითი მოტივები იცვლება შემდეგნაირად: უმცროსკლასელები ცალკეული ფაქტებისათვის ინტერესებიდან პრინციპებისადმი და კანონზომიერებებისადმი ინტერესებზე გადადიან. მესამე კლასში ცოდნის შექმნის ზერხების ინტერესების ჩამოყალიბებას ფერება საფუძველი. ამ ასაკში აღმოცენება იწყებს თვითგანათლების მოტივებიც, მაგრამ ძალზე მარტივი ფორმებით – დამატებითი მხატვრული ლიტერატურის ეპიზოდური კითხვით.

უმცროსკლასელთა სწავლის მოტივებში დიდი ადგილი უჭირავს სოციალურ მოტივებს. ისინი ბავშვის სწავლისადმი დადებით დამოკიდებულებას განსაზღვრავენ. ამ ასაკში სოციალური მოტივები, უმეტესწილად, წარმოდგენილია ბავშვის მიერ მასწავლებლის მოწონებისა და წახალისების სურვილით. უმცროსკლასელთა მასწავლებლისადმი დამოკიდებულება ზოგადად კეთილია, მაგრამ ცუდი ნიშნების მიღება მათ ძალიან სწყინთ. უკვე თანატოლთა კოლექტივში განსაზღვრული ადგილის დაკავების სურვილი და მისწრაფება ჩნდება, ანგარიში ეწევა თანატოლთა აზრს. წარმოდგენილია აგრეთვე კოლექტიური მუშაობის ფორმებიც, მაგრამ ჯერ-ჯერობით ძალზე ზოგადად და მარტივად.

დაწყებითი სკოლის ასაკში, როგორც ვნახეთ, ბავშვს ყველა შეშენებითი ფსიქიკური პროცესი სათანადო დონეზე აქვს განვითარებული და თანდათანობით უფრო რთულდება და ვითარდება. მეხსიერება ლოგიკურ ფორმას ღებულობს, ყურადღება უფრო მყარი და ნებისმიერი ხდება, ინტელექტუალური ოპერაციები უფრო აბსტრაქტულ შინაარსებს შეიცავს, ხოლო ზნეობრივი თვისებები – პასუხისმგებლობა, სიბეჯითე, შრომისადმი სერიოზული დამოკიდებულება კი არ უზგოებსდება, არამედ უარესდება. აქედან გამომდინარე უარესდება სწავლისადმი დამოკიდებულება. პირველი სასკოლო ასაკის ბოლოს სწავლის მოტივები

რამდენადმე კლებულობს. ჩნდება ე.წ. „მოტივაციური ვაკუუმი“. როგორც მკვლევარები ვარაუდობენ, ამ მოვლენის მიზეზი არაა მხოლოდ მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებანი, არამედ სასწავლო-სააღმზრდელო ორგანიზაციის პროცესში დაშვებული შეცდომებია.

როგორც ცნობილია შემეცნებითი მოთხოვნილება ამ ასაკის ბავშვის პიროვნების ძლიერი მოთხოვნილებაა. ფიქრობენ, რომ სწორედ ეს მოთხოვნილება ვერ კმაყოფილდება სკოლაში საკმარისად. იმასთან დაკავშირებით, რომ უმცროსკლასელთა აზროვნება კონკრეტულია, მათ ცოდნა თვალსაჩინო ფორმით გადაეცემა, რაც ხელს უშლის ბავშვის მიერ ცოდნის არსის შემეცნებას, რომელიც თავის მხრივ, თვალსაჩინოს მიღება. ამასთან დაკავშირებით ის ცოდნა, რომელსაც სკოლაში ღებულობს პატარა მოსწავლე, ვერ აკმაყოფილებს მის განვითარებად შემეცნებით ინტერესებს და უკანუხოდ ტოვებს ბევრ კითხვას, რის გამოც უმცროს სასკოლო ასაკში ბავშვის ინტელექტუალურ კონდიციებს შესაბამისი დატვირთვა არ ეძლევა. ეს დატვირთვა ძირითადად მის მეხსიერებას აწევბა. ამასთანავე, როგორც ვნახეთ, ამ ასაკის ბავშვის ინტელექტუალური შესაძლებლობანი აბსტრაქტული მასალის შეთვისების თვალსაზრისით, შედარებით მაღალია.

სწავლისადმი, დადებითი დამოკიდებულების დაცემის შემდეგი მიზეზია სწავლის სოციალური მოტივაციის შესუსტება, რაც ბავშვთა კოლექტივის ორგანიზებასთან დაკავშირებით მასწავლებლის არასწორ მუშაობასთანაა დაკავშირებული. პირველ-მეორე კლასებში ბავშვთა კოლექტივი სუსტია, ცალკეული მოსწავლის ცხოვრებაში იგი რამდენადმე მნიშვნელოვან როლს არ თამაშობს. კლასში მოსწავლეთა შორის ურთიერთობანი მასწავლებლის მეშვეობით მყარდება. მასწავლებელმა და აღმზრდელმა საკლასო კოლექტივში თითოეული მოსწავლის შესახებ უნდა შექმნას დადებითი საზოგადოებრივი აზრი, რაც წარმატების მნიშვნელოვანი საწინდარია. საჭიროა სწავლის სოციალური ღირებულების გაზრდა და გამყარება სწავლის შინაარსის გართულებითა და ცოდნის მოპოვების ახალი ზერხების ძიებით. იქ, სადაც მასწავლებელი ამას ახერხებს, მოსწავლეებში სწავლის მოტივთა დაქვეითება ნაკლებად შეინიშნება.

უმცროს სასკოლო ასაკში ბავშვის ქცევის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დეტერმინანტი ხდება სოციალური შემეცნება. ესაა სოციალური სამყაროს შესახებ ბავშვის ცოდნა, აზრები და წარმოდგენები. ამ ასაკში სოციალური შემეცნება, უმთავრესად, დაკავშირებულია მეგობრობის თავისებურ გაგებასთან და მორალური მსჯელობის განვითარებასთან.

გ. კრაიგი გამოყოფს სოციალური შემეცნების სამ ასაქეტს:

1) *სოციალური დასკვნა*. ესაა ბავშვის აზრი იმის შესახებ, თუ რას გრძნობს და ფიქრობს სხვა ადამიანი. ესაა დასკვნა სხვა ადამიანთა აზრების, გრძნობებისა და ზრახვების შესახებ. ექვსი წლის ასაკში ბავშვს უკვე შეუძლია მივიდეს იმ დასკვნამდე, რომ სხვა ადამიანების აზრები შეიძლება განსხვავებული იყოს მისი აზრებისაგან. რვა წლის ასაკში ისინი ნათლად აცნობიერებენ, რომ სხვა ადამიანს შეუძლია გაიგოს მისი საკუთარი აზრების მსვლელობა. ათი წლის ბავშვს კი უკვე შეუძლია წარმოიდგინოს სხვა ადამიანის აზრების შინაარსი და

მიზინარობა. ამავე დროს იგი იმასაც აცნობიერებს, რომ ამ ადამიანისათვის მისი აზრებიც შეიძლება განსჯის საგანი იყო. სოციალური დასკვნის განვითარება მაღალ დონეს განდამავალ ასაკში აღწევს.

2) *სოციალური დამოკიდებულება*. ესაა ადამიანთა შორის არსებული განსაზღვრული ვალდებულებების ფონზე მიზინარე ისეთი კატეგორიების შუთვისება, როგორიცაა პატიოსნება, სამართლიანობა, კანონიერება და ერთგულება. ამ ვალდებულებების ცოდნა სოციალური შემეცნების აუცილებელი ნაწილია.

3) *სოციალური განსწესობა*. ესაა ხე-ჩვეულებები, ადამ-წესები და პირობითობები, რომლებიც დასაწყისში შეითვისება მექანიკურად ან სრულდება წაბძვის გზით, როგორც აღნიშნავენ ბავშვთა უბრავლესობა ეგოცენტრიზმის ტყვეობიდან ექსის-შეიდი წლის ასაკში თავისუფლება და უკვე შესაძლებელი ხდება სოციალური შემეცნების დაწყება.

სწავლის დაწყება ანუ ქცევის ერთი ძირითადი ფორმიდან (თამაში) მორეზე(სწავლა) გადასვლა ნიშნავს გარეშემოყოფ ადამიანებთან ურთიერთობის სრულიად ახალ ფორმაზე ფსიქოლოგიურ გადასვლას. შეიძლება ითქვას, რომ უმცროსკლასელის ცხოვრება პრინციპულად შეიცვალა. როგორც მკვლევარები ამტკიცებენ სკოლამდელი ბავშვობის თავსუფლება ადგილს უთმობს ცხოვრების ახალ მოთხოვნებისადმი დაქვემდებარებულ და დამოკიდებულ წესს.

სკოლაში მოსვლამდე ბავშვი ოჯახში სოციალურ ურთიერთობათა გარკვეული სტილითა და წესით ცხოვრობდა. ახალ სიტუაციაში მოხვედრით კი ურთიერთობის ჩამოყალიბებული და გამტკიცებული სტილი იძენს ახალ ნიუანსებს. ვ. მუხინა გამოყოფს ურთიერთობის ხუთ სტილს:

1) *ავტორიტარული სტილი* გულისხმობს მკაცრ ხელმძღვანელობას, ინიციატივის ჩახშობასა და იბულებას. ამ დროს ყვირილი და ფიზიკური დასჯა ჩვეულებრივი ტიპური მოვლენებია. თუმცა ამავე დროს ასეთ ოჯახებში არაა გამორიცხული, რომ შეიძლება მოხდეს სიყვარულის გამოვლენაც საკმაოდ ესქსპრესიული ფორმებით. ასეთ ოჯახებში იზრდება საკუთარ თავში დაურწმუნებელი, ნევროტული ან აგრესიული ბავშვი. ასეთი ბავშვები ამ თვისებებს სკოლაში ავლენენ თანატოლებთან დამოკიდებულებაში.

2) *ლიბერალური სტილი* გულისხმობს ბავშვთან ურთიერთობას, როცა მას აძლევენ ყველაფრის უფლებას, უსრულებენ ყველა კაპრიზს და უშვებენ თავის ნებაზე, რაც ძალზე ხელისშემშლელი ფაქტორი ხდება სოციალურად სრულყოფილი პიროვნების ჩამოყალიბების პროცესში. ასეთი ბავშვისაგან ვითარდება ეგოისტი, რომელსაც არ შეუძლია ნორმალური ურთიერთობა დაამყაროს სხვა ადამიანებთან. ასეთი ბავშვი კონფლიქტური და ძნელადღასზრდელია. ასეთი ოჯახიდან გამოსული ბავშვი სკოლაში ვერ ახერხებს თანატოლებთან ნორმალურ ურთიერთობებს, რადგანაც მას არ შეუძლია დათმობა და საკუთარი სურვილების საერთო მიზნებისათვის დაქვემდებარება. ესაა ჩამოყალიბებული ე.წ. სოციალური ეგოცენტრიზმი.

3) *პიკერმეურვეობა*. ეს სტილი ლიბერალური ხელშიშეებულობის ერთ-ერთი ვარიანტია, რომლის დროსაც ბავშვის დამოუკიდებლობა თითქმის დაკარგულია.

მას ოჯახში გაბატონებული მდგომარეობა უკავია და ყველა ცდილობს ყველაფერი მის მაგივრად გააკეთონ. ასეთი ბავშვებიდან იზრდებიან ინფანტილები, ნევროტულები და საკუთარ თავში დაურწმუნებლები. ასეთი ინფანტილიზმი და სხვაზე დამოკიდებულების განცდა მას დიდ დამრკოლებებს უქმნის სკოლაში თანატოლებთან და მასწავლებლებთან ურთიერთობაში. ასეთ ბავშვს სხვები ადვილად იძორჩილებენ.

4) *ღირებულებითი დამოკიდებულების სტილი*. ამ დროს ბავშვისადმი სიყვარულს გამოხატავენ კეთილი დამოკიდებულების დამყარებით. შშობლები ბავშვთან თამაშობენ, რთავენ მას საქმეში და საუბრობენ მასთან საინტერესო საკითხებზე. ასეთ ოჯახში იზრდება სრულყოფილი ბავშვი, რომელმაც იცის სხვისი სურვილების გათვალისწინების აუცილებლობა. ასეთი ბავშვი სკოლაში თანატოლებთან ურთიერთობის პროცესში ავლენს ინიციატივას, დამოუკიდებლობას. მასთან ყველა ცდილობს ურთიერთობას, იგი დისციპლინიანია.

5) *განკერძოებული სტილი* გულისხმობს ბავშვის პიროვნებისადმი ინდიფერენტულ, გულგრილ დამოკიდებულებას. ასეთ ოჯახში უფროსები „გერ ამჩნევენ“ ბავშვებს და მათთან თითქმის არ ამყარებენ ურთიერთობებს. ასეთი ბავშვები თავის თავს განიცდიან მარტოსულებად; შშობლების მიერ ბავშვის ცხოვრებისადმი დაუნტერესებლობა ბადებს გარკენძობულ დამოკიდებულებას ან აგრესიას ადამიანებისადმი. სკოლაში თანატოლებთან ურთიერთობებში ასეთ ბავშვებს მრავალი პრობლემა ექმნებათ.

სოციალური ურთიერთობების განსხვავებული სტილები სერიოზულ ზეგავლენას ახდენს ბავშვის პიროვნების ფორმირებაზე. სერიოზული სოციალური პრობლემა ბავშვის აგრესიული ქცევები ოჯახის წევრებისადმი. შშობლებისადმი აგრესიული დამოკიდებულება (ფარული და ღია აგრესია) უმეტესწილად გარდამავალი და ჭაბუკობის ასაკის პრობლემაა. მაგრამ იგი ჩასახვას ადრე იწყებს და უმცროს სასკოლო ასაკში გარკვეული სპეციფიკითაც გამოირჩევა. ამ ასაკში სისასტიკის გამოვლენის მიზეზი ბევრია. ეს შეიძლება იყოს შშობლების ფსიქოლოგიური გაუწონასწორებლობა, მათი უცმაყოფილობა ცხოვრებით, სამსახურით და მუდმივი წუწუნით ამის შესახებ, მეუღლეებს შორის დამოკიდებულებით, ღალატით, ოჯახში აყალ-მაყალით, ბავშვის ფიზიკური დასჯით და სხვ.

თავისებურია უმცროსკლასელების მასწავლებელთან ურთიერთობის სფეროც. ბავშვის ქცევას მნიშვნელოვანწილად აპირობებს მასწავლებელთან მისი ემოციური დამოკიდებულება. მასწავლებელსა და უმცროსკლასელს (განსაკუთრებით პირველკლასელს) შორის მყარდება მჭიდრო ემოციური ურთიერთობა. უმცროსკლასელს აქვს დიდი მოთხოვნილება უფროსებისადმი დადებითი ემოციური დამოკიდებულებისა და ასეთ ცენტრალურ ფიგურას წარმოადგენს მასწავლებელი. მასწავლებლები ბავშვების მიმართ, ძირითადად, ავლენენ ურთიერთობის ორ ტიპს: იმპერატიულს და დემოკრატიულს.

ურთიერთობის იმპერატიული სტილის დროს მოითხოვება უსიტყვი მორჩილება. ამ დროს მასწავლებლისათვის მთავარია დისციპლინის დამყარება, რაც ფაქტობრივად მოსწავლეებზე ფსიქოლოგიურ ზეწოლას წარმოადგენს; ესაა, ერთგვარი ემოციური სიცივე. ასეთ მასწავლებელს კლასში დისციპლინა ყოველთვის აქვს დამყარებული,

მაგრამ ბავშვებში იგი იწვევს დაძაბულობას, სტრესს, შფოთვას. ასეთი სტილი ახშობს ყოველგვარ ინიციატივას და დამოუკიდებლად მიზნის მიღწევის მოტივაციას. ბავშვებს ასეთი მასწავლებლის ემინათ. ასეთი ტიპის მასწავლებელთან მოსწავლის ურთიერთობა იძულებით ხასიათს ატარებს.

მასწავლებლის დემოკრატიული სტილი გულისხმობს თანამშრომლობას, მოსწავლეთა აქტიურ პოზიციას, მეგობრობას და დადებით ემოციურ დამოკიდებულებებს. ასეთი მასწავლებელი ხელს უწყობს ბავშვის აქტივობას, ინიციატივის და დამოუკიდებლობის განვითარებას. ბავშვებს ასეთი მასწავლებელი უყვართ.

უმცროსკლასელთა სოციალური აქტივობის გამოვლენის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფორმა მეგობრული ურთიერთობებია. ნამდვილი, ინტიმური მეგობრობის არსი უმცროს სასკოლო ასაკში მიუწვდომელია, მაგრამ თანატოლთა სიმპატიებზე დამყარებული ურთიერთობების სპეციფიკური ფორმები მათთვის მისაწვდომია და იგი პიროვნების განვითარების განსაზღვრული დონის მაჩვენებელია.

ამერიკელმა მკვლევარმა სელმანმა ჩამოაყალიბა საშუალო ბავშვობაში (6-12წ.) მეგობრობის განვითარების ოთხი სტადია. (მასალა მოტანილია წიგნიდან - П.Крафт: Психология развития. 2000 г.)

1) 6-7 წლის ასაკში მეგობრობა დამყარებულია ფიზიკურ ან გეოგრაფიულ ფაქტორებზე. ამ ასაკის ბავშვები ეგოცენტრულები არიან და არ შეუძლიათ სხვების პოზიციის სრულყოფილი გაცნობიერება. მათთვის მეგობარი არის თამაშის პარტნიორი, ერთ სადარბაზოში მცხოვრები ან სპორტულ სექციაში გაცნობილი თანატოლი.

2) 7-9 წლის ასაკში მეგობრობა უკვე ეფუძნება ურთიერთგაგების იდეას და სხვების გრძობების გაგების შესაძლებლობას. ახლა მეგობრობის საფუძველი ხდება სოციალური ქმედებებიც.

3) 9-11 წლის ასაკში მეგობრობა ეფუძნება ნამდვილ თანასწორობას. ამ ასაკის ბავშვის აზრით მეგობრები არიან ადამიანები, რომლებიც ერთმანეთს ეხმარებიან. ამ სტადიაზე ჩნდება პასუხისმგებლობისა და მოვალეობის წარმოადგენებებიც.

4) 11-12 წლის ასაკში მეგობრობა დებულობს შედარებით მყარი ურთიერთობის ფორმას, რომელიც დამყარებულია ურთიერთინდობის ფაქტორზე. უნდა აღინიშნოს, რომ მეგობრობის ეს ფორმა ამ ასაკში მეტად იშვიათია.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ სელმანის, კრაივის და სხვა მკვლევართა მოსაზრებები საშუალო ბავშვობის ასაკში მეგობრული ურთიერთობების შესახებ, გადაჭარბებული და გაზვიადებულია. მეგობრობის ფუნქციის ასეთი მარტივი გაგება არ შეესაბამება მის ფსიქოლოგიურ არსს. ნამდვილი ფსიქოლოგიური, ინტიმური მეგობრობა გაცილებით რთული ფუნქციონირებს და მისი არსი უმცროს სასკოლო ასაკში არაა მისაწვდომი. ნამდვილი მეგობრობა იწყება უფროს მოზარდებთან (ამის შესახებ ქვემოთ).

უმცროს სასკოლო ასაკში ნათლად ვლინდება მოსწავლეთა მორალურ-ფსიქოლოგიური განვითარების ტენდენციები. ბავშვის მორალური განვითარება

სკოლაში შესვლამდე იწყება, მაგრამ მორალური ნორმებისა და მოთხოვნების შესრულების აუცილებლობის წინაშე იგი სკოლაში დგება. ამ ასაკში საფუძველი ეყრება მორალურ ქცევებს, ხდება მორალური წესებისა და სორმების შეთვისება, ჩამოყალიბებას იწყებს პიროვნების საზოგადოებრივი მიმართულება. პირველიდან მესამე კლასამდე მოსწავლეთა მორალური მსჯელობები ძალიან მდიდრდება, უფრო ნათელი და განსაზღვრული ხდება. პირველკლასელთა მორალური მსჯელობები ძირითადად საკუთარ ცხოვრებისეულ გამოცდილებასა და უფროსების კონკრეტულ მითითებებზეა დაყრდნობილი. მეორე და მესამე კლასებში კი ამას სხვა ადამიანთა გამოცდილების ანალიზის უნარიც ემატება, რაც მორალურ ქცევებშიც აისახება. თუ პირველი და მეორეკლასელები დადებით მორალურ საქციელს მასწავლებლის მითითებით ასრულებენ, მესამე კლასელებს ასეთი საქციელის ჩადენა საკუთარი ინიციატივითაც შეუძლიათ.

მოსწავლეთა ზნეობრივი ქცევის ფორმირება ზნეობრივი მოტივების განვითარებისათვის სპეციალური მუშაობის ჩატარების გზით შეიძლება. ამ მიმართულებით ვარჯიშის დროს მოტივები სტერეოტიპულ და მუდმივ ხასიათს ღებულობენ. უმცროსკლასელთა პიროვნების ისეთი მხარეების აღზრდის საქმეში, როგორცაა ორგანიზებულობა, სიბეჯითე, სიკეთე და სხვა, ბავშვისათვის ნათელი უნდა იყოს არა მხოლოდ შესასრულებელი მოქმედების მიზანი, არამედ ისიც, თუ რას ემსახურება ეს მიზანი. ბავშვების ზნეობრივი ვარჯიში ღიდ ეფექტს მაშინ იძლევა, როცა მასწავლებელი ბავშვებში მიზნის მიღწევის აქტიურ პირად სწავფვას იწყებს. თუ ეს მისწრაფება აქტიური არაა, მაშინ იბულებითი ვარჯიში ზნეობრივ მოტივებს ჩვევად ვერ გადააქცევს. ამ ასაკის ბავშვებისათვის ზნეობრივი მიზნების დასახვა რთული და ძნელი საქმეა. მასწავლებლის მთელი ხელოვნება ამ მიმართულებით მუშაობაში იმაში მდგომარეობს, რომ მან ამ მიზნების ქველემენტად დანაწევრება, ზოლო ნაწილების გაცნობიერების შემდეგ მათი დანაწილება შეეძლოს.

ჟ. პიაჟეს მიხედვით მორალი არის ინდივიდის მიერ საზოგადოებრივი ნორმებისადმი პატივისცემა და სამართლიანობის გრძნობა. ბავშვებში მორალური გრძნობა აღმოცნდება განვითარებადი ინტელექტისა და სოციალური გამოცდილების თანდათანობითი გაფართოების ურთიერთობის საფუძველზე. ჟ. პიაჟეს აზრით მორალური გრძნობის განვითარება გაივლის ორ სტადიას:

1) 4-6 წლის ასაკში ბავშვები თვლიან, რომ ქცევის ნორმები უნდა იქნას დაცული, რადგანაც ესაა არსებობის რეალური ურღვევი პირობა. საქციელის ზნეობრიობა ფასდება მისი შედეგებით. დამნაშავეა ის, ვინც მოიტანა მეტი ზიანი. მაგალითად, ბავშვი თვლის იმას უფრო დამნაშავედ, რომელმაც უცაბედად შემოხვევით გატეხა თორმეტი თუფში, ვიდრე იმას, რომელმაც შეგნებულად გატეხა ორი თუფში.

2) 7 წლის ასაკში ბავშვები აღწევენ ზნეობრივი რელატივიზმის სტადიას. ახლა ისინი ხედებიან, რომ ქცევის წესები შექმნილია ადამიანების მიერ ურთიერთშთანხმების საფუძველზე, რომელთა შეცლააც, ასევე ურთიერთშთანხმებითაა შესაძლებელი. აქედან გამომდინარე ბავშვები აცნობიერებენ, რომ არაფერი არ არსებობს აბსოლუტურად სწორი ან აბსოლუტურად არასწორი და, რომ საქციელის

ზნობრიობა განისაზღვრება, უპირველეს ყოვლისა, არა შედეგებით, არამედ ზრახვებით.

მეტად საინტერესოა, აგრეთვე, ლ. კოლბერგის საშუალო ასაკის ბავშვის მორალური განვითარების სტადიებიც. მიუხედავად მრავალი კრიტიკული შენიშვნისა, ეს შეხედულება დასავლეთის ქვეყნებში დღესაც პოპულარულია. ლ. კოლბერგი თვლის, რომ არსებობს მორალურ მსჯელობათა სამი დონე, რომელიც თავის მხრივ იყოფა ექვს სტადიად.

I წინარეკონვენციონალური დონე (დაფუძნებული წახალისებასა და სასჯელზე)

1) პირველი სტადია. სასჯელისაგან თავის არიდების ორიენტაცია და დაჯერება. უნდა დაემორჩილო კანონებს, რათა თავიდან აიცილო სასჯელი.

2) მეორე სტადია. გულბერყვილო ინსტრუმენტალური პედონიზმი. წესებს უნდა დაემორჩილო ჯილდოს მისაღებად ან პირადი გამორჩენისათვის.

II კონვენციონალური დონე (დაფუძნებული სოციალურ კონფორმულობაზე)

3) მესამე სტადია – ქცევების მოწონება სხვა ადამიანების მიერ. წესებს იმიტომ უნდა დაემორჩილო, რომ ერიდო სხვა ადამიანთა მიერ არმოწონებას და კრიტიკას.

4) მეოთხე სტადია. ძალაუფლებისა და კანონის ხელისშემწყობი მორალი. წესებს იმიტომ უნდა დაემორჩილო, რომ არ დაიმსახურო საყვედური ხელისუფლებისაგან და არ აღმოვიცნდეს ანაშაულის განცდა.

III პოსტკონვენციონალური დონე (დამყარებული მორალურ პრინციპებზე)

5) მეხუთე სტადია. საზოგადოებრივი და დემოკრატიულად მიღებული კანონებისა და წესების მორალი. მოცემული ქვეყნის კანონები უნდა დაიცვა საყოველთაო კეთილდღეობის მისაღწევად.

6) მეექვსე სტადია. თავისუფალ სინდისზე ორიენტირებული მორალი. უნდა დაიცვა საკაცობრიო უნივერსალური ეთიკური პრინციპები, „სამწუხაროა, რომ ლ. კოლბერგი მორალური განვითარების დონეებსა და სტადიებს შორის არ აკეთებს ასაკობრივ დიფერენციაციას. მეტად საეჭვოდ გვეჩვენება, აგრეთვე, ბოლო ორი სტადიის მიღწევის შესაძლებლობაც საშუალო ბავშვობის ასაკში.

უმცროსკლასელთა ზნობრივი თვისებების ფორმირების საქმეში მხოლოდ მოტოვთა აღზრდა არაა საკმარისი. ზნობრივი ქცევის ფორმირება მოსწავლეებში ერთიანი სისტემის შექმნას მოითხოვს, სადაც მორალური ცოდნა, მიმართულებები და მოქმედებები იქნება ჩართული. თუ მასწავლებელი და აღმზრდელი ამ ერთიანი კომპლექსის ცალკეული რგოლის ერთდროულად ფორმირებაზე არ მუშაობს, მაშინ ეს შეცდომებს თავს ვერ დააღწევს. ასეთ შემთხვევაში ცოდნა იმისა, თუ ვინ უნდა იწოდებოდეს გმირად, მამაცად, პატიოსნად, ზარმაცად, სამართლიანად, მშინზრად, უსამართლოდ – ფორმალური ცოდნის დონეზე რჩება. ყოველივე ეს თავს იყრის საერთო პრობლემაში, რომელსაც სიტყვასა და საქმეს შორის განსვლა ეწოდება და რომელიც მოსწავლის პიროვნების აღზრდილობის ერთ-ერთ ძირითად, უშუალო კრიტერიუმს წარმოადგენს. ამ უარყოფით ზნობრივ მოვლენას უფროსების ყურადღება თავიდანვე უნდა მიექცეს.

ზნობრივი ცნებების ერთ-ერთი თავისებურება ისაა, რომ ეს ცნებები შეუვასების, ამასთანავე ალტერნატიულისაც, მომენტს შეიცავენ. კეთილი, პატიოსანი, გაბედული,

ბეჯითი — კარგი, ხოლო ზარმაცი, მატყუარა, უსამართლო — ცუდი. ამიტომ ზნეობრივი ცნებების დაუფლება მხოლოდ შექმენებითი აქტივობით არ ამოიწურება. არაა საკმარისი ბავშვმა იცოდეს რა არის ტყუილი, სიზარმაცე, სიკეთე, ბოროტება და ა.შ. არამედ საჭიროა შესაბამისი თვისებები მოსწავლეებში ადექვატურ ემოციურ განცდებსა და შეფასებებს იწვევდეს.

პიროვნების ჩამოყალიბება მთლიანობაში და არა ნაწილ-ნაწილ წარმოებს. უმცროსკლასელთა პიროვნება გარესსამყართან აქტიური ურთიერთობაში ვითარდება, თითოეული პიროვნების თვისებები აქტიური მოქმედების სხვადასხვა ფორმებში ყალიბდება. პიროვნების ინდივიდუალური თვისებების ერთობლიობა, რომელიც გარესსამყართან ტიპურ დამოკიდებულებაში გამოიხატება, პიროვნების ინდივიდუალურ თავისებურებას, მის ხასიათს შეადგენს. ხასიათი პიროვნების ყოველგვარ ქცევას შესაბამის ინდივიდუალურ დავს ასეა. ხასიათის საფუძველია პიროვნების მორალური მიმართულება, მისი ზნეობრივი მსოფლმხედველობა.

უმცროს სასკოლო ასაკში ხასიათის ჩამოყალიბება მხოლოდ იწყება. ამ ასაკის ბავშვის ხასიათის თვისებები არაა მდგრადი და გამოკვეთილი. მოსწავლეთა მიერ ხასიათის თვისებების გამოვლენა წინააღმდეგობით ხასითდება. სახლში ბავშვი შეიძლება ჭირვეული და თავნება იყოს, სკოლაში კი — დისციპლინირი და ბეჯითი, ბებიას მიმართ უხეში და მკაცრი, ხოლო ცხოველების მიმართ — ფაქიზი და აღერსიანი. უმცროსკლასელთა ხასიათი იმპულსურია, მყისთანადი მოქმედებისა და მოქმედების მოფიქრება და აწონ-დაწონვა არ ხდება. ამ მოვლენის მიზეზი ნებელობითი რეგულაციის სისუსტეა.

უმცროსკლასელთა ხასიათის გაერცვლებული ნაკლავი კაპრიზულობა და სიჯიუტე, რომლის ძირითადი მიზეზი არასრულყოფილი ოჯახური აღზრდაა. ბავშვი ოჯახში მიჩვეულია, რომ მისი ყველა სურვილი და მოთხოვნა კმაყოფილდება. ხასიათის აღნიშნული უარყოფითი თვისებები ბავშვის თავისებური პროტესტია იმ მოთხოვნებზე, რომელსაც მას სკოლა უყენებს. ამ ასაკის ბავშვის ხასიათის მნიშვნელოვანი თვისებებურებაა აგრეთვე მიმბაძველობა. ბავშვი ცდილობს უფროსებსა და ზოგიერთ თანატოლს ყველაფერში მიბაძოს. ხასიათის ეს თვისება ბავშვის დადებით მაგალითებზე აღზრდის საშუალებას იძლევა, მაგრამ არის საშიშროებაც, — უმცროსკლასელი არა მარტო დადებით ქცევებს ბაძავს. შესაბამის სასწავლო-სააღმწერლო ღონისძიებათა შედეგად შესაძლებელია უვითარებად შრომის მოყვარობა, სიბეჯითე, დისციპლინა, აკურატულობა და მოვალეობის გრძნობა. ხასიათის აღზრდა, უმცროსკლასელთა მოვალეობის აღზრდის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მომენტია.

ხასიათის დინამიურ მხარეს წარმოადგენს ტემპერამენტი, რომელიც თავის მხრავ უმაღლესი ნეერვეული მოქმედების თვისებებურებებით განისაზღვრება. ესაა ნერვეულ პროცესთა ძალა, გაწონასწორებულობა და ძვრადობა. თითოეული ამ ნიშნის თავისებური გამოხატულება და განსხვავებული ხარისხებით შერწყმა ყოველი ბავშვის ტემპერატმენტის ინდივიდუალურ თვისებებურებას შეადგენს. უმცროს სასკოლო ასაკში ტემპერამენტის ოთხივე ტიპი ვლინდება. სწორი აღზრდის პირობებში შესაძლებელია ტემპერამენტის ზოგიერთი უარყოფითი გამოვლენის გამოსწორება: ქოლერიკებს უმუშავებიათა თავშეკავება, ფლევმატიკებს

- აქტიურობა და სისწრაფე, სანგინიკებს - მოთმინება და მუყაითობა, მულანქალიკებს - გულღიაობა და საკუთარ თავში დარწმუნებულობა. ნებისყოფისა და ხასიათის აღზრდის შესაძლებლობა ამ ასაკში საშუალებას იძლევა ბავშვებს შექმედისდაგვარად საკუთარი ტემპერამენტის მართვის უნარიც გამოუვუმუშავოთ.

უმცროს სასკოლო ასაკში აქტიურად ვითარდება მოსწავლეთა ინტერესებიც. ძირითადად შეტყნებითი ინტერესები. თუ პირველ და მეორეკლასელებს უმეტესად იზოლირებული, ცალკეული ფაქტები აინტერესებთ, შემდგომ კლასებში კი ამ მიმართებით უკვე ფაქტებისა და მოვლენათა მიზეზები და ურთიერთკავშირი გამოდის წინა პლანზე. ეს ინტერესები მათ შეკითხვებშიც ვლინდება: „საიდან ქრის ქარი“, „რატომ არ ვარდებიან ვარსკვლავები და თვითმფრინავები“, „რატომ კვდება ადამიანი“, „როდის და რატომ გადაშენდნენ დინოზაურები“ და ა.შ.

უმცროსკლასელთა პიროვნების განვითარების მნიშვნელოვანი მაჩვენებელია თვითცნობიერება და თვითშეფასება. თვითცნობიერება არის საკუთარი „მე“-ს ცნობიერება. ხოლო თვითშეფასება თვითცნობიერების ძირითადი კომპონენტია. თვითშეფასება მოსწავლეთა მირ საკუთარი ძალებისა და შესაძლებლობების შეფასებას და საკუთარი თავისადმი კრტიტიკულ მიდგომას გულისხმობს. თვითშემეცნება ემყარება თვითშეფასებას და ამ გზით საკუთარი თავის შესახებ მობოკებულ ცოდნას. თვითშეფასება არის პრეტენზიის დონის საფუძველი. იგი პიროვნების ფორმირების მნიშვნელოვანი ფაქტორია. თვითშეფასება ფსიქიკის რთული წარმონაქმნია, რომელით თვითცნობიერების პროცესების განმარტადოებელი მუშაობის საფუძველზე აღმოცენდება. იგი გაივლის განსხვავებულ ეტაპებს და განვითარების სხვადასხვა საფეხურზე იმყოფება, ამიტომ თვითშეფასება მუდმივად იცვლება და სრულყოფილი ხდება.

თვითშეფასება საკუთარი თავის, მოქმედებების, კოლექტივში მდგომარეობის, კოლექტივის წევრებთან ურთიერთობის და საკუთარ შესაძლებლობა შეფასებას გულისხმობს. თვითშეფასების განვითარების დონეზეა დამოკიდებული პიროვნების აქტივობა, მისი მონაწილეობა კოლექტივის მოქმედებაში და მისწრაფება თვითაღზრდაში. გარეშემყოფთა შეფასება უმცროსკლასელთა თვითშეფასების განმსაზღვრელია. ამიტომ საკლასო კოლექტივის აზრს ბავშვის პიროვნების განვითარებაში უდიდესი მნიშვნელობა აქვს. თვითშეფასება უფრო რთული ფუნქციაა, ვიდრე სხვების შეფასება. იგი შეფასებაზე უფრო ვიან ვითარდება.

თვითცნობიერება და თვითშეფასება ბავშვს უცებ არ ეწყება. ამ რთული ფუნქციის ცალკეული კომპონენტები თანდათანობით ყალიბება, გამოყოფენ თვითცნობიერების ოთხ მთავარ კომპონენტს, როგორც მისი განვითარების ფაზებს:

ა) იგივეობის ცნობიერება, რომლის ჩანასახი ჯერ კიდევ თერთმეტი თვის ასაკიდან იწყება, როცა ბავშვის საკუთარი სხეულისაგან მობმდინარე შეგარძნებების გარესამყაროს შეგარძნებებიდან განსხვავებას იწყებს;

ბ) „მე“-ს ცნობიერება, როგორც აქტიური საწყისი და ქცევის სუბიექტი, რომელიც ვითარდება ორი-სამი წლის ასაკში, როცა ბავშვი იწყებს პირის ნაკვალსახელების ათვისებას და აღმოცენდება ბავშური ნეგატივიზმის პირველი ფაზა, რომელიც გამოიხატება ფორმულით „მე თვითონ“;

გ) საკუთარი ფსიქიკური თვისებების ცნობიერება, რომელიც თვითდაკვირვების

მონაცემების განზოგადების გზით მიმდინარეობს და ამიტომ სათანადოდ განვითარებულ აბსტრაქტულ აზროვნებას მოითხოვს;

დ) სოციალურ-ზნეობრივი თვითცნობიერება, რომლის უნარიც გარდამავალ ასაკში და ჭაბუკებთან ცხოვრებისეული გამოცდლების საფუძველზე ყალიბდება.

პირველკლასელის თვითშეფასების თავისებურება ისაა, რომ თვითშეფასება ქცევის ერთ სახეობაში განსხვავებულია ქცევის სხვა სახეობის თვითშეფასებისაგან. ხატვაში შეიძლება მან საკუთარი თავი სწორად შეაფასოს, მაგრამ წერა-კითხვის პროცესში – გადააფასოს. პირველკლასელები უპირველეს ყოვლისა აცნობიერებენ და აფასებენ იმ ქცევის ნიშნებსა და თავისებურებებს, რომლებიც უფროსების მიერ ხშირად ფასდება. აღმოჩნდა, რომ ის ექვსწლიანები, რომლებიც სკოლაში სწავლობდნენ, ადექვატურად აფასებდნენ სასწავლო წარმატებებს, რომელსაც მასწავლებელი დიდ ყურადღებას უთმობდა. ხოლო ის ექვსწლიანები, რომლებიც სკოლაში არ დადიოდნენ, საკუთარ თავს უფრო ადექვატურად სათამაშო სიტუაციაში აფასებდნენ.

პიროვნების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მახასიათებელი არის თვითშეფასება, რომელიც გულისხმობს საკუთარი თავის, ქცევის, ჯგუფში მდგომარეობის და ჯგუფის სხვა წევრების მიმართ მისი დამოკიდებულების შეფასებას. თვითშეფასებაზე დამოკიდებული ადამიანის აქტივობა და თვითსრულყოფისადმი მისწრაფება. თვითშეფასება ვითარდება სხვათა შეფასებების თანდათანობითი ინტერორიერიზაციის გზით.

უმცროსკლასელთა თვითშეფასება ემყარება გარეშემომყოფ ადამიანთა შეფასებებს, რომელთა ათვისება ხდება მზამზარეული სახით ყოველგვარი კრიტიკული მიდგომის და ანალიზის გარეშე.

სხვათა შეფასებებზე დამყარებული საკუთარი თვითშეფასება არსებითია მოზარდობის ასაკის დაწყებამდე.

ექვსი-შვიდი წლის ასაკში ბავშვი საკუთარი განცდების განზოგადების მაღალ დონეს აღწევს, რის საფუძველზედაც ვითარდება მისი რეგულატორული ფუნქცია როგორც საკუთარ ქცევებში, ასევე სხვებთან ურთიერთობაშიც. ამ ასაკში თვით ქცევის რეგულაცია ხდება გაცნობიერების საგანი, რომელიც დიდ მიღწევად უნდა ჩაითვალოს. საკუთარ ფსიქო-ფიზიკურ და ინტელექტუალურ შესაძლებლობებზე დაყრდნობით ბავშვი ისახავს მიზნებს და მისი მიღწევის საშუალებებსაც პოულობს. ამ ასაკში მოქმედების დაგეგმვის ჩანასახოვანი ფორმებიც ჩნდება, მოქმედება სრულდება შინაგან პლანში, თავისთვის. ამ მოქმედების განხორციელება გულისხმობს საკუთარი აზრებისა და შეხედულებების „სხვისი თვალით“ შეფასებას. ეს უნარი საფუძველად ედება რეფლექსიას. საკუთარ შესაძლებლობათა გაცნობიერებაზე დამყარებული ნებისმიერი ქცევის უნარი, რომელშიც სააზროვნო მუშაობის განსხვავებული ფორმებია ჩართული, ამ ასაკის ბავშვის თვითცნობიერების რეგულატორული ფუნქციის სრულყოფის მაჩვენებლად გვევლინება.

სასკოლო ასაკის დასაწყისში საკუთარი „მე“ ბავშვის ცნობიერებისათვის გაუნაწევრებელი, მოლიანი მდგომარეობაა, რომელიც მისთვის მხოლოდ შეფასების საგანს წარმოადგენს. ამ ასაკის ბავშვი თავისი ყოველდღიური აქტივობის სუბიექტად

წარმოდება და შეფასებას ექვემდებარება. შეფასების კრიტერიუმად კი გამოიყენებულა ბავშვის ქცევის მიმართ სკოლისა და ოჯახის მიერ წაყენებულ მოთხოვნათა შესატყვისობა – შეუსატყვისობა. ამასთანავე ხშირად ეს შეფასება მოკლებულია ობიექტურ საფუძველს და ბავშვის სურვილებით და უფროსების უშუალო შთაგონებითა განპირობებული.

ბავშვის თვითცნობიერების განვითარება მოვლენათა კატეგორიზაციის უნარს გულისხმობს. ეს კარგად ჩანს ბავშვის ცნობიერებაში სექსობრივი მიკუთვნებულობის შესახებ წარმოდგენის გაჩენით. წლინახვერის ბავშვმა იცის, იგი გოგოა თუ ბიჭი, მაგრამ ეს რას ნიშნავს ჯერ ვერ აცნობიერებს. სამი წლის ასაკში ბავშვი საკუთარი თავისა და სხვების იდენტიფიკაციას ახდენს განსაზღვრული სექსობრივი კატეგორიებით, მაგრამ ამ დაყოფის ნიშნები შეიძლება შემთხვევითი (მაგალითად, ტანსაცმელი) იყოს. ექვსი-შვიდი წლის ასაკში ბავშვი თვისებს სქესის ცნებას, აცნობიერებს სექსობრივი მიკუთვნებულობის შეუქცევადობას და ამ სპეციფიკის გათვალისწინებით ქცევის შეგნებულ რეგულაციას იწყებს. ამის ანალოგიურად უფრო გვიან თვითცნობიერების სხვა ასპექტებიც (მაგალითად, ეროვნული მიკუთვნებულობა) ყალიბდება.

თვითშეფასება შეიძლება იყოს ადექვატური და არაადექვატური, ე.ი. მოსწავლეთა რეალურ შესაძლებლობათა სწორად ან არასწორად ამსახავი. თვითშეფასების ხასიათთან დაკავშირებით მოსწავლეს საკუთარი თავისადმი ადექვატური ან არაადექვატური დამოკიდებულება უვითარდება. არაადექვატური შეფასების დროს ხშირად წარუმატებლობა და კონფლიქტები, ირღვევა მათი პიროვნების პარამეტრება, თვითშეფასების ხასიათი აგრეთვე პიროვნების ზოგიერთი თვისების ფორმირებასაც განსაზღვრავს. ადექვატური თვითშეფასება ხელს უწყობს მოსწავლეთა საკუთარ ძალებში დარწმუნებულობის, თვითკრიტიკულობის, მიზანსწრაფულობის, მომთხოვნებლობის, ზოლო არაადექვატური – დაურწმუნებლობის ან ზედმეტად დარწმუნებულობის, უკრიტიკობის და ა.შ. განვითარებას.

საკუთარი თავისადმი სრული ადექვატური დამოკიდებულება თვითშეფასების განვითარების უმაღლესი სტადიაა და იგი ზრდადამთავრებულ ადამიანებთან მიიღწევა. თვითცნობიერებისა და თვითშეფასების განვითარების ასაკობრივი დინამიკის გათვალისწინება სასწავლო-საღმწრდელო პროცესში აუცილებელია. უმცროსკლასელთა თვითშემეცნება ხორციელდება არა თამაშში, არამედ სასწავლო ქცევაში, რომელიც მიზანმიმართული და ნებისმიერი ქცევაა. უმცროსკლასელები საკუთარ თავშიც მეტ თვისებებს ამჩნევენ, ვიდრე სკოლაშლელები, უმცროს სასკოლო ასაკში საკუთარ თავზე შეხედულებების თვასაზრისით გამოყოფენ სამ ჯგუფს:

პირველ ჯგუფს მიკუთვნებიან ის მოსწავლეები, რომელთა შეხედულება საკუთარ თავზე ადექვატური და მყარია. წარმოდგენის შინაარსში პიროვნების რთული და განზოგადებული თვისებები შედის. ამ ჯგუფის ბავშვებს საკუთარი ქცევის ანალიზი, მისი მოტივის გამოყოფა და საკუთარ თავზე ფიქრი შეუძლიათ. ეს ბავშვები უმეტესად საკუთარი ცოდნის საფუძველზე ახორციელებენ ქცევებს, ვიდრე უფროსების შეფასებით.

მეორე ჯგუფში შედის ის მოსწავლეები, რომელთა წარმოდგენები თავის თავზე არაადექვატური და არამყარია. მათ არა აქვთ საკუთარ თავში არსებითი თვისებების დანახვისა და სამყაროს ანალიზის უნარი, თუმცა ზოგიერთ სიტუაციაში მათ საკუთარი თავის ადექვატური შეფასებაც შეუძლიათ.

მესამე ჯგუფის მოსწავლეთათვის დამახასიათებელია ის, რომ მათი წარმოდგენები საკუთარი თავის შესახებ უფროსების მიერაა მოცემული. მათ არა აქვთ საკუთარ თავში ჩახედვის მისწრაფება და მათი თვითშეფასებაც არაადექვატურია.

უმცროსკლასელთა თვითშეფასება კლასიდან კლასში იზრდება. მათ ახასიათებთ თვითშეფასების ყველა ფორმა – მყარი ადექვატური, მყარი აწეული, მყარი დაქვეითებული, უნდა აღინიშნოს, რომ ამ ასაკში მყარი

დაქვეითებული თვითშეფასება ძალზე იშვიათი მოვლენაა.

ადექვატური თვითშეფასების ბავშვები საზრიანები არიან. აქვთ იუმორის გრძობა. კარგ ურთიერთობაში არიან უფროსებთან და თანატოლებთან, თავიანთ ნამუშევარში დამოუკიდებლად პოულობენ შეცდომებს, ირჩევენ თავიანთ შესაძლებლობათა შესატყვის ამოცანებს. ისინი აქტიურები არიან, აქვთ მიზნის მიღწევის მოთხოვნილება, დარწმუნებულნი არიან, რომ დამოუკიდებლად, საკუთარი ძალებით მიაღწევენ წარმატებებს.

არაადექვატური, დაქვეითებული თვითშეფასება ქცევებსა და პიროვნულ თვითშეფასებებში ვლინდება. თუ ასეთ მოსწავლეებს დაავალებთ შემომამოწმონ თავიანთი ნამუშევარი და იპოვონ შეცდომები, ისინი დამოუკიდებლად ამ დავალებას ვერ ასრულებენ, ხოლო მასწავლებლის დახმარებით კი ახერხებენ. ასეთი თვითშეფასების ბავშვები ადვილ ამოცანებს ირჩევენ.

აწეული თვითშეფასების მოსწავლეები გადაფასებენ ხოლმე საკუთარ ძალებსა და შესაძლებლობებს, პიროვნულ თვისებებს. ისინი ირჩევენ ისეთ ამოცანებს, რომელთა გადაჭრა მათ აშკარად არ შეუძლიათ. ისინი დიდი ხალისით არ იქებენ საკუთარ თავს, მაგრამ სიამოვნებით აკრიტიკებენ სხვებს.

ადექვატური თვითშეფასების ჩამოყალიბებაში დიდი გავლენა აქვს სწავლის პროცესს. სწავლის პროცესი, როგორც აღვნიშნეთ, ხელს უწყობს განყენებულ, თეორიული აზროვნების ჩამოყალიბებას, რაც თავის მხრივ, აპირობებს ცნებით აზროვნების ფორმირებას. ეს კი ავითარებს უმცროს მოსწავლეთა თვითდაკვირების უნარს, რის შედეგადაც ბავშვი საკუთარ შინაგან სამყაროს აღმოაჩენს. სასწავლო ქცევა შეფასებითი ქცევაა და მნიშვნელოვნადაა დაკავშირებული თვითშეფასებასთან.

ცოდნის შეფასების პროცესში მასწავლებელი ამავე დროს აფასებს მოსწავლეთა პიროვნებასაც და სხვებს შორის მათ ადგილსაც. ემყარებიან რა მასწავლებლის შეფასებებს, უმცროსკლასელები თვითონ ახდენენ თანაკლასელთა რანჟირებას ფრიადოსნებად, ძლიერებად, ოროსნებად, სუსტებად, ჩამორჩენილებად და ა.შ. ჩამორჩენილ მოსწავლეებს დაქვეითებული შეფასება აქვთ. მათ საკუთარ თავში დაურწმუნებლობა, შფოთვა, წუხილი და შიში უვითარდებათ.

უმცროს სასკოლო ასაკში ჩასახვას იწყებს საკუთარი თავისადმი პატივისცემის გრძობა. თვითპატივისცემა ნიშნავს საკუთარი თავის დანახვას ისეთ ადამიანად, რომელსაც აქვს დადებითი ღირებულება და თვისებები. უმცროსკლასელის თვითპატივისცემა მნიშვნელოვანწილადაა დაკავშირებული აკადემიურ

წარმატებებთან. ბავშვები, რომლებიც კარგად სწავლობენ, გამოირჩევიან უფრო მაღალი თვითშეფასებითა და თვითპატივისცემით.

მკვლევარები მიუთითებენ, რომ თვითშეფასების განვითარება არის ციკლური პროცესი, რაც იმას ნიშნავს, რომ ბავშვის წარმატებისა და წარუმატებლობის განცდა განსხვავებულ სიტუაციებში იწვევს თვითპატივისცემის აწევას ან დაქვეითებას. ამ თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვანია უფროსების შექების როლი, მაგრამ არაა გამოირიცხული, რომ ზედმეტმა შექებამ საკმე გააფუჭოს კიდეც.

უმცროს სასკოლო ასაკში თვითცნობიერების განვითარება ვლინდება კრიტიკულობის, საკუთარი თავისადმი მომთხონელობის ჩამოყალიბებაში. პირველკლასელები დადებითად აფასებენ სასწავლო ქცევას, ხოლო წარუმატებლობას ობიექტურ გარემოებებს უკავშირებენ. მეორე და მესამე კლასელები თავის თავს უკვე კრიტიკულად უდგებიან, აფასებენ არა მხოლოდ კარგ, არამედ თავიანთ ცუდ საქციელსაც.

უმცროსკლასელთა სასწავლო წარმატება დამოკიდებულია არა მხოლოდ მის გონებრივ ნიჭზე, უნარებსა და სწავლების მეთოდებზე, არამედ მათი პიროვნების თვისებებზეც, რომელთაგანაც თვითშეფასებასა და თვითკრიტიკულობას არსებითი მნიშვნელობა ენიჭება. ეს თვისებები მოსწავლეთა თავიანთი ქცევის შედეგებისადმი დამოკიდებულებას განსაზღვრავენ.

დაშვებული შეცდომებისადმი და საკუთარი ნაკლისადმი ბავშვების დამოკიდებულება პიროვნების თვითშეფასების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მაჩვენებელია. ადექტატური თვითშეფასების ბავშვები, როგორც აღვნიშნეთ, საკუთარ შეცდომებს დამოუკიდებლად ასწორებენ. უმცროსკლასელთა თვითშეფასება არა მარტო საკუთარ შესაძლებლობათა შეფასებაში, არამედ სხვების მიღწევათა შეფასებაშიც ვლინდება. აწეული თვითშეფასების ბავშვები კი ამხანაგების მიღწევებს გადააფასებენ ხოლმე.

საკუთარი თავის მიმართ უკრიტიკო ბავშვები კრიტიკულნი არიან სხვების მიმართ. პირველ ან მეორეკლასელ ფრიადოსანს რომ შესაფასებლად მივცეთ თავისი და მისი ფრიადოსანი ამხანაგის იმავე ხარისხის ნამუშევარი, როგორც წესი, საკუთარ თავს იგი ფრიადს დაუსვაძს ხოლო ამხანაგის ნამუშევარში ძალიან ბევრ შეცდომას აღმოაჩენს. მეორე კლასელებს მისცეს ჩვეულებრივი სასწავლო დავალება და კითხვს შეასრულებს თუ არა იგი ამ დავალებას და რა ნიშანზე. ამის შემდეგ მათ დაუსახელეს განსხვავებული აკადემიური მოსწრების სამი მოსწავლე და სთხოვეს ეპასუხათ რა ნიშანზე შეასრულებენ ისინი ამ ამოცანას. ფრიადოსანი მოსწავლეები საკუთარ თავზე ასე პასუხობენ: „შეასრულებ ხუთიანზე, მე ფრიადოსანი ვარ.“ „რატომ უნდა ხუთიანზე შევასრულებ, ეს ადვილია.“ „შევასრულებ ხუთიანზე, მე სულ ხუთიბი მყავს.“

ფრიადოსნები სხვა ფრიადოსნებზე პასუხობენ: „ისიც შეძლებს კარგად შეასრულოს, მაგრამ ხანდახან უსუფთაოდ წერს.“ „თუ მოინდობებს ისიც ოთხზე ან ხუთზე შეასრულებს.“ „შესძლებს ოთხზე ან ხუთზე, თუ ყურადღებით იჩენა.“

ფრიადოსნები საშუალო მოსწავლის შესახებ: „არ ვიცი, კარგად ვერ წერს და კითხულობს, შეძლებს სამზე ან ოთხზე“, „შეასრულებს, ოღონო სამზე“, „ვერ

ვიტყვი, იგი ფრიადოსანი არაა“, „უკუდად სწავლობს, ვერ ვიტყვი“.

ფრიადოსნები სუსტების შესახებ: „მაგის იმედი ნუ გეჭნება, ის ოროსანია“. „საერთოდ ვერ შეასრულებს, ყოველდღე ორებს იღებს“. ამრიგად მუორეკლასეულ ფრიადოსნებს ახასიათებთ აწეული თვითშეფასება, არაფრიადოსნების მიმართ გულგრილი დამოკიდებულება.

მაღალი თვითშეფასების მოსწავლეები, როგორც აღვნიშნეთ, გამოირჩევიან აქტიურობით, წარმატების მიღწევის სწრაფვით (სწავლასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაშიც), ინიციატივობით, დამოუკიდებლობით. ეს ბავშვები საკუთარ შესაძლებლობებს სწორად აფასებენ და დარწმუნებულნი არიან საკუთარი ძალებით წარმატების მოპოვებაში, არ ამჯღავენებენ შეფოთვას, წუხილს, მორცხვობას, ოპტიმისტები არიან. ეს ოპტიმიზმი საკუთარი ძალების სწორ შეფასებაზეა დაფუძნებული.

მაღალი თვითშეფასების ბავშვებისათვის ძირითადად დამახასიათებელია საკუთარ თავში დაურწმუნებლობა, ჰესიზმიზმი, აწეული შფოთვა, შიში, მორცხვობა, უჭირთ სხვა ბავშვებთან მეგობრობა, ძალზე მგრძობობარანი არიან მასწავლებელთა მოწონების მიმართ, რაც თვითშეფასებას ძალიან ამაღლებს.

თვითშეფასებას ყოფენ ზოგადად და პარციალურად. პარციალური თვითშეფასება არის საკუთარ შესაძლებლობათა და მიღწევათა შეფასება კონკრეტულ სიტუაციაში, ზოლო ზოგადი – საკუთარი თავისადმი დამოკიდებულება სხვა ადამიანებთან შედარებით. უმცროსი სასკოლო ასაკის ბოლოს თვითშეფასების ორთავე სახე რამდენადმე კლებულობს. ვარაუდობენ, რომ ეს მდგომარეობა გამოწვეულია გარდამავალ ასაკში გადასვლის პერიოდის ბავშვის საკუთარი თავისადმი დამოკიდებულების თავისებურებით. ცნობილია, რომ გარდამავალ ასაკში გადასვლის პერიოდში თვითშეფასების საფუძველი იცვლება. უმცროსი სასკოლო ასაკში იგი ძირითადად ეყრდნობა სასწავლო წარმატებებსა და უფროსების შეფასებებს, მოზარდისათვის კი ამ პროცესში ცენტრალურ ადგილს თანატოლებთან ურთიერთობა იჭერს.

ამრიგად, უმცროსი სასკოლო ასაკში ბავშვის პიროვნების განვითარებაში შეიძლება გამოვყოთ ზოგიერთი ახალწარმოქმნი, რომელიც შემდგომ ასაკობრივ საფეხურზე გადასვლის საფუძველს ქმნის:

ა) უმცროსკლასელთა შემეცნებითი სფეროს განვითარება, სინამდვილისადმი ახალი შემეცნებითი დამოკიდებულების განვითარება, რომელიც აზროვნების უფრო რთულ ფორმებზე გადასვლას განსაზღვრავს;

ბ) ბავშვის აფექტურ-მოთხოვნილებითი სფეროს განვითარება, რომელიც საშუალებას იძლევა ბავშვებმა იმოქმედონ არა უშუალოდ, არამედ შეგნებულად დასმული მიზნით, ზნეობრივი მოთხოვნებითა და გრძობებით იხელმძღვანელონ;

გ) ქცევის ისეთი მდგრადი ფორმების ჩამოყალიბება, რომელიც საფუძველად ედება ბავშვის ხასიათს;

დ) უმცროსკლასელთა საზოგადოებრივი მიმართულების განვითარება. ესაა თანატოლთა კოლექტივის წევრთა შორის ურთიერთმიმართებები, რაც აიძულებს ბავშვს ეძიოს თანატოლთა შორის საკუთარი ადგილი და აითვისოს ის ზნეობრივი მოთხოვნები, რომელთაც მას უყენებენ.

თავი მეხრე

ძნელად აღსაზრდელი მოსწავლეების თავისებურებანი უმცროს სასკოლო ასაკში

აღზრდაში დაშვებული შეცდომები წლების შემდეგ იჩენს თავს. მათი გამოწერება ძალიან ძნელია და დროის, შრომის, ენერჯის განუზომელ ხარჯვას მოითხოვს. ძნელად აღსაზრდელი მოსწავლეები ანუ ე.წ. „ძნელი ბავშვები“ აღზრდის ისედაც რთულ პროცესს მეტად ამძაფრებენ. ასეთ ბავშვებთან მუშაობის პრაქტიკა მასწავლებლებსა და აღმზრდელებს მრავალი პრობლემის წინაშე აყენებს. მათთან მუშაობის დროს უპირველეს ყოვლისა პასუხი უნდა გაეცეს ისეთ კითხვებს, როგორცაა: რა არის ძნელად აღსაზრდელობის მიზეზი, საფუძველი? რაში მდგომარეობს ძნელად აღსაზრდელის ფსიქიკის თავისებურება, რა გზები და საშუალებები უნდა გამოიყენოს ძნელად აღსაზრდელობის დაძლევისათვის და ა.შ.

მუხედავად იმისა, რომ ძნელად აღსაზრდელობის შესახებ მდიდარი საციალური ლიტერატურა არსებობს, ჯერ კიდევ არ არის ერთიანი აზრი ძნელად აღსაზრდელობის შესახებ. მითითებენ, რომ ცნება ძნელი ბავშვი ეხება იმ მოსწავლეს, რომელსაც აღზრდაში დაშვებული შეცდომების გამო პედაგოგთა ზემოქმედებაზე უარყოფითი რეაქციები განუპტიცდათ. ძველი თაობის ფსიქოლოგები ძნელად აღსაზრდელს იხილავდნენ ობიექტური და სუბიექტური თვალსაზრისით:

ობიექტური თვალსაზრისით ძნელად აღსაზრდელია ის ბავშვი, რომელთანაც მასწავლებლის მუშაობა ნაკლებეფექტური ან უეფექტოა, ხოლო სუბიექტური თვალსაზრისით – ესაა მოსწავლე, რომელთანაც მასწავლებელს ძალიან უჭირს მუშაობა. ძირითადი ნიშანი, რომლის მიხედვით შეიძლება ვიმსჯელოთ მოსწავლეთა ძნელად აღსაზრდელობის შესახებ, ესაა „აღზრდისადმი აქტიური წინააღმდეგობა“, პედაგოგიური ზემოქმედების აღიარებულ საშუალებათა მიუღებლობა. ძნელად აღსაზრდელი ანუ ძნელი ბავშვების დეფინიციიდან ჩვენ ყველაზე უფრო მარჯვედ ვთვლით, მ. ყოლბაიას განსაზღვრას, რომლის მიხედვითაც „... ძნელად უნდა ჩავთვალოთ ისეთი ბავშვი, რომელიც მოკლებულია სოციალური გარემოდან მომდინარე მოთხოვნებისადმი ადეკვატური პასუხის საშუალებას. ძნელი ბავშვობის არსი გარე სინაქლელებისთან, სოციალურ გარემოსთან ადაპტაციის სიმძნელეში მდგომარეობს“. მისი აზრით, სოციალურ გარემოსთან ადაპტაციის სუსტი უნარი არის ის ზოგადი ნიშანი, რომელიც ძნელი ბავშვის ცნებაში შედის. თუმცა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში შეიძლება მიუთითოთ ზოგიერთ საცეფიკურ ნიშანზე, რომელიც სხვადასხვა კატეგორიის ბავშვებს ახასიათებს: ინტელექტის დაბალი დონე, ხასიათის ნეგატიური თვისებები, ანომალიური ფსიქო-ნერვეული გამოვლინებები და ა.შ.

ძნელია ის ბავშვი, რომლის პიროვნების ჩამოყალიბებაში გარკვეული ანომალია შეინიშნება. ყველა ძნელი ბავშვი ფსიქიკურად ნორმალურია.

გ. კოსტიამკინის მიხედვით ძნელი ბავშვები სამ დიდ ჯგუფად იყოფიან: 1) ფსიქოლოგიური ანომალიების მქონე ბავშვები, 2) პედაგოგიურად ხელმიშვებულები და 3) გონებრივ განვითარებაში დროებით შეფერხებულები.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნიშანი, რომელიც ყველა ძველადღესაზრდელს ახასიათებს, არის გარეშეშო მყოფ ადამიანებთან მისი არანორმალური, არასწორი დამოკიდებულება. მასწავლებლის ზრუნვაზე, სიკეთეზე, მოფერებაზე, ძნელი ბავშვი უნდადღობით, ხანდახან კი უხეში, გამოშწვევი ქცევით რეაგირებს.

ძველადღესაზრდელობის აღკვეთის და, საერთოდ ძნელი ბავშვის გარეშეშო მყოფ ადამიანებთან ურთიერთობის ნორმალიზაციის პროცესს ფსიქოლოგიასა და პედაგოგიკაში ხელახალი აღზრდა, ანუ უფრო თანამედროვე ტერმინოლოგია რომ ვინმართ ფსიქოლოგიურ-პედაგოგიური რეაბილიტაცია ეწოდება. ფსიქოლოგიური თვალსაზრისით რეაბილიტაციის პროცესში აღიკვეთებთან ის შინაგანი პროცესები, რომლებიც ფსიქიკის ნორმალურ განვითარებას უშლიან ხელს. პედაგოგიური თვალსაზრისით, კი ხელახალი აღზრდა არის ძველადღესაზრდელის მიმართ ზოგიერთი, ჩვეულებრივ უფრო ძლიერი პედაგოგიური ღონისძიების გამოყენება.

ძნელი ბავშვებისათვის დამახასიათებელია ნათელი, მკვეთრი შთაბეჭდილებები და მძაფრი ემოციური განცდები. ასეთი ბავშვების უმრავლესობისათვის დამახასიათებელია ეგოიზმი, რაც იმაში გამოიხატება, რომ ბავშვი ყოველგვარი ამოცანის გადაწყვეტისას, მხოლოდ საკუთარ ინტერესებზე ზრუნავს. ისინი დარწმუნებულნი არიან თავიანთ უცოდვილობასა და განსაკუთრებულობაში. ძველადღესაზრდელთა დამახასიათებელი ნიშანია აგრეთვე უპრინციპობა. მათთვის შორალის მყარი ნიშნები არ არსებობს, ისინი სარგებლიანობის პრინციპით მოქმედებენ. ასეთ ბავშვებს ცხოვრებაზე არასერიოზული შეხედულება აქვთ. ისინი არ ფიქრობენ ან ძალიან ცოტას ფიქრობენ თავიანთ მომავალზე, მათი ცუდი ქცევის შედეგებზე, ცდილობენ ყველა მოთხოვნილება აწმყოში დაკმაყოფილონ. მათ ხასიათში როგორღაც თავსდება ორი საწინააღმდეგო პოლუსი: განვითარებული გონება და თითქმის განუვითარებელი გრძობები, სუსტი შრომისმოყვარეობა და გაზრდილი მოთხოვნილებები. ყოველივე ეს შინაგან დამაბულობასა და სურვილების საწინააღმდეგო განცდას ქმნის, რაც ცუდი, უარყოფითი ქცევით გამოიხატება.

ძველადღესაზრდელობის პრობლემატიკაში ერთ-ერთი სერიოზული საკითხია ასეთი ბავშვების ტიპიზაცია. ზოგიერთი მკვლევარი ბავშვთა ტიპებს მათი წარმოშობი მიზეზებიდან გამომდინარე ადგენს. ზოგიერთი კი ტიპიზაციის ცდას ქცევის, ხასიათის და საქციელის მიხედვით იძლევა ძველადღესაზრდელობის ტიპიზაციაში გამოყოფენ სამ ფაქტორს, რომლებიც, განპირობებულა ქცევის განვითარების თავისებურებებით. ეს ფაქტორებია: ა) ძირითადი გადასრები ფსიქიკის განვითარებაში, რომლებმაც არასწორი ქცევა წარმოშვეს, ბ) ბავშვების წამყვან მოტივთა სისტემა და ქცევის სტიმულები, გ) ბავშვის ურთიერთობა გარესამყაროსთან. ამ ფაქტორებზე დაყრდნობით გამოყოფენ ოთხ ტიპს:

1) ბავშვები, რომელთაც დარღვევები აქვთ ურთიერთობის სფეროში. აქ ერთიანდებთან ისეთი ბავშვები, რომლებიც განსაკუთრებული მდგომარეობის გამო ოჯახში (ერთი შვილი) და სკოლაში (გარიყული) მიკლებულნი არიან ნორმალურ ურთიერთობას. ასეთი ბავშვებისთვის ცხოვრებაზე არასწორი შეხედულება,

პესიმისტური, კრიტიკული, ან უაღრესად რომანტიკული დამოკიდებულება დამახასიათებელი.

2) აგზნებული, ან დაქვეითებული ემოციური რეაქციების ბავშვები. ამ ჯგუფში შედიან ის ბავშვები, რომელთაც გადატანილი აქვთ მძიმე ნერვული შერყევა. მათთვის დამახასიათებელია ძლიერი აგზნებადობა, მკვეთრი რეაქციები, ან პარიჟო, სხვადასხვა მოვლენების მიმართ პასიური, გულგრილი დამოკიდებულება. ასეთი ბავშვები ზედმეტად ეჭვიანები არიან. ამ ჯგუფში ყველაზე მეტია აფექტური ბავშვები, რომლებიც შესაბამის სიტუაციაში არასწორ ქცევებს გამოსწორების შემდეგაც უბრუნდებიან. ამ ჯგუფის სეორე ქვეჯგუფთა დაქვეითებული ემოციური რეაქციების ბავშვები, რომელთა აბსოლუტური უმრავლესობა გოგონებია. მათთვის დამახასიათებელია შიში, გულჩათხრობილობა, სოციალური კავშირების სისუსტე, ინდიფერენტულობა, ეგოიზმი, და ა.შ.

3) ბავშვები, რომლებიც ცალმხრივად არიან გონებრივად განვითარებულნი. აქ შედიან ბავშვები, რომელთა გონებრივი განვითარება შეფერხებულია ან ძალიანაა დაჩქარებული. ასეთ ბავშვებს არ გააჩნიათ შეგნებული ინტერესები, არ უნდათ სწავლა, ევარებათ სასწავლო პროცესი, ზანდაზან რაღაცის გამო შეუფერდებათ ერთი ან ორი საგანი და სხვებს უგულს ვერ უდებენ.

4) ბავშვები, რომელთაც არასწორად აქვთ განვითარებული ნებელობითი სფერო. ესენი არიან ჯიუტი და უნებისყოფი ბავშვები. მათ შორის ბევრია ჭირვეული, თავნება, მოუწესრიგებელი და უღისციპლინი.

ძნელი ბავშვები სკოლას ძალიან უშლიან ხელს მუშაობაში. ისინი ცუდად სწავლობენ, წესრიგს არღვევენ, მოწყვეტილნი არიან კოლექტივის და ხშირად უბრისპირდებიან კიდევ მას. ასეთ ბავშვებს პედაგოგიურ-ფსიქოლოგიური რეაბილიტაციის დროულად დაწყების გარეშე ადვილად ჩამოუყალიბდებათ მორალური დეფექტები.

მ. ყოლბაია გამოყოფს ძნელ ბავშვთა კონტიგენტის ოთხ ჯგუფს:

- 1) ფსიქიკურ განვითარებაში შეფერხებული ბავშვები
- 2) ფსიქო-ნერვული გადახრების მქონენი
- 3) ძნელად აღსაზრდელები
- 4) პედაგოგიურად ხელმიშვებულები.

ფსიქიკურ განვითარებაში შეფერხებული ბავშვის ძირითადი დამახასიათებელი ნიშანია გონებრივი განვითარების დაბალი დონე, რომელიც სოციალური ზემოქმედებით არაა გამოწვეული, იგი თანშობილია.

ნერვული ბავშვების ძირითადი ნიშანია ის, რომ განცდილი ფსიქიკური ტრავმის შედეგად მათ დაკარგული აქვთ რაიმე საგნის ან მოვლენის მიმართ ადგეკატურად რეაქციების უნარი.

ძნელად აღსაზრდელებისათვის მთავარია ის, რომ არასწორი სოციალური და პედაგოგიური ზემოქმედების შედეგად მათ ჩამოუყალიბდათ ზასიათის უარყოფითი თვისებები, რის გამოც ვერ ევუებიან იმ გარემოს, რომელშიც ცხოვრობენ, თუმცა მათ ნორმალური ფსიქიკური განვითარების ყველა საჭირო მონაცემი აქვთ.

პედაგოგიურად ხელმიშვებული ბავშვები ჩამორჩებიან სწავლაში. ამ ჯგუფის ბავშვების უმრავლესობა ზარმაცია.

ბუნებად აღსაზრდელობას ყოველ ასაკობრივ საფეხურზე გარკვეული სპეციფიკა ახასიათებს, რომლის ცოდნა აუცილებელია მისი პედაგოგიური მართვისა და ხელმძღვანელობისათვის.

ბუნებად აღსაზრდელობას შეიძლება ვერ კიდევ სკოლამდელ ასაკში ჩაეყაროს საფუძველი. სკოლამდელი ასაკი წარმოსახვის ჩასახვის პერიოდია, სადაც იგი ყველაზე უფრო თამაშის, განსაკუთრებით, როლების თამაშის დროს ვლინდება. ამ ასაკში წარმოსახვა მინცდამინც ბლიერი და მდიდარი არაა, ცხოველმყოფელი და უკრიტიკოა, რადგან სკოლამდელის წარმოდგენა სინამდვილის მიმართ ძალზე შეზღუდულია და ამ სინამდვილეს ზუსტად არ შეესატყვისება. ამიტომ, სკოლამდელი თავის პრიმიტიულ წარმოსახვაში ადვილად აკეპირებს ერთმანეთთან შეუთავსებელ თვისებებსა და ნიშნებს. წარმოსახვის ეს მხარე საზიფათოა, რადგან ბავშვებს შეიძლება ტყუილის თქმის ჩვევა განუვითარდეს, რომელიც დასაწყისში სრულიად გაუცნობიერებელი და უნაგაროა, მაგრამ თუ უფროსების კონტროლი და მართვა მთავრდება, შეიძლება სიმანხვედ გადმოქცეს.

ამ ასაკში ბავშვის წარმოსახვის პრიმიტიულმა გამოვლინებამ შეიძლება გადაჭარბებულ შიშამდე მივიყვანოს. აღმზრდელებმა და მშობლებმა ყურადღება უნდა მიაქციონ, რომ ბავშვი შიშის ნორმალური რეაქციები პათოლოგიურ გამოვლინებად არ გადაიქცეს, რადგანაც ამას ბავშვის ქცევის წონასწორობის დარღვევა შეუძლია.

სკოლაში შესვლით, ბავშვის მდგომარეობა მკვეთრად იცვლება. ბავშვი უკვე მოსწავლე ხდება და ახლა მისი ქცევის ძირითადი, წამყვანი ფორმა სწავლაა. რა თქმა უნდა თამაშში სწავლასთან ერთად გარკვეულ ადგილს იჭერს მისი ქცევის სტრუქტურაში, მაგრამ თამაშში ახლა სწავლას ექვემდებარება და ქცევის წამყვანი ფორმა აღარ არის. ამიტომ ბავშვი, რომელიც უმცროს სასკოლო ასაკში უმეტესად თამაშობს და სწავლას ნაკლებ ყურადღებას აქცევს, აუცილებლად ჩამორჩება თავისი ფსიქიკური განვითარებით. მეტად მნიშვნელოვანი ფაქტორია, აგრეთვე, ემოციურ-ნებელობითი მომწიფების გარკვეული დონე, რომელიც ეხმარება ბავშვს ადვილად შეეგუოს სასკოლო ცხოვრებასა და საკლასო კოლექტივს.

შ. ჩხარტიშვილის მიხედვით უმცროს სასკოლო ასაკში გამოიყოფა ბუნებად აღსაზრდელობის ორი ფორმა: ა) ბიოლოგიურად განსაზღვრული და ბ) პედაგოგიურად მოუწესრიგებელი.

ბუნებად აღსაზრდელი ეწოდება მოზარდს, რომელსაც პიროვნების ბიოლოგიური საფუძველი, ან სოციალურ-ფსიქოლოგიური სტრუქტურა იმდენად განუვითარებელი, გამრუდებული და დამანხნველი აქვს, რომ ჩვეულებრივი სააღმზრდელი

ლონისძიებანი მასზე კეთილმოყოფელ გავლენას ვერ ახდენს. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ასეთი ბავშვების ე.წ. „მობრაობის მოუსვენრობას“, რაც ძნელად აღსაზრდელობის ერთ-ერთი სიმპტომატური ნიშანია პირველ სასკოლო ასაკში. ასეთი ბავშვის გამოვლენა ადვილად შეიძლება პირველ კლასში, სადაც გაკვეთილებზე მოსწავლეთა მობრაობების შკვეთ შეზღუდვას მოითხოვენ. ასეთ ძნელ ბავშვებს შეიძლება ის მოსწავლეებიც დაემატონ, რომელთაც სკოლაში შესვლისას, ნორმალურად განვითარებული ნერვული სისტემა ჰქონდათ, მაგრამ გაკვეთილებზე იძულებითა შეკავებამ ისეთი უარყოფითი შედეგები გამოიწვია, როგორცაა ნერვული ავზნებადობის აწვევა, შეკავების უნარის დაქვეითება, სასწავლო აქტივობისათვის საჭირო განწყობის საფუძვლების მოშლა.

ი. კოზუბოვსკაიას მიხედვით ცდებიან ისინი, ვინც თვლის, რომ უმცროს სასკოლო ასაკში ბავშვთა ანომალური ქცევის მთავარი მიზეზია ასაკობრივი სპეციფიკა (ნერვული სისტემის არასრული მომწიფება, ავზნებითი პროცესების სიჭარბე შეკავებითთან შედარებით, მეორე სასიგნალო სისტემის არასრული ფუნქციონა). სწორედ ამგვარ მცდარ შეხედულებას მივყვართ იქამდე, რომ აღნიშნული ასაკის ძნელ ბავშვებში რეაბილიტაციის მიზნით სპეციალური ღონისძიებები არ ტარდება, რის გამოც ასაკის მატებასთან ერთად ანომალური გადახრები არათუ არ ისპობა, არამედ, პირიქით, ძლიერდება. ამას ნათლად ადასტურებს კოლონიებსა და მილიციის ბავშვთა ოთახებში მოხვედრილ მოზარდთა შესწავლა. ირკვევა, რომ ეს ბავშვები ძნელად აღსაზრდელები ჯერ კიდევ უმცროს სასკოლო ასაკში ყოფილან.

ჩვენი აზრით, ის ფაქტი, რომ ძნელად აღსაზრდელ უმცროსკლასელთა ქცევის ზოგიერთი გადახრა ამ ასაკის სპეციფიკურ გამოვლინებებში არ თავსდება და პიროვნების სოციალური დეფორმაციის დასაწყისს მოწმობს, არ ნიშნავს იმას, რომ ამ ასაკში ძნელად აღსაზრდელობა მოსწავლეთა დიდ ნაწილში „პიროვნების ბიოლოგიური საფუძვლების“ დარღვევით არ არის გამოწვეული. რაც შეეხება ი. კოზუბოვსკაიას შიშს, რომელიც ძნელად აღსაზრდელობის „ბავშვური ასაკის სპეციფიკიდან“ გამოდინარეობს, იგი სავსებით სამართლიანია და კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ რა მიზეზითა და ფორმითაც არ უნდა იყოს დაწყებითი სკოლის ასაკში ძნელად აღსაზრდელობა გამოვლენილი, მის რეაბილიტაციას და პროფილაქტიკას დაუყოვნებლივ უნდა მიექცეს ყურადღება. არ უნდა დაგვამშვიდოს იმან, რომ უმცროს სასკოლო ასაკში ძნელ ბავშვთა რიცხვი შედარებით ნაკლებია და მათ ძნელად აღსაზრდელობასაც, ერთი შეხედვით საზოგადოებისათვის უწყინარი ფორმები აქვს.

ქცევის წესებიდან გადახრა, რასაც პრაქტიკაში ხშირად ვიყენებთ ძნელად აღსაზრდელობის ძირითად კრიტერიუმად, სინამდვილეში ჯერ კიდევ არ გვაძლევს უფლებას, რომ ბავშვი მხოლოდ ამის მიხედვით მოვათავსოთ ძნელთა კატეგორიაში. ბავშვის ქცევა საქციელთა ერთობლიობაა, სადაც მისი მორალური პოზიცია სისრულით არ ჩანს. ამ ასაკში ბავშვის ორგანიზმის მოუმწიფებელი და პლასტიკურია, რაც ძნელად აღსაზრდელობის დაძლევის ერთ-ერთი ხელშემწყობი პირობაა, რადგან ამ თვისებათა გამო, უარყოფითი დამოკიდებულებები საბოლოოდ

განმტკიცებული და ფიქსირებული არ არის. ეს ძველად აღსაზრდელობის ერთ-ერთი სპეციფიკაა.

დაწყებითი სკოლის ასაკში ქცევის ნორმებიდან გადახრას ძველად აღსაზრდელთა ნაწილში მყარი ხასიათი აქვს, მაგრამ მისი სიღრმე უმნიშვნელოა. ეს გარემოება უფლებას გვაძლევს ამ ასაკის ბავშვთა ძველად აღსაზრდელობის დასაწყის სტადიაზე ვილაპარაკოთ. იშვიათ შემთხვევაში დაწყებითი სკოლის ასაკში შეიძლება ძველად აღსაზრდელობის ჩამოყალიბებული ფორმაც შეგვხვდეს.

უმცროს სასკოლო ასაკში გამოყოფენ ძველად აღსაზრდელობის სამ ფორმას:

ა) განებივრებული ბავშვები. ესენი შექმნილი და კარგი ოჯახის შვილები არიან, სადაც ბავშვებს ყოველგვარ კაპრიზებსა და სურვილებს დაუყოვნებლივ უსრულებენ. ასეთი ბავშვები ანგარიშს არ უწევენ გარეშე მყოფთ, თავიანთ რეალურ შესაძლებლობებს; ბ) პედაგოგიურად ხელშიშვებული ბავშვები. ესენი არიან არანორმალური და ფორმალურად ნორმალური ოჯახის შვილები. ასეთი ბავშვების ჯგუფში შედის ისეთი ბავშვები, რომელთაც ასაკის შესაფერისი ეთიკური ცოდნა არ მოუღიათ და ამის გამო სუბიექტურ ურთიერთობათა სისტემაში გადახრები და დარღვევები აღენიშნებათ. მეორე ჯგუფში კი შედის ისეთი ბავშვები, რომლებიც დიდხანს იმყოფებოდნენ ცულ სოციალურ მიკროგარემოში, იქ შეიძინეს უარყოფითი სოციალურ-ეთიკური ცოდნა, რომელიც მათი ქცევის საფუძველი ხდება და გ) ჯანმრთელობის მოსაზღვრე მღვამარეობა. ამ ჯგუფის ბავშვებისათვის დამახასიათებელია ნერვიულობა, უკიდურესი აგზნებადობა, და გაღიზიანებადობა, თავშეუკავებლობა, სწრაფი დაღლილობა. ყოველივე ეს ხელს უშლის გარეშე მოყოფებთან ნორმალური ურთიერთობის დამყარებას, იწვევს გადახრებს ქცევაში. დადგინდა, რომ ამ ასაკის ყველა ძველი ბავშვისათვის დამახასიათებელი უარყოფითი გადახრები ჯერ კიდევ სკოლაში შემოსვლამდე დაიწყო არასწორი ოჯახური აღზრდის შედეგად, ხოლო არასწორმა დაწყებითმა აღზრდამ სკოლაში უფრო გააღრმავა ისინი.

მ. აღმასკინის მიხედვით, ძველად აღსაზრდელობის კლასიფიკაციას საფუძვლად უნდა დაედოს ძველად აღსაზრდელობის ხარისხი. იგი გამოყოფს ოთხ ჯგუფს: 1) ძველად აღსაზრდელი ბავშვები, რომლებიც სასწავლო შრომას გულგრილად ეკიდებიან. მათთვის დამახასიათებელია დისციპლინის პერიოდული დარღვევები და პიროვნების ზოგიერთი უარყოფითი თვისებების გამოვლენა; 2) პედაგოგიურად ხელშიშვებულები, რომელიც სასწავლო და საზოგადოებრივად სასარგებლო მოქმედებას უარყოფითად ეკიდებიან, მათთვის დისციპლინის სისტემატური დარღვევაა დამახასიათებელი; 3) სამართალდამრღვევი მოზარდები და 4) არასრულწლოვანი დამნაშავეები. ამ ოთხი ჯგუფიდან პირველი ორი დაწყებითი სკოლის ასაკზე მოდის.

ა. ბელკინმა წარმოადგინა ქცევის ნორმებიდან გადახვევის სტადიალურ-ასაკობრივი პრინციპი პიროვნების სამ ძირითად სტრუქტურაში. ესაა ზნეობრივი ცნობიერება, ქცევა, და ნორმალური გრძობები. სკოლამდელ ასაკში აღმოცენდება ზნეობრივი განვითარების გადახრის წინამძღვრები. ამგვარი გადახრების ძირითადი

დომინანტია სკოლისადმი სუსტი ფსიქოლოგიური და პედაგოგიური მზაობა. მისი აღმოცენების ძირითადი ფაქტორია ინდივიდუალურ-ფსიქოლოგიური თვისებების არასასურველი განვითარება ოჯახური აღზრდის დეფექტის შედეგად. ეს გადახრები ქცევის თავისებურებებში აისახება: ისინი დაკავშირებული არიან ქცევის წესების ეპიზოდურ დარღვევებთან, რასაც სიტუაციური ხასიათი აქვს. ბავშვები ამ დარღვევებს თითქმის არც აცნობიერებენ და არც განიცდიან.

უმცროს სასკოლო ასაკში უარყოფითი ტენდენციები ჩნდება, რაც შეიძლება პიროვნების ასოციალური ქცევის გამოვლენის დაწყებით ფორმად, ბავშვთა კოლექტივის ცხოვრების ნორმებისადმი უარყოფითი დამოკიდებულების აღმოცენებად შეიძლება განვიხილოთ. გადახრის დომინირებული ფაქტორია ბავშვთა კოლექტიურ ცხოვრების ნორმებზე წარმოდგენათა სისუსტე, კოლექტივში ურთიერთობის დაუკმაყოფილებლობა და არასასურველი საოჯახო ცხოვრებისეული პირობები. ამ ასაკში ქცევის ნორმებიდან გადახვევა დისციპლინირებული სიტუაციური ქცევის ეპიზოდურ დარღვევებში ვლინდება, გადახრები უმნიშვნელო სიღრმით ცნობიერდება და უარყოფითი ქცევების განცდა ასე თუ ისე მაღალია.

უმცროს სასკოლო ასაკში გადახრების დომინირებული ფაქტორია პოზიტიური თვითდამკვიდრების დაუკმაყოფილებელი მოთხოვნის დაკმაყოფილებასაც ბავშვი ნეგატიური გზით ცდილობს. ქცევის ნორმებიდან გადახვევა წესრიგისა და დისციპლინის დარღვევით, მასწავლებლის დავალებებისა და კოლექტივის სურვილების შეუსრულებლობით ვლინდება. უარყოფითი ქცევები შეიძლება ღრმად ცნობიერდებოდეს და ემოციურად განიცდებოდეს. ნიშანდობლივია, რომ დაწყებითი სკოლის ასაკში სუსტადაა ან თითქმის არაა განვითარებული უარყოფითი ქცევების შედეგების განჭვრეტის უნარი.

ამრიგად, დაწყებითი სკოლის ასაკში ქცევის ნორმებიდან გადახრა შედარებით ხანგრძლივი პროცესია, რომელიც განსაზღვრულ სტადიებს გაივლის და ასაკობრივ ფსიქოლოგიურ თავისებურებებს შეესაბამება. თითოეული ასაკობრივი საფეხურისათვის გადახრებს არა ფაქტალური, არამედ დროებითი ხასიათი აქვთ. ეს გადახრები შეიძლება შეჩერდეს დროული ჩარევით. ასეთ დროს საჭიროა, ასაკისათვის დამახასიათებელ გადახრათა დომინირებული ფაქტორების ლიკვიდაცია. ზნეობრივი ქცვიდან გადახრებს სტადიურ-ასაკობრივი ხასიათი აქვთ და იგი პიროვნებად ჩამოყალიბების დომინირებული ფაქტორის ლიკვიდაციასთანა დაკავშირებული. ადრეულ საფეხურებზე ეს გადახრები ლოკალური, არამდგრადი ხასიათისა და მათი რეაბილიტაცია კორექციულ-პროფილაქტიკური ზომების გამოყენებით შეიძლება.

ვ. სენკო გამოყოფს რამდენიმე ფაქტორს, რაც დაწყებითი სკოლის ასაკში ძნელად აღსაზრდელობის რეაბილიტაციას აადვილებს:

- 1) უმცროს სასკოლო ასაკში პიროვნების უარყოფითი თვისებები ვერ ასწრებს შეიძინოს სიმყარე და გამძლეობა;
- 2) ბავშვის ნერვული სისტემა ამ ასაკში უფრო პლასტიკურია, რის გამოც იგი რეაბილიტაციას ადვილად ექვემდებარება;
- 3) პირველი მასწავლებლის მოთხოვნებს უმცროსკლასელისათვის

განსაკუთრებული წონა და დატვირთულობა აქვს. მასწავლებლის მიერ მოწოდებული ყოველგვარი ინფორმაცია და დაელება ამ ასაკში აბსოლუტურ ჭეშმარიტებად და აუცილებლობად განიცდება;

4) ერთ მასწავლებელს ხანგრძლივად უხდება ბავშვებთან ურთიერთობა, რაც მას საშუალებას აძლევს ბავშვს დააკვირდეს მრავალგვარ სიტუაციაში, უფრო ღრმად შეისწავლოს მისი ინდივიდუალური თვისებები, დადებითი და უარყოფითი მხარეები, მიზანმიმართულად და სისტემატურად იმოქმედოს მის ზნეობრივ განვითარებაზე;

5) სწავლა-აღზრდის პროცესის დაწყებით ეტაპზე კარგი პირობებია მშობლებთან კონტაქტისათვის, აღზრდის პროცესში ოჯახისა და სკოლის ერთიანობის რეალური განხორციელებისათვის.

ძველად აღსაზრდელობის ტიპობრივი ნიშნებიდან დაწყებითი სკოლის ასაკში პირველ ადგილზე გამოდის ისეთი უარყოფითი თვისებები, როგორცაა ჯოტობა, უხეშობა, ურჩობა, უდისციპლინობა და სიზარმაცე. მომდევნო ადგილზეა უყურადღებობა, ეგოიზმი, კაპრიზობა, ჩხუბისთაობა, უსუფთაობა, ზოლო მესამეზე – ქურდობა, უხეშობა, თვალთმაქცობა და უპატიოსნობა.

პირველი გეგუფის ზოგიერთი ბავშვისათვის დადებითი თვისებებიცაა დამახასიათებელი, მაგრამ ამ თვისებებს იგი უარყოფითი გამოვლენებით ფარავს. ე. სენკო აყალიბებს ძველად აღსაზრდელობის ოთხ მიზეზს:

1) აღზრდაში დაშვებული შეცდომები, რასაც მშობელთა პედაგოგიური და ფსიქოლოგიური განათლების უკიდურესად დაბალი დონი იწვევს; სასჯელისა და წახალისების არასწორი გამოყენება, ბავშვებისადმი ძალიან მკაცრი დამოკიდებულება, ფიზიკური დასჯა, განებივრება, ბავშვის პიროვნების უგულვებელყოფა;

2) უხედამხედველობა, რაც სამსახურითა და საზოგადოებრივი საქმიანობის მშობელთა მოუცლევლობითა და გადატვირთვითაა გამოწვეული;

3) მშობელთა უარყოფითი მაგალითები – ამორალური საქციელი, ლოთობა;

4) ოჯახის დარღვევა (უმამობა, კონფლიქტები მამინაცვალთან ან დედინაცვალთან).

ძველად აღსაზრდელობის ერთ-ერთი საეციფიკას ქმნიან აგრეთვე ფსიქიკურ განვითარებაში დროებით შეფერხებული ბავშვებიც. ფსიქიკური განვითარების დროებით შეფერხებულ ბავშვებს, რომლებიც სკოლაში შედიან, საეციფიკური ნიშნები ახასიათებთ. მაგალითად, სწავლის დასაწყისში ისინი არ ამქედანებენ ფსიქოლოგიურ და ინტელექტუალურ მზაობას, არ აქვთ პროგრამული მასალის შეთვისების უნარი, ჩვევები, ცოდნის საჭირო დონე. ასეთ ბავშვებს საეციფიკური დახმარების გარეშე არ შეუძლიათ ან ძალიან უჭირთ წერა-კითხვა და თვლის დაუფლება, ჩქარა იღლებიან, დაწყებულ საქმეს ხშირად ატოვებენ.

ასეთ ბავშვთა დიდ ნაწილს აღქმა გაძნელებული აქვთ, რაც უპირველეს ყოვლისა იმაში ვლინდება, რომ ბავშვები მოწოდებულ მასალას მთელი სასრულით ვერ აღიქვამენ, ბევრ რამეს აღიქვამენ არასწორად და დამახინჯებულად. ყველა ასეთ ბავშვს ახასიათებს ნაკლოვანებები მეხსიერების განვითარების მხრივ.

ამასთანავე ეს ზარეზი დამახსოვრების ყველა ფორმასა და ტიპს ეზება. ასეთი ბავშვები საგრძნობლად ჩამორჩებიან აზროვნების მხრივაც, რაც უმთავრესად ინტელექტუალური ამოცანების ამოხსნის პროცესში ვლინდება. ბავშვები საკმაოდ ვერ ფლობენ ამ ასაკისათვის შესაფერის ანალიზის, სინთეზის, შედარებისა და განზოგადების საზროვნო ოპერაციებს, ხშირად ვერ იგებენ და ვერ წვდებიან მოვლენის არსს. ასეთი ბავშვები მეტყველების სფეროში ჩამორჩებიან. მათი მეტყველება არ არის მკაფიო, ახასიათებთ წარმოთქმის დეფექტები, სიტყვათა მარაგი ძალიან ღარიბია, უშვებენ გრამატიკულ შეცდომებს.

ზემოჩამოთვლილ გადახრათა გამო მნიშვნელოვანი თავისებურებები ახასიათებს ფსიქიკურ განვითარებაში დროებით შეფერხებულ ბავშვთა ქცევებსაც. ისინი სკოლაში მოსვლის შემდეგაც ისევე იქცევიან, როგორც სახლში იქცეოდნენ. მნიშვნელოვანი თავისებურებაა ის, რომ ასეთი ბავშვებისათვის ქცევის წამყვან ფორმად ისევე თამაშია და არა სწავლა. მათ არ ეშინვებათ სკოლისადმი დადებითი დამოკიდებულება, რაც ამ ასაკის ნორმალურად განვითარებული ბავშვებისათვის ჩვეულებრივი მოვლენაა, სასწავლო მოტივაცია ან სრულიად არ აქვთ, ან ძალზე სუსტადაა გამოხატული.

აღმოჩნდა, რომ ფსიქიკური განვითარების მხრივ დროებით შეფერხებულ ბავშვებს არ უვითარდებათ თამაშის უმაღლესი ფორმა – როლების თამაში, რაც სასწავლო საქმიანობის ერთ-ერთი ხელშემწყობი წინაპირობაა. ასეთი ბავშვები აღებულ როლს ვერ ასრულებენ. ისინი ერთი როლიდან მეორეზე სწრაფად გადადიან. უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი ბავშვები თავიანთ უმაქნისობას სკოლაში გარკვევით ავლენენ. ეს გამოიხატება საერთო მოუწესრიგებლობასა და ცუდად სწავლაში, რაც თავის მხრივ, არასრულფასოვნების გრძნობას და პიროვნული კომპენსაციის სხვა სფეროში მცდელობას ავითარებს. ასეთი მცდელობები, უპირველეს ყოვლისა ქცევის დარღვევებში გამოიხატება (გამოხდომები).

ფიზიკურ განვითარებაში ჩამორჩენილი ბავშვები ძალიან მწვავედ განიცდიან თავიანთ წარუმატებლობას, რის გამოც საერთოდ სასწავლო საქმიანობისადმი უარყოფითი დამოკიდებულება უვითარდებათ. ამიტომ, ასეთ ბავშვებთან ურთიერთობაში მასწავლებელს განსაკუთრებული სიფრთხილე მართებს. მან თავი უნდა შეიკავოს და სწავლაში წარუმატებლობის გამო ასეთ ბავშვებს საყვედური არ უნდა უთხრას. ჩვენ პირველი კლასის ძველად აღსაზრდელ მოსწავლეთა თავისებურებები სპეციალურად შევისწავლეთ. როგორც გამოირკვა მოსამზადებელი კლასების ძველად აღსაზრდელთა უმრავლესობას ე.წ. ბიოლოგიურად განსაზღვრული ფორმის ბავშვები შეადგენდნენ, რომელთაც ქცევის დეფექტები, შეკავებითი პროცესების მოუწესრიგებლობის გამო აქვთ განვითარებული. მათი ძნელობა სკოლაში შესვლის პირველი ოცი გაკვეთილის განმავლობაში გრძელდება. ასეთი ბავშვების ძირითადი დამახასიათებელი ნიშანია „მოძრაობითი მოუსვენრობა“, რაც ყველგან და ყველაფერში ვლინდება. მოსამზადებელ კლასებში ძნელად აღსაზრდელობის შემდეგი თავისებურება ისაა, რომ ასეთი ბავშვების აბსოლუტურ უმრავლესობას ბიჭები შეადგენენ. არალოგიკური საქციელსა და „მოძრაობით მოუსვენრობაში“ გოგონები არ ყოფილან

შემჩნეული. სასკოლო ცხოვრების დასაწყისის პირველი კვირა ექვსი წლის ბავშვებში ძლიერ შეკავებით იმპულსებს იწვევს. ბავშვების დიდი ნაწილი შეკავებას განიცდის არა მხოლოდ გაკვეთილებზე, არამედ შესვენებებზე და სახლშიაც კი. დაახლოებით ოცი გაკვეთილის მოსმენისა და საკლასო და სასკოლო გარემოსადმი ერთგვარი ადაპტაციის შემდეგ იმ ბავშვებს, რომლებიც ძლიერ შეკავებას განიცდიდნენ, ცხოველმყოფელობა და სიხალისე უბრუნდებათ, რაც მსუბუქ სიტუაქესა და ნორმის ფარგლებში ერთგვარ აწვეულ აგზნებადობაში გამოიხატება. იმ ბავშვებს, რომლებიც სასკოლო ცხოვრების პირველი კვირის განმავლობაში შეკავებას ვერ ახორციელებენ, ჩვენი აზრით, „პიროვნების ბიოლოგიური საფუძვლები“ დარღვეული აქვთ და შემდგომ კლასებში ძნელად აღსაზრდელთა პერსპექტიულ კონტიგენტს წარმოადგენენ.

რაც შეეხება ოჯახურ მდგომარეობას, აქ სურათი ასეთია: ამ კლასების ძნელად აღსაზრდელთა ორ მესამედზე მეტი მოუწესრიგებელი ოჯახებიდანაა (დედ-მამის გაყრა, მამის პატიმრობა). ერთ მესამედს შეადგენს განუბიერებელი ბავშვები, რომლებსაც სახლში ყველა კაპრიზს დაუყოვნებლივ უსრულებენ და ამიტომ მათთვის სკოლის მოთხოვნებს არავითარი მნიშვნელობა აღარ აქვს. ასეთ ბავშვებს მასწავლებლისა და მშობლების ერთობლივი მონღომების შედეგად ქცევის ღეფექტები თითქმის უსწორდებათ სწავლების პირველი წლის ბოლოს, და თუმცა სექტემბერ-ოქტომბერში რეციდივის შემთხვევები არის, უმეტესად პირველი კლასის მეორე სემესტრში ასეთი ბავშვები ნორმალურ კალაპოტში ღებებიან.

პირველი კლასის ძნელად აღსაზრდელნი ნადავ თამაშს ცდილობენ და სწავლა არ ახსოვთ. ეს ბავშვები თითქმის არავითარ პასუხისმგებლობას არ გრძნობენ იმის გამო, რომ მათ მეორე დღეს გაკვეთილები არ ეცოდინებათ.

თავი მეათე

გარდამავალი ასაკის მოსწავლეთა ასაკობრივ-ფიზიოლოგიური თავისებურებანი

გარდამავალი არის მოსწავლეთა ასაკი 10-11 წლიდან 15-16წლამდე და მოიცავს IV-VIII კლასებს. ამ ასაკს მოზარდობის ასაკსაც უწოდებენ. ეს პერიოდი ბავშვობიდან მოზრდილობაში გადასვლის პერიოდია, როცა მოაზარდი ჯერ კიდევ ნახევრად ბავშვი და ნახევრად მოზრდილია. ბავშვობა უკვე გასულია, ხოლო მოწიფულობა ჯერ არ დამდგარა. სიცოცხლის არცერთ პერიოდს არ გააჩნია იმდენი სახელწოდება, რამდენიც გარდამავალ ასაკს. გარდამავალის გარდა მას უწოდებენ აგრეთვე მოზარდობის, გარდატეხის, კრიზისულ, ძნელ და კრიტიკულ ასაკსაც. ამ პერიოდში ერთი ეპოქიდან მეორეში (ბავშვობიდან მოწიფულობაში) გადასვლა ხდება.

მოზარდობის პერიოდი არის ადამიანის ცხოვრების განსაზღვრული მონაკვეთი ბავშვობასა და ჭაბუკობას შორის. ფ. რაისის მხატვრული გამოთქმა რომ ვინმართი, ესაა ის ხილი, ბავშვობასა და მოწიფულობას შორის, რომელზედაც უნდა გაიაროს თითოეულმა. მოწიფულობა კი არის ცხოვრებისეული პერიოდი, როცა ადამიანი სრულყოფილადაა განვითარებული ფიზიკურად, სოციალურად, ინტელექტუალურად, ემოციურად და სულიერად სპეციალურ ლიტერატურაში გარდამავალი ასაკის მოზარდებს თინეიჯერებსაც უწოდებენ. მიღებულია რომ თინეიჯერობის ასაკი მკაცრადაა შემოფარგლული და იგი მოიცავს ცამეტიდან ცხრამეტ წელს. მკვლევართა ერთი ნაწილი ამ ტერმინის წინააღმდეგეა, რადგანაც იგი არაა მეცნიერული და მასში მოიაზრება უაყოფიო მიმართულების, ცინიკური, ზმურანი, ევლგარული, უპასუხისმგებლო, დაუეცრებელი, ზარმაცი, უნებისყოფი, გამოუსწორებელი, ოპოზიციური და სამართალდამრღვევი მოზარდები. თვლიან რომ ასეთი მიდგომა არის ფიქსირებული სტერეოტიპების ბრალი, რომელიც ხშირ შემთხვევაში არაზუსტია. თინეიჯერთა მნიშვნელოვანი ნაწილი გამოირჩევა მშვიდი ხასიათით, სწავლით, დისციპლინითა და მაღალი ინტელექტით. მოზარდის ანატომიურ-ფიზიოლოგიური თავისებურებები მისი ცნობიერებისა და ქცევის სერიოზული ცვლილებების საფუძველია. გარდამავალ ასაკში მოზარდის განვითარების ყველა მხარე განიცდის მკვეთრ ცვლილებებს. იგი ეხება ისეთ მნიშვნელოვან მხარეებს, როგორიცაა ანატომიურ-ფიზიოლოგიური, სულიერ-ფსიქოლოგიური და ზნეობრივი მხარეები. მოზარდის ანატომიურ-ფიზიოლოგიური სფეროს ცვლილებები და ახალწარმოქმნილი საფუძველად ედება სხვა სფეროების შემდგომ განვითარებას.

ერთმანეთს რომ შევადაროთ მეხუთეკლასელი და მერვეკლასელი, ენახვთ, რომ მოკლე დროის განმავლობაში ბავშვები მნიშვნელოვნად ვითარდებიან ფიზიკურად, გონებრივად, ზნეობრივად და სოციალურად. თუმცა, რა თქმა უნდა, ეს ნამდვილი მოწიფულობა კი არა, მისი პირველი ყლორტებია. სწავლებასა და აღზრდაში გარდამავალი ასაკი გაცილებით მეტ სირთულეებსა და სიძნელეებს ქმნის, ვიდრე უმცროსი და უფროსი სასკოლო ასაკები. ბავშვის მოწიფულობაში

გადასვლის პროცესი მეტად რთული და მრავალფეროვანია, რადგან იგი დაკავშირებულია ადამიანებთან უკვე ჩამოყალიბებული ურთიერთობის რღვევასთან, ცხოვრებისა და ქცევის პირობების შეცვლასთან.

გარდამავალ ასაკში მოზარდის ორგანიზმში კარდინალური ცვლილებები ხდება. იწყება ფიზიკური განვითარების ახალი ეტაპი და ღებვა სქესობრივი მომწიფების პერიოდში ყველაფრის საწყისი მოზარდის ორგანიზმის ენდოკრინული ცვლილებება. ფიზიოლოგიური და პარამონიული ძვრები გარდამავალ ასაკში დიდ გავლენას ახდენენ მათ ფსიქოლოგიურ განვითარებაზე. ახლა მოზარდები სხვა თვალთ უყურებენ საკუთარ თავს და გარემომოყოფებსაც. პარამონალური ძვრები დიდ გავლენას ახდენს მოზარდის ემოციებსა და გრძობებზე, რის გამოც მისი ქცევაც განსხვავებული ხდება. ენდოკრინული სისტემის ორგანოებია შინაგანი სეკრეციის ჯირკვლები, რომლებიც გამოყოფენ სფეციფიკურ ნივთიერებებს და არსებით და სპეციფიკურ გავლენას ახდენენ ნივთიერებათა ცვლაზე, ქსოვილებისა და ორგანოების ფუნქციასა და სტრუქტურაზე. შინაგანი სეკრეციის ჯირკვლებიდან გამოყოფილი სპეციფიკური ნივთიერებანი — ჰორმონები, პირდაპირ სისხლში ჩაეღერება. შინაგანი სეკრეციის ჯირკვლებია — ჰიპოფიზი, ეპიფიზი, პანკრეასი, ფარისებრი, თირკმელზედა და სქესობრივი ჯირკვლები. ეს ჯირკვლები ფუნქციურად ერთმანეთთან მჭიდროდაა დაკავშირებული და ერთი რომელიმე ჯირკვლის ფუნქციის დარღვევა სხვა ჯირკვლების ფუნქციაზეც ახდენს გავლენას. შინაგანი სეკრეციის ჯირკვლების მიერ გამოშვებული ჰორმონები ბიოლოგიურად მეტად აქტიური ნივთიერებია. ორგანიზმის ზრდა-განვითარება და ასაკობრივი პერიოდების ცვლა შინაგანი სეკრეციის ჯირკვლების მოქმედებასთანაა დაკავშირებული. ჰორმონები მოქმედებენ ნივთიერებათა ცვლაზე და არეგულირებენ უჯრედების აქტივობას. ისინი გავლენას ახდენენ სუნთქვაზე, სისხლის მიმოქცევაზე, საჭმლის მონელებაზე, გამოყოფაზე. ჰორმონებთანაა დაკავშირებული გამრავლების ფუნქციაც.

ჰიპოფიზის მიერ გამოშვებული ზრდის ჰორმონი, ანუ სომატოტროპინი ხელს უწყობს ძელების ზრდას სიგრძეში, აჩქარებს ნივთიერებათა ცვლის პროცესებს, რის გამოც ხდება სხეულის მასის მატება და ინტენსიური ზრდა. ამ ჰორმონის არასაკმარისი ფუნქციის გამო წარმოიშობა ჯუჯები (130სმ-ზე ნაკლები სიმაღლის ადამიანები) და ხდება სქესობრივი მომწიფების შეფერხება. უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი ჯუჯების ფსიქოლოგიური განვითარება არაა დარღვეული.

ჰორმონების სიჭარბე კი იწვევს გოლიათობას და გიგანტიზმს. სამედიცინო ლიტერატურაში აღნიშნულია გიგანტიები 2 მეტრი და 83 სანტიმეტრი, 3 მეტრი 20 სანტიმეტრიც კი. გოლიათებისათვის დამახასიათებელია გრძელი კიდურები, სქესობრივი ფუნქციების უკმარისობა და დაქვეითებული ფიზიკური ამტანობა. ჰიპოფიზის სტრუქტურა და ფუნქცია იცვლება ასაკის წინსვლასთან ერთად.

ფარისებრი ჯირკვლის ჰორმონი ტიროქსანი არის ორგანიზმში ნივთიერებათა ცვლის ძლიერი სტიმულატორი. იგი აჩქარებს ცილების, ცხიმებისა და ნახშირწყლების ცვლას. ეს ჰორმონი მასტიმულირებელ გავლენას ახდენს აგრეთვე ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე. ბავშვის სიცოცხლის პირველ წლებში ამ ჰორმონის ნაკლებობა სისხლში აშკარად გამოხატული ფსიქიკური განვითარების

შეფერხებას იწყებს. ამასთანავე, ირღვევა სხეულის პროპორციები და ფერხდება სქესობრივი მოქმედება.

თირკმელზედა ჯირკვალი წყვილი ორგანოა. თითოეული მათგანი შედგება ორი ფენისგან, რომელთაც განსხვავებული წარმოშობა, აგებულება და ფუნქციები აქვთ: გარეგანს - ქერქული და შინაგანს - ტინის. ამ უკანასკნელის ძირითადი პორმონია ადრენალინი, იგი ძლიერი და სწრაფმოქმედი პორმონია, აჩქარებს სისხლის მიმოქცევას, აბლიერებს და ახშირებს გულის კუნთის შეკუმშვას, აუზგოხებს სუნთქვას, აფართოებს ბრონქებს, აჩქარებს შაქრის გადასვლას სისხლში და ა.შ. ადრენალინის მომატებული სეკრეცია არის ექსტრემალურ სიტუაციაში ორგანიზმის ფუნქციონირების და გარდაქმნის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მექანიზმი ემოციური სტრესების, მოულოდნელი ფიზიკური დატვირთვის ან ორგანიზმის გაცივების დროს. როცა ადამიანის ცხოვრებაში არის ისეთი დაძაბული მომენტები, რომლებიც მოითხოვენ ძალების სწრაფ დაძაბვას, სწრაფად გამოიყოფა ადრენალინი.

პანკრეასის პორმონია ინსულინი. იგი ძირითადად მოქმედებს ნახშირწყლების ცვლაზე. იგი მოქმედებს ადრენალინის საწინააღმდეგო მიმართულებით. თუ ადრენალინი ხელს უწყობს ნახშირწყლების სწრაფ დამლას, ინსულინი ხელს უწყობს მის შენახვას და შევსებას. 10-15 წლის ასაკში სისხლში ინსულინის დონე მატულობს. ამ პორმონის უკმარობა ხელს უწყობს 6-12 წლის ასაკის ბავშვებში შაქრიანი დიაბეტის გამოვლინებას (განსაკუთრებით მწვავე ინფექციური დაავადებების გადატანის შემდეგ).

ჰუბერტეტი ზრდის რეგულირებისათვის გადაამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ჰიპოფიზს. იგი მოთავსებულია ტინის ქვედა მხარეს და მასთან ნერვული გზებითა დაკავშირებული. როდესაც ჰიპოთალამუსის უჯრედები „მოქმედებენ“ (რაც ინდივიდუალურად განსხვავებულ დროს ხდება), ის გაგზავნის სიგნალებს ჰიპოფიზში, რომელიც იწყებს პორმონების გამოყოფას. ეს პორმონები გავლენას ახდენენ სხეულის ზრდასა და სექსუალურ განვითარებაზე. ანდროგენები (მამაკაცის სასქესო პორმონი), ესტროგენები (ქალის სასქესო პორმონი) და გესტაგენი (ორსულობის პორმონი) ურთიერთმოქმედი კომპლექსები არიან და სხვა პორმონებთან ერთად განაპირობებენ სხეულებრივი განვითარების მიმდინარეობას.

ადრე ფიქრობდნენ, რომ სქესთაშორისი განსხვავება დიზოტომიური და აბსოლუტურია. ითვლებოდა, რომ ქალები გამოიშუშებენ მხოლოდ ესტროგენებს, ხოლო მამაკაცები მხოლოდ ანდროგენებს. დღეს კი ითვლება, რომ არსებობს პორმონალური დიმორფიზმი, ე.ი. ქალები და მამაკაცები ორივე სასქესო პორმონებს გამოიშუშებენ და სქესთა შორის განსხვავება მიმდინარეობს მათში სქესობრივი პორმონების პროცენტული მაჩვენებლების შეფარდების საფუძველზე.

სქესობრივი პორმონები გამოიშუშებენ სქესობრივი ჯირკვლების მიერ. მამაკაცის სასქესო პორმონია ანდროგენები (ტესტოსტერონი და მისი წარმოებული ანდროსტერონი). ეს პორმონები აპირობებენ სქესობრივი აპარატის განვითარებას, სქესობრივი ორგანოების ზრდასა და მეორადი სასქესო ნიშნების განვითარებას. სათესლკენის ჰიპერფუნქციის დროს ადრეულ ასაკში იწყება ნაადრევი სქესობრივი

მოშწიფება, სხეულის სწრაფი ზრდა და მეორადი სასქესო ნიშნების განვითარება-სათესლეების დაზიანება ან კასტრაცია იწვევს სქესობრივი ორგანოების ზრდისა და განვითარების შეჩერებას, არ ვითარდება მეორადი სასქესო ნიშნები, არ აღინიშნება სქესობრივი ლტოლვა, არ იზრდება სახეზე თმა, ხმა მთელი სიცოცხლის მანძილზე არის წვრილი და მაღალი.

ქალის სასქესო ჰორმონებია ესტროგენები (ესტრადიოლი, პროგესტერონი), რომელთა გამოუმუშავება ხდება საკერცხებში. ისინი გავლენას ახდენენ სქესობრივი ორგანოების განვითარებაზე, კერცხუჯრედების გამოუმუშავებაზე. საკერცხეების ჰიპერფუნქცია იწვევს ნაადრევ სქესობრივ მოშწიფებას, რომელიც გამოიხატება მეორადი სასქესო ნიშნების ადრე გამოვლენით და მენსტრუაციული ციკლის დაწყებით. სქესობრივი ჰორმონები მთელი სიცოცხლის განმავლობაში ახდენენ ძლიერ გავლენას სხეულის ფორმირებაზე, ნივთიერებათა ცვლაზე და სქესობრივ ქცევაზე.

მოზარდის ფიზიკური, ანატომოურ-ფიზიოლოგიური განვითარების ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტია სქესობრივი მოშწიფება. შამამავლობის მოცემის აპარატის სიმწიფე ბევრ ფსიქოლოგიურ ძვრას იწვევს მოზარდის ფსიქიკაში. სქესობრივი ჯირკვლები იწყებენ ფიზიოლოგიურ ფუნქციას. სქესობრივი მოშწიფების დასაწყისად ბიჭებისათვის 12-13 წელი, ბოლო გოგონებისათვის 11-12 წელი ითვლება. ბიჭების უმრავლესობა სქესობრივ მოშწიფებას ამთავრებს 15 წლის ასაკში, გოგონები კი 13-14 წლის ასაკში. მოუხედავად იმისა, რომ ამ ასაკში სქესობრივი მოშწიფება მთავრდება, მოზარდის იდეურ და ზნეობრივ მოშწიფებაზე ჯერ კიდევ ნაადრევია ლაპარაკი.

ონტოგენეზის განსაზღვრულ ეტაპზე სქესობრივი განვითარება ძალიან ჩქარდება და ღვება სქესობრივი სიმწიფე. დაჩქარებული სქესობრივი განვითარების და სქესობრივი სიმწიფის მიღწევის პერიოდს სქესობრივი მოშწიფების ეტაპი ეწოდება. ეს ეტაპი ძირითადად გარდამავალ ასაკზე მოდის. ბიჭებთან შედარებით გოგონების სქესობრივი მოშწიფება 1-2 წლით ადრე ღვება. სქესობრივი მოშწიფების ვადები და ინტენსივობა განსხვავებულია და მრავალ ისეთ ფაქტორზეა დამოკიდებული, როგორცაა ჯანმრთელობის მდგომარეობა, კვების სასიათი, კლიმატი, სოციალურ-ეკონომიკური პირობები. ამ მიმართულებით მნიშვნელოვან გავლენას ახდენს აგრეთვე შამამავლობითი თავისებურებებიც.

სქესობრივი მოშწიფების პერიოდში მოზარდის ორგანიზმში ღრმა ცვლილებები ხდება კიპოფიზის ჰორმონების გავლენით ძლიერდება სხეულის ზრდა სიგრძეში. კიპოფიზის გაზრდილი აქტივობა აძლიერებს თირკმელზედა ჯირკვლის აქტივობასაც, რის გამოც იზრდება სქესობრივი ჯირკვლების აქტივობა, ძლიერდება სქესობრივი ჰორმონების სეკრეცია, რაც, თავის მხრივ, აჩქარებს, მეორადი სასქესო ნიშნების განვითარებას.

სქესობრივი მოშწიფება გაივლის ხუთ სტადიას:

1) წინაპუბერტეტი (პერიოდი, რომელიც უშუალოდ წინ უსწრებს სქესობრივ მოშწიფებას. მეორადი სასქესო ნიშნები ჯერ არ შეინიშნება).

2) პუბერტეტის დასაწყისი, ბიჭებს უმნიშვნელოდ ეზრდებათ კერცხების ზომები, ეწყებათ მინიმალური გათმოვანება ბოქვენზე. გოგონებს ეწყებათ მკერდის

ჯირკვლების ზრდა. ამ სტადიაზე ძლიერ აქტიურდება ჰიპოფიზი, რომლის ზრდის ფუნქცია უფრო მეტად გოგონებთან ვლინდება. ძლიერდება სქესობრივი ჰორმონების გამოშვებება, აქტიურდება თირკმელზედა ჯირკვლების ფუნქცია;

3) ბიჭებთან გრძელდება კვერცხებისა და სქესობრივი ორგანოს ზრდა. ბოქვენის გააზოვანება უფრო ხშირია. გოგონებთან აღინიშნება სარძევე ჯირკვლების შემდგომი ზრდა, აქტიურდება სქესობრივი ჯირკვლების ფუნქცია. ბიჭები იზრდებიან სიმაღლეში.

4) ბიჭებს ეცვლებათ ხმა. იწყება სახისა და ილლიის გათმოვანება. გოგონებს ინტენსიურად უვითარდებათ სარძევე ჯირკვლები. ამ სტადიაზე ანდროგენებისა და ესტროგენების გამოყოფა ინტენსიურ ხასიათს იღებს. ბიჭები განაგრძობენ სიმაღლეში ზრდას;

5) ბიჭებს და გოგონებს საბოლოოდ უვითარდებათ სქესობრივი ორგანოები და მეორადი სასქესო ნიშნები. გოგონებთან მენსტრუაციული ციკლი სტაბილიზაციას განიცდის. მენსტრუაციის დაწყება სქესობრივი სიმწიფის დასაწყისს მოწმობს. ეს იმის მაჩვენებელია, რომ საკვერცხეები უკვე წარმოშობენ მომწიფებულ კვერცხუჯრედებს.)

ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ ბიოლოგიური სქესობრივი მომწიფება არ უნდა აეურიოთ სოციალურ სქესობრივ მომწიფებასთან. სოციალური სქესობრივი მომწიფება იწყება მაშინ, როცა მთავრდება პიროვნების მომწიფება და ღვება სოციალური და მოქალაქობრივი სიმწიფის პერიოდი.

სქესობრივი ჰორმონები აქტიური ნივთიერებებია. ისინი, როგორც აღვნიშნეთ, ხელს უწყობენ ჩონჩხის ზრდასა და გაძვლოვანებას, მეორადი სასქესო ნიშნების ჩამოყალიბებას, კუნთების განვითარებასა და კუნთური ძალის ზრდას, ნივთიერებათა ცვლის პროცესების აღმავლობას, ორგანიზმის საერთო აქტივობას. კუნთური ძალა იზრდება სისხლში სქესობრივი ჰორმონების მომატების პარალელურად. იმასთან დაკავშირებით, რომ ახლა სისხლში ჩაღვანს იწყებს მოცემული სქესისათვის დამახასიათებელი სქესობრივი ჰორმონი, უკვე უმცროს მოზარდებთან შეინიშნება სქესობრივი განსხვავებულობანი ჩონჩხის, მუსკულატურის და კანის განვითარებაში.

ხდება სუნთქვის სქესობრივი განსხვავებულობის ტიპის ჩამოყალიბება. ბიჭებს უყალიბდებათ სუნთქვის მუკლისმიერი, ხოლო გოგონებს – მკერდისმიერი ტიპი.

ზრდის აჩქარება მოზარდებთან არათანაბრად მიმდინარეობს, რაც ძვლებისა და კუნთების არაპროპორციულ განვითარებას იწვევს. ამის გამო ხდება მოზარდის მოძრაობის კოორდინაციის დისპარმონია, მოუქნელობა, რომელიც ასაკის წინსვლასთან ერთად გაივლის.

სქესობრივი მომწიფების დაწყებისა და დამთავრების ვადები განსხვავებულა არა მარტო განსხვავებული სქესის მოზარდებში, არამედ ერთი სქესის ფარგლებშიც კი. სიმაღლეში ინტენსიურად მომატებული მოზარდები, როგორც წესი, უფრო ადრე მწიფდებიან სქესობრივად. თუმცა მაღალი მოზარდებით ჩამორჩებიან ხოლმე სქესობრივ მომწიფებაში.

ის მოზარდები, რომელთაც ზედმეტი წონა აღვნიშნებათ, სქესობრივად უფრო ადრე მწიფდებიან, ვიდრე გამხდრები, თუმცა ძალიან ჭარბი წონა, ნამდვილი

სიმსუქნე, აგვიანებს სქესობრივ მომწიფების დაწყებას. სქესობრივი მომწიფების დაგვიანება შეიძლება მოყვეს აგრეთვე ზოგიერთ ქრონიკულ დაავადებას და ხშირ, მძიმე ინფექციებს.

გარდამავალ ასაკში ზდება არა მხოლოდ რეპროდუქციული ორგანოების განვითარება, არამედ მეორადი სასქესო ნიშნების ჩამოყალიბებაც. ძირითადად ესაა ტანზე თმების ამოსვლა, ხმის მუტაცია და ქალური და მამაკაცური ფიგურის ჩამოყალიბება; აღსანიშნავია, რომ ზოგიერთ კონკრეტულ ინდივიდთან შესაძლებელია ასაკობრივი საზღვრების დარღვევა და მეორადი სასქესო ნიშნების მომწიფების დაგვიანება ან დაჩქარება, რაც მკვლევართა აზრით გამოწვეულია მემკვიდრული ნიშნებით. ცნობილია, რომ გოგონები ბიჭებთან შედარებით სქესობრივად საშუალოდ ორი წლით ადრე მწიფდებიან, მაგრამ ამ კანონზომიერებას ხანდახან არ აქვს ადგილი. ადრე მომწიფებული ბიჭი შეიძლება უმცროსი იყოს გვიან მომწიფებულ გოგონაზე და წინ უსწრებდეს მას სქესობრივი მომწიფების მხრივაც. მენარხეს (პირველი მენსტრუაციის) საშუალო ასაკია 12.5 წელი, ხოლო პირველი ეაკულაციისა. 13.7 წელი. მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ საშუალო მაჩვენებელი არაა ნორმა. სქესობრივი მომწიფების დიაპაზონი ძალიან ფართოა (9-18 წ) და ამ დიაპაზონის ნებისმიერი ასაკი შეიძლება განვითარების ნორმად ჩაითვალოს.

საინტერესოა ფ. რაისის წარმოდგენილი ცხრილი გოგონებისა და ბიჭების მეორადი სასქესო ნიშნების განვითარების თანმიმდევრობის შესახებ:

ბიჭები: 11.5-13 წელი. სათესლე ჯირკვლისა და სათესლე პარკის ზრდის დასაწყისი, ბოქვენის გათმოვანება, მკერდის სუსტი პიგმენტაცია და შებერვა. სწრაფი ზრდის პერიოდის დასაწყისი, პენისის ინტენსიური ზრდა.

13-16 წელი. ბოქვენის პიგმენტური გათმოვანება. ხმის მუტაციის დასაწყისი, პენისის, სათესლე პარკის და წინამდებარე ჯირკვლის სწრაფი ზრდა. პირველი ეაკულაცია, მაქსიმალური ზრდის პერიოდი; თმების ზრდის დასაწყისი იღლიებში და სახეზე.

16-18 წელი. თმების სწრაფი ზრდა იღლიებში., ხმის შესამჩნევი შეცვლა, წვერის ზრდა და გათმოვანების ფორმალური ზახის წარმოქმნა.

გოგონები:

10-11 წელი. სწრაფი ზრდის პერიოდის დასაწყისი. ბოქვენის უმნიშვნელო გათმოვანება. სარძევე ჯირკვლები და ტუბუს თავი ოდნავ წინაა წამოწეული.

11-14 წელი. ბოქვენზე პიგმენტური გათმოვანება, ხმის ტემბრის დადაბლება, საშოს, სათესლე ჯირკვლების სწრაფი ზრდა. მაქსიმალური ზრდის პერიოდი, პიგმენტაცია, ტუბუს თავების წინ წამოწევა, „პირველადი მკერდის“ ფორმირება, მენარხე.

14-16 წელი. იღლის გათმოვანება, მკერდის დამრგვალება და მისი საბოლოო ფორმირება, სარძევე ჯირკვლების განვითარების მეორე სტადია.,

მეორადი სასქესო ნიშნების გამოჩენასთან და, საერთოდ, სქესობრივ მომწიფებასთან დაკავშირებით მნიშვნელოვნად იზრდება მოზარდების ინტერესი

სქესის მიმართ. მოზარდის ფიქრისა და ოცნების საგანი ხდება სექსი, ახალი სექსუალური შეგრძნებები და ურთიერთობანი საწინააღმდეგო სქესის წარმომადგენლებთან. იწყება სექსუალური ხასიათის წიგნების კითხვა, კინოფილმების ნახვა და მათ საუბრებში საწინააღმდეგო სქესის წარმომადგენლები დიდ ადგილს იჭერენ.

გოგონებთან მკერდის განვითარება გაივლის ხუთ სტადიას (ფ. რაისი):

1) პუბერტატული სტადია. ბრტყელი მკერდი.

2) ბუტონიზაციის სტადია. ტუპუს თავისა და მის ირგვლივ წრის შესიება და გადიდება, რომელიც, ჩვეულებრივ, მენარხემდე ორნახევარი წლით ადრე იწყება.

3) პირველადი სტადია. ტუპუს თავისა და მისი არეოლის ცხიმოვანი შრის გადიდება, რაც იწვევს მკერდის არეოლის პატარა ზოლის წინ წამოწევას.

4) მეორეული ანუ მომწიფებელი სტადია., სარძევე ჯირკვლების ქსოვილების განვითარება, მკერდის გაზრდა და დამრგვალება. მომწიფებელი სტადია, ჩვეულებრივ, მენარხეს შემდეგ დგება.

5) განვითარების დამთავრება.

გარდაამავალ ასაკში საკუთარი მკერდის სიდიდე და ფორმა ბევრ საზრუნავთანაა დაკავშირებული. ბევრ გოგონას უსირცხვება ბრტყელი მკერდის, ზოლო ისინი, რომლებსაც დიდი მკერდი აქვთ, შემოფოთებას გამოთქვამენ მათკენ მიშვერილი მზერისა და უტაქტო სიტყვების გამო.

მოზარდები ძალიან განიცდიან აგრეთვე სხეულებრივ ცვლილებებს და წონის მომატებას. ბავშვობაში გოგონები თანატოლ ბიჭებთან შედარებით ნაკლები წონისანი არიან, მაგრამ ბიჭებზე ადრე იწყებენ მომწიფებას და საშუალოდ ათი წლის ასაკში წინ უსწრებენ მათ წონაში, ზოლო თორმეტი წლიდან კი — სიმამლეშიც. ბიჭებისა და გოგონების წონისა და სიმამლის ასეთი შეფარდება მიმდინარეობს დაახლოებით თორმეტ წლამდე. გოგონების აბსოლუტური უძრაველსობა საბოლოო სიმამლეს საშუალოდ 16 წლის ასაკში აღწევს, ზოლო ბიჭები — 18 წლის ასაკში.

მოზარდები ძალიან განიცდიან აგრეთვე თავიანთ გარეგნობას. მათ აღელებით საკუთარი ფიზიკური მიმზიდველობა, თავისი კონცეფცია იდეალური სხეულის შესახებ და წონა. ფიზიკურად მიმზიდველი მოზარდები სარგებლობენ დიდი პოპულარობით და უფრო ეგუებან საზოგადოებას. მაღალია მათი თვითშეფასება. ფიზიკური სილამაზე არის მოზარდის საზოგადოების წევრებთან ურთიერთობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტი. საერთოდ ცნობილია, რომ ადამიანის გარეგნობა გავლენას ახდენს მისი პიროვნების განვითარებაზე, სოციალურ კავშირებსა და ქცევაზე.

ფ. რაისი გამოყოფს ადამიანის სხეულებრივი აღნაგობის სამ ტიპს: ექტომორფული, ენდომორფული და მეზომორფული.

ექტომორფული ტიპი არის მაღალი, გამხდარი, თხელი ძვლიანი ფიგურა (კალათბურთაელის ტიპი)

ენდომორფული ტიპი წარმოადგენს მეორე უკიდურესობას. იგი მრგვალი, მსხვილი, მძიმე და მსუქანი ფიგურაა (მოჭიდავის ტიპი).

მეზომორფულ ტიპს უჭირავს შუალედური მდგომარეობა ამ ორ ფიგურას შორის. ესაა ძლიერი, მკვრივი და დაკუნთული სხეული, რომელსაც აქვს ფართო მხრები და საშუალო სიდიდის კიდურები (ათლეტის ტიპი).

გარდამავალი ასაკის მოზარდებს აქვთ უფრო სიმაღლეში ზრდის ძლიერი ტენდენცია, ვიდრე სიგანეში. მათი კიდურები იზრდება უფრო სწრაფად, ვიდრე ტანი, რის გამოც მოზარდი არის ძალიან მაღალი და მოუქნელი, რომელსაც აქვს არაპროპორციული სახის ნაწილები.

გარდამავალ ასაკში მე-ს ხატი ძალიანაა დამოკიდებული მის წონაზე. ბევრ მოზარდს ძალიან ადვილდება საკუთარი წონა, რადგანაც ისინი თვლიან, რომ მათი წონა ყოველთვის გადაჭარბებულია ნორმაზე. ამერიკელ მკვლევართა მონაცემების მიხედვით ამერიკელ მოზარდთა 10-15%მართლაც დაავადებულია სიმსუქნით. ბიჭებთან შედარებით გოგონებს უფრო ხშირად აღენიშნებათ ზედმეტი წონა. ანალოგიური კვლევები, სამწუხაროდ ჩვენში არ არსებობს, მაგრამ დაკვირვებული თვალი ადვილად შეამჩნევს ჭარბწონიანი ქართველი მოზარდების კატასტროფულად დიდ რაოდენობას. დადგენილია, რომ ჭარბი წონა შემდგომში გულ-სისხლძარღვთა დაავადებების მიზეზი ხდება.

სიმსუქნე უარყოფით როლს თამაშობს აგრეთვე მოზარდის სოციალურ განვითარებაშიც, თვითშეფასების ფორმირების და ემოციური ადაპტაციის პროცესში. ზედმეტი წონის მიზეზი არის ჭარბი კვება და შემკვიდრული ფაქტორები, მაგრამ მის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი მაღალკალორიული პროდუქტების მიღებასთან ერთად შეიძლება გახდეს ცხოვრების უმოძრაო, პასიური წესი, რომლის დროსაც ორგანიზმი დებულაობს იმაზე გაცილებით მეტ კალორიას, ვიდრე — ხარჯავს.

გარდამავალ ასაკში მოზარდებს (განსაკუთრებით გოგონებს) აქვთ ძალიან დიდი სურვილი ჰქონდეთ მოხდენილი ფიგურა, რომელიც ხშირად დებულაობს პათოლოგიურ ფორმას, რის შედეგადაც ძალიან ირღვევა კვების რეჟიმი. არსებობს ასეთი დარღვევის ორი ფორმა.

ნერვული ანორექსია და ბულიმია, ანორექსია არის სიცოცხლისთვის საშიში ნერვული დარღვევა, რომლის დროსაც დამახასიათებელია აკიატებული იდეები კვებასა და საკუთარი წონას შორის დამოკიდებულების შესახებ. მოზარდებს მიაჩნიათ, რომ ძალიან ბევრს ჭამენ, რის გამოც დიეტას იცავენ მეტად მკაცრად. ასეთი მოზარდები (უბეტესად გოგონები) გასუქების შიშით ფაქტიურად შიმშილობენ. ესაა ე.წ. ფანატიკური დიეტომანია, შიმშილის ავადმყოფობა. ასეთი მოზარდები სწრაფად იკლებენ წონაში, ხდებათ და აღენიშნებათ გამოფიტვის შემთხვევებიც. ანორექსია არის ფსიქოგენური დაავადება. გასუქების შიშით გოგონები ფაქტიურად თავს ანებებენ კვებას, რითაც ხელოვნურად აფერხებენ ორგანიზმის ზრდა-განვითარებას. გოგონების სხეული კარგავს სიმრგვალებას, ეკარგებათ სექსუალური ლტოლვა და მას შემდეგ, როცა ცხიმდაგროვება დაეცემა სხეულის საერთო წონის 17%-მდე, წყდება მენტრუაცია. გოგონები ფიქრობენ, რომ ასეთი მკაცრი დიეტა მათ უფრო მიმზიდველს და ელეგანტურს გახდის, მაგრამ სინამდვილეში კი სრულიად საწინააღმდეგო ეფექტს ვეძებულობთ.

კვების დარღვევის ერთ-ერთი ფორმაა აგრეთვე ბულიმია, რომელიც შეიძლება ანორექსიის სახესხვაობად ჩაითვალოს, თუმცა იგი სხვა სახის დაავადებაა.

ბულიმით დაავადებულები (ძირითადად გოგონები) ძალიან განიცდიან თავიანთ ზედმეტ წონას, მაგრამ ანორექსიისაგან განსხვავებით მათ აქვთ ჭამისადმი დიდი მიდრეკილება. მათ განსაკუთრებით უყვართ ტკბილეული; ესაა ე.წ. ლორმუცელობა, როცა ასეთი მოზარდები მოკლე დროის განმავლობაში ღებულობენ დიდი რაოდენობის ნახშირწყლებს. ისინი ამას ძალიან განიცდიან და ცდილობენ გამოიწვიონ ხელოვსური პირღებინება. ბულიმით დაავადებულებს მიაჩნიათ, რომ მათი ქცევა არაა ნორმალური, რცხვენიათ კიდევ, მაგრამ თავს ვერ იკავებენ საკვების მიღებისაგან. ისინი უკმაყოფილონი არიან თავიანთი გარეგნობით, ახასიათებთ შფოთვა-წუხილი, დეპრესიისკენ მიდრეკილება და აქვთ დაწეული თვითშეფასება.

მოზარდების წუხილსა და შფოთვის იწვევს აგრეთვე ჭორფლი და მუწუკები, რომლებიც გამოწვეულია კანის ჯირკვლების ჭარბი სეკრეციით. ამ მდგომარეობას მოზარდები ძალიან განიცდიან და იგი გადაღის წუხილის ემოციამში.

მოზარდებისათვის ძალიან დიდი მნიშვნელობას იძენს მათი ფიზიკური მომწიფების ვადებიც. ზოგიერთი მოზარდი ნაადრევად მწიფდება, ხოლო ზოგიერთი კი-გვიან. ეს მდგომარეობა მოზარდების ფსიქიკურ, სოციალურ და ადაპტაციურ მასსიათებლებზე განსაკუთრებულ გავლენას ახდენს. ნაადრევად მომწიფებულ ბიჭებს დადებითი თვითშეფასება აქვთ. ხოლო გვიან მომწიფებულებს – უარყოფითი. ადრე მომწიფებული ბიჭები უფრო მაღლები და ძლიერები არიან გვიანმომწიფებულებთან შედარებით. მათ უფრო კარგად აქვთ განვითარებული მუსკულატურა და მოძრაობათა კოორდინაცია, რაც მათ რიგ უპირატესობას აძლევს სპორტსა და სოციალურ ურთიერთობებში. ნაადრევად მომწიფება ბიჭებისათვის მანც ერთგვარი უპირატესობაა. ისინი ავლენენ უფრო კეთილ და დადებით პიროვნულ თვისებებს, ვიდრე განვითარებაში ჩამორჩენილი მათი თანატოლები.

გვიან განვითარებული ბიჭები განიცდიან უკმარობის კომპლექსს. ხუთმეტო წლის მოზარდი, რომელსაც ჯერ არ დადგომია პუბერტეტის ასაკი, შეიძლება ოცი სანტიმეტრით დაბალი და 13.5 კილოგრამით ნაკლები იყოს ნაადრევად მომწიფებულ მის თანატოლზე. ასეთ ბიჭებს უკმაყოფილებათ ნეგატიური თვითშეფასება და მეს-კონცეფცია, თანატოლთა შორის ისინი უფრო ნაკლებად მიმზიდველნი და პოპულარულები არიან – ისინი მწვავედ განიცდიან არასრულყოფილების კომპლექსს, განკვირდობულებასა და გარიყულობას.

ნაადრევად მომწიფებული გოგონები უკმაყოფილებას გამოთქვამენ თავიანთი სხეულებრივი ხატის გამო და აქვთ ნეგატიური თვითშეფასება. გოგონა, რომელმაც ფიზიკურ სიმწიფეს მიაღწია მეექვსე და მეშვიდე კლასში და მნიშვნელოვნად ჯობნის ამ თვალსაზრისით თანატოლ გოგონებს, იმყოფება წამებთან სიტუაციაში. იგი მაღალია, სექსუალურად უფროა განვითარებული და რცხვენია იმის გამო, რომ თანატოლი გოგონებისაგან ძალიან განსხვავებულია. მისი ნაადრევი სექსუალური ინტერესები კი აღელვებს და აშფოთებს მშობლებსა და მასწავლებლებს.

ამ ასაკის გოგონა შეიძლება არ აღმოჩნდეს მზად ახალი სოციალური როლის მისაღებად და სექსუალური ცდუნებების წინააღმდეგობის გასაწევად, რის

გამოც შეიძლება აღმოუცენდეს სტრესი. მეექვსე-შეშვიდე კლასის ნაადრევად მომწიფებული გოგონები უკლებენ სწავლას. გოგონებთან ნაადრევად მომწიფების დადებითი ეფექტი ბიჭებთან შედარებით გაცილებით ნაკლებია.

ვიან მომწიფებული გოგონები კი აშკარად წამებთან სოციალურ სიტუაციაში იმყოფებიან. ისინი გამოიყურებიან როგორც „პატარები“ და უკმაყოფილონი არიან იმით, რომ მათ შესაბამისად ექცევიან როგორც პატარას. განსაკუთრებით ივანიებს იმ გოგონების მომწიფება, რომელთაც მენარზე დაწყით 14-18 წლებში. ასეთ გოგონებს შურთ თავიანთი ადრე მომწიფებული თანატოლების.

მეორადი სასქესო ნიშნები ბიჭებთან ვალიბდება - 11 წლის ასაკში - 13%, 12 წლის ასაკში - 34%, 13 წლის ასაკში - 36 %, 14 წლის ასაკში 15%, 15 წლის ასაკში - 2%. 12-13 წელი არის მეორადი სასქესო ნიშნების განვითარების საშუალო ასაკი. დაგვიანება ძალიან დიდ გავლენას ახდენს მოზარდის ფსიქიკაზე და იწყებს არასრულფასოვნების კომპლექსის განვითარებას. მეორადი სასქესო ნიშნების გამოვლენის რიგი ასეთია: ჯერ ხდება ხმის მუტაცია, მერე ბოქვენის გათმოვანება, ხორხის გამოკეთა, ილიისა და პირისახის გათმოვანება.

სქესობრივი მომწიფების დაწყებიდან დათავრებადღე, ნორმალური განვითარების პირობებში, გადის ხუთი წელი. შესაძლებელია უფრო ჩქარი და ნელი ტემპის არსებობაც, როცა იგი მთავრდება სამ ან შეიდ წელში. შემთხვევები, როცა სქესობრივი მომწიფების პირველი ნიშნების გამოვლენა გოგონებთან იწყება 9 წლამდე ან 13 წლის შემდეგ, ხოლო ბიჭებთან 10 წლამდე ან 14-15 წლის შემდეგ დაკავშირებულია ენდოკრინოლოგიურ დარღვევებთან.

სქესობრივი მომწიფების პროცესი ძლიერ ზეგავლენას ახდენს და დაღს ასევე მოზარდის სულიერი ცხოვრების მიმდინარეობაზე, მის განწყობილებასა და ინტერესებზე. მასთან დაკავშირებით ზოგი ისეთი მისწრაფებაც ჩნდება, რომელიც სქესობრივი მოვლენის სახით არ განიცდება, მაგრამ მოზარდის სულიერი ცხოვრებაში მნიშვნელოვან ადგილს იჭერს; ამიტომ გარდამავალი ასაკის ყველა თავისებურებას ვერ გავიგებთ, თუ მისი სქესობრივი მომწიფებისა და განვითარების პროცესი არ მივიღეთ მხედველობაში.

სქესობრივი მომწიფება და სქესობრივი სფეროს განვითარების ძვრები ფსიქოლოგიური ახალწარმონაქმნების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია, ფიზიკური და სქესობრივი მომწიფება არის მოწიფულობის მძლავრი ფაქტორი და მაჩვენებელიც. უნდა აღინიშნოს, რომ მოზარდი „მწიფე“, მოწიფული ხდება მხოლოდ სქესობრივი განვითარების სფეროში, მაგრამ მისი ფიზიკური, სულიერი და ზნობრივი განვითარება შორისა ხრულყოფილებისაგან, იგი 3-4 წლის შემდეგ იწყება.

სქესობრივი სიმწიფის კვალობაზე ორივე სქესის მოზარდისათვის ნორმალური მოვლენაა პირველი რომანტიკული გრძნობების ვალვიება. მოზარდის პირველი გატაცებები ჯერ კიდევ ზედაპირულია, როგორც წესი, ხანმოკლეა და წინ უსწრებს ე.წ. „პირველ სიყვარულს“. იგი აღმცენდება 14-15 წლის ასაკში, მაგრამ ნამდვილად სიყვარულის პერიოდი ადრეული ჭაბუკობის ასაკია.

სქესობრივი მომწიფების პირველი ნიშნების გამოვლინებასთან ერთად ირღვევა პროპორციულობა მოზარდის სხეულის აგებულებაში. ეს პროპორციული და პარამონიული განვითარება გვიანი ბაშვობისათვის იყო დამახასიათებელი. ახლა კი მოზარდი სწრაფად იწყებს ზრდას სიმაღლეში მაგრამ, უპირველეს ყოვლისა, იზრდება კიდურები. ხოლო თვითონ სხეული ისევ წინანდელ ზომებს ინარჩუნებს. ეს იწყებს მოზარდის სხეულის აგებულების პროპორციის დარღვევას. ამ მოვლენას პუბერტეტელის დისჰარმონია ეწოდება. დისჰარმონიის პროცესს აძლიერებს თავის ნაწილების სიდიდეთა ურთიერთმიმართების დარღვევა. როგორც ცნობილია ძალიან იზრდება ცხვირი, ნიკაბი და ყურები, რის გამოც მოზარდის წინანდელი სილამაზე და პროპორცია ირღვევა. ამასთანავე, სხეულის მოძრაობებიც ჰკარგავენ სიზუსტეს და მოზარდები აჩქარებულნი და ნერვოულნი ხდებიან. საკუთარი სხეულის ასეთი ნაკლოვანებების გაცნობიერება მოზარდში იწყებს უკმაყოფილებას. იმის გამო, რომ მოზარდი საკუთარ მოძრაობებს თავისუფლად ვერ ფლობს, იგი ხშირად რაიმეს წამოედება, გატეხს ან გააფუჭებს. მოზარდმა რომ იცოდეს ეს მდგომარეობა დროებით მოვლენას წარმოადგენს და იგი ასაკთან ერთად გაივლის, მტკივნეულად არ განიცდიდა ამას. მშობლებმა და, განსაკუთრებით, მასწავლებლებმა ეს შესაბამისი ტაქტიკით უნდა აუხსნან მათ.

მოზარდის ფიზიკური განვითარების დამახასიათებელია ე.წ. „ზრდის ნახტომი“, რაც სხეულის სიგრძის ინტენსიურ ზრდაში გამოიხატება. სიმაღლის ასეთი ინტენსიური ზრდა (8-10 სმ) აღინიშნება 13-15 წლიდან, ხოლო შემდგომ ზრდის ეს ტემპი ნელდება.

ზრდის ნახტომის დაწყება და დინამიკა არ მიმდინარეობს თანაბრად. ზრდის მნიშვნელოვანი ნახტომი იწყება სქესობრივი მომწიფების პერიოდში, რომელიც ზოგიერთ მოზარდთან იწყება 12, ხოლო ზოგიერთთან 14-15 წლის ასაკში. გარდამავალ ასაკში სიღაბლე (დაბალი ტანი) მეტად მწვევედ განიცდება. რა არის მოზარდების არათანაბარი განვითარების და, საერთოდ, არათანაბარი სიმაღლის მიზეზი? სიღაბლის მიზეზი მრავალია. უპირველეს ყოვლისა ესაა მემკვიდრული ნიშნების გადაცემა. დაბალი მშობლების შვილები, უმეტესწილად, დაბლები არიან.

მოზარდების არათანაბარი ფიზიკური და სქესობრივი განვითარება განსაკუთრებით შესამჩნევია უკანასკნელი 25-30 წლის განმავლობაში. ამ მოვლენას ყურადღებით სწავლობენ ექიმები, პედაგოგები, ფსიქოლოგები და სოციოლოგები და მის ახსნას აქსელერაციის პროცესის პოზიციიდან ცდილობენ. აქსელერაციის მიზეზები კი ევრჯერობით, სამწუხაროდ, ბოლომდე არაა შესწავლილი. მეცნიერთა უმრავლესობა ფიქრობს, რომ დაჩქარებული განვითარების მიზეზია ისეთი ფაქტორების კომპლექსური ზემოქმედება, როგორიცაა გარემოს ცვალებადობა, კვების გაუმჯობესება, ნივთიერებათა ცვლის და ინფორმაციის ნაკადის ზრდა, გონებრივი მუშაობის ინტენსიფიკაცია.

ამასთანავე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ყველა მოზარდი არაა აქსელერირებული. ზოგიერთი მათგანი იზრდება და ვითარდება „ძველი სქემით“ და ამიტომ დროებით ჩამორჩება თავის თანატოლებს სიმაღლეში. ამასთანავე ზრდა დამოკი-

დებულება შინაგანი სეკრეციის ჯირკვლების ფუნქციობაზე. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ჰიპოფიზის ფუნქციობა, რომელიც იმუშავებს ზრდის ჰორმონებს. ჰიპოფიზის განკითარება და მის მიერ გამოშუშავებული ჰორმონების რაოდენობა განსხვავებულია, რის შედეგადაც ზოგიერთი მოზარდი მაღალია, ხოლო ზოგიერთი კი - დაბალი.

საინტერესოა მოზარდი ბიჭების სიმაღლის და წონის მანქნებლების შეფარდება:

ასაკი	შესაძლო ვადანათა საზღვრები	სიმაღლე (სმ)	წონა (კგ)
13	დაბლები	129-135	26-30
	საშუალოზე დაბლები	136-144	31-36
	საშუალოები	145-160	37-47
	საშუალოზე მაღლები	161-168	48-53
	მაღლები	169-175	54-58
14	დაბლები	137-141	30-33
	საშუალოზე დაბლები	142-150	34-40
	საშუალოები	151-167	41-54
	საშუალოზე მაღლები	168-176	55-62
	მაღლები	177-180	63-65
15	დაბლები	141-148	33-38
	საშუალოზე დაბლები	149-161	39-49
	საშუალოები	162-173	50-59
	საშუალოზე მაღლები	174-181	60-66
	მაღლები	182-189	67-72
16	დაბლები	147-157	38-46
	საშუალოზე დაბლები	158-167	47-55
	საშუალოები	168-176	56-62
	საშუალოზე მაღლები	177-183	63-68
	მაღლები	184-190	69-73
17	დაბლები	156-164	47-54
	საშუალოზე დაბლები	165-173	55-62
	საშუალოები	174-180	63-69
	საშუალოზე მაღლები	181-186	70-69
	მაღლები	187-192	75-80

ბიჭებისა და გოგონების სწრაფი ზრდა გრძელდება დაახლოებით 4 წელს. ბიჭები ძალიან სწრაფად იზრდებიან საშუალოდ 13 წლის ასაკში, ხოლო გოგონები ორი წლით ადრე 11 წლის ასაკში. სწრაფი ზრდა, როგორც წესი, 15 წლის ასაკში სრულდება, მაგრამ შესაძლებელია 17 წლის ასაკამდეც გაგრძელდეს. სწრაფი ზრდის დასაწყისის მკვეთრად ინდივიდუალურია, რაც იმას ნიშნავს, რომ ზოგიერთი მოზარდი ჰუბერტეტული ზრდის ფაზას მაშინ ამთავრებს, როცა მის ზოგიერთ თანატოლს ეს პროცესი არ დაუწყია.

სწრაფად განვითარებული მოზარდები, განსაკუთრებით ბიჭები, გამოირჩევიან ძალიან დიდი მადით. საერთოდ, საკვების მოთხოვნილება გარდამავალ ასაკში მნიშვნელოვნად იზრდება. ყოველი ასაკის ბიჭებს, საშუალოდ, გოგონებზე მეტი კალორიები ესაჭიროებათ.

სხეულის ზომას და წონის ცვლილებების პარალელურად აგრეთვე იცვლება სხეულის პროპორციებიც. თავდაპირველად საბოლოო ზომას აღწევს თავი, ხელები და ტერფები, შემდეგ – მკლავები და ფეხები, ხოლო ბოლოს – ტორსი. ინგლისელი პედაგოგის ტინერის სიტყვებით რომ ვთქვათ, „როცა ბიჭს ერთი წლის განმავლობაში არ სჭირდება უფრო დიდი ზომის შარვალი, მას აგრეთვე არ სჭირდება დიდი ზომის პიჯაკიც“.

მოზარდებში სხეულის სხვადასხვა ნაწილების განსხვავებული ზრდის ტემპი („უბერტული დისპარმონია“) ხშირად ხდება მათი თავის თავში დაურწმუნებლობის გრძნობის აღმოცენების მიზეზი. ეს, განსაკუთრებით, იმ მოზარდებს ეხებათ, რომლებიც ძალიან სწრაფად იზრდებიან. ისინი ხედავენ, რომ ძალიან დიდი ტერფები, გრძელი ხელები და ფეხები აქვთ. ეს უსიამოვნო განცდები, უფროსების უაზრო კომენტარების წყალობით, უფრო მწვეკვდება.

მოზარდობის ადრეული პერიოდში კლინდება სქესთამორისი განსხვავებანი სხეულის ფორმებშიც. გოგონებს ჯერ კიდევ ბავშვობის ასაკიდანვე აქვთ უფრო ფართო მენჯის ძელები, ვიდრე – ბიჭებს. ეს განსხვავება ძალიან მკაფიოდ იკვეთება უბერტულში. შემდგომში ბიჭების ძელები უფრო მსხვილდება და გრძელდება. მათ უფრო მეტად უითარდებათ კუნთური ქსოვილი და უფართოვდებათ მხრები. ეს არის იმის საფუძველი, რომ ბიჭები უფრო ძლიერები ხდებიან, ვიდრე – გოგონები.

ამასთანავე ბიჭების გულისა ზომა და ფილტვების სასიცოცხლო მოცულობა უფრო იზრდება.

გარდამავალ ასაკში ხდება მოზარდის სხეულის, ყველა ორგანოსა და ქსოვილის ინტენსიური ზრდა. თუ ბავშვობის ასაკში ზრდის პროცესში ძირითადად მოქმედებდა ზრდის ჰორმონი, რომელსაც პიპოფიზი გამოიმუშავებდა, ახლა ზრდის ტემპი ძირითადად განპირობებულია სქესობრივი და ფარისებრი ჯირკვლების ჰორმონების გავლენით, თუმცა ამ ჯირკვლების ფუნქციები რეგულირდება პიპოფიზით. მას შინაგანი სეკრეციის ჯირკვლების მთელი ორკესტრის დირიჟორს უწოდებენ, რადგან პიპოფიზის მიერ გამოიმუშავებული ჰორმონები ააქტიურებენ თირკმელზედა, ფარისებურ და სქესობრივ ჯირკვლებს. ამიტომ ამ ჯირკვლების ფუნქციის დარღვევა, როგორც ვნახეთ, იწვევს ისეთ გადახრებს, როგორიცაა ჯუჯები და გიგანტები.

9-10 წლამდე ბიჭებისა და გოგონების ორგანიზმის განვითარება ერთნაირად მიმდინარეობს. ამ მომენტისათვის სისხლში გაძლიერებული ტემპით ჩაედინება თითოეული სქესისათვის დამახასიათებელი სპეციფიკური ჰორმონი. გოგონებში ზრდისა და სქესობრივი მომწიფების აჩქარება 1-2 წლით უფრო ადრე იწყება ვიდრე ბიჭებში (10-12 წ.) 10 წლის ასაკიდან გოგონები უფრო ინტენსიურად იზრდებიან, და ასწრებენ ბიჭებს ამ მიმართულებით. ხოლო სქესობრივი მომწიფების პროცესის დამთავრების შემდეგ გოგონების ზრდა მკვეთრად ნელდება. 15-16 წლის ასაკში მათი სიმაღლე, როგორც წესი, გოგონებზე გაცილებით მეტია. საერთოდ, ბიჭების ზრდა 18-20 წლამდე გრძელდება, რადგან მათთან სქესობრივი მომწიფება სრულყოფილებას ამ ასაკში აღწევს.]

ამრიგად სხეულის ზრდა დაკავშირებულია სქესობრივ მომწიფებასთან, რომელიც 10 წლის ასაკიდან ბიჭებთან და გოგონებთან უკვე განსხვავებულად მიმდინარეობს. ზრდის ტემპების აჩქარება გარდამავალ ასაკში მჭიდროდაა დაკავშირებული სქესობრივი ჯირკვლების ფუნქციის გაძლიერებასთან, რომელიც განსაზღვრავს ორგანიზმის მოქმედების გარდაქმნის მრავალ მხარესა და ასპექტს. ამიტომ ცნება „ფიზიკური განვითარება“ მჭიდროდაა დაკავშირებული სქესობრივ მომწიფებასთან და ამ ასაკში განვითარების შეფასება აუცილებლად უნდა მოხდეს სქესობრივი მომწიფების ხარისხის გათვალისწინებით.

ღიღი ცვლილებებია მოზარდის გულ-სისხლძარღვთა სისტემის განვითარებაში. მოზარდის გული მნიშვნელოვნად იზრდება მოცულობის მიხედვით, იგი უფრო ძლიერდება, ხოლო სისხლძარღვთა დიამეტრი მის ზრდას ჩამორჩება, რის გამოც ტვინს უჭირს ჟანგბადით მდიდარი სისხლის მიღება. ყოველივე ამის გამო მოზარდს ხშირად აღენიშნება თავბრუსხვევები, თავის ტკივილი, გულისცემის გაზშირება, სისუსტე და ადვილი დაღლალობა.

გულ-სისხლძარღვთა სისტემის განვითარების ამ ხარვეზებს და შინაგანი სეკრეციის ჯირკვლების ინტენსიური ფუნქციობის დაწყებას მოზარდი მიყავს ნერვული სისტემის ზოგიერთ დარღვევამდე, რომელიც მართლაც, სწრაფად გაივლის, მაგრამ მის ფსიქიკაზე გარკვეულ კვალს სტოვებს. ზოგიერთ მოზარდს აღენიშნება აწეული აგზნებულობა, გაღიზიანებადობა, „აფეთქება“, რომლებმაც შეიძლება აფექტის ფორმებიც მიიღოს. იმის გამო, რომ არტერიების დიამეტრის ზრდა გულის ზრდას ჩამორჩება, ხოლო ფარისებრი ჯირკვლის გავლენით სისხლის მიმოქცევა ძლიერდება, სისხლძარღვებს უჭირთ სისხლის გატარება და ტვინისათვის შეუფერხებლად მიწოდება. ამის გამო მოზარდებს ხანდახან აღენიშნებათ სახის ძლიერი წამოწითლება ან გაფითრება, არასწორი რიტმი, ქოშინი და გაზშირებული გულისცემა.

გარდამავალი ასაკის ერთ-ერთი სპეციფიკური თავისებურებაა ადვილი დაღლალობა, რომელიც დაკავშირებულია მოზარდის ორგანიზმის (განსაკუთრებით გულ-სისხლძარღვთა სისტემის) ანატომიურ-ფიზიოლოგიურ გარდაქმნასთან. როგორც აღენიშნეთ, მოზარდის გულსისხლძარღვთა სისტემა არაა სრულქმნილი და სრულყოფილი. ამ ასაკში ორგანიზმის საერთო ზრდის კვალობაზე იწყება გულ-სისხლძარღვთა სისტემის ინტენსიური განვითარებაც, მაგრამ გულის კუნთის ზრდას სისხლძარღვების დიამეტრის ზრდა ჩამორჩება. ამის გამო თავის ტვინი არასაკმარისად მარაგდება სისხლით. ამას უნდა დაემატოს ის ცვლილებები ენდოკრინული სისტემის მუშაობაში, რომელიც აგრეთვე დაკავშირებულია ენერჯის უფრო და უფრო მომეტებულ ხარჯვასთან. ეს მდგომარეობა არ ჩაივლის უკვალოდ, რაც იმაში გამოიხატება, რომ მოზარდის ადვილ დაღლალობას ხშირად იწყებს ჩვეულებრივი დატვირთვა კი. იმ შემთხვევაში, როცა მუშაობის რეჟიმის დაცვა მოზარდისთვის ჩვეულებრივი არ გამხდარა, ნერვული ენერჯის გადახარჯვა და ადვილი დაღლალობა მისთვის გარდაუვალია.

მოზარდის ტვინი წონაში უმნიშვნელოდ იზრდება. ახალშობილის ტვინი 400 გრამს იწონის, 7 წლის ბავშვის ტვინი – 1250 გრამს, 15 წლის მოზარდისა

განმავლობაში მოზარდები ვითარდებიან ჩქარი ტემპით, ისინი უფრო ღიძვები, მალეები და ძლიერები არიან, ვიდრე მათი თანატოლები 30-50 წლის წინათ. სქესობრივი მომწიფებაც ახლა 1.5-2 წლით ადრე იწყება. აქსელერაცია ჯერ კიდევ დედის საშობო ვლინდება, რაც ახალშობილის სხეულის მასისა და სიგრძის მომატებაში გამოიხატება. ასეთი აქსელირებული ახალშობილების შემდგომი ზრდა-განვითარება აჩქარებულად მიმდინარეობს. აქსელერაციასთან დაკავშირებით უკანასკნელი 30-40 წლის განმავლობაში მკვთარად გაიზარდა მოზარდის ფიზიკური განვითარების მაჩვენებლები. 1925 წელს 13 წლის ბიჭების საშუალო სიმაღლე იყო 141.2 სმ, 1958 წელს 150.8 სმ, 1971 წელს 156.7 სმ. 14 წლის ბიჭების საშუალო სიმაღლე ამ წლებში შესაბამისად შეადგენდა 145.4, 157.3 და 162.6 სანტიმეტრს. მნიშვნელოვნადაა გაზრდილი წონისა და სიმაღლის საშუალო მაჩვენებლები გოგონებშიც.

თანამედროვე მოზარდების ფიზიკური განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თავისებურებაა ვიწროპროპორციანობა – შედარებითი ჩამორჩენა გულ-შკერდის ჩონჩხის განვითარებაში. ეს დისპროპორცია უფრო მეტად მაქსიმალურად მაღალ მოზარდებს ახასიათებს, რაც აქსელერაციასთან მის კავშირზე მეტყველებს. შეიძლება ვთქვათ, რომ აქსელერაცია რამდენადაც უწყობს ხელს დისპროპორციული მოზარდების რიცხვის ზრდას. თანამედროვე მოზარდების ფიზიკური განვითარების ერთ-ერთი თავისებურებაა აგრეთვე ტენდენცია ჭარბი წონისადმი. ამ მოვლენას აქსელერაციასთან არა აქვს კავშირი. იგი დაკავშირებულია ადრეულ ასაკში ბავშვის ჭარბ კვებასთან. ზრდის აჩქარების თანმხლები მოვლენაა სქესობრივი მომწიფების ნაადრევი დაწყება და დამთავრება, რაც გოგონებისათვისაა განსაკუთრებით დამახასიათებელი. ეს კი აქსელერაციის გამოვლენაა.

როგორ უნდა შევფასოთ აქსელერაციის მოვლენა გარდამავალ ასაკში ორგანიზმის მთლიანი ფუნქციონალური მდგომარეობის თვალსაზრისით, მისი შრომისუნარიანობის, მუშაობისუნარიანობისა და ცხოველყოფილების მიმართულებით? ცნობილია, რომ დისპროპორციული განვითარების აქსელირებული მოზარდები უფრო ნაკლებად იტანენ ფიზიკურ დატვირთვას, ვიდრე მათი საშუალო განვითარების თანატოლები. აღნიშნული ფაქტი ყოველთვის უნდა გავითვალისწინოთ სპორტულ სექციებში მოზარდების გაერთიანების დროს, რაც განსაკუთრებით სპორტის „მძიმე“ სახეობებს ეხება. ფიზიკურ დატვირთვებს ცუდად ეგუებიან და იტანენ აგრეთვე ჭარბი წონის მოზარდებიც. ამრიგად მოზარდობის ასაკში ფიზიკური განვითარების მაღალი მაჩვენებლები თავისთავად არ მოწმობს მოზარდის დიდ ფიზიკურ შესაძლებლობებზე.

გარდამავალი ასაკის მოზარდისათვის დამახასიათებელია, ერთი მხრივ, ენერჯის მოჭარბება და, მეორე მხრივ, მათოგენური გამლიზიანებლების მიმართ აწეული მგრძობილობა. ამის გამო, გონებრივი და ფიზიკური დაღლილობა, ზანგრძლივი ნერვული დაძაბულობა, ძლიერი უარყოფითი განცდები (შიში, რისხვა, წყენა) შეიძლება ენდოკრინული და ნერვული სისტემის ფუნქციონალურ დარღვევათა მიზეზი გახდეს. მათი ნიშნებია: აწეული გალიზიანებადობა, შემაკავებელი მექანიზმების სისუსტე, დაღლიადობა, გაფანტულობა, მუშაობის პროდუქტიულობის დაკლება, ძილის დარღვევა.

გარდამავალ ასაკში ისპობა ბავშვობის ორგანიზმის ნერეული და ენდოკრინული სისტემის მოქმედების ბალანსი, ხოლო ახალი ბალანსი ჯერ არ ჩამოყალიბებულა. ეს გარდაქმნა ვლინდება მოზარდის შინაგან მდგომარეობაში, რეაქციებსა და გუნება-განწყობილებაში, გვეკლინება ამ ასაკისათვის დამახასიათებელი საერთო გაუნონასწორებლობის, გაღიზიანებადობის, „აფეთქებების“, მოძრაობითი აქტიუობის, ავზნებულობის, პერიოდული ამათიისა და მოთენთილობის საფუძველად. მოზარდი აქტიურად რეაგირებს საკუთარ ცვლილებებზე, განსაკუთრებით კი ისეთებზე, რომლებიც მათ თანატოლებისაგან გამოარჩევენ. ბიჭების დაბალი ტანადობა (ჯუჯა) და გოგონების დიდი სიმაღლე (გიგანტიზმი) მათი ძლიერი უარყოფითი განცდებისა და არასრულყოფილების კომპლექსის ჩამოყალიბების საფუძველი ხდება.

გარდამავალი ასაკის კრიზისის პრობლემის თეორიული საფუძველების დამუშავება მე-19 და მე-20 საუკუნის მიჯნაზე დაიწყო. ამ დროს ბატონობდა აზრი იმის შესახებ, რომ მოზარდობის ასაკის „კრიზისის“ და მოზარდის თავისებურებების მიზეზი იყო ბიოლოგიური მომენტები, მოზარდის ორგანიზმში მიმდინარე გენეტიკურად განპირობებული ცვლილებები, რის გამოც ამ ასაკში ფსიქოლოგიური ახალწარმონაქმნების გამოვლენა განიხილებოდა როგორც აუცილებელი და უნივერსალური მოვლენა. ე.ი ითვლებოდა, რომ იგი დამახასიათებელი იყო ყველა მოზარდისათვის. აქედან ასკენდინენ, რომ მოზარდის ცხოვრებაში აღზრდისა და ნაკლოვანებების გამოსწორების მიზნით ჩარევას აზრი არ აქვს, რადგანაც ბუნების შეცვლა არ შეიძლება. ეს არასწორი პედაგოგიური პოზიციია, რომელიც გამომდინარეობდა მოზარდის განვითარებისა და ფსიქოლოგიური თავისებურებების ბიოლოგიური განპირობებულობის წანამძღვრებიდან. მაგრამ ეს შეხედულებები ბევრმა მეცნიერულმა ფაქტმა და აღზრდის პრაქტიკამ ეჭვის ქვეშ დააყენა. ფსიქოლოგები და პედაგოგები მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ მოზარდის არსებითი თავისებურებები დამოკიდებულია მათი ცხოვრების სოციალურ პირობებზე. მნიშვნელოვანი ფაქტები აღმოაჩინეს ამერიკელმა ანთროპოლოგებმა, რომლებიც პრიმიტიულ ცივილიზაციებს სწავლობდნენ. მ. მიდმა დეტალურად შეისწავლა კუნძულ სამოას მოზარდი გოგონების ცხოვრება და თავისებურებანი და კერავითარი „კრიზისი“ ვერ აღმოაჩინა. მ. მიდმა და სხვა ანთროპოლოგებმა დაასკენეს, რომ მოზარდობის პერიოდი განსხვავებული ხანგრძლივობისა (ზოგიერთი ტომის მოზარდებში იგი გრძელდება მხოლოდ რამდენიმე თვეს).

ანთროპოლოგი რ. ბენედიქტი მრავალრიცხოვანი გამოკვლევების საფუძველზე მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ბავშვობიდან მოწიფულობაში გადასვლა სხვადასხვა საზოგადოებაში განსხვავებულად მიმდინარეობს. ისეთ საზოგადოებაში, სადაც ქცევა არ პოლარიზდება (ბავშვისათვის და მოზარდისათვის ცალ-ცალკე), ბავშვობიდან მოწიფულობაში გადასვლა მიმდინარეობს შეუმჩნეველად, ყოველგვარი კონფლიქტებისა და „კრიზისის“ გარეშე.

გერმანელი ფსიქოლოგი კ. ლეინი მოზარდის კონფლიქტური ტიპების განვითარებას მიზეზის დასადგენად ასკენის, რომ თანამედროვე საზოგადოებაში

არსებობს ორი დამოუკიდებელი ჯგუფი – უფროსები და ბავშვები. ის პრივილეგიები და სპეციფიკა, რომელიც ერთ ჯგუფს აქვს, არა აქვს მეორეს. მოზარდის მდგომარეობის სპეციფიკა იმაში მდგომარეობს, რომ ის იმყოფება ამ ორ ჯგუფს შორის. იმის გამო, რომ იგი უკვე ბავშვი არაა, ცდილობს უფროსობას, მაგრამ უფროსები მას ჯერ არ ღებულობენ თავიათნ რიგებში. კ. ლეინი თვლიდა, რომ რაც უფრო მეტია განსხვავება ამ ორ ჯგუფს შორის, მით უფრო მეტი სიმბეჭედებითაა აღსავსე მოზარდობის ასაკი.

ლ. ვიგოტსკის აზრით გარდამავალი ასაკის „კრიზისი“ დაკავშირებულია ორ გარემოებასთან: ა) მოზარდის ცნობიერებაში ახალწარმოშობის წარმოშობასთან და ბ) მოზარდსა და გარემოს შორის დამოკიდებულების გარდაქმნასთან. მან წამოაყენა ჰიპოთეზა მომწიფების სამ ასპექტის შეუთავსებლობის, სქესობრივი, ზოგადორგანული და სოციალური, როგორც მოზარდობის ასაკის ძირითადი თავისებურებებისა და წინააღმდეგობების შესახებ. ლ. ვიგოტსკი თვლიდა, რომ განვითარების სოციალური სიტუაციის, რომელიც ყოველ ასაკში ბავშვსა და გარემოს შორის ურთიერთობათა განუმეორებელ სისტემას წარმოადგენს, შეცვლა შეადგენს გარდამავალი ასაკისათვის დამახასიათებელი „კრიზისის“ მთავარ მიზეზს.

გარდამავალი ასაკის პერიოდის გამოვლენათა და მიმდინარეობის თავისებურება განსაზღვრულია მოზარდის ცხოვრებისა და განვითარების კონკრეტული სოციალური გარემოებებით, მოზარდილების სამყაროში მისი საზოგადოებრივი მდგომარეობით.

ნ. ნიუკომბის მიხედვით ამერიკულ ბავშვებში აღინიშნება ზოგიერთი სქესობრივი განსხვავება ინტელექტუალურ სფეროსა და სასკოლო წარმატებას შორის. ზოგადად ბიჭებსა და გოგონებს ინტელექტუალური უნარები გამოხატული აქვთ არათანაბრად. ინტელექტის ზოგადი დონე არათანაბარია აგრეთვე სხვადასხვა კულტურებშიც. კვლევების შედეგების მიხედვით არ დასტურდება გენეტიკური განსხვავება IQ მიხედვით ამერიკულ თეთრკანიანებსა და შავკანიანებს შორის.

თავი მეთერთმეტი

გარდამავალი ასაკის მოზარდის სასწავლო საქმიანობა და კომპიუტერი განვითარება

გარდამავალ ასაკში მოზარდის სასწავლო საქმიანობა არსებითად იცვლება. იგი ახლა თვითგანათლებისა და თვითსრულყოფის აზრს ღებულობს. მოზარდი ახლა უკვე ინტერესს ამჟღავნებს იმ ცოდნის მიმართ, რომელიც სასკოლო პროგრამის ფარგლებს სცილდება. ამ ასაკში ძალიან ფართოვდება სწავლის ცნება. სწავლისადმი დამოკიდებულება მკვეთრად იცვლება. სწავლის აუცილებლობის მხოლოდ გაცნობიერება და კარგად სწავლის აბსტრაქტული სურვილი არაა მოზარდის სწავლის ეფექტური და მოქმედი სტიმულები: ახლა წარმატების საფუძველია მისი ცოდნისადმი ინტერესი, ახლის შეცნობის სურვილი და მომავლისათვის სწავლის მნიშვნელობის პიროვნული აზრის გაცნობიერება. ამ თვალსაზრისით გარდამავალ ასაკში იკვეთება მოზარდების ორი ჯგუფი. ა) მოზარდების მნიშვნელოვანი ჯგუფი ავლენს გონებრივი მუშაობისადმი მტკიცე სწრაფვას, განსაზღვრული სასწავლო საგნებისადმი ინტერესს, დამატებითი ლიტერატურის კითხვით ცოდნის გარდამავების სურვილს; ბ) ზოგიერთ მოზარდში კი ეს პირდაპირ უკავშირდება პროფესიულ ზრახვებს. ასეთ მოზარდებს ემსგავსებიან ე.წ. „ნიჭიერი ზარმაცები“, რომელთაც სასწავლო საქმიანობისადმი გულგრილ დამოკიდებულებასთან ერთად აღნიშნუბათ სასწავლო პროგრამის გარეთ რომელიმე საყვარელი საქმიანობით გატაცება. ასეთი მოზარდი გაკვეთილებზე მოწყვნილია, პასიურია, უნებისყოფია, ნიშნებისადმი გულგრილია, ზოლო მისი საყვარელი საქმიანობის სფეროში აქტიურია, მიზანმიმართულია, შეუძლია ხანგრძლივად და პროდუქტიულად მუშაობა, საკუთარი თავის მიმართ მაღალ მოთხოვნელობას ამჟღავნებს, მიზნის მისაღწევად შეუძლია გარკვეული სიძნელეების გადალახვა. მოზარდების ასეთი საქმიანობა ხშირად დაკავშირებული სამომავლო გეგმებთან. მოზარდებში ცოდნის მიღება უკვე გვევლინება პირადი მიზნებისა და გეგმების განზოციელების საშუალებად, რაც მათ შემეცნებით და სასწავლო საქმიანობას კარდინალურად ცვლის. იგი, როგორც აღვნიშნეთ, იქცევა თვითგანათლებად, რაც გარდამავალი ასაკის მოზარდის სასწავლო საქმიანობის ახალი და უმაღლესი ფორმაა. სწავლა ახლა მისთვის პიროვნულ აზრს ღებულობს.

უმცროსკლასელებთან შედარებით მოზარდებს უვითარდებათ სასწავლო საქმიანობისადმი შეგნებული და გააზრებული დამოკიდებულება.

სასწავლო ხასიათის შეცვლა მოზარდებისაგან მოითხოვს მისი ფსიქიკური ცხოვრების გარდაქმნას. ამასთანავე ის გაივლის გადასვლის ბუნებრივ სტადიებს. იგი ჯერ ორიენტაციას აკეთებს ახალ სიტუაციაში და განსაზღვრავს თავის ახალ მდგომარეობას და გარეშემოქმედებთან თავის დამოკიდებულებას, იგი იწყებს ახალ მდგომარეობასთან დაკავშირებული ისეთი სიძნელეების გაცნობიერებას, როგორცაა მასწავლებელთა განსხვავებული მოთხოვნები და სასწავლო პროცესისადმი ახალი დამოკიდებულებები.

ახლა მოზარდის წინაშე ახალი ამოცანა დგას. ესაა მეცნიერებათა საფუძვლების სისტემატური შესწავლა, რომელაც თავის მხრივ მოცემულ საგანში ცოდნის

სისტემატიზაციას და სხვა საგნებთან და ცხოვრების პრაქტიკასთან კავშირების დამყარებას მოითხოვს. უმცროსკლასელებთან შედარებით გარდამავალ ასაკში უფრო მეტად მყარდება კავშირები, რომლებიც მოზარდებს საშუალებას აძლევს ფაქტების მრავალფეროვნებაში ზოგადი და საერთო დინამიკის, ცალკეულ მოვლენაში სპეციფიკური თვისებები გამოიყონ. მოზარდი თარდათანობით იწყებს შესაბამისი ცოდნის დაგროვებას, ცნებებისა და კანონზომიერებების ათვისებას, იმ კონკრეტული ფაქტების შესწავლას, რომლის საფუძველზეც მასალის განზოგადება და სისტემატიზაცია წარმოებს.

მოზარდის სასწალო სქამანობა მშინ მიმდინარეობს ნორმალურად, როცა სწავლება უკავშირდება ცხოვრებისეულ პრაქტიკას, როცა მოზარდს ესმის ათვისებული ცოდნის ცხოვრებისეული აზრი და მნიშვნელობა.

მოზარდს სწავლის გაცილებით უფრო მაღალი მოთხოვნილება აქვს, ვიდრე უმცროსკლასელს. სწავლისადმი შეგნებული დამოკიდებულება და ცოდნის შექნის სურვილი მოზარდებში გაცილებით მაღალია. საბოლოო ანგარიშით მოზარდი აღმოაჩენს, რომ სწავლას აქვს საზოგადოებრივი მნიშვნელობა, რომელიც სწავლისადმი დადებითი დამოკიდებულების მძლავრი სტიმულია.

მოზარდებში ხშირად შეინიშნება სწავლისადმი არასტაბილური დამოკიდებულება, რომელიც მათთან ურთიერთობაში მასწავლებლებმა აუცილებლად უნდა გაითვალისწინონ. დღეს მოზარდი სწავლისადმი შეგნებულ დამოკიდებულებას ავლენს, კარგად სწავლას თავის მოვალეობად თვლის, რისთვისაც გარკვეულ ზომებსაც ღებულობს, ხოლო ხვალ შეიძლება ფეხდაფეხი დაივიწყოს. ის შეიძლება სხვა რამით ისე გაერთოს, რომ სწავლა დაივიწყოს.

გვხვდება ისეთი მოზარდებიც, რომელთა სასწავლო სქამანობის გაუარესების მიზეზია მშობლებისა და მასწავლებლების მზრუნველობის მოცილებისა და „თავისუფლების“ მოპოვების სურვილი. ასეთი მოზარდები არარეგულარულად მეცადინეობენ, რაც შესაბამის ეფექტს არ იძლევა. ამის გამო ეს მოზარდები ადგებიან აშკარა სიცრუის გზას: ისინი უმეტესად იმაზე კი არ ფიქრობენ, როგორ მოემზადონ საკონტრალო წერისათვის, არამედ ამზადებენ „შარგალკებს“.

მოზარდის სწავლისადმი უარყოფითი დამოკიდებულების ერთერთი ხელშემწყობი მიზეზი შეიძლება იყოს აგრეთვე ფიზიკური ნაკლიც: სუსტი მხედველობა, ცუდი სმენა, ენაბლუობა და სხვა.

უმცროსკლასელის ცოდნა ხასიათდება თავისი უშუალო კავშირით აღქმასთან და მოქმედებასთან, თავითი კონკრეტულობითა და გრძობადი შეფერილობით. მოზარდების წინაშე კი ამ მიმართულებით დგება ახალი ამოცანა: საუკეთესოდ ორგანიზებულ შემეცნებითი აქტივობის პროცესში სინამდვილის საგნების ობიექტური არსის წვდობა, მათ შორის არსებული კანონზომიერების გაცნობიერება. ამასთანავე მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ ხშირად საკანთა არსი არ ემთხვევა მის თვალსაჩინო ხასიათს, რასაც მოზარდი გაკვეთილზე გაუცნობა, იგი შეიძლება მის უშუალო ცხოვრებისეულ გამოცდილებასთან წინააღმდეგობაშიც კი მოვიდეს. სასკოლო ცოდნა არაა ახალი ცნობების, წარმოდგენებისა და ცნებების უბრალო მექანიკური ჯამი, არამედ მასთან მჭიდროდა დაკავშირებული

აზროვნების ახალი ხერხები და მოზარდების სინამდვილესთან მიმართების ახალი შეტყენებითი დამოკიდებულება. გარდამავალ ასაკში ცოდნის ათვისება არ დაიფასება სასწავლო ინფორმაციის რაოდენობრივ ჯგამზე, იმის გაღრმავებაზე და გაფართოებაზე, რაც მოზარდმა ადრე იცოდა. ახალი ცოდნა გარდაქმნის არა მარტო ძველს, არამედ მოზარდის აზროვნების ძველ ხერხებსაც. რის შედეგადაც ყალიბდება პიროვნების ახალი თავისებურებანი, რომელიც გამოიხატება ახალი მოტივაციის ჩამოყალიბებაში, სინამდვილისადმი ახლებურ დამოკიდებულებაში და ახალი ცოდნის პრაქტიკულ გამოყენებაში. მოზარდის მიერ ცოდნის ნამდვილი ათვისება მაშინ ხდება, როცა მისი ცოდნა მსოფლმხედველობად იქცევა, ე.ი. როცა იცვლება მოზარდის შეხედულებები გარესამყაროს შესახებ. ასეთი ათვისება არის არა მარტო მისი განათლების, არამედ აღზრდის რთული პროცესიც, რომელიც უშუალოდაა დაკავშირებული მისი პიროვნების ფორმირებასთან იმის გამო, რომ სასწავლო საქმიანობა უშუალოდ მოქმედებს მოსწავლის პიროვნების ჩამოყალიბებაზე, გარდამავალ ასაკში ამ პროცესის შესწავლას პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭება.

შეგირდით იმ განსხვავებებზე, რითაც მოზარდის სასწავლო საქმიანობა უმცროსკლასელისაგან განსხვავდება. გარდამავალ ასაკში მოზარდები იწყებენ ცალკეული სასწავლო დისციპლინების სწავლას, ე.ი. იწყებენ მეცნიერული ცნებებისა და მიზეზ-შედეგობრივი სისტემების დაუფლებას. უნდა ითქვას, რომ თუმცა უმცროსი სასკოლო ასაკის ბოლოს ასეთი საგნების სწავლება უკვე თანდათან შემოდის, მაგრამ სწავლების ამ სტადიაზე ეს საგნები კონკრეტულ, აღწერით ხასიათს ატარებენ. გარდამავალ ასაკში კი ეს საგნები უფრო მეტ განყენებულ შინაარსს იძენენ და, რაც მთავარია, სასწავლო პროგრამაში შემოსვლას იწყებენ სრულიად ახალი საგნები, რომლებიც მოზარდების სასწავლო საქმიანობას სრულიად ახალი მოთხოვნებს უყენებს. ეს საგნებია: ფიზიკა, ქიმია, ალგებრა, გეომეტრია და სხვა, რომლებიც წარმოადგენენ თეორიული ცოდნის განსაკუთრებულ ფორმებს.

გარდამავალ ასაკში შეტანილი ცოდნა დაწყებითი კლასებისაგან განსხვავებით ხშირად იმყოფება სინამდვილის უშუალო აღქმასთან წინააღმდეგობაში.

ამიტომ მოზარდების მიერ მიღებულ ცოდნასა და გარეინამდვილე სშორის კავშირის დამყარებას მეცნიერებათა საფუძვლების შესწავლის პროცესში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს. მოზარდები უნდა მივაჩვიოთ იმას, რომ ცნებებში განზოგადებულ სინამდვილეს ხედავენ.

გარდამავალი ასაკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თავისებურება ისაა, რომ მოზარდები თეორიულ პლანში მსჯელობებს იწყებენ.

გარდამავალ ასაკში სწავლის წარმატება დიდადაა დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ ამთავრებს მოსწავლე დაწყებით სკოლას. ამ თვალსაზრისით ბავშვები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან: ა) სწავლისადმი დამოკიდებულებით – აღინიშნება ორი პოლუსი, სწავლისადმი სერიოზული და გულგრილი დამოკიდებულება; ბ) ზოგადი განვითარებით ასაკის კვალობაზე ცოდნის სხვადასხვა სფეროში მნიშვნელოვანი წინსვლა და ვიწრო თვალსაწიერი; გ) ცოდნის მოცულობითა და

სიმყარით – სკოლის პროგრამის ფარგლებში საგნის სრულ და ღრმა ათვისებამდე და ცოდნის საშუალო დონით; დ) სასწავლო მასალის ათვისების ხერხებით – მასალის დამოუკიდებლად და შეგნებულად ათვისების უნარით და ასეთი ხერხების სრული უქონლობით, მეტნიკური ზეპირობით; ე) სასწავლო მუშაობაში სიძნელეთა გადაღასვის უნარით – მნიშვნელოვანი მიზანსწრაფულობიდან მცირე წინააღმდეგობის დროსაც დახმარების ძებნამდე; ვ) ინტერესებით – ნათლად გამოხატული შემეცნებითი ინტერესებიდან მათ სრულ უქონლობამდე.

დაწყებით კლასებში კარგი აკადემიური წარმატებების მქონე ბავშვებში არის ისეთი ნაკლი, რომელიც ამ ასაკში მათ სწავლაში ხელს არ უშლის. გარდამავალ ასაკში კი ის სწავლის ისეთ წინააღმდეგობად გადაიქცევა, რომლის დაძლევასაც სერიოზული ძალისხმევა სჭირდება. თუ ეს ნაკლი დროულად არ იქნა ლიკვიდირებული, იგი გამოუსწორებელ შედეგებამდე მივყავან. მოზარდი უძლური ხდება სულ უფრო გართულებული სასწავლო მასალის დამოუკიდებლად ათვისების საქმეში. ამიტომ მეშვიდე და მერვე კლასებში შეიძლება აღმოცენდეს დრამატული სიტუაცია. მიუხედავად იმისა, რომ მოზარდი ცდილობს კარგად ისწავლოს, სხვის დაუხმარებლად იგი ვერ ახერხებს ახალი მასალის ათვისებას. იგი სასწავლო საქმიანობაში სხვებზე სრული დამოკიდებული ხდება. მდგომარეობის გაცნობიერება კი მოაზრდში ბადებს უკმარისობის უარყოფით შუკავე გაცნობებს.

მოაზრდობის მთელ პერიოდში სასწავლო საქმიანობაში დიდ გარდატეხა ხდება. ამ თვალსაზრისით კრიტიკულია მეხუთე და მეექვსე კლასები, რადგანაც ამ ასაკში ბევრი რამ იცვლება როგორც სასწავლო საქმიანობაში, ასევე მოზარდის პიროვნებაშიც. უპირველეს ყოვლისა, იცვლება სასწავლო მასალის ხასიათი და მნიშვნელოვნად იზრდება მოთხოვნები მისი ათვისების ხარისხისადმი, გარდა ამისა მოზარდს უჩნდება ახალი ინტერესები და გატაცებები.

სკოლა და სწავლა მოზარდის ცხოვრებაში დიდ და სერიოზულ ადგილს იკავებს. დაწყებით კლასებთან შედარებით ახლა წინა პლანზე გამოდის სასწავლო მასალის დამოუკიდებელი ხერხებითა და მეთოდების საშუალებით ათვისება. თუმცა ყველა მოზარდი ერთნაირი განწყობით არაა სკოლის მიმართ. მოზარდთა ერთი ნაწილისათვის სკოლისაკენ სწრაფვა იზრდება თანატოლებთან ფართო ურთიერთობის დამყარების მიზნით, რის გამოც სწავლის წარმატება შეიძლება დაეცეს, მოზარდისათვის გაკვეთილი არა მარტო მასალის ათვისების დროა, არამედ თანაკლასელებთან და მასწავლებლებთან პრაქტიკული ურთიერთობის პერიოდია. რაც უნდა სერიოზულ საქმეს აკეთებდნენ მოზარდები გაკვეთილზე, ერთმანეთთან ურთიერთობებს მაინც არ წვევტენ.

დღევანდელ მოზარდებს ცხოვრება უხდებათ ისეთ სამყაროში, სადაც ბევრი საინტერესო ინფორმაციაა და რომელსაც ისინი დიდ გატაცებით ეწაფებიან. ქვეყნის დღევანდელი პოლიტიკური სიტუაცია მოზარდის ინტერესის სფეროს მნიშვნელოვნად ზრდის. დღეს მოზარდების ცნობიერება მნიშვნელოვნადაა დაკავებული პოლიტიკით. ვერ ნახავთ სკოლას, სადაც მოზარდები დღევანდელი ცხოვრებით არ ცხოვრობდნენ და პოლიტიკაზე საუბარი მათი ძირითადი თემა არ იყოს. ისინი კითხულობენ პრესას, ისტორიულ წიგნებს, იღრმავენ ცოდნას

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1918 წლის 26 მაისის აქტის შესახებ. საქართველოს ისტორიის შესახებ ჩვენი მოზარდები ბევრს ეკითხებიან არა მარტო ისტორიის, არამედ ფიზიკის, მათემატიკის, ქიმიისა და სხვა საგნების მასწავლებლებსაც. ზოგიერთი მასწავლებელი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს მოზარდის ცნობისმოყვარობას, კარგავს მათ თვალში ავტორიტეტს.

მოზარდების პოლიტიკით ასე დაინტერესება ჩვენი ეპოქის დამახასიათებელი თავისებურება, მაგრამ ხშირად ამის გამო ზიანდება სასწავლო საქმიანობა, სასწავლო მასალის ათვისების დონე და ზარისხი.

გარდამავალ ასაკში სასწავლო საქმიანობის უფრო მაღალი დონე განისაზღვრება მისი დამოუკიდებლობის მაღალი ზარისხით. გარდამავალი ასაკის დასაწყისში შეინიშნება სასწავლო საქმიანობის განვითარების დონეებში მნიშვნელოვანი სხვადასხვაობა – დაწყებული დაბალი, პრიმიტიული ფორმით, როცა არ შეინიშნება დამოუკიდებელი მუშაობის ელემენტარული ფორმაც და დამთავრებული შედარებით უფრო მაღალი ფორმებით, როცა დამოუკიდებელი მუშაობა აღინიშნება არა მარტო საშინაო დავალებების შესრულების დროს, არამედ ცოდნის ახალ სფეროებშიც კი. ახლა მოზარდისათვის თანდათანობით გასაგები ხდება სასწავლო საქმიანობის, თვითგანათლებისაკენ მიმართული შემეცნებითი მოთხოვნების დამაკმაყოფილებელი აზრი. სწავლისადმი შეგნებული დამოკიდებულება არის მოზარდის სასწავლო საქმიანობის მაღალ დონეზე ასვლის ახალი ეტაპი. ცოდნის მიღება ახლა, როგორც ვნახეთ, პიროვნულ ხასიათს იღებს. მოზარდების სწავლის მოტივები რთულ სტრუქტურას წარმოადგენს, რომელშიც ერთადაა წარმოდგენილი ფართო სოციალური, შემეცნებითი და პიროვნული მოტივები.

მოზარდისათვის სწავლა ქცევის ძირითადი ფორმაა. იმაზე, თუ როგორ სწავლობს მოზარდი, მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მისი ფსიქიკური განვითარება და მისი პიროვნების სრულყოფა. მოზარდისათვის დამახასიათებელია სასწავლო საქმიანობის ყველა იმ ფორმებისადმი მზაობა, რომელიც მას საკუთარ თვალში უფროსად ხდის. მოზარდს იტაცებს სასწავლო პროცესის დამოუკიდებელი ორგანიზაციის ფორმები, რთული სასწავლო მასალა. მაგრამ ნაკლოვანი მხარე ისაა, რომ მოზარდს ამ მზადყოფნის რეალიზაცია ვერ არ შეუძლია, რადგანაც იგი ვერ სრულად ვერ ფლობს სასწავლო საქმიანობის ახალი ფორმების შესრულების ხერხებს. ამ მდგომარეობას დიდი ყურადღება სჭირდება მასწავლებლების მხრიდან.

მოზარდები ძალიან დიდ ინტერესს ამჟღავნებენ ყოველი ახალი საგნის მიმართ, მაგრამ საჩუქაროდ, ეს ინტერესი მათ ჩქარა უქრებათ. ხშირად, მოზარდებს უქრებათ სწავლის საერთო ინტერესი, რომლის მიზეზია სასწავლო მოქმედების არასრული ჩამოყალიბება, რაც, თავის მხრივ, არ იძლევა საშუალებაც ამ ასაკის მთავარი მოთხოვნების – თვითდამკვიდრების მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

მოზარდის სწავლის ზარისხის ამაღლების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია სწავლის მოტივების მიზანმიმართული ფორმირება, რომლებიც უშუალოდაა დაკავშირებული ამ ასაკის ღომინირებულ მოთხოვნებებთან. ერთ-ერთი ასეთი

მნიშვნელოვანი მოთხოვნებიდან შექცევითი მოთხოვნები, რომლის რეგულარული დაკმაყოფილებით მოზარდს უვითარდება მტკიცე შექცევითი ინტერესები, რომელიც სწავლისადმი მის დადებით დამოკიდებულებას განსაზღვრავს. მოზარდები ძალიან ცდილობენ საკუთარი ცოდნის გაფართოებას და გაზიარებას, გაიგონ შესასწავლი მთავრების არსი, დაამყარონ მიზეზ-შედეგობრივი კავშირები. მოზარდები განიცდიან დიდ ემოციურ კმაყოფილებას კლასში მუშაობის გამო. მათ მოსწონთ და იტაცებთ დამოუკიდებელი აღმოჩენები. მოზარდების შექცევითი მოთხოვნების დაკმაყოფილებლობა იწვევს სწავლისადმი მკვეთრ უარყოფით დამოკიდებულებას. აქვე ჩნდება სასკოლო დისციპლინების „ინტერესო“ და „უინტერესო“ საგნებად დაყოფაც.

მოზარდების ინტერესები ერთმანეთისაგან განსხვავებიან აგრეთვე მათი შექცევითი აქტივობის მიმართულებითაც. ზოგიერთ მოზარდს ურჩევნია აღწერითი მასალა, მათ იზიდავთ ცალკეული ფაქტები, ზოგი კი ცდილობს შესასწავლი მთავრების არსში გარკვევას, მათ ახსნას თეორიის საფუძველზე, ერთი ნაწილი კი ავლენს დიდ აქტივობას ცოდნის პრაქტიკულად გამოყენების მიმართულებით, მეორე – ამუშავებს რეპროდუქციული მოქმედების მიღრეკილებას, ზოგიერთი კი შემოქმედებით, კვლევით მზარეს აძლევს ამ თვალსაზრისით უპირატესობას.

შექცევითი ინტერესებთან ერთად სწავლისადმი დადებითი დამოკიდებულების ჩამოყალიბების საქმეში არსებითი მნიშვნელობა აქვს მოზარდების მიერ ცოდნის ღირებულების გაცნობიერებას, მოზარდისათვის ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს იმის გაცნობიერებას, რომ ცოდნას აქვს ცხოვრებისეული მნიშვნელობა და იგი საკუთარი პიროვნების განვითარებას უწყობს ხელს, რაც მოზარდის თვითცნობიერების ინტენსიურ განვითარებასთანა დაკავშირებულია. ზოგიერთი სასწავლო საგანი მოზარდს მოსწონს იმიტომ, რომ ის აკმაყოფილებს არა მარტო მის ცოდნის შექმნის მოთხოვნებს, არამედ ყოველმხრივ ავითარებს მის პიროვნებას. თუ მოზარდი ვერ წვდება სწავლის ცხოვრებისეული მნიშვნელობის არსს, მას სწავლისადმი უარყოფითი დამოკიდებულება უვითარდება. ამ დროს დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე სასწავლო წარმატებლობასაც, რაც მოზარდებში უარყოფითი ინტენსიურ განცდებს იწვევს. თუ ასეთი წარმატებლობანი ხშირია, მოზარდს უმყარდება სასწავლო დისციპლინებისადმი უარყოფითი დამოკიდებულება. სასწავლო წარმატება კი არის ემოციური კეთილდღეობის სენზიტიური სიტუაცია, როცა მოზარდები სკოლაში სასწავლო საქმიანობაში ხალისით ერთვებიან.

მასწავლებელმა უნდა იცოდეს არა მარტო მოზარდის სასწავლო მოტივები, არამედ მათი ფორმირების პირობებიც. მოზარდების სწავლისადმი დამოკიდებულება მნიშვნელოვანწილად დაკავშირებული მასწავლებლის მუშაობასა და მისი მოსწავლეების მიმართ დამოკიდებულებების ხასიათზე. მოზარდები მასწავლებლებისაგან პატივისცემას მოითხოვენ.

მეცნიერებათა საფუძვლების ათვისების პროცესში მდიდრდება და ფართოვდება არა მხოლოდ მოზარდის ცხოვრებისეული გამოცდილება და თვალსაწიერი, არამედ ყალიბდება და ვითარდება მისი ინტერესები. ამ ასაკში ინტერესების განვითარება გარკვეული თავისებურებებით ხასიათდება. მოზარდის ინტერესები

შეიძლება იყოს ფართო და ვიწრო, მყარი და არამყარი, ღრმა და ზედაპირული. შესაძლებელია ინტერესების ტიპური ასაკობრივი მანძილზე გაბოვლებაც.

უმცროსკლასელებთან შედარებით მოზარდებს ინტერესების განსხვავებული დონე აქვთ. მოზარდების ინტერესები, უპირველეს ყოვლისა, ფართოა. მეცნიერებათა საფუძვლების შესწავლა, მოზარდების გონებრივი განვითარების უფრო მაღალი დონე, უფრო ფართო თვალსაწიერი, მათ ინტერესთა სფეროში ადამიანური საქმიანობის განსხვავებული მხარეების შემოსვლის საშუალებას იძლევა. ამ ასაკში აღინიშნება მოზარდების ფართო ინტერესები ფიზიკის, ქიმიის, ასტრონომიის, ტექნიკის, ბიოლოგიისა და სხვა დარგებისადმი, მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს სპორტულ ინტერესებსაც. ვითარდება აგერთვე საზოგადოებრივ-პოლიტიკური ინტერესებიც.

მოზარდების ინტერესები ხდება არა მარტო უფრო ფართო და მრავალმხრივი, არამედ უფრო ღრმა და შინაარსიანი. მაგალითად, უფროსი მოზარდი არა მარტო ინტერესდება ერთი ადამიანის ორგანოს მეორისადმი გადანერგვის ფაქტით, არამედ მან იცის ასეთი ოპერაციების ისტორია, ერკვევა ბიოლოგიური შეთავსებადობისა და შეუთავსებლობის საკითხებშიც. მოზარდი ბევრს კითხულობს და სიამოვნებით საუბრობს წაკითხულის შესახებ. მათი ინტერესები ხშირად ღებულობს სერიოზული მისწრაფებების ფორმას, ენების ფორმასაც, რომელიც მთელ მათ პიროვნებას მოიცავს. თუ მოზარდი გაიტაცა კითხვამ, დაიწყება უძილო ღამეების წყება, კითხვა გრძელდება შესვენებებზე და გაკვეთილებზეც კი. თუ მოზარდს გაუჩნდა ფოტოსაქმის ინტერესი, მას სხვა აღარაფერი ახსოვს, სულ ამითაა დაკავებული მისი დროის ბოლომდე, დიდი ხანი საღამომდე გადაღება, გამომჟღავნება, დაბეჭდვით ოთახში საათობით უცდომად, ბეჭდება. ამ დროს მასწავლებლებისა და მშობლების მხრიდან სათანადო ყურადღებაა საჭირო, რათა სწავლა უკანა პლანზე არ გადავიდეს და აკადემიური წარმატებაც არ დაეცეს.

ხშირად შესაძლებელია აქტიურმა ცნობისმოყვარეობამ მოზარდი ინტერესთა მრავალფეროვნებაზე და გაფანტულობაზე მიიყვანოს. ერთდროულად მრავალი ინტერესის არსებობამ, ისევე როგორც მათმა ხშირმა ცვლამ, შეიძლება მოგვიყვანოს ცნობისმოყვარეობის ზედაპირულ დაკმაყოფილებაზე, ცხოვრების სხვადასხვა სფეროსადმი მსუბუქ, არასერიოზულ დამოკიდებულობაზე. ერთი მოზარდის მიერ რამდენიმე სხვადასხვა წრეში გაერთიანება არაა მისასალმებელი.

როგორც აღვნიშნეთ, გარდამავალ ასაკში შემეცნებითი ინტერესები პიროვნულ ხასიათს ღებულობს. უმცროს სასკოლო ასაკში მოსწავლეთა შემეცნებითი ინტერესები ეპიზოდურია. ისინი აღმოცენდება განსაზღვრულ სიტუაციაში, ხშირად, გაკვეთილის უშუალო ზემოქმედების გამო და გაკვეთილის დამთავრებისთანავე ქრება. მოზარდებში კი ინტერესები, როგორც აღვნიშნეთ, გამძლე და მტკიცე ხასიათს ღებულობს. იგი უკვე სიტუაციასთან უშუალოდ არაა დაკავშირებული. ასეთი ინტერესი ყალიბდება თანდათანობით მოზარდის ცოდნის ზრდასთან ერთად და ამ ცოდნის შინაგან ლოგიკას ემყარება.

ასეთი ინტერესების ჩამოყალიბება გარდამავალ ასაკში ქმნის გარკვეულ თავისებურებებს. მოზარდები აქტიურად და ცოცხლად ეხმაურებიან ყოველ ახალ

აღმოჩენას, ფართოდ ინტერესდებიან ტექნიკით, ერთიანდებიან სხვადასხვა წრეებში, კითხულობენ სამეცნიერო-პოპულარულ და ტექნიკურ ლიტერატურას, თვითონ ატარებენ ცდებს, იტაცებთ მოდელირება, რადიოსაქმე კომპიუტერი და სხვა. ასეთი ინტერესები მნიშვნელოვნად უწყობენ ხელს ამ ასაკში სასწავლო საქმიანობის წარმატებებს, ხოლო ინტერესთა უქონლობა პირიქით, მკვეთრად წევს მოზარდის სასკოლო წარმატებებს. თავისებურია გარდამავალი ასაკის მოზარდთა მასწავლებლებთან დამოკიდებულება. სასწავლო საგნებისადმი დამოკიდებულება ბევრადაა დამოკიდებული მასწავლებლებისადმი დამოკიდებულებაზე.

გარდამავალ ასაკში მასწავლებლის არც ასაკი და არც მისი მდგომარეობა თავისთავად მოზარდებში არ იწვევს სიმპათიასა და პატივისცემას. მოზარდების პატივისცემის დამსახურება მასწავლებელს შეუძლია მაშინ, თუ იგი ფლობს განსაზღვრულ თვისებებს. მეხუთეკლასელებს უყვართ, როცა მათ აწვდიან მყარ ქეშმარიტებას. მასწავლებლებისაგან ისინი მოითხოვენ ყოვლისმკოდნეობას. მასწავლებელმა მხოლოდ ერთხელ რომ აღიაროს, რომ მან რაღაცა არ იცის, ან კარგად არ იცის, იგი მოზარდების თვალში იმ წამსვე კარგავს ავტორიტეტს.

მნიშვნელოვანი გარემოებაა ისიც, რომ უმცროს მოზარდებს საქმე აქვთ ხუთეკლასე მასწავლებელთან, რომლებიც ერთმანეთისაგან განსხვავდებიან მრავალი თვისებით. მოზარდების სხვადასხვა მასწავლებლებთან შეგუება რთულად და ძნელად მიმდინარეობს. უმცროსი მოზარდები აფასებენ იმ მასწავლებლებს, რომლებიც არის მკაცრი, მაგრამ მცოდნენი, სამართლიანნი და მოსწავლეების მიმართ კეთილგანწყობილნი არიან.

უფროსი მოზარდები მასწავლებლებს განსხვავებულად აფასებენ. ისინი დიდ პატივს სცემენ მათ ერუდიციას, სასწავლო საგნის თავისუფალ და ღრმა ცოდნას. უფროსი მოზარდები უკვე სამეცნიერო პოპულარულ ჟურნალებს კითხულობენ. მათ შეიძლება მასწავლებელს ბევრი რამ მოუტყვონ, მაგრამ თავისი საგნის სუსტ ცოდნას არავითარ შემთხვევაში არ აპატიებენ.

საშუალო სკოლაში, როგორც ენახეთ, სწავლების პირველი დღიდან მდგომარეობა მკვეთრად იცვლება იმის გამო, რომ ერთი მასწავლებლის ნაცვლად ჩნდება ხუთი — ექვსი განსხვავებული მანერის, ხასიათის, ტემპერამენტის, ცოდნისა და მომთხოვნელობის მქონე მასწავლებელი, მასწავლებლებთან ახალი, მრავალმხრივი ურთიერთდამოკიდებულებების დამყარება არც თუ ისე ადვილია. მოზარდისათვის ეს პერიოდი რთულდება იმის გამო, რომ ბევრ მათგანთან ძველი ჩვევების, ჩვეულებებისა და ქცევის ხერხების რღვევა უმტკივნეულოდ არ ხდება. მასწავლებელთა ახალ და განსხვავებულ მოთხოვნებთან შეგუება განსაკუთრებით რთულად მიმდინარეობს იმ მოზარდებში, რომლებსაც სასწავლო საქმიანობის ფარული ან აშკარა დეფექტები აქვს.

გარდამავალ ასაკში სასწავლო საქმიანობაში ხარვეზები ვლინდება იმის გამო, რომ მასწავლებლები ჯერ-ჯერობით კარგად არ იცნობენ მოსწავლეებს, არ იციან მათი ფსიქო-ფიზიკური თავისებურებანი და შეიძლება მოზარდებს მათთვის ჩვეული სასწავლო თუ ქცევითი მოთხოვნები არ წაუყენონ. მიუწვეველი შენიშვნები და

შეფასებები კი მოზარდებში გაკვირვებას, უსამართლობისა და უკმაყოფილების გრძობას იწვევს, რაც, ხშირად პროტესტის ფორმებს ღებულობს. ყოველივე ეს უარყოფითად მოქმედებს მოზარდის მასწავლებლებთან და სასწავლო საქმიანობასთან დამოკიდებულების საქმეში, მის სასწავლო მუშაობაზე საერთოდ და მის ქცევაზე გაკვეთილებზე.

გარდამაკვალ ასაკში მასწავლებლის მთავარი ამოცანაა მოზარდებთან კარგი და მისაღები ურთიერთობის დამყარება. ეს მდგომარეობა ამ ასაკის ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნაა. მოზარდები განსაკუთრებით აფასებენ მასწავლებლების ისეთ თვისებებს, როგორცაა სამართლიანობა, ადამიანური ღირსების პატივისცემა, გაგება. მოზარდები ღიად აფასებენ მასწავლებლის ცოდნას, სასწავლო მასალის გასაგებად და საინტერესოდ ახსნის უნარს, მოზარდების დამოუკიდებელი მსჯელობების შეწყნარებლობას. მოზარდებს ძალიან უყვართ ის მასწავლებლები, რომლებიც მოთხოვნელობასა და სიმკაცრეს სამართლიანობასა და მოსწავლეების შესაძლებლობების რწმენასთან უთავსებენ.

მოზარდები ძალიან მგრძობიარენი არიან მასწავლებელთა მცირე უსამართლობის მიმართ, იმ მასწავლებლების მიმართ, რომლებიც ყველა მოსწავლის მიმართ თანაბრობის პრინციპს არ იცავენ. მოზარდების მოთხოვნები ასეთია: მასწავლებელი ყველას ერთნაირად უნდა მოეხერხოს, არაფერ არ უნდა გამოეყოს და გამოარჩიოს, არ უნდა ჰყავდეს „საფარული“ და „რჩეული“ მოსწავლეები, ნიშნები დაწეროს მხოლოდ დამსახურების მიხედვით, არც აუწიოს და არც დაუწიოს. რომელიმე მოსწავლისადმი მასწავლებლის პრივილეგირებული დამოკიდებულება, ამ მოსწავლის მიმართ სხვა მოზარდების უარყოფით დამოკიდებულებას იწვევს, ხოლო რომელიმე მოსწავლის მიმართ მასწავლებლის „ჩაკირკიტება“, მის მიმართ საერთო თანაგრძობას იწვევს.

უმცროსი მოზარდების სასწავლო საქმიანობისადმი დამოკიდებულება მნიშვნელოვნად დამოკიდებული მათ მასწავლებლებთან დამოკიდებულებაზე და მოცემულ საგანში მიღებულ ნიშნებზე. უმცროს მოსწავლეებს მოსწონთ ის საგნები, რომელთა მასწავლებლებიც მათში სიმპატიებს იწვევენ. რაც უნდა ეძლეოდეს მოზარდებს ფიზიკა, მათემატიკა ან სხვა რომელიმე საგანი, თუ ამ საგნების მასწავლებლები აკმაყოფილებენ მათ მიერ წაყენებულ მოთხოვნებს, მოზარდები ყოველნაირად ცდილობენ ამ საგნებში წარმატების მიღწევას.

უფროს მოზარდებში კი წინა პლანზე გამოდის სასწავლო დისციპლინების შინაარსი და ამ საგნების მასწავლებლებს მოზარდები მკაცრ მოთხოვნებს უყენებენ. იდეალური მდგომარეობაა, როცა იმ საგნის მასწავლებელი, რომელიც მათ მოსწონთ, შეესაბამება და აკმაყოფილებს უფროსი მოზარდების მოთხოვნებს მის მიმართ.

უმცროსი მოზარდები ცხოვრებისეული გამოცდილების სიღარიბის გამო მასწავლებლის მუშაობაში ვერ ამჩნევენ არსებობსა და არაარსებობს, რის გამოც ისინი ხშირად მსჯელობენ ზოგიერთი გარეგნული ეფექტის შესახებ. ეს უნდა იცოდეს ყველა მასწავლებელმა, რომელიც გაცნობის დღეს უმცროს მოზარდებს არ მოეწონებათ, ძალიან გაუჭირდება შემდგომში მათთან მუშაობა. უმცროსი მოზარდების პირველი შთაბეჭდილება ძალიან მდგრადი და სტაბილურია.

უმცროსი მოზარდები ვერ იტანენ მასწავლებლის აკრძალვებსა (განსაკუთრებით დაუსაბუთებელს) და ყოველ ნაბიჯზე ჭკუის სწავლებას. ასეთი მასწავლებელი მათთან ავტორიტეტს, პატივისცემასა და, მითუმეტეს, აღიარებას ვერ მოიპოვებს.

უმცროსი მოზარდები ძალიან მგრძობიარენი არიან მასწავლებლის შეცდომებისადმი. ყოველ შეცდომას, რომელსაც ისინი შეამჩნევენ, რეაგირების გარეშე არ დატოვებენ. შეიძლება ითქვას, რომ უმცროსი მოზარდები ჩასაფრებელი არიან და „ნადირობენ“ როდის დაუშვებს მასწავლებელი რაიმე შეცდომას.

უფროსი მოზარდები კი უკვე აღარ არიან მოწადინებულნი მასწავლებლის შეცდომების აღმოჩენით. მათ მაინცაა, რომ ვეღვა ადამიანმა (მათ შორის მასწავლებელმა) შეიძლება დაუშვას მუშაობაში შეცდომა და ეს ღიღი ცოდეა არაა. მასწავლებლის შეცდომებში „გამოჭერის“ ფაქტები მხოლოდ ამ მასწავლებელზე „განაწყენებულ“ მოზარდებში შემორჩენილი.

უფროსი მოზარდები თავისუფლებიან პირველი შთაბეჭდილებების გავლენისაგან, რის გამოც ახლა მასწავლებლისათვის არაა საკმარისი თავი მოაწონოს მოზარდებს გაცნობის პირველ დღეს და იგი მას მთელის წლის განმავლობაში ეყოს. ამ ასაკში პირველი შთაბეჭდილება მაინც არაა სუსტი, მაგრამ იგი აღარაა გამძლე და სტაბილური. კრიტიკულად განწყობილ უფროს მოზარდს უკვე აღარ მოსწონს გარეგნული და ზედაპირული მომენტები. ამისთვის ახლა მასწავლებელს სჭირდება ერუდიციისა და დახვეწილი ქცევების მუდმივი დემონსტრაცია.

მოთხოვნა მასწავლებლის ყოვლისმცოდნეობის შესახებ უფროს მოზარდებთანაც ძალში რჩება ერთი გეოგრაფიის მასწავლებელი, რომელიც ამავე დროს გამოჩენილი სპორტსმენიც იყო, მეხუთეკლასელებს ძალიან მოსწონდათ, უყვარდათ და იგი მათი კერძო იყო. მეშვიდე კლასში ამ მასწავლებლის სპორტული მიღწევები უფრო მაღალი იყო, მაგრამ მოზარდებმა შეამჩნიეს, რომ მას გეოგრაფიის სუსტი ცოდნა ჰქონდა და შედეგადაც არ დააფინანსა, მისი ავტორიტეტი საგრძობლად დაეცა.

უფროსი მოზარდებიც ვერ იტანენ და ძნელად ეგუებიან აკრძალვებს, ღარივებს, შეგონებებსა და ჭკუის სწავლებას.

უფროსი მოზარდები ძალზე მტკივნეულად განიცდიან მასწავლებლის მიმართვის ტონს. ისინი ვერ იტანენ მბრძანებლურ კოლოს. მასწავლებელმა ყოველგვარი დაეჯლება, შეძლებისდაგვარად, უფროს მოზარდს თხოვნის კილოთი უნდა მისცეს. მასწავლებელი, რომელიც ამ ასაკის მოზარდებს ბრძანების ტონით მიმართავს, ავტორიტეტს ვერ მოიპოვებს.

როგორც ვნახეთ, გარდამავალ ასაკში ცოდნა იქცევა თვითგანათლებად, რაც ამ ასაკის მოზარდის სასწავლო საკმარისობის ახალი და უმაღლესი ფორმაა. ამასთანავე, არ უნდა დავივიწყოთ, რომ ხსოვრად გარდამავალ ასაკში შეიძლება სწავლა გადაიქცეს ფორმალურ მოქმედებად. ეს ხდება იმ შემთხვევაში, როცა მოზარდს არ აქვს შემეცნებითი ინტერესები, ან ისინი ძალიან სუსტია და სხვა არასასწავლო ინტერესებს წინააღმდეგობასა და კონკურენციას ვერ უწევს. ხშირად აღმოცენდება საეციფიკური სიტუაცია: მოზარდს უნდა კარგად სწავლა, მაგრამ საჭირო შრომა და გარჯა არ შეუძლია, ხოლო მეორე, ამის დროც არ

აქვს. მას სხვა, მისთვის საინტერესო საქმეზე მიეჩქარება. მოზარდისათვის დიდი აღმძვრელი ძალა ისეთ მოტივებს აქვს, როგორიცაა იყოს კლასში საუკეთესო ან კარგი მოსწავლე. როცა ასათვისებელი ცოდნის მიმართ არავითარი ინტერესი არ არსებობს, სწავლა მძიმე და უინტერესო შრომად იქცევა, ხოლო ცოდნა ფორმალურ ხასიათს ღებულობს. მოზარდს იგი სჭირდება მხოლოდ პასუხისათვის, კარგი ნიშნის მიღებისათვის. ასეთი ცოდნა მოზარდებს ადვილად ავიწყლებათ. მოზარდის ცოდნის მიღების სწრაფვას ხანდახან ახლავს სწავლისადმი განურჩევლი ან უარყოფითი დამოკიდებულება. ეს არის თავისებური რეაქცია ამა თუ იმ აკადემიურ მარცხზე. მოზარდი თავის წარუმატებლობასა და მარცხს მწვავედ განიცდის, მისი თავმოყვარობა ილახება. იგი ცდილობს თავისი წარუმატებლობანი დაფაროს და შენიღბოს. მოზარდი ამ დროს ცდილობს უჩვენოს სხვებს, რომ ის სწავლისადმი ინდიფერენტულია და ამის გამო შეიძლება თავიც კი მოსწონდეს.

მოზარდის სწავლის ინტერესის დაკარგვა შეიძლება სხვა უფრო ძლიერი ინტერესისა და გატაცების აღმოცენების შედეგი იყოს. ესაა რომელიმე საინტერესო რომანის ხელში ჩაგარდნა, საორტით კომპიუტერული ან რადიოტექნიკით გატაცება. სწავლის ინტერესის დაკვეთება შეიძლება გამოიწვიოს აგრეთვე მოზარდების კონფლიქტებმა მასწავლებლებთან.

როგორც აღნიშნეთ, მიუხედავად იმისა, რომ გარდამავალი ასაკი აზროვნების განვითარების სენზიტური ასაკია და მოზარდების სასწავლო საქმიანობა უმცროს კლასელებთან შედარებით მაღალ დონეზეა ასული, მაინც დიდი საშიშროებაა ცოდნის ფორმალიზმის მიმართულებით. ამ ასაკში ყოველთვის და ყველა მოზარდთან არ მიიღწევა ცოდნის შეთვისების ის დონე, რომელიც შეესაბამება სასწავლო დისციპლინების სირთულეს და რომლის შედეგადაც მოზარდის შემდგომი ფსიქიკური განვითარება ხდება. ცოდნის ფორმალიზმისკენ მიმართული გზა ორია: ა) შუქუცნობითი ინტერესების განვითარების შესაბამისი დონის უქონლობა და ბ) მოზარდის აზროვნების აბსტრაქტული ფორმების განვითარების არასაკმარისი უნარი. ლ. ბოჩუიჩი გამოყოფს ფორმალური ცოდნის ორ ფორმას: ა) ამ ფორმისათვის ისაა დამახასიათებელი, რომ დასწავლა ხდება საკმარისი გაგებისა და გაცნობიერების გარეშე. ასეთ დროს შეინიშნება წესებისა და კანონების საკმაო ცოდნა. სიტყვიერი განმარტებების არსებობა, სახელმძღვანელოში მოყვანილი მაგალითების მოგონებაც, მაგრამ ყველაფერი ეს მოზარდისათვის მოკლებულია ნამდვილ შინაარსს. ამგვარი ფორმალიზმის დროს მოზარდებს აღნიშნებათ ზერულე ვერბალიზმი, აზრისა და მეტყველების შტამპები. სასკოლო ცოდნისადმი დამოკიდებულებაში ასეთ მოზარდებს არ აინტერესებთ იმის არსი, რასაც სწავლობენ. ამ საგნებს მოზარდები ძალად თავს მოხვეულებად აღიქვამენ. ცოდნის ასეთი შეთვისების უარყოფითი გავლენა ვლინდება არა მარტო ცოდნის ხასიათსა და აზროვნების პროცესში, არამედ მოზარდების პიროვნების ჩამოყალიბებაში., ამგვარ მოზარდებს სამყაროსადმი სწორი შეხედულებები ვერ ჩამოყალიბდებათ, ვერ ექნებათ მეცნიერული მრწამსი. მათში შეუფერხებას განიცდის განზოგადებული იდეალების, თვითცნობიერების და თვითკონტროლის ჩამოყალიბება, რომელთაც ცნებითი აზროვნების განვითარების შესაბამისი დონე სჭირდებათ.

მოზარდებს უკირთ თეორიული შემეცნებითი ამოცანების დასმა და გადაჭრა. მათთვის ძნელი გასაგებია, რომ ხახუნის ძალა არაა დამოკიდებული მოხახუნე ზედაპირის სიდიდეზე, რომ ტანკი უფრო ნაკლებად აწევს ფართობის ერთეულს, ვიდრე ადამიანი და ა.შ. მოზარდებს სასწავლო საგნის თეორიული შინაარსი სულ არ აინტერესებთ, მათ მთლიანად აკმაყოფილებთ სინამდვილის გააზრება ცხოვრებისეული გამოცდილების შესაბამისად. ფორმალიზმის ამ ფორმას მიეკუთვნებიან ბევრითი ბავშვები, რომელთაც პასუხისგების გრძობა გააჩნიათ. მათ აშკარად გამოხატული სასწავლო განწყობაც აქვთ, მაგრამ ინტელექტუალური და შემეცნებითი ინტერესების განვითარების დაბალი დონის გამო აკადემიურად ჩამორჩებიან; ბ) მეორე სახის ფორმალიზმი დაკავშირებულია, აგრეთვე, მოზარდის ცოდნის მიმართ დამოკიდებულებასთან, მაგრამ არსებითად განსხვავდება ზემოაღნიშნული ფორმისაგან. ის მოზარდები, რომლებიც აღნიშნული ფორმის ფორმალიზმს აკლენენ, როგორც წესი, თეორიული აზროვნების ზერხებს ფლობენ. მათ შეუძლიათ „მოწყდნენ სინამდვილეს“, ცნობიერების საგნად აქციონ თვით ცნება, განზოგადება და კანონი. მაგრამ მათ სხვა სახის სიტყვები ახასიათებთ. ცნების საგნისაგან მოწყვეტით მათ ყოველთვის არ შეუძლიათ დაუბრუნდნენ მას, მეცნიერულ ცნებაში დაინახონ მასში ასახული კონკრეტული სინამდვილის მთელი მრავალფეროვნება.; ასეთ შემთხვევაში მოზარდმა არა მარტო იცის წესები და კანონები, არა მარტო ახსოვს ისინი, არამედ იცის მათ. მოუხედავად ამისა, ეს წესები და კანონები მოზარდის ცნობიერებისა და პიროვნებისათვის უცხია. მათი ფორმალური ცოდნა წარმოადგენს „ცალკეულ ცოდნებს“, რომლებიც ძველი წარმოდგენების და ცოდნების გვერდით დგას, რის გამოც შემეცნებით მნიშვნელობას მოკლებულია. ფორმალიზმის ეს მხარე ელინდება ცოდნის სქემატურობაში, სინამდვილის მოვლენების ახსნის უუნარობაში, სკოლაში შესასწავლი მოვლენებისადმი მოზარდის გულგრილ დამოკიდებულებაში. ჩვენს სკოლებში ასეთი სახის ფორმალიზმი უფრო გავრცელებულია.

ფორმალიზმის ორივე ფორმა განპირობებულია მოზარდის შემეცნებითი მოთხოვნების არასწორი ფორმირებით, რომელიც მისი განვითარების საფუძველს წარმოადგენს. მოზარდის ნორმალური ფსიქიკური განვითარებისათვის შემეცნებითმა მოთხოვნებამ უნდა მიაღწიოს თეორიული ინტერესის დონეს. მოზარდებს, რომლებისთვისაც დამახასიათებელია ნებისმიერი სახის ფორმალიზმი, ასეთი ინტერესი არ აქვთ, ხოლო იმ მოზარდებს, რომელთაც ფორმალიზმის პირველი ფორმისკენ აქვთ მიდრეკილება, ამასთან აღნიშნებათ აზროვნების განვითარების აუცილებელი დონის უქონლობაც.

თავისებურია გარადამავალი ასაკის მოზარდის დამოკიდებულება მომავალი პროფესიისადმი. მართალია, სერიოზული პროფესიული ინტერესებისა და მისწრაფებების გამოვლენის პერიოდი უფროსი სასკოლო ასაკია, მაგრამ მას გარდამავალ ასაკში ევრება საფუძველი. მოზარდის სოციალური მიწიფულობის დასაწყისის ერთ-ერთი მაჩვენებელია სამომავლო ცხოვრებისეული გეგმების შედგენა.

უმცროსკლასელთა „პროფესიული“ მისწრაფებები ძირითადად თამაშში ელინდება, ხოლო მოზარდებში იგი იწყება მომავალ პროფესიაზე ფიქრით საკუთარი

შესაძლებლობებისა და ცხოვრებისეული მდგომარეობის ასე თუ ისე გათვალისწინებით. თუმცა ბევრი მოზარდი აწმყოს ცხოვრებით ცხოვრობს და, საშუალოდ, მომავალ პროფესიაზე ცოტას ფიქრობს.

მოზარდები ცხოვრებისეულ სამომავლო გეგმებად ხშირად ასახელებენ ერთმანეთში გათქეფილ ოცნებით ორიენტირებს, როლებიც არ შეესაბამებიან პრაქტიკულ მოქმედებებს, არ პასუხობენ მათ შემოქმედებით შესაძლებლობებსა და ჯანმრთელობის მდგომარეობას. მოზარდი ცდილობს წარმოიდგინოს თავისი მომავალი, მაგრამ არ ფიქრობს მისი მღწევის საშუალებებზე. პროფესიონალური თვითგამორკვევა მრავალმხრივი და მრავალფეროვანი პროცესია. მისი პირველი ეტაბი ბავშვების თამაშებია, რომლის დროსაც ბავშვი სხვადასხვა პროფესიულ როლებს თამაშობს. მეორე ეტაბია მოზარდის ფანტაზია, როცა მოზარდის თავის თავს რომელიმე პროფესიის წარმომადგენლად ოცნებებში ხედავს. მესამე ეტაბია პროფესიის წინასწარი არჩევა, რაც იმაში გამოიხატება, რომ მოქმედების განსხვავებული სახეები ხარისხდება და დასაწყისში მოზარდის ინტერესების მიხედვით, ხოლო შემდეგ მისი ნიჭისა და უნარების მიხედვით ფასდება.

პროფესიის საბოლოო არჩევანი, ანუ გადაწყვეტილების საბოლოო მიღება გულისხმობს მომავალი სამუშაოს კვალიფიკაციის დონის, მოცულობისა და მომზადების ხანგრძლივობის განსაზღვრასა და კონკრეტული სპეციალობის შერჩევას.

პროფესიის არჩევისათვის აუცილებელია პროფესიების შესახებ ფართო ინფორმაცია, საკუთარი ფსიქო-ფიზიკური შესაძლებლობის ღრმა ცოდნა. საშუალოდ, გარდამავალ ასაკში პროფესიის არჩევა ხდება სტიქიურად, ამ მდგომარეობის გაუთვალისწინებლად. უნდა ითქვას, რომ ჭაბუკობის ასაკში ბევრი რამ იცვლება. გარდამავალ ასაკში მოზარდების ორიენტაცია ძირითადად აღებულია პრესტიჟულ სპეციალობებზე და საკუთარი ფსიქო-ფიზიკური შესაძლებლობები მხედველობაში არ მიიღება.

გარდამავალ ასაკში არსებით ცვლილებებს განიცდის მოზარდის შემეცნებითი ფსიქიკური პროცესებიც:

აღქმის განვითარება. მოზარდისათვის ახლა მისაწვდომი ხდება რთული მოვლენებისა და საგნების აღქმა. მისი აღქმის მოცულობა იზრდება და ფართოვდება. აღქმა ხდება უფრო გეგმაზომიერი, მიზანმიმართული და ყოველმხრივი.

მოზარდის აღქმაში ბევრი რამაა დამოკიდებული აღსაქმელი საგნის ან მოვლენის მიმართ მის დამოკიდებულებაზე. ამ შემთხვევაში მოზარდი შეიძლება მასწავლებელს კეთილსინდისიერად უსმენდეს და უყურებდეს, მაგრამ მისი აღქმა შემთხვევით ხასიათს ატარებდეს.

მოზარდის აღქმაზე გავლენას ახდენს არა მარტო აღსაქმელი საგნებისა და მოვლენების ხასიათი, არამედ მისი მდგომარეობაც, რის გამოც ზოგ შემთხვევაში მოზარდის აღქმა ფაქიზი და ღრმა, ხოლო სხვა შემთხვევაში კი — ზედაპირული და არახუსტი. ემოციური მდგომარეობის გავლენით მოზარდი უპირველეს ყოვლისა აღიქვამს იმას, რაც ნათელი და თვალში საცემია. იგი ამ პირველი შთაბეჭდილებების საფუძველზე ცდილობს ზოგადი კანონზომიერებების დადგენას.

მოზარდის აღქმის სიღრმე, სისრულე და სიზუსტე დამოკიდებულია აგრეთვე აღსაქმელი ობიექტის გაცნობიერებაზე, მათი მოვლენათა გარკვეული კლასისადმი მიკუთვნებულობაზე. მოზარდების აღქმის ხარისხი განისაზღვრება იმითაც, იცის თუ არა მოზარდმა რას და როგორ დააკვირდეს ცალკეულ შემთხვევებში, მაგალითად, ლიტერატურული ნაწარმოებების სრული აღქმისას მთავარ მომენტებზე ყურადღების კონცენტრაციისას მოზარდს წინასწარ უნდა დავუსვათ კითხვები, მიუთითოთ იმ თავისებურებებზე, რომლებიც ამ ნაწარმოებისათვის არსებითი და სპეციფიკურია.

მოზარდის აღქმისა და დაკვირვების სრულყოფა ძირითადად სასწავლო პროცესში ხდება. ასაკის წინასწარსთან ერთად აღქმა გეგმაზომიერი და ორგანიზებული ხდება. მოზარდს უკვე შეუძლია დასაზოს მიზანი — აღიქვას საგნებისა და მოვლენების ის მხარეები, რომლებიც განსაზღვრული ცოდნის მისაღებადაა აუცილებელი. ამას, რა თქმა უნდა, მასწავლებლის ხელმძღვანელობა სჭირდება.

მოზარდის აღქმას უმცროსკლასელთან შედარებით რიგი ახალი თვისებები ახასიათებს. მოზარდს ახლა აღსაქმელი საგნებისა და მოვლენების უფრო რთული ანალიზი და სინთეზი შეუძლია, იგი აღარ იფარგლება იმის აღქმით, რაც საგანთა და მოვლენათა ზედაპირზეა მოთავსებული.

მოზარდის თვალსაჩინო აღქმაში მნიშვნელოვან ადგილს იჭერს სააზროვნო პროცესი, იწყება ლოგიკური აღქმის ჩასახვა. ლოგიკური დაკვირვება ის სახელეა მოზარდის აღქმაში, რაც არ შეიძწეოდა დაწყებით კლასებში. ლოგიკური აზროვნების განვითარების კვალობაზე უფრო და უფრო ხდება მოზარდის მიერ აღქმული ობიექტების გაცნობიერება.

მოზარდის მიერ თვალსაჩინო ხატის აღქმა უფრო სრული და მრავალმხრივია, როცა იგი სიტყვითაა გამაგრებული. მოზარდი ასახელებს სიტყვიერად აღსაქმელი საგნების ნაწილებსა და ელემენტებს, უკეთესად გამოყოფს მათ, უფრო სრულად აცნობიერებს ნაწილებს შორის კავშირებსა და დამოკიდებულებებს.

დაკვირვება, როგორც მიზანმიმართული, გეგმაზომიერი და ორგანიზებული აღქმა სასწავლო მასალის გართულების კვალობაზე, მოზარდის სასწავლო საქმიანობაში თანდათანობით სულ უფრო მეტ ადგილს იჭერს. გარდამავალი ასაკის მოზარდის დამოუკიდებელი დაკვირვება ვერ კიდევ არაა სრულყოფილი და ხანდახან წინასწარ განზრახულ ხასიათს არ ატარებს. ასეთ გამიზნულ აღქმას, უპირველეს ყოვლისა, ორგანიზაციას უკეთებს მასწავლებელი.

დაკვირვების წარმატება მნიშვნელოვნადაა განპირობებული მოზარდის დაკვირვების ობიექტისადმი დამოკიდებულებით. თუ მოზარდი აცნობიერებს დაკვირვების მნიშვნელობას და ცდილობს შეიმუშავოს სწორი დაკვირვების ხერხები და მეთოდები, დაკვირვების პროცესი მნიშვნელოვნად უმჯობესდება და იწყება დამკვირვებლობის უნარის განვითარება.

დაკვირვება მნიშვნელოვნად უმჯობესდება, როცა იგი აქტიურ ხასიათს ატარებს, როცა მოზარდი ფიქრობს, მსჯელობს, ადარებს, აზოგადებს და კლასიფიკაციას ახდენს. ეს დაკვირვების რთული ფორმებია და მას მასწავლებლის რეგულარული ხელმძღვანელობა სჭირდება.

ყურადღების განითარება. მოზარდის ყურადღება წინააღმდეგობრივი ხასიათისა. ერთ მხრივ ყალიბდება ნებისმიერი ყურადღება, ხოლო მეორე მხრივ შეიძინევა ყურადღების გაფანტულობა და არამყარობა.

მეხუთეკლასელის ყურადღება გარეგნულად უარესდება, იგი ახლა გაფანტულია, ვერ ამჩნევს დაშვებულ შეცდომებს, გაკვეთილზე მასწავლებელს ხშირად ცუდად უსმენს, საშინაო დავალებების შესრულების დროს მნიშვნელოვან და ღირებულ ნაწილებს ტოვებს. უმცროსი მოზარდი თითქოს აქცევს ყურადღებას თავის შინაგან სამყაროს, მაგრამ გარშემომყოფების მიმართ ხშირად უყურადღებოა. ეს დაკავშირებულია განცდებისა და შთაბეჭდილებების მრავალრიცხოვნებასთან. ახალი და ძლიერი შთაბეჭდილებები დაკავშირებულია სქესობრივ მომწიფებასთან, თვითშემეცნებასთან, კოლექტივში დამკვიდრებასთან, გაზრდილ აქტივობასა და იმპულსურობასთან, მრავალმხრივ ინტერესებთან და ა.შ., რის გამოც მოზარდის ყურადღება ერთდროულად ყველაფერს ვერ გაწევდება. როცა იგი ყურადღებას ერთი მიმართულებით მიმართავს, უყურადღებოა მეორე მიმართულებით. ამიტომ მასწავლებელმა მოზარდი ერთდროულად მრავალი სერიოზული საქმით არ უნდა დატვირთოს.

გარდამავალ ასაკში სრულყოფილი ხდება მოზარდის ყურადღებაც. უმცროსი მოზარდის ყურადღების ტიპიური თვისებაა შერჩევითობა. იგი შეიძლება ძალიან ყურადღებანი იყოს მისთვის საინტერესო მოვლენის მიმართ, შეიძლება მასზე ყურადღება ხანგრძლივად შეაჩეროს. ამ ასაკში, როგორც ვნახეთ, მოზარდები სასკოლო დისციპლინებს ხშირად ყოფენ „საინტერესოდ“ და „უინტერესოდ“. მოზარდების ყურადღება, რა თქმა უნდა, უფრო მყარად და სრულად „საინტერესო“ საგნებს ექცევა, რაც იმის მაჩვენებელია, რომ მოზარდის ყურადღება უშუალოდაა დაკავშირებული სამყაროსადმი მის ემოციურ დამოკიდებულებასთან.

გართულებული სასწავლო პროცესი მოზარდის ყურადღებას განსაკუთრებულ მითხვენებს უყენებს. მოზარდის სასწავლო საქმიანობა ნებისმიერ ყურადღებას მოითხოვს.

მოზარდის ცხოვრებაში უნებლიე ყურადღებასაც გარკვეული როლი და მნიშვნელობა აქვს. საინტერესო საქმე, საინტერესო გაკვეთილი, მიმზიდველი საგნები და მოვლენები მოზარდის ყურადღებას ყოველგვარი ძალისხმევის გარეშე ისე იტაცებს, რომ შეიძლება უყურადღებოდ დარჩეს ზოგიერთი სერიოზული საქმეც.

გარდამავალ ასაკში მნიშვნელოვნად იზრდება გაკვეთილზე ყურადღების გადამხრელი ფაქტორებისადმი წინააღმდეგობის გაწევის უნარიც. ყურადღების გადამხრელი ობიექტური ფაქტორებისადმი წინააღმდეგობის გაწევა მოზარდს შედარებით ეადვილება. გაცილებით ძნელი ხდება ყურადღების გადამხრელი ისეთი სუბიექტური ფაქტორისადმი წინააღმდეგობის გაწევა, როგორცაა ოცნება. სქესობრივ მომწიფებასთან დაკავშირებულ რომანტიულ განცდებს მოზარდი ოცნების სამყაროში გადაყავს და გაკვეთილზე სასწავლო მასალას მისი ყურადღება არ ექცევა. იგი შეიძლება გაკვეთილზე გარეგნულად უყურადღებობას არ ამჟღავნებდეს, წესრიგსაც არ არღვევდეს და მასწავლებელსაც თითქოს „უყურებდეს“ და

„უსმენდეს“, მაგრამ სულ სხვა სამყაროში იყოს. მასწავლებლის მთელი ხელოვნება ამ მიმართულებით იმაში მდგომარეობს, რომ მან მოზარდი ოცნებებს გაამოსტაცოს და რეალურ სამყაროში დააბრუნოს. ყურადღების ასაკობრივი კანონზომიერებების ცოდნის გარეშე იგი ამას ვერ გააკეთებს.

მეხსიერების განვითარება. უმცროსკლასელებთან შედარებით მოზარდის მეხსიერება თვისობრივადაა განვითარებული. გარდამავალ ასაკში უმჯობესდება სიტყვიერი და ხატოვანი მასალის დამახსოვრება, იზრდება დამახსოვრების სისწრაფე, მოცულობა და პროდუქტიულობა.

მოზარდს ამ ასაკში შეუძლია საკუთარი ფსიქიკური პროცესების (მათ შორის მეხსიერების) კონტროლი და რეგულაცია. მოზარდი ეუფლება ლოგიკური, გააზრებული დამახსოვრების ხერხებსა და მეთოდებს. თუ უმცროსკლასელი მასალას უმეტესად სიტყვა-სიტყვით იმახსოვრებდა, ახლა მოზარდი უფრო ხშირად გამოთქვამს პროტესტს მასწავლებლის მოთხოვნაზე, ზეპირად დაიმახსოვროს რომელიმე კანონის ან დებულების დეფინიცია.

მოზარდებს უვითარდებათ ლოგიკური მეხსიერების უნარი. მათ ახლა შეუძლიათ მასალის აზრობრივი დაჯგუფება და დასამახსოვრებელი მასალისადმი უფრო შეგნებული და სერიოზული დამოკიდებულება.

მეორე, მეხუთე და მერვეკლასელ მოსწავლეთა მხუპრი მოქმედების შედარებითა შესწავლამ გვიჩვენა, რომ ასაკის წინსვლასთან ერთად იზრდება გაშუალებული დამახსოვრების ხერხების მარაგი და მისი გამოყენების შემთხვევები. ამ ხერხების გამოყენება უფრო შეგნებული და მიზანმიმართული ხდება.

მოზარდი დამახსოვრების პროცესში ამყარებს, აგრეთვე, რთული ასოციაციებს ახალ და ძველ მასალას შორის. იგი მას რთავს ცოდნის სისტემაში. თუ უმცროსკლასელი ამყარებს ცალკეულ ასოციაციებს რომელიმე საგანში, მოზარდი უკვე წვდება საგანთა შორის კავშირებს. ამრიგად, მოზარდს უკვე შეუძლია ლოგიკური მეხსიერების წარმოება. თუ რომელიმე მოზარდში მექანიკური დამახსოვრების ფორმებია შემორჩენილი, ამის მიზეზია დაწყებით სკოლა და მშობლები, რომლებმაც ბავშვს დამახსოვრების ლოგიკური ფორმები არ ასწავლეს.

გარდამავალი ასაკის მანძილზე მასწავლებელი უნდა ცდილობდეს სისტემატორად ასწავლოს მოზარდებს ლოგიკური დამახსოვრების ისეთი ხერხები, როგორიცაა დაჯგუფების უნარი, დამახსოვრების საყრდენი აზრების გამოყოფა, სასწავლო საგნის შიგნით და ცალკეულ საგნებს შორის კავშირების დამყარება, დასამახსოვრებელი ტექსტის გეგმის შედგენა, შინაარსის აქტიური აღდგენა და ა.შ. მასწავლებლებსა და მშობლებს უნდა ახსოვდეთ, რომ მოზარდის მეხსიერების გაყარვიშება და მისი პროდუქტიულობის ზრდა პირდაპირ კავშირშია მის აკადემიურ წარმატებასთან, მის ღრმა და მყარ ცოდნასთან და საერთოდ ინტელექტუალურ განვითარებასთან.

მიუხედავად მოზარდის მეხსიერების განვითარების ასეთი პროგრესისა, მისი მეხსიერების გარდაქმნასთან დაკავშირებით მრავალ სირთულე და პრობლემა დგება. უპირველეს ყოვლისა, განსაკუთრებით დასაწყისში, ქვეითდება დამახსოვრების

ტემპი. იმისთვის, რომ ისწავლოს იმ მოცულობის მასალა, რომელსაც ადრე სწავლობდა, მოზარდს ახლა სჭირდება გაცილებით მეტი დრო. გარკვეულ ფარგლებში ეს გართულებული მასალის ბრალია, მაგრამ მოზარდის ძალებიც მომატებულია. დამახსოვრების ტემპის დაქვეითება გარკვეულწილად დამოკიდებულია აგრეთვე ცალკეულ საგანთა (ალგებრა, გეომეტრია, ფიზიკა, ქიმია) ენისა და ტერმინოლოგიის ათვისებასთანაც. მოზარდი ამჩნევს, რომ უწინდელთან შედარებით იგი უფრო ნელა იმახსოვრებს, რასაც იგი მწვავედ განიცდის.

ის საერთო ცვლილებები, რომლებიც გარდამავალი ასაკისათვისაა დამახასიათებელი – გარესამყაროსთან ახალი დამოკიდებულება, ინტერესების განვითარება, აღქმის, ყურადღებისა და აზროვნების თავისებურებანი, მოზარდის მეხსიერებას ახალ მითხვენებს უყენებს და ამავე დროს მის განვითარებასა და სრულყოფას განსაზღვრავს. გარდამავალი ასაკის მოზარდის მეხსიერების უპირველესი დამახასიათებელი თვისებაა მისი ნებისმიერი ზასიათი. ახლა უფრო და უფრო იზრდება განზრახული დამახსოვრების ფორმები, რომლის უშუალო მიზეზია სასწავლო პროცესში მოზარდის დამოუკიდებლობის ზრდა.

გარდამავალ ასაკში მნიშვნელოვნად უმჯობესდება მეხსიერების პროდუქტიულობა და შესამჩნევად იცვლება დახსოვების ხერხები. მოზარდი უკვე შეგნებულად იყენებს დამახსოვრების ზოგიერთ ხერხს, იზრდება დამახსოვრების სისწრაფე და მოცულობა. მეორე სასიგნალო სისტემის მნიშვნელოვან ზრდასთან ერთად მკვეთრად იზრდება აბსტრაქტული მასალის დამახსოვრების როლი და მნიშვნელობა. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ კონკრეტულ-ხატოვანი მეხსიერების როლიც და მნიშვნელობაც ამ ასაკში დაბალი არაა.

ა. სმირნოვის გამოკვლევების მიხედვით დადგინდა, რომ მოზარდი უნებლიედ უფრო იმახსოვრებს იმ მასალას, რომლითაც იგი კონკრეტულად მოქმედებს, თუმცა დამახსოვრების ამოცანა მის წინაშე შეიძლება სრულიად არ იდგეს.

როგორც აღინიშნეთ, მოზარდის ნებისმიერი მეხსიერება შერჩევით ზასიათს ატარებს. უმცროს მოზარდებს გამოცდილების სიღარიბის გამო ეს უჭირთ, მაგრამ მასწავლებლის სათანადო დახმარებით ისინი შემდგომ კლასებში ამას დამოუკიდებლად აკეთებენ. მოზარდები სასწავლო მასალაში უკვე გამოყოფენ იმას, რაც უნდა დაიმახსოვრონ. მათ უკვე იციან, რომ ყველაფრის დამახსოვრება შეუძლებელია. ამ თვისებაზე ბევრადაა დამოკიდებული მოზარდების სასკოლო წარმატება. აკადემურად ჩამორჩენილ მოზარდებს არ შეუძლიათ დასამახსოვრებელ მასალაში ძირითადისა და მნიშვნელოვანის გამოყოფა. ისინი ცდილობენ დაიმახსოვრონ ყველაფერი, რაც შეუძლებელია. ასეთი მოზარდები ძირითადად უნებლიედ იმახსოვრებენ. მეხსიერების ამორჩევითობის ასეთი სერიოზული მნიშვნელობის გამო მასწავლებელმა თვითონ უნდა გამოყოს სასწავლო მასალაში მთავარი და მნიშვნელოვანი მომენტები და გაუადვილოს მოზარდებს დამახსოვრების უწყობა.

უფროს მოზარდებს უვითარდებათ დამახსოვრების შეგნებული მიზნების დასმის უნარი. დაიმახსოვრონ მასალა ზანგრძლივად – ეს დამახსოვრების ერთი

განწყობა. დაიმახსოვრონ მასალა სიტყვასიტყვით ან საკუთარი სიტყვებით გადმოსაცემად — ეს სხვა განწყობაა. ასეთ განწყობებზე მეხსიერების სხვადასხვა ეფექტია დამოკიდებული. უმცროს მოზარდებს დამახსოვრების ასეთი განწყობებისა და მიზნების დასმა არ შეუძლიათ. თუ მასწავლებელი თვითონ იძლევა დამახსოვრების ასეთ მიზნებსა და განწყობებს და, ამავე დროს, აკონტროლებს მის შესრულებას, მოზარდის სასწავლო მასალის დამახსოვრების პროცესი გაცილებით უფრო ეფექტური ხდება.

დამახსოვრების პროცესში სერიოზული მნიშვნელობა ენიჭება დასამახსოვრებელი მასალის გააზრებულობას. მოზარდები ხშირად მიმართავენ მექანიკურ დამახსოვრებას, ეს გამოიხატება მასალის გააზრების გარეშე მრავალრიცხოვან გამეორებაში, რაც ნაკლებეფექტურია. მოზარდი დამახსოვრების ამ ფორმას იყენებს მაშინ, როცა მან უნდა დაიმახსოვროს ისეთი მასალა, რომელიც მას არ ესმის, როცა მასწავლებელი იძლევა მზამზარეულ ცოდნას, ფორმულებს, ფაქტებს, მაგრამ არ ზრუნავს ლოგიკური აზროვნების განვითარებისათვის.

აზროვნების განვითარება. გარდამავალ ასაკში მოზარდის აზროვნების განვითარებაშიც არსებითი ძეგრი ხდება. აზროვნების განვითარების დონე ამ ასაკში საშუალებას იძლევა მეცნიერებათა საფუძვლების შესწავლისთვის. შესასწავლი დისციპლინების ლოგიკა, შინაარსი და ცოდნის ათვისების ხასიათი მოზარდებისაგან მოითხოვს აზრის დამოუკიდებლად ჩამოყალიბებას, შედარების წარმოებას, დასკვნისა და განზოგადების უნარს. სწავლების პროცესში ვითარდება აბსტრაქტული აზროვნება, შესასწავლი მოვლენების სინთეზი და ანალიზი. ამ თვალსაზრისით მოზარდის აზროვნების განვითარების საქმეში მნიშვნელოვან როლს მათემატიკა თამაშობს. არითმეტიკიდან ალგებრაზე გადასვლა განზოგადების უფრო მაღალ საფეხურზე გადასვლას ნიშნავს, ხოლო ალგებრის შესწავლა მოზარდის აზროვნების შემდგომ განვითარებას აპირობებს.

ვევლა სასწავლო საგანი, რომელიც გარდამავალ ასაკში შეისწავლება, მეტ-ნაკლებად ავითარებს მოზარდის აბსტრაქტიულ აზროვნებას. ხდება კონკრეტული და აბსტრაქტული აზროვნების შეფარდების შეცვლა აბსტრაქტულის სასარგებლოდ. შესაძლებელი ხდება ცნებითი აზროვნების ჩამოყალიბება.

სასწავლო საქმიანობის გავლენით თანდათანობით ვითარდება მოზარდის ანალიზურ-სინთეზური მოქმედება: ის ახლა არა მარტო კონკრეტული ფაქტებითა და მოვლენებით ინტერესდება, არამედ ახდენს მათ ანალიზს, სინთეზს, ამყარებს მიზეზ-შედეგობრივ კავშირებს, მოზარდები ცდილობენ დასასწავლო მასალაში გამოიყონ მთავარი, არსებითი, მოახდინონ განზოგადება. სწავლების პროცესში მუშავდება ისეთი განსვენებული ცნებები, როგორიცაა წერტილი, ხაზი, კუთხე, ტოლობა, უტოლობა, ძალა, კუთრი წონა, სიჩქარე, ევასტორი, პოლუსი, გრძელი, განედი, ეპოქა, მონა, მონათმფლობელი და სხვა მრავალი. აბსტრაქტული აზროვნების ჩამოყალიბება მოზარდებში უმტიკონეულოდ არ მიმდინარეობს. მოზარდები ხშირად განიცდიან ამ მიმართულებით სპეციფიკურ სიბნელებებს. მოზარდებმა იციან საგნებისა და მოვლენების სპეციფიკური ნიშნები, მაგრამ ხშირად ვერ გამოყოფენ მათ შეცვლილ, შეუქცეველ სიტუაციებში. მაგალითად, მეშიდეკლასელებმა ვერ იცნეს სწორკუთხა სამკუთხედი, რომელიც მასწავლებელმა დაფაზე გადაბრუნებულად დახაზა.

ამ ასაკში კოგნიტური განვითარება ხასიათდება აბსტრაქტული აზროვნების განვითარებითა და მეტაკოგნიტური ჩვევების დაუფლებით. ორთავე ეს ფაქტორი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მოზარდის როგორც აზრების შინაარსზე, ასევე მის მორალურ მსჯელობებზეც; ე. პიაჟემ მოზარდის აბსტრაქტული აზროვნება განსაზღვრა, როგორც აზროვნება, რომელიც მიმდინარეობს ფორმალური ოპერაციების დონეზე. ე. პიაჟეს მოძღვრების მიხედვით მოზარდის კოგნიტური განვითარების ძირითადი მაჩვენებელია აზროვნების განვითარება ფორმალური ოპერაციების დონეზე, რაც იმას ნიშნავს, რომ ინფორმაციის გადაშუშავების ეს ახალი ფორმა ატარებს აბსტრაქტულ ხასიათს და თავისუფლდება კონკრეტული მიჯაჭვულობისაგან. ამ დონის აზროვნებას შეუძლია მიახლოს სხვადასხვა შესაძლებლობები. აგრეთვე მოახდინოს შედარება იმ მოვლენებთან, რომლებიც შეიძლება ან განხორციელდეს ან-არა. ფორმალური ოპერაციების დონეზე მიმდინარე აზროვნებას შეუძლია შეამოწმოს და შეაფასოს პიპოთეზები. მოზარდებს ახლა უკვე შეუძლიათ ქცევის დაგეგმვა და წინასწარგანჭვრეტა. ე. პიაჟე ფორმალური ოპერაციების დონის აზროვნებას უწოდებს მეორე რანგის აზროვნებას. მისი თეორიის მიხედვით პირველი რანგის აზროვნება აელენს კავშირებსა და მიმართებებს ობიექტებს შორის. მეორე რანგის აზროვნება კი გულისხმობს აზრებს აზრების შესახებ, კავშირებისა და დამოკიდებულებების დამყარების რეალობასა და შესაძლებლობებს შორის.

როგორც აღვნიშნეთ ე. პიაჟემ კოგნიტურ განვითარებაში გამოყოფა ოთხი სტადია: 1) სენსომოტორული ინტელექტი (დაბადებიდან ორ წლამდე) 2) ოპერაციამდელი (2-7 წელი); 3) კონკრეტული ოპერაციების (7-12 წელი). 4) ფორმალური ოპერაციების (11-12 და ზევით).

სენსომოტორულ სტადიაზე დასწავლა ხორციელდება სენსორულ-მოტორული თანმიმდევრობების ათვისებით. ბავშვი შეგრძნების ორგანოებით ამყარებს კონტაქტს საგნებთან, რომლებსაც გააჩნიათ მრავალი თვისება. ბავშვს აინტერესებს ყველა მარტივი მოტორული მოქმედება (საგნის ხელში აღება, საკუთარი თითის პირში ჩადება და ა.შ.). როგორც ე. პიაჟე ამბობს, აზროვნება ამ სტადიაზე არის დამაკავშირებელი რგოლი საგნებსა და მატერიალურ სამყაროს შორის, რომლის საშუალებითაც ყალიბდება ბავშვის რეაქციები გარესსამყაროდან მომდინარე გამღიზიანებლებზე. ამასთანავე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ განვითარების ამ ეტაპის ბოლოს ხდება სიმბოლური თამაშების დაუფლება და ობიექტების იმიტაცია.

ოპერაციამდელი სტადია არის მეტყველების დაუფლების პერიოდი, როცა ბავშვი გარესსამყაროსთან ურთიერთობას ამყარებს არა მხოლოდ მოტორული მოქმედებებითა და პირდაპირი ურთიერთობებით, არამედ მანიპულაციებს იწყებს სიმბოლოებით. მაგრამ ამ ეტაპზე ბავშვები ვერ სარგებლობენ სუფთა სახის ინდუქციური და დედუქციური აზროვნებით და იყენებენ მხოლოდ ტრანსდუქციურ მსჯელობებს, რაც იმაში გამოიხატება, რომ ბავშვი თავის მსჯელობებში გადადის კერძოდან კერძოზე და არა კერძოდან ზოგადზე (ინდუქცია) და ზოგადიდან კერძოზე (დედუქცია).

ამ ეტაპზე ბავშვები ხანდახან ახორციელებენ მსჯელობებში სინკრეტულ შედარებებს, ანუ ცდილობენ ერთმანეთთან დააკავშირონ ისეთი აზრები, რომელთა

დაკავშირება ყოველთვის არაა შესაძლებელი. მაგალითად, ბავშვის დედა, რომელიც წაიყვანეს სამშობიაროში და სახლში დაბრუნდა ახალშობილით, ბავშვმა გააკეთა მცდარი დასკვნა იმის შესახებ, რომ დედამისის ნებისმიერ საქმეზე სამშობიაროში წასვლა დამთავრდებოდა ახალშობილის სახლში მოყვანით.

ჟ. პიაჟეს მიხედვით ოპერაციამდელი აზროვნება ეგოცენტრულია, ე.ი. ბავშვისათვის ძნელი გასაგებია ის, თუ რატომაა, რომ სხვა ადამიანები, საგნებს ისე ვერ ხედავენ, როგორც თვითონ ის. ამ სტადიისათვის დამახასიათებელია აგრეთვე ცენტრაცია, რომელიც დაკავშირებულია ყურადღების ერთ-ერთი დეტალზე კონცენტრაციასთან და სხვა ასპექტებზე გადართვის უუნარიანობასთან. მაგალითად, ბავშვი რომელიც კარგად ხედავს, რომ ორი ტოლი ჭიქიდან ერთ-ერთში მოთავსებული წყალი გადაასხეს ვიწრო და მაღალ ჭიქაში, ასკვნის, რომ მაღალ ჭიქაში წყალი მენტია, რადგანაც ჭიქა მაღალია. იგი არ აქცევს ყურადღებას იმას, რომ ჭიქაა მაღალი, წყლის მოცულობა იგივეა, უცვლელია. ამ ეტაპზე ბავშვს არ შეუძლია ერთდროულად დაიჭიროს თავის მსჯელობაში ერთ მძმართებაზე მეტი, უშეძებს შეკვლამებს, იძლევა არაადექვატურ ახსნას, ვერ გეხულობს „შენახვის კანონს“, მის არგუმენტებს აქვია ლოგიკური თანმიმდევრობა. იგი აზროვნებს, მაგრამ ეს არაა ოპერაციული აზროვნება.

კონკრეტული ოპერაციების სტადიაზე ბავშვებს უეითარდებოთ ლოგიკური მსჯელობის უნარი, მაგრამ ეს მსჯელობა ჯერ კიდევ კონკრეტულია. ახლა ბავშვს უკვე შეუძლია ობიექტების გაერთიანება იერარქიული კლასიფიკაციის მიხედვით და იგი უკვე აცნობიერებს გარკვეული კლასისადმი მიკუთვნებლობის პრინციპს, რაც იძლევა მთელსა და ნაწილებს შორის არსებული მიმართებების გაგების საშუალებას.

როგორც ჟ. პიაჟე აღნიშნავს, ამ სტადიაზე ბავშვებს უკვე შეუძლიათ აწარმოონ სერიალიზაცია, ე.ი. სერიული კლასიფიკაცია, რაც იმას ნიშნავს, რომ ცხოველების კლასიფიკაციის დროს (ძაღვები და კატები) ამ ორი კლასიდან შემდეგ გამოყოფენ ქვეკლასებსაც (ნაგაზები და ბულდოგები). ამ სტადიაზე უკვე აცნობიერებენ იმას, რომ ბავშვი ერთდროულად შეიძლება იყოს ბიჭი, მეთოთხეკლასელი, ფრიადოსანი, სპორტსმენი და შაეგერემანიც.

ამ ეტაპზე ბავშვები უკვე იგებენ „შენახვის“ კანონზომიერებას. მათთვის პლასტელინის ორი გუნდა თანაბარი მოცულობისა მოუხედავად იმისა, რომ ფორმით განსხვავებული არიან.

ფორმალური ოპერაციების სტადია, როგორც ვნახეთ, გულისხმობს პრობლემის გადაჭრის დროს ცვლადის ყველა კომბინაციის გათვალისწინების უნარს. ამავე დროს შესაძლებელი ხდება იმის გათვალისწინებაც, თუ ერთი ცვლადი რა გავლენას მოახდენს მეორეზე.

ჟ. პიაჟემ ნათლად ჩამოაყალიბა ფორმალური ოპერაციების დონეზე მიმდინარე აზროვნების ოთხი ასპექტი, რომლითაც აზროვნების ეს დონე არსებითად განსხვავდება სხვა სტადიებისაგან. ესენია:

ა) ინტროსპექციული აზროვნება (აზრები აზრების შესახებ);

ბ) აბსტრაქტული აზროვნება (რეალობის საზღვრებიდან გამოსვლა და შესაძლებლობისაკენ სვლა);

გ) ლოგიკური აზროვნება (ყველა მნიშვნელოვანი ფაქტის და იდენის გათვალისწინების შესაძლებლობა, მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დანახვის უნარი).

დ) ჰიპოთეტური აზროვნება (ჰიპოთეზების ფორმულირება და მისი დასაბუთება მრავალი ცვლადის გათვალისწინებით).

გარდამავალ ასაკში აბსტრაქტული აზროვნების განვითარებასთან ერთად ვერ კიდევ შენარჩუნებულია აზროვნების კონკრეტულ-ხატოვანი კომპონენტების დიდი როლიც. ისინი აზროვნების საერთო სტრუქტურაში მნიშვნელოვან ადგილს იჭერენ (განსაკუთრებით უმცროს მოზარდებთან). ამის გამო სასწავლო მასალის შედარებით სრული შეთვისება მაშინ ხდება, როცა იგი თვალსაჩინო ხატებსაც ეყრდნობა. უმცროსი მოზარდის აზროვნებაში კონკრეტული, გრძნობადი შთაბეჭდილებების მოქმედება ისე დიდია, რომ რიგ შემთხვევებში იგი სიტყვიერ ზემოქმედებაზეც ძლიერია.

ამრიგად გარდამავალი ასაკი უ. პიაჟეს კოგნიტური განვითარების თეორიაში ემთხვევა ფორმალური ოპერაციების სტადიას, რომელიც იწყება თორმეტი წლის ასაკში. ახლა მოზარდი ამოცანის გადასაწყვეტად უკვე იწყებს უფრო მრავალრიცხოვანი კოგნიტური ოპერაციებისა და სტრატეგიების გამოყენებას. მისი აზროვნება და მსჯელობა ხდება უფრო მრავალმხრივი და მოქნილი. იგი ახლა ხვდება, რომ შესაძლებელია საგნები და მოვლენები განვიხილოთ განსხვავებული პოზიციებიდან და სხვადასხვა თვალსაზრისით.

ფორმალური ოპერაციების სტადიის ერთ-ერთი სპეციფიკა და თავისებურება ისაა, რომ ახლა შესაძლებელი ხდება აზროვნების ობიექტად გადაიქცეს არა მხოლოდ რეალური მოვლენები, არამედ ჰიპოთეტური ფენომენებიც — ის, რაც შეიძლება მოხდეს მომავალში.

კოგნიტური განვითარების ამ სტადიაზე ჰიპოთეტური სიტუაციების შესახებ მოზარდი უკვე ოპერირებს წარმოდგენებით.

ფორმალური ოპერაციების სტადიის ერთ-ერთი თავისებურება ისიცაა, რომ ამ ეტაპზე ხდება გადაწყვეტის ზერხების და სტრატეგიების სისტემატური ძიება. მაგალითად, უცნობი ამოცანის გადაწყვეტისას მოზარდი ცდილობს ყველა შესაძლებელი ზერხი გამოიყენოს და, ამასთანავე ამოწმებს თითოეული მათგანის ლოგიკურობასა და ეფექტურობას.

ამრიგად, ფორმალური ოპერაციების სტადიაზე გადასვლა მოზარდებს საშუალებას აძლევს იაზროვნონ აბსტრაქტულად, ჩამოაყალიბონ და შეამოწმონ ჰიპოთეზები, იმსჯელონ იმის შესახებაც, რაც შეიძლება მოხდეს მომავალში და — არა მარტო იმაზე, რაც უკვე არსებობს. ამ უნარის გამოჩენა საფუძვლად ედება იმას, რომ მოზარდები იწყებენ არა მარტო თავიანთი მშობლების ღირებულებების კრიტიკას, არამედ ეჭვი შეაქვთ მთელი საზოგადოების ფასეულობების სისწორეშიც კი. მოზარდობის ასაკში კოგნიტური განვითარების თავისებურება მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს მისი პიროვნების განვითარებას და იდენტურობის ჩამოყალიბებას.

გარდამავალი ასაკისათვის დამახასიათებელია აზროვნების კრიტიკულობისა და დამოუკიდებლობის ინტენსიური განვითარება., ეს მოზარდის უმცროს-

კლასელებისაგან განმასხვავებელი აზროვნების არსებითი თავისებურებაა. თვითცნობიერების განვითარების კვალობაზე მოზარდს დამოუკიდებლად აზროვნების უნარი და მოთხოვნილება უვითარდება. მოზარდი ცდილობს საგნებისა და მოვლენების შესახებ იქონიოს საკუთარი აზრი და შეხედულებები, რომლებიც მშობლებისა და მასწავლებლების აზრს უმეტესწილად აღარ ემთხვევა. როგორც აღვნიშნეთ, მოზარდი ახლა კრიტიკულადაა განწყობილი მასწავლებლებისა და მშობლების მიმართ, აკრიტიკებს მათ, ეძებს მათ მსჯელობებსა და ქცევებში შეცდომებს და პოულობს კიდევ. მოზარდები შეცდომებს სასკოლო სახელმძღვანელოებშიც კი ნახულობენ. მოზარდის აზროვნების დამოუკიდებლობა ძალიან ღირებულად და მნიშვნელოვანი თვისებაა, რომელიც მასწავლებელმა ყოველნაირად უნდა წახადისოს და განავითაროს.

უმცროსი მოზარდი დამოუკიდებლად მსჯელობის დროს ხშირად თვითონ უშვებს ბევრ უზუსტობას, რომელიც დაცინვის საგანი კი არ უნდა გახდეს, არამედ მას ფაქტად და ტაქტით უნდა მიეთითოს დაშვებულ შეცდომებზე. მოზარდებს აზროვნების დამოუკიდებლობა კრიტიკულ აზროვნებაზე უფრო გვიან უვითარდებათ.

უნდა აღინიშნოს, რომ მასწავლებლის მარჯვე ხელმძღვანელობის გარეშე მოზარდის დამოუკიდებელი აზროვნებისაკენ სწრაფვამ შეიძლება მიიღოს არასწორი ფორმა და მიმართულება. იმის გამო, რომ მოზარდს მცირე ცხოვრებისეული გამოცდილება და შეზღუდული ცოდნის დონე აქვს, აზრის დამოუკიდებლობისაკენ სწრაფვამ შეიძლება იგი მიიყვანოს აზროვნების სქემატურობამდე და ფორმალურობამდე.

გარდამავალ ასაკში მნიშვნელოვნად ვითარდება შემოქმედებით აზროვნება. მასწავლებელმა ხშირად უნდა მისცეს მოზარდებს შედარების ამოცანები, რომლებშიც უნდა იპოვონ მსგავსი და განმასხვავებელი ნიშნები, გააკეთონ განზოგადება და დასკვნები. ამასთანავე, მოზარდებმა ყურადღება უნდა მიაქციონ არაარსებითი ნიშნების მრავალგვარობასა და მრავალფეროვნებას და არსებითი ნიშნების მუდმივ ხასიათს.

აზრის აქტიური, დამოუკიდებელი მუშაობა მაშინ იწყება, როცა მოზარდის წინაშე დგება პრობლემა, კითხვა. ამიტომ მასწავლებლები ისე უნდა აწვდიდნენ სასწავლო მასალას მოზარდებს, რომ მათ წინაშე თანდათან გართულებული პრობლემები დგებოდეს. მოზარდის განვითარებადი აზროვნებისათვის დამახასიათებელია საკუთარი სააზროვნო ოპერაციების გაცნობიერება და მართვა. მართვადი ხდება აგრეთვე მეტყველებაც.

მოზარდის თეორიული აზროვნების სპეციფიკური თვისებაა ამოცანის გადაჭრა სიტყვიერ პლანში ზოგადი წინამძღვრების საფუძველზე გარკვეული ჰიპოთეზების გზით. მოზარდმა რომ ჰიპოთეზა ჩამოაყალიბოს, აუცილებელია მან დაინახოს და გამოყოს ამოცანის მოცემულობის ღირებულ კავშირები და მიმართებები, განსაზღვროს ისინი სიტყვიერად და ჩამოაყალიბოს განსაზღვრული თანმიმდევრობითა და რიგით, ბოლოს კი შეამოწმოს მოცემული ჰიპოთეზის სისწორე.

ჟ. პიაჟემ უჩვენა, რომ ლოგიკური აზროვნება და რეფლექსია ვითარდება თანდათანობით თანატოლებთან და უფროსებთან დისკუსიებსა და კამათში. მისი

აზრით „ლოგიკური აზროვნება არის თავის თავთან დისკუსია, რომელიც შინაგან ასპექტში რეალურ კამათს აღადგენს“. მოზარდის აზროვნების განვითარებისათვის დისკუსიებსა და მსჯელობებში მონაწილეობა იმიტომაც მნიშვნელოვანი, რომ ეს მისგან მოითხოვს საკმაოდ საგნის ანალიზსა და შეფასებას, საკუთარი აზროვნების მიმდინარეობის კორექციას და მსჯელობათა ცვლას. ჰიპოთეზებით ოპერირება აზროვნების ლოგიკურობა და რეფლექსურობა მთელი გარდამავალი ასაკის განმავლობაში თანდათანობით ვითარდება. სკოლაში მეცნიერული ცნებების ათვისება კი უკვე თავისთავად ქმნის მოზარდებში თეორიული აზროვნების განვითარების საფუძველსა და წინამძღვრებს.

საკუთარი თეორიული, ლოგიკური აზროვნებისა და სრულყოფის კვალობაზე, მოზარდი ახლა სხვების ყოველგვარი აზრისა და მსჯელობის ლოგიკურ დამტკიცებასა და დასაბუთებას ითხოვს. უფროს მოზარდებს ახლა მხოლოდ დასაბუთებისა და დამტკიცების სჯერათ.

მოზარდის აზროვნების ერთი მნიშვნელოვანი თავისებურებაა კრიტიკულობა, რომელშიც ელინდება ფაქტებსა და მოვლენებში მოზარდის დამოუკიდებლად გარკვევის სწრაფვა, საკუთარ შეფასებათა მოთხოვნილება. ეს მოზარდის პიროვნების ძლიერი მხარეა, რომელსაც შეხედულებებისა და მრწამსის ჩამოყალიბებამდე მივყავართ. თუ უმცროსკლასელი უფროსების შეხედულებებს და აზრებს უკრიტიკოდ იზიარებდა და ითვისებდა, მოზარდი მას საკუთარ ანალიზს უჭედიდებარებს.

გარდამავალი ასაკის აზროვნების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თავისებურებაა ცნებითი აზროვნებისა და რეფლექსიის განვითარება. რეფლექსია მოზარდის ცენტრალური პიროვნული ახალწარმონაქმნია. ცნებითი აზროვნების განვითარება ფსიქიკის უფრო ღრმა ცვლილებებს იწვევს. რ. ნათაძის აზროვნების ექსპერიმენტული გამოკვლევების შედეგად დადგინდა, რომ დაწყებითი სკოლის დამთავრებისას ბავშვი ეუფლება „კონკრეტულ“ ცნებებს. „მას უკვე შეუძლია „კონკრეტულ“ ცნებათა დაუფლება თვალსაჩინო კონკრეტული მასალის გარეშე. როდესაც ეს ცნებები მოწოდებულია განსაზღვრებისა და ახსნა-განმარტებების გერბალური გზით, ბავშვს უკვე შეუძლია მცირე დახმარებით ასეთ ცნებათა განზოგადების შედეგად უფრო ზოგადი, გვაროვნული ცნების წვდომა და ამ ცნებათა შორის ლოგიკურ დამოკიდებულებათა პრაქტიკულად სწორი დაუფლება. რადგანაც ნამდვილი ცნებითი აზროვნება მიმართებითი, რელატიული ცნებების დაუფლებას გულისხმობს, ლოგიკური ცნების სრული დაუფლება დაწყებითი სკოლის ასაკში არაა შესაძლებელი.

ცნების დეფინიციაში თორმეტწლიანი მოზარდები, ისევე როგორც თერთმეტწლიანთა უმრავლესობა, იყენებენ არსებით ნიშნებს და უპირატესობას აძლევენ არსებითი ნიშნების მიხედვით საპეციფიკურ თვალსაჩინო ნიშნებზე აგებულ განსაზღვრებებთან შედარებით. რაც შეეხება არსებითი ნიშნის მნიშვნელობის ობიექტივაციას, ამას თორმეტწლიანი ბავშვებიდან მხოლოდ ერთეულები ახერხებენ. არსებითი ნიშნის ობიექტივაციის მადალი დონე ტიპური ხდება მხოლოდ თოთხმეტი წლის ასაკში.

თორმეტწლიანების ნახევარზე მეტი უფრო ადვილად წვდება ახალ ცნებათა შორის ძირითად ლოგიკურ მიმართებებს და სწორადც ასაბუთებს თავის პასუხებს ამ მიმართების შესახებ. თორმეტი წლის ასაკში მოზარდები უფრო ადვილად ეუფლებიან რელატიულ ცნებებს, ვიდრე უმცროსკლასელები.

ცნებითი აზროვნების განვითარებაში მკვეთრი გარდატეხის ასაკია თოთხმეტი წელი. შეიძლება ითქვას, რომ ეს ასაკი ცნებითი აზროვნების განვითარების საბოლოო საფეხურია. ამ ასაკის მოზარდები იმუშავენ როგორც კონკრეტულ, ასევე რელატიურ ცნებებს და საეხებით ეუფლებიან ამ ცნებათა სისტემასაც. ამ ასაკში მიიღწევა ცნების არსებითი ნიშნის მნიშვნელობის გაცნობიერება და ობიექტივაცია. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია წინსვლა რელატიური ცნებების დაუფლების თვალსაზრისით. ამ ცნებათა არსებითი ნიშნების ობიექტივაცია წინა საფეხურზე დიდ სიძნელეს წარმოადგენდა. თოთხმეტი წლის მოზარდები კი, ამ მიმართულებით მასალის კლასიფიკაციისას თითოეული კატეგორიის არსებითი ნიშნების ობიექტივაციას ახდენენ.

თოთხმეტი წლის ასაკის განსაკუთრებით მნიშვნელოვან წინსვლას წარმოადგენს განმაზოგადებელი აზროვნების განვითარება. კერძოდ, ქვეცნებათა უფრო ზოგად ცნებაში განზოგადების უნარის განვითარება. ე.ი. ამ ასაკში პირველად ხდება მოზარდისათვის დამახასიათებელი ქვეცნებათა ნამდვილი განზოგადება მათი არსებითი ნიშნების სინთეზირების გზით.

ის მოთხოვნები, რომლებსაც ახლა მასწავლებელი უყენებს მოზარდებს, სასწავლო საქმიანობის ახალი, რთული სისტემა და მრავალი სასწავლო საგანი, მოზარდებისგან მოითხოვს ისეთი ახალი სააზროვნო ზერხების გამოყენებას, რომლებსაც დაწყებით კლასებში ან საერთოდ არ იყენებდნენ, ან თუ იყენებდნენ, მეტად უმნიშვნელო ზომით. მოზარდების გონებრივი განვითარება ზასიათდება არა მარტო ცოდნის გარკვეული მარაგის დაგროვებით, არამედ თავისებური გონებრივი ზერხების ფონდის გაჩენითაც. გარდამავალ ასაკში გამოიყენება სასწავლო საქმიანობის განსხვავებული ფორმები, რის გამოც მისი გონებრივი მოქმედების გარდაქმნის რთული პროცესი იწყება.

დაწყებით კლასებში ბავშვი ზოგად და განყენებულ ცნებებს შეძლებისდაგვარად გვერდს უვლიდა, ცდილობდა სასწავლო მასალის დაკონკრეტებასა და ილუსტრირებას, რის შედეგადაც უკეთეს გაგებასა და შეთვისებას აღწევდა. გარდამავალ ასაკში კი, სასწავლო მასალის გაგება-გაცნობიერება ხშირად არა კონკრეტიზაციისა და ილუსტრირების გზით მიმდინარეობს, არამედ ლოგიკური მსჯელობების, მტკიცებებისა და დასკვნების საშუალებით. რ. ნათაძის ექსპერიმენტული კვლევა ჩატარებულია ორმოციან წლებში. გონებრივი აქსელერაციის ფაქტორის გათვალისწინებით დგება საკითხი მოახდენს თუ არა განვლილი პერიოდი გველენას ცნების შემუშავებაზე, რაც დამატებითი კვლევის ჩატარების საჭიროებას მოითხოვს.

გარდამავალი ასაკიდან აბსტრაქცია დაწყებითი სკოლის ასაკთან შედარებით ახალ მიმართულებას იძენს. თუ უმცროსკლასელებში აბსტრაქციას თვალსაჩინო-კონკრეტული სინამდვილიდან არ გავყავდით, ახლა იგი იმ ძირითად ოპერაციად

იტყვება, რომელიც ცნებათა შემუშავებისთვის ხდება აუცილებელი. მას გრძობადი სამყაროდან აზრის სამყაროში გადაყვანით. მოზარდის აზროვნება, ფაქტიურად ახლა თავისუფლდება გრძობადი შინაარსების ტყვეობისაგან და აბსტრაქციის ნამდვილი ლოგიკური იმპულსების წარმოებას იწყებს. თუმცა მოზარდი ამას ყოველთვის წარმატებით ვერ ახერხებს და ისევ თვალსაჩინოებას უბრუნდება, რის გამოც არათვალსაჩინო სასწავლო მასალის გათვალსაჩინოებას ცდილობს. ამის გამო, შესასწავლი მთავრების ნამდვილი არსი მას გაუგებარი რჩება.

გარდამავალ ასაკში ვითარდება აგრეთვე აზროვნების ერთი ახალი მიმართულება, რომელსაც აზროვნების ფილოსოფიურ მიმართულებასაც უწოდებენ. თუ დაწყებითი სკოლის ბავშვი კმაყოფილდებოდა სინამდვილის ცალკეული მონაკვეთების შესახებ მობრუნებული ცდინით, რომელიც მის ცნობიერებაში ასევე ცალ-ცალკე, ერთმანეთთან დაუკავშირებელი ფრაგმენტების სახით იყო წარმოდგენილი, ახლა პირველად ჩნდება მიზეზობრივი ურთიერდაკავშირების და სამყაროს ერთიანი, მთლიან სურათის შექმნის მოთხოვნილება. მოზარდი იწყებს ფიქრს ქვეყნიერების დასაბამსა და დასასრულზე, სამყაროს უსასრულობაზე, სიცოცხლის არსზე და სიკვდილზე. მასწავლებლის სწორი ხელმძღვანელობის გარეშე შესაძლებელია მოზარდის პიროვნებაში გაჩნდეს პესიმისტური ნოტები.

თანამედროვე ბელგიელი ფსიქოლოგი მიშელ კლე მოზარდობის ასაკისადმი მიძღვნილ საცვალური ლიტერატურის მიმოხილვის საფუძველზე გამოყოფს გარდამავალი ასაკის მოზარდის კოგნიტური განვითარების რამდენიმე საფეხურს, რომელიც ძირითადად ეფუძნება ე. ჰაიკესა და ე. ინელდერის გამოკვლევებს. ე. ჰაიკეს აზრით ინტელექტი წარმოადგენს ორგანიზმის ადაპტაციის კერძო ფორმას. ინდივიდისა და გარემოს ურთიერთდამოკიდებულება ხასიათდება ასიმილაციისა და აკომოდაციის პროცესების ერთიანობით და ნაკარნახევია წონასწორობის ძიებით გარესამყაროს რეალიებსა და ინტელექტის მიერ გამოუმუშავებული შეთვისებისა და გაგების „ფორმებს“ შორის. განვითარების კვალობაზე ინტელექტი განიცდის უფრო და უფრო ღრმა და რთულ სისტემურ და სტრუქტურულ ცვლილებებს.

კოგნიტური განვითარების თვალსაზრისით გამოყოფილი იქნა ოთხი სტადია: ა) სენსომოტორული ინტელექტი (დაბადებიდან ორ წლამდე), ბ) -ინტუიტიური ანუ ოპერაციონალურამდელი (2-დან 7 წლამდე), გ) კონკრეტული ოპერაციების (7-8დან 11-12 წლამდე) და დ) ფორმალური ოპერაციების (11-12 დან 14-15წლამდე) სტადია. ფორმალური ოპერაციების სტადია მოზარდის ინტელექტის განვითარების ბოლო ეტაპია, რომელშიც, თავის მხრივ გამოიყოფა რამდენიმე ეტაპი:

1) *ჰიპოთეტურ-დელექტიური აზროვნებაზე გადასვლა.* ამ პერიოდის აზროვნების ძირითადი ინტელექტუალური ახალწარმონაქმნია მსჯელობის უნარი ევრბალურად ჩამოყალიბებული ჰიპოთეზებით და არა კონკრეტული საგნების მანიპულაციით, რაც აზროვნების ევოლუციის მაჩვენებელია. მოზარდები გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებენ საკუთარი დასკვნების ფორმალურ შინაარსს, რაც განვითარების წინა ეტაპზე მიუღწეველი იყო.

2) *კომბინატორული სტრუქტურა*. კომბინატორული სისტემა არის პირველი ლოგიკური სტრუქტურა, რომელიც წარმოადგენს პრობლემური სიტუაციის ელემენტების ყველა შესაძლო კომბინაციის რთულ და მოწესრიგებულ მატრიცას. ბევრი, რომელიც იმყოფება კონკრეტული აზროვნების სტადიაზე, მსჯელობის დროს ერთმანეთთან აკავშირებს რომელიმე ორ მეზობელ ელემენტს, მაგრამ არ შეუძლია სხვა ელემენტების დაკავშირება. მოზარდის მსჯელობის პიპოტეტურ-დედუქციური ხერხი დამყარებულია უფრო განზოგადებულ და გამოხატულ კომბინატორულ უნარზე. ჟ. პიაჟეს გამოკვლევებმა დაამტკიცა, რომ 12-15 წლის ასაკში მოზარდი იწყებს კომბინატორული ანალიზის ოპერაციების გამოყენებას.

3) *შექცევადობის შეთვისება*. მეორე ახალი კოგნიტური სტრუქტურა, რომელიც ფორმალური აზროვნებისათვისაა დამახასიათებელი, ოთხი ერთმანეთთან დაკავშირებული ლოგიკური ოპერაციის შეთვისებაში მდგორეობს. ეს ოპერაციებია: იდენტურობა, უარყოფა, რეციპროკულობა და კორელაცია. კონკრეტული აზროვნების სტადიაზე მყოფი ბავშვები ადვილად ითვისებენ პირველ და მეორე ოპერაციას. იდენტურობა ნიშნავს რეალიზებული ოპერაციის გამეორებას, უარყოფა კი – მასზე პირდაპირ უარს. ამის კლასიკური ილუსტრაციაა სასწრაის თეფშების გაწონასწორების ცდები: მათი გაწონასწორება შეიძლება ერთ-ერთ თეფშზე ტვირთის მომატებით (იდენტურობა), ტვირთის აღებით (უარყოფა). შექცევადობის ამ ოპერაციას აღწევნ კონკრეტული აზროვნების საფეხურზე მდგომი ბავშვებიც. მაგრამ ტვირთის აღებისა და დამატების გარდა თეფშების გაწონასწორება შესაძლებელია აგრეთვე ტვირთის უკან გადაწვეთ, რადგანაც წონა და მანძილი პროპორციულია. რეციპროკული ოპერაციის ანულირება შეიძლება – ტვირთის სასწრაის თეფშზე ისევ უკან გადაწვეთ. წონასწორობა ისევ დაირღვევა. ეი. ენგელტი იქნება ისეთივე, როგორც დასაწყისში იყო. ეს ახალი ოპერაცია მასთან კორელაციაში იმყოფება. კონკრეტული აზროვნების სტადიაზე მყოფ ბავშვებს შეუძლიათ თითოეული ეს ოპერაცია ცალ-ცალკე ათვისონ, მაგრამ არ შესწევთ ამ ოპერაციების ერთობლივად და ერთდროულად ათვისების უნარი. ამ ფორმალური ოპერაციების ლოგიკა შეადგენს ორმაგ შექცევადობას, რომელიც ჟ. პიაჟეს მიხედვით მიიღწევა მოზარდობის ასაკში და რომელსაც უფრო რთული კონკრეტულური სისტემებისაკენ მივყავართ.

4) *ფორმალური აზროვნების უნივერსალური ხასიათი*. ჟ. პიაჟეს მიხედვით მოზარდობის ასაკში ფორმალური ოპერაციების სიდიდებს უნივერსალური ხასიათი აქვთ, ფორმალური აზროვნებისათვის დამახასიათებელია ლოგიკური სტრუქტურების შეთვისება: ჟ. პიაჟეს მტკიცებით ყოველ ნორმალურ ადამიანს შეუძლია მიაღწიოს ფორმალური აზროვნების დონეს იმ პირობით, თუ სოციალური გარემოცვა და მიღებული გამოცდილება მის გონებას „საკვებს აძლევს“ და როცა სახეზეა აზროვნების კოგნიტიური სტრუქტურების ფორმირების აუცილებელი სტიმულაცია.

5) *ფორმალურ აზროვნებაზე გადასვლა: სასკოლო გამოცდილების გავლენა*. ჟ. პიაჟეს მიხედვით 14-15 წლის მოზარდები ზუსტად გამოიძუშავენ ფორმალურ კოგნიტიურ სტრუქტურებს „სასკოლო სწავლებისაგან დამოუკიდებლად“, მაგრამ მიშელ კლეს აზრით მრავალი გამოკვლევა უჩვენებს, რომ სასკოლო სწავლის გავლენა ამ საკმეში ძალიან დიდია.

თუ კონკრეტული ოპერაციების სტადიაზე გოგონებსა და ბიჭებს შორის კონკრეტულ განვითარებაში განსხვავება არ შეინიშნებოდა, ფორმალური აზროვნება ბიჭებს უფრო აქვთ განვითარებული.

ჟ. ჰაიკეს აზრით მოზარდობის ასაკის ფუნდამენტური მნიშვნელობა გამოიხატება ინდივიდის მოზარდობა საზოგადოებაში ჩართვით. მოზარდი უკვე თავის თავს მოზარდობის თანაბრად თვლის, იწყებს ფიქრს მომავალზე და აწყობს „კხოვრებისეულ გეგმებს“. იგი მიზნად ისახავს მოზარდობა სამყაროს გარდაქმნასა და შეცვლას. მოზარდი ბავშვებისაგან ძირითადად განსხვავდება რეფლექსიის ტიპით, რომელიც მოიცავს არა იმდენად წარსულს, რამდენადაც მომავალს. მოზარდის ცნობიერების ასეთი ცვლა პირდაპირაა დაკავშირებული ამ ასაკისათვის დამახასიათებელ კონკრეტულ ცვლილებებთან.

რა თქმა უნდა, ყველა ადამიანი (მით უმეტეს მოზარდი) არ აზროვნებს ფორმალური ოპერაციების დონეზე. ფორმალური ოპერაციების დონეს მიღწეული მოზარდები, ზანდახან, უცნობ, მოულოდნელ პრობლემურ სიტუაციებში ვერ ახერხებენ აზროვნების ამ ფორმით ამოცანების გადაჭრას და იყენებენ მსჯელობათა უფრო კონკრეტულ ტიპს.

ფორმალური ოპერაციების დონის აზროვნებაზე გადასვლა გულისხმობს და მოითხოვს ინტელექტის გაცილებით მაღალ დონეს. ფსიქოლოგიაში არსებობს ინტელექტის მრავალი დეფინიცია. ყველაზე უფრო მიღებული და გავრცელებული დეფინიციის მიხედვით ინტელექტი არის დასწავლის, აზრების, მსჯელობის, გაგების და პრობლემის გადაჭრის თანმობილი უნარი. ესაა გონებრივი უნარები, რომელთა განვითარებასაც თითქმის არ აქვს ბიოლოგიური საზღვარი. განვიხილოთ რამდენიმე შეხედულება ინტელექტის შესახებ (ფ. რაისი, დასახელებული წიგნი, გვ. 194-199).

ჟ. ჰაიკეს მიხედვით ინტელექტის ძირითადი სასიცოცხლო ფუნქციაა დაეხმაროს ორგანიზმს გარესამყაროსთან შეგუების საქმეში. მისი აზრით, ინტელექტი არის შეგუებითი (ადაპტორული) აზროვნება ან ქცევა.

ლ. ტერსტონმა ჩამოაყალიბა შეიდი ფაქტორი, რომელსაც უწოდა საბაზო გონებრივი უნარები: ესაა სივრცითი აზროვნება, აღქმის სისწრაფე (ვიზუალური ინფორმაციის სწრაფი დამუშავება), რიცხვითი მსჯელობები, ვერბალური მნიშვნელობების დადგენა (სიტყვის დეფინიცია), სიტყვიერი სიჩქარე (სიტყვის გამოცნობის სისწრაფე), მენსიურება და ინდუქციური დასკვნები (წესის ჩამოყალიბება). იგი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ სპირმენის „გ“ ფაქტორი შედგება შეიდი ცალკეული უნარისაგან.

რ. კეტელმა და ჯ. ხორნმა სპირმენის „გ“ ფაქტორი და ტერსტონის საბაზო უნარების კრიტიკისას ჩამოაყალიბეს ინტელექტის ორი სახე: ა) მოძრავი (მიმდინარე) ინტელექტი და ბ) კრისტალიზებული ინტელექტი.

მოძრავი ინტელექტი არის აქამდე უცნობი ისეთი აბსტრაქტული პრობლემების გადაწყვეტის უნარი, რომლის გადაჭრაც ადამიანს არ უსწავლია და, რომელიც, შედარებით თავისუფალია კულტურული გავლენებისაგან. მოძრავი ინტელექტის

ტესტების ტიპური კითხვებია: რას ნიშნავს სიტყვა „ტელეფონი“? „რა არის არასწორი ამ მოსაზრებაში: ერთხელ ჩვენ დავინახეთ რამდენიმე აისბერგი, რომლებიც თითქმის მთლიანად დადნა გოლფსტრიმის სითბოსაგან“, „რამდენი მეტრია კილომეტრში?“, „რომელ თვეშია ახალი წელი?“, „თუ მე ვიყიდი ფუნთუშას 7 ცენტად, რამდენ ცენტს დამიბრუნებს გამყიდველი, თუ მე მას 25 ცენტს მივცემ? აქ შემოდის, აგრეთვე უაზრო გეომეტრიულ ფიგურებს შორის დამოკიდებულებების დადგენის ტესტებიც. კრისტალიზებული ინტელექტი კი არის ისეთი პრობლემების გადაწყვეტის უნარი, რომელიც მოითხოვს სწავლის შედეგად მიღებული ცოდნის და გამოცდილების გამოყენებას. ინტელექტის ეს სახე ფასდება ზოგადი ცოდნის ტესტებით (რა ტემპერატურაზე დუღდება წყალი), სიტყვათა გაგების ტესტებით (რას ნიშნავს სიტყვა „დუბლიკატი“ და არითმეტიკული უნარებით).

დღეს ბევრი ფსიქოლოგი უპირატესობას ანიჭებს ინტელექტის იერარქიულ მოდელს, სადაც ინტელექტი განიხილება როგორც 1) ზოგადი ნიჭიერების ფაქტორი, რომელიც მოთავესებულა იერარქიის მწვერვალზე და გავლენას ახდენს ადამიანის მიერ მიღწეულ შედეგებზე მრავალ კოგნიტურ ტესტში; 2) სპეციალიზებული უნარების ფაქტორი, რომელიც გავლენას ახდენს ადამიანის მიერ კონკრეტულ ინტელექტუალურ სფეროებში მიღწეულ შედეგებზე (რიცხვით და სივრცით ტესტებში).

ამ იერარქიული მოდელიდან ყურადღებას იპყრობს ჯ. კროლის ინტელექტის სამდონიანი თეორია. მას ინტელექტი წარადგენილი ჰქონდა პირამიდის სახით, სადაც „გ“ ფაქტორი მოცემულია მწვერვალზე, ხოლო რვა ზოგადი ინტელექტუალური უნარი – მეორე დონეზე.

ეს მოდელი გულისხმობს იმას, რომ თითოეული ჩვენთაგანი შეიძლება ვფლობდეთ კონკრეტულ ძლიერ და სუსტ ინტელექტუალურ მხარეებს, რომელიც დამოკიდებულია მეორე დონის ინტელექტუალურ უნარებზე. ეს მოდელი ხსნის იმას, თუ რატომაა, რომ ზოგადი უნარის („გ“ ფაქტორი) დაბალი დონით შესაძლებელია წარმატების მიღწევა მესამე სფეროს ვიწრო სფეროში (მაგალითად, ერთხელ მოსმენილი ლექსის აღდგენა). ეს ნიშნავს იმას, რომ ასეთ ინდივიდს აქვს მეორე რანგის ძალიან მაღალი მაჩვენებელი, რომელიც უზრუნველყოფს მაღალი პროდუქტიულობას ამ კონკრეტულ სფეროში.

ამრიგად, ინტელექტის ყველა იერარქიული მოდელი ინტელექტს განიხილავს როგორც ყოვლისმომცველი ზოგადი გონებრივი უნარების ერთობლიობას და ზოგიერთ სპეციფიკურ უნარსაც, რომლებიდანაც თითოეული მათგანი მიეკუთვნება კონკრეტულ ინტელექტუალურ სფეროს.

ინტელექტის ზემოგანხილულ დეფინიციებს ხშირად აკრიტიკებენ იმის გამო, რომ ისინი ძალიან ვიწროა და ფიქსირებულია მხოლოდ ინტელექტუალურ შინაარსზე (ე.ი. ბავშვის ცოდნაზე) და არა ამოცანის გადასაჭრელად ცოდნის მიღების პროცესზე. ამასთანავე მკვლევარები მოუითხებენ იმაზეც, რომ ინტელექტის ტრადიციული ტესტები ვერ აფასებენ სხვა პარამეტრებს, რომელთაც ადამიანები, როგორც წესი, ინტელექტის ნიშნებად თვლიან. (მაგალითად, საღი აზრი, სოციალური და პიროვნებათაშორისო ჩვევები, ტალანტი).

1991 წელს რ. სტერნბერგმა წამოაყენა ინტელექტის სამკომპონენტანი თეორია, რომელშიც ხაზი ესმება ინტელექტუალური ქცევის სამ ასპექტს ან კომპონენტს: ა) კონტექსტი ბ) გამოცდილება გ) ინფორმაციის დამუშავების ხერხები.

კონტექსტი. რ. სტერნბერგის აზრით, ინტელექტუალური ქცევის ნიშნები მნიშვნელოვანწილად და მოკიდებული კონტექსტზე. ინტელექტუალური ადამიანები ისეთი ადამიანებია, რომლებსაც შეუძლიათ გარემოში წარმატებული ადაპტაცია და მისი ინტერესების შესაბამისად გარემოს შეცვლაც კი. ასეთი ადამიანები ახდენენ პრაქტიკული ინტელექტის დემონსტრაციას. როგორც რ. სტერნბერგი მიუთითებს, ინტელექტი უნდა განვიხილოთ როგორც შემგუებლური ქცევა რეალურ სამყაროში და არა ქცევა ტესტირების პირობებსა და პროცესში. ესაა ინტელექტის პრობლემებისადმი კონტექსტუალური მიდგომა, რომლის მიხედვითაც ის, რაც გავებულია ინტელექტუალურ ქცევად, შეიძლება დამოკიდებული იყოს კულტურასა და სუბკულტურაზე, ისტორიულ ეპოქასა და ასაკზე.

გამოცდილებითი ინტელექტი. რ. სტერნბერგის მიხედვით ინტელექტუალური ქცევების ერთ-ერთი კრიტერიუმი არის მოცემული ამოცანის გადაჭრის გამოცდილება. უცნობი ამოცანების გადაწყვეტა მოითხოვს ინფორმაციის უფრო აქტიურ და გაცნობიერებულ დამუშავებას და წარმოადგენს ინტელექტუალური მუშაობის უკეთეს მაჩვენებელს. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ამოცანა ისე ახალი არ უნდა იყოს, რომ არ შეესაბამებოდეს ადამიანის საერთო გამოცდილებას (შე- 5 კლასილებს არ უნდა მიეკეთ გეომეტრიული ამოცანები).

ინტელექტის გამოცდილებითი კომპონენტი ძალიან მნიშვნელოვანია იმ შემთხვევაში, როცა ხდება ტესტირების ჩატარება სხვადასხვა კულტურებში. თუ ინტელექტის ტესტის დავალებები ნაცნობია ერთი კულტურული გჯგუფისათვის, მაგრამ უცნობია მეორისათვის, მაშინ მეორე გჯგუფი პირველთან შედარებით, გაცილებით უარეს შედეგებს მიიღებს. ამ მოვლენას ავტორი უწოდებს ტესტირების მეთოდის კულტურულ არაობიექტურობას. მისი დასკვნა ასეთია: „სხვადასხვა კულტურის ადამიანთა ინტელექტუალური პროდუქტიულობის ვალიდური შედარება მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი, როცა ტესტური დავალებები ერთნაირადაა ნაცნობი (ან უცნობი) ყველა ცდისპირისათვის (დ. შეფერი. გვ. 457).

ინფორმაციის დამუშავების კომპონენტი. რ. სტერნბერგი აკრიტიკებს ინტელექტის ისეთ გაგებას, როცა ადამიანის ინტელექტს აფასებენ მიღებული პასუხების ხარისხის ან სისწორის მიხედვით და ყურადღებას არ აქცევენ იმას, თუ ეს პასუხები როგორაა მიღებული.

მისი აზრით, ჩვენ აქცენტი უნდა გავაკეთოთ ინტელექტუალური ქცევის კომპონენტურ ასპექტებზე, ე.ი. კოგნიტურ პროცესებზე, რომელთა საშუალებითაც ვაფასებთ პრობლემის გადაწყვეტის საშუალებებს, ვაყალიბებთ გადაწყვეტის სტრატეგიებსა და მიზნის მიღწევამდე ვაკონტროლებთ კოგნიტურ პროცესებს. რ. სტერნბერგი ამტკიცებს, რომ ზოგიერთი ადამიანი ინფორმაციას უფრო ჩქარა და ეფექტურად ამუშავებს, ვიდრე მეორე და კოგნიტური ტესტები იქნება გაცილებით უფრო სასარგებლო, თუ ისინი შეძლებენ ამ სხვაობების დაფიქსირებას.

დ. შეფერი ასე აფასებს რ. სტერბერგის ინტელექტის თეორიას: ამრიგად, სტერბერგის სამკომპონენტანი თეორია იძლევა ინტელექტის ბუნების საინტერესო გაგებას. იგი ამტკიცებს, რომ თუ თქვენ გინდათ გაიგოთ ჩარლზის, ჩიკოს ან ჩანგვანის ინტელექტი, უნდა განიხილოთ: ა) მათი მოქმედების კონტექსტი (ე.ი. ის კულტურა და ისტორიული პერიოდი, რომელშიც ისინი ცხოვრობენ და, აგრეთვე მათი ასაკიც.) მოცემული ამოცანების გადაჭრის გამოცდილება და ის, არის თუ არა მათი ქცევა პასუხი სახელზე თუ იგი ავტომატური პროცესია; გ) ინფორმაციის დამუშავების მეთოდები ასახავენ ადამიანის მიდგომას მოცემული ამოცანებისადმი.

ჰ. გარდნერმა წამოაყენა ინტელექტის მრავალშრიანი თეორია. იგი თავის წინამორბედებს აკრიტიკებს და ამბობს, რომ ისინი ცდილობენ ადამიანის ინტელექტის აღწერას ერთი მახასიათებლის მიხედვით. ჰ. გარდნერის მიხედვით არსებობს ინტელექტის ცხრა სახეობა. თითოეული მათგანი ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად არსებობს, დაკავშირებული არიან ტვინის სპეციფიკურ არეებთან და აქვთ განვითარების საკუთარი გზები. ტვინის ერთი არის დაზიანება არ იწვევს მეორე არესთან დაკავშირებული ინტელექტის სახეობის დაზიანებას. ჰ. გარდნერის ინტელექტის ცხრა პუნქტოვანი სქემა ასეთია:

1) ლინგვისტური ინტელექტი. გამოირჩევა სიტყვების მნიშვნელობისადმი, ენის სტრუქტურებისადმი და მისი გამოყენების ხერხებისადმი მაღალი მგრძობილობით. ინტელექტის ამ სახის საგარაუდო პროფესიებია: პოეტი, მწერალი, ლიტერატორი, ჟურნალისტი.

2) სივრცითი ინტელექტი. ვიზუალურ-სივრცითი მიმართებების ზუსტი აღქმის და ტრანსპორმაციის უნარი. საგარაუდო პროფესიები: ინჟინერი, სკულპტორი, კარტოგრაფი.

3) ლოგიკურ-მათემატიკური ინტელექტი. აბსტრაქტული სიმბოლურ სტრუქტურებში დამოკიდებულებების გაცნობიერებისა და გააზრების უნარი. ლოგიკური აზროვნების უნარი (მათემატიკოსი, ფიზიკოსი, მეცნიერი);

4) მუსიკალური ინტელექტი. ბგერის სიმაღლისა და მელოდის მიმართ მაღალი მგრძობილობა, ბგერების მუსიკალურ ფრაზებში გაერთიანების და მუსიკის ემოციური ასპექტების გაგების უნარი. (მუსიკოსი, კომპოზიტორი).

5) კინესტეტიკური ინტელექტი. ემოციების გამოსახატავად სხეულის მარჯვე და მოქნილად გამოყენების უნარი. საგნებთან მოხერხებულად დამოკიდებულების უნარი (მოცეკვავე, სპორტსმენი).

6) პიროვნებათაშორისი ინტელექტი. სხვა ადამიანების განწყობების, მოტივების და ზრახვების გამოცნობის, განსაზღვრის და მათზე ადეკვატურად რეაგირების უნარი. (ექიმი, პოლიტიკოსი, საზოგადოებრივი მოხელე, გამყიდველი).

7) შიდაპიროვნული ინტელექტი. საკუთარი, შინაგანი მდგომარეობების მიმართ მაღალი მგრძობიარობა, საკუთარი სუსტი და ძლიერი მხარეების გაცნობიერება. საკუთარი თავის შესახებ ინფორმაციის მარჯველ გამოყენება შვეუებით ქცევებში. (ეს უნარები ადამიანს ეხმარება საქმიანობის თითქმის ყველა სფეროში).

8) ნატურალური ინტელექტი. ორგანიზმზე მოქმედი ფაქტორებისადმი მგრძობილობა ბუნებრივ გარემოცვაში (ფლორა და ფაუნა). სავარაუდო პროფესიები: ბიოლოგი, ბუნებისმცოდნე.

9) სულიერი (ეგზისტენციალური) ინტელექტი. ცხოვრებისეული არსის საკითხებისადმი (სიკვდილი, სიცოცხლე) მგრძობილობა. (ფილოსოფოსი, სასულიერო პირი).

რ. სტერბერგის მიხედვით გამოიყოფა ინტელექტუალური უნარების სამი ძირითადი ტიპი:

ა) კომპონენტური ინტელექტი, რომელიც გულისხმობს დასწავლის ზოგად უნარს, მიხვედრილობას, საზრიანობას, სიტყვიერ მარაგს, წაკითხული ტექსტის კარგად გაგებას, ისეთი ობიექტებით ოპერირებას, როგორცაა, ანალოგია, სილოგიზმი და კრიტიკული აზროვნების უნარი. ესაა ტრადიციული ფორმის ინტელექტი, რომელიც ფასდება ტესტების საშუალებით.

ბ) ემპირიული ინტელექტი, რომელიც გულისხმობს გაცნობიერებული, გააზრებული შერჩევის უნარს, ახალი თეორიის, წარმოდგენების და იდეების შესაქმნელად ინფორმაციის კომპონენტების და ელემენტების ანალიზსა და სინთეზის უნარს, შედარების წარმოებას.

გ) კონტექსტური ინტელექტი. იგი გულისხმობს რეალურ სამყაროში ადაპტაციის უნარს, ე.ი. სიტუაციის შეფასებას.

ჰ. გარდინერის მიხედვით ინტელექტი ხუთი ტიპისაა:

1) სივრცითი ინტელექტი – ესაა სივრცითი ხატების შექმნის და გარესამყაროში ორიენტაციის უნარი,

2) მუსიკალური ინტელექტი. ესაა მულოდირი და რიტმული კონსტრუქციების აღმის უნარი.

3) მოძრაობითი (მოტორული) ინტელექტი. ესაა ფაქიზი მოტორული მოძრაობების შესრულების უნარი (მოცეკვავე, ქირურგი).

4) პიროვნებათაშორისი ურთიერთობების ინტელექტი. ესაა უნარი გაუგოს სხვა ადამიანებს, გაიგოს მათი გრძობები, განცდები, ქცევის მოტივები. არიან ადამიანები, რომლებიც ადვილად ახერხებენ სოციალური ურთიერთობების დამყარებას.

5) პიროვნების შინაგანი ინტელექტი. ესაა ინდივიდის საკუთარ განცდებსა და გრძობებში გარკვევის უნარი, ესაა აგრეთვე იდენტურობის გრძობის ფორმირების უნარიც.

თვალი რომ გადავაკვლოთ გონებრივი უნარების ტესტირების ისტორიას, ენახათ, რომ თითქმის ყველა მკვლევარს საკუთარი შეხედულება აქვს ინტელექტის შესახებ. ა. ბინეს შეხედულებები არსებითად განსვავდებოდა ტერმანისაგან. თუმცა შემდგომში ამ უკანასკნელმა შეცვალა თავისი შეხედულებები ინტელექტზე და აღიარა, რომ ინტელექტზე სხვა ფაქტორებთან ერთად გავლენას ახდენს გარემოს ასპექტებიც.

1904 წელს სპირმენმა ივარაუდა, რომ გონებრივი განვითარების ტესტებში ჩართული განსხვავებული ამოცანების შედეგებისადმი სტატისტიკური მეთოდების

გამოყენება შესაძლებლობას მოგვცემს ინტელექტის საფუძვლად მდებარე ერთადერთი ზოგადი ფაქტორის დასადგენად. ამ ფაქტორმა მიიღო „g“ ფაქტორის სახელწოდება და ბევრი ფსიქოლოგი (საბრძნოთა ერთად) დარწმუნებული იყო, რომ ესაა ტვინის ბიოლოგიური სიძლიერის გამოვლენა, რომელიც იმუშავებს „ფსიქიკურ ენერჯიას“.

ფსიქოლოგთა ერთი ნაწილი კი თვლიდა, რომ ინტელექტი გაცილებით მრავალფეროვანია და იგი ერთ ფაქტორზე არ შეიძლება დაიყვანოს. ჯილფორდი თვლიდა, რომ ინტელექტუალური ამოცანების გადაჭრის პროცესში ერთმანეთთან კომბინაციაში მონაწილეობს სამი ასპექტი:

ა) სააზროვნო ოპერაციები (შემეცნება, მეხსიერება, აზროვნება)

ბ) შინაარსი (ვიზუალური, სმენითი ან სიმბოლური წარმოდგენები) და გ) პროდუქცია (ბლოკები, სისტემები და იმპლიკაციები იძლევა ინტელექტის მოდელს, რომელიც მოიცავს 120 სხვადასხვა ფაქტორს.

1985 წელს გარდენმა წამოაყენა დებულება, რომლის მიხედვითაც არსებობს რამდენიმე განსხვავებული ტიპის ინტელექტი, რომლებიც მოქმედებენ დამოუკიდებლად, მაგრამ ერთმანეთთან მჭიდრო ურთიერთობითა და სრული შეთანხმებით. მან გამოყო ინტელექტის შვიდი სახეობა.

1) მეტყველებითი ინტელექტი, რომელსაც აქვს დამოკიდებულება ენასთან.

2) მუსიკალური ინტელექტი

3) მათემატიკურ-ლოგიკური ინტელექტი, რომელიც გამოიყენება გამოთვლებისათვის და ლოგიკური მსჯელობებისათვის.

4) სივრცითი ინტელექტი

5) სხეულებრივ-კინესტეტიკური ინტელექტი, რომელიც აუცილებელია სპორტისა და სხვა შესაბამისი სფეროსათვის.

6) პიროვნებათაშორისი ინტელექტი, რომელიც გამოიყენება სხვა ადამიანებთან ურთიერთობებში

7) შიდაპიროვნული ინტელექტი, რომელიც აუცილებელია საკუთარი ქცევის გაცნობიერებისა და პროგნოზირებისთვის.

ჯილფორდის აზრით, ინტელექტის წარმოდგენა შვიდი განსხვავებული უნარით შესაძლებლობას გვაძლევს უფრო კარგად გავიგოთ, თუ რატომ, რომ ზოგიერთი ადამიანი ძალიან კარგად ჭრის რთულ ინტელექტუალურ ამოცანებს, მაგრამ სრულ უშწევბას აძულიანებს სხვა საქმიანობაში. გარდერის აზრით ინტელექტის ამ სახეობებს თავის ტვინში აქვთ შესაბამისი არეები, რომლებიც პასუხისმგებელი არიან ინტელექტის თითოეული ტიპის მუშაობისათვის.

რ. სტრენბერგმა 1985 წელს წამოაყენა დებულება, რომლის მიხედვითაც არსებობს ინტელექტის სამი ძირითადი ასპექტი, რომელიც ფუნქციონირებს შეთანხმებით, რის შედეგადაც მიიღება გონიერი ქცევა:

1) კონტექსტუალური ინტელექტი. ესაა კულტურული კონტექსტი, რომელშიც ვლინდება გონიერი მოქმედებები. ერთ კულტურაში რომელიმე კონკრეტული ქცევა შეიძლება ჩაითვალოს გონიერად, ხოლო მეორეში – არა.

2) ემპირიული ინტელექტი, რომლის მიხედვითაც ჩვენს ნებისმიერ ქცევაზე გავლენას ახდენს წარსული გამოცდილება.

3) კომპონენტური ინტელექტი, რომელიც დაკავშირებულია გონიერ ქცევაში მონაწილე კოგნიტურ მექანიზმებთან. ასეთი მექანიზმი კი სამია:

ა) მეტაკომპონენტები, რომლებიც მიეკუთვნება ისეთ ზოგად ფუნქციებს, როგორცაა დაგეგმვა და გადაწყვეტილების მიღება;

ბ) პრაქტიკული კომპონენტები: ესაა განსაზღვრული ამოცანების გადაჭრისათვის საჭირო კონკრეტული ჩვევები და გ) ცოდნითი კომპონენტები, რომლებიც მონაწილეობენ სწავლაში და ახალი ინფორმაციის გაგების პროცესში.

სტერნბერგი ფიქრობდა, რომ IQ ტესტების უმრავლესობა სინამდვილეში ზომავს და აფასებს ინტელექტის ცალკეულ კომპონენტებს და არა ზოგად ინტელექტს მთლიანობაში.

ზოგიერთი ფსიქოლოგი ფიქრობს, რომ ინტელექტის ზუსტი დეფინიცია საერთოდ შეუძლებელია, რადგანაც ამ ცნებაში მოიაზრება განუსაზღვრელი მოქმედებები.

1970 წელს ხეიმმა წამოაყენა ინტელექტის ასეთი დეფინიცია: ინტელექტი არის „სიტუაციისა და მისი შესატყვისი რეაქციის არსის გაგება“ (ნ. ხეისი, ს. ორელი. გვ. 359-360).

ბერი თანამედროვე ფსიქოლოგი თვლის, რომ ეს დეფინიცია ძალიან ზუსტად ასახავს საქმის რეალურ ვითარებას, მაგრამ არც ესაა უნაკლო. იგი ძალიან ზოგადია და ძნელდება მისი კონკრეტული გამოყენება.

ფსიქოლოგთა გარკვეული ნაწილი ფიქრობს, რომ ინტელექტის დეფინიციის სიბრუნე მდგომარეობს იმაში, რომ ის, რასაც ჩვენ ინტელექტს ვუწოდებთ, საერთოდ არ არსებობს. როუზი (1984) ამტკიცებდა, რომ მართალია, ადამიანები ერთმანეთისაგან ძალიან განსხვავებულები არიან (განსაზღვრულ სფეროში ერთნი ავლენენ ნიჭს, ზოლო სხვები – ვერა), მაგრამ ეს საერთოდ არ ნიშნავს იმას, რომ არსებობს ინტელექტი, რომელიც ერთს მეტი აქვს, ზოლო მეორეს – ნაკლები.

ინტელექტის, როგორც დამოუკიდებელი მოვლენის, არსებობას ფსიქოლოგთა ეს ჯგუფი არ აღიარებს.

ნ. ნიუკომბის მიხედვით „ინტელექტი არის კულტურისა და გარემომცველი გარემოსადმი წარმატებული ადაპტაციისათვის აუცილებელი ჩვევების შექმნის და გამოყენების უნარი“. ცნებაში „კულტურა“ აქ იგულისხმება სხვადასხვა კულტურებში იმ ღირებულებების ათვისების უნარი, რომელიც აუცილებელია ამ სინამდვილეში წარმატების მისაღწევად.

თანამედროვე ამერიკაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ისეთ ღირებულებებს, როგორცაა მეტყველება, კითხვა და მათემატიკა. ითვლება, რომ ის ბავშვები, რომლებიც ამ მიმართულებით სხვებს სჯობიან, ფლობენ მაღალ ინტელექტს. სამხრეთ ამერიკაში პირიქით, მნიშვნელობის თვალსაზრისით პირველ ადგილზე გამოდის მონადირული ოსტატობა. წყნარი ოკეანის სამხრეთში კი ხალხში ყველაზე მეტად ფასობს ნავიგაციის უნარი.

თავდაპირველად ინტელექტს განმარტავდნენ როგორც ერთიან, ზოგად უნარს, მაგრამ დღეს ფსიქოლოგთა უმრავლესობას მაინც, რომ ადამიანები ერთმანეთისგან

განსხვავებებიან სწორედ განსხვავებული უნარებით. გარდა ამისა, ინტელექტუალური ჩვევები სპეციფიკურია იმ კონკრეტული პირობების და გარემოს მიხედვით, რომელშიც ისინი შეიძინება და გამოიყენება. მაგალითად, ნიგერიელი ბავშვები, რომლებიც უმთავრესად ბრინჯის მოყვანით არიან დაკავებულნი, მოწიფულ ამერიკელებზე უკეთესად წვეტილდენ ამოცანებს განსხვავებულ ჭურჭლებში ბრინჯის რაოდენობის შესასახებ, თუმცა უფრო ცუდად აფასებდნენ ობიექტების სიგრძეს. მკვლევარები ამ მოვლენას იმათაც ხსნიან, რომ ნიგერიელებს აქვთ ბრინჯის რაოდენობის შეფასების სტანდარტული სისტემა, ხოლო საერთოდ არ აქვთ სიგრძის გაზომვის სტანდარტული ერთეულები.

ბევრი სპეციალისტი ფიქრობს, რომ ინტელექტი შედგება განსხვავებული უნარებისაგან, მაგრამ მათ ყოველთვის არ აქვთ ერთიანი აზრი ამ უნარების ბუნების შესახებ.

ერთ-ერთი თეორია გამოყოფს კრისტალიზებული ინტელექტს, ე.ი. ესაა ადამიანის მიერ დაგროვილი ცოდნა და მიმდინარე ინტელექტი, ე.ი. პრობლემური სიტუაციების და ახალი ინფორმაციების დაბუშვებაში გამოყენებული პროცესები.

სხვა მიდგომის მიხედვით ინტელექტუალური უნარები ჯგუფდებიან სამი პარამეტრის მიხედვით: ცოდნის შინაარსის, ოპერაციის და პროდუქტის ან ინტელექტუალური მოქმედების შედეგის მიხედვით. სამკომპონენტიანი თეორიის მიხედვით გამოიყოფა სამი ძირითადი ფაქტორი: კონკრეტული პროცესები და ცოდნა, ახალი გამოცდილების ათვისების და გარემოში ადაპტირების უნარი (ნ. ნიუკომბი, დასახელებული წიგნი, გვ.351).

მართალია სოციალური გამოცდილება მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ინტელექტის დონის ეთნიკურ და კლასობრივ სხვაობებს, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ღარიბი ოჯახისშვილები ინტელექტის თვალსაზრისით, არასრულყოფილები არიან.

ინტელექტის კვლევის ყველაზე უფრო გავრცელებული ტესტებია სტენფორდ-ბინეს ტესტი და ვექსლერის შკალა.

სტენფორდ-ბინეს ტესტი განკუთვნილია ბავშვებისა და მოზარდების ინტელექტის საკვლეად. ეს ტესტი საშუალებას იძლევა ინტელექტის რაოდენობრივი მაჩვენებლით შეფასებას ოთხი მიმართულებით:

ა) ვერბალური აზროვნება ბ) რაოდენობითი შეფასებები გ) აბსტრაქტული აზროვნება და დ) ხანმოკლე მეხსიერება. ტესტირების შედეგად მიიღება საერთო ბალი, რომელსაც ეწოდება ინტელექტის კოეფიციენტი IQ.

დ. ვექსლერმა დაამუშავა ბავშვის ინტელექტის კვლევის ორი ტესტი, რომელიც ფართოდ გამოიყენება და ძალიან პოპულარულია.

1) ვექსლერის სკალა ბავშვებისათვის (WISC-III) გამოიზნულია 6-16 წლის ასაკის ბავშვების ინტელექტის საკვლეად.

2) ვექსლერის სკალა სკოლამდებლებისათვის და უმცროსკლასელებისათვის (WPPSI-R). გამოიზნულია 3-8 წლის ასაკის ბავშვების ინტელექტის კვლევისათვის.

დ. ვექსლერის აზრით, სტენფორდ-ბინეს ტესტის ადრეულ ვერსიებს გააჩნდათ

ვერბალურ ჩვევებთან დაკავშირებული ძალიან ბევრი დავალება. იგი თვლიდა, რომ ვერბალური ინტელექტისაკენ მნიშვნელოვანი გადახრა დაადაბლებს იმ ბავშვების შეფასებებს, რომლებსაც აღენიშნებათ ენის დაუფლების განსაზღვრული შეფერხება და ჩამორჩენა. ამ პრობლემიდან გამოსვალი დ. ვექსლერმა იმაში დაინახა, რომ ინტელექტის მისეული ახალ სკალაში ჩართო ვერბალური სუბტესტები, რომლებიც სტენფორდ-ბინეს სუბტესტების მსგავსია, და არავერბალური, ანუ მოქმედების სუბტესტებია. არავერბალური დავალებები აფასებენ ისეთ არავერბალურ ჩვევებს, როგორცაა მოზაიკის შეგროვების უნარი, ლაბირინთიდან გამოსასვლელის პოვნა, ფერადი ბლოკების საშუალებით გეომეტრიული ფიგურების აღდგენა და ა.შ. ამ ტესტში ცდისპირები ღებულობენ სამ შეფასებას: ა) ვერბალური IQ; ბ) არავერბალური IQ; გ) ზოგადი IQ, რომელიც წარმოადგენს ვერბალური და არავერბალური შეფასებების კომბინაციას.

1939 წელს ვექსლერმა მოახდინა ტერმანის (სტენფორდ-ბინეს) ტესტის მოდიფიკაცია. ამ ტესტში ბიოლოგიური ასაკიდან აქცენტი გადატანილია მოცემული ასაკობრივი ჯგუფის საშუალო ბალის იდეაზე. ამ ტესტის მიხედვით IQ გამოითვლება ასეთი ფორმულით:

$$IQ = \frac{\text{დაგროვილი ქულათა რაოდენობა}}{\text{მოცემული ასაკის საშუალო ბალი}} \times 100$$

დღეს ვექსლერის ეს ტესტი ყველაზე უფროა გავრცელებულია მთელ მსოფლიოში. ტესტი შედგება თერთმეტი დავალებისგან, რომელთაგან ექვსი „ვერბალური ინტელექტისაა“, ხოლო ხუთი „პრაქტიკული ინტელექტის შესამოწმებლად გამოიყენება. ვერბალური ინტელექტის დავალებები ამოწმებენ სიტყვათა მარაგს, გაგების ზოგად უნარს, ცოდნას, ზეპირ ანგარიშს, მეხსიერების მოცულობას ციფრებზე და ა.შ.

ზოგიერთ მოზარდს არ აქვს სიტყვათა დიდი მარაგი, მაგრამ შესაძლებელია მას ჰქონდეს გონებრივი განვითარების მაღალი დონე. ამიტომაც ეძლევათ მათ პრაქტიკული ამოცანები, რომელთა მიზანია ობიექტების სივრცითი მიმართებების შეფასება (ობიექტების მსგავსება-განსხვავება, კუბებით კონსტრუირება, ციფრების ნაკვლად სიმბოლოების ჩასმა და ა.შ.

ინტელექტის ტესტები XX საუკუნის დასაწყისში პირველად დაამუშავა ფრანგმა ფსიქოლოგმა ა. ბინემ, პრაქტიკული მიზნებისათვის. მიზანი კი იყო იმის წინასწარი პროგნოზირება, თუ რომელი ბავშვი ისწავლის სკოლაში კარგად და რომელი – ცუდად.

ა. ბინე, ლ. ტერმენი და მერზილი თვლიდნენ, რომ ინტელექტი არის ზოგადი ნიჭი (Общая способность)

საინტერესოა ბავშვების პროცენტული შესაბამისობა IQ-ს დონესთან სტენფორდ-ბინეს ტესტის მიხედვით.

IQ	%	კლასიფიკაცია
160-169	0.03	
150-159	0.02	უმაღლესი წარმატების
140-149	1.1	
130-139	3.1	წარმატებული
120-129	8.2	
110-119	18.1	საშუალოზე მაღალი
100-109	23.5	
90-99	23.0	ნორმალური ან საშუალო
80-89	14.5	
70-79	5.6	საშუალოზე დაბალი გონებრივი ჩამორჩენილობის მოხაზურე
60-69	2.0	
50-59	0.4	გონებრივი ჩამორჩენილობა
40-49	0.2	
30-39	0.03	

მასალა მოტანილია წიგნიდან: Н. Нькомб. Развитие личности ребенка, Питер, 2002, стр.319

როგორც ვნახეთ, პირველად ინტელექტს განსაზღვრავდნენ როგორც ზოგად ნიჭს, მაგრამ დღეს ფსიქოლოგთა უმრავლესობა ფიქრობს, რომ ადამიანები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან მრავალფეროვანი უნარების გამოხატვის ხარისხით.

ამასთანავე ისინი თვლიან, რომ ინტელექტუალური ჩვევები სპეციფიკურია იმ კონკრეტულ მიმართულებებთან კავშირში, რომლებშიც ისინი შეიძლება გამოვლინდეს, ე.ი. ინტელექტი შედგება მრავალმხრივი და მრავალსახოვანი უნარებისაგან.

დღეს ძალიან ფართოდ და წარმატებით გამოიყენება ვექსლერის ინტელექტის სკალა, რომელიც ინტელექტის რამდენიმე ასპექტის გამოსაკვლევად შეიცავს სუბტესტებს.

ვექსლერის შკალა გამოიყენება თექვსმეტი წლის ასაკის ზემოთ. არსებობს ვექსლერის შკალის საბავშვო ვარიანტიც. ვექსლერის სკალის საშუალებით ძირითადად იზომება ინტელექტის ორი კომპონენტი: ვერბალური უნარები და პრაქტიკული ჩვევები. ვერბალური უნარების გასაზომი ტესტი შედგება ექვსი ნაწილისაგან: ცოდნა, მიზევდრილობა, არითმეტიკა, მსგავსება, ციფრების გამოკრება და სიტყვათა მარაგი. ტესტის არავერბალური ნაწილი აფასებს პრაქტიკულ ჩვევებს ზუთი ნიშნის მიხედვით. ესაა გამიფრვა, გამოტოვებული დეტალების

შეესება, ფიგურებისა და კუბების დალაგება, სურათების შედგენა და ობიექტის აწყობა.

ადრე ითვლებოდა, რომ IQ არის უცვლელი, მუდმივი მაჩვენებელი ადამიანის მთელი სიცოცხლის განმავლობაში. ახალი მონაცემებით კი დადგინდა, რომ IQ შეიძლება მნიშვნელოვნად შეიცვალოს ცხოვრების განმავლობაში. ამიტომ უნდა გვახსოვდეს, რომ ტესტირების დროს მიღებული IQ არაა მუდმივი და უცვლელი სიდიდე. IQ უნდა განვიხილოთ როგორც განსაზღვრული დროითი მონაკვეთის მიღწევა და მაჩვენებელი. ტესტირების სუფთა შედეგების მისაღებად გასათვალისწინებელია ტესტირების შედეგებზე მოქმედი ისეთი ფაქტორები, როგორიცაა მაგალითად, აღელვება, მოტივაცია და სხვა სოციოკულტურული ფაქტორები.

მეტყველება. მოზარდის მეტყველება უმცროსკლასელთან შედარებით უფრო რთულია. გათვალისწინებული პროცესში მოზარდი სისტემატურად ეუფლება რთული სინტაქსური ფორმების გამოყენებას, რთულდება წინადადებათა სტრუქტურაც. ახლა მოზარდის მეტყველება უფრო დამოუკიდებელი და თანმიმდევრული ხდება.

ექვსი წლის ბავშვი მშობლიურ ენას ძალიან კარგად ფლობს. მაგრამ არსებითი პროგრესი ამ თვალსაზრისით მოდის 6-14 წლებზე, ე.ი. დაწყებით კლასებსა და გარდამავალ ასაკზე. ახლა მოსწავლეებს უკვე შეუძლიათ არამარტო გამოიყენონ გრძელი სიტყვები და წინადადებები, არამედ იფიქრონ ენის პრობლემებსა და წესებსზე, რაც ადრე შეუძლებელი იყო. ახლა ბავშვები მეტყველებაში იყენებენ ისეთ გრამატიკულ ფორმებს, რომლებიც ადრე არ გეხდებოდა. უმცროსკლასელებს უკვე შეეძლოთ გაიგონ და მეტყველებაში გამოიყენონ არა მარტო რთული პასორი წინადადებები (ნინო მოსწონდა გელას), არამედ პირობითი წინადადებებიც კი. (ნინო რომ მოსულიყო, გელას ძალიან გაეხარებოდა).

უმცროსკლასელთა სწავლების პროცესში ძალიან იზრდება სიტყვის მარაგი. ამერიკელი 6 წლის ბავშვები უკვე გეზულობენ დაახლოებით 10.000 სიტყვას და ამას ყოველ დღე უმატებენ 20 სიტყვას. 10 წლის ამერიკელი ბავშვი უკვე ფლობს 40.000 სიტყვას (დ. შეფერი, გვ. 543)

ექვსი წლის ბავშვს უკვე შეუძლია შეამჩნიოს სარკაზმი. მაგალითად, ხმაურიან და ცელქ პირველკლასელს მასწავლებელმა რომ უთხრას, რა წყნარად იქცევი, იგი ამ სარკაზმსა და გადაკრულ აზრს დაიჭერს.

6-12 წლის ასაკში წარმოიქმნება თითქმის სრულყოფილი ხდება. წარმოებს სიტყვათა მარაგის კოლოსალური გაფართოება. ჩნდება აბსტრაქტული შინაარსის სიტყვებიც.

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, მოზარდის ლექსიკონის მნიშვნელოვანი გაძლიერება. ხდება სიტყვათა მარაგის გადიდება სხვადასხვა სასწალო დისციპლინების ტერმინებითა და ცნებებით. ახლა მოზარდის მეტყველება ხასიათდება აბსტრაქტული და მეტაფორული გამოთქმების უფრო ხშირი ხმარებით უმცროსკლასელებთან შედარებით. მოზარდი ეუფლება ხატოვან მეტყველებას, რომელსაც ხელს უწყობს კლასგარეშე ლიტერატურული ხასიათის მასალის რეგულარული

და დამოუკიდებელი კითხვა. მას არა მარტო ესმის, არამედ უკვე თვითონ ხმარობს მეტყველებაში ხატოვან შედარებებსა და ანდაზებს, მოზარდს უკვე შეუძლია მასალის საკუთარი სიტყვებით გადმოცემა. ეს მდგომარეობა მეტნაკლებად დაწყებით კლასებშიც შეინიშნებოდა, მაგრამ გარდამავალ ასაკში იგი უფრო მაღალ საფეხურზე ადის.

მოზარდისათვის ახლა მისაწვდომი ხდება ადამიანური მეტყველების ახალი ღირსებები, მისი სილამაზის ახალი მხარეები, მეტყველების სტილი, მისი ლოგიკურობა და ლაკონურობა.

მეტყველების აღზრდის მიმართულებით მასწავლებლის მთელი ყურადღება იქით უნდა იყოს მიმართული, რომ მოზარდის მეტყველება თანდათანობით გაძლიერდეს და გაიწმინდოს ჟარგონებისა და ქუჩური ლექსიკონისაგან. ამასთანავე უდიდესი გავლენა აქვს თვით მასწავლებლის ნათელ და სწორ მეტყველებას.

თავი მეთორმეტი

პიროვნების განვითარება გარდამავალ ასაკში

მოსწავლეთა პიროვნების ფორმირების პროცესი მჭიდროდაა დაკავშირებული ბავშვის განვითარების ამა თუ იმ ასაკობრივი საფეხურისათვის დამახასიათებელ ფსიქიკურ ახალწარმონაქმნებთან. ერთი ასაკობრივი საფეხურიდან მეორეზე გადასვლისას ხდება ასაკის მთელი სტრუქტურის გარდაქმნა და თითოეული ასაკი ხასიათდება მისთვის სპეციფიკური და განუმეორებელი სტრუქტურებით. ყოველი ასაკობრივი საფეხურისათვის დამახასიათებელია მხოლოდ ამ ასაკის სპეციფიკური ფსიქოლოგიური ახალწარმონაქმნები. მოზარდის პიროვნების განვითარების ამა თუ იმ საფეხურზე აღმოცენებული ახალწარმონაქმნები მოზარდის მთელ ფსიქოლოგიურ სტრუქტურას გარდაქმნიან, რის გამოც მისი საკუთარი თავისადმი და გარესამყაროსადმი დამოკიდებულების მთელი სისტემა იცვლება.

გარდამავალი ასაკი პიროვნების ფორმირების ერთ-ერთი რთული და საპასუხისმგებლო პერიოდია. ამ პერიოდის ძირითად ფსიქოლოგიურ ახალწარმონაქმნს წარმოადგენს მე-ს კონცეფცია, თვითცნობიერება, საკუთარი შინაგანი სამყაროსადმი დიდი ინტერესი, საკუთარი გრძნობებისა და განწყობილების გაგების სურვილი და უნარი. ამ ასაკში ინტენსიურად ვითარდება იდეალები, გრძნობები, საზოგადოებრივი მისწრაფებები, სოციალური შეფასებები და ინტერესები, რაც პიროვნების მიმართულებისა და მისი ღირებულებითი ორიენტაციის საფუძველია.

ღირებულებითი ორიენტაცია არის პიროვნების ერთ-ერთი ძირითადი სტრუქტურული კომპონენტი. იგი განსაზღვრავს პიროვნების გარესამყაროსადმი და საკუთარი თავისადმი დამოკიდებულების თავისებურებებს, რომლებიც ქცევებშიც აისახება. ღირებულებები არის მოზარდის ცნობიერებაში ისეთი პარამეტრებისა და მოვლენების ასახვის ფორმა, სადაც აისახება მისი მისწრაფებების და ინტერესების დაკმაყოფილების შესაძლებლობანი. მოზარდობის ასაკში ყალიბდება ინტერესთა განსაზღვრული წრე, რომელიც თანდათან მტკიცდება. ინტერესთა ეს წრე შედის პიროვნების მოთხოვნილებების, მოტივების, მიზნების, იდეოლოგიის და მრწამსის სტრუქტურაში და პიროვნების ღირებულებითი ორიენტაციის ბაზას წარმოადგენს. გარდამავალ ასაკში ხდება ინტერესების გადართვა კერძოდან და კონკრეტულისაგან განწყებულზე, ზოგადზე, აღინიშნება ინტერესების ზრდა მსოფლმხედველობის, იდეოლოგიის, მორალურისა და ესთეტიკურის და, რაც მთავარია, სხვა ადამიანებისა და საკუთარი განცდებისა და ინტერესების მიმართ. ყოველივე ამას მიყვება იქამდე, რომ მოზარდისათვის ასახვის სხვადასხვა ობიექტი და მოვლენა განსხვავებულ ღირებულებებს იძენს. ესაა შეფასებითი პროცესი და ცნობიერების გნოსეოლოგიური აქტი.

გარდამავალი ასაკის მოზარდი ნახევრად ბავშვი და ნახევრად მოზარდილია. რთული შუალედური მდგომარეობა, რომელიც მას უჭირავს სოციალურ ურთიერთობებში, განაპირობებს მისი პიროვნების წინააღმდეგობრივ თავისებურებებს.

პიროვნული მეტამორფოზების თვალსაზრისით ეს ასაკი შეიძლება შევადაროთ სკოლამდელ ასაკში პიროვნების ჩასახვის საწყის, პირველ პერიოდს, როცა 2-3 წლის ბავშვი იწყებს პირის ნაცვალსახელების ხმარებას და ასე თუ ისე ახორციელებს ინტროსპექციის უმარტივეს აქტებს. გარდამავალ ასაკში ხდება პიროვნების მეორეჯერ დაბადება, როცა მოზარდში ვითარდება ნამდვილი შეგნებული პიროვნება, როგორც თვითგანვითარებადი, თვითრეგულირებადი სისტემა და იგი ყალიბდება მიზანმიმართულ, გეგმაზომიერ თვისრულყოფისა და თვითგანვითარების სუბიექტად. თუკცა მოზარდში ეს თვითგანვითარება ჯერ კიდევ ეპიზოდურია და მიმართულია ზოგიერთ ჩამოყალიბებელ ნიშანზე. ეს თვითცვლა განისაზღვრება როგორც იდეალის მიღწევის მისწრაფება, რომელიც ხშირად გადაჭარბებული და არარეულურია. მოზარდი იწყებს ე.წ. „დამოუკიდებლობის მაქსიმალიზმის“ პოზიციის დაკავებას. ჩნდება მოწიფულობის ინტენსიური გრძნობა, რომელიც ამ ასაკის ცენტრალური ფსიქოლოგიური ახალწარმონაქნია. მოზარდი ახლა იწყებს საკუთარი თავისა და პიროვნების დაპირისპირებას გარესამყაროსთან, რაც ხელს უწყობს საკუთარი „მე“-ს აღმოცენებასა და საკუთარი თავის გაცნობიერებას. მას უჩნდება დიდი ინტერესი საკუთარი თავისა და სხვების შინაგანი სამყაროსა და პიროვნული თავისებურებების შესახებ.

გარდამავალი ასაკის მოზარდის პიროვნების ჩამოყალიბება და განვითარება მიმდინარეობს ისეთ ძირითად მიმართულებებში, როგორიცაა მე-ს ცნობიერება, თვითცნობიერება, თვითშეფასება, ზნეობრივი ცნობიერება და მოწიფულობის გრძნობა.

მოზარდები თანდათან თავისუფლდებიან ბავშვური დაქვემდებარებული მდგომარეობიდან და იწყებენ საკუთარი თავის უფროსად ჩათვლას, და, რაც მთავარია, უფროსებს ახლა აფასებენ საკუთარი საზომებით. უმცროს მოზარდებს ჯერ კიდევ ახასიათებთ ბავშვური ეგოცენტრიზმი, ხოლო უფროს მოზარდებთან ვითარდება ეგოცენტრიზმის ახალი ფორმა, რომელიც გულისხმობს საკუთარი განუმეორებლობის, უნიკალობის მითის ჩამოყალიბებას და „წარმოსახული აუდიტორიის“ სინდრომს. მოზარდები ფიქრობენ, რომ სხვებსაც ისე აღვლევებთ მათი გარეგნობა, და საერთოდ ქცევა, როგორც თვითონ მათ. მოზარდების ეგოცენტრიზმი დაფუძნებულია სწორედ იმის რწმენაზე, რომ თითქოს სხვები ძალიან არიან დაინტერესებული მათი ქცევით, რის გამოც ფიქრობენ, რომ მუდამ სხვების ყურადღების ცენტრში არიან და „წარმოსახული აუდიტორია“ მას ყოველ წამს კრიტიკულად უთვალთვალავს. ეგოცენტრიზმის ამ ფორმას ჟ. პიაჟემ სოციოცენტრიზმი უწოდა. თვლიან, რომ მოზარდებში გავრცელებული სიმორცხვეც ამ „წარმოსახული აუდიტორიის“ სინდრომითაა გამოწვეული. სადაც არ უნდა იმყოფებოდეს მოზარდი, იგი თვლის, რომ ყველა მას უყურებს.

საბოლოო ანგარიშით ამ მდგომარეობას მიეკვვევართ მე-ს კონცეფციისა და თვითშეფასების ჩამოყალიბებამდე. მოზარდების მიერ საკუთარი თავის შესახებ გაკეთებული, ერთი შეხედვით გულუბრყვილო დასკვნა „მე სიმპათიური ვარ“, „მე მიმზიდველი ვარ“, „მე პოპულარული ვარ“, „მე ნიჭიერი ვარ“, „მე კეთილი ვარ“ მე-ს კონცეფციისა და თვითშეფასების ჩამოყალიბების გარკვეული დონის მაჩვენებელია.

ადამიანის პიროვნების გაცნობიერებელი ნაწილს ეწოდება „მე“. მე-ს კონცეფცია არის ინდივიდის მიერ საკუთარი თავის კოგნიტური აღქმა და შეფასება. მე-ს კონცეფცია არის ის, რასაც ხედავს ადამიანი საკუთარი თავისადმი სხვადასხვა თვალსაზრისით ცქერისას. ე.ი. როგორ განსაზღვრავს იგი საკუთარ გარეგნულ მონაცემებს, პირადულ თვისებებს, ნიშნებს, როლებს და სოციალურ სტატუსს. შეიძლება ითქვას, რომ მე-ს კონცეფცია არის განწყობათა სისტემა საკუთარი თავის შესახებ.

გარდამავალ ასაკში ხდება ერთი მეტად მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელსაც თვითგამორკვევა და იდენტურობის ფორმირება ეწოდება. განვითარებული იდენტურობის მოზარდები საკუთარ თავს აღიქვამენ დამოუკიდებლებად, სხვებისგან განსხვავებულებად და განუმეორებლებად. ე. ერიკსონი თვლიდა, რომ იდენტურობა არაა მხოლოდ ინდივიდუალური, შინაგანი მოვლენა. მისი აზრით, ნამდვილი იდენტურობის არსი მღვობარეობს იმაში, რომ მასში ერთდროულადაა მოცემული ის, თუ მოზარდის აზრით, როგორ აღიქვამენ მას სხვები. ე.ი. იდენტურობა ერთსა და იმავე დროს პერსონალურიცაა და სოციალურიც.

იდენტურობის განვითარება იწყება გმარდამავალი ასაკის დადგომამდე და გრძელდება მისი დამთავრების შემდეგაც.

თუმცა საკუთარი „მე“-ს ძიება ყველაზე აქტიუალური მაინც გარდამავალ ასაკშია.

მყარი იდენტურობის ჩამოყალიბება მნიშვნელოვანწილადაა დამოკიდებული მოზარდის კოგნიტური განვითარების მიღწეულ დონეზე. აბსტრაქტული და ჰიპოთეტური აზროვნების მაღალი დონე ძალიან ეხმარება მოზარდს იდენტურობის მიღწევაში. თუმცა მკვლევარები იმასაც აღნიშნავენ, რომ სწორედ ეს გარემოება (კოგნიტური განვითარების შედარებით მაღალი დონე) შეიძლება ხელისშემშლელიც კი აღმოჩნდეს იმის გამო, რომ კოგნიტური განვითარების ასეთი დონე არჩევანის ბევრ შესაძლებლობას იძლევა.

იდენტურობა არის საკუთარი თავის სრულფასოვანი განცდა, თვითცნობიერება იმისა, რა არის ადამიანი, რისკენ მიისწრაფვის ცხოვრებაში და რა ადგილი უჭირავს მას საზოგადოებაში. ესაა საკუთარი იგივეობრიობის გრძნობა (რას წარმოვადგენ მე). იდენტურობის ჩამოყალიბება მოზარდის მიერ რამდენიმე ცხოვრებისეული არჩევანის გაკეთებას გულისხმობს. ესაა პროფესიის არჩევა, რელიგიური აღმსარებლობის, მორალური და პოლიტიკური ღირებულებების არჩევანი. ყოველივე ეს მოზარდს ძალიან აწუხებს და აშფოთებს და არაა გამორიცხული იგი საერთოდ დაიბნეს და სასოწარკვეთაშიც კი ჩავარდეს. ამ მდგომარეობას ე. ერიკსონმა იდენტურობის კრიზისი უწოდა.

1980 წელს ჯ. მარსიამ ჩამოაყალიბა გარდამავალ ასაკში იდენტურობის ოთხი სტატუსი:

1) იდენტურობის დიფუზია. ამ დონის იდენტურობის ბავშვები ჯერ არ ფიქრობენ იდენტურობის პრობლემებზე ან არ ღებულობენ რაიმე გადაწყვეტილებებს ცხოვრებისეული მარცხის განცდისას. „მე ჯერ არ მიფიქრია რელიგიაზე და არ ვიცი რა მწამს.“

2) მოუშწიფებელი იდენტურობა. ასეთ ბავშვებს აქვთ გარკვეული დონის იდენტურობა, მაგრამ ვერ აკეთებენ დამოუკიდებელ არჩევანს. „ჩემი მშობლები ბაპტისტებია და ამიტომ მეც ბაპტისტი ვარ. მე ამას ბავშვობიდანვე შეეყვითე.“

3) მორატორიუმი. ამ სტატუსის ბავშვები განიცდიან იმას, რასაც ერიკსონმა იდენტურობის კრიზისი უწოდა. ასეთი მოზარდები აქტიურად სვამენ კითხვებს და ეძებენ პასუხებს საკუთარი ცხოვრებისეული გზების შესახებ. „მე ვაფასებ საკუთარ მრწამსს და, ვიმედოვნებ, თვითონ გადავწყვეტ რა არის ჩემთვის სწორი. მე მომწონს კათოლიკური აღზრდის მიერ ბევრი საკითხის გადაწყვეტა, მაგრამ ძალიან სკეპტიკურად უდღებები ბევრ რამეს, რასაც მასწავლიან?“

4) იდენტურობის მიღწევა. ასეთი ბავშვები აკეთებენ პიროვნულ არჩევანს საკუთარი მიზნების, მრწამსისა და ღირებულებების სასარგებლოდ. „სულის დიდი ხნის ძიების შემდეგ ჩემი და სხვა რელიგიების დახმარებით მე, ბოლოს და ბოლოს, ვიცი რა მწამს და რა – არა“. (დ. შეფერი, გვ. 648-649).

ე. ერიკსონი ფიქრობდა, რომ იდენტურობის კრიზისი დგება უმცროს მოზარდებთან და მთავრდება 15-18 წლის ასაკში. უახლესმა კვლევებმა კი ეს ასაკი მნიშვნელოვნად წინ გადასწია. ამ თვალსაზრისით ბიჭებსა და გოგონებს შორის არსებითი მნიშვნელობის განსხვავება არ შეინიშნება.

იდენტურობის ჩამოყალიბებაზე გავლენას ახდენს კოგნიტიური და აღმზრდელობითი ფაქტორები და, აგრეთვე, სასწავლო გარემო.

მოზარდებს, რომლებმაც მიაღწიეს ფორმალურ ოპერაციების დონეს და რომლებსაც უკვე შეუძლიათ ჰიპოთეტური შედეგების შესახებ ლოგიკური დასკვნების გაკეთება, გაცილებით მეტი შესაძლებლობა აქვთ წინასწარ წარმოიდგინონ თავიანთი მომავალი იდენტურობა და წინასწარვე იზრუნონ მის შესახებ. ბუნებრივია, ასეთი მოზარდები უფრო სწრაფად და სრულყოფილად მიაღწევენ იდენტურობის განვითარების შედარებით მაღალ დონეს.

იდენტურობაზე სააღმზრდელო ფაქტორების გავლენის კვლევისას დადგინდა, რომ ღიფუზური იდენტურობის მქონე მოზარდები განიცდიან მშობელთა და მასწავლებელთა მხრიდან ცივ დამოკიდებულებას. მაღალი იდენტურობის მქონე მოზარდები, პირიქით, განიცდიან მშობლების მხრიდან მყარ დადებით ემოციურ მხარდაჭერას. ამრიგად, აღზრდის დემოკრატიული სტილი დადებით გავლენას ახდენს იდენტურობის ჩამოყალიბებაზე.

კვლევებმა უჩვენეს, აგრეთვე, ისიც, რომ მოუშწიფებელი იდენტურობის მქონე მოზარდები აელენენ უმწეობას და ძალიან მოკავწულები არიან მშობლებზე. ისინი ვერ აელენენ დამოუკიდებლობას, გვიან ან სულაც ვერ, გამოდიან მშობლების „ბატონობისაგან“.

იდენტურობის ჩამოყალიბებაზე გავლენას ახდენს აგრეთვე სოციალკულტურული ფაქტორებიც. ჯ. მარსის სიტყვებით რომ ვთქვათ ფერმერების, მეთევზეებისა და დიპლომატების შვილების იდენტურობის ხარისხი და დონე განსხვავებულია.

მკვლევარები თვლიან, რომ პირადი იდენტურობის სრული განვითარება მანამ არ მიიღწევა, სანამ მოზარდი თავის კოგნიტურ განვითარებაში ვერ მიაღწევს

ფორმალური ოპერაციების სტადიას, რადგანაც სწორედ ამ სტადიაზეა შესაძლებელი საკუთარ თავზე ფიქრი და მსჯელობა.

გ. ოლპორტი თვლის, რომ ყოველ ადამიანს გააჩნია ხუთი განსხვავებული მე. 1) ადამიანის რეალური მე; 2) საკუთარი მე, ისეთი როგორც მის წარმოდგენაშია; 3) მისა მე სხვა ადამიანთა წარმოდგენაში. 4) ადამიანთა წარმოდგენები იმის შესახებ, თუ რისი სურვილი აქვს მას გახდეს მომავალში; 5) წარმოდგენა იმის შესახებ, თუ როგორია სხვების სურვილი როგორი უნდა გახდეს მოცემული ინდივიდი. გ. ოლპორტი შემოიღო ტერმინი პროპრიუმი. ესაა „თვით“-ობის განვითარება, დროულად განვითარებული პირადი იდენტურობა. ესაა „პიროვნების ყველა ასპექტი, რომელიც ხელს უწყობს მის შინაგან ერთიანობას“.

რ. სტრენგმა გამოყო მოზარდის მე-ს ოთხი ძირითადი ასპექტი: 1) ზოგადი, საერთო მე-ს კონცეფცია ანუ მოზარდის წარმოდგენა საკუთარი პიროვნების შესახებ და საკუთარი როლისა და სტატუსის აღქმა; 2) ინდივიდუალური დროებითი ანუ გარდამავალი მე-ს კონცეფცია, რომელიც დამოკიდებულა განწყობილებებზე, სიტუაციაზე, წარსულ ან აწმყოს განცდებზე. მოზარდის მიერ მიღებულმა ცუდმა ნიშანმა შეიძლება მას შეუქმნას საკუთარი შესაძლებლობებისადმი უარყოფითი დამოკიდებულების განცდა, ხოლო მასწავლებლის მიერ მიცემულმა კრიტიკულმა შენიშვნამ შეიძლება დააქვეითოს მისი თვითშეფასება; 3) სოციალური მე. ესაა მოზარდის წარმოდგენები იმის შესახებ, თუ რას ფიქრობენ სხვები მის შესახებ. ეს წარმოდგენები გავლენას ახდენენ მოზარდის საკუთარი თავის შეფასებაზე. თუ მას შეექმნა წარმოდგენა იმის შესახებ, რომ სხვები მას თვლიან და აფასებენ როგორც გონებრივად ჩამორჩენილს, მას საკუთარი თავის შესახებ შეექმნება ნეგატიური დამოკიდებულება. 4) იდეალური მე. ესაა ის იდეალი, რისი მიღწევის სურვილი აქვს მოზარდს მომავალში. მისი წარმოდგენები საკუთარი თავის შესახებ შეიძლება იყოს რეალური, აწეული ან დაწეული. დაქვეითებული იდეალური მე ხელს უშლის მოზარდებს წარმატებების მოპოვებაში, აწეულს კი შეუძლია გამოიწვიოს ფრუსტრაცია და თვითშეფასების დაქვეითება, ხოლო რეალური მე-ს კონცეფცია მიზნის მიღწევის გზაზე ხელშეწყობ ფაქტორს წარმოადგენს.

მოზარდის პიროვნების განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მაჩვენებელია თვითცნობიერებისა და თვითშეფასების ჩამოყალიბება, რომელიც მას აძლევს საშუალებას შეიმეცნოს საკუთარი თავი როგორც პიროვნება. მოზარდში აღმოცენდება საკუთარი თავის შემეცნების, საკუთარი შინაგანი სამყაროს და სხვა ადამიანებთან დაპირისპირების ინტერესი. იგი იწყებს საკუთარ სამყაროში ცქერას, საკუთარი პიროვნების ძლიერი და სუსტი მხარეების თვითშეფასებას. ახლა მისთვის თვითშეფასების მიზანი კოლექტივში შესაბამისი ადგილის დაკავება ხდება.

საკუთარი ძალების დადებითი და ადეკვატური თვითცნობიერებისა და თვითშეფასების განვითარება თვითაღზრდის საფუძველი ხდება. თვითაღზრდა არის თავის თავში პიროვნების დადებითი თვისებების შეგნებული და მიზანმიმართული განვითარება, რაც უარყოფითი თვისებების შეკავებასა და მოსპობას

გულისხმობს. შეიძლება ითქვას, რომ გარდამავალი ასაკი თვითაღზრდის დასაწყისი ასაკია, უმცროს მოზარდებში თვითშეფასება ჯერ კიდევ უფროსების მსგელობებს ეყრდნობა. ისინი ჯერ კიდევ საკუთარ თავს სხვისი თვლით უყურებენ. გარდამავალი ასაკი პიროვნების განვითარების მეორე კრიტიკული პერიოდია, იგი თვითცნობიერებისა და თვითშეფასების გენეზისის ასაკია.

მოზარდების დამოუკიდებლობისკენ სწრაფვა უფროსობის, მოზრდილობის, მოწიფულობის განცდაში ვლინდება. იგი საკუთარ თავს მოზრდილად აცნობიერებს. ასეთი გაცნობიერება ეწინააღმდეგება მოზარდის ფაქტურ შესაძლებლობებს. ამავე დროს, უფროსების დამოკიდებულებაც არ შეესაბამება მოზარდთა მისწრაფებებს და ამის გამო მოზარდი ყოველნაირად ცდილობს დაიმკვიდროს თავი როგორც დამოუკიდებელმა სუბიექტმა. აქედან გამომდინარეობს ამ ასაკისათვის დამახასიათებელი ნეგატივიზმი, ჯიუტობა, ჩაკეტილობა, უფროსებისადმი დაუმორჩილებლობა, რომელთა გამოვლენისათვის ამ ასაკში ხელსაყრელი პირობები იქმნება.

მოზარდის ფსიქიკაში პიროვნულ ახალწარმოქმნათა ჩამოყალიბების პირობაა ისეთი ობიექტური ფაქტორები, როგორცაა მისი ცხოვრების სოციალური პირობები, მისი ქცევისადმი უფროსების მიერ ახალი მოთხოვნები და ა.შ. მაგრამ მოზარდის პიროვნების ჩამოყალიბების ანალიზისას აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ ბიოლოგიური წანამძღვრებიც (სქესობრივი მოწიფება) და ფსიქოლოგიური ცვლილებებიც (აბსტრაქტულ-ლოგიკური აზროვნების ფორმების გართულება, ემოციური სფეროს დიფერენციატია, ნებელობითი აქტივობის გაფართოება) და ა.შ.

მოზარდის თვითცნობიერებისა და თვითშეფასების განვითარება მიმდინარეობს ბიოლოგიური, ფსიქოლოგიური თავისებურებებისა და სოციალურ პირობათა ცვლილებების ფონზე. მოზარდის თვითცნობიერება და თვითშეფასება არის მისი პიროვნების ფორმირების ახალი და არსებითი დონე. თვითცნობიერების მოცემული დონისათვის საკეციფოკურია ის, რომ გარდამავალ ასაკში პიროვნების განვითარებაში თვითცნობიერების აქტები – თვითშეზღვევა, თვითდაცვრება, თვითმიკუთვნებულობა, ქცევის თვითრეგულაცია პირველად ხდება პიროვნების ერთ-ერთი აუცილებელი მოთხოვნილება. ამ მოთხოვნილებათა განვითარების ხარისხი გავლენას ახდენს მოზარდის პიროვნების ზნობრივი თვისებების ჩამოყალიბებაზე. თვითცნობიერების მოთხოვნილება თავის მხრივ საფუძვლად ედება თვითაღზრდის მოთხოვნილების ჩასახვას, რაც საკუთარი თავის შეცვლის მიზანმიმართულ და შექმნულ მისწრაფებას გულისხმობს. თვითაღზრდის დროს ხდება იმ საკუთარი ფსიქიკური შეუსაბამობის გაცნობიერება იმ მოთხოვნილებებთან, იდეალებთან და ზნობრივ ნიშნებთან, რომელთაც უნდა მიბადონ მოზარდებმა.

გარდამავალ ასაკამდე თვითცნობიერება ვითარდება სტიქიურად, ფაქტიურად სუბიექტის ფორმირებაში მის ჩაურთველად. ეს სტიქიურობა ასე თუ ისე პირველ ხანებში შენარჩუნებულია. მაგრამ ახლა ჩნდება მისი განვითარების ერთი ძირითადი მომენტი, რომელიც გულისხმობს ამ პროცესში თვის სუბიექტის აქტივობას. მოზარდის თვითცნობიერების ჩამოყალიბების პროცესი აშკარად გამოხატული ინდივიდუალიზმით ხასიათდება.

პირველ ხანებში, როგორც აღენიშნეთ, მოზარდის თვითცნობიერების და თვითშეფასების საფუძველად უფროსების შეფასებები გეველინება, ხოლო დამოუკიდებელი თვითშეფასებები თანდათანობით იწყება. გარდამავალ ასაკში, იმის გამო, რომ მოზარდს ჯერ-ჯერობით არ აქვს საკუთარი პიროვნული გამოვლინებების საკმარისად სწორი ანალიზის უნარი, ხშირად ვითარდება კონფლიქტები, რომელთა საფუძველია განსვლა მოზარდის პრეტენზიის ღონესა და კოლექტივში რეალურ ვითარებას შორის.

მიუხედავად იმისა, რომ გარდამავალ ასაკში თვითცნობიერება რამდენადმე ჩამორჩება ცნობიერების განვითარების ღონეს, ეს ასაკი მაინც თვითცნობიერების ინტენსიური განვითარების ასაკია. აწეული თავმოყვარეობა, სიამაყის გრძნობა, დამოუკიდებლობისკენ სწრაფვა, მოწიფულობის გრძნობა განვითარებადი თვითცნობიერების ემოციური გამოხატულებაა. მართალია, მოზარდი ხანდახან აჭარბებს თავის შესაძლებლობების შეფასებაში ცხოვრებისეული გამოცდილების უკმარობისა და გაზრდილი ოპტიმიზმის გამო, მაგრამ უკვე იწყება საკუთარი თავისადმი კრიტიკული დამოკიდებულება.

მოზარდის თვითცნობიერება და თვითშეფასება დინამიურია, რის გამოც მისი პიროვნების არაადექტატური შეფასება დამოკიდებულებათა ნორმალურ სისტემაში სწრაფად გაივლის. მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა მოზარდის მიმართ არანორმალური დამოკიდებულებები ქრონიკულ ხასიათს ატარებს, მას აღმოუცნდება ხასიათის მყარი უარყოფითი ნიშნები, ნევროზი და ქცევის ანტისოციალური ფორმებიც კი.

სხვა ადამიანთა მორალურ-ფსიქოლოგიური თვისებების ღრმა შეფასების განვითარების კვალობაზე ვითარდება მოზარდთა ინტერესი საკუთარი ინტიმური სამყაროს შესახებ. მოზარდს მკვეთრად უვითარდება თვითცნობიერება, საკუთარი პიროვნული თვისებების გაცნობიერებისა და შეფასების მოთხოვნილება. ამ ასაკში პირველად აღმოცენდება მოთხოვნილება შეხედოს, დააკვირდეს საკუთარ თავს, საკუთარ ქცევას, შეადაროს იგი სხვებისას, გაერკვეს საკუთარ გრძნობებსა და განცდებში და ამ თვალსაზრისით შეაფასოს საკუთარი თავი და შესაძლებლობანი. მოზარდის თვითცნობიერების ჩამოყალიბების და განვითარების ფაქტი მთელ მის ფსიქიკურ ცხოვრებას დაღს ასვამს, განსაზღვრავს მის სასწავლო და შრომის საქმიანობას და გარესმყაროსთან ურთიერთობის ხასიათს. როგორც აღენიშნეთ, მოზარდის თვითცნობიერების ჩამოყალიბებაში დიდ როლს თამაშობს სხვა ადამიანების მსჯელობები და შეფასებები. უმცროსკლასელი და უმცროსი მოზარდი საკუთარ თავს ჯერ კიდევ სხვისი თვალებით უყურებს, საკუთარ თავზე მსჯელობისას ფაქტიურად უფროსების მსჯელობებსა და შეფასებებს იმეორებს. უფროსი მოზარდი კი უკვე დამოუკიდებლად მსჯელობს და ანალიზებს საკუთარ ქცევებს.

უფრო ადრე ცნობიერდება მოზარდის ქცევის ძირითადი ფორმის (სწავლის) თვისებები: შრომისმოყვარეობა, სიბეჯითე, ყურადღებანიანობა, მიზანსწრაფულობა, შემდეგ კი ცნობიერდება ისეთი თვისებები, რომლებიც გამოხატავს სხვა ადამიანებთან დამოკიდებულებას (სიჯოღბე, თავშეკავება, ამხანაგობის გრძნობა, უფრო გვიან –

საკუთარი პიროვნებისადმი დამოკიდებულების გამოშატეული თვისებები: სიმორცხე, თვითკრიტიკულობა, ყოყოობა) და ბოლოს ისეთი რთული თვისებები, რომლებიც ახასიათებენ პიროვნების მრავალმხრიობას (მოუალოების გრძნობა, პრინციპულობა, ღირსების გრძნობა). ამრიგად, გარდამავალ ასაკში პიროვნების გაცნობიერებულ თვისებათა წრის გაფართოება განსაზღვრული თანმიმდევრობით მიმდინარეობს.

როგორც ცნობილია, მოზარდები სხვის შეფასებას უფრო ადრე იწყებენ, ვიდრე საკუთარი თავის თვითშეფასებას. ისინი სხვებს უკეთესად და უფრო სწორად აფასებენ. სხვების შესახებ მოზარდის მსჯელობა მეტი შინაარსით, დაფიქრებით, კონკრეტულობითა და სიღრმით გამოირჩევა, ვიდრე საკუთარი თავის შესახებ. მოზარდი თანატოლის და თანაკლასელის უღისციპლინობას ამჩნევს, საკუთარს კი, ვერა.

სხვების შეფასებასა და თვითშეფასებას შორის განსვლა უფროს მოზარდებთანაცაა შემორჩენილი, მაგრამ იგი ისე მკვედრად არაა გამოხატული, ხოლო რაც შემთხვევებში თვითშეფასება მაღალ საფეხურზე დგას.

როგორც აღვნიშნეთ, მოზარდები (განსაკუთრებით უმცროსი მოზარდები) სხვებს უკეთესად აფასებენ, ვიდრე საკუთარ თავს. ეს გარემოება ისე არ უნდა გავიგოთ, რომ ისინი სხვების შეფასებაში ზუსტნი არიან და შეცდომებს არ უშვებენ. ჯერ ერთი, მათ სხვისი მთლიანი პიროვნების შეფასება არ შეუძლიათ. ისინი ხშირად ადამიანებს აფასებენ ცალკეული მოქმედებების, საქციელების და თვისებების მიხედვით, და ეს თვისებები გადააქვთ მთლიან პიროვნებაზე. ხანდახან ცალკეული მოწონებული პიროვნული თვისება მოზარდში იწვევს მფარ დადებით დამოკიდებულებას ამ ადამიანებისადმი ისე, რომ ყურადღება არ ექცევა სხვა თვისებებს (რომლებიც ხშირად უარყოფითია), ხოლო ერთი პატარა მარცხი ან წარუმატებლობა საკმარისია უარყოფითი წარმოდგენების შესაქმნელად მთელ პიროვნებაზე, მიუხედავად იმისა, რომ ეს პიროვნება მთლიანობაში დადებითია. ამით აიხსნება ის ავტორიტეტი, რომლითაც სარგებლობენ მოზარდებში უარყოფითი პიროვნებები. ხშირია შემთხვევები, როცა მოზარდებში ვერ სარგებლობენ ავტორიტეტით ღირსეული პიროვნებები.

მოზარდი ხშირად ყურადღებას ქცევისა და საქციელის გარეგნულ მხარეს აქცევს, ვიდრე ქცევის მიზნებსა და ნამდვილ მოტივებს. იგი ხშირად აფასებს საქციელს იმის გაცნობიერების გარეშე, რისთვისაც განზორციელდა ეს საქციელი და რაზეა იგი მიმართული. ამით აიხსნება მოზარდის მიერ ჯოტობისა და ნეგატივიზმის ზოგიერთი ფაქტის დადებითი შეფასება და მოწონება.

ასევე არაა სრულყოფილი მოზარდის თვითშეფასებაც (განსაკუთრებით უმცროს მოზარდებთან). მოზარდი ცდილობს გაერკვეს საკუთარ ქცევებში, გრძნობებში, აზრებში დამოუკიდებლად და ამ თვასაზრისით შეფასოს საკუთარი თავი. იგი ხშირად უშვებს შეცდომებს, აკეთებს შემთხვევით და ურთიერსა-წინააღმდეგო დასკვნებს. ასეთი თვითშეფასება ხშირად იცვლება, ხანდახან დღის განმავლობაშიც კი.

როგორც ვხედავთ, მოზარდში არის წინააღმდეგობა აშკარად გამოხატული თვითცნობიერებისა და თვითშეფასების მოთხოვნილებებს და ამ მოთხოვნილებების

განზოცულების უუნარობას შორის. მოზარდის არაადექვატურ თვითშეფასებას შეიძლება შორსშევიდომი უარყოფითი შედეგები მოყვეს. კოლექტივში შესაფერიისი ადგილის დაკავების მცდელობის დროს იგი გადააფასებს, ან პირიქით, ადაბლებს საკუთარი შეფასებას და ამის მიხედვით იქცევა, რასაც აუცილებლად მოყვება კონფლიქტები. ასაკის წინსვლასთან ერთად მოზარდის თვითშეფასება უფრო ობიექტური და ადექვატური ხდება.

მოზარდები ხანდახან არ არიან კრიტიკულნი საკუთარი ქცევებისა და საქციელის მიმართ. არის მოზარდების მცირე ნაწილი, რომელთანაც თვითკრიტიკულობა პიროვნების თვისებადაა გადაქცეული. მოზარდების უმნიშვნელო ნაწილს ძალიან სუსტი თვითკრიტიკულობის უნარი ახასიათებს. მოზარდთა უმრავლესობას კი თვითკრიტიკულობის ინტენსიური განვითარება ახასიათებს.

საკუთარი თავისადმი კრიტიკულობის გამოხატვა ატარებს შერჩევით ხასიათს, იგი არაა მყარი და მდგრადი. მაგალითად, მოზარდი შეიძლება ერთ სფეროში ძალიან თვითკრიტიკული იყოს საკუთარი თავისადმი და ასევე უკრიტიკო იყოს სხვა სფეროში. თვითკრიტიკულობა ხშირად სიტყვიერ ხასიათს ატარებს, იგი არაა ქმედითი. მოზარდები აღნიშნავენ ზოგიერ ნაკლს თავიანთ ქცევაში, თუმცა არ ცდილობენ ამ ნაკლის აღმოფხვრას.

უფროსი მოზარდობის ასაკში დგება თვითცნობიერების განვითარების უმაღლესი ეტაპი, თვითაზრდის მოთხოვნილების ჩამოყალიბდება. მოზარდი აცნობიერებს საკუთარ ნაკლს, ცდილობს მის შეცვლას, საკუთარ თავზე შეგნებული ზემოქმედების წარმოებას.

უფროსებთან და თანატოლებთან ურთიერთობაში მოზარდი უფრო მეტად აცნობიერებს თავის თავს პიროვნებად. მოზარდის წინაშე დგება საკითხები: „როგორი ადამიანი ვარ მე“, „რა არის ჩემში კარგი და ცუდი“. ანალოგიურ კითხვებზე პასუხის გაცემის პროცესში იწყება და ვითარდება მოზარდის თვითშეფასება. შედარების ობიექტად ხშირად გამოდის მასი იდეალი ან რომელიმე თანატოლი, რომელსაც იგი აფასებს. ესაა თავისებური „საზომი“, რომლითაც მოზარდი იწყებს საკუთარი თვისებების შეფასებას.

ბევრ მოზარდს თვითშეფასება აწეული აქვს და მათი პრეტენზიის ღონე რეალურ შესაძლებლობებზე მაღალია. მასწავლებლები და მშობლები კი, ხშირად, ამცირებენ მოზარდთა შესაძლებლობებს. ასეთ სიტუაციაში მოზარდებში აღმოცენდება აფექტური განცდები, რომლებსაც ხშირად, როგორც აღვნიშნეთ, კონფლიქტებადმდე მიყვავართ. მოზარდი თვლის, რომ უფროსების ეს შეფასება არაა სამართლიანი.

მოზარდის ცნობიერების გენეზისის თავისებურება ასეთია: ბავშვის მიერ გარესამყაროს თანდათანობით და დეტალურად შემეცნებას მიყვავართ იქამდე, რომ მისი შემეცნებითი ინტერესების სისტემის დომინირებული მომენტი ხდება გარემომომყოფ ადამიანთა ფსიქიკური თვისებები. უპირველეს ყოვლისა, ესენია მასთან ახლო ურთიერთობაში მყოფი თანატოლები. სხვებისადმი ინტერესის განვითარება განპირობებულია მოზარდების ერთმანეთთან ურთიერთობის ახალი ფორმებით, რაც ურთიერთობის დადებით ემოციურ ფონს ქმნის. მისი შინაარსს

ძირითად მომენტი ა უფრო ღრმა პირადი ურთიერთობანი, რომლებიც დაკავშირებულია განსხვავებულ ემოციებთან (სიმატია, მგობრობა, სიფარული და ა.შ.). მოზარდები ურთიერთობის დაწყებისა და მისი შენარჩუნების მცდელობაში ძალიან აქტიურები არიან. თანატოლისადმი ინტერესი აიძულებს მოზარდს შეხედოს საკუთარი თავს, გაანალიზოს საკუთარი ქცევა ამ ურთიერთობაში, გაერკვეს თავის გრძნობებში და შესაძლებლობებში. ამრიგად, თანატოლებთან ურთიერთობა პირდაპირ კავშირშია საკუთარი თავის შესახებ წარმოდგენის შექმნასთან, რომელიც ყალიბდება ამხანაგის საქციელისა და თვისებების საკუთართან შედარების საფუძველზე.

საკუთარი თავის შებეცების პროცესში მოზარდები იმავე თანმიმდევრობას ამჟღავნებენ, როგორც სხვისი თვისებების შეცნობისას. ჯერ გამოიყოფა საკუთარი გარეგნული ფიზიკური მახასიათებლები, შემდეგ ისეთი თვისებები, რომლებიც დაკავშირებულია რომელიმე მოქმედების შესრულებასთან, ბოლოს კი ისეთი პიროვნული თვისებები, რომლებიც შინაგანი სამყაროს ღრმა ფენებშია მოცემული.

უმცროსი სასკოლო ასაკის მოსწავლეთათვის ჯერ მიუწვდომელია პიროვნების შინაგანი სამყაროს და მისი ცალკეული მხარის ანალიზი. კითხვაზე, დაასახელონ საკუთარი ნაკლოვანი თვისებები, მეოთხეკლასელები ასახელებენ მათი თვალსაზრისით უარყოფით, სწავლაში გარეგნულად გამოვლენილ ფაქტებს და ამხანაგებთან ურთიერთობაში გამოვლენილ უარყოფით თვისებებს, რომლებსაც აღნიშნავენ უფროსები. მესუთეკლასელები ამ მიმართულებით არსებითად არიან წინწასულა. მათ უკვე უჩნდებათ საკუთარი და სხვისი შინაგანი სამყაროს მიმართ ინტერესები. ისინი არ იფარგლებიან ცალკეული ქმედებისა და თვისებების ჩამოთვლით, არამედ იწყებენ საკუთარი პიროვნული თვისებების კრიტიკულ შეფასებას, თუმცა საკუთარი თავის შეფასებაში სჭარბობს აქცენტი ფიზიკურ თვისებებზე. მეექვსე კლასში საკუთარი თავის მიმართ ძლიერდება კრიტიკული მიდგომა, იწყება უფრო ზოგადი პიროვნული (როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი) ნიშნების გამოყოფის ტენდენცია. მეშვიდეკლასელებში საკუთარ ფიზიკურ მონაცემებზე დაყრდნობა კლებულობს და წინა პლანზე გამოდის ემოციის, ნიჭის, ნებისყოფისა და ტემპერამენტის სფეროები. საკუთარი ნაკლოვანებების გამოყოფის პროცესი უმეტესად ეყრდნობა საკუთარ აზრს. მერვე და მეცხრეკლასელები საკუთარი თავის შეფასებაში მოიცავენ პიროვნების ასპექტის ყველა მხარეს: თვითშეფასება ხდება განზოგადებული, საკუთარი ნაკლის შესახებ მსჯელობები უფრო სრულყოფილია.

თვითცნობიერება თანდათანობით უფრო ფაქიზი და სრულყოფილი ხდება. საკუთარი თავის შეცნობა თვითშეფასების განვითარების ამოსავალი მომენტი და საბოლოო შედეგიცაა. მოზარდის მიერ საკუთარი თვისებების შეფასება სხვა მოზარდის თვისებებისადმი აბსოლუტური დამოკიდებულების საფუძველზე კი არ ხდება, არამედ იგი მიმდინარეობს საკუთარი მოწიფულობის ხარისხის გაცნობიერების საფუძველზე. როგორც აღვნიშნეთ, პირველ ხანებში მოზარდის თვითშეფასება არაა ობიექტური, მაგრამ თანდათანობით, გარდამავალი ასაკის ბოლოს, იგი ობიექტურ ხასიათს იღებს. იგი უფრო მჭიდროდ უკავშირდება

სოციალურ ღირებულებებს, საზოგადოების მოთხოვნებს, იდეალებს, მოიცავს წარსულის შეფასებას.

გარდამავალ ასაკში თვითცნობიერება უფრო მეტად მონაწილეობს მოზარდის საკუთარი ქცევის მართვასა და რეგულაციაში. თვითრეგულაციის ძირითადი შინაგანი ბერკეტი არის თვითშეფასება. თვითრეგულაციის გამოვლენა ძალიან გამოკვეთილია მოზარდის ისეთ მნიშვნელოვან მოქმედებაში, როგორცაა თვითაღზრდა. თვითაღზრდა შესაძლებელი ხდება გარდამავალი ასაკიდან. იმის გამო, რომ მოზარდის თვითშეფასება ხანდახან არაა მყარი, მდგრადი და ობიექტური, ხოლო საკუთარ იდეალებზე წარმოდგენა არ შეიცავს აუცილებელ სიცხადეს, მოზარდმა შეიძლება საკუთარ თავში აღზარდოს მისი თვალსაზრისით დადებითი, მაგრამ ობიექტურად უარყოფითი თვისებები. ამიტომ მოზარდის თვითაღზრდის სტიქიურად მიშვება არაა მიზანშეწონილი.

საკუთარი თავის გაცნობიერების ახალ ეტაპზე გადასვლა მოზარდებში თავისთავად არ ხდება. თვლიან, რომ გარდამავალი ასაკის დასაწყისში იწყება თვითშეფასების კრიზისი. იცლება ცოდნა საკუთარი თავის შესახებ. ბავშვები თითქოს ვეღარ ცნობენ საკუთარ თავს. ამ მდგომარეობის ასახვა მოზარდის განცდებში იწყვეს მისი საკუთარი თავისადმი ემოციურ-ღირებულებითი დამოკიდებულების შეცვლას. უკვე ცხრა წლის ასაკიდან მოსწავლის ჩამოყალიბებული დადებითი და უარყოფითი თვითშეფასების ბალანსი ირღვევა, აღინიშნება საკუთარი თავისადმი მკვეთრი უკმაყოფილება, რომელიც უპირველეს ყოვლისა, ვრცელდება სასწავლო ქცევაზე და გარემომდებელი ურთიერთობაზე. ხდება საკუთარი თავის შეფასების კრიტიკიკის შეცვლა. უმცროსკლასელთათვის, როგორც აღვნიშნეთ, ასეთი კრიტიკიკა იმ თვისებები, რომლებიც ვლინდება სასწავლო ქცევაში, ხოლო მოზარდებისათვის – სხვა ადამიანებთან ურთიერთობის ზნეობრივ- ფსიქოლოგიური თვისებებზე. ამიტომაც მოზარდისათვის ურთიერთობის პრობლემა აქტუალური და მნიშვნელოვანია.

თვითშეფასების კრიზისი გოგონებთან შედარებით ბიჭებთან უფრო მწვავედ მიმდინარეობს. ეს გამოწვეულია იმით, რომ გოგონები ბიჭებზე ადრე იწყებენ საკუთარი თავის, როგორც ურთიერთობის სუბიექტის გაცნობიერებას, ხოლო ბიჭებს განსაზღვრულ დრომდე ანტიერესებთ საგნობრივი მოქმედებები, მამაკაცური თვისებების განვითარება და სპორტული მიღწევები.

შეფასება და თვითშეფასება გველინება აგრეთვე მოსწავლეთა ქცევის მოტივად. თვითშეფასება თვითცნობიერების განვითარების განსაკუთრებული საფეხურია, რომლისთვისაც, როგორც აღვნიშნეთ, დამახასიათებელია მოზარდის მიერ საკუთარ თავის, ფიზიკური ძალების, გონებრივი შესაძლებლობების, ქცევის მოტივებისა და მიზნების, გარემოსთან, სხვა ადამიანებთან და საკუთარ თავთან მისი დამოკიდებულების გაცნობიერება. ექსპერიმენტულად დადგინდა, რომ კლასიდან კლასში იზრდება იმ ბავშვების რაოდენობა, რომლებშიც სჭარბობს თვითშეფასების ორიენტაცია და კლებულობს იმ ბავშვთა რიცხვი, რომლებიც ხელმძღვანელებზე ძირითადად უფროსების შეფასებით. ე.ი. თვითშეფასება თანდათანობით უფრო და

უფრო ემანსიპირდება შეფასებიდან და უფრო მეტად ხდება ბავშვის ქცევის რეგულატორი. გარდამავალ ასაკში თვითშეფასების მოტივაციური მნიშვნელობა იზრდება და ქცევის ძირითად მოტივად იქცევა.

ადექვატურ მე-ს კონცეფციას და თვითშეფასებას მნიშვნელოვანი როლი ენიჭება მოზარდის სამომავლო ცხოვრებაში. დაწეული თვითშეფასების მოზარდებს აღნიშნებათ ემოციური დარღვევები. მათ შეიძლება აღმოუცნდეთ შფოთიანობის ფსიქოსომატური სიმპტომები. დაბალმა თვითშეფასებამ შეიძლება გამოიწვიოს ნერვული ანორექსია და ბულიმია, ხოლო ჭაბუკობის ასაკში დეპრესიას ედება საფუძვლად.

დაწეული თვითშეფასების მოზარდებს ძალიან უჭირთ გარემომოყოფებთან ურთიერთობის დამყარება. მათ ეძნელებათ სოციალური ადაპტაცია. ასეთი თვითშეფასების მოზარდებს თანატოლები თითქოს „ვერ ამჩნევენ“. მათ არ ირჩევენ ლიდერებად, ისინი არ მონაწილეობენ საზოგადოებრივ საქმიანობაში, არ შეუძლიათ საკუთარი თავის დაცვა და საკუთარი აზრის ღიად გამოხატვა.

აწეული თვითშეფასების მოზარდები უკეთ სწავლობენ. ისინი თავისთავში დარწმუნებულები არიან. აკადემიურად წარმატებულ მოზარდებს მაღალი თვითშეფასება აქვთ. როგორც ვნახეთ, ეს მდგომარეობა ჯერ კიდევ უმცროს სასკოლო ასაკში შეინიშნება.

მკვლევარები თვლიან, რომ პროფესიის არჩევა არის საკუთარი მე-ს რეალიზაცია, ხოლო პროფესიული წარმატებები ღიდადაა დამოკიდებულე თვითშეფასებაზე. იმ მოზარდებს, რომლებიც სერიოზულ პროფესიულ მიზნებს ისახავენ, გაცილებით მაღალი თვითშეფასება აქვთ იმათთან შედარებით, რომლებსაც ასეთი მიზნები არ გააჩნიათ. (შიუ, მანსონი).

მჭიდრო კავშირი არსებობს აგრეთვე მოზარდის თვითშეფასებასა და კანონსაწინააღმდეგო ქცევებს შორის. სამართალდამრღვევ მოზარდებს უფრო დაბალი თვითშეფასება აქვთ, ვიდრე იმათ, რომლებიც კანონს არ არღვევენ. როგორც მკვლევარები მიუთითებენ დაწეული თვითშეფასების მოზარდების მიერ კანონდარღვევები სწორედ ამის საკომპენსაციოდ ხორციელდება. იმის გამო, რომ შეამცირონ საკუთარი თავის მიუღებლობის და უპატივცემულობის ზარისხი, მოზარდები მიმართავენ ქცევის დევიაციურ მოდელებს. (მოზარდის დევიაციური ქცევების შესახებ უფრო დაწვრილებით იხილეთ შესაბამისი თავი).

თვითშეფასება ღიად გავლენას ახდენს, როგორც აღვნიშნეთ, თვითაღზრდაზე. საკუთარი თავის ადექვატური თვითშეფასების საფუძველზე მოზარდებს უკვე შეუძლიათ თვითაღზრდის პროგრამის შედგენა, რაც ნათლად ვლინდება მათ იდეალებში. იდეალის შინაარსი თვითაღზრდის პროგრამაა. (თუ თვითშეფასება ადექვატურია, მაშინ არჩეული იდეალი ხელს უწყობს ისეთი დადებითი თვისებების ჩამოყალიბებას, როგორიცაა თვითკრიტიკულობა, საკუთარ თავში დარწმუნებულობა, საკუთარი თავისადმი მომთხოვნელობა, ხოლო თუ თვითშეფასება არაადექვატურია, მაშინ მოზარდებს უყალიბდებათ ისეთი უარყოფითი ნიშნები, როგორიცაა უკრიტიკობა, საკუთარ თავში დაურწმუნებულობა ან პირიქით, ზედმეტი დარწმუნებულობა და ა.შ.

თვითშეფასება ანუ საკუთარი „მე“-ს შეფასება განვითარებას იწყებს ჯერ კიდევ ადრეულ ბავშვობაში. რვა წლის ასაკში ბავშვების თვითშეფასებითი მსჯელობები უკვე ასახავენ საბოლოო მოქმედებების შეფასებებსაც. გარდამავალ ასაკში თვითშეფასების ფორმირებებში მნიშვნელოვანი როლი ენიჭება მეგობრულ და რომანტიკულ ურთიერთობებში მიღწეულ წარმატებებს. თვითშეფასება მცირე ხნით კლებულობს დაწყებითი სკოლიდან გარდამავალ ასაკში გადასვლის მომენტში, ხოლო ბავშვობის დანარჩენ პერიოდებში სტაბილურია. გარდამავალ ასაკში, განსაკუთრებით ბიჭებში, იგი იზრდება.

თვითშეფასება ყალიბდება მოზარდების უფროსებთან ურთიერთობის პროცესში, რომლის დროსაც მოზარდი მუდამ აღარებს საკუთარ თავს სხვებს და ამ შედარების საფუძველზე უკეთ იბეჭდებს საკუთარ თავს. შეიძლება ითქვას, რომ უფროსების შეფასება აყალიბებს მოზარდის თვითშეფასებას. თუ უფროსების შეფასება ადექვატურია, მოზარდს უყალიბდება ადექვატური თვითშეფასება და პირიქით. დასაწყისში, უმცროს მოზარდებში თვითშეფასება არამდგრად ხასიათს ატარებს, მაგარამ ასაკის წინასწელასთან ერთად იგი თანდათანობით მუდმივი, მდგრადი და გამძლე ხდება, რის გამოც მოზარდი სულ უფრო თავისუფლდება სიტუაციის გავლენისაგან და დამოუკიდებელი ხდება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ბავშვების მიერ თვითშეფასებაზე თანდათანობითი ორიენტაცია არ ნიშნავს სხვების შეფასების მნიშვნელობის დაკარგვას, არა მარტო უმცროსი მოზარდები არანაა ძალიან მგრძობობიარენი სხვათა შეფასების მიმართ, არამედ – უფროსი მოზარდებიც, თუმცა უფროს მოზარდებში თვითშეფასების მოტივაციური მნიშვნელობა ძალიანაა გაზრდილი. სხვათა შეფასებების ორიენტაციიდან თვითშეფასებაზე გადასვლა ძირითადად უფროს მოზარდებთან ხდება. როგორც ვხედავთ, პიროვნების თვინობიერებაზე ორიენტაცია უფრო გვიანდელი წარმოშობისაა, ვიდრე – სხვების შეფასებაზე.

როდესაც მოზარდი აცნობიერებს თავის თავს მოქმედების სუბიექტად, ამით იგი აცნობიერებს თავის მდგომარეობასაც სამყაროში. ეს პროცესი, რომელიც განსაკუთრებით ინტენსიურად მიმდინარეობს გარდამავალ და ჭაბუკობის ასაკში, ძალიან რთულია. იგი მოიცავს ბევრ განსხვავებულ მომენტს, დაწყებული საკუთარი სხეულისა და გარეგნობის ცნობიერებიდან და დამთავრებული ცხოვრების მიზნის მსოფლმხედველობითი შეფასებით. „მე“-ს ზატი რთული ფსიქოლოგიური მოვლენაა. იგი არა მარტო ბავშვების ცოდნაა საკუთარი თავის შესახებ, არამედ საკუთარი თავის მიმართ განსაზღვრული დამოკიდებულებაა, სოციალური განწყობაა, რომელმაც საკუთარ თავზე წარმოადგენი ორგანულად შეწყობილი უპოციებთან. გამოყოფენ „მე“-ს ზატის რამდენიმე ავტონომიურ ნიშანს.

1. „მე“-ს ზატის სირთულისა და დიფერენციაციის ხარისხი. პატარა ბავშვს ერთმანეთისაგან ვერ ანსხვავებს ქვევის მოტივებს საქციელისაგან, არსებით ნიშნებს არაარსებითისაგან, რის გამოც „მე“-ს ზატი მარტივი, დაუნაწევრებელი და ამორფულია, ხოლო უფროსკლასელთა „მე“-ს ზატები უკვე დიფერენცირებულია საკუთარი თავის აღწერისას ისინი არა მხოლოდ მრავალ თვისებას ასახელებენ, არამედ, რაც მთავარია, ეს თვისებები განზოგადებულია, „მე“-ს ზატის სირთულის

ზარისხი თვითცნობიერების, და საერთოდ, პიროვნების მნიშვნელოვანი მახასიათებელია.

2. „მე“-ს ზატის ღირებულების ზარისხი, ადგილი, რომელსაც იგი იკავებს სხვა განწყობათა რიგში. ზოგიერთები ძალიან ბევრს ფიქრობენ საკუთარ თავზე, ანალიზებენ თავიანთ საქციელს, ცდილობენ მიზანმიმართულად იმოქმედონ თავის თავზე. სხვებს კი არა აქვთ განვითარებული რეფლექსია, ისინი მოქმედებენ უშუალო მისწრაფებებისა და ობიექტური სიტუაციების ლოგიკის მიხედვით. განსხვავებულია რეფლექსიის ობიექტებიც: ზოგიერთს უფრო აწუხებს საკუთარი გარეგნობა, ზოგს – საკუთარი გონებრივი შესაძლებლობანი, სხვას კი – საკუთარი მორალური სახე.

3. „მე“-ს ზატის შინაგანი მთლიანობა. რამდენადაც მოზარდები საკუთარ თავს სხვადასხვა კუთხით ხედავენ, მათი თვითცნობიერება წინააღმდეგობრივია, იდეალური „მე“ არასოდეს ემთხვევა რეალურს. ეს წინააღმდეგობა თვითაღზრდის მამოძრავებელი ძალაა, აღნიშნული წინააღმდეგობები განსხვავებულია. ერთ შემთხვევაში, განსვლა არის ზარისხში, როცა მოზარდი აცნობიერებს, რომ მას რომელიმე თვისება, რომელსაც იგი აუცილებლობად თვლის, არასაკმარისად აქვს განვითარებული. მეორე – როცა გაცნობიერებული თვისებები ან „მე“-ს სტატები ერთმანეთთან პრინციპულად შეუთავსებელია, მაგალითად, პრეტენზიის მაღალი დონე, იმის განწყობა, რომ ყველაფერში იყოს პირველი, ცუდად ესადაგება საკუთარი თვითშეფასების დაბალ დონეს. ასეთი წინააღმდეგობები ყოველთვის იწვევს შინაგან დაძაბულობას და ეჭვებს.

4. „მე“-ს ზატის დროში გამძლეობის ზარისხი. ზოგიერ მოზარდს თვითშეფასება უფრო სტაბილური და უცვლელი აქვს, ზოგიერთს კი, ხშირად ეცვლება. ეს მერყეობა ასახება ქცევაშიც და გარეშემოქმედებთან დამოკიდებულებაშიც.

5. თვითპატივისცემის ზარისხი – როგორ ეყრება ადამიანი მთლიანად საკუთარ თავს – მიუხედავად ნაკლისა, იგი „ღებულობს“ თუ არ „ღებულობს“ საკუთარ თავს.

ნამდვილი თვითცნობიერების დაწეების ასაკის შესახებ სპეციალურ ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობაა. ის მკვლევარები, რომლებიც სქესობრივი მომწიფების როლს ანიჭებენ უპირატესობას, „მე“-ს ნამდვილი ცნობიერების დასაწყის ასაკად აღიარებენ გარდამავალ ასაკს (14-15 წელი). ავტორები, რომლებიც გურადღებას ამახვილებენ უბეტესად სოციალურ, მსოფლმხედველობრივ პროცესებზე, ასეთ ასაკად თვლიან 15-18 წელს. არაერთგვაროვანი შეხებულებებია გამოთქმული თვითცნობიერების მამოძრავებელი ძალების შესახებაც. ზოგი მკვლევარი თვლის, რომ თვითცნობიერების ზრდა გამოწვეულია სქესობრივი მომწიფებითა და მასთან დაკავშირებული ორგანიზმის ცვლილებებით, სხვები კი იწყებენ ემოციების განვითარებით, შესაძენი თვლიან, რომ თვითცნობიერების განვითარება დაკავშირებულია ინტელექტის განვითარებასთან, ხოლო მეოთხენი – მოზარდის სოციალური მდგომარეობით, მისი ქცევის სტრუქტურის და ღირებულებათი ორიენტაციის ხასიათით.

ამერიკელმა ფსიქოლოგებმა (რ. სიმონსი, ცოლ-ქმარი როზენბერგები) შეისწავლეს და ერთმანეთთან შეადარეს სამი ასაკობრივი ჯგუფი. თვითცნობიერების

განვითარების მხრივ შედარებით ძნელი და რთული აღმოჩნდა გარდამავალი ასაკი (14-15 წელი). 12-13 წლის მოზარდებს ეზრდებათ მისწრაფება თვითდამკვიდრებისადმი, კლებულობს „მე“-ს ხატების გამძლეობა და სიმყარე, რამდენაღმე კლებულობს საერთო თვითატივისცემა. მოზარდები უმცროსკლასელებზე უფრო ხშირად ფიქრობენ, რომ მშობლები, მასწავლებლები და თავიანთი სქესის თანატოლები მათზე ცუდი აზრისაა. ისინი ხშირად ვარდებიან დეპრესიაში. ზედა ასაკობრივ საფეხურზე გადასვლით მდგომარეობა უმჯობესდება. 15 წლის შემდეგ იზრდება თვითატივისცემა, სუსტდება მორცხვობა, იზრდება თვითშეფასების სიმყარე და გამძლეობა. ფრანგი ფსიქოლოგი ბ. ზაზო ანსხეავეს გარდამავალ, „ძნელ“ ასაკს, რომელიც გრძელდება 2.5-3 წელი, როცა ხდება საკუთარი ინდივიდუალობის გაცნობიერება და ფსიქო-სექსუალური იდენტიფიკაციის დამთავრება და „ჭაბუკობის კრიზისი“, რომელიც დაკავშირებულია მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებასთან, პოლიტიკურ თვითგამორკვევასთან, პროფესიის არჩევასთან, ცხოვრების საზრისისა და სხვა საკითხებთან. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს სქემები არაა უნივერსალური. თვითცნობიერების ჩამოყალიბება და განვითარება მრავალი ფაქტორის კომპლექსურ მოქმედებაზე დამოკიდებული.

მოზარდების საკუთარი „მე“-სადმი ინტერესის და თვითცნობიერების ზრდა განპირობებულია რამდენიმე ურთიერთდაკავშირებული პროცესით. სქესობრივი მომწიფება და მასთან დაკავშირებული ისეთი პროცესები, როგორცაა „სიმაღლის ნახტომი“, ფიზიკური ძალის მომატება, სხეულის გარეგანი კონტურების შეცვლა, სქესობრივი პორმონების გავლენა ემოციებზე მოზარდში იწვევს საკუთარი თავისადმი ინტერესის აქტივიზირებას. ეს იმიტომ ხდება, რომ ფიზიკური მომწიფება არის სოციალური სიბოლო, მოწიფულობის, დავაყვაცების ნიშანი, რომელსაც დიდ ყურადღებას აქცევენ როგორც თანატოლები, ასევე უფროსები. სიმაღლე, ძალა, სქესობრივი მომწიფების ნიშნები ცვლის მოზარდის მდგომარეობას თანატოლებს შორის და იმიტომ იგი განსაკუთრებული ყურადღებისა და ინტერესის საგნად იქცევა.

„მე“-ს ხატი არის თვითცნობიერების ყველაზე უფრო სუბიექტური და ინტიმური ელემენტი. ამასთანავე, იგი თავისი შინაარსით უაღრესად სოციალურია. მოზარდი საკუთარ „მე“-ს მხოლოდ სხვასთან შედარებით, სხვებთან მიართებაში განსაზღვრავს. გამოყოფენ მოზარდობის ასაკში თვითშეფასების ორ ხერხს.

ა) როცა ხდება მოზარდის პრეტენზიის დონის შეფარდება მიღწეულ შედეგებთან. „თუ მე ძნელ სიტუაციაში უკან არ დავიხიე, არ ვარ მშიშარა“, „თუ ძნელი ამოცანა გადავწყვეტიე, ნიჭიერი ვარ“. მაგრამ ყველა თვისების ამგვარი წესით შემოწმება და შეფასება არ ხერხდება. ამასთანავე მოზარდის ღირებულებების სრული გამოცდილება ხელს უშლის სრულყოფილ შეფასებას.

ბ) თვითშეფასების ეს ხერხი საკუთარი თავის შესახებ გარემომემოყფთა აზრის შეჯერებაში მდგომარეობს. ბავშვის ხატები, როგორც ვნახეთ, ძოლიანადაა დამოკიდებული და დაფუძნებული „გარეგან“ შეფასებებზე. მოზარდში კი მდგომარეობა მკვეთრად იცვლება. თუმცა იგი მაინც ძალიან მგრძობიარეა მის შესახებ გარემომემოყფთა აზრის მიმართ. იგი ამჩნევს არა მარტო იმას, რომ მის

შესახებ სხვებს სხვადასხვა კერძო აზრი აქვთ, არამედ იმასაც, რომ შეფასების კრიტერიუმებიც განსხვავებულია. ამის გამო, მოზარდი მის შესახებ სხვადასხვა აზრებს და შეხედულებებს ერთმანეთთან აჯერებს, ადარებს და ისე აკეთებს არჩევანს.

ა. ბოდალიოვის ექსპერიმენტში პირველი, მეხუთე და მეთექვსმეტე მოსწავლეებს ევალუბრად დაეხასიათებინათ ნაცნობი თანატოლები და გამოეყრათ მათი პიროვნების ძირითადი ნიშნები. აღმოჩნდა, რომ ასაკის წინსვლასთან ერთად კლებულობს ისეთი თვისებების დასახელება, რომლებიც ფორმალურია და უშუალოდაა დაკავშირებული უფროსების აზრთან. მეხუთეკლასელები პირველკლასელებთან შედარებით ორჯერ უფრო ნაკლებად აღნიშნავენ მასწავლებლებთან დაკავშირებულ ფაქტებს, ძალზე იშვიათად აღინიშნებოდა სასწავლო საქმიანობაც. სიტუაციური ნიშნების აღვილს დახასიათებებში უკვე იკავებენ განზოგადებული პიროვნული თვისებები. მეხუთეკლასელები პირველკლასელებთან შედარებით 14-ჯერ უფრო ხშირად აღნიშნავენ თანატოლთა ინტერესებსა და მიდრეკილებებს, გაცილებით უფრო ხშირად მიუთითებდნენ მათ ემოციურ თვისებებზე, ასაკის წინასვლასთან ერთად თვითშეფასებები უფრო განზოგადებული ხდება.

უნდა აღინიშნოს, რომ ცალკეული თვითშეფასებები პიროვნების მთლიანი თვითცნობიერების შესახებ ნაკლებ წარმოდგენას გვიქმნის. კერძო თვითშეფასებები ბევრია და ყველა შეფარდებითაა, რადგანაც თვითიული მათგანის საფუძვლად შეიძლება გაუცნობიერებელი, მაგრამ განსაზღვრული დონის პრეტენზიის დონე იგულისხმებოდეს. თუ არ გვეცოდინება შედარებუბისა და სიტუაციის ნაგულისხმევი „ეტალონი“, რომელშიც თვითშეფასება ხდება, ვერაფერს ვიტყვი მისი ადეკვატურობის ან მცდარობის შესახებ.

— თვითშეფასების ანალიზისას უნდა აღინიშნოს, რომ განსხვავებულ თვისებებს შეიძლება პიროვნებისთვის განსხვავებული მნიშვნელობა ჰქონდეს. უფროსი მოზარდი შეიძლება თავის თავს ესთეტიკურად განუვითარებლად თვლიდეს, მაგრამ ეს აღიარება მის ზოგად თვითგრძობას არ აქვეითებს იმიტომ, რომ იგი ამ თვისებას არ აძლევს დიდ მნიშვნელობას. უფროსი მოზარდს, რომელიც თავის თავს მათემატიკის ნიჭით დაჯილდოებულად თვლის, შეიძლება თვითმატივისცემა დაბალი დონისა ჰქონდეს, რადგანაც იგი ეყრდნობა არა მეცნიერულ, არამედ მორალურ ნიშნებს. ამიტომ მხედველობაში უნდა მივიღოთ არა ცალკეული თვითშეფასებები, არამედ გლობალური თვითმატივისცემა, ე.ი. განზოგადებული დამოკიდებულება, რომელიც გამოხატავს საკუთარი თავის, როგორც პიროვნების „მიღების“ ან „არმიღების“ ხარისხს. კერძოდ, კონკრეტულ თვითშეფასებებში ადამიანი ყოველთვის თვლის საკუთარ თავს რაღაცით სხვაზე მეტად და რაღაცით სხვაზე ნაკლებად. მაღალი თვითმატივისცემა არ ნიშნავს იმას, რომ პიროვნება საკუთარ თავს ყველაზე მაღლა აყენებს, თავის ნაკლოვანებებს ვერ ამჩნევს და თავს სრულყოფილების ნიმუშად თვლის. პირიქით, რომ იგი ღებულობს და პატივს სცემს საკუთარ თავს, დადებითად ეყრება მას, როგორც პიროვნებას. დაბალი თვითმატივისცემა კი საკუთარი თავით უკმაყოფილება, საკუთარი პიროვნების უარყოფითი შეფასებაა. თვითმატივისცემა პიროვნების ძალიან

მყარი და მნიშვნელოვანი თვისება. მაღალი თვითპატივისცემა, როგორც აღნიშნუთ, ნიშნავს მეტ დამოუკიდებლობას და თვითდარწმუნებულობას. მოზარდი რომელიც თვითპატივისცემითაა გამსჭვალული საკუთარი თავის მიმართ, ადვილად ეგუება სხვებს, ხოლო როცა საკუთარი თავის მიმართ უარყოფითი დამოკიდებულება აქვს, იგი სხვებსაც უნდობლად ეკიდება.

მოზარდისათვის დამახასიათებელი თვისებებიერების რთული ფორმების წარმოშობა მზადდება მისი ფსიქიკური განვითარების მსვლელობით. როგორც უნახუთ, უმცროსი სასკოლო ასაკის ბოლოს ბავშვს უვითარდება პიროვნების რიგი მყარი და მდგრადი ნიშნები, რომლებიც პირდაპირ გავლენას ახდენენ მისი ქცევის სწორ ორგანიზაციაზე. საკუთარი თავის შეცნობის მოთხოვნილება ამ ასაკში ძლიერდება რიგი ისეთი ფაქტორების გავლენით, როგორცაა მოზარდის დამოუკიდებლობისაკენ გაზრდილი სწრაფვა, ბავშვების მცდელობა კოლექტივში დიკავონ თავისი ადვილი. ყოველივე ეს აიძულებს მოზარდს შეიმეცნოს საკუთარი თავი, შეადაროს ის სხვებს და შეაფასოს საკუთარი პიროვნების თვისებები. თვითცნობიერების ჩამოყალიბება ხდება მოზარდის მიერ თავისი ქცევის ობიექტური თავისებურებების ანალიზისა და შეფასების საფუძველზე. იმისათვის, რომ განზორციელდეს თვითცნობიერების რთული პროცესი, აუცილებელია ბავშვმა მაღწიოს ცხოვრებისეული გამოცდილებისა და ფსიქიკური განვითარების ისეთ დონეს, როცა შესაძლებელი ხდება ისეთი რთული მოვლენის შემეცნება და შეფასება, როგორცაა ადამიანის ფსიქოლოგიური სახე.

მოზარდების საკუთარ თავზე მსჯელობის ანალიზი გვიჩვენებს, რომ მათი ცნობიერების და მიმართების საგნად გვევლინება ისეთი თვისებები, რომლებიც დაკავშირებულია განსხვავებულ მოქმედებებთან. განსაკუთრებით სასწავლო საქმიანობასთან. მთელი მოზარდობის პერიოდის განმავლობაში უპირველეს ყოვლისა ცნობიერდება და ფასდება ისეთი თვისებები, როგორცაა სიბეჯითე, მიზანმიმართულობა, ცოდნისმოყვარეობა, აკურატულობა და სხვა. შემდეგ მოდის ისეთი თვისებების გაცნობიერება და შეფასება, რომლებიც ასახავენ მოზარდების გარშემომყოფ ადამიანებთან ურთიერთობას, ასეთებია: თავშეკავებულობა, სიციუტე, სამართლიანობა და სხვა.

თვითცნობიერების ფორმირების პირველ ეტაპზე მოზარდები ხშირად ხმარობენ ზოგად ცნებებს, რომლებიც მათ ესმით უფროსებისსაგან: ისინი ლაპარაკობენ ნებისყოფაზე, გაბედულობაზე, ერთგულებაზე და პრინციპულობაზეც კი. მაგრამ ეს ნახესხები ცნებები ხშირად მოკლებულია ნამდვილ შინაარსს და კონკრეტულობას. ამის შემდეგ მოზარდები იწყებენ მათთვის დამახასიათებელი საქციელების მდგრადი ნიშნების გამოყოფას, რომლის შედეგადაც მოზარდის თვითცნობიერება განვითარების პროცესში ღებულობას განზოგადებულ ხასიათს, ხოლო მათი მსჯელობები საკუთარი თავის შესახებ აღარაა უფროსებისგან ნახესხები და დამყარებულია საკუთარ თვითშეფასებაზე.

მოზარდის თვითცნობიერების განვითარების ერთ-ერთი წყაროს წარმოადგენს მისი პიროვნული თავისებურებებისა და ქცევის შედეგების სხვების მიერ შეფასება. საზოგადოებრივი შეფასება ორმაგ ფუნქციას ასრულებს: ა) იგი ხდება

მოზარდის ქცევის კრიტერიუმი, რომელიც მოდის გარშემოყოფთა მოთხოვნებთან შესაბამისობაში, იგი თითქოს მოზარდს მიუთითებს გარშემომყოფებთან მისი დამოკიდებულებების ხასიათზე, ბ) საზოგადოებრივი შეფასება ეხმარება მოზარდს გამოყოფს ესა თუ ის თვისება ქცევის კონკრეტული ფორმებიდან და იგი მოზარდის ცნობიერებისა და შეფასების საგნად გახადოს.

თვითცნობიერების ჩამოყალიბება ძალიან დიდ გავლენას ახდენს მოზარდის პიროვნების სხვა თვისებებზე და საერთოდ, მთლიანად მის ქცევაზე. შეკვლევარები მოზარდობის ასაკს მიაკუთვნებენ ისეთ თვისებებს, როგორცაა ეგოცენტრიზმი, აუტიზმი, მარტოობისკენ სწრაფვა, „ამბოხი“ უფროსებისა და ყოველგვარი შეზღუდვის და მორალის მიღებული ნორმებისადმი. ეს ნიშნები უკავშირდება მოზარდის მიერ ინტროსპექციის გამოვლინებებს და „საკუთარი მე-ს“ აღმოჩენას.

საკუთარი პიროვნების შეფასების მოთხოვნილება ზრდის მოზარდებში უფროსების შეფასებების მიმართ აწეულ მგრძობელობას. რადგანაც მათ ჯერ კიდევ საბოლოოდ არ ჩამოუყალიბებიათ წარმოდგენები საკუთარი თავის შესახებ და ისინი ხშირად მერყეობენ თვითშეფასებებში, მოზარდები ძალიან მწვეკვედ განიცდიან სხვების აზრს მათ შესახებ. ასევე მწვეკვედ განიცდიან მოზარდები საკუთარი ქცევის მარცხსა და წარმატებებს. მათ ჯერ მთლიანად არ შეუძლიათ წარმატებისა და მარცხის მიზეზში გარკვევა და ამიტომ ისინი ხშირად მარცხსა და წარმატებებს მიაწერენ ხოლმე თავიანთ პიროვნულ თვისებებს. იმის გამო, რომ მოზარდებს ჯერ არ შეუძლიათ შეფასონ ადამიანის პიროვნება მთლიანობაში, გაითვალისწინონ და აწონ-დაწონონ მათი ქცევის ყველა გარემოება, ქცევის მოტივები და მიზნები ადამიანზე მსჯელობენ ძალიან სწორზაზოვნად, ხშირად ერთი რომელიმე ნიშნის მიხედვით შეფასება გადააქვთ ხოლმე მთლიანად მის პიროვნებაზე, მაგალითად, შეიძლება ადამიანმა ჩაიღონო ერთი პატიოსანი საქციელი ან დაუშვას ერთი შეცდომა რომ მოზარდს დიდხანს დარჩეს მასზე გარკვეული დამოკიდებულება. ამიტომ მოზარდებთან ავტორიტეტის მოპოვება ერთდროულად ადვილიცაა და ძნელიც. ამით აიხსნება აგრეთვე მშობლებისადმი სპეციფიკური დამოკიდებულება ამ ასაკში. მოზარდისათვის არ კმარა იმის გაცნობიერება, რომ ისინი უფროსები და მშობლები არიან. მათ უნდა მოიპოვონ სიყვარული და პატივისცემა პირადი ღირსელებით. ამის გამოა, რომ გარდამავალ ასაკში ზოგიერთი მშობელი მოზარდის თვალში კარგავს ავტორიტეტს, ხოლო ზოგიერთი კი — იძენს.

გარდამავალი ასაკის მოზარდი ხანდახან, როგორც აღვნიშნეთ, ავლენს მარტოდ ყოფნის, მარტო დარჩენის მისწრაფებასაც, რაც გამოწვეულია მასში თვითცნობიერების განვითარებით. იგი უკავშირდება საკუთარი პიროვნების თვისებებზე უფრო ღრმა დაფიქრებას და მეტი ინფორმაციის მიღებას.

თვითცნობიერების სტრუქტურაში გარუსამყაროსთან ახალი დამოკიდებულებები გვევლინება ქცევის მოტივებად და მიზნებად, როგორც მოთხოვნები საკუთარი თავისა და სხვების მიმართ, როგორც შეფასებებისა და თვითშეფასებების ღირებულო კომპონენტები და კრიტერიუმები. მათთან მიმართებაში მოზარდი ჩადის ქცევებს და უკავშირებს თავის პიროვნულ თვისებებს სოციალურ ნორმებსა და ეტალონებს,

ამასთანავე, მოზარდის მიზანმიმართულების სტრატეგია დამოკიდებულია თვითცნობიერების თავისებურებაზე, საკუთარ თავზე წარმოდგენათა სისტემაზე და პრეტენზიის დონეზე.

პიროვნების პრეტენზიის დონე არის თვითცნობიერების სტრუქტურის თავისებურების მნიშვნელოვანი მაჩვენებელი, მისი ერთ-ერთი ინტეგრალური პიროვნული მახასიათებელი. კონკრეტულობის ამოცანების არჩევა და თვითშეფასება ურთიერთდაკავშირებულია ერთმანეთთან ერთიან პიროვნულ სტრუქტურაში, რის გამოც პრეტენზიის დონის შეფასების გამოყენება შეიძლება პიროვნების განვითარების თავისებურებისა და მისი მიმართულების განმსაზღვრელ ინსტრუმენტულ მაჩვენებლად. პრეტენზიის დონე დაკავშირებულია იდეალებთან და ეყრდნობა საკუთარი ღირებულებისა და პოტენციური შესაძლებლობის წარმოდგენას. კონკრეტული ამოცანის სირთულისა და სიძნელის ხარისხი, რომელსაც მოზარდი თვლის, რომ იგი მას გაწელება, განსაზღვრავს პრეტენზიის საწყის დონეს. პრეტენზიის დონის დამახასიათებელი დინამიკა დაკავშირებულია წარმატების დონესთან. მოზარდის წარმატებაზე ან წარუმატებლობაზე ტრადიციული რეაქციის ფორმაა მისი პრეტენზიის დონეების აღრევა ძნელი და ადვილი ამოცანების სფეროში. ამასთანავე წარმატების მიღწევის შემდეგ პრეტენზიის დონის აწევა გამოხატულია უფრო მკვეთრად, ვიდრე – მისი დაწევა წარუმატებლობის შემდეგ.

ის ბავშვები, რომელთაც აქვთ რეალური პრეტენზიის დონე, გამოირჩევიან საკუთარ ძალებში დარწმუნებულობით, მიზანსწრაფულობით, კრიტიკულობითა და შედეგიანობით. პრეტენზიის არაადეკვატურ დონეზე მოზარდი ირჩევს ან ძალიან ადვილ, ან ძალიან რთულ მიზნებს, ახასიათებს წუხილი და შფოთვა, საკუთარ ძალებში დაურწმუნებლობა, უკრიტიკობა, პროგნოზის მცდარობა და ა.შ. მოზარდის პრეტენზიის არაადეკვატური დონე არის თანატოლებთან და საკუთარ თავთან კონფლიქტების მიზეზი, რამაც შეიძლება იგი მიიყვანოს პიროვნულ გადახრებამდე და არაადეკვატურობის ეფექტის განვითარებამდე. ეს ვლინდება აწეული თვითშეფასების დროს წარუმატებლობის პირობებში. მოზარდი ცდილობს უარყოს წარუმატებლობის ფაქტი, ან ეჭვის ქვეშ დააყენოს შეფასების ადეკვატურობა. მოზარდები არაადეკვატურობის ეფექტის დროს ავლენენ წყენას, უნდობლობას, ნეგატივიზმს, აგრესიასაც კი. თუ დაწეული თვითშეფასება ღებულობს სტაბილურ ხასიათს, დაბლდება პრეტენზიის დონე. პრეტენზიის დონის ცვლის ხასიათის საფუძველზე მასწავლებელი და აღმზრდელი აკეთებენ დასკვნას მოზარდის პიროვნული თავისებურების შესახებ, რომლებიც დაკავშირებულია თვითშეფასების ადეკვატურობასა და არაადეკვატურობასთან, მისი მდგრადობის ხარისხთან.

მოზარდის პიროვნების ერთ-ერთი ცენტრალური ახალწარმონაქმნია „მოწიფულობის გრძობა“. მოზარდის ცდილობს იყოს მოზრდილი და თვლიდნენ მას მოზრდილად. ამ გრძობის ბიოლოგიური საფუძველია ფიზიკური და სქესობრივი განვითარება. იგი გრძობს და აცნობიერებს ფიზიკური ძალების სიჭარბესა და სქესობრივ ცვლილებებს. მაგრამ, მთავარი საფუძველი არის მოზარდის

სოციალური გამოცდილება. მოზარდი ითვისებს უფრო მეტ ცოდნას, ჩვევებსა და უნარებს, უფროსების ქცევის მორალურ-ეთიკურ ნორმებს და სერთოდ, უფრო მეტად მონაწილეობს უფროსების ცხოვრებაში. იგი პრეტენზიას აცხადებს იმაზე, რომ უფროსები მას მოეპყრან როგორც ტოლს. უფროსად გახდომამ მოზარდს უპირველეს ყოვლისა, ესმის როგორც დამოუკიდებლად ყოფნა. დამოუკიდებლობისაკენ სწრაფვა ელონდება სიტყვებში, სწავლაში, შრომაში, ამხანაგების არჩევაში, დროის განაწილებაში. მოზარდი ცდილობს თვითონ მიიღოს გადაწყვეტილება, დაიცვას საკუთარი შეხედულებანი და მსჯელობები. მაგრამ ხანდახან მოზარდებში დამოუკიდებლობისაკენ სწრაფვა არასწორ ფორმებს ღებულობს. ისინი ავადმყოფურად რეაგირებენ უფროსების ისეთ შეფასებებზე, როცა მათი უფლებების სათანადო შეფასება არ ხდება. ამ შემთხვევაში მოზარდის თვალში უფროსის ავტორიტეტი ეცემა და მისი მოთხოვნები არ სრულდება. უფროსობის დამკვიდრებისათვის მისწრაფებებში მოზარდის ცდილობს უფროსებთან დამოკიდებულების ძველი ტიპის შეცვლას. დამოკიდებულების ძველ ტიპს – როგორც ბავშვისადმი დამოკიდებულებას („მორჩილების მორალი“), მოზარდი უკვე აღარ ღებულობს. იგი დამოკიდებულების ახალი ტიპის მიღებისათვის შინაგანადაა მომზადებული. ესაა ტოლობის დამოკიდებულება („ტოლობის მორალი“).

უფროსებისათვის მოზარდი კი მაინც ბავშვაა. იგი ოჯახურად მშობელზეა დამოკიდებული. უმცროსი მოზარდები გარეგნულად ძალიან გვიანან ბავშვებს. ბევრს თამაშობენ, ძალიან მოძრავნი, აქტიურნი და უშუალონი არიან, რის გამოც ხშირად შეუმჩნეველი ხდება მათი პიროვნების შინაგანი გარდაქმნა, მათი ქცევის ახალი მომენტები, რომლებიც თანდათანობით ვითარდებიან და განსაზღვრავენ მოზარდის შინაგან პოზიციას და ქცევას.

მოზარდისათვის დამოუკიდებლობის მიცემის საკითხი აღზრდის ერთ-ერთი რთული პრობლემაა. საჭიარია დამოუკიდებლობის ისეთი ფორმების პოვნა, რომლებიც შეესაბამება მოზარდის შესაძლებლობებს, მისადმი წაყენებულ საზოგადოებრივ მოთხოვნებს და ამავე დროს უფროსებს უნდა შეეძლოს მათი მართვა და მათზე ზეგავლენის მოხდენა. აუცილებელია მოზარდებისა და უფროსების ურთიერთობა მიმდინარეობდეს პატივისცემისა და ნდობის საფუძველზე. ის დამოუკიდებლობა, რომელსაც მოზარდი ითხოვს, მას მართლაც რომ მიეცეს შეიძლება მისთვის დამლუპველიც კი გამოდგეს. თუმცა წერილმანი, მოსაწყენი ზედამხედველობისა და მზრუნველობისგან მოზარდის გათავისუფლება მისი პიროვნების განვითარების გზაზე მნიშვნელოვანი მონაპოვარია.

მოწიფულობის გრძნობა მოზარდში შემთხვევით არ აღმოცენდება. იგი ამჩნევს, რომ იზრდება მისი ძალა, მატულობს მისი წონა, ამტანობა, სიმაღლე, დიდი ძვრები ხდება სქესობრივ სფეროშიც. მოზარდი აცნობიერებს, რომ მისი ცოდნა უნარები და ჩვევები უფრო ფართოვდება, ხოლო ზოგიერთ საქმეში ამ მიმართულებით, იგი აჭარბებს კიდევ სხვა მოზარდის (ხშირად თავის მშობლებს), ზოგიერთ კერძო საკითხებში კი – მასწავლებელსაც კი. აჭარბებენ რა თავიანთ შესაძლებლობებს, მოზარდები ხშირად ფიქრობენ, რომ ისინი არაფრით განსხვავდებიან უფროსებისაგან, და ამიტომ უფროსები მათ უნდა ექცეოდნენ

როგორც თანატოლს. ამ დროს ხშირად აღმოცენდება წინააღმდეგობები მოზარდის უფროსების ცხოვრებაში მონაწილეობის მოთხოვნასა და რეალურ შესაძლებლობათა შეუსატყვისობას შორის. უფროსობის გრძნობის უარყოფითი გამოვლინება გამოიხატება იმაში, რომ მოზარდები ეწინააღმდეგებიან უფროსებს, ხშირად არ ცნობენ მათ ავტორიტეტს, უარყოფენ მათ მოთხოვნებს, კრიტიკულად კვილებან მშობლებისა და მასწავლებლის სიტყვებსა და ქცევებს.

მოზარდების მოწიფულობის გრძნობა ყალიბდება უფროსი ასაკის ბავშვებთან ურთიერთობის პროცესში. უფროსი ასაკის ბავშვებს მოზარდები უკვე მოწიფულად თვლიან და ცდილობენ მათ დონეზე ავიდნენ, რაც ქცევაშიც გამოიხატება. მოზარდს უჩნდება წარმოდგენები საკუთარი უფლებების შესახებ უფროსებთან დამოკიდებულებაში. იგი ისეთ დამოკიდებლობაზე აცხადებს პრეტენზიას, როგორც უფროსებს აქვთ. მოწიფულობისაკენ (უფროსობისაკენ) მიმავალი გზები მრავალფეროვანია. არის ადვილი და ძნელი, სწორი და არასწორი ფორმები. ეს ხდება იმის გამო, რომ მოწიფულობის გამოვლინებად მოზარდი სხვადასხვა ასპექტებს თვლის, იმაზე, თუ მოზარდი რა ნიშნებს გაყვება, დამოკიდებულა ან მარტო მისი აწმყო ცხოვრება, არამედ – მომავალიც.

მოზარდი უფროსებს უპირველეს ყოვლისა ბაძაკს მოწიფულობის გარეგან, თვალში საცემ გამოვლინებებში (სიგარეტის მოწევა, ალკოჰოლის მიღება, განსაკუთრებული ლექსიკონი, ტანსაცმლისა და ვარცხნილობის მოდა, კოსმეტიკა და სამკაულები). ეს მოწიფულობის მიღწევის ადვილი და მარტივი გზაა. მოზარდისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იმას, რომ მისი უფროსობა (მოწიფულობა) სხვებმა შეამჩნიონ და აღიარონ. სიგარეტი მოზარდის ხელში, უპირველეს ყოვლისა მოწიფულობის გრძნობის გამოვლენაა. მოზარდ ბიჭებს ძალიან იყვრობს „ნამდვილი მამაკაცის“ ისეთი თვისებები, როგორცაა ძალა, ნებისყოფა, გამბედაობა, მამაცობა, ამტანობა, ერთგულება, მეგობრობა და ამხანაგობა. უნდა ხაზგასმით აღინიშნოს, რომ ამხანაგური თვისებები ძალიან ფასდება გარდამავალი ასაკის ბიჭების მიერ.

შიშის გამოვლენა კატეგორიულად აკრძალულია. გაბედულობის გამოვლენისათვის მოზარდები ხშირად მოუფიქრებელ, სარისკო ნაბიჯებსაც ღვამენ. იმისათვის, რომ თანატოლებმა არ ჩათვალონ მშიშარად, „გოგოდ“, მოზარდი ბიჭები ისეთ საჭიკოლსაც ჩადიან, რომელიც ანტისაზოგადოებრივია, ასოციალურია, დანაშაულებრივი და ხანდახან სადისტურია. მოზარდები (განსაკუთრებით უმცროსები) ძალიან აჭარბებენ ფათერაკიან ოპერაციებში თავიან სწრაფვაში. ამით ისინი თავიანთ გამბედაობას ამტკიცებენ. თუ უმცროს სასკოლო ასაკში გაბედულობისკენ სწრაფვა რეალიზდებოდა გმირული თემატიკის თამაშებში, გარდამავალ ასაკში როლების თამაში იცვლება. მიუხედავად იმისა, რომ იგი რამდენადმე მაინც შემორჩენილია, ახლა მოზარდები უმეტესად ცდილობენ გადალახონ რეალური სიძნელებები (სიცხეში მსუბუქად იცვამენ, სახურავზე დაძვრებიან და ა.შ.).

გარდამავალ ასაკში მოწიფულობისკენ სწრაფვა იქცევა მთავარ დომინირებულ მოთხოვნილებად, რაც უპირველეს ყოვლისა ვლინდება უფროსების საჭმინაობაში

და ცხოვრებაში ჩართვის მისწრაფებაში. გამოყოფენ მოზარდების უფროსებთან დამოკიდებულებაში წინააღმდეგობების სამ ვარიანტს:

ა) ამ ვარიანტისათვის დამახასიათებელია წინააღმდეგობებისა და კონფლიქტების ღრმა ფორმები, რომლებიც ღიძნანს გრძელდება. ეს აღმოცენდება მაშინ, როცა მოზარდისა და უფროსების შეხედულებებში სრული განსვლაა, როცა უფროსები მოზარდების დამოუკიდებლობისაკენ სწრაფვის პრეტენზიებს თვლიან დაუსაბუთებლად. ზოლო მოზარდი, თავის მხრივ, პროტესტს აცხადებს უფროსების მასთან ურთიერთობის ძველ ფორმებზე. ასეთ დროს მოზარდის ნეგატივიზმი შეიძლება გლობალური გახდეს და ჩამოყალიბდეს მისი პიროვნების რიგი უარყოფითი თვისებები, როგორცაა აგრესიული ტენდენციები, სიცრუე და სხვა. ამ დროს უფროსი მოზარდის თვალში ყოველგვარ ავტორიტეტს კარგავს;

ბ) ეს ვარიანტი ხასიათდება იმით, რომ წინააღმდეგობები ვლინდება ეპიზოდურად, უფროსების სიტუაციური არათანმიმდევრული ქცევის შედეგად, როცა უფროსი მოზარდს აძლევს იმის ნებას რასაც ადრე უკრძალავდა. ამ დროს კონფლიქტთა რაოდენობა ნაკლებია, მაგრამ მათი აღმოცენების საშიშროება მაინცაა;

გ) ეს პერიოდი მოზარდსა და უფროსს შორის კონფლიქტებისა და წინააღმდეგობების მოხსნის პერიოდია, როცა მოზარდსა და უფროსს შორის ურთიერთგაგებაა, როცა უფროსები აცნობიერებენ და აღიარებენ მოზარდების „უფროსობას“ და მათთან ურთიერთობას ცვლიან, კონფლიქტების საფუძველი აღარ არსებობს.

„მოწიფულობის გრძობა“ საზოგადოების სრულყოფილი და თანაბარუფლებიან წევრის ჩამოყალიბებას გულისხმობს. მოზარდობის პერიოდის დასაწყისში ბავშვები მოზარდილებს, უფროსებს სულ არ გვანან. ისინი ჯერ კიდევ ბევრს თამაშობენ, ანცობენ და ცვლქობენ კიდევ, ხშირად ფუქსაეტურ და არასერიოზულ ინტერესებსა და მისწრაფებებსაც ავლენენ, სხვების გავლენასაც ადვილად ექვემდებარებიან. მაგრამ ბავშვობის ასეთი გარეგანი, თუნდაც ნათელი სურათი მეტად მაცდურია, რომლის იქითაც, ახალი, ღრმა პროცესების ჩამოყალიბების დასაწყისი იმალება. მოზარდი შეიძლება სრულიად შეუშინველად გახდეს მოწიფული ისე, რომ ბევრ რამეში ისევ ბავშვად დარჩეს. მოწიფულობის გრძობის ჩამოყალიბება სიღრმისეული პროცესია, რომლის გამოვლენის პირველი ნიშნები შეიძლება განსხვავებული იყოს მისი განვითარებული ფორმებისაგან. მოზარდი ამერიდან იწყებს იმის გაცნობიერებას, რომ იგი ბავშვი აღარაა, ცდილობს და მიისწრაფვის იქით, რომ იგი ჩათვალონ უფროსად და აღიარონ მისი „მოწიფულობა“. მოწიფულობის გრძობის ჩასახვის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი, როგორც აღვნიშნეთ, სოციალური ხასიათისაა. იგი თავს იჩენს მაშინ, როცა მოზარდს უფროსებთან ურთიერთობაში ობიექტურად არ უკავია ბავშვის ადგილი. შესაძლებლობის მიხედვით მონაწილეობს შრომაში და გააჩნია გარკვეული სერიოზული ვალდებულებები. ნაადრევი დამოუკიდებლობა და უფროსების ნდობა ბავშვს მოწიფულად ხდის არა მხოლოდ სოციალურ, არამედ სუბიექტურ პლანშიც. მოწიფულობის გრძობის ჩამოყალიბება და განვითარება მოზარდის ასაკში წარმოადგენს პიროვნების ერთ-ერთ ძირითად თვისებურებას, მის სტრუქტურულ ცენტრს. იგი ადამიანებთან და სამყაროსთან

ურთიერთობაში მოზარდის ახალი ცხოვრებისეული პოზიციის დაწყების გამოშატველა.

უფროსობის ნიშნების შექმნის პროცესში გამოყოფენ ხუთ ნიშანს:

1) უფროსობის გარეგნულ გამოვლინებათა მიბაძვა. ესაა ძირითადად ტანსაცმელი, ვარცხნილობა, კოსმეტიკა, სამკაულები, სპეციფიკური ლექსიკონი, სიგარეტის წევა, დასვენებისა და გართობის საშუალებები. დასაწყისში მოზარდები განიცდიან ერთგვარ უხერხულობას. არ იციან როგორ მოიქცნენ და რაზე ილაპარაკონ. მაგრამ ცდილობენ ძალიან მიბაძონ უფროსებს. მიბაძვის ნიმუშები ხშირად თვითშეფასების ეტალონის და კრიტერიუმის ძალას ღებულობენ. ზოგჯერ მოზარდის მიბაძვის კონკრეტულ ნიმუშად გვევლინებიან უფრო ასაკოვანი მოზარდები, რომლებიც მათი თავისებური „განმანათლებლები“ არიან. უფროსობის გარეგნული გამოვლინებისადმი მიბაძვა მოზარდს საკუთარ თვალში უფროსად ხდის. მას ჰგონია, რომ ასევე „უფროსია“ იგი სხვების თვალშიც;

2) ორიენტაცია „ნამდვილი მამაკაცის“ ნიშანთვისებებზე „ნამდვილ მამაკაცში“ გაცნობიერებულია, ერთ მხრივ ძალა, ნებისყოფა, გაბედულება, სიმაძაქვე, ხოლო მეორეს მხრივ, ერთგულება, მეგობრობა, ამხანაგობა. მიბაძვის ნიმუშად შეიძლება იქცნენ მშობლები, უფროსი დაძმები. ამ ასაკში მოზარდები ძალიან „უკორიკტებენ“ მშობლებს, ახლა მათ ძალიან მაღალ მოთხოვნებს უყენებენ და მათ მოქმედებებს აკრიტიკებენ. მოზარდისათვის არაა სულ ერთი როგორ გამოიყურებოდნენ მისი მშობლები სხვის თვალში. თუ მოზარდები მშობლებში სიამაყის საფუძველს პოულობენ, ისინი მათ ბაძვენ. მოზარდები ხალისით ბაძვენ კინოსა და წიგნის იმ გმირებს, რომელშიც „ნამდვილი მამაკაცის“ გამოვლინებებს ხედავენ. არასწორი აღზრდის პირობებში მოზარდს შეიძლება განუვითარდეს ძალის, გაბედულობისა და ნებისყოფის კულტი მორალურ მიმართულებებთან დამოკიდებულებისა და კავშირის გარეშე, რაც მეტად საშიშია;

3) უფროსი, როგორც ქცევის ნიმუში. უფროსების გვერდით შრომით საქმიანობაში მონაწილეობას ამ თვალსაზრისით უდიდესი მნიშვნელობა აქვთ. მოზარდები მათ ბაძვენ „საუფროსო“ საქმეების შესრულებაში. ამ შემთხვევაში აუცილებელია, რომ მოზარდს ეჭიროს უფროსის „თანაშემწის“ პოზიცია, რომელიც ძალიან უწყობს ხელს დამოუკიდებლობის გრძნობის განვითარებას;

4) მოწიფულობის გრძნობის განვითარება სასწავლო-შემეცნებით მოქმედებებში. მოზარდებს უნდადებათ დიდი სურვილი იცოდნენ პროგრამულ მასალაზე მეტი. ისინი იწყებენ ბიბლიოთეკებში სიარულს და დამატებითი ლიტერატურის კითხვას, წრებში გაერთიანებას. ამ დროს ყველაზე მთავარი ისაა, რომ მოზარდი საინტერესო საკითხებს სწავლობს დამოუკიდებლად, დამოუკიდებელი მიმართულებით თანდათან თვითგანათლების ხასიათს იღებს, რომელსაც მოზარდისათვის პირიქედია აზრი აქვს. ამ ასაკში ცოდნა საფუძველად ედება უფროსის, ამხანაგისა და საკუთარი თავის შეფასებას;

5) ხელოვნების როლი. მოზარდების მოწიფულობის გრძნობის განვითარებაში მნიშვნელოვანი როლი ენიჭება მხატვრულ ლიტერატურას, კინოსა და ტელევიზიას. უმცროს მოზარდებს ძალიან უყვართ კინო. მათ შეუძლიათ ხუთჯერ-ექვსჯერ

ნახონ მოწონებული ფილმი. მათ იტაცებთ ის სიტუაციები, სადაც ნაჩვენებია სიბნელების გადალახვა, ლაშქრობათა და ბრძოლათა რომანტიკა, რთული სიტუაციები, მწვავე ფაბულები, უცვართ სათავედასავლო ფილმები. უფროსი მოზარდები წიგნისა და კინოს გმირებს ყველაფერში აღარ ბაძავენ. მხოლოდ გამბედაობა აღარაა საკმარისი. ახლა საჭიროა გამბედაობის ჰქონდეს მორალურ-ეთიკური საფუძველი. უფროსი მოზარდი უკვე ფილმებს მრავალჯერ აღარ ნახულობს.

ამრიგად, მოზარდები ურთიერთობებსა და მოქმედებებში თანდათან შედიან მოზრილთა სამყაროში, სადაც მათი ქცევა სხვა ღირებულებას იძენს.

გარდამავალი ასაკის მოზარდის პიროვნების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თავისებურება არის მისი ზნეობრივი ცნობიერების ინტენსიური განვითარება. ეს ზნეობრივი წარმოდგენები, ცნებები, მრწამსი, შეფასებით მსჯელობათა სისტემა, რომლებითაც მოზარდი ხელმძღვანელობს ქცევაში. თუ უმცროს სასკოლო ასაკში ბავშვის ქცევა ძირითადად განპირობებული იყო უფროსების მოთხოვნებით, ახლა მისთვის ცენტრალურ ადგილს ქცევის საკუთარი პრინციპები, შეხედულებები და მრწამსი იჭერს. იმის მიხედვით, თუ რა მიმართულების ზნეობრივ გამოცდილებას იძენს მოზარდი, იგი ჩადის შესაბამის ქცევებს. თუ მოზარდი იძენს დადებით ზნეობრივ გამოცდილებას, მას ექნება მაღალ ზნეობრივი შეგნება და მისი ქცევებიც დადებითი იქნება.

უნდა აღინიშნოს, რომ მორალური ცნებები და მრწამსი, რომელიც სტიქიურად ყალიბდება, სწორი პედაგოგიური და ფსიქოლოგიური ხელმძღვანელობის გარეშე შეიძლება არასწორი აღმოჩნდეს და მოზარდი კონფლიქტებად შეიყვანოს. მოზარდობის ასაკში გავრცელებული ჯოტობის დადებითი შეფასება არის დამოუკიდებლობის, პრინციპულობის არასწორი გაგების შედეგი. „მინდა ვიყო დამოუკიდებელი და არ მინდა ვინმეს ჩარევა. ცხოვრებაში ყოველთვის არ გვეყოლება მრჩეველი. დაე ცუდად და სულელურად, მაგრამ ვაკეთებ რაც მე მსურს“, მსჯელობს მოზარდი.

სწავლების პროცესში მოზარდები ღებულობენ სისტემატურ ცოდნას, ეცნობიან ბუნების კანონებს, რომელთა საფუძველზე საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის პროცესში მოზარდებს უშუავედრათ მსოფლმხედველობა და მრწამსი. ზნეობრივი მრწამსი და პრინციპები მოზარდებს უყალიბდებთ გარე სამყაროს გავლენის საფუძველზე. მაგრამ, ეს არ ნიშნავს, რომ აღმზრდელები და მშობლები განზე გადგნენ, რომ ეს ყველაფერი სტიქიურად მაინც მოხდება. მოზარდის ზნეობრივი მრწამსის ჩამოყალიბებას უნდა შეგნებული მართვა, რადგან ასეთი მართვისა და ხელმძღვანელობის გარეშე ჩამოყალიბებული ზნეობრივი მრწამსი და პრინციპები შეიძლება იყოს მცდარი და მახინჯი. ეს ხორციელდება მაშინ, როცა ზნეობრივი მსჯელობები და შეხედულებები ყალიბდება შემოხვევითი ფაქტორებისა და ქუჩის უშუალო გავლენით. ზნეობრივი მრწამსის ჩამოყალიბების საფუძველია გარკვეული ცოდნა, სადაც მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ზნეობრივ ცნებებსა და წარმოდგენებს. თუ ეს ცნებები და წარმოდგენები მცდარი და მახინჯია, მოზარდის ზნეობრივ ქცევაზე უარყოფით გავლენას ახდენს.

პიროვნების მორალური ფორმირება, მორალური ცნობიერების ჩამოყალიბება, მოზარდობის ასაკის მნიშვნელოვანი ფსიქოლოგიური მახასიათებელია. შეიძლება ითქვას, რომ გარდამავალი ასაკის მორალური მრწამსის პრინციპების, იდეალების, შეფასებით მსჯელობათა სისტემის ფორმირების ასაკია. თუ უმცროსკლასელი თავის ქცევაში უფროსების მითითებით ხელმძღვანელობდა, ახლა მოზარდის ქცევის ძირითადი რეგულატორია საკუთარი პრინციპები, შეხედულებები და მრწამსი. გარდამავალი ასაკი ზნობრივი ცნობიერების ფორმირების დასაწყისის ასაკია. მოზარდობის ასაკში ზნობრივი წარმოდგენები და გრძნობები საგრძნობლად ფართოვდება, ღრმავდება და მდიდრდება. ამ ასაკში მოზარდების ქცევის აღმძვრელად გვევლინება მორალური გრძნობები, ხოლო მორალური ცნობიერების განვითარება რამდენადაც ჩამორჩება მორალური გრძნობებისა და მორალური ქცევის განვითარებას. გარდამავალ ასაკში მორალური ცნობიერების ფორმირების მთავარი ფაქტორია ტოლების კოლექტივი. ამ ასაკის მოზარდი უფრო მეტად ერთვება ტოლების კოლექტივის ცხოვრებაში და ცდილობს მასში განსაზღვრული საზოგადოებრივი მდგომარეობა დაიკავოს. ეს მისწრაფება მოზარდებში ძალიან ეფექტურია და მისი დაკმაყოფილება ან არდაკმაყოფილება განსაზღვრავს ამ ასაკის ბავშვთა ემოციურ კეთილდღეობას, რომლის საფუძველზედაც ხდება მოზარდის მიერ ტოლების კოლექტივის მორალური მოთხოვნების შეხედულებებისა და შეფასებების შეთვისება. ამ საფუძველზე უყალიბდებათ მათ მოთხოვნები საკუთარი თავისადმი, თვითშეფასება, იდეალები და მათი მიღწევის სწრაფვები. დაბოლოს, ამ საფუძველზე აღმოუცნდებათ მოზარდებს ზნობრივი ჩვევები და ჩვეულებანი, რომლებიც ქმნიან ნიადაგს მათი ზნობრივი მრწამსის ჩამოყალიბებისა და ზნობრივი ქცევის შესასრულებლად. მიუხედავად ამისა, ამ ასაკში მორალური სფეროს განვითარების დონე, როცა ჯერ კიდევ არ ჩამოყალიბებულა მდგრადი და მტკიცე ზნობრივი მრწამსი, როცა განზოგადებული იდეალები და მყარი თვითშეფასება ყალიბდება გარდამავალი ასაკის ბოლოს, მთლიანად ვერ უზრუნველყოფს მოზარდის მიერ საკუთარი ქცევის შეგნებულად მართვას. მოზარდების მორალურ სფეროს ახასიათებს ორი თავისებურება:

ა) ამ ასაკში ყურადღების ცენტრში თავსდება ის საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საზოგადოებრივი ქცევის ნორმებთან და წესებთან და ადამიანთა ერთმანეთთან ურთიერთობის პრინციპებთან;

ბ) მოზარდებთან იწყება მდგრადი (ავტონომიური) მორალური შეხედულებების, მსჯელობებისა და შეფასებების ჩამოყალიბება. იმ შემთხვევაში, როცა მოზარდთა ამა თუ იმ კოლექტივის მორალური მოთხოვნები და შეფასებები არ ემთხვევა უფროსების შემუშავებულ მოთხოვნებს, მოზარდები ხშირად მიეცებიან თავიანთ და არა უფროსების მორალურ ნორმებს.

გარდამავალ ასაკში მოზარდს უკვე უმუშავდება საკუთარ მოთხოვნათა და ნორმების სისტემა, რომელთა დაცვაც მას შეუძლია უფროსებისაგან. ამით უნდა აიხსნას ამ ასაკში ზოგიერთი „მორალური განწყობის“ სიმტკიცე, რომელიც არსებობს მოზარდთა კოლექტივში და რომელიც პედაგოგიურ ზემოქმედებას არ ემორჩილება.

გამოყოფენ მორალური მსჯელობებისა და ქცევის ურთიერთშესაბამისობის ოთხ ჯგუფს:

ა) დადებითი ზნეობრივი მისწრაფებები შეესაბამება დადებით მორალურ ქცევებს. ასეთ მოზარდებს სიტყვისა და საქმის ერთიანობა ახასიათებთ;

ბ) უარყოფითი მისწრაფებები შეესაბამება უარყოფით მორალურ ქცევებს. ესაა ეგოისტური ქცევები;

გ) მისწრაფებები დადებითა, მაგრამ ჩამოყალიბებული ჩვევების გამო ქცევა უარყოფითია (უხეშობა, ჯიუტობა, იმპულსურობა). შეინიშნება ქცევის ნორმების არცოდნა;

დ) უარყოფით მისწრაფებები შენიღბულია დადებითი ქცევებით. მოზარდთა მრავალფეროვან ჯგუფს შეადგენენ ის მოზარდები, რომელთაც მორალური ცოდნა აქვთ განვითარებული, მაგრამ მორალურად არამყარი ქცევები ახასიათებთ. მათ სხვების მიმართ მორალური მომთხოვნელობა უფრო მაღალი აქვთ, ვიდრე – საკუთარი თავის მიმართ. ისინი თანატოლებისგან მოითხოვენ ზნეობრივი ნორმების დაცვას, თვითონ კი ხშირად არღვევენ. მათ არ აქვთ საზოგადოებაში მორალური ქცევის მყარი ჩვევები, რაც მეტყველებს სწავლებისა და აღზრდის მხარეების გათიშვაზე, როცა ცოდნა მრწამსად არ გარდაიქმნება და ქცევებში არ გამოვლინდება.

მოზარდები მორალურ პრობლემებს ყოველ საბიჯზე აწყვებიან. მათ უხდებათ თანატოლებისა და უფროსების კეთილი და ბოროტი ქცევების შეფასება. მოზარდებმა უნდა მიიღონ გადაწყვეტილება ვისთან იმეგობრონ, და ვისთან არა. ერთი სიტყვით, მოზარდების აზროვნება გამოდის ძველი, ვიწრო ჩარჩოებიდან და მას უხდება ისეთი ამოცანების გადაჭრაც, რაც ზნეობრივ შეფასებებს უკავშირდება. მოზარდების ღირებულებათა სისტემა მის კოგნიტურ განვითარებაზეა დამოკიდებული, რომელიც მნიშვნელოვანწილად მოზარდის მორალური მსჯელობების საფუძველზეა ჩამოყალიბებული. მოზარდობის ასაკში მორალური განვითარების საფუძველი ხდება მორალური იდეების გადაჭრის სტიმულირება. ფ. ჰაიე, ლ. კოლბერგი და კ. გილიგანი თვლიან, რომ ბავშვთან და მოზარდებთან ზნეობრივი პრინციპების ჩამოყალიბება არის უწყვეტი კოგნიტური პროცესი, სტიმულირდება გარესამყაროსთან ურთიერთობების საფუძველზე და ასაკის მატებასთან ერთად განუწყვეტლივ იცვლება და რთულდება.

განვიხილოთ ფ. ჰაიეს, ლ. კოლბერგის და კ. გილიგანის მორალური განვითარების თეორიები (მასალა აღებულია ფ. რაისის დასახელებული წიგნიდან. გვ. 390-404)

ფ. ჰაიეს მორალური განვითარების კოგნიტური სოციალიზაციის თეორია მართალია მოიცავს ბავშვობის ასაკს 12 წლამდე, მაგრამ იგი მოზარდობის ასაკის ბავშვის კანონზომიერებასაც ხსნის. ეყრდნობა რა დიურკჰეიმის მოძღვრებას, მორალური განვითარების შესახებ, ფ. ჰაიე იზიარებს მის შეხედულებას იმის შესახებ, რომ მორალის განვითარებისა და ფორმირების ერთადერთი წყაროა საზოგადოების მრიდან მოწონება. ფ. ჰაიემ გამოყო ორი სტადია: ა) იძულების ეთიკა და ბ) თანამშრომლობის ეთიკა. მორალური განვითარების ადრეულ სტადიაზე ბავშვები შეზღუდულნი არიან თამაშის წესებით, რომლებიც შემკაცებელ როლს თამაშობენ, და რომელიც ბავშვებისათვის ამავე დროს არის მკაცრი

ვალდებულება. ბავშვები თელიან, რომ თამაშის წესებსა და მშობლებს ბავშვები ერიანარიად უნდა ემორჩილებოდნენ.

შებღამში კი, ბავშვები გებულობენ, რომ თამაშის წესები არაა აბსოლიტური ვალდებულება და მისი შეცვლა შესაძლებელია საერთო შეთანხმების საფუძველზე. წესები მათ უკვე აღარ მიაჩნიათ უფროსების დაკანონებულ ნორმად, არამედ აღიქმება როგორც საზოგადოებრივი შეთანხმების საფუძველზე მიღებული შემოქმედების თავისებური სახე. ე. პიაჟეს სიტყვებით რომ ვთქვათ, ესაა სვლა პეტერონომიდიდან ავტონომიისაკენ. ამ პროცესებიდან პირველი მიმდინარეობს უფროსების მხრიდან მორალური შეზღუდვების ჩარჩოებში, რომელსაც ბავშვი მიჰყავს პეტერონომიამდე, რასაც ე. პიაჟე ზნეობრივ რეალიზმს უწოდებს და რომელიც არის კანონებისადმი, წესებისადმი მორჩილება.

მეორე პროცესი კი არის თანამშრომლობა, რომელსაც მიეყვართ ავტონომიამდე. ე. პიაჟეს მიხედვით როგორც არ უნდა იყოს ბავშვის ეთიკა პეტერონომიული თუ ავტონომიური, მიღებული უფროსების ზეწოლით თუ შეგნებულად შემუშავებულ, ბავშვის ეთიკა და მორალური მსჯელობები ყოველთვის სოციალურია, ბავშვის მორალური განვითარების ცვალებადობა და გართულება დაკავშირებულია მის კოგნიტურ განვითარებასთან და სოციალურ ურთიერთობათა დინამიკასთან. სოციალური წრის გაფართოება და ახალი სოციალური კავშირების დამყარება, საშუალებას აძლევს მოზარდს, განსდეს უფრო დამოუკიდებელი, საზოგადოებრივ დავალებებში ჩართული, და ზნეობრივი პიროვნებაც. ამრიგად, ე. პიაჟეს მიხედვით ბავშვთა და მოზარდთა მორალური განვითარება არის სვლა იძულების ეთიკიდან ურთიერთთანამშრომლობისა და ავტონომიურ ეთიკამდე. საბოლოო ანგარიშით კი ასაკის წინსვლასთან ერთად მეორე სტადია ანადგურებს პირველს.

გარდამავალ ასაკში მიღწეული კოგნიტური შესაძლებლობების მაღალი დონე ხელს უწყობს მოზარდის მიერ ზნეობრივი ღირებულებების უფრო ღრმ გააზრებას და გაცნობიერებას.

ე. პიაჟეს მიხედვით არსებობს ზნეობრივი განვითარების ორი სტადია:

ა) ზნეობრივი რეალიზმის სტადია, როცა ბავშვი ღრმად და დარწმუნებული იმამი, რომ ზნეობრივი წესები და კანონები უფროსების მიერაა დაკანონებული და მათი შესრულება უნდა მოხდეს აუცილებლად, უკრიტიკოდ და უსიტყვოდ. ამ სტადიაზე ქცევა უმეტესწილად ფასდება შედეგის და არა განზრახვისა და მოტივაციის საფუძველზე. ე. პიაჟეს ცნობილი გამოკვლევის მიხედვით, რომელშიც აღწერილია, შემოსხვევა, როცა კითხვაზე. ვინ უფრო იმსახურებს სასჯელს, ვინც შემთხვევით გატეხა 15 ჭიქა თუ ის, ვინც ასევე შემთხვევის გატეხა ერთი, ბავშვების უმრავლესობა პასუხობდა, რომ რა თქმა უნდა, უფრო უნდა დაისჯოს ის, ვინც გატეხა 15 ჭიქა.

ბ) ზნეობრივი რელატივიზმის სტადია. ეს სტადია იწყება 10-11 წლის ასაკიდან. ახლა მოზარდები უკვე აცნობიერებენ, რომ ბევრი სოციალური ნორმა და წესი პირობითია და შეიძლება მათი შეცვლა, ე. ი. ამ საფეხურზე ზნეობრივი ნორმები განიხილება როგორც ადამიანთა შორის თანამშრომლობის და შეთანხმების ელემენტი. ამ სტადიაზე მოზარდებისათვის ქცევის შედეგები კი არაა მთავარი,

არამედ განზრახვა და მოტივიზაცია. ახლა მოზარდები ამტკიცებენ, რომ უფრო მეტად უნდა დაისაჯოს ის, ვინც შეგნებულად გატეხა ერთი თუფში და არა ის, ვისაც შემთხვევით გაუტყდა 15 ჭიქა.

ჟაბაუეს მიხედვით ზნეობრივი რეალიზმიდან ზნეობრივ რელატივიზმზე გადასვლას ხელს უწყობს ორი ფაქტორი: ა) კოგნიტური სფეროს მაღალი დონე და ბ) სოციალური გამოცდილების შექმნა.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ჟ. ჰაუეს კროტიკოსების აზრით, რომლებიც ევრდნობიან თანამედროვე კვლევებს, გამოცნობა და შესაბამისად, ზნეობრივი რელატივიზმის უფრო გაახალგაზრდაება.

ჟაბაუეს შემდეგ ბავშვების მორალური განვითარების კვლევებში უდიდესი წვლილი შეიტანა ლ. კოლბერგმა. იგი ბავშვებს და მოზარდებს აძლევდა ზნეობრივი დილემის ამოცანებს და თხოვდა მათ გადაჭრას და, ამავე დროს, საკუთარი მსჯელობების დასაბუთებას. ერთ-ერთი ასეთი ტიპური ამოცანაა სიტუაცია ადამიანთა, რომელსაც მეუღლე ჰყავს ავად, არ აქვს წამლის ფული და აფთიაქის მეპატრონე მას ნისიად არ აძლევს. ეს ადამიანი იძულებული ხდება მოიპაროს წამალი. სწორად მოიქცა ეს ადამიანი?

მორალური განვითარების ნებისმიერ სტადიაზე შეიძლება იმყოფებოდეს ნებისმიერი ასაკის ადამიანი – ბავშვიც, მოზარდიც და მოწიფულიც. აღნიშნული დებულება ექსპერიმენტულად დაასაბუთეს ლ. კოლბერგისა და კ. გილიგანის კვლევებმა. ისინი იკვლევდნენ 10-16 წლის ასაკის ბავშვებს. ცდის პირებს ეძლეოდათ გადასაწყვეტად ათი მორალური დილემა. თითოეულ მათგანში კანონისადმი დაუმორჩილებლობა კონფლიქტში მოდიოდა ადამიანის მოთხოვნილებებთან და სხვა ადამიანთა კეთილდღეობასთან. ცდის პირებს უნდა აერჩიათ პრობლემის გადაწყვეტის ორი ვარიანტიდან ერთ-ერთი და დაესაბუთებინათ მისი არჩევანი. კვლევის შედეგების საფუძველზე ლ. კოლბერგმა ჩამოაყალიბა მორალური განვითარების სამი დონე, სადაც თითოეულში გამოყო ორ-ორი ჯგუფი:

I. პირველი დონე. მორალურამდელი

ტიპი 1. ორიენტაცია დასჯისადმი და მორჩილებისადმი (მოტივაცია: თავიდან აცილოს სასჯელი).

ტიპი 2. გულუბრყვილო ინსტრუმენტალური ჰედონიზმი (მოტივაცია: ჯილდოს მიღება).

II. მეორე დონე. საზოგადოებრივად მიღებულ ნორმებისადმი შესაბამისობის ეთიკა.

ტიპი 3. კარგი ადამიანის ეთიკა, რომელიც გარშემომყოფებთან ამყარებს კარგ ურთიერთობებს და უფროსობლდება მათ მოწონებით შეფასებებს. (მოტივაცია: თავი აარიდოს გარშემომყოფების არმოწონებას).

ტიპი 4. ძალაუფლების მხარდაჭერის ეთიკა (მოტივაცია: დაიცვას კანონი, საზოგადოებრივი წესრიგი და იზრუნოს საზოგადოების ინტერესებზე);

III. შესამე ღონე. დამოუკიდებლად გამოზეშავებული მორალური პრინციპების ეოიკა.

ტიპი 5. დემოკრატიული კანონების ეოიკა (მოტივაცია: მოიპოვოს ინდივიდების და საზოგადოების პატივისცემა).

ტიპი 6. ქცევის ინდივიდუალური პრინციპების ეოიკა (მოტივაცია: დაშვებული შეცდომების გამო თვითგაკიცხვის თავიდან აშორება).

ლ. კოლბერგის მიხედვით ზნობრივი ორიენტაციის ტიპებსა და კონკრეტულ ასაკობრივ ეგუფებს შორის არაა მყარი კავშირი. თითოეულ ასაკობრივ ეგუფში შესაძლებელია იყოს განსხვავებული მორალური განვითარების დონის ინდივიდულები. მოზარდების მორალური განწყობები მჭიდროდაა დაკავშირებული ინტელექტუალური განვითარების დონესთან. მათი ეოიკური მსჯელობის უნარი განპირობებულია ინტელექტუალური განვითარების დონით და აბსტრაქტული აზროვნების უნარით.

მოზარდის კოგნიტური და პიროვნული განვითარების ურთიერთ მჭიდრო კავშირს მრავალი მკვლევარი აღიარებს (რ. კეგანი, ე. ლოვინგერი. ე. კრაიგის დასახელებული წიგნი. ეე. 682-687).

ე. ლოვინგერმა ლ. კოლბერგის ზნობრივი განვითარების თეორიის ზოგიერთი ასპექტი დაუკავშირა ფსიქოანალიზის თეორიას და შექმნა მოზარდის პიროვნების განვითარების ახალი მოდელი. ე. ლოვინგერის პიროვნების მოდელის არსი იმაში მდგომარეობს, რომ ეგო არის ფსიქოანალიტიკური კონსტრუქცია, რომელიც „მე“-ს კონცეფციასთან ძალიან ახლოს დგას, მაგრამ მათ შორის იგივეობის ნიშნის დასმა არ შეიძლება. ეგო არის პროცესი, ფსიქიკის თავისებური „აღმასრულებელი“, რომლის ძირითადი ფუნქციაა პიროვნების შეგნებული მართვა. ეგო ცდილობს იპოვოს აზრი პირად გამოცდილებაში, მიადწიოს თვითგაგებას და მოახდინოს მისი ინტეგრაცია ქცევისთან. ე. ლოვინგერის აზრით, ნებისმიერი ინდივიდის ეგო გაივლის შვიდ ძირითად და სამ გარდამავალ სტადიას, რომელიც დამოკიდებულია აზრობრივ და ხასიათის სტრუქტურებზე. აზრობრივი სტრუქტურა არის ინდივიდის მიერ სამყაროს ახსნა-შეფასება, რომელიც განსხვავებულია სტადიების მიხედვით, ხოლო ხასიათის სტრუქტურა არის ეგოს ნაწილი, რომელიც საფუძვლად ედება გამოცდილების გააზრების და თვითგაგების ფორმირებას. ეს სტადიებია:

I სტადია. სოციალურამდელი (ჩვილობის ასაკი). ტიპური ქცევებია: ყველაფრისადმი გულგრილი დამოკიდებულება, გარდა საკუთარი მოთხოვნილებებისა დამოკიდებულები არიან მათზე მზრუნველ უფროსებზე.

II სტადია. იმპულსური (ადრეული ბავშვობა). ტიპური ქცევებია: იმპულსური ქცევა, შემონახულია ეგოცენტრიზმი. ყოველგვარი ქცევა ფასდება როგორც კარგი ან ცუდი წახალისებისა და დასჯის მიხედვით.

III სტადია. თვითდაცვა. გარდამავალი პერიოდი (ადრეული ბავშვობა). ტიპური ქცევებია: სასჯელის შიში, პასუხისმგებლობისგან თავის არიდების ცდები, სასურველი შესაძლებლობების საკუთარი მიზნებისთვის გამოყენება.

IV სტადია. კონფორმისტული (გვიანდელი ბავშვობა, ყრბობა). ტიპური ქცევები: კანონებისა და წესებისადმი მორჩილება, მოწონების ძიება, არმოწონების შემთხვევაში სირცხვილის გრძობა.

V სტადია. შეგნებული. სინდისის განვითარება. საკუთარი ნორმების შემუშავება, თვითკრიტიკა.

VI სტადია. ავტონომიური (ჭაბუკობა, მოწიფულობა). ტიპური ქცევები, სხვისი ავტონომიის პატივისცემა, შინაგანი კონფლიქტები.

VII სტადია. ინტეგრაციული. (მოწიფულობა) ტიპური ქცევები: შინაგანი და გარეგანი კონფლიქტების მოგვარება. საკუთარი თავის და სხვისი შეცნობის ინტეგრაცია.

რ. კევანის პიროვნების განვითარების თეორიაში გამოიყოფა ექვსი სტადია.

I სტადია. ინკოპორაციული. (ჩვილობის ასაკი) ამ ასაკში ბავშვი ერთმანეთისგან ვერ არჩევს საკუთარ თავს და სხვას.

II სტადია. იმპულსური (2-7 წელი) შეესაბამება ჯ. ლოვინგერის იმპულსურ სტადიას.

III სტადია. იმპერიული (7-12 წელი) სწრაფვა დამოუკიდებლობისაკენ და დაოსტატებისაკენ.

IV სტადია. ინტერპერსონალური სტადია. (13-19 წელი). ურთიერთობის სტრუქტურის გარდაქმნა, სქესობრივი სხვაობის გამოვლენა.

V სტადია. ინსტიტუციონალური (ადრეული მოწიფულობა) განვითარებად მე-ს ურთიერთდაკავშირებული კომპონენტების პრინციპული.

VI სტადია. ინტერინდივიდუალური (მოწიფულობა).

ჯ. ლოვინგერის პირველი და მეორე სტადია (სოციალურამდელი და იმპულსური) უპირველეს ყოვლისა გეხდება პატარა ბავშვებში. სოციალურამდელ სტადიაზე პატარები ზრუნავენ მხოლოდ საკუთარი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაზე. იმპულსურ სტადიაზე ბავშვები უკვე აღწევენ ცალკეულ თვისებათა იდენტირობას, თუმცა ძველებურად უმთავრეს ყურადღებას აქცევენ მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას. საკუთარ ქცევის ისინი აფასებენ მხოლოდ როგორც კარგს, ან ცუდს, იმის მიხედვით სჯიან, თუ ახალისებენ მათ. მათი წარმოდგენები საშყაროზე ეგოცენტრული და კონკრეტულია. როგორც ჯ. ლოვინგერი აღნიშნავს, ამ სტადიაზე ზოგიერი მოზარდი და მოზრდილიც კი ჩერდება.

მესამე სტადია განვითარების უფრო პროგრესული საფეხურია. ამ საფეხურზე ინდივიდის ეგო ხასიათდება ანგარებით. პირადი ინტერესების დაკმაყოფილების ყველა საშუალება კარგი და მისაღებია. ისინი ემორჩილებიან წესებსა და კანონებს მხოლოდ პირადი გამორჩენისა და სარგებლის შემთხვევაში.

მეოთხე სტადიას (კონფორმულს) აღამანთა უმრავლესობა აღწევს ბავშვობის ბოლოს ან ყრბობის ასაკში. ინდივიდის ეგო საკუთარი თავის შესახებ მსჯელობს გარეგნული გარემოებების მიხედვით (სიმდიდრე, სიღარიბე, სტატუსი, რეპუტაცია, გარეგნობა) და იშვიათად მიმართავს შინაგან გრძობებსა და მსჯელობებს. ინდივიდი ცდილობს სხვებმა არ განსაჯონ მათი საქციელი და როცა ამას ვერ ახერხებენ, განიცდიან სირცხვილის გრძობას.

მეზუთე, შეგნებულ სტადიაზე მოზარდები მსჯელობენ საკუთარ თავისებურებებზე, მიღწევებსა და იდეალებზე, თანატოლებისა და ავტორიტეტული პირების ნორმებზე დაყრდნობის საფუძველზე. წინა სტადიებისგან განსხვავებით, ამ სტადიაზე ადამიანები ავლენენ თვითკრიტიკას.

მეექვსე, ავტონომურ სტადიაზე ადამიანები ავლენენ მოთმინებას პარადოქსული დამოკიდებულებებისადმი. ისინი უფრო აცნობიერებენ შინაგან კონფლიქტებს პირად მოთხოვნილებებსა და იდეალებს შორის, აგრეთვე ერთი და იმავე მოვლენების საკუთარ და სხვის აქტებს შორის. მათ ახლა უფრო შეუძლიათ გაუგონ სხვებს, გამაოვლნონ მოთმინება მათი განსხვავებული აზრების მიმართ.

მეშვიდე, ინტეგრალური, სტადია მიიღწევა მაშინ, როცა ადამიანები აგვარებენ კონფლიქტებს როგორც საკუთარ თავში, ასევე სხვებთან დამოკიდებულებაში. ისინი არა მარტო ითმენენ იმ გარემოებებს, რომ სხვები მათ არ გვანან, არამედ აფასებენ კიდევ ამ სხვაობებს. ე. ლოვინგერის მიხედვით ამ სტადიას აღწევს მხოლოდ მოზრდილთა უმნიშვნელო რიცხვი.

ამრიგად, მოზარდის განვითარების გზაზე ბიოლოგიურ და კოგნიტურ მოწიფებასთან ერთად მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს სოციალური სფეროს განვითარებას. ნ. ნიუკომბი გამოყოფს მოზარდის სოციალური განვითარების ოთხ ასაქეტს: 1) ბავშვებთან შედარებით უფრო მეტი ავტონომიის მისაღწევად მოზარდები ცდილობენ მშობლებთან ურთიერთობას. როცა მოზარდის წარმოდგენები და შეხედულებები მშობლებისას არ ემთხვევა, იწყება კონფლიქტები.

2) მოზარდები ახლა ძალიან ბევრ დროს უთმობენ მეგობრებს

3) მოზარდები ახლა მკაფიოდ საზღვრავენ იმას, თუ რას წარმოადგენენ, როგორც პიროვნებები

4) მოზარდებს უვითარდებათ მორალური საკითხებისადმი საუფროსო მიდგომის ფორმები, საკუთარი აზრი რელიგიური და პოლიტიკური პრობლემების შესახებ.

ზნეობრივი მრწამსის ჩამოყალიბებასთან და ზნეობრივ ცნობიერებასთან მჭიდრო კავშირშია ზნეობრივი იდეალები, რომლებიც სწორედ გარდამავალ ასაკში ყალიბდება.

მოზარდის ზნეობრივ-ფსიქოლოგიური იდეალი არა მარტო მის მიერ შეთვისებული ობიექტური ეთიკური კატეგორიაა, არამედ ესაა მოზარდის მიერ შინაგანად მადებული ემოციონალურად შეფერილი ხატი, რომელიც მისი ქცევის რეგულატორი და სხვა ადამიანთა ქცევის შეფასების კრიტერიუმი ხდება.

იდეალი არის პიროვნების თვითაღზრდის ერთ-ერთი მთავარი მოტივი. ზნეობრივ იდეალში კონცენტრირებულადაა წარმოდგენილი მოზარდის მრწამსი და მისი ცხოვრებისეული პოზიცია. ცხოვრების იდეალი ესაა ძირითადი და უძალესი მოტივი, რითაც ხელმძღვანელობს პიროვნება აწმყოში, და რომელიც მისი მომავალი ცხოვრების გეგმებსაც განსაზღვრავს. იდეალის ჩამოყალიბება მოზარდის პიროვნების განვითარების მაღალ დონეს გულისხმობს. იდეალების ჩამოყალიბებაზე უდიდეს გავლენას ახდენს სკოლა, მშობლები, მხატვრული ლიტერატურის კითხვა, ხელოვნების ნიმუშების გაცნობა, სპორტი და სხვა.

მოზარდების იდეალები ვლინდება ორი ძირითადი ფორმით: 1) უმცროს მოზარდებთან იდეალად გვეკლინება რომელიმე კონკრეტული ადამიანის ხატი,

რომელშიც მოზარდი ხედავს სიმაძაქეს, გამბედაობას, ძალას, მიზანმიმართულებას, შრომისმოყვარეობას, ნებისყოფას და სხვა მრავალ თვისებას. ეს ხატი ხშირად კონკრეტდება მასწავლებლებში, მშობლებში, ახლო ნათესავებში, ამხანაგებში, მხატვრული ლიტერატურისა და კინოს გმირებში, გამოჩენილ სპორტსმენებში. ასაკის წინსვლასთან ერთად ხდება ცვლილება ახლობელი ადამიანის ხატიდან ისეთი ადამიანებისაკენ, რომლებსაც მოზარდები არ იცნობენ და მათთან ურთიერთობას არ ამყარებენ.

უმცროს მოზარდებში კონკრეტული იდეალების შინაგანი სტრუქტურა მნიშვნელოვნად იცვლება. ის ადამიანი, რომელიც იდეალად გვევლინება, ხშირად აღიქმება იმ სიტუაციაში, რომელშიც იგი მოქმედებს. ეს სიტუაციური ხატებია, რომლებიც ძირითადად მეოთხე და მეხუთეკლასელებისთვისაა დამახასიათებელი. ამ ასაკის ბავშვებს არჩეული იდეალი მოსწონთ მთლიანობაში, მთელი მისი ინდივიდუალური მრავალფეროვნებით. ბევრი მოზარდი ჯერ კიდევ ვერ არჩევს მის მიერ არჩეულ იდეალს და ნიმუშში რა არის კარგი, და რა – ცუდი. ესაა, უპირველეს ყოვლისა, ნიმუშისა და იდეალის მიმართ ემოციური დამოკიდებულება. იდეალის ასეთი დაუნაწევრებელი, გლობალური ხასიათი, დაკავშირებულია მდგომარეობასთან და სიტუაციასთან. ასაკის წინსვლასთან ერთად ხატ-იდეალის ასეთი გლობალური ხასიათი ქრება და იწყება ცალკეული თვისებების გამოყოფა.

2) უფროსი მოზარდები თავიანთი იდეალების მიმართ უფრო მომთხოვნი და კრიტიკულნი არიან. ისინი უკვე აცნობიერებენ, რომ მათი ნაცნობები, თუნდაც საპატივცემულო და საყვარელი ადამიანები, ჩვეულებრივი ადამიანები არიან. მართალია ისინი დაფასებასა და პატივისცემას ნამდვილად იმსახურებენ, მაგრამ სულაც არ არიან იდეალური. ამიტომ 13-14 წლის ასაკში იწყება იდეალების ძიება ახლო ნათესავების ფარგლებს გარეთ.

უფროს მოზარდებთან კონკრეტული ადამიანის ხატებთან ერთად იდეალად გვევლინება განზოგადებული ხატები, როგორც იდეალურ თვისებათა ერთობლიობა. ეს დაკავშირებულია მოზარდის უნართან გამოყოს პიროვნების რომელიმე თვისება და განაზოგადოს იგი. იდეალის არჩევის საფუძველია ზნეობრივი თვისებები. უმცროსი მოზარდისათვის, როგორც ვნახეთ, ესაა თვალში საცემი გარეგნული თვისებები, ხოლო უფროსი მოზარდებისათვის – სიკეთე, სამშობლოს სიყვარული, პატრიოტიზმი და ა.შ.

უფროსი მოზარდების თავისებურება ისაა, რომ მათი არჩეული იდეალი უფრო და უფრო ხდება შეგნებული მიბაძვის ნიმუში. თუმცა ეს თვისება თავის სრულყოფას უფროსს სასკოლო ასაკში აღწევს, ახლაც ხშირია მისი გამოვლენის ნიშნები. თუ უმცროსი მოზარდები ადამიანის კონკრეტულ ქცევებს ბაძავენ, უფროსი მოზარდები ცდილობენ თავიანთ თავში გამოიძეოთ პიროვნების ისეთი თვისებები, რომლებიც, მათ იტაცებს იდეალურ ფორმაში. ასაკის წინსვლასთან ერთად მოზარდი სულ უფრო სერიოზულად ეკიდება იდეალის არჩევას. უმცროსი მოზარდები იდეალებს ირჩევენ სწრაფად, ზედაპირულად და დაუფიქრებლად. კი. უფროს მოზარდებში კი იდეალების არჩევას წინ უსწრებს სერიოზული დაფიქრება, მრავალმხრივი გაცნობის ცდები და ა.შ. ზანდაზან უფროსი მოზარდებიც

ცდებიან იდეალების არჩევაში. მათ ხშირად იტაცებთ ადამიანის ქცევის გარეგნული მხარეები, რის გამოც, ზოგჯერ იდეალად უარყოფით პიროვნებებსაც ირჩევენ.

იდეალების არჩევაში მოზარდებისათვის დახმარების აღმოჩენაცაა შესაძლებელი. მოუხდევად იმისა, რომ ისინი ამაზე მტკიცე უარს აცხადებენ, მათ ფაქიზად უნდა მოეპოვოთ თავიდან არასწორი და მცდარი იდეალები. მასწავლებლები და მშობლები უნდა ცდილობდნენ რომ მოზარდთა იდეალები იყოს ქმედითი. არ კმარა, რომ მოზარდი აღფრთოვანებული იყოს სხვისი კეთილი საქმეებით, არამედ საჭიროა მან ასეთი თვისებები საკუთარ თავში აღზარდოს. იდეალებისადმი აქტიური მიბაძვა მოზარდებში მისწრაფებად და მოთხოვნილებად უნდა გადავაქციოთ.

ამრიგად, იდეალის საფუძველია ზნეობრივი თვისებები. უმცროსი მოზარდისათვის ასეთი საფუძველია ნებისყოფა და სიმამაცის ნათელი, გმირული მხარეები. უფროსი მოზარდისათვის, კი ის ადამიანური თვისებები, რომლებიც გამოხატავენ სხვა ადამიანებთან დამოკიდებულებას, ესაა სამართლიანობა, თავმდაბლობა, სიკეთე და ა.შ.

უფროსი მოზარდების იდეალები მნიშვნელოვნად უფრო განზოგადებული და აბსტრაქტულია. ამ ასაკის მოზარდები უკვე პიროვნების ცალკეული თვისებების განზოგადებას ახდენენ არა მარტო კონკრეტული სიტუაციიდან, არამედ კონკრეტული პიროვნებიდანაც კი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პირველ ხანებში დიფერენცირებული ცალკეული თვისებებიც ხანდახან სიტუაციურ ხასიათს ატარებს. მეზუთე-მეექვსე კლასებში მოზარდის მიერ გამოყოფილი თვისებები უშეტესად მიეკუთვნება რომელიმე კონკრეტულ ადამიანს, ხოლო მერვე კლასში უკვე ჩნდება აბსტრაქტულ-სინთეზური ხატები.

ამრიგად, გარდამავალი ასაკის ზნეობრივი იდეალები უფრო განზოგადებული ხდება და ღებულობს შეგნებული მიბაძვის ფორმას.

მოზარდების იდეალები ნათლად ვლინდება მათ ღირებულებით ორიენტაციებში, ქცევის მოტივებსა და მიზნებში. ღირებულებითი ორიენტაციები პიროვნების სტრუქტურის მნიშვნელოვანი კომპონენტებია.

ადამიანის იდეალი არის ის ნიშეში, რომელიც გადამწყვეტ გავლენას ახდენს მისი პიროვნების განვითარებაზე ონტოგენეზში, მნიშვნელოვნად განსაზღვრავს მის მიმართულებასა და ზნეობრივ-ფსიქოლოგიურ თავისებურებებს. მოზარდები უკვე იდეალების მიხედვით იქცევიან, რაც მათი პიროვნების განვითარების მნიშვნელოვანი ფაქტორია.

აღზრდის პროცესის ფსიქოლოგიური ანალიზის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ მოზარდებთან დადებითი ზნეობრივი იდეალების აღმოცენება საერთოდ აღზრდის აუცილებელი და გადამწყვეტი პირობაა. უარყოფითი იდეალების აღმოცენება კი სააღმზრდელო პროცესს დიდ დაბრკოლებას უქმნის, რადგან ასეთ შემთხვევებში მოზარდი უფროსების მოთხოვნებს არ ასრულებს იმის გამო, რომ ისინი იდეალებში არსებულ მოთხოვნებს არ ემთხვევა.

ამრიგად იდეალების განვითარებაში შეიძლება გამოვყოთ სამი ეტაპი:

ა) წინასწარი ეტაპი. ადრეული ბავშვობიდან დაწყებული უფროსებთან ურთიერთობის პროცესში და ცალკეულ ცხოვრებისეული პრაქტიკული

გამოცდილების კვალობაზე ბავშვს უშუალოდ გარკვეული ორიენტაცია და დამოკიდებულება იმის შესახებ, თუ რა არის კარგი და რა ცუდი, როგორც უნდა მოიქცეს და როგორც არ უნდა მოიქცეს იგი, რაც იდეალების განვითარების აუცილებელი წინამძღვარია.

ბ) გაცნობიერებელი, უშუალო იდეალების ეტაპი. ბავშვის ბერო მოთხოვნილება და ინტერესი, რომელიც მას უყალიბდება ცხოვრებისეული გამოცდილების საფუძველზე, ხორციელდება კონკრეტულ ადამიანთა ქცევებში, რაც ბავშვებში მიბაძვის მისწრაფებას ბადებს. ეს მდგომარეობა ხშირად არც ცნობიერდება. ამ ასაკში არაა გამორიცხული, რომ ბავშვის დადებით ემოციებს შეიძლება რომელიმე კონკრეტულ ადამიანის უარყოფითი თვისებებიც იწვევდეს. ასე, რომ უშუალო იდეალები, მოზარდზე ორგვარ (დადებით და უარყოფით) გავლენას ახდენს. უშუალო იდეალები არაა მუდმივი. გაცნობიერებისა და ცხოვრებისეული გამოცდილების გავლენით ისინი იცვლებიან. ამავე დროს დიდი მნიშვნელობა აქვს ემოციების გავლენით უნებლიე და გაუცნობიერებელ განზოგადებებსაც.

გ) გაცნობიერებელი იდეალების ეტაპი. ეს ეტაპი დაკავშირებულია მოზარდის პიროვნების ზოგად განვითარებასთან. გაცნობიერებულ და შეთვისებულ ღირებულებათა სისტემის საფუძველზე მოზარდი ცდილობს შეგნებულად აირჩიოს ნიშნები, იდეალი და მიბაძოს მას, ნებელობითი ძალისხმევით დაამუხროჭოს უშუალო მოტივები, რომლებიც მოზარდის მიღებულ იდეალებს არ შეესაბამება. ეს იდეალების განვითარების უმაღლესი ეტაპია და ყველა მოზარდი ამ დონემდე, სამწუხაროდ, ვერ აღის.

გარდამავალი ასაკი შემეცნებითი მოტივების განვითარების სენზიტიური ასაკია. ამ ასაკში არსებითად მტკიცდება სასწავლო-შემეცნებითი მოტივებისც, რომელთათვისაც დამახასიათებელია ცოდნის მიღების ხერხებისადმი ინტერესი. ამ მოტივთა საფუძველია მოწიფულობის გრძობა, დიდობის მოთხოვნილება. მოზარდებს ძალიან მოსწონთ ცოდნის მიღების დამოუკიდებელი ხერხები და გზები. მათ გაკეთილური ფორმა, ამ თვალსაზრისით, უკვე არასაკმარისად მაჩნიათ. ცოდნის დამოუკიდებლად შეთვისება ამ ასაკის მოზარდთა დიდი სიამაყეა. ამასთანავე, მოზარდთა უმრავლესობა მოტივთა ამ სახეს ძალიან ძნელად აცნობიერებს. მოზარდები თვლიან, რომ მათთვის უფრო მთავარია ახალი ცოდნის ათვისება, ხოლო ცოდნის მოპოვების სხვადასხვა მოტივთა შეფასება მეორეხარისხოვანი საქმეა.

გარდამავალ ასაკში ვითარდება აგრეთვე თვითგანათლების მოტივიც. თუ უმცროსკლასელებს ეს მოტივები უმეტესწილად გამოხატული აქვთ განუსაზღვრელად და ვლინდება მხოლოდ დამატებითი ლიტერატურის კითხვაში, მოზარდებში ეს მოთხოვნა იღვწის ვითარდება ინტენსიურად. თვითგანათლების მიზნები უფრო კონკრეტული ხდება. ხშირად, პირველ პლანზე გამოდის უახლესი მიზნები, – გამოცდების ჩაბარება პროფესიის არჩევის პერსპექტივის გარეშე. თუ უმცროს სასკოლო ასაკში უფრო ინტენსიურად ვითარდება შემეცნებითი მოტივები, გარდამავალ ასაკში წინა პლანზე სოციალური მოტივები გამოდის. სწავლების პროცესში და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მოზარდებს უვითარდებათ მაღალი

ზნობრივი ღირებულებები, იდეალები, სწავლითი ქცევის ღირებულება და აზრი. გარდამავალ ასაკში მოზარდი უკვე ინტერესდება ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრებით.

მოზარდს სოციალურ მოტივებთან ერთად უყალიბდება სოციალური თვითცნობიერება. სკოლაში და კლასში მისი სოციალური ადგილისა და როლის გაცნობიერება. თვითცნობიერების განვითარება, რომელიც, როგორც ვნახეთ, გარდამავალ ასაკში დიდი აზმულობით მიმდინარეობს, მოიცავს აგრეთვე მოტივებსაც. მოზარდი ღვება საკუთარი მოტივაციის გაცნობიერების წინაშე. პირველ ხანებში მისი მოტივაციისა და მიზნების გაცნობიერება მიმდინარეობს თანატოლთა მოტივებისა და მიზნების დაპირისპირების საფუძველზე. ამიტომ ამ ასაკში მუშაობის კოლექტიური და ჯგუფური ფორმები ძალიან ნაყოფიერია.

გარდამავალ ასაკში სწავლის ინტერესების დაქვეითებას შრავალი მიზეზი აქვს. ერთ-ერთი მთავარი მიზეზია მასწავლებლის მიერ სოციალური მოტივების გაუთვალისწინებლობა, როცა მოზარდს არ უცნობიერებენ სწავლის სოციალურ-ღირებულებით კავშირებს სხვა საქმიანობასთან, როცა სწავლის პროცესში არ კმაყოფილდება მოზარდის სპეციფიკური მისწრაფება მოწიფულობისა და დამოუკიდებლობისაკენ. სასწავლო-შეშეცნებითი მოტივების არასაკმარისი განვითარებაც, ხშირად, სწავლის ინტერესების დაქვეითების მიზეზი ხდება. მოზარდობის ასაკში სწავლის მოტივაციის რეზერვების მობილიზაცია მოსწავლეთა შემდგომი განვითარებისა და წინსვლის საწინდარია.

მოტივები არის ადამიანის ქცევის განსაკუთრებული აღმძვრელები. მოტივების როლს შეიძლება ასრულებდეს გარესსამყაროს საგნები, წარმოდგენები, იდეები, გრძნობები და განცდები. ადამიანის ტიპური მოტივებია: მორალური გრძნობები, შეგნებულად დასახული მიზანი, განზრახვა. ასეთი მოტივები აღმოცენდება მაშინ, როცა მოთხოვნების დაკმაყოფილება პირდაპირ და უშუალოდ არ ხდება, არამედ მოითხოვს შუა რგოლების ჩართვას, რომელთაც საკუთარი აღმძვრელი ძალა არ აქვთ. ამ შემთხვევაში პიროვნება განიზრახავს, საკუთარი თავის წინაშე სახავს მიზანს. ისეთი მოტივები, როგორცაა განზრახვა და მიზანი, თავის აღმძვრელ ძალას იღებენ იმ მოთხოვნებიდან, რომელთა დაკმაყოფილების რგოლიც არიან ისინი.

ყველა მოტივს მოზარდისათვის ერთნაირი აღმძვრელი ძალა არა აქვს. ზოგიერთი მოტივი ძირითადი, წამყვანი და განმსაზღვრელია, ხოლო ზოგიერთი კი — მეორეხარისხოვანი და თანშეზღბება, რომელსაც დამოუკიდებელი მნიშვნელობა არ აქვს. ასეთი მოტივები ყოველთვის ეპორჩილებიან და ექვემდებარებიან ძირითად, წამყვან მოტივებს. ერთ შემთხვევაში ასეთი წამყვანი და ძირითადი მოტივი შეიძლება იყოს ფრიადონისობა, სხვა შემთხვევაში — უმაღლესი განათლების მიღება, ხოლო ზოგჯერ — თვით ცოდნისადმი ინტერესი. ამ მოტივებს ყოფენ ორ კატეგორიად.

ა) მოტივთა ჯგუფი, რომელიც დაკავშირებულია თვით სასწავლო პროცესის შინაარსთან და ბ) მოზარდის გარესსამყაროსთან ურთიერთდამოკიდებულებასთან. პირველ ჯგუფს მიეკუთვნება შეშეცნებითი ინტერესი, ინტელექტუალური აქტივობის

მოთხოვნილება, ცოდნა-ჩვევები, ზოლო მეორე ჯგუფს მიეკუთვნება ისეთი მოტივები, რომლებიც დაკავშირებულია მოზარდის სხვა ადამიანებთან ურთიერთობის მოთხოვნილებებთან, მათ შეფასებასთან და მოწინააღმდეგეობასთან, მოზარდის სურვილთან, დაიკავოს განსაზღვრული ადგილი. მოტივთა ორივე ჯგუფი აუცილებელია არა მარტო სასწავლო ქვეყის, არამედ ყოველგვარი ქვეყის განხორციელებისათვის.

გარდამავალ ასაკში სოციალური მოტივები იცვლება. ამ ჯგუფის მოტივებთან წამყვან მდგომარეობას იკავებს მოსწავლეთა სწრაფვა დაიკავონ საკუთარი ადგილი ტოლების კოლექტივში. არსებითად იცვლება აგრეთვე ის მოტივები, რომლებიც დაკავშირებულია თვით სასწავლო პროცესთან. მათი განვითარება მიმდინარეობს შემდეგი მიმართულებით: ჯერ ერთი, კონკრეტული ფაქტორისადმი ინტერესი მოზარდების თვალსაწიერის გაფართოებასთან დაკავშირებით უკანა პლანზე გადადის. იგი ადგილს უთმობს საგნებისა და მოვლენების კანონზომიერებებს. ამ ასაკის მოსწავლეთა ინტერესები ხდება უფრო მდგრადი. ისინი ღიფერენცირდებიან ცოდნის სხვადასხვა სფეროების მიმართ და ღებულობენ პიროვნულ ხასიათს, რაც იმაში გამოიხატება, რომ ინტერესი ეპიზოდური კი არა, არამედ სიტუაციისაგან დამოუკიდებლად ბავშვის მდგრადი თვისება ხდება.

დაბოლოს უნდა აღინიშნოს, რომ ყოველი დაკმაყოფილებული მოთხოვნილება ბაღებს სხვა მოთხოვნილებებს და ბავშვის ცოდნა უფრო და უფრო მდიდრდება. ამრიგად, მოზარდის მოტივატიური სფეროს განვითარება ხასიათდება დომინირებული შინაარსიანი მოტივების ცვლით, გაშუალებული მოთხოვნილებების როლის ზრდით და მათი იერარქიის დასაწყისით. ასაკის წინსვლასთან ერთად იზრდება აგრეთვე მოტივატიური სტრუქტურა, სიმპტიკე და მდგრადობა, რაც ბავშვის ქცევასა და განვითარებაში დომინირებული მოტივების როლს ზრდის. ბავშვის მოტივების ხასიათი დამოკიდებულია მის ბიოგრაფიაზე და აღზრდაზე. მოზარდის მყარი მოტივები ღებულობენ წამყვან მნიშვნელობას და იმორჩილებენ სხვა მოტივებს. ძალიან თავისებურია ძნელი და სამართალდამრღვევ მოზარდთა მოტივატიური სფერო. მათ მოტივატიურ სფეროში დომინირებს დაბალი მოტივები, რომელთაც უმაღლესი მორალური მოტივები სისუსტის გამო წინააღმდეგობას ვერ უწევენ. ასეთ მოზარდებს ძალიან აქვთ გამოხატული ასოციალური მისწრაფებები. ამასთანავე, მათთვის დამახასიათებელია ინტელექტუალური და, საერთოდ, მაღალი ინტერესების სიღარიბე. ამ თვალსაზრისით სამართალდამრღვევი მოზარდები მკვეთრად განსხვავდებიან ნორმალური მოზარდებისაგან, რომელთა ზნეობრივი მოტივები წარმოადგენენ ქცევის რეგულატორს, ზოლო მაღალი ინტერესები და მოთხოვნილებები გაცილებით მდიდარი და მრავალფეროვანია. სამართალდამრღვევ მოზარდთა დიდი ნაწილის პრიმიტიული მოთხოვნილებანი რთულ დამოკიდებულებაშია მათ ზნეობრივ ტენდენციებთან, რის შედეგადაც აღმოცენდება შინაგანი უკმაყოფილება. ასეთ მოზარდებს აქვთ, გარკვეული ზნეობრივი ტენდენციები, რომლებიც კონფლიქტში მოდიან იმ მისწრაფებებთან, რომლებიც მათ დანაშაულისაკენ უბიძგებს, მაგრამ მათი მორალური სიმწიფის დონე ისეთი დაბალია, რომ ასოციალურ ქცევას ვერ აკავებენ. ესენი „კონფლიქტიანი“ დამნაშავეებია, ზოლო „უკონფლიქტო“

დამნაშავეებისათვის დამახასიათებელია ის, რომ პრიმიტიული მოთხოვნნილებებისა და დაბალი მორალური ტენდენციების გამო მათი დანაშაული „უკონფლიქტოდ“ მიმდინარეობს. შემდეგ ჯგუფს შეადგენს ე.წ. „ცინიკოსები“, რომელთათვისაც დამახასიათებელია ჩამოყალიბებული ამორალური მრწამსი, ძლიერი პრიმიტიული ანტიისაზოგადოებრივი მოთხოვნნილებები და აგრესიული ზრახვები.

გარდამავალ ასაკში გამოყოფენ სწავლის დადებითი და უარყოფითი მოტივაციის თავისებურებებს. ამ ასაკის მოზარდთა მოტივაციის ხელშემწყობი თავისებურებებია:

ა) მოწიფულობის მოთხოვნილება, როცა ბავშვებს სურვილი აქვთ, რომ მათ აღარ თვლიდნენ ბავშვებად, მიისწრაფიან დაიკავონ ახალი ცხოვრებისეული პოზიცია სამყაროსადმი, სხვა ადამიანებისადმი, საკუთარი თავისადმი;

ბ) მოზარდის საერთო აქტიურობა, უფროსებთან და თანატოლებთან სხვადასხვა ქცევებში ჩართვისთვის მზაობა;

გ) სხვა ადამიანთა აზრის საფუძველზე (თანატოლი, მშობელი, მასწავლებელი) საკუთარი თავის, როგორც პიროვნების, გაცნობიერების სურვილი, საკუთარი თავის შეფასების სურვილი სხვა ადამიანთა მოთხოვნებისა და საკუთარი თვითდამკვიდრების მოთხოვნის საფუძველზე.

დ) მოზარდის დამოუკიდებლობისაკენ სწრაფვა.

ე) ინტერესებისა და საერთოდ თვალსაწიერის გაფართოება, მყარი ინტერესების ჩამოყალიბება.

ვ) ამ თვისებათა საფუძველზე მოზარდის სპეციალური უნარების განვითარება (მუსიკალური, ლიტერატურული, ტექნიკური...).

ნეგატიური მოტივაციის აღმოცენების ძირითადი მიზეზებია:

ა) მოზარდის მიერ საკუთარი თავისა და სხვა ადამიანების შეფასების არასრულყოფილება, რომელსაც ადამიანებთან ურთიერთობის გართულებამდე მივყვართ: მოზარდს არ სჯერა მასწავლებლის შეფასება, ვითარდება ნეგატივიზმი და უფროსებთან კონფლიქტები;

ბ) მოზარდების მისწრაფება დამოუკიდებლობისაკენ იწვევს მათ უარყოფით დამოკიდებულებას მზამზარეული ცოდნისადმი, მარტივი და ადვილი შეკითხვებისადმი, მასწავლებელთა მუშაობის იმ მეთოდებისადმი, რომელიც დაწყებით კლასებში გამოიყენებოდა.

გ) სასწავლო საგნების შორის კავშირების გაუგებრობა, რაც აქვეითებს სწავლისადმი დადებით დამოკიდებულებას

დ) ცალკეულ საგანთა მიმართ არჩევითი დამოკიდებულება. ერთი საგნის მიმართ სიმპატიები იწვევს სხვა საგნების მიმართ ანტიპატიას.

ე) ინტერესთა ხშირი ცვლა.

მოზარდის ინტერესები. მოზარდთა ინტერესების განვითარებაში გამოიყოფა შემდეგი მომენტები. უმცროსკლასელებთან შედარებით მოზარდის ინტერესები უფრო მრავალმხრივი და ფართო ხდება. ყალიბდება ახალი ინტერესებიც: შემოქცნებითი, საზოგადოებრივ-პოლიტიკური, შრომითი და სპორტული. ეს აიხსნება მოზარდის ზოგადი აქტივობისა და ცხოვრებისეული გამოცდილების ზრდით.

მოზარდის ინტერესი ხდება უფრო გაცნობიერებული, რაზედაც მეტწილად გაშუალებული პროფესიული ინტერესების აღმოცენების ფაქტი. კითხვის ინტერესი დიდი სტიმულია მოზარდის განვითარებისათვის, იგი უზრუნველყოფს მის თვითცნობიერების განვითარებას, ცხოვრებისათვის მომზადებას.

გარდამავალ ასაკში საბავშვებზე მუშაობის წარმატება დიდადაა დამოკიდებული მოზარდთა ინტერესების მიმართულებაზე. მეცნიერებათა საფუძვლების შესწავლა მოზარდს უფართოებს თვალსაწიერს და ამის საფუძველზე ძალზე იზრდება მისი ინტერესების სფერო. უმცროსკლასელთა ინტერესების სფერო შედარებით ვიწროა. იგი მათი ცხოვრების კონკრეტულ შინაარსს უკავშირდება. მოზარდებს კი უყალიბდებათ და უვითარდებათ შემეცნებითი და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ინტერესები. უმცროსკლასელებთან შედარებით მოზარდების ინტერესები უფრო გამძლეობით ხასიათდება. მიუხედავად იმისა, რომ მოზარდს ინტერესების ხშირი ცვლა ახასიათებს, რომელიმე ინტერესი მას ხანდახან მთელი სასკოლო პერიოდის განმავლობაში უნარჩუნდება. მოზარდები დიდ სურვილს ამჟღავნებენ ჩაეწვიონ რამდენიმე წრეში. ან კიდევ ხშირად იცვლიან წრეებს. ამ ასაკის მოზარდთა ინტერესები უფრო გაცნობიერებულია უმცროსკლასელებთან შედარებით. ამასთან დაკავშირებით ყალიბდება გაშუალებული ინტერესებიც. მოზარდი იწყებს დიდი ინტერესით ისეთი საქმის კეთებას, რაც აქამდე უინტერესოდ და მოსაწყენად ეჩვენებოდა, თუ ამას აქვს დამოკიდებულება და მიმართება მისი ინტერესის ობიექტისადმი. მოზარდის ინტერესი გამოირჩევა დიდი აქტივობით, იგი ქმედითაა. მოზარდის ცდილობს თავისი ინტერესები მოქმედებაში მოიყვანოს. იგი არა მხოლოდ ინტერესდება ტექნიკით, არამედ აკეთებს მოდელებსა და ხელსაწყოებს.

მოზარდთა ინტერესთა საგანძურში მნიშვნელოვან ადგილს იჭერს შემეცნებითი ინტერესები, რომლებიც ვითარდებიან მეცნიერებათა საფუძვლების შესწავლის პროცესში. უმცროსკლასელთა სასწავლო ინტერესებისგან განსხვავებით მოზარდის შემეცნებითი ინტერესები განისაზღვრება ცოდნის შინაარსით. სწავლების პროცესში ჩამოყალიბებული ინტერესები ახალი ცოდნის მოპოვების მნიშვნელოვან მოტივებად იქცევა. მოზარდობის ასაკში შემეცნებითი ინტერესი სასკოლო პროგრამას სცილდება. ამ ასაკში იწყება მეცნიერულ-პრაქტიკული ლიტერატურის კითხვა. სხვადასხვა საგნებისადმი მოზარდების ინტერესების გაფართოებისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს ამ საგნებში მოსწავლეთა წარმატებებს ან წარუმატებლობას. წარმატებები დაკავშირებულია სასახარულო განცდებთან და დიდად უწყობს ხელს ინტერესთა გაღვივებას, ხოლო წარუმატებლობა პირიქით, – აჭკითებს ინტერესებს.

გარდამავალ ასაკში ინტენსიურად ვითარდება კითხვის ინტერესები. მოზარდებს წიგნებში აინტერესებთ ნათელი, სახალისო სიუჟეტები, დაძაბული და დინამიკური მოქმედებები. მოზარდები დიდი ხალისით კითხულობენ დეტექტიურ და სათავგადასავლო ლიტერატურას. ამასთან ერთად, მათ იტაცებთ აგრეთვე მეცნიერული ფანტასტიკის სფეროც. ხშირია შემხთვისებლები, როცა მოზარდებში

კითხვა ვნების ფორმას ღებულობს (როცა მოზარდი უსისტემოდ კითხულობს ერთი მეორეზე მოყოლებულ ბევრ წიგნს).

მოზარდთა ერთ-ერთი ძლიერი ინტერესია სპორტული ინტერესი. ამ ასაკში, როგორც ვნახეთ დიდი პატივისცემით სარგებლობს ძალა და მოჭილობა, რომელსაც სპორტში დიდი გაქანება და სარბიელი აქვს.

ზასიათი. გარდამავალ ასაკში იწყება ზასიათის ნიშნების ჩამოყალიბება და განმტკიცება. ადამიანის მომავალი ზასიათის კონტურები ჯერ კიდევ სკოლაშედიდ ასაკში იწყება. ზასიათის ინტენსიური ჩამოყალიბების ასაკია ადრეული ჭბატუკობის პერიოდი. გარდამავალი ასაკი ის ასაკია, სადაც ზასიათის ჩამოყალიბება განვითარების ზოგად პროცესში მნიშვნელოვან ადგილს იჭერს. მოზარდებისთვის დამაზასიათებელია ცხოველმყოფელობა, სასიცოცხლო ძალების დიდი აღმავლობა, აწეული ავზნებადობა, ზასიათის გაუწონასწორებლობა, ოპტიმიზმი და გუნება-განწყობილებათა ხშირი ცვლა.

მოზარდობის ასაკის მნიშვნელოვანი მონაპოვარია ზასიათის ნებელობითი ნიშნების ჩამოყალიბება. მოზარდს სასწავლო და შრომით საქმიანობაში სჭირდება შეგნებულად დასმულ ამოცანებზე ხანგრძლივი მეთვალყურეობა, დაბრკოლებათა გადალახვა, ქვეყის რეგულაცია. ზასიათის ნებელობითი ნიშნები უფრო სრულყოფილ დონეს უფროს სასკოლო ასაკში აღწევს. როგორც აღვნიშნეთ, უმცროსკლასელთა წინაშე ნებელობით ამოცანებს სხვები, უფროსები სახავენ. მოზარდი კი თვითონ სვამს ამოცანებს საკუთარი თავის წინაშე, თვითონ სახავს მიზნებს, გეგმავს საკუთარ მოქმედებებს და მის მისაღწევად იჩენს გამძლეობასა და მიზანსწრაფულობას.

დაბოლოს, საინტერესოა იმ ზოგადი ასაკობრივი ფსიქოლოგიური და პიროვნული ნიშნების გამოყოფა, რითაც უმცროსი და უფროსი მოზარდები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან.

ამრიგად: უმცროს მოზარდებს ახასიათებთ: თანატოლთა კოლექტივსა და ოჯახში შესაყერისი მდგომარეობის დაკავების მოთხოვნილება, ადვილი დადღაღობა, ერთგული ამზანაგის შექენის სწრაფვა, საკლასო კოლექტივსა და მცირე ჯგუფში იზოლაციაში მოხვედრის შიში, კლასში „ძალთა შეფარდების“ საკითხისადმი დიდი ინტერესი, ყოველგვარი ბეჭურობისაგან გამოჯენა, პირველი შთაბეჭდილების გამძლეობა და სიმყარე, დაუსაბუთებელი აკრძავლებისადმი ზიზღი, საკუთარ შესაძლებლობათა გადაფასება, მარცხისა და წარუმატებლობის მიმართ ადამტაციის უქონლობა, ოცნების ტენდენცია, აშკარად გამოხატული ემოციურობა, სიტყვისა და საქმის შესატყვისობის, შესაბამისობის მოთხოვნა, ინტერესი სპორტისადმი.

უმცროსი მოზარდი გოგონებისთვის დამაზასიათებელია ის, რომ ისინი, ბიჭებზე უფრო იშვიათად მიმართავენ ნეგატივიზმს, უფრო იშვიათად თვითნებობენ, უფრო ხალისით ასრულებენ მასწავლებლის დავალებებს, ბიჭებზე უფრო მეტად მალავენ საკუთარ გაცნობიერებულ ნაკლს, თვითდამკვიდრებისათვის უფრო იშვიათად მიმართავენ ჯოტობას, ბიჭებზე უფრო მეტად ცდილობენ სწავლითა და აკადემიური წარმატებებით თავის მოწინებას, ძალიან მგრძობობიარენი არიან ადამიანთა სქესობრივი ნიშნის მიხედვით დაყოფის მიმართ, ბიჭებზე უფრო შესაბამისად

აფასებენ არა მარტო სხვის, არამედ საკუთარ ნაკლსაც, არ აჭარბებენ საკუთარი თავის შეფასებაში, არ თამაშობენ „კლასის მასხარის“ როლს, ძალიან ემოციურები არიან, ძალზე მტკივნეულად განიცდიან თავიანთ მოუქნელობას, ბიჭებზე უფრო შემსრულებლები არიან, მინდობილი საქმისადმი აქვთ მეტი პასუხისმგებლობის გრძობა.

უფროსი მოზარდების ასაკობრივ-ფისქოლოგიური და პიროვნული თავისებურებანი: ენერგეტიკული განმუხტვის მოთხოვნილება, თვითაღზრდის მოთხოვნილება, მიბაძვის ობიექტის აქტიური ძიება, იდეალისადმი აქტიური მიბაძვა, სექსუალურ გაცდათა სამყაროს აღმოჩენა, სქესობრივი ცნობისმოყვარეობა, ინტერესი უფროსების ინტიმური სამყაროსადმი, საკუთარ ინტიმურ სამყაროში შეღწევისადმი წინააღმდეგობა, ჭეშმარიტებისა და სამართლიანობის ღირებულების ცნობიერება, სიცრუისა და ტყუილისადმი ფსიქოლოგიური ბარიერები, კრიტიკულობა, უკომპრომიზობა, ავტონომიის მოთხოვნილება, ავტონომიის ძიება, როგორც საკლასო კოლექტივში, ასევე მცირე ჯგუფებში, მზრუნველობისადმი ზისლი, დამსახურებული შექებისადმი ადაპტაცია, ადაპტაცია წარუმატებლობის მიმართ, დამოუკიდებლობის ღირებულების შექმნა, ხასიათისა და თვითცნობიერების ზშირი რხევები, საკუთარი და სხვისი პიროვნების თვისებების მიმართ ინტერესი, უფროსებთან გათანაბრების ტენდენცია, პაპულარობის მოთხოვნილება, ზნეობრივი სტერეოტიპების სიმყარე, სიმპათიისა და ანტიპათიის საფუძვლეზე გარშემოცოფვებთან ურთიერთობის დამყარების მოთხოვნილება, პირველი შთაბეჭდილებების სიმყარისა და სიმტკიცის შესუსტება და გაქრობა, დაუსაბუთებელი აკრძალვის მოუღებლობა, მგრძობიარობა სიკეთის მიმართ.

უფროსი მოზარდი გოგონების თავისებურებები: მენსტრუაციის დასაწყისი, „ქალის პოზიციიდან“ სქესის გრძობის საბოლოო ჩამოყალიბება, მოწონების მოთხოვნილების ჩასახვა, ბიჭების ყურადღებისადმი დადებითი რეაქციები, გმირის ძიება, სექსუალურად შეფერილი ამორჩევითი სიყვარული, დიპლომატიური „ეკვილიბრისტიკის“ დასაწყისი, სხვებისადმი და საკუთარი თავისადმი მაღალი მოთხოვნილება, ბიჭების დაჯგუფებებში ხალისით შესვლა, ბიჭებზე მეტი ემოციურობა, ბიჭებზე უფრო მეტი ჯოუტობა, პრესტიჟის პრობლემებისადმი მეტი ყურადღება.

უფროსი მოზარდი ბიჭების თავისებურებები: „მამაკაცის“ შინაგანი პოზიციის დაკავება, გოგონებთან აღარ „მტრობენ“, მათი სიყვარული მოკლებულია მკაცრ ფსიქოლოგიურ ამორჩევითობას და ატარებს რომანტიკულ ხასიათს, ეს გრძობა სექსუალურად ამორჩეულია. გოგონებისაგან განსხვავებით თავიანთი მოუქნელობისაგან ტრაგედიას არ ქმნიან, არ შლიან გოგონათა დაჯგუფებებში, ცდილობენ მოხვდნენ უფროსკლასელთა მცირე ჯგუფებში, ზშირად ერთი და იმავე კლასის ორი მცირე ჯგუფის წევრა, ღირებულებათა გადაფასების იშვიათობა, ფიზიკური ძალების გადაჭარბებით შეფასება, კლასში „ძალთა შეფასებისადმი“ ინტერესის შენარჩუნება, არაადექვატური მაღალი თვითშეფასება, ლიდერობის მოთხოვნილება.

თახი მეცამეტე

ბარდამავალი ასაკის მოზარდის ემოციურ-ნეგალობითი სფერო

ადამიანის გრძობები და ემოციები არის პიროვნების ღრმა ინტიმური წარმონაქმნი, რომელიც გამოხატავს მის თვისებებსა და პოზიციას. გრძობა, როგორც პიროვნების თვისება, წარმოადგენს სინამდვილისადმი ემოციურ დამოკიდებულებას, რომელიც თავისი შინაარსის მიხედვით ან დადებითია, ან უარყოფითი. გრძობა ის ძალაა, რომელიც პიროვნებას მოქმედებისაკენ აღძრავს, გამოყოფენ გრძობათა სამ ჯგუფს: ზნეობრივს, ინტელექტუალურს და ესთეტიკურს. მორალური გრძობები ისეთი გრძობებია, რომ სხვა ადამიანთა ქცევებისადმი ემოციური დამოკიდებულება განსაზღვრულია საზოგადოებრივი მიმართულებით, ზნეობრივი ტრადიციებით, ცხოვრების განსაზღვრული მორალური ატმოსფეროთი, რომლებიც ყალიბდება ქვეყნის მორალური ნორმების შესრულებისა და გაცნობიერების პროცესში. მორალური გრძობები არის ადამიანის საზოგადოებრივი ქცევის მოტივაციის ერთ-ერთი სახე, რომელიც არეგულირებს ადამიანის ქცევას და გავლენას ახდენს საზოგადოებრივი ქცევის სხვადასხვა მხარის შეფასებებზე. მორალური გრძობები ატარებს იმ სოციალური ჯგუფისა და სფეროს დაღს, რომელსაც ინდივიდი მიეკუთვნება. ადამიანის მორალური გრძობები ზოგად ტიპურია, მაგრამ ამასთანავე განსხვავდება ინდივიდუალური თვისებებითა და თავისებურებებით. ეს ინდივიდუალური განსხვავებანი ესება როგორც გრძობის სიღრმეს, ასევე მისი გამოვლენის ფორმებსაც.

გრძობები ყალიბდება ცხოვრებისეული გარემოებებისა და აღზრდის გავლენით. იგი აღმოცენდება, ვითარდება და მტკიცდება ინდივიდის გარესსამყაროსთან შემეცნებითი და პრაქტიკული დამოკიდებულების პროცესში, რის გამოც თითოეულ გრძობას აქვს საკუთარი ისტორია. პიროვნების გრძობათა სისტემა ასახავს მისი ცხოვრების ისტორიას. ზნეობრივი გრძობები თავისი შინაარსითა და მიმართულებით განსხვავებულია, მაგრამ ამ გრძობების ძირითადი ობიექტი არის ადამიანთა საზოგადოებრივი და სოციალური ურთიერთობები. ზნეობრივი ქცევები ყალიბდება და ვითარდება ურთიერთობის პროცესში. მორალური გრძობების ჩამოყალიბება ხდება როგორც სტიქიურად, მიბადებით, ასევე შეგნებულად, აღზრდისა და სწავლების პროცესში უფროსების ხელმძღვანელობით. ზნეობრივი გრძობები ყალიბდება შრომით, სასწავლო და თამაშის პროცესში ადამიანურ ურთიერთობებზე ემოციური რეაგირების საფუძველზე.

ზოგიერთი ავტორი ადამიანის გრძობათა მრავალსახეობას და მრავალფეროვნებას ყოფს ოთხ ჯგუფად. პ. იაკობსონი მორალურ, ინტელექტუალური და ესთეტიკური გრძობების გვერდით აღნიშნავს პრაქსიულ გრძობებს, რომელსაც მიეკუთვნება ადამიანის პრაქტიკულ მოქმედებასთან (თამაშთან, სწავლასთან, შრომასთან, სპორტთან...) დაკავშირებული განცდები; იგი ასახავს ადამიანის პრაქტიკულ მოქმედებებს და დაკავშირებულია ნებელობასთან, სიძნელების და

წინააღმდეგობების გადალახვასთან. ეს მდგომარეობა ბაღებს ისეთ პრაქსიულ გრძობებს, როგორცაა საკუთარ თავში დარწმუნებულობა – დაურწმუნებლობა, გაბედულობა – გაუბედაობა და სხვა. ეს გრძობები ვლინდება სხვადასხვა ემოციებში; ესაა დაძაბულობის, ძალისხმევის, კმაყოფილების, უკმაყოფილების, რისხვის, სიხარულისა და სხვა ემოციები.

ვიმეორებთ, მორალური გრძობები ისეთი გრძობებია, რომლებიც ასახვენ საზოგადოებრივ მორალს, ზნეობრივ ტრადიციებს და ნორმებს, ადამიანთა რეალურ სოციალურ ურთიერთობებს. მორალური გრძობები არის ადამიანის საზოგადოებრივი ქცევის ერთ-ერთი მოტივაცია. ეს გრძობები არეგულირებენ პიროვნების ქცევებს.

ინტელექტუალური გრძობები არის ადამიანის მიერ ბუნებისა და საზოგადოების მოვლენების შემეცნების მიმართ დამოკიდებულება. ინტელექტუალური გრძობა დასაწყისში გვევლინება როგორც ცნობისმოყვარეობის ემოცია. იგი, შეიძლება ითქვას, საორიენტაციო რეფლექსის სახეს ატარებს. ცნობისმოყვარეობა სწრაფწარმაველი ემოციაა. როცა ბავშვი დასმულ კითხვაზე პასუხს მიიღებს, ერთი ემოცია ადვილს უთმობს მეორეს, სისტემატური შემეცნების პროცესში ხდება სხვადასხვა ემოციების განზოგადება და სისტემატიზაცია, რის შედეგადაც ყალიბდება ინტელექტუალური გრძობის პირველადი საფეხური, რომელიც ვლინდება ყოველგვ ახლისადმი ინტერესში, ახალი ცოდნის შეთვისების კვალობაზე ნათელი, დადებითი განცდების აღმოცენებაში. ინტელექტუალური გრძობის უმაღლესი საფეხურია სინამდვილისადმი კვლევითი დამოკიდებულება, რომლის ჩამოყალიბება ჭაბუკობის ასაკში იწყება. მოზარდების ინტელექტუალური გრძობები ვლინდება ისეთი სხვადასხვა ემოციების სახით, როგორცაა სიხარული და აღტაცება, ამოცანის გადაჭრით გამოწვეული სიამაყე, ეჭვისა და გაწბილების, შიშისა და დაძაბულობის სპეციფიკური ემოციები, რომლებიც ვითარდებიან სიმწელების გადალახვის პროცესში.

ესთეტიკური გრძობები ყალიბდება სინამდვილისა და ხელოვნების ნიმუშების აღქმის პროცესში. სილამაზისა და მშვენიერების გრძობის განვითარება ორგანულადაა დაკავშირებული შესაბამის წარმოდგენებთან და ცნებებთან.

ესთეტიკური გრძობები დასაწყისში ვლინდება ბგერების, ხაზების და საღებავების ნათელი, პარმონიული აღქმის დროს. ესთეტიკურ ტკბობას იწვევს, აგრეთვე, რიტმულობის აღქმაც. ანაკის წინსვლასთან ერთად ესთეტიკური გრძობა ღრმავდება, როცა მოზარდი განცდას გამოხატავს არა მხოლოდ მშვენიერი ფორმის აღქმისას, არამედ როცა იგი მშვენიერს დაინახავს ცხოვრებასა და ხელოვნებაში. პირველ ხანებში ესთეტიკური ემოციები აღმოცენდება უმთავრესად ნათელი ფორმის ზემოქმედებით, რომელიც ყურადღებას იპყრობს გარეგნული სილამაზით, ფერებით, მუსიკის რიტმულობითა და მელოდიურობით. უფრო ღრმა ესთეტიკური გრძობები ძალზე რთული და მრავალმხრივია. მასში ნათლად ვლინდება ისეთი ორპოლუსიანი განცდები, როგორცაა მშვენიერი და მახინჯი, ამაღლებული და მდაბალი, პარმონია და დისპარმონია.

იმ მომენტიდან, როცა ბავშვი პირველად აფენს სხვების მიმართ თანაგრძობას, იწყება ზნეობრივი გრძობის ჩასახვა. სწავლის პროცესში ზნეობრივი გრძობის

ფორმირება უფრო ფართოვდება, ღრმავდება და მტკიცდება მორალური ცნებების დაუფლების კვალობაზე, მორალური გრძნობები ხდება გაცნობიერებული და მოტივირებული.

მორალური გრძნობების განვითარებაში მნიშვნელოვანი ძვრები ხდება გარდამავალ ასაკში. ამ ასაკში მოზარდები ცხოვრებისეული გამოცდილებითა და ცოდნის დონით მოწიფულობის ზღურბლზე დგანან და მათი გრძნობები უკვე მნიშვნელოვნადაა დიფერენცირებული და მოტივირებული. მოზარდის პიროვნების განვითარების მიღწეული დონე, მრწამსის, დამოუკიდებლობისა და კრიტიკულობის, როგორც ხასიათის ნიშნების ჩამოყალიბება, ამ ასაკში ადამიანური ურთიერთობების არსის გაგების საშუალებას იძლევა. მოზარდებს უკვე შეუძლიათ საკუთარი და სხვის ქცევებში მოტივის დანახვა. ამასთანავე, როგორც ვნახეთ, მოზარდი უკვე იწყებს საკუთარი თავის უფრო ღრმა გაგებას, ვითარდება და მწვავედება საკუთარი ღირსების გრძნობა, ღრმავდება მეგობრობისა და კოლექტივიზმის გრძნობები.

გარდამავალი ასაკის მოზარდისათვის დამახასიათებელია სინდისის გრძნობის ჩამოყალიბება, რომელიც შინაგანი, მოუკერძოებელი, მოუსყიდველი და სამართლიანი მოსამართლის როლს ასრულებს. სინდისი არის მოზარდის ემოციური შეფასებით მიმართება საკუთარი და სხვისი საქციელების მიმართ. სინდისის გრძნობის ჩამოყალიბებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს მოზარდის საკუთარი ქცევის რეგულაციის საქმეში და თვითაღზრდის მისწრაფების ჩამოყალიბებაში. მართალია ამ ასაკში მოზარდს სინდისის ცნების ზუსტი დეფინიციის მოცემა არ შეუძლია, მაგრამ ცხოვრებისეულ პრაქტიკაში იგი ღებულობს შესაბამის გამოცდილებას სირცხვილის, სიამაყის და სხვა გამოვლინებების ემოციის ფორმებში გადმოცემის მიმართულებით.

ხეობრივი გრძნობის შემდგომი განვითარება და გაცნობიერება, რომელიც მჭიდროდ უკავშირდება ხეობრივ მრწამსს, ხდება ჭაბუკობის ასაკში. ჭაბუკი არა მარტო განიცდის, არამედ მას უკვე შეუძლია ზუსტად განსაზღვროს იმ გრძნობის არსი, რომელიც ამა თუ იმ განცდას იწვევს.

მოზარდის მორალური გრძნობების განვითარების არსებითი მომენტია სხვა ადამიანების განცდების გაგებისა და თანაგრძნობის უნარის ზრდა. ეს ემოციური თავისებურება მოზარდებს უკვე კარგად ახასიათებთ. ადამიანური განცდების სფერო, რომელიც მოზარდისთვის ახლობელი და გასაგებია, მისადმი ცხოველმყოფელ ემოციონალურ დამოკიდებულებას იწვევს: მოზარდს ახლა შეუძლია გაიგოს არა მხოლოდ თანატოლთა განცდები და მღელვარებები, არამედ — უფროსებისაც კი.

პიროვნების მორალური ფორმირების საქმეში, როგორც აღვნიშნეთ, არსებითი მნიშვნელობა ენიჭება თვითცნობიერების განვითარებას, რის საფუძველზედაც მაღლდება ჩადენილი საქციელის (ქცევის) პასუხისმგებლობის განცდა. ესაა სირცხვილის განცდა. ცული საქციელის გამო გამოწვეული სირცხვილის გრძნობა აღმოცენდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა მოზარდი აცნობიერებს, რომ მის მიერ ჩადენილი საქციელი მართლაც არ შეესაბამება მორალის ნორმებს. თუ მოზარდი ამას ვერ აცნობიერებს, მას სირცხვილის გრძნობა არ აღმოუცენდება

და იგი შემდგომში ასეთ საქციელს გაიმეორებს. მოზარდობის ასაკში სირცხვილის გრძობის განვითარების ერთ-ერთი თავისებურებაა ის, რომ მოზარდს შეუძლია წინასწარ წარმოიდგინოს, თუ როგორ შერცხვება მას ცუდი საქციელის ჩადენის შემდეგ. ასეთი წარმოდგენა დამახასიათებელია უფროსი მოზარდობისათვის, რადგანაც იგი სააზროვნო აპარატისა და წარმოსახვის განვითარების შედარებით მაღალ დონეს მოითხოვს. 7

შებრალეების, ჭირში თანაგრძობის მორალური განცდა ღინამიკური ხასიათისაა. ამ დროს მოზარდს უჩნდება რეალური დახმარების აღმოჩენის სურვილი. მოზარდებში ასეთი გრძობების არსებობა შინაგანი სამყაროს მორალურ სიმდიდრეზე მიუთითებს. გარდამავალ ასაკში ვითარდება მორალური ცნობიერება, რომელიც პიროვნულ ხასიათს ღებულობს. მოზარდს აღმოუცნდება გარკვეული ფაქტებისადმი მორალური დამოკიდებულების ემოციური განცდები და „სინდისის ქეჯნა“ რაიმე ცუდი საქციელის გამო.

გარდამავალ ასაკში მოზარდებს (განსაკუთრებით უფროს მოზარდებს) უვითარდებათ მოვალეობის, პასუხისმგებლობის, კოლექტივიზმის, მეგობრობისა და ამხანაგობის გრძობა. მაგრამ ამ მდგომარეობის გადაჭარბებით შეფასება არ იქნება სწორი. მოზარდები ხშირად ივიწყებენ თავიანთ მოვალეობას და არღვევენ საზოგადოებრივი თანაცხოვრების მორალურ ნორმებს.

როგორც გარდამავალ ასაკში მორალური გრძობების დახასიათებისას აღვნიშნეთ, განსაკუთრებულ ადგილს იჭერს სინდისის გრძობა. იგი მორალური ქცევის რეგულატორია. სინდისი არის პიროვნების ემოციურ-შეფასებითი დამოკიდებულება საკუთარი საქციელის მიმართ. ეს დამოკიდებულება ვითარდება მორალური ნორმების ღრმა ათვისების შედეგად. სრსებობს სინდისის გრძობის განსხვავებული ღონეები.; დასაწყისში სინდისის განცდა დაკავშირებულია საქციელის კონკრეტულ სიტუაციასთან, რომელიც უკავშირდება წარმოსახულ სასჯელს. იგი გამოიხატება შიშისა და სირცხვილის ფორმით შშობლებისა და მასწავლებლების წინაშე. სინდისის გრძობის განვითარების ასეთი ღონე დამახასიათებელია უმცროსკლასელებისათვის. ასაკის წინსვლასთან ერთად მოზარდებთან სინდისი ღებულობს ისეთი განცდის სახეს, რომელიც მოზარდს მორალურ-სამართლიანი ქცევის მიმართულებით აღძრავს. მიღებული ქცევის მორალური ნორმებიდან გადახვევა კი იწვევს სირცხვილის გრძობას, უპირველეს ყოვლისა, საკუთარი თავის წინაშე. ეს გარდამავალი ასაკის მოზარდის სინდისის გრძობის არსებითი მახასიათებელია. 7

აღამიანთა ურთიერთობანი რეგულირდება მორალის მოთხოვნებით, ყოველი საზოგადოება აღამიანთა მორალურ ქცევის თავის მოთხოვნებს უყენებს. ამ მოთხოვნებს ბავშვი ითვისებს ადრეული ასაკიდან მიბაძვის გზით. მან იცის, რომ ტყუილი, უმცროსებისათვის სათამაშოს წართმევა ან ღარტყმა ცუდია. მაგრამ ეს ცოდნა ბავშვებში ხშირად არ იწვევს შესაბამის გრძობებს. ასაკის წინსვლასთან ერთად და ცხოვრებისეული გამოცდილების დაგროვების კვალაზზე იცვლება გრძობების შინაარსი, მიმართულება და გაცნობიერების ხარისხი. გარდამავალ ასაკში ეს გრძობები არა მხოლოდ მრავალფეროვანი ხდება, არამედ მეტ ძალასა

და სიმტკიცეს იძენს. ბავშვის განვითარების კვალობაზე იცვლება მისი გრძნობებისა და განცდების გამოქვეყნე მიზეზებიც. თუ ადრე ბავშვების გრძნობები მიბაძეითი ხასიათის იყო, მოზარდის აღშფოთებას ახლა იწვევს ვინმეს მიერ ჩაღწილი უსამართლობა, სიტყვის გატეხა და ა.შ. მოზარდები ითვისებენ საზოგადოებრივი ურთიერთობის ნორმებს, აღწევენ განზოგადებებს (ხანდახან დაუსაბუთებელს) და მორალის მოთხოვნებზე ორიენტაციას.

მოზარდის ორგანიზმის ფიზიოლოგიური ტონუსი უშუალო ზემოქმედებას ახდენს მის ემოციურ ცხოვრებაზე. ადვილი აგზნებადობა, გუნება-განწყობილების სწრაფი ცვლა, გაბრაზების ინტენსივობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ამ ბიოლოგიურ ცვლილებებზე.

მეორე მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც განსაზღვრავს მოზარდის სპეციფიკურ ემოციურ ნიშნებს, არის ის შეცვლილი სოციალური მოთხოვნები, რომელსაც მოზარდს საზოგადოება უყენებს. ახლა მოზარდს უხდება ახალ გარემოსთან შეგუება, რასაც ყოველთვის თან ახლავს ემოციური დაძაბულობა. ახალ სიტუაციებში ორიენტაციის აუცილებლობა, გონებრივი და მოტორული ჩვევების გადახალისება აწეული აგზნებადობის პირობებს ქმნის. გამოყოფენ რამდენიმე სოციალურ ფაქტორს, რომლებიც მოზარდის მომატებული ემოციურობის წინაპირობებს წარმოადგენენ. თუმცა სოციალური სიძნელებით გამოწვეული ემოციური აგზნებადობა არ შეიძლება ჩაითვალოს გარდამავალი ასაკის სპეციფიკურ ნიშნად, ეს ფაქტორებია:

1) არასასურველი ოჯახური ურთიერთობანი შშობლებსა და მოზარდებს შორის, განსაკუთრებით მამის, როცა მოზარდი არაა დარწმუნებული მისადმი შშობლების კარგ დამოკიდებულებაში;

2) შეზღუდვები, რომლებიც გამოწვეულია შშობლების ზემოქმედებით, ზედმეტი პროტექტორობა და მზრუნველობა, ყოველგვარი ხიფათისაგან თავის არიდება;

3) დაბრკოლებები, რომლებიც სისტემატურად უშლის ხელს მოზარდს თავისი სურვილების დაკმაყოფილებაში (მატერიალური და სხვა სახის სიძნელებები);

4) სიტუაციები, რომლებშიც მოზარდი თავს არადექვატურად გრძნობს;

5) ახალი სიტუაციების სიმრავლე;

6) საწინააღმდეგო სქესისადმი სოციალური შეგუების სიძნელე.

ასაკის წინსვლასთან ერთად ვლინდება მოზარდის ემოციური ცხოვრების შზარდი სოციალური ხასიათი. ემოციების სოციალური საწყისების ზრდა ელანდება როგორც სოციალური ემოციების განვითარების მიმართულებით (თანაგრძნობა, სიმპატია), ასევე თვით განცდის შეცვლაში. ქცევის სოციალური მოთხოვნები ცნობიერდება მოზარდის მიერ და ჩაერთვის ემოციის მიმდინარეობაში. ემოციების სოციალიზაცია გულისხმობს საზოგადოებრივი მოთხოვნების გაცნობიერებას იმ რეალური კავშირების გათვალისწინებით, რომლებიც მოზარდს გარემოსთან ურთიერთობაში ექმნება. რამდენადაც მოზარდი ტოლებთან და უფროსებთან ურთიერთობაში საზოგადოების სულ უფრო უფლებამოსილი წევრი ხდება, ამდენად მისი გრძნობები უფრო სოციალურ ხასიათს ღებულობს.

ესთეტიკური გრძნობები არის ესთეტიკური შთაბეჭდილებებისაგან

„წარმოებული“. ამიტომ ესთეტიკური შთაბეჭდილებების დონე, ხასიათი და შინაარსი განსაზღვრავენ ესთეტიკური გრძნობების ხასიათს. /მოზარდის ზოგადი ესთეტიკური განვითარების არსებითი მომენტია კარგი გემოვნების ჩამოყალიბება. ძნელია იპოვო მოზარდი, რომელიც გულგრილი იქნება კინოფილმების (განსაკუთრებით ვიდეოფილმების) ან მუსიკალური ნაწარმოების მიმართ. მაგრამ ლიტერატურული ნაწარმოების ესთეტიკური შეფასება ხდება იმის მიხედვით, თუ როგორია მისი გემოვნება. ესთეტიკური გრძნობები გარდამავალ ასაკში უმცროსკლასელებთან შედარებით რთულია. მოზარდებთან ეს გრძნობები უფრო გაცნობიერებულია და მეტ-ნაკლებად დამოუკიდებელ ესთეტიკურ მსჯელობებთანა დაკავშირებული, საფუძველი ეყრება ხელოვნების ნიმუშთა დამოუკიდებელ ესთეტიკურ შეფასებასაც. უნდა აღინიშნოს, რომ მოზარდების ესთეტიკურ გრძნობებს უფრო იწვევენ მკვეთრი და ვნებიანი მოვლენები. /მოზარდისთვის მაგორი უფრო მიმზიდველია, ვიდრე მინორი. უფროს მოზარდებში მდგომარეობა უმნიშვნელოდ იცვლება და იწყება დაინტერესება მშვიდი და წყნარი მოვლენებითაც. /მოზარდის ესთეტიკური გრძნობების ერთ-ერთი თავისებურება ისაა, რომ ეს გრძნობა მჭიდროდა დაკავშირებული ობიექტის უფრო რთულ აღქმასთან, ვიდრე ამას ჰქონდა ადგილი უმცროსკლასელებში. /მოზარდს უკვე შეუძლია საგნებისა და მოვლენების ანალიზური აღქმა, ისეთი დეტალებისადმი ყურადღების მიქცევა, რომელსაც უმცროსკლასელი არ აქცევდა ყურადღებას. 7

ის ცვლილებები, რომლებიც მოზარდის ორგანიზმში ხდება, იწყებს მისი ემოციური ცხოვრების განვითარების ახალ ეტაპს უმცროსკლასელის ემოციურ ცხოვრებასთან შედარებით. ასლა იცვლება მოზარდის ემოციური თვითგრძნობა, რაც გამოიხატება მის ზოგად ემოციურ ტონუსში, განწყობილებათა და სულიერ მდგომარეობათა ხშირ ცვლაში. აღმოცენდება ახალი სოციალური კავშირები, საზოგადოებრივი ცხოვრების მოვლენებისადმი და ადამიანთა ქცევისადმი ახალი დამოკიდებულებები, რომელთა საფუძველზე აღმოცენდება და მტკიცდება ახალი განცდები, ახალი ემოციური დამოკიდებულება იმისადმი, რაც მანამდე ბშეებისათვის ჩვეულებრივი, უმნიშვნელო და განურჩეველი იყო.

უპირველეს ყოვლისა, მოზარდს უყალიბდება მწკვევ განცდები უფროსებთან მიმართებასა და დამოკიდებულებაში. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით აღსანიშნავია ის განცდები, რომლებიც დაკავშირებულია მათ მიმართ უფროსების მოპყრობასა და დამოკიდებულებაზე. /მოზარდის ემოციურ ცხოვრებაში ერთ-ერთი სერიოზული ადგილი უჭირავს თანატოლებთან ურთიერთობის მისწრაფების განცდებს. უფროს მოზარდთა ემოციურ ცხოვრებაში მნიშვნელოვან ადგილს იჭერს აგრეთვე სიყვარულის გრძნობაც. 7

[უფროსებთან ურთიერთობის სფერო მოზარდში იწვევს მრავალ განცდას, ფიქრს, ოცნებასა და მოქმედებისაკენ სწრაფვას. აქ იგულისხმება ოცნება იმის შესახებ, თუ როგორ მოიქცევა მოზარდი, როცა იგი „უფროსი გახდება“, აგრეთვე განცდები იმ დამცირების გამო, რომ უფროსები მას ექცევიან როგორც პატარას, აქ არის აგრეთვე განცდები იმის გაცნობიერების გამო, რომ მას აღიარებენ „უფროსად“ და სერიოზულ, პასუხსაგებ დავალებებსაც აძლევენ. მოზარდის

ყველა ეს ცხოვრებისეული ფაქტი, გამოცდილება და წარმოდგენა დაკავშირებულია დადებით და უარყოფით განცდებთან, რომლებიც მოზარდის ცხოვრებაში მნიშვნელოვან ადგილს იჭერენ.

ემოციური ურთიერთობა, რომელიც მოზარდს აღმოუცენდება უფროსების მიმართ, შეიძლება იყოს ურთიერთსაწინააღმდეგო. ეს შეიძლება იყოს აღფრთოვანება, გამოწვეული უფროსების გაბედულობით, გამჭრიახობით, საზრიანობით, მამაცობით და მოზარდის სურვილით მიძახოს უფროსებს ამ მიმართულებით. ამასთან ერთად, მოზარდი შეიძლება ამჟღავნებდეს წყენასა და გაღიზიანებას მისდამი უფროსების უპატივცემულო და ღირსების შემლახავი დამოკიდებულების გამო.

მოზარდის განცდათა სფერო, რომელიც დაკავშირებულია უფროსების მისდამი დამოკიდებულებასთან, ფართო და მრავალფეროვანია. აქ შემოდის ეჭვები, დაურწმუნებლობა, აღიარების სიზარულიც, დაფარული სიამაყე და ოცნებები. ყოველივე ამან შეიძლება გამოიწვიოს მოზარდში განმარტოვების და თავის თავში ჩაკეტვის სურვილი. ამ დროს მისი განცდები საკუთარ პიროვნებასთანა დაკავშირებული. მაგრამ, მეორე მხრივ, მოზარდს თანდათანობით უზნდება ურთიერთობის წყურვილი და მისწრაფება, რომლისკენაც იგი ინტენსიურ სწრაფვას ამჟღავნებს და მარტოობისთვის, იშვიათი გამოწვევის გარდა, მას დრო აღარ რჩება. იგი ცდილობს მას გაუგონ, იყოს გულწრფელი იმ აღმანიებთან, რომლებსაც იგი ენდობა. აქედან გამომდინარეობს მოზარდის დიდი მისწრაფება ამხანაგობისა და მეგობრობისკენ. როგორც ვნახეთ, უმცროსკლასელის მეგობრობა არ ზასიათდება იმ თვისებებით, როგორც მოზარდის მეგობრობა. მოზარდის მეგობრობასთან დაკავშირებული განცდები მის ცხოვრებაში უფრო დიდ ადგილს იჭერს, ვიდრე უმცროს სასკოლო ასაკში. აქ ჩნდება ეჭვიც, სიფაქიზეც, წყენაც, პატივბაც, სიზარულაც, სიმპატია – ანტიპატიაც და თანაგრძნობაც. ამასთანავე, როგორც ვნახეთ, დიფერენციაციას განიცდის ამხანაგობისა და მეგობრობის გრძნობა.

მოზარდის ემოციურ ცხოვრებაში შინაარსეული ზასიათის ცვლილებები ხდება. ბიოლოგიური, ინტელექტუალური და სოციალური გარდაქმნებისა და განვითარების კვალობაზე გარდამავალ ასაკში თავს იჩენენ ისეთი უცხო შინაარსის გრძნობები და ემოციები, რომლებიც ადრეულ ასაკში არ შეიმჩნეოდა. უპირველეს ყოვლისა, ესაა სქესობრივი ზასიათის ემოციური განცდები და გრძნობები. ეს განცდები პირველად ახლა იჩენენ თავს და გარდამავალი ასაკის მოზარდის ფსიქიკას თავისებურ დაღს ასვავენ. უმცროსკლასელი სქესობრივი ცხოვრებისადმი ისეთივე ცნობისმოყვარეობას იჩენს, როგორც ყველა სხვა მოვლენისადმი. იგი მის ნამდვილ ბუნებასა და არსს ვერ წვდება. ეს ცნობისმოყვარეობა მასში არ იწვევს რაიმე ემოციას. გარდამავალ ასაკში კი მდგომარეობა არსებითად იცვლება: მოზარდში პირველად იჩენს თავს უშუალოდ სქესობრივი მომწიფების პროცესთან დაკავშირებული, მეტად თუ ნაკლებად გაცნობიერებული ემოციური ზასიათის განცდები, რომლებიც მის მთლიან ფსიქიკურ სტრუქტურაში თვალსაჩინო ადგილს იკავებს. გარდამავალ ასაკში განასხვავებენ ეროტიკულ და სექსუალურ განცდებს (ე. შპრანგერი). ეროტიკული სიყვარული მოზარდში უფრო ადრე იღვიძებს, სქესობრივი ლტოლვა კი შედარებით გვიან ყალიბდება. სქესობრივი განცდები

ყოველთვის გრძობად, სხულებრივ აღძვრება დამოკიდებული, ხოლო ეროტიკული განცდები, უპირველეს ყოვლისა, სიყვარულის სულიერ ფორმას წარმოადგენს და ესთეტიკურ ხასიათს ატარებს. ესთეტიკური სიყვარული - ეროტიკა, თავდაპირველად წარმოადგენს სხვის ფსიქიკასთან ერთობას. ეროტიკის პირველად წყაროს წარმოადგენს სხვისი სხეულის სილამაზით, გრაციითა და ძალით მოზიზღვა, აღტაცება. მოზარდს უყვარს ის სახე, რომელსაც შეუძნეველად მისი საკუთარი ფანტაზია სახავს. ინდივიდი, რომელიც მოზარდს წარმოსახვაში უყვარს, წარმოადგენს მხოლოდ ტილოს, რომელზეც მის ცხოველ ფანტაზიას მიმზიზღველი ფერები შეაქვს, ამიტომ იგი მას ხედავს არა ისეთად, როგორც ნამდვილად არის, არამედ ისეთად, როგორც მისმა ფანტაზიამ შეასწორა, შეავსო და გააღამაზა. ყოველი მოზარდი შეყვარებულია, მაგრამ ყველამ ჯერ კიდევ არ იცის ვინ უყვარს. ესაა წმინდა, უანგარო სიყვარული, რომელსაც ჯერ ზორციელი ვნების სიმძიმე არ განუცდია. მოზარდის ცხოვრებაში ეროტიკული და სექსუალური სიყვარული დასაწყისში შეკეთდრადაა ერთმანეთისაგან გამიჯნული, ხოლო სქესობრივი მომწიფების კვალობაზე თანდათანობით ხდება ეროტიკული სიყვარულის სექსუალურიზაცია, რის გამოც ამ სიყვარულის ობიექტი სქესობრივი მისწრაფების საგანიც ხდება და შესატყვისი განცდების აღმოცენების საფუძვლად იქცევა.

უმცროსკლასელთათვის უცნობია საეციფიკური სექსუალური ხასიათის განცდები. ეს განცდები მოულოდნელად იჭრება მოზარდის ცხოვრებაში, რის შედეგადაც იგი განიცდის ერთგვარ შიშს და სირცხვილს. ხირცხვილის გრძობა, რომელიც სქესობრივი აღძვრის ნადავზე აღმოცენდება, დიდ ადვილს იჭერს მოზარდის ცნობიერებაში და მნიშვნელოვნად განსაზღვრავს საკუთარ თავთან და სხვა ადამიანებთან დამოკიდებულებას.

✓ [გარდამავალ ასაკში სხვადასხვა სქესის წარმომადგენელთა ურთიერთსიმამტიისა და სიყვარულის გამოვლინებებთან დაკავშირებული განცდები შეიძლება იყოს ზანმოკლე და ზანგრძლივიც. ამ გრძობას მოზარდის ხშირად მალავს. იგი მას არ უმტლანებს იმასაც კი, ვის მიმართაც მას ასეთ გრძობა აქვს და მალავს იმის გამოც, რომ ეშინია გამჟღავნებისა და ამხანაგების დაყინვის. მოზარდები ასეთ განცდებს ფარავენ. უნდა გვახსოვდეს, რომ მოზარდის პირველი სიყვარულის გრძობა ამაღლებულ განცდათა რანგს მიეკუთვნება.]

გრძობები, როგორც აღვნიშნეთ, არის ქცევის ერთ-ერთი ძლიერი რეგულატორი და მოტივი. სიყვარულის ან სიძულვილის გრძობას აქვს დიდი ენერგია და შეუძლია მოზარდის აღძვრა აქტიური მოქმედებისაკენ.

მოზარდის განცდათა შორის მნიშვნელოვან ადვილს იჭერს კოლექტივის ურთიერთობასთან დაკავშირებული განცდები. კლასის ცხოვრება მოზარდისთვის უმცროსკლასელებთან შედარებით ახლა უფრო ახლობელი და მნიშვნელოვანი ხდება. კოლექტივი ან ცალკეული ჯგუფი იმიტომ სჭირდება მოზარდს, რომ იგი აკმაყოფილებს მის თანატოლებთან ურთიერთობის მოთხოვნილებას.

მოზარდის ემოციურ ცხოვრებაზე უდიდეს გავლენას ახდენს თვითცნობიერებისა და თვითშეფასების განვითარება. თვითცნობიერების განვითარებას იქამდე მივყავართ,

რომ მოზარდი იწყებს არა მარტო საკუთარი თავის, როგორც პიროვნების გაზრებას, არამედ ახლა იგი იწყებს ფიქრს საკუთარი თავის შესახებ, საკუთარი თვისებების, ხასიათის ნიშნების შესახებ. მას უკვე საკუთარი საქციელის შეფასება შეუძლია. საკუთარი შინაგანი სამყაროსადმი რეფლექსია ვრცელდება მოზარდის ემოციურ სფეროზეც, რომელიც დაკავშირებულია გრძნობების ანალიზთან და შეფასებასთან.

უძეოროსკლასელმა, რომელმაც ჩაიღინა რაიმე ისეთი საქციელი, რომელიც გამოწვეულია სიავით, შურით, გაღიზინებით, უფროსებისა და თანატოლების განსჯის შემდეგ შეიძლება მოინანიოს. მოზარდი კი უკვე თვითონაა თავის თავის მოსამართლე. მას უკვე აქვს საკუთარი გრძნობებისა და განცდების რეფლექსიის უნარი. ეს მდგომარეობა სრულიად ახალი მომენტია მოზარდის ემოციურ ცხოვრებაში. მოზარდის საკუთარ განსჯას და შეფასებას ექვემდებარება ისეთი მოვლენები, როგორცაა შური, ამოება, გაბუღულობა, ლელვა, ბრაზი და ა.შ. ამ ასაკში საკუთარი განცდებისა და გრძნობებისადმი უფრო შეგნებული, გაცნობიერებული დამოკიდებულება აღინიშნება.

საკუთარი გრძნობების მიმართ რეფლექსიის ხასიათი დამოკიდებულია აგრეთვე მოზარდების ინდივიდუალურ თავისებურებებზეც; ზოგიერთი მოზარდი თავისი გრძნობებისადმი ასე თუ ისე ნეიტრალურ დამოკიდებულებას ამჟღავნებს. არაონ ისეთებაც, რომლებიც ნაძვილ „სინდისის ქენჯნას“ განიცდიან ისეთი უღირსი გრძნობების განცდის გამო, როგორცაა შიში, შური, სიავე და ა.შ. მოზარდს უვითარდება საკუთარი გრძნობების მიმართ განსაზღვრული დამოკიდებულება, რაც მისი ემოციური ცხოვრების სტრუქტურის არსებითი მომენტია, რომელიც უძეოროს სასკოლო ასაკში არ არსებობდა. ეს მოზარდის ემოციებისა და გრძნობების ანალიზის დროს აღმზარდელებისა და შშობლების მნიშვნელოვანი დიაგნოსტიკური კომპონენტია. ამასთანავე, ეს მომენტი მოზარდისათვის ღირებულაა თვითაღზრდის თვალსაზრისით. მოზარდის განვითარება ამ მიმართულებით გამოიხატება არა მარტო საკუთარი შინაგანი სამყაროსადმი უფრადლების ამბილუებითა და ზრდით, არამედ მის მჯღულობაში გარესამყაროდან მიიღოს მეტი ცოდნა და შთაბეჭდილებები, რის გამოც მძაფრდება მოზარდის პრეტენზიები უფროსობაზე.

მოზარდის ემოციური ცხოვრების ერთ-ერთი არსებითი ნიშანია აგრეთვე ის, რომ მისი გრძნობები და ემოციები წინააღმდეგობრივია, დადებითი და უარყოფითი მდგომარეობები ხშირად მონაცვლეობენ. ამასთან დაკავშირებით კი, იცვლება მოზარდის ზოგადი სულიერი მდგომარეობა და განწყობილება.

გარდამავალი ასაკის მოზარდისათვის დამახასიათებელია ემოციურ განწყობილებათა სწრაფი ცვლა — ერთი უკიდურესობიდან მეორეში, სწრაფი გადასვლა. მოზარდი, რომელიც მთელი თავის არსებით ხარობს და ხალისობს, მოულოდნელად, უბრალო საბაბის გამო, სრულიად საწინააღმდეგო ემოციურ მდგომარეობაში გადადის და მეტისმეტად განწყვენებული, დამწუხრებული, გაბრაზებული და შეურაცხყოფილი ხდება. მაგრამ იმისთვისაც უმნიშვნელო მიზეზია საჭირო, რომ იგი ისევ მზიარულ გუნებაზე დადგეს. მოზარდი ამ თავისებურებას აქტიუობაშიც ამჟღავნებს: ერთ მომენტში იგი დიდი ხალისით,

ენერგიითა და გატაცებით მოქმედებს, ხოლო მეორეში კი იმავე მოქმედებისადმი ინტერესს კარგავს და მისდაძი ინდფერენტული ხდება. ეს მდგომარეობა ჭაბუკობის ასაკში სწორდება.

მოზარდისთვის დამახასიათებელი აგზნებისა და გაღიზიანების აწეული დონე ყველაზე მეტ გავლენას მის ემოციურ ცხოვრებაზე ახდენს, რაც პირველ რიგში ემოციურ მოვლენათა დინამიკაში იჩენს თავს. ახლა ეს მოვლენები მოზარდში ადვილად, სრულიად უმნიშვნელო საბაბის გამო აღმოცენდება და დიდი ინტენსივობით მიმდინარეობს. მოზარდის ყოველგვარი მოქმედება გრძნობების ძლიერი სიცხოველითაა გატენითლი. სისხარული თუ მწუხარება, აღშოთება და რისხვა მასში სწრაფად ჩნდება და ხშირად მთელ მის ცნობიერებას იპყრობენ.

სასკოლო აკადემიური წარმატებისა და წარუმატებლობის შეფასება და უფროსების მიერ გამოყენებული სააღმზრდელო ღონისძიებანი - სასჯელი და წახალისება - მოზარდებში გაცილებით უფრო მკვეთრად გამოხატულ აფექტურ რეაქციებს იწვევს, ვიდრე უძეცროს სასკოლო თუ ჭაბუკობის ასაკში. მოზარდი განსაკუთრებით დიდ აღშოთებას განიცდის, როცა იგი ხედავს - ან ჰკონია, რომ უფროსები მას უსამართლოდ ექცევიან: არასწორად აფასებენ მის ცოდნას და საქციელს, უსაფუძვლოდ შეაქტ ვჭვას მის ხეობაში, ან კიდევ ისეთ სასჯელს ადებენ, რომელიც მოზარდებს დაუმსახურებლად ერგენათ. ასეთ შემთხვევაში მოზარდს საერთო ნეგატიური განწყობილება უფრო მეტად უეითარდება და იგი უფრო უხეში, ტლანქი, ჯიუტი და ჟინიანი ხდება. ხშირად, მშობლები და მასწავლებლები მოზარდის აფექტურ რეაქციებზე აფექტური რეაქციებითვე ასიორებენ, რომლის უარყოფითი შედეგი შეიძლება გამოუსწორებელი აღმოჩნდეს. როცა მოზარდი ემოციურად აგზნებულ მდგომარეობაშია, უფროსები ამას დიდი სიმშვიდით უნდა შეხვდნენ. უფროსების ნერვეული გაღიზიანება კიდევ უფრო ალაგზნებს მოზარდს.

მოზარდები ერთად ყოფნისას სკოლაში, სახლში, ქუჩაში და ა.შ. დიდ სიცოცხლისუნარიანობასა და ემოციების ძიმართულების მაეორულ ხასიათს ავლენენ. მაგრამ მოზარდები ხშირად ამჟღავნებენ დეპრესიულობასაც. მოზარდი საკუთარ ძალებში გაცილებით მეტად არის დარწმუნებული, ვიდრე ეს ობიექტურად ჩანს, რის გამოც იგი ისეთი ამოცანების გადაწყვეტას ცდილობს, რომლებიც მის ძალებს აღემატება. მარცხისა და წარუმატებლობის გამო მას აღმოუცენდება უმარობის განცდა, რაც მძიმე და მკვეთრ განცდებთანაა დაკავშირებული. ეს განცდები, ხშირად, გარეგნულად არ ვლინდება. მათი მარცხის თითქოსდა უწყინარი შეფასებები უფროსების მხრივ, მათში მწვავე განცდებსა და რეაქციებს იწვევს. შენიშვნები იწვევენ წყენას ან აფექტურ რეაქციებს. წყენა მოზარდს შეიძლება ხანგრძლივად გაყვეს და დეპრესიის ერთ-ერთი წყარო გახდეს.

[გარდამავალ ასაკში დეპრესიული მდგომარეობის ერთ-ერთი მიზეზი (განსაკუთრებით ბიჭებში) შეიძლება გახდეს ე.წ. როტიკული აზრები, რომლებისაც მას რცხვენია, მაგრამ ეს აზრები მოიცავს მის ფსიქიკას. მოზარდი ხშირად ვერ იზორებს ასეთ აზრებს და განიცდის საკუთარ უძლურებას, რაც საბოლოო ანგარიშით შეიძლება დეპრესიულ მდგომარეობაშიც გადავიდეს.] მოზარდები

ცილილობენ ამ განცდების დაფარვას, რაც ამ მდგომარეობას კიდევ უფრო აძლიერებს. მოზარდი ცილილობს დაფაროს საკუთარი თავისადმი უკმაყოფილება, წყენა და მარცხი. შეიძლება არასასურველი ნიშნის მიღებაზე იგი რაიმე ემოციას გარეგნულად არ ამჟღავნებდეს, მაგრამ შინაგანად ამას ძალიან მწვავედ განიცდის. მოზარდი ცილილობს თავისი „სისუსტე“ ამხანაგებს არ აჩვენოს. მან შეიძლება დაფაროს ისეთი გრძნობებიც, რომლებიც თავისთავად არაა ცული, მაგრამ ამხანაგებისა და მეგობრების წრეში ვაკეცილობის მაჩვენებლად არ ითვლება. მაგალითად მშობლებთან ან ახლობლებთან განშორების სევდა, პირველი რომანტიკული სიმპატიება და ა.შ.

მოზარდს უნდა ჰქონდეს საკუთარი გრძნობებისა და ემოციების ფლობისა და მართვის უნარი, რაც მისი ემოციური განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საფეხურია. გრძნობები და ემოციები მოზარდის ქცევის მოტივები ზდება. მოზარდების ქცევის მოტივები უმეტესწილად დადებითი სოციალური ხასიათისაა. თუმცა ხანდახან მოზარდის ზოგიერთი ქცევის მოტივებია ასოციალური გრძნობებიც.

მოზარდის ემოციურ კონფლიქტებში ნათლად ვლინდება მისი ემოციური ცხოვრების წინააღმდეგობრივობა. საკუთარ თავში დაურწმუნებლობისა და დარწმუნებულობის ზრდა, სქესის პრობლემებისადმი ინტერესი და სირცხვილის ძლიერი გრძნობა, ურთიერთობისკენ სწრაფვა და ჩაკეტილობა ერთდროულად მოზარდის ცხოვრებას. ამით აიხსნება ხანდახან მოზარდის არაადექვატური ემოციური რეაქციები.

მოზარდების მშობლებთან ემოციური დამოკიდებულება მრავალი კომპონენტით ხასიათდება. ესენია: პატივისცემა და ერთგულება, სიფაქიზე, ხანდახან ეჭვი, სიამაყე მშობლების გამო, მშობლების გამო საკუთარი მომავალი კეთილდღეობის გაუცნობიერებელი განცდა, მამასთან და დედასთან სიახლოვის განცდა. ყოველივე ეს არის ის ფსიქოლოგიური საფუძველი, რომელზედაც დამოკიდებულა მშობლებისადმი დადებითი ან უარყოფითი ემოციური დამოკიდებულება.

უმცროსკლასელების მშობლებთან დამოკიდებულების განცდა არის მთლიანი გრძნობა, რომელშიც ვლინდება მხოლოდ დადებითი ემოციური დამოკიდებულება; მათთვის მშობლები ყოველთვის სანიმუშო მიბაძვის წყაროა. გარდამავალ ასაკში მშობლებთან ემოციურ დამოკიდებულებაში მნიშვნელოვანი ძვრები ზდება. მოზარდის შინაგანი სამყაროს დამახასიათებელი ახალი მომენტები (განვითარებული თვითცნობიერება, მოწიფულობის აღმავალი გრძნობა და მისი აღიარების პრეტენზია) ისე ნაყოფს არსად ვლინდება, როგორც მშობლებთან ემოციურ დამოკიდებულებებში, რომელთა მიმართ ვლინდება მოზარდების გრძნობებისა და ემოციების წინააღმდეგობრივი ხასიათი. თუ ოჯახში მოზარდის მიმართ მოთხოვნები ატარებენ ავტორიტარულ ხასიათს, ეს გრძნობა უფრო ინტენსიურად ვლინდება. ზოლო, თუ მოზარდი თავს ოჯახის სრულფელებიან წევრად თვლის და მას პატივს სცემენ და აღიარებენ, ასეთი წინააღმდეგობა და მკვეთრი განცდები მოხსნილია. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გარდამავალ ასაკში საერთოდ სუსტდება მშობლებისადმი ფაქიზი დამოკიდებულების გრძნობები, ვლინდება მოზარდების გაღიზიანება მშობლების მიერ წერილმანი მეთვალყურეობისა და „დაუსაბუთებელი“ შენიშვნების

გამო, ჩნდება ყველაფრის პირუკუ გაკეთების ტენდენცია, ნათლად ვლინდება ნეგატივიზმი.

მოზარდის სკოლისადმი ემოციური დამოკიდებულება მნიშვნელოვნადაა განსაზღვრული სკოლის პედაგოგიური კოლექტივის აღმზრდელითი ღონისძიებებით. როცა მოზარდებს სკოლის მიმართ დადებითი გრძნობები აქვთ, ეს მათი საერთო წარმატების საწინდარია. მოზარდის სკოლასთან ემოციური დამოკიდებულება ხასიათდება დინამიკურობით. უმცროსკლასელის ემოციურ ცხოვრებაში სკოლას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს, ხოლო მოზარდისთვის ამ თვალსაზრისით მისი მნიშვნელობა კლებულობს. ეს იმის გამო ხდება, რომ ასაკის წინსვლასთან ერთად მოზარდის ემოციურ ცხოვრებაში სხვა შინაარსები იკავებენ წამყვან ადგილს.

უმცროსკლასელებთან შედარებით მოზარდის გრძნობები და ემოციები უფრო მჭიდრო კავშირშია მის ინტელექტუალურ სფეროსთან. თუმცა უშუალო აღქმა და შთაბეჭდილებები აქაც ჯერ კიდევ წამყვან როლს ასრულებენ. ეს გარემოება შესაძლებლობას გვაძლევს ვილაპარაკოთ უმცროსკლასელებთან შედარებით მოზარდის გრძნობებისა და ემოციების უფრო მეტ გაენობიერებასა და გააზრებაზე და ამ ასაკში გრძნობებისა და ემოციების ცნობიერი მართვისა და რეგულაციის შესაძლებლობაზე.

გარდამავალი ასაკის მოზარდის ნებელობა კი უმცროსკლასელებთან შედარებით გაცილებითი უფრო გაცნობიერებულია, მოზარდში უფრო ცხადად ვლინდება მიზანსწრაფულობა, დამოუკიდებლობა, შეუპოვრობა და სხვა ნებელობითი თვისებები. ხშირად მოზარდები მოქმედებენ როგორც უფროსები, კრიტიკულად აფასებენ გარესამყაროს მოვლენებს, იცავენ საკუთარ აზრს, უმცროსკლასელებიდან განსხვავებით უფროსების ნება-სურვილს უსიტყვოდ აღარ ასრულებენ. რაიმე მოქმედების შესრულებას ისინი იზილავენ როგორც ნებისყოფის გაკავებისა და გავარჯიშების საშუალებას. შეიძლება ითქვას, რომ მოსწავლეთა ნამდვილი ნებისყოფის ფორმირება გარდამავალი ასაკიდან იწყება. ამ მდგომარეობას ხელს უწყობს თვითცნობიერების შედარებით მაღალი დონე, განვითარებული აზროვნება, განსაზღვრული ცოდნა და უნარ-ჩვევები.

მოზარდების ნებელობის ფორმირებაში მნიშვნელოვანი როლი ენიჭება კოლექტივს. მოზარდების ურთიერთობის დიდი მთხოვნილება, საკუთარი ქცევის თანატოლებთან შედარების მცდელობა, კოლექტივის მთხოვნათა შესრულება, კოლექტივში თვითდამკვიდრების მცდელობა აიბულებს მოზარდს შესაბამისად მოიქცეს კოლექტივში, რაც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს მასში ნებელობითი თვისებების ჩამოყალიბებას. მსფლმზედველობითი განწყობები, რომლებიც გარდამავალ ასაკში ყალიბდება, მნიშვნელოვნად უწყობს ხელს მოზარდების ნებელობითი აქტივობის მიმდინარეობას. მიუხედავად ამისა, გარდამავალი ასაკის მოზარდის ნებისყოფა მაინც არაა საკმარისად მომწიფებული. (მოზარდის ქცევა ხშირად წინააღმდეგობრივია, თავს იჩენს მოუთმენლობა, ჯოუტობა, ნეგატივიზმი, იმპულსურობა, არაორგანიზებულია, გრძნობების შეუკავებლობა. მოზარდის ნებელობითი თვისებები ჯერ არაა საკმარისად მყარი და მტკიცე.)

ნებელობით აქტივობას აქვს რთული ფსიქოლოგიური სტრუქტურა. ნებელობით აქტივობის უშუალო აღმძვრელი გარეგანი ზემოქმედებანი და ურთიერთობანი, მოტივაცია და შეგნებული თვითსტიმულაცია. უნდა აღინიშნოს, რომ გარეგან ზემოქმედებებს არ გააჩნიათ ერთნაირი აღმძვრელი ძალა. მათი აღმძვრელი ძალა განისაზღვრება არა მარტო ინტენსივობით, არამედ მოსწავლეთა მათთან დამოკიდებულებით. ეს მიმართება ვლინდება გარკვეული ემოციის სახით და ნებელობით პროცესებს გარკვეულ დაღს ასვამს. დადებითი დამოკიდებულება დადებით გავლენას ახდენს ნებელობით პროცესზე და ხელს უწყობს საბოლოო წარმატების მიღწევას, ხოლო უარყოფითი დამოკიდებულება დამატებით სიძნელეებს ქმნის დაწყებული საქმის ბოლომდე მიყვანის საქმეში. უნდა აღინიშნოს აგრეთვე ის, რომ ეს დამოკიდებულება გავლენას ახდენს მოქმედების შედეგზე მაშინ, როცა მოსწავლეთა ნებელობითი აქტივობა ზორციელდება უმეტესწილად გარეგანი სტიმულაციის საფუძველზე. ხოლო ნებელობითი განვითარების უფრო მაღალ დონეზე, როცა ნებელობითი აქტივობა უმეტესწილად ზორციელდება შეგნებული თვითსტიმულაციის საფუძველზე, დამოკიდებულებას ასეთი გლობალური გავლენა და მნიშვნელობა არა აქვს.

ნებელობითი აქტივობის მეორე ფსიქოლოგიური კომპონენტია მოტივაცია. მოზარდების ნებელობითი აქტივობა უმეტესწილად მრავალმოტივიანია, ხოლო ხანდახან ხდება მოტივაციის გარდაქმნაც, შეცვლა (მოქმედება იწყება ერთი მოტივით და მთავრდება მეორეთი). მაღალზნობრივი ნებელობითი აქტივობა ფსიქოლოგიური თვალსაზრისით იმაში ვლინდება, რომ მოზარდი, შეგნებულად ირჩევს მოქმედების მოტივს, აძლიერებს მას შეგნებული თვითსტიმულაციით, უზრუნველყოფს მოტივებს მაღალი სიმტკიცითა და აუცილებელი ენერგეტიკული მუხტით. ამგვარი გზით უკავშირდება ნებისყოფა მორალს.

მოსწავლეთა ნებელობითი აქტივობის მოტივებად გვევლინებიან სხვადასხვა სურვილები, ინტერესები, მრწამსი, გრძნობები, ოცნებები, ვნებები, იდეალები და ა.შ. ასაკის წინსვლასთან ერთად მოსწავლეთა მოტივაცია თანდათანობით უფრო სრულყოფილი, გატნობიერებული, ქმედითი ხდება, რაც გავლენას ახდენს ნებელობით პროცესებზე. მაგალითად, იდეალი, როგორც სხვა ნებისმიერი მოტივი, ნებელობით აქტივობაში ასრულებს ორ ფუნქციას : ა) ნებელობით აქტივობას მიმართავს განსაზღვრული ნიშნის მიხედვით და ბ) ნებელობით კაქტივობას აძლევს ენერგეტიკულ ძალას. თუ უმცროს სასკოლო ასაკში ახალჩანასხული იდეალი მოსწავლეთა ნებელობით აქტივობაზე თითქმის არავითარ გავლენას არ ახდენს, გარდამავალი ასაკის მოზარდებში ისინი ნებელობითი აქტივობის ძლიერ აღმძვრელად გვევლინებიან. ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ მოზარდების იდეალები ხშირად შემთხვევითია და მათი ნებელობითი აქტივობაც არა მტკიცე.

ნებელობითი აქტივობის შესამე კომპონენტია შეგნებული თვითსტიმულაცია. იგი უმეტესწილად გამოიყენება მაშინ, როცა მოსწავლეთა წინაშე გარკვეული სიძნელეები დგება. თვითსტიმულაციის საშუალებით ზოგიერთი გარეგანი სტიმულის და მოტივის მოქმედება იზრდება, ხოლო სხვების სუსტდება, რის გამოც ნებელობით აქტის შეგნებული რეგულაცია ხდება. შეგნებული თვისტიმულაცია არის

ნებელობითი აქტივობის მექანიზმი. გარდამავალი ასაკი შეგნებული თვითსტიმულაციის ჩასახვის ასაკია.

უმცროსკლასელები გარეგანი აღძვრის გარეშე ნებელობით აქტივობას ვერ ახორციელებენ, მათ ამის გარეშე მიზნის დამოკიდებული დასახვა და შეუპოვრობის გამოვლენა არ შეუძლიათ. ამ ასაკის მოსწავლეთა ქცევა მნიშვნელოვნადაა დაკავშირებული სიტუაციასთან. ეს დამოკიდებულება უმცროსკლასელს აიძულებს წინააღმდეგობა ვერ გაუწიოს სიტუაციის გაკლენას. ერთი სიტყვით, უმცროსკლასელის ნებელობითი აქტივობა უმეტესწილად ზორციელება გარეგანი სტიმულაციის საფუძველზე. ნებელობითი აქტის სხვა ფსიქოლოგიური კომპონენტები (მოტაცი და თვითსტიმულაცია) არასაკმარისადაა განვითარებული. უმცროსკლასელებზე გარეგანი სტიმულები მოქმედებენ უმეტესად როგორც კანონი, რომლის გადახვევასაც ისინი ვერ ბედავენ. უმცროსკლასელი კარგი შემსრულებელია!

უმცროსკლასელთა მოტივები, ძირითადად, აწმყოს მოტივებია. მათი „შარეული მოტივაცია“ ძალზე სუსტი და ნაკლებად მტკიცეა. უმცროსკლასელთა ნებელობითი აქტივობა ხშირად მრავალმოტივიანია. მათი ძირითადი მოტივებია უფროსების მიერ შემჩნევის სურვილი და მათი აღიარების მოპოვების მცდელობა. ამ ასაკში გარკვეულ ადგილს იჭერს პრესტიჟული ზასიათის მოტივებიც, მაგალითად, უმცროსკლასელთა თვითდამკვიდრებისკენ მისწრაფება. ფსიქოლოგიურ ლიტერატურაში ამ მოტივთა არსებობა უმთავრესად გარდამავალ ასაკში აღინიშნება, მაგრამ აქსელერაციის ფაქტი ანგარიშგასაწევი ფაქტორია.

უმცროსკლასელებთან შეგნებულ თვითსტიმულაციასაც აქვს ადგილი, მაგრამ იგი უმეტესწილად გაცნობიერების დაბალი დონით გამოირჩევა, რის გამოც მას არ გააჩნია საკმარისი ძალა, რომ წინააღმდეგობა გაუწიოს ქცევის ხელშემშლელ ფაქტორებს, ძლიერ ემოციებს და ა.შ. შეგნებული თვითსტიმულაცია ას ასაკში მხოლოდ ჩასახვას იწყებს.

გარდამავალ ასაკში ხდება ნებელობითი აქტივობის სტრუქტურის ძირეული ცვლა. უმცროსკლასელებისაგან განსხვავებით, რომელთა ნებელობითი აქტივობა უმეტესწილად გარეგანი სტიმულაციით ზორციელდება, მოზარდები საკუთარი ქცევის რეგულაციას იწყებენ შინაგანი სტიმულაციის საფუძველზე. გარეგანი სტიმულაციით წარმოებულ ნებელობითი აქტივობიდან შინაგანი სტიმულაციით განპირობებულ ნებელობით აქტივობაზე გადასვლა არის გარდამავალი ასაკის მოზარდის ნებელობის ძირითადი თავისებურება უმცროსკლასელებთან შედარებით. გარდამავალი ასაკიდან იწყება ნამდვილი ნებისყოფის ჩამოყალიბება. ამის გამო მოზარდის ქცევა ახლა ნაკლებადაა დამოკიდებული გარეგან გარემოებებზე და ნებელობითი რეგულაციის უფრო რთულ ფორმას წარმოადგენს. მოზარდის ნებელობითი აქტივობის ეს ცვლილებები მისი თვითცნობიერების განვითარებასთანაა დაკავშირებული.

მოუხედავად ამისა, როგორც აღვნიშნეთ, მოზარდის ნებელობითი აქტივობა არაა მტკიცე, ხანდახან კი იგი წინააღმდეგობრივია. ეს იმასთანაა დაკავშირებული, რომ შეგნებული თვითსტიმულაცია ჯერ-ჯერობით საკმარისად არაა

ჩამოყალიბებული და განვითარებული. გარეგანი სტიმულატორები კი (სააღმზრდელო ღონისძიებანი) ამ ასაკში ფსიქოლოგიური თავისებურებების გამო უფრო სხვაგვარად აღიქმება, ვიდრე დაწყებითი სკოლის ასაკში და მას არა აქვს ისეთივე აღმზრდელი და მასტიმულირებელი ძალა, როგორც დაწყებითი სკოლის ასაკში ჰქონდა. ამის გამო, ეს სტიმულები გარდამავალ ასაკში უმეტესად არ იწვევენ შესაბამის ნებელობით აქტივობას.

გარდამავალი ასაკის მოზარდების ნებელობითი აქტივობა ხშირად ხორციელდება ერთდროულად რამდენიმე მოტივის საფუძველზე; აგრეთვე გარდაქმნილი, შეცვლილი მოტივებითაც. ამ ასაკში, როგორც აღვნიშნეთ, მოტივები შეიძლება გაძლიერდეს შეგნებული თვითსტიმულაციის საშუალებით, შეგნებული თვითსტიმულაცია უფრო გაცნობიერებულ და ქმედით ხასიათს ატარებს, ვიდრე უმცროს სასკოლო ასაკში. მოზარდები ხშირად თვითსტიმულაციის აქტებს თვითაღზრდის პროცესში იყენებენ. ეს იმის გამო ხდება, რომ თვითაღზრდა რთული ნებელობითი პროცესია. იმ მოზარდებს, რომელთა ნებელობითი აქტივობა ძირითადად გარეგანი სტიმულაციის საშუალებით მიმდინარეობს, თვითაღზრდის უნარი ნაკლებად აქვთ განვითარებული და თვითაღზრდის პროცესისადმიც ნეგატიურ და გულგრილ დამოკიდებულებას ამჟღავნებენ.

ქცევის განხორციელებაზე მისი მომავალი შედეგების წარმოდგენის უნარი რთული პროცესია. იგი ყველა ასაკის ბავშვისათვის არაა მისაწვდომი. უმცროსკლასელებს ჯერ კიდევ არ შეუძლიათ წინასწარ წარმოიდგინონ, თუ მათ მომავალ საქციელს სხვები როგორ შეაფასებენ. ამასე არ ფიქრობენ მოზარდების უმრავლესობაც. ისინი უმეტესწილად მიუთითებენ იმ შედეგებზე, რომლებიც პირადად მათთანაა დაკავშირებული. მოზარდებში ცოტაა ისეთები, რომლებიც ამბობენ, რომ მათ მიერ ჩადენილი ცუდი საქციელი გასაკიცხია, ან ამ საქციელს შორეული უარყოფითი შედეგები ექნება. ამრიგად, მოსწავლეთა ნებელობის აღზრდის საქმე შესაძლებელი ქცევების შედეგების განჭვრეტის უნარის ჩამოყალიბებას მოითხოვს.

აქვე უნდა აღვნიშნოს, რომ იმ შემთხვევებშიც კი, როცა მოზარდები წინასწარ წარმოიდგენენ მომავალი ქცევის შედეგებს, ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ ასეთი წინასწარი წარმოდგენა აუცილებლად დაეხმარება მას ნებელობითი ქცევის განხორციელებაში. ეს იმის გამო ხდება, რომ ბევრ მოზარდთან მომავალი ქცევის შედეგების წარმოდგენა არ უკავშირდება ისეთ ძლიერ ემოციებს, რომლებიც აქტუალურ სურვილებს აჯობებენ. ნებელობის აღსაზრდელად აუცილებელია აგრეთვე ემოციური შეფასებისა და თანაგრძნობის უნარის აღზრდა.

ნებელობის აღზრდის საქმეში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია მოქმედების მიზნის წინასწარი დასმის უნარი. თუ ის მიზანი, რომელსაც აღმზრდელი სვამს, შეესაბამება მოზარდის მოთხოვნილებებს, ქცევა ნებელობითი იქნება. ამ შემთხვევაში მიზანი მოზარდის მოთხოვნალებას განსაზღვრულ მინარსს აძლევს და ნებელობით ქცევას ორგანიზაციას უკეთებს. ხშირად ხდება, რომ უფროსების მიერ დასახული მიზნები მოზარდებისთვის მიუღებელია იმის გამო, რომ ისინი ვერ ხედავენ

კავშირს ამ მიზანსა და საკუთარ მისწრაფებებსა და სურვილებს შორის. რაც უფრო მეტი ასაკისაა მოზარდი, შორეული მიზნის დასმის მეტი უნარი გააჩნია მას.

გარდამავალ ასაკში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს მოქმედების მიზნის დამოუკიდებლად დასმისა და მისი მიღწევის უნარის ჩამოყალიბება. აქ განსაკუთრებით ისეთი მიზნები იგულისხმება, რომელთაც შორეული მოტივაციური ღირებულება აქვთ. ეს მომავალი ცხოვრების ხანგრძლივი პერიოდების განჭვრეტის კარგ პერსპექტივას ქმნის და მოზარდს მიზანმიმართულობასა და მიზანსწრაფულობას უყალიბებს.

ნებელობითი აქტივობის აღზრდაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია აგრეთვე განზრახვა. ერთ შემთხვევაში მიღებული განზრახვა საკმაოდ ძლიერ მოთხოვნილებად გადაიქცევა, ხოლო სხვა შემთხვევაში – პირიქით, ადვილად კარგავს თავის აღმძვრელ ძალას და ქცევა არ განხორციელდება. უმცროსკლასელებს მხოლოდ განსაზღვრულ პირობებში შეუძლიათ მიიღონ ისეთი განზრახვა, რომელიც საკმარის აღმძვრელ ძალად გადაიქცევა. მაგრამ ამ შემთხვევაშიც ისინი უფროსების დახმარებას საჭიროებენ.

მოზარდების განზრახვები უმცროსკლასელებთან შედარებით უფრო გამძლე და მტკიცეა და, რაც მთავარია, ნაკლებად დამოკიდებული ერთდროულად მოქმედი სხვა მოთხოვნილებების გავლენისაგან. ამიტომაც, რომ მოზარდებში განზრახვა ნებელობით აქტივობაში მნიშვნელოვან როლს ასრულებენ. ერთმანეთისაგან უნდა განვასხვავოთ სიტუაციური, რომელიც მიიღება აქტუალური მოთხოვნილებების გავლენით და მუდმივმოქმედ მოტივებთან დაკავშირებული განზრახვები. სიტუაციური განზრახვა ხშირად კარგავს ძალას, რადგანაც ქრება ის მოთხოვნილება, რომელმაც იგი აღძრა. ამით აიხსნება ის შემთხვევები, როცა შეგნებულად მიღებული განზრახვა არ სრულდება. განზრახვის განუხორციელებლობის მიზეზია აგრეთვე ისიც, რომ მოტივები, რომლის მიხედვითაც განზრახვა იქნა მიღებული, იყო ისეთი ძლიერი, რომ მოზარდი არც კი დაფიქრებულა ვუფოდა თუ არა მას ამისთვის ცოდნა, უნარი, დრო და ძალა.

✓ [გარდამავალ ასაკში მოზარდი იწყებს „აჯანყებას“ უფროსების, მშობლებისა და მასწავლებლების წინააღმდეგ და ცდილობს მაღაწიოს სრულ დამოუკიდებლობას.] როგორც ვნახეთ, მოზარდის დამოუკიდებლობისკენ სწრაფვის ეს ტენდენცია გარდამავალი ასაკის ერთ-ერთი ძირითადი თავისებურება და ახალწარმონაქმნია. იგი, უპირველეს ყოვლისა, ჯიუტობისა და ნეგატივიზმის სახით იჩენს თავს, რის გამოც გარდამავალ ასაკს ხანდახან ჯიუტობის მეორე ხანასაც უწოდებენ. ეს ამბობება და პროტესტი ბევრ რამეში იჩენს თავს, მაგრამ ყველაზე მეტად მაინც ჯიუტობაში, ჟინიანობასა და ნეგატივიზმში ვლინდება.

მოზარდს ახლა უფროსების ნებართვითა და მითითებით მოქმედება, უფროსების ავტორიტეტისადმი უკრიტიკო მორჩილება, ბავშვობის გამოვლენად მიაჩნია, რის გამოც საკუთარი თავის ბავშვის მდგომარეობაში განცდა ღიდ უსიამოვნებას გვრის და მწვეველ განიცდის. ამიტომ იგი ძელებურად ავტორიტეტებს პატივს

აღარ სცემს, უფროსების მითითებებს არ ასრულებს და ყველაფერში ცდილობს დამოუკიდებლად იმოქმედოს. ჯიუტობა და უინიანობა სწორედ ამ თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისკენ სწრაფვას გამოხატავს.

ჯიუტობისა და უინიანობის ეს ტენდენცია კიდევ უფრო მკვეთრად გამოხატული, როცა მოზარდი იმის საწინააღმდეგოს აკეთებს, რასაც მისგან უფროსები მოითხოვენ. მოზარდი ჯიუტობასა და ნეგატივიზმს უმეტესწილად უფროსებთან ურთიერთობაში ამჟღავნებს, ტოლებთან დამოკიდებულებაში კი იგი ამ თვისებებს ნაკლებად ავლენს, ჯიუტობა, უინიანობა და ნეგატივიზმი ნებისყოფის სუბიექტს აუბღურებს და ნებისმიერი ქცევის შესაძლებლობებს უქვეითებს. ისინი არ იძლევიან მომენტალურ ინტერესებზე ამაღლებისა და ობიექტური ღირებულებებით შეპირობებული ქცევის აქტების განხორციელების შესაძლებლობას. ამიტომ ითვლება ისინი ნებისყოფის სისუსტის გამომხატველ მოვლენებად.

უმცროსკლასელთათვის, როგორც ვნახეთ, დამახასიათებელი იყო ნებელობითი თვისებების დროებითი ხასიათი. როცა არაა შესაბამისი სიტუაცია, უფროსების მხრიდან უმცროსკლასელების ნებელობითი წახალისება და სტიმულაცია, იგი ხშირად ვერ იჩენს მუშაობაში მიზანსწრაფულობას, თუმცა აცნობიერებს, რომ დაწყებული საქმე ბოლომდე უნდა მიიყვანოს.

გარდამავალი ასაკი ამ თვალსაზრისით რთული და წინააღმდეგობრივი პერიოდია. მიზანმიმართულობა, დამოუკიდებლობა და სიმტკიცე, რითაც მოზარდი სიბუნებურად გადალახავს ზოლმე, გვიჩვენებს, რომ სხვა ადამიანთა ნებისყოფის ობიექტიდან იგი საკუთარი ნებისყოფის სუბიექტად იქცევა. ეს მდგომარეობა გარდამავალი ასაკის დიდი წინსვლა და სპეციფიკაა. ჭაბუკობის ასაკში კი შესაბამისი განვითარების კვალობაზე ნებელობითი თვისებები პიროვნების ხასიათის თვისებებად იქცევა.

ნებელობითი აქტივობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტის – შეუპოვრობის გარდამავალ ასაკში ფორმირება დაკავშირებულია ცხოვრებისეულ გარემოებებთან, ნერვული სისტემის ტიპთან, მოზარდის თვითგარბობებსა და განწყობებზე, ქცევის მოტივებზე. შეუპოვრობის სრულყოფილება და განვითარება გამოიხატება დაწყებული საქმის წარმატების ბოლომდე მიყვანის უნარის გამოჩვენებაში. შეუპოვრობის განვითარებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მოზარდის უნარს შეგნებულად წახალისოს საკუთარი თავი სიბუნებურების დაძლევაში და დასახული მიზნის მიღწევაში. თვითსტიმულაციის ეს უნარი ვითარდება ასაკის წინსვლის კვალობაზე, ცხოვრებისეული გამოცდილებისა და ცოდნის დაგროვების საფუძველზე. მოზარდის თვითსტიმულაციის უნარი ქცევის საბოლოო შედეგებზე დადებით ზემოქმედებას ახდენს.

შეუპოვრობის განვითარების ხარისხის მიხედვით გამოყოფენ სამ ჯგუფს:

ა) მოზარდები, რომელთაც შეუპოვრობის მაღალი განვითარება აქვთ. ეს მოზარდები ცდილობენ დაწყებული საქმე ყოველთვის ბოლომდე მიიყვანონ, ავლენენ მოქმედების საკმარის მაღალ ტემპს და საბოლოო შედეგს შედარებით მოკლე დროში აღწევენ. ეს მოზარდები სიბუნებურების გადალახვას ცდილობენ საკუთარი

ძალებით და მიმართავენ თვითსტიმულაციას. ამ ჯგუფს შეადგენენ უმცროსი მოზარდების 27% და უფროს მოზარდთა 36%.⁷

ბ) შეუპოვრობის საშუალო დონის მოზარდები. ამ ჯგუფში შევიდა უმცროსი მოზარდების 46% და უფროს მოზარდთა 64 %. ამ ჯგუფის მოზარდებისათვის დამახასიათებელია იმ თვისებების არათანაბარი განვითარება, რომლებიც პირველი ჯგუფის მოზარდებისათვის იყო ნიშანდობლივი;

გ) მესამე ჯგუფს მიეკუთვნება შეუპოვრობის სუსტი უნარის მქონე მოზარდები, რომლების დაწყებული საქმის ბოლომდე მიყვანას არ ცდილობენ. ისინი პირველივე სიძნელის წინაშე ჩერდებიან და ფარ-ხმალს ყრიან, ითხოვენ სხვების დახმარებას, მუშაობენ ნელა, უსისტემოდ და, როგორც წესი, თვითსტიმულაციის გარეშე. >

თავის მეთოთხმეტე მოთხოვნები ბარამავალ ასაკში

მოთხოვნობათა ფსიქოლოგიური ბუნებისა და განვითარების ასაკობრივ კანონზომიერებათა მეცნიერულ შესწავლას დიდი პედაგოგიური ღირებულება აქვს. მოთხოვნობათა პედაგოგიური ფორმირების მიმართულებით გამოყენებული ყოველი პედაგოგიური ღონისძიება მოთხოვნობათა ბუნებისა და განვითარების კანონზომიერებათა მეცნიერულ ცოდნას უნდა დაეყაროს, რათა მათი აღზრდის საქმეში წარმატება იქნას მოპოვებული. მოთხოვნობათა შესწავლის პედაგოგიური ღირებულება მარტო იმით არ განისაზღვრება, რომ ისინი აღზრდის ობიექტებს წარმოადგენენ. მოთხოვნობები ამავე დროს აღზრდის ძირითად საშუალებებსაც წარმოადგენენ. ყოველი სასწავლო-სააღმზრდელო ღონისძიება მოზარდის რომელიმე მოთხოვნობასთან უნდა იქნას დაკავშირებული, რომ მან იგი ხალისით მიიღოს და პედაგოგიური მიზანდასახულობის შესატყვისი აქტივობა ძალდაუტანებლად განახორციელოს. ნებისყოფა, რაც არ უნდა მტკიცე იყოს იგი, ვერ გაუძლებს სასწავლო-სააღმზრდელო აქტივობის მთელ დატვირთვას, თუ მას მხარს არ უჭერს რომელიმე მოთხოვნობა, რომელიც მოზარდის სასწავლო-სააღმზრდელო მოქმედებას სასამოვნო მოვლენად აქცევს. სასწავლო-სააღმზრდელო პროცესში წარმატების მოსაპოვებლად უნდა ვიცოდეთ მოცემულ ასაკში რა ძირითადი მოთხოვნობები აქვს მოსწავლეს და როდის და რა სასწავლო-სააღმზრდელო ღონისძიებების დაკავშირება შეიძლება თითოეულ მათგანთან.

სასწავლო-სააღმზრდელო ზემოქმედება სოციალურ ურთიერთქმედებათა გზით ხორციელდება. ამ პროცესის წარმატება მნიშვნელოვანწილად იმაზეა დამოკიდებული, თუ მასწავლებელი ამ ურთიერთობის პროცესში რამდენად ითვისებს მოსწავლეთა მოთხოვნობებს (განსაკუთრებით სოციოგენურ მოთხოვნობებს). მასწავლებლისა და აღმზრდელის მიერ მოსწავლეთა მოთხოვნობების გაუთვისებლობა და ფრუსტრაცია ხშირად აღმზრდელობითი მუშაობის მნიშვნელოვან შესუსტებას ან ჩაშლას იწვევს.

ადამიანური მოთხოვნობები იყოფა სამ ჯგუფად: მ. ჩხარტიშვილი ა) ბიოგენური, ბ) ფსიქოგენური და გ) სოციოგენური მოთხოვნობები. ბიოგენური მოთხოვნობები ინდივიდში მიმდინარე სხეულებრივი ცვლილებების ნიადაგზე აღმოცენდებიან და სხეულებრივი ცვლილებების გზითვე კმაყოფილდებიან. ფსიქოგენური მოთხოვნობები პიროვნების ფსიქიკურ სტრუქტურაში იჩენენ თავს და იმ ფსიქიკური პროცესების გზით კმაყოფილდებიან, რომელთაც მათი შესატყვისი ობიექტები იწვევენ ამ სტრუქტურაში. სოციოგენური მოთხოვნობანი კი წარმოიშობიან პიროვნების სოციალურ სტრუქტურაში, სოციალური სიტუაციის ზეგავლენით და ამავე სოციალურ სიტუაციაში კმაყოფილდებიან. მათი წარმოშობის და დაკმაყოფილების აუცილებელ პირობას, მათი სიტუაციის ცენტრალურ მომენტს წარმოადგენს მეორე ადამიანი ან ადამიანთა ჯგუფი, რომელთანაც მათი სუბიექტები გარკვეული ურთიერთობების დამყარებას ესწრაფვიან. მოთხოვნობათა მთელი მრავალფეროვნება იყოფა სამ ჯგუფად:

I ბიოგენური მოთხოვნები:

1) თვითშენახვის: ა) კვების, ბ) თავდაცვის, გ) მოტორული აქტივობის, დ) დასვენების, ე) ძილის, ვ) ორგანიზმიდან ნარჩენების გამოყოფის.

2) სქესობრივი: ა) მოწინააღმდეგე სქესთან შეერთების, ბ) პოპოგენურ სქესთან შეერთების, გ) თვითდაცაყოფილების.

3) გამრავლების,

4) ალკოჰოლისა და ნარკოტიკული ნივთიერებების,

5) ნებიერობის.

II ფსიქოგენური მოთხოვნები:

1) ინტელექტუალური: ა) პერცეპტული აქტივობის, ბ) ინტელექტუალური აქტივობის, გ) ახალი შთაბეჭდილებების, დ) ცნობისმოყვარეობის, ე) ცოდნის მოპოვების, ვ) თეორიული ძიების, ზ) კონსტრუქციების.

2) ესთეტიკური: ა) ესთეტიკურ ჭვრეტაში ტკბობის, ბ) ესთეტიკური შემოქმედების, გ) ესთეტიკურ მოვლენათა რეპროდუქციის, დ) თვითგაესთეტიკურობის.

3) პერცეპტული ტკბობის, 4) თავისუფლების, 5) წესრიგის, 6) მიღწევის (წარმატების), 7) ქონების (ღირებულების შექენისა და შენახვის), 8) ტურიზმისა და სანახაობის, 9) პროფესიული მოქმედების (შრომის), 10) კოლექციონერობის, 11) ფანტაზირობის, 12) უკუდაცვის (მარადილთან დაკავშირების), 13) სენსაციის, 14) წარსულში დაბრუნების, 15) თამაშისა და გართობის, 16) მძაფრი შინაგანი დაძაბულობისა და შინაგანი განცდების.

III სოციალური მოთხოვნები:

1) სასხეისო ურთიერთობანი (სიკეთის): ა) ქველმოქმედების, დახმარებისა და თანაგრძობის, ბ) სამართლიანობის, გ) მფარველობის, დ) სხეებისათვის სიამოვნების მინიჭების, ე) შთამომავლობის კეთილდღეობაზე ზრუნვის, ვ) ხალხის კეთილდღეობაზე ზრუნვის, ზ) სამშობლოს კეთილდღეობაზე ზრუნვის;

2) სასხეისო-სათავისო ურთიერთობის: ა) თანაარსებობის, საუბრის და აზრის გაზიარების, ბ) კოოპერაციისა და თანამშრომლობის, გ) ოჯახური ბედნიერების, დ) მეგობრობისა და სიყვარულის, ე) სხეებისადმი ზღომძღვანელობის, ვ) ძლიერის მფარველობის ქვეშ ყოფნის, ზ) ნადიმისა და დროს ტარების.

3) სათავისო ურთიერთობა: 1) თვითგამოყოფის: ა) თვითღირებულებისა და საზოგადოებრივი ცხოვრების ნორმებში შეზრდის, ბ) საზოგადოებრივი პრესტიჟის (აღიარების), გ) თავის გამოჩენის და სხვების ყურადღების საგნად ყოფნის, დ) პირადი ღირსების დაცვის ე) დამოუკიდებლობის, ვ) შეუძირისა და ჯობნის (უპირატესობის მოპოვების), ზ) ძალაუფლების (მბრძანებლობისა და დამორჩილების).

2) სათვის: ა) შურისა და სიხარბის, ბ) შურისძიების, გ) სხვების დაცინვისა და დამცირების, დ) სხვებისათვის ზიანის მიყენების.

აღნიშნული მოთხოვნები აღზრდის ობიექტებსაც წარმოადგენენ და საშუალებებსაც (მოტივებსაც). სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობა ამ მოთხოვნებებზე უნდა დაეფუძნოს, რომ იგი აქტივაციის მაღალ დონეზე

წარიმართოს. ამ მიმართულებით ყველაზე მნიშვნელოვანია ინტელექტუალური აქტივობის, ცოდნის მოპოვების, თეორიული ძიების, ესთეტიკური ჭვრეტისა და შემოქმედების, წესრიგის, მიღწევის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის, თვითღირებულებისა და საზოგადოებრივი ცხოვრების ნორმებში შეზრდის, საზოგადოებრივი პრესტიჟისა და პირადი ღირსების დაცვის მოთხოვნები. ამ მოთხოვნებიდან ყველას არ აქვს სწავლა-აღზრდის საქმეში ერთნაირი მოტივაციური ღირებულება. ფსიქოგენური მოთხოვნებიდან ინტელექტუალური აქტივობის, ცოდნის მიღებისა და მიღწევის მოთხოვნები უნდა მიეცეს უპირატესობა, ხოლო სოციალური მოთხოვნებიდან – პრესტიჟის, თავისუფლება-დამოუკიდებლობის და თვითღირებულების და საზოგადოებრივი ცხოვრების ნორმებში შეზრდის მოთხოვნები.

მოქმედის ძალის მიხედვით გარდამავალი ასაკიდან ყველას პრესტიჟის მოთხოვნა სჭარბობს. ეს მოთხოვნა ყველა მოზარდში ერთნაირად არა განვითარებული. პრესტიჟის მოთხოვნა არის გარდამავალი ასაკის მოზარდის ერთი უძლიერესი მოთხოვნა რომელსაც, გარკვეულ პირობებში, შეუძლია სხვა მოთხოვნების ბლოკირება და მათი იმპულსების შეზღუდვა. პრესტიჟის მოთხოვნას, იმის მიხედვით, თუ მისი დაკმაყოფილების რაგვარ სიტუაციას შექმნის მასწავლებელი გაკვეთილზე, შეუძლია სწავლის შესაძლებლობათა აქტივობის დონე კლასში შესამჩნევად ასწიოს, ან კიდევ, დაადაბლოს ისე, რომ გაკვეთილი ჩაიშალოს.

პრესტიჟის მოთხოვნა არის თავის ისეთი გამოჩენის მოთხოვნა, რომელსაც მხოლოდ მაღალი ღირებულების პიროვნული თვისებების კატეგორიების შეფასება აკმაყოფილებს. პრესტიჟის მოთხოვნების დაკმაყოფილების საზოგადოებრივი თვალსაზრისით გამართლებულ გზას წარმოადგენს წარმატების მოპოვება იმ საქმიანობაში, რომელსაც მოქალაქეობრივი მოვალეობა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში დაკავებული ადგილი გვიკარანახებს. ე.ი. ისეთი საქმიანობა, რომელიც პიროვნების ღირებულებას მაღლა სწევს და ირგვლივ მყოფ ადამიანებში პრესტიჟს ზრდის.

დადგინდა, რომ პრესტიჟის მოთხოვნა, რომელიც უმცროს სასკოლო ასაკში ნელი ტემპით ვითარდება, გარდამავალი ასაკის დასაწყისში მაღალი ტემპით იწყებს განვითარებას და ამ ასაკის ბოლოს იგი მოზარდის ერთ-ერთი ძირითად და წამყვან მოთხოვნად იქცევა. ამ მოთხოვნების განვითარების გზაზე ყველაზე მნიშვნელოვანი გარდატეხა გარდამავალი ასაკის დასაწყის ეტაპზე – დაახლოებით 12 წლის ასაკში ხდება. პრესტიჟის მოთხოვნების განვითარების ასეთი კანონზომიერება შესაძლებლობას იძლევა გარდამავალი ასაკის დასაწყისიდან იგი გამოყენებული იქნეს როგორც ერთ-ერთი ძირითადი მოტივი, რომელსაც მოზარდის სასწავლო-სააღმზრდელო აქტივობა დაეფუძნება.

ბიჭებისა და გოგონების მონაცემების ურთიერთშედარება შემდეგ სურათს იძლევა: მესამე კლასში პრესტიჟის მოთხოვნა ორივე სქესში დაახლოებით თანაბარია. მეოთხე – მეხუთე კლასებში გოგონები ოდნავ წინ უსწრებენ ბიჭებს. მეექვსე კლასიდან კი, ამ მხრივ ბიჭებს ენიჭებათ უპირატესობა, მაგრამ მათ შორის განსხვავება უმნიშვნელოა.

გარდამავალი ასაკიდან სულ უფრო იზრდება მოზარდის მოთხოვნილება ისეთ სოციალურ სიტუაციაზე, რომელშიც მას ბავშვის მდგომარეობიდან ამაღლებულ ადგილს უთმობენ და სოციალურად სრულფასოვან პიროვნებად მიიჩნევენ. მოზარდი ისეთ სოციალურ გარემოს ეძებს, სადაც მას თავისუფლებას მიანიჭებენ და სრულფასოვან პარტნიორად აღიარებენ. შ. ჩხარტიშვილის კლასიფიკაციის მიხედვით, თავისუფლების მოთხოვნილება ფსიქოგენურ მოთხოვნილებათა ჯგუფს მიეკუთვნება, ხოლო დამოუკიდებლობის მოთხოვნილება სოციოგენურ მოთხოვნილებებში შედის. მისი აზრით ორთავე ეს მოთხოვნილება მოქმედებს ერთად, შერწყმულად. ორთავე მოთხოვნილება აქტივობის მოთხოვნილების დიფერენციაციის გზით არის მიღებული.

დამოუკიდებლობის მოთხოვნილება, როგორც ვნახეთ, სოციოგენური წარმოშობისაა და იგი ყოველთვის ადამიანებთან ურთიერთობაში იჩენს თავს და დამყოფილებასაც ადამიანებთან ურთიერთობაში ნახულობს. ეს არაა უბრალოდ თავისუფლების მოთხოვნილება. თავისუფლების მოთხოვნილების სუბიექტს ფსიქოლოგიური პიროვნება წარმოადგენს, ხოლო დამოუკიდებლობის მოთხოვნილების სუბიექტის როლში ყოველთვის სოციალური პიროვნება გვევლინება. თავისუფლების მოთხოვნილება უფრო აქტივობის თავისუფლებას ეხება, ხოლო დამოუკიდებლობის მოთხოვნილება, უფრო მეტად, გადაწყვეტილების გამოტანაში დამოუკიდებლობას გულისხმობს. პიროვნების ცხოვრებაში, ჩვეულებრივ, ეს მოთხოვნილებები ერთად, შერწყმული სახით მოქმედებენ, რადგანაც უმრავლეს შემთხვევაში, რითაც ერთი კმაყოფილება, მეორეც იმაში პოულობს კმაყოფილებას. ამის გამო ეს ორი მოთხოვნილება ერთ მოთხოვნილებადდა მიჩნეული. შ. ჩხარტიშვილის ცდებში, იმის გამოსარკვევად, თუ როგორია ბავშვობის დატოვებისა და ზრდადარსებულის მდგომარეობაში (დიდობის) მოთხოვნილების ზრდის ტემპი, მესამე —მეოთხე კლასების მოსწავლეებს უნდა დაეწერათ თემა: „რა ხნის მინდა ვიყო ახლა მე და რატომ?“ აღმოჩნდა, რომ გარდამავალ ასაკამდე მოსწავლეთა გაცილებით მეტ რაოდენობას უნდა იმაზე უფრო დიდი ხნის იყოს, ვიდრე ფაქტურად არის, მაშინ, როცა მოზარდების 32% გამოთქვამს ასეთ სურვილს. ეს იმით აისხნება, რომ დიდობის მოთხოვნილება გარდამავალ ასაკში თავის ხასიათს იცვლის. უმცროს სასკოლო ასაკში დიდობის მოთხოვნილების შინაარსს ფიზიკური სიდიდე წარმოადგენს. უმცროსკლასელს სურს იყოს უფრო დიდი ხნის იმისათვის, რომ იგი იყოს დიდი გაბარიტის, მაღალი, ღონიერი და ა.შ. გარდამავალი ასაკიდან კი დიდობის მოთხოვნილების შინაარსი არსებითად იცვლება. ახლა ამ მოთხოვნილების საგანს წარმოადგენს არა ფიზიკური, არამედ სოციალური განზომილების სიდიდე. ახლა მოზარდს უნდა აქონდეს დიდი სოციალური წონა, რომ მის პიროვნებას აღიარებდნენ და ანგარიშს უწყევდნენ. ეს მოთხოვნილება იმდენად ძლიერი ხდება, რომ ფიზიკური ძალ-ღონის მოთხოვნილება უკან პლანზე გადადის.

ამრიგად, ბავშვობის დატოვებისა და დიდის მდგომარეობაში ყოფნის მოთხოვნილება გარდამავალ ასაკში სოციალურ შინაარსს იღებს. იგი არის იმის მოთხოვნილება, რომ მოზარდი როგორც პიროვნება, როგორც შედარებით

დამოუკიდებელი და თავისუფალი სოციალური ერთეული, მოდიოდეს ურთიერთობაში გარესამყაროს მოვლენებთან – პირველ რიგში კი სოციალურ მოვლენებთან, ადამიანებთან და სოციალურ ჯგუფებთან.

თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის მოთხოვნილება უმცროს სასკოლო ასაკში იჩენს თავს. ბავშვს ამ დროს აკმაყოფილებს არა თვითონ თავისუფლება და დამოუკიდებლობა, იმის განცდა, რომ იგი თავისი ქცევის ბატონ-პატრონია და მისი ყოველი ნაბიჯი ყოველთვის სხვებზე არაა დამოკიდებული, არამედ იმის კეთება, რასაც მშობლები უკრძალავენ.

გარდამავალი ასაკის დასაწყისიდან კი მდგომარეობა იცვლება. მოზარდს ახლა აწუხებს იმის განცდა, რომ იგი სხვებზეა დამოკიდებული. მოზარდს ახლა თვითონ დამოუკიდებლობა და თავისუფლება სწყურია, რადგან სხვებთან დამოუკიდებელი, თავისუფალი ქცევის აქტებში განიცდის იგი თავის პიროვნებას.

გარდამავალი ასაკის მანძილზე თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის მოთხოვნილება დიდი ტემპით იზრდება. ზრდის ტემპში მკვეთრად გამოხატული გარდატეხა შეინიშნება მეოთხე და მეხუთე კლასებს შორის. რიცხობრივ მანერებელი, რომელიც თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის მოთხოვნილებათა ექსტენსიურ განვითარებას უჩვენებს, მეხუთე კლასში ხუთნახევარჯერ მეტია მეოთხეკლასელთან შედარებით.

ამრიგად, ბავშვობის დატოვებისა და დიდის მდგომარეობაში ყოფნის მოთხოვნილება, გარდამავალ ასაკში იძენს სოციალურ უნარს და გადამწყვეტ ზეგავლენას ახდენს მოზარდის აქტიუობის მიმართულებაზე. ეს მოთხოვნილება პრესტიჟისა და თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის მოთხოვნილებათა ფორმებში დიფერენცირდება და მოზარდის ყოველ ქცევაში ეძებს დაკმაყოფილებას.

გარდამავალი ასაკის მოზარდისთვის ძალიან დამახასიათებელია პოპულარობის მოთხოვნილება. პოპულარობის მასშტაბები თანდათანობით იზრდება. მოზარდს ამ მიმართულებით უკვე აღარ აკმაყოფილებს კლასისა და სკოლის მასშტაბებიც კი. პოპულარობის წყურვილი და სურვილი ისე დიდია, რომ მოზარდის ქცევაში მისი უგულვებელყოფა იწვევს დაუფიქრებელ გამოხდომებს, რომელთა ერთადერთი მოტივი ყურადღების მიქცევაა. მოზარდის პოპულარობის მოთხოვნილების დიდი მნიშვნელობის შესახებ ის ფაქტიც მეტყველებს, რომ პოპულარობისთვის მოზარდს ბევრი რამე შეუძლია მოიკლოს და უარი თქვას ბევრ რამეზე.

6. სარეკლამებ იკვლია აქტუალურად მოქმედი მოთხოვნილების გავლენა მეორე ადამიანის – მოთხოვნილების სუბიექტთან სოციალურ ურთიერქმედებაში ჩართული პიროვნული თვისებების შეფასებაზე უმცროს მოზარდებთან მოსწავლე-მასწავლებლის ურთიერთობის მაგალითზე. აქ იგულისხმება ისეთი სოციალური სიტუაცია, სადაც მოთხოვნილების დაკმაყოფილება სწორედ იმ პირობებზეა დამოკიდებული, რომლის პიროვნულ თვისებებსაც აფასებს მოთხოვნილების სუბიექტი. აქ გამოიყოფა სამი სიტუაცია: ა) მოთხოვნილების სუბიექტს იმედი აქვს, რომ მეორე ადამიანი დაკმაყოფილებს მის პირადულ მოთხოვნილებას (პირობითად – „დადებითი მოლოდინი“);

2) მოთხოვნილებას სუბიექტს იმედი არ აქვს, რომ მეორე ადამიანი დაკმაყოფილებს მის მოთხოვნილებას (პირობითად – „უარყოფითი მოლოდინ“);

3) მოთხოვნების სუბიექტმა გარკვევით არ იცის დააკმაყოფილებს თუ არა მეორე ადამიანი მის მოთხოვნებს (პირობად „გაურკვეველი მოლოდინი“). დადგინდა, რომ მოთხოვნებისა და „დადებითი მოლოდინის“ გავლენით ზოგადად დადებითი მიმართულებით იცვლება გარდამავალი ასაკის მოსწავლის მიერ მასწავლებლის ყველა პიროვნული თვისებების შეფასების ხასიათი. მოთხოვნებისა და „უარყოფითი მოლოდინის“ გავლენით ზოგადად უარყოფითი მიმართულებით იცვლება მოზარდის მიერ მასწავლებლის პიროვნული თვისებების შეფასების ხასიათი. მთლიანი შეფასების ელემენტებს (ე.ი. თითოეულ პიროვნულ თვისებას) შორის არაშესატყვისი დამოკიდებულებაა: პიროვნულ თვისებათა ერთი ჯგუფის მისართ ნათლად ჩანს შეფასებაში უარყოფითი მიმართულების ცვლილებათა სიჭარბე დადებითთან შედარებით, მაშინ, როცა მეორე ჯგუფის პიროვნულ თვისებათა მიმართ ისეთი განსხვავება დადებითი და უარყოფითი მიმართულების ცვლილებებს შორის არ შეინიშნება.

მოთხოვნებისა და „გაურკვეველი მოლოდინის“ გავლენის ზოგადად დადებითი მიმართულებით იცვლება მასწავლებლის ყველ პიროვნული თვისების შეფასების ხასიათი.

დახმარებისა და თანაგრძობის მოთხოვნის გაცემის შედეგად სოციალურ მოთხოვნებს, რადგანაც მისი აღმოცენებისა და დაკმაყოფილების პირობები იქნება ადამიანთა სოციალური ურთიერთმოქმედებით, აღნიშნული მოთხოვნებით განხორციელებული ქცევა მორალური ქცევაა. დახმარებისა და თანაგრძობის მოთხოვნისა და მისი ცნობიერება ყალიბდება პარალელურად და მორალური ქცევის წყაროს წარმოადგენს.

დახმარებისა და თანაგრძობის მოთხოვნების განვითარების ჩანასახი ჯერ კიდევ უძეგროს სასკოლო ასაკში იწყება. უძეგროს კლასებს აქვთ გარკვეული წარმოდგენები სხვა ადამიანებისადმი დახმარებისა და თანაგრძობისა, რომელიც ატარებს კონკრეტულ და საგნობრივ ხასიათს. იგი მოქმედების ობიექტური მნიშვნელობის გაგებას კი არ ეყარება, არამედ უფროსების მოწონებით გამოწვეულ დადებით ემოციურ მდგომარეობას. გარდამავალ ასაკში კი მოზარდთა მნიშვნელოვანი ნაწილი თავისუფლდება საგნობრივი მიჯაჭვულობისაგან და მათთან უკვე ჩნდება ზოგადი წარმოდგენები. მოზარდების ნაწილი უკვე აცნობიერებს აბსტრაქტულ აზრს, ხოლო ნაწილი კი დახმარებისა და თანაგრძობის მსჯელობებს იხილავენ საკუთარ თავთან მიმართებაში.

მოზარდთა ერთ ნაწილს აქვს დახმარებისა და თანაგრძობის მოთხოვნისა და მოვალეობის ცნობიერება, ხოლო მოზარდების ნაწილს ეს მოთხოვნისა და ჯერ არ აქვს განვითარებული და მათი ქცევა ხორციელდება სხვა მოტივით. მათ ქცევას საფუძვლად ედება პრესტიჟის, თანამშრომლობის ან მოზარდის სხვა რომელიმე პირველი მოთხოვნისა, სადაც საკუთარი კეთილდღეობა წინა პლანზე წამოწეული. ასეთი მოზარდები საკუთარი თავის უფრო არიან დაინტერესებულნი, ვიდრე სხვებისადმი დახმარებითა და თანაგრძობით.

გარდამავალ ასაკში მოზარდების ერთი ნაწილი ერთდროულად მოქმედებს თანაგრძობისა და დახმარების მოთხოვნებისა და აგრეთვე მოვალეობის საფუძველზე. ორთავე შემთხვევაში მათ მხედველობაში აქვთ სხვისი კეთილდღეობა.

განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ პირველ შემთხვევაში მოზარდები მოქმედებენ თავისუფლად, შინაგანი დაძაბულობის გარეშე, ხოლო მეორე შემთხვევაში სხვისი შეფასებებით შებორკილნი.

ჭაბუკობის ასაკში კი დახმარებისა და თანაგრძნობის მოთხოვნისილება თანდათან აღწევს განვითარების სიწიფეს. ჭაბუკები უკვე ადვილად ძლევენ თავიანთ ინდივიდუალურ მისწრაფებებს, ადვილად ითვალისწინებენ სხვების ინტერესებს და ანგარიშს უწყვენ სხვების მდგომარეობას. ჭაბუკები, როგორც თანაგრძნობისა და დახმარების მოთხოვნის სუბიექტები, უმეტესწილად მიმართულნი არიან მოქმედების შედეგებისაკენ, ისინი ყურადღებას ამახვილებენ ქცევის ობიექტურ შეფასებაზე, ჩერდებიან მის სოციალურ ღირებულებებზე. მათ ახლა შეუძლიათ ღრმად განიცადონ სხვისი მწუხარება და სიხარული და მთელი აქტივობა მიმართონ პირველის შესამსუბუქებლად და მეორის გასამძლიერებლად.

გარდამავალ ასაკში ინტენსიურ განვითარებას იწყებს საზოგადოებრივ ღირებულებებში შეზრდის მოთხოვნისილებაც. ესაა საკუთარი სოციალური ღირებულების მოთხოვნისილება. იგი თვითაღზრდის მნიშვნელოვანი საშუალებაა. უმცროს მოზარდებთან საზოგადოებრივ ღირებულებებში შეზრდის მოთხოვნისილება ძირითადად ვლინდება ერთი მხრივ, კარგ ადამიანად ჩამოყალიბების სურვილსა და მეორე მხრივ მომავალ პროფესიაზე ოცნებებში. ეს ტენდენცია მოზარდებთან უფრო მკვეთრად გამოხატული. მათ აქვთ განვითარებული თვითანალიზი, თვითშეფასება, თვითკონტროლი, უკვე აქვთ თვითგანათლებისა. და თვითაღზრდის კონკრეტული გეგმებიც. ისინი მიმართავენ ამ საქმის მიღწევის ისეთ საშუალებებს, როგორცაა მიბაძვა, უფროსების რჩევა, ამხანაგური კრიტიკა, თვითშეზღუდვა და სხვა. საკუთარი პიროვნების შეფასებისას უმცროსი მოზარდები ძირითადად ითვლისწინებენ სხვების. შენიშნებს და ეყრდნობიან მათ. უფროსი მოზარდები კი, თავიანთი პიროვნების დადებით და უარყოფით თვისებებს თვითონვე აფასებენ და დარწმუნებულნი არიან, რომ ნაკლოვანებების გამოწორება მხოლოდ მათზეა დამოკიდებული.

ურთიერთობის მოთხოვნისილება სოციოგენურ მოთხოვნისილებათა ერთი სახეა. იგი შრომის პროცესში წარმოიშვა და ძირითადი სოციალური მოთხოვნისილებაა. ამ მოთხოვნისილების არსებობის საფუძველზე დაეადგინა, რომ ადამიანი თანამონაწილე, თანამშრომელი და საზოგადოებრივი არსებაა. ადამიანს სიამოვნებს ურთიერთობის პროცესი იმიტომ, რომ იგი აკმაყოფილებს მის ერთ-ერთ ძლიერ სოციოგენურ მოთხოვნისილებას. ურთიერთობის მოთხოვნისილების სუბიექტს აკმაყოფილებს მხოლოდ სხვა ადამიანთან ურთიერთობა. ურთიერთობის მოთხოვნისილება ყველასათვისაა დამახასიათებელი, მაგრამ სხვადასხვა ასაკისა და ინდივიდუალობის ადამიანებთან განსხვავებულად გამოხატული. ურთიერთობის მოთხოვნისილება ისახება ჯერ კიდევ მეტყველების დაწყებამდე. ამ ასაკში უფროსებთან კონტაქტების საფუძველზე ბავშვს უჩნდება პირველი ადამიანური მოთხოვნისილება — ურთიერთობის მოთხოვნისილება, რომელიც სხვა მოთხოვნისილებებთან შედარებით ერთ-ერთი მთავარი და წარმმართველი ხდება.

გარდამავალი ასაკის დასაწყისში სოციალური თანარსებობის მოთხოვნებიდან გამომდინარე სოციალური ურთიერთობის მოთხოვნილება, რომელიც ჩქარი ტემპით ვითარდება და მოზარდის ერთ-ერთი წამყვანი მოთხოვნილება ხდება.

სოციოგენური მოთხოვნილებანი გარდამავალი ასაკიდან მოზარდის ქცევის წამყვანი მოთხოვნილებები ხდება. ეს იმას ნიშნავს, რომ მოზარდის ამიერიდან თავის პიროვნებას, პირველ რიგში, ამ მოთხოვნილებებში განიცდის.

იქ, სადაც მოზარდი უფროსების – მშობლებისა და მასწავლებლების მხრივ აღიარებას ვერ ნახულობს და სოციალურ მოთხოვნილებათა უგულებელყოფის გამო ფრუსტრაციას განიცდის, სადაც მის სოციალურ პიროვნებას ანგარიშს არ უწევს და ისე ექცევიან როგორც ბავშვს – მისგან მხოლოდ ბრძანებისა და განკარგულების ფორმაში მიცემულ დავალებათა შესრულებას მოითხოვენ, მოზარდს უშუალოდ უარყოფითი ხასიათის სოციალური განწყობა, რომლის ნიადაგზეც დადებითი სოციალური ურთიერთობის განვითარება შეუძლებელი ხდება.

გარდამავალი ასაკის მოზარდის განსაკუთრებით კრიტიკული ხდება იმ აღმზრდელების მიმართ, რომლებიც მათ მზარდ სოციალურ პიროვნებას ვერ ამჩნევენ, ანგარიშს არ უწევს და მის დამოუკიდებლობისა და პრესტიჟის მოთხოვნილებებს ფრუსტრაციის მდგომარეობაში აყენებენ. მოზარდი ასეთი აღმზრდელის შედარებით პატარა ნაკლს ხშირად მეტისმეტად აზვიადებს და ამით აღმზრდელს, როგორც სოციალურ პიროვნებას, არ ცნობს.

ასეთი მასწავლებელი და აღმზრდელი ვერ ახერხებს პრესტიჟის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის მოთხოვნილებები სწავლის წამყვან მოტივებად აქციოს.

„... ხასწავლო წარმატება გაკვეთილზე მარტო დიდაქტიკური მოთხოვნილების რეალიზაციაზე არაა დამოკიდებული. გაკვეთილს აქვს მეორე მხარე – სოციალურ-პედაგოგიური მხარე, რომლის სწორ ორგანიზაციას, გაკვეთილის დიდაქტიკური მხარის სწორ ორგანიზაციაზე ნაკლები მნიშვნელობა როდი აქვს. გაკვეთილის სოციალურ-პედაგოგიური მხარის ორგანიზაცია მასწავლებლის და მოსწავლის, მასწავლებლისა და კლასის სოციალურ ურთიერთქმედებათა პედაგოგიურ ორგანიზაციას გულისხმობს. ეს უკანასკნელი კი მოცემული ასაკის მოსწავლეთა სოციოგენურ მოთხოვნილებათა გათვალისწინების გარეშე შეუძლებელი საქმეა“ (შ. ჩხარტიშვილი).

თავი მეოთხეტი გარდაგავალი ასაკის მოზარდის საქსუალური განვითარება

სექსუალობა არის ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორი, რომელიც აღძრავს ადამიანს ინტერპერსონალური კონტაქტებისა და კავშირებისაკენ. სექსუალობა არის ადამიანის ორგანიზმის თანამობილი მოთხოვნილება და ფუნქცია სუნთქვის, საჭმლის მონელებისა და სხვა ფუნქციების მსგავსად. ადამიანი იბადება განსაზღვრული ფიზიოლოგიური სექსუალური პოტენციალით, რომელიც შემდეგ ცხოვრებისეული გამოცდილების ჩარჩოებში ფორმირდება. სექსუალობა განპირობებულია ბიოლოგიური, ფსიქოლოგიური და სოციოკულტურული ფაქტორების ინტეგრირებული ურთიერმოქმედებით. სექსუალობა არის ერთ-ერთი ძირითადი აქტივობა, აღმძვრელი, რომელიც აერთიანებს ადამიანებს, აკავშირებს მათ ერთმანეთთან და, საბოლოო ანგარიშით, აყალიბებს მათ ერთობლივ თანაცხოვრებას. მნიშვნელოვანია სექსუალობის როლი აგრეთვე პიროვნებათა შორის ურთიერთობებში. მიუხედავად იმისა, რომ ცხოველთა და ადამიანთა სექსუალობას საერთო ბიოლოგიური ძირები აქვს, მათ შორის არსებითი ხასიათის განსხვავებაა.

ბიოლოგიური კანონების შესაბამისად სექსუალური მოთხოვნილება ინტოგენეტური განვითარების პროცესში განიცდის ევოლუციას, რომელიც ასაკობრივი თავისებურებებითაა განპირობებული, მაგრამ ამ პროცესში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ფსიქოლოგიურ და სოციოკულტურულ ფაქტორებსაც. სექსუალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილების დროს დიდი მნიშვნელობა აქვს მის ინტეგრაციას ემოციური კონტაქტის მოთხოვნილებასთან. ადამიანს დაბადებისთანავე დაკვეება სექსუალური რეაქციებისთვის საჭირო ნივთიერებები ფიზიოლოგიური მექანიზმები, მაგრამ სექსუალობის გაცნობიერება, სქესობრივი როლი და სექსუალური მოთხოვნილების მიმართულება გარემო ფაქტორების გავლენითაა განპირობებული.

ადამიანის სექსუალური ქცევის ფორმები ყალიბდება სექსუალური მოთხოვნილებების გავლენით, რომელიც დინამიკურ ფაქტორს წარმოადგენს. ამ მიმართულებით მნიშვნელოვან როლს თამაშობს პიროვნული ნიშნებიც, რომლებიც სექსუალობის გამოვლინებას განსხვავებულ ხასიათს აძლევს. სექსუალური ქცევის ჩამოყალიბებაზე გავლენას ახდენს ადამიანის მთელი პიროვნება, განსაკუთრებით მისი განვითარების და სიმწიფის ხარისხი (პიროვნული მექანიზმების ინტეგრაცია, თვითშეფასების დონე, შემეცნებითი სქემები, რომლებიც გარესამყაროში ორიენტაციას განსაზღვრავენ, მაკონტროლებელი და შემაკავებელი მექანიზმები და ა.შ.). სექსუალური ქცევის ფორმები სქესობრივი ორგანოების იზოლირებული ფუნქცია კი არაა, არამედ მთელი პიროვნების მოქმედების შედეგია, ეს ქცევები მჭიდროდაა დაკავშირებული ხასიათის თვისებებთან, შემეცნებით უნარებთან, ნებელობით პროცესებთან და სხვა პარტნიორული ფაქტორების მთელ კომპლექსთან.

ადამიანის სექსუალური ქცევა მისი საერთო სოციალურ-სოზოგადობრივი ქცევის ნაწილია, ხოლო სექსუალური ცხოვრება ექვემდებარება ეთიკურ და

ესთეტიკურ პრინციპებს, რომელიც მჭიდროდაა დაკავშირებული პიროვნება¹² მსოფლმხედველობასთან, ზოგადი კულტურისა და თვალსაწიერის დონესთან.

✓ სქესობრივი ინსტინქტი ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი ინსტინქტია ცოცხალ სამყაროში. ის კონკურენციას უწევს ისეთ ძლიერ ინსტინქტებს, როგორიცაა წყურვილისა და შიმშილის ინსტინქტი. ეს მღვამარეობა მისი ბიოლოგიური არსითაა გამართლებული. ესაა გამრავლების, შთამომავლობის მოცემის ინსტინქტი¹³ რომელიც შთამომავლობის კვლავწარმოების ფუნქციას გამოხატავს. ეს ინსტინქტი¹⁴ რომ შესუსტდეს, კაცობრიობის კვლავწარმოების საქმე ცუდად იქნება. ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ შემაკავებელი მექანიზმების უქონლობას სერიოზული უარყოფითი შედეგები მოაქვს. სქესობრივი ინსტინქტი უნდა იყოს ძლიერი და ამავე დროს, მართვადიც.]

სქესობრივი ლტოლვა (ლიბიდო) არის ორგანიზმის თავისებური აქტუალური, დინამიკური მღვამარეობა, რომელიც მიმართულია საწინააღმდეგო სქესის წარმადგენლისადმი სქესობრივი სახსლოვისაკენ. როგორც აღვნიშნეთ, ეს ერთ-ერთი თანშობილი ინსტინქტია. [ადამიანის სქესობრივი აგზნება უმთავრესად მიმდინარეობს თავის ტვინის დიდი ნახევარსფეროების ქერქიდან, რომლის მოქმედების შედეგია სქესობრივი განცდების ინტენსივობა და ხარისხი. სქესობრივი ფუნქცია ცხოველებში დაკავშირებულია ერთადერთ ფუნქციასთან – გამრავლებასთან, ხოლო ადამიანის საფეხურზე, ამასთანავე პიროვნების ენერგეტიკული პოტენციალი და უმაღლესი ადამიანური გრძობის – სიყვარულის ჩასახვისა და განვითარების საფუძველია.]

სექსუალობის ფორმირება რთული პროცესია. იგი იწყება ონტოგენეზის ემბრიონალურ პერიოდში და მთავრდება სქესობრივი მოწიფებით. ადამიანის სქესობრივი განვითარება ორი, ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული მიმართულებით მიმდინარეობს. ესაა სომატოსექსუალური და ფსიქოსექსუალური განვითარება. [გამოყოფენ სექსუალობის ფორმირებისა და გამოვლენის რამდენიმე ეტაპს.]

1) პრენატალური პერიოდი (ჩასახვიდან დაბადებამდე), როცა ხდება გონადების, გენეტიკისა და ტვინის სტრუქტურის ღიფერენციაცია (6-32 კვირა);

2) პარაპუბერტეტული პერიოდი (1-7 წელი), როცა ბავშვი აცნობიერებს სქესობრივ მიკუთვნებულობას, იწყებს გარემომდებელთა სქესის მიხედვით განსხვავებას. ამ ასაკში აღმოცენდება ცნობისმოყვარეობა, რომელიც მიმართულია სქესობრივი ნიშნებისაკენ, სქესობრივი ორგანოებისაკენ, ფორმირდება სქესობრივი თვითცნობიერება;

3) პრეპუბერტეტული პერიოდი (7-13 წელი), რომელიც ხასიათდება სქესობრივ-როლური განწყობების გამომუშავებით, თამაშში სქესობრივ-როლური ქცევის სწავლით, სქესობრივ-როლური ქცეების სტერეოტიპების ჩამოყალიბებით;

4) პუბერტეტის პერიოდი (12-18წელი), რომლისთვისაც დამახასიათებელია პლატონური ოცნებები და ფანტაზია, პლატონური ურთიერთობა (პლატონური ლიბიდოს ფორმირება), ხოლო შემდგომ ეროტიკული ფანტაზიები, ეროტიკული

აღერსი და თამაშები (ეროტიკული ლიბიდოს ფორმირება). ამ ეტაპის კრიტიკული ასაკია 12-15 წელი;

5) სექსუალობის გარდამავალი ასაკი (16-26 წელი), სადაც ადგილი აქვს სექსუალურ ფანტაზიას, მასტურბაციას (ონანიზმს), სექსობრივი ცხოვრების დაწყებას, სექსუალურ ექსცესებს (სექსუალური ლიბიდოს ფორმირება). ამ ეტაპის კრიტიკული ასაკია 16-24 წელი;

6) მომწიფებული სექსუალობის პერიოდი (26-55 წელი), რომელიც რეგულარული სექსობრივი ცხოვრებით ხასიათდება;

7) ინვოლუციური პერიოდი (51-70 წელი), როცა ხდება სექსობრივი აქტივობის დაქვეითება, ლიბიდოს რეგრესი ეროტიკულისა და პლატონურის დონემდე.

მოზარდების ფსიქოსექსუალური ორიენტაციის ჩამოყალიბება აპირობებს ლტოლვის ობიექტის არჩევას და ზორციელდება პუბერტატულ პერიოდში ენდოკრინული სისტემებისა და პიროვნული თვისებათა ინტენსიური ფუნქციონირების ფონზე.

თავისი თანმიმდევრობა გააჩნია, აგრეთვე, მოზარდის სომატოსექსუალურ განვითარებასაც. ესაა მეორადი სასქესო ნიშნების თანმიმდევრული განვითარება. (ამ საკითხს ჩვენ გავეცანიით შესაბამის თავში მოზარდის ანატომიურ-ფიზიოლოგიური განვითარების კანონზომიერებების შესახებ).

ფსიქოსექსუალური განვითარება მოზარდის საერთო განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია. პირველი ფსიქოლოგიური ამოცანა, რომელსაც მოზარდის წინაშე სექსობრივი მომწიფება აყენებს, არის სექსობრივი მიკუთვნებულობის საბოლოოდ გაცნობიერება და მისი შესაბამისი ფსიქოსექსუალური ორიენტაციის განხორციელება. ბიოლოგიური სქესი ჯერ კიდევ არ აყალიბებს ბავშვს ქალად და მამაკაცად. ეს რომ განხორციელდეს, საჭიროა ბავშვმა გააცნობიეროს თავისი სექსობრივი მიკუთვნებულობა და შეითვისოს შესაბამისად ქალის ან მამაკაცის როლი.

[მოზარდს ძალიან ადვილებს ის, თუ რამდენად შეესაბამება მისი გარეგნობა, ხასიათი და ქცევა მამაკაცის ან ქალისთვის მიღებულ სტერეოტიპებს. სხულის აგებულების ცვლილებები და მეორადი სასქესო ნიშნები ამ მიმართულებით მნიშვნელოვან სოციალურ სიძბოლოს როლს ასრულებს. ისინი ერთდროულად აღნიშნავენ უფროსობას (მოწიფულობას) და სქესს. აქედან გამომდინარეობს მოზარდის დიდი დაინტერესება საკუთარი და თანატოლების სხეულით.]

წინა თავებში ჩვენ აღვნიშნეთ, რომ მოზარდობის ასაკი არის არათანაბარი განვითარების ასაკი. ეს მდგომარეობა აისახება სექსობრივ სფეროშიც. 14 წლის ბიჭი, თავისი განვითარებით, შეიძლება იყოს წინაპუბერტული, მოზარდიც და ჩამოყალიბებული მამაკაციც. ადრე მომწიფებული მოზარდი მშობლებსა და მასწავლებლებს მრავალ საზრუნავს და პრობლემას უქმნის. მოუხედავად ამისა, ეს მდგომარეობა დადებითი მოვლენაა. ნაადრევი ფიზიკური ლა სექსობრივი მომწიფება ხელს უწყობს მოზარდის პრესტიჟის ამაღლებას და პრეტენზიის დონის აწევას. გვიან მომწიფებული ბიჭები ავლენენ გაუწონასწორებლობას. ურთიერთობაში სიძნელეებს და ა.შ

სქესობრივი მომწიფების დასაწყისიც ისევე ინდივიდუალურია, როგორც ზრდის ნახტომი. მოუხელდავად განვითარების პროცესში არსებული ზოგიერთი ვარიაციისა (გოგონების, მაგალითად, მკერდის განვითარება ბოქვენის გათმოვანებაზე ადრე ხდება), ჰუბერტეტსა და ადრეული ჭაბუკობის პერიოდში სხეულებრივი განვითარების თანამიმდევრობა შედარებით, ერთგვაროვანია. ნაადრევად განვითარებულ ბიჭებთან ადრევე ხდება ბოქვენის გათმოვანება და ადრევე ვლინდება სექსუალური მომწიფების სხვა სინძებიც. იმ გოგონებთან, რომლებსაც ადრე ეზრდებათ მკერდი, ადრე იჩენს თავს მენარხეც.

სასქესო ჯირკვლების უჯრედების ზრდა და მამრობითი სასქესო ჰორმონების სეკრეცია ბიჭებთან ჯერ კიდევ 11,5 წლის ასაკში იწყება, მაგრამ სექსუალური მისწრაფებები (ლიბიდო) – 12,15-13 წლის ასაკში.

ჰუბერტეტში, შედარებით, გვიან ხმის მუტაცია ხდება. ზოგიერთ მოზარდთან ხმის დაბოხება უცერად ხდება, ხოლო სხვებთან ეს პროცესი შეუძნელოდ ვითარდება. ხმის დაბოხებისას მნიშვნელოვნად ღიღდება ზორხი (ადამის ვაშლი). ხმის იოგები, რომლებიც ზორხში არიან მოთავსებული, ორჯერ გრძელდება, რის გამო ხმაც, თითქმის, ორი ოქტავით იზრდება.

მოზარდობის ასაკში იცვლება, აგრეთვე, ბიჭების მკერდის ზომა და ფორმა. მნიშვნელოვნად იზრდება ტუბუსთაგების გარშემო არსებული არე (თუშკა ისე არა, როგორც გოგონებთან). ბიჭების 20-30%-ს მოზარდობის შუა პერიოდში მკერდი მნიშვნელოვნად ეზრდებათ, მაგრამ ეს ფენომენი ერთი წლის მერე ქრება. ბიჭებს ჰუბერტეტის წინ აღენიშნებათ ტორსის ქვედა ნაწილის გაეხიზმუნება, რაც სხეულის ქალური ფორმის ასოციაციას იწვევს, რაც ბიჭებში ღიღ შეითვასა და წუხილს იწვევს. ეს მოვლენა, როგორც წესი, ადრევე ქრება.

გოგონებთან მკერდის ზრდის პარალელურად ხდება ბოქვენის ნაზი, უფერო გათმოვანების დასაწყისი, რაც სექსუალური განვითარების პირველ ნიშნებს წარმოადგენს. ამასთანავე ხდება მათ ორგანიზმში ესტროგენების უპირატესი გამოშუშავება. შემდეგ ჩქარდება საშვილოსნოს და საშოს განვითარება. სქესობრივი განვითარების დინამიკაში მენარხე, შედარებით, გვიან იჩენს თავს.

აბსოლუტურად ნორმალურ მოზარდებთან ზრდის თანმიმდევრობა ინდივიდუალურად ძალიან განსხვავებულია. მაგალითად, ზოგიერთ ბიჭთან პენისის განვითარება 13,5 წლის ასაკში დასრულებულია, ხოლო ზოგთან ეს პროცესი 17 წლის ასაკში მთავრდება. მკერდის ზრდა ზოგიერთ გოგონასთან ჯერ კიდევ რვა წლის ასაკში იწყება, ხოლო სხვებთან – 13 წლის ასაკში. მენარხეს ასაკი მერყეობს 9-დან 16,5 წლამდე.

✓ გოგონებში ნაადრევი სქესობრივი მომწიფება ხშირად იწვევს ფსიქოლოგიურ სიძნელეებს. რომელიც გამოიხატება თანატოლებისაგან ჩამოშორებასა და განმარტობაში, მორცხვობასა და საკუთარ თავში დაურწმუნებლობაში, სქესის აშკარა ნიშნების დაფარვის ცდაში. ეს მდგომარეობა არაა ზოგადი და საერთო. დღეს აქსელერებული გოგონები ბიჭების მსგავსად თითქმის უმტკივნეულოდ იტანენ „ძელი ასაკის“ მკაცრ გამოცდებს.

გარდამავალ ასაკში, როგორც აღვნიშნეთ, მოზარდის ორგანიზმში ბევრი მნიშვნელოვანი ცვლილება ხდება. მაგრამ ყველაზე მთავარი მაინც სქესობრივი

მოშვიფების დაწყებაა. მოზარდს ძალიან უჭირს ამ ცვლილებებთან შერიგება, რადგანაც ამის გამო არსებითად იცვლება მისი მე-ს ზატი. ამასთან დაკავშირებით ძალზე ნიშანდობლივია ერთი თექვსმეტი წლის ამერიკელი მოზარდის სიტყვები: „როცა მე შემისრულდა თოთხმეტი წელი, ჩემმა სხეულმა დაიწყო ჭკუიდან შემლა“ (ნ. ნოუკომბი, გვ. 485).

ამერიკულ განვითარების ფსიქოლოგიაში დიდი ადგილი ეთმობა გარდამავალ ასაკში სქესობრივი კავშირების საკითხს. აღინიშნება ადრეული ორსულობისა და ვენერული დაავადების მრავალი ფაქტი. ჩვენი მორალისა და ტრადიციების მიხედვით ასეთ ასაკში სქესობრივი ცხოვრების საკითხების განხილვა მკრეხელობაა. ჩვენში უმეფათესი გამონაკლისის (უკიდურესი ეკონომიური შეჭირვება) გარდა, როგორც წესი, ასეთი რამ არ ხდება. ზოგიერთი ამერიკელი ავტორის მიხედვით თერაპეტიკულად უფროსი ასაკის რესპონდენტების უმრავლესობა აღნიშნავს, რომ მათ პირველი სქესობრივი კონტაქტები ჰქონდათ თექვსმეტი წლის ასაკამდე. (ნ. ნოუკომბი, გვ. 487).

მოზარდობის ასაკში ძალიან იზრდება სექსუალური ინტერესები და აქტივობა. ამ დროს მოზარდები განიცდიან სექსუალობის მკვეთრ ზრდას. მიუხედავად იმისა, რომ გოგონები, ბიჭებთან შედარებით, სქესობრივად ადრე მწიფდებიან, გოგონებისათვის დამახასიათებელია დიფუზური სექსუალური ემოციები და ისინი უფრო კონსერვატორები არიან ამ თვალსაზრისით.

ქველა მკვლევარი აღნიშნავს, რომ დღევანდელი მოზარდები სექსუალობის საკითხს უფრო ღიად და თავისუფლად ეპყრობიან, ვიდრე მათი მშობლები.

უახლესმა გამოკვლევებმა აჩვენეს, რომ შეიცვალა არამხოლოდ მოზარდების განწყობები და ღირებულებები სექსუალობის მიმართ, არამედ შეიცვალა სექსუალური ქცევებიც: ქორწინების გარეშე სქესობრივი კავშირების სიხშირემ თინეიჯერებში (განსაკუთრებით გოგონებში) საგრძობლად მოიმატა.

სექსი მრავალ პრობლემას უქმნის მოზარდებს. უპირველეს ყოვლისა ორსულობისა და ვენერული დაავადებების რისკის თვალსაზრისით.

გოგონების სქესობრივი მოშვიფების პერიოდი შეიძლება დაიწყოს დაახლოებით ათი წლის ასაკიდან და გაგრძელდეს 19-20 წლამდე. ამ დროს გაძლიერებულად მუშაობს შინაგანი სერკციის ჯირკვლები. გოგონების ორგანიზმში გამოიშვება დიდი რაოდენობის სქესობრივი ჰორმონები — ესტროგენები. ვითარდება მეორადი სასქესო ნიშნები (სხეულის დამახასიათებელი დამრგვალება, სარძევე ჯირკვლების ზრდა და ა.შ.). სქესობრივი მოშვიფების პერიოდში შინაგანი სერკციის ჯირკვლების აქტიური მოქმედების შედეგად შეიძლება დაიზრდეს ორგანიზმის ნივთიერებათა ცვლის პროცესები; ასეთი ცვლილებების გამოვლენას გოგონები მწვავედ განიცდიან. მაგალითად, გოგონების სახეზე ზორკლების გამოყრამ (რაც სქესობრივი მოშვიფებისთვისაა დამახასიათებელი როგორც გოგონებთან ასევე ბიჭებთან) შეიძლება ფსიქოლოგიური სტრესიც კი გამოიწვიოს, ყოველივე ეს იწვევს, აგრეთვე უკმარობის განცდას, ხასიათის ფსიქასთენიკური ნიშნების გაჩენას და სხვა თანმხლებ მოვლენებს. საერთოდ, ეს დროებითი მოვლენაა და გაივლის.

სქესობრივი მოშლილობის პერიოდში გოგონებს ეწყებათ პირველი მენსტრუაცია (მენარხე). მენსტრუაცია ნორმალური, ფიზიოლოგიური პროცესია. მენარხე უფრო ხშირად თორმეტი წლის ასაკში ვლინდება. ხანდახან იგი 14-15 წლის ასაკშიც იწყება. თუ გოგონებს 16-17 წლის ასაკში მენარხე არ დაეწყო, ეს მათი ორგანიზმის პათოლოგიაზე მიუთითებს და ექიმთან მისვლა აუცილებელია. მენსტრუაციის ხანგრძლივობა ჩვეულებრივ სამი-ოთხი დღეა, მისი ციკლი სამი-ოთხი კვირის შემდეგ მეორდება. მენარხეს დაწყების პირველ თვეებში შეიძლება იგი რეგულარული არ იყოს. მენსტრუაციის პერიოდში გოგონებმა თავი უნდა დაიცვან გაცივების ან ზედმეტი ფიზიკური გადატვირთვისაგან, უნდა მოერიდონ სპორტულ მეცადინეობებს (ხტომა, კელოსიპედის ტარება, ცურვა, სირბილი და ა.შ.). მენსტრუაცია წყდება 45-55 წლის ასაკში, დგება კლიმაქსის პერიოდი და შთამომავლობის მოცემის ფუნქცია ქრება. გოგონებში პირველი მენსტრუაციის დაწყება ნიშნავს, რომ მათ შთამომავლობის მოცემის აპარატი მზად აქვთ და შეუძლიათ დაორსულება. მაგრამ ძირითადად ეს მართლდება ბიოლოგიური თვალსაზრისით. ფსიქოლოგიური და, რაც მთავარია, სოციალურ-საზოგადოებრივი თვალსაზრისით 13-14 წლის გოგონა არაა მზად შეასრულოს მშობლის სოციალური როლი.]

ტერმინი პუბერტატი ნიშნავს სქესობრივი სიმწიფის მიღწევას. გოგონებთან მისი მაჩვენებელია მენარხე, ხოლო ბიჭებთან – პირველი ეიაკულაცია.

სასქესო ჰორმონის იმუშავეებს სქესობრივი ჯირკვლები, რომლებსაც ეწოდება გონადები. ჰორმონი არის ბიოქიმიური აქტიური ნივთიერება, რომელიც ჩაეღვრება სისხლში, ორგანიზმის სხვა სითხეებში და ასრულებს სტიმულატორის ფუნქციას. ჰორმონები გავლენას ახდენენ მოზარდის ზრდაზე. ისინი განსაკუთრებით აქტიურდებიან სქესობრივი მოშლილობის პერიოდში.

✓ [ქალის სასქესო ჯირკვლები – საკვრცხეები იმუშავენ სასქესო ჰორმონებს – ესტროგენებს, რომლებიც სტიმულირებენ ქალის ისეთი სქესობრივი ნიშნების განვითარებას, როგორცაა მკერდის ჩამოყალიბება. ბოქვენის გათოვანება და სხვა მეორადი სასქესო ნიშნების განვითარება. ქალის მეორე ჰორმონია პროგესტერონი, რომელიც ხელს უწყობს ჩასახვის პროცესს და ახდენს მენსტრუაციული ციკლის ფაზების რეგულაციას.] იგი აქტიურ მონაწილეობას ღებულობს აგრეთვე საშვილოსნოს მომზადებაში ორსულობისათვის.

✓ მამაკაცის სასქესო ჰორმონია, როგორც აღვნიშნეთ, ანდროგენები და ტესტოსტერონი, რომელიც ახდენს მამაკაცის მეორადი სასქესო ნიშნების ფორმირების სტიმულაციას. ესაა სახეზე და ტანზე თმების ზრდა, ხმის მუტაცია, მუსკულატურის, ჩონჩხისა და სასქესო ორგანოების (სათესლე) ჯირკვლები, წინამდებარე ჯირკვალი, პენისი, სათესლე პარკი) განვითარება.

ქალებისა და მამაკაცების სქესობრივი ნიშნების განვითარება დამოკიდებულია ქალთა და მამაკაცთა ჰორმონების სეკრეციის შეფარდებაზე. ქალებისა და მამაკაცების ორგანიზმში არსებობს როგორც ესტროგენები, ასევე ანდროგენებიც, მაგრამ სქესობრივი სიმწიფის დადგომამდე მათი რაოდენობა მეტად მცირეა.

სქესობრივი სიმწიფის შემდეგ კი მათი რაოდენობა მკვეთრად იზრდება. მოზარდის ორგანიზმში სქესობრივი ჰორმონების ბალანსის დარღვევა კი იწვევს პირველადი და მეორადი სასქესო ნიშნების განვითარების გადახრებს. მაგალითად, გოგონების ორგანიზმში ანდროგენების სიჭარბე იწვევს ტანზე თმისა და ტუჩებზე ულვაშების ზრდას, ვითარდება მამაკაცური მუსკულატურა და ძალა, ჩნდება მამაკაცური სხვა ნიშნებიც. მამაკაცებში კი ესტროგენების სიჭარბე ან ანდროგენების დეფიციტი იწვევს პოტენციისა და სექსუალური ლტოლვების დაქვეითებას, შერდის ზრდას და ქალური ნიშნების გამოვლენას.

ენდოკრინული ჯირკვლების მიერ გამოყოფილი ჰორმონებს შორის ფაქიზ წინასწორობას აძირობებს ჰიპოთალამუსი და ჰიპოფიზი. ჰიპოთალამუსი არის თავის ტვინის მცირე ნაწილი, რომელიც აკონტროლებს ზრდისა და მოწიფების პროცესებს. ჰიპოფიზი მოთავსებულია თავის ტვინის ქვედა ნაწილში და იმუშავებს მრავალ ჰორმონს, რომელიც ხელს უწყობს სქესობრივ სიმწიფეს. სასქესო ჯირკვლები ასრულებენ ორ ფუნქციას. ისინი გამოიმუშავენ სპერმას ან კერცხუჯრებს ან ანდროგენებს და ესტროგენებს. ჰიპოთალამუსი არის ტვინის ენდოკრინული და მოტოეკრინული ცენტრი, რომელიც არეგულირებს და აკონტროლებს ისეთ ფუნქციებს, როგორცაა შიმშილის და წყურვილის შეგრძნებები, მენსტრუაციული ციკლი, ორსულობა, ლაქტაცია და სექსუალური აქტივობა.

ბიჭების სქესობრივი განვითარების მნიშვნელოვანი ცვლილებაა სპერმის მოწიფებული უჯრედების წარმოქმნა. ესაა სპერმატოზოიდების წარმოქმნის პროცესის განვითარება, რომელიც მიმდინარეობს ჰიპოფიზის ჰორმონების ზემოქმედების შედეგად.

ჰუბერტული პერიოდის განმავლობაში პენისის (მამაკაცის სასქესო ორგანო) სიგრძე და დიამეტრი ორმაგდება. პენისის ზრდა განსაკუთრებული ინტენსივობით მიმდინარეობს თოთხმეტიდან თექვსმეტ წლამდე. მოზარდები ხშირად გამოთქაბენ შემოთქმას პენისის ზომის გამო, რადგანაც თვლიან, რომ პენისის სიდიდეზე დამოკიდებული მათი მამაკაცური და სექსუალური უნარები. პენისის ზომები მეტად ინდივიდუალურია. სინამდვილეში პენისის ზომა ერექციის დროს არაა დამოკიდებული მისი ზომისაგან არაერექციურებულ მდგომარეობაში, რადგანაც ერექციის დროს პატარა ზომის პენისი გაცილებით უფრო იზრდება, ვიდრე დიდი ზომის არაერექციურებული პენისი.

მოზარდებისათვის დამახასიათებელია ღამის პოლუციები ძილის დროს. ესაა ბიჭებისათვის დამახასიათებელი ეიაკულაციები (თესლის გადმონთხევა). მკვლევართა მონაცემებით მამაკაცთა აბსოლუტური უმრავლესობა ხედავს ეროტიკულ სიზმრებს, რომელთა 80% ორგანოში მთავრდება. ასეთი სიზმრები ძალიანაა დამახასიათებელი მოზარდებისათვისაც. მოზარდი ხშირად განიცდის შემოთქმას და სირცხვილს ამის გამო, რადგანაც მას ხშირად ესიზმრება სქესობრივი კავშირები ახლობელ ადამიანებთან (დედასთან, დასთან და ა.შ.). ამ ასაკის ბიჭებს ღამის მოსალოდნელი პოლუციების შესახებ ისევე სჭირდებათ წინასწარი გაფრთხილება, როგორც გოგონებს - მენარხეს შესახებ.

მენარხე (პირველი მენსტრუაცია) გოგონებთან არის ფიზიკური მოძვლებების უნიკალური მოვლენა. მენარხე დგება მთავრობულად და იწყება საშობან სისხლდენით. მენარხე თავისი განცდებითა და მღვლეარებებით ყველა ქალს კარგად ახსოვს მთელი სიცოცხლის განმავლობაში. [ის გოგონები, რომლებიც წინასწარ არ იყვნენ მენარხისათვის მზად ან ძალიან ადრე დაეწყოთ ეს მოვლენა, აღწერენ მას როგორც ნეგატიურ და ტრავმის მიძყენებელ მოვლენას. ეს გოგონები, უმეტესწილად, არ იყვნენ წინასწარ ინფორმირებულნი მენარხეს შესახებ მშობლებისაგან. ზოლო ის გოგონები, რომლებიც ამისათვის წინასწარ მზად იყვნენ, მენარხეს აღიქვამენ როგორც მოწიფულობის დასაწყისს და განიცდიან სიამაყის გრძობას, რადგანაც დადგა ის მომენტი, რომცა მათ შთამომავლობის მოცემა შეუძლიათ.]

გოგონებისათვის მენარხე გაცილებით მეტია, ვიდრე უბრალოდ ასაკობრივ-ფიზიოლოგიური კანონზომიერება. ესაა სურთოდ სიძწიფის და დიდობის სიბზოლო. ამასთანავე გოგონები უფრო კარგად გრძობენ საკუთარ სხეულს და მატულობს თვითშეფასება. მართალია, მენარხეს დაწყება აღიქმება როგორც დადებითი მოვლენა, მაგრამ მას ახლავს ნეგატიური ასპექტებიც (დისკომფორტი, თავის, წელისა და ქვედა მუცლის ტკივილი).

გოგონებს მენარხე, ჩვეულებრივად, ეწყებათ 12-13 წლის ასაკში. თუმცა აქაც აღინიშნება ინდივიდუალური სხვაობები. როგორც აღნიშნეთ აქსელერაციის გამო დღევანდელ გოგონებს მენარხე შედარებით უფრო ადრე ეწყებათ, ვიდრე წინა თაობების მათ თანატოლებს. მენსტრუალური ციკლის ხანგრძლივობა შეიძლება მერყეობდეს ოციდან ორმოც დღემდე, ზოლო მისი საშუალო იდეალური ხანგრძლივობა ოცდარვა დღეა. მენსტრუაციულ ციკლს ახასიათებს ინდივიდუალური თავისებურებებიც და ნებისმიერი ქალის მენსტრუაციული ციკლის ხანგრძლივობაც ინდივიდუალურია. როგორც მკვლევარები აღნიშნავენ რეგულარული ციკლი იშვიათობას წარმოადგენს. მენსტრუაციის დროს სისხლის საშუალო დანაკარგი არის 40 მლ, რაც დაახლოებით სამი სუფრის კოვზია.

მოზარდი გოგონები განსხვავებულად აღიქვამენ და აფასებენ მენარხეს დადგომას. ზოგიერთი მას თვლის ნორმალურ და მისაღებ მოვლენას, რომელიც იწყებს სიხარულს და სიამაყეს, ზოლო ზოგიერთი, პირიქით, მის გამო განიცდის შფოთვისა და ზიზლს. მენარხემ შეიძლება ტრავმატ კი მაყენოს იმ გოგონებს, რომლებიც როგორც აღნიშნეთ, წინასწარ არ იყვნენ ინფორმირებულნი და შემზადებული ამისათვის.

↓ [თითქმის ყველა მოზარდ გოგონას მენსტრუაციული ციკლის დადგომასთან დაკავშირებით აღნიშნება ხასიათის ხშირი ცვლა და რხევა, რის საფუძველზედაც ვლინდება არასასიამოვნო დისკომფორტი.]

ლოვანმა შეისწავლა ოცდასამი ქვეყნის გოგონების ემოცია მენარხეზე, რაც შემდეგ სურათს იძლევა (ფ. რაისი, დასახელებული წიგნი, გვ. 120) გაკვირება - 32%, უფრო მეტი მოწიფულობის განცდა - 24%, შეცბუნება - 23%, ტკივილი

- 15% შიში - 15%, ბედნიერება - 15%, საკუთარი ქალურობის განცდა - 13%, სხვებისაგან განსხვავებულობის განცდა - 13%, უსუფთაობის განცდა - 11%, სიამაყე - 8%, სევდა - 8 % დედისადმი სიახლოვის განცდა - 5%.

ზოგიერთ მოზარდ გოგონასთან მენსტრუაცია იწვევს ერთგვარ ფიზიკურ უკეთიფობას, შეუძლოდ ყოფნას. გამოყოფენ (ჰუფმანი) ოთხ კატეგორიას: 1) დისმენორეა - ესაა გაძნელებული მენსტრუაცია, როცა მუცლის არეში მიმდინარე ტკივილებსა და ჭვავებს თან ახლავს თავისა და წელის ტკივილი, ადვილი დღლადობა, აგზნებულობა, გულისრევა, მკერდისა და სასქესო ორგანოების აწეული მგრძობელობა და სხვა; 2) მენორაგია - მენსტრუაციის დროს დიდი რაოდენობით სისხლდენა; 3) ამენორეა - ესაა მენსტრუაციის არარსებობა, რაც შეიძლება გამოწვეული იყოს ისეთი ფიზიოლოგიური ფაქტორებით, როგორცაა ფიზიკური გადახრა, ორგანიზმში ცხიმოვანი დაგროვების შემცირება, ნერვული ანორექსიით გამოწვეული სივამხდრე. იგი შეიძლება გამოწვეული იქნას აგრეთვე კლიმატის მკვეთრი შეცვლით, დაძაბული მუშაობით, ემოციური აგზნებით; 4) ლეტორაგია - ესაა სისხლდენა მენსტრუაციებს შორის, რაც ხშირი მოვლენაა.

მოზარდ გოგონებს ძალიან აინტერესებთ საკითხი იმის შესახებ, რომ მენსტრუაციის დროს შეიძლება თუ არა სპორტი, ცურვა და ბანაობა. უნდა გვახსოვდეს, რომ საეციალისტები არ ურჩევენ ამ დროს დაძაბულ სპორტულ ვარჯიშებს, მაგრამ ნორმალური სპორტული ცხოვრება გარკვეულწილად ხელს უწყობს მენსტრუაციით გამოწვეული დისკომფორტის მოხსნას. ცურვა და ბანაობა შეიძლება იმ შემთხვევაში, როცა წყალი არაა ცივი და ორგანიზმის გაცივებას საფრთხე არ ემუქრება.

მოზარდ ბიჭებში სქესობრივი მოშწიფება დაკავშირებულია ჰორმონალური სფეროს აქტიუობასთან, რის გამოც იზრდება სხეული, იცვლება ხმა (მუტაცია), იზრდება სქესობრივი ასო, სისხლში სქესობრივი ჰორმონების მოხვედრის შედეგად ხდება სქესობრივი ასოს ღამისა და დილის ერექცია, რასაც თან ახლავს ღამის პოლუცია - თესლის უნებლიე გამოყოფა. ბევრ მოზარდს აშინებს და აწუხებს პოლუციის დაწყება. მათ ეს რაიმე დაავადების გამოვლინება ჰგონიათ. პოლუცია ისევე ნორმალური, ფიზიოლოგიური მოვლენაა, როგორც მენსტრუაცია გოგონებში პირველი პოლუციები ბიჭებთან 15 წლის ასაკში იწყება. მათი სიხშირე ინდივიდუალურია, ძირითადად 1-3 თვეში. პოლუციას წინ უსწრებს ეროტოული ხასიათის სიზმრები, სადაც მოზარდი თითქოს სქესობრივ კავშირს აწარმოებს განსხვავებულ ვითარებებში და განსხვავებულ პარტნიორებთან. სიზმრისეული სქესობრივი აქტის პარტნიორი შეიძლება იყოს ახლობელი ადამიანიც.

ბიჭებში პირველი პოლუციის გამოვლენა მოწმობს, რომ მოზარდში უკვე გამოშუშავდება მწიფე სპერმატოზოიდები. პირველი პოლუციები მოულოდნელად მოზარდისათვის და მას თან ახლავს ერთგვარი შეძრწუნება და შიში. როგორც აღვნიშნეთ, ეს მოვლენა ნორმალური ფიზიოლოგიური მოვლენაა.

საინტერესოა ამერიკელი ბიჭების სექსობრივი მომწიფების ვადების ა. სპერლინგის ცხრილი

ასაკი	მომწიფება %	
	ბიჭები	გოგონები
8	0	0
9	0	1
10	0	2
11	2	10
12	5	38
13	14	72
14	48	82
15	78	94
16	93	97
17	98	99
18	100	100

სექსუალური მომწიფება მოზარდებისა და ჭაბუკებისათვის მეტად მნიშვნელოვანი ფაქტორია. ზოგიერთს ეს მდგომარეობა ძალიან აწუხებს, ხოლო ზოგიერთი ისე იტყუვა, თითქოს მის ორგანიზმში არაერთარი ცვლილება არ მომხდარა. სექსობრივი მომწიფება ბიჭებთან ერთგვარი შემოფოთებით იწყება. სწრაფი ტემპით იზრდება პენისი, რომელიც სტიმულაციაზე რეაგირებს დამოუკიდებლად და არ ემორჩილება მოზარდის ნებასა და კონტროლს.

მოზარდები ღამით განიცდიან სტრესს ეროტიკული შინაარსის სიზმრების გამო. მათ ძალიან აშინებთ ღამის პოლუციები. სექსუალური ენერჯის განმუხტვაში მოზარდებს ძალიან ეხმარებათ მასტურბაცია, რომელიც, როგორც აღნიშნეთ, ნორმალური მოვლენაა. ბოქვენის და სახის გათმოვანება, ხმის მუტაცია და პოტენცია აღიქმება როგორც მამაკაცობის სიმბოლო. ამ ნიშნების გამოჩენა ინდივიდუალურია და ვარირებს ასაკის მიხედვით. ა. სპერლინგის ცხრილში მოცემულია იმ ბიჭების პროცენტული რაოდენობა, რომლითაც სხვადასხვა ასაკში სექსობრივი მომწიფების განსაკუთრებული ნიშნები გამოუვლინდათ.

ასაკი	ვიაკულაცია	პოლუციები	ბოქვენის გათმოვანება	ხმის მუტაცია
10	1,8	1,3	0,3	0,3
11	6,9	3,7	8,4	5,6
12	14,1	5,3	27,1	20,5
13	33,6	17,4	36,1	40,0
14	30,9	12,9	23,8	26,0
15	7,8	13,9	3,3	5,5
16	4,9	16,0	1,0	2,0

გოგონების სქესობრივი მომწიფება დამოკიდებულია სიმაღლეზე, წონასა და ჩონჩხის განვითარებაზე. გოგონები, რომელთაც აღენიშნებათ მაღალი ტანი, მეტი წონა და თანატოლებთან შედარებით უფრო განვითარებული ჩონჩხი, სქესობრივადაც ადრე მწიფდებიან.

ამრიგად, სქესობრივი მომწიფება შეიძლება დაეყოს ორ პერიოდად. ფაზად, გოგონებში პირველ მენსტრუაციამდე (მენარხე) და შემდეგ, ხოლო ბიჭებში პირველ პოლუციამდე და შემდეგ.

სქესობრივი მომწიფების პერიოდში მოზარდი ბიჭი პირველად აცნობიერებს საკუთარ თავს როგორც მამაკაცს. ბევრი მათგანი ყურადღებას იჩენს საკუთარი გარეგნობის მიმართაც. გოგონები, როგორც ვიცით, სქესობრივი მომწიფების პერიოდში ფიზიკურ განვითარებაში ბიჭებს წინ უსწრებენ. ზარდახან იქმნება ისეთი სიტუაცია, რომ მოზარდი ცდილობს თანატოლი გოგონას სიმატიის მოპოვებას, ხოლო ამ გოგონას ყურადღება რომელიმე უფროსი ასაკის ვაჟითა დაკავებული, ამ დრომ ზმირად აღმოცენდება ფსიქოლოგიური დაძაბულობა. მოზარდები სწუხან, რომ თანატოლი გოგონები მათში „მამაკაცს ვერ ხედავენ“. გამორიცხული არაა უკმარობის განცდის აღმოცენებაც.

უნდა აღინიშნოს, რომ პოლუციას, გაცილებით იშვიათად, მაგრამ გოგონებთანაც აქვს ადგილი. გოგონების პოლუციებსაც შეიძლება წინ უსწრებდეს ეროტიკული სიზმრები.

ნაადრევ და დაგვიანებულ სქესობრივ მომწიფებას ბიჭები და გოგონები განსხვავებულად განიცდიან.

ნაადრევად მომწიფებული ბიჭები უკვე აღარ გრძნობენ შებოჭილობას და სიმორცხვეს გოგონებთან და თავისუფლად ამყარებენ მათთან ურთიერთობებს. ამასთანავე ნაადრევ მომწიფებულ ბიჭებს სხვა თანატოლებთან შედარებით სხვა უპირატესობაც აქვთ (მაგალითად, სპორტში).

გვიან მომწიფებული ბიჭები თავს „ბავშვებად“ გრძნობენ. ისინი ნაადრევად მომწიფებულებს ჩამორჩებიან სიმაღლეში, ძალაში, სპორტულ მიღწევებში და, რაც მთავარია, გოგონებთან ურთიერთობის დიპლომატიაში. ასეთ ბიჭებს ძალიან აწუხებთ და აშფოთებთ მათი ფიზიკური და სქესობრივი მომწიფების მომაგალი.

დაბოლოს, ყოველივე ეს ნათლად აისახება მათ პიროვნულ განვითარებაზეც. აღმოჩნდა, რომ გვიან მომწიფებული მოზარდი ბიჭები უფრო გაუწონასწორებლები, დაძაბულები და მოლაყებები არიან. მათ ახასიათებთ შფოთვა და იმპულსურობა. გვიან მომწიფებული ბიჭები, როგორც წესი, თანატოლთა წრეში ნაკლები პოპულარობით სარგებლობენ.

ნაადრევად მომწიფებული ბიჭები კი, პირიქით, უფრო თავშეკავებულნი და თავის თავში დარწმუნებულები არიან. ნ. ნიუკომბის გამონთქვაში რომ ვიხმართ „უფრო მყარად დგანან მიწაზე“;

ნაადრევად და გვიან მომწიფებული მოზარდების ნევრატული ემოციების თავიდან ასაცილებლად საჭიროა შშობლების, მასწავლებლების და სკოლის ფსიქოლოგების ერთობლივი მუშაობა. გვიან მომწიფებულ ბიჭებს არავითარ შემთხვევარ არ უნდა ვაგრძნობინოთ, რომ თითქოს ისინი იმაზე უფრო პატარებია, ვიდრე სი-

ნამდვილეში არიან. ასეთ მოზარდებს უნდა აეუხსნათ, რომ მათი შენელებული განვითარება ნორმალური მოვლენაა და დროთა განმავლობაში ყველაფერი გამოსწორდება. უფროსებმა ასეთ მოზარდებს უნდა შეუძლიონ საორტის ისეთი სახეობები, სადაც სიმაღლე, წონა და ფიზიკური ძალა არაა აუცილებელი. ყოველივე ეს ხელს უწყობს არასრულფასოვნების კომპლექსის დაძლევას.

↓ ადრე მომწიფებული გოგონები საკუთარი სხეულით უფრო ნაკლებად არიან კმაყოფილნი, ვიდრე ადრე მომწიფებული ბიჭები. ასეთი გოგონები ვერ ეგუებიან იმას, რომ ისინი უფრო ღიძები და გაბარიტულები არიან, ვიდრე მათი „მინიატურული“ თანატოლები. ↘

ადრე მომწიფებული გოგონები უფრო ადვილად ვარდებიან სტრესში, უფრო მოუსვენრები, ჭირვეულები და აგზნებადები არიან. ზოგიერთი გამოკვლევის მიხედვით ისინი ცულდაც სწავლობენ (მათი შედეგები სწავლის ტესტებში დაბალია) და წესრიგსაც უფრო მეტად არღვევენ. „მათ სხვა ინტერესები აქვთ“. ისინი უფრო ხშირად დადიან პაემნებზე და ბიჭებთანაც თავს უფრო თავისუფლად გრძობენ. აელენენ ნადრევე სექსუალობას. მგობრობენ უფროსი ასაკის ბიჭებთან, რაც მნიშვნელოვნად ზრდის მათი ქცევის რისკ-ფაქტორებს.

სქესობრივი განვითარების თანმხლები მოვლენაა სქესობრივი ლტოლვის, სექსუალური ფანტაზიისა და ინტერესების განვითარება. ეს პროცესი ბიჭებში და გოგონებში განსხვავებულად მიმდინარეობს. ბიჭებისთვის დამახასისთებელია ეწ. ჰიპერსექსუალური ფაზა, რომელიც 2-3 წელს გრძელდება. ეს ფაზა ხასიათდება აწეული სქესობრივი აგზნებულობით და შესაბამისი ფანტაზიისა და ინტერესების განვითარებით.

✓ [გარდამავალი ასაკის სექსუალობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დამახასიათებელი ნიშანია მასტურბაცია (ონანიზმი). ეს არის სქესობრივი აქტი პარტნიორის გარეშე. იგი სქესობრივი ურთიერთობის სუროგატია. მოზარდობის მასტურბაციას არ მოაქვს ფიზიოლოგიური და ფსიქოლოგიური ზიანი. მასტურბაციას ეწევა სქესობრივად მომწიფებული მოზარდების 90%.

[გოგონებში სქესობრივი სიყვარული იღვიძებს, ჩვეულებრივ, პარტნიორთან სახლოვისას. ამიტომ მათში ონანიზმი უმნიშვნელო როლს თამაშობს. გოგონებში ონანიზმს იშვიათად, მაგრამ მანც აქვს ადგილი. ↘

მასტურბაცია ნიშნავს თვითსტიმულაციის ნებისმიერ სახეს, რომელიც იწვევს ეროტიკულ აგზნებას. როგორც აღვნიშნეთ ბიჭები უფრო ხშირად მიმართავენ მასტურბაციას, ვიდრე გოგონები. ჰასის მიხედვით ამრიგელი მოზარდი ბიჭების დაახლოებით სამი მეოთხედი და გოგონების ნახევარი ეწევა მასტურბაციას.

✓ — როგორც ვთქვით, ექიმები, ფსიქოლოგები და ფსიქიატრები აღიარებენ, რომ მასტურბაცია არის ზრდა-განვითარების და მომწიფების ნორმალური პროცესის შემადგენელი ნაწილი და მას არავითარი ზიანი არ მოაქვს მოზარდისათვის. მასტურბაცია შეიძლება განვიხილოთ როგორც დადებითი მოვლენა, რომლის პროცესშიც მოზარდი ახდენს სექსუალურ განმუხტვას, განვითარებას და უწნდება

სექსუალური ინდენტურობის განცდა. მოზარდებს უნდა ახსოვდეთ, რომ ზიანი მოაქვს მხოლოდ გადაჭარბებული სიზშირით წარმოებულ მასტურბაციას.⁷

მოზარდების სქესობრივი განვითარებისა და აღზრდის საქმეში აკრძალვებსა და დასჯას სასურველი შედეგები არ მოაქვს. აქ მთავარია უფროსების მხრივ გაგება და მათი ყურადღების გადართვა სხვა მიმართულებით.

სქესობრივი ლტოლვები, უმეტესად, ერთმაშად იჩენს თავს და მოულოდნელად იჭრება მოზარდის ცნობიერებაში. მოზარდი მათი პირველი აღმოჩენის დროს განიცდის ერთგვარ შეძრწუნებას, შიშსა და სირცხვილს, იგი პირველად გრძობს სინამდვილის ისეთ მხარეს, რომელიც აქამდე მისთვის არ არსებობდა და ახლაც აკრძალული და საიდუმლოა. სირცხვილის გრძობა, რომელიც სქესობრივი ლტოლვის ნიადაგზე აღმოცენდება, მნიშვნელოვან როლს ასრულებს მოზარდის ცნობიერებაში და განსაზღვრავს მის ურთიერთობას საკუთარ თავთან და სხვებთან. იგი ახლა ცდილობს დაფაროს ის ადგილები, სადაც სქესობრივი მომწიფების ნიშნები იჩენს თავს. მოზარდი ამ დროს საწინააღმდეგო სქესის თანატოლებს ერთგვარად შორდება.

გარდამავალ ასაკში მოზარდს სექსუალური ლტლვისაკენ, უპირველეს ყოვლისა, აღძრავენ სექსუალური ინტერესები, რომელიც სქესობრივი ლტოლვისაგან განსხვავდება. ესაა თეორიული მოთხოვნილება, რომელიც სქესობრივი ცხოვრების შემეცნებისკენაა მიმართული. მოზარდი ცდილობს გაიგოს ამ ახალი მოვლენის საიდუმლოებანი. სამწუხაროდ სკოლა და ოჯახი მას ამ მიმართულებით მწირ ინფორმაციას აწვდის და იგი ამ ინფორმაციას იღებს ქუჩის გამოცდილი ინფორმატორებისაგან. მოზარდი ცდილობს ფანტაზიის გზით, წარმოსახვაში წარმოიდგინოს სქესობრივი ცხოვრება. ეს მასში სასიამოვნო აღძვრებს იწვევს და სექსუალურ ინტერესს სქესობრივ მისწრაფებებთან აერთიანებს. სექსუალური ინტერესების სქესობრივ ლტოლვაში გადაზრდას ხშირად უწყობს ხელს შობილებისა და ოჯახის სხვა წევრების დაუღვერობა, რომელიც მოზარდს ხანდახან ამის შესაძლებლობას აძლევს.

სქესობრივი ცხოვრების ნაადრევ განვითარებას ხელს უწყობს აგრეთვე კონო (განსაკუთრებით ვიდუო) და ტელევიზია, სადაც მოზარდები ვნებანი ურთიერთობის ხშირი მოწმენი არიან.

სქესობრივი თავდაცვის ინსტინქტი ქალიშვილებში ძალიან ძლიერია. მაგრამ გარდამავალ ასაკში, როცა სქესობრივი მომწიფების პირველი ნიშნები იჩენენ თავს, გოგონებში იგი, სამწუხაროდ, სუსტდება. ამიტომ ამ ასაკის გოგონების მიერ მცდარი ნაბიჯის გადადგმა ადვილი შესაძლებელია.

თავი მეთექვსმეტი

ამხანაგობა და მემობრობა გარდამავალ ასაკში

ამხანაგური დამოკიდებულების ზოგიერთ ნორმასა და წესს ბავშვები ჯერ კიდევ უმცროს სასკოლო ასაკში ითვისებენ. დაწყებით სკოლაში ამხანაგობის ძირითადი განმსაზღვრელია აკადემიური წარმატება, დისციპლინა და მსწავლეობისთან დაკავშირებული დამოკიდებულება. გარდამავალი ასაკის დაწყებისთანავე მდგომარეობა იცვლება. ახლა აკადემიურ წარმატებასა და დისციპლინას აღარ აქვს გადამწყვეტი და არსებითი მნიშვნელობა. ამ ასაკში ფრიადლოსნა აქციები ამხანაგურ ურთიერთობებში ძალიან ეცემა. მოზარდებს ეცვლებათ ამხანაგობის არჩევანის კრიტერიუმები. ახლა მათთვის მნიშვნელოვანია ისეთი თვისებები და ღირსებები, როგორცაა კარგი ამხანაგი, ცოდნა, სწრაფობა, გამჭირაზობა, გაბუნებულება და ნებელობითი თვისებები.

უმცროსი მოზარდები თანატოლებთან დამოკიდებულებაში დიდ აქტიურობას ავლენენ. ისინი ამხანაგის ქცევებსა და განსაკუთრებულ თვისებებზე ემოციურად რეაგირებენ. გარდამავალ ასაკში ყალიბდება მოზარდის „ამხანაგობის კოდექსი“, რომლის ძირითადი პრინციპები და ნორმებია: თანასწორობა, ურთიერთმატივისცემა, ერთგულება, ამხანაგის დახმარება ნებისმიერი ფორმით, პატიოსნება. მოზარდების მიერ ამხანაგებისა და თანატოლების ყოველგვარი მოქმედების შეფასება ამ ნორმების საფუძველზე ხდება. ამის გამო მოზარდები ერთხმად და ერთსულოვნად ამტყუნებენ ამხანაგის ღალატს, ლიდერობისა და მმართველობისადმი მისწრაფებას, ყოფაზმას, ამხანაგების აზრის უგულვებელყოფას, სიტყვითა და საქმით ამხანაგის ღირსების დაქინებას, დახმარებაზე უარის თქმას და ა.შ.

მოზარდები ძალიან უწყვეტ ანგარიშს თანატოლთა და ამხანაგთა აზრსა და შეფასებებს. ამხანაგების შენიშვნები, უკმაყოფილება და წყენა მოზარდს აიძულებს დაფიქრდეს თავისი საქციელის შესახებ. დაინახოს და გააცნობიეროს საკუთარი ნაკლი. ამხანაგების მოთხოვნებისადმი ანგარიშის გაწევა მოზარდის მნიშვნელოვანი მოთხოვნა ხდება.

უნდა აღინიშნოს, რომ, სამწუხაროდ, ეს მნიშვნელოვანი თვისება ხშირად არ აქვთ აწეული თვითშეფასების მქონე მოზარდებს, რომლებიც ნაკლებად უწყვეტ ან არ უწყვეტ ანგარიშს ამხანაგების აზრს. შემწნეულა, რომ ის მოზარდები, რომლებიც დაწყებით კლასებში ფრიადლოსნები იყვნენ და, ასე თუ ისე სერიოზულ საზოგადოებრივ დავალებებსაც ასრულებდნენ, ახლა აწეულ თვითშეფასებას, კლასში განსაკუთრებული მდგომარეობის და მმართველობის პრეტენზიას ავლენენ. ამის გამო მათთან ამხანაგების ურთიერთობა უარესდება.

გარიყულ, იზოლირებულ მოზარდებს შეიძლება მრავალი არამიმზიდველი და არაპოპულარული თვისება ახასიათებდეთ, მაგრამ ერთი უარყოფითი თვისება ყველა ასეთ მოზარდს საერთო აქვს, — ესაა „კარგი ამხანაგის“ თვისებების უქონლობა, რომლის კომპენსაცია ამხანაგების თვალში არაფრით არ ხდება.

ურთიერთობის მოთხოვნებისთან ერთად ამხანაგობის მნიშვნელოვანი საფუძველია ისეთი მოტივებიც, როგორცაა საერთო საქმის ერთად კეთება,

თავისუფალი დროის ერთად გატარება და ერთმანეთის უანგარი დახმარება.

ამხანაგობის მნიშვნელოვანი ფსიქოლოგიური კომპონენტია, აგრეთვე, ინტელექტუალური მოთხოვნილებანი, წაკითხული წიგნის შესახებ აზრთა ურთიერთგაზიარება, კინოს გმირის ქცევის მორალური მხარის ანალიზი და სხვა.

თანატოლებთან ახლო, ამხანაგური დამოკიდებულება მოზარდის მოთხოვნილებას მთლიანად ვერ აკმაყოფილებს. მას სჭირდება ახლო მეგობარი. მოზარდი უახლოვდება იმ ამხანაგს, რომელიც კლასში პატივისცემითა და ავტორიტეტით სარგებლობს, გამოირჩევა მაღალი ინტელექტუალური განვითარებით და პიროვნული ღირსებებით. მიზნოვანი შეიძლება იყოს ისეთი თვისებები, როგორიცაა ამხანაგური თვისებები, ცოდნა, ძალა, გამბედაობა, სხვადასხვა საქმეებში წარმატება, სპორტული და მუსიკალური მიღწევები, ქცევის მანერები, მოწიფულობის გარეგნული გამოვლინებები, რომანტიკული გამოცდილება, დამოუკიდებლობა უფროსებთან ურთიერთობაში.

უმცროს მოზარდებში თანატოლებს შორის დამოკიდებულება უფრო ამხანაგურ ფორმას ატარებს, ვიდრე მეგობრულს. უმცროსი მოზარდები ახლო ურთიერთობებს ამყარებენ ისეთ თანატოლებთან, რომლებთანაც ადვილად პოულობენ საერთო ინტერესებსა და გატაცებებს. საშუალოდ, მათი ემოციური კონტაქტები არაა მყარი. უმცროსი მოზარდების მიერ ემოციური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვის ამხანაგური ურთიერთობანი არაა საკმარისი.

უფროს მოზარდებში კი მდგომარეობა მკვეთრად იცვლება. სქესობრივ მოწიფებას მოყვება ახალი განცდების აღმოცენება, რის საფუძველზედაც მოზარდები ცდილობენ მოიპოვონ ემოციური თავისუფლება და დამოუკიდებლობა მშობლებისაგან. მოზარდები თანატოლებისადმი სწრაფვას და ლტოლვას უკვე ემოციური სიახლოვის მიხედვით იწყებენ. მოზარდების ახლო ურთიერთობანი თანატოლებთან დადებით გავლენას ახდენს მათ ფსიქიკურ ადაპტაციაზე. მეგობრული ურთიერთობები სტრესის შემანელებელი და მომხსნელი მნიშვნელოვანი ფაქტორიცაა. მოზარდები ცდილობენ მეგობრებად გაიხადონ ისეთი თანატოლები, რომლებიც გავლენა ახდენდა მათ თვითშეფასებაზე.

მოზარდის უპირველესი მოთხოვნილებაა მეგობრული ურთიერთობა დაამყაროს იმ თანატოლებთან, რომლებსაც აქვთ საერთო ღირებულებები და ინტერესები. მეგობარი ისეთი ახლობელია, რომელსაც გაანდობ ყველაზე ინტიმურ გრძობებს. მეგობარს შეიძლება ისეთი რამ გაანდო, რასაც სხვას არ ეტყვი.

გარდამავალ ასაკში გოგონების მეგობრობა უფრო თბილი და ფაქიზია, ვიდრე – ბიჭების.

მკვლევარები მიუთითებენ, რომ მოზარდებს მეგობრული ურთიერთობების დამყარება იმისთვისაც უნდათ, რომ მათ ჯერ კიდევ არ აქვთ ჩამოყალიბებული საკუთარ თავში დარწმუნებულობის განცდა, რასაც ისინი ძალიან მწვეველ განცდამან ისინი ჯერ კიდევ ვერ არიან საბოლოოდ ჩამოყალიბებულნი პიროვნებად და მეგობრები კი მათ ძალასა და იმედს აძლევენ. მეგობრები ეხმარებიან ერთმანეთს საკუთარი „მე“-ს ჩამოყალიბებაში. მოზარდები უმთავრესად მეგობრებს ირჩევენ საკუთარი სქესის შიგნით. მეგობრები სულ ერთად არიან, გაუთავებლად ლაპარაკობენ

ტელეფონზე, ერთად დადინ კინოში, შოუ-კონცერტებზე, სტადიონზე, ერთმანეთისაგან ითვისებენ ქცევის მანერებს. მოზარდის მიერ ამ ასაკში არჩეული მეგობარი, უმეტესად, მისი თანატოლია, რის გამოც მათ ბევრი საერთო ინტერესი და მისწრაფება აქვთ.

ფსიქოლოგიური თვალსაზრისით მეგობრობაში ერთ-ერთი გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ კმაყოფილდება თითოეული მეგობრის სოციალური ურთიერთობის მოთხოვნილება. როგორც ვთქვით, გარდამავალ ასაკში ინტენსიურად ვითარდება ისეთი ძლიერი სოციალური მოთხოვნილება, როგორცაა სოციალური ურთიერთობის მოთხოვნილება, რომელიც თავის შხრივ, საუბრულად ედება ორ ან რამდენიმე თანატოლს შორის მეგობრული ურთიერთობის დამყარებას.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ გარდამავალ ასაკში მეგობრობისადმი, უმეტესწილად, ემოციური დამოკიდებულების გამო არაა იშვიათი მოვლენა მეგობრებს შორის გაუგებრობები და კოფლიქტები. ეს ხდება მეგობრობის ჩამოყალიბების განსხვავებული მოტივების გამო (ეგოისტური, პრაგმატული და ა.შ.)

უმცროსი მოზარდების მეგობრობა არ გამოირჩევა ხიშყარითა და სტაბილურობით. მკველვარები მიუთითებენ, რომ მათი მეგობრობა სუსტდება სქესობრივი მოძწიფების კვალობაზე (გოგონებთან დახლოებით ცამეტი წლის და ბიჭებთან თოთხმეტი წლის ასაკში), ხოლო შემდეგ პერიოდში შედარებით უფრო სტაბილური ხდება, თვრამეტი წლის ასაკიდან კი ისევ სუსტდება. ეს იმის გამო ხდება, რომ ამ ასაკის ჭაბუკები სკოლის დამთავრების შემდეგ ტოვებენ სახლს, მიმგზავრებიან სასწავლებლად, სამსახურს იწყებენ არმიაში ან ქმნიან დამოუკიდებელ ოჯახებს.

თინეიჯერთა მსჯელობები მეგობრების შესახებ ძირითადად ასეთია: „მე ჩემს მეგობართან თავისუფლად და დაუფარავად შემიძლია ლაპარაკი ყველაფერზე“, „მე უსიტყვოდ მესმის რას გრძნობს ჩემი მეგობარი.“ თინეიჯერთა უზრავლესობას ყვეს ერთი-ორი „საუკეთესო მეგობარი“ და რამდენიმე „კარგი მეგობარი“. მათი აზრით მეგობრობის დარღვევის ძირითადი მიზეზია ღალატი და საიდუმლოს გამჟღავნება.

მოზარდების ერთმანეთთან დახლოებისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება ინტერესთა და საფვარელი საქმიანობის საერთოობასა და მსგავსებას, საუბრებს. მოზარდი ადვილად იზიარებს თანატოლისა და ამხანაგის ინტერესებს. ხშირად, იმის გამო, რომ მას ვინმესთან ახლო ყოფნა უნდა, იგი ინტერესდება იმ საქმით, რომელიც მისთვის ნაკლებადაა საინტერესო, მაგრამ დროთა განმავლობაში მისი ინტერესები ღრმავდება და ფართოვდება. ამის გამო შეიძლება ითქვას, რომ ამხანაგებთან და მეგობრებთან ურთიერთობა მოზარდის ახალი ინტერესების აღმოცენების წყაროა.

მოზარდების ერთმანეთთან დახლოებისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება საუბრებს. ახლო ამხანაგები „ვერ ძღვებიან“ ურთმანეთთან ლაპარაკით. მათი საუბრის თემაა სპორტი, პოლიტიკა, სათავგადასკვლო ლიტერატურის გმირთა საქცილი, კინო, ვაჟაკური საქცილის ნორმები, პაროვნებათაშორისი ურთიერთობანი, საკლასო კონფლიქტები და სხვა. ასეთი საუბრები, ხშირად ხელს უშლის მათ

საქმის კეთებასა და სასწავლო საქმიანობაში. საუბრების ერთ-ერთი ფორმა ტელეფონით „გაუთავებელი“ ლაპარაკი ახლო მეგობართან, რომელიც მათ სასწავლო საქმიანობაში აშკარად ხელიშეშლელია. საუბრის ეს ფორმა უფროს მოზარდებთან შეინიშნება. მოზარდები მსჯელობენ სხვადასხვა შემთხვევებზე, რომელსაც კლასში ქეონდა ადგილი, თანაკლასელთა საქციელზე, გოგონებისა და ბიჭების დამოკიდებულებაზე, პირადულ, ინტიმურ საკითხებზე, სამომავლო გეგმებზე, ჩანაფიქრზე, რომანტიკულ სიმპატიებზე. უფროსების თანდასწრების დროს ისინი ჩურჩულზე გადადიან ან მიდიან ცალკე ოთახში ან სულაც ჩუმდებიან.

მოზარდის შინაგანი სამყაროს განვითარება პირადი მეგობრის მოთხოვნილებას ბადებს. ეს ისეთი ახლო ამხანაგია, რომელსაც ყველაფერს გაანდობ, რომელიც რჩევებს მოგცემს და ყოველგვარ სიტუაციაში დაგეხმარება, საიდუმლოს შეგინახავს. უფროსი მოზარდები ძალიან აფასებენ ნდობას, გულითადობას, სიმართლეს, საიდუმლოს შენახვას. ძალზე ფასობს აგრეთვე პატიების უნარი.

ყოველი მოზარდის ოცნება იპოვოს ნამდვილი მეგობარი და მისთვის იყოს ერთადერთი. მოზარდი ეჭვით უყურებს მისი მეგობრის ყველა სიმპატიურ დამოკიდებულებას სხვა მოზარდებისადმი, ცდილობს მათ მეგობრობაში არ „შემოიჭრას“ უცხო პირი. ამასთანავე, რაც უფრო ფართოა მოზარდის ინტერესების და გატაცების წრე, რაც უფრო შინაარსიანი და მდიდარია მისი შინაგანი სამყარო, მით უფრო ძნელია ისეთი ამხანაგის პოვნა, რომელიც მის ყველა ამ მრავალფეროვან მოთხოვნილებას დაკმაყოფილებს. თითოეულ მოზარდს, ჩვეულებრივ, რამდენიმე ახლო მეგობარი ჰყავს. ასეთი ჯგუფი კლასში რამდენიმეა. ამ ჯგუფებს შორის შეიძლება ხანდახან რთული და დაძაბული ურთიერთობაც დამყარდეს.

მოზარდს შეიძლება ჰყავდეს ბევრი ამხანაგი. ფაქტიურად მთელი საკლასო კოლექტივის წევრი მისი ამხანაგია, მოზარდების მეგობრობა კი არჩევითია. იგი, უმეტესწილად, ორი-სამი მოზარდის ახლო ურთიერთობას ასახავს, რომელთა შორის ყალიბდება ნდობის ურთიერთობა და უშუალობა. ასეთი ურთიერთობანი მოტივაციის, შინაარსისა და ურთიერთობის პროცესის თვალსაზრისით განსხვავებულია, რაც გავლენას ახდენს მეგობრების პიროვნებაზე. მოზარდების შინაარსობრივი ხასიათის მეგობრობა დადებით გავლენას ახდენს პიროვნების ისეთ მხარეებზე, როგორცაა გონებრივი და ზნეობრივი განვითარება.

მოზარდებს უკითარდებათ მეგობრული ურთიერთობის ძლიერი მოთხოვნილება. სხვადასხვა სახის სასწავლო და არასასწავლო მოქმედებების გაფართოება, შემუქნებითი ინტერესების ახალი სფეროები, ამხანაგებთან ურთიერთობის გაღრმავება, მოზარდის შინაგანი სამყაროს განვითარება, ახალი ეთიკური, ესთეტიკური და ინტელექტუალური სიმტკიცის ამაღლება და საკუთარი პიროვნების გაცნობიერების მისწრაფება, ამხანაგებთან საკუთარი აზრებისა და შეხედულებების ურთიერთგაცვლის სურვილი მეგობრობის მოთხოვნილების გაძლიერების ფსიქოლოგიურ საფუძვლებს წარმოადგენს.

ფართო ამხანაგური ურთიერთობანი, როგორც ვნახეთ, ამ თვალსაზრისით მოზარდს აღარ აკმაყოფილებს და ეს ხარვეზი მან უნდა შეივსოს რომელიმე ახლო ამხანაგთან კიდევ უფრო მჭიდრო ფსიქოლოგიური კონტაქტის დამყარებით.

ასეთ პიროვნებად კი ყველა თანაკლასელი არ გამოადგება. ასლო მეგობარი უნდა აკმაყოფილებდეს მოზარდის მაღალ მოთხოვნებს.

გარდამავალ ასაკში მეგობრობის მოთხოვნილება გაცნობიერებულ ხასიათს ღებულობს. მოზარდი მეგობარიც ურთიერთობაში აქტიურ პოზიციას იკავებს. მეგობრის მიმართ მოთხოვნები უფრო მაღლდება და მკაცრდება.

მეგობრობაში მარცხისას, ახალი მეგობრის ძიებაში მოზარდის აქტიურობას იჩენს. იგი ცდილობს ამ მიმართულებით გამოავლინოს დამოუკიდებლობა და კრიტიკულობა, გაიგოს იმ ამხანაგის პიროვნების თავისებურებები, რომელიც შემდგომში შეიძლება მისი მეგობარი გახდეს. ეს პროცესი, უზეტესწილად, მოზარდის მიერ მეგობრობის შესახებ შემუშავებული იდეალური წარმოდგენებით რეგულირდება. თეორიულად, იდეალში მოზარდისათვის მეგობარი მართლაც იდეალურია და სინამდვილეში მას უჭირს ასეთი თანატოლის პოვნა, რაც მეგობრის არჩევაზე ახდენს გავლენას. მოზარდი ყოყმანობს, ფიქრობს, არ ჩქარობს. მაგრამ ასეთნაირად ყოველთვის არ ხდება. არის შემთხვევები, როცა მოზარდი მსჯელობს: „მე მას დავეხსლოვდები ახლავე, ხოლო მეგობრობა თავისით მოვა“.

უძეოროსი მოზარდების წარმოდგენაში მეგობრობის შესახებ გარეგანი ნიშნები პრევალირებს, ისინი ხშირად იფარგლებიან რომელიმე თვალში საცემი შემთხვევის ან სცენის ნახვით, რაც მეგობრობის „მომენტალურ სურათს“ წარმოადგენს. სჭარბობს აღწერის საგნობრივი მხარე, ხოლო მეგობრობის ფსიქოლოგიური ასპექტები ბუნდოვანია, ზოგად ფორმაშია წარმოდგენილი. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ცვლილებები ხდება უფროსი მოზარდებში. ისინი იწყებენ მეგობრობის უმაღლესი ღირებულების გაცნობიერებას, ამკარად ანსხვავებენ ერთმანეთისაგან ამხანაგობასა და მეგობრობას.

მეგობრობენ ის მოზარდები, რომელთა პიროვნების ფსიქოლოგიაში, განსაკუთრებით მოთხოვნილებებში, ინტერესებში, ხასიათში, მიზნებში, მისწრაფებებსა და სულიერ სფეროში ბევრია საერთო და მსგავსი. ამასთანავე მეგობრობის ფსიქოლოგიური საფუძველია, აგრეთვე, ფსიქო-ფიზიკური თვისებების განსხვავებანიც, რაც ხელს უწყობს ურთიერთშეხებას მეგობრულ მიმართებებში და თითოეული მათგანის პიროვნების შესაძლებლობათა გაღრმავებასა და განვითარებას. მაგრამ ზოგიერთი ინდივიდუალური განსხვავება არ უწყობს ხელს მეგობრობის ჩამოყალიბებასა და განმტკიცებას. მაგალითად, განსვლა მსჯელობაში როგორი უნდა იყოს მეგობარი და ქვევისაღმე ემოციურ დამოკიდებულებაში. ეს მომენტები მეგობრობის ჩამოყალიბებას აძნელებს.

მეგობრობის მაღალი შეფასება თანდათანობით ღიფერენციირდება მოზარდის გამონათქვამებში მეგობრული თვისებების შესახებ. მეგობრის ძირითადი დამახასიათებელი მოთხოვნები შეიძლება დაიყოს სამ ჯგუფად: ა) მეგობრობაში მთავარია პატიონსება, ნდობა და ერთგულება („მეგობარს ისევე უნდა ენდო, როგორც საკუთარ თავს“); ბ) სიმართლე, გულწრფელობა („მეგობარს ყველაფერი სიმართლე უნდა უთხრა“); გ) მზრუნველობა, დახმარება და ურთიერთდამხმარება („მეგობარს უნდა დაეხმარო ძნელ წუთებში“).

უფროს მოზარდებში მეგობრობის გაცნობიერება უფრო მთლიანი და მრავალმხრივია. აღმოცენდება მცდელობა მეგობრული დამოკიდებულების გაცნობიერებისა არა მხოლოდ მეგობრობის ცალკეული ეპიზოდების აღწერის გზით, არამედ ამხანაგობის ფორმისა და შინაარსის კრიტიკული შეფასების გზითაც, რომელიც ელონდება მეგობრობის სრულყოფისა და გაუმჯობესების მოთხოვნილებასა და გაცნობიერებულ სუსტი მხარეების გამოსწორებაში.

მოზარდები სულ ერთად ყოფნას ცდილობენ. ისინი სულ ერთად არიან: სკოლაში, სახლში, ქუჩაში, დასვენებისა და გართობის დროს, უცდიან ერთმანეთს, ერთად მიიჩქარიან საქმეზე, ეხმარებიან ერთმანეთს. მოზარდების მეგობრობა უფრო უშუალოა, ვიდრე ჭაბუკობის ასაკში.

მოზარდების მეგობრული დამოკიდებულება იდეალის თანასწორობაა. თუმცა რეალურად ეს ყოველთვის არაა შესაძლებელი. არის წევილები და ჯგუფები, სადაც ერთ-ერთ მოზარდს პრივილეგიებული მდგომარეობა უკავია. იგი ფაქტურად მბრძანებელიცაა. თუ ამ მოზარდთან ურთიერთობა ძალიან საინტერესოა, იგი მნიშვნელოვან უპირატესობას ფლობს რაიმე საქმეში და მას აგრეთვე მიმზიდველი პიროვნული თვისებებიც აქვს, ეს შეიძლება სხვა მოზარდებმა ვერ შეამჩნიონ და ასეთი მეგობრული წევილი ან ჯგუფი არ დაიშალოს. არიან ისეთი მოზარდებიც, რომლებიც ცდილობენ ფიზიკური ძალისა და სიდიდის გამოყენებას მეგობრის ან ჯგუფის დასამორჩილებლად. ასეთ დამოკიდებულებას მოზარდები ნამდვილ მეგობრობად არ თვლიან და იგი დროებითია.

ნამდვილი მეგობრობა უცებ არ აღმოცენდება. მას წინ უსწრებს ძიება, მარცხი, დროებითი დამოკიდებულება. იმისათვის, რომ მეგობრობა აღმოცენდეს, არაა საკმარისი ურთიერთსიმატეები და ინტერესთა ერთიანობა, არამედ აუცილებელია თითოეულმა დაიცვას ამხანაგური დამოკიდებულების ნორმები და მეგობრისადმი წაყენებული მოთხოვნები. სწავრედ ეს მომენტია მეტად ძნელი, განსაკუთრებით პირველ ხანებში, რადგანაც მოზარდი ამხანაგს მაღალ და მკაცრ მოთხოვნებს უყენებს, ხოლო საკუთარ თავს ყოველთვის არა. ამხანაგის ნაკლს ხედავს, თავისას ვერ ამჩნევს. მოზარდები ძალიან უფრო ხილდებიან მეგობრობას, მაგარამ ძალიან მომთხოვნი და ეჭვიანნი არიან და არავეისთან სურთ „მეგობრის გაყოფა“. მოზარდების მეგობრობა ძალზე ემოციურია, მათი დამოკიდებულება ხასიათდება განცდებით და ეს დამოკიდებულება თითოეული მათგანის განსჯის საგანს წარმოადგენს.

მოზარდი ცდილობს გაიგოს და გაცნობიეროს ის, რაც მას მეგობრულ ურთიერთობაში მოსწონს და რაც არ მოსწონს. იგი აანალიზებს და აფასებს საკუთარსა და მეგობრის საქციელს, ადარებს მეგობარს თავის თავს, ცდილობს გაიგოს მეგობრის საქციელის მიზეზები და მოტივები. მეგობრები ხანდახან ერთმანეთს პრეტენზიებსაც უყენებენ, უხსნიან ერთმანეთს საკუთარი საქციელის მოტივებს, კამათობენ, რაღაცას უმტკიცებენ ერთმანეთს, აყენებენ მოთხოვნებსა და პირობებს.

მეგობრის ღირსებები მოზარდს აიძულებს სერიოზულად იფიქროს საკუთარ თავზე, დაინახოს და გაცნობიეროს მასში ღირებული და მიმზიდველი თვისებების უქონლობა. მოზარდს სურს, რომ ის მეგობარზე უარესი არ იყოს. იგი იწყებს

მეგობრობის დადებითი მხარეების და თვისებების მიხედვას. მეგობარი უკვე მოზარდის ქცევის ნიშნულში ხდება. იწყება თვითაღზრდის მოთხოვნილებების ჩამოყალიბება.

მეგობრულ ურთიერთობაში მოზარდი ითვისებს უფროსების ურთიერთობის ტიპის ნორმებს. მეგობრობის ნორმების ათვისება გარდამავალი ასაკის მოზარდის მნიშვნელოვანი მონაპოვარია.

გარდამავალ ასაკში თანატოლთა ურთიერთობაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს მეგობრობას. სხვა ურთიერთობებთან შედარებით მეგობრობა ზასიათდება მეტი ინტიმურობით, ინტენსიური ემოციებითა და გულანდობლივობით.

მოზარდები „კარგ მეგობარს“ აღწერენ როგორც ადამიანს, რომელთანაც ისინი ყველაზე ხშირად საუბრობენ გულანდობლივად და უზიარებენ საკუთარ ინტიმურ გრძნობებს. სანდობის მოთხოვნილება მოზარდული მეგობრობის აუცილებელი შემადგენელი ნაწილია და მას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. მეგობრები ლოიალურები და, რაც მთავარია, სანდონი უნდა იყვნენ. ემოციური კრიზისების დროს მეგობრები ერთმანეთს დახმარებას უნდა სთავაზობდნენ. მოზარდები ასე მსჯელობენ: „ნამდვილი მეგობარი შენზე ზურგსუკან არასოდეს არ ილაპარაკებს. ის გასაკვირში გეხმარება და ყოველთვის შენს გვერდით დგას, იგი არასოდეს არ გაგცემს“. მეგობრობას, ზოგიერთი ავტორის მიხედვით, შეიძლება მიეწეროს ფსიქოთერაპიული მნიშვნელობაც. მეგობრობა მოზარდს აძლევს საშუალებას თავისუფლად გამოხატოს ჩანსობილი მისწრაფებები და შიშები. მეგობრები ლაპარაკობენ და მსჯელობენ მრავალ ისეთ საკითხზე, რომელთა შესახებ მშობლებთან და სხვა მოზარდებთან არ ილაპარაკებენ.

მეგობრობა მნიშვნელოვან როლს თამაშობს აგრეთვე იდენტურობის განვითარებაშიც. დამეგობრებული მოზარდები ერთმანეთს უზიარებენ გამოცდილებას, გეგმებს, იმედებს, შიშებს, შფოთვას და ა.შ., რაც ეხმარება მათ ისწავლონ ერთმანეთის უფრო ღრმად გაგება და შეფასება. მოზარდებმა უკვე იციან, რომ იდენტურობის მისაღწევად საჭიროა მეორე, ამხანაგის, აზრიც. მათ უკვე იციან, რომ ურთიერთგაგება ორმხრივი პროცესია.

მოზარდების მეგობრული ურთიერთობანი უყრდნობა შეგეცნებით ინტერესებისა და მოთხოვნილებების, მიზნებისა და მისწრაფებების საერთოობასა და მსგავსებას. მეგობრულ ურთიერთობაში ზნეობრივი გრძნობების კომპლექსთან ერთად მნიშვნელოვანია აგრეთვე ესთეტიკური კომპონენტებიც, რომელიც გამოიხატება მის პირადულ თვისებებზე და ზასიათის ნიშნებზე ამაღლებული შეხედულებებითა და წარმოდგენებით. ამხანაგობასა და მეგობრობას აქვს ერთიანი ზნეობრივ-ფსიქოლოგიური საფუძველი. მეგობრობის გრძნობა წარმოიშობა ამხანაგური ურთიერთობების პროცესის გარდამავლის შედეგად. ამხანაგობა მეგობრობასთან შედარებით გენეტიკურად ურთიერთობის უფრო ადრინდელი ფორმაა, რომელიც მოზარდების ურთიერთობის გაღრმავებისა და გაფართოების კვალობაზე მეგობრულ მიმართებად გადაიქცევა.

გარდამავალ ასაკში გამოყოფენ მეგობრულ ურთიერთობის სამ სახეს, ფორმას:

1) ეს ფორმა თავისი ბავშვური უშუალობის გამო დამახასიათებელია უმცროსი მოზარდებისათვის: ამ დროს მეგობრობა ისახება ერთხელობრივი ურთიერთობის

დროს, როცა ერთ-ერთი უფრო მეტ ინიციატივას ავლენს. „სასწავლო წლის დასაწყისში ჩვენს სკოლაში გადმოვიდა ერთი ბიჭი. მასწავლებელმა იგი ჩემთან დასვა. გაკვეთილების შემდეგ ჩვენ ერთად წავედით მეტროთი. ამის შემდეგ ჩვენ მეგობრები გახდით“, 2) ამ ფორმის დროსაც მეგობრული ურთიერთობანი სწრაფად აღმოცენდება და მყარდება, მაგრამ მყარდება უჩვეულო სიტუაციაში. რაღაც შემთხვევის დროს მომავალი მეგობარი გამოავლენს ისეთ თვისებას, რომელიც მოზარდის თვალში ძალზე ღირებული და ღირსეულია (მაგალითად, საზრიანობა და გაბედულება, სუსტის დაცვა, თანაგრძნობისა და დანმარების გამოვლენა). მოზარდის მოქმედების ეს პირველი შთაბეჭდილება მეგობრის არჩევის კრიტერიუმად ხდება; 3) ამ სახის მეგობრობისათვის დამახასიათებელია უფრო მეტი გაშუალებული ხასიათი, რაც ვლინდება მეგობრის ძიებასა და არჩევანში. ეს პროცესი შედარებით ხანგრძლივი და რთულია. მეგობრულ დამოკიდებულებას წინ უსწრებს ისეთი სტადია, როცა ყოველდღიურ ურთიერთობასა და თანამშრომლობის პრცესში სწავლობენ და აცნობიერებენ ერთმანეთის ზნეობრივ, ფსიქოლოგიურ და ინტელექტუალურ თავისებურებებსა და ღირსებებს. ამ დროს უშუალო ურთიერთობანიც მნიშვნელოვან როლს თამაშობს. მაგრამ მეგობრის პიროვნების კრიტიკული გააზრების უნარი გაცილებით მაღლდება, ხდება მისი შედარება მოზარდის მეგობრის იდეალური ხატისადმი. ასეთნაირად არჩეული მეგობარი ნამდვილი მეგობარია. ამ დროს მეგობრის არჩევა არ განინახლებია რომელიმე სიტუაციაში მისი ქცევით. მისი პიროვნების თვისებებმა და ღირსებებმა ვლინდება მოქმედების განსხვავებულ სახეებსა და მხარეებს.

გამძლეობის თვალსაზრისით მოზარდების მეგობრობას ახასიათებს განსხვავებული დინამიკა. გამოყოფენ სამ დონეს:

ა) სუსტი ფსიქოლოგიურ-კონტაქტიანი მეგობრობა. ასეთი მეგობრობა სიძლიერითა და სიღრმით არ გამოირჩევა, არც რაიმე მნიშვნელოვანი გართულება მასში არ შეინიშნება. მას აქვია ურთიერთობის ემოციურობა და შინაარსულობა. მასში უმეტესწილად განმსაზღვრელია უფრო გარეგნული გარემოებები, ვიდრე შინაგანი მოტივები, რის გამოც მეგობრობა ხშირად ნაცნობობასთან ღვას ახლოს. მართალია ურთიერთობის ასეთი ფორმა ხანდახან არაა ხანმოკლე, მაგრამ მოზარდს იგი არ აკმაყოფილებს და კრიტიკულადაც აფასებს; ბ) მეგობრობა გართულებებით. მეგობრობის ეს ფორმა ხასიათდება მიმდინარეობის ციკლური ხასიათით, რაც გამოინატება დროებით გაძლიერებასა და შესუსტებაში. მისთვის დამახასიათებელია აგრეთვე წონასწორობაც და კონფლიტებიც, ურთიერთობის გართულების დროს მოზარდს აღმოუცენდება დაუკმაყოფილებლობის მდგომარეობა. იგი ცდილობს გააცნობიეროს მეგობრული ურთიერთობის გაუარესების მიზეზები. კრიტიკულ განსჯას იმსახურებს არა მარტო პარტნიორის პიროვნული თვისებები, არამედ – საკუთარიც. მოზარდი, ჩვეულებრივად, ასე მსჯელობს: „ჩვენ ოთავენი ვიუტები ვართ და მეგობრობა არ გამოგვდის“; „მე ვმეგობრობდი ერთ გოგონასთან, მაგრამ მოკლე ხნით. იგი არაა გულლია და მას ჩემი დამორჩილება სურდა“, „მე მას არაფერს ვუმაღავდი და იგი ამას ყველას უამბობდა, ეს რა მეგობრობაა“. არის შემთხვევებიც, როცა მოზარდები ვერ აცნობიერებენ მეგობრობის გართულებას

და გაუარესების მიზეზებს. უფროს მოზარდებთან ეს გართულებები სერიოზულ სახეს იღებს და მტკივნეულად მიმდინარეობს. თუ უმცროს მოზარდებში გაუარესებული და გართულებული მეგობრობის ასე თუ ისე გამოსწორება შეიძლებოდა თანაკლასელების ჩარევითა და რჩევებით, უფროს მოზარდებში მეგობრობა ხშირად ირღვევა; 3) მეგობრობის განვითარების აღმავლობა. ასეთი მეგობრობა მტკიცე, ღრმა და ხანგრძლივია. ერთ შემთხვევაში მეგობრობის გრძობა ძლიერდება რომელიმე პარტნიორის კარგი საქციელის გამო, რის შედეგადაც მისი პიროვნება მეგობრის თვალში მაღლდება. მაგრამ ხშირად მეგობრობის გაღრმავება თანდათანობით ხდება. ერთად ყოფნის, სწავლის, გართობის დროს ფორმირდება მეგობრობის ახალი მოტივები, ღრმავდება და ვითარდება ურთიერთსიმპატიები, რომელიც თანდათან მეგობრობის მოთხოვნილებად გარდაიქმნება.

მეგობრებს შორის უშუალო კონტაქტის დარღვევა (მეგობრის გამგზავრება) პარტნიორში მწვავე განცდებს იწვევს. ეს პროცესი უფროს და უმცროს მოზარდებთან განსხვავებულად მიმდინარეობს. უმცროსი მოზარდები ასე მსჯელობენ: „როცა ის სხვა ქალაქში გადავიდა, მე მოვიწყინე, მაგრამ მალე სხვა მეგობარი გავიცანი“. უფროს მოზარდებში კი განსაკუთრებით გოგონებში, ანალოგიური სიტუაცია იწვევს მტკიცე ემოციურ მდგომარეობას. „აი, უკვე ერთი წელია რაც იგი წავიდა, მაგრამ ჩვენ ერთმანეთს ვერ ვივიწყებთ. ჩვენ ხშირად ეწერთ ერთმანეთს“.

ამხანაგობა და მეგობრობა ბავშვობის ყველა ასაკისთვისაა დამახასიათებელი, მაგრამ გარდამავალი ასაკის სტადიაზე ფაქტობრივად მეგობრობა, რომელიც ურთიერთობის ამ ფორმის განვითარების ახალ საფეხურსა და დონეს წარმოადგენს. განვითარების ამ სტადიაზე ამხანაგობა და მეგობრობა თვალსაჩინოდ დიფერენცირდება. მეგობრული ერთიერთობანი მნიშვნელოვნად ღრმავდება თავისი შინაარსისა და მოზარდთა ურთიერთობის ფსიქოლოგიური კონტაქტების თავისებურებებით.

მეგობრობის ასაკობრივი თავისებურება ისაა, რომ გარდამავალი ასაკის დადგომასთან დაკავშირებით მოზარდების მეგობრობა შედის ახალ, განვითარების უფრო მაღალ სტადიაში. უმცროს სასკოლო ასაკში დაწყებული მეგობრობა მნიშვნელოვნად გარდაიქმნება და აღმოცენდება მოზარდისათვის დამახასიათებელი მეგობრობის ახალი ფორმები. მოზარდების მეგობრობაში ხდება განსხვავებული სტრუქტურული და ფუნქციონალური ცვლილებები. მეგობრობის ზოგიერთი კომპონენტი ძლიერდება და წინა პლანზე გამოდის, როცა სხვების მნიშვნელობა და როლი მცირდება და ისინი სხვა მიმართულებას ღებულობენ.

ამ ასაკში პიროვნული თვისებების განვითარებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია მეგობრული ურთიერთობები. მეგობრები ერთმანეთს უზიარებენ თავიანთ გეგმებს, იმედებს, შიშს... გარდამავალი ასაკის სწორედ ის პერიოდი, როცა თვითგამორკვევა და გარეგანი რეალობის ადეკვატური აღქმა მხოლოდ რეფლექსიით არ მიიღწევა. ახლა საჭიროა ყოველგვარი ქცევის კორექტირება სხვისი მოსაზრებითაც. ეს კი, უბირველეს ყოვლისა, მეგობრებს შეუძლიათ.

გარდამავალ ასაკში იწყება მეგობრობა განსხვავებულ სქესებს შორის. ბიჭებისა და გოგონების მეგობრობა ამ ასაკში რომანტიკულ საფუძველზე იწყება. საერთოდ ეს ასაკი მეგობრობის თვალსაზრისით ერთსქესიანია, მაგრამ ბიჭებსა და გოგონებს შორის ემოციური სახელოვე, ხანდახან, მეგობრობაშიც გადადის.

გარდამავალ ასაკში აღინიშნება მეგობრობის ფორმებისა და სახეების მნიშვნელოვანი დიფერენციაცია და ამის მიხედვით ინდივიდუალური განსხვავებანი, ე.ი. მოზარდების მიერ მეგობრობის რომელიმე ფორმისადმი მიდრეკილება:

ა) *თამაშში გამოვლენილი მეგობრობა*. ყოველგვარი თამაშში არაა მეგობრობის ფსიქოლოგიის გამოხატველი. ამ ფორმის მეგობრობა ისეთი მეგობრობაა, როცა თამაშში მის ძირითად სტრუქტურულ კომპონენტად გვევლინება. ესაა მეგობრობა, რომელშიც სათამაშო შინაარსი სჭარბობს, ორი ან მეტი მოზარდის მეგობრობა მიძღინარების მათი საყვარელი თამაშის პირობების მიხედვით. ასეთ პირობებში მეგობრული მიაპრობებები მტკიცე და მყარი ხდება. რთული თამაშები როლების განსაზღვრულ განაწილებას მოითხოვს. თამაშის შეფასებები თამაშის მონაწილეების მიმართ, მოზარდის კოლექტივში დამკიდრების მნიშვნელოვანი კომპონენტია.

თამაშის შინაარსი, მისი პროცესი და ჩამოყალიბებული ურთიერთობა გავლენას ახდენს მოზარდების პიროვნულ განვითარებაზე. მოზარდი ვითარდება ფიზიკურად, ემოციურად და ნებელობით.

ბ) *მეგობრობისა და ამხანაგობის ერთიანობა*. როგორც ვნახეთ ამხანაგობა და მეგობრობა, როგორც მოზარდების ურთიერთდამოკიდებულების ფორმები, გარდამავალ ასაკში თვალსაჩინოდ დიფერენცირდება. ამ ასაკში იკვეთება თითოეული მათგანის ფსიქოლოგიური თავისებურება. თუმცა ეს მდგომარეობა ისე არ უნდა გავიგოთ, რომ მეგობრობა და ამხანაგობა მკაცრად ემიჯნება ერთმანეთს. ფსიქოლოგიურ პლანში მათი დიფერენციაცია ყოველთვის არაა სრული. მათ შორის არის რთული ხასიათის გარდამავალი მდგომარეობა, რომელიც ფსიქოლოგიური თავისებურებებით ხასიათდება და მას შუალედური ადგილი უჭირავს. მოზარდთა კოლექტივში ხშირია ამხანაგობისა და მეგობრობის რთული შეთავსების შემთხვევები. მაგალითად, ორი-სამი მოზარდის მეგობრობა, რომელიც ამავე დროს შედის უფრო ფართო ამხანაგურ წრეებშიც. მოზარდებს აერთიანებს მოქმედებისა და საქმიანობის ისეთი ფორმები და სახეები, როგორიცაა ერთმანეთის დახმარება სწავლაში, თვითშემოქმედება, ავადმყოფი თანატოლებისადმი დახმარება, სხვადასხვა საინტერესო საკითხებზე აზრის საერთოობა. მაგრამ ყველაზე მთავარია ურთიერთობის მეგობრული ატმოსფერო.

გ) *ღრმა პირადი მეგობრობა*. უმეტესწილად ეს ორი მოზარდის შერჩევითი მეგობრობაა. ეს არის მყარი მეგობრობა ხანგრძლივი დროის განმავლობაში. იგი ძლიერდება მოტივაციის სიღრმითა და ერთიანი მოქმედების მრავალმხრივობით. მოზარდი ამ სახის მეგობრობას ერთგულების, ურთიერთგაგების, დახმარებისა და ზრუნვის მაღალ ზნეობრივ-ფსიქოლოგიურ, მოთხოვნებს უყენებს, რაც მეგობრობის ღირებულების კრიტერიუმია. მეგობრობის ამ ფორმაში ნათლად ვლინდება მოზარდების სიმპატიები, მათ შორის ემოციური კონტაქტები, განუყრელად ერთად ყოფნის სურვილი, მათთვის სასურველი ინტელექტუალური ურთიერთობის

წარმოება, სხვადასხვა საკითხების განსჯა და ა.შ. მეგობრობის ამ ფორმისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს საგანმანათლებლო ხასიათის ერთობლივ საქმიანობას, რომელიც სკოლის საზღვრებსა და ფარგლებს სცილდება. ასეთი მეგობრობა მოზარდების პიროვნებაზე მრავალმხრივ გავლენას ახდენს, რაც მათ მიერ ცნობიერდება და ამის გამო უფრო მეტად აფასებენ მეგობრულ ერთიერთობებს.

დ) *განცდისმიერი მეგობრობა*. მეგობრობის ამ ფორმისთვის განსაკუთრებით დამახასიათებელია მოზარდთა ემოციური კონტაქტები და იგი უმეტესწილად გოგონებში გვხვდება. მოზარდი იწყებს საკუთარი შინაგანი სამყაროსადმი დანტერესებას და მას ამასთან დაკავშირებით უვითარდება ისეთი მეგობრის შეძენის მოთხოვნილება, რომელთანაც მას ექნება ემოციურ ინტიმური დამოკიდებულება, როცა ხდება ერთმანეთის „გაგება“ არა გონებით, განსჯით, არამედ „გრძნობით“.

ახლო მეგობრის ძიება ფართო ფრონტით მიმდინარეობს. უმცროსი მოზარდისთვის მიშხიდველია პარტნიორის უპირატესობა ცოდნაში, ძალაში, ჩვევებში, სპორტულ და მუსიკალურ მიღწევებში, გაბედულებაში, ქცევის მანერებში; მოწიფულობის გარეგნულ გამოვლინებებშიც.

უფროსი მოზარდებისათვის უკვე აღარაა მიშხიდველი არც სპორტული მიღწევები, არც ცოდნა, ძალა ან სხვა რომელიმე ცხოვრებისეული წარმატება. ახლა პირველხარისხოვან მნიშვნელობას იძენს საქმიანობის, ინტერესებისა და მისწრაფებების საერთოობა და თანაზიარობა. მოზარდები ცდილობენ თანამშრომლობას. რომელიმე მათგანის დაეალება ხშირად ერთად სრულდება. მეგობრის ინტერესი უკვე მისი ინტერესი ხდება.

უფროს მოზარდს მეგობრისათვის უკვე ბევრი რამის პატიება შეუძლია, მაგრამ სიტყვის გატეხის—არაერთარ შემთხვევაში. მეგობარმა არ უნდა გასცეს საიდუმლო და არ უნდა შელახოს მეგობრის თავმოყვარეობა.

ნამდვილი მეგობრობა უცებ არ აღმოცნდება. ჩვეულებრივ, მას წინ უსწრებს ძიება, ფიქრი, განსჯა, მარცხიც. დასაწყისში ეს რთულდება იმიტომ, რომ უმცროსი მოზარდი მეგობარს ძალიან მკაცრ მოთხოვნებს უყენებს; ხოლო საკუთარი თავის მიმართ იგი ნაკლებად თვითკრიტიკულია. ამის გამო ხშირად ადგილი აქვს წყენასა და განხეთქილებას. ახლო ამხანაგის მეგობრად გადაქცევა მეტად რთული და ინტიმური პროცესია.

უნდა გვახსოვდეს, რომ ყველა მოზარდი ვერ პოულობს და ვერ იძენს მეგობარს. უმცროსი მოზარდისათვის ეს მდგომარეობა მძიმე განცდების წყარო და საფუძველია, ხოლო უფროსი მოზარდისათვის ეს მართალია ტრაგედიას არ წარმოადგენს, მაგრამ მარტოობასა და უმეგობრობას ისინიც ძნელად იტანენ.

მეგობრობის ინტერესი დაწყებით კლასებში ჩნდება. უმცროსკლასელისთვის საკმარისია „საერთოდ მეგობარი“, მაშინ, როცა უმცროსი მოზარდისთვის დამახასიათებელია ახლო მეგობრის ძიება, რომელსაც ყველაფერში ენდობა და უერთგულებს. მოზარდისთვის ყველაზე დიდი და ღირებული მეგობრული ნიშანია ერთგულება. მათი აზრით ღალატი და გაყემა ისეთი დანაშაულია, რომლის პატიება არ შეიძლება. ასეთი „მოღალატეებთან“ მოზარდები აღარ

მეგობრობენ, რიცხავენ მათ თავიანთი წრიდან. მოზარდებისათვის ძლიერ დამახასიათებელია ამახანაგობის განვითარებული გრძნობა, მეგობრულ ურთიერთობაში ყოფნის მოთხოვნილება. მათ ცხოვრებაში მეგობრულ ურთიერთობებს დიდი როლი აქვს. მოზარდები მეგობრობას უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებენ. ამ ასაკისათვის დამახასიათებელია „ნაპლვილი“, „ერთადერთი“ მეგობრის ძიების ტენდენცია. ამხანაგობა და მეგობრობა, როგორც ვნახეთ, მოზარდების ახლო ურთიერთობის და დამოკიდებულების შესაბამისი ფორმებია, რომელთა შორის არის განსხვავება. ამხანაგობა არის მეგობრობის განვითარების ადრეული საფეხური. დროთა განმავლობაში ამხანაგობა მეგობრობად იქცევა. ამხანაგობა გულისხმობს მონაწილეთა უფრო ფართო წრეს. მისი ფსიქოლოგიური საფუძველი არის კოლექტივიზმის გრძნობა, ამხანაგური თანამშრომლობის ატმოსფერო. მეგობრობა მოიცავს მონაწილეთა გაცილებით ვიწრო წრეს. იგი უფრო არჩევითა და ინტიმური, სჭარბობს პირადი სიმპატიის გრძნობა. ასაკის წინსვლასთან ერთად მეგობრობის მოტივები უფრო ღრმავდება. მოზარდები ახლა ერთმანეთთან მეგობრობენ არა იმის გამო, რომ ერთ მერხზე სხედან ან ერთ სახლში ცხოვრობენ (როგორც ეს უმცროს სასკოლო ასაკში იყო), არამედ საერთო ინტერესების, შეხედულებებისა, გატაცებების, ნდობის და გაგების საფუძველზე. მოზარდობის ასაკში მეგობრული მიმართებები უფრო მყარია და ემოციურ ხასიათს ატარებს. მეგობრული დამოკიდებულების შეწყვეტას მოზარდი ძალზე მტკივნეულად განიცდის.

სამწუხაროდ, მოზარდების მეგობრობა ყოველთვის არ ატარებს დადებით ხასიათს. ხშირად მათი მეგობრობა აღმოცენდება არაჯანსაღი ინტერესების, გატაცებების და ერთობლივი ფუჭი დროსტარების საფუძველზე.

გარდამავალი ასაკის ერთ-ერთი თავისებურება ისიცაა, რომ ხშირად აღინიშნება მეგობრობა მოზარდსა და მშობლებს შორის, რაც უმცროს სასკოლო ასაკში არ შეინიშნებოდა. მოზარდი, როგორც ვნახეთ, ახლა „პატარა აღარაა“. მას აქვს საკუთარი აზრი, შეხედულება, მრწამსი, გემოვნება, ცხოვრებისადმი და თავის თავისადმი საკუთარი დამოკიდებულება., თანდათანობით იზრდება მისი დამოუკიდებლობა, რის გამოც მშობლებისადმი მისი დამოკიდებულება უკვე აღარ ატარებს „მორჩილების მორალის“ ტენდენციას. „თანასწორობის მორალზე“ გადასვლა უკვე მიმდინარეობს. მოზარდი მეგობრობს მშობლებთან, თუ ისინი „მორჩილების მორალის“ მშვიდობიანი გზით შეცვლის ინიციატორები არიან. ეს მოზარდის და მშობლების ურთიერთობის ძალზე დადებითი მხარეა.

ასეთი მეგობრობის დროს მშობლები თითქმის სრულიად არიან ინფორმირებულნი შვილების შესახებ, რაც სააღმზრდელო ღონისძიებების გატარებისთვის ხელისშემწყობ გარემოებას წარმოადგენს. თუ დედა ან მამა მართლა მეგობარია, მოზარდი მას ყველაფერს უამბობს. უნდა აღინიშნოს, რომ რომანტიკული ამბების შესახებ გოგონები დედასან უფრო გულახდილნი არიან, ვიდრე ბიჭები მამასთან.

გარდამავალ ასაკში, სამწესაროდ, შეინიშნება ანგარებიანი მეგობრობაც. ასეთ დროს მეგობრობას ეგოისტური და პრაგმატული მოტივები გააჩნია.

გარდამავალ ასაკში თავისებურია აგრეთვე დამოკიდებულება ბიჭებსა და გოგონებს შორის. ამ ასაკში მათ შორის დამოკიდებულება მნიშვნელოვნად იცვლება.

მესუთე კლასში განსხვავება ბიჭებსა და გოგონებს შორის მნიშვნელოვანია. გოგონებში სქესობრივი მომწიფება თითქმის ორი წლით ადრე იწყება და დიდ გავლენას ახდენს მის ფსიქოფიზიკურ მომწიფებაზე. მათ ქცევაში უკვე ჩნდება რაღაც ისეთი, რომელიც მხოლოდ გოგონებისთვისაა დამახასიათებელი. გოგონებს უწყალობდებამ სქესის სპეციფიკური გრძნობა. ახლა საკუთარი გარეგნობისადმი ინტერესი დიდ მნიშვნელობას იძენს. სხეულის საშუალო მაჩვენებლებიდან გადასვლა და პროპორციის დარღვევა გოგონებში მძიმე განცდება იწვევს.

გარდამავალი ასაკის დასაწყისში ბიჭების ინტერესი გოგონებისადმი იწყება უმცროსი მოზარდისთვის დამახასიათებელი ფორმით. ესაა გოგონების „წვალემა“. გოგონები ჩვიან იმის შესახებ, რომ ბიჭები მათ თმებს ქაჩავენ, ჩანთას უვადებენ, წიგნებსა და რვეულებს უხევენ და ა.შ. მაგრამ გოგონები ბიჭების ამ საქციელის მოტივს სწორად იგებენ და სერიოზულ წყენამდე საქმე არ მიდის. უფრო ვვიან კი მდგომარეობა იცვლება. ჩნდება შებოჭილობა, სიმორცხვე, ერთგვარი შიში, ქრება უშუალობა. ერთმანეთის მიმართ დიდ ინტერესთან ერთად არსებობს გოგონებისა და ბიჭების განკერძოებულობა.

უფროს მოზარდებს (განსაკუთრებით გოგონებს) აღელვებთ საკითხი იმის შესახებ, თუ ვინ ვის მოსწონს. მიუხედავად იმისა, რომ საკუთარ დამოკიდებულებებზე და ინტიმურ განცდებზე მოზარდები მხოლოდ ახლო მეგობარს უამბობენ, ამ მოწონების შესახებ ბევრმა თანაკლასელმა იცის. თანაკლასელებს „ვერაფერს გამოაპარებ“. გარდასავალი ასაკის შუა პერიოდში კლასში არსებობს ცხოვრების განსაკუთრებული შინაარსი, რომელიც რომანტიკულ სიმპატიებთანაა დაკავშირებული.

მესუთე-მეექვსე კლასებში გოგონებსა და ბიჭებს შორის მეგობრობა იშვიათობაა, ხოლო მეშვიდე-მერვე კლასებში ხშირია და იგი დაკავშირებულია ემოციურ განცდებთან. უპასუხო, ცალმხრივი სიმპატიები ხშირად დიდი განცდების მიზეზი ხდება. რომანტიკული ურთიერთობანი პირველ ხანებში მეგობრობის ფონზე ვითარდება, ხოლო როცა საერთო ინტერესები და გატაცებები არ არსებობს, მას ცვლის პაემანი, კინოში ერთად წასვლა, ერთად გასეირნება და ა.შ.

საწინააღმდეგო სქესისადმი ინტერესი არის მოზარდის პიროვნების განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, ვითარდება არა მხოლოდ ერთად ყოფნისა და ახლო ურთიერთობის მოთხოვნილება, არამედ ერთმანეთის მიმართ იზრდება მზრუნველობა, ყურადღება, სიმპატიები და საერთოდ, ფაქიზი დამოკიდებულებები. რომანტიკული სიმპატიები ბადებს საკუთარი თავის გაუმჯობესების მოთხოვნილებას. იგი თვითსრულყოფის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოტივი ხდება.

გარდამავალ ასაკში ჩნდება დღიურები. მოზარდები (უშეტესწილად გოგონები) იწყებენ დღიურების წერას, სადაც ძალიან მნიშვნელოვანი და ინტიმური ინფორმაცია შეაქვთ. ეს ინფორმაცია მათთვის ისეთი ამაღელვებელი, სერიოზული და მნიშვნელოვანია, რომ მას არავის აკითხებენ. მოზარდები უფროსების მიერ დღიურების წიკითხვის მცდელობას, მათ პირად ცხოვრებაში ჩარეკად თვლიან.

უფროს მოზარდებში გოგონებსა და ბიჭებს შორის შეგობრობა განსაკუთრებულია. იგი დამყარებულია ერთმანეთის ღირსებების მაღალ შეფასებებზე.

მოზარდს უჩნდება პირველი რომანტიკული სიმპატიები, ახალი განცდები და მღელვარებები, რაც მათ ცხოვრებაში ძალიან დიდი მოვლენაა და ამ გრძნობებს ძალზე ფაქიზად და მზრუნველობით უნდა მოვეპყროთ.

თავი მეჩვიდმეტი

მოზარდის დამოკიდებულება უფროსებთან და თანატოლებთან

მოწიფულობის გრძნობა აღმოცენდება მოზარდის მიერ მისი ფიზიკური განვითარების, სქესობრივი მომწიფებისა და სხვათა შეფასებების გაცნობიერების შედეგად. ეს ცვლილებები მოზარდს უფროსად აქცევს ობიექტურად. მოწიფულობის გრძნობა მოზარდს უვითარებდა აგრეთვე საკუთარი თავის იმ ადამიანთა შედარების პროცესში, რომელსაც იგი უფროსად თვლის. ეს გრძნობა ვითარდება იმ ამხანაგებთან ურთიერთობებშიც, რომლებიც მასზე ასაკით უფროსები არიან. უფროს ამხანაგებთან ურთიერთობა მოზარდს უყალიბებს საკუთარი თავის შესახებ ბავშვობიდან უკვე გამოსულის წარმოდგენას.

გარდამავალი ასაკის მნიშვნელოვანი თავისებურებაა ადრე დამახასიათებელი ბავშვისა და უფროსის ურთიერთობის ტიპიდან ურთიერთობის თვისობრივად ახალ ტიპზე გადასვლა.

საკუთარი მოწიფულობის გაცნობიერება მოზარდის მიერ გამოიხატება გარეშემომყოფ ადამიანთა მიმართ ახალი ცხოვრებისეული პოზიციის დაკავების მცდელობაში. მოზარდის სპეციფიკური სოციალური აქტივობა დიდად უწყობს ხელს უფროსების ქცევის წესების, ნორმების, ღირებულებების ათვისებას, რაც ვლინდება მოზარდის ცდაში დაემსგავსოს უფროსებს გარეგნულად, შეითვისოს მისი თვისებები, უფლებები და პრივილეგიები. მოზარდს ძალიან იტაცებს და იზიდავს ის თვისებები, რომლითაც უფროსი გამოირჩევა და განსხვავდება ბავშვებისაგან.

გარდამავალ ასაკში მშობლები ამჩნევენ, რომ მათ შვილებს მაგნიტივით იზიდავს ქუჩა და თანატოლები. ეს იმის გამო ხდება, რომ მშობლები არ ცვლიან მოზარდებთან დამოკიდებულების სტილს, მათ ისინი ჯერ კიდევ ბავშვებად მიაჩნიათ და მოზარდებთან ურთიერთობას აკებენ „მორჩილების მორალის“ პოზიციებიდან, ხოლო მოზარდები მოითხოვენ, რომ ეს ურთიერთობანი აიგოს „თანბრობის მორალის“ მიხედვით. მოზარდი მთელი არსებით მიილტვის თანატოლებისაკენ. თანატოლებთან და ამხანაგებთან ურთიერთობა მოზარდებში პიროვნულ აზრს იღებს. მოზარდი თვლის, რომ ამხანაგებთან და თანატოლებთან ურთიერთობა მისი პირადი საქმეა.

გარდამავალ ასაკში უძცროს სასკოლო ასაკთან შედარებით მშობლებთან დამოკიდებულება სუსტდება და ძლიერდება თანატოლებთან მისწრაფება. თანატოლებთან მოზარდები, ემოციურ მხარდაჭერას პოულობენ. მოზარდები თანატოლებთან გაცილებით მეტ დროს ატარებენ, ვიდრე უფროსებთან. მოზარდების სოციალური ჩვევების განვითარებაში თანატოლთა წრეში ყოფნა მეტად მნიშვნელოვანია. თანატოლთა წრეში ყოფნის ძირითადი პარამეტრი თანასწორობაა, რაც თავის მხრივ დადებითი ემოციების წყაროა. თანატოლთა წრეში მოზარდი ითვისებს შესაბამის სოციალურ ღირებულებებს და როლებს. თინეიჯერთა

თვითდამკვიდრებას მოთხოვნის მქონე მასობრივად დასაქმაციფილებლად საჭირო ხდება ე.წ. „სოციალური შედარება“, რაც მოზარდს საშუალებას აძლევს ჩამოაყალიბოს პირადი იდენტურობა, გამოავლინოს და შეაფასოს სხვების დამახასიათებელი ნიშნები. თანატოლთა ჯგუფებში ხდება აგრეთვე მათი და მშობლების ღირებულებების ანალიზი და შეფასება;

სოციალური შედარება მნიშვნელოვანი მოვლენაა არა მარტო გარდამავალ ასაკში, არამედ ჭაბუკობაშიც. ესაა საკუთარი ნიჭის, ქცევის ფორმების და პიროვნული ნიშნების შეფასება სხვებთან მიმართებისა და შედარებით პროცესში. ესაა განსხვავებულ ინდივიდებში „საკუთარი თავის“ პოვნის ერთ-ერთი გზა და ხერხი. ამ ასაკში მოზარდები ძალიან ინტენსიურ ურთიერთობებს ამყარებენ ერთმანეთთან, თუმცა ამ ურთიერთობებს ჯერ კიდევ აკლია ინტიმურობა და ღრმა ემოციები.

მოზარდის პრეტენზიები ახალ უფლებებზე, უპირველეს ყოვლისა, ვრცელდება უფროსებთან დამოკიდებულების სფეროზე. მოზარდს უკვე აღარ სურს უფროსების ძველი მოთხოვნების დაუფრებლო და უსიტყვოდ შესრულება, პროტესტს აცხადებს, როცა მასზე, როგორც „პატარაზე“ მზრუნველობენ, აკონტროლებენ მას, თხოვენ მორჩილებას, სჯიან, ანგარიშს არ უწევენ მის ინტერესებს, აზრსა და შეხედულებებს მოზარდს ახლა უჩნდება. საკუთარი ღირსების გამძაფრებელი გრძნობა. იგი საკუთარ თავს აცნობიერებს ისეთ ადამიანად, რომლის დამცირება, დაცინვა, აბურღად აგდება და დამოუკიდებლად ყოფნის უფლებების აყრა არ შეიძლება.

მოზარდს ახლა აღარ აკმაყოფილებს უფროსებთან ურთიერთობის ბავშვობაში ჩამოყალიბებული ფორმები, ნორმები, წესები და მეთოდები, რადგანაც ისინი აღარ შეეფერება საკუთარი მოწიფულობის წარმოდგენებს. მოზარდი უფროსების უფლებებსა და პრივილეგიებს ზღუდავს. ხოლო საკუთარს ყოველნაირად აფართოებს და პრეტენზიას აცხადებს უფროსების მიმართ მისი პიროვნებისა და ადამიანური ღირსებების პატივისცემაზე და აღიარებაზე.

მოზარდი ძალზე მწვავედ განიცდის უფროსებზე მის დამოკიდებულებას. იგი, როგორც ვნახეთ, პროტესტს აცხადებს უფროსების მიმართ იმის გამო, რომ ისინი მას აკონტროლებენ და მისი ქცევისა და საქციელის შესახებ ანგარიშს მოითხოვენ. პროტესტის ეს სხვადასხვა ფორმები გამოხატავენ უფროსების მოზარდებთან ურთიერთობის ძველ სტილისა და ფორმების შეცვლის საშუალებას. მოზარდი საკუთარ თავს თვლის პიროვნებად და ამის გამო მოითხოვს, რომ მას ისეთივე უფლებები ჰქონდეს, როგორც უფროსებს და ცდილობს ამის მიღწევას. მოზარდის ცხოვრებაში ეს საეციფიკურა პერიოდია, რომელსაც მოზარდისა და უფროსების უფლებების „გათანაბრების“ პერიოდს უწოდებენ. ამ პერიოდის განმავლობაში ხდება უფროსებთან ურთიერთობის ახალ ტიპზე გადასვლა, რომელიც დაფუძნებულია სხვა ნორმებზე და პრინციპებზე, ვიდრე ეს ბავშვობაში იყო საეციფიკური.

გარდამავალ ასაკში მშობლებთან და მასწავლებლებთან ურთიერთობის ფორმები ყალიბდება მოწიფულობის გრძნობის აღმოცენების კვალობაზე. მოზარდები ახლა ცდილობენ უსიტყვოდ აღარ შეასრულონ უფროსების მოთხოვნები და აქტიურად

იცავენ საკუთარ უფლებებსა და დამოუკიდებლობას. მათი აზრით სწორედ საკუთარი უფლებები და დამოუკიდებლობა არის მოწიფულობა. მოზარდები მეტად მწვავედ რეაგირებენ უფროსების მხრიდან მათი უფლებების რეალურ ან მოჩვენებით დარღვევაზე. როცა უფროსები მოზარდს ეპყრობიან როგორც პატარა ბავშვს, იგი გამოხატავს პროტესტის სხვადასხვა ფორმას და ავლენს ნეგაციას. მისი ძირითადი მიზანია უფროსებთან ძველი დამოკიდებულებების შეცვლა და ურთიერთობის თანასწორ ფორმებზე გადასვლა. უფროსები ხვდებიან, რომ ურთიერთობის ძველი ფორმები უკვე დრომოჭმულია და ცდილობენ შეარბილონ მოზარდებთან დამოკიდებულების ავტორიტარული ფორმები.

უმცროს სასკოლო ასაკში ჩამოყალიბებული და განმტკიცებული უფროსებთან ურთიერთობის ფორმების მკვეთრ შეცვლას მკვლევარები ხსნიან იმ გარემოებით, რომ, ჯერ ერთი, მოზარდები ცდილობენ დამოუკიდებლობის მოპოვებას, რასაც მშობლებთან დაძაბული ურთიერთობა მოყვება და მშობლებს უჭირთ მათთვის მეტი ავტონომიის მიცემა. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფსიქოლოგიური გარემოება ისიცაა, რომ მშობლები მათი შვილების ყრმობაში შესვლის კვალობაზე განიცდიან საკუთარი სიბერის ნიშნების გამოჩენას. ისინი ამწვენ, რომ მათ თმა უთხვლდებათ და უთეთრდებათ, სუქდებათ და კანიც უნაოჭდებათ, ენერჯაც აკლდებათ.

გარდამავალ ასაკში იწყება მოზარდის სოციალურ-მორალური მოწიფულობის ჩამოყალიბება, რაც მისი მოწიფული ცხოვრების სოციალურად აუცილებელი მომენტია. ბავშვი უკვბ ვერ დაუფლება უფროსებისთვის დამანასიათებელ ფიქრებსა და ქცევებს; ამისთვის მას სჭირდება უფროსებისთვის არსებული მოთხოვნების სისტემისა და ნორმების ათვისება, რომლის გარეშეც მოწიფულობა არ მოვა. მშობლები და აღმზარდელები ამ თვალსაზრისით მოზარდებს პასუხსაგებ დავალებებს ურთულებენ და ურმაველფერონებენ. ეს, რა თქმა უნდა, სწორი გზაა, მაგრამ ამასთანავე უფლებების გაფართოებაცაა აუცილებელი.

ამრიგად, მოზარდის სოციალური მოწიფულობის განვითარებისათვის აუცილებელია უფროსების დამოკიდებულების ბავშობასთან შედარებით ურთიერთობის ახალ და მაღალ ტიპზე გადასვლა. ეს ამოცანა მოზარდის მისწრაფებებსაც გამოხატავს. იგი მზადაა უფროსების ქცევის ნიმუშები აითვისოს და ცდილობს ძველი დამოკიდებულებების შეცვლას. მოზარდები კი არიან ამისთვის მზად, მაგრამ სამწუხაროდ, ხშირად უფროსები მათთან დამოკიდებულების ძველ ფორმებს არ ცვლიან, არ აფართოებენ მათ უფლებებს. ფოველივე ეს იმის გამო ხდება, რომ უფროსები მოზარდებს ჯერ კიდევ ბავშვებად თვლიან.

ამ მდგომარეობის უგულვებელყოფა უფროსების მიერ განპირობებული რამდენიმე მომენტი: ა) არ იცვლება მოზარდის საზოგადოებრივი მდგომარეობა. იგი იყო და არის მოსწავლე.

ბ) ისინი მშობლებზეა მატერიალურად დამოკიდებულები; გ) უფროსები ძველი ჩვეულების გამო განაგრძობენ მოზარდის კონტროლსა და შეგონებებს და მათი გარდაქმნა ძნელია. იმის გამო, რომ გააფართოვო მოზარდის უფლებები, უნდა შეზღუდო საკუთარი, რაც მეტად რთული პროცესია; დ) გარდამავალი ასაკის დასაწყისში მოზარდებს ძალიან ბევრი ბავშვური ნიშანი და თვისებები

ახასიათებთ, რომლებიც ვლინდება მათ ქცევებში. მოზარდები ხშირად დამოუკიდებელი მოქმედების უნარს ვერ ავლენენ. მათი პრეტენზიები რეალურ შესაძლებლობებს აჭარბებენ, რის გამოც უფროსებს მოზარდების მიმართ უშუაშავდებით მყარი დამოკიდებულება როგორც ბავშვების მიმართ, რომლებიც უფროსებს უსიტყვოდ უნდა ემორჩილებოდნენ და არ აცხადებენ პრეტენზიებს ახალ უფლებებზე. ასეთი დამოკიდებულება უარყოფით გავლენას ახდენს მოზარდების აღზრდის საქმეზე და კონფლიქტური სიტუაციებიც გარდაუქალია.

მოზარდსა და უფროსებს შორის კონფლიქტები აღმოცენდება იმის გამო, რომ მოზარდის მოწიფულობაზე და უფლებებზე მათ განსხვავებული შეხედულებები აქვთ: მოზარდი საკუთარ თავს თვლის დიდად („მე კატარა აღარ ვარ“) და ამის გამო იგი პრეტენზიას აცხადებს ახალ უფლებებზე. უფროსებს კი მიაჩნიათ, რომ მოზარდების პრეტენზიები დაუსაბუთებელია. თუ ეს წინააღმდეგობა დარჩება და კიდევ უფრო გაღრმავდება, კონფლიქტები გარდუქალია. თუ უფროსი მოზარდში ვერ შეაჩნევს „უფროსს“ და მას ძველებურად უყურებს როგორც ბავშვს, არ შეცვლის მასთან ურთიერთობის ტყელ, მბრძანებლურ ფორმებს, იგი კონფლიქტებს თავს ვერ დააღწევს, ხოლო თუ უფროსი გააცნობიერებს ამ მდგომარეობას და მოზარდს სხვა თვალთ შეხედავს, აღიარებს მის უფლებებს, ურთიერთობის ახალ ტიპზე გადასვლა უმტკივნეულოდ მოხდება.

მოზარდები მშობლებს განსაკუთრებული მოთხოვნებს უყენებენ, რომლის შესრულების კვალობაზე დამოკიდებულია მოზარდებსა და მშობლებს შორის დაძაბულობის შემსუბუქება და კონფლიქტების რიცხვის შემცირება. მეტად სანტიერესა საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ მშობლებზე ოცნებობენ მოზარდები. (ფ. რაისი, დასახელებული წიგნი. გვ.423-447).

მოზარდები ძალიან არიან დაინტერესებულნი იმაში, რომ მშობლები მათ მიმართ იჩინდნენ ყურადღებას, მზრუნველობას და უწყვეტდნენ დახმარებას. მშობლების მზარდაჭერა მოზარდებსა და მათ შორის ბაღებს ნდობის ატმოსფეროს და ასეთი ურთიერთობისას მოზარდებს მაღალი თვითშეფასება უკეთიარდებათ. არასაკმარის მშობლორ მსხარდაჭერას კი საწინააღმდეგო ეფექტამდე მივყავართ. ყალიბდება დაბალი თვითშეფასება, იმპულსური ქცევები, სუსტი სოციალური ადაპტაცია და უარესდება აკადემიური წარმატებები.

მოზარდები მოითხოვენ იმას, რომ მშობლები მათზე ზრუნავდნენ და მათთან იყვნენ მეგობრულ დამოკიდებულებაში. მათ არ უნდათ, რომ მათი მშობლები, საშახურებრივი მოუალეობის გამო ხშირად მიდიოდნენ მივლინებებში. მოზარდების დიდი სურვილია ისიც, რომ მშობლებს მათ მიმართ ჰქონდეთ ემპათია. ე.ი. მშობლებს უნდა შეეძლოთ თავიანთი თავის წარმოდგენა მოზარდების ადგილზე, მათი აზრებისა და გრძობების გაზიარება. ზოგიერთი მშობელი, სამწუხაროდ, ძალიან გულგრილი და ინდიფერენტულია მოზარდების განცდებისა და ემოციების მიმართ. მკვლევარები ამ მოვლენას „ემოციურ სიყრუეს“ უწოდებენ. ასეთ ოჯახებში აღზრდილი ბავშვები ასევე გულგრილნი იქნებიან მომავალში სხვისი აზრებისა და გრძობების მიმართაც.

მოზარდებს უნდათ, რომ მათ ოჯახებში სუფევდეს დადებითი ფსიქოლოგიური მიკროკლიმატი, რომ ოჯახის ყველა წევრი ერთმანეთის მიმართ ამყლავსებდეს

ემოციურ სიახლოვეს. მას აწუხებთ ის გარემოება, რომ ზოგიერთ ოჯახში გაბატონებულია ემოციური სიცივე და გვეგონებათ, რომ „ოჯახის წევრები ერთმანეთს ეძღურებიან“. ასეთი მშობლები იშვიათად ეუფერებიან შვილებს.

მოზარდების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოთხოვნაა აგრეთვე მოწონება და აღიარება. მათ უნდათ, რომ მშობლებმა ისინი მიიღონ თავიანთი დადებითი და უარყოფითი თვისებებით, ისე, როგორც ისინი არიან. ზოგიერთი მშობელი მაქსიმალისტია და უნდა, რომ მისი შვილი იყოს ყოველმხრივ სრულყოფილი. ასეთი მშობლები მუდმივად უკმაყოფილონი არიან თავიანთი მოზარდების საქციელით და ყოველ ნაბიჯზე, აკრიტიკებენ მათ. თითქმის ყველა მოზარდის მოთხოვნაა ის, რომ მათ მშობლებს ჰქონდეთ იუმორის გრძნობა.

მკვლევარები მიუთითებენ მშობლებსა და მოზარდებს შორის წარმოშობილი კონფლიქტების ხუთ ძირითად მიზეზზე:

1) სოციალური ცხოვრება და ჩვეულებები. მოზარდის სოციალური ცხოვრება და ის ჩვეულებები, რომლებიც მას გააჩნია, არის მშობლებსა და მოზარდებს შორის კონფლიქტების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი. შედარებით გავრცელებული მიზეზი არის კამათი შეძლევა საკითხებზე:

მეგობრებისა და პარტნიორების არჩევა, სასკოლო საღამოებზე დასწრების სიხშირე, პაემანზე სიარული, დაძინების დრო, რა ასაკიდან უნდა ატარონ მანქანა, ტანსამოსისა და ვარცხნილობის შერჩევა. ყველა მშობელი უჩივის იმას, რომ მოზარდები თითქმის სულ არ არიან სახლში და მთელ დროს გარეთ ატარებენ

2) პასუხისმგებლობა. მშობლები ძალიან მწვავედ აკრიტიკებენ მოზარდებს მათი უპასუხისმგებლობის გამო, რაც ეხება შეძლევა საკითხებს: სახლში საძურწეო საქმეების შესრულება, ფულის ხარჯვა, ყაჩაღიანი დამოკიდებულება ტანსაცმლის, აპარატურისა და ბინის მიმართ.

3) სკოლა. თინეიჯერების სწავლას მშობლები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ. ამ თვალსაზრისით მშობლებს აწუხებთ შემდეგი: აკადემიური მოსწრება, საშინაო დავალებების მომზადება, გაკვეთილზე დასწრება, „მატალოზე“ წასვლა, მასწავლებლებთან დამოკიდებულება.

4) ურთიერთდამოკიდებულება ოჯახში. მშობლებსა და მოზარდებს შორის კონფლიქტების რაოდენობა იზრდება: მოზარდების ინფანტილური ქცევების, მშობლებისადმი ზაზგასმული უპატივცემლობის, ძმებთან და დებთან გაუთავებელი კამათის და ჩხუბის, ბებასთან და ბაბუსთან ცუდი დამოკიდებულების გამო.

5) ზნეობრივი ღირებულებები და მორალი. ესაა თამბაქოს წვევა, ალკოჰოლისა და ნარკოტიკების მიღება, სიტყვა-პარაზიტების ხმარება, სიცრუე, მოზარდის სექსუალური ცხოვრება.

იმისათვის, რომ ზაზი გაეხვას მოზარდთა დამოუკიდებლობას, აუცილებელია მშობლების კონტროლისგან გამოსვლა. ავტონომიის მიღწევის მცდელობა არ ნიშნავს კავშირის გაწყვეტას ოჯახთან. ეს ორმხრივი პროცესია და შესაძლებელია კონსენსუსის მიღწევა.

6. ნიუკომბი გამოყოფს მშობლებთან დამოკიდებულების გამწვავების სამ მიზეზს:

1) გარდამავალ ასაკში კოგნიტური უნარების განვითარებას მივყვართ იქამდე, რომ მოზარდი ახლა უკვე განსხვავებულად აღიქვამს თავიანთ მშობლებს. თუ უმცროსკლასელებისთვის, როგორც წესი, მშობელი იყო პირი, რომელსაც მინიჭებული ჰქონდა ძალაუფლება და ყველაფრის გაკეთების უფლება, მოზარდისთვის უკვე ეს ასე აღარაა. მისთვის ახლა მშობელი ჩვეულებრივი ადამიანია, რომელიც არა მარტო ზრუნავს მოზარდის კეთილდღეობაზე, არამედ თელის სრულყოფილ და სრულფასოვან პიროვნებად ამ თვალსაზრისით მრავლისმთქმელია 15 წლის ამერიკელი გოგონას გამონათქვამი საკუთარი დედის შესახებ: „ხუთი წლის წინ იგი უბრალოდ ჩემი დედა იყო, ხოლო ახლა ის არის ადამიანი“ (ნიუკომბი, გვ. 504)

2) უმცროსკლასელებთან შედარებით მოზარდები ახლა მშობლებთან გაცილებით ნაკლებ დროს ატარებენ. ახლა ისინი, ძირითადად, ან ამხანაგების ჯგუფში არიან, ან იმყოფებიან მარტოობაში. ამასთანავე, ზოგიერთი გამოკვლევის მიხედვით, ახლა ოჯახში ყოფნა მოზარდებისათვის გაცილებით ნაკლებ დადებით ემოციებს იწვევს, ვიდრე ეს იყო უმცროს სასკოლო ასაკში.

3) მშობლებთან კონფლიქტური სიტუაციების რიცხვის ზრდა. ეს უმეტესწილად, გვხვდება დამოუკიდებელი გადაწყვეტილებების მიღებისას. ამ დილემის გადაწყვეტის ერთ-ერთი საწინდარია ოჯახში კეთილგანწყობითი და თბილისი კომუნიკაციების არსებობა (ეფექტური შიდასაოჯახო კომუნიკაცია).

ძალიან მნიშვნელოვანია ის, რომ უფროსებსა და მოზარდებს შორის ახალ ურთიერთობაზე გადასვლის ინიციატივა უფროსებისაგან უნდა მოდიოდეს. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში დადის ყველა სიმწელე მინიმუმამდე. ხოლო, როცა გარდაქმნის ინიციატორი მოზარდია, სიმწელებისა და გართულებების აღბათობა ძალიან დიდია. მოზარდის აქტიუობა ამ მიმართულებით იმის მაჩვენებელია, რომ უფროხი ძველ ურთიერთობებს არ ცვლის და ამის თავისებურ რეაქციას წარმოადგენს.

გამოყოფენ სიმწელეთა სამ ფორმას:

1) სიმწელეთა ზრდა და კონფლიქტების გაღრმავება. ეს ფორმა იწყება მაშინ, როცა უფროსის მცდელობას შეინარჩუნოს მოზარდებთან ურთიერთობის ძველი სტილი და ფორმები, თან ახლავს მოზარდის წინააღმდეგობა და პროტესტი. თუ უფროსის დამოკიდებულება არ იცვლება, წინააღმდეგობა და პროტესტები სისტემატური და მკვეთრი ხდება, - ხოლო მოზარდების ნეგატივიზმი უფრო ღრმავდება. ასეთი სიტუაციის შენარჩუნების დროს ძველი დამოკიდებულებების გარდაქმნა მთელი გარდამავალი პერიოდის განმავლობაში შეიძლება გაჭინაურდეს. ასეთ შემთხვევაში კონფლიქტები ქრონიკულ ხასიათს ღებულობს, რაც ხშირად მოზარდის პიროვნებაზე უარყოფით გავლენას ახდენს.

უფროსების ლესპოტიზმმა შეიძლება მოზარდში საპასუხო რეაქცია გამოიწვიოს მოზარდი ცდილობს უფროსს სამაგიერო გადაუხადოს წყენისა და ჩაგვრისათვის და, რაც სამწუხაროა, იგი იწყებს უმცროსებისა და სუსტების ჩაგვრას და ამ გზით თვითდამკვიდრების მახინჯი ფორმების ძიებას. იგი საკუთარ ძალას და ღირსებას სხვების დამცირებითა და სიავით ამკვიდრებს. არის შემთხვევებიც, როცა უფროსებთან ხშირი კონფლიქტების გამო მოზარდი სახლიდანაც მიდის

ხშირი აკრძალვებისა და შეზღუდვის პირობებში მოზარდი ეძებს და პოულობს შემოვლით გზებს. იგი იწყებს ტყუილების თქმას, თავის გამართლების მიზნით თხზავს ლეგენდებს, „იკეტება თავის თავში“, უფროსს თელის ისეთ ადამიანად, რომელიც მას ვერ უგებს. ამის გამო უფროსის ყოველგვარ მოთხოვნას, სიტყვას, აზრს, შეხედულებას მოზარდი დაუფიქრებლად და დაუყოვნებლივ უარყოფს. აღზრდის თვალსაზრისით ეს მეტად მძიმე სიტუაციაა.

2) სიძნელის ეს ფორმა ვლინდება მაშინ, როცა უფროსი მოზარდის მისწრაფების, მაგრამ საკუთარი მრწამსის საწინააღმდეგოდ, ნებას რთავს მოზარდს იმაზე, რასაც აქამდე უკრძალავდა. ამ შემთხვევაში უფროსი არა თანმიმდევრული და მტკიცე ერთი და იგივე ხან იკრძალება, ხან არა. ამის გამო კონფლიქტების რაოდენობა შედარებით ნაკლებია, მაგრამ მათი აღმოცენების შესაძლებლობა მაინც დიდია;

3) ამ ფორმისთვის დამახასიათებელია ის, რომ ღრთა განმავლობაში უფროსი ცვლის მოზარდთან ურთიერთობის ფორმას, რის გამოც სიძნელები მცოდნება და სულაც ქრება. რაც უფრო ღრმა და ზგნძლივია კონფლიქტები, მით უფრო ძნელი ხდება მათი გამოსწორება.

მკვლევარები თვლიან, რომ მოზარდები იმ დონით უნდა იყვნენ „თავისუფალნი“, რომ გამოხატონ თავიანთი ინდივიდუალური მოთხოვნილებები და გრძნობები, თვითონ მაიღონ გადაწყვეტილებები საკუთარი ცხოვრების შესახებ და პსუხიც უნდა აგონ მათზე.

როდესაც შშობლები მოზარდებს აღიქვამენ როგორც „ჩვენი საყვარელი გოგო“ ან „ჩვენი პატარა ბიჭი“ და შესაბამისად უყრობან მათ, წინასწარვე კმნიან მათ შორის ურთიერთობის პრობლემებს. ეს პრობლემები შეიძლება იყოს როგორც სიტყვიერა უკმაყოფილების გამოხატვა ან შშობელთა მიმართ ფარული ან ღია აგრესიული დამოკიდებულებები.

იმასდამიხედვით, თუ როგორ ვითარდებიან მოზარდები კონტრულად, იცვლება მათ მიერ შშობლების აღქმის ფორმებიც. ბავშუბისათვის შშობლები, უმეტესწილად, არიან ისეთი ფიგურები, რომელთაც აქვთ რაიმეს მიღწევის ძალა და ცოდნა. მათ იციან ის, რაც ბავშვებს სჭირდებათ.

მოზარდებისათვის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის მიცემის საკითხში შშობლებს შორის არსებული განსხვავებებს გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება. ამ პროცესზე ავტორიტარული და დემოკრატიული შშობლების გავლენა განსხვავებულია...

შშობლები რომ არა მხოლოდ ავტორიტარულ ფიგურებად, არამედ პიროვნებებადაც აღიქმებოდნენ, ისინი შესაბამისადაც უნდა იქცეოდნენ. ავტორიტარული შშობლები თავიანთ ავტორიტეტს ბრძანებებისა და აკრძალვების ფორმით გამოხატავენ, რაც მოზარდებისთვის მიუღებელია.

ერთი ამერიკელი მოზარდი ასე ახასიათებს თავის დემოკრატიული ტიპის შშობლებს: როცა ჩემს შშობლებს სხვა შშობლებს ვაძარებ, მგონია, რომ ჩემები უკეთესები არიან. ისინი მე ყურადღებით მისმენენ და ხვდებიან, რომ მე ჩემი საკუთარი ცხოვრებით უნდა ვაცხოვრო. მე როცა მათ ვუხსნი, თუ რისი გაკეთება

მსურს, ისინი ხშირად მეთანხმებიან. ისინი ხშირად მითითებენ ჩემს შუცლომებზე და მაძლევენ რჩევებს, ზოგჯერ პირდაპირ მეუბნებიან უარს, მაგრამ ყოველთვის მიხსნიან ამის მიზეზს.

როგორც კვლევებმა აჩვენა ასეთი მშობლები მნიშვნელოვნად უწყობენ ხელს ნდობის ატმოსფეროს შექმნას და ამ დროს ავტონომიისკენ მისწრაფება მკვეთრ კონფლიქტებთან არაა დაკავშირებული.

ავტორიტატიული მშობლები კი არ თვლიან თავს ვალდებულად მოზარდებს მითითებების მიზეზები აუხსნან და უსიტყვო მოჩრილებას ზნეობრივ ნორმად თვლიან. ასეთი მშობლები გრძობენ, რომ თავიანთი მოზარდებისადმი ასეთი დამოკიდებულება ეფექტური არაა, მაგრამ მათ საკუთარი თავის „გადაკეთება“ არ შეუძლიათ. ასეთი მშობლების შვილები, უმეტესწილად, არ არიან საკუთარ თავში დარწმუნებულები და არ შეუძლიათ დამოუკიდებელი ქცევის აქტების განხორციელება. ასეთი მოზარდები მშობლებს აღიქვამენ უარყოფითი ემოციური შეფერილობით, მათ მოთხოვნებს მიიჩნევენ როგორც არაგონივრულსა და მცდარს.

არსებობს მშობელთა ერთი კატეგორია, რომელსაც მკვლევარები პერმისიულ მშობლებს უწოდებენ. ასეთი მშობლები დაუდევრად ეპყრობიან თავიანთ მოზარდებს და მათ აძლევენ სრულ თავისუფლებას. დაუდევარი მშობლები მოზარდებს ნებას აძლევენ გააკეთონ რაც სურთ. მათ მშობლების პასუხისმგებლობის შესახებ დამახინჯებული წარმოდგენა აქვთ. ასეთ მოზარდებთან მაღალაია ნარკოტიკების მოხმარებისა და სოციალურად მიუღებელი ქცევების რისკი. ასეთი მშობლები არ სთავაზობენ მოზარდებს პასუხისმგებლური ქცევის სტაბილურ მოდელს. ისინი მოზარდებს თავიანთ ნებაზე უშვებენ.

უფროსებთან ურთიერთობა მოზარდის პიროვნების განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია. მოზარდების უფროსებთან ურთიერთობა ძირითადად არასასწავლო დროს მიმდინარეობს. მათ ურთიერთობა სასწავლო პროცესში უმეტესად თანატოლებთან აქვთ.

დადგენილია, რომ მოზარდების უფროსებისადმი პოზიტიური დამოკიდებულების აუცილებელი პირობაა მოზარდების საზოგადოებრივ საქმიანობაში ჩართვა, დამოუკიდებლობის მიცემა, საუფროსო საქმეების ნდობა, თანაცხოვრების თანაბარი პირობების შექმნა და მათთვის ზოგიერთი ორგანიზატორული ფუნქციის რეალური გადაცემა.

დამოკიდებულება თანატოლებთან. გარდამავალ ასაკში ამხანაგებთან და თანატოლებთან ურთიერთობა მოზარდის ცხოვერებაში მეტად მნიშვნელოვან ადგილს იკავებს. მშობლების ნაწილი უჩივის იმას, რომ მათ შვილებს „მხოლოდ ამხანაგები ახსოვთ“, ნაწილი შეწუხებულია იმ ამხანაგების ძლიერი გავლენით, რომლებიც მათ არ მოსწონთ, ზოგი შეშფოთებულია მათი შვილის თანაკლასელებთან გამრუდებული ურთიერთობების გამო ზოლო, ზოგი განიცდის იმას, რომ მათ შვილს ამხანაგი და მეგობარი საერთოდ არ ყავს. ასაკის ერთ-ერთი დამახასიათებელი თავისებურება ისაა, რომ მოზარდები მწვავედ განიცდიან მშობლების ჩარევის ყოველგვარ ცდას ამხანაგის არჩევისას. ასეთი ჩარევა

მოზარდის მკვეთრ პროტესტს იწვევს და ფაქტიურად, რეალურად არაფერს ცვლის.

რატომ ავლენს მოზარდი ასეთი ინტენსიურ სწრაფვას თანატოლებისადმი? მოწიფულობის გრძობის ჩამოყალიბება მოზარდს აიძულებს უფროსებთან ურთიერთობაში თანაბარი უფლებები ეძებონ, სადაც ეს გრძობა უმტკივნეულოდ არ კმაყოფილდება. მოზარდის მოწიფულობის ეს გამაფრთხილებელი გრძობა შედარებით კარგად და უმტკივნეულოდ კმაყოფილდება თანატოლთა წრეში, სადაც ყველანი თანაბარი არიან. ეს მდგომარეობა თანატოლებთან და ამხანაგებთან ურთიერთობას განსაკუთრებით მიმზიდველს ხდის. ეს მიმზიდველობა იზრდება იმის გამოც, რომ ის, რაც მოზარდს აინტერესებს და აღუღებს, უფროსისათვის არ წარმოადგენს რაიმე მნიშვნელოვან ღირებულებას, უფროსებსა და მოზარდებს სხვადასხვა პრობლემები აღუღებს.

მოზარდები ცდილობენ უფროსების მიბაძვას, მაგრამ უფროსი მაინც ძნელად მისაწვდომია, მისი თვისებები ხშირად ვლინდება ცხოვრებისეულ სიტუაციებსა და დამოკიდებულებებში, რომლებიც მოზარდებს არ აქვთ. ამიტომ მოზარდებისთვის უფრო ადვილია მიბაძონ თანატოლებს და ნათლად დაინახონ და გააცნობიერონ საკუთარი ნაკლი და ღირსებები.

კლასში თანატოლებთან ურთიერთობაში დაუკმაყოფილებლობის კომპენსაციას მოზარდი მრავალნაირი ხერხით ახორციელებს: ასეთი მოზარდების ერთი ნაწილი ცდილობს ურთიერთობა დაამყაროს და იამხანაგოს უმცროსებთან; უმცროსების წრეში კი იგი ყოველთვის სასურველი და დაფასებული პიროვნებაა. იგი აქ აღიარებულია, მიმზიდველია და წამყვანი ადგილი უჭირავს. მოზარდი უმცროსებს ხელმძღვანელობს. ასეთი მოზარდები მბრძანებლობის განსხვავებულ (დესპოტურიც და რბილიც) ფორმებს მიმართავენ.

ზოგიერთი მოზარდი, თანაკლასელთა სიმპათია რომ დაიმსახუროს და მათი ყურადღება მიიპყროს, განგებ ქმნის „საგმირო“ სიტუაციას და „გმირობას“ სჩადის. ასეთი მოზარდები განგებ არღვევენ წესრიგსა და დისციპლინას, ეკამათებიან მასწავლებლებს და ა.შ.

სხვა მოზარდები კი ყოველნაირად ართობენ თანაკლასელებს. ასეთ მოზარდებს „კლასის ხუმარებს“ უწოდებენ. მათი ყოველი სიტყვა და ქცევა გათვლილია მაყურებელზე, რომ გააცინონ თანაკლასელები. მათი ხუმრობები, იშვიათი გამონაკლისის გარდა, უადგილო და ულოგიკოა, ასეთი მოზარდები თანაკლასელთა სიმპატიებით, უმეტესწილად, არ სარგებლობენ.

უმცროს მოზარდებში არის ერთი ფსიქოლოგიური ხერხი, რომლითაც ისინი თანატოლთა ყურადღების მიპყრობასა და სიმპათიების მოპოვებას ცდილობენ. ესაა ტრაბახი. ისინი ყველანაირად საინტერესო, მწვევე შემთხვევების შესახებ და ამ შემთხვევებში საკუთარ როლსა და მნიშვნელობას მალე აცხარებენ. ამ ასაკში თითქმის ყველა მოზარდისათვისა დამახასიათებელი ტრაბახის ელემენტები, მაგრამ ზოგიერთი ისეთია, რომ მის მონაყოლში ტყეილსა და მართალს ვერ გაარჩევ. ასეთი მოზარდებს „მინიატურულ მონუკაუზენებსაც“ უწოდებენ. ასეთი მოზარდებიც არ სარგებლობენ თანაკლასელთა სიმპათიებით და ავტორიტეტით.

დაჯგუფებებს, რომლებშიც მოზარდები ერთიანდებიან ღირებულებების, განწყობების, ჩვეულებების და ინტერესთა საერთოობის საფუძველზე, ეწოდება მოზარდული სუბკულტურა. ეს ღირებულებები და საერთოდ, სუბკულტურაში გაერთიანებული მოზარდების ცხოვრების წესი, საშუალოდ, ხშირად უპირისპირდება უფროსების ღირებულებებსა და შეხედულებებს. ერთი სიტყვით, მოზარდები თითქოს იზოლირებულად ცხოვრობენ საზოგადოებაში და აყალიბებენ საკუთარ სუბკულტურას, რომელიც თანატოლთა შორის დიდი მოწონებით სარგებლობს, და რომელიც უფროსებს არ მოსწონთ. უმცროს მოზარდებში მშობლების გავლენა შედარებით მეტია, ვიდრე თანატოლებისა. ამ თვალსაზრისით იკვეთება სქესობრივი სხვაობებიც. მოზარდი გოგონები თანატოლებზე უფრო განიცდიან მშობლების გავლენას, რაც დროთა განმავლობაში თანდათანობით სუსტდება თანატოლების სასარგებლოდ. აღმოჩნდა აგრეთვე, რომ მაღალი IQ-ს მოზარდები უფრო ორიენტირებულნი არიან თანატოლებზე, ვიდრე ინტელექტის შედარებით დაბალი დონის მოზარდები.

მშობლებისადმი და თანატოლებისადმი ორიენტაციის ხარისხს განსაზღვრავს თვით მოზარდის ზოგიერთი ღირებულება. ისეთ ღირებულებებში, როგორიცაა ფინანსები, პროფესიული გეგმები და განათლება, მოზარდები ძირითადად მშობლებზე არიან ორიენტირებულნი. ისეთი ღირებულებები კი, როგორიცაა ტანსაცმლის სტილი, მუსიკალური გემოვნება, ახალგაზრდული შეხვედრების ფორმები, მგობრის არჩევნის კრიტერიუმები, ძირითადად დამოკიდებულია მოზარდის სუბკულტურაზე, რომელიც არ შეესაბამება უფროსების შეხედულებებს.

ფ. რაისი მცირე ჯგუფების ანალოგიით მოზარდების სუბკულტურას ყოფს ფორმალურ და არაფორმალურ საზოგადოებად. ფორმალური საზოგადოება მოსწავლეთა კლასები, ჯგუფები. ასეთ ჯგუფებში კავშირები თანატოლთა შორის განისაზღვრება იმით, დადინ თუ არა მოზარდები სკოლაში და რომელ ორგანიზაციებში არიან ისინი გაერთიანებულნი. არაფორმალურ გაერთიანებად ითვლება სუსტად სტრუქტურირებული ჯგუფები, რომლებიც სასკოლო ორგანიზაციებს არ მიეკუთვნებიან. ყველა მოზარდი, რა თქმა უნდა, არაა ასეთი ჯგუფების წევრი.

მოზარდების სასკოლო ჯგუფებში შეიძლება არსებობდეს ქვესისტემებიც, რომელთაც გააჩნიათ განსხვავებული სტატუსი. ქვესისტემა არის მოზარდების საზოგადოების მცირე სემპლენტი დიდი სოციალური სისტემის შიგნით. ასეთებია სპორტული და საგნობრივი სექციები.

მოზარდებისათვის მეტად მნიშვნელოვანია აღიარება ჯგუფის წევრების მიერ. ამ დროს ისინი ძალიან მგრძობობარენი არიან კრიტიკისა და ყოველგვარი ნეგატიური რეაქციებისადმი სხვების მხრიდან. ისინი ძალიან განიცდიან იმასაც, თუ რას ფიქრობენ სხვები მათ შესახებ. ეს იმიტომ ხდება, რომ ამ ასაკში ჯერ კიდევა მათი თვითშეფასება დამოკიდებული უფროსების თვითშეფასებისაგან.

როგორც ვნახეთ მოზარდები ამხანაგებს ორჩვენ ინტერესთა საერთოობის მიხედვით. ანალოგიურ საფუძველზევე ყალიბდება მოზარდთა კომპანიები და ჯგუფებიც. მოზარდი რომ რომელიმე კომპანიაში მიიღონ, იგი ამ ჯგუფის წევრების

მსგავსი უნდა იყოს: იგი ისეთივე ჯარგონს უნდა ხმარობდეს, ისევე უნდა იცაზდეს და ისეთივე შეხედულებები ჰქონდეს, როგორც ჯგუფის სხვა წევრებს.

ჯგუფში აღიარების მოპოვება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული რაიმე წარმატების მიღწევაზე. ესაა წარმატება სპორტში, მუსიკაში, სწავლაში. ამასთანავე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ წარმატების აღიარება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული იმაზეც, თუ რამდენად მაღალია ჯგუფის წევრებისათვის იმ სფეროს სტატუსი, რაშიც აღწევს მოზარდი წარმატებას. თუ ჯგუფის წევრების თვალში შაშის თამაშს დაბალი სტატუსი აქვს, მაშინ სკოლის ჩემპიონი შაშში აღიარებას ვერ მიიღებს. გამოკვლევებმა უჩვენეს, რომ მოზარდები ამერიკის სკოლებში სპორტსმენებს უფრო აფასებენ, ვიდრე ფრიადღსნებს.

თანატოლთა ყურადღების მისაქცევად მოზარდები ცდილობენ აღზარდონ საკუთარ თავში ისეთი თვისებები, რომლებიც სხვებს აღაფრთოვანებენ ან გამოიმუშაონ თანატოლების მოსწონი ჩვევები. სერთოდ, მოზარდების პოპულარობა, ძირითადად, გამოიხატება მათი გარეგნობით, კომუნიკაბელობით და სასიათით. ავტორიტეტით სარგებლობს ის, ვინც გამაირჩევა აკურატულობით, მშობილველობით, კეთილგანწყობით, ენერგოულობით და კარგი მანერებით.

უკვე მეხუთე კლასში მოზარდები ქმნიან მცირე დაჯგუფებებს, რომელთა წევრები ცდილობენ ერთად იყვნენ, ერთად გაატარონ დრო, ეხმარებან და უზიარებენ ერთმანეთს შთაბეჭდილებებს. დაჯგუფების წევრებს საერთო ინტერესები აქვთ და, რაც მთავარია, ყველანი თანაბარია და ასეთ დაჯგუფებებში, როგორც წესი, ყოველთვის კარგი „ემოციური კლიმატი“. ეს დაჯგუფებები თითოეულ თავის წევრს ხალისით იცავენ იმ შემთხვევაშიც კი, როცა იგი მართალი არაა.

მოზარდისათვის მის შესახებ მასწავლებლის აზრზე უფრო მნიშვნელოვანია თანატოლის აზრი. იგი ვერ იტანს, როცა თანატოლების თანდასწრებით მას, როგორც „პატარას“ კიცხავენ და ჭკუას არიგებენ.

მრავალი ბავშვისა და მოზარდის სოციალურ-ფსიქოლოგიურ განვითარებაში თანატოლები გადამწყვეტ როლს თამაშობენ. ამასთანავე მოზარდები გაცილებით უფრო მეტად არიან დამოკიდებული თანატოლებზე, ვიდრე — ბავშვები. ამის მიზეზია ის გარემოება, რომ მოზარდების აღრინდელი მჭიდრო კავშირები მშობლებთან მათი დამოუკიდებლობის ხარისხის ზრდასთან ერთად უფრო სუსტი და არამყარი ხდება. თუმცა არის შემთხვევებიც, როცა მოზარდობის პერიოდის პირველ ხანებში მშობლებთან (და ოჯახის სხვა წევრებთან) მათი ურთიერთობა ემოციურად დატვირთულია. ყველაფერი ეს ერთმანეთთან წინააღმდეგობაშია: მოზარდებს სურვილი აქვთ იმყოფებოდნენ მშობლების მფარველობისა და მზრუნველობის ქვეშ, მაგრამ ამავე დროს, ისინი მიისწრაფვიან დამოუკიდებლობისაკენ როგორც ამბობენ, „მტრობა აღრეულია სიყვარულში“; ამ დროს მოზარდები საკუთარ შეხედულებებისა და საქციელის უმეტეს ნაწილს მშობლებს არ უმხელენ.

მრავალ გამოკვლევაში აღნიშნულია, რომ მოზარდების მნიშვნელოვანი ნაწილის განცხადებით, მეგობრები მათ უკეთ უცებენ, ვიდრე მშობლები. თანაკლასელებთან

ისინი უფრო არიან „თავისუფალნი“ და უფრო „ინარჩუნებენ საკუთარ „მე“-ს. მოზარდები ხაზს უსვამენ იმას, რომ ისინი თანატოლებისაგან გაცილებით მეტს სწავლობენ, ვიდრე – მშობლებისაგან.

გულგრილი, ცივი და ავტოკრატული მშობლების გვერდით არიან დასახმარებლად მზადყოფი ამხანაგები, რომლებიც მოზარდს არასასურველი ოჯახური სიტუაციებისგან სულიერ თავშესაფარს სთავაზობენ.

ჩვეულებრივ, თანატოლებთან ურთიერთობებს ყოველთვის არ აქვს დადებითი მხარეები. თანატოლებისაქენ სწრაფვა შეიძლება საზიანოც გამოდგეს. არის შემთხვევები, როცა თანატოლთა დაჯგუფებებში ჩართვისას მოზარდს დასცილიან და ავიწროებენ, რის გამოც ასეთ მოზარდებს უნდებათ მსგავსი სიტუაციების შიში. ზოგიერთი მოზარდი იძენდა განიცდის თანატოლების გავლენას, რომ არ ენდობა საკუთარ თავსაც კი.

თანატოლთა ჯგუფებთან ადაპტაციის მოთხოვნილება იწყება ჯერ კიდევ საშუალო ბავშობაში. პუბერტეტის შემდგომ პერიოდში კი ძლიერდება როგორც კონფორმულობის მოთხოვნილება, ასევე შესაბამისი ქცევაც. თანატოლებთან ადაპტაციის მოთხოვნილება ძალიან განსხვავებულია მოზარდებში, რაც განპირობებულია როგორც სოციალურ-ეკონომიკური საფუძვლებით, მშობლებთან და სხვა უფროსებთან დამოკიდებულებებით, ასევე სასკოლო გარემოთი და პიროვნული ფაქტორებით.

ბავშვები და მოზარდები, რომლებიც მიდრეკილნი არიან სხვებს გადააბრალონ საკუთარი დანაშაული და შეცდომები, უფრო მეტად არიან კონფორმულები იმათთან შედარებით, ვინც ამ თვალსაზრისით საკუთარ თავზე იღებენ პასუხისმგებლობას.

ზოგიერთი მკვლევარი ფიქრობს, რომ გარკვეული ღირებულებების შეფასებაში მშობლებისა და მოზარდების (მოზარდული სუბკულტურის) წარმოდგენები და მსგავსობები ურთიერთგამორიცხავია და მათ შორის კონსენსუსის მიღწევა შეუძლებელია. თუმცა სხვა მკვლევართა აზრით, მშობლთა (უფროსების) მხრიდან დათმობებზე წასვლა კონსენსუსის მიღწევის გარანტირებული საწინდარია.

თანატოლები დიდ გავლენას ახდენენ მოზარდის გემოვნებაზე. მოზარდი, ძირითადად მუსიკას, გასართობებს და ტანსაცმელს თანატოლების რჩევების საფუძველზე ირჩევს.

ცნობილია, რომ პუბერტეტის პერიოდში მოზარდების მშობლებთან ადაპტაცია კლებულობს, მაშინ, როცა თანატოლთა მიმართ ადაპტაციის ინტენსივობა იზრდება. საშუალო და გვიანდელი მოზარდობის პერიოდში ხდება საერთო დამოუკიდებლობის (ავტონომიის) დონის აწევა, რაც მოზარდთა უმრავლესობაში იწვევს მშობლებთან ადაპტაციის შემცირებას და მკაფიოდ ვლინდება აგრესიული და ანტისოციალური ქცევები.

უნდა აღინიშნოს, რომ მშობლებთან და თანატოლებთან მოზარდთა ადაპტაციის მოთხოვნილება ინდივიდუალურია. საკუთარ თავში დარწმუნებული და დემოკრატიულად (ასევე ავტორიტარულად) აღზრდილ მოზარდებს შეუძლიათ გაითვალისწინონ და გამოიყენონ მშობლებისა და თანატოლების აზრები

(შეხედულებები) და გამოცდილება ისე, რომ საკუთარ დამოუკიდებლობას და თავისუფლებას ზიანი არ მიაყენონ.

მოზარდის ქცევის ერთ-ერთი მთავარი მოტივია თანატოლთა კოლექტივში ღირსეული ადგილის დაკავება. ამისათვის კი სასწავლო წარმატებები არ კმარა. მან რაღაცაში უნდა გამოიჩინოს თავი, რისთვისაც, მაგალითად, საჭიროა კარგად ზატეა, გაბედულება, გამჭირაზობა, საზრიანობა, საორტსმენობა და იმ უნარ-ჩვევების ფლობა, რომლებსაც მისი ტოლების კოლექტივისათვის აქვს ღირებულება. ამასთანავე, იგი უნდა ფლობდეს „ამხანაგური კოდექსის“ ისეთ ნიშნებს, როგორიცაა თანაბარუფლებიანობა, ერთგულება, ამხანაგებისადმი დახმარება, პატივისცემა, პატიოსნება.

მოზარდთა კოლექტივში ხანდახან გარიყულებიც არიან. ეს ის მოზარდებია, რომლებსაც კოლექტივის საერთო საქმეში არავითარი წვლილი არ შეაქვთ, არ შეუძლიათ ვჯუფში თვითდამკვიდრება და ვჯუფის წვერებს შორის სიმპათიებს არ იმსახურებენ. მოზარდები, რომლებსაც თვითდამკვიდრება უჭირთ, ცდილობენ სხვა გზით (ვგოტობა, ნეტატივზში, უხეშობა, წესრიგის რეგულარული დარღვევა) იარონ, არასრულწლოვან დამნაშავეთა დიდი ნაწილი სწორედ ის მოზარდებია, რომლებმაც თანატოლთა კოლექტივში თვითდამკვიდრების მიმართულებით საერთო ენა ვერ გამონახეს.

საინტერესოა მოზარდობის ასაკში საწინააღმდეგო სქესის წარმომადგენლებთან ურთიერთობაც. მოწიფულობის გრძობა მოზარდს უბიძგებს ურთიერთობის ახალი, „საუფროსო“ ფორმების ძიებისაკენ. ამას ხელს უწყობს მისი ინტენსიური ფიზიკური განვითარება, სქესობრივი მომწიფება და ამ საფუძველზე აღმოცენებული უფროსებთან იდენტოფიკაციის გამძაფრებული გრძობა. ყოველივე ეს მნიშვნელოვან გავლენას ახდენს გოგონებისა და ბიჭების ურთიერთდამოკიდებულებაზე ამ ასაკში. იწყება გოგონებისა და ბიჭების ერთმანეთისადმი ინტენსიური ინტერესის გამოვლენა. როგორც მკვლევარები აღნიშნავენ (ვ. მუხინა) ამ თვალსაზრისით მოზარდისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია როგორც აფასებენ მას სხვები. უპირველეს ყოვლისა მას მხედველობაში აქვს საკუთარი გარეგნობა და პირადი მიზიდველობა. ამ ასაკში ბიჭები გოგონებში უკვე აღიქვამენ ქალს და გოგონები ბიჭებში — მამაკაცს. თუმცა მათი არათანაბარი სქესობრივი მომწიფება და განვითარება (გოგონები უფრო ადრე მწიფდებიან) გარკვეულ დაღს ასვამს მათ ურთიერთობებს. ამ ასაკში გოგონები უფრო მეტ ინტერესს იჩენენ უფროსი, ვიდრე თანატოლი ბიჭების მიმართ.

მოზარდებს შორის სოციალური ადაპტაციის ფორმირების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემაა ჰეტეროსოციალობის მოპოვება. მკვლევართა აზრით (ფ. რაისი გვ. 354-355) თავისი ფსიქიკური განვითარების პროცესში ბავშვები გაივილიან სამ ფაზას:

ა) ქვაზისოციალური ფაზა. ესაა განვითარების სკოლამდელი პერიოდი, როცა ბავშვი საკუთარ ემოციურ მისწრაფებებს იკმაყოფილებს საკუთარი ძალებით. ეს განსაკუთრებით დამახასიათებელია ორი წლის ასაკის ბავშვისათვის, რომლებიც

ცდილობენ იმყოფებოდნენ სხვა ბავშვების გარემოცვაში, თამაშობდნენ მათ გვერდით და არა მათთან. მარტოსული მოზარდები, რომლებსაც არ ყავთ მეგობრები, ჯერ კიდევ განვითარების ამ ფაზაზე იმყოფებიან.

ბ) პომოსოციალური ფაზა. ესაა უმცროსი სასკოლო ასაკის პერიოდი, როცა ბავშვები განიცდიან კმაყოფილებას მხოლოდ მათთავე სქესის თანატოლებთან ურთიერთობაში. ესაა ე.წ. საკუთარი სქესის ბავშვებთან მეგობრობის ეტაპი, განვითარების მეტად მნიშვნელოვანი ფაზა, რომელსაც, ფაქტიურად, ყველა ბავშვი გაივლის. ასეთი დამოკიდებულებები მნიშვნელოვან როლს თამაშობენ გარდამავალ ასაკში პიროვნების ფორმირების პროცესში და შემდგომში პეტეროსექსუალური კონტაქტების დამყარებისათვის. საკუთარი სქესის ბავშვებთან მეგობრული ურთიერთობანი აფართოებს წარმოდგენებს საკუთარი „მე“-ს შესახებ;

გ) პეტეროსოციალური ფაზა. ესაა განვითარების ეტაპი, როცა მოზარდი თავის მოთხოვნილებებს იკმაყოფილებს ორივე სქესის თანატოლებთან ურთიერთობაში. საწინააღმდეგო სქესის თანატოლებთან ურთიერთობის დამყარება გარდამავალი ასაკის პერიოდის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მონაპოვარია. ამ მიმართულებით მოზარდის მარცხი ბევრი შფოთვისა და შიშის მიზეზი ხდება. არა გამორიცხული ისიც, რომ მოზარდს ეჭვი შეეპაროს თავისი სექსუალური პოტენციის გამოც. ყოველივე ეს მოზარდის თვითშეფასებას დაბლა სწევს.

ბიჭების პირველი მცდელობები მიიპყრონ გოგონების ყურადღება მდგომარეობს იმაში, რომ გააბრაზონ ისინი. ესაა სიმპათიის გამოხატვის ერთგვარი პარადოქსული ფორმა, როცა ბიჭები აწვალბენ გოგონებს (უმაღლესს წიგნებს, რვეულებს, უწეწავენ თმას, ესვრიან გუნდას და ა.შ.). გოგონების რეაქციაც ტრადიციულია. ბიჭმა ჯერ არ იცის როგორ უნდა გოგონასთან ლაპარაკი, მაგრამ მან კარგად იცის ის, რომ ასეთი საქციელით იგი იტყვევს. გოგონას ყურადღებას. ამით კი საფუძველი ეყრება პეტეროსოციალურ კონტაქტებს. უფროსი მოზარდები გოგონებს უკვე აღარ „აწვალბებენ“, პირიქით, იჩენენ მისდამი ფაქიზ ინტერესს, თამაშობენ კიდევ და მათ პირველ პაემანსაც უნიშნავენ.

მოზარდის თანატოლებთან დამოკიდებულება გაცილებით უფრო რთული და შინაარსიანია, ვიდრე უმცროს სასკოლო ასაკში. მოზარდები უკვე ნათლად ერკვევიან და ანსხვავებენ ერთმანეთს სიახლოვის ხარისხის მიხედვით. მათთან ურთიერთობა ახლა უკვე სცილდება სკოლის ფარგლებსა და საზღვრებს. გარდამავალ ასაკში თანატოლებთან და ამხანაგებთან ურთიერთობა ისე მიმზიდველი ხდება, რომ სწავლა უკან პლანზე გადადის. ახლა მოზარდი სულ ამხანაგებთან და თანატოლებთან ყოფნას ცდილობს, სახლში გაჩერება აღარ უნდა, კლებულობს მშობლებთან ურთიერთობის მიმზიდველობაც.

მოზარდისათვის ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ამხანაგებისა და თანატოლთა კოლექტივში აღიარებისა და პატივისცემის მოპოვებას, რაც ამ ასაკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოთხოვნილებაა. მოზარდი ძალიან მწვავედ განიცდის თანატოლებთან ცუდ ურთიერთობას. ამხანაგებისა და თანატოლთა კოლექტივში მიუღებლობამ შეიძლება იგი მიიყვანოს მარტოობის მძიმე განცდამდე.

თანატოლებთან ცუდი დამოკიდებულება მოზარდს აიძულებს ამხანაგები ეძიოს კლასისა და სკოლის გარეთ და როგორც წესი, პოულობს კიდევ. ხშირად ასეთი ამხანაგები ცუდი ქცევისანი არიან. როცა მოზარდი მარტობას განიცდის, ის უკვე აღარ დაეძებს ვინ იქნება მისი ამხანაგი.

მოზარდობის ასაკში ერთ-ერთი სერიოზული პრობლემა მარტობა, რომელსაც მოზარდები აღწერენ როგორც „იზოლაცია“, „სიცარიელეს“, და „მოწყვნილობას“. მოზარდებში მარტობის გრძობის ჩამოყალიბებას მრავალი მიზეზი გააჩნია. ზოგიერთი მოზარდი ვერ ახერხებს გარეშემოყვებთან ურთიერთობების ჩამოყალიბებას, უჭირს თანატოლთა საზოგადოებაში მოქცევა, არ იცის თავის დაჭერა განსხვავებულ სიტუაციებში. ამის გამო იგი იძულებული ხდება ჩაიკეტოს საკუთარ თავში. ზოგიერთს კი, სამწუხაროდ, საკუთარი თავის შესახებ აქვს დაქვეითებული წარმოდგენა და ავადმყოფურად განიცდის მისი მისამართით გამოთქმულ ნებისმიერ ფორმის კრიტიკას. იმის შიშით, რომ არ აღმოჩნდნენ გარიყულის როლში, ასეთი მოზარდები ცდილობენ თავი შეიკავონ ყოველგვარი აქტიური ქცევებისაგან და ურჩევნიათ ხმა არ ამოიღონ, იყვნენ ჩუმად და „იდგნენ ჩრდილში“. ასეთ მოზარდებს ძალიან უჭირთ საზოგადოების წევრებთან ახლო ურთიერთობის დამყარება და განიცდიან მარტობას.

ზოგიერთი მოზარდს ყველას და ყველაფრის მიმართ განიცდის უნდობლობას, რის გამოც ადამიანებისაგან არ ელოდება კარგს, აქვს მხოლოდ ცუდის მოლოდინი. ასეთი მოზარდების უმრავლესობა გაურბის ემოციურ კონტაქტებს და სახალხოვეს იმის შიშით, რომ იგი ვინმემ არ გამოიყენოს საკუთარი ინტერესების სასარგებლოდ.

დადგენილია აგრეთვე, რომ მეგობრული ურთიერთობების დამყარება უჭირთ და მარტობისაკენ მიდრეკილება აქვთ იმ მოზარდებს, რომლებიც მოკლებული არიან მშობლების მხარდაჭერასა და აღერსს. ამასთანავე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მარტობის განცდა დამახასიათებელია თანატოლებით გარშემორტყმული ზოგიერთი მოზარდისთვისაც.

საერთოდ ადამიანისათვის (მათ შორის მოზარდისათვის) მომენტებში დამახასიათებელია მარტობის განცდა, მარტო დარჩენის სურვილი და მოთხოვნილება, მაგრამ ეს განცდა სასოწარკვეთაში არ უნდა გადავიდეს.

შემოქმედებითი მუშაობა (მხატვრობა, მუსიკა, მწერლის შრომა) მოითხოვს განმარტობას. ზოგიერთი ადამიანი, როცა იგი თავის თავთან მარტო რჩება, ძალიან ხალისიანად გრძობს თავს და წარმატებით წვეტს საკუთარ პრობლემებს.

მარტობისაგან თავის დაღწევა შესაძლებელია საინტერესო საქმის წამოწყებით და მისი ბოლომდე მიყვანით. მიზნის მიღწევის გზაზე წამოჭრილი დაბრკოლებების გადალახვისას აუცილებელი ხდება პარტნიორობთან პირადი და საქმიანი კონტაქტების გაფართოება, რაც მოზარდის აზრის მიმართულების შეცვლის საფუძველი ხდება და მარტობის განცდა უკანა პლანზე გადადის. მარტობის გადასალახავად მნიშვნელოვან როლს თამაშობს სპორტი და რელიგიურ თუ სხვა დღესასწაულებში მონაწილეობა.

ფ. რაისმა ჩამოაყალიბა მარტობის თორმეტი მიზეზი გარდამავალ ასაკში.

1) მშობლებისაგან განკერძოებულობის, დაშორების გრძნობა, მოზარდის ცხოვრებაში მშობლების არასაკმარისი პოზიტიური მონაწილეობა ხელს უწყობს მარტოსულობას.

2) არასრული ოჯახები

3) საკუთარი კოგნიტიური უნარების განვითარება და გაღრმავება, რომელიც საკუთარი თავის უკეთ გაცნობის საშუალებას იძლევა.

4) მზარდი თავისუფლების გრძნობა, რომელიც აშინებს მოზარდებს

5) სწრაფვა თვითიდენტიფიკაციისაკენ

6) მნიშვნელოვანი მიზნების განსაზღვრა და გამოკვეთა.

7) საზოგადოებაში მოზარდების როლის, სტატუსის დაკნინება.

8) გამოცალკევების, გამოყოფის დიდი სურვილი, რომელიც ხელს უწყობს იმას, რომ მოზარდმა თავი იგრძნოს გარიყულად და უიღბლოდ.

9) საკუთარი პერსონისადმი გადაჭარბებული ყურადღების მოლოდინი

10) დაწეული თვითშეფასება და საკუთარი თავის სიბრალულის მწვავე განცდა და პესიმიზმი იმისა, რომ ვინმე შეიყვარებს და საზოგადოება მას დააფასებს

11) სიცოცხლის უაზრობის განცდა, საკუთარი სასწავლო და შრომითი წარმატებების უბერსაქეტივობა.

12) გაუბედაობა და სიმორცხვე.

თავი მეოთხრამეტი

ძნელი მოზარდები

ძნელი ანუ ძნელად აღსაზრდელი მოსწავლეები სწავლა-აღზრდის პროცესს მრავალი პრობლემის წინაშე აყენებენ. ყველა ძნელი ბავშვისათვის დამახასიათებელია „აღზრდისადმი აქტიური წინააღმდეგობა“ და აღიარებული პედაგოგიური საშუალებების მიუღებლობა. ყველა ძნელი მოსწავლისათვის დამახასიათებელია: გარშემომყოფი ადამიანებისადმი არანორმალური დამოკიდებულება. ის, რომ ძნელი ბავშვი ხშირად არღვევს დისციპლინას, არ ასრულებს ქცევის ელემენტარულ ნორმებს, ხშირად მოსდის კონფლიქტი მასწავლებლებთან, მშობლებთან და თანატოლებთან, სწორედ მათი გარესამყაროსთან არანორმალური დამოკიდებულების შედეგია.

როგორც ვნახეთ, გარდამავალ ასაკში ორგანიზმში ხდება ღრმა ბიოლოგიური და ფსიქოლოგიური გარდაქმნები, იზრდება შეესაბამება ფიზიკურსა და ფსიქიკურ განვითარებას შორის, უფრო მძაფრად ვლინდება წინააღმდეგობები მოზარდის ფსიქიკურ განვითარებაში. დამოუკიდებლობისაკენ მოზარდის მისწრაფება სხვების აზრის გათვალისწინებასაც მოითხოვს. გარესამყაროსთან დამოკიდებულების სისტემა გარდაიქმნება და ახლა წინა პლანზე მოზარდის პიროვნება გამოდის.

მოზარდის ეს ასაკობრივი თავისებურებანი რთულ სიტუაციებში უარყოფითად მოქმედებენ მის ქცევაზე, იწვევენ კონფლიქტებს, შეჯახებებს და წინააღმდეგობებს გარეშემომყოფებთან. აღმოცენდება გაუცხოება, უფროსებისადმი უნდობლობა და სხვა მრავალი უარყოფითი მოვლენა, რომელიც ხელს უწყობს ძნელად აღსაზრდელობის აღმოცენებას. ძნელი მოზარდებისთვის დამახასიათებელი ფსიქიკური რეაქციებია: ობოზიციის რეაქციები (უხეშობა, ჯიბრზე გაკეთების სურვილი), პროტესტის, უარის რეაქციები. თუ ამ უარყოფითი რეაქციების გამოასწორებლად მშობლებმა და მასწავლებლებმა არ იზრუნეს, მყარი, შორეული ქრონიკული უარყოფითი შედეგები გარდაუვალია.

ცნება „ძნელი მოზარდი“ საბოლოოდ დადგენილი არაა. მოზარდობის ასაკი, როგორც პიროვნების განვითარების კრიზისული პერიოდი, გულისხმობს, რომ ყველა მოზარდი ძნელია. მოზარდის ბიოლოგიური, ფსიქოლოგიური და პიროვნული თავისებურებანი, მისი ჩამოუყალიბებელი სოციალური სტატუსი, ე.ი. მისი განვითარების სიტუაცია თავისი არსით გულისხმობს კრიზისს, კონფლიქტებს, სოციალური გარემოსადმი ადამტაციის სხვა სიბნელებს. ამ ტერმინის ყველაზე გაერკვლებული გაგებაა ის, რომ ძნელია მოზარდი, რომელმაც ვერ შეძლო თავისი ბიოლოგიური და ფსიქო-სოციალური განვითარების ეტაპის წარმატებით გადალახვა და რომელსაც ქცევის მიღებული ნორმებიდან გადახრები ახასიათებს. აქ, უპირველეს ყოვლისა, იგულისხმება ასოციალური ქცევის მოზარდები.

ძნელი ბავშვები ყველა ასაკობრივ საფეხურზე გვხვდება. ესაა ოჯახში არასწორი აღზრდის შედეგად პედაგოგიურად ხელმიშველებული ბავშვები. მაგრამ ძნელი ბავშვების ტიპური თავისებურებები ძალზე რელიეფურად გარდამავალ ასაკში ვლინდება. ცნებაში „ძნელი მოზარდი“ იგულისხმება მოზარდი, რომელსაც

პიროვნების კორექცია სჭირდება. ძნელებს მიეკუთვნება კაპრიზული, უცუტი, გაუგონარი, მატყუარა და ნეგატიური რეაქციის მქონე მოზარდები. ერთმანეთისაგან უნდა გავარჩიოთ ფანტაზია და შეგნებული ტყუილი. მოზარდების ტყუილის მოტივი შეიძლება იყოს დასჯის შიში, ცუდი საქციელის დაფარვა, ყურადღების მიქცევა და სხვა.

მოზარდების ნაწილს, რომელსაც არსებითი მოთხოვნების ფრუსტრაციის გამო აღმოუცენდება ქცევის აფექტური ფორმები (აგრესიულობა ან ადვილი წყენა) უყალიბდება თავისებური კონფლიქტური მდგომარეობა პრეტენზიის დონესა და კოლექტივში მოზარდის ფაქტიურ მდგომარეობას შორის. აფექტური მდგომარეობის და ქცევის ხანგრძლივი მიმდინარეობა აყალიბებს მოზარდის შესაბამის დამოკიდებულებას სხვა ადამიანებისა და საკუთარი თავისადმი.

ძნელი მოზარდების ტიპური ფსიქოლოგიური თავისებურებანია, აგრეთვე, კოლექტივისადმი, ღირებულებებისადმი, ადამიანებისადმი, შრომისადმი და სწავლისადმი დამახინჯებული სუბიექტური დამოკიდებულება. მშობლებთან და მასწავლებლებთან ისინი უბეზნი, თავხედნი და ცინიკურები არიან. მორალის მოთხოვნები მათთან ზნეობრივი ქცევის პრინციპებად არ გადაქცეულა. მათი ცოდნის დონე დაბალია, რადგან ასეთი მოზარდები ძირითადად ცუდად სწავლობენ. მათთვის, როგორც ვნახეთ, დამახასიათებელია სიცრუე, სიზარმაცე, უნებისყოფობა, ქურდ-ბაცაცობა და ა.შ.

ძნელი მოზარდების საციფიკური ფსიქოლოგიური თავისებურებებია: ემოციური აგზნებულობა, აწეული გაღიზიანებადობა, გუნება-განწყობილების სწრაფი და ხშირი ცვლა, აფეთქებები, კონფლიქტები, თვითშეფასებისა და პრეტენზიის აწეული დონე, რაც იწვევს მოზარდის ქცევებში აგრესიულობას, უბეზობას და ნეგატივიზმს აგრესიული მოზარდების ქცევებისთვის დამახასიათებელი ამორალური დეფექტები.

როგორც ცნობილია, გარდამავალ ასაკში ერთდროულად მიმდინარეობს ორი პროცესი. ესაა სოციალიზაცია, სოციალური გამოცდილების ათვისება და თვითდამკვიდრება, გარეშემოქმედება მიერ აღიარება. ხშირად, მოზარდის პრესტიჟული დაუკმაყოფილებლობის მიზეზად გვევლინება სწავლაში ჩამორჩენა, სოციალურად ღირებული საქმეების, ინტერესებისა და მისწრაფებების უქონლობა ფიზიკური ნაკლი და დეფექტები მოზარდთა გარკვეულ ნაწილში იწვევს საკლასო კოლექტივთან სოციალური კავშირების დეფორმაციას და ხელს უწყობს ასეთი მოზარდის იზოლაციას და გარიყვას.

თანატოლებთან ურთიერთობებში ძნელ მოზარდებს ხშირად მოსდით კონფლიქტები. მათი ქცევის საფუძველია ამორალური მოტივები. ძნელი მოზარდები ერთიანდებთან „ძნელების“ ჯგუფებში. ძნელ მოზარდებს შორის ლოკალური კონფლიქტები ხშირად ხდება და უცებ, რაიმე სერიოზული საფუძვლის გარეშე, აღმოცენდება. ემოციური აფეთქებებიც მოულოდნელ სიტუაციებში ვლინდება.

როგორც ვნახეთ, გარდამავალ ასაკში ხდება ფსიქო-ფიზიოლოგიური ძვრები, რომლებიც მხოლოდ ამ ასაკისთვის დამახასიათებელი საციფიკით გამოირჩევა. ეს ძვრები მოზარდის ქცევას მნიშვნელოვან დაღს ასეამს.

მოზარდის გონებრივი განვითარება განიცდის ძირეულ ცვლილებებს. ამ ასაკში, როგორც აღვნიშნეთ, ყალიბდება მრწამსი და ხასიათის მდგრადი ნიშნები. ეს ცვლილებები აისახება ყოველგვარ ქცევაში. თუ ადრე სასწავლო მოტივი ძირითადად განისაზღვრებოდა მასწავლებლებთან დამოკიდებულებაში, შშობლებისადმი ეთილი საჩქებების გაკეთების სურვილებში, უფროსებისა და თანატოლების შექების დამსახურებაში, გარდამავალი ასაკიდან უკვე უფრო და უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს ცხოვრების პროცესების გაცნობიერება და გააზრება. მოზარდს ახლა სურს იცოდეს რატომ სწავლობს და მიღებულ ცოდნას მომავალში რაში გამოიყენებს, რა ადგილს დაიკავებს იგი თანატოლთა კოლექტივში. მოზარდისათვის დამახასიათებელია ეჭვები და საკუთარ ძალებში დაურწმუნებლობა. ყოველივე ეს სწავლის პროცესზე დიდ უარყოფით გავლენას ახდენს. ამ ასაკში მოზარდს უყალიბდება ინტერესები და მიდრეკილებები, მისწრაფება სასურველი და ზიზღი არასასურველი საგნებისა და მოვლენების მიმართ, რაც მასწავლებლებთან კონფლიქტების მიზეზი ხდება.

თავისებურია მოზარდის ემოციური სფეროც. ადრე იწყებს ჩამოყალიბებას მოწიფულობის, უფროსობის გრძობა. მოზარდი ახლა საკუთარ თავს უყურებს როგორც უფროსს, ბაძავს მათ ქცევებში. მოწიფულობის გრძობის განვითარება სათანადო ხელმძღვანელობისა და აღზრდის გარეშე შეიძლება გახდეს მოუფიქრებელი ქცევების, ცუდი მიბაძვების, კრიტიკანიზმისა და სეკტიციზმის მიზეზი.

იცვლება მოზარდის პირადი ურთიერთდამოკიდებულებებიც. ესაა პირველი სიყვარულის ასაკი, უფროსების ცხოვრებით, ქალისა და მამაკაცის ცხოვრებით დანტერესების ასაკი. თუ არ გაცნობიერდება ბიჭებისა და გოგონების მეგობრობის პრობლემები, ექსცესები გარდაუვალია. ფსიქოლოგები და პედაგოგები ერთმანეთს უკავშირებენ მოზარდების სქესობრივ მომწიფებასა და ძველად აღმზრდელობას შორის დამოკიდებულებას და აღიარებენ, რომ აღზრდის სიძნელეები მნიშვნელოვანწილად და დამოკიდებულე მოზარდის ფიზიოლოგიურ და სოციალურ მომწიფებას შორის დიდ განსვლაზე. აქედან გამოსავალი არის მოზარდში შემაკავებელი პროცესების განვითარება და აღზრდა, სქესობრივი პროცესებიდან ყურადღების გადატანის ორგანიზაცია (ინტერესების და მისწრაფებების განვითარება, სპორტით დანტერესება).

გარდამავალი ასაკის რომანტიკული მისწრაფებებისა და სიმპატიების ასაკია. ეს სფერო კი ძალიან რთული და ფაქიზია, რომელიც მასწავლებლებსა და მშობელთა მხრივ დიდ ყურადღებას ითხოვს. უფროსების ყოველგვარმა უტაქტობამ შეიძლება სერიოზული გართულებები გამოიწვიოს.

ამრიგად, გარდამავალი ასაკის ბიოლოგიური და ფსიქოლოგიური განვითარების სირთულეების და წინააღმდეგობების საფუძველზე შეიძლება აღმოცენდეს სიტუაციები, რომლებშიც არღვევენ ფსიქიკური განვითარების ნორმალურ მსვლელობას და ძველად აღსაზრდელობის ობიექტურ წინაპირობებს ქმნის.

ყველა ძველი მოზარდისათვის დამახასიათებელია ნათელი შთაბეჭდილებები და ემოციური განცდების მოთხოვნილება. მათი ხელახალი აღზრდა უნდა

ემყარებოდას მოტივაციური სფეროს გარდაქმნას და მათი გრძნობების გადართვას. ძნელი მოზარდების ძალზე გავრცელებული თვისებაა უპრინციპობა. მათ არ აქვთ მორალის მყარი ნორმები, თუ მისთვის სასარგებლოა, — იქცევა როგორც საჭირია, ხოლო თუ უსარგებლოა — მორალური ნორმების არსებობას ივიწყებს. მოზარდი ეჩვევა ლაივრებას, რაც უარყოფითი მოვლენაა.

გამოყოფენ ძნელად აღსაზრდელი მოზარდების ოთხ ტიპს:

1) მოზარდები, რომლებსაც დარღვეული აქვთ ურთიერთობის სფერო. ამ ჯგუფში ერთიანდებიან ის მოზარდები, რომელთაც განსაკუთრებული მდგომარეობის გამო ოჯახში (დღისერთა), საკლასო კოლექტივში (გარიყული) დარღვეული აქვთ ნორმალური ადამიანური ურთიერთობანი. ასეთი მოზარდებისათვის დამახასიათებელია არასწორი წარმოდგენები ცხოვრებაზე: პესიმიზტური, კრიტიკული ან ძალიან რომანტიკული („ცხოვრებას ვარდისფერი სათვალეებით უყურებენ“). ასეთ მოზარდებში ბევრია უპრინციპო, ქცევის წესების უარყოფელები, რომლებიც არ ცნობენ ვალდებულებებს ოჯახისადმი, სკოლისადმი და საზოგადოებისადმი, მათ შორის მცირეა მეორეწლიანები. მრავალი მათგანი კარგად სწავლობს. ამასთანავე ისინი კოლექტივში სიყვარულითა და სიმპატიით არ სარგებლობენ, მათთან ერთ მერსზე ჯდომა არ უნდათ და ურთიერთობასაც ერიდებიან.

2) აწეული ან დაწეული ემოციური რეაქციების მოზარდები. ძნელი მოზარდების ამ ჯგუფში შედიან ისეთი მოზარდები, რომლებმაც გადაიტანეს ნერვული შერყევები. მათთვის დამახასიათებელია აწეული აგზნებადობა, მკეთარი, მწვავე რეაქციები ან პასიურობა, ამაღლელებელი მოვლენების მიმართაც კი გულგრილობა და ინდიფერენტულობა. ასეთი მოზარდების უმრავლესობა აფექტურია. გარდამავალ ასაკში აფექტურობა უმცროსკლასელებთან შედარებით უფრო რთულად და საშიშ ფორმებში ვლინდება. ეს მდგომარეობა არა მარტო გარდამავალი ასაკის ფსიქო-ფიზიოლოგიური თავისებურებებითაა განპირობებული, არამედ მოზარდის სოციალური განვითარებით, როცა საზოგადოებაში მდგომარეობა და სხვათა აზრი ძალიან მნიშვნელოვანი ხდება. აფექტური მოზარდები გამოსწორების შემდეგაც იმეორებენ ასოციალურ ქცევებს. გამრუდებული ნერვული სისტემის რეაბილიტაცია გვიან ხდება.

დაწეული აგზნებადობის ძნელი მოზარდების დიდი ნაწილი (70%) გოგონებია. მათთვის დამახასიათებელია: სუსტი ზოგადი განვითარება და პრიმიტიული მორალური თვითცნობიერება, შენელებული რეაქციები როგორც დადებით, ასევე უარყოფით ზემოქმედებებზე, სოციალური კავშირების სისუსტე, საგნებისა და მოვლენების მიმართ საერთოდ გულგრილი დამოკიდებულება, ნათლად გამოხატული სოციალური ინტერესების უქონლობა და სუსტად განვითარებული ურთიერთობის მოთხოვნისუბა.

3) ცალმხრივი გონებრივი განვითარების მოზარდები. აქ შედიან ისეთი მოზარდები, რომელთა გონებრივი განვითარება შეფერხებული იყო და მის ნიჭს იგნორირებულად, ან პირიქით, გადაჭარბებულად აფასებდნენ. ასეთი მოზარდების დიდი ნაწილი მეორეწლიანები არიან. მათ სწავლა უჭირთ. ყველა მათგანისათვის დამახასიათებელია: შემეცნებითი ინტერესების უქონლობა ან მისი ცალმხრივი

განვითარება, სასწავლო პროცესის და მასწავლებლის მიმართ ზიზღი და სიძულვილი, ცალმხრივი განათლება.

4) სუსტი ნებელობის მოზარდები. ამ ჯგუფს განეკუთვნებიან უნებისყოფო და ჯიუტი მოზარდები. მათი უმრავლესობა კაპრიზული, თავნება, უდისციპლინო და არაორგანიზებულნი არიან. ასეთი მოზარდების ერთი მესამედი არ ეზორჩილება ქცევის წესებსა და ნორმებს. მათთვის დამახასიათებელია ის, რომ ნებელობის ინტენსივობა არ შეესაბამება მოქმედების მიზნებსა და მოტივებს. იზარჯება ბევრი ენერგია უბრალო საქმეების გამო. ძელი მოზარდის ნებელობა უფრო მეტად რეგულირდება თვითშთაგონებით, ემოციური განცდებით, თავმყოფარებით და თანმხლები ფაქტორებით.

ძელი მოზარდების ქცევის თავისებურებებია:

ა) ძელი მოზარდების განვითარებაში ერთმანეთის გვერდით არსებობენ უკიდურესი წინააღმდეგობრივი ფუნქციები: განვითარებული გონება და თითქმის განუვითარებელი გრძნობები (ან პირიქით), სუსტი შრომისმოყვარეობა და ძალზე განვითარებული მოთხოვნილებები, შეზღუდული თვალსაწიერი და ყოველდღიური ცხოვრებისეული მდიდარი უარყოფითი გამოცდილება. ყოველივე ეს ქმნის შინაგან დაძაბულობას, სურვილებისა და გრძნობების წინააღმდეგობრივ ხასიათს, რაც მოზარდის წინააღმდეგობრივი ხასიათის ქცევებში გამოიხატება.

ბ) გარეშემომყოფებთან ხანგრძლივი კონფლიქტური დამოკიდებულება. უფროსები მოზარდების ასოციალურ ქცევაზე პასუხობენ კრიტიკული შენიშვნებით, სასჯელითა და საერთო ნეგატიური დამოკიდებულებებით. მოზარდი კი ყოველივე ამას აღიქვამს როგორც უფროსების მხრივ მტრობის გამოვლენად, მათი დამოუკიდებლობის ხელყოფად, პიროვნული ღირსებების დაკნინებად და შურაყხყოფად. ხშირია კონფლიქტები მშობლებთან, მასწავლებლებთან და თანატოლებთანაც კი.

გ) ეგოისტური ცხოვრებისეული პოზიციის მოზარდები, რომლებიც ყველაფერს სარგებლიანობის პრინციპით აფასებენ. მათთვის სასარგებლოა თუ უსარგებლო ესა თუ ის ქცევა, რას მიიღებენ თუ მშობლების ან მასწავლებლის რომელიმე მოთხოვნას შეასრულებენ – ესაა მათი ძირითადი მოტივი. აქ ივულისხმება ქურდბაცაცა და ხულიგანი მოზარდებიც.

დ) ინტერესებისა და მისწრაფებების ხშირი ცვლა. ამ ჯგუფში შემოდიან ისეთი მოზარდები, რომელთაც ახასიათებთ სურვილების, მისწრაფებების, ინტერესების ხშირი ცვლა. გატაცებების ხშირი ცვლა საერთოდ დამახასიათებელია გარდამავალი ასაკის მოზარდისათვის, ხოლო ძელ მოზარდებთან ეს პროცესი განსაკუთრებული ინტენსივობით მიმდინარეობს.

ე) საღმრდელო ღონისძიებებისადმი წინააღმდეგობის გაწევა. ძელი მოზარდები ხშირად ეწინააღმდეგებიან ისეთ მასწავლებლებს, რომლებიც არ უყვართ ან რომელთა საგნებიც არ უყვართ. ასეთ მოზარდებს არ უყვართ ის მასწავლებლებიც, რომლებმაც მათ შექმნოვეთ ან შეგნებულად რაიმე წყენა

მიაყენეს. ცხადია, ასეთი მასწავლებლების პედაგოგიურ ღონისძიებებზე ძელი მოზარდები ნეგატივიზმით პასუხობენ.

3) დ. ფელდშტეინი გამოყოფს სამართალდამრღვევ ძნელ მოზარდთა ხუთ ჯგუფს: 1) ძნელ მოზარდთა ამ ჯგუფს ახასიათებთ უარყოფითი, ანომალური, პრიმიტიული მოთხოვნილებების კომპლექსი, ანტიისაზოგადოებრივი შეხედულებების სისტემა, ამ ჯგუფის მოზარდებს აქვთ მახინჯი წარმოდგენები და შეხედულებები ამხანაგობაზე, მეგობრობაზე, გაბედულობაზე. ძალიან დაწეული და დაქვეითებული აქვთ სირცხვილის გრძობა. ეს მოზარდები არიან ცინიკოსები, უხეშები, ავნი და აგრესიულნი. მათი ძირითადი ტიპური მახასიათებელია ეგოიზმი, გულგრილობა სხვისი განცდების მიმართ, შრომისუნარიანობის უქონლობა და მოხმარებით მოთხოვნილებების დაკმაყოფილების სწრაფვა.

ამ ჯგუფის მოზარდების ხელახალი აღზრდის გასაღებიც მათი პიროვნების ისეთ თვისებებზე დაყრდნობაა, როგორიცაა ენერგიულობა, დასახული მიზნის მიღწევის შეუპოვრობა, პრესტიჟისაკენ და პირველობისკენ მისწრაფება. უნდა გაითვალისწინოთ, რომ სიტყვიერი ზემოქმედებანი საქმეს ნაკლებად ასწორებს.

2) ამ ჯგუფში შედიან ღეფორმირებული მოთხოვნილების მქონე მოზარდები, რომელთაც აქვთ მღაბალი და ქვენა მისწრაფებები. ასეთი მოზარდები ცდილობენ მიბაძონ იმ სამართალდამრღვევებს, რომელთაც მდგრადი ამორალური მოთხოვნილებანი და ანტიისაზოგადოებრივი შეხედულებები აქვთ.

3) ამ ჯგუფში ერთიანდებიან ისეთი მოზარდები, რომელთათვისაც დამახასიათებელია კონფლიქტები ღეფორმირებულ და პოზიტიურ მოთხოვნილებებს, მძმართებს, დამოკიდებულებებს და შეხედულებებს შორის. ამ ჯგუფის მოზარდები თავიანთ ცუდ საქციელს აცნობიერებენ, მაგრამ მათი სწორი მორალური შეხედულებები არ გადაქცეულა მრწამსად და ეგოისტური მისწრაფებები მათში უფრო ძლიერია.

4) ამ ჯგუფში შედიან ისეთი ძნელი მოზარდები, რომელთაც აქვთ სუსტად ღეფორმირებული მოთხოვნილებები. მათთვის დამახასიათებელია უნებისყოფობა, ადვილი შთაგონებადობა, საკუთარ ძალებში დაურწმუნებლობა.

5) ამ ჯგუფში ერთიანდებიან ის ძნელი მოზარდები, რომლებიც სამართალდარღვევის გზას შემთხვევით დაადგენ. ისინი არიან უნებისყოფონი და სხვების გავლენას ადვილად ექვემდებარებიან.

გარდამავალ ასაკში არასრულწლოვან დამნაშავეთა სოციოგენურ მოთხოვნილებათა ექსპერიმენტული შესწავლის საფუძველზე დადგინდა, რომ არასრულწლოვან დამნაშავეებთან, ისევე როგორც ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მოსწავლეებთან, გარდამავალი ასაკის დასაწყისიდან იწყებს განვითარებას სოციალური პრესტიჟის მოთხოვნილება. არასრულწლოვან დამნაშავეთა პრესტიჟის მოთხოვნილების ზრდა ჩამორჩება ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მოზარდების პრესტიჟის მოთხოვნილების ზრდას. ე.ი. არასრულწლოვან დამნაშავეებთან პრესტიჟის მოთხოვნილება შედარებით ნელი ტემპით ვითარდება. აქ საქმე გვაქვს არა პრესტიჟის მოთხოვნილების ჩამორჩენასთან, არამედ დაკმაყოფილების ობიექტის ზარისხობრივ განსხვავებულობასთან. შ. ჩხარტიშვილის მიხედვით

„პრესტიჟის მოთხოვნები თაგის გამოჩენის ისეთი მოთხოვნებია, რომელსაც მხოლოდ მაღალი ღირებულების პიროვნული თვისებების კატეგორიაში შეფასება აკმაყოფილებს“. ამის გამო, პრესტიჟის მოთხოვნები არასრულწლოვან დაზნაშავეებთან დამახინჯებულ ფორმას იღებს. არასრულწლოვანი დაზნაშავეები აღიარებენ იმეზნ არა თავიანთ თანატოლებში, არამედ ისეთ მცირე ჯგუფებში, რომლისთვისაც ქცევის ნორმებიდან გადახრა დამახასიათებელი.

არასრულწლოვან დაზნაშავეებთან დამოუკიდებლობისა და თავისუფლების მოთხოვნები ერთი მხრივ ელინდება ავტორიტეტის ზემოქმედებისაგან განთავისუფლების ტენდენციაში, მეორე მხრივ კი თანატოლთა ვიწრო სოციალური ჯგუფების მიერ აღიარებულ ავტორიტეტებთან დაახლოებასა და ვიწრო სოციალური ჯგუფებში პირადი ავტორიტეტის მოპოებაში. გარდამავალი ასაკის მანძილზე თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის მოთხოვნები ეზრდება დიდი ტემპით.

ჩვეულებრივი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მერვე კლასში თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის მოთხოვნები თაგის განვითარების მაქსიმუმს აღწევს, მაშინ როდესაც არასრულწლოვან დაზნაშავეებთან ამ მოთხოვნების განვითარება მაქსიმუმ 12-13 წლის ასაკში აღწევს. ე.ი. ძნელ მოზარდებთან ამ მოთხოვნების ნაადრევი მოშეფება შეიძნევა. ე.ი. გარდამავალი ასაკის არასრულწლოვან დაზნაშავეებს ახასიათებთ ძლიერი და ნაადრევად განვითარებული დამოუკიდებლობისა და თავისუფლების მოთხოვნები. გარდამავალი ასაკის ეს ფსიქოლოგიური თავისებურება – სოციოგენური მოთხოვნების ძლიერი და ნაადრევი განვითარება მოუწესრიგებელ სააღმზრდელო გარემოში, სადაც პედაგოგიური ზედამხედველობა სათანადო სიმაღლეზე არ დგას, შეიძლება გახდეს არასრულწლოვანთა დანაშაულებრივი ქცევის ერთ-ერთი ხელშეწყობი ფაქტორი.

დამოუკიდებლობისა და თავისუფლების ძლიერი მოთხოვნების დაკმაყოფილების სიტუაცია გარდამავალ ასაკში არ არსებობს. მისი ფრუსტრირება ინდივიდში ქმნის სიტუაციისადმი ნეგატიური ქცევის განწყობას, რომელიც საფუძვლად ედება მოზარდის დანაშაულებრივ ქცევას იმისათვის, რომ მოზარდში არ შეიქმნას დანაშაულებრივი ქცევის განწყობა, საჭიროა არ მოხდეს დანაშაულებრივი ქცევის მოთხოვნების ჩასხვა.

გარდამავალი ასაკის ფსიქო-ფიზიოლოგიური განვითარების სიძნელები, ჩვეულებრივ, არ განაპირობებენ დანაშაულებრივ ქცევას, მაგრამ ისინი ქმნიან ხელსაყრელ პირობებს იმ შემთხვევაში, როცა მოზარდი სხვადასხვა ობიექტური მიზეზების გამო მოხედება უზედამხედველო და არაპედაგოგიურ გარემოში. გარდამავალ ასაკში დანაშაულებრივი ქცევა გაპირობებულია არა მარტო ობიექტური, არამედ განსაკუთრებულ შემთხვევაში სუბიექტურ-ფსიქოლოგიური ფაქტორებითაც. მათ შორის ერთ-ერთი უმთავრესია გარდამავალ ასაკში დამახინჯებულად, ძლიერად და ნაადრევად განვითარებული სოციოგენური მოთხოვნები.

თავი მეცხრამეტი პროფესიის არჩევა გარდამავალ ასაკში

გარდამავალ ასაკში აქტიურ ჩამოყალიბებას იწყებს ცხოვრებისეული გეგმები. ცხოვრებისეული გეგმები სოციალური, ეთიკური, ფსიქოლოგიური და ესთეტიკური რიგის მოვლენებია. მოზარდების წინაშე დასმული საკითხები — „რა უნდა გავხდე მე“ (პროფესიონალური თვითგამორკვევა) და „როგორი უნდა გავხდე მე“ (მორალური თვითგამორკვევა) ერთმანეთისაგან არ განსხვავდება და ერთმანეთშია გათქვეფილი. მოზარდები ცხოვრებისეულ გეგმებს უწოდებენ გათქვეფილ ოცნებებს და ორიენტირებს, რომლებიც არ შეესაბამება მათ პრაქტიკულ მოქმედებებს, ჯანმრთელობის მდგომარეობას და არ პასუხობენ მათ შემოქმედებით შესაძლებლობებს. როგორც წესი, მოზარდებთან ეს გეგმები დაიყვანება სწავლის განზრახვაზე და მომავალში საინტერესო სამუშაოს დაწყებაზე. მოზარდი ცდილობს როგორმე წარმოიდგინოს მისი მომავალი და არ ფიქრობს მისი მიღწევის საშუალებზე და პირობებზე. მომავლის ასეთი ხატები მიმართულია და ორიენტირებულია საბოლოო შედეგებზე და არა განვითარების რეალურ პროცესზე. მოზარდს შეუძლია დეტალებშიც კი წარმოიდგინოს მისი მომავალი საზოგადოებრივი მდგომარეობა და არ დაფიქრდეს იმაზე, თუ რა არის ამისათვის საჭირო. ამის გამოა, რომ მოზარდის ეს ხატები ხასიათდება პრეტენზიის აწეული დონით. მომავალში მაღალი თანამდებობის მიღების მოთხოვნისგან.

პროფესიული თვითგამორკვევა რთული, მრავალმხრივი და მრავალფეროვანი პროცესია. მისი პირველი ეტაპი არის ბავშვური თამაშები, რომლებშიც ბავშვი მრავალნაირ პროფესიულ როლს თამაშობს. მეორე ეტაპია მოზარდის ფანტაზია, როცა იგი ოცნებებში თავის თავს რომელიმე პროფესიის წარმომადგენლად ხედავს. მესამე ეტაპი, რომელიც მოზარდების ცნობიერებას იბყრობს, არის პროფესიის წინასწარი არჩევა. მოქმედების განსხვავებული ფორმები და სახეები დასაწყისში ფასდება მოზარდის ინტერესებიდან გამომდინარე და მასთან მიმართებაში („მე ძალიან მიყვარს ისტორიული რომანების კითხვა, უნდა გამოვიფი ისტორიკოსი“), შემდეგ მისი ნიჭისა და მიდრეკილებების თავისებურებებით (მე ადვილად ვითვისებ მათემატიკას, ხომ არ გავხდე მათემატიკოსი?) და ბოლოს ღირებულებათა სისტემის თვალსაზრისით (მე უნდა ვემუქუნალო ღარიბებს, უნდა გავხდე ექიმი). უნდა ვებრძოლო უკანონობას, უნდა გავხდე იურისტი.

საბოლოო გადაწყვეტილების მიღება, ანუ პროფესიის ნამდვილი არჩევა, მოიცავს მომავალი პროფესიის კვალიფიკაციის განსაზღვრულ დონეს, მოცულობას, მომზადების ხანგრძლივობას და კონკრეტული სპეციალობის არჩევას. ამ ორი არჩევანის თანმიმდევრობა შეიძლება განსხვავებული იყოს. მაგალითად, შეიძლება მოზარდმა დასაწყისში განსაზღვროს მოქმედების სფერო (უნდა გავხდე მედიკოსი) და შემდეგ მისი კვალიფიკაციის დონე (ექიმი, ექთანი, სანიტარი, მედია) ან პირიქით, ჯერ აირჩიოს კვალიფიკაციის დონე, ხოლო შემდეგ სპეციალობა ეს მეორე გზა უფრო ხშირია. მოზარდებს უშაღლესი განათლების მიღების ორიენტაცია ადრე ეკვეთებათ, ხოლო კონკრეტული სპეციალობის არჩევა უფრო

გვიან ხდება. ეს არჩევანი მრავალსაფეხურია. შერვე კლასის ბოლოს მოზარდები დგებიან სამი არჩევანის, სამი სოციალური ორიენტაციის წინაშე: ზოგადი განათლების მიღება (სწავლის გაგრძელება საშუალო სკოლის დამამთავრებელ კლასებში), პროფტექნიკური განათლების მიღება (ტექნიკუმები კოლეჯები და ა.შ.), მუშაობის დაწყება. ინტერესების, ნიჭისა და ღირებულებითი ორიენტაციების გარდა ამ გადაწყვეტილების მიღებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს აგრეთვე საკუთარი შესაძლებლობების შეფასებაც, ოჯახის მატერიალური პირობები, სასწავლო მომზადების დონე, ჯანმრთელობის მდგომარეობაც და სხვა.

პროფესიის არჩევისათვის მოზარდს სჭირდება ინფორმაცია არსებული პროფესიების, საკუთარი ფსიქო-ფიზიოლოგიური შესაძლებლობებისა და ამ პროფესიების დაუფლების მოთხოვნების შესახებ. საშუალოდ, ამ ინფორმაციას მოზარდების უმრავლესობა ვერ ღებულობს და პროფესიის არჩევა ხდება სტიქიურად.

სკოლის ფსიქოლოგმა და ცალკეული დისციპლინების მასწავლებლებმა აუცილებლად უნდა იცოდნენ პროფესიათა კლასიფიკაცია. ქვეყანაში ათასობით პროფესიას და ამ ერთი პროფესიის ან სპეციალობის არჩევა, რომელსაც მოზარდი ახლა აკეთებს და მთელი ცხოვრება უნდა მიუძღვნას, რთული საქმეა. მოზარდის ფსიქო-ფიზიოლოგიური ძალების პარმონოული განვითარებისათვის საჭიროა ამ ძალების შესაბამისი პროფესიის არჩევა, რომელიც ხელს შეუწყობს შემდეგში მათ ყოველმხრივ განვითარებასა და გაშლას.

მიღებულია პროფესიათა კლასიფიკაციის შემდეგი სქემა.

I. პროფესიათა ტიპები

1) „ადამიანი – ბუნება“. აქ შრომის წამყვანი საგანია ცოცხალი ბუნება. აქ შემოდის ისეთი პროფესიები, როგორცაა მეზილე, მეცხოველე, აგრონომი, ზოოტექნიკოსი და ა.შ. ამ ტიპის პროფესიებში შეიძლება გამოიყოს პროფესიები, რომელთა საგანი და შინაარსია მცენარეული, ცხოველური და მიკრობების სამყარო.

2) „ადამიანი – ტექნიკა“. პროფესიათა ამ ტიპში შრომის მთავარი საგანია ტექნიკური ობიექტები (მანქანები, მექანიზმები), ენერჯის სახეები და ა.შ.

3) „ადამიანი – ადამიანი“. აქ შრომის მთავარი საგანი და შინაარსია ადამიანები. ამ ტიპში გამოყოფენ პროფესიებს, რომელსაც მიეკუთვნება სწავლება და აღზრდა, ბავშვთა კოლექტივების ორგანიზაცია; პროფესიები, რომლებიც დაკავშირებულია ადამიანთა კოლექტივების მართვასთან და ხელმძღვანელობასთან, საყოფაცხოვრებო მომსახურების სფერო, კულტურის დაწესებულებები, სამკურნალო-პროფილაქტიკური დარგები.

4) „ადამიანი – ნიშნების სისტემები“. ამ ტიპში შემოდის ისეთი პროფესიები, რომელთა შრომის მთავარი საგანი და შინაარსია პირობითი ნიშნები, ციფრები, კოდები, ხელოვნური ენები (ფართო პროფილის ოპერატორები): ეს პროფესიები დღევანდელ ეპოქაში, მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის განვითარების თანამედროვე ეტაპზე, ძალიან საჭიროა.

5) „ადამიანი – მხატვრული ხატი.“ აქ წამყვანი საგანი და შინაარსია მხატვრული ხატი. პროფესიის ამ ტიპებს შემოქმედებითი აზროვნება სჭირდება.

ესა პროფესიები, რომლებიც დაკავშირებულია გამოგონებლობასთან (მხატვრული ავეჯის დურგალი, ქვაზე მჭრელი, ფეხსაცმლისა და ტანსაცმლის კონსტრუქტორ-გამომჭრელი, მხატვარი - გრაფიკოსი), პროფესიები, რომლებიც დაკავშირებულია მუსიკალურ მოღვაწეობასთან (მუსიკალური ინსტრუმენტების ამწყოები, კომპოზიტორი, მსახიობი, პროფესიები, რომლებიც დაკავშირებულია მხატვრული ლიტერატურულ საქმიანობასთან).

II. პროფესიის კლასები

შრომის მიზნებთან მიმართებით პირობითად გამოყოფენ სამ კლასს:

1) გნოსტიკური პროფესიები. ეს ისეთი კლასია, რომელიც შემეცნებით შრომასთანა დაკავშირებული (კონტროლიორები, დამხარისხებლები, შემფასებლები, ტექნიკური კონტროლი). ამ სფეროს მუშაკები იყენებენ სხვადასხვა რთულ გასაზომ ხელსაწყოებს, ინსტრუმენტებს, დანადგარებს. გნოსტიკური პროფესიები ზემოწამოთვლილ ყველა ტიპის პროფესიებში გვხვდება. ამ კლასის საეკილისტებს უნდა ჰქონდეთ შემოქმედებითი აქტივობა, დამკვირვებლობა, მაღალი მუშაობისუნარიანობა, მყარი ყურადღება, კარგი აზროვნება და მეხსიერება.

2) გარდამქმნელი პროფესიები. ამ კლასთან არის დაკავშირებული პროფესიათა უმრავლესობა. ეს ისეთი პროფესიებია, რომლებიც გარდამქმნის არა მარტო ბუნების მოვლენებს (მასალას), არამედ თვით პროფესიის სუბიექტებსაც, ზრდის და ავითარებს მათ.

3) ძიებითი პროფესიები. არაა აუცილებელი, რომ ასეთი პროფესიები აუცილებლად იყოს დაკავშირებული გეოლოგიურ ან სხვა ფორმის ძიებით სამუშაოებთან. ამ კლასის პროფესიების შრომის მიზანია, საერთოდ, რაიმე უცნობი მოვლენის ძიება. ასეთი პროფესიის ადამიანის ყოველი შემდგომი ნაბიჯი პრობლემის, ესთეტიკის, თუ სხვა რომელიმე მხარის გაუმჯობესებისკენა მიმართული.

III. პროფესიათა დარგები. შრომის საშუალებების გამოყენების მიხედვით პროფესიები იყოფა შემდეგ დარგებად:

1) ხელით შრომის გამოყენებასთან დაკავშირებული პროფესიები. ამ პროფესიათა ადამიანები იყენებენ ხელით შრომას და შრომის მექანიკურ იარაღებსაც (სკალპელი, სახრანისი, რეისფედერი).

2) ხელით სამართავი მანქანების გამოყენებასთან დაკავშირებული პროფესიები: მღარავი, ზეინკალი, ამწეს მემანქანე

3) ავტომატური სისტემების და აპარატების გამოყენებასთან დაკავშირებული პროფესიები

4) ფუნქციონალური საშუალებების, შრომის იარაღების გამოყენებასთან დაკავშირებული პროფესიები. ეს პროფესიები დაკავშირებულია ადამიანის მეტყველებასთან, ეხსტეზთან (მასწავლებელი, დირიჟორი).

IV პროფესიათა ჯგუფები

შრომის პირობების მიხედვით გამოყოფენ პროფესიათა ოთხ ჯგუფს:

1) შრომა ჩვეულებრივი მიკროკლიმატის პირობებში. ამ ჯგუფში შეზღუდვის ისეთ პროფესიები, როგორცაა ბუღალტერი, გეომაშისტა, მანქანის მასწავლებელი.

2) ღია ცის ქვეშ ყოფნასთან და ტემპერატურის შვეტიორ ცვლასთან დაკავშირებული პროფესიები (მშენებელი და ა.შ.).

3) შრომა უჩვეულო პირობებში – მიწის, წყლის ქვეშ, სამაღლებზე, ცხელ სააქრობებში (მფრინავი მალარობები, მყინთავი).

4) მაღალ მორალურ პასუხისმგებლობასთან, ადამიანთა ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პროფესიები (მასწავლებელი, ექიმი, იურისტი).

მოზარდების მიერ პროფესიის სტაქურად არჩევის დროს არსებობს ორი საშიშროება:

ა) პროფესიული თვითგამორკვევის განხერძობა და დაგვიანება გამოხატული ინტერესების უქონლობის გამო. ასეთი შეფერხება ხშირად შეესაბამება მოზარდის ზოგად მოუწიფებელ ინფანტილობას, რაც გასაგები მდგომარეობაა, რადგან პროფესიული თვითგამორკვევა მოზარდის მოწიფულობის ერთ-ერთი კომპონენტია. მშობლების ზეწოლა და ამ პროცესის ფორსირება, როგორც წესი, უარყოფით შედეგებს იძლევა, ამ დროს უფროსების დახმარების ექსპლოატორი არსი მოზარდის თვალსაწიერის და საერთო ცოდნის დონის გაფართოებაში მდგომარეობს. უფროსებმა უნდა იზრუნონ პროფესიების შესახებ სრული ინფორმაციის მიწოდებისათვის.

ბ) ადრეული პროფესიული თვითგამორკვევა, საერთოდ დადებითი მოვლენაა, მაგრამ მასაც აქვს გარკვეული ნაკლი. ამ დროს მოზარდმა შეიძლება ორიენტაცია აიღოს პრესტიჟულ პროფესიებზე, ან კიდევ, პროფესია აირჩიოს პრაგმატული თვალსაზრისით. იგი სხვა მხარეებს ვერ აჩნევს, მაგალითად იმას, რომ გეოლოგმა ცხოვრების ნახევარი ველზე და ექსპედიციებში უნდა გაატაროს. პროფესიათა სამყარო მოზარდს უჩვენება მხოლოდ კარგი და მხოლოდ ცუდი მხრიდან. პროფესიის ასეთმა ნაადრევმა კატეგორიულმა არჩევამ მოზარდი შეიძლება იმედის გაცრუებამდე მიიყვანოს.

გარდამავალი ასაკის მოზარდის პროფესიული ინტერესები არამყარია. მაგალითად, ერთნახევარი თვის ინტერვალით ორჯერ გამოკითხვის დროს ერთი და იგივე მოზარდები ხშირად სხვადასხვა პროფესიას ასახელებენ, ხოლო ერთსა და იმავე დროს, ერთნაირი კითხვით, მაგრამ სხვადასხვა ექსპერიმენტატორის მიერ ჩატარებულ ექსპერიმენტში, ხშირად ერთი და იგივე მოზარდები სხვადასხვა პროფესიებს ირჩევენ. (ერთ შემთხვევაში ასახელებენ მსახიობის, ხოლო მეორეში – იურისტის პროფესიას).

გარდამავალ ასაკში პროფესიული ინტერესები უმეტესწილად ნაცნობებისა და ამხანაგების გავლენით ფალობდება. ამ მიმართულებით ოჯახისა და სკოლის გავლენა შედარებით ნაკლებიან; მოზარდები ამჯობინებენ ისეთ პროფესიებს, სადაც შესაძლებელია დამოუკიდებელი გადაწყვეტილებების მიღება, ადამიანებთან კონტაქტების დამყარება, შრომის შემოქმედებითი ხასიათი. ითვალისწინებენ, აგრეთვე, შრომის პირობებს და ახალი შთაბეჭდილებების მიღების შესაძლებლობებს.

ბევრი მოზარდი ვერ ანსხვავებს ერთმანეთისაგან „პროფესიას“ და „სპეციალობას“. ეს იმის ბრალია რომ, როგორც აღვნიშნეთ, მათ არ აქვთ დაწერილებითი ინფორმაცია პროფესიათა კვალიფიკაციის შესახებ. მოზარდთა დიდი ნაწილის მიერ პროფესიის არჩევა მოტივირებულია. მატერიალური, პრაგმატული მოტივები არ გამოდის წინა პლანზე. მათთვის ამ მიმართულებით მთავარია პრესტიჟული მოტივები. ზოგიერთ მოტივში სჭარბობს პროფესიათა რომანტიკული მხარეები: მფრინავი, კონსტრუქტორი, გარკვეულ როლს თამაშობს მოზარდის ცხოვრებისეული გამოცდილებაც. ზოგჯერ ხდება, რომ მოზარდს არ გააჩნია რომელიმე კონკრეტული პროფესიის ღირებულებითი ორიენტაცია. მათთვის „ველა პროფესია კარგია“. მოზარდისთვის დამახასიათებელია, რომ პრესტიჟული პროფესიების (მფრინავი, გამოგონებელი, ექიმი, მხატვარი) არჩევას მათ პირველ რიგში ამ პროფესიებთან დაკავშირებული „ელიტარულობა“ ანტიერესებთ. მათ სურთ, რომ გახდნენ „დიდი საწარმოს ხელმძღვანელი“ ან „დასავლეთის რომელიმე პატარა ქვეყნის დიპლომატი“. პროფესიული ინტერესების ასეთ ორიენტაციას მრავალი მიზეზი გააჩნია. ჯერ ერთი, საპროფესიონალტაციო მუშაობის დროს მთლიანად არ იყო გათვალისწინებული მოზარდობის ასაკის ისეთი თავისებურებები, როგორცაა მოთხოვნებიებისა და ინტერესების ახალი სტრუქტურების განვითარება, მეორე – მოზარდებს აკლიათ სასწავლო-საწარმოო გამოცდილება, აქვთ აწეული პრეტენზიის დონე და მუშათა პროფესიებისადმი გულგრილი, ზერეულე დამოკიდებულება.

მოზარდთა მნიშვნელოვან ნაწილს ჯერ კიდევ არ აქვს ჩამოყალიბებული პროფესიის არჩევის აუცილებლობის განცდა და თვითგამორკვევის მოთხოვნა. პროფესიების შეფასებაში არის სქესთა შორის განსხვავებანიც. ბიჭები ყველაზე მაღლა აყენებენ სამხედრო პროფესიებს, მშენებლისა და გონებრივი შრომის სპეციალობებს. გოგონები კი მომსახურებისა და ყოფა-ცხოვრების პროფესიებს, პედაგოგიკისა და ხელოვნების სფეროებს. მოზარდები მრავალ სპეციალობას ქალურ და მამაკაცურ პროფესიებად აჯგუფებენ. მოზარდთა ასეთი ორიენტაცია ხელს უშლის მათ პროფესიულ თვითგამორკვევას.

შშობლებისა და საერთოდ ოჯახის გავლენა მოზარდების პროფესიულ თვითგამორკვევაზე არაა მცირე, მაგრამ მოზარდები შშობლების პროფესიას ხშირად არ ირჩევენ. მოზარდების 14.6% მაღალ შეფასებას აძლევს შშობლების პროფესიას და მხოლოდ 12.2% მზადაა აირჩიოს რომელიმე შშობლის პროფესია. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ უმცროსი მოზარდები უფრო დარწმუნებულად და კატეგორიული, ფორმით ასახელებენ მომავალ პროფესიას, ვიდრე უფროსი მოზარდები. ასაკის წინსვლასთან ერთად მოზარდების პროფესიული განზრახვების და ინტერესების სტრუქტურა უმნიშვნელოდ იცვლება. უფროსი მოზარდები პროფესიებზე წარმოდგენების გაფართოების მიუხედავად მაინც „პრესტიჟულ“ პროფესიებზე არიან ორიენტირებულნი.

გამოყოფენ პროფესიის არჩევის დროს დამახასიათებელ ხუთ შეცდომას.

1) ადამიანებისადმი დამოკიდებულების პროფესიაზე გადატანა. ხშირად ხდება, რომ ნაცნობები, ნათესავები ან მასწავლებლები იწვევენ მოზარდებში დადებით ან

უარყოფით დამოკიდებულებას რაიმე მორალური თვისების გამო. ასეთ დამოკიდებულებას მოზარდები გადაიტანენ იმ პროფესიებზე, რომელთა წარმომადგენლებიცაა ისინი. ამგვარი გზით არჩეულმა პროფესიამ შეიძლება იმედის გაცრეება გამოიწვიოს.

2) მასობრივი კვალიფიკაციების შესახებ ცუდი წარმოდგენები. მოზარდებს მაინცათ, რომ ასეთი პროფესიები მოკლებულა ინტელექტუალურ შინაარსს და შემოქმედებითი შრომის შესაძლებლობებს, პროფესიულ ზრდას და წინსვლას.

3) საკუთარი ნიჭისა და მიღრეკილებების ობიექტურად შეფასების უუნარობა. მოსწავლეები ვერ აკავშირებენ ერთმანეთთან საკუთარ ფსიქო-ფიზიოლოგიურ შესაძლებლობებსა და პროფესიის მოთხოვნებს. ასეთი მოზარდები პროფესიის არჩევისას ხელმძღვანელობენ მხოლოდ ამა თუ იმ პროფესიის მოწონებით ან არმოწონებით. ისინი თვლიან, რომ ოღონდ პროფესია მოეწონოთ და ამისთვის მათ ნიჭი და მიღრეკილება აუცილებლად ეყოფათ.

4) პროფესიის შემთხვევით არჩევა ამხანაგებისა და ნაცნობების გავლენით. ასეთი არჩევა იმითაა გამოწვეული, რომ მოზარდებს არ აქვთ ჩამოყალიბებული პროფესიული ინტერესები და მათთვის სულ ერთია რა პროფესიას აირჩევენ. ესაა პროფესიის შემთხვევითი არჩევანი, რომელსაც შემდგომში ხშირად იმედის გაცრეება მოსდევს.

5) საკუთარი ფიზიკური შესაძლებლობების არცოდნა და მათი გაუთვალისწინებლობა რომელიმე კონკრეტული პროფესიის არჩევის დროს. არის შემთხვევები, როცა გულის უკმარისობით დაავადებული მოზარდი მფრინავობაზე, ხოლო მეტყველების ღვეჭტის მქონე გოგონა პედაგოგობაზე ოცნებობს.

გამოყოფენ პროფესიის არჩევის რამდენიმე მოტივს:

1) ფართო სოციალური მოტივები: ესაა საზოგადოებისათვის სარგებლობის მოტივის მოტივები, რომლებიც ასაკის წინასვლასთან ერთად იცვლება და იზრდება. შეექვსეკლასილებს ეს მოტივი სუსტად აქვთ განვითარებული. მოზარდების სოციალური მოტივები მჭიდროდაა დაკავშირებული მორალურ, ესთეტიკურ და შემეცნებით მოტივებთან (იხილეთ ქვემოთ). მოზარდები თავიანთი მომავალი კონკრეტული მოქმედების სოციალურ როლს უმეტესწილად მორალურ ასპექტში აფასებენ.

პროფესიის არჩევის სოციალური მოტივები უფრო მეტად ჭაბუკებისთვისაა დამახასიათებელი.

2) მორალური მოტივები. ეს მოტივები მოზარდებში კარგადაა განვითარებული და ასაკთან ერთად იზრდება და ფართოვდება. იგი შემდგომში ერთ-ერთი ცენტრალური მოტივი ხდება. ამ მოტივით ხელმძღვანელობს შეექვსეკლასიელთა 39%, მერვეკლასიელთა 66.6% და მათეკლასიელთა 90%. მიუხედავად იმისა, რომ მორალური მოტივები გავლენას ახდენს პროფესიის არჩევის მოტივთა მთელ სტრუქტურაზე, ამ მოტივის უშუალო კავშირი პროფესიის არჩევის ნამდვილ მოტივებთან შედარებით მაინც სუსტია.

3) ესთეტიკური მოტივები. იგი გამოიხატება მოსწავლეთა სწრაფვაში შრომის ესთეტიკური მხარისადმი. მათ ამა თუ იმ საეციალობის არჩევა იმისთვის უნდათ, რომ იგი „ხელს უწყობს მშენიერების აღქმას“. მოზარდებში ეს მოტივი მაღალია. მეექვსე და მეშვიდეკლასელებთან ისინი საშუალო მაჩვენებლების ფარგლებშია, ხოლო VIII-X კლასებში ცენტრალური ადგილი უჭირავთ.

4) შეშინებითი მოტივები. ამ მოტივისთვის დამახასიათებელია მოსწავლეთა სწრაფვა საეციალობრი ცოდნის მოპოებისკენ, არჩეული საეციალობის არსში შეღწევის მცდელობა. ამ ჯგუფის მოტივთა სიხშირე კლასიდან კლასში იზრდება. მეექვსე კლასში 30.9% მერვეში - 63%, მეთაში - 65%.

5) შემოქმედებითი მოტივები. ეს მოტივები „მეცნიერული აღმოჩენების“ საშუალებას იძლევა და გასაქანს აძლევს „შემოქმედებით მუშაობას“. გარდამავალ ასაკში ეს მოტივი შედარებით სუსტადაა გამოხატული.

6) შრომის შინაარსთან დაკავშირებული მოტივები. მოზარდებს მოსწონს ამა თუ იმ პროფესიის მიმდინარეობა, შრომის პროცესის ელემენტები, მოტივთა ეს ჯგუფი გოგონებში სუსტადაა განვითარებული, უნდა აღინიშნოს, რომ ეს მოტივები მაინც პერიფერიული ხასიათისაა.

7) მატერიალობრი მოტივები. ეს მოტივები უმეტესად უფროს სასკოლო ასაკშია ძლიერი, ხოლო გარდამავალ ასაკში შედარებით სუსტია.

8) პრესტიჟული მოტივები - ესაა მცდელობა ისეთი პროფესიის არჩევისა, რომელიც „ნაცნობ-შეგობრებში ფასობს.“ იგი საზოგადებაში თვალსაჩინო ადგილის დაკავების საშუალებას იძლევა.

9) უტილიტარული მოტივები. ეს ისეთი მოტივებია, რომლებიც საშუალებას იძლევა „უხელმძღვანელო ადამიანებს“, „იცხოვრო ქალაქში“, „ადვილად მოეწყობი უმაღლესში“. (მექვსეკლასელებთან 43.3%, მერვეკლასელებთან - 54%, მეთაეკლასელებთან - 58%).

ეს მოტივები იზოლირებულად არ მოქმედებენ. ისინი ურთმანეთთან მჭიდროდ არიან დაკავშირებულნი. მოზარდების მიერ პროფესიის არჩევა მრავალმოტივიანია.

მოზარდების სასწავლო ინტერესები დაკავშირებულია პროფესიულ ინტერესებთან, მაგრამ ყოველთვის არ ემთხვევა ერთმანეთს. მეშვიდე კლასიდან უკვე მრავალი მოზარდისთვის სწავლის მოტივი პროფესიული მომავლის პერსპექტივაც ხდება. მერვეკლასელებს უფრო მდგრადი სასწავლო და პროფესიული ინტერესები აქვთ, რომელთა სტაბილობა და სიღრმე დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორია ამ საგნის მასწავლებელი და როგორაა საერთოდ ამ სკოლაში სასწავლო მუშაობა ორგანიზებული. მერვეკლასელთა 40-50% თვლის, რომ მათ მყარად აქვთ არჩეული პროფესია. ე.ი. მათ მყარი პროფესიული ინტერესები გააჩნიათ.

უმცროსკლასელთა პროფესიული ინტერესები არ მიუთითებს მოსწავლეთა პროფესიულ მიმართულებაზე, რადგანაც ამ ასაკში ჯერ არ ჩამოყალიბებულა მოთხოვნები პროფესიების მიმართ. მხოლოდ მას შემდეგ, რაც დაიწყება ასეთი მოთხოვნების ჩამოყალიბება, ყალიბდება პროფესიული მიმართულებაც. გარდამავალი ასაკის ბოლოს დგება პროფესიის არჩევის აუცილებლობა. ამიტომ ამ ასაკში პროფესიული მიმართულება კონკრეტულ ხასიათს ღებულობს და იგი

სტაბილურობას განიცდის. თუმცა ეს კონკრეტულობა ყველა მოზარდთან არაა ერთნაირი.

მოზარდების ერთ ნაწილს წარმოდგენები პროფესიაზე ასე თუ ისე ზუსტი და განსაზღვრული აქვს. სხვა ნაწილი კი ინტერესს პროფესიის განსაზღვრული სფეროსადმი და არა კონკრეტული პროფესიისადმი აქვს. მაგალითად, „მე მინდა ვიმუშაო ტელევიზორების ქარხანაში“. „მე მინდა ვიმუშაო სუნამოების ქარხანაში“, „მინდა გავხდე სამხედრო“, „მინდა გავხდე რეჟისორი“. ზღვა პირიქითაც, როცა მოზარდები მიუთითებენ კონკრეტულ სპეციალობებს, მაგრამ არ იციან სად იმუშაონ., უფროს სასკოლო ასაკში პროფესიის არჩევა უფრო ვიწრო სპეციალიზაციას ღებულობს.

პროფესიის არჩევის დროს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი არის მოზარდების მიერ საკუთარი თავის შეცნობის, მათი ფსიქო-ფიზიოლოგიური შესაძლებლობების შედარება პროფესიის მოთხოვნებთან. 12-13 წლის მოზარდები უკვე იწყებენ საკუთარი ფსიქიკური ცხოვრებით დანტერესებას. როგორც ვიცით, 14-15 წლის მოზარდის ერთ-ერთი ძლიერი მოთხოვნილებაა თვითაღზრდა. უფროსი მოზარდები მარჯვე ხელმძღვანელობის შედეგად აღწევენ ფსიქოლოგიურ სიმწიფეს პროფესიის შეგნებული არჩევისას, თუმცა ყველა შემთხვევაში პროფესიას შეგნებულად და სწორად ვერ ირჩევენ.

მოსწავლეთა პროფესიული ზრახვების ფორმირება გაივლის ორ ძირითად ეტაპს: ა) პროფესიის პირველადი არჩევა, რომლისთვისაც დამახასიათებელია პროფესიების შესახებ მცირედ დიფერენცირებული წარმოდგენები. ამ პროფესიებს მოსწავლეები ირჩევენ გარეგნული ნიშნების მიხედვით (ტანსაცმლის ფორმა, ქცევის მანერები, უფროსების შეფასებები). ამ ეტაპისთვის დამახასიათებელია, აგრეთვე, საკუთარი რესურსებისა და შესაძლებლობების არაადეკვატური, სიტუაციური წარმოდგენები. ამ დროს მოსწავლეებს არ აქვთ უნარი ერთმანეთს დაუკავშირონ ეს შესაძლებლობანი და პროფესიის მოთხოვნები. ამ ეტაპზე მდგომ მოსწავლეებს არ აქვთ მტკიცე პროფესიული ზრახვები. პროფესიის არჩევის პირველადი ეტაპი უმცროსკლასელებისთვისაა დამახასიათებელი, ამ დროს არ დგება საკითხი პროფესიის შინაარსის, ხელფასის, შრომის პირობებისა და პრესტიჟის შესახებ. ამ სტადიაზე ხანდახან გარდამავალი ასაკის ზოგიერთი მოზარდიც დგას, თუმცა სოციალური განვითარების შეცვლილი სიტუაცია მათგან კონკრეტული ცხოვრებისეული გზის არჩევას მოითხოვს. უმცროსკლასელებს არ აქვთ პროფესიის სერიოზული არჩევის საფუძველი. მათ ჯერ კიდევ ხშირად არ აქვთ გამოხატული ნიჭი, უნარები და მიდრეკილებები, ხოლო ასახამოყვანილებული ინტერესები ხშირად იცვლებიან.

ბ) მეორე ეტაპია პროფესიული თვითგამორკვევა, როცა მოზარდმა თვითონ უნდა აირჩიოს მომავალი პროფესია საკუთარი ფსიქიკური და ფიზიოლოგიური შესაძლებლობების გათვალისწინებით. ამ პერიოდში მოსწავლე სერიოზულად უნდა დაფიქრდეს იმაზე, თუ რამდენადაა მზად იგი განსაზღვრული პროფესიის ასარჩევად. ამ თვალსაზრისით მან სასკოლო დისციპლინებიც უნდა შეაფასოს. ყველა უფროსი მოზარდი ვერ გადადის პროფესიის პირველადი არჩევიდან

ნამდვილ პროფესიულ თვითგამორკვევამდე. ეს პროცესი არათანაბრად მიმდინარეობს.

დ. სუპერმა და რ. ჰენგერსტმა ადამიანის პროფესიული გზა დაყვეს რამდენიმე ეტაპად (გ. კრაიგი. გვ. 713-720):

1) ზრდის ეტაპი (დაბადებიდან 14 წლამდე) ბავშვობაში, როცა განვითარებას იწყებს მე-ს კონცეფცია, თამაშის პროცესში ბავშვები თამაშობენ სხვადასხვა როლებს, რის გამოც მათ უწინდებათ ინტერესები, რომლებიც გავლენას ახდენენ სამომავლო პროფესიების არჩევაზე.

2) კვლევის ეტაპი (15-დან 24წლამდე): ჭაბუკები ცდილობენ გაერკვნენ თავიანთ მოთხოვნილებებში, ინტერესებში, უნარებში, ღირებულებებსა და შესაძლებლობებში. ასეთი თვითანალიზის შედეგებზე დაყრდნობით ისახება პროფესიული კარიერის შესაძლო ვარიანტები. ამ ეტაპის ბოლოს ადამიანები, ძირითადად, ასერხებენ პროფესიულ თვითგამორკვევას.

3) კარიერის განმტკიცების ეტაპი (25-დან 44 წლამდე): ამ ეტაპზე მუშაკები ცდილობენ განიმტკიცონ მდგომარეობა მათ მიერ არჩეულ პროფესიებში. მათ უკვე აღარ სურთ პროფესიის შეცვლა.

4) მიღწეულის შენარჩუნების ეტაპი (45-დან 64 წლამდე): მუშაკები ცდილობენ წინა ეტაპზე მიღწეული შედეგების შენარჩუნებას.

5) დაქვეითების ეტაპი (65 წლის შემდეგ): ამ ეტაპზე ადამიანის ფიზიკური და გონებრივი შესაძლებლობანი კლებულობს. ამასთან დაკავშირებით კი უარესდება საშუაოს შესრულების ზარისხიც. საბოლოო ანგარიშით კი შრომითი საქმიანობა წყდება.

რ. ჰენგერსტერის მიხედვით ადამიანის პროფესიული გზა იყოფა ექვს ეტაპად. მას იღვანად არ აინტერესებს ინდივიდის მოთხოვნილებები და უნარები, რამდენადაც შრომითი ჩვევების და განწყობების შეფასება. ეს ეტაპებია.

1) მუშაკთან იდენტიფიკაცია (5-დან 10 წლამდე). ბავშვები ასდენენ იდენტიფიკაციას თავიანთ მომუშავე მშობლებთან და მუშაობის განზრახვა მათი მე-ს კონცეფციის ნაწილი ხდება.

2) ძირითადი შრომითი ჩვევების შექმნა და შრომისმოყვარეობის ჩამოყალიბება (10-დან 15 წლამდე). მოსწავლეები ეჩვევიან საკუთარი ძალისხმევითა და დროის ორგანიზებას სხვადასხვა ამოცანის შესასრულებლად (საოჯახო საქმეები და სასკოლო დავალებები). ამ ეტაპზე ჩამოყალიბებას იწყებს განწყობა - ჯერ საქმე, მერე - თამაში.

3) კონკრეტული პროფესიული იდენტურობის შექმნა (15-25 წელი). ადამიანი ირჩევს პროფესიას და იწყებს მისდამი შეგუებას.

4) პროფესიონალის ჩამოყალიბება (25-40 წელი) ამ ეტაპზე ადამიანები სრულყოფენ თავიანთ პროფესიულ ოსტატობას და იწყებენ კარიერის კიბეზე წინსვლას.

5) შრომა საზოგადოების საკეთილდღეოდ (40-70 წელი). ამ ეტაპზე მუშაკები აღწევენ პროფესიული დაოსტატების პიკს და იწყებენ ფიქრს საზოგადოების წინაშე სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ.

6) ფიქრები პროფესიული საქმიანობის პროდუქტიული პერიოდის შესახებ

(70 წლის შემდეგ). პენსიაში გასვლის შემდეგ ადამიანები ანალიზებენ განვლილ ცხოვრებისეულ გზას და კმაყოფილებით იგონებენ პროფესიულ მიღწევებს.

პროფესიის არჩევა ერთ დღეში არ ხდება. იგი ხანგრძლივი პროცესია. როგორც მიიჩნევენ პროფესიის საბოლოო არჩევამდე მრავალი „შუალედური პროცესი“ ხდება. ე. გინზბურგმა პროფესიის არჩევის გზაზე გამოყო სამი სტადია: ა) ფანტაზიის, ბ) ჰიპოთეტური და გ) რეალისტური

ფანტაზიის სტადია გრძელდება თერთმეტი წლის ასაკამდე, რომლის დროსაც ბავშვები წარმოისახევენ იმას, თუ რა უნდა გამოვიდნენ მომავალში. ამასთანავე ისინი მხედველობაში არ ღებულობენ მათ რეალურ მონაცემებს, მოშხადების დონეს, ინტელექტუალურ და პიროვნულ შესაძლებლობებს. ამ ეტაპზე მათთვის მთავარია სურვილი იმისა, რომ გახდნენ მფრინავები, კოსმონავტები, ექიმები, მასწავლებლები და ა.შ.

ჰიპოთეტური სტადია გრძელდება თერთმეტიდან ჩვიდმეტ წლამდე და, თავის მხრივ, იყოფა ოთხ ქვეპერიოდად: ა) ინტერესის პერიოდი (11-12 წელი). ბავშვები აკეთებენ არჩევანს უმთავრესად მიღრევილებებისა და ინტერესების საფუძველზე. ესაა გარდამავალი პერიოდი ფანტაზიის სტადიიდან ჰიპოთეტურ არჩევანამდე. ბ) უნარების ჩამოყალიბების პერიოდი (13-14 წელი). ამ პერიოდში ბავშვებმა უკვე მეტი იციან იმ მოთხოვნების შესახებ, რასაც არჩეული პროფესია უყენებს მათ ფსიქო-ფიზიკურ მონაცემებს.

გ) შეფასების პერიოდი (15-16 წელი). მოზარდები ცდილობენ მოარგონ ესა თუ ის პროფესია საკუთარ ინტერესებსა და ღირებულებებს. ისინი ერთმანეთს ადარებენ მოცემული სპეციალობის მოთხოვნებს და საკუთარ რეალურ შესაძლებლობებს. დ) გარდამავალი პერიოდი (17 წელი). ამ პერიოდში ხდება ჰიპოთეტური სტადიიდან რეალურ არჩევანზე გადასვლა. ე) რეალისტური სტადია (17 წლის შემდეგ). ჭაბუკები უკვე ღებულობენ საბოლოო გადაწყვეტილებას. ეს სტადია მოიცავს რამდენიმე ქვეპერიოდს: 1) ბიძის პერიოდი (17-18 წელი), როცა ჭაბუკები ამულაენებენ აქტიურ ძალისხმევას უფრო ღრმა ცოდნის მოსაპოვებლად. 2) კრისტალიზაციის პერიოდი (19-21 წელი), როცა ძალიან ვიწროვდება პროფესიათა ასარჩევი დიაპაზონი და გამოიკვეთება მომავალი საქმიანობის ძირითადი მიმართულება. 3) სპეციალიზაციის პერიოდი, როცა ზოგადი არჩევანი (მაგალითად, ფიზიკოსის პროფესია) ზუსტდება ფიზიკის რომელიმე ვიწრო სპეციალობის არჩევით.

ზოგიერთი მკვლევარი აკრიტიკებს ე. გინზბურგის შეხედულებებს და მოითითებს იმაზე, რომ ყოველთვის არაა შესაძლებელი ავტორის მიერ მითითებული ასაკობრივი პერიოდების საზღვრების დაცვა.

პოლანდის მიერ წამოყენებული ე.წ. პროფესიული გარემოცვის თეორიის მიხედვით ადამიანები ირჩევენ საქმიანობის ისეთ სფეროს, რომელიც უზრუნველყოფს გარემომცველ გარემოებებში ადაპტაციას და ყველაზე უფრო შეესაბამება მისი პიროვნების ტიპს. პიროვნული ნიშნებისა და „პროფესიული გარემოცვის“ ერთიანობა მნიშვნელოვნად ზრდის იმის ალბათობას, რომ ადამიანი დარჩეს

საქმიანობის ამ თუ იმ სფეროში. აეტორმა გამოყო პიროვნების ექვსი ტიპი: რეალისტური, ინტელექტუალური, სოციალური, ტრადიციული, ალლოიანი (ფხანნი) და შემოქმედებითი. პოლანდი თვლის, რომ სწორედ პიროვნების გარკვეული ტიპაჟი აძლევს ადამიანს საშუალებას, უპირატესობა მიანიჭოს რომელიმე პროფესიას.

პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ პროფესიის არჩევის პროცესზე ნიჭისა და მძღრეკილებების დონის გავლენა გარდამავალ ასაკში არაა ისე მნიშვნელოვანი, როგორც თვითცნობიერების განვითარების დონე, რომელიც პროფესიის არჩევის ერთ-ერთი გადამწყვეტი ფაქტორი ხდება. თვითცნობიერებაში გულისხმობენ პიროვნების დამოკიდებულებას საკუთარი თავისა, შესაძლებლობებისა სურვილებისა და პიროვნული თავისებურებისადმი. თვითცნობიერება ყოველთვის ატარებს სუბიექტურობას ელფერს და შეძენილი პირადი გამოდილების თავისებურებებსაც ასახავს, გულისხმობს მისი გაცნობიერებისა და განზოგადების ხარისხს. თვითცნობიერების განვითარების უმაღლესი დონეა საკუთარი თავის მიმართ ადექვატური დამოკიდებულება.

მოზარდის თვითცნობიერება პროფესიის არჩევის დროს არის რთული სისტემური წარმონაქმნი, რომლის სტრუქტურაში გამოიყოფა: დარწმუნებულობა, როგორც პიროვნების საერთო თვითშეფასების გამოვლენა, სასწავლო მოქმედების შედეგების და ინტერესების განსხვავებული სახეების თვითცნობიერება. პროფესიული თვითგამორკვევის პროცესში თვითცნობიერება უდიდეს როლს ასრულებს პროფესიულზე და საკუთარ თავზე წარმოდგენების ფორმირების საქმეში. მოზარდები პროფესიის არჩევის დროს ხშირად არაადექვატურად აწეულად ან დაწეულად აფასებენ თავიანთ ფსიქიკურ და ფიზიოლოგიურ შესაძლებლობებს, რაც საბოლოო ანგარიშით უარყოფით გავლენას ახდენს ამ პროცესზე.

მოზარდების პროფესიის არჩევაზე მოქმედი ფაქტორებიდან მკვლევარები (სტეკლერი, სუპერი, როუ, პოლანდი, მური, კოგენერი) ყურადღებას ამახვილებენ ისეთებზე, როგორიცაა: სქესი, მშობელთა განწყობები, მე-ს კონცეფცია, თანატოლები, მასწავლებლები, ინდივიდუალური თავისებურებანი და პრაგმატული მოსაზრებები.

გარდამავალ ასაკში სამომავლო პროფესიაზე ფიქრი გარკვეულწილად მაინც სქესობრივი მიკუთვნებულობითაც არის განპირობებული. მოზარდი გოგონები მაინც ჰუმანიტარული პროფესიების მიმართ ამკლავებენ მძღრეკილებებს. მართლაც არსებობენ ტრანქტორისტი, პოლიციელი და სამხედრო სპეციალობის ქალებიც, მაგრამ ეს მდგომარეობა უფრო გამონაკლისის წარმოდგენს, ვიდრე კანონზომიერს.

თინიჯერთა პროფესიის არჩევაზე მშობლების გავლენა მრავალპლანდინანია. ერთ-ერთი გავრცელებული ფორმაა პროფესიის შემკვიდრებით პირდაპირი გადაცემა. შვილები აგრძელებენ მშობლების საქმიანობას იმის გამო, რომ ახალი საქმის წარმოწყებას მამის ბიზნესის გაგრძელებას არჩევენ.

მშობლები შვილების ინტერესებზე გავლენას ადრეული ასაკიდანვე ახდენენ. პროფესიის არჩევაზე გარკვეულწილად მოქმედებს ოჯახური ტრადიციები. მუსიკოსი მამა ადრეიდანვე უფითარებს შვილს მუსიკალურ გემოვნებას, ვიდრე ამას არამუსიკოსი მშობელი გააკეთებს. კოგენერის მონაცემებით ექიმის შვილების 44% მედიკოსები

ხდებიან, ხოლო ადვოკატთა შვილების 28% ოურიდიულ კარიერას ირჩევს. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სხვა მკვლევართა მონაცემები არ ემთხვევა კონკურის მონაცემებს, თუმცა ისინიც უსვამენ ხაზს იმას, რომ ოჯახში მშობლებსა და შვილებს შორის არსებულ დამოკიდებულებებს პროფესიის არჩევაში შეიძლება ჰქონდეს განსაკუთრებული მნიშვნელობა. ის ბავშვები, რომლებიც ოჯახში ყურადღების ცენტრშია და მშობლების მხრიდან გრძობენ კეთილმოსურნე და მზრუნველ დამოკიდებულებას, უფრო ითვისებენ მშობლების რჩევა-დარიგებებს და მოსაზრებებს სამომავლო პროფესიების არჩევისას, ვიდრე ის მოზარდები, რომელთა მიმართაც მშობლები ვერ ავლენენ თბილ დამოკიდებულებებს.

მშობლები ოჯახში ქმნიან როლურ მოდელებს, რომელსაც შვილები არაცნობიერად მიყვებიან. შეიძლება მშობლები შეგნებულად არ ფიქრობენ შვილების პროფესიის არჩევის პროცესზე მოახდინონ გავლენა, მაგრამ ისინი ამას აკეთებენ პირადი მაგალითის საფუძველზე.

მოზარდების მიერ პროფესიის არჩევაზე მშობლების გავლენა იმაშიც გამოიხატება, რომ მშობლების ერთი ნაწილი ზღუდავს შვილებს პროფესიის არჩევაში, აიძულებს და თავს ახვევს მათ აირჩიონ რომელიმე მშობლის პროფესია. ეს უარყოფითი მოვლენაა. ასეთი მშობლები მხედველობაში არ ღებულობენ მოზარდის ფსიქო-ფიზიკურ შესაძლებლობებს, რომელიც შეიძლება არ მესადაგებოდეს ნაძალადევად არჩეულ პროფესიას. სამწუხაროდ ზოგიერთი მოზარდი წინ ვერ აღუდგება ხოლმე მშობლების სურვილს და მელი ცხოვრების განმავლობაში ისეთ საქმეს აკეთებს, რომელიც არ შეესაბამება მის პიროვნულ მისწრაფებებს.

მოზარდის მიერ პროფესიის არჩევაზე გავლენას ახდენს ის შეფასებები, რომლებსაც მშობლები აკეთებენ რომელიმე პრესტიჟული თუ არასპრესტიჟული პროფესიის მიმართ. მშობელთა ასეთი შეფასებები ერთგვარ მოტივებად გვევლინება სამომავლო პროფესიის არჩევანსა თუ არმილებაში.

მოზარდთა მიერ პროფესიის არჩევანზე გარკვეულ გავლენას ახდენს აგრეთვე თანატოლებიც. ამ მიმართულებით მშობელთა განვლენის გვერდით მნიშვნელოვანი ადგილი თანატოლთა აზრსაც უჭირავს. აღმოჩნდა, რომ მოზარდები თავიანთი სამომავლო პროფესიების შესახებ ხშირად კეთიბებიან თანატოლებს და მათ აზრს ანგარიშს უწევენ.

ძალიან დიდაა მოზარდთა პროფესიული თვითგამორკვევის ჩამოყალიბებაში მასწავლებელთა გავლენაც.

მოზარდის მიერ პროფესიის არჩევაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მისი გონებრივი შესაძლებლობები. ინტელექტი არის ადამიანის მიერ გადაწყვეტილების მიღების უმნიშვნელოვანესი ფაქტორი. ნიჭიერი მოზარდები, ბუნებრივია, მათი ფსიქო-ფიზიკური განვითარების კვალობაზე, პროფესიის არჩევის პროცესში უფრო სწორ გადაწყვეტილებას მიიღებს, ვიდრე ნაკლები ინტელექტის მქონე მოზარდები. ცნობილია, რომ ნაკლებად ნიჭიერი ადამიანები ხშირად არარეალურ გადაწყვეტილებებს იღებენ.

მე-ს კონცეფციის თეორიის მიხედვით ადამიანები ირჩევენ იმ პროფესიებს, რომლებიც შეესაბამება მათ წარმოდგენებს საკუთარი თავის შესახებ. იმ პროფესიის დაუფლება, რომელიც შეესაბამება ადამიანის მე-ს კონცეფციას, არის თვითაქტუალიზაციის საფუძველი და წყარო, რასაც მისთვის მოატყის მაქსიმალური კმაყოფილება და, რომელიც, თავის მხრივ, ხელს უწყობს მის პიროვნულ ზრდას.

პროფესიის არჩევის პიროვნებასთან დაკავშირებული ყველა თეორია თვლის, რომ პიროვნებასა და პროფესიის არჩევას შორის არის მჭიდრო კავშირი. პოლანდის მიხედვით ადამიანი უნდა ფლობდეს გარკვეული სახის პიროვნულ ნიშნებს, რომელიც არჩეულ პროფესიაში მას წარმატებებს მოუტანს. ეს ნიშნებია:

1) რეალისტობა, 2) მამიებლობა, 3) გულზიარობა, 4) ნორმებისა და წესებისადმი მორჩილება, 5) ინიციატივიანობა, 6) არტისტულიობა. მაგალითად, ადამიანს, რომელსაც აშკარად გამოხატული მამიებლობა და ინიციატივიანობა ახასიათებს, შეუძლია გახდეს მეცნიერ-მუშაკი, ხოლო თუ პიროვნების ნიშნებში დომინირებს გულზიარობა და კანონებისადმი მორჩილობა – მედიცინის მუშაკი.

ქართველი მოზარდების პროფესიული ინტერესების ექსპერიმენტული შესწავლის შედეგად აღმოჩნდა, რომ მერვეკლასელ მოზარდებს უმაღლესი განათლების მიღების დიდი მისწრაფება აქვთ. მერვეკლასელი ვაჟების მხოლოდ 7% აპირებს ტექნიკურ სასწავლებელში გადასვლას. მერვეკლასელ გოგონათა 22%-ს განზრახული აქვს სწავლის გაგრძელება მუსიკალურ, სამედიცინო, პედაგოგიურ და სამხატვრო სასწავლებლებში. ყველა დანარჩენი ირჩევს უმაღლეს სასწავლებელს.

ასარჩევ პროფესიებს გააჩნია განსხვავებული მიმზიდველობა. მოზარდი ვაჟების ყველაზე მეტი მისწრაფების საგანი საინჟინრო და იურიდიული პროფილებია. შემდეგ მოდის მედიცინა და სპორტი. გოგონებში კი დიდი მისწრაფებაა პედაგოგიური და სამედიცინო დარგებისაკენ.

მერვეკლასელები არ განასხვავებენ მოწონებულსა და ასარჩევ პროფესიებს ერთმანეთისაგან. მათ რომელი პროფესიასაც მოსწონთ – იმასვე ირჩევენ. ამ დროს ერთმანეთისაგან არაა დაცილებული პროფესიების შინაარსიერი მხარე, ემოციური განცდა და ინტელექტუალური შეფასება.

თავი მეოცე

უფროსკლასელთა ანატომიურ-ფიზიოლოგიური თავისებურებანი

უფროსი სასკოლო ასაკი ანუ ადრეული ჭაბუკობა განისაზღვრება როგორც განვითარების სტადია, რომელიც სქესობრივი მოწიფებით იწყება და მოწიფულობის დადგომით მთავრდება. ეს პერიოდი მოიცავს 15-დან 18- წლამდე ასაკს. აქსელერაციის გამო ყრობის საზღვრებმა ძირს დაიწია, რის გამოც ახლა შესაბამისად ადრე იწყება სიჭაბუკე, ზოგიერთი მკვლევარის მიხედვით ადრეული ჭაბუკობის პერიოდი 14.5-17წელი.

ადრეული ჭაბუკობა ფიზიკური ძალებისა და გონებრივი შესაძლებლობების განვითარების აყვავების ასაკია. ამ ასაკში დგება ფიზიკური სიმწიფე. ბიჭებისა და გოგონების უმრავლესობა ამ ასაკში სქესობრივ მოწიფებას ამთავრებს. კლებულობს მათი ზრდის ტემპი. მატულობს კუნთური ძალა და ფიზიკური ამტანობა. ამ მიმართულებით ბიჭები საგრძნობლად სჭარბობენ გოგონებს. უფროსკლასელთა ფიზიკური განვითარება უახლოვდება უფროსების ფიზიკურ განვითარებას. ამ ასაკში მოზარდებისთვის დამახასიათებელი ინტენსიური ტემპით ზრდა სუსტდება და დგება ფიზიკური განვითარების შედარებით მშვიდი პერიოდი. ამ ასაკში მიმდინარეობს ჩონჩხის შემდგომი ფორმირება. მნიშვნელოვნადაა გაფართოებული მკერდის გარშემოწერილობა, რისი შედეგაცაა ფილტვების სასიცოცხლო მოცულობის ზრდა, მიმდინარეობს ზერზემლის ყველა ნაწილის ინტენსიური ზრდა, მატულობს მისი მოქნილობა, მთავრდება მოზარდისათვის სპეციფიკური დისპროპორცია გულის კუნთისა და სისხლძარღვთა სისტემის განვითარებას შორის. მატულობს სისხლძარღვთა დამატერი, რის გამოც სისხლის მიმოქცევა ნორმალური ხდება და მიმდინარეობს ძალისხმევით გარეშე. როგორც აღენიშნეთ, მოზარდობის ასაკის დისპროპორცია სწორდება და აღიილი დაღლილობა ახლა ერთეულებისთვისაა დამახასიათებელი. სისხლის ნაკადის გაზრდა ორგანიზმში აძლიერებს ნივთიერებათა ცვლას და ხელს უწყობს ორგანიზმს სრულყოფასა და შემდგომ განვითარებას.

ჭაბუკებს აღენიშნებათ კუნთების ზრდა სიგრძესა და სიგანეში. თითქმის ორჯერ იზრდება კუნთების ბოჭკოების დამატერი, ვითარდება მკესები. წვრილი კუნთები დიფერენცირებული და სრულყოფილი ხდება, რის შედეგადაც უმჯობესდება მოძრაობათა სიზუსტე და კოორდინაცია. ამ ასაკის ვაჟები და ქალიშვილები იღებენ თავიანთი სქესისათვის დამახასიათებელ ტიპიურ გამოსახულებას. ქალებს უბრუნდებათ გარდამავალ ასაკში დაკარგული მოძრაობის გრაციულობა, ზოლო ვაჟებს ტლანჭი და უხეში მოძრაობები უჭრებათ. იზრდება კუნთების წონაც. 18 წლის ასაკში კუნთების წონა მთელის სხეულის წონასთან მიმართებაში შეადგენს საშუალოდ 44% (მოზარდებთან 32%).

ქალიშვილები თავიანთ სრულ სიმაღლეს 16-17 წლის, ზოლო ვაჟები 17-18 წლის ასაკში აღწევენ. მატულობს სხეულის წონა, თანაც ბიჭები ამ მიმართულებით გოგონებთან ადრეულ ფიზიკურ ჩამორჩენას ანაზღაურებენ. ძალიან სწრაფად

მატულობს კუნთური ძალა. 16 წლის ბიჭი 12 წლისაზე თითქმის ორჯერ ძლიერია.

უნდა აღინიშნოს, რომ უფროსკლასელთა სხეულებრივი განვითარება ამ ასაკში მთლიანად მაინც არ მთავრდება. სისპლემში ზრდა ფიზიკური ძალის მატება რამდენიმე ხანს ჭაბუკობის ასაკის შემდეგაც გრძელდება.

უფროსი სასკოლო ასაკის დასაწყისში, ჩვეულებრივ, მთავრდება სქესობრივი მომწიფება, სრულად ვითარდება მეორადი სასქესო ნიშნები, რასაც ჭაბუკის გარეგნობაში დიდი ცვლილებები შეაქვს. ზოგჯერ სქესობრივი მომწიფება ჭიანჭურდება (უფრო ხშირად ბიჭებში) და ჭაბუკებს უვითარდებათ მოზარდებისათვის დამახასიათებელი ფიზიკური ნიშნები. ფიზიკური და სოციალური სიმწიფე პარაზონიულად დგება 18 წლის ასაკში.

სქესობრივი განვითარების თვალსაზრისით ამ ასაკის ბიჭებისა და გოგონების უმრავლესობა უკვე პოსტპუბერტატულ პერიოდში იმყოფება. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ სქესობრივი სიმწიფე ჯერ კიდევ არ ნიშნავს სოციალურ სიმწიფეს. არსებითად ჭაბუკობის ასაკი არის წმინდა ფიზიოლოგიური სიმწიფიდან სოციალურ მომწიფებაზე გადასვლა. ამ პროცესის მთავარი შინაარსია უფროსების ცხოვრებაში ჩართვა და მათი საზოგადოებრივი ცხოვრების წესების, ნორმებისა და კანონების ათვისება. როგორც ცნობილია, ახლა სქესობრივი მომწიფება 2-3 წლით ადრე დგება წინა საუკუნესთან შედარებით, მაგრამ სოციალური მომწიფება უფრო გვიან ხდება.

მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიმჩნევა უფროსკლასელთა ნერვული სისტემის განვითარებაში. უნდა აღინიშნოს, რომ ეს ცვლილებები ტვინის მასის ზრდის ხარჯზე კი არ ხდება, არამედ ტვინის უჯრედული აგებულების გართულებითა და ასოციატიური ბოჭკოების რიცხვის ზრდით. ეს ბოჭკოები ქერქის ნაწილებს ერთმანეთთან აკავშირებს. ამ პროცესის საბოლოო შედეგეი ისაა, რომ იქმნება დიდი ჰემისფეროების ქერქის ანალიტიკურ-სინთეზური მოქმედების წანამბეღურები.

უფროსკლასელთა ფიზიკური განვითარება დიდ გავლენას ახდენს მათ ფსიქიკურ განვითარებასა და პიროვნების ჩამოყალიბებაზე; საკუთარი ფიზიკური ძალისა და გარეგნული მიმზიდველობის გაცნობიერება ხელს უწყობს ისეთი თვისებების ჩამოყალიბებას, როგორიცაა საკუთარ თავში დარწმუნებულობა, ოპტიმიზმი, ცხოველმყოფელობა. ხოლო საკუთარი ფიზიკური ნაკლის გაცნობიერება იწვევს ისეთი უარყოფითი თვისებების ჩამოყალიბებას, როგორიცაა უკმარობის კომპლექსი, ეჭვიანობა, საკუთარ ძალებში დაურწმუნებლობა, ჩაკეტილობა, ინდივიდუალიზმი.

ამრიგად, უფროსკლასელთა ფიზიკური განვითარების შედეგები განსაზღვრულ გავლენას ახდენენ პიროვნების ზოგიერთ ნიშანსა და თვისებაზე და განსაზღვრავენ სამომავლო ქცევებს.

უფროსი სასკოლო ასაკის ქალიშვილებში 15-სა და 16 წლებს შორის, ხოლო ვაჟებში 16-სა და 17 წლებს შორის არის ხანმოკლე, მომწიფების შემდგომი აგზნების ფაზა, რომელსაც ახალგაზრდობის კორიზისის სახელწოდებითაც აღნიშნავენ. ამ დროს აღინიშნება ერთგვარი აწეული აგზნებადობა, ემოციური დამაბულობა და მოტორული მოუსვენრობა. ქვეითდება ნებისმიერი ყურადღების

კონცენტრაციის უნარი და აკადემიურ წარმატებასთან დაკავშირებული ინტერესების ხარჯზე იზრდება სკოლის გარეთ მიმდინარე მოვლენებისადმი მისწრაფება. ამ მოვლენას ხსნიან ორგანიზმის ასაკობრივი განვითარების თავისებურებებით, ნერვული და გულ-სისხლძარღვთა სისტემის მგრძობელობის აწევით გაზლიზიანებლისადმი და საკუთარი „დიდობის“ ბოროტად გამოყენებით (სიგარეტის წვეის აშკარა დაწვევა, გვიან დაძინება, ცხოვრების ჩვეული რიტმისა და რეჟიმის დარღვევები და ა.შ.). საბედინეროდ ასეთი მდგომარეობა დიდხანს არ გრძელდება და მალე დგება სიცოცხლის ხალისით აღესილი ჭაბუკური ცხოვრება, რომელიც მომავალს ნათელ ფერებში ხატავს.

ამრიგად, ფიზიკური განვითარება უფროს სასკოლო ასაკში ძირითადად მთავრდება. ჭაბუკი 18წლის ასაკში აღწევს ფიზიკურ სიმწიფეს, რაც დამოუკიდებელი შრომითი ცხოვრების დასაწყისის საფუძველი ხდება.

თიხი ოცდაგვერთი

უფროსკლასელთა სასწავლო საქმიანობა და შემეცნებითი ფსიქიკური პროცესები

უფროსკლასელთა სასწავლო საქმიანობა შინაარსითა და ხასიათით მნიშვნელოვნად განსხვავდება მოზარდებისაგან. უფროსკლასელთა სასწავლო ქცევა გაცილებით მაღალ მოთხოვნებს უყენებს მათ აქტივობასა და დამოუკიდებლობას. ახლა პროგრამის უფრო ღრმად ათვისების საქმეში აუცილებელია თეორიული აზროვნების განვითარების მაღალი დონე. მოზარდების სასწავლო საქმიანობა ატარებს „მემორ-რეპოდუქციულ“ ხასიათს. მათთვის მთავარია იმის გაგება და დამახსოვრება, რაც მოისმინეს ან სახელმძღვანელოში ამოიკითხეს. უფროს სასკოლო ასაკში კი სასწავლო საქმიანობა გვევლინება შემეცნებითი ფსიქიკური პროცესების განვითარების მამოძრავებელ ძალად.

იცვლება აგერთვე უფროსკლასელთა სწავლისადმი დამოკიდებულება. ჭაბუკები აცნობიერებენ, რომ ისინი დამოუკიდებელი ცხოვრების მიჯნაზე დგანან, რის გამოც სწავლის როლი და მნიშვნელობა ნაოლად ცნობიერდება – ვითარდება სწავლისადმი შეგნებული დამოკიდებულება და იგი ცხოვრებისეულ აზრს ღებულობს. ცოდნის მოთხოვნილების ჩამოყალიბება უფროსკლასელთა მნიშვნელოვანი მონაპოვარია.

ხანდახან შეინიშნება სასწავლო საგნებისადმი ჭაბუკების შერჩევითი დამოკიდებულება. მოზარდებისაგან განსხვავებით ამის მიზეზია არა გადაცემის, ახსნის ოსტატობის ხარისხი და მიმზიდველობა, არამედ პროფესიულ მიმართულებასთან დაკავშირებული ინტერესები, რომელიც სწავლების პროფილირებული ფორმების შემოღებამ კიდევ უფრო გააღრმავა.

უფრო მყარი და მტკიცე ხდება უფროსკლასელთა ინტერესები ამა თუ იმ მეცნიერული მიმართულების მიმართ, რაც, თავის მხრივ, ხელს უწყობს პიროვნების შემეცნებით-პროფესიული მიმართულების განვითარებას, განსაზღვრავს პროფესიის არჩევას. ახლა უფროსკლასელი ხალისით ეცნობა დამატებით ლიტერატურას, ერთიანდება წრეებში, ესწრება ლექციებს და ა.შ. უფროსკლასელთა ინტერესების მრავალმხრიობა მასწავლებლებს, ხშირად, ძნელ მდგომარეობაში აყენებს. ჭაბუკების ყველა კითხვაზე მათ ამოწურავეი პასუხის გაცემა ყოველთვის არ შეუძლიათ. უფროსკლასელი უკვე ბევრს კითხულობს. მხატვრული ლიტერატურის პარალელურად მეცნიერულ-პოპულარული ლიტერატურის კითხვა უკვე დიდ ადვილს იჭერს. თვითგანათლების დაწყება უფროსკლასელთა სასწავლო საქმიანობის მნიშვნელოვანი მონაპოვარია.

უფროს სასკოლო ასაკში ღრმავდება სწავლების შინაარსი. დიდი მნიშვნელობა ენიჭება მოსწავლეთა აქტივობასა და დამოუკიდებელობას, მათი აზროვნების განვითარებას. ახლა სწავლება უფრო პრობლემურ ხასიათს ატარებს და მოსწავლეთა წინაშე ღებვა ისეთი კითხვები, რომლებიც უფრო ღრმა გააზრებას მოითხოვს. ყოველივე ეს გაელენას ახლენს ჭაბუკების სასწავლო-შემეცნებით ინტერესებზე. თუ გარდამავალ ასაკში შემეცნებით ინტერესთა სამრავლე შეიმწურდა,

ახლა ჭაბუკს ერთი ან ორი გაბატონებული შემეცნებითი ინტერესი გააჩნია, რაც, თავის მხრივ, მის ინტელექტუალურ სიმწიფეზე, თვითდამკვიდრებისა და პროფესიის არჩევის მუშაობაზე მიუთითებს. პროფილირებული სწავლების შემოღებასთან დაკავშირებით ნათლად იკვეთება უფროსკლასელთა კუმიანტიარული და საბუნებისმეტყველო ინტერესები.

უფროსკლასელთა სწავლის ინტერესის ზრდის ძირითადი მიზეზია ახალი მოტივაციური სტრუქტურის ჩამოყალიბება. ახლა წამყვან ადგილს იჭერს თვითგამორკვევასა და დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის მუშაობის მოტივები, რომლებიც პიროვნულ აზრს იძენენ. უფროსკლასელთა მოტივაციურ სტრუქტურაში ცენტრალური ადგილი უჭირავს საზოგადოების სრულყოფილი წევრის ადგილის დაკავების მოტივს. შენარჩუნებულა აგრეთვე სწავლის შინაარსისადმი და პროცესისადმი ინტერესიც. ჭაბუკებს ახლა უჩნდებათ ინტერესი თეორიული პრობლემებისადმი. ამ ასაკისათვის დამახასიათებელია სოციალური და შემეცნებითი მოტივაციის შერწყმა. ცენტრალურ ადგილს იკავებს ნებისმიერი მოტივაცია, რაც იმის მაჩვენებელია, რომ უფროსკლასელები სულ უფრო და უფრო ხელმძღვანელობენ შეგნებულად დასმული მიზნებითა და განზრახვით.

თვითკრიტიკულობის უნარის ზრდასთან ერთად უფროსკლასელები სასწავლო წარმატებლობაში ადანამაულებენ არა მასწავლებლებსა და აღმზრდელებს, არამედ ისეთ საკუთარ უარყოფით პიროვნულ თვისებებს, როგორცაა სიზარმაცე, უნებისყოფობა და ა.შ. ეს მეტად სენრიოზული წინსვლაა, რაც იმის საწინდარია, რომ იქმნება თვითგანათლების წინამძღვრები და საკუთარი უარყოფითი თვისებების შეცვლისა და გამოწმარების სწრაფვა. უფროსკლასელთა სწავლის პროცესი უნდა განვიხილოთ იმ თვალსაზრისით, თუ რამდენად უწყობს იგი ხელს თვითგანათლების პროცესს.

უფროს სასკოლო ასაკში ყალიბდება სასწავლო ქცევის ზოგადი ტიპურა და, ამავე დროს, ინდივიდუალური ფორმებიც. სასწავლო საქმიანობის ტიპური ფორმების მიხედვით გამოყოფენ უფროსკლასელთა ოთხ ჯგუფს.

1) ამ ჯგუფში ერთიანდებთან ის მოსწავლეები, რომელთა აკადემიური მოსწრება დაბალია. ისინი ვერ ავლენენ ინიციატივასა და დამოუკიდებლობას. მათი აზროვნებისთვის დამახასიათებელია ინერტულობა და პასიურობა. ეს მოსწავლეები სასწავლო მასალას ითვისებენ მასწავლებლის გადმოცემის მიხედვით, ტექსტს აღადგენენ ასე თუ ისე სიზუსტით, საკუთარი აზრისა და სიტყვების გარეშე, მასალას იხსოვებენ სიტყვა-სიტყვით. ხოლო თუ მასალა ძალიან ძნელია, სულაც ანებებენ სწავლას თავს. ასეთი მოსწავლეები არიან საკუთარ თავში დაურწმუნებლები, მოპყვით ციტატები. მათ უფრო კუმიანტიარული საგნები უყვართ. ამ ჯგუფის მოსწავლეთა სასწავლო საქმიანობის საფუძველია მეხსიერება, რომელიც ზოგიერთს კარგად აქვს განვითარებული. არიან ისეთი მოსწავლეებიც, რომლებიც არ გამოირჩევიან კარგი მეხსიერებით, მაგრამ ამის კომპენსაციას ზეპირობით ახდენენ.

2) აქ ლაბარაკია ისეთ უფროსკლასელებზე, რომელთა სასწავლო საქმიანობაში სჭარბობს ნათლად გამოხატული პრაქტიკული მიმართულება. ასეთი მოსწავლეები

ცდილობენ გაიგონ რთული მასალა და შეამოწმონ პრაქტიკულად. თუ ასეთი ტიპის მოსწავლეებმა დასაწაველ მასალაში დაინახეს პრაქტიკული აზრი, ისინი ყურადღებიანი და დანტერესებულნი არიან, ახალ მასალას, შეთვისების პროცესში აკავშირებენ ძველთან, რომლის პრაქტიკული მნიშვნელობა და ღირებულება უკვე გააზრებული აქვთ. ასეთ მოსწავლეებს უჭირთ თეორიული მასალის ათვისება.

3) ამ ჯგუფში ერთიანდებიან ამჟამად გამოხატული თეორეტიკოსები. მათ პრაქტიკა არ აინტერესებთ, იგი მათ ინტერესებსა და აზროვნების მიმართულებაში არ შეშლინის. ამ ტიპის მოსწავლეები არ ცდილობენ თავიანთი თეორიული ცოდნის პრაქტიკით გამაგრებას. მათი სააზროვნო მოქმედება გამოირჩევა განზოგადების და აბსტრაქციის მაღალი დონით. ასეთ ბავშვებს შეუძლიათ თავისუფლად გამოხატონ საკუთარი აზრი, დაამტკიცონ რაიმე დებულება და გამოიტანონ დასკვნებიც. სასწავლო მასალის ათვისების პროცესში მათ შეუძლიათ არსებითი გამოყოფა, სისტემტიზაციის წარმოება, დაძაბული გონებრივი მუშაობა და თვითგანათლების დაწყება. მაგრამ თუ თეორიული აზროვნების განვითარება შემდგომში პრაქტიკული საფუძვლების გარეშე მოხდა, ასეთ ბავშვებს გაუჭირდებათ თეორიის პრაქტიკასთან დაკავშირება.

4) ამ ჯგუფში აერთიანებენ ისეთ მოსწავლეებს, რომლებიც ერთმანეთთან პარამონიულად ათავსებენ თეორიასა და პრაქტიკას. ასეთ ბავშვებს აქვთ ფართო თვალსაწიერი და პრაქტიკული ჩვევებიც. მათ შეუძლიათ თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება. ასეთი მოსწავლეები ძნელ კითხვაზე არასოდეს პასუხობენ „არა“ ან „არ ვიცი“, არამედ იწყებენ პასუხის ძიებას და პოულობენ კიდევ მათთვის უცხა ტრაფარეტი და შაბლონი.

როგორც ვნახეთ, უფროს სასკოლო ასაკში ყალიბდება მსოფლმხედველობა, ე.ი. ჭაბუკები იმუშავებენ საკუთარ შესვლულებებს მეცნიერების, საზოგადოებრივი ცხოვრების, პოლიტიკისა და მორალის სფეროში. ყოველივე ეს ეფუძნება მოსწავლის საერთო განვითარების მიღწეულ დონეს. ცნებითი აზროვნების განვითარებასთან დაკავშირებით მოსწავლეთა აზროვნების შინაარსის მკვეთრი გარდაქმნა ხდება. იგი ახლა სინამდვილის ისეთ ახალ მხარეებსა და სფეროებსა მიმართული, რაც ადრე მიუწვდომელი იყო.

უმცროსკლასელებისაგან განსხვავებით მოზარდები უმეტესწილად მიმართულნი არიან საკუთარი განცდების შემეცნებისაკენ. უფროსკლასელები კი ცდილობენ შეიმეცნონ გარესამყარო მასში საკუთარი ადგილის დაკავების მიზნით. უფროსკლასელები, როგორც უმცროსკლასეები, მიმართულნი არიან გარესამყაროსადმი, მაგრამ ისინი გარესამყაროს უბრალოდ კი არ შეიმეცნებენ, არამედ შეიმუშავებენ საკუთარ თვალსაზრისსაც. ესაა უფროსკლასელთა ზოგადი მოტივაციური მიმართულება, რომელიც მათი შემეცნებითი მოქმედების სპეციფიკას ქმნის.

არსებითი ძვრები ხდება უფროსკლასელთა აზროვნების განვითარების მიმართულებით, იცვლება გონებრივი მუშაობის ხასიათი. აზროვნება ლებულობს აქტიურ, დამოუკიდებელ და შემოქმედებით ხასიათს. სააზროვნო ოპერაციები მიმდინარეობს განზოგადების და აბსტრაქციის უფრო მაღალ დონეზე, მიზნობრივი

კავშირის ძიებით, ვითარდება ლოგიკური დასაბუთების უნარი და დასკვნების გამოტანის შესაძლებლობა. ადრეული ჭაბუკობა გონებრივი უნარების განვითარების მნიშვნელოვანი ეტაპია. ინტელექტუალური განვითარება მხოლოდ იმაში კი არ გამოიხატება, რომ გროვდება გარკვეული ცოდნა და იცვლება ინტელექტის ცალკეული მხარეები, არამედ ყალიბდება გონებრივი მოქმედების ინდივიდუალური სტილი, რაც ამ ასაკის მნიშვნელოვანი მონაპოვარია. იწყება ნამდვილი მეცნიერულ-პრობლემური აზროვნების ფორმირება, რის გამოც ხდება სასწავლო საგნების ინტერესების მეცნიერულ ინტერესებში გადაზრდა. 16-17 წლიდან განსაკუთრებული სწრაფი ტემპით ვითარდება ლოგიკური აზროვნების უნარი, რასაც ლოგიკური აზროვნების ჩამოყალიბების თვალსაზრისით გადაწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება.

უფროს სასკოლო ასაკში მკვეთრად აქტიურდება თეორიული აზრი და მსჯელობები. ამ ასაკის მოსწავლეებს უკვე შეუძლიათ სხვადასხვა პრობლემებზე დამოუკიდებელი მსჯელობა. ისინი ხშირად კამათობენ, აწყობენ დისკუსიებს. ჭაბუკები უკვე მეცადინეობის პროცესში დამოუკიდებლობას აეღწევენ. მათ ახლა შეუძლიათ ისეთი მოხსენების მომზადება, რომელსაც ბევრი მუშაობა და ინტელექტუალური ძალისხმევა სჭირდება. უფროსკლასელები უკვე იყენებენ ენციკლოპედიებს, ლექსიკონებს და სხვა დამატებით ლიტერატურას. ეს მეტად მნიშვნელოვანი წინსვლაა.

უფროსკლასელთა აზროვნება დამოუკიდებელ, სისტემატურ ხასიათს ღებულობს, რაც შეთვისებული ცოდნის სისტემაში მოყვანას გულისხმობს. ლაპარაკობენ უფროსკლასელთა აზროვნების სიღრმის შესახებ, რომელშიც გულისხმობენ იმას, რომ ახლა ჭაბუკებს შეუძლიათ მოვლენათა ხიზრავლიდან არსებითის გამოყოფა და გამოიწვევი მიზეზების დადგენა (მათ უკვე ყველაფრის მიზეზი აინტერესებთ), აეღწევენ დიდ ინტერესს თეორიული საკითხების მიმართ. უფროსკლასელთა აზროვნება უფრო კრიტიკული ხდება. სანამ გადაწყვეტილებას მიიღებდნენ, ჭაბუკები მოზარდებთან შედარებით უფრო საფუძვლიანად და სერიოზულად ფიქრობენ, ახასიათებთ საკუთარი აზრის აწონ-დაწონა, უფრო ნაკლებად სწყინთ კრიტიკა. მათზე ძლიერ მოქმედებს დასაბუთება და ლოგიკა. ყოველივე ეს თეორიული და შემოქმედებითი აზროვნების ჩამოყალიბების წინამძღვარია. აზროვნების განვითარებასთან ერთად ვითარდება ჭაბუკების მეტყველებაც, რომელიც ახლა უფრო ზუსტი, სწორი და ენობრივად გამართული ხდება. ამ ასაკის მოსწავლეები ძალიან აფასებენ მწყობრ და ლოგიკურ მეტყველებას და ამას უპირველეს ყოვლისა მოითხოვენ მასწავლებლებისაგან. ჭაბუკებს განსაკუთრებით სწრაფად უვითარდებათ საეციალური უნარები, რასაც ხელს უწყობს შემეცნებითი ინტერესების დიფერენციაცია. გონებრივი უნარების დიფერენციაცია გოგონებთან შედარებით ბიჭებში უფრო ადრე იწყება. საეციალურ უნართა ფორმირება და განვითარება განპირობებულია სწავლების ხასიათითა და მიმართულებით. ამის გამო პროფილირებული ფორმის სწავლება დიდ ასაკურებს ქმნის.

აბსტრაქტულ-ლოგიკური აზროვნების განვითარება არა მარტო ახალი ინტელექტუალური თვისებების ჩამოყალიბებას გულისხმობს, არამედ იგი შესაბამის მოთხოვნილებასაც ბადებს. ჭაბუკებს შეუძლიათ დიდხანს და შეუპოვრად იკამათონ

რაიმე მოვლენაზე, მაგრამ არ იცოდნენ მისი არსი. ეს „უკმე“ კამათი და „ცარიელი ფილოსოფოსობა“ ინტელექტის განვითარების წინსვლის მაჩვენებელია. იგი ისეთივე აუცილებელი, საჭირო და სასარგებლოა, როგორც სკოლაძღელის გაუთავებელი „რატომ?“ ეს უფროსკლასელის ინტელექტუალური განვითარების ახალი სტადიაა. აბსტრაქტული აზროვნება ტიპიურია ჭაბუკებისათვის.

უფროსკლასელი გოგონები, საერთოდ, ბიჭებზე უკეთესად სწავლობენ, მაგრამ მათი შემეცნებითი ინტერესები ნაკლებადაა გამოკვეთილი და დიფერენცირებული. გოგონები უკეთესად წყვეტენ კონკრეტულ ამოცანებს, ვიდრე – აბსტრაქტულს. საბუნებისმეტყველოსთან შედარებით მათ მხატვრულ-ჰუმანიტარული ინტერესები უფრო აქვთ განვითარებული.

უფროსკლასელთა გონებრივი განვითარება მდგომარეობს არა მარტო ცოდნის დაგროვებასა და ინტელექტის ზოგიერთი თვისების შეცვლაში, არამედ გონებრივი მოქმედების ინდივიდუალური სტილის ჩამოყალიბებაშიც. უფროსკლასელთა აზროვნების სტილი დამოკიდებულია მათი ნერვული სისტემის ტიპზე. ჭაბუკები, რომელთაც ინერტული ნერვული სისტემა აქვთ, სასწავლო დავალებებით გადატვირთვის შემთხვევაში სწავლობენ უფრო ცუდად, ვიდრე მოძრავი ნერვული სისტემის ტიპის მოსწავლეები, რადგანაც მასალის გადაცემის ტემპს ვერ მისდევენ. მაგრამ სათანადო ხელმძღვანელობითა და ვარჯიშით შეიძლება ნერვული სისტემის ამ ნაკლის კომპენსირება ზუსტი დაგეგმვითა და საკუთარი ქცევის კონტროლით. ყოველივე ეს სწავლებაში ინდივიდუალური მიდგომის აუცილებლობაზე მოუთითებს.

მეხსიერების განვითარების თვალსაზრისით შესამჩნევად იზრდება სიტყვიერ-ლოგიკური, აზრობრივი დამახსოვრების როლი. რა თქმა უნდა. დომინირებს ნებისმიერი მეხსიერება, მაგრამ უნებლიე მეხსიერებაცაა შემორჩენილი.

შემეცნებითი მოქმედების განვითარების პროცესში ადამიანს გამოუმუშავდა ინფორმაციის შენახვის განსაზღვრული თავისებურება. ადამიანს შეუძლია შეინახოს უფრო განზოგადებული ექვივალენტები ან კოდები. ინფორმაციის ასეთი ფორმით შენახვა არის მეხსიერების განვითარების მაღალი დონის მაჩვენებელი. ესაა მასალის ლოგიკური გადამუშავების პროცესი და ლოგიკური მეხსიერების ხერხების დაუფლება. ამ დროს მასალის დამუშავების მიზნით, ხდება მისი კლასიფიკაცია და აზრობრივი დაჯგუფება. დამახსოვრების ეს ხერხი უფრო ფართო განზოგადებს მოითხოვს და იგი გარდამავალი ასაკიდან იწყება. უფროს სასკოლო ასაკში კი იგი უკვე წარმატებით გამოიყენება.

უფროს სასკოლო ასაკში იზრდება ყურადღების მოცულობა, მისი ინტენსივობა ხანგრძლივობა და ერთი საგნიდან მეორეზე გადასაცვლების უნარი. ამასთანავე ყურადღება ხდება უფრო შერჩევითი და ინტერესთა მიმართულებაზე დამოკიდებული.

თაზვი ოცდაშვიტი
პიროვნების განვითარება უფროს
სასკოლო ასაკში

უფროსკლასელის ფსიქიკური განვითარება არსებით ცვლილებებს განიცდის იმ ასაკი მდგომარეობის გამო, რომელიც მას ახლა უკავია მოზარდებთან შედარებით ოჯახში, სკოლაში და საზოგადოებაში. ეს ცვლილებები ჯერ კიდევ წინა პერიოდში მზადდება, როცა ჩამოყალიბებას იწყებს „მოწიფულობის გრძობა“, დამოუკიდებლობისკენ სწრაფვა, თანატოლთა კოლექტივში შესაფერისი ადგილის დაკავებისა და უფროსების მოწონების, პატივსაცემისა და აღიარების მოპოვების ღიდი მისწრაფება.

მოზარდებთან შედარებით უფროსკლასელებს ოჯახში უფრო საპასუხისმგებლო და სერიოზული მდგომარეობა უკავიათ. მოზარდების უდიდესი მისწრაფება არის ის, თუ როგორ მოაჩვენონ თავი უფროსებს „უფროსებად“. უფროსკლასელებს კი ეს მდგომარეობა ახლა ფაქტიურად უკავიათ. მათ აზრს უკვე ანგარიშს უწყვენ.

პიროვნების განვითარების თვალსაზრისით გარდამავალი ასაკი არის ბავშვობიდან მოზარდილობაში გადასვლის დასაწყისი პერიოდი. სოციალურ ურთიერთობაში მოზარდის რთული, შუალედური მდგომარეობა აპირობებს მის როგორც ნახევრად ბავშვისა და ნახევრად მოზარდის გაურკვეველ მდგომარეობას. უმცროსი მოზარდებისათვის დამახასიათებელია უფროსებისადმი მკვეთრი დაპირისპირება, მინაგანი დისპარმონია, დამოუკიდებლობისკენ სწრაფვა და ა.შ. უმცროსკლასელებთან შედარებით მოზარდის პიროვნება თვისობრივად გარდაიქმნება, იცვლება უფროსებთან დამოკიდებულების ძველი ტიპი, ხდება ბავშვური დამოკიდებულების ტიპიდან დამოკიდებულების უფრო მაღალ ტიპზე გადასვლა, რომელიც უკვე გარკვეულ საზოგადოებრივ ნორმებზეა დამოკიდებული. შეიძლება ითქვას, რომ ახლა იწყება შეგნებული, ნამდვილი პიროვნების ფორმირება. ე.ი. პიროვნება იბადება მეორეჯერ. იწყება პიროვნების როგორც თვითგანვითარებადი და თვითმართვითი სისტემის ჩამოყალიბება. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მოზარდებში ეს თვითცვლა და თვითსრულყოფა ჯერ კიდევ ეპიზოდურია და ცალკეული თვისებების განვითარებისკენ უფროა მიმართული. „დამოუკიდებლობის მაქსიმუმის“ პოზიციიდან გამოდინარე ჩნდება ამ ასაკის პიროვნების ცენტრალური ახალწარმონაქმნი – მოწიფულობის გრძობა, საკუთარი თავის გარესსამყაროსადმი დაპირისპირება, საკუთარი „მე“-ს გაცნობიერება, რომლის შედეგია საკუთარი და სხვების შინაგანი სამყაროსადმი ღიდი ინტერესის გაჩენა.

გარდამავალ ასაკში წამყვანი მნიშვნელობა ენიჭება ურთიერთობის მოთხოვნილებას. ამასთან, ეს ურთიერთობა არჩევითია და ძირითადად მიმდინარეობს იმ თანატოლებთან, რომელთანაც მოზარდს მსგავსი პიროვნული თვისებები აქვს. ესაა ურთიერთობის სრულიად ახალი ტიპი. ე.ი. ახლა სასწავლო მოქმედება უკვე აღარაა წამყვანი, როგორც ეს უმცროს სასკოლო ასაკში იყო. ახლა ძირითადი და წამყვანი თანატოლებთან „ინტიმურ-პიროვნული ურთიერთობანი“. უფროს მოზარდებთან კი უკვე წინა პლანზე გამოსლას იწყებს პროფესიული

მომენტიც, როცა მოტივად გვევლინება პროფესიონალური თვითგამორკვევა და ცხოვრებისეული გზის არჩევა. თუ უმცროსი მოზარდისთვის დამახასიათებელი იყო მომავლის ხატის განუსაზღვრელი ოცნების ფორმაში არსებობა, უფროს მოზარდებში იგი ყალიბდება განზოგადებული ცხოვრებისეული გეგმების სახით. ხდება კითხვების დიფერენციაციაც: 1) „რა უნდა გამოვიღე“ (პროფესიული თვითგამორკვევა) და 2) „როგორი უნდა გამოვიღე“ (ზნეობრივი თვითგამორკვევა, რაც მნიშვნელოვანი მომენტია).

ცხოვრებისეული გეგმები პირველად გარდამავალ ასაკში ცნობიერდება. ესაა იმ რთული პროცესის მარცნობელი, რომელსაც მოზარდის მიერ საკუთარი შინაგანი საყმროს გაგებას და გაცნობიერება იწვევს. მომავალთან დამოკიდებულება მოზარდის პიროვნების განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მარცნობელია.

გარდამავალი ასაკის ბოლოს ამ პერიოდის ახალწარმონაქმნად გვევლინება თვითგამორკვევა, რომელიც ხასიათდება არა მარტო საკუთარი შესაძლებლობებისა და მისწრაფებების გააზრებით, არამედ ადამიანთა საზოგადოებაში საკუთარი ადგილისა და დანიშნულების გაცნობიერებით.

უფროსი სასკოლო ასაკით, ძირითადად, მთავრდება ბავშვის განვითარების პერიოდიზაცია, თუმცა განვითარება შემდგომ ასაკშიც გრძელდება. პიროვნების მოწიფელობა იწყება ადრეული ჭაბუკობიდან. ამ დროს ხდება არსებითი პიროვნული გარდაქმნები. ფსიქიკური განვითარების პროცესი, პიროვნების ჩამოყალიბება, ძირითადად, მთავრდება უფროსი სასკოლო ასაკის ბოლოს, როცა ადამიანის შრომითი და მოქალაქეობრივი სიმწიფე იწყება.

ადრეული ჭაბუკის მთავარი ფსიქოლოგიური მონაპოვარია საკუთარი შინაგანი სამყაროს უფრო ნათელი გააზრება და გაცნობიერება, ვიდრე ამას გარდამავალ ასაკში ჰქონდა ადგილი. საკუთარი შინაგანი სამყაროს აღმოჩენა და მისი ფაქიზი ანალიზი რთული ბუნების პროცესია. უფროსკლასელი უკვე გრძნობს საკუთარ „განუშვებლობას“, რაც მეტად მნიშვნელოვანი ფსიქოლოგიური აღმოჩენაა.

როგორც აღვნიშნეთ, უფროს სასკოლო ასაკში პიროვნების განვითარებაზე დიდ გავლენას ახდენს მოსწავლის მდგომარეობა სკოლაში, ოჯახსა და საზოგადოებაში. ეს მდგომარეობა ახლა უფრო საზოგადოებრივ ხასიათს ატარებს და იგი სკოლის საზღვრებს სცილდება. ადრეული ჭაბუკობის ძირითადი ახალწარმონაქმნია პიროვნული თვითგამორკვევისადმი ფსიქოლოგიური მზაობა. უფროსკლასელთა სპეციფიკური თავისებურებაა მათი არაერთგვარი სოციალური მდგომარეობა. ერთი მხრივ, მათ აწუსებთ მოზარდობის ასაკიდან გადმოყოლილი ისეთი პრობლემები, როგორიცაა უფროსებისაგან ავტონომიის უფლება, ურთიერთდამოკიდებულებანი, თანატოლებთან (განსაკუთრებით საწინააღმდეგო სქესის) და უფროსებთან ურთიერთობის პრობლემები და ა.შ. მეორე მხრივ კი, მათ წინაშე მთელი სიმწვაით დგება ცხოვრებისეული თვითგამორკვევის ამოცანები. ასეთი თავისებური სოციალური სიტუაცია აპირობებს პიროვნების განვითარების თავისებურებას უფროს სასკოლო ასაკში. სწორედ ამ ახალი სოციალური სიტუაციის საფუძველზე ხდება უფროსკლასელის პიროვნების მოტივაციური სფეროს ცვლილებები, რომლებიც, თავის მხრივ, სხვა თვისებების შეცვლის მიზეზი

და საფუძველი ხდება. ახლა პიროვნების ძირითადი მიმართულებაა მოძველისაკენ სწრაფვა და პროფესიის არჩევის პრობლემა.

უფროსკლასელის ძირითადი ახალწარმონაქმნი, როგორც აღვნიშნეთ, არის პიროვნული და პროფესიული თვითგამორკვევა: ზოგიერთი ავტორი უფრო აზუსტებს ამ პოზიციას და ამბობს, რომ უფროს სასკოლო ასაკში ყალიბდება არა თვითონ პიროვნული და პროფესიული თვითგამორკვევა, არამედ მისადმი ფსიქოლოგიური მზაობა. მათი აზრით როგორც პირველკლასელი უნდა იყოს ფსიქოლოგიურად მზად სასკოლო სწავლების დასაწყებად, ასევე სჭირდება უფროსკლასელსაც ფსიქოლოგიური მზაობა უფროსის როლის შესასრულებლად, თვითგამორკვევისადმი ფსიქოლოგიური წარმონაქმნები და მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფენ მათ შემდგომ შეგნებულ, აქტიურ, შემოქმედებით ცხოვრებას.

განვითარების სოციალური სიტუაციის ანალიზის პროცესში ვასკენით, რომ უფროსკლასელი დგას დამოუკიდებელი ცხოვრების დაწყების ზღვარზე. ცხოვრებაში საკუთარი ადგილის განსაზღვრა არის უფროსკლასელის განვითარების სოციალური სიტუაციის ძირითადი კომპონენტი. ამის გამო უფროსკლასელისთვის პროფესიის არჩევა პირველხარისხოვან მნიშვნელობას იძენს, რადგანაც ფიქტიური განვითარების მიღწეული დონის კვალობაზე მათთვის პრობლემის გადაჭრა საერთოდ მომავალი ცხოვრებისეული გზის არჩევის ტოლფასია. ფოკელივე ეს ქმნის განვითარების სპეციფიკურ სოციალურ სიტუაციას. პროფესიის არჩევა უფროსკლასელის განვითარების სოციალური სიტუაციის ფსიქოლოგიური ცენტრია და იგი იქცევა ჭაბუკის შინაგან პოზიციად. მოზარდებთან შედარებით უფროსკლასელთა შინაგანი პოზიცია მიმართულია მომავალზე და აწმყო განიხილება როგორც მათი პიროვნების ძირითადი მიმართულების ფონი.

ასპერლინგი გამოყოფს მოწიფულობის შეიდ კრიტერიუმ ადრულ ჭაბუკობაში:

- 1) დამოუკიდებლობა ოჯახში: ახლა ჭაბუკი, გარკვეული ზომის, თავისუფალი ხდება ოჯახზე მიჯაჭვულობისგან.
- 2) ემოციური სიმწიფე. ხდება ემოციების ბეშუური თვითგამოხატვისაგან მოწიფულ ფორმებზე გადასვლა.
- 3) სოციალური სიმწიფე. ამ ასაკში შესაძლებელი ხდება ადამიანებთან კონტაქტების და ურთიერთობების დამყარება. ჭაბუკი, ახლა, გემოვნების საკითხში ეყრდნობა საკუთარ თავს და ავლენს შემწყნარებლობას განსხვავებული აზრების მიმართ.

4) ეკონომიკური დამოუკიდებლობა. ახლა შესაძლებელი ხდება მუშაობის დაწყება.

5) ინტელექტუალური სიმწიფე. უკვე შესაძლებელია მტკიცებულებების ლოგიკური დასაბუთება.

6) დასვენების დროის გამოყენება. ახლა შესაძლებელია დასვენების ისე ორგანიზება, რომ მოხდეს ენერჯის აღდგენა.

7) ცხოვრების ფილოსოფია. ამ ასაკში ხდება ცხოვრების საზრისის გაგება და მსოფლმხედველობის ჩამოყალიბება. ფორმირდება ზნეობრივი იდეალები.

მომავალთან დაკავშირებული უფროსკლასელთა ისეთი მოტავები, როგორიცაა განათლების მიღება, აუცილებელი ცოდნის მოპოვება, ახლა არა მხოლოდ

დომინირებული მოტივებია, არამედ მათი სასწავლო ქცევის უშუალო აღმპერელებადაც გადაიქცევა.

მომავალი ცხოვრების მიმართულების და ამ ცხოვრებაში საკუთარი ადგილის დაკავების მოთხოვნილება არის ამ ასაკის მოსწავლის თვითგამორკვევის ნამდვილი აქტი, რომლის თვალსაზრისითაც უნდა განვიხილოთ მოცემული ასაკის ყოველი თავისებურება. რა თქმა უნდა, თვითგამორკვევის პრობლემები, ცხოვრების აზრი და მიზანი უფროს სასკოლო ასაკში საბოლოოდ კი არ მთავრდება, არამედ მთელ ცხოვრების პერიოდში გრძელდება. მაგრამ უფროს სასკოლო ასაკში ისინი პირველად აღმოცნდებიან როგორც აქტუალური აღმპერელნი და ფსიქიკური განვითარების უმნიშვნელოვანეს ფაქტორს წარმოადგენს. ამრიგად, თვითგამორკვევა უმცროსკლასელის პიროვნების ცენტრალური ახალწარმონაქმნია. ესაა უფროსკლასელის მოთხოვნილება დაიკავოს უფროსის შინაგანი პოზიცია, გააცნობიეროს საკუთარი თავი როგორც საზოგადოების წევრი, გაიზაროს საკუთარი ადგილი და დანიშნულება ცხოვრებაში, თვითგამორკვევა ესაა პროფესიის არჩევა და პროფესიული პერსპექტივის და ცხოვრებისეული პოზიციის განსაზღვრაც. უნდა აღინიშნოს, რომ პროფესიის არჩევა უფროსკლასელთა ერთ ნაწილთან არაა მტკიცე და ეს პრობლემა ხშირად ნაჩქარევად წყდება დამამათავრებელი კლასების ბოლოს. არის შემთხვევები, როცა პროფესიის არჩევა ხდება უმაღლეს სასწავლებელში მისაღებ გამოცდებზე საბუთების შეტანის დღეებშიც.

ასეთია, მოკლედ, განვითარების სოციალური სიტუაცია უფროს სასკოლო ასაკში.

შესაძნევედ ვითარდება უფროსკლასელის თვითცნობიერება და თვითშეფასება, რომლებიც ახლა თვისობრივად ახალ შინაარსს ღებულობს. მათი მთავარი ამოცანაა საკუთარი პიროვნების მორალური ნიშნების და ცხოვრებისეული გეგმების შეფასება, რითაც, ძირითადად, განსხვავდება მოზარდისა და უფროსკლასელის თვითცნობიერება ერთმანეთისაგან. ოჯახსა და კოლექტივში ახალი მდგომარეობა და გარეშემოქმედებთან ახალი დამოკიდებულებები მოსწავლეს აიძულებს შეაფასოს საკუთარი შესაძლებლობები, გააცნობიეროს საკუთარი პიროვნების თავისებურებანი იმ მიზნებთან შესაბამისობაში ან შეუსაბამობაში, რომელსაც მას ცხოვრება უყენებს. უფროსკლასელის თვითცნობიერება, მოზარდთან შედარებით, უფრო დამოუკიდებელ ხასიათს ატარებს. იგი არ იჩეორებს უფროსების შეფასებებს, არამედ ეყრდნობა მხოლოდ საკუთარს, ახლოა საკუთარ პიროვნებასთან, ქცევას და მოქმედებას საკუთარი საზომით ზომავს და აფასებს. ეს მომენტი უფროსკლასელის თვითცნობიერების ერთ-ერთი მთავარი მანქვენებელია მოზარდებთან შედარებით. ამიტომ არაა გასაკვირი, რომ უფროსკლასელის მიერ საკუთარი პიროვნების შეფასება ნაკლებად ობიექტური იყოს, ვიდრე მოზარდის მიერ საკუთარი პიროვნების შეფასება, რადგანაც, მოზარდები, ხშირად, უფროსების შეფასებებს იმეორებენ. ამის გამოა, რომ უფროსკლასელები, ზედმეტად აფასებენ, გადააფასებენ ხოლმე საკუთარ პიროვნებას, ავლენენ ავადმყოფურ თავმოყვარეობას, ყოყორობენ კიდევ. ზოგიერთები კი დაბალი დონის შეფასებებსაც ავლენენ.

უფროსკლასელს ახლა საკუთარი პიროვნების შეფასება შეუძლია მთლიანობაში და არა რომელიმე ცალკეული ნიშნის მიხედვით, როგორც ეს მოზარდებში

ხდება. მოზარდი, როგორც ვნახეთ, ამას აკეთებდა ერთი ან რამდენიმე პიროვნული ნიშნის მიხედვით და შემდეგ მთელ პიროვნებაზე ავრცელებდა.

ამერიკელი ფსიქოლოგი მ. როზენბერგი გამოყოფს „მე“-ს ხატის ექვს სახეს:

1) „ნამდვილი „მე“ – როგორსაც ინდივიდი თავის თავს ხედავს სინამდვილეში მოცემულ მომენტში.

2) „დინამიური „მე“ – როგორც ინდივიდს აქვს მიზნად დასახული რომ გახდეს.

3) „ფანტასტიკური „მე“ – როგორც უნდა იყოს ის შესაფერი ნორმებისა და ნიშნების მიხედვით.

4) „მოშავალი ან შესაძლო „მე“ – როგორც ის უნდა გახდეს.

5) „იდეალური „მე“ – როგორ სასიამოვნო და მოსაწონი იქნება დაინახოს საკუთარი თავი.

6) „წარმოდგენილ „მე“-ს რიგი, ესაა იმ ხატებისა და „ნიღბების“ წარმოდგენები, რომელსაც ინდივიდი იღებს მოჩვენებით, რათა დაფაროს რომელიმე უარყოფითი თვისება ან „ნამდვილი „მე“.

თვითშეფასება გვევლინება ხან კოგნიტური, ხან ემოციური ტონით შეფერილი. მაგალითად, ვ. ჯეიშის აზრით თვითშეფასება უპირველეს ყოვლისა ესაა საკუთარი თავით კმაყოფილება ან უკმაყოფილება. ა. სპირკინი და სხვები უპირატესობას ანიჭებენ თვითშეფასების კოგნიტურ, შემცენებით მხარეს. ამ თვალსაზრისით თვითშეფასება გვევლინება როგორც თვითშეცნობის შემდგენელი ნაწილი. თ. ჩენსოკოვას შრომების მიხედვით თვითშეფასება განიხილება როგორც საკუთარი თავის შეცნობის შედეგის ფიქსირება. ესაა ემოციური განცდა იმისა, რასაც ადამიანი საკუთარი თავის მიმართ იგებს. ამასთანავე, თვითშეფასების ძირითადი ფუნქცია ისაა, რომ იგი ქცევის რეგულატორად გვევლინება.

თვითშეფასების შინაარსი რთული და მრავალსაქვებოა. იგი მორალურ სფეროსაც მოიცავს. პიროვნების განვითარების ცალკეულ ეტაპზე თვითშეფასება თვითცნობიერების განვითარების დონეს ასახავს.

ვ. ჯეიშის მიმდევრის რ. შეილის მიხედვით თვითცნობიერება არის საკუთარი თვითკმაყოფილების ხარისხის მაჩვენებელი. კ. როჯერსის აზრით თვითშეფასების სტრუქტურაში გამოიყოფა რეალური და იდეალური „მე“: იგი გამოყოფს ოთხ პარამეტრს: ა) რეალური წარმოდგენა საკუთარ თავზე; ბ) წარმოდგენა საკუთარი სოციალური როლის შესახებ; გ) წარმოდგენა საკუთარი ფიზიკური მდგომარეობის და ჯანმრთელობის შესახებ და დ) წარმოდგენა საკუთარი მიზნების, გეგმებისა და სურვილების შესახებ; იდეალური „მე“ – თვითაღზრდის დიდი სტიმულია. ეს განსაკუთრებით უფროს სასკოლო ასაკშია აქტუალური.

თვითცნობიერება უფროს სასკოლო ასაკში უფრო კრიტიკული და თვითკრიტიკულია მოზარდებთან შედარებით. იგი უფროსისა და თანატოლის მორალურ მხარეს მაღალ მოთხოვნებს უყენებს. მაგალითად, უფროსკლასელთა მიერ თანატოლების მორალურ-ნებელობითი თვისებების შეფასების შესწავლის საფუძველზე აღმოჩნდა, რომ ამ თვალსაზრისით უფროსკლასელები მორალურ ნიშნებს ანიჭებენ უპირატესობას ნებელობასთან შედარებით. გოგონების დიდი

უმრავლესობა საკუთარ თავს და სხვებს უმეტესწილად მორალური ნიშნების მიხედვით აფასებენ.

საკუთარი თავისადმი ინტერესი უფროსკლასელებში მეტად ინტენსიურად ვითარდება. ისინი გარშემომყოფებთან დამოკიდებულებას საკუთარი თავის შესახებ შექმნილი წარმოდგენებისა და ხატის მიხედვით აგებენ, თუმცა, როგორც აღვნიშნეთ, საკუთარი ხატი ჯერ კიდევ არაა მყარი. უფროსკლასელი საკუთარ თავზე დაკვირვებისას აღმოაჩენს, რომ მასში ერთდროულად და ერთმანეთის გვერდით არის მოცემული მაღალი მორალური იდეალები და მდაბალი მისწრაფებები, ეგოიზმიც და ალტრუიზმიც, სითამამეც და მორცხვობაც და ა.შ.

თვითცნობიერება, როგორც საკუთარი მორალურ-ფსიქოლოგიური და გაცნობიერების თვისებების შეფასების მოთხოვნილება ჯერ კიდევ, როგორც ენახეთ, გარდამავალ ასაკში ვითარდება. მაგრამ საკუთარი თავის მიმართ გაცილებით ღრმა ინტერესი უფროს სასკოლო ასაკში ჩნდება. ამ ასაკში თვითცნობიერება აღწევს სრულყოფას. ახლა თვითცნობიერება არაა დაკავშირებული მოსწავლის მიერ საკუთარი განცდების სამყაროში შესვლასთან და არ წარმოადგენს უსაფოფო და უმბზო თვითანალიზს. თვითცნობიერების ამოცანებს ამჯერად ცხოვრების უფრო და უფრო გათულებული პირობები სვამს. ახალი მდგომარეობა სკოლაში, ოჯახსა და საზოგადოებაში აიძულებს უფროსკლასელს ობიექტურად შეაფასოს საკუთარი შესაძლებლობანი, გააცნობიეროს საკუთარი პიროვნული თვისებები მისადმი წაყენებულ მოთხოვნებთან შესაბამისობის ან შეუსაბამობის თვალსაზრისით. უფროსკლასელი მოზარდზე უფრო ღრმად და უკეთესად აფასებს საკუთარი პიროვნების დადებით და უარყოფით თვისებებს. მოზარდები, ჩვეულებრივ, აცნობიერებენ პიროვნული თვისებების მხოლოდ გარეგნულ გამოვლინებებს, ხოლო უფროსკლასელები კი ისეთ ნიშნებს, რომლებიც უშუალოდ არ აღიქმებიან და სიღრმისეულია. უფროსკლასელთა თვითცნობიერება მოზარდებთან შედარებით გაცილებით აქტიურია. ისინი უფრო აქტიურად ცდილობენ აღზარდონ საკუთარ თავში დადებითი თვისებები და მოიშარონ უარყოფითი ნიშნები. ე.ი. თვითაღზრდის მოთხოვნილება უფროსკლასელებში გაცილებით უფრო ინტენსიურია, ვიდრე მოზარდებში. თვითაღზრდის თვალსაზრისით უფროსკლასელთათვის დამახასიათებელია განსაზღვრული მორალურ-ფსიქოლოგიური ხატის ჩამოყალიბება მთლიანობაში და არა რომელიმე ცალკეული თვისების თვითაღზრდა. ეს კი მნიშვნელოვანი წინსვლაა. ჭაბუკისათვის გარე სამყარო სუბიექტური გამოცდილების შესაძლებლობაა, რომლის ცენტრშიც თვითონ იმყოფება.

თვითცნობიერება გულისხმობს საკუთარი თავის იგივეობრიობის ცნობიერებას, საკუთარი „მე“-ს, როგორც აქტიური საწყისის ცნობიერებას, საკუთარი ფსიქიკური თვისებების გაცნობიერებისა და სოციალურ-ზნეობრივი თვითშეფასების სისტემას. ყველა ეს მომენტი ერთმანეთთან მჭიდროდაა დაკავშირებული როგორც გენეტიკურ, ისე ფუნქციური თვალსაზრისით, მაგრამ ისინი ერთდროულად არ ყალიბდება. საკუთარი ფსიქიკური თვისებების გაცნობიერება და თვითშეფასება ყველაზე ღიად მნიშვნელობასა და აქტუალობას გარდასამავალსა და უფროს სასკოლო ასაკში იძენს.

გარდამავალ ასაკში მოზარდი სრულიად განსხვავებულად აღიქვამს თავის ფიზიკურ ზატს. საკუთარი სხეულის ზატისადმი გაძლიერებული ინტერესი ჭაბუკებსაც ახასიათებთ, რადგანაც ამაზე ღიდადა დამოკიდებული თანატოლებთან მათი პრესტიჟი და პოპულარობა. უფროსკლასელთა ნაწილს აწუხებს დაბალი ტანი, სიმსუქნე, ნაგვიანევი სქესობრივი მოშწიფება და ა.შ. მეორადი სასქესო ნიშნების დავიანება არასრულფასოვნობის კომპლექსაც ავითარებს. საკუთარი სხეულის ზატის მოვლისადმი მიმართული ზრუნვა, რაც უფროსკლასელებისთვის ძალიანაა დამახასიათებელი, უკვე სოციალურ-ფსიქოლოგიური ფუნქციის მატარებელია და თვითდამკვიდრების მოთხოვნის დამკვიდრების ერთ-ერთი საშუალება ზდება.

თვითრეფლექსიის ზრდა, საერთოდ, საკუთარი თავისადმი გაძლიერებული ინტერესი, ტიპურია ადრეული სიჭაბუკისათვის. ეს მოვლენა, თავის მხრივ, ეგოცენტრიზმისა და საკუთარ თავში ჩაკეტილობის გარკვეულ საფრთხესაც შეიცავს. ეს განსაკუთრებით იმ მოსწავლეების მიმართ ითქმის, რომლებსაც ნევროტიზმის ნიშნები ახასიათებთ. ჭაბუკური თვითრეფლექსია არის საკუთარი „მე“-ს და სამყაროში საკუთარი ადგილის გაცნობიერება, რის გამოც თვითანალიზი სოციალურ-ზნეობრივი თვითგამორკვევის მნიშვნელოვან ელემენტად იქცევა. თვითანალიზისა და თვითრეფლექსიის სიღრმე და საკუთარი თავისადმი მაღალი მოთხოვნები თვითაღზრდის წარმატებით განხორციელების ერთ-ერთი ძირითადი პირობაა. თვითრეფლექსიის სიღრმე კი დამოკიდებულია ისეთ სოციალურ და ინდივიდუალურ-ტიპოლოგიურ ფაქტორებზე, როგორცაა სოციალური წარმომავლობა და გარემო, განათლების დონე, ექსტრა და ინტარეგრტიზმის ხარისხი, ოჯახური აღზრდის პირობები და ა.შ.

ადრეულ ჭაბუკობაში საფუძველი ეყრება პიროვნების ისეთ განსაკუთრებულ მნიშვნელოვან თვისებას, როგორცაა საკუთარი თავის პიროვნებად აღიარების ან არაღიარების საკითხი. საკუთარი თავის პატივისცემა იმაზე მიუთითებს, რომ ადამიანი არ თვლის თავს სხვებზე უარესად, იგი საკუთარი თავის მიმართ დადებითადაა განწყობილი. საკუთარი თავისადმი პატივისცემის დაბალი დონე კი თავის თავისადმი დაუკმაყოფილებლობის და თავის ძალებისა და შესაძლებლობების ურწმუნობის ნიშანია, რაც შემდგომში საერთო ცხოვრებისეული წარმატებლობის ხშირი მიზეზი ზდება. ყოველივე ამას საფუძველი ეყრება უფროს სასკოლო ასაკში. რაც უნდა არასასიამოვნო იყოს ჭაბუკური თვითდაჯერებულობა, ფსიქოლოგიურად გაცილებით უფრო არასასიამოვნო და სახიფათოა საკუთარი თავის პატივისცემის დაბალი დონე. ასეთ ჭაბუკებს უჭირთ სხვებთან ურთიერთობა, რადგანაც თავის თავს არ თვლიან ღირსეულად ამ ურთიერთობაში. ასეთი მოსწავლეები ავადმყოფურად რეაგირებენ ყოველგვარ კრიტიკაზე, დატუქსავაზე და შენიშვნაზე. რაც უფრო დაბალია ადამიანის საკუთარი თავის პატივისცემის დონე, მით უფრო მოსალოდნელი მისი განმარტობისკენ სწრაფევა. ასეთი რამ აქვეთებს აგრეთვე სოციალური ურთიერთობის დონეს, უარს აიჭმევინებს ჭაბუკს დასახული მიზნის მიღწევის მცდელობაში.

თვითცნობიერების განვითარების კვალბაზე უფროსკლასელებს უვითარდბათ თვითაღზრდის მოთხოვნილება, რომელიც ახლა რომელიმე ნაკლის გამოსწორების ან რომელიმე დადებითი თვისების აღზრდისკენ კი არაა მიმართული, როგორც ეს მოზარდებში იყო, არამედ – პიროვნების ფორმირებისკენ მთლიანობაში. უფროს სასკოლო ასაკში ამ პროცესს საფუძვლად ედება განზოგადებული იდეალები. ამ ასაკში თვითაღზრდა მნიშვნელოვან ადგილს იჭერს. თვითაღზრდა აღზრდის უმაღლესი ფორმაა.

მოზარდის თვითაღზრდას არ აქვს დამოუკიდებელი ხასიათი. იგი სიტუაციური და ეპიზოდურია. უფროს სასკოლო ასაკში კი ის სისტემატური და მტკიცეა. უფროსკლასელები თვითაღზრდის უფრო სერიოზულად ეკიდებიან, ვიდრე მოზარდები. მიუხედავად ამისა, მათ მაინც სჭირდებათ ამ მიმართულებით უფროსების დახმარება.

პიროვნების თვითგამორკვევის საქმეში მნიშვნელოვან როლს თამაშობს პრეტენზიის დონე. იგი გამოიხატება იმ მიზნებში, რომლებსაც ისახავს უფროსკლასელი მისი მღწვევის სირთულისა და სიმწიფის თვალსაზრისით და რომელიც გამოხატავს იმ მოთხოვნებს, რომელსაც ჭაბუკები საკუთარ თავს უყენებენ. როგორც ვნახეთ, პრეტენზიის დონის კომპონენტები ჯერ კიდევ უმცროს სასკოლო ასაკში ვლინდება. გარდამავალ ასაკში იზრდება პრეტენზიის რეალურობა, მცირდება წარმატების ან წარუმატებლობის ატიპიური, არაადექვატური რეაქციების რიცხვი. მოზარდისათვის დამახასიათებელი იყო აგრეთვე პრეტენზიის დონის ნაკლები სიმყარე და სტაბილურობა, იდეალური და რეალური მიზნების სუსტი დიფერენციაცია. უფროს სასკოლო ასაკში მოზარდებთან შედარებით პრეტენზიის დონე შესამჩნევად იზრდება. იწყება რეალური და იდეალური მიზნების დიფერენციაცია. მიზნის დასახვა გულისხმობს საკუთარი ძალებისა და შესაძლებლობების რეალურ შეფასებას.

უფროსკლასელთა იდეალები მოზარდებთან შედარებით უფრო განზოგადებულია, რაც დაკავშირებულია ანალიზისა და პიროვნების ცალკეული ნიშნების გამოყოფასთან და მათი ერთ საერთო ხატში სინთეზირების უნარის განვითარებასთან. თუმცა უფროსკლასელთა იდეალები ყოველთვის არაა განზოგადებული. ჭაბუკების ერთ ნაწილში იდეალად გვევლინება რომელიმე კონკრეტული ხატიც.

როგორც ვნახეთ, უმცროს სასკოლო ასაკში იდეალად გვევლინება რომელიმე კონკრეტული ადამიანი, ინდივიდი. უმცროსკლასელები ბაძვენ აღზრდელებს, მშობლებს, დაძმებს. მოზარდებს უფრო იზიდავთ მხატვრული, ლიტერატურის ნაწარმოებთა გმირები ან ისეთი ადამიანები, რომლებსაც შეუძლიათ გმირობის ჩადენა, ახასიათებთ ამტანობა, გამბედაობა, ნებისყოფა, თავდადება, გაბედულობა და ა.შ. იდეალი მოზარდებშიც რომელიმე კონკრეტულ პიროვნებაში რეალიზდება.

უფროსკლასელებში კი იდეალი თავისი შინაარსითა და პიროვნებაზე ზემოქმედების თვალსაზრისით სულ სხვაგვარ ხასიათს ღებულობს. ადრეული ჭაბუკისთვის ტიპური მოვლენაა იდეალის შეგნებული ძიება. მას ახლა უკვე აქვს მეტ-ნაკლებად ჩამოყალიბებული და შემუშავებული ცნება იდეალის შესახებ. თუმცა ეს ცნება ყოველთვის არაა სრული და სწორი.

ამ ასაკში იდეალის მეორე ძირითადი თავისებურებაა გამძლეობა და ერთგვარი მუდმივობა, რაც წინა ასაკში არ შეინიშნებოდა. მაგრამ უფროსკლასელთა იდეალის ძირითადი თავისებურება, როგორც აღვნიშნეთ, ისაა, რომ იგი ახლა განზოგადებულ ხასიათს ღებულობს და გვევლინება მორალური მოთხოვნების სისტემის სახით, რომელსაც ჭაბუკები უყენებენ როგორც სხვებს, ისე, საკუთარ თავსაც. მოზარდების და უფროსკლასელების იდეალებს შორის ის განსხვავებაა, რომ მოზარდები უმეტესწილად ცდილობენ მიბაძონ მათ გვირს, იდეალს, უფროსკლასელები კი მიისწრაფვიან საკუთარ თავში გამოიქვეყნონ დადებითი გვირის ხასიათი და მისი ქცევის არსებითი თვისებები. ამრიგად, უფროს სასკოლო ასაკში იდეალი არის განზოგადებული ხატი, რომელსაც ხშირად, არ აქვს კონკრეტული მიკუთვნებულობა, მაგრამ ამავე დროს, ცხოვრებისეულია.

უფროსკლასელი განზოგადებულ იდეალს ათავსებს კონკრეტულ ინდივიდში, რაც ხშირად ამ პირის იდეალიზაციის საფუძველი ხდება. ამავე დროს, მოსალოდნელია, რომ უფროსკლასელმა ამ პირს მიაწეროს ისეთი თვისებებიც, რომელსაც მას შეიძლება არ ჰქონდეს. ასეთ შემთხვევაში, მაგალითად, საყვარელ და პატივსაცემ ადამიანს აპატიებენ ან აკერ შეაჩვენებენ “მის ზოგიერთ უარყოფით თვისებას. მაღალი ზნეობრივი იდეალის არსებობა პიროვნების განვითარების მაღალი დონის მაჩვენებელია.

უფროსკლასელთა იდეალი ფაქტობრივად ორი სახისაა: მართალია, ახლა იდეალი არის განზოგადებული ხატები, როგორც დადებითი თვისებების ერთობლიობა, მაგრამ ამ ასაკისათვის ხანდახან დამახასიათებელია მოზარდებისთვის სპეციფიკური კონკრეტული ხატებიც (რომელშიც კონკრეტული ადამიანის ხატი). თუმცა, როგორც აღვნიშნეთ, ცალკეულ შემთხვევებში უფროსკლასელებს აქვთ უარყოფითი იდეალებიც. უარყოფითი პიროვნების ზოგიერთი თვისება, რომელსაც უფროსკლასელი დადებითად თვლის, ხანდახან მიბაძვის ნიშნში ხდება.

როცა ლაპარაკობენ მოსწავლეთა ზნეობრივი განვითარების ასაკობრივი თავისებურებების შესახებ, ხაზს უსვამენ იმ გარემოებას, რომ უფროსკლასელთათვის დამახასიათებელია ქცევაში ზნეობრივი მრწამსისა და ცნობიერების როლის მნიშვნელოვანი ზრდა. თუ მოზარდის ქცევა ჯერ კიდევ ბევრ რამეში იმპულსურ ხასიათს ატარებს, აღიბერება უშუალო სტიმულებით, განისაზღვრება უფროსების მითითებებითა და მოთხოვნებით, უფროსკლასელთა ქცევა გაცილებით უფრო მეტად განისაზღვრება საკუთარი მორალური წარმოდგენებითა და მრწამსით, ცხოვრებაზე საკუთარ შესჯდულებათა სისტემით. შეიძლება ითქვას, რომ უფროსი სასკოლო ასაკის ბოლოს ფაზიბდება საკუთარი მორალური კოდექსის მიხედვით მოქმედების მოთხოვნილება. ძველი არაა იმის დანახვა, თუ უფროსკლასელები როგორ ღრმა და ფაქიზად ერკვევიან ზნეობრივი კატეგორიების შინაარსში. ისეთი რთული მორალური ცნებები, როგორიცაა პატიოსნება, მოვალეობა, საკუთარი ღირსების გრძობა და ა.შ. უფროსკლასელს უკვე შეუძლია გააცნობიეროს უფაქიზეს დეტალებშიც კი. ამასთანავე უნდა აღნიშნოს, რომ ხანდახან ჭაბუკებს უმუშავდებათ უარყოფითი მისწრაფებები და მორალური პრინციპები, რომლებიც განსაზღვრავენ მათ ქცევას შესაბამის სიტუაციებში.

მორალური ცნობიერება გაივლის სამ საფეხურს: ა) მორალურამდელი დონე, როცა ბავშვი ასრულებს დადგენილ წესებს ეგოისტური მიზნების საფუძველზე. ე.ი. როცა ბავშვი ხელმძღვანელობს „გარეგნული“ სტიმულით. იგი კარგად იქცევა იმიტომ, რომ არ დასაჯონ ან მიიღოს ჯილდო. თავის საქციელს იგი აფასებს საბოლოო შედეგის მიხედვით. ბ) კონვენციონალური მორალი, როცა წამყვანია ქცევის გარეგნული ნორმები, როცა წესებისა და ნორმების „გარეგანი“ სისტემა ინტერიორიზებულია. ბავშვი ცდილობს კარგად მოიქცეს უმეტესად იმის მოსაწონებლად, ვინც მისთვის დიდი ავტორიტეტია (მშობლები, მასწავლებლები). მორალის გაგება, როგორც წესებისა და ნორმების ერთობლიობა აქ ნიშნავს, რომ მორალური აღმპერელის როლში ჯერ კიდევ გვევლინება გარეგნული, ფორმალური მხარეები. ეს არაა გაცნობიერებული პრინციპები, არამედ ესაა გარეგნული ავტორიტეტი, რის გამოც ბავშვის ქცევა მყარი არაა გ) ავტონომიური მორალი. ე.ი. შინაგანი, ავტონომიური პრინციპების საფუძველზე აღებული ორიენტაცია. აბსტრაქტული აზროვნების განვითარების კვალობაზე პიროვნება ითვისებს მორალურ პრინციპებს, რომელთაც ზოგადი მსოფლმხედველობითი საფუძველი აქვს. რამდენადაც ამ პრინციპების ღირებულება და მნიშვნელობა კერძო ცხოვრებისეულ სიტუაციაზე არაა დამოკიდებული, მის განზოცრეულებას პიროვნება იწყებს უკვე საკუთარი სინდისის საფუძველზე. ეს მეტად მნიშვნელოვანი მიღწევაა და მას საფუძველი უფროს სასკოლო ასაკში ეყრება. ამ ასაკში მორალურ-ეთიკური პრობლემები ტაბუკის წინაშე მწვავედ დგება. უფროსკლასელები მოზარდებთან შედარებით უფრო სერიოზულ საკითხებში დამოუკიდებელ გადაწყვეტილებებს იღებენ. მათ უკვე შეუძლიათ დაინახონ არა მხოლოდ კონკრეტული ქცევის შედეგები, არამედ – ზოგად მორალური აზრიც. დამოლოს, თვითცნობიერების მოქმედების აქტიუიზაცია უფროსკლასელს აძლევს საკუთარ თავს შეხედოს მორალურ-ეთიკური თვალსაზრისით. ჩნდება სინდისის ქსენის რთული მორალური გრძნობა.

უფროსკლასელთა უმთავრესი სოციოგენური მოთხოვნებიან:

1) ურთიერთობის მოთხოვნილება, რომელიც ყალიბდება გარშემომყოფებთან ადამიანურ ურთიერთობებში. ასაკის წინსვლასთან ერთად იგი მოსწავლეთა ცხოვრებაში უფრო მნიშვნელოვან ადგილს იჭერს. ამ მოთხოვნილების განვითარების დინამიკაში ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი ადრეული ტაბუკობის ასაკს უჭირავს, რომელსაც რამოდენიმე მიზეზი აქვს. ამ ასაკში მოსწავლე ფიზიკური და გონებრივი განვითარების პიკს აღწევს, რაც მისი ინტერესების ზრდას იწვევს. ეს ინტერესი კი, თავის მხრივ, ადამიანური ურთიერთობების სტიმულია. თვითცნობიერების, თვითდამკვიდრებისა და თვითგამორკვევის პრობლემების ეფექტური გადაწყვეტა შეუძლებელია გარშემომყოფებთან ინტენსიური ურთიერთობის გარეშე. უფროსკლასელთა ურთიერთობა ხასიათდება ნდობით, ინტენსივობით, კეთილგანწყობილებითა და აღსარებითი ტონით. უფროსკლასელები ძალიან მწვავედ განიცდიან მარცხს ურთიერთობის პროცესში.

2) განმარტობების მოთხოვნილება. ურთიერთობის მოთხოვნილების განვითარებასთან ერთად უფროსკლასელთა ნაწილს აღნიშნული მოთხოვნილებაც

ახასიათებს, რომელიც მხოლოდ ამ ასაკისთვისაა დამახასიათებელი და თავისი სპეციფიკაც განიხილავს. აღამიანებთან ურთიერთობის პროცესში ჭკბუკებს საზოგადოებაში საკუთარი პოზიციისა და თვალსაზრისის მოთხოვნილება უწდებთ. ამ მოთხოვნილების რეალიზაცია კი განმარტობის, განცალკევების, განკერძობის პროცესში ხდება. ეს უფროსებისადმი და თანატოლებისადმი დაპირისპირება კი არა, არამედ საკუთარი გზისა და პოზიციის ძიებაა. განმარტობის მოთხოვნილება თავისი ბუნებითა და შინაარსით სოციალურია და არავითარი კავშირი არ აქვს ინდივიდუალიზმის გამოვლენასთან. განმარტობის ძირითადი კომპონენტი არის ოცნება, რომლის დროსაც უფროსკლასელები გაითამაშებენ, წარმოიდგენენ იმ როლებს და სიტუაციებს, რომლებიც მათთვის მოცემულ მომენტში ან საერთოდ ობიექტური და სუბიექტური მიზეზების გამო მიუწვდომელი და შეუძლებელია. ოცნება არის ამჟამად შეუძლებელი ქცევის კომპენსაცია და იგი სრულდება წარმოსახულ სიტუაციაში. განმარტობა ოცნების განხორციელების სენზიტორი მომენტია.

უფროსკლასელთა განმარტობის მოთხოვნილება ნორმალური მოვლენაა, მაგრამ მასწავლებლებს უნდა ახსოვდეთ, რომ ამ მოთხოვნილების რეალიზაცია შეიძლება გაკვეთილზე მოხდეს, რაც ყურადღების გადამხრელი ფაქტორია და სასკოლო წარმატებაც ქვეითდება. უნდა ვეცადოთ, რომ მათ არ მიეცეთ საშუალება გაკვეთილებზე ბევრი იოცნებონ. გარდამავალ ასაკში სქესობრივ მომწიფებასთან დაკავშირებით გაჩენილი რომანტიკული ხასიათის ოცნებები გაკვეთილზე ყურადღების სერიოზული გადამხრელი ფაქტორი იყო, ხოლო უფროს სასკოლო ასაკში ამას განმარტობის მოთხოვნილებაც ემატება და ამით საქმე კიდევ უფრო რთულდება. განმარტობის მოთხოვნილებას იხილავენ როგორც პიროვნების განვითარების განსაზღვრულ სტადიას, ხოლო მის რეალიზაციას – ამ ასაკში პიროვნების განვითარების ერთ-ერთ პირობას.

3) მიღწევის მოთხოვნილება. ეს მოთხოვნილება ჩამოყალიბებას ბავშვობის ასაკში იწყებს. უფროსკლასელთა უმრავლესობაში იგი სათანადოდაა განვითარებული, რომლის

რეალიზაციაც განსხვავებულად მიმდინარეობს. ეს მოთხოვნილება პიროვნების შინაგანად მასხასიათებელია, რადგანაც მასზე დიდადაა დამოკიდებული თვითდამკვიდრებისა და თვითგამორკვევის პრობლემების წარმატებით გადაჭრა.

4) ძიებითი აქტივობის მოთხოვნილება. ვ. როტენბერგისა და ვ. არშვესკის მიხედვით ესაა აქტივობა, რომელიც მიმართულია მოცემული სიტუაციის ან მოცემული სუბიექტის შეცვლისაკენ. ესაა ცხოვრებისეული მოვლენებისადმი შემოქმედებითი მიდგომა-დამოკიდებულება. ეს მოთხოვნილება გამოკვეთილად პირველად უფროს სასკოლო ასაკში ჩნდება.

პიროვნების ერთ-ერთი შინაგანად მასხასიათებელია ღირებულებითი ორიენტაცია, რომელიც ადამიანური არსებობის აზრის პრობლემაცაა. იგი გამოხატავს ადამიანის შეგნებულ დამოკიდებულებას სოციალური სინამდვილის მიმართ და ამ თვალსაზრისით განსაზღვრავს მისი ქცევის მოტივაციას და არსებით გაელენას ახდენს მოქმედების ყველა სფეროზე. ღირებულებითი

ორინეტაციები მჭიდროდაა დაკავშირებული პიროვნების მიმართულების განვითარებასთან. უფროსი სასკოლო ასაკი ღირებულებებითი ორინეტაციის განვითარების სენზიტიური ასაკია. პიროვნული ორინეტაცია განიხილება როგორც პიროვნების განვითარების შედეგი და ასევე სოციალური ქცევის რეგულატორი. კვლევის შედეგად დადგინდა, რომ უფროსკლასელთა ღირებულებებითი ორინეტაციების იერარქიულ სისტემაში აბსოლუტურად დომინირებს „ხალხთა შორის მშვიდობა“. შემდეგ მოდის ისეთი ღირებულებები, როგორიცაა: საინტერესო სამუშაო, „კარგი და ერთგული მეგობრები“, „ჯანმრთელობა“, „აქტიური შემოქმედებითი ცხოვრება“, „დამოუკიდებლობა“, „სიღამაზე“, „საზოგადოებრივი აღიარება“, „მატერიალური უზრუნველყოფა“. ამ მნიშვნელოვანი პიროვნული წარმონაქმნის სიმტკიცის თვალსაზრისით, შეიძლება ითქვას, რომ იგი უფროსკლასელთა შესაძენს საბოლოოდ ჩამოყალიბებული აქვს.

ადრეული ჭაბუკობის ხანა გადამწყვეტი პერიოდია მსოფლმხედველობის ჩამოყალიბების საქმეში. მსოფლმხედველობის ჩამოყალიბება ადრე იწყება გარკვეული ზნეობრივი ჩვევების ათვისებითა და სიმპათია-ანტიპათიების ჩამოყალიბებით, რომლებიც შემდგომ ცნობიერდებიან და ქცევის პრინციპებად იქცევიან. პიროვნების განვითარების უფრო მაღალ საფეხურზე, ადრეული ჭაბუკობის ასაკში ეს პრინციპები ერთ მთლიან სისტემად ყალიბდება, რაც პიროვნებას საშუალებას აძლევს არა მარტო გაიგოს და შეიმოქმედოს სამყარო, არამედ შეაფასოს კიდევ იგი და გაარკვიოს მისთან დამოკიდებულება. მსოფლმხედველობის ფორმირების პირველი მანქვენებელია სამყაროს ზოგადი პრიციპებისადმი, ბუნებისა და ადამიანური ყოფიერების უნივერსალური კანონებისადმი შექცენებითი ინტერესი. ეს მოვლენა ეპიზოდურად გარდამავალი ასაკის ბოლოს იჩენს თავს, მაგრამ მყარ თვისებად იგი უფროს სასკოლო ასაკში გვევლინება. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ამ დონეს უფროსკლასელთა ნაწილი უფრო გვიან აღწევს. მსოფლმხედველობის ფორმირების პროცესში ცენტრალური ადგილი სოციალურ-ზნეობრივ პრობლემებს უჭირავს, რომლებიც, უმეტესად, ცხოვრების საზრასის სახეს ღებულობენ.

მსოფლმხედველობა არა მარტო ცოდნის, არამედ მრწამსის ლოგიკური სისტემაა, რომელიც გამოხატავს მოსწავლის სამყაროსადმი მიმართებას, მის ძირითად ღირებულებებით ორინეტაციას. პიროვნების ორინეტაცია მჭიდრო კავშირშია მის ცხოვრებისეულ პოზიციასთან. ჭაბუკობის ასაკი მსოფლმხედველობის განვითარებისთვის იმიტომაცაა სენზიტიური, რომ ამ ასაკში მწიფდება მისი კოგნიტიური და პიროვნული წანამძღვრები. ამ ასაკში იზრდება არა მარტო ცოდნის დონის მოცულობა, არამედ მნიშვნელოვნად ფართოვდება გონებრივი თვალსაწიერი და ჩნდება კონკრეტული ფაქტების მრავალფეროვნების ზოგად პრინციპებზე დაყვანის თეორიული ინტერესი და მოთხოვნილება. პიროვნული განვითარების მიმართულებით კი ჩნდება ცხოვრების საზრისის მოთხოვნილება. საკუთარი ცხოვრება ცნობიერდება არა როგორც შემთხვევითი, განსხვავებულ მოვლენათა სერია, არამედ როგორც მთლიანობითი პროცესი. უფროს სასკოლო ასაკში ცხოვრების საზრისის პრობლემა უკვე უნივერსალურ, განზოგადებულ ხასიათს იღებს.

უფროს სასკოლო ასაკში მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებას ხელს უწყობს აგრეთვე სასწავლო დისციპლინების თეორიული საფუძვლების ათვისება და საგანთაშორისი კავშირების გაცნობიერება. ჭაბუკები სკოლაში ეცნობიან ბუნებისა და საზოგადოების ზოგად კანონებს, რის საფუძველზედაც მათ უმუშავდებათ სამყაროს განზოგადებული და სისტემატიზირებული ხატი, რომელსაც ღრმა ფილოსოფიური აზრი აქვს.

მსოფლმხედველობა არის საკუთარი შეხედულება მეცნიერებაზე, საზოგადოებრივ ცხოვრებაზე და მორალზე. მაგალითად, თუ მოზარდმა რომელიმე მოვლენის შესახებ მოიპოვა რაიმე ინფორმაცია, მას აინტერესებს ამ მოვლენის ახსნა, ზოლო უფროსკლასელი კი ცდილობს გაიგოს რა იცის მეცნიერებამ ამ მოვლენის შესახებ. თუ იგი აღმოაჩენს, რომ მეცნიერებაში ამ მოვლენის შესახებ განსხვავებული შეხედულებები არსებობს, ჭაბუკი ცდილობს გაიაზროს ეს განსხვავებული თეალსაზრისები და შეიმუშაოს საკუთარი აზრი. უფროს კლასებში დაგროვილი ცოდნა და შეძენილი სოციალური გამოცდილება ჭაბუკებს აძლევს იმის საშუალებას, რომ გარესამყაროს მოვლენების მიმართ გამოიმუშაონ საკუთარი კონცეფცია და შეხედულებები. სკოლაში მიღებულ ცოდნასა და სოციალურ გამოცდილებას შორის წინააღმდეგობის დაძლევის პროცესში ხდება ცოდნის მრწამსად გადაქცევა. ეს რომ მოხდეს, სასკოლო ცოდნამ უნდა მოიპოვოს ცხოვრებისეული აქტუალობა, პიროვნული მნიშვნელობა და ღირებულება. ცოდნა მაშინ გადაიქცევა მსოფლმხედველობად, როცა ხდება ამ ღირებულების გაცნობიერება და ქცევაში მისით ხელმძღვანელობის შვაობა ჩნდება. აუცილებელია აგრეთვე ის, რომ ცოდნა შეერწყას პირადულ გამოცდილებას, გადაიქცეს ქცევის პრინციპად. ეს პრინციპი მაშინ შეიძლება ჩაითვალოს მსოფლმხედველობად, როცა იგი გახდება უნივერსალური და განზოგადებული ნებისმიერი ქცევის დროს. მსოფლმხედველობა ახლა მუდმივმოქმედი მორალური აღმყრელი და სტიმული ხდება.

უფროსკლასელთა ცხოვრებისეული გეგმები უფროსკლასელებს, ჩვეულებრივ, განიხილავენ როგორც ცხოვრების ზღურბლზე მდგარ, მომავლისაკენ მიმართულ აღმძინებს, რომელთაც გარკვეული ცხოვრებისეული გეგმები, ზრახვები, მიზნები და იმედები აქვთ. უფროსკლასელების მოტივებს ყოფენ ორი მიმართულებით:

1) შექმენბითი მოტივები, რომლებიც გამოხატავენ კონკრეტული საგნების შინაარსისადმი და სასწავლო პროცესისადმი ინტერესს. ასეთი მოტივები განსაზღვრავენ სკოლის დამთავრების შემდეგ მათ ცხოვრებისეულ არჩევანს (პროფესიის არჩევა). პროფილირებული სწავლების შემოღებასთან დაკავშირებით ეს მდგომარეობა უფრო აქტუალური ხდება.

2) სწავლის სოციალური მოტივები, რომლებიც თავის მხრივ რამდენიმე კატეგორიად იყოფა: ა) თვითგამორკვევის მოტივები, რომლებიც დაკავშირებულია მომავალ პროფესიასთან და მომავალ ცხოვრებასთან საერთოდ; ბ) თვითგანვითარების მოტივები. აქ შედის ზოგიერთი პიროვნული თვისების სრულყოფისა და გაუმჯობესების მოტივები (ნებისყოფა, ცოდნის გაღრმავება, მიზანმიმართულება...); გ) ვიწროპრაქტიკული მოტივები (ყარვი ატესტატის იღება...) დ) მასწავლებლებთან

ურთიერთობის მოტივები, ე) თანატოლებთან ურთიერთობა სკოლაში (მეგობრებთან ურთიერთობის ხიბლი);

3) თვითდამკვიდრების მოტივები (თვითპატივისცემის მოთხოვნა ილუზორულად კარგი სწავლით) ზ) სიტუაციური მოტივები (კარგად სწავლა უსიამოვნების თავიდან აცილების მიზნით).

მოზარდებთან შედარებით, ადრეული ჭაბუკის ინტერესებში, ქცევაში, თვითგრძობაში, განწყობებში, ფსიქოლოგიურ და სოციალურ მომწიფებაში, ჩნდება სრულიად ახალი მომენტები. ამ თვალსაზრისით საინტერესოა ლ. კოლის კვლევის შედეგები.

მოზარდებისთვის დამახასიათებელია:

- 1) მრავალფეროვანი და არამდგრადი ინტერესები;
- 2) უყვართ ლაყბობა, ხმაური, ავლენენ ყოველგვარ აქტივობას;
- 3) თანატოლთა დადებითი სტანდარტების მიხედვით მათ შორის მდგომარეობის დაკავების მცდელობა;
- 4) თანატოლთა მასისადმი საკუთარი თავის იდენტიფიკაცია;
- 5) თანატოლებთან დამოკიდებულებაში ოჯახური მდგომარეობა ნაკლებშიშენსელოვანი ფაქტორია;
- 6) პეშინი იშვიათია;
- 7) განსხვავებული დამოკიდებულება ენიჭება საწინააღმდეგო სქესთან განსაზღვრულ დამოკიდებულებებს;
- 8) ბევრი მეგობარი;
- 9) ადამიანურ ურთიერთობებში გარკვეული წესებით ხელმძღვანელობა;
- 10) უფროსების ავტორიტეტის აღიარებაში ამბივალენტური დამოკიდებულება.

ჭაბუკებისთვის დამახასიათებელია:

- 1) ნაკლები, მაგრამ უფრო ღრმა ინტერესები;
- 2) ქცევები უფრო კონტროლირებადია და სრულდება საკუთარი ღირსების გრძობით;
- 3) მსჯელობები უფროსების ქცევის ნიმუშებზე;
- 4) საკუთარი თავის იდენტიფიკაცია ვიწრო, შერჩეულ ჯგუფთან;
- 5) თანატოლებთან ურთიერთობაში ოჯახის სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობა მნიშვნელოვანი ფაქტორი ხდება;
- 6) გოგონებთან პეშინი ჩვეულებრივი მოვლენაა;
- 7) საკუთარი ოჯახური ცხოვრებისადმი დიდი ყურადღება და ინტერესი;
- 8) მეგობართა მცირე რაოდენობა, მეგობრობა უფრო ღრმაა;
- 9) უფროსებისაგან დამოუკიდებლობის მზარდი სწრაფვა, ქცევებში საკუთარ თავზე დაყრდნობა.
- 10) უფროსებთან ურთიერთობა თანაბრობის საფუძველზე;

ამრიგად, უფროსკლასელოთა პიროვნების ახალწარმონაქმნა მსოფლმხედველობის ჩამოყალიბება, ადამიანის მორალური მზარისადმი მოთხოვნების ამაღლება, მსჯელობების დამოუკიდებლობა, თვითცნობიერებისა და თვითშეფასების მნიშვნელოვანი ზრდა, განზოგადებული იდეალები, ღირებულებითი ორიენტაციების შესაბამისი დონე და თვითაღზრდისადმი აქტიური სწრაფვა, მომავალ პროფესიასთან დაკავშირებული ნათელი ცხოვრებისეული გეგმები, სოციალურობის ზრდა, ახალი ინტერესების გაჩენა საწინააღმდეგო სქესისადმი და პოლტიკისადმი.

ამრიგად,

1) მოზარდებისთვის დამახასიათებელია ინტერესთა მრავალფეროვნება და ცვალებადობა, ხოლო ჭაბუკები გამოირჩევიან ინტერესთა სიმცირითა და სიღრმით.

2) მოზარდები ზმაურიანი, ყბელები, ტრახახები და ყველაფერში აქტიური არიან, ხოლო ჭაბუკები გამსჭვალულნი არიან საკუთარი ღირსების გრძობით და უფრო კონტროლირებადნი არიან.

3) მოზარდები თვითდამკვიდრებას ცდილობენ უმეტესწილად თანატოლთა წრეში მიღებული სტანდარტების მიხედვით, ხოლო ჭაბუკები უპირატესობას აძლევენ უფროსების ქცევის ნიმუშებს.

4) მოზარდები ცდილობენ საკუთარი თავის იდენტიფიკაციას თანატოლთა მასის მიმართ, ჭაბუკები კი გეზს იღებენ უფრო ვიწრო, შერჩეულ ჯგუფებზე.

5) მოზარდისათვის თანატოლთა შორის ურთიერთობების დამყარებისათვის ოჯახურ სოციალურ-გეონომიურ მდგომარეობას უმნიშვნელო როლი ენიჭება, ხოლო ჭაბუკისათვის ეს მდგომარეობა მნიშვნელოვანი ფაქტორი ხდება.

6) მოზარდებთან პაემანი იშვიათი მოვლენაა, ხოლო ჭაბუკებთან – ჩვეულებრივი.

7) მოზარდებს უფროსების ავტორიტეტის მიმართ აქვთ ამბივალენტური დამოკიდებულება, ხოლო ჭაბუკები ამ თვალსაზრისით მხოლოდ ტოლობისა და თანაბრობის პრინციპს აღიარებენ.

თავი ოცდამესამე

უფროსებთან და თანატოლებთან ურთიერთობა უფროს სასკოლო ასაკში. ადრეულ ჭაბუკთა მემობრობა

გარდამავალი ასაკი ბავშვის მშობლებისაგან ემანსიპაციის ასაკია. უფროს სასკოლო ასაკში ემანსიპაცია შეიძლება იყოს ემოციური, ქცევითი და ნორმატული. ქცევითი ემანსიპაციისათვის დამახასიათებელია ის, თუ რამდენად მკაცრად რეაგირებენ მშობლები შეილების ქცევებზე, ხოლო ნორმატულისთვის – არის თუ არა ჭაბუკი ორიენტირებული იმავე ღირებულებებზე, რაზედაც მშობლები.

ჭაბუკების დამოუკიდებლობის ზრდა მშობლების ძალაუფლებას თანდათანობით ზღუდავს. მოზარდებთან შედარებით ადრეული ჭაბუკების ქცევითი ავტონომია ძალიან იზრდება. ჭაბუკი ახლა დამოუკიდებლად ანაწილებს თავის დროის ბიუჯეტს, ირჩევს მეგობრებს და ა.შ. საკუთარი უფლებების კიდევ უფრო გასაფართოებლად ჭაბუკები მშობლებს გაზრდილ მოთხოვნებს უყენებენ, რომელთა შორის მატერიალურ მოთხოვნებს მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა.

მშობლების ავტორიტეტს უფროსკლასელები აბსოლუტურად და უკრიტიკოდ აღარ აღიქვამენ. მშობელთა ყოველი უარყოფითი ქცევა და თვისებები მწკვედ განიცდება. ეს განსაკუთრებით ესება განსულას სიტყვასა და საქმეს შორის.

მოზარდებთან შედარებით ჭაბუკებში მშობლებთან იდენტიფიკაციის ზარისხი ნაკლებია, თუმცა კარგი მშობლები კვლავ ქცევის ეტალონებად რჩებიან. უფროსკლასელები მოითხოვენ რომ მშობლები მათი მრჩეველები და მეგობრები იყვნენ. დამოუკიდებლობისა და ავტონომიისკენ ძლიერი მისწრაფების მოუხდავად მათ მშობელთა ცხოვრებისეული გამოცდილება და დახმარება ძალიან სჭირდებათ.

უფროსკლასელებს და მშობლებს შორის ხშირია კონფლიქტებიც. ადრეული ჭაბუკები ფიქრობენ, რომ მშობლები მათ „ვერ უგებენ“. „ვერ გაგება“ ამ ასაკის მოსწავლეთა ტიპური პასუხებია, რომლის მიზეზი უპირველეს ყოვლისა ისაა, რომ მშობლები ვერ ამჩნევენ (ან არ უნდათ შეამჩნიონ), რომ ადრეული ჭაბუკების შინაგანი სულიერი სამყარო შეიცვალა და ისინი ახლა პატარები აღარ არიან. მოზარდი უკვე გაიზარდა, შეიცვალა, ხოლო მშობლები მას ისევე ექცევიან, როგორც რამდენიმე წლის წინათ.

ბევრი მშობელი, რომელიც მიჩვეულია შვილების მიმართ მბრძანებლობას, ავადმყოფურად განიცდის, რომ ახლა ძალაუფლებას კარგავს. „ჩემს მეგობარს მშობლები უგებენ, ისინი თავის შვილს ადამიანად თვლიან... ჩემი მშობლები მხოლოდ ჩემს გაკვეთილებზე ფიქრობენ. მე რომ ადამიანი ვარ და მეც შეიძლება საქმეები მქონდეს, ეს მათ აზრდაც არ მოხდით. არადა მეცნიერებათა კანდიდატები არიან“. ასეთია ადრეული ჭაბუკების ტიპური მსჯელობები. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ უფროსკლასელები ხშირად უყურადღებონი არიან მშობლების მიმართ ასაკობრივი ევოცენტრიზმის გამო.

საინტერესოა ვ. ბლოკისა და კ. პარისონის მიერ ამიერიკელი ჭაბუკების გამოითხვის შედეგად დაღეწილი მიზეზები, რომლებიც იწვევენ დედასა და შვილებს შორის კონფლიქტებს ამ ასაკში.

ბიჭები:

- 1) არ მაძლევს უფლებას ვისარგებლო მისი ავტომობილით – 85.7%
- 2) მაძალებს შეეჭვამო ის, რაც არ მიყვარს, მაგრამ ჩემთვის სასარგებლოა – 82.4%
- 3) მიწყრება, როცა ჩემი ნიშნები უარესია სხვებისაზე – 82.4%
- 4) მაიძულებს ანგარიში ჩავაბარო დახარჯული ჯიბის ფულის გამო – 80.0%
- 5) თავს მბებრებს ჩემი მანერების კრიტიკით სუფრაზე – 74.4%
- 6) თავს მბებრებს ჩემი მანერების და ჩვეულებების გამო – 68.5%
- 7) ძმას ან დას მიყენებს ნიბუშად – 66.9%
- 8) წინააღმდეგობას მიწევს იმაში, რომ მე ღამით ვიარო ბიჭებთან ერთად ავტომანქანით – 65.7%
- 9) არ სურს, რომ მე ავირჩიო ის საქმიანობა, რომელიც მინტერესებს – 64.5%
- 10) უკმაყოფილებას გამოთქვამს იმის შესახებ, რომ მე გაუკრეტავი და დაუვარცხნელი ვარ – 55.7%
- 11) არ უნდა რეგულარულად მომცეს ჯიბი ფული – 54.1%
- 12) მსაყვედურობს ჩემი მეგობარი გოგონების გამო – 51.8%
- 13) ტრაბახობს ჩემს გამო სხვებთან – 50.1%
- 14) მაყენებს უხერხულ მდგომარეობაში ამხანაგებთან, როცა მაქვს – 49.8%
- 15) ზრუნავს ჩემი ამხანაგების გამო, რომლებიც მას მოსწონს – 34.3%
- 16) მეუბნება ბავშვურ ამბებს – 33.3%
- 17) მიკრძალავს სკოლაში წავიღო ის ნივთები, რომელთა წაღებაც მე მინდა – 32.9%
- 18) მაიძულებს რომ მე ვიყო დედას ბიჭი – 32.2%

გოგონები:

- 1) წინააღმდეგია რომ მე ბიჭებთან ვისეირნო მანქანით – 87.4%
- 2) მიწყრება, როცა ჩემი ნიშნები უარესია სხვისაზე – 85.9%
- 3) მაძალებს შეეჭვამო ის, რაც არ მიყვარს, მაგრამ ჩემთვის სასარგებლოა – 82.8%
- 4) მაძალებს, რომ სადაც წავალ თან წაიყვანო ძმა ან და – 82.3%
- 5) მაიძულებს ანგარიში ჩავაბარო დახარჯული ჯიბის ფულის გამო – 81.2%
- 6) დედაჩემი დიდ დროს ზარავს ბრიჯის თამაშზე და სახლში იშვიათადაა – 78.8%
- 7) ძმას ან დას მიყენებს ნიბუშად – 75.8%
- 8) უფლებას არ მაძლევს ვისარგებლო მისი მანქანით – 70.8%
- 9) თავს მბებრებს ჩემი ჩვეულებისა და მანერების გამო – 70.0%
- 10) მაიძულებს ვიარო იმ ამხანაგებთან, რომლებიც მან აირჩია – 69.7%
- 11) მიწყრება წერილმანების გამო – 66.6%
- 12) წინააღმდეგია, რომ მე დღისით ვისეირნო მანქანით ბიჭებთან ერთად – 66.4%

- 13) მსაყვედურობს ჩემი შეგობარი ბიჭების გამო — 69.7%
- 14) მსაყვედურობს იმის გამო, რომ მე ვისევამ ჰომადას — 64.3%
- 15) თავს მახეზრებს ჩემი მანერების გამო სუფრაზე — 62.5%
- 16) წუხს ჩემი ჯანმრთელობის გამო — 58.8%
- 17) წინააღმდეგია, რომ მე ვიარო ცეკვებზე — 56.8%
- 18) მაიბულებს, რომ მე ვიყო დედას გოგო — 56.1%
- 19) მიკრძალავს სკოლაში წავიღო ის ნივთები, რომელთა წაღებაც მინდა — 56.1%

20) უარს მეუბნება იმ ტანსაცმლის ყიდვაზე, რომელიც მე მომწონს — 56.1%

ადრეული ჭაბუკობის უფროსებთან ურთიერთობის სფეროში ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი უჭირავს მასწავლებლებთან ურთიერთობას. ამ თვალსაზრისით მასწავლებლებიც იმავე სიძნელების წინაშე დგანან, როგორც მშობლები. ეს ურთიერთობა განსაკუთრებით რთულდება უფროს სასკოლო ასაკში, რადგანაც ჭაბუკების მოთხოვნები მასწავლებლის მიმართ მკვეთრად იცვლება. თანამედროვე უფროსკლასელის სტატუსი სკოლაში არაერთმნიშვნელოვანია. ერთი მხრივ, უფროსის მდგომარეობა ჭაბუკს დამატებით პასუხისმგებლობას აკისრებს. ახლა მას მეტს სთხოვენ და გაცილებით რთულსა და ძნელ დავალებსაც აძლევენ. მეორე მხრივ, უფლებებისა და მოვალეობების მიხედვით ისინი მთლიანად მასწავლებლებზე და სასკოლო ადმინისტრაციაზე არიან დამოკიდებულნი, მათ მასწავლებლის ყველა დავალება უსიტყვოდ უნდა შეასრულონ. ყოველივე ეს ქმნის უფროსკლასელთა შინაგან პოზიციას სკოლისა და სწავლის მიმართ, რაც მათ ძალიან ადუღებთ, უმცროსკლასელი და მოზარდი ამ მომენტებს არ აცნობიერებენ. მათ უბრალოდ „უყვართ“ ან „არ უყვართ“ სკოლა.

იცვლება უფროსკლასელთა სწავლის მოტივებიც. უმცროსკლასელები სწავლის შინაარსს ჯერ კიდევ ვერ აცნობიერებენ და ძირითადად ორიენტაციას იღებენ ნიშნებზე, რომლებიც მათდამი მასწავლებლის გარკვეულ დამოკიდებულებას გამოხატავს. გარდამავალ ასაკში სწავლა არის თანატოლთა შორის პრესტიჟის მოპოვების საშუალება, ხოლო უფროს სასკოლო ასაკში კი სწავლა, ცოდნის მიღება ხდება მომავალი ცხოვრების მომზადების საფუძველი. ამის გამო იმ მასწავლებლების მიმართ, რომლებიც უფროსკლასელებს მომავალი ცხოვრებისათვის უშუალოდ ამზადებენ, სიმპატიები უჩნდებათ. უფროსკლასელი მასწავლებელში მშობლის მაგივრს აღარ ხედავს. იდეალურ მასწავლებელში ის გულისხმობს ისეთ მასწავლებელს, რომელიც მის ინდივიდუალურ ფსიქოლოგიურ თვისებებს „გაიგებს“ და დააფასებს. მასწავლებლის პროფესიული კომპეტენცია, მისი ცოდნის დონე მეორე პლანზე გადადის. უფროსკლასელებთან დამოკიდებულებაში მასწავლებელთა ძალიან გავრცელებული ფსიქოლოგიური შეცდომაა ჭაბუკთა სიდრამისეული პიროვნული თვისებების არასათანადო აღქმა და შეფასება. სამწუხაროდ, მასწავლებელი ხშირად აფასებს ჭაბუკებს ისეთი გარეგნული და ფორმალური ნიშნების მიხედვით, როგორცია დისციპლინა და აკადემიური

წარმატება. ორივე ეს მხარე რა თქმა უნდა მინიშნელოვანია, მაგრამ ჭაბუკების ღრმა სულიერ თვისებებზე ნაკლებ წარმოდგენას იძლევა.

როგორც ვნახეთ, მოზარდები ძალიან მგრძობიარენი არიან მათ მიმართ მასწავლებელთა უსამართლობაზე, უნდობლობაზე, მწვეველ რეაგირებენ რაიმე სახის ნეგატიურ გამოვლენაზე. ამ ასაკში ყველაზე ხშირია კონფლიქტები მოზარდებსა და მასწავლებლებს შორის. მოზარდების უმრავლესობა კონფლიქტურ სიტუაციებში მხარს უჭერს ერთმანეთს და უპირისპირდება მასწავლებელს.

უფროს სასკოლო ასაკში მასწავლებლისადმი დამოკიდებულება სტაბილური ხდება და კონფლიქტების რიცხვიც საგრძობლად მცირდება. როგორც ვნახეთ, პიროვნების ინტელექტუალური და ემოციური გარდაქმნის ზოგად ფონზე უფროსკლასელისათვის მასწავლებლებთან დამოკიდებულება ერთ-ერთი ცენტრალური პრობლემაა. ახლა არსებითია ის, თუ როგორი აზრისაა მასზე მასწავლებელი, როგორ ანსხვავებს მას სხვებისაგან, აფასებს მას, როგორც პიროვნებას, პატივს სცემს მასწავლებელი მის „მე“-ს და ანგარიშს უწევს თუ არა მას.

საყვარელ მასწავლებლებს ადრეული ჭაბუკები აიდეალებენ, მიაწერენ მათ უნივერსალური მნიშვნელობის ღირსებებს. მასწავლებლებისადმი ასეთი დამოკიდებულება, ზოგჯერ, სქესობრივი მიკუთვნებულობის დაღსაც ატარებს. უფროსკლასელი გოგონები განსაკუთრებული სინაზით ეპყრობიან ახალგაზრდა მამაკაც მასწავლებლებს, ხოლო უფროსკლასელი ვაჟები კი უკიდურესად ყურადღებიანნი არიან ახალგაზრდა ქალი მასწავლებლების მიმართ.

მოსწავლის მიერ მასწავლებლის აღქმა ხორციელდება ეტაპობრივად. მასწავლებლის შესახებ მოსწავლეთა აზრი პირველად ფალობდება მისი პროფესიული მონაცემების საფუძველზე, ხოლო შემდეგ – მისი ზნეობრივი ნიშნების შესახებ. ბოლოს კი მოსწავლე ცდილობს მასწავლებელთან დაახლოებას, მასთან ინდივიდუალური კონტაქტების დამყარებას.

აკადემიური ნიშნები, როგორც თვითგრძობაზე მუდმივმოქმედი ფაქტორი, მეტ-ნაკლებად ყველა ასაკის მოსწავლეს აფლევებს. ნიშნების გამო გამოწვეულ განცდებს უფროსკლასელებთანაც დიდი ადგილი ეთმობა. მასწავლებლებთან კონფლიქტები ხშირად აკადემიურად ჩამორჩენილ მოსწავლეებს მოსდით. მათ უმეტესად იმიტომ კი არ უჭირთ სასწავლო მასალის დაძლევა, რომ ეს მასალა ძალიან რთულია და ვერ გაიგეს, არამედ იმის გამო რომ ეს მოსწავლეები სუსტი ნებისყოფის არიან, აქვთ განუვითარებელი თვითრეგულაცია, არ გააჩნიათ შრომითი ჩვევები.

მასწავლებელი უფროსკლასელთა თვალში საზოგადოების ოფიციალური წარმომადგენელია. მოსწავლეთა შეფასებებში მასწავლებლის ერუდიცია დიდად ფასობს. მაგრამ მხოლოდ უმცროსკლასელებს მიაჩნიათ, რომ მასწავლებელი ყოვლისმცოდნეა. დღევანდელი უფროსკლასელები მასწავლებელში აფასებენ არა ენციკლოპედიურობის, არამედ მოსწავლეთა შექცევის სხვადასხვა ხერხებით შეთარაღების უნარს, მოსწავლეთა შეხედულები მასწავლებლებზე გაშუალებულია ამხანაგებით, ჯგუფით, კლასით. ეს შეხედულებები ძალზე კონსერვატიულია. იგი

გადაეცმა კლასიდან კლასს, უფროსებიდან უმცროსებს და იქცევა მასწავლებლის შესახებ საზოგადოებრივ აზრად.

გარდამავალ ასაკში, როგორც ენახეთ, აღმოცენდება თანატოლებთან ურთიერთობის მოთხოვნილება, რომელსაც ვერ ცვლის მშობლებთან ურთიერთობა. უფროს სასკოლო ასაკში ეს მოთხოვნილება უფრო ძლიერი ხდება. ნებისმიერი სასკოლო კლასი იყოფა სხვადასხვა ჯგუფებად და ქვეჯგუფებად: ა) კლასში არის გარკვეული სოციალური ჯგუფის წარმომადგენელთა შვილები, რომელთა მატერიალური მდგომარეობა სხვებისაზე უკეთესია. ამ ახალგაზრდებს განსხვავებული აქვთ ცხოვრებისეული გეგმებიც, პრეტენზიის დონეებიც და მათი რეალიზაციის საშუალებებიც. ბ) კლასში არსებობს განსხვავებული იერარქია, რომელიც დაფუძნებულია მოსწავლეთა სტატუსზე (სასწავლო წარმატებების ან „აქტივისადმი“ მიუთვინეულობის თვალსაზრისით). გ) ხდება ავტორიტეტების „სტატუსის“ და პრესტიჟის დიფერენციაცია არაოფიციალური ღირებულებების საფუძველზე. ეს მდგომარეობა განსაკუთრებით თვალში საცემია უფროს სასკოლო ასაკში. რითაც არ უნდა იყოს განპირობებული უფროსკლასელთა სტატუსი თანატოლთა კოლექტივში, იგი ძლიერ გავლენას ახდენს მათ ქცევებსა და თვითცნობიერებაზე.

ჭაბუკური ჯგუფები უპირველეს ყოვლისა იკმაყოფილებენ თავისუფალი ურთიერთობის მოთხოვნილებას, რომელიც არაა რეგლამენტირებული და, რაც მთავარია, მოკლებულია უფროსების კონტროლს. თავისუფალი ურთიერთობა არის თვითგამოხატვისა და თვითდამკვიდრების საშუალება. გარდამავალ ასაკში ძირითადად არსებობენ ერთსქესიანი ჯგუფები (უმეტესად ბიჭების), ხოლო უფროს სასკოლო ასაკში აღნიშნულ ჯგუფებში „თავის“ გოგონებსაც გაურკვევ ხოლმე.

უფროს სასკოლო ასაკში შეინიშნება აგრეთვე უარყოფითი ჯგუფებიც, რომლებშიც უარყოფითი ღირებულებებია წამყვანი და მათი წევრების ქცევაც ასოციალურია.

ამერიკის ქ. სიეტლში ჩატარებული გამოკვლევების მიხედვით (12-დან 18 წლამდე) ბავშვთა ქცევებსა და ღირებულებით ორიენტაციებზე თანატოლები გაცილებით მეტ გავლენას ახდენენ, ვიდრე მშობლები. ასაკის წინსვლასთან ერთად ეს გავლენა უფრო იზრდება. მეშვიდე კლასამდე ბავშვების უმრავლესობა მშობლების გავლენის ქვეშაა, ხოლო შემდეგ წინა პლანზე გამოდის თანატოლები. მეშვიდე კლასამდე მოზარდები მშობლებს თვლიდნენ პარტნიორებად და წაბაძვის ნიშნულად, ხოლო უფროს სასკოლო ასაკში ამ თვალსაზრისით, თანატოლებს ანიჭებენ უპირატესობას.

როგორც ცნობილია, უმცროსკლასელები თანატოლებთან ურთიერთობას, ძირითადად, თამაშში ახორციელებენ. მათ სიმპატიებსა და ანტიპატიებზე დიდ გავლენას ახდენენ მასწავლებლის შეფასებები, უფროსებთან მათი ურთიერთობა და კონტაქტები ძალიან ხშირია. უმცროსკლასელები ძირითადად უფროსებზე არიან დამოკიდებულნი და ურთიერთობის ფორმას ეს მდგომარეობა განსაზღვრავს.

უმცროსი მოზარდები (მეოთხე-მეხუთე კლასი) გაცილებით ნაკლებად ურთიერთობენ უფროსებთან, ვიდრე – თანატოლებთან. ეს უკანასკნელი მათთვის

მეტად მნიშვნელოვანია, როგორც უმცროსი მოზარდის თვითდამკვიდრების არენა.

უფროსი მოზარდები უკვე ინტერესდებიან მცირე მეგობრული ჯგუფებითა და კომპანიებით. ისინი ჯერ კიდევ კონკრეტულ საგნებზე მსჯელობენ, მაგრამ ხანდახან განყენებულ თემებსაც აშუქებენ. ისინი ისევ „აწვალებენ“ გოგონებს და ამავე დროს ძალიან აინტერესებთ სქესთა შორის განსხვავებანიც. უფროსებთან ურთიერთობისას მოითხოვენ თანაბრობის პრინციპების დაცვას.

უფროსკლასელებს კი ურთიერთობის მოთხოვნილება ძალიან აქვთ განვითარებული. ისინი სიამოვნებით ამყარებენ ურთიერთობას როგორც თანატოლებთან (ბიჭებთან და გოგონებთან), ასევე უფროსებთან. აღრული ჭაბუკების ურთიერთობაში მთავარი ყურადღება ექცევა მეგობრების შექმნას, გაგებას და საკუთარი თავის შეცნობის შესაძლებლობას. მათ ურთიერთობაში სჭარბობს ადამიანურ ურთიერთობათა პრობლემები, ინტიმური საკითხები. მასწავლებლებმა და აღმზრდელებმა აუცილებლად უნდა იცოდნენ არა მარტო ის, თუ რატომ და როგორც ურთიერთობენ მოსწავლეები, არამედ ისიც, თუ როგორც გავლენას ახდენს ეს ურთიერთობა მათი პიროვნების ჩამოყალიბებაზე.

ჭაბუკებს მეტად აღელვებთ ისეთი რთული საკითხები, როგორიცაა საკუთარი ფიზიკური, ფსიქოლოგიური და სოციალური „მე“-ს შექმნება, მსოფლმხედველობის ჩამოყალიბება, თვითგამორკვევის პრობლემები, სოციალური თვითდამკვიდრების ადექვატური ზერხების ძიება. ურთიერთობის ჭაბუკური ტიპი მეცხრე-მეთათე კლასებში ღებულობს დომინირებულ მდგომარეობას.

უფროსკლასელთა ურთიერთობაში ხშირია კონფლიქტებიც. მათი მიზეზები შემდეგია.

- 1) უფროსკლასელთა გარშემო მიმდინარე მოვლენებზე შეხედულებათა შეუთავსებლობა;
- 2) ზოგიერთი უფროსკლასელის თვითდამკვიდრების მარცხიან მცდელობა;
- 3) უფროსკლასელთა ზოგიერთი უარყოფითი პიროვნული თვისება (ეგოიზმი, პატივმოყვარეობა...);
- 4) არსებული ურთიერთობით გამოწვეული დაუკმაყოფილებლობის გრძნობა;
- 5) ფიზიკური ნაკლი (შეძენილი ან თანშობილი)
- 6) ზოგიერთი უფროსკლასელის არაადექვატური ქცევა.

უფროსკლასელებთან კონფლიქტების მიმდინარეობის ტიპური ფორმებია: ა) დაუკმაყოფილებლობის ფარული მდგომარეობა, რომელიც ვლინდება პიროვნების ან ჯგუფის მოქმედებასთან აშკარა უთანხმოებაში. იგი გამოიხატება აგრეთვე გულგრილობაში, კოლექტივისაგან თვითიზოლაციის მცდელობაში. ბ) პასიური პროტესტი, რის საფუძველზედაც მცირდება შფოთვისა და წუხილის განცდა, სუსტდება კონფლიქტებით გამოწვეული ემოციური დაძაბულობა. გ) აშკარა შეჯახება, რომელიც ვლინდება უთანხმოების მკვეთრ გამოხატვაში მწვავე კამათის, ჩხუბის და სხვა ფორმების სახით, აგრეთვე შურიანობაში, აგრესიულობასა და სხვა აფექტურ მოქმედებებში.

მინაარსის მიხედვით უფროსკლასელთა კონფლიქტები შეიძლება დაიყოს სამ

ჯგუფად: 1) ღირებულებითი კონფლიქტები. ეს ისეთი კონფლიქტებია, რომლებიც აღმოცენდებიან ურთიერთობის მხარეთა შორის შეფასებითი სისტემის სფეროში. მაგალითად, ზოგისთვის მიუღებელია თანატოლთა თავაშვებულობა, ზოგისთვის კი – თანატოლთა სანიშნო ქცევა, კრიტიკას იმსახურებენ ის თანატოლები, რომლებიც იქცევიან მხოლოდ „წესების მიხედვით“. ეს უნდა აიხსნას ემოციური, ინტელექტუალური და ნებულობითი განვითარების სხვადასხვა დონეების არსებობით. ძალიან რთული ბუნებისაა იმ ღირებულებათა და შეფასებათა შეჯახების შედეგად აღმოცენებული კონფლიქტები, რომლებიც უფროსკლასელებს შეთვისებული აქვთ განვითარების სხვადასხვა დონეზე მყოფი ჯგუფებისა ან კოლექტივებისაგან. 2) კონფლიქტები, რომლებიც დაკავშირებული არიან უფროსკლასელთა ქცევის ჩამოყალიბებული სტერეოტიპების რღვევასთან. ასეთ კონფლიქტებს განსხვავებული მიზეზები აქვთ. მაგალითად, უფროსკლასელთა ჯგუფისა ან კოლექტივისათვის ძალიან მწელია მოცემული სიტუაციისათვის გადაულახავი, შეუსრულებელი ამოცანების ან დავალებების მიცემა. ან კიდევ, ისეთი დავალებების მიცემა, რომელთა შესრულების არც ერთი ვარიანტი მათთვის ცნობილი არ იყო. ე.ი. უფროსკლასელთა კოლექტივის ან ჯგუფის იძულება იწვევს კონფლიქტებს. კონფლიქტების მიზეზი შეიძლება გახდეს აგრეთვე კოლექტივის მიერ რომელიმე დავალების შესრულების შეუთანხმებელი ორგანიზაცია. მაგალითად, ხელმძღვანელობის სტილის მკვეთრი შეცვლა (დემოკრატიულიდან ავტოკრატიულზე გადასვლა). 3) მოულოდნელად აღმოცენებული კონფლიქტები, რომელთა შინაგანი მექანიზმი დაკავშირებულია წამიერ ემოციურ განმუხტვასთან. მათი საფუძველს ადამიანის რთული ბიოლოგიური და ემოციური რეაქცია საგნებისა და მოვლენების შესახებ, ადამიანთა ქცევებზე. ასეთი კონფლიქტები სწრაფწარმაველია. ისინი ისევე მოულოდნელად ჩაქრება, როგორც აღმოცენდება. ამისთვის კი საჭიროა რომელიმე მოკამათის ყურადღება სხვა შინაარსზე გადაართოს.;

მოსწავლეთა კოლექტივში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა ლიდერობის საკითხის შესწავლას. მცირე სოციალურ ჯგუფთა შესწავლისას დგება მთელი რიგი სოციალურ-ფსიქოლოგიური საკითხებისა, სადაც ცენტრალური ადგილი ლიდერის პრობლემას უკავია. ლიდერობა, როგორც ჯგუფური მოქმედების მთავარი ფაქტორი, უარსად მნიშვნელოვანი მოვლენაა. ლიდერობის პრობლემა შეისწავლება ისეთ ასპექტებში, როგორცაა ლიდერის როლი მცირე ჯგუფების აღმოცენებასა და ფუნქციონებაში, ჯგუფის წევრთა მოქმედების კოორდინაციები, ლიდერის დამოკიდებულება ჯგუფის მიზნებსა და ამოცანებზე, მისი გავლენა თანატოლთა შორის თვითდამკვიდრებასა და პრესტიჟის მოპოვებაზე. ლიდერობის საკითხის კვლევა სასკოლო პრაქტიკაში, მიუხედავად მისი უარესად დიდი მნიშვნელობისა, სამწუხაროდ, იშვიათი მოვლენაა. ლიდერები ტონს აძლევენ მთელ სასკოლო ცხოვრებას. ისინი სასკოლო ცხოვრებას წარმოქმნიან შინაარსებით ავსებენ, აკავშირებენ გათიშულ ელემენტებს და, ზანდაზან, დეზორგანიზაციაც შეაქვთ კოლექტივის ცხოვრებაში. კლასში ლიდერი ხდება ის მოსწავლე, რომელსაც თავისი კომუნიკატორული და პიროვნული თვისებების გამო ინფორმაციის მიღების მეტი საშუალება აქვს ვიდრე – დანარჩენებს. ლიდერებს განსხვავებული

პრესტიჟი აქვთ, ერთნი ავტორიტეტითა და პოპულარობით სარგებლობენ, მეორენი კი ორაგნიზატორული ჩვევებითა და შესაბამისი კომუნიკატორული თვისებებით ღვანან სხვებზე წინ, არიან ისეთებიც, რომლებიც ამგვარი თვისებებით არ გამოირჩევა, მაგრამ ინდივიდუალური, განუმეორებელი თავისებურება ახასიათებთ.

ლიდერებს შეიძლება ჰქონდეთ პიროვნების როგორც დადებითი, ისე უარყოფითი თვისებები. ადრეული ჭბაუკობის ასაკის ლიდერობის ერთ-ერთი თავისებურება ისიც არის, რომ თვით ლიდერი შეიძლება ვერც აღიქვამდეს თავის თავს ლიდერად და ჯგუფზე გავლენას ახდენდეს ისეთი მოსწავლეების მეშვეობით, რომლებიც აქტიური კომუნიკატორული თვისებებით გამოირჩევიან.

პირად ურთიერთობათა, ლიდერობის, თვითშეფასების, „პრეტენზიის დონის“, მიკროჯგუფებისა და სხვა კვლევის მეთოდები ჯერ კიდევ ნაკლებადაა დამუშავებული. ქართულ საყვარელ ლიტერატურაში პირად ურთიერთობათა საკითხი შედარებით სრულად აქვს გაშუქებული მ. ფოლბაის. იგი გამოთქვამს მოსაზრებას იმის შესახებ, რომ სასკოლო კოლექტივში ბავშვთა შორის დამოკიდებულება მრავალწახნაგოვანია. მათ შორის არსებობს სიმბათია, ანტიპათია, სიმულატივი, სიყვარული, მეგობრობა, ინდიფერენტულობა და ა.შ. სასკოლო ჯგუფების შესწავლისათვის აუცილებელია ყველ ამ მომენტის გათვალისწინება.

დამტკიცდა, რომ კლასის ფაქტორი, ნამდვილი, მოსწავლეთა სოციალურული გამოკითხვით დადგენილი ლიდერი სხვაა, მასწავლებელთა და კლასის ხელმძღვანელთა გამოკითხვით – სხვა. გამოკითხული საგნის მასწავლებლები უმეტესწილად შეცდომით ასახელებენ კლასის არაფორმალურ ლიდერებს. როგორც გამოირჩევა, აკადემიური მაჩვენებლები, რომელთა მიხედვითაც ლიდერებზე ძირითადად მსჯელობენ მასწავლებლები, არაა ფაქტორი ლიდერის დადგენის ასე თუ ისე მნიშვნელოვანი კრიტერიუმი. ლიდერის დასახელების დროს კლასი აკადემიურ წამრატებას იშვიათად იღებს მხედველობაში, მასწავლებლები კი ამ მხარეს წინა პლანზე აყენებენ.

როგორცაა კლასი, ისეთივეა მისი ლიდერი. თუ კლასი კარგია, ლიდერიც დადებითია. პირიქით მალე იშვიათად ხდება, თუ კლასი უარყოფითია, ცხადია, ლიდერიც უარყოფითია, ქუჩასთანა დაკავშირებული. კარგ და ცუდ კლასებში სოციალური ღირებულებები სხვადასხვაა.

უნდა აღინიშნოს, რომ აშკარად გამოხატული ლიდერი იშვიათი გამოჩენილია. არის შემთხვევები, როცა ზოგიერთ ძეგლად საზღვრს ან ქუჩასთან დაკავშირებულ უფროსკლასიულს (ასეთები კარგ კლასებშიც გვხვდება) ხელში ჰყავთ აყვანილი მთელი კლასი. ასეთი მოსწავლისა ემინათ და იძულებულნი არიან იმეგობრონ კიდევ მასთან. სინამდვილეში კი სოციალურული გამოკითხვის დროს ასეთი ჭბაუკი თითქმის ვერც ერთ ხმას ვერ ღებულობს.

დადებით ლიდერს ისეთი გლობალური გავლენა არა აქვს თანატოლთა კოლექტივზე, როგორც უარყოფითს. აშკარად გამოკვეთილი უარყოფითი ლიდერი ერთია, იგი მარტოა, კონკურსგარეშეა. დადებით ლიდერს კი კონკურენტები ჰყავს, იგი ცოტათი სჯობს სხვებს. უნდა აღინიშნოს ერთი საგულიზმო დეტალიც. უარყოფით ლიდერს თანაკლასელი გოგონები უფრო მედგარ წინააღმდეგობას

უნვენ (აშკარასაც და ფარულსაც), ვიდრე - ვაუები. ამის გამო უარყოფითი ლიდერები თანაკლასელ გოგონებთან ურთიერთობის დამყარებისათვის ფაქტობრივად დიპლომატიას მიმართავენ.

ოფიციალური ლიდერები კლასში დიდი ავტორიტეტით და პატივისცემით არ სარგებლობენ. თანაკლასელთა აზრით, მათი სიტყვა და საქმე ხშირად სცილდება ერთმანეთს, საქმეს სიფარულით არ აკეთებენ, მათ ყოველთვის მასწავლებლის მხარე უჭირავთ. ამ შემთხვევაში სიტყვაში „მასწავლებელი“ უფროსკლასელები გულისხმობენ მთელ პედაგოგიურ კოლექტივსა და სკოლას საერთოდ. ის, რომ ზოგიერთ კლასში მოსწავლეებსა და მასწავლებლებს შორის ერთგვარი დაპირისპირება შეინიშნება, მასწავლებლის ავტოკრატიული სტილის ბრალია. ზოლო, როცა მასწავლებლის ამ ავტოკრატიობას სოციალურ-ფსიქოლოგიური ცოდნის უკმარობაც ემატება, სწავლა-აღზრდის საქმე მეტად სერიოზული სიძნელების წინაშე აღმოჩნდება.

მასწავლებელთა ერთი ნაწილი, სამწუხაროდ, კარგად ვერ ერკვევა ასაკობრივი, პედაგოგიური და სოციალური ფსიქოლოგიის საკითხებში. ბევრმა მათგანმა არ იცის რა არის ჯგუფი (ფორმალური, არაფორმალური), კოლექტივი, პიროვნება, ლიდერობა, თვითცნობიერება, რეფლექსია, სწავლის მოტივები და სხვა. ყოველფეხს მნიშვნელოვან გავლენას ახდენს კლასსა და მასწავლებელს შორის სოციალური კონტაქტების დამყარებაში. ასეთი მასწავლებლები ვერცხვანად ვერ აფასებენ იმ ფაქტს, რომ გაკვეთილს გარდა დიდაქტიკურისა, აქვს მეორე, არანაკლებ მნიშვნელოვანი, მხარეც - სოციალურ-ფსიქოლოგიურიც, რომლის გაუთვალისწინებლადაც გაკვეთილი მშრალი და ძნელადსატანი ხდება.

ადრეულ ჭაბუკთა მეგობრობა

ადრეული ჭაბუკობა არის დამოუკიდებლობის ზრდის, მშობლებისგან ემანსიპაციას, თანატოლებზე ორიენტაციისა და თვითცნობიერების მკვეთრი ზრდის პერიოდი. ადრეულა ჭაბუკის მთავარი ფსიქოლოგიური ახალწარმოქმნა საკუთარი შინაგანი სამყაროს აღმოჩენა. ეს პროცესი რომელიც გარდამავალ ასაკში დაიწყო, ახლა წამყვანი ხდება.

უფროს სასკოლო ასაკში ყალიბდება და ვითარდება ადამიანური ურთიერთობანი. ეს ასაკი ხასიათდება მეგობრის დაძაბული ძიებით, არჩევითი, მყარი და ღრმა ემოციური გამოვლინებებით. მეგობრობა ამ ასაკის ერთ-ერთი წამყვანი მოთხოვნილება ხდება. იგი უმაღლეს ზნეობრივ ღირებულებად იქცევა. უფროსკლასელთა მეგობრობის ფსიქოლოგიური იდეალი გამოირჩევა საოცარი სიმტკიცით და ვლინდება განსხვავებულ სოციალურ და კულტურულ სფეროებში. უფროსკლასელები მეგობრობას სხვა ადამიანურ ურთიერთობათა შორის განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ. ჭაბუკური მეგობრობა ძალზე ემოციურია, მეგობრობაზე მათი წარმოდგენები ხშირად იდეალურ „მე“-სთან უფრო ახლოს, ვიდრე - რეალურთან.

უფროსკლასელთა მეგობრობის ფსიქოლოგიური საფუძველია ურთიერთგაგებისა და „გულის გადაშლის“ მოთხოვნილება, რომელიც მჭიდროდაა დაკავშირებული თვითცნობიერების ზრდასთან. ამ მოთხოვნილებას საფუძველი ეყრება გარდამავალ ასაკში, ხოლო ადრეულ ჭაბუკობაში იგი ძალიან მტკიცდება.

ჭაბუკური მეგობრობა თავისი ბუნებით პოლიფუნქციურია, რაც აისახება მისი ფორმების მრავალფეროვნებაში. ის იწყება დროის ერთად გატარების მცდელობით და მთავრდება ღრმა ინტიმური ფორმებით.

მეგობრობის ასაკობრივი დინამიკა იზომება არჩევითობის, სიმტკიცის და ინტენსივობის ხარისხით. ყველა ეს თვისება უფროს სასაკლო ასაკში ყალიბდება და ღრმავდება.

ასაკის წინსვლასთან ერთად მეგობრობაში გავების მოტივი ძლიერდება და, როგორც ვნახეთ, უფროს სასაკლო ასაკში იგი კულმინაციას აღწევს.

როგორც ყოველგვარი ადამიანური ურთიერთობა მეგობრობაც რეგულირდება გარკვეული წესების სისტემით, ეს წესები დაუწერელია, არაფორმალურია არსებობს მეგობრობის ოთხი წესი:

ა) გაცვლა. თავიანთი წარმატებების შესახებ ასალი ამბების ურთიერთგაზიარება, ემოციური მხარდაჭერა, საჭიროების შემთხვევაში ნებაყოფლობითი დახმარების აღმოჩენა, მცდელობა იმისა, რომ მეგობარს საამოუნებლეს მეგობრის საზოგადოებაში, ვალისა და გაწეული სამსახურის გადახდა;

ბ) ინტიმურობა. მეგობარში დარწმუნებულობა და მისადმი ნდობა;

გ) მესამე პირთან დამოკიდებულება. მეგობრის დაცვა მისი არყოფნის დროს, მოთმინებით მოეცილოს მის სხვა მეგობრებს, არ გააკრიტიკოს მეგობარი სახალხოდ, შეუნახოს მას საიდუმლო, არ იეჭვიანოს;

დ) კოორდინაცია. თავი არ მოაბეზრო და ჭკუა არ ასწავლო მეგობარს, მეგობრის შინაგანი სამყაროსა და ავტონომიის ყოველგვარი გამოვლენის პატივისცემა.

აღნიშნული წესები ხაფოველთაოა ყველა ასაკისათვის, ხოლო უფროსკლასელთათვის იგი საეაღლებულო ხდება და მისი ნებისმიერი პუნქტის დარღვევა ღრმად და მწკავედ განიცდება.

ამ ასაკში შეინიშნება უფროსებთან მეგობრობის ძიების ტენდენცია, მაგრამ თანატოლებთან მეგობრობის ტენდენცია ძალიან ძლიერია.

შეინიშნება აგრეთვე უმცროსებთან მეგობრობაც. თუ გარდაამავალ ასაკში მოზარდის უმცროსებთან მეგობრობა განიხილებოდა როგორც თანატოლებთან მეგობრობისა და ურთიერთობის სფეროში რაიმე დარღვევის ან ნაკლის კომპენსაცია, ამ ასაკში უმცროსებთან მეგობრობა განიხილება როგორც თანატოლებთან მეგობრობის დამატება და არა როგორც მისი ალტერნატივა. ის უფროსკლასელები კი, რომლებიც მხოლოდ უმცროსებთან მეგობრობენ, ფსიქო-ფიზიკური განვითარების ჩამორჩენას ამჟღავნებენ.

ო. კონის მონაცემებით მეცხრეკლასელი გოგონების 3.9% და ბიჭების 2.9% საერთოდ არ ყავს ახლო მეგობრები, საკუთარი სქესის თითო მეგობარი ყავს ბიჭების 2.3% და გოგონების 2.9%. ორი მეგობარი ყავს ბიჭების 31% და გოგონების 30%. ეს მონაცემები ცხადყოფენ, რომ მეგობრობა ამ ასაკში ძალიან ინდივიდუალური და არჩევითია.

ჭაბუკურ მეგობრობაში ნათლად ვლინდება სქესობრივი კომუნიკაციური თავისებურებებიც. ინტიმური მეგობრის მოთხოვნილება გოგონებში ბიჭებთან

შედარებით თითქმის ორი წლით ადრე ისახება და გოგონების მეგობრობა უფრო ემოციურია. მეგობრობაში მათი კრიტიკიკუმი ბიჭებისგან განსხვავებით გაცილებით უფრო ფაქიზია და მდიდარია ფსიქოლოგიური მოტივებით.

მეგობრობა რაც უფრო ღრმა ხდება, მეგობრები ერთმანეთს უფრო მეტად ეკითხებიან რჩევებს, ვიდრე მშობლებს. ჭაბუკები მეგობრებთან უფრო მეტად მიღან რჩევებისათვის პირადულ საკითხებზე, ხოლო ისეთი საკითხების შესახებ, როგორცაა ფინანსები, განათლება და კარიერის დაგეგმვა, უფრო მეტად მშობლებს ეკითხებიან.

ჭაბუკების მეგობრობის გამოვლენის მეტად თავისებური ფორმაა სასიყვარულო პემაი. ბ. როსკოს მიხედვით ასეთ პემაის აქვს შვიდი ფუნქცია: 1) გართობა – ესაა საწინააღმდეგო სქესის თანატოლთან ხალისიანი შეხვედრები.

2) სოციალიზაცია. ესაა შესაძლებლობა იმისა, რომ საწინააღმდეგო სქესის წარმომადგენელთან ახლო ურთიერთობის დროს გაიგონ რაც შეიძლება მეტი ერთმანეთის შესახებ და დახვეწონ ურთიერთობის ხერხები.

3) სტატუსი – საკუთარი სტატუსის აწევის შესაძლებლობა თანატოლთა ჯგუფებში.

4) საქორწინო პარტნიორის არჩევა. ესაა მომავალი მეუღლის არჩევა, ერთმანეთთან სიახლოვე ცოლ-ქმრული თანაცხოვრების მიზნით.

5) სექსი – სექსუალური გამოცდილების მიღების სურვილი.

6) მეგობრული ურთიერთობის დამყარება – ახალი საწინააღმდეგო სქესის მეგობრის შეძენა, რომელთანაც შესაძლებელი იქნება საერთო საქმის წარმოება.

7) ინტიმურობა საწინააღმდეგო სქესის წარმომადგენელთან განცდისმიერი, ინტიმური ურთიერთობის დამყარება.

მოზარდობის ასაკში პემაების ძირითადი მოტივია გართობა და სტატუსის ამაღლების მცდელობა. ჭაბუკისათვის კი პემაი მეტად სერიოზული საქმეა. მას ნაკლებად იზიდავს პარტნიორის გარეგნულობა, რასაც ადგილი ჰქონდა გარდამავალ ასაკში. ჭაბუკებს უფრო აინტერესებთ პარტნიორის პიროვნული ნიშნები და სამომავლო გეგმები. წინა პლანზე გამოდის ინტიმური ურთიერთობის და მომავალ მეუღლეთა შერჩევა.

ჭაბუკური მეგობრობა უნიკალურია იმ თვალსაზრისითაც, რომ იგი მოიცავს სიყვარულსაც. განსხვავებული სქესის უფროსკლასელთა ინტიმური მეგობრობა უპეტესწილად არის ახალჩასახული სიყვარულის დასაწყისი.

ადრეული ჭაბუკობის ასაკში მეგობრობას ძალზე პრივილეგირებული მდგომარეობა უჭირავს. მისი ერთადერთი „მეტოქეა“ მშობლების სიყვარული და პატივისცემა.

თავი ოცდამეომეხე უფროსკლასაშლთა ბრძნობეჲი და ემოციეჲი

უფროს სასკოლო ასაკში ქრება გარდამავალი ასაკისათვის დამახასიათებელი შინაგანი კონფლიქტები, მაგრამ ჩნდება პიროვნების სფეროს ცვლილებებით გამოწვეული ამ ასაკის სპეციფიკური პრობლემებიც, რომლებიც ჭაბუკების ემოციურ ცხოვრებას თავისებურ დღს ასვამს.

ამ ასაკში ფაქტიურად მთლიანად მთავრდება სქესობრივი მომწიფება, იწყება ჭაბუკების ორგანიზმის ფიზიკური გაფურჩქნისა და აყვავების პერიოდი. სერიოზული ცვლილებები ხდება უფროსკლასაშლთა ფსიქიკური განვითარების სფეროშიც, იცვლება მათი აზროვნების, მესხიერების და ყურადღების მოქმედება. ინტერესები და ნებელობითი პროცესები. ყველა ეს ცვლილება, რომელიც ხასიათდება ფიზიკური, გონებრივი და ზნეობრივი ძალების საერთო ზრდითა და პიროვნების განვითარებით, მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ჭაბუკის საერთო ემოციურ ტონუსზე, მისი ემოციური ცხოვრების ხასიათზე და მიმდინარეობაზე.

როგორც აღვნიშნეთ, ადრეული ჭაბუკობის ძირითადი დამახასიათებელი ნიშანია მომავლისადმი მიმართულობა, რაც ეფუძნება საკუთარ ძალებში დარწმუნებულობის განცდას და ჭაბუკებში იწყებს საერთო ოპტიმისტურ თვითგრძობას და ამდღებულ ცხოვრებისეულ ტონუსს. ამის გამო უფროსკლასაშლისათვის დამახასიათებელია საერთო ცხოველმყოფელობა და სიცოცხლის ხალისი. ხანდახან ზოგიერთი ცხოვრებისეული წარუმატებლობა და მაცრბი იწყებს ჭაბუკების ემოციური ტონუსი დაცემასაც, მაგრამ ეს მდგომარეობა მალე უშჯობესდება.

უფროს სასკოლო ასაკში, მოზარდებთან შედარებით, საერთო ემოციური თვითგრძობა შედარებით უფრო თანაბარია, როგორც წესი არ აღინიშნება მოზარდთა მკვეთრი აფექტური „აფეთქებები“. ჭაბუკებს ახლა შეუძლიათ გრძობის დაფარვა და შენიღბეც. მათ უფრო ზუსტად და ფაქიზად შეუძლიათ განცდათა ელფერების აღქმა, „გრძობათა წაკითხვა“.

ბევრი მოელენა, რომელსაც მოზარდი გულგრილად ჩაუვლიდა და ყურადღებასაც არ აქცევდა, ჭაბუკში გარკვეულ განცდებს იწყებს. მაგალითად, ადამიანური ურთიერთობაში ოჯახში, ყოფაში, სკოლაში საწარმოში – ახლა უკვე გრძობებისა და ემოციების ობიექტი ხდება. ეს მოვლენები ჭაბუკებს აღელვებს. ამ ასაკში უფრო ღრმავდება ჭაბუკის დამოკიდებულება სინამდვილის ესთეტიკური მხარისადმი, რომელიც დამოკიდებულა საერთო განათლების დონეზე და, რომელიც შეუდარებლად მაღალია. ხელოვნების ნიმუშები და საერთოდ ესთეტიკური მოვლენები ჭაბუკების აღფრთოვანებას იწყებენ.

მაღალ დონეს აღწევს აგრეთვე ეთიკური გრძობებიც. ჭაბუკებს უკვე შეუძლიათ ხხვისი ჭირის გაგება და გაზიარება. ისინი კეთილი საქციელის გამო სულიერ აღმავლობას განიცდიან.

როგორც მოზარდების, ასევე ჭაბუკების ემოციური რეაქციები არ აიხსნება მხოლოდ პორბონალური ტერებით, არამედ ისინი დამოკიდებულნი არიან სოციალურ ფაქტორებსა და აღზრდის პირობებზე. მოზარდობის პროცესის ფსიქოლოგიური

სიძნელები, პრეტენზიის დონისა და „მე-ს“ ხატის წინააღმდეგობები ხშირად ჭაბუკების ემოციურ დაძაბულობასაც იწვევენ. ამასთან ერთად, მაღლდება ჭაბუკთა ემოციური მგრძობიერება, რაც ამ ასაკისთვისაა დამახასიათებელი. ფაქტორთა რიგი, რომელიც ემოციურ აგზნებას იწვევს, ასაკის წინსვლასთან ერთად იზრდება და ფართოვდება. მრავალფეროვანი ხდება ემოციის გამოხატვის ხერხებიც, იზრდება ემოციური რეაქციების ხანგრძლივობა.

უფროს სასკოლო ასაკში სპეციფიკურ ტრანსფორმაციას განიცდის მოწიფულობის გრძობა. იგი ახლა უფრო ღრმა და მწვავე ხდება. მოზარდებთან შედარებით უფროსკლასელები გაცილებით უფრო ნაკლებად ურთავდებიან მათი „უფროსობის“ დაქინების ცდებს. თუ მოზარდი ცდილობდა, რომ ის ჩათვალათ უფროსად, დიდად, ცდილობდა არაფრით განსხვავებულიყო უფროსებისაგან, ახლა მას უნდა, რომ უფროსებმა აღიარონ ორიგინალურობა, ჭაბუკები ცდილობენ ყველა საშუალებით მიიპყრონ უფროსების ყურადღება და დამტკიცონ საკუთარი თვითმყოფობა.

უფროსკლასეულთათვის დამახასიათებელია ამხანაგობის განვითარებული გრძობა. ეს გრძობა ახლა უფრო ფართოა, ვითარდება პირადი მეგობრობის მოთხოვნილება. უფროსკლასელთა მეგობრობის გრძობა განსხვავდება მოზარდების მეგობრობისაგან. ჯერ ერთი, ახლა მეგობრობის მოტივები უფრო ღრმაა. თვით მეგობრობას უკვე უფრო მაღალ მოთხოვნებს უყენებენ. ეს მოთხოვნებია: ურთიერთნდობა, ერთგულება, დახმარებისათვის მზაობა, ინტერესთა ერთობა, პრინციპულობა, ურთიერთაბიჯისცემა და ურთიერთგაგება. ეს გრძობა ახლა უფრო შინაარსიანია, იგი ახლა მოიცავს ინტერესთა ფართო წრეს და, რაც მთავარია, მეგობრობა ახლა უფრო ემოციურია.

უფროსკლასელთა მეგობრობა გამოირჩევა დიდი სიღრმით. ეს გრძობა ყველა აღმაინისთვის ნაცნობია. იგი ამოცნადა კაცობრიობის ეთიკური და ესთეტიკური პროგრესის პირველ ნაბიჯებთან ერთად, რომელიც ყოველ შემდგომ ისტორიულ საფეხურზე უფრო და უფრო მდიდრდებოდა და ღრმავდებოდა. კაცობრიობის წინსვლასთან და პროგრესთან ერთად იცვლება სიყვარულის შინაარსი და ფორმები.

წმინდა ამხანაგური და მეგობრული დამოკიდებულების საფუძველზე ბიჭებსა და გოგონებს შორის აღმოცენდება პირველი სიყვარული. ჩვეულებრივ მეგობრულ ურთიერთობებში იჭრება ახალი, ჯერ განუცდელი, ამაღელვებელი და ღრმა გრძობა. იგი გამოიხატება იმით, რომ მეგობრებს შორის შეირჩევა ბიჭი ან გოგონა, რომლის მიმართ ვლინდება ინტერესი და ყურადღება, განიცდება ძლიერი ლტოლვა.

პირველი სიყვარულის ასაკი მერყეობს თერთმეტიდან ჩვიდმეტ წლამდე გარდამავალ ასაკში სჭარბობს რომანტიზმი, წამყვან ადგილს იჭერს ფანტაზია და ოცნებები. ამ დროს სქესობრივი ლტოლვა მინიმალურია ან შეიძლება სულაც არ აღინიშნებოდეს. პირველი სიყვარული იწვევს მოზარდის მთლიანი პიროვნების სერიოზულ ძვრებს, ჩნდება სიმორცხვე და შებოჭილობა. მისი ყურადღება მიპრობილია საკუთარი თავისაკენ, იცვლება მისი ქცევაც. მოზარდი ახლა

უფრო მგრძობიარე ხდება, ხშირად ფიქრობს ცხოვრების არსზე და აზრზე, ოცნებობს, ისწრაფვის განმარტობისკენ. მოზარდების ცნობიერებაში სიყვარულის ობიექტი ფიგურირებს მუდმივად და უცვლელად, ხდება მისი იდეალიზაცია.

სიყვარული, როგორც ემოციური ცხოვრების მწვეკვე და დაძაბული ფორმა, სამწუხაროდ, არაა მტკიცე, მყარი და გამძლე არც ადრეული ჭაბუკობის ასაკში. იგი უმეტესად ატარებს იმპულსურ ხასიათს., მას ჯერ კიდევ არ აქვს ღრმა ფესვები და ხშირად შემთხვევითია.

14-დან 18 წლამდე სიყვარული უმეტესწილად დამოკიდებულია ორ ძირითად ფაქტორზე – გარეგნულ სილამაზეზე და ზოგერთ პიროვნულ ფაქტორზე, რომელიც ხანდახან არ გამოხატავს ადამიანის ნამდვილ არსს.

მოსწავლეთა უმრავლესობა სიყვარულს განიცდის სკოლის პერიოდში. ამ თვალსაზრისით საინტერესოა ი. ფლოროვსკის მონაცემები:

	VI კლასი	VII კლასი	VIII კლასი	IX კლასი	X კლასი	XI კლასი
გოგონები	7.5	8.8	11.0	35.0	23.0	5.5
ბიჭები	5.0	14.5	12.0	14.5	19.5	17.0

უფროსკლასელთა სიყვარული იწყება დაძაბულობით, უკმაყოფილების მდგომარეობით, დარღვევით. ეს განსაკუთრებული მდგომარეობა დამახასიათებელია უფროსებისათვისაც. სიყვარული საერთოდ ასე იწყება. ხშირად, სიყვარული აღმოცენდა უცბად, მოულოდნელად, მაგრამ ღრმა ფსიქოლოგიური ანალიზი ევიწყნებს, რომ ამ მოულოდნელ სიყვარულს წინ უძღოდა შეუმჩნეველი ან დაევიწყებული წინაგრძობა. თელიან, რომ სიყვარულის მოთხოვნილება არსებობს თვით ადამიანურ ბუნებაში. იგი პირველად იღვიძებს სქესობრივი მოშფიფების პერიოდში და გოგონებში და ბიჭებში განსხვავებულად მიმდინარეობს. სიყვარულის აღმოცენებამდე გოგონა ხდება მორცხვი და ზედმიწევნით მორიდებული, ყურადღების მიპყრობას ცდილობს ჩაცმულობით და კოსმეტიკით. ბიჭები აქტიურად ცდილობენ გოგონების ყურადღების მიპყრობას ჩაცმულობითა და ვარცხნილობით, ამასთანავე, ხშირად ღალატობთ გემოვნება.

სიყვარულში არის ორი საწყისი – ბიოლოგიური და საზოგადოებრივი. ბიოლოგიური საწყისი არის სქესობრივი ინსტინქტი. სიყვარულის ბიოლოგიური საწყისი საუკუნეების განმავლობაში უცვლელია, ზოლო მისი სოციალური არსი იცვლება საზოგადოებრივი ცხოვრების ცვლილებასთან ერთად. რაც უფრო მდიდარია უფროსკლასელთა სოციალური ინტერესები, მით უფრო ღრმაა მათი სასიყვარული ურთიერთობანი. ძალზე მისასაღმებელია, როცა ჭაბუკის სიყვარულის გრძობა რომანტიკულა და დამყარებულია სიყვარული გოგონას რაინდულ აღქმაზე. ასეთ შემთხვევაში ჭაბუკი ახშობს გოგონასადმი ფიზიკურ, სქესობრივ ღტობას. ყოველივე ეს დამოკიდებულია უფროსკლასელთა სქესობრივ აღზრდაზე და, საერთოდ კულტურის დონეზე. ჭაბუკური სიყვარული, როგორც წესი, მდიდარია სხვადასხვა გაცნდებით, გულწრფელი და ლირიულია. იგი ბევრი რაიშეთი გავს

მეგობრობას, მისი საფუძველია სულიერი სიახლოვე. სიყვარულის გრძობა უმეტესწილად, დადებით გავლენას ახდენს ჭაბუკების პიროვნებაზე, მათში იწვევს სრულყოფისა და ნაკლის გამოსწორების ტენდენციას.

უფროსკლასელები თვლიან, რომ სიყვარული არის ამაღლებულის განცდა. უფროსკლასელთა შეხედულებები სიყვარულის შესახებ იყოფა რამდენიმე ჯგუფად:

1) ამ ჯგუფში შედის ისეთი შეხედულებები, რომლებიც ავლენენ სიყვარულის საკითხებში გარკვევის სურვილის არარსებობას ან მათ სრულ გაუგებრობას;

2) აქ ლაპარაკია ისეთ გამონათქვამებზე, რომლის საშუალებითაც უფროსკლასელები ცდილობენ სიყვარულის დეფინიციის მოცემას, მისი შინაარსის გახსნას. მაგრამ მათი შეხედულებები ხასიათდება ანალიზის ცალმხრივობით და უსრულობით (არასაკმაო სისრულით).

3) ამ ჯგუფში ერთიანდებიან ის უფროსკლასელები, რომლებიც თვლიან, რომ სიყვარულში ძირითადი და მთავარია მეგობრული ურთიერთდამოკიდებულება, შეყვარებულებს შორის საერთო ინტერესების, შეხედულებებისა და მისწრაფებების არსებობა. მათი აზრით „სიყვარული არის ურთიერთგაგებაზე დამყარებული გრძობა“. საინტერესოა, რომ ამ უფროსკლასელებს, რომლებიც ასე მსჯელობენ, ჯერ არ განუცდიათ სიყვარული.

4) ამ ჯგუფს განეკუთვნებიან ის უფროსკლასელები, რომლებიც მთლიანად ან ნაწილობრივ უარყოფენ სუფთა სასიყვარულო განცდების არსებობის შესაძლებლობას. ესაა სიყვარულის ბიოლოგიზაცია. მათთვის სიყვარული არის უბრალო ჩვევა, რომელიც ყალიბდება ადამიანთა, ხანგრძლივი და ხშირი ურთიერთობის შედეგად. ასეთი შეხედულებები უმეტესად დამახასიათებელია გოგონებისთვის.

5) ამ ჯგუფში შემაგალი უფროსკლასელები აღნიშნავენ, რომ სიყვარულის გრძობა რაღაც შეუცნობელი და აუხსნელია, რომელიც ადამიანისგან დამოუკიდებლად არსებობს.

ჭაბუკობისდროინდელი მეგობრული ურთიერთობანი ხშირად მთელი ცხოვრების განმავლობაში გრძელდება.

ამ ასაკში პირველად ვლინდება სიყვარულის განსაკუთრებული გრძობა, რაც ჭაბუკობის ემოციური ცხოვრების სრულიად განსაკუთრებული სფეროა. სიყვარული, როგორც ღრმა, ძლიერი და მოქმედი გრძობა, მხოლოდ ახლა ვითარდება. გარდამავალ ასაკში ეს გრძობა პირადი სიმპატიის დონეზე იყო განვითარებული. ჭაბუკური სიყვარული, როგორც წესი, სუფთაა, უშუალო, ფაქიზი, ღირიული და გულწრფელი გრძობაა. შეყვარებულები ერთმანეთში აფასებენ მაღალ სოციალურ თვისებებს. 16-17 წლის ასაკში საწინააღმდეგო სქესისადმი ინტერესი და სწრაფვა - ნორმალური მდგომარეობაა

მიუხედავად იმისა, რომ უფროსკლასელთათვის, მოზარდებთან შედარებით, დამახასიათებელია ზოგადი დადებითი ემოციური ტონუსი, ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ ამ ასაკში არ შეინიშნება უარყოფითი, ცუდი განცდები და

განწყობილებები, დერესიები, რომლებიც გამოიწვევა ამა თუ იმ ცხოვერებისეული სიტუაციისა და მდგომარეობის გავლენით. ფ. ლიდეკემის მონაცემების მიხედვით. უფროსკლასელთა ცუდი ემოციური მდგომარეობის მიზეზებია:

- 1) სწავლის სიძნელებები, ცუდი ნიშნები, მარცხი -44.9%
 - 2) საოჯახო საზრუნავი, კამათი, მშობლების დამოკიდებულება -9.6%
 - 3) იმედის გაცრუება, საქმეები ცუდად მიდის -9.6%
 - 4) „ცოდვები“, ამღვრეული სინდისი, შეცდომები, არასწორი ქცევები 8.2%
 - 5) თავისუფლებაში შეზღუდვები, აკრძალვები 5.3%
 - 6) ავადმყოფობა, მარცხი 5.2%
 - 7) შენიშვნებით გამოწვეული წყენის გრძნობა, გაუგებრობები, მეგობრებთან წაჩხუბება -5.1%
 - 8) პირადული სიძნელებები: უკმარობის გრძნობა, ნიჭის უკმარობა -5.1%
 - 9) მეგობრებთან დაკავშირებული მღელვარებები -3.2%
 - 10) სხვადასხვა მიზეზები: უსაქმურობა, შიშები, ცუდი ძილი -5.8
- ამრიგად, უფროსი სასკოლო ასაკი გრძნობის და ემოციების განვითარების სენზიტიური ასაკია. მოზარდებთან შედარებით ჭაბუკების ემოციური ცხოვრება უფრო ღრმა და გააზრებული ხდება.

თავი ოცდამესამე

უფროსკლასელთა ფსიქონემატალური განვითარება და ოჯახური ცხოვრებისათვის მომზადება

სქესობრივ ცხოვრებაში იგულისხმება სომატური, ფსიქოლოგიური და სოციალური პროცესების ერთობლიობა, რომლის საფუძველია სექსუალური ლტოლვა, ლიბიდო. ადამიანურ საფეხურზე სქესობრივი ურთიერთობის ფორმების ჩამოყალიბებაში და განმტკიცებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს პიროვნების მორალურ შეხედულებათა სისტემა. ცხოველთა საფეხურზე ძირითადი და განსაზღვრულია სქესობრივი ინსტინქტი. ადამიანურ საფეხურზე სქესობრივი ცხოვრების ცნებაში, როგორც აუცილებელი კომპონენტი, შექმდის სულიერი ურთიერთობებიც.

ადამიანური სექსუალობის ძირითადი თავისებურება ისაა, რომ სქესობრივი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებული განცდები ემანსიპირდება, გამოეყოფა მის პირველად ბიოლოგიურ მიზანს – შთამომავლობის გაგრძელებას, რაც საფუძვლად ედება ელემენტარული სქესობრივი ლტოლვის ადამიანური სიყვარულის ამაღლებულ ფაქიზ გრძობად გადაქცევას.

სექსუალობის ფორმირების დინამიკა დეტერმინირებულია ასაკით. ადამიანის სპეციფიკურ გამოვლინებების მთელ დიაპაზონს ყოფენ ოთხ პერიოდად:

პუბერტეტი, გარდამავალი, მომწიფებელი სექსუალობისა და ინვოლუციური პერიოდები. ყველა ეს პერიოდი ხასიათდება სპეციფიკური თავისებურებებით.

1) პუბერტეტში იღვიძებს სექსუალური ლიბიდო და იწყება პირველი ეოკულაცია (ხშირად ღამის პოლუციების დროს). ეს მოვლენა გველინება მასტურბაციის დაწყების მიზეზად.

2) გარდამავალი პერიოდი ხასიათდება მოუწესრიგებელი შემთხვევით სქესობრივი კავშირებით. ეს პერიოდი მამაკაცებისათვის ქორწინების პერიოდია.

3) მომწიფებელი სექსუალური ცხოვრების პერიოდი ხასიათდება სქესობრივი ცხოვრების ინდივიდუალური ნორმების დამყარებით, რომელიც განსაზღვრულია სქესობრივი კონსტიტუციით, შეხედულებათა და ღირებულებათა სისტემით და ცხოვრების პირობებით.

4) ინვოლუციური პერიოდი ხასიათდება სქესობრივი აქტივობის თანდათანობით შესუსტებითა და სექსუალური სფეროსადმი ინტერესის დაქვეითებით.

სექსი ბიოლოგიური თვალსაზრისით არის გენეტიკურ, მორფოლოგიურ და ფიზიოლოგიურ თვისებათა ერთობლიობა, რომელიც უზრუნველყოფს ორგანიზმის სქესობრივ გამრავლებას. ადამიანის საფეხურისთვის ასეთი დეფინიცია არაა საკმარისი. ფართო მნიშვნელობით სექსი არის რეპროდუქციულ ზოგადსმატურ ქცევით და სოციალურ თავისებურებათა კომპლექსი, რომელიც განსაზღვრავს ინტერპერსონალურ ურთიერთობებს განსხვავებული სქესის წარმომადგენლებს შორის. სექსუალობაში კი იგულისხმება რეაქტივობის, განცდებისა და მოქმედებების ერთობლიობა, რომელიც დაკავშირებულია სქესობრივი ლტოლვის დაკმაყოფილებასთან. საერთო ასაკობრივი მონაცემები ასეთია:

- 1) 9-10 წელი. გოგონები. მენჯის ძელების ზრდა, მკერდის გადიდება.
- 2) 10-11 წელი. ბიჭები. საკვერცხეებისა და სასქესო ასოს ზრდის დასაწყისი. გოგონები. - სარძევე ჯირკვლების ზრდის დასაწყისი. თმების ზრდა ბოქვენზე.
- 3) 11-12 წელი. ბიჭები. წინამდებარე ჯირკვლის სეკრეციის აქტიურობა გოგონები. - შინაგანი და გარეგანი გენიტალიების ზრდა, საშოს ეპითელიუმის ცვლილებები.
- 4) 12-13 წელი. ბიჭები. - თმების ზრდა ბოქვენზე (დასაწყისში ქალური ტიპით). გოგონები. - მკერდის პიგმენტაცია. სარძევე ჯირკვლების გადიდება, მენსტრუაციის დაწყება.
- 5) 13-14 წელი. ბიჭები. - საკვერცხეებისა და სასქესო ასოს სწრაფი ზრდა. გოგონები. - თმების ზრდა ივლიებში.
- 6) 14-15 წელი. ბიჭები. თმების ზრდა ივლიებში, ღინღლი ზედა ტურზე, ხმის მუტაციის დასაწყისი. გოგონები. - ნაადრევი ნორმალური ორსულობა.
- 7) 15-16 წელი. ბიჭები. მწიფე სპერმატოზოიდები. გოგონები. - ზორკლი, უფრო დაბალი ხმა. მენსტრუაცია ლებულობს რეგულარულ ხასიათს, ჩონჩხის ზრდის შეჩერება.
- 8) 16-17 წელი. ბიჭები. სახის გათმოვანება, ბოქვენზე თმების ზრდის მამაკაცური ტიპი, ზორკლი.
- 9) 21 წელი. ბიჭები. ჩონჩხის ზრდის შეჩერება.

ადამიანის სქესობრივი ფუნქციის განვითარების და ინვოლუციის პერიოდები სქემატურად შეიძლება ასე წარმოვიდგინოთ.

პერიოდი ასაკი	მამაკაცები	ქალები
1 2 3 4		
1 ბავშვობა (ასექსუალური)	0-9 0-8	
2. წინაპუბერტატული	10-12	9-11
3. პუბერტატული		
ა) პირველი	13-16	12-14
ბ) მეორე	17-22(25)	15-17(20)
4. სქესობრივი სიმწიფე	23(26)-51(55)	18(21)-45(55)
5. ინვოლუცია		
ა) პირველი	52(56)-65(70)	46(56) -60
ბ მეორე	66(70)-90	61 (65)-90
გ) მესამე	90 90	

როგორც ვხედავთ, სქესობრივი ფუნქციის განვითარებისა და ინვოლუციის პერიოდები ერთმანეთს არ ემთხვევა:

I. ბავშვობა. ასექსუალური პერიოდი. ეს პერიოდი „უსქესო პერიოდის“ სახელითაცაა ცნობილი, რადგან ბიჭებსა და გოგონებს სქესობრივი ჯირკვლების პორმონალური ფუნქცია ჯერ არ დაწყებიათ. ფსიქოლოგიურ პლანში ამ პერიოდის

გოგონებისა და ბიჭებისათვის დამახასიათებელია ცნობისმოყვარეობა, სხვა ბავშვებთან ხალისიანი ურთიერთობები სქესობრივი დაყოფისა და გარკვერძობულობის გარეშე.

2) წინარეპუბერტატულ პერიოდში აქტიურდება გონოლოტროპულ ჰორმონთა გამოშვება. ბიჭებს უზრუნველყოფს ტესტოსტერონი. ჰორმონალური სტიმულაციის საფუძველზე იზრდება სქესობრივი ასო, კერძოდ, სისხლისა და წინამდებარე ჯირკვლის ზომები. შესაბამისად იზრდება ტვინის-კუნთოვანი სისტემა. ამ ასაკის ბიჭები ცდილობენ გოგონებისგან განცალკევებას. მათ უწინდებით, მამაკაცური ინტერესები. გოგონებს უზრუნველყოფს ესტროგენების რაოდენობა. იზრდება მენჯი, მკერდი, იწყება პიგმენტაცია. ბოჭვენზე ჩნდება ერთეული თმები. თანდათან იცვლება ხასიათი, ინტერესები და ჩვევები.

3) პირველი პუბერტატული პერიოდი ხასიათდება პირველადი და მეორადი სასქესო ნიშნების შემდგომი ფორმირებით. ბიჭებში ამ პროცესს თან ახლავს ხორხის გადიდება, ხმის მუტაცია, ბოჭვენის გათმოვანება (დასაწყისში ქალური ტიპით), კუნთებისა და ჩონჩხის შესამჩნევი განვითარება. 15 წლის ასაკში იწყება თმების ზრდა ილიებისა და ბოჭვენზე (მამაკაცური ტიპი), ხოლო პერიოდის ბოლოს – სახის გათმოვანება. ყალიბდება სპერმატოზოიდები, იწყება ღამის პოლუციები, ფსიქიკური მოქმედებები ხასიათდება გაუწონასწორობლობით, აწეული ნერვიულობითა და სიჯიუტით. ამასთანავე, იცვლება დამოკიდებულება გოგონების მიმართ, ვითარდება მათთან მეგობრობისა და მათ მიმართ ყურადღების მიქცევის სურვილი, ამ ასაკში ბიჭებს შეუძლიათ სქესობრივი აქტის წარმოება. გოგონების ორგანიზმში შეინიშნება იმ ჰორმონთა სტაბილური წარმოშობა, რომლებიც ხელს უწყობენ სქესობრივი ჯირკვლების სტიმულაციას. ამის გამო გრძელდება სარძევე ჯირკვლების განვითარება, იზრდება თმები ილიებისა და ბოჭვენზე. ფართოვდება მენჯი, იწყება მენსტრუაცია. მენსტრუაციის დაწყების ნორმა 10-16წელი. პირველი მენსტრუაციის დაწყება 10 წლამდე და 16 წლის შემდეგ პათოლოგიური მოვლენაა. ამ ასაკიდან გოგონა ბავშვობას ტოვებს, მის ორგანიზმს უკვე შეუძლია ორსულობა და შთამომავლობის მოცემა. პირველი მენსტრუაცია არის სქესობრივი სიმწიფის დასაწყისის მაჩვენებელი. იმის გამო, რომ სქესობრივი ჰორმონები სომატოტროპინის (ზრდის ჰორმონის) ანტაგონისტური მოქმედებისა, იწყება სხეულის ზრდის შეწყვეტა. ამასთანავე უფრო შესამჩნევად ვითარდება და აქტიურდება სარძევე ჯირკვლები.

იცვლება გოგონების ქცევა, მაღლდება მოთხოვნები საკუთარი გარეგნობისადმი, მათ უწინდებით სურვილი გამოიყურებოდნენ სხვებზე უკეთ; გოგონები იწყებენ ბიჭებისადმი ინტერესის გამოვლენას. ფსიქოლოგიური თვალსაზრისით მათთვის დამახასიათებელია ოცნებები, ხასიათის არამდგრადობა და ნერვიულობა. ეს პერიოდი არის ბიოლოგიური სქესობრივი მომწიფების პერიოდი. ორსულობის უნარი უკვე ჩამოყალიბებულია, მაგრამ ორგანიზმის ზრდა-განვითარება უკვე არ დასრულებულია. ამ ასაკში სქესობრივი ცხოვრება უარყოფითად მოქმედებს ორგანიზმის მრავალი სისტემის განვითარებასა და ნებელობითი პროცესების ჩამოყალიბებაზე. ამ პერიოდში სქესობრივი აღზრდის პრობლემებს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს.

4) მეორე კუბერტატული პერიოდი ხასიათდება სქესობრივი სისტემის საბოლოო ფორმირებით, მთავრდება ტვალ-კუნთოვანი სისტემის განვითარება, ახლა ახალგაზრდას უკვე შეუძლია პირადი პრობლემების დამოუკიდებლად გადაწყვეტა. ბიჭები ავლენენ სქესობრივი სიახლოვის მცდელობას.

გოგონებს უყალიბდებათ მენსტრუაციული ციკლი, მთავრდება სარძევე ჯირკვლების განვითარება, ყალიბდება სხეულის სპეციფიკური პროპორციები. ორგანიზმი მომწიფებულა და მომზადებულია დედობისათვის. ეს პერიოდი არის ფიზიოლოგიური სქესობრივი მომწიფების ეტაპი. ამ ასაკში სქესობრივი თავშეკავება არ არის საზიანო. ამასთანავე, სქესობრივი თავშეკავება პიროვნების ნებელობით სფეროსაც ავითარებს. შემთხვევითი სქესობრივი კავშირები კი ძალზე უარყოფითად მოქმედებს ფსიქოემოციურ სფეროზე. ქორწინება იდეალურია მაშინ, როცა ბიჭები და გოგონები აღწევენ არა მარტო სქესობრივ, არამედ ფსიქოსოციალურ სიმწიფესაც, როცა მათ შეუძლიათ შვილების მატერიალური უზრუნველყოფა და აღზრდა.

5) სქესობრივი სიმწიფის პერიოდში ორგანიზმში რაიმე არსებითი ცვლილებები არ ხდება. ფსიქოლოგიური თვალსაზრისით ქალებსა და მამაკაცებს უვითარდებათ მტკიცე ხასიათი, ნებისყოფა. ისინი ფსიქოლოგიურად და სოციალურად უკვე მზად არიან ოჯახის შესაქმნელად.

შემდეგ მოდის სქესობრივი ფუნქციის დაქვეითების პერიოდი. რომელსაც თან ახლავს ენდოკრინული ჯირკვლების ფუნქციის შესუსტება, სქესობრივი აქტიურობის დაქვეითება. გამოყოფენ ადამიანის სექსუალური რეაქციების ხუთ ეტაპს:

1) ინდივიდუალური, სპორადული სექსუალური განცდები, ელინდება 2-3 დან 8-9 წლის ასაკამდე, ხასიათდება უმთავრესად ძილში სექსუალური აგზნების სპონტანური რეაქციებით, რომლებიც შეიძლება გახშირდეს სქესობრივი ორგანოების ან თავის ტვინის ზოგიერთი ცენტრის დაავადების შედეგად. სქესობრივი ინტერესისა და აწეული სექსუალური აგზნების გამოვლენას ხელს უწყობს აგრეთვე ეროტიკული სექსუალური თამაშობები. ამასთან ერთად სექსუალურ ცნობისმოყვარეობას აღვიძებს აგრეთვე უფროსების ეროტიკული ქცევის სცენებზე დაკვირვებებიც. სქესობრივი აგზნებულობის გაძლიერებამ მოზარდი შეიძლება მიიყვანოს ონანიზმამდეც.

2) აუტოროტიკული სექსუალური რეაქციები აღინიშნება 9-11 წლის ასაკში. ხასიათდება სექსუალური ინტერესის გამოვლენით და სქესობრივი მომწიფების პირველი ნიშნებით. სექსუალობა სტიმულირდება სქესობრივი პორმონებით. ასეთი ბიჭები ხშირად მიმართავენ ონანიზმს.

3) პლატონური პეტეროსექსუალური განცდები დამახასიათებელია ბიოლოგიური სქესობრივი მომწიფების პერიოდისათვის 12-14 წელი. ამ დროს ჭარბობს ეროტიკული ფანტაზიები. ნევროზათები მიმართავენ მასტურბაციას.

4) პეტეროსექსუალური ლტოლვები არის ფიზიოლოგიური სქესობრივი მომწიფების პერიოდი (15-17წ) ესაა ფსიქოლოგიური და ფიზიოლოგიური ლტოლვა პეტეროსექსუალური კონტაქტებისადმი და სქესობრივი სიყვარულის საწყის მომენტად წარმოადგენს სქესობრივი სიყვარულის დასაწყისის მისთვის

დამახასიათებელი განცდებითა და ქცევის თავისებურებებით. სასკოლო წლებში ფიზიოლოგიური ჰიპერსექსუალობის ფონზე ეროტიკულმა სტიმულაციებმა (პორნოგრაფიული ლიტერატურის კითხვა, ეროტიკული შინაარსის ვიდეოფილმების ნახვა, სექსუალური სცენების ჭერება) ჭაბუკი შეიძლება მიიყვანოს ნაადრევ სექსუალურ ცხოვრებაზე ან ონანიზმამდე.

5) ჰეტეროსექსუალური ლტოლვის რეალიზაცია ქორწინებაში მიმართულა სექსუალური სიახლოვის ნორმალური და მიღებული ფორმის ძიებისაკენ. ინტიმური ცხოვრების პარმონია ვლინდება მით უფრო ნათლად, რაც უფრო უკეთესად არიან მომზადებული პარტნიორები ამ მიმართულებით.

გარდამავალი ასაკის დასაწყისში სექსობრივი მომწიფების პერიოდი ხდება განსაზღვრული სქესისადმი ფიზიკური და სქესობრივი მიკუთვნებულობის საბოლოო გაცნობიერება. მოზარდის თითქმის ყველა მოქმედება მისი სქესის სპეციფიკითა განპირობებული. მას უმუშავდება შესაბამისი სექსობრივი ქცევა. ამ ასაკში, როგორც აღვნიშნეთ, მოზარდები იზრდებიან ძალიან ჩქარა, თითქმის აღწევენ საბოლოო სიმაღლეს. ამ ასაკის მოზარდები არიან გამხდრები და არაპროპორციულად განვითარებულები. მხოლოდ უფროს სასკოლო ასაკში ღებულობს სხეული ქალურ და მამაკაცურ ფორმას. ინტენსიურად იზრდება ტვლი, ვითარდება მუსკულატურა. სექსობრივი სიმწიფისათვის დამახასიათებელია ხმის მუტაცია, ზედა ტუჩზე ღინღლი.

უფროსკლასელთათვის ტიპურია სქესობრივი პორმონების გაზრდილი სეკრეცია, რაც მათი ჰიპერსექსუალობის საფუძველზე ხდება. ჭაბუკური ჰიპერსექსუალმა ვლინდება აწეულ სექსუალურ აგზნებულებაში, ხშირ და ხანგრძლივ ერექციაში, ეროტიკულ ფანტაზიებში, მასტურბაციაში და ა.შ. ჭაბუკურ სექსუალობაში არჩევენ რამდენიმე კომპონენტს:

ა) ქცევითი (მასტურბაცია, სექსუალური თამაშები...);

ბ) ემოციური (ეროტიკული ფანტაზიები და განცდები);

გ) კოგნიტურ-შეფასებითი – წარმოდგენები სექსუალობის ბუნების შესახებ და დამოკიდებულება მისი გამოვლენებისადმი.

თანამედროვე ჭაბუკები სქესობრივ ცხოვრებას გაცილებით ადრე იწყებენ, ვიდრე მათი თანატოლები ახლო წარსულში. ურბანიზაცია, აქსელერაცია, მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუცია, აღზრდის პროცესის გართულება, ადრეული ჭაბუკების მშობლებისაგან უფრო მეტი ავტონომია, სქესის საკითხებში განუზომლად დიდი ინფორმაცია, ჩასახვის საწინააღმდეგო ეფექტური საშუალებები ძალიან უწყობს ხელს სქესობრივი ცხოვრების უფრო ადრე დაწყებას და სქესობრივი მორალის ლიბერალიზაციას.

უფროსკლასელთა პირველი სიყვარული, წერილების მიმოწერა, პეპანი, კოცნა, მოწიფულობის ნიშნები სოციალური სიმბოლოებია. როგორც უმცროსი მოზარდი მოუთმენლად ელოდება შეორადი სასქესო ნიშნების გამოჩენას, ასევე ადრეული ჭაბუკი – პირველი სიყვარულის დაწყებას. დაგვიანების ყველა შემთხვევა მწვავედ განიცდება.

უფროს სასკოლო ასაკში ძალიან სერიოზული და რთული პრობლემა სექსუალური ორიენტაციის ფორმირება. ესაა ეროტიკულ ლტოლვათა სისტემა

საწინააღმდეგო (პეტეროსექსუალობა), საკუთარი (პომოსექსუალობა), ან ორივე (ბისექსუალობა) სქესის მიმართ. პომოსექსუალიზმი. სამწუხაროდ, არაიშვიათი მოვლენაა და ადრეული ჭაბუკობა მისთვის სენზიტიური ასაკია. თანატოლებთან პომოსექსუალური კონტაქტები თუ მათ თამაშის ფორმები აქვს და ფსიქოლოგიური ინტიმით არაა აღბრუნებული, ადრე გაივლის. პომოსექსუალური ორიენტაციის პროცესი გაივლის სამ ეტაპს. ა) საკუთარი სქესის მიმართ ეროტიკული ინტერესის პირველი გაცნობიერება და საკუთარ პომოსექსუალობაში ეჭვის შეტანა. ბ) საკუთარ პომოსექსუალობაში ეჭვის შეტანიდან პირველ პომოსექსუალურ კონტაქტამდე. გ) პირველი პომოსექსუალური კონტაქტიდან საკუთარ პომოსექსუალობაში საბოლოოდ დარწმუნებამდე, რომელიც შემდგომში საფუძვლად ედება ცხოვრების შესაბამის სტილს. ეს პროცესი გოგონებში და ბიჭვებში განსხვავებულად მიმდინარეობს. ბიჭვებში ეროტიკული გრძნობები, პომოსექსუალური ეჭვები უფრო ადრე იღვიძებს. შესაბამისად, პომოსექსუალურ ცხოვრებას ისინი გოგონებზე ადრე იწყებენ. გოგონებთან სექსუალური ორიენტაცია უფრო გვიან ფორმირდება და პომოსექსუალურ კონტაქტებს ხშირად წინ უსწრებს პეტეროსექსუალური კონტაქტები. პომოსექსუალური მიდრეკილების ჭაბუკი ანალიზის საშუალებით აღმოაჩენს, რომ იგი სხვებს არ ჰკავს. სხვებისგან განსხვავებულია. ეს მდგომარეობა მასში იწვევს შინაგან კონფლიქტს, შიშისა და მარტოობის გრძნობას, რაც ხელს უშლის გარემომყოფებთან ნორმალური ურთიერთობის დამყარებას. ამას ემატება თანატოლთა დაცინვები და აბუჩად აკდება. ასეთი ჭაბუკის ფსიქოლოგიური თვითგრძნობა ძალზე მწვავეა. ჭაბუკური სექსუალობა მჭიდროდა დაკავშირებული პიროვნების კომუნიკატორულ თვისებებთან და სოციალური წრის საერთო კულტურასთან. ჭაბუკებისა და ქალიშვილების ურთიერთობას წინ აღუდგება მრავალრიცხოვანი მორალური დაბრკოლება და წინააღმდეგობა. თანამედროვე რიტუალები ბადებს ნორმატულ აუცილებლობებს.

საინტერესოა, კ. და ს. პენდრიკების მიერ მოცემული სიყვარული ექვსი სახე.

1) ეროსი – ვნებიანი სიყვარული, რომლის მიზანია სრული ფიზიკური დაუფლება.

2) ლიუდუსი – ქედონური თამაში-სიყვარული, რომელიც არ გამოირჩევა ღრმა გრძნობებით, ადვილად დაიშვება ღალატით.

3) სტორაგი – მშვიდი, თბილი და ფაქიზი სიყვარული – მეგობრობა.

4) პრაგმა – ანგარებიანი, ანგარიშიანი სიყვარული, რომელიც შეიცავს ლიუდუსსა და სტორაგესს. შესაძლებელია ანგარებიანი სიყვარულის ცნობიერი კონტროლი.

5) მანია – ირაციონალური სიყვარული, რომლისთვისაც ტიპურია ლტოლვის ობიექტისადმი გაუწონასწორებელი დამოკიდებულება.

6) ავაჟე – უანგარო სიყვარული. ესაა ეროსისა და სტორაგესის სინთეზი.

უფროსი სასკოლო ასაკი ჰიპერსექსუალობის ასაკია. ამ ასაკის უკიდურესი სექსუალობა გამოწვეულია დიდი რაოდენობით სქესობრივი პორნოების გამოყოფასთან, რის გამოც ბევრი მოვლენა ჭაბუკის მიერ ფასდება სექსუალობის

თავისებური პრიზმიდან. ეს მდგომარეობა განსაზღვრულ ფსიქიკურ დაძაბულობას იწვევს. სექსოლოგები და ფსიქოლოგები თვლიან, რომ ამ დაძაბულობისაგან განმუხტვა მასტურბაციის გზით ხდება.

მასტურბაცია (ონანიზმი) ადრეული ჭაბუკობის ასაკში მასიური მოვლენაა ბიჭებისათვის. 15-16 წლის ბიჭების 80-90 პროცენტი ონანიზმს ეწევა. გოგონები მასტურბაციას ბიჭებზე გვიან იწყებენ და უფრო იშვიათად მიმართავენ მას. პედაგოგთა ერთი ნაწილი თვლის, რომ მასტურბაცია არის მრავალი ფსიქოფიზიკური აშლილობისა და იმპოტენციის მიზეზი, რაც არ შეეფერება სინამდვილეს. იგი ნორმალური ფიზიოლოგიური მოვლენაა და სქესობრივი დაძაბულობის განმუხტვის საშუალებას წარმოადგენს. მასტურბაცია ხელს უწყობს სქესობრივი ცხოვრების თეორეგულაციას, ანელებს აწეულ სქესობრივ აგზნებულობას და არის უწყინარი. უფროს სასკოლო ასაკში მასტურბაციას ფიზიოლოგიურთან ერთად ფსიქოლოგიური მხარეც აქვს. მასტურბაციას ხშირად ახლავს ნათელი ეროტიკული ფანტაზიები. სქესობრივი ცხოვრების თითოეული პერიოდისათვის დამახასიათებელია განსაზღვრული სექსოლოგიური ფენომენები, რომლებიც სპეციფიკურია მოცემული პერიოდისათვის. ასეთი გამოვლინებებია პებურტეტში და ადრეულ ჭაბუკობაში – პოლუცია და მასტურბაცია, გარდამავალში – ექსტაზები, მოწიფებული სექსუალობის პერიოდში – პირობით-ფიზიოლოგიური რიტმი და ინვოლუციურში – აბსტისტენცია. სქესობრივი სიმწიფე, საერთო ფიზიოლოგიური სიმწიფე და ქორწინების სიმწიფე ადამიანის ცხოვრების სამი სერიოზული ეტაპია. დღევანდელ პირობებში იზრდება განსვლა სქესობრივ და სოციალურ სიმწიფეს შორის. მოზარდებს და ჭაბუკებს აქვთ გაზრდილი სქესობრივი ლტოლვა, ხოლო ქორწინება ჯერ შორსაა. ეს მდგომარეობა ჭაბუკებსა და ქალიშვილებს მრავალი პრობლემის წინაშე აყენებს. მოჭარბებული სქესობრივი ენერგია უნდა განიმუხტოს. ამ ასაკის მასტურბაცია არის ჭაბუკის პიქერსექსუალობის გამოვლენა. იგი არის ბიოსოციალური დისპარმონიის გამოვლენა, როცა საზოგადოების სოციალური განვითარება ახანგრძლივებს ქორწინების ასაკს. მასტურბაცია არის სუროგატული საშუალება, რომელიც ხსნის მოზარდისა და ჭაბუკის დაძაბულობას და ბიოლოგიურ დისკომფორტს.

უფროს სასკოლო ასაკში ჩნდება სქესობრივი ლტოლვის დაკმაყოფილების მოთხოვნილება. სქესობრივი ლტოლვის დაკმაყოფილების სამი ფორმა არსებობს ესაა: ონანიზმი, პეტინგი, და სქესობრივი ურთიერთობა. ასაკის, კულტურის დონისა და ცხოვრების პირობების გავლენით ადამიანი მიმართავს სქესობრივი ცხოვრების რომელიმე ფორმას. როგორც აღენიშნეთ, მკვეთრად გამოხატული აწეული სექსუალობა მოდის უფროს სასკოლო ასაკზე. ამის ერთ-ერთი მიზეზია სქესობრივი მოთხოვნილების სრულყოფილი და რეგულარული დაკმაყოფილების შეუძლებლობა. ამის გამო ჭაბუკებში სქესობრივი ლტოლვის დაკმაყოფილების ყველაზე უფრო გავრცელებული ფორმააა ონანიზმი. პირველ ხანებში ონანიზმი არის ეროტიზირებული მომენტების შედეგი (ვიდეოფილმის ეპიზოდები, სქესობრივი ცხოვრების მომენტებისა და დეტალების აღწერა, პორნოგრაფიული ფოტოსურათები -). შემდგომში კი ონანიზმის ფაქტები იფერება ფსიქოლოგიური კომპონენტებითაც.

წინა პლანზე გამოდის სექსუალური ფანტაზიები. კ. იმელინსკის მონაცემებით, ონანიზმს ეწევა პოლონელი ბიჭების 90.6% ხოლო გოგონების 44.8%.

ონანიზმის აქტებს თან ახლავს ჭაბუკის წარმოდგენები იმ სექსუალურ პარტნიორზე, რომელიც მას მოსწონს, მაგრამ მასთან სქესობრივი კავშირის დაწყება რეალურად შეუძლებელია.

უფროს სასკოლო ასაკში მასტურბაციასთან ერთად გავრცელებულია სქესობრივი მოთხოვნილების დაკმაყოფილების მეორე ფორმაც – პეტინგი. იგი გამოიხატება ბიჭებისა და გოგონების სასიყვარულო თამაშებით, ახლო ურთიერთობებით მაქსიმალური აგზნებისა და ორგაზმის გამოწვევაში სქესობრივი აქტის გარეშე. გარდამავალ ასაკში პეტინგი იშვიათი მოვლენაა. იგი ადრეული ჭაბუკობის ასაკში ძალიან გავრცელებულია. გარდამავალ ასაკში სასიყვარულო თამაშები და სასქესო ორგანოების ურთიერთგაღიზიანება ორგაზმით არ მთავრდება. უმეტეს შემთხვევაში ასეთი კონტაქტები მასტურბაციით სრულდება.

სექსუალური ქცევა და თვით სექსუალური ლტოლვა დამოკიდებულია ბიოლოგიურ, ფსიქოლოგიურ და კულტურულ ფაქტორებზე. სექსუალური ქცევის ფორმებზე, როგორც აღვნიშნეთ, გავლენას ახდენს ადამიანის მთელი პიროვნება, მისი განვითარების დონე, თვითცნობიერების მიღწეული საფეხური, შეშუქებითი სქემები, რომლებიც განსაზღვრავენ გარესამყაროში ორიენტაციას, შემაკავებელ და მაკონტროლებელ მექანიზმთა სისტემას.

ადამიანის სექსუალობის ერთ-ერთი ძლიერი ფაქტორია პიროვნული ფაქტორი. პიროვნება ვითარდება კონკრეტული სოციალური აქტივობის სიტუაციაში და ექვემდებარება საზოგადოებრივ დეტერმინანტებს. ყოველგვარი ადამიანური, მათ შორის სექსუალური ქცევა, დამოკიდებულია პიროვნების განვითარების დონეზე. სექსუალური ქცევის ფორმები სასქესო ორგანოების იზოლირებული ფუნქცია კი არ არის, არამედ მთელი პიროვნების მოქმედება. სექსუალური ქცევა მჭიდროდაა დაკავშირებული ხასიათის და ტემპერამენტის თვისებებთან, შუშუქებით უნარებთან, ნებელობასთან და პარტნიორულ თვისებებთან მთელ კომპლექსთან.

ა. აიზენკის მიხედვით პიროვნული თავისებურებანი მრავალფეროვანია და პიროვნებები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან სექსუალური ქცევის სფეროშიც. მისი აზრით, ექსტრავერტები ხასიათდებიან იმპულსურობით, კარგი ურთიერთობებით, აქტივობით, სასიამოვნო განწყობილებებითა და გაწონასწორებულობით. მათ ყოველთვის საწინააღმდეგო სქესის ბევრი მეგობარი ჰყავთ. ისინი სქესობრივ ცხოვრებას ადრე იწყებენ .

ნევროტული ტიპები ხასიათდებიან ნათელი, მაგრამ ლაბილური ემოციურობით, აწუხებთ უძილობა, ნერვები, ავლილად ღიზიანდებიან და აქვთ უკმაყოფილო კომპლექსი, მრავალი სექსუალური პრობლემა, რომელიც მათ აშინებთ. ასეთ ტიპებს ძალიან უჭირთ კონტაქტების დაწყება საწინააღმდეგო სქესის წარმომადგენლებთან. მათ ხშირად აღვნიშნებთ სექსუალური დისფუნქცია, ქალებს არ აქვთ ორგაზმი და მამაკაცებს ერექცია.

ფსიქოტური ტიპები ხშირად იზოლირებულნი და გარიყულნი არიან. კონფლიქტური, გულგრილი და ინდიფერენტული დამოკიდებულება აქვთ

გარშემოყოფებთან. ეს პიროვნებები უარს ამბობენ ქორწინებაზე, უარყოფითად აფასებენ რომანტიკულ ორიენტაციებს.

საუკუნეების განმავლობაში თვლიდნენ, რომ ბავშვის სქესობრივი აღზრდა და ცოლ-ქმრული ცხოვრებისათვის წინასწარი მომზადება არაა აუცილებელი. მეუღლეობა ადამიანთა სოციალური ქცევის განსაკუთრებული და სპეციფიკური ფორმაა. ქორწინება არის საზოგადოებრივი ინსტიტუტი, რომელიც არეგულირებს სქესთა შორის რთულსა და ფაქიზ ურთიერთობებს. იგი ჩამოყალიბდა არა სექსუალური მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, არამედ როგორც შთამომავლობის ცვლავწარმოებისა და აღზრდის მორალი. ოჯახისა და ქორწინების სტრუქტურა იქმნება საზოგადოებაში მიღებული საზოგადოებრივი ურთიერთობებისა და არა პარტნიორთა ეროტიკული მოთხოვნილების დაკმაყოფილების ბაზაზე. სიყვარულზე დამყარებული ქორწინება არის პარმონიული სქესობრივი ცხოვრების უმნიშვნელოვანესი წინაღობლვარი.

ახლოვაზრდობის ქორწინებისთვის მომზადება არაა მხოლოდ იზოლირებული პედაგოგიური ღონისძიება. სქესობრივი ურთიერთობისათვის ჭბაბუკების სწორი მომზადება, რომელიც დამყარებულია მაღალ მორალურ მოთხოვნებზე, ქმნის ბუნძირი ოჯახის შექმნის წინამძღვრებს. სქესობრივი აღზრდის პროცესში უნდა ჩართოს სექსუალობა და ეროტიკა, ე.ი. ფიზიკური და სულიერი მოთხოვნილებების ერთობლიობა. ჭბაბუკებს აუცილებლად უნდა ვასწავლოთ ინტიმურ ურთიერთობათა ღირებულების გაგება. ეს ცოდნა არაფრით განსხვავდება ცოდნის სხვა ფორმებისაგან, ადრეული ჭბაბუკობის ასაკის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა ქორწინებისთვის მომზადება, რასაც პროფესიულ მომზადებაზე არანაკლები მნიშვნელობა აქვს. უფროსკლასელებმა აუცილებლად უნდა იცოდნენ სქესის ბიოლოგია და ფსიქოლოგია. ნორმალური სექსუალობიკ ძირითადი გამოვლინებანი ქალებთან და მამაკაცებთან. ისინი უნდა იცნობდნენ აგრეთვე სექსუალთოლოგიურ პრობლემებსაც. უფროსკლასელებმა უნდა იცოდნენ აგრეთვე ორსულობის, მშობიარობის, აბორტის მევენებლობის, ვენერულ დაავადებათა საკითხებიც. საშუუზაროდ, უროფოსკლასელები სექსუალობის შესახებ ინფორმაციას ძირითადად იღებენ ჭერიდან და ვიდეოფილმებიდან და არა სპეციალისტებისგან.

სქესობრივი ურთიერთობის კულტურა ყალიბდება ადამიანის სქესობრივი აღზრდის გზითა და საშუალებით. აღნიშნული მჭიდრო კავშირშია პიროვნების საერთო აღზრდილობასთან. ახალგაზრდა თაობის სქესობრივი აღზრდა წარმოუდგენელია სქესობრივი ცხოვრების შესახებ გარკვეული ინფორმაციის გარეშე.

სქესობრივი აღზრდის შინაარსი არის ქალისა და მამაკაცის მთლიანი პიროვნების აღზრდა, რომელსაც უნარი აქვს ადექვატურად შეაფასოს და განიცადოს საკუთარი ფსიქო-ფიზიოლოგიური თავისებურებანი და ამის საფუძველზე საკუთარ და საწინააღმდეგო სქესის წარმომადგენლებთან შეძლოს ოპტიმალური ურთიერთობის დამყარება ცხოვრების ყველა სფეროში. პედაგოგთა, აღმზრდელთა, ფსიქოლოგთა და სექსოლოგთა მთელი ძალისხმევა იქითკენ უნდა იყოს მიმართული, რომ ახალგაზრდა თაობას სექსისა და სექსუალობის მიმართ გამოუმუშავედეს ზნეობრივი დამოკიდებულებანი. სქესობრივი აღზრდის შინაარსი მოიცავს ზოგადსოციალურ,

ეთიკურ, სამართლებრივ, ფსიქოლოგიურ, ფიზიოლოგიურ, პიკინურ, პედაგოგიურ, ესთეტიკურ და ეკონომიურ ასპექტებს. სქესთან დაკავშირებულ პრობლემებს მეცნიერულად სწავლობს სექსოლოგია.

სქესობრივი აღზრდა შეიძლება განვიხილოთ გამოყენებითი სექსოლოგიის ასპექტითაც.

სქესობრივი აღზრდის მიზანია მოსწავლეებს ჩამოუყალიბოთ სქესთა ურთიერთობების სფეროში ზნეობრივი ნორმების გაგების ტენდენციები არსი.

სქესობრივი აღზრდის პროცესში უმცროს მოზარდებთან (IV-VI კლასები) უნდა გავითვალისწინოთ ამ ასაკის მოსწავლეთა ცენტრალური და პერფორმირებული ნერვული სისტემის არასტაბილურობა და სუსტი სიმპტიკე. ამაღლებული აქტივობის მომენტებთან ერთად უმცროსი მოზარდები ხშირად ვარდებიან სასოწარკვეთამდე. ისინი ხშირად აღქმენ ნეგატივიზმს, უფროსებთან კონფლიქტებს, აღენიშნებათ არამოტივირებული ტენდენციები. ამ ასაკში სქესობრივი აღზრდას ართულებს ის გარემოება, რომ სქესობრივი მოწიფება გოგონებში იწყება ბიჭებზე ადრე, რაც ბიჭებსა და გოგონებს შორის დროებითი განკერძოების საფუძველს ქმნის. უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ სქესობრივი მოწიფება თითოეულ მოზარდში თანაბარი ტემპებით არ მიმდინარეობს.

ამ ასაკში სქესობრივი აღზრდის ძირითადი მიზანია ბიჭებსა და გოგონებს შორის ნეგატივიზმის დაძლევა და მათში ურთიერთატივისცემის აღზრდა.

უფროს მოზარდებთან (VII-VIII კლასები) სქესობრივი აღზრდის პროცესში უნდა გავითვალისწინოთ ის, რომ ამ ასაკში ყალიბდება ტენდენციები მოტივები. მათ სისხლში უკვე მუდმივად ცირკულირებენ სქესობრივი ჰორმონები, რის გამოც იზრდება ურთიერთ-ანტიპათიური ბიჭებსა და გოგონებს შორის. ასეა მათთვის ყოველგვარი სექსუალური ინფორმაცია დიდ ღირებულებას იძენს. ამასთანავე, ამ ასაკში მოზარდთა მოქმედებისა და ურთიერთობის სფერო სკოლის ფარგლებს სცილდება და ფართოვდება, იქნება მოზარდთა ქუჩის კომპანიებში ჩართვის რეალური საშიშროება.

IX-X კლასულ გოგონათა სქესობრივი აღზრდის დროს უნდა გავითვალისწინოთ ის, რომ ამ ასაკში მათი პიროვნება საბოლოოდ ყალიბდება, მკვიდრდება ცხოვრებისეული პოზიციები. გოგონები საბავშვო ცხოვრებისეულ გეგმებს. ამ ასაკის გოგონათა სქესობრივი აღზრდის უმთავრესი და ძირითადი მიზანია ახალი სოციალური პირობების მიმართ ადაპტაციის გამოქვეყნება და საწინააღმდეგო სქესის წარმომადგენლებთან შესაბამისი ტენდენციების ფორმების ჩამოყალიბება.

უფროს სასკოლო ასაკში ბიჭები და გოგონები უკვე მზად არიან სქესობრივი ცხოვრების დაწყებისათვის. თუმცა მათი ორგანიზმის ბიოლოგიური სრულყოფა ჯერ არ დამთავრებულა. მათი ორგანიზმი ჯერ კიდევ იზრდება. სქესობრივი მომწიფების პერიოდის დადგომა ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ უფროსკლასელები ნორმალური სქესობრივი ცხოვრებისთვის მთლიანად არიან მომწიფებულნი. გოგონებში სქესობრივი გრძნობის პირველ გამოვლინებებს არ აქვთ ისეთი სიმწვავე, როგორც ბიჭებში. ნაადრევი სქესობრივი ცხოვრებისაგან თავშეკავების უნარი გოგონებს გაცილებით ძლიერი აქვთ, ვიდრე - ბიჭებს.

სქესობრივი მგრძობელობა გოგონებს უფრო გვიან უვითარდებათ, ხოლო სასიყვარულო ემოციები - ბიჭებზე ადრე.

ჭაბუკური სიყვარული, სამწუხაროდ, ხანდახან „წარმავალია“. იგი არის საციფიკური გრძობის გამოხატულება და ვნების ნათელი გაელეება, რაც მთელი ცხოვრების მანძილზე არ ავიწყდებათ, მაგრამ ეს გრძობა, სამწუხაროდ, ყოველთვის ვერ ხდება მყარი და ბედნიერი ოჯახის შექმნის საფუძველი. სიყვარულის გამოვლენა ბიჭებში და გოგონებში განსხვავებულია. რაც უნდა ვნებით იყოს ჭაბუკი შეპყრობილი, იგი გოგონებისაგან განსხვავებით ემოციების გავლენის ქვეშ მთლიანად არ ექცევა.

სქესობრივი ცხოვრების ნადრევი დაწყება ფიზიკური, სულიერი და სოციალური სიმწიფის მოწვევად, არაა სასურველი, ამან შეიძლება ორგანიზმზე არასასურველი გავლენა მოახდინოს. არსებობს ევენერული დაავადების რეალური საშიშროებაც. ამასთანავე, ნადრევი ორსულობა გაუმაგრებელ ორგანიზმს ზიან აყენებს.

ოჯახური ცხოვრებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ფიზიკურ პარამონიას და ფსიქოლოგიურ შეთავსებადობას. ხანგრძლივი თანაცხოვრება მეუღლეების წინაშე ბევრ რთულ პრობლემას აყენებს. ერთ-ერთი ასეთი ფაქტორია ტემპერამენტი. ნერვული სისტემის განსაზღვრულ ტიპს უნდა შეესაბამებოდეს სქესობრივი ტემპერამენტისა და კონსტიტუციის განსაზღვრული ტიპები, მაგრამ ეს ყოველთვის არ ხდება. ტემპერამენტი საციფიკურ დაღს ასვამს მეუღლეთა ქცევაზე ოჯახში.

სანგეინიკთა ოჯახში ცხოვრება მშვიდი და მხიარულია. სანგეინიკი საოჯახო მეურნეობის გაძღოლაში აქტიურად მონაწილეობს. იგი ენერგიული და შრომისმოყვარეა. საზოგადოებაში მშვიდია და ადამიანებთან ადვილად ამყარებს ურთიერთობებს, წერილმანებს ყურადღებას არ აქცევს. უყვარს ოქმარი. სანგეინიკი არ აიღვალებს წარსულს და ბევრს არ ფიქრობს მომავალზე. იგი ძირითადად, აწმყოს ცხოვრებით ცხოვრობს, ოჯახური კონფლიქტების დროს თავი ფრთხილად და მშვიდად უჭირავს, ცდილობს არ აწყენინოს პარტნიორს. ის გარემომცველ ცვალებად გარემოებებს ადვილად ეგუება.

მელანქოლიკი ავადმყოფურად მგრძობიარეა. მას ადვილად სწყინს, ეჩვენება, რომ უნდათ მისი წყენა და დამცირება. ცხოვრებისეულ გართულებებსა და უსამაოვნებებს იგი აღიქვამს როგორც ტრაგედიას, უყვარს წარსულის გახსენება, რომელიც მას აწმყოზე უკეთესად ეჩვენება, მომავალზე შიშითა და გიღვკარებით ფიქრობს, ხშირად წუწუნებს ცხოვრებაზე, სამსახურში წარუმატებლობასა და ავადმყოფობაზე. მეუღლესთან ნებისმიერ წალაპარაკებას დიდხანს მწვავედ განიცდის.

ფლემმატიკი აუღელვებელია რთულ სიტუაციებშიც კი. იგი ვეილაფერს შეუმჩნევლად განიცდის, გარეგნულად არაფერი ეტყობა. იგი კონსერვატორია, ჩვევებს იმყოფათად იცვლის, ნაცნობი და მეგობარი ბევრი არ ყავს, უძნელდებ ადამიანებთან ურთიერთობის დამყარება. იგი ერთგული, შრომისმოყვარე და მიხანსწრაფულია. ოჯახური წალაპარაკების დროს აუღელვებელია.

ქოლერიკი - აქტიური და მიხანშიმართულია. მაგრამ ეს თვისებები მასში არაა მტკიცე და მყარი. იგი ხშირად თავშეუკავებელი და მოუთმენელია. საკუთარ თავს სუსტად ფლობს. ის განწყობილებებს ხშირად იცვლის, ძნელია

მისი მოქმედების წინასწარ განჭვრეტა, შეუძლია უხეშობა, სხვისი წყენა, მაგრამ ყველაფერი მალე გაუვლის, საკუთარ თავშეუკავებლობას ღრმად განიცდის, ითხოვს პატივბას., მის ოჯახში ხშირია კამათი და ჩხუბი.

ოჯახის შექმნისას ტემპერამენტში განსხვავება მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული. დიამეტრიულად განსხვავებული ტემპერამენტის მქონე ბავშვები მრავალი პრობლემის წინაშე აღმოჩნდებიან. მაგარამ არის კიდევ ერთი საშიშროება. ესაა სქესობრივი კონსტიტუცია. სქესობრივი კონსტიტუცია არის ორგანიზმის მტკიცე ბიოლოგიური თვისებათა ერთობლიობა, რომელიც ფალობდა თანშობილი და შექმნილი ფაქტორების გავლენით. იგი საზღვრავს ადამიანის სქესობრივი ცხოვრების შესაძლებლობას. როცა ქორწინდებიან განსხვავებული სქესობრივი კონსტიტუციის პარტნიორები, ოჯახის დანგრევის და გაყრის რეალური საშიშროებაა მოსალოდნელი. ამასთანავე, უნდა გვახსოვდეს, რომ სქესობრივი კონსტიტუცია განსაზღვრავს ადამიანის მხოლოდ სქესობრივ შესაძლებლობებს და არა მის ფიზიკურ ჯანმრთელობას.

ოჯახის შექმნისათვის მუდღეობა ასაკი განისაზღვრება არა იმდენად ფიზიოლოგიური მომწიფებით, რამდენადაც ფიქოლოგიური სიმწიფით და სოციალური მზაობით. ქალების და მამაკაცების ზრდის, განვითარებისა და მოხუცებულობის პერიოდები და ტემპები ერთმანეთს არ ემთხვევა. სქესობრივი ფუნქციის საბოლოო ჩამოყალიბება ქალებთან 1-3 წლით ადრე ღვება მამაკაცებთან შედარებით. ამიტომ მექორწინეთა ასაკობრივი განსხვავებულობის დადგენის დროს აუცილებლად უნდა იქნას გათვალისწინებული ბიოლოგიური და სოციალური ასპექტები. სექსოლოგ ი. ონდას მიერ შემოთავაზებული მექორწინეთა სენზიტური ასაკები ასეთია:

ქალი	კაცი	ქალი	კაცი	ქალი	კაცი
18	22-25	29	33-36	41	47-51
19	23-26	30	34-37	42	48-52
20	24-27	31	37-41	44	50-54
21	25-29	32	38-41	44	50-54
22	26-28	33	39-43	45	51-55
23	27-30	34	40-44	46	52-57
24	28-31	35	41-45	47	53-59
25	29-32	37	43-47	49	55-63
26	30-33	38	44-48	50	56-65
27	31-34	39	45-49		
28	32-35	40	46-50		

მუდღეობებს შორის ფსიქოლოგიურ შეუთავსებლობას მოყვართ სიყვარულის შესუსტებამდე და საბოლოო ანგარიშით განქორწინებამდე. ოჯახური მიკროკლიმატის დარღვევის დროს მუდღეობები თავს განკერძოებულად გრძობენ

და ცდილობენ ოჯახური ფსიქოლოგიური დისკომფორტის კომპენსაციას ოჯახის გარეთ, სხვა პარტნიორებთან. მეუღლეების ფსიქოლოგიური შეუთავსებლობა იწვევს მათ შორის სქესობრივი ურთიერთობის დარღვევასაც. სქესობრივი ცხოვრების დარღვევა გამოიხატება იმპოტენციაში (მაშაკაცებთან) და ფრიგიდულაში (ქალებთან).

მაშაკაცთა იმპოტენცია ამ შემთხვევაში შედარებითია. მეუღლეებს შორის ფსიქოლოგიური შეუთავსებლობა იწვევს უარყოფით განცდებს, რომელიც ამუხრუჭებს მაშაკაცის სქესობრივ აქტივობას, ღიბილოს, ერექციას. საბოლოო ანგარიშით მაშაკაცი კარგავს სქესობრივი აქტის განხორციელების უნარს. მეუღლის მიმართ სქესობრივი ლტოლვის დაკარგვა არ ნიშნავს სქესობრივი ლტოლვის დაკარგვას საერთოდ ქალის მიმართ, რის გამოც გარეშე სქესობრივი აქტების შესაძლებლობა შენარჩუნებულია.

სქესობრივი ცხოვრების ქალური პათოლოგია, რომელიც აღმოცენდება უარყოფითი ფსიქოლოგიური განცდების გამო, გამოიხატება სქესობრივი სიცოცხლეში (ფრიგიდულაში). სქესობრივი ლტოლვის დაქვეითება ქალებშიც არსებობს. ასეთ შემთხვევებში სქესობრივი აქტის ჩატარების შესაძლებლობა არის, მაგრამ ორგაზმი არ მიიღწევა.

პირველი სქესობრივი ურთიერთობა ადამიანის ცხოვრებაში სერიოზული მოვლენაა. იგი აესებს იმ ფსიქოლოგიურ და ფიზიკურ უფსკრულს, რომელიც მანამდე ორი საწინააღმდეგო სქესის წარმომადგენელს შორის არსებობდა. ქალი თანდათანობით და ნელა შედის სქესობრივ ცხოვრებაში და იშვიათ შემთხვევაში შეიძლება მას პირველი სქესობრივი აქტის დროს. ქალებში ორგაზმი ქორწინებიდან 2-3 წლის შემდეგ ყალიბდება. არაა გამოირიცხული, რომ იგი საერთოდ არ ჩამოყალიბდეს. არსებობენ ქალები, რომლებიც ფრიგიდულნი არიან, ყავთ შეილება, მაგრამ მათთვის სქესობრივ ცხოვრებას არავითარი სიახლოვნება არ მოაქვს, პირიქით, ზიზლსაც კი იწვევს. ასეთი ქალებისთვის სქესობრივი ცხოვრება მოსაწყენი მოვალეობაა.

სექსოლოგიურ ტერმინთა მოკლე ლექსიკონი.

1. აბსისტენცია – სექსუალური თავშეკავება
2. აზოოსპერმია – თესლში ცოცხალი სპერმატოზოიდების არარსებობა
3. ამენორეა – მენსტრუაციის არარსებობა იმ ვალებში, როცა იგი უნდა მიმდინარეობდეს
4. აბორტი – ორსულობის ხელოვნური შეწყვეტა
5. ადიულტერი – ცოლ-ქმრული დაღატი
6. ალიბიდემია – სქესობრივი ლტოლვის უქონლობა
7. ანდროგენები – მაშაკაცის სასქესო ჰორმონები
8. ანდრომანია (ნიმფომანია) – ქალის სქესობრივი ლტოლვის უკიდურესი გაძლიერება
9. ანორგაზმია – ორგაზმის უქონლობა ქალებში

10. აუტოფილია (ნარკისიზმი, აუტორასტია, აუტოეროტიზმი) – სქესობრივ აგზნების მიღწევა საკუთარი შიშველი სქესობრივი ორგანოების ჭკერეტის გზით. ხშირად თან ახლავს მასტურბაცია.
11. ბისექსუალი – ადამიანი, რომელსაც აქვს ორივე სქესის ნიშნები
12. გენიტალთა - სქესობრივი ორგანოები
13. გენიტალგია – უსამაჟვრო შეგრძნებები სქესობრივი ორგანოების ხვეროში (ტკივილი)
14. გერონტოფილია – სქესობრივი ლტოლვა მოხუცებისადმი
15. დისგამია – სქესობრივი ურთიერთობის დისპარმონია მეუღლეებს შორის
16. დეფლორაცია – საქალწულე აქის მთლიანობის დარღვევა
17. ექსობაციონიზმი – სექსუალური გადახრა, როცა სქესობრივი კმაყოფილება მიიღწევა საწინააღმდეგო სქესის უცნობი პირებისადმი შიშველი სასქესო ორგანოების დემონსტრაციით.
18. ექსცესები – სექსუალური აქტის რამდენჯერმე გამეორება დღე-ღამის განმავლობაში აუცილებელი ეიაკულაციით
19. ერექცია – მამაკაცის სასქესო ასოს გამაგრება, ზრდა და დაჭიმვა
20. ეროგენური ზონები – სხეულის ნაწილები, რომლებიც იწვევენ სქესობრივ აგზნების ან ორგაზმის სტიმულირებას.
21. ესტროგენები – ქალის სასქესო ჰორმონები
22. ეიაკულაცია – მამაკაცის სპერმის გამოყოფა სქესობრივი აქტის დროს
23. ეაგინიზმი – საშოსა და მენჯის კუნთების რეფლექტორული შვეწროვება, რომელიც ზელს უშლის სქესობრივი აქტის წარმოებას
24. ვირგოგამია (ქალწულებრივი ქორწინება) როცა მეუღლეები ხანგრძლივი დროის განმავლობაში ვერ იწყებენ სქესობრივ ცხოვრებას.
25. ვუანერიზმი (სკოპტოფილია, სკოპოფილია, მიკსოკოპია, ვაზიონიზმი) მისწრაფება სხვისი სქესობრივი აქტისა და შიშველი სასქესო ორგანოების ჭკერეტისადმი
26. ზოოფილია – (ბესტიოროფილია, ზოოერასტია, ბესტიალიზმი) – სქესობრივი ლტოლვა ცხოველებისადმი
27. იმპოტენცია - სქესობრივი ცხოვრების უუნარობა
28. ინფანტოსექსუალიზმი (პედოფილია) – სქესობრივი ლტოლვა მცირეწლოვანებისადმი
29. ინცესტი – სქესობრივი ურთიერთობა სისხლით ნათესაეებს შორის
30. კლიტორი – ქალის სასქესო ორგანოს ნაწილი, რომელიც მღებარეობს სქესობრივი ასოს ზედა კუთხეში და რომელსაც აქვს მაღალი სექსუალური მგრძობელობა.
31. კოიტუსი – სქესობრივი აქტი
32. ლიბიდო – სქესობრივი ლტოლვა
33. ლესბიური საყვარული (ტრიბადია, საფიზმი) – ქალთა პომოსექსუალიზმი
34. მასკულინიზაცია (ვირილიზმი) – მამაკაცური სქესობრივი თვისებების არსებობა ქალებში

35. მაზოხიზმი, – სექსუალური გადახრა, როცა სექსუალური ტკბობა მიიღწევა სექსუალური პარტნიორისათვის ფიზიკური ან ფსიქიკური ვნების (ტკივილის) მიყენებით.

36. მასტურბაცია (ონანიზმი) - ეროგენური ზონების თვითსტიმულაციისა და გაღიზიანების გზით ორგანიზმის ხელოვნულად გამოწვევა

37. ოვულაცია – ფაზა მენსტრუაციებს შორის, როცა კვერცხუჯრული გამოდის ვეზიკულარული ფოლიკულიდან.

38. ორგაზმი – სექსუალური ტკბობის უმაღლესი ფორმა, რომელიც აღმოცენდება კოიტუსის ან მისი შემცველელი სქესობრივი აქტივობის რომელიმე ფორმის დროს.

39. პენისი – მამაკაცის სქესობრივი ასო

40. პედერასტია – მამაკაცის კომოსექსუალიზმი

41. პეტინგი – ორგანიზმის გამოწვევა ურთიერთალერსის გზით სქესობრივი აქტის გარეშე.

42. პლურალიზმი (ტრიოლიზმი) – როცა სქესობრივ ურთიერთობაში მონაწილეობს სამი და მეტი სქესობრივი პარტნიორი

43. პოლუცია – თესლის უნებლიე გამოყოფა სქესობრივი აქტის გარეშე

44. პოტენცია – სქესობრივი ცხოვრების უნარი

45. პრაპიზმი – სქესობრივი ასოს პათოლოგიური ერექცია

46. პრომისკუიტეტი – უწესრიგო სქესობრივი კავშირები

47. საღიზმი – სქესობრივი გადახრა, როცა სქესობრივი აგზნება მიიღწევა სქესობრივი პარტნიორისადმი ფიზიკური ან სულიერი ვნების და ტკივილის მიყენებით.

48. სატირიაზისი – მამაკაცის სქესობრივი ლტოლვის პათოლოგიური გაძლიერება

49. სპერმატოზოიდი – მამაკაცის სასქესო უჯრედი

50. ურერტა – შარდგამომყოფი არხი

51. ფრიგიდულობა – ქალის სქესობრივი ინდიფერენტულობა (სიცოცხლე). სქესობრივი ლტოლვის დაქვეითება, ორგანიზმის განცდის უუნარობა

52. ფემინიზმი – ქალური სხეულებრივი და სულიერი ნიშნების არსებობა მამაკაცებში

53. ჰორმონები – ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერება, რომელსაც გამოყოფენ შინაგანი სეკრეციის ორგანოები

54. ჰიპერსექსუალობა (ნიმფომანია, სატირიაზისი) – სქესობრივი ლტოლვის გაძლიერება

55. პეტეროსექსუალობა – სქესობრივი ლტოლვა საწინააღმდეგო სქესისადმი

56. კომოსექსუალიზმი – სქესობრივი ლტოლვა საკუთარ სქესისადმი

თავი ოცდამეექვსე

პროფესიის არჩევა უფროს სასკოლო ასაკში

მომავალი ცხოვრებისეული გეგმების შემუშავება პიროვნების განვითარების მაღალი დონის მაჩვენებელია. ესა რეგულაციის ახალი ტიპი - მიზნობრივი რეგულაცია. ცხოვრებისეული პერსპექტივის ჩამოყალიბება უფროსი სასკოლო ასაკის მოსწავლეთა მნიშვნელოვანი მონაპოურია. ცხოვრებისეული გეგმები, როგორც გარესამყაროსთან შეგუების განსაზღვრული სისტემა, პირველად ჯერ კიდევ გარდამავალ ასაკში ცნობიერდება, ხოლო პროფესიის არჩევა პიროვნულ ღირებულებას უფროს სასკოლო ასაკში იძენს.

ცხოვრებისეული გეგმები განსაზღვრავენ და აპირობებენ უფროსკლასელთა ქცევას. ეს გეგმები ყალიბდება სოციალური პირობების ზემოქმედების შედეგად, რის გამოც ცხოვრებისეული გეგმები შეიძლება განვიხილოთ როგორც აღზრდის პროცესის შედეგი. უფროსკლასელთა ცხოვრებისეული გეგმები ინდივიდუალურია. იგი განსაზღვრულია პიროვნული თავისებურებით. ცხოვრებისეული გეგმა არის მომავალი ცხოვრების განსაზღვრული სახით მოწყობის სუბიექტური მზაობა.

ცხოვრებისეული გეგმები, უპირველეს ყოვლისა, დაკავშირებულია პროფესიულ თვითგამორკვევასთან. ცხოვრებისეული გეგმები ყალიბდება პროფესიის არჩევის რამდენიმე ვარიანტის განხილვის პროცესში;...

უფროსკლასელთა ცხოვრებისეული გეგმების ერთ-ერთი თავისებურება არის პროფესიული გეგმის ნაკლები კონკრეტულობა. უფროსკლასელები ძალიან ოპტიმიზტურნი არიან კარიერის საფეხურზე წინსვლის ოცნებებში, რაც საერთო ჭაბუკური ოპტიმიზმის გამოვლენაა. მათ ჯერ კიდევ კარგად არა აქვთ დიფერენცირებული სამომავლო იდეალური და რეალური მიზნები. მოზარდი დგას მოქმედების დარგის არჩევის წინაშე, ხოლო ადრეული ჭაბუკისათვის მთავარია ამ დარგის შიგნით კორკრეტული სპეციალობის არჩევა.

უფროს სასკოლო ასაკში პროფესიის პირველადი არჩევის ეტაპს მოსდევს პროფესიული თვითგამორკვევის ეტაპი, როცა მოსწავლე თავისთვის რეალურად აყალიბებს პროფესიის სახეს საკუთარი ფსიქო-ფიზიოლოგიური შესაძლებლობების გათვალისწინებით. ამის შემდეგ იგი რეალურად აფასებს სასკოლო დისციპლინების როლსა და მნიშვნელობას.

უფროსკლასელი დგას დამოუკიდებელი ცხოვრების ზღურბლზე, რომელიც ქმნის განვითარების ახალ სოციალურ სიტუაციას, იგი მთლიანად ცვლის სწავლის ღირებულებას, მნიშვნელობას, ამოცანებსა და შინაარსს. სასწავლო პროცესს უფროსკლასელები ახლა იმის მიხედვით აფასებენ, თუ რას იძლევიან სასწავლო დისციპლინები სამომავლოდ მათ მიერ არჩეული დარგის სფეროში. უფროსკლასელები აწმყოს მომავლის პოზიციიდან უყურებენ.

უფროს სასკოლო ასაკში მყარდება თავისებური კავშირები პროფესიულ და სასწავლო ინტერესებს შორის. თუ მოზარდობის ასაკში პროფესიის არჩევას განსაზღვრავენ სასწავლო ინტერესები, უფროსკლასელებში პირიქით, პროფესიის არჩევა განსაზღვრავს სასწავლო ინტერესების ფორმირებას. უფროსკლასელებს

ახლა ის საგნები აინტერესებთ, რომლებიც მათ სჭირდებათ არჩეულ პროფესიებთან დაკავშირებით.

უფროსი სასკოლო ასაკი არის ცხოვრებისეული შრომითი თვითგამორკვევის ასაკი. მოზარდი, როგორც წესი, სერიოზულად არ ფიქრობს თავისი მომავალი პროფესიის შესახებ. უფროსკლასელები კი ამ საქმეს სერიოზულად უღებებიან და მათ საკუთარი არჩევანის არგუმენტებით გამართლება შეუძლიათ.

პროფესიის, როგორც ქცევის განსაზღვრული აქტის, არჩევას შეიძლება ჰქონდეს განსხვავებული ფსიქოლოგიური შინაარსი და შეიძლება განხორციელდეს განსხვავებული ფსიქოლოგიური პროცესების საფუძველზე. ზოგიერთისთვის პროფესიის არჩევა არის ცხოვრებისეული გზის არჩევა, საზოგადოებაში განსაზღვრული ადგილის პოვნა, სოციალურ ცხოვრებაში ჩართვა. პროფესიის ასეთი არჩევა, რომელიც აყვანილია თვითგამორკვევის რანგში, რთული პროცესია. იგი ხასიათდება მომავალი საქმიანობისადმი საკუთარი ფსიქო-ფიზიოლოგიური შესაძლებლობების მისადაგებით. პროფესიის ასეთი არჩევა მოსწავლის საერთო განვითარების მაღალ დონეს მოითხოვს. მაგრამ, ამავე დროს, პროფესიის არჩევა შეიძლება განხორციელდეს სრულიად განსხვავებული ფსიქოლოგიური მექანიზმების საფუძველზე. ზოგიერთი მოსწავლე პროფესიას ირჩევს შემთხვევით, თანატოლებისა და მშობლების მიბაძვით.

როგორც აღვნიშნეთ, გარდამავალი ასაკის მოზარდებს ჯერ კიდევ არ შეუძლიათ საკუთარი ფსიქოლოგიური შესაძლებლობების ადექვატური შეფასება. ისინი ხალისით ასახელებენ იმ დარგს, რომელიც უნდა აირჩიონ, კონკრეტული საქმიანობის ჩვენების გარეშე. ეს დარგი უშუალოდაა დაკავშირებული მათ სასწავლო საგნების შინაარსთან.

ქართულ ფსიქოლოგიურ ლიტერატურაში ნაკადია პროფესიული ორიენტაციის ფსიქოლოგიური საფუძვლების განწყობის თეორიის შუქზე ახსნა. განწყობა არის მთლიანი პიროვნებისეული მდგომარეობა, მზაობა, რომელიც წინ უსწრებს ნებისმიერი ქცევის დაწყებას და, რაც მთავარია, განსაზღვრავს ამ ქცევის მიმართულებას. პროფესიული ორიენტაცია არის შორეული მოტივაციური ქცევის ბუნების მოვლენა. იგი არის მომავალი პროფესიული ქცევის წინასწარი განსაზღვრა. ეს ქცევა ყალიბდება გარემოს ზემოქმედებისა და მოთხოვნების საფუძველზე; მასში ასახულია მიზნის მიღწევის საშუალებები და პროფესიული საქმიანობის განხორციელების პირობები. პროფესიული ორიენტაცია მოიცავს მისწრაფებებს, თვითშეფასებას და შემდგომი პროფესიული წარმატების პირობებსაც. პროფესიული ორიენტაცია: ქმნის წარმოსახულ სიტუაციას, რომლის საფუძველზედაც პიროვნებაში იქმნება განწყობა ანუ შინაგანი მზაობა, რაც გადაწყვეტილების მიღების ანუ პროფესიის არჩევის საფუძველი ხდება. განწყობის თეორია წარმოადგენს პიროვნების ქცევის ისეთ თეორიას, რომელიც იძლევა ქცევის მზაობის წარმოქმნის რეალურ მოდელს.

დიფერენცირებული, პროფილირებული სწავლების შემოღებამ დადებითი გავლენა მოახდინა პროფესიული განწყობის შექმნისა და გამტკიცების საქმეში.

გვემზოდირი პროფესიული ორიენტაცია ხელს უწყობს პროფესიის ნამდვილი, რეალური არჩევის შესაძლებლობას დამამთავრებელ კლასებში.

პროფესიული თვითგამორკვევა გაივლის ოთხ ეტაპს. პირველი ეტაპი არის ბავშვური თამაშები, როცა ბავშვი ასრულებს განსხვავებულ პროფესიულ როლებს და თამაშში ახდენს მის რეალიზაციას (ექიმობანა, მასწავლებლობანა...). მეორე ეტაპია მოზარდების ფანტაზია, როცა მოზარდი ოცნებებში ხედავს თავის თავს რომელიმე პრესტიჟული ან მიმზიდველი პროფესიის წარმომადგენლად. მესამე ეტაპია პროფესიის წინასწარი არჩევა. იგი მოიცავს გარდამავალი ასაკის ბოლო წლებს და ჭაბუკობას მთელ პერიოდს. ამ დროს მოქმედებათა და პროფესიათა მრავალრიცხოვანი სახეები ჯგუფდება და ფასდება მოზარდებისა და უფროსკლასელთა ინტერესების, მიდრეკილებების, უნარ-ჩვევების, ნიჭისა და ღირებულებათა სისტემის მიხედვით. მეოთხე ეტაპი არის გადაწყვეტილების პრაქტიკული მიღება. დამამთავრებელ კლასებში იგი საბოლოოდაა ჩამოყალიბებული, მაგრამ არაა მტკიცე და მყარი, რის გამოც შეიძლება შეიცვალოს. ესაა პროფესიის ნამდვილი არჩევა, რაც სპეციალობის საბოლოო არჩევას გულისხმობს რომელიმე კონკრეტული სპეციალობის არჩევა ობიექტურ პირობებზეცაა დამოკიდებული. ესაა სოციალური მდგომარეობა, ოჯახის მატერიალური უზრუნველყოფის ეკონომიკური და მშობლების განათლების და კულტურის დონე.

პროფესიის არჩევა რთული, ფაქიზი და ზანგრძლივი პროცესია. ხშირია შემთხვევები, როცა უფროსკლასელები აჭიანურებენ პროფესიულ თვითგამორკვევას. ეს იმიტომ ხდება, რომ მათ არ აქვთ გამოკვეთილი მყარი ინტერესები. ეს გაჭიანურება ხშირად უკავშირდება უფროსკლასელთა ზოგად მოუშწიებლობასა და ქვევის და სოციალური ორიენტაციის ინფანტილურ ხასიათს.

შეჭად მნიშვნელოვანია უფროსკლასელთა ინფორმაციის ხარისხი და დონე საკუთარი ფიქო-ფიზიოლოგიური შესაძლებლობებისა და მომავალი პროფესიის მოთხოვნების შესახებ. უფროსკლასელებმა, სამწუხაროდ, ძალზე ცუდად იციან პროფესიათა თავისებურებანი. მათ ასე თუ ისე იციან ექიმისა და ოურისტიის პროფესიის პრესტიჟის შესახებ, მაგრამ ძალზე ბუნდოვანი წარმოდგენები აქვთ ამ პროფესიათა კონკრეტური სპეციფიკისა და ამ პროფესიისათვის საჭირო საკუთარ ფიქო-ფიზიოლოგიური შესაძლებლობების შესახებ.

უფროსკლასელთა პროფესიული გეგმები ყალიბდება მრავალი ფაქტორის გავლენით. ეს ფაქტორები პირობითად შეიძლება ორ ჯგუფად დაიყოს: ესაა ობიექტური და სუბიექტური ფაქტორები. პროფესიის არჩევის ობიექტური ფაქტორებია ოჯახი, სკოლა, ახლობელთა წრე, მასობრივი ინფორმაციის საშუალებები და სხვა. ხოლო სუბიექტურ ფაქტორებს მიეკუთვნება ინტერესები, მიდრეკილებები, ღირებულებითი ორიენტაციები, ნიჭი, პრეტენზიის დონე, თვითშეფასება და სხვა.

ერთ-ერთი ძლიერი ობიექტური ფაქტორია, რომელიც გავლენას ახდენს პროფესიის არჩევაზე, არის ოჯახი. ამ მიმართულებით, უპირველეს ყოვლისა, მხედველობაში უნდა მივიღოთ მშობელთა სოციალური მდგომარეობა, რომელიც მოსწავლეთა პროფესიულ გეგმებზე ძლიერ გავლენას ახდენს. უმაღლესი განათლების მქონე მშობელთა შვილები უმეტესწილად თავიანთ სამომავლო გეგმებს უკავშირებენ უმაღლეს სასწავლებლებში ჩაბარებას. ინტელექტუალური შრომის მშობელთა ოჯახებში უმაღლესი განათლების მიღება აუცილებელი მოთხოვნაა.

ერთ-ერთი ძლიერი ფაქტორია სკოლა. სკოლაში ყალიბდება ინტერესები, მოსწავლე აქ ეცნობა პროფესიათა კლასიფიკაციას, პროფესიული ორიენტაციის მიმართულებით სკოლაში მიზანმიმართული მუშაობა მიმდინარეობს. სოციალური გარემოს შემდეგი ფაქტორია თანატოლთა ჯგუფი. პროფესიის არჩევაზე მისი გავლენა ოჯახთან და სკოლასთან შედარებით ნაკლებია. მეგობართა წრე, როგორც აღვნიშნეთ, იკრება და ყალიბდება ინტერესთა ერთიანობისა და მსგავსების საფუძველზე. მსგავსი ინტერესების მოსწავლეები, ხშირად ერთნაირ პროფესიებს ირჩევენ. განსაკუთრებით დიდი გავლენა აქვთ ამ თვალსაზრისით ჯგუფის ლიდერებს.

პროფესიის არჩევის ერთ-ერთი ძლიერი სუბიექტური ფაქტორია ინტერესები. ინტერესი არის განსაზღვრული მოვლენებისადმი და მოქმედებისადმი სწრაფვის ემოციურად შეფერილი არჩევითი დამოკიდებულება. ინტერესებთანაა დაკავშირებული ადამიანის შემეცნებითი სფეროს გააქტიურება, მიდრეკილებები, რომელიც შეიძლება განვიხილოთ როგორც კონკრეტულ ქცევებში ინტერესების რეალიზაცია. უფროსკლასელთა პროფესიულ ორიენტაციასთან დაკავშირებით გამოყოფენ ინტერესთა ხუთ ჯგუფს.

1) ამ ჯგუფში ერთიანდებაან ფართო წრის აქტიური ინტერესების მქონე უფროსკლასელები. ინტერესთა ამ წრეში გამოიყოფა, ღრმა სპეციალური, ცენტრალური ინტერესი, რომელიც გავლენას ახდენს მოსწავლის სასწავლო ინტერესებზე და ძირითადად განსაზღვრავს პროფესიის არჩევას. მოსწავლეთა მთელი სასწავლო და არასასწავლო საქმიანობა ამ ინტერესებს ემორჩილება.

2) ამ ჯგუფში შედის ის უფროსკლასელები, რომლებსაც აქვთ ერთმანეთისგან იზოლირებული აქტიურ ინტერესთა ფართო წრე. პროფესიის არჩევის პროცესი ასეთ მოსწავლეებში ხასიათდება საკუთარი ზრახვების უკონსოლობით და პროფესიის არჩევა დამოკიდებულია გარეგან ფაქტორებზე.

3) ამ ჯგუფში გაერთიანებულ მოსწავლეებს აქვთ შეზღუდული ინტერესები, რომლებიც დაკავშირებულია ცოდნის განსაზღვრულ სფეროსთან. ეს ინტერესები პასიურია და მოსწავლეებს არ აღძრავენ შესაბამისი ქცევის განხორციელებისათვის ამ ინტერესთა რეალიზაცია განისაზღვრება გარეგანი ფაქტორებით.

4) ამ ჯგუფის უფროსკლასელებს აქვთ სუსტ, იზოლირებულ და ერთმანეთთან დაუკავშირებელ ინტერესთა ვიწრო წრე. პროფესიის არჩევა გაძნელებულია.

5) ამ ჯგუფის წარმომადგენლებს აქვთ აშკარად გამოხატული პასიური და დიფუზური ინტერესები. ასეთ მოსწავლეებს არა აქვთ საყვარელი საქმიანობა და პროფესიული მიმართულობა. პროფესიის არჩევა მთლიანადაა დამოკიდებული გარეგან ფაქტორებზე.

უფროს სასკოლო ასაკში ინტერესების სტრუქტურის ფორმირების თავისებურებაა პროფესიულ ზრახვებთან და გვემბთან შერწყმა. ღრმა შემეცნებითი ინტერესები, ხშირად გარდაიქმნება მეცნიერულ და პროფესიულ ინტერესებად, რის გამოც შემეცნებითი ინტერესთა დიაგნოსტიკა და განვითარების მიმართულების განსაზღვრა არის პროფესიული კონსულტაციის მნიშვნელოვანი ამოცანა.

უფროსკლასელთა პროფესიული თვითგამორკვევა ქვეყნის რთული ფორმა და ეფუძნება მოტივაციას. ამ ქვეყნის რეალიზაციას ხელს უწყობს მთელი პიროვნება მისი მოთხოვნილებებით, ინტერესებით, მისწრაფებებით და მოტივაციური სფეროთი. ადამიანი ქვეყნებში ხელმძღვანელობს მრავალი მოტივით. ჭაბუკობის ასაკში მოტივაციურ სფეროს აქვს იერარქიული სტრუქტურა. უფროსკლასელთა მოტივები ხასიათდება ინტენსივობით, შეგნებულობითა და ქმედითობით. პროფესიის არჩევისას შედარებით გავრცელებული მოტივებია შრომის შინაარსისადმი ინტერესი, შრომის საზოგადოებრივი მნიშვნელობა, მატერიალური დაინტერესება, რომანტიკა, პუნანურობა, ქველმოქმედება, პროფესიათა პერსპექტივა და სხვა.

პროფესიულ თვითგამორკვევაზე დიდ გავლენას ახდენენ პიროვნების სტრუქტურული კომპონენტები, რომლებიც შეიძლება დაიყოს ორ ჯგუფად. ა) ამ ჯგუფში ერთიანდებიან პიროვნების ისეთი თვისებები, რომლებიც ხელს უწყობენ პროფესიის წარმტებით არჩევას, მაგრამ ამ პროცესის აქტიურიზაციაში პირდაპირ და უშუალოდ არ მონაწილეობენ. როგორც აღვნიშნეთ, ნამდვილი პროფესიული თვითგამორკვევა გულისხმობს ასარჩევი სპეციალობის მოთხოვნების ანალიზს და საკუთარი თავის ვარგისიანობის მისადაგებას ამ მოთხოვნებისადმი, რაც თავისთავად მოითხოვს აბსტრაქტული აზროვნების განვითარებას, ნებისყოფას, გარკვეულ ცხოვრებისეულ და შრომის გამოცდილებას; ბ) ამ ჯგუფში ერთიანდებიან პიროვნების ისეთი თვისებები, რომლებიც უშუალოდ მონაწილეობენ პროფესიის არჩევაში და პიროვნების განვითარების მიმართულებას აძლევენ. ესენია პროფესიული თვითგამორკვევის მოთხოვნილებები, სასწავლო და პროფესიული ინტერესები, მიდრეკილებები, იდეალები, მრწამსი, განწყობები და ღირებულებებითი ორიენტაციები. პიროვნების ამ თვისებებს აქვთ დინამიკური ხასიათი.

როგორც აღვნიშნეთ, უფროსკლასელთა ფსიქიკის განვითარების თავისებურება ისაა, რომ განვითარების ახალ სოციალურ სიტუაციას, ცხოვრებაში საკუთარი ადგილის გარკვევას, მივყავართ ამ ასაკის ცენტრალურ ახალწარმონაქმნადღე – საკუთარი ცხოვრებისეული, უპირველეს ყოვლისა, პროფესიული თვითგამორკვევის მოთხოვნილების ჩამოყალიბებადღე. პროფესიული ზრახვები სხვადასხვა ასაკობრივ საფუძველზე წარმოიქმნება. უმცროსკლასელთათვის პროფესიის არჩევა დაკავშირებულია უფროსების ცხოვრებაში მონაწილეობის მიღების სურვილთან და გვევლინება როლური თამაშების ელემენტებად. უმცროს მოზარდებში პროფესიის არჩევა არის ოცნებების ახდენის ფორმა გმირული და პრესტიჟული მომავლის მიმართულებით. მათ აინტერესებთ არა პროფესიის კონკრეტული შინაარსი, არამედ ის როლი, რომელსაც ამ პროფესიის წარმომადგენელი ასრულებს, რაც მათი პროფესიული ზრახვების ხშირი ცვლის მიზეზი ხდება. მოზარდები პროფესიის არჩევის ამოცანას არ განიცდიან როგორც მათი მისწრაფებების განსაზღვრის პრობლემას. მათთვის ეს არის მიბაძვის აქტი. მხოლოდ ადრეული ჭაბუკობის ასაკში განვითარების ახალი სოციალური სიტუაციის საფუძველზე თვითგამორკვევის პრობლემა იქცევა პიროვნების აქტუალურ მოთხოვნილებად. ცხოვრებისეული გეგმები აღმოცნდება მხოლოდ მაშინ, როცა განსჯის ობიექტად იქცევა არა მხოლოდ საბოლოო შედეგი, არამედ მისი მიღწევის ხერხებიც, ის

ობიექტური და სუბიექტური რესურსები, რომლებიც ამისთვისაა საჭირო და აუცილებელი.

პროფესიული თვითგამორკვევის ფსიქოლოგიური შინაარსი არის არა მარტო პროფესიის არჩევა, არამედ ამ არჩევანის შინაგანი ფსიქოლოგიური საფუძვლების შემუშავება. უფროს სასკოლო ასაკში განვითარების სოციალური სიტუაცია აძირობებს საკუთარი თვისებებისა და შესაძლებლობების გაცნობიერების მოთხოვნის გაჩენას, რომელიც უკავშირდება ცხოვრებისეული გზის არჩევას. ამ მოთხოვნის გაჩენა შესაძლებელი ხდება თვითცნობიერების განვითარებასთან დაკავშირებით. თვითცნობიერება არის საკუთარი თავისა და საკუთარი, მე“-ს გაცნობიერება. თვითცნობიერების საფუძველია თვითშეფასება. საკუთარი თავის გაცნობიერება არის საკუთარი ძალების, შესაძლებლობების, პიროვნული თვისებების გაცნობიერება და ობიექტური შეფასება, რასაც პროფესიის არჩევის საქმეში დიდი მნიშვნელობა აქვს. უფროსკლასელები ირჩევენ ისეთ პროფესიებს და სპეციალობებს, რომლებიც შეესატყვისება საკუთარ შესაძლებლობათა მათეულ გაგებასა და შეფასებას. იმის გამო, რომ უფროსკლასელთა მიერ საკუთარ შესაძლებლობათა შეფასება არაა მთლად ადექვატური და ობიექტური, პროფესიის არჩევის პროცესში შეცდომებიცაა მოსალოდნელი. მოზარდებისაგან განსხვავებით უფროსკლასელები აცნობიერებენ თვითშეფასების როლსა და აუცილებლობას. მათ უკვე აქვთ ჩამოყალიბებული თვითშეფასების მოთხოვნილება.

თავი ოცდამეშვიდე მოზარდთა და ჭაბუკთა დევიაციური ძველები

დევიაციური ქცევა არის საზოგადოების მიერ მიღებული და აღიარებული ნორმებიდან გადახვეული, გადახრილი ქცევა. ესაა ისეთი ქცევა, რომელიც არ შეესატყვისება იმ ძოლოდინებსა და ნორმებს, რომელიც ჩამოყალიბებულია და ოფიციალურადაა აღიარებული მოცემულ საზოგადოებაში. დევიაციური ქცევა არის საქციელთა სისტემა, რომელიც გადახრილია სამართლებრივი, მორალური და კულტურული ნორმებიდან.

დევიაციური ქცევები მოზარდებთან ხშირად გვხვდება. დარღვევების ხასიათი მეტად მრავალფეროვანია. იგი ხშირად ელინდება სამართლის ნორმების დარღვევის (დელიკტურ) ქცევებში, სახლიდან გაქცევებსა და მანქანალობაში, სექსუალურ აღვირახსნილობაში, ნადრევ აღკოპოლიზმში, ნარკომანიაში, სუიციდურ ტენდენციებსა და აგრესიულობაში.

ქცევის დარღვევა, როგორც ენახეთ, არის ნორმიდან გადახვევა, რომელიც გამოიხატება და ელინდება თვალში საცემ საქციელებში, რომელშიც რეალიზდება მოზარდის შინაგანი მიდრეკილებები. ყოველივე ეს შეიძლება გამოვლინდეს როგორც პრაქტიკულ მოქმედებებში, ასევე მოზარდის სურვილებში, გამონათქვამებში და მსჯელობებში.

ქცევის დარღვევების ერთ-ერთი ფორმაა აგრეთვე დისმორესია, რომელიც გულისხმობს ქცევის ნორმიდან გადახრას, დევიაციურ ქცევას, რომელიც გამოწვეულია ნერვეულ-ფსიქიკური ფაქტორებით.

დარღვევათა პირველი ჯგუფი არ თავსდება ფსიქიატრიის ჩარჩოებში. იგი განპირობებულია სოციალური და სამართლებრივი ფაქტორებით, ხოლო მეორე ჯგუფის ძირითადი კრიტერიუმებია ფსიქიატრიული სფერო.

დევიაციური ქცევა არის სოციალურ-ფსიქოლოგიური ცნება, რომელიც ასახავს ქცევის ნორმიდან გადახვევას მოცემულ ისტორიულ ეპოქაში. ესაა ქცევის ისეთი დარღვევები, რომლებიც არაა განპირობებული ნერვეულ-ფსიქოლოგიური ფაქტორებით. ე.ი. არსებობს დევიაციური ქცევების ორი ჯგუფი: არამათლოგიური და მათოლოგიური. არამათლოგიური დევიაციებია ნორმალური, ჯანმრთელი ადამიანის ქცევის დარღვევები, ხოლო მათოლოგიური დარღვევები დაკავშირებულია პიროვნების მათოლოგიასთან.

გარდამავალ და ჭაბუკობის ასაკში მათოლოგიური დევიაციური ქცევები ელინდება ისეთ მოსაზღვრე ნერვეულ-ფსიქიკურ დევიაციებში, როგორიცაა მათოლოგიური სიტუაციურ-პიროვნული რეაქციები, ინტელექტუალური ჩამორჩენილობის მოსაზღვრე ფორმები, ფსიქიკური განვითარების ტემპის ჩამორჩენა და სხვა. ამრიგად, როგორც ენახეთ, დევიაციურ ქცევებს ყოფენ ორ ჯგუფად: 1) ასოციალური ქცევები, როცა ირღვევა სოციალური, სამართლებრივი, მორალური და კულტურული ნორმები და 2) ქცევები, რომლებიც გადახრილია ფსიქიკური განვითარების ნორმებიდან და გულისხმობენ აშკარა ან ფარული ფორმის ფსიქომათოლოგიის არსებობას.

დევიაციური ქცევების გამოწვევი მიზეზების შესახებ სპეციალურ ლიტერატურაში არაა ერთიანი აზრი. სკვლევართა ერთი ჯგუფი გამოყოფს მოზარდთა დევიაციების მიზეზთა ოთხ ჯგუფს (მ. რიბალკო):

1) ამ ჯგუფში ერთანდებთან ფსიქიკურად ჯანმრთელი მოზარდები, რომელთა დევიაციური ქცევები განპირობებულია პედაგოგიური და მიკროსოციალური ხელმიშვებულობით. ასეთ ბავშვებს ახასიათებთ სწავლისადმი გულგრილობა, ცინიზმი, აგრესიულობა, სიცრუე, მანანწალობა, ქურდობაცაცობა, მიდრეკილება სიგარეტისადმი და ალკოჰოლისადმი. ასეთი ბავშვების სკოლაში გაჩერება არაა მიზანშეწინილი. მათთვის დამახასიათებელია, აგრეთვე, ადამიანებთან კონტაქტების დამყარების შერჩევითობა (უფროსების მიმართ ოპოზიციური დამოკიდებულება და შედარებით კარგი დამოკიდებულება თანატოლებთან, ასოციალური ქცევებისადმი გაგებითი მიდგომა და მიმდებლობა).

2) ამ ჯგუფში შევიდნენ ის მოზარდები, რომლებსაც აღენიშნებათ პათოქარაქტეროლოგიური დარღვევები, რომელთა წარმოშობაში მნიშვნელოვანი და გადაძვევები როლი ითამაშეს ფსიქოტრავმულმა ფაქტორებმა და არასწორმა აღზრდამ (ალკოჰოლიზმი, შობილთა შორის კონფლიქტები და გაყრა, ოჯახში დედნაცვლის ან მამინაცვლის შემოსვლა, ახლობლების ავადმყოფობა ან სიკვდილი, აღზრდაში დაშვებული შეცდომები, ზედმეტი მზრუნველობა ან განებივრება, მიშვებულობა). ზედმეტი მზრუნველობის ქვეშ მყოფი დევიაციური ქცევის მოზარდებისათვის დამახასიათებელია აგზნებულობა, დამბულობა, მიდრეკილება კონფლიქტებისა და პროტესტის აქტიური რეაქციებისადმი. ასეთი რეაქციები, საბოლოო ანგარიშით, მთავრდება აგრესიული განმუხტვებითა და ასოციალური ხასიათის ქცევებით. დევიაციური ქცევის განებივრებულ მოზარდებს (როცა მათ ყველა სურვილსა და კარიზს უსრულებენ) ახასიათებთ დამოუკიდებლობის დაქვეითება და პიროვნების ასთენიკური განვითარება (თავის თავში დაურწმუნებლობა, პასიურობა, გაუბედაობა, წუწუნი, ადვილი დაღლადობა).

3) რეზიდუალურ-ორგანული ფსიქოპათოლოგიის მსგავსი მდგომარეობა, ასეთი მოზარდების უმრავლესობას ადრე ჰქონდათ გადატანილი ტრავმული, ინფექციური, ინტოქსიკური წარმოშობის ცერებრალური დაზიანება, რომელმაც მიკროსოციალური გარემოს უარყოფით მომენტებთან ერთად, ხელი შეუწყო დევიაციებს. მათი ნიშნებია: ძლიერი მოძრაობითი შეუკავებლობა, ფსიქიკური გაუწონასწორებლობა, აფექტები, ისტერიოიდული ხასიათის იმპულსური ქცევები, ინტელექტის და თვითკრიტიკულობის დაქვეითება, სექსუალობა საღიზმის ელემენტებით, ნათლად გამოხატული ნევროტული სინდრომები, აუტიზმი, ინფანტილიზმი.

4) ამ ჯგუფს შეადგენს ფსიქოპათოლოგიის მსგავსი მდგომარეობა ღუნდ მიმდინარე შიზოფრენიის საწყისი ფორმით. ასეთი მოზარდებისათვის დამახასიათებელია აუტიზმი, ეპოციური კონტაქტების სისუსტე, ინფანტილიზმი, აგრესიულ-სადისტური ტენდენციები, აკვიატებული შიშები, ნერვული ანორექსია, ბოღვითი ფანტაზიები.

ა. ლიჩკოს მიხედვით დავიაციურ ქცევებს ძირითადად აპირობებს ორი მიზეზი:
ა) ბიოლოგიური საფუძვლები და ბ) ფსიქო-სოციალური ფაქტორები. ბიოლოგიურს

მიეკუთვნება გენეტიკური ფაქტორები, თავის ტვინის ორგანული დაზიანება, აქსელერაცია და ინფანტილიზმი. ფსიქო-სოციალური ფაქტორებია ემანსიპაციის, ბავშვური ქცევის, თანატოლთა დაჯგუფებებში გაერთიანების, ჰობი-რეაქციები და სექსუალური მიდრეკილებები.

გენეტიკური ფაქტორები აპირობებს ხასიათის ანომალიებს, რაც კარგად ჩანს ფსიქოპათიების მაგალითზე. ფსიქოპათიის ტიპზე კი მნიშვნელოვანწილადაა დამოკიდებული ქცევის დარღვევები. თუმცა დელიკენტურ, ალკოჰოლურ და ზოგიერთ სხვა დარღვევას გენეტიკური ფაქტორები არ აპირობებენ.

თავის ტვინის ორგანული დაზიანება აპირობებს ე.წ. „ნევროლოგიურ მიკროსიმპტომატიკას“ და ძალიან გავრცელებულია მოზარდობის ასაკში.,

აქსელერაციის მოვლენაც გარკვეულწილად აპირობებს ქცევების დარღვევას. როგორც ვნახეთ აქსელერაცია მოიცავს არა მხოლოდ ფიზიკურ განვითარების სფეროს, არაჟედ – სოციალურსაც. დღევანდელი სოციალური ცხოვრება მოზარდის ნერვულ სისტემას გაცილებით მაღალ და მკაცრ მოთხოვნებს უყენებს, ვიდრე ნახევარი საუკუნის წინათ. ინფორმაციის ნაკადი ყოველდღიურად კატასტროფულად იზრდება, ცხოვრების ტემპი შეუდარებლად აჩქარებულია. ყველაფერი ეს მოზარდის ფსიქიკაზე ყოველთვის არ მოქმედებს დადებითად. აქსელერებულ მოზარდებს, სამწუხაროდ, შესაბამის ღონეზე არ აქვთ განვითარებული მოვალეობისა და პასუხისმგებლობის გრძობა. როგორც ფიზიკურ, ასევე სოციალურ განვითარებაში მოზარდებს აღენიშნებათ დისპროპორციები. უპირველეს ყოვლისა ესაა დისპროპორცია განვითარების ფიზიკურ და ფსიქიკურ აქსელერაციას შორის. ფიზიკური აქსელერაციის შიგნით მიმდინარე სქესობრივი განვითარების დისპროპორციები გარკვეულ უარყოფით განცდებს იწვევს მოზარდებში. ის ფაქტი, რომ ერთსა და იმავე ასაკში ზოგიერთი მოზარდის სქესობრივი მომწიფება ახლა იწყება, ზოგიერთმა კი ამ მიმართულებით უკვე დაამთავრა მომწიფება, დიდი სტრესებთან და შფოთვისთანაა დაკავშირებული.

ინფანტილიზმი აქსელერაციის ეპოქაში განსაკუთრებით ნათლად ვლინდება ფიზიკური და ინტელექტუალური განვითარების ჩამორჩენის სახით. მოზარდთა დევაციურ ქცევებში (განსაკუთრებით ფსიქოპათურ ქცევებში) დევაციის ორივე პოლუსი – აგრესია და ინფანტილიზმი (რეტარდაცია) ძალიან ხშირია. ინფანტილიზმის მიზეზი მრავალა. იგი, უპირველეს ყოვლისა განპირობებულია კონსტიტუციონალურად, თუმცა შეიძლება გამოწვეული იქნას ზანგრაძივი სომატური დაავადებებითა და ენდოკრინული დარღვევებითაც.

მოზარდთა ქცევის დევიაციების სოციო-ფსიქოლოგიური ფაქტორები ძირითადად გამოწვეულია ე.წ. „უბერტატული კრიზისით“. ესაა ყოველგვარი მიზეზის გარეშე გუნება-განწყობილების ხშირი ცვლა, ერთი უკიდურესობიდან მეორემდე. ესაა ავადმყოფური სიმორცხვე და უხეშობა და ა.შ. ე. ერიკსონი ამ მდგომარეობას აღნიშნავს „იდენტურობის კრიზისის“ სახელითაც. იდენტურობაში იგულისხმება საკუთარი თავის პიროვნებად, ინდივიდუალად განცდა, რაც მოზარდობის ასაკის ერთ-ერთი ძირითადი თავისებურებაა. როგორც ცნობილია ფსიქონალიტიკური პოზიციიდან იდენტურობის ფორმირება განიხილება როგორც

„ბავშვური „მე“-ს“ რღვევა და ახალი, „უფროსის „მე“-ს“ და „ზე-მე“-ს ჩამოყალიბება. სწორედ ამ პროცესს თვლიან მოზარდების ყოველგვარი კრიზისისა და ქცევის დარღვევის მიზეზად. იდენტურობის კრიზისს უკავშირებენ დეპრესიებისაგან და სუიციდისაკენ მიდრეკილებებს და აგრეთვე, დეპერსონალიზაციის გამოვლინებებსაც. ცნობილია ისიც, რომ ზ. ფროიდის მიხედვით, სექსუალური კრიზისი განპირობებულია ეროვნური ზონების შეცვლით, ორალურიდან გენიტალურ სფეროში გადატანით.

როგორც აღვნიშნეთ, გამოყოფენ მოზარდთა სოციალურ-ფსიქოლოგიური დევიაციების შემდეგ ფორმებს: ემანსიპაციის, თანატოლთა დაჯგუფებების, ბავშვური ქცევის, ჰობი და სექსუალური ქცევის რეაქციებს.

ემანსიპაციის რეაქცია ვლინდება მოზარდების მიერ უფროსების შტრუქტურისაგან, გავლენისაგან, ზედამხედველობისა და მფარველობისაგან თავის დაღწევაში. ესაა ერთგვარი ჯანყი საერთოდ უფროსი თაობის მიმართ, დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისაკენ სწრაფვა, პიროვნული თვითდამკვიდრების მცდელობა. ზოგიერთი მკვლევარი ამ მოვლენას „ავტორიტეტების კრიზისსაც“ უწოდებს. ემანსიპაციის რეაქციები მრავალი ფორმით ვლინდება. ძირითადი გამოვლენა კი არის მოზარდის დიდი სურვილი მოიქცეს და ყველაფერი აკეთოს დამოუკიდებლად და „მისიებურად“. ემანსიპაციის რეაქციის გამოვლენის შედარებით გავრცელებული ფორმაა სახლიდან გაქცევა და მანქანალობა.

თანატოლთა დაჯგუფებების რეაქცია. ბავშვები დიდი ხალისით ურთიერთობენ უფროსებთან, მაგრამ გარდამავალ ასაკში მდგომარეობა მკვეთრად იცვლება. ახლა, როგორც ვნახეთ, იწყება უფროსებისაგან, ემანსიპაციის რეაქციები და თანატოლებისადმი ძლიერი სწრაფვა. მოზარდები დიდი ხალისით ერთიანდებიან თანატოლთა კოლექტივებსა და ჯგუფებში. არსებობს თანატოლთა დაჯგუფების ორი ტიპი: ა) ერთსქესიანი მოზარდული ჯგუფები, რომელსაც ყავს გამოკვეთილი ლიდერი და ჯგუფის თითოეული წევრს აქვს გარკვეული როლი და ფუნქცია. ლიდერობა ასეთ ჯგუფებში, ძირითადად, დამყარებულია ძალაზე, სუსტის დაჩაგრებაზე და სისასტიკეზე ბ) სხვადასხვასქესიანი დაჯგუფებები, რომლებსთვისაც დამახასიათებელია როლების უწყესრიგო განაწილება და მუდმივი ლიდერის უცხოობა; ჯგუფების შემადგენლობაც არასტაბილურია. ასეთი ჯგუფების ცხოვრება მინიმალურადაა რეგლამენტირებული და მოთხოვნებიც მკაცრად არაა ჩამოყალიბებული. ცნობილი ფაქტია, რომ მოზარდთა სამართალდარღვევები ძირითადად ასეთ ჯგუფებში ხდება.

ჰობი-რეაქციების გარეშე მოზარდობის ასაკი ძნელი წარმოსადგენია. მოზარდებში ჰობი წარმოადგენს პიროვნების ფსიქიკური განვითარების განსაკუთრებულ კატეგორიას. ჰობი მრავალფეროვანია. იგი შეიძლება იყოს ინტელექტუალურ-ეთიკური (როცა მოზარდი ავლენს დიდ ინტერესს მუსიკისადმი, ხატვისადმი, რადიოტექნიკისადმი, ფოტოსაქმისადმი, ცხოველთა სამყაროსადმი და ა.შ.) უფროსების აზრით ეს საქმიანობა არასერიოზულია, მაგრამ მოზარდები მას პირველხარისხოვან მნიშვნელობას ანიჭებენ. არსებობს ჰობის მრავალი სახე:

1) სხეულებრივ-მანუალური ჰობი, რომლის დანიშნულება სხეულის გაკაეება, ამტანობის გამოუმუშავება, კარატე, კრივი, სამბო და სხვა.

2) ლიდერული ჰობი. ესაა ისეთი სიტუაციების ძიება ან შექმნა, სადაც შეიძლება თავის გამოჩენა, ხელმძღვანელობა, ლიდერობა.

3) შეგროვების ჰობი. ესაა ყოველგვარი სახის კოლექციონერობა.

4) ეგოცენტრული ჰობი – ყოველგვარი მოქმედება, რომლის საბოლოო მიზანია გარეშემოყოფთა ყურადღების მიპყრობა, მათ ყურადღების ცენტრში მოხვედრა. ესაა მხატვრული თვითშემოქმედება, მხიარულთა და საზრიანთა კლუბი და სხვა.,

5) აზარტული ჰობი – ბანქოს თამაში, ნიძლავი ფეხბურთში, დოღში, სპორტლოტოსა და ლატარიებში მონაწილეობა.

ყოველგვარი ჰობი შეიძლება მიმდინარეობდეს ნორმისა და პათოლოგიის ფარგლებში. გააჩნია ინტენსივობას. თუ რომელიმე ჰობი სრულდება ისეთი ინტენსივობით, რომ მან მოზარდებს შეიძლება დაავიწყოს სხვა ყველაფერი, ეს უკვე დევიაციაა.

სექსუალური რეაქციები. აქ შედის არა მარტო ონანიზმი, პეტინგი, ჰომოსექსუალიზმი და პრომისკუიტეტი, არამედ ქცევის ზოგიერთი ისეთი დარღვევა, რომელსაც გარეგნულად არ აქვს სექსუალური შეფერილობა.

მოზარდის ბავშვური ქცევის რეაქციები არის მართლაც ბავშვური ქცევები, რომელიც სამწუხაროდ გარდამავალ ასაკშიცაა გადმოყოლილი და მოზარდის საერთო ქცევის გარკვეულ დღს ასვამს. ეს რეაქციები შემდეგი სახისაა:

1) უარის რეაქციები. ესაა უარის თქმა კონტაქტებზე, თამაშზე, საკვებზეც კი. ეს რეაქციები ძირითადად დამახასიათებელია ინფანტილური მოზარდებისათვის, როცა მათ თავიანთი ნების გარეშე ძალად აშორებენ თანატოლთა კომპანიებს.

2) ოპოზიციის რეაქციები. ეს რეაქციები გამოწვეულია უფროსების მხრიდან ისეთი პრეტენზიების წაყენების გამო, რომლის შესრულება მოზარდს არ შეუძლია. ასეთია მშობლების მოთხოვნები კარგად ისწავლონ, წარმატებები მოიპოვონ სპორტში, მუსიკაში. მოზარდი, ზანდაზან ასეთ რეაქციებს ავლენს მაშინაც, როცა შეაშინებს, რომ მშობლები მას ნაკლებ ყურადღებას აქცევენ. მოზარდებში ასეთ რეაქციებს იწვევს აგრეთვე ოჯახში დედინაცვლის ან მამინაცვლის შემოსვლაც. ოპოზიციის რეაქციები ნათლად ვლინდება ხასიათის ისტერიოიდული აქცენტუაციის ფონზე. ამ დროს ოპოზიციის რეაქციები შეიძლება მიმართული იყოს ოჯახის არა რომელიმე კონკრეტული წევრისადმი, არამედ სკოლაზე და აღმზრდელებზე საერთოდ. ესაა რომელიმე საქმის ჯიბრზე გაკეთების რეაქციები, საერთოდ დემონსტრაციული და გამოპწვევი ქცევები.

3) იმიტაციის რეაქციები გულისხმობს რომელიმე განსაზღვრული პიროვნების ქცევების მიბაძვას. ბავშვობაში ასეთებია მშობლები, მასწავლებლები ან უფროსი და-ძმები. მოზარდებში კი, უბატესწილად, მიბაძვის ობიექტებია განსაკუთრებულად გამოჩენილი და პოპულარული თანატოლები, როკ-მუსიკის ან სპორტის აღიარებული კერპები. მოზარდი მიბაძვის ობიექტს უმთავრესად თვითონ არ

ირჩევს. ამ დროს იგი ითვალისწინებს მოზარდთა დაჯგუფებების გემოვნებასა და შეხედულებებს.

ქვეყნის სერიოზულ დარღვევებად იმიტაციის რეაქციები იქცევა მაშინ, როცა მოზარდები მიბაძვის ობიექტებად ირჩევენ ასოციალური ქცევის პირებს.

4) კომპენსაციის რეაქციები არის იმის სურვილი, რომ საკუთარი სისუსტე და მარცხი ერთ რომელიმე სფეროში, შეაქსოს წარმატებების მოპოვებით სხვა სფეროში.; ფიზიკურად სუსტი მოზარდი, რომელსაც საკუთარი თავის დაცვა ჩხუბში არ შეუძლია ან ვერ ახერხებს თავის გამოჩენას მოძრავ თამაშებში, ამას იგი ანაზღაურებს კარგი სწავლით და ერუდიციით, აგრეთვე, წარმატებით ინტელექტუალურ თამაშებში (ჭადრაკი). ზდება პირიქითაც სწავლაში წარუმატებლობის ანაზღაურება ზდება „ვაჟაკური“ ქცევებით, ქცევის ნორმების განგებ დარღვევით. ასეთი ქცევები დევიაციის ფორმას ღებულობენ მაშინ, როცა ზოგიერთი მოზარდი შიშის კომპენსაციას აღწევს უაზრო და დაუფიქრებელი რისკის ზარგზე.

ყველა ჩამოთვლილი რეაქცია მოზარდობის ასაკში შეიძლება გამოვლინდეს როგორც ნორმის, ასევე დევიაციის ფორმით. ეს რეაქციები მაშინ ზდება პათოლოგიური, როცა ისინი ნორმის ფარგლებსა და ჩარჩოებს სცილდება. ე.ი. როცა ისინი ვრცელდება იმ სიტუაციის ფარგლებს გარეთ, რომელშიც აღმოცენდა ან კიდევ მაშინ, როცა ამ რეაქციებს ემატება ნევროტული დარღვევები.

პათოლოგიური რეაქციები ნორმალური ქცევებისაგან განსხვავდება შემდეგი ნიშნებით:

ა) გენერალიზაციით. ე.ი. განსხვავებულ, არაადექვატურ სიტუაციებში აღმოცენების უნარით;

ბ) პათოლოგიური სტერეოტიპის შექმნის უნარით, ე.ი. როცა განსხვავებულ მიზეზებზე პასუხობენ ერთი და იგივე რეაქციით;

გ) ქცევის დარღვევის ისეთი უკიდურესი ფორმების გამოვლენით, რომელიც არაა დამახასიათებელი იმ ჯგუფის წევრებისათვის, რომელშიც მოზარდად გაერთიანებული.

დ) სოციალური ლეზადატაციისკენ მისწრაფებით.

დევიაციური ქცევების ანალიზში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ფსიქოპათიებსა და ხასიათის აქცენტუაციებს. ფსიქოპათია არის ხასიათის ისეთი ანომალია, რომელიც განსაზღვრავს ინდივიდის მთლიან ფსიქიკურ მზარეს და რომელიც თითქმის არ იცვლება. ესაა მდგრადი პიროვნული დისპარმონია, როლისთვისაც დამახასიათებელია პათოლოგიური თვისებების გამოხატულება ადპტაციის დარღვევამდე კი, დარღვევათა სტაბილურობა, პიროვნული რეაგირების ერთტიპიურობა. ფსიქოპათებს უჭირთ ნორმალური ადამიანური ურთიერთობების დამყარება. გარდამავალი ასაკი ფსიქოპათიის განვითარების სენზიტიური ასაკია.

ხასიათის აქცენტუაცია კი არის ხასიათის ნორმის უკიდურესი ვარიანტები, რომლის დროსაც ხასიათის ცალკეული ნიშნები გამოირჩევა უკიდურესი ინტენსივობით, რის გამოც რომელიმე ფსიქოგენურ ზემოქმედებაზე შეარჩევითი ზემოქმედებლობა ვლინდება. მიუხედავად იმისა, რომ ხასიათის აქცენტუაცია

არის გამოვლენის უკიდურესი ფორმები, იგი ეტევა ნორმის ფარგლებში და წარმოადგენს ნორმის ვარიანტებს. ხასიათის აქცენტუაცია არაა ფსიქიატრიული დიაგნოზი. გარდამავალ ასაკში დევიაციური ქცევის ფორმა შეიძლება იყოს როგორც ფსიქოპათია, ასევე ხასიათის აქცენტუაცია.

მოდერნება ხასიათის აქცენტუაციის შესახებ ეკუთვნის კ. ლუნგარდს. მაგრამ აქცენტუაციების მისეული შეხედულება უმთავრესად ეხება მოწიფულობის ასაკს და თანაც მასთან აქცენტი პიროვნულ აქცენტუალობაზე კეთდება. ჩვენი საკითხისათვის უფრო მნიშვნელოვნად და მართებულად მიგვაჩნია ა. ლიჩკოსა და ვ. კონდრაშენკოს კლასიფიკაციები, რომლებიც საკვალურად გარდამავალ ასაკს ეხება, სადაც აქცენტუაციის ყველა ტიპი განხილულია გარდამავალი ასაკის სპეციფიკის გათვალისწინებით. ამასთანავე მათი კლასიფიკაცია მოიცავს როგორც ფსიქოპათიებს, ე.ი. ხასიათის ანომალიებს, ასევე მის აქცენტუაციებსაც, ე.ი. ნორმის ვარიანტებსაც. ჩვენ ძირითადად ვყვარდობით ვ. კონდრაშენკოსეულ კლასიფიკაციას, რომელიც უფრო თანამედროვეა და ვფიქრობთ, უფრო ზუსტად გამოხატავს გადამავალი ასაკის სპეციფიკას. ამასთანავე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ყველა ამ კლასიფიკაციას საფუძვლად უდევს კ. ლუნგარდის კლასიკური მოძღვრება და, საერთოდ, ეს კლასიფიკაციებიც ერთმანეთისაგან უმნიშვნელოდ განსხვავდება: ფსიქოპათიისა და ხასიათის აქცენტუაციის ვ. კონდრაშენკოსეული სისტემატიკა მოიცავს ათ ტიპს: ექსპლოზური, ეპილეფტური, შიზოიდური, ფსიქოსთენური, სენსიტორი, ასთენური,

ისტეროიდული, არამდგრადი, ემოციურ-ლაბილური და ჰიპერტიკური.

1) ექსპლოზური ტიპი ძირითადად გვხვდება ბიჭებში და ხასიათდება აგზნებულობის ზოგადი აწეულობით, მოძრაობითი რეაქციებისადმი და, საერთოდ, აფექტებისაკენ მიდრეკილებით. აკრძალვაზე, შენიშვნაზე, დასჯაზე პასუხად ასეთი ტიპის მოზარდები ადვილად აღიგზნებიან, ხდებიან აგრესიულები. თუმცა ასეთი მდგომარეობა ჩქარა გაივლის და მოზარდებს არაფერი ახსოვთ წყენის შესახებ. ხასიათის ექსპლოზური ტიპები გვხვდება უფროს მოზარდებთან და ადრეულ კვაბუკებთან. მისი ძირითადი ნიშანია ფეთქებადობა და შეაკვების სისუსტე. ასეთი მოზარდებისათვის მცირე საძაბოც კი საკმარისია აფექტური რეაქციების გამოსაწვევეად, რომელსაც თან ახლავს ტაქიკარდია, გუგების გაფართოება და სუნთქვის გახშირება. აფექტური რეაქციების გავლის შემდეგ მოზარდები ინანიებენ მათ ასეთ საქციელს, მაგრამ უბრალო, უმნიშვნელო მიზეზიც საკმარისია, რომ ყველაფერი ისევ განმეორდეს. ასეთ მოზარდებს არ იზიდავთ მარტოობა, უფროს თანატოლთა კომპანიებში გაერთიანება, თუმცა თვითდამკვიდრება და ნორმალური ურთიერთობების დამყარება აქაც უჭირთ. ისინი ვერ იტანენ კრიტიკას, შენიშვნებს, ერევიან ნებისმიერ კონფლიქტურ სიტუაციაში და მხარს უჭერენ „უსამართლოდ დაზარალებულს“. ასეთი მოზარდები ვერ იჩენენ სიმეციითეს, უჭირთ მუშაობა, არ აქვთ მოთმინების უნარი. ნებისმიერი მოლოდინი მათში იწვევს აქტიურ პროტესტს. მათ აქვთ ვიწრო ინტერესები, არიან ტრამანები, ცრუები, ავლენენ მიდრეკილებებს სექსუალური განცდებისაკენ. ასეთი მოზარდები ადვილად შთავონებადები არიან.

ექსპლოზური ტიპის მოზარდები ადრე ავლენენ ემანსიპაციის რეაქციებს. ისინი ადრე ითხოვენ მშობლებისაგან „სრულ თავისუფლებას“, არ უყვართ შეზღუდვები, რის გამოც ხშირად მოსდით კონფლიქტები მშობლებთან.

გუნება-განწყობილების არამდგრადობა, მათი სწრაფი ცვლა, აწეული შთაგონადობა და ნებულობითი აქტივობის დაქვეითება ხელს უწყობს ადრეულ ალკოპოლიზმს, ნარკოტიკებისაქენ მისწრაფებას და სხვა მავნე ჩვევების ჩამოყალიბებას.

2) ეპილეფტური ტიპი ზოგიერთი თვისების მიხედვით უახლოვდება ექსპლოზურს. მას აქვს ხასიათის ისეთი მსგავსი აქცენტუაციები, როგორცა ემოციური აგზნებულობა, დამბულობა, თავშეუკაცებლობა, რისხვის და აფექტის რეაქციები, კონფლიქტურობა და აგრესიულობა. ასეთ მოზარდებს ახასიათებთ წყნაზე აუცილებლად სამაგიეროს გადახდა, შურისძიება, ჯიუტობა, სისასტიკე, მიზნის მიღწევისათვის ავადმყოფური შეუპოვრობა და ხანგრძლივი დისფორიები, რაც გამოიხატება ქრონიკულ მოღუშულობასა და პირჩუშობაში.

ასეთი მოზარდები გამოირჩევიან გარეშემოყოფების მიმართ არაკეთილსასურველი დამოკიდებულებით. ჩვეულებრივი სიტყვებიც კი მათში არამოტივირებული გაღიზიანებებს იწვევს. მათ თავში მუდამ უტრიალებთ ძველი წყენა, დავა, კონფლიქტები და ა.შ. რისხვა და ღვარძლი თანდათანობით უგროვდებათ და შეიძლება იფეთქოს მოულოდნელად.

ასეთი მოზარდების აფექტები ძლიერი და ხანგრძლივია. აფექტის მომენტში არაფრის არ ემინათ, მათზე გაცილებით ძლიერი მოწინააღმდეგეებისაც კი. ისინი ყურად არ ღებულობენ სხვის აზრებსა და რჩევებს, არიან უკიდურესად თავმოყვარენი, ეგოისტები, შურის მაძიებლები, ეჭვიანები, წვრილმანები და შარანები. მათ შეუძლიათ პირადი წყენის დიდი ხნით შენახვა.

თანატოლთა ჯგუფებში ასეთი მოზარდები ცდილობენ ლიდერობას და ამისთვის იყენებენ ნებისმიერ გზას. ისინი არ თაკილობენ დასმენასაც კი.

ეპილეფტური ტიპის მოზარდები სახლში დესპოტურად იქცევიან, სრულად უგულვებელყოფენ წესრიგს, ოჯახურ ტრადიციებს და ითხოვენ განსაკუთრებულ პრივილეგიებს. ასეთ მოზარდს უზნიშვნელო რამებზეც კი შეუძლია უხეშად მოეპყრას ოჯახის ნებისმიერ წევრს.

ასეთი ტიპის მოზარდები ამჟღავნებენ ინტენსიურ სქესობრივ ლტოლვებს, საღისტურ და მაზოხისტურ მიდრეკილებებს. მისდევენ სპორტის ისეთ სახეობებს, რომლის საშუალებითაც შესაძლებელი ხდება თანატოლთა წრეში პრივილეგიის მოპოვება და სხვისი დაჩაგვრა (კრივი, საბო, კარატე)

თავდაუჭერლობა, გულღვარძლიანობა, აზარტულობა, პრიმიტიული მიდრეკილებების ინტენსივობა დაბალი მორალური თვისებების ფონზე ასეთ მოზარდებთან ქმნის დევიაციური ქცევების ფორმირების კარგ წინაპირობებს.

3) შიზოიდური ტიპი. შიზოიდური ტიპის მოზარდები გამოირჩევიან ჩაკეტილობით, გულჩათხრობილობითა და რეალური სამყაროდან მოწყვეტით. მათი შინაგანი სამყარო სავსეა ფანტაზიებით. მათთვის დამახასიათებელია ემოციური ცხოვრებისა და, საერთოდ, ქცევის პარადოქსულობა. გულჩათხრობილი მოზარდი

შეიძლება მოულოდნელად შეიცვალოს კომუნიკაბელობით სრულად უცნობ ადამიანთანაც კი. ასეთი მოზარდებისათვის დამახასიათებელია ინტუიციის ნაკლებობა, მათ არ შეუძლიათ დაიჭირონ ადამიანთა ქცევებსა და სიტყვებში ელფერები, უჭირთ სიტუაციის არსის გაგება. მათ არ აქვთ დისტანციის გრძობა. ისინი მაშინ ერთვებიან საუბარში, როცა არაა საჭირო. ასეთ მოზარდს შეუძლია იტიროს კიდევ მკვლარი ჩიტის დანახვაზე, მაგრამ სრულად ინდიფერენტულად და გულგრილად აღიქვას ახლობლის უბედურება.

ასეთი მოზარდები საერთოდ, არიან უნიციატიონი, უცვართ მარტობა, უჭირთ ადამიანებთან სოციალური ურთიერთობების დამყარება, არიან არაკომუნიკაბელურები. მათ ემანსიპაციის რეაქციებიც თავისუფლად აქვთ გამოხატული; ასეთი მოზარდი შეიძლება ითმენდეს ან ვერც ამჩნევდეს პიპერმზრუნველობას, მაგრამ ფეთქებოდეს მის შინაგან სამყაროში ოდნავი ჩარევის გამოც.

შიზოიდური ტიპის მოზარდებს უკუუფხვად გაერთიანების რეაქციებიც სუსტად აქვთ განვითარებული. მათ საერთოდ არ აქვთ ლიდერული მისწრაფებები. არც სუიციდური მცდელობებია მათთვის ნიშანდობლივი, არ აქვთ მიდრეკილება ალკოპოლისადმი. თრობა მათში არ იწვევს „ფსიქიკური კომფორტის“ განცდას.

შიზოიდები თავიანთ სექსუალურ მისწრაფებებს, ჩვეულებრივ, მალავენ, მაგრამ მათ შინაგან განცდებში ეროტული ხასიათის შინაარსს დიდი ადგილი უჭირავს. საწინააღმდეგო სექსის პარტნიორთან კონტაქტის დამყარების უუნარიობის ანაზღაურება ხდება ცინიზმით, ხშირი ონანიზმითა და სექსუალური დევიაციებით.

დელიკვენტურ ქცევებს შიზოიდები, ძირითადად, მარტონი ჩადიან, ამასთანავე მათი კრიმინალური ქცევა გამოირჩევა ორიგინალურობითა და საზრიანობით.

4) ფსიქასთენური ტიპი. ფსიქასთენური ტიპის მოზარდის ხასიათის ძირითადი დამახასიათებელი ნიშანია შფოთიანობა, ეჭვიანობა, გაუბედაობა, შიში, საკუთარ თავში დაურწმუნებლობა. მათ ყველფერში ეჭვი ეპარებათ. ხანდახან მათთან ეჭვიანობა ღებულობს აკვიატებული მდგომარეობის ფორმას. ასეთი მოზარდები აცნობიერებენ უაზრობას მათი აკვიატებული აზრების გამო, მწყავედ განიცდიან კიდევ, მაგრამ არაფერი გამოსდით. მათ აშინებთ არა იმდენად რეალური და ნაცნობი სიტუაციები, რამდენადაც — უცნობი და წარმოსახული. აშინებთ თავიანთი ახლობლების ბედი და მომავალი: ხომ არ მოუვათ რაიმე, ავად ხომ არ გახდებიან, კატასტროფაში ხომ არ მოხვდებიან და ა.შ.

ფსიქასთენური ტიპის მოზარდებს ძალიან უჭირთ გადაწყვეტილების მიღება. ისინი ღიღბანს ფიქრობენ, ყოყმანობენ და ეჭვობენ, რის გამოც, მათი მხრიდან ყოველგვარი ინიციატივის გამოჩენა, თითქმის, გამოირიცხვება. ისინი საბოლოო გადაწყვეტილებას დიდი ძალისხმევით, წვალებითა და დაგვიანებით ღებულობენ.

ასეთ მოზარდებს არ უცვართ ყურადღების ობიექტებად ყოფნა. ასეთმა მოზარდმა ხშირად იცის გააკეთილი, მაგრამ უარს ამბობს პასუხზე, იმის გამო, რომ ეშინია მარცხის. სურვილის მიუხედავად ვერ ბედავს ბოდიშის მოხდას ან მადლობის თქმას. ისინი ასოციალურ ქცევებს ახორციელებენ იმის გამო, რომ უარს ვერ უბნებდნენ მათ ინიციატივიან თანატოლებს.

ასეთი მოზარდები გამოირჩევიან ინტელექტით, მდიდარი ფანტაზიით, აქვთ თეორიული აზროვნება, მაგრამ გადაწყვეტილების მიღებაში და საყოფაცხოვრებო საკმეების კეთებაში უშწონი არიან

ემანსიპაციის რეაქციები მათში ვლინდება სუსტად. თავიანთი გაუბედაობის გამო ისინი ებებენ გამოსავალს უფროსებთან ახლო ურთიერთობის დამყარების მცდელობით. შეიძლება ითქვას, რომ ასეთი მოზარდები პათოლოგიურად არიან მიჯაჭვულნი შობლებზე და, საერთოდ, უფროსებზე.

სექსის საკითხებში ასეთი მოზარდები გაუბედავნი და მორცხენი არიან. მათთვის მთელი მოვლენა გოგონას დაპტივება ნაყინზე ან საცეკვაოდ მიწვევა. ამის გამო ადრე დაწყებული სექსობრივი ლტოლვა მათთან ხშირად განიცდის ტრანსფორმაციას ხშირი ონანიზმისა და სექსუალური დევიაციების ფორმით. იმის გამო, რომ ხშირად ცხოვრების აზრს ვერ ხედავენ, ასეთი მოზარდები ავლენენ სუიციდურ მიდრეკილებებს. მათ მიაჩნიათ, რომ გაუბედაობას, შიშს, შფოთვის და მორცხვობას ანაზღაურებს ალკოჰოლის მიღება.

5) სენსიტიური ტიპი. ეს ტიპი უშთაერესად, ყალიბდება უფროს მოზარდებთან და ადრეულ ჭაბუკებთან. ამ ტიპის მოზარდების ხასიათის ძირითადი ნიშანია უკიდურესი მგრძობიარობა და აშკარად გამოხატული საკუთარი არასრულყოფილების განცდა. შშიშარები და მორცხვები, ამავე დროს თემოფობიურ არიან. მათ უზნიშვნელო რამე ახარებთ და მცირე რამეზე ავლენენ წყენას. ისინი წამოხტებიან მცირე ხმაურზე, ვერ იტანენ ტკივილს, ეშინიათ სიბნელის, სისხლის, გაურბიან შწავე განცდებს, ხმაურიან კომპანიებს, საჯარო გამოსვლებს.

მათ ადრე უვითარდებათ მოვალეობის და პასუხისმგებლობის გრძობა. ასეთ მოზარდებს ტყუილის თქმა და საქმისაგან თავის არიდება არ შეუძლიათ, ასრულებენ მორალის მოთხოვნებს. ასეთი მოზარდების თვითშეფასება, საერთოდ, დაბალია. ისინი საკუთარ თავს სხვაზე უარესად თვლიან, მაგრამ ვერ იტანენ და დიდხანს ახსოვთ დაცინვა. მათ, პკონიათ, რომ ისინი სხვებზე ულაბაზო, უნიჭო და სუსტები არიან.

ასეთი მოზარდების ემანსიპაციის რეაქციებიც სუსტია. ისინი კონფორმულები და კარგი შემსრულებლები არიან. ამავე დროს ადვილად ექცევიან სხვების გავლენის ქვეშ. შიზოიდებისაგან განსხვავებით მათ იზიდავთ თანატოლთა კომპანიები. აქვთ კარგად განვითარებული ინტუიცია და ემპათიის გრძობა.

მათი სექსუალური დევიაციები დაკავშირებულია საკუთარი არასრულფასოვნების განცდასთან. მათ ეჭვი ეპარებათ საკუთარ სექსუალურ პოტენციაში, ხშირად მიმართავენ ონანიზმს, მათთვის დამახასიათებელია, აგრეთვე დეპრესიები და სუიციდური აზრები.

6) ასთენიკური ტიპისათვის დამახასიათებელია მომატებული აწეული გაღიზიანებადობა, სწრაფი გამოფიტვა და იპოპონდრიები. გამოყოფენ ორ ფორმას: ა) ჰიპერსთენიური ფორმისათვის დამახასიათებელია აწეული გაღიზიანებადობა, შეუკავებლობა, აფექტური რეაქციები. აფექტური აფეთქებები ხანმოკლეა, მაგრამ ხშირად მეორდება. აფექტები არ გამოირჩევიან დიდი ძალით. ასეთი მოზარდები ავლენენ მოუსვენრობას, არ შეუძლიათ ერთ ადგილზე წყნარად ჯდობა, ყოველთვის

სადღაც ეჩქარებათ, არასოდეს არ ყოფნით დრო. ისინი ჩქარა იღლებიან და დაწყებულ საქმეს ხშირად ატოვებენ. მათ ეზნელებათ ყურადღების კონცენტრაცია, უმნიშვნელო რამეზედაც კი ბრაზდებიან.

ასეთი მოზარდებისათვის დამახასიათებელია სწრაფი და ადვილი სქესობრივი ავზნება, ბიჭებისათვის ხანმოკლე ერექცია და სწრაფი ვიაკულაცია. ბ) ჰიპოსთენიური ტიპისათვის კი დამახასიათებელია ძლიერი ფსიქიკური გამოფიტვა, სწრაფად აღმოცენებული დაღლილობის განცდა, ფიზიკური და სულიერი სიმძხვეისა და სისხლისის უუნარობა.; ასეთი მოზარდების ინტერესთა წრე ძალზე ვიწროა და შემოფარგლულია საკუთარი ავადმყოფური განცდების ანალიზით. ისინი არიან პასიურები და ერიდებიან თანატოლებთან ურთიერთობებს. მათთვის წყნის მიყნება ძალიან ადვილია, ტირიან უმნიშვნელო მიზეზის გამო. ჰიპოსთენიკები ადრე იღლებიან, მათი შრომისუნარიანობა და მუშობისუნარიანობა ძალიან დაბალია, რაც ხელს უწყობს საკუთარ თავში დაურწმუნებლობის გაცნდის ჩამოყალიბებას. ასეთ მოზარდებს სქესობრივი ლტოლვა სუსტი აქვთ.

ხასიათის ასთენიკური ტიპის მოზარდებისათვის დამახასიათებელია იპოპონდრიები. მათ ეზინიათ სხვადასხვა დაავადებების და მუდამ იმის ცდაში არიან, რომ ჩაიტარონ გამოკვლევები, დაიწყონ დროული მკურნალობა. რომელიმე შინაგანი ორგანოს უმნიშვნელო დისკომფორტი განიცდება როგორც უმძიმესი სენი., ამას ისინი მეტად შვეკვედ განიცდიან და ამის ნიადაგზე არც თუ იშვიათია ნეკროზებიც. გამუდმებული ფიქრები საკუთარი ავადმყოფობის შესახებ ხშირად ხდება დომინირებული და მთლიანად განსაზღვრავს მოზარდის ქცევას.

ასეთ მოზარდებს ემანსიპაციის, დაჯგუფების რეაქციები და სექსუალური აქტივობა სუსტად აქვთ გამოხატული.

7) ისტერიოდული ტიპი ძირითადად გვხვდება გოგონებთან, რომლის მთავარი ნიშანია გერეშემომყოფთა ყურადღების ცენტრში ყოფნის მოთხოვნილება, დემონსტრატულობა, პოზირობა, მიდრეკილება იმისაკენ, რომ იწვევდეს სხვების გაკვირებასა და აღტაცებას. ამ მიზნის მისაღწევად ასეთი მოზარდი იყენებს ყოველგვარ საშუალებასა და ხერხს (ექსტრავაგანტური ჩაცმულობა, ზემოდური ვარცხნილობა, ესტრადისადმი და სპორტის უწყველო სახეობებისადმი სიყვარული). ასეთი მოზარდების პრეტენზიები თითქმის ყოველთვის აჭარბებენ რეალურ შესაძლებლობებს. ისინი მუდამ იმის მცდელობაში არიან, რომ ადამიანებს თავის მოაჩვენონ იმაზე უკეთესად, ვიდრე რეალურად არიან., ასეთი მოზარდები ყურადღების მისაქცევად, ხანდახან, განგებ ქმნიან სკანდალურ სიტუაციებს. ისინი მწვავედ განიცდიან იმას, რომ გარეშემომყოფები ვერ აშჩენენ მათ „გამორჩეულ თვისებებს“ ან მათი თანდასწრებით სხვებს აქებენ. ასეთი მოზარდების ქცევა ყოველთვის მაყურებელზეა გათვლილი.

გარეშემომყოფებთან კონფლიქტის დროს ასეთი მოზარდები ხშირად ტირიან, ჭკითინებენ, იატაკზე ეკეზიან, კრუნჩხვებადღეც კი მიდიან, მაგრამ უმეტესწილად, მათი ასეთი რეაქციები თეატრალურ ფორმას ღებულობს.

ისტერიოდული ტიპის მოზარდები სხვების ყურადღების მისაპყრობად მიმართავენ მოჩვენებით სუიციდსაც.

მათ ადვილად შეუძლიათ სწავლა, აქვთ ადვილი და სწრაფი ათვისების უნარი, მაგრამ მათი ცოდნა არაა ღრმა, ზედაპირულია. ისტერიოიდის პიროვნებისათვის ნიშანდობლივია დისპარმონიული ინფანტილიზმი.

თანატოლთა დაჯგუფებებში ასეთი მოზარდები ცდილობენ ლიდერის პოზიციის დაკავებას, მაგრამ არ გააჩნიათ შეუპოვრობა და საკმარისი ენერჯია, რის გამოც განზრახვაზე ადვილად იღებენ ხელს.

თეატრალური ელემენტი ვლინდება მათ სექსუალურ ქცევებშიც. უფროსი მოზარდები და ჭაბუკები ტრამაზობენ თავიანთი სქესობრივი „გამარჯვებებით“ და „მიღწევებით“. ასეთი გოგონები ცდილობენ თანატოლებს თავი მოაჩვენონ გამოცდილებად და ყოვლისმცოდნეებად. ისინი ხშირად ტრამაზობენ ხოლმე ცნობილ მსაობებთან, სპორტსმენებთან და მუსიკალურ ჯგუფების წევრებთან ახლო „ნაცნობობითა“ და მათი „სიმპათიებით“.

8) არამდგრადი ტიპისათვის უმეტესწილად დამახასიათებელია ფსიქიკური მოუწიფებლობა, რომელიც ვლინდება ზედაპირულ, მარტივ მსჯელობებში, ნაჩქარე დასკვნებსა და, საერთოდ, დაუფიქრებელ საქციელებში.;

ხასიათის ამ ტიპისათვის, ძირითადად, ნიშანდობლივია სუსტი ნებისყოფა, მაღალი შთაგონებადობა და პასიური მორჩილება. ასეთი მოზარდები არიან გაუგონრები, მოუსვენრები და ძლიერ უჭირთ ქცევის ელემენტარული წესების შესრულება. მათი ქცევები შინაგანი მრწამსითა და მოტივებით კი არაა განპირობებული, არამედ – გარეგანი, შემთხვევით გარემოებებით. მათ არ აქვთ მდგრადი ინტერესები, უჭირთ ხმაურიან კომპანიებში ყოფნა, უყვართ შექება, ვერ იტანენ წყენას, არ არიან რიგიდულები. მათ უჭირთ წინააღმდეგობების გადალახვა, გულგრილნი არიან საკუთარი მომავლისადმი, ცხოვრობენ „დღევანდლი დღით“. ნებისმიერი შრომა, რომელიც მოითხოვს ძალისხმევას, მათ ადრე ბეზრდებათ. ისინი ადვილად ითვისებენ ასოციალური ქცევის ჯგუფების კანონებს, ხშირად აცდენენ გაკვეთილებს, დაეხეტებიან ქუჩებში და არღვევენ სამართლის ნორმებს.

ასეთ მოზარდებს ემანსიპაციის რეაქციები ადრე უვითარდებათ, მაგრამ დიდ ძალით არ გამოიჩინევენ. მათ უჭირთ მარტოობა, ძლიერად აქვთ გამოხატული დაჯგუფების რეაქციები. უყვართ თანატოლთა ჯგუფებში გაერთიანება, მაგრამ არაფორმალურ გაერთიანებებში ასეთი მოზარდები თავიანთი უნებისყოფობის გამო ყოველთვის მეორეხარისხმოდან როლებს ასრულებენ და უმეტესწილად, გვევლინებიან სხვისი სურვილების შემსრულებლად. ისინი ვერასოდეს ვერ ხდებიან ლიდერები.

სუიციდური მცდელობები და ქცევები ასეთი მოზარდებისათვის არატიპურია, მაგრამ მაინცაა შესაძლებელი. იჩენენ მიდრეკილებას ალკოჰოლიზმისადმი და ნარკოტიკებისადმი მათთვის უფრო სასიამოვნოა ალკოჰოლის მიღების რიტუალი და არა იმდენად თრობა.

9) ემოციურ-ლაბილური ტიპისათვის დამახასიათებელია უმნიშვნელო მიზეზის გამო გუნება-განწყობილებების ხშირი ცვლა. გუნება-განწყობილება დღის განმავლობაში, ხშირად, რამდენჯერამე იცვლება და მერყეობს ორ უკიდურესობას შორის – „ზალისიანიდან სასოწარკვეთამდე“.

ენერგიული, მზიარული მოზარდი უცებ შეიძლება გახდეს დაღვრებილი, მოწყენილი, დათრგუნული და გულგატეხილი. გუნება-განწყობილებების სწრაფი ცვლა არ აისახება განცდებისა და გრძნობების სიღრმეზე. ასეთ მოზარდებს შეუძლიათ თანდათან და გულითადი სიყვარული, სხვისი ჭირის გაზიარება. ასეთი ხასიათის მოზარდები ისწრაფვიან თანატოლთა დაჯგუფებებში გაერთიანებისაკენ, მაგრამ განწყობილებების ხშირი ცვლის გამო ჯგუფის წევრებთან მტკიცე და გამძლე კონტაქტებს ვერ ამყარებენ. მათთან სუიციდური აზრები ვლინდება მოულოდნელად და ასევე სწრაფად რეაქციაზე, თუცა სუიციდური მცდელობები ატარებენ დემონსტრაციულ, მოჩვენებით ხასიათს. ასეთი მოზარდების ქცევის პროგნოზირება ძალიან ძნელია.

10) პიპერტიმული ტიპისათვის დამახასიათებელია გუნება-განწყობილების მუდმივად აწეული ტონი. ასეთი მოზარდები მუდმივი ოპტიმიზმითა და ხალისით გამოირჩევიან. მათი მიმიკა და გამოსახულებითი მოძრაობები სწრაფია, უყვართ ხმაურიანი კომპანიები, ეჯავრებათ რეჟიმი და დისციპლინა. ისინი ვერ იტანენ ერთფეროვნებასა და მონოტონურობას. არ უყვართ ჭკუის სწავლება, კრიტიკა, აკრძალვები და შეზღუდვები, ავლილად იფიწყებენ წყენას.

ასეთ მოზარდებს აქვთ ზერელე ინტერესები, აკლიათ მიზნისწრაფულობა, უყვართ ტყუილები და ტრაბახი. ემანსიპაციის რეაქციები ეწყებათ ადრე. თანატოლთა დაჯგუფებებში ისწრაფვიან ლიდერობისაკენ და ხშირად, აღწევენ კიდევ მიზანს.

აგრესია და სისასტიკე ასეთი მოზარდებისათვის არაა ტიპური. როგორც აღვნიშნეთ, ერთმანეთისაგან უნდა განეასხვავოთ ხასიათის აქცენტუაცია და ფსიქოპათია. ფსიქოპათია არაა ნორმა. ხასიათის აქცენტუაციისათვის, ფსიქოპათიისაგან განსხვავებით, დამახასიათებელია და ტიპიურია მისი პათოლოგიური ნიშნების შერჩევითობა და არამყარობა, აგრეთვე ნაკლებად გამოხატულობა, რომელიც ხანგრძლივი დროით არ არღვევს მოზარდის სოციალური ადაპტაციის პროცესს.

პიროვნების რეაქციები აქცენტუაციის დროს ფსიქოპათიურ რეაქციებთან შედარებით უფრო მჭიდროდაა დაკავშირებული გარეგან ფსიქოტრავმულ ფაქტორებთან და ამ დროს შეიძლება ჩვეულებრივად განხორციელდეს სიტუაციური თვითკონტროლი. აქცენტურებულმა მოზარდმა და ჭაბუკმა, რომელიც სახლში უხეშაა, იცის, რომ ამის გაკეთება არ შეიძლება. იგი ალკოჰოლის მიღების შემდეგ ერიდება სახლში ნასვამი მივიდეს. ფისქოპათმა კი, როგორც წესი, ასეთი საზღვრები არ იცის.

მოზარდთა და ჭაბუკთა დევიაციური ქცევის ფორმება: დელიკვენტური ქცევები, სახლიდან გაქცევა და მანქანწალობა, ადრეული ალკოჰოლიზმი და ნარკომანია, სექსუალური დევიაციები, სუიციდური ქცევები, აგრესია და დეპრესიები.

დელიკვენტური ქცევა. დელიკვენტური ქცევა არის მოზარდის ფსიქოპათურლოგიური ქცევის სინდრომი, რომელიც გამოიხატება სამართლის ნორმების დარღვევებში. ესაა მსუბუქი ტიპის სამართლდარღვევითი ქცევები, რომლებიც კრიმინალურისაგან განსხვავდება იმით, რომ არადასჯადია. ე.ი. ესაა

დევიაციური ქცევა, რომელიც სცილდება სამართლის სოციალურულ ნორმებისა და მოლოდინების ჩარჩოებს და რომელიც როგორც ვთქვით, არ ითვალისწინებს დასჯას;

ასეთი ქცევა ყველაზე მეტად ვლინდება ფსიქოპათიისა და სხვადასხვა სახისათო პიროვნული აქცენტუაციების დროს. ასეთი ქცევები, ჩვეულებრივ, იწყება გაკეთალების გაცდენითა და ასოციალურ დაჯგუფებებში გაერთიანებით. შემდეგ მოდის წერილმანი ხულიგნობა, უმცროსებისა და სუსტების აბუჩად აგდება და დაჩავერა, მათთვის ჯიბის ფულის წართმევა, გასეირნების მიზნით ველოსიპედის ან მოტოციკლის გატაცება. უფრო იშვიათი მოვლენაა სახლიდან ნივთებისა და ფულის მოპარვა, წერილმანი თაღლითობა, საზოგადოების თავშეყრის ადგილებში გამომწვევი ქცევა. ყოველივე ეს არაა სერიოზული დანაშაული და არასრულწლოვანის ასეთ ქცევებზე სასჯელი არაა გათვალისწინებული.

დელიკენტური ქცევა, უმეტესად, დამახასიათებელია ხასიათის არამდგრადი ტიპებისათვის, აგრეთვე პიპერტიმული და ისტერიული აქცენტუაციებისათვის. ასეთი ქცევის მოტივებიც განსხვავებულია და დამოკიდებულია ხასიათის აქცენტუაციის ტიპზეც. მაგალითად, არამდგრადი ტიპისათვის წერილმანი ქურდობა არის გართობის საშუალების მოპოვების ზერზი, პიპერტიმისათვის – საკუთარი გაბედულებისა და ლიდერობის განმტკიცების ჩვენების საშუალება, შიზოიდისათვის კი – კოლექციის შეკვების წყარო, ხოლო ეპილეფტიკისათვის – რისკისაგან განცდილი საიმოვნება.

მოზარდული დელიკენტური ქცევის ძირითადი მიზეზია არასწორი აღზრდა, უზღამხედველობა ან პირიქით, ზედმეტი მზრუნველობა, როცა მოზარდს ოჯახში ყველაფრის უფლება ეძლევა და ყველა კაპრიზს უსრულებენ. დელიკენტური ქცევა ყოველთვის არაა დაკავშირებული მოზარდის ხასიათის ანომალიებთან, მაგრამ თანამედროვე მოზარდების სამარსაღღამრღვევ ქცევებში ხშირად შეინიშნება აქცენტუაციის ტიპოლოგიური ნიშნები.

სახლიდან გაქცევა და მწანწალობა. დევიაციის ეს ფორმა ძირითადად დელიკენტური მოზარდებისათვისაა დამახასიათებელი, თუმცა სახლიდან სხვებზე გარბიან. სახლიდან პირველი გაქცევები უკავშირდება რაიმე უარყოფითი საქციელის ჩადენის გამო მოსალოდნელი დასჯის შიშს, ხოლო ხშირი გამეორების შემთხვევაში თავისებურ „პირობით რეფლექსურ სტერეოტიპად“ იქცევა. პ. შტუტმა გამოყო სახლიდან გაქცევის ოთხი მიზეზი: 1) სახლიდან გაქცევის მიზეზია არასაკმარისი ზედამხედველობა და მისი მიზანია გართობა და საიმოვნების მიღება; 2) გაქცევის მიზეზია პროტესტის რეაქციები შშობლების მიერ მათდამი გაზრდად მოთხოვნებზე ან მათ მიმართ არასაკმარისი ყურადღების გამოჩენის გამო. გ) გაქცევის მიზეზია დასჯის შიში და გ) „სპეციფიკური მოზარდული გაქცევები“, რომლის მიზეზია ფანტაზიორობა და ოცნებები.

ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ დევიაციის ეს ფორმა, სახლიდან გაქცევა, ჩვენს ქვეყანაში არ წარმოადგენს სოციალურ პრობლემას. მას აქვს მხოლოდ ეპიზოდური ხასიათი და მისი მიზეზია, უმეტესწილად, ცუდი ეკონომიური პირობები. ვივლით, რომ ქართული ტრადიციული იმბილი ოჯახური ურთიერთობები,

სადაც შეილება მზრუნველობის მოვალეობა ძალიან ძლიერია, ქართველ მოზარდებს არ უბიძგებს დრომომანიისკენ.

როგორც მკვლევარები მიუთითებენ, ამერიკის შეერთებულ შტატებში ე.წ. „სპეციფიკური მოზარდული გაქცევები“ ებიძგურს ხასიათს ღებულობს. მასობრივი გაქცევები აღინიშნება შეძლებული და მშვიდი ოჯახებიდანაც. ამერიკული სტატისტიკის მისხდვით ყოველწლიურად 10 დან 17 წლამდე 700 000 მოზარდი გარბის სახლიდან. მათგან თითქმის 60% გოგონებია. ამერიკის ფსიქოლოგიურმა საზოგადოებამ ცალკე ფორმად გამოყო „სახლიდან გაქცევის რეაქცია“, რომელიც არის ფსიქიკური აშლილობის განსაკუთრებული სახე. ასეთი მოზარდებისათვის ნიშანდობლივია ემოციური პრობლემები, დაბალი თვითშეფასება, მოუსვენარი, იმპულსური ქცევები. თუმცა ზოგიერთი მკვლევარის მიხედვით ასეთ მოზარდებს პოზიტიური თვითშეფასებაც აღენიშნებათ და ისინი უმეტესწილად სახლიდან გარბიან პროტესტის ნიშნად და გაქცევის მიზეზად მშობლების სისასტიკეს ასახელებენ. ასეთი მოზარდების სახლიდან წასვლას აპირებენ კომპლექსური გარემოებები: კონფლიქტები ოჯახში და სწავლის სიძნელები სკოლაში. აგრეთვე პიროვნებათა შორის ურთიერთობის დეფექტებიც. ასეთი მოზარდები გამოირჩევიან გამძაფრებული თავმოყვარეობით და ვერ ეგუებიან დამცირებას. ისინი ძალზე იმპულსურები არიან.

ბარტი გამოყოფს სახლიდან გაქცეულ მოზარდთა სამ ტიპს: ა) მოზარდები, რომლებიც სახლიდან გარბიან ოჯახში გამეფებული დამპყლულობის გამო, რაც გამოწვეულია განსხვავებული გარემოებებით (ფინანსური კრიზისი, გაყრა, მამინაცვლის ან დედინაცვლის შეზღუდვა); ბ) მოზარდები, რომლებიც სახლიდან გარბიან მშობლების მიერ აკრძალვებისა და ზედმეტ მკაცრი კონტროლის გამო; გ) მოზარდები, რომლებიც სახლიდან გარბიან ფიზიკური ან სექსუალური ძალადობის გამო.

გაქცეული მოზარდების ცალკე ტიპად გამოყოფენ აგრეთვე ე.წ. შანტაჟისტებს, რომლებსაც ოჯახის წევრებთან აღენიშნებათ კონფლიქტები. მათი სახლიდან გაქცევის მოტივია ოჯახის წევრების მიერ მათი პირობების მიღება და შესრულება.

უკანასკნელ წლებში ჩამოყალიბდა სახლიდან გაქცევის თავისებური ფორმა, რომელსაც უწოდებენ ე.წ. „სტრეტის ხალხს“ (Street people), რომელსაც მიეკუთვნებიან ის მოზარდები, რომლებიც ფორმალურად სახლიდან არ გარბიან, მაგრამ სახლში თითქმის არასდროს არ არიან (მოდიან ძალიან გვიან, დასაძინებლად). ეს მოზარდები თვლიან, რომ მათი ცხოვრების ასეთი ნირი მიმზიდველი და საინტერესოა. ასეთი მოზარდებისათვის დამახასიათებელია სექსუალური თავისუფლება, ნარკომანია, პრობლემები პოლიციასთან და ა.შ.

ა. ნურაემ გამოყოფს მოზარდთა სახლიდან გაქცევის ოთხი ტიპი.

1) ემანსიპაციური გაქცევა. გაქცევის ეს ტიპი მოზარდებთან ყველაზე ხშირია. მისი ძირითადი მიზეზია მშობლებისა და აღმზრდელების მზრუნველობისაგან და კონტროლისაგან თავის დღწევა. ესაა „თავისუფალი“ „ხალისიანი“ და „შსუბუქი“ ცხოვრების მოპოვების საშუალება. გაქცევის ეს ტიპი, ძირითადად, დამახასიათებელია 12-15 წლის მოზარდებისათვის. ასეთი ტიპის გაქცევები, ხშირად, ხდება ერთ ან

ორ მოზარდთან ერთად. ემანსიპაციური გაქცევები უმეტესწილად დამახასიათებელია აქტენტურიზებული ხასიათის და ფსიქოპათიის კიპერტიმული და არამდგრადი ტიპებისათვის.

2) იმპუნიტური გაქცევა, რომლის ძირითადი მიზანია მშობლების ან აღმზრდელის მხრიდან მკაცრი მოპყრობა, ფიზიკური დასჯა და ა.შ. ასეთი ტიპის გაქცევები, ჩვეულებრივ, მარტო ზდება. მათთვის დელიკვენტური ქცევები არაა დამახასიათებელი. ისინი „პურის ფულს“ საკუთარი შრომით შოულობენ (აგროვებენ ბოსტნებს და აბარებენ, ყიდიან მინდორში დაკრეფილ ყვავილებს, ეწყობიან დამხმარე მუშებად და ა.შ.), არ ქურდობენ და არ მათხოვრობენ. ასეთ მოზარდებს აღენიშნებათ სუიციდული აზრები, ისინი სამწუხაროდ, სახლიდან გარბიან ოჯახში წარმოქმნილი ნებისმიერი ძნელი სიტუაციის დროს. უფროს მოზარდებსა და ჭაბუკებში შეინიშნება იმპუნიტური გაქცევის სხვა ფორმებიც (როცა მოზარდი და ჭაბუკი საცხოვრებლად გადადის საერთო საცხოვრებელში და სხვა.)

3) დემონსტრაციული გაქცევა. ესაა მოზარდების სახლიდან გაქცევა ოპოზიციის საფუძველზე. ამ დროს მოზარდები, როგორც წესი, შორს არ მიდიან. ისინი მიდიან ისეთ ადგილებში სადაც მათ ადვილად აღმოაჩენენ და სახლში დაბრუნებენ. ასეთი ტიპის გაქცევის მოტივია იმის მცდელობა, რომ მიიპყრონ მშობლებისა და აღმზრდელის ყურადღება, დაიბრუნონ მათდამი გაცივებული გრძნობები ოჯახში. თუმცა, ხანდახან, ასეთი მოზარდები ითხოვენ არა მარტო ყურადღებას, არამედ სხვა შედეგთებსა და სურვილების შესრულებას. (მაგნიტოფონის ყიდვა, ამხანაგის არჩევანში ჩაურევლობა და სხვა)

4) დრომომანიური გაქცევა. დრომომანია არის სახლიდან გაქცევის, ადგილის შეცვლის, მოგზაურობის და მანქანალობის პერიოდულად აღმოცენებული ძლიერი სურვილი. დრომომანია დევიაციის პათოლოგიური ფორმაა. ეს ფორმა მოზარდებში ყველაზე ნაკლებადაა გავრცელებული. ამ ფორმას წინ უსწრებს მოულოდნელად და ყოველგვარი მიზეზის გარეშე შეცვლილი გუნება-განწყობილება. მოზარდს უნნდებათ გარემოების შეცვლის და „შორეულ ადგილებში წასვლის“ არამოტივირებული სწრაფვა. ასეთი მოზარდები სახლიდან, უმეტესწილად, მარტონი გარბიან. გაქცევის პროცესში მათ მოულოდნელადვე უნნდებათ სახლში დაბრუნების სურვილი და ბრუნდებიან კიდევ მშვირები, დაღლილები, განაწამებნი. ისინი ვერ ხსნიან გაქცევის მიზეზს და რცხვენიათ ჩადენილი საქციელის.

თვლიან, რომ ასეთი ტიპის გაქცევის მიზეზი შეიძლება იყოს პიპერსექუალობა ან საღო-მაზოხისტური მისწრაფებები ასეთი მოზარდები აღნიშნავენ, რომ გაქცევის პროცესში მათ მკვეთრად უქვეითდებათ მაღა, აწუხებთ უძილობა და ძალიან დაძაბულები არიან.

გაქცევის ამ ფორმისათვის დამახასიათებელია დელიკვენტური ქცევები (საკების, ტანსაცმლის, ფეხსაცმლის ქურდობა, მათხოვრობა). მათ ახასიათებთ ყოველგვარი რეგლამენტაციის მიმართ მკვეთრი ოპოზიციური რეაქციები. ასეთ მოზარდებს შეშვენიებითი ფსიქიკური პროცესები დაქვეითებული აქვთ.

დრომომანიური გაქცევები ძირითადად დამახასიათებელია ორგანული და კონსტიტუციონალური ფსიქოპათიის ეპილეფტიოიდური ტიპის ბიჭებისათვის.

ადრეული ალკოჰოლიზმი და *ნარკომანია*. ადრეულ ალკოჰოლიზმად ითვლება ალკოჰოლის დამატობელი დოზით მიღება თექვსმეტ წლამდე და მისი რეგულარული მიღება 17-18 წლის ასაკში. მოზარდების ალკოჰოლთან პირველი გაცნობა ხდება თანატოლთა წრეში უფროსებისაგან მალულად. მოტივი შეიძლება იყოს ცნობისმოყვარეობა, უფროსობის, დიდობის ჩვენება, მიბაძვა „მზიარული განწყობილების“ განცდის სურვილი და ა.შ. ალკოჰოლის მცირე დოზებით მიღება იწვევს ფსიქოლოგიურ ეფექტს, რომელიც გამოიხატება შინაგანი აკრძალვების, კონტროლისა და თავშეკავების შესუსტებაში და კეთილდღეობის გრძნობის გაძლიერებაში. ბევრი მოზარდი სვამს იმისათვის, რომ თავიდან აიცილოს დამაბულობა და გაიადვილოს ადამიანური ურთიერთობები. ალკოჰოლის დიდი დოზები კი იწვევს რეალობის დამახინჯებულ აღქმას, არღვევს მოძრაობათა კოორდინაციას. მისი რეგულარული და სისტემატური მიღება აზიანებს ღვიძლს, თირკმელებს და თავის ტვინს.

ისევე, როგორც სიგარეტი, მოზარდებისათვის ალკოჰოლის მიღება არის მოწიფულობის სიმბოლო.

კომფორმული მოზარდები ადვილად ექცევიან სხვისი გავლენის ქვეშ და ადვილადვე იწყებენ ალკოჰოლთან ნაცნობობას. ადრეული ალკოჰოლიზაცია, ძირითადად, დამახასიათებელია ჰიპერტიმული და არამდგრადი ხასიათის ტიპებისათვის. ჩამოყალიბებული ალკოჰოლიზმისათვის ჩვეულებრივი ამბავია დეპრესიები, იდენტურობის დექვიეთებული გრძნობა და ცხოვრებისეული მიზნების სიღარბე.

მოზარდების ალკოჰოლიზმი მეტად მწკვევე პრობლემაა დღეს მთელი მსოფლიოს მასშტაბით. მოზარდები სვამენ არა მარტო იმისთვის, რომ განუეითარდეთ ეოფორიის გრძნობა – და „ფსიქოკური კომფორტი“, რამდენადაც ცნობისმოყვარეობის გამო. ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს იმასაც, როგორც აღენიშნეთ, რომ მოზარდების მიერ სიგარეტის მოწვევა და ალკოჰოლის მიღება აღიქმება როგორც დიდობის, მოწიფულობის გამოვლენად. ესაა დიდობის მოთხოვნილების დამახინჯებული ფორმით დამყარებული. სამზნუნზაროდ, უკანასკნელ წლებში შეინიშნება მოზარდი გოგონების ნადრევი ალკოჰოლიზაცია. ასევე აღსანიშნავია, აგრეთვე, ისიც, რომ სიგარეტის მწვეულ გოგონათა ასაკი ძალიან გაახალგაზრდავდა.

გარდამავალ ასაკში ნარკოტიკების გასინჯვის ძირითადი მოტივია ცნობისმოყვარეობა, იმის გაგების სურვილი, თუ როგორია იგი. მკვლევარები თვლიან, რომ ეს ძალიან ძლიერი მოტივაციაა ამ ასაკში. მოზარდს ხშირად ესმის ნარკოტიკის მიღების ეფექტის შესახებ სხვებისაგან და უნდა ასეთი შეგრძნება გამოსცადოს საკუთარ თავზე, რის გამოც იგი ამ ექსპერიმენტზე მიდის.

ერთ-ერთი ძლიერი მოტივი არის აგრეთვე მოზარდის მცდლობა არ ჩამორჩეს სხვას, ამხანაგებსა და თანატოლებს. ნარკოტიკის მიღება მარტო თითქმის არ ხდება. ეს ყოველთვის ამხანაგის ან მეგობრის მიბაძვით იწყება. „ველა ამას

აკეთებს“, თავს იმართლებს მოზარდი. მოზარდობის ასაკში ეს მოტივი მეტად ძლიერია. მათ სურთ ისეთი საქმე გააკეთონ, რომელიც ბავშვებს ეკრძალებათ და ამით თავიანთი მოწიფულობა დაამტკიცონ.

ერთ-ერთი მოტივია აგრეთვე შინაგანი დამახულობის, სტრესის, მოწყენილობის, სედიის მოხსნისა და თავდაჯერებულობის მოპოვების სურვილი.

დადგენილია, რომ ბორცვი მოზარდები უფრო მეტად არიან ნარკოტიკებისადმი განწყობილნი, ვიდრე მათი თამამი თანატოლები. ნარკოტიკის მიღება ითვლება ბორცვობის კომპენსაციის მექანიზმად, შემდგომში, სამწუხაროდ, ხდება მიჩვევა და მოზარდს აღარ შეუძლია ნარკოტიკების გარეშე გაძლება. ნარკომანი მოზარდები თავის თავში დაურწმუნებლები, პასიურები, უინტერესონი და სხვებზე დამოკიდებულები არიან. მათთვის ცხოვრება წყენის, შფოთვის და განგამის წყაროა. ისინი ცდილობენ გვერდი აუარონ პრობლემებს, სულ სხვისი მოიმედნი არიან, არ შეუძლიათ დამოუკიდებელი მოქმედება და გამოსავალს ნარკოტიკების მიღებაში ხედავენ, რაც, სამწუხაროდ, პირველ ხანებში იწვევს ეიფორიას და მოზარდს ეჩვენება, რომ ამ გზით პრობლემების გადაჭრა უფრო ადვილია.

ზოგიერთი მოზარდისათვის ნარკოტიკის პირველი მიღების მოტივია უფრო ღრმა თვითშემეცნების და სხვისი შეცნობის მიღწევის სურვილი ან შემოქმედებით ნიჭის უფრო სრული განვითარების საშუალება, რაც საბედისწერო შეცდომაა.

ნარკოტიკების მიღება დამლუპველ გავლენას ახდენს მოზარდის ფიზიკურ და ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე.

თავისთავად ნარკოტიკის ზმარება აუცილებლად არ იწვევს ნაკრომანიას. არსებობს ნარკომანიის სხვადასხვა დონეები, სტადიები:

- 1) ნარკოტიკების ერთხელობრივი ან იშვიათი მოხმარება;
- 2) ნარკოტიკების მრავალჯერადი მოხმარება მასზე ფსიქიკური ან ფიზიოლოგიური დაქვემდებარების გარეშე;
- 3) პირველი სტადიის ნარკომანია – როცა უკვე ფორმირებულია ფსიქიკური დაქვემდებარება, ნარკოტიკის ძიება სასიამოვნო შეგრძნებების მისაღებად, ამ დროს უკრ კიდევ არაა ჩამოყალიბებული ფიზიკური დაქვემდებარება და ნარკოტიკის მიღების შეწყვეტა არ იწვევს აბსტინენციის მწვავე განცდებს.
- 4) მეორე სტადიის ნარკომანია – როცა უკვე ჩამოყალიბებულია ნარკოტიკებზე ფიზიკური დაქვემდებარება, დამოკიდებულება და მისი ძიება უკვე მიმართულია არა იმდენად იმაზე, რომ გამოიწვიოს ეიფორია, რამდენადაც იმაზე, რომ თავიდან აიცილოს აბსტინენციის შეტევები;
- 5) მესამე სტადიის ნარკომანია – როცა დამდგარია სრული ფიზიკური და ფსიქიკური დევრადაცია.

ნარკომანიის პირველი და მეორე სტადია შექცევადია. მისი მკურნალობა შესაძლებელია.

პ. ნობლის მონაცემებით მეორე სტადიის მოზარდების მხოლოდ 20% ხდება ნამდვილი ნარკომანი.

გამოკითხვის შედეგად დადგინდა, რომ ჩვენ ქვეყანაში, „14-17 წლის ბიჭების 67.6 % და გოგონების 49.4% სიგარეტს ეწევა დღეში 10-დან 30 ლერამდე.

სიგარეტს ეწევა ბიჭების 30% და გოგონების 13.7%. ასევე გაირკვა, რომ ამ ასაკში ბიჭების 7.3 და გოგონების 0.8% ნარკოტიკულ ნივთიერებებს იყენებენ. ალკოჰოლით თავს იქცევენ ბიჭების 90.9% და გოგონების 65.4%., თინიუჯერებს შორის განსაკუთრებული პოპულარობით არაყი სარგებლობს“ (გაზეთი „ლია“ №9 18-19 იანვარი, 2001 წ.)

ძირითადი ნარკოლოგიური ცნებები და ნარკოტიკულ ნივთიერებათა კლასიფიკაცია. (მასალა მოცემულია კრებულიდან „ვისწავლოთ ნარკოტიკების გარემოცვაში ცხოვრება?“ კლინიკა „ბემონი“ თბ.გვ.18-68 1997 წ.)

1) წამლთდამოკიდებულება – მდგომარეობა, რომელიც ვითარდება ორგანიზმსა და ფსიქოპატიურ საშუალებას შორის ურთიერთქმედების შედეგად. ახასიათებს პრეპარატის პერიოდულად ან მუდმივ მიღების მოთხოვნილება ფსიქიკაზე მისი ეფექტის მიღების ან ორგანიზმში პრეპარატის არარსებობით გამოწვეული დისკომფორტის თავიდან აცილების მიზნით. ინდივიდს, რომელსაც განუვითარდა წამლთდამოკიდებულება, უწინდება სურვილი და მოთხოვნილება განაგრძოს პრეპარატის მიღება. თავის შეკავების შემთხვევაში კი მას უვითარდება ავადმყოფური მდგომარეობა;

2) ფსიქიკური დამოკიდებულება. ესაა მდგომარეობა, რომლის დროსაც ნარკოტიკი იწვევს კმაყოფილების განცდას და რომელიც მოითხოვს ნარკოტიკის პერიოდულ ან მუდმივ ხმარებას სიამოვნების მიღების ან უსიამოვნო ფსიქიკური შეგრძნებების თავიდან აცილების მიზნით.

ესაა ფსიქოპატიური საშუალებების განმეორებითი მიღების ძლიერი ემოციური საჭიროება, მოთხოვნილება, აკვიატებული სწრაფვა ნარკოტიკისაკენ.

3) ფიზიკური დამოკიდებულება. ვლინდება ძლიერი ფიზიკური აშლილობით შეჩვეული ნარკოტიკის ხმარების შეწყვეტის შემდეგ. ფიზიკური დამოკიდებულება ფსიქიკური დამოკიდებულების გაძლიერების ძლიერი ფაქტორია. ფიზიკური დისკომფორტი აიძულებს ადამიანს განაგრძოს ნარკოტიკის ხმარება .

4) ტოლერანტობა. ეს არის ორგანიზმის შეგუების მდგომარეობა, რომელიც ვითარდება ნარკოტიკის რეგულარული ხმარების გარკვეულ ეტაპზე. ეს ხდება მაშინ, როცა ორგანიზმი კარგავს მგრძობილობას რომელიმე პრეპარატის მიმართ, რის შედეგადაც მრავალჯერადი ხმარების დროს პრეპარატის განსაზღვრული დოზის მიმართ სუსტდება ორგანიზმის რეაქცია და უწინდელი ეფექტის მისაღებად აუცილებელი ხდება დოზის მომატება.

5) ნარკოტიკული თრობა – ნარკოტიკული საშუალებების მიღების შედეგად განვითარებული მდგომარეობა. აღნიშნული მდგომარეობა შედგება ფსიქიკური და სხეულებრივი სიმპტომებისაგან, რომლებიც განსხვავდებიან ერთმანეთისაგან ინტოქსიკაციის დასაწყისში, ჰიკზე და ინტოქსიკაციის დასარულს.

6) ეიფორია – არის ფსიქიკის მდგომარეობა ნარკოტიკული თრობის დროს (აწეული გუნება-განწყობილება, უდარდელი კმაყოფილებით, პასიური სიხარულითა და უშფოთველი განცხრობით). ეიფორიის ხასიათი დამოკიდებულია ნარკოტიკის ხმარების ხანგრძლივობაზე. ცნობილია, რომ „სტაქანი“ ნარკომანები ვერ

ღებულობენ იმ ეთფორიას, რომელიც მათ ჰქონდათ ნარკოტიკის მიღების საწყის ეტაპზე.

7) ნარკომანი არის ადამიანი, რომლის მდგომარეობა შეესაბამება შემდეგ კრიტერიუმებს: ა) ბუნებრივი ან სინთეზური ფსიქოაქტიური ნივთიერების ხშირი განმეორებითი მიღების შედეგად ინდივიდი იმყოფება პერიოდული ან ქრონიკული ინტოქსიკაციის მდგომარეობაში, რითაც ზიანს აყენებს საკუთარ თავის და გარემოცვას;

ბ) მზარდი ტოლერანტობის გამო იგი იძულებულია გაზარდოს ხმარებული ნივთიერებების დოზა;

გ) გააჩნია დაუბლველი ლტოლვა ნარკოტიკებისადმი;

დ) მას არ შეუძლია თავი შეიკავოს ამ ნივთიერებების მიღებისაგან, რადგანაც ფიქიკურად და ფიზიკურად ინდივიდი იმდენადაა დამოკიდებული მოცემულ ნივთიერებაზე, რომ მისი მიღების უცარი შეწყვეტა მასში იწვევს ფიზიკურად მძიმე, ხოლო ფსიქიკურად გაუსაძლის მდგომარეობას.

8) შერეული ტიპის ნარკომანია (პოლინარკომანია) – ესა ნარკომანი, რომელიც ხმარობს ორ ან მეტ ნარკოტიკურ საშუალებას ერთდროულად ან მონაცვლეობით. სპეციალისტები მიუთითებენ, რომ „საქართველოში უმეტესად გვხვდება შერეული ტიპის ნარკომანია. ძირითადად გამოიყენება თვითნაკეთი ნარკოტიკული საშუალებები. დამზადების კუსტარულობა განაპირობებს საბოლოო პროდუქტში ქიმიური შემადგენლობის მრავალფეროვნებას და მასში მკვლე მინარევების სიჭარბეს. ამას გარდა, არალეგალური ბაზრის თავისებურებებიდან გამომდინარე, მუდმივად ხდება სპონტანური გადასვლა ერთი სახის ნარკოტიკიდან მეორეზე“ (დასახელებული კრებული. გვ. 23).

ნარკოტიკული საშუალებები იყოფა ოთხ ჯგუფად: 1) ცენტრალური ნერვული სისტემის დეპრესანტები, 2) ტყვილდამაყრებელი ნარკოტიკები, 3) ცენტრალური ნერვული სისტემის სტიმულანტები და 4) ჰალუცინოგენები (ნარკოტიკები, რომლებიც ცვლიან აღქმის ფუნქციას).

ცენტრალური ნერვული სისტემის დეპრესანტები ახდენენ დამამშვიდებელ ზემოქმედებას, იწვევენ დაწყნარებას და მოღუნებას, თრგუნავენ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან ფუნქციებს. ამ ჯგუფში შედის ალკოჰოლი, სხვადასხვა საძილე (ძილის მომგვრელი) და სუდატიური (საშუალებები, რომლებიც იწვევს დამშვიდებას ან ემოციური დაძაბულობის შემცირებას ძილის მომგვრელი ეფექტის გარეშე) საშუალებები. აქ შეზღუდვის აგრეთვე ტრანკვილიზატორები (დამამშვიდებელი საშუალებები, რომელიც არსებითად, არ ცვლის ცნობიერებას) და აქროლადი ნივთიერებები ინჰალანტები (გამხსნელები, აირები).

ალკოჰოლის ყოველდღიური ხმარება იწვევს მთელ რიგ ცვლილებებს. დადგენილია ეთილის სპირტის ის რაოდენობა, რომელიც ღვიძლის ციროზის ჩამოყალიბებას ზრდის. მამაკაცების მიერ ყოველდღიურად 80 გ და ქალების მიერ 48 გ სუფთა ეთანოლის მიღებას თან სდევს ღვიძლის გამოხატული პათოლოგია. ნახევარი ლიტრი არაფი შეიცავს 160 გ-მდე სუფრთა ეთანოლს. ადამიანის ორგანიზმს არ შეუძლია დღე-ღამეში 170 გ-ზე მეტი ეთანოლის მეტაბოლიზება. ტოლერანტობის განვითარების შემთხვევაში ალკოჰოლის

შეტაბოლიზმი ჩქარდება. ეთანოლის სისტემატური მოხმარებლების უმრავლესობა დაავადებულია გასტრიტით.

ალკოჰოლით დაავადებული ქალები ორსულდებიან იშვიათად. ორსულობის ადრეულ ვადებში მოსალოდნელია ნაყოფის დაზიანება. ნაყოფის ალკოჰოლური სინდრომი ვლინდება მიკროცეფალიით, ასალომბადლის გინებრივი ჩამორჩენილობით, აგზნებადობით, მოძრაობის არასწორი კოორდინაციით და განვითარების სხვა ლეფექტებით.

ალკოჰოლიზაციის ფონზე განვითარებული პიროვნული ცვლილებები იწვევს ალკოჰოლურ დეგრადაციას, რომლის დროსაც ქვეითდება აზროვნება, მეხსიერება, ინტელექტი და ფსიქოფიზიკური აქტივობა.

ინპალანტების (გამხსნელები და აირები) სისტემატური მოხმარების დაწყებიდან 3-ნთვის შემდეგ ყალიბდება ასტინენციური სინდრომი – ადამიანი გაღიზიანებულია, გაბოროტებულია, აქვს მძიმე თავის ტკივილები, ოფლიანობა და ტრემორი. გუგები გაფართოებულია. შეინიშნება ცალკეული კუნთოვანი ჯგუფების კრუნჩხვითი შეკრთობები, მოტორული მოუსვენრობა, ტაქიკარდია, არტერიული წნევის მომატება, კუნთების ტკივილი.

სისტემატური მოხმარების დროს ირღვევა ქცევის თვითკონტროლი: მოზარდები გარბიან სახლიდან, აცდენენ გაყვითლებს, თრობის გარეშე გუნება-განწყობილების ფონი აპათურია. პერიოდულად კი – აგრესიული.

ინპალანტების მაღალი ტოქსიკურობა განაპირობებს რიგი სომატური დაავადებების განვითარებას: სასუნთქი გზების და საყლაპავის, ტოქსიკური ქეპატიტის და ა.შ.

ბირბიტურანტების (საძილე საშუალებების) ავადგამოყენებისას ადამიანებს უვითარდებათ მყარი ფსიქოპათოლოგიური მოშლილობანი. ესაა გუნება-განწყობილების ცვლილებები დისფორიის, დეპრესიის სახით (ხშირია სუიციდური ქცევები), მეხსიერების მკვეთრი დაქვეითება, ეგოიზმი. ხანგრძლივი ბარბიტურული ტიპის დამოკიდებულება იწვევს ორგანულ დემენციას (ჭკუასუსტობა) და სრული სოციალურ-შრომით დეზადამტაციას.

ტრანკვილიზატორების თერაპიული დოზებით გამოყენება მნიშვნელოვნად ამცირებს ემოციურ დაძაბულობას, გაღიზიანებადობას, მოუსვენრობას, შიშებს, შფოთვის. მაგრამ მისი დიდი დოზებით და სისტემატური გამოყენება იწვევს დაუძლეველი ლტოლვის ხასიათს და ყალიბდება ასტინენციური სინდრომი – შფოთვა, მოუსვენრობა, ოფლიანობა, უნებლიე მოძრაობები, ტრემორი, გულსრცვა, თავბრუდახვევა, ყურებში შილი, ტაქიკარდია. მას მოაყვება შრომის უნარის შეზღუდვა, პიროვნების სოციალური დეკომპენსაცია. დამოკიდებულების განვითარების შემდგომ სტადიაზე ხშირია სუიციდური აზრები და მცდელობები. ასეთი ავადმყოფისათვის დამახასიათებელი ხანდაზმული ადამიანის გარეგნობა და ფერმკრთალობა.

ტკივილგამაყუჩებელი ნარკოტიკების ჯგუფის პრეპარატებს მიეკუთვნება მორფინი და მისი მსგავსი ალკალიიდები (ოპიატები), ოპიუმის მსგავსი სინთეზური ნაერთები (ოპიოიდები). ამ პრეპარატებს ანალგეტიკებსაც უწოდებენ. ანალგეტიკები.

ანაღგეზიური საშუალებები - ტკივილის გრძობის შემცირების ან მოხსნის უნარის მქონე სამკურნალო საშუალებებია. ესენია: მორფინი, კოდეინი, ქეროინი, პროპოფოლი, ფენტანილი, მეტალონი, ბუპრენორფინი.

ნარკოტიკების ეიფორიული ეფექტის მიღება შეიძლება მორფინის თერაპიული დოზითაც. ოპიატების მოქმედებას ახასიათებს შემდგომი თანმიმდევრობა: პრეპარატის ინტრავენური შეყვანიდან რამდენიმე წამის შემდეგ სხეულში შეიგრძობა სითბოს ტალღა, იწყება ქავილი სახის მიდამოში, ვითარდება პირის სიმშრალე, გუგები ვიწროვდება, სახე წითლდება, ნელდება ფსიქო-ფიზიკური აქტივობა, ცნობიერება ვიწროვდება. ეს მდგომარეობა, რომელიც დაახლოებით ხუთი წუთის განმავლობაში გრძელდება, არის ნარკოტიკის მოქმედების პირველი ფაზა („პრიზოლი“). ნარკოტიკული თრობის მეორე ფაზა („კაიფი“) არის სხეულში სასიამოვნო სითბოს და ზოგადი სიმშვიდის შეგრძნების მდგომარეობა, ასეთ მდგომარეობაში პიროვნება მოდუნებულია. არ გააჩნია რაიმე სურვილი ან მისწრაფება, ჩნდება სიზმრისმაგვარი ფანტაზიები, ყურადღების ველში გარეგანი გამღიზიანებლები პრაქტიკულად არ ხვდება. თრობის შემდგომ ფაზაში შეინიშნება ზედაპირული ძლიერი, ხშირი გამოლიქებულობით. გემოსვლისას შეიძლება იყოს ცუდი თვითშეგრძნება: თავის ტკივილი, შფოთვა, მოუსვენრობა, გულისრევა, ღებინება, თავბრუსხვევა, ტრემორი.

ნარკოტიკის შემდგომ რეგულარული მიღების ფონზე ტოლერანტობა აღწევს მაქსიმუმს. ნარკომანი ვერ ძლებს ნარკოტიკის გარეშე. უწყინდელი მდგომარეობის მისაღწევად ავადმყოფი განაგრძობს დოზის გაზრდას, რომელიც რაღაც მომენტამდე შეეღობა; მაგრამ შემდგომში ვერანაირი დოზა „პრიზოლს“ არ იწყვეს.

აბსტინენციური სინდრომი („ლომკა“) იწყება უკანასკნელი ინექციიდან 8-10 საათის გავლის შემდეგ დაძაბულობის დაუკმაყოფილებლობის გრძობით, გუგების გაფართოებით, მიჭარბებით, ცრემლდენით, ცემინებით. ქრება ჭამის მადი, ავადმყოფი ვერ იძინებს, აღინიშნება შემცივნებისა და წამოზურების შეგრძნება, ოფლიანობა, სახსრების, კუნთებისა და მუცლის ტკივილი, ფაღარათი. ავადმყოფი ადვილს ვერ პოულობს, ბორკავს დაძაბულია გუნება-განწყობილება დეპრესიული, ბოლომდე.

დამოკიდებულების განვითარების მოგვიანებით სტადიაზე ტოლერანტობა ქვეითდება. ნარკოტიკის გარეშე ნარკომანი სრულიად კარგავს მოქმედების უნარს. იგი უნებისყოფო და უნიციატივია.

მორფინის ტიპის ნარკომანებს დამახასიათებელი გარეგნობა აქვთ - ავადმყოფი გამოფიტულია. კანი აქვთ მიწისფერი, მშრალი, აქერცლილი, სახე შეშუპებული. არტერიული წნევა და გულის ცემის სიხშირე დაქვეითებულია, ქვეითდება აგრეთვე ლიბიდო. მამაკაცებს უვითარდებათ იმპოტენცია. ქალებს ერღვევათ მენსტრუაციული ციკლი, გარეგნულად გამოიყურებიან თავის ასაკზე გაცილებით ხანდაზმულად.

ცენტრალური ნერვული სისტემის სტომულანტები არის ნივთიერებანი, რომლებიც ახდენენ მასტიმულირებელ, გამაქტივებელ ზემოქმედებას. ამ ჯგუფში შედის კოკაინი, ამფეტამინები და ამფეტამინის რიგის სხვა პრეპარატები, კოფეინი კატინი და კატინი, თამბაქო, ანაბოლური სტეროიდები, ეფედრონი.

კოკაინის შესუნთქვა მომეტალურად იწყებს ეიფორიის მდგომარეობას. სუბიექტურად მცირდება დაღლილობის განცდა, ჩქარდება ასოციაციები, მეტყველების

ტემპი. ინტრავენური შეყვანა იწვევს უფრო ძლიერ და სწრაფ ეფორიას. აგზნება დაახლოებით ორ საათს გრძელდება. ზოგიერთი ავადმყოფი ამ დროის განმავლობაში ზმანებებშია, ზოგი კი ილუზიებისა და ჰალუცინაციების ტყვეობაში იმყოფება. შემდეგ დგება დათრგუნვის ფაზა გუნება-განწყობილების დაქვეითებით, ამათით, გაღიზიანებადობით, ანორექსიით, უძილობით, თავის ტკივილითა და უსიამოვნო შეგრძნებებით სხეულში;

როცა კოკაინით „ტკობის“ მდგომარეობა გაივლის, დგება ეიფორიისა და აგზნების დაქვეითების შეგრძნებები, რის შედეგადაც სუბიექტი განიცდის კოკაინის განმეორებით მიღების დაუძლეველ მოთხოვნილებას. ასეთ დროს ეიწროვდება ადამიანის ინტერესთა სფერო, ჩნდება ეჭვიანობა, ადამიანს აღწიშნება ფუტქებადობა, შურისმაგებლობა, უსუფთაობა, მკვეთრი დაკლება წონაში, პირის სიმშრალე, ხმაური ყურებში, დეპრესიები.

ამფეტამინური თრია იწვევს ეიფორიას, ფიზიკური და ფსიქიკური აქტივობის მომატებას. ადამიანი ხდება უფრო კონტაქტური, მოუსვენარი, ბერს ლაპარაკობს. მისთვის დამახასიათებელია გუგების გაფართოება, გაძლიერებული ოფლენა, ხელების ტრემორი. მიჩვევა და დამოკიდებულება ვითარდება ძალიან სწრაფად. ძირითადად განპირობებულია ემოციური მდგომარეობით. ორგანიზმში ნარკოტიკის არარსებობა იწვევს ფსიქიკურ დისკომფორტს, დაუმაყოფილებლობის გრძობას.

სისტემატური მოხმარების შემთხვევაში შეიძლება განითარდეს პარანოიდული შიზოფრენიის მსგავსი მდგომარეობა, ჰალუცინაციები.

ქსანტინები და ქსანტინის შემცველი სასმელები (კოფეინი, თეობრომინი, თეოფილი, კაკაო). ეს სასმელები (ძირითადად ყავა და ჩაი) მთელ მსოფლიოში გავრცელებულია, კოფეინის ხანგრძლივი ავადგამოყენება იწვევს შფოთვის მდგომარეობას, მოუსვენრობას ტრემორს, თავის ტკივილს. ყავას ახასიათებს უფრო ფალარათისკენ მიდრეკილება, ჩაის კი – შეკრულობისკენ.

ყავის ავადგამოყენებლად შეიძლება ჩაითვალოს პირი, რომელიც დღე-ღამეში 300 მგ-მდე კოფეინს მოიხმარს. ეს ნატურალური ნალექიანი ყავის ოთხი ან ხსნადი ყავის ხუთი ჭიქა.

კოფეინის სასმელები გავრცელებულია ყველგან, მაგრამ ნარკომანული მიზნით იშვიათად მოიხმარება ეიფორიის გამოწვევის ნაკლები უნარის გამო. ჩაის მოქმედება კი ამ თვალსაზრისით კიდევ უფრო სუსტია, ვიდრე ყავის და მისი ავადგამოყენება (ჩეფირიზმი), როგორც წესი, გვხვდება როგორც ძირითადი ნარკომანიის დამატებითი ფორმა.

ეფედრონი დამუშავებული ეფედრინია, იხმარება ინტრავენური ინექციების სახით, იგი ძლიერმოქმედი პრეპარატია, ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე მძლავრი მასტიმულირებელი ეფექტებით. მოქმედებს სუნთქვის ცენტრზე, სისხმარლებსა და ბრონქების გლუვ კუნთებზე.

ეფედრონის პირველი მიღების დროს ჩნდება იმის განცდა, რომ „თმები ყალყზე უდგებათ“. ზოგჯერ აღინიშნება „ჭინჭველების ცოცვის“ შეგრძნებაც. მოგვიანებით თავში და სხეულში უსიამოვნო შეგრძნებები ქრება და წინა პლანზე გამოდის უშფოთველი სიამოვნების გრძობა. პიროვნება ხდება

მრავალსიტყვიანი, აქტიური, ეკარგება დროის შეგროვება, უმცირდება დაღლილობის განცდა.

მწვავე ნარკოტიკული თრობა გრძელდება 6-8 საათი, რომლის შემდეგაც ვითარდება მტანჯველი, „გამოსვლის“ მდგომარეობა, - სისუსტე, მოღუნება, გაღიზიანებლობა, დაუკმაყოფილებლობის გრძობა, ბოლმანობა. ეს პერიოდი საკმაოდ ხანგრძლივია (8-15 საათი).

პალუცინოგენები (ნარკოტიკები, რომლებიც, ცვლიან ალქმის ფუნქციას) არის ისეთი ნივთიერებები, რომლებიც ცენტრალურ ნევრულ სისტემაზე ზემოქმედების გზით იწვევენ გუნება-განწყობილების ცვლილებებსა და ალქმის პალუცინაციებს. პალუცინაცია არის დამახინჯებული ალქმა, რომელიც აღმოცენდება რეალური ობიექტის გარეშე (ხილვები, მოჩვენებები, ბგერები, სუნი და ა.შ.). მათ მიეკუთვნება კანაბისი (პაშიში, მარიხუნა), ლიზერგინის მუეას დიეთილამიდი და სხვა სინთეზური პალუცინოგენები (ფენციკლაინი, პალუცინოგენური სოკოები, ფსილოცინი და ფსილოციბინი), პალუცინოგენური ამფეტამინები, მესკალანი და ციკლოდოლი. ამ ჯგუფის ნივთიერებები იწვევს ისეთ ცვლილებებს, რომლებიც მოგვაგონებს ფსიქოზურ მდგომარეობებს: რეალობის ალქმის დაკარგვა, პალუცინაციები.

სხვადასხვა ქვეყანაში ამ ნარკოტიკებს სხვადასხვა სახელით აღნიშნავენ ანაშა, პაშიში, მარიხუნა, ბანგი, განჯა, ჩარასი, კოფი და ა.შ. ფარგონული აღნიშვნები: „ოლანი“, „კანაპლია“, „ტრაჟაკა“. ტერმინი კანაბისი გამოიყენება როგორც ყველა ამ ცნების გამართიანებელი განსაზღვრება.

კანაბისის პრეპარატების მოწვევის ან სხვა გზით მიღების შედეგად წითლდება სკლერები, ფართოვდება სისხლძარღვები, ქვეითდება არტერიული წნევა, ჩქარდება გულის ცემა და სუნქთვა. მოწვევის შემდეგ იწყება ხელება, ითრგუნება ღვიძლის ფერმენტის აქტივობა, პრეპარატის მოქმედება იწყება ლორწოვანი გარსის გაშრობით, ძლიერი წყურვილისა და შიმშილის შეგრძნებით, ვითარდება ეიფორია, არამოტივირებული სიცილი, ირღვევა საგნების ზომების და მათ შორის მანძილის ალქმა, ნელდება დროის მსვლელობა (ან ქრება), ირღვევა ყურადღების კონცენტრაცია და მეხსიერება (წინადადების დასაწყისი მის დამთავრებამდე ავიწყდებათ).

ალქმის დარღვევა კი წარმოშობს პალუცინაციებს, ზოლო პრეპარატის ზედოზირების შემთხვევაში შესაძლებელია მწვავე ფსიქოზის განვითარება, რომელიც გრძელდება რამდენიმე საათიდან რამდენიმე დღემდე (ცნობიერების დაბინდვა, ორიენტაციის დარღვევა, შიში, შფოთვა, პალუცინაციები).

კანაბისის პრეპარატების რეგულარულად მიღების შედეგად ვითარდება მიდრეკილება ბოღეთი აზროვნებისაკენ. კანაბისის ხმარება ამაფრებს ემოციებს, ქრონიკული ინტოქსიკაცია იწვევს პიროვნების შეცვლას, ქვეითდება ინტელექტი და ღარიბდება ინტერპერსონალური ურთიერთობები, შეინიშნება საკუთარი თავში ჩაკეტვა, გარემომცველი სამყოსადმი სრული გულგრილობა.

ციკლოდოლი (არტანი, რომპარკინი, პარკინანი) სინთეზური ქოლინოლიზური პრეპარატია, რომელიც თერაპიული დოზებით გამოიყენება მედიცინაში პარკინსონიზმის და ნეიროლუფსიური სინდრომის სამკურნალოდ. 5-6 აბის

ერთდროულად მიღების შემთხვევაში ვითარდება თავისებური ეიფორია, ემოციური „აწვევის“ გრძნობა. ფსიქიკური სიმსუბუქის, სხეულის უწონადობის შეგრძნება, გამოცოცხლება, არამოტივირებული მზიარულება. ამ ფონზე აღინიშნება აღქმის დარღვევა, მხედველობითი პალუცინაციები, შენარჩუნებულია ორიენტაციის უნარი, ციკლოდოლის ავად გამოყენება, განსაკუთრებით, მოზარდებში, იწვევს ფსიქოორგანული სინდრომის განვითარებას, პრეპარატის რეგულარული ხმარების დაწყებიდან ერთი წლის განმავლობაში შეიძლება ჩამოყალიბდეს ჰქუასუსტობის ნიშნები.

მოზარდების მიერ ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარების მიმანიშნებელი ზოგიერთი ნიშანი და სიმპტომი: (კლონიკა, „ბემონის“ დასახელებული წიგნი, გვ. 64-67):

ნარკოტიკული თრობის ზოგადი ნიშნები: 1) გარეგნობა და ქცევა მოგვაგონებს ალკოჰოლურ სიმთვრალეს, პირიდან ალკოჰოლის სუნის გარეშე ან სუსტი სპეციფიკური სუნით, 2) ცნობიერების შეცვლა: მოცემულ სიტუაციასთან აშკარად შეუსაბამო, უმიზეზო მზიარულება, სიცილი, ლაქლაქი, ბოღმანობა, ავრესიულობა, 3) მოტორული აქტივობის შეცვლა: გაძლიერებული ფესტიკულაცია, გადაჭარბებული მოძრაობები, მოუსვენრობა, ან პირიქით, – უმოძრაობა და მოღუნება. 4) მოძრაობის კოორდინაციის შეცვლა: მღორე ან სწრაფი, არამკვეთი და დაუსხვეწავი მოძრაობები, ტორტმანი სიარულის დროს, სხეულის რყევა მუდომარე მდგომარეობაშიც კი 5) კალიგრაფიის შეცვლა 6) კანის ფერის შეცვლა: სახისა და მთელი სხეულის კანის ფერმკრთალობა ან, პირიქით, – სახისა და სხეულის ზედა ნაწილების გაწითლება. 7) მბრწყინავი თვალები. 8) მკვეთრად შევიწროებული ან მკვეთრად გაფართოებული გუგები, რომლებიც ღუნედ რეაგირებენ შუქზე 9) ნერწყვის გამოყოფის შეცვლა: გაძლიერებული ნერწყვედენა, ან პირიქით, პირის სიმშრალე 10) ტუნების სიმშრალე, ზრინწიანი ხმა 11) მეტყველების შეცვლა: აჩქარებული, მკვეთრი გამოთქმები ან, პირიქით, მოღუნებული, გაურკვეველი და არამკვეთი მეტყველება.

სექსუალური დევიაციები. მოზარდობის ასაკი სექსუალური ლტოლვების ფორმირების ასაკია. ამ დროს ვითარდება ჰიპერსექსუალობა და სიტუაციური ფაქტორების გავლენით ადვილი შესაძლებელია სექსუალური დევიაციების აღმოცენება. ამ სახის დევიაციების გამოვლენის ალბათობა მოდის როგორც აქსელირებულ, ასევე ინფანტილურ მოზარდებში.

სექსუალური ლტოლვების აღმოცენება მოზარდის სოციალურ მოწიფებაზე ხდება. ინფანტილური მოზარდები (ძირითადად გოგონები) თავიანთი გონებრივი განუვითარებლობის გამო ხშირად უშწონი არიან და ადვილად ემორჩილებიან სხვის ნებას. მოზარდების სექსუალური დევიაციები, უმეტესწილად, სიტუაციურია და მოწიფულობაში მათი კვალი თითქმის არ რჩება.

გამოყოფენ არაპათოლოგიურ და პათოლოგიურ დევიაციებს (კ. იმელინსკი). პათოლოგიური დევიაციები ისაზღვრება სამედიცინო კრიტერიუმებით და ითვლება დაავადებად. ესაა პარაფილია, პერვერზია და გაუკუმართებული სქესობრივი ცხოვრება. არაპათოლოგიური დევიაციები (სექსუალური გადახრები) გულისხმობს

ჯანმრთელი ადამიანის სექსუალური ცხოვრების სოციალური და მორალური ნორმებიდან გადახრებს. სექსუალური ცხოვრების ნორმის კრიტერიუმებია: ა) სქესთა შორის სხვაობა, ბ) სიმწიფე, გ) ურთიერთშეთანხმება, დ) ორმხრივი სიამოვნების მიღების მცდელობა, ე) ჯანმრთელობისათვის ზიანის მოუყენებლობა. ნებისმიერი ამ პარამეტრის დარღვევა ითვლება არაპათოლოგიურ დევიაციად.

პათოლოგიური დევიაციები თავის მხრივ იყოფა სამ ჯგუფად:

ა) გადახრები ობიექტთან დამოკიდებულების თვალსაზრისით, (პედოფილია, გერონტოფილია, ზოოფილია, ფეტშიზმი, ტრანსვესტიზმი)

ბ) გადახრები რეალიზაციის ხერხების მიხედვით (სადიზმი, მაზოზიზმი, ექსგაბაციონიზმი, ეუნერიზმი);

გ) არატიპური გადახრები (პომოსექსუალიზმი, ტრანსსექსუალიზმი, ინცესტი (სისხლის აღრევა)).

გარდამავალ ასაკში ყალიბდება სქესობრივი ცნობიერება, სქესობრივ-როლური ქცევა და ფსიქოსექსუალური ორიენტაცია. სქესობრივი ცნობიერება გაივლის რამდენიმე სტადიას: ცნებითი, რომანტიული, სექსუალური და მომწიფებელი სქესობრივი ცნობიერება.

გარდამავალ ასაკში ხორციელდება სქესობრივი ცხოვრების გადასვლა რომანტიული (პლატონური) სტადიიდან სექსუალურზე; რომანტიული სტადია ზასიათდება ამბლერებული გრძნობებით, ხოლო სექსუალური სტადია, ძირითადად, ორიენტირებულია გენიტალურ სფეროზე. მოზარდებისა და ჭაბუკებისათვის დამახასიათებელია სექსის საკითხებისადმი აწეული ინტერესი, ჰიპერსექსუალობა, რაც უბიძგებს მათ მასტურბაციისაკენ და ნაადრევი სქესობრივი ცხოვრების დაწყებისაკენ.

მოზარდების არაპათოლოგიური დევიაციების სპეციფიკა ის არის, რომ ეს დევიაცია სიტუაციურადაა განპირობებული, წარმავალია და ექვემდებარება პროვილაქტიკას. გამოყოფენ სქესობრივი დევიაციის რამდენიმე ფორმას:

1) ჰიპერმასკულინური ქცევა, 2) ჰიპერფემინური ქცევა, 3) ონანიზმი, 4) პეტინგი 5) ნაადრევი სქესობრივი ცხოვრება 6) მოზარდული პრომისკუიტეტი, 7) პომოსექსუალიზმი, 8) ტრანზიტორული ფეტშიზმი, 9) მოზარდული ნარცისიზმი და ექსგაბაციონიზმი.

1) *ჰიპერმასკულინური ქცევა* არის აშკარად გამოხატული უტრირებული მამაკაცურობა, დამოუკიდებლობა, განზრახული და შეგნებული უხეშობა, ზშირი აგრესიები და ზაზგასმული სისასტიკე. ასეთ მოზარდებს ერცხვინებათ აღერსი, მოფერება, არ უყვართ სენტიმენტალობა. ისინი გაურბიან ყველაფერს, რასაც ქვია „ქალურობა“ და სინაზე. ასეთ ქცევის მთავარი ნიშანია ქალებისადმი, გოგონებისადმი გულგრილი დამოკიდებულება და საღისტური მიდრეკილებები სქესობრივი პარტნიორის მიმართ.

განსაკუთრებით შესამჩნევია ჰიპერმასკულინური ქცევები გოგონებთან. ბავშვობაში ასეთი გოგონები ამჯობინებენ ბიჭების კომპანიაში ყოფნას, მათთან ერთად თამაშობენ ომობანას და ფეხბურთს, ცოცავენ კლდეზე, ჩხუბობენ კიდევ. მოგვიანებით კი ასეთი გოგონები იწყებენ სიგარეტის მოწევას, ბილწსიტყვაობას,

იწყებენ ალკოჰოლისა და ნარკოტიკების გასინჯვას, იცვამენ ბიჭურ ტანსაცმელს. ისინი საკუთარი სქესის წარმომადგენლებთან ურთიერთობაში იჩენენ გულგრილობასა და ინდიფერენტულობას, არ იზიარებენ მათ ინტერესებსა და მისწრაფებებს. ასეთი გოგონები მოკლებულნი არიან ქალურ სინაზესა და მოშხიბლევლობას, არ შეუძლიათ კეკლუცობა, მათი სექსუალობაც ხშირად შეფერხებულია. ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ მათთან სექსობრივი ცნობიერება არაა დრღვეული, ისინი მუდამ გრძნობენ თავს ქალად. სექსობრივ პარტნიორებად ისინი, ჩვეულებრივ, ირჩევენ უფროსი ასაკის მამაკაცებს, რადგანაც მათ თანატოლებს ამ თვალსაზრისით სერიოზულად არ აღიქვამენ.

ბიპერმასკულინური ქცევის ბიჭები ცდილობენ ლიდერობას, აქვთ მიდრეკილება ასოციალური ქცევებისადმი, იჩენენ სისასტიკეს. გოგონებთან მათი სექსუალური დამოკიდებულება მოკლებულია რომანტიკას და გამპირჩევა პრაქტიციზმით. ისინი სექსობრივი პარტნიორისაგან უხეშად მოითხოვენ უსიტყვო მორჩილებას, ახასიათებთ საღიზში და მაზოხიზში. თუმცა როგორც მკვლევარები აღნიშნავენ, სექსობრივ ტრანზამდე საქმე, ჩვეულებრივ, არ მიდის, სადისტური მიდრეკილებებიც არ აღწევს უკიდურესობას და ასაკთან ერთად გაივლის .

2) *ბიპერფემინური ქცევა* ვლინდება ხაზგასმულ ქალურობაში, სიფაქიზეში, სინაზეში, დათმობებში. ასეთი ქცევის ბიჭები კარგი შემსრულებლები არიან, ისინი გამოირჩევიან სიფაქიზითა და აკურატულობით, გაურბიან კონფლიქტებს, ისინი სიტუაციებს, რომელშიც საჭიროა მამაკობისა და გაბედულების გამოვლენა, არიან შშიშრები. ბიჭებთან ხმაურიან თამაშებს ისინი არჩევენ გოგონების შვიდ საზოადლოებას. ასეთი მოზარდები თანატოლი ბიჭების წრეში ყოველთვის სხვისი გავლენის ქვეშ იმყოფებიან და ვიღაცას ემორჩილებიან. ასეთი ბიჭები მოწიფულ ასაკამდეც კი შშობლების გავლენის ქვეშ არიან (ე.წ. „დღეიკოს ბიჭები“).

ასეთი მოზარდების სექსუალური ქცევა გამოირჩევა საეციოეკური მაზოხისტური მიდრეკილებებით, რომელიც სექსობრივი პარტნიორისათვის, ჩვეულებრივ, ენების მიყენებაში კი არ გამოიხატება, არამედ პირიქით, მის მორჩილებაში და მისი ნებისმიერი სურვილის ასრულებაში. ასეთი მოზარდები მიდრეკილნი არიან გაუკუღმართებული სექსობრივი ქცევებისადმი.

3) *ონანიზმი*. ონანიზმი ანუ მასტურბაცია არის სექსობრივი ორგანოების ხელით მექანიკური სტიმულაცია. ესაა სექსუალური დაძაბულობის მოხსნა, განმუხტვა და მკვლევართა მონაცემებით მას მიმართავს გარდამავალი ასაკის მოზარდების (როგორც ბიჭები, ასევე გოგონები) დიდი უმრავლესობა. გარდამავალ ასაკში ონანიზმი არის სექსუალური დაძაბულობის მოხსნის, განმუხტვის თითქმის ერთადერთი გზა. მასტურბაციას ძირითადად იწყებენ 13-14წლის ასაკში.

მასტურბაციის დროს ჩვეულებრივი მოვლენაა ეროტიკული ფანტაზიები. მასტურბაციას არავითარი ზიანი არ მიაქვს მოზარდისათვის. იგი სექსუალური დაძაბულობის განმუხტვის სრულიად ჯანმრთელი ფორმაა. ერთადერთი საშიშროება ისაა, რომ მასტურბაცია შეიძლება გადაიქცეს სექსუალური კმაყოფილების ერთადერთ საშუალებად და მიიღოს დევიაციის ფორმა.

ონანიზმი არაა პათოლოგიური მოვლენა თუ ის არ იწყება 13-14 წლის ასაკამდე და არ აღწევს დიდ ინტენსივობას (დღეში რამდენჯერმე). უფროსი

მოზარდებისათვის და ადრეული ჭაბუკებისათვის დამახასიათებელია, აგრეთვე, ჯგუფური ონანიზმიც, როცა მასტურბაციას ეწევა რამდენიმე მოზარდი ერთდროულად ერთმანეთის თვალწინ. ზოგიერთი მკვლევარი მოზარდული ონანიზმის ამ ფორმას არ მიიჩნევს პათოლოგიად, თუმცა იგი ხშირად გვევლინება პომოსექსუალური მიდრეკილებების მიზეზად.

4) **პეტინგი.** პეტინგი არის ალერსი, როცა სხეულებრივი სახსლოვით, ეროვნური ზონების გაღიზიანებით, კოიტუსის გარეშე მიიღწევა ორგაზმი. მოზარდები პეტინგს ხშირად მიმართავენ, რადგანაც ამ დროს არ ხდება საქალწულე აქტის დაზიანება და, მათი ღრმა რწმენით, ამ დროს გოგონა გარანტირებულია ორსულობისაგან.

5) **ნაადრევი სქესობრივი ცხოვრების დაწყება.** ესაა სქესობრივი დევიაციის ერთ-ერთი სახე. ცნება „ნაადრევი სქესობრივი ცხოვრება“ გამოიყენება პათოლოგიური დევიაციის აღსანიშნავად, მაშინ, როცა ის იწყება მოზარდის შესაბამისი ფიზიკური მოწიფების დადგომამდე, რომლის ნიშანია მეორადი სასქესო ნიშნების გამოჩენა (გოგონებთან მენსტრუაციის რეგულარული ციკლის ჩამოყალიბება). დადგენილია, რომ ნაადრევი სქესობრივი ცხოვრების დაწყება უარყოფითად მოქმედს გოგონებზე როგორც ორგანული ცვლილებების გამოვლენის, ასევე პათოფსიქოლოგიური თვალსაზრისითაც. ესაა შიში არასასურველი ორსულობის შესახებ როცა მშობლის მორალური მოვალეობის შესახებ ახალგაზრდა დედა მოუზღაღებელია.

ადრეულ სქესობრივ ცხოვრებას უფრო ხშირად იწყებენ ჰიპერტიმული აქცენტუაციის მქონე მოზარდები;

6) **მოზარდული პრომისკუიტეტი.** ესაა ხშირი სქესობრივი კავშირები და პარტნიორთა ცვლა. იგი ხშირად იწყება ადრეულ ალკოჰოლიზმთან ერთად (განსაკუთრებით გოგონებში). ეს იშვიათი დევიაციაა და ძალიან დამახასიათებელია ინფანტილური და კონფორმული მოზარდებისათვის, როცა ალკოჰოლის მიღების გამო შემაკავებელი მექანიზმების მოქმედება შესუსტებულია.

7) **ტრანზიტორული ფეტიშიზმი.** ესაა სქესობრივი ლტოლვა სხეულის ცალკეული ნაწილებისადმი ან განსაზღვრული საგნებისადმი. მოზარდებთან ფეტიშის სახეს ღებულობს გოგონების ლამაზი ფეხები, შიშველი მკერდი, საცვლები და ა.შ. სხეულის ასეთი ნაწილებისა და ტუალეტის საგნების დანახვა ამბოფრებს მათ სექსუალურ ლტოლვებს და იწვევს სქესობრივ აგზნებას. როცა, ჩვეულებრივ პირობებში, ქალის სხეულის ნაწილების და საცვლების დანახვა მოზარდში სექსუალურ აგზნებას იწვევს, ეს არაა სექსუალური გადახრა. ეს გამღიზიანებელი ფეტიშად იქცევა მხოლოდ მაშინ, როცა ის პარტნიორს ცვლის. ასეთ შემთხვევაში სქესობრივ აგზნებას იწვევს არა გოგონა, რომელსაც ლამაზი ფეხები აქვს ან ლამაზი საცვლები აცვია, არამედ მხოლოდ მისი ფეხები ან ტუალეტის რომელიმე საგანი. ზანდაზან ფეტიშად გვევლინება ფოტოსურათები, ნახატები, ქანდაკებები. ამ საგნების დათვალიერებას და შეხებას თან ახლავს მოზარდის სექსუალური ფანტაზიები, მასტურბაცია და ორგაზმიც კი.

ფეტიშიზმის ერთ-ერთი სახეა ტრანსვერტიზმი. ეს ის მდგომარეობაა, როცა სექსუალური კმაყოფილება მიიღწევა საწინააღმდეგო სქესის ტანსაცმლის ჩაცმის

გზით. თუმცა საწინააღმდეგო სქესის ტანსაცმლის ჩაცმა, რა თქმა უნდა, ყოველთვის არაა სექსუალური დევიაცია. ასეთი ქცევა დევიაციად იქცევა მაშინ, თუ იგი სექსუალური მოტივაციით ხორციელდება. ის, რომ თანამედროვე გოგონებს შარვლების ტარება უყვართ, მხოლოდ თინეიჯერული მოღიზიანება ნაკარნახევი.

8) *მოზარდული ნარცისიზმი* არის საკუთარი თავის მოყვრებითა და აღერისით გამოწვეული კმაყოფილება, სქესობრივი ლტოლვა საკუთარი თავისადმი. სახელწოდება წარმოიშვა ლამაზი ბერძენი ჭაბუკი ნარცისისაგან, რომელსაც მითოლოგიის თანახმად, თავისი გამოსახულების წყალში დანახვისას საკუთარი თავი შეუყვარდა.

ასეთი მოზარდები გაუთავებლად ათვალისწინებენ საკუთარ თავს სარკეში, ეფერებიან თავის სხეულს, რაც სექსუალური ფანტაზიებისათვის მსუყვე საკვებს წარმოადგენს ამ ასაკში. ასეთ მოზარდებს უყვართ საკუთარი შიშველი სხეულის ჩვენება, პიკანტურ პოზებში ფოტოსურათების გადაღება, რომელსაც მერე ეფერებიან და ესიყვარულებიან.

9) *ექსიბიციონიზმი* არის საკუთარი შიშველი სხეულის, უმეტესწილად სქესობრივი ორგანოების, დემონსტრაცია წინააღმდეგო სქესის წარმომადგენლების მიმართ. მოზარდის სქესობრივი ავზებისა და კმაყოფილების კულმინაცია მიიღწევა იმ მომენტში, როცა იგი ერექტირებულ სასქესო ასოს აჩვენებს ქალებს, ბავშვებს და თანატოლ გოგონებს. მნახველთა შიში, გაკვივრება და ხმაურანი პროტესტები უფრო ამძაფრებს მის სქესობრივ ლტოლვას, რის გამოც ისინი ამას აკეთებენ მოულოდნელად, ბუჩქებში ან სახლის სადარბაზოებში ჩასაფრებით.

როგორც წესი, ექსიბიციონიზმის აქტებს არ ახლავს აგრესია. პირიქით, ასეთი მოზარდების უმრავლესობა მორცხვები და პასიურები არიან. მათ აქვთ საკუთარი არასრულფასოვნების გამძაფრებელი განცდა და სერიოზული გართულებები.

ჩვეულებრივი სქესობრივი კონტაქტების დამყარების პროცესში. სქესობრივი დევიაციის ეს სახე, ძირითადად, ბიჭებში გვხვდება. თუმცა იშვიათ შემთხვევებში, გოგონებისთვისაცაა დამახასიათებელი. უმეტესწილად იგი გამოიხატება საზოგადოებაში ფეხებისა და მკერდის დემონსტრაციულად მომეტებულ სიშიშველში.

10) *მოზარდული პომოსექსუალიზმი*. სექსუალური ორიენტაცია არის მყარი მიმართების სისტემა, რომელიც ეხება სექსუალური ლტოლვის ობიექტს. არსებობს სამი სახის სექსუალური ორიენტაცია: ა) პეტროსექსუალიზმი, როცა სექსუალური პარტნიორი საწინააღმდეგო სქესის პარტნიორია, ბ) პომოსექსუალიზმი, როცა სექსუალური პარტნიორი საკუთარი სქესის წარმომადგენელია და გ) ბისექსუალიზმი, როცა პარტნიორი ორივე სქესის წარმომადგენელია.

მოზარდული და ჭაბუკური პომოსექსუალიზმი, ძირითადად, არის სიტუაციურად განპირობებული დევიაცია, როცა ერთსქესიანი კონტიგენტის დახურულ დაწესებულებებში (კიხებში, კოლონიებში, ინტერნატებში, არმიაში) პეტროსექსუალური კავშირების დამყარების შესაძლებლობა არ არსებობს. ამ გარემოებათა გამო გამოწვეული მოზარდული პომოსექსუალიზმი დროებით ხასიათს ატარებს.

პომოსექსუალური ურთიერთობანი ძირითადად ბიჭებისთვისაა დამახასიათებელი, მაგრამ მას გოგონებშიც აქვს დაგილი (ლესბიანიზმი). გოგონებისათვის ძირითადად დამახასიათებელია პეტინგი და ალერსი.

პომოსექსუალური მიდრეკილებები, ძირითადად, დამახასიათებელია ხასიათის ეპილეფტიოიდური, შიზოიდური, ლაბილური და არამდგრადი ტიპის მოზარდებისათვის. ასეთ მოზარდებს არ აქვს სექსუალური ლტოლვა საწინააღმდეგო სქესის წარმომადგენელთა მიმართ. პირიქით, მათ გოგონების მიმართ ზიზღის გრძობაც კი აქვთ. ღამის პოლუციების დროს მათი ეროტიული სიზმრებიც პომოსექსუალური ხასიათისაა. უფროს მოზარდებში და ჭაბუკებში ასეთი პირები უკვე აქტიურად ეძებენ საკუთარი სქესის სექსუალურ პარტნიორებს.

მკვლევარები აღიარებენ, რომ პომოსექსუალიზმი არაა ავადმყოფობა. იგი სექსუალობის გამოხატვის სხვა ფორმაა. პომოსექსუალიზმის მიზეზები ჯერ კიდევ არაა საბოლოოდ დადგენილი. თვლიან, რომ მას ერთი რომელიმე მიზეზი არ განაპირობებს, და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, საქმე გვაქვს მიზეზთა კომბინაციასთან. სექსუალური ორიენტაციის ჩამოყალიბებაში დიდ როლს თამაშობს გარემო და აღზრდა. გარკვეულ როლს თამაშობს, აგრეთვე, მეგობიდრეობა და გუნების თავისებური კომბინაცია.

თუ აღვიანს მოზარდობის ასაკში პქონდა ერთი ან ორი პომოსექსუალური კავშირი, ეს არ ნიშნავს იმას, რომ იგი პომოსექსუალისტია.

პომოსექსუალისტებს დევნიდნენ, დასციინოდნენ და აბუჩად იგდებდნენ კაცობრიობის მთელი ისტორიის მანძილზე. უძველესი იუდეური კანონების მიხედვით მათ სიკვდილით სჯიდნენ. შუა საუკუნეებში კი მათ ეკლესიის განაჩენით აწამებდნენ და წვადნენ. თუმცა ზოგიერთ ქვეყანაში პომოსექსუალისტებს „გაგებით ეკიდებიან“ და მათ მიმართ არ იჩენენ სიმკაცრეს. პომოსექსუალისტები იყვნენ და იქნებიან ყველა ისტორიულ ეპოქაში.

პომოსექსუალისტი მოზარდები განიცდიან მარტობას, არიან საკუთარ თავში ჩაკეტილები, არავის არ უზიარებენ საკუთარ გრძობებს. ასეთი მოზარდების თვითშეფასება მკვეთრადაა დაქვეითებული. ისინი ხშირად ვარდებიან დეპრესიაში. ამიტომ არცაა საკვირველი, რომ სუიციდის მცდელობაში შემჩნეული თინეიჯერების 30% პომოსექსუალისტია (გ. კრაიგი).

პომოსექსუალური კონტაქტები ძალიან უწყობს ხელს შიდსის გავრცელებას.

პომოსექსუალისტებს შორის ბევრია გამოჩენილი და ცნობილი პიროვნებაც. რუბინის მონაცემებით პომოსექსუალისტები იყვნენ არისტოტელე, ალექსანდრე დიდი, ლეონარდო და ვინჩი, მიქელანჯელო, ოსკარ უაილდი, ტენესი უილიამსი, საფო, ჰერტრუდა სტაინი, მარტინა ნაერატილოვა (Г.Крайт Психология развития. Питер. 2000. стр.581)

სქესობრივი გზით შეძენილი ზოგიერთი ვენერული დაავადება

1) *პონორეა (სუსუნტატი)*. მას უწოდებენ აგრეთვე ტრიპერს, „ფრანგულ სურდოს“. იგი გადადის სქესობრივი გზით. მას შეიძლება მოყვეს უშვილობა და თუ ავადმყოფობა ღრმად განვითარდა – სიბრმავე, ათარიტი და გულ-სისხლძარღვთა დაავადებები.

მამაკაცებში პონორეა იწვევს პენისიდან გამონადენს, ტკივილსა და წვას შარდვის დროს. შარდში ჩნდება სისხლიც. ასეთი სიმპტომები შეიძლება გამოვლინდეს ერთი დღის ან ორი კვირის შემდეგ და მერე შესაძლებელია ეს სიმპტომები გაქრეს. მოზარდები და ჭაბუკები ფიქრობენ, რომ ავადმყოფობამ გაიარა, მაგრამ სინამდვილეში დაავადებამ დაასრულა განვითარების პირველი ეტაპი და მისი მიშვებულობის შემთხვევაში იგი აზიანებს სათესლეებს, პროსტატს, აღწევს სისხლში და სისხლის მეშვეობით კი – ხეულის სხვა ნაწილებში.

ქალებთან პონორეის სიმპტომების გამოვლენა უფრო რთულად მიმდინარეობს, რადგანაც ავადობა იწყება შინაგან ორგანოებში და მისი ნიშნები შეუმჩნეველია. ამ დროს ქალები შარდვისას განიცდიან წვას და თუ მკურნალობა დროზე არ დაიწყო ფალოპის მილში გროვდება ჩირქი, რომელიც მერე ხვდება კვერცხუჯრედებში და თირკმელებში.

2) ურერთორიტი. მამაკაცებთან ესაა შარდსადენი მილის, ხოლო ქალებთან – საშოს ყელის ანთება, ურერთორიტის სიმპტომები მსგავსია პონორეის სიმპტომების. ოღონდ ამ დროს აღინიშნება უფრო ხშირი და მტკივნეული შარდვა, პენისიდან და ვაგინიდან გამონადენი, სასქესო ორგანოების ქავილი.

3) ქერაქესი. დაავადების სიმპტომებია პატარა, მტკივნეული ბუბურები პირის ირგვლივ, პენისზე და საშოს ყელზე. ეს გამონაყარი შეიძლება გაგრძელდეს რამდენიმე დღეს, შემდეგ კი დიდი ხნით ჩაცხრეს. ქალებში ქერაქესი იწვევს სერიოზულ გართულებებს ორსულობის დროს და შეიძლება მუცლის მოშლის მიზეზიც კი გახდეს. არსებობს შეხედულება, რომლის მიხედვითაც არის გარკვეული კავშირი ქერაქესსა და საშოს კიბოს შორის.

4) სიფილისი (ათამნეი). ესაა ვენერული დაავადების ძალიან გადამდები, ვერაგი და სერიოზული ფორმა. სიფილისმა, მიშვებულობის შემთხვევაში, შეიძლება სიკვდილიც კი გამოიწვიოს.

სიფილისის აქვს განვითარების სამი სტადია. პირველ სტადიაზე გენიტალიებზე ჩნდება შანკრი და იარები. ისევე როგორც პონორეის დროს, მამაკაცებთან ავადობის განსაზღვრა უფრო ადვილია, ვიდრე – ქალებთან. მეორე სტადიის სიმპტომებია: იარების გამოჩენა პირის ღრუში, ყელის ტკივილი, თმის ცვენის დაწყება, ჯირკვლების შესიება. ჩნდება გრიპისათვის დამახასიათებელი ციებ-ცხელება და ტკივილი. გამონაყარი ჩნდება მთელ ტანზე ან ხელისგულებსა და ქუსლებზე. ეს სიმპტომები ქრება რამდენიმე თვის შემდეგ, მაგრამ ავადობა ისევ გრძელდება და ვითარდება. მესამე ეტაპზე, თუ შესაბამისი მკურნალობა არ ჩატარდა, შეიძლება დაზიანდეს ისეთი მნიშვნელოვანი სასიცოცხლო ორგანო, როგორცაა გული. ამ დროს აღმინებენ ბრძვებთან, ყრუვებთან, მათი მოძრაობები არაა კოორდინირებული და საბოლოო ანგარიშით დგება სიკვდილი.

რაც უფრო ადრე დაიწყება სიფილისის დიაგნოზი და დროულად დაიწყება მკურნალობა, ეფექტი უკეთესია. სიფილისი ექვემდებარება სრულ განკურნებას.

5) პარაზიტები. არსებობს რამდენიმე ტიპის პარაზიტი, ყველაზე უფრო გავრცელებულია ბოქვენის ტილები. ეს პარაზიტები ხვდებიან ბოქვენის თმებში და იწვევენ ძლიერ ქავილს. ამ პარაზიტების გადაცემა ხდება როგორც სქესობრივი გზით, ასევე დაავადებულის სისხლითა და საცვლების სარგებლობით.

გავრცელებული პარაზიტია აგრეთვე შუნის ტყიპა, რომელიც წარმოადგენს მიკროსკოპულ არსებას. იგი ბერება კანის ქვეშ და იქ დებს კვერცხებს. იგი იწვევს ძლიერ ქავილს. გადადის როგორც სქესობრივი გზით, ასევე პირდაპირი კონტაქტებითაც.

6) შიდსი. შიდსი არის შექმნილი იმუნო-დეფიციტის სინდრომი. ყველა ქვეყანაში, სამწუხაროდ, შიდსით დაავადებულთა რიცხვი იზრდება. შიდსით ავადებიან ცნობილი მეცნიერები, მომღერლები, სპორტსმენები და ა.შ. შიდსით დაავადებულები ჯერ-ჯერობით სასიკვდილოდ არიან განწირულნი. შიდსის ვირუსი აზიანებს დაცვის ბუნებრივ ფაქტორს – იმუნურ სისტემას, რის გამოც ასეთი ავადმყოფი დაუცველია ყოველგვარი ინფექციისაგან.

შიდსის ვირუსი მაღალმგრძობიარეა ტემპერატურის მიმართ. 56° ტემპერატურაზე ნახევარი საათის განმავლობაში მისი ინფექციური აქტივობა მკვეთრად ეცემა. ვირუსი აქტივობას კარგავს აგრეთვე დეზინფექტანტების ზემოქმედებით, როგორცაა წყალბადის ფანგი, აცეტონი, ეთერი. მაგრამ თავის ცხოველმყოფელობას იგი ინარჩუნებს ღონორის სისხლში. ამით აიხსნება შიდსის გადადების შემთხვევები სისხლის გადასხმის ან შპრიცის ხელმეორედ ხმარებისას. შიდსის გადადების მეორე გზა არის სქესობრივი (როგორც პეტეროსექსუალური, ასევე პოროსექსუალური). შიდსს ძირითადად იწვევს მოწესრიგებული და გაუკუღმართებული სქესობრივი ცხოვრება, პროსტიტუცია და ნარკომანია. შიდსის ვირუსი არ გადადის ხელის ჩამორთმევით, კბილის ჯაგრისით, აუზებში ან აბაზანებში ბანაობის გზით, საერთო ჭურჭლის ან უსაფრთხო საპარსის ხმარებისას. იგი არ გადააქვს კოლოებს.

დაავადების ინკუბაციური პერიოდი მერყეობს 3-4 კვირიდან 5 წლამდე. შიდსის ტიპური გამოვლენაა ხანგრძლივი სისუსტე, ციებ-ცხელება, სხეულის წონის მკვეთრი დაკარგვა, ლიმფური კვანძების ზრდა, ფაღარათი, დაღლილობის მუდმივიგრძობა, ღამის ოფლიანობა. ბევრ დაავადებულს აღენიშნება სარკომა, ავთვისებიანი წარმონაქმნები, სხვადასხვა ინფექციები. შიდსის ვირუსი ხშირად აზიანებს ცენტრალურ ნერვულ სისტემას.

ხანგრძლივი დროის განმავლობაში შიდსი შეიძლება არც გამოვლინდეს და დაეადება ვერ შევამჩნიოთ. ავადმყოფი ამ შემთხვევაში არის ვირუსმატარებელი. ეს კატეგორია მეტად საშიშია. მათ არაფერი იციან თავიათნი საშიშელი ავადმყოფობის შესახებ და სხვებს ასწებობენებენ.

დღესდღეობით შიდსთან ბრძოლის რაიმე ეფექტური საშუალება, სამწუხაროდ, არ არსებობს. არის მრავალი აღმოჩენა, მაგრამ საკმეხს რეალურად ვერ შევლიან. მეცნიერთა ვარაუდით რაიმე ეფექტური სამკურნალო საშუალების აღმოჩენა უახლოესი ხანში არაა მოსალოდნელი, ჯერ-ჯერობით შიდსით დაავადებულები იღუპებიან. შექმნილი მდგომარეობიდან გამოსავალი არის პროფილაქტიკური ღონისძიებების გატარება. შიდსთან ბრძოლა არაა მხოლოდ სამედიცინო, არამედ, იგი სოციალური და ეთიკური პრობლემაცაა. განსაკუთრებული როლი ენიჭება მოზარდი თაობის სქესობრივ აღზრდას, სქესობრივი ცხოვრების მოწესრიგებას, ცოლ-ქმრულ ერთგულებას, პროსტიტუციასთან და ნარკომანიასთან ბრძოლას და ა.შ.

ამერიკული საზოგადოება ძალიანაა შეწუხებული შიღის ფართო გავრცელებით მოზარდებსა და ჭაბუკებში. იმის გამო, რომ ახალგაზრდებს აქვთ არარეალისტური განწყობები, რომ „შიღსი მათ არ შეეყრებათ“, ისინი არ იყენებენ დამცავ საშუალებებს და მიდიან რისკზე.

შიღის ინკუბაციური პერიოდი შეიძლება გაგრძელდეს წლობით. მოზარდი და ჭაბუკი შეიძლება ინფიცირებული იყოს იმუნოდეფიციტის სინდრომით, წლობით ითვლებოდა ვირუსმატარებლად, მაგრამ შიღსით არ დაავადდეს მოწიფულობის ასაკამდე. როცა იმუნოდეფიციტის ვირუსი მოხვდება სისხლში, იგი აზიანებს სისხლის განსახდერულ უჯრედებს, რომლებსაც ეწოდება ტ-ლიმფოციტები და, რომლებიც, სტიმულირებენ ორგანიზმში იმუნურ სისტემას, ამის გამო, ადამიანის იმუნური სისტემა თანდათან სუსტდება, წინააღმდეგობას ვერ უწევს ინფექციურ დაავადებებს და ორგანიზმი ადვილად ავადდება.

შიღის დიაგნოსტიკა არაა ადვილი. ზოგიერთი ბაცილმატარებელი ადამიანი თავს კარგად გრძნობს და ავადმყოფობის არავითარ ნიშანს არ აჩვენებს. ეს საწყისი ეტაპი მეტად საშიშია, რადგანაც ადამიანმა არ იცის იმის შესახებ, რომ ის ინფიცირებულია და არ იჩენს სათანადო სიფრთხილეს. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ იმუნური სისტემის დაზიანება შეიძლება მოხდეს დაავადების სიმპტომების გამოვლენამდეც.

შიღსით დაავადებულებს სწრაფად ეზრდებათ და სტიკათ კისრის, საზარდულისა და ილიისქვეშა ლიმფური ჯირკვლები, აღენიშნება მადის უკუარი დაკარგვა, გახლამა, ზშირი, სისხლიან ფაღარათი, ღამის ოფლიანობა, ქრონიკული დალილობა, ქოშინი, ძლიერი თავის ტკივილები, მშრალი ხველება, თეთრი ქრონიკული ნაღები ენასა და ხახაზე.

ოგნიბენი გაოყოფს შიღის დაავადების ფიზიოლოგიური გამოვლენის ხუთ კატეგორიას.

1) *ინფექციური*. სხვადასხვა ინფექციური მიკროორგანიზმები იწვევენ პნემონიას, საჭმლის მომხელებელი ტრაქტის დაზიანებას, წყლულებს პირში და ანუსის მდამოხეში. ცენტრალური ნერვული სისტემის დაავადებებს, მენინგიტს, ენცეფალიტს, პერიტონიტს, თვალის, ღვიძლის, ელენთის და ღინამიკური კანძების დაზიანებას.

2) *გემატოლოგიური*. შიღის დროს მცირდება როგორც თეთრი, ასევე წითელი სისხლუჯრედები, რის შედეგადაც კლებულობს ორგანიზმის მედეგობა ინფექციური დაავადებისადმი და ვითარდება ანემია.

3) *ნეუროლოგიური*. შიღსით დაავადებულებს აწუხებთ ცენტრალური ნერვული სისტემის მრავალფეროვანი დაავადებები, რის საფუძველზეც შეიძლება განითარდეს ტკუასუსტობა, კრუნჩხვები, აფაზია და სხვა.

4) *კეებითი და კუჭ-ნაწლავის*. ავადმყოფებს აღენიშნებათ დიარიის მძიმე ფორმები, რასაც მიყვევართ წონის მკვეთარ დაკლებამდე.

5) *ნეოპლასტური*. ესაა კიბოს ისეთი იშვიათი ფორმა, როგორცაა კაპოშის სინდრომი, რის საფუძველზედაც ხდება მუცლის გარსის უჯრედების, სისხლგამატარი მარღვებისა და ლიმფური ჯირკვლების პროლიფერაცია. კანსა და ლორწოვან გარსზე ჩნდება ზორკლი.

შიდსი არ გადაეცემა საყოფაცხოვრებო კონტაქტების საშუალებით. იგი არ გადაეცემა აგრეთვე, საერთო ტელეფონის, ტუალეტის, ინსტრუმენტების, სკამის, წიგნების, ჭურჭლის და შხაბის ხმარებისას. იგი არ გადადის ხელის ჩამორთმევითა და კოცნის გზით. თუმცა უახლესი გამოკვლევების მიხედვით შიდსის გადაცემის საქმეში კოცნა მაინც რისკ-ფაქტორს წარმოადგენს, რადგანაც დაზიანებული ტუჩების საშუალებით შესაძლებელია ვირუსის შეჭრა ნერწყვის გზით.

დღესდღისობით, როგორც ვთქვით, არ არსებობს შიდსის საწინააღმდეგო რაიმე ეფექტური წამალი ან აცრა. პრეზერვატივების გამოყენება ამცირებს შიდსის დაავადებებს, მაგრამ ასპროცენტთან გარანტიას მაინც არ იძლევა.

ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ ვენერული დაავადებებისაგან არ არსებობს იმუნიტეტი.

სუიციდური ქცევები. სუიციდი არის ცხოვრებისაგან შეგნებული წასლა, შეგნებული თვითმკვლელობა. სუიციდი, უმეტესწილად, მიმდინარეობს დეპრესიების ფონზე. მოზარდები და ჭაბუკები თავს უფრო იშვიათად იკლავენ, ვიდრე უფროსები. სტატისტიკური მონაცემებით ბოლო ოცი წლის განმავლობაში მოზარდებისა და ჭაბუკების სუიციდის რიცხვი შესამჩნევად მაშინ შემცირდა, მაშინ, როცა უფროსების თვითმკვლელობის რიცხვი ძველ დონეზე დგას. (კ. პიუტენი). ა. ლიჩკოს მონაცემებით სუიციდური მცდელობების 32% მოდის 17 წელზე, 31% - 16-ზე, 21% - 15-ზე, 12% - 14-ზე და 4% - 12-13 ზე. ბოლო წლებში 15-19 წლის მოზარდებსა და ჭაბუკებს შორის სუიციდის რიცხვი ლეტალური (სასიკვდილო შედეგით) გაიზარდა ორჯერ - 13 წლის ასაკამდე ბავშვები იშვიათ შემთხვევაში იკლავენ თავს, ამას ხსნიან იმ გარემოებით, რომ მათ ჯერ არ დაუმთავრებიათ შინაგანი იდენტიფიკაციის პროცესი, რის გამოც მათ საკუთარი თავის მიმართ მტრული და აგრესიული მოქმედება მიაჩნიათ მეტად მტკივნეულად და საშიშად. ისინი ჯერ კიდევ მეტად მტკიცედ არიან მიჯაჭვულნი მშობლებზე და მათზე არიან დამოკიდებულნი.

ა. ლიჩკო გამოყოფს სუიციდის სამ ფორმას: ა) დემონსტრაციული, ბ) აფექტური და გ) რეალური, ნამდვილი.

დემონსტრაციული სუიციდური ქცევა არის სუიციდური ქცევის თეატრალური, მოჩვენებითი გათამაშება თავის მოკვლის ყოველგვარი განზრახვის გარეშე ყოველზე ეს კეთდება იმ განზრახვითა და გაანგარიშებით, რომ ვიღაცა მას „გადააჩინოს“. ესაა მოჩვენებითი სუიციდი, რომლის ძირითადი მოტივია ყურადღების მიპყრობა, თანავრობის გამოწვევა, დასჯის თავიდან აცილება, მისი მოტივი შეიძლება იყოს აგრეთვე ზიანის მიყენება იმ პირისათვის, ვინც მას წყენა მიაყენა, ესაა სამაგიეროს გადახდის თავისებური ფორმა.

აფექტური სუიციდური ქცევა არის ღრმა აფექტის მდგომარეობაში ჩაღწეული თვითმკვლელობა. ამ მომენტში შეიძლება მოზარდს გაუკრთეს აზრი საკუთარი სიცოცხლის შეწყვეტის შესახებ და სისრულეში მოიყვანოს მიღებული გადაწყვეტილება.

რეალური სუიციდური ქცევა არის მოფიქრებული, სუიციდური გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანის აქტი, სუიციდის წინ აღმანები ხშირად წერენ წერილებს.

მოზარდმა შეიძლება ისე განიცადოს შშობლის ან ოჯახის რომელიმე წევრის, მოულოდნელი დაკარგვა, რომ მსილოს სუიციდური გადაწყვეტილება.

სუიციდის მიზეზი მრავალა. მიზეზი შეიძლება იყოს მოზარდის სკოლაში დეზადაპტაცია, ამხანაგებთან კონტაქტების დაკარგვა, მომავალზე ხელის ჩაქნევა, უპასუხო სიყვარული, თავმოყვარების შეღავაზვა, სირცხვილი იმპოტენციის გამჟღავნების ან ნაადრევი ორსულობის გამო და ა.შ. სუიციდის მიზეზები შეიძლება ასე დავალაგოთ:

1) მოუწესრიგებელი და დამბული ოჯახური ურთიერთობები;

2) სოციალური იზოლაცია. სტრესები და დეპრესიები ახლობლის დაკარგვის გამო. მუდმივი სკედა, ნაღველი და დეპრესია, რომელსაც მოყვება ცხოვრების საზრისის და არსებობის მოტივაციის დაკარგვა.

3) ნარკოტიკებისა და ალკოჰოლის მიღების საფუძველზე წარმოქმნილი ეიფორიისა და თრობის მდგომარეობაში იმპულსური გადაწყვეტილება;

4) პიროვნების არასაკმარისი განვითარება, პიროვნების შინაგანი იდენტიფიკაციის დაბალი დონე;

5 შთაგონებადობის მაღალი, აწეული დონე, როცა მოზარდები ადვილად ექცევიან სხვისი მავნე ზეგავლენის ქვეშ;

6) სულიერი დაავადებები (პალუცინაციების დროს, როცა ვიდაცის ხმა იძლევა იმპერატორულ სუიციდურ ბრძანებებს;

7) დანაშაულის გამჟღავნების შიში ან სირცხვილის გრძნობა, როცა მოზარდების სუიციდური ქცევა არის ამ დანაშაულის გამოსწორებას ან კომპენსაციის მცდელობა;

8) გართულებული და გაძნელებული პიროვნებათაშორისი ურთიერთობანი

9) სამაგიეროს გადახდა. ორსულმა მოზარდმა შეიძლება თავი მოიკლას იმის გამოც, რომ მის პარტნიორს აგრძნობინოს დანაშაული.

სუიციდის მცდელობა არის მოზარდის ძახილი დახმარების შესახებ. მათ ამით უნდათ გამოიწვიონ თანაგრძნობა, თანადგომა ან იმოქმედონ ადამიანებზე რაიმე მიზნის მისაღწევად.

მოზარდობის ასაკში შესაძლებელია სუიციდის წინაპირობების და წინარე მდგომარეობის მიმანიშნებელი საგანგაშო ნიშნების გამოცნობა და უბედურების თავიდან აცილება. მოზარდთა დიდი ნაწილი ამის შესახებ სხვადასხვა ფორმით წინასწარ აკეთებს რალაც მინიშნებებს. თუმცა აღწერილია შემთხვევებიც, როცა ხდება სუიციდური განზრახვის მაქსიმალური მიმოკრია, დაყოფა და შენიღბვა. მოზარდი შეიძლება ლაპარაკობდეს მისი სამომავლო გეგმების შესახებ, ნათელ ფერებშიც ზატავდეს მისი შემდგომი საქმიანობის პერსპექტივებს, მაგრამ ამ დროს მისი აზრები თვითმკვლელობისაგან იყოს მიმართული.

ჭაბუკი ბიჭები თვითმკვლელობას ორჯერ უფრო ხშირად ჩადიან, ვიდრე – თანატოლი გოგონები. არშემდგარი სუიციდური ქცევა, უბეტესწილად, არ მუორდება, თუმცა გ. ოტტოს მონაცემებით არშემდგარი სუიციდური ქცევის ბიჭების 10% და გოგონების 3% მაინც იკლავს თავს პირველი მცდელობიდან 1-2 წელიწადში.

სუსტი ფსიქიკის მქონე მოზარდებსა და ჭაბუკებში ნებისმიერი ცხოვრებისეული მარცხი და წარუმატებლობა იწვევს უნებურ აზრებს სიკვდილის შესახებ. სიკვდილისაკენ სწრაფვა – თნატოსი სხვა არაფერია, თუ არა ცხოვრებისეული სიძნელებისა და პრობემების გადაჭრა თვითმკვლელობის გზით.

6. კილის მონაცემებით, რომელმაც შეისწავლა 200 ჭაბუკის ავტობიოგრაფია და დღიური, მათ შესამდგმელ მეტი მეტად თუ ნაკლებად სერიოზულად მსჯელობენ სუიციდის შესაძლებლობაზე, ხოლო ზოგიერთს ამის მცდელობაც კი ჰქონდა. ი. კონის მიხედვით ასეთ ადამიანთა შორისაა ისეთი ცნობილი პიროვნებებიც, როგორცაა ი. გოეთე, რომენ როლანი, ნაპოლეონი, ჯ. სტიუარტ მილი, ენტონი ტროლოპი, ბეატრისა უები, თომას მანი, განდი, ი. ტურგენევი, მ. გორკი და მრავალი სხვა. ხოლო თავიანთი სიცოცხლე თვითმკვლელობით დაამთავრეს ე. ჰემინგუემ, ე. მაიკოვსკიმ, ს. ესენინმა, მ. ცვეტაევამ, პ. იაშვილმა, ა. ფადეევმა, გ. ტაბიძემ და სხვებმა.

გ. ოტტოს მიხედვით მოზარდებისა და ჭაბუკების თვითმკვლელობის პროფილაქტიკა იმაში კი არ მდგომარეობს, რომ მათ თავიდან აეცილოთ კონფლიქტური სიტუაციები, არამედ იმაში, რომ მოზარდი არ განიცდიდეს მარტობას, გარიყულობას, არასრულყოფილებას, დეპრესიებს. სუიციდის მცდელობის ათიდან ცხრა შემთხვევა სიკვდილის სურვილი კი არაა, არამედ ყვირილია დახმარების, გამხმნეების შესახებ და უშწევობის გრძნობის გასაფანტავად.

სუიციდის მიზეზია აგრეთვე ფსიქიკური დარღვევები, რომლისთვისაც გარდამავალი ასაკი მეტად ხელსაყრელი და სენზიტიურია. კ. ლეონგარდი ა. ლიჩკო და ვ. კონდრაშენკო გამოყოფენ სპეციფიკურ ასაკობრივ დარღვევებს და ხასიათის აქცენტუაციებს. ხასიათის აქცენტუაცია, როგორც ვნახეთ, არის ნორმის უკიდურესი ვარიანტები, როცა ხასიათის ზოგიერთი თვისება უკიდურესად ინტენსიურია, რის გამოც იზრდება მიძლებლობა და მგრძობელობა განსაზღვრული ფსიქოგენური ზემოქმედებების მიმართ.

ამ ასაკში განსაკუთრებულად ზიანდება თვითცნობიერება, რომლის ძირითადი მიზეზია დებერსონალიზაცია და დეპრესიების საფუძველზე ემოციური სფეროს გადახრა. ყოველდღიურ ცხოვრებაში დეპრესია განისაზღვრება როგორც ძლიერი სევდა და ნაღველი, რომელსაც თან ახლავს სასოწარკვეთა, შფოთვის ძლიერი გრძნობა, დაქვეითებული გუნება-განწყობილება. ამასთანავე სევდას და ნაღველს ყოველთვის თან ახლავს მოწყენილობა. მოზარდები უჩივიან რომ ვერაფერს ვერ აკეთებენ, ყველაფერი უინტერესოა და ა.შ.

როგორც აღნიშნავენ მოზარდებთან დეპრესიების დაწყება უკავშირდება ცხოვრებისეულ დრამატულ სიტუაციებს ოჯახში ან სკოლაში. ამ დროს დიდი მნიშვნელობა ენიჭება მოზარდის ლოკუს კონტროლის ტიპს. როგორც აღნიშნეთ ჯ. როტერი ლოკუს კონტროლის ცნებაში გულისხმობს ინდივიდის მიდრეკილებას და მცდელობას მნიშვნელოვანი მივლენების ანალიზში დააკისროს პასუხისმგებლობა ან საკუთარ თავს (შინაგანი, ინტერნალური ლოკუსი) ან გარე ფაქტორებს, სხვა ადამიანებს, ობიექტურ პირობებს, ბედს (გარეგანი, ექსტერნალური ლოკუსი).

ექსტრენალური ლოკუისის მქონე მოზარდები, რომლებიც თელიან, რომ მათი წარმატება - წარუმატებლობა დამოკიდებულია არა იმდენად საკუთარ თავზე, რამდენადაც რაღაც გარეგან ძალებზე, ძალიან არიან მიდრეკილნი დაპრესიებისაკენ.

ა. ლიჩკოსა და ვ. კონდრაშენკოს მიხედვით არის კავშირი მოზარდის ხასიათის აქტენტუაციის ტიპებსა და სუიციდურ ქცევებს შორის. დემონსტრაციული სუიციდური ქცევების დროს მოზარდების ნახევარს ჰქონდათ ისტერიოიდული, ისტერიოიდულ-არამდგრადი და ჰიპერტიმულ-ისტერიოიდული ტიპის ხასიათი, 32% - ეპილეფტური და ეპილეფტურ-ისტერიოიდი, ხოლო 18% - ხასიათის აქტენტუაციის სხვა ტიპები. ამასთანავე სუიციდური მცდელობები აღენიშნებოდათ სენსიტიური ხასიათის მოზარდების 63% და ციკლოიდური ტიპის მოზარდების 25%; მკვლევარები მიუთითებენ იმაზე, რომ მოზარდობის ასაკში ძალიან დაბალი სუიციდური აქტივობა ახასიათებთ შიზოიდებს.

ა. აბრუმოვამ და ე. კრონომ გამოყვეს მოზარდობის ასაკის სპეციფიკური სუიციდური სიტუაციური რუპქციები. ესაა დეპრევიაციის, ექსპლოზური და თვითლიკვიდაციის რუპქციები.

დეპრევიაციის რუპქციები. დეპრევიაცია არის სუბიექტის დანაკლისი, რომელიც ვლინდება სავანთა და მოვლენათა ძალიან ფართო წრის მიმართ. არსებობს ძილის, საკვების, ემოციური, მშობლიური და სხვა მრავალი სახის დეპრევიაცია. ასეთი რუპქციები, უმეტესად, უმცროსი მოზარდებისათვისაა დამახასიათებელი, რომელიც ვლინდება ემოციური აქტივობის დაქვეითებაში, დათრგუნეილობაში, ძველი ინტერესებისა და მიდრეკილებების დაკარგვაში, უარყოფითად შეფერილ განცდებში. მათში შემუშავებულია სუიციდური ქცევის მყარი განწყობა, მაგრამ კონფლიქტების გადაჭრის შემთხვევაში ყველაფერი ჩქარა გაივლის.

ექსპლოზური რუპქციები ხშირად გვხვდება 16-18 წლის ასაკში, იგი ვლინდება აფექტური დამბულობით, გარეშემოცოფების მიმართ მტრული დამოკიდებულებებით. ასეთი მოზარდები განსაკუთრებით აგრესიულები არიან კონფლიქტში მონაწილე პირებისადმი. ექსპლოზური მოზარდების სუიციდური ქცევის ძირითადი მოტივია სამაგიეროს გადახდა იმათ მიმართ, ვინც მათ წყენა მიაყენა, ასეთი მოზარდები სუიციდურ ქცევებს საკუთარი სიმათლის დამტკიცების მიზნითაც მიმართავენ. სუიციდი სრულდება კოფსილიქტის პროცესის აპოგეაში უკიდურესი აფექტით და ხშირად ეს ხდება იმათ თვალწინ, ვინც წყენის მიზეზი და სამაგიეროს გადახდის ადრესატია.

თვითლიკვიდაციის რუპქციები დამახასიათებელია ისეთი მოზარდებისათვის, რომლებსაც აღენიშნებათ სუიციდური ქცევები და ფსიქიკური მოუწიფებლობის ნიშნები (ქრონიკული სომატური დაავადებები, დაბალი ინტელექტი, სოციალურ-პედაგოგიური უზედამხედველობისა და ხელმიშეებულობის სიმპტომები). ასეთი რუპქციები ხშირად აღმოცენდება ცხოვრებისეული სტრუქტურის მთლიანად ცვალებადობის დროს, როცა აღინიშნება სიმწელების გადალახვისაგან თავის არიდება. ამ დროს მოზარდი ვარდება სასოწარკვეთაში უმნიშვნელო წარუმატებლობის, მარცხის ან კონფლიქტის გამო. ასეთი მოზარდები ძალიან შთაგონებადები არიან და ადვილად ექცევიან ასოციალური ქცევის თანატოლების

გავლენის ქვეშ, ვერ ავლენენ დამოუკიდებლობას. ისინი სუიციდურ ქცევებს ახასიათებენ, როგორც გამოსავალს შექმნილი კონფლიქტური სიტუაციიდან. ამ დროს სუიციდის იმიტაცია იშვიათი მოვლენაა, მაგრამ გადარჩენილი მოზარდები ინანიებენ მათ ასეთ ქცევას.

ვ. დურკჰაიმმა გამოყო სუიციდური ქცევის ოთხი ძირითადი მოტივი: ა) ალტრუისტული ბ) ეგოისტური, გ) ფატალისტური და დ) ანომიზური

ალტრუისტული მოტივის დროს ხდება შეგნებული თვითკვლევობა, რაღაც დიდი მიზნის, მრწამსის, ადამიანთა ხსნის, გადარჩენის გამო. ასეთი ქცევები ყოველთვის მაღალ შეფასებას და მოწონებას იმსახურებს ნებისმიერ საზოგადოებაში მოზარდების და ადრეული ჯახუკების სუიციდის მოტივები უმთავრესად ეგოისტურია, როცა თვითლიკვიდაციის მცდელობა ხდება რაიმე შეღავათის მისაღებად ან ვინმესთვის ზიანის მისაყენებლად.

სუიციდის ანომიზური მოტივაცია სრულდება მაშინ, როცა ხდება მოზარდის სოციალურ-ფსიქოლოგიური იზოლაცია, გარიყვა, როცა სუსტდება კავშირები ინდივიდსა და სოციალურ გარემოს შორის. ანომიზური მოტივაციის საფუძველზე განხორციელებული თვითკვლევობა არის პიროვნებასა და გარემომომყოფ ადამიანთა შორის უკიდურესად მძიმე უთანხმოების შედეგი.

სუიციდური ქცევის ერთ-ერთი მიზეზია, აგრეთვე, მოზარდის სოციალიზაციის დეფექტის საფუძველზე აღმოცენებული დეზადატაცია, როცა მოზარდის ღრმა რწმენით მისი ადგილი სოციალურ სტრუქტურაში არ შეესაბამება მისსაკვ პრეტენზიის დონეს.

მოზარდთა აგრესიული ქცევები. აგრესია არის ისეთი ქცევა, რომელიც მიმართულია ვინმესათვის ფიზიკური ან ფსიქოლოგიური ვნების და ზიანის მიყენების ან მისი სრული განადგურებისკენ. არსებობს აუტოაგრესია (საკუთარი თავისადმი) და პეტეროაგრესია (სხვის მიმართ). აგრესიულობა, როგორც პიროვნული თვისება, არის ადამიანის მტკიცე მზაობა აგრესიული ქცევების შესასრულებლად. მოზარდთა აგრესიული ქცევები, ძირითადად, ვლინდება დელიკვენტურ ქცევებში და არის დევიაციის გავრცელებული ფორმა ამ ასაკში.

აგრესიულ-სადისტური ქცევა არის აფექტის განმუხტვის რეაქცია, როცა ვინმეს მიმართ განხორციელებული აგრესიული ქცევა მოზარდს ანიჭებს სიამოვნებას აგრესიულ-სადისტური ქცევების გენეზისში დიდი მნიშვნელობა აქვს ოჯახურ აღზრდას, ოჯახში გაბატონებულ ღირებულებებს, აღზრდაში დაშველ შეცდომებს, არასასურველ მატერიალურ -ყოფით პირობებს, სისასტიკით მდიდარ ვიდეოლფილმების სცენებს და ა.შ.

აგრესიული ქცევები მოზარდობის ასაკში ორი სახისაა: პათოლოგიური და არაპათოლოგიური., პათოლოგიური აგრესიები, ძირითადად, დამახასიათებელია ფსიქოპათებისათვის, ხოლო არაპათოლოგიური – ხასიათის აქცენტუაციის მქონე და პედაგოგიურად ხელმძივებული მოზარდებისათვის.

აგრესიული ქცევების არაპათოლოგიური ფორმებისათვის დამახასიათებელია ის, რომ ამ დროს ადგილი არ აქვს რაიმე ავადმყოფურ ქმედებებს. ასეთი ქცევები განპირობებულია მხოლოდ განსაკუთრებული სახის ფსიქიკური

შინაარსებით, ხასიათის აქცენტუაციებით. პელაგოგიური ხელმძღვებულობითა და ასაკობრივ-ფსიქოლოგიური თავისებურებებით. გამოყოფენ ორ ძირითად ფორმას: ა) სიტყვიერად და ბ) მიკროსოციალურად განპირობებული.

პირველ შემთხვევაში აგრესია არის ისეთი რეაქცია, რომელიც ვლინდება ისეთ სიტუაციაში, რომლის დროსაც მოზარდს არ გააჩნია კონფლიქტის გადაწყვეტის სხვა გზა. სიტყვიერად განპირობებული აგრესიული ქცევა ატარებს პროტესტის რეაქციის ფორმას, რომელიც აღმოცენდება ემიზალურად და ბოლომდე არ არღვევს ურთიერთობებს მოზარდსა და გარემომდებელთა შორის.

მიკროსოციალურად განპირობებული აგრესიული ქცევები კი, უმეტესწილად, მჭიდროდაა დაკავშირებული მოზარდის პიროვნების სფეროს დარღვევებთან, ღირებულებათა სისტემის დეგრადაციასთან და არასწორი განწყობების შემუშავებასთან. ასეთი რეაქციების ძირითადი მიზეზია არასწორი აღზრდა ოჯახში და თანატოლთა სუბკულტურის უარყოფითი გავლენა. არაპათოლოგიური აგრესიის ამ ფორმის ძირითადი ნიშანია აგრესიის შეგნებული გამოყენება რაიმე მიზნის მისაღწევად.

პათოლოგიური აგრესიები, როგორც აღვნიშნეთ, დაკავშირებულია პათოგენეტიკურ მექანიზმებთან და იყოფა სამ ჯგუფად.

ა) პათოლოგიურ-აფექტური ბ) პათოლოგიურ-ხეფასეული და გ) სადისტური.

პათოლოგიურ-აფექტური ქცევა განპირობებულია ემოციური სფეროს პათოლოგიური დარღვევებით. აფექტური სფეროს დარღვევის საფუძველია ემოციურ-ნებელობითი ასპექტების კონსტიტუციონალური ან შექმნილი მყარი ფსიქოგენური გადახრები.

პათოლოგიურ-აგრესიული ქცევა ხასიათდება განსხვავებული შინაარსის ხეფასეული და დომინირებული წარმონაქმნებით. მათი აღმოცენების მიზეზია ქრონიკული ფსიქოტრავმირებადი სიტუაცია, შინაგანი კონფლიქტები და მწვავე ფსიქოგენური მოვლენები. აგრესია უშუალოდ ვლინდება მტრული აგრესიული განცდების საფუძველზე (შურისძიება, ზიზღი, წყენა).

აგრესიულ-სადისტური ქცევები გამოწვეულია ლტოლვების სფეროში პათოლოგიური დარღვევების საფუძველზე, რომელიც საშუალებას აძლევს აგრესორს განიცადოს დადებითი ემოციები, სიამოვნება და კმაყოფილება აგრესიის ობიექტისადმი ფიზიკური ტკივილის ან ზნეობრივი ტანჯვის მიყენებით.

აგრესიულ ქცევებს ავლენენ აგრეთვე ისეთი მოზარდებიც, რომლებიც ცხოვრებისეული კეთილმოწყობილი ოჯახების შვილები არიან და კონფლიქტური სიტუაციებით არ არიან გააცხადებულნი. ესენი არიან განუხილებელი მოზარდები, რომლებსაც ოჯახში ყველა სურვილსა და კაპრიზს უსრულებენ. მათ არ ქონდათ შესაძლებლობა ბავშვობაში გამოეჩინათ დამოუკიდებლობა (ძალიან იყვნენ მშობლებზე მიჯაჭვულნი) და მათთვის აგრესიული ქცევა არის ერთგვარი კომპენსაცია და შურისძიება მათი ასეთი მდგომარეობის გამო.

მოზარდული და ჭაბუკური ვანდალიზმი, სისასტიკე, როგორც წესი, ხორციელდება ჯგუფურად. ამ დროს თითოეული მონაწილის როლი თითქმის იშლება და პირადი მორალური პასუხისმგებლობა იკარგება. ერთობლივად, ჯგუფურად

ჩადნილი ანტისოციალური ქვეყები ამტკიცებენ ვგუფური სოლიდარობის გრძობას, რომელიც მოქმედების პროცესში აღწევს ერთგვარ ეიფორიას და აგზნების გადავლის შემდგომი ანალიზის დროს მოზარდები მას ვერაფრით ვერ ხსნიან. ესაა ერთგვარი თრობისმაგვარი მდგომარეობა, როცა 5-6 მოზარდი გამშაგებით სცემს ერთს.

მოზარდული დეპრესიები. დეპრესია არის აფექტური სინდრომი, რომლის საფუძველია დაქვეითებული, დათრგუნული, სედეიანი, შფოთიანი, შიშინი ან გულგრილი და ინდიფერენტული განწყობილება. ამ მდგომარეობას თან ახლავს სასიცოცხლო ტონუსის დაქვეითება და არასრულფასოვნების კომპლექსის განცდა. გარდამავალ ასაკში დეპრესიული მდგომარეობა შეიძლება მიმდინარეობდეს ატიპური ფორმებითაც.

პათიური დეპრესიის დროს ვლინდება მოზარდის მიერ ცხოვრებისადმი, სიცოცხლისადმი ინტერესის დაკარგვა. ამ დროს მოზარდი ვეღფრისადმი გულგრილი ხდება, არაფერი არ აინტერესებს და გამოირჩევა უნებისყოფობით.

ე.წ. „ერემლიანი დეპრესიები“ ძირითადად დამახასიათებელია უმცროსი სასკოლო ასაკისათვის, მაგრამ იგი არც მოზარდებისათვისაა იშვიათი მოვლენა. ამას განსაკუთრებით გოგონები ავლენენ, რომლებიც უმნიშვნელო რამზე ტირიან.

თინეჯერებში დეპრესიის საშუალო და მძიმე ფორმები იშვიათად გვხვდება. ადგილი აქვს სქესობრივ სხვაობებსაც. მოზარდი გოგონები უფრო მეტად არიან მიდრეკილნი დეპრესიებისაკენ, ვიდრე – ბიჭები. გოგონებთან დეპრესიები დაკავშირებულია კვებითი ქცევის ისეთ დარღვევებთან, როგორიცაა ნერვული ანორექსია და ბულიმია. როგორც მკვლევარები მიუთითებენ, დეპრესიები და სუიციდური ქცევები ძალიან მჭიდრო კავშირში იმყოფებიან ერთმანეთთან.

გოგონებთან საკუთარი სხეულით გამოწვეული უკმაყოფილება არღვევს კვებით ქცევას და იწვევს დეპრესიებს, რაც აძნელებს და ხელს უშლის მოზარდებსა და თანატოლებს შორის ნორმალური ურთიერთობის დამყარებას და ხელს უწყობს მშობლებთან და უფროსებთან კონფლიქტის ზრდას.

გარდამავალ ასაკში ვლინდება დეპრესიის პათოლოგიური ფორმებიც:

1) **ქარანოიდული დეპრესია.** ამ დროს მთავარი და წამყვანი არის დეენის მანია. მოზარდი დარწმუნებულია იმაში, რომ რომელიმე ბანდა ან საიდუმლო ორგანიზაცია მას სღვენის და უნდათ მისი განადგურება, დაბრმავება, კასტრირება და ა.შ.

2) **იპოპონდრიული დეპრესია.** ამ დროს მოზარდი აცხადებს, რომ მას უღება შიგნეული, იგი დაეადებულია კობოთი, აქვს სხვიური დაავადება, სიფილისი და სხვა.

3) **ასთენოპათიური დეპრესია.** ამ ასაკში ეს სინდრომი იშვიათია. ესაა აქტივობის ინტენსიური დაქვეითება. მოზარდი ამ დროს პასიური და ვეღფრისადმი უინტერესოა. მას დადებითი ემოციები თითქმის არ აქვს, არაფერი არ ახარებს, დაქვეითებული აქვს აზროვნებაც. დაპრესიის ამ ფორმის დროს ბოღვები და ძალუცინაციები არ აღინიშნება. სავედღურებზე, რომ ისინი არიან ზარბაცები და უსაქმურები, მწვავედ რეაგირებენ. ხშირად სავედღურების შემთხვევაში უწინდებათ

სუიციდური მისწრაფებებიც, მათ უნდათ სულ მარტო ყოფნა, არ ერთიანდებიან თანატოლთა კომპანიებში. ასეთ მოზარდებს არ აღენიშნებათ სექსუალური გართულებები, მაგრამ ონანიზმს უფრო ხშირად მიმართავენ .

4) *დეპრესიის დელიკვენტური ექვივალენტი*. დეპრესიის ეს ფორმა მოულოდნელად იჩენს თავს ისეთ დარღვევებში, რომლებიც მოზარდს ადრე არ ახასიათებდა, მოზარდი უცებ ხდება მალეშული, მოწყვლადი, ეშუა და გააუბლებელი. იგი უხეშობს უფროსების მიმართ (განსაკუთრებით მშობლებთან და მასწავლებლებთან) ყოველგვარი საბაბის გარეშე მოქმედებს ყველას და ყველაფრის საწინააღმდეგოდ, არ ესწრება გაკეთილებს, უსაქმოდ დახეტიალობს ქუჩაში და, საბოლოო ანგარიშით, ხდება ასოციალურ კომპანიებში. ასეთი სინდრომი შეიძლება გაგრძელდეს რამდენიმე კვირა და მოზარდი მერე ისევ უბრუნდება პირვანდელ მდგომარეობას.

5) *შერეული დეპრესია*. გარდამავალ ასაკში ვლინდება დეპრესიის შერეული მდგომარეობის ორი ფორმა: პირველი მდგომარეობის დროს დეპრესიები და მანიები სწრაფად იცვლებიან ერთ დღის განმავლობაშიც კი. მეორე მდგომარეობის დროს ჩვეულებრივ შერეულ მდგომარეობას თან ერთვის დეპრესიული და მანიაკალური ფაზის ზოგიერთი სიმპტომი

6) *სწრაფად ცვალებადი მდგომარეობა* ვლინდება იმაში, რომ დილის საათებში მოზარდი შეიძლება დეპრესიაში იყოს, ხოლო საღამოს მანიაკალური მდგომარეობა განუვითარდეს. ასეთი შემთხვევები შეიძლება აღინიშნოს ყოველდღე.

7) *ონეროიდული მდგომარეობა*. ესაა ფანტასტიკური განცდები, კოსმოსური ფრენები და შესვედრები უცხოპლანეტელებთან, ფარული საიდუმლო ორგანიზაციები, მზებრავების სკოლები. ასეთი მოზარდების ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს აგრეთვე ეროტიკულ ოცნებებს.

8) *ფარული დეპრესია*. ფარული დეპრესიები იწვევენ სასკოლო ღვადატაცის და ქცევების დარღვევას, რომელიც, ძირითადად, გამოიხატება აკადემიური წარმატებების დაქვეითებაში. ამ ტიპის დეპრესიით შეპყრობილი მოზარდები რეგულარულად აცდენენ გაკეთილებს, უხეშობენ, ჩხუბობენ. მოზარდები, რომლებიც ადრე კარგად სწავლობდნენ, მოულოდნელად იწყებენ ჩამორჩენას ისინი აღნიშნავენ გაფანტულობას, შესივრების დაქვეითებას, ყურადღების კონცენტრაციის უუნარობას, ასეთი მოზარდები ერიდებიან თანატოლებთან კონტაქტებს, თავი უჭირავთ განკერძოებულად. ზოგიერთ მოზარდს უნდება შიში სკოლისადმი, სწავლისადმი. ისინი მრავალ მიზეზს იგონებენ იმისათვის, რომ არ წაივლინენ სკოლაში. ესაა ე.წ. სასკოლო ფობია.

ფარული დეპრესიების დროს მოზარდებს აღენიშნებათ სომატური დისკომფორტიც. ისინი უჩივიან გულის, თავის და მუცლის ტკივილს. სომატურ მკურნალობას არაერთგვარად შედეგი არ მოაქვს, მთავარადა დეპრესიის მოხსნა. ე.წ. დეპრესიული მდგომარეობანი ამ დროს შენიღბულია. მოზარდები განიცდიან იმას, რომ ცუდად სწავლობენ, რაშიც საკუთარ თავს ადანაშაულებენ, მათ ძალიან ეშინიათ იმავე კლასში დატოვების, მშობლები და მასწავლებლები, სამუშაო, ხშირად ვერ აცნობიერებენ, რომ ასეთი ფაქტების მიღმა იმალება დეპრესიული

გამოვლინებები, ფარული დეპრესიები მიმდინარეობს ციკლურად. იგი აღმოცენდება, მიმდინარეობს 2-3 კვირა ან ერთი თვე და ჩაქრება. მერე კი ყველაფერი ისევ თავიდან იწყება.

ღისმორფომანია. ღისმორფომანია არის ავადმყოფური დარწმუნებულობა იმაში, რომ მოზარდს აქვს რაიმე ფიზიკური ნაკლი. მოზარდს ეჩვენება, რომ მას აქვს მახინჯი ტანი, ცხვირი, პირი, ყური, ფეხები. ამ სინდრომს აქვს მეტად მდგრადი ხასიათი და კორექციას ძნელად ექვემდებარება. მოზარდი დარწმუნებულია იმაში, რომ მას აქვს რაღაც ისეთი ფიზიკური ნაკლი, რომელიც საზოგადოების თვალში მას აკნინებს. ასეთი მოზარდები უმსიშენელო, შეუქმნველ ფიზიკურ ნაკლს ძალიან აზვიადებენ. ამას ღისმორფომანიური სინდრომი ეწოდება. მოზარდებს ჰგონიათ, რომ ყველანი მის ნაკლს ამჩნევენ, მას უყურებენ და დასციინან. ის, რომ ასეთი ნაკლი სხვასაც აქვს, მათთვის არაა დიდი ნუგეში. მათ მიაჩნია, რომ მათი ნაკლი ყველაზე საშინელია. ასეთ მოზარდებს უჩნდებათ აკვიატებული იდეები საკუთარი ფიზიკური ნაკლის შესახებ, რომელიც მეტად მწვავედ, პათოლოგიურად განიცდება. ასეთ მოზარდებს უჭირთ ურთიერთობის დამყარება თანატოლებთან, არ ერთიანდებიან ჯგუფებში, გაურბიან კომპანიებს, არ უნდათ სახლიდან გამოსვლაც კი. მათ აქვთ დათრგუნული გუნება-განწყობილება, სუიციდური აზრები და მცდელობები, დეპერსონალიზაციის სინდრომი, უჭირთ გარემოსთან შეგუება, ავლენენ დეზადაქტიურობას.

სოციალური დეზადაქტიურობა არის ინდივიდის გარემოსთან შეგუების დარღვევა, რომლის ერთ-ერთი ფორმაა სასკოლო დეზადაქტიურობა. ესაა მოზარდსა და სასკოლო კოლექტივს შორის ადექვატური ურთიერთობის დამყარების შეუძლებლობა, რასაც ავლენენ ღისმორფომანიური სინდრომით შეპყრობილი მოზარდები.

ღისმორფომანიის სინდრომი სქესობრივი მომწიფების პერიოდში მეტად მწვავედ და, ძირითადად, გოგონებისათვისაა დამახასიათებელი.

მოზარდის ღისმორფომანიური განცდები ვარაუცის განიცდის და ელინდება როგორც მსუბუქი, ისე მძიმე ფორმებში. მსუბუქი ფორმების დროს მოზარდი საკუთარი გარეგნობის ზოგიერთ დეფექტს ავლენს მხოლოდ განსაზღვრულ სიტუაციებში. მაგალითად, ჭაბუკი, რომელსაც სახე ზორკლიანი აქვს, ერიდება გოგონების საზოგადოებას, მაგრამ ბიჭების გარემოში თავს თავისუფლად გრძობს. ძალზე გამხდარი მოზარდი თავს არიდებს ბანაობას პლიაჟზე, არ იხდის ტანზე ფიზიკულტურის დარბაზში, მაგრამ სხვა სიტუაციებში არც კი ახსოვს მისი სიგამხდრე. ასეთი ტიპის ღისმორფომანია ექვემდებარება ფსიქოთერაპიას და ასაკთან ერთად გაივლის. მოზარდებთან საკუთარი გარეგნობით უკმაყოფილება, ხანდახან, აღწევს პარანოიალური ბოღვის ფორმას. მოზარდი ხდება დაღვრეპილი, მოწყენილი, კუშტი, გააყებული და ყველაფრით უკმაყოფილო. ასეთი მოზარდები გამუდმებით ათვალთვლებენ საკუთარ თავს სარკეში, ერიდებიან სურათების გადაღებას, ცდილობენ პლასტიკური ოპერაციებით „გაისწორონ ცხვირი“, „ამოიჭრან ზედმეტი ქონი“ და ა.შ.

გარდამავალი ასაკის დადგომამდე ბავშვები ხშირად აბრაზებენ ბოლზე ერთმანეთს ზოგიერთი უმნიშვნელო ნაკლის გამო. ამის საფუძველზე შერქმეული

ისეთი ზედმეტი სახელები, როგორცაა კიჭა (უშბო კბილების გამო), ყურმა (დიდი ყურების გამო), ცხვირა (გრძელი ცხვირის გამო), ღორღლო (სიძუსუნის გამო), სემაფორა, ჟირაფა, გადაბული (სიმაღლის გამო), ზანგი (სიშავის გამო), ქაჩალა (სიმელოტის გამო), გარინჩა (სიკოჭლის გამო) და ა.შ. გარდამავალ ასაკამდე არ იწყებდა ბავშვების წყენას და გაღიზიანებას. გარდამავალ ასაკში კი ეს, ფიზიკურ ნაკლებ მიმანიშნებელი ზედმეტი სახელები ავადმყოფურად განიცდება. აღნიშნული მდგომარეობა მძიმე ფორმას იღებს მაშინ, როცა დისმორფომანიის სინდრომად გვევლინება ორი ან მეტი სიმპტომი.

ნერვეული ანორექსია და ბულიმია. ნერვეული ანორექსია და ბულიმია არის დისმორფომანიური სინდრომის ერთ-ერთი სახე. საკუთარ სიმსუქნეში პათოლოგიურად დარწმუნებულ მოზარდებს (განსაკუთრებით გოგონებს) უვითარდებათ ანორექსიული სინდრომი, ესაა საკვების მიღებისაგან თავის შეკავება ან უმკაცრეს დიეტაზე გადასვლა, რაც, საბოლოო ანგარიშით, იწყებს ძლიერ გახდომას, კახექსიასაც კი. შიშშილობის მოტივია ის, რომ მოზარდები თავს თვლიან მახინჯ მსუქნებად და უნდათ გახდომა. ანორექსიული სინდრომის მიზეზი შეიძლება იყოს თანატოლების და უფროსების რეპლიკები მათ მოუქნელობაზე და მძიმე წონაზე მინიშნება. ამ სინდრომის დროს იზრდება კონფლიქტები მოზარდსა და მშობლებს შორის (განსაკუთრებით მაშინ, როცა აძალებენ ჭამას).

ანორექსიას ძალიან ბევრი უარყოფითი მხარე აქვს. გოგონებს ემართება ამენორეა, ბიჭებს ეკარგებათ პოლუცია და უქვეითდებათ ერექცია. გოგონებს, ზანდაზან, მთელ ტანზე ეზრდებათ თიბები; კარგავენ წონის ნახევარსაც კი, უვითარდებათ ბრადიკარდია, ეცემა არტერიული წნევა, სისხლში კლებულობს ჰემოგლობინი.

ზოგიერთ მოზარდს აღნიშნება ანორექსიული სინდრომის ბულიმური ვარიანტი, რაც ჭამის შემდეგ ხელოვნური პირღებინების გამოწვევაში მდგომარეობს.

ნერვეული ბულიმია არის ზედმეტი კვების ფენომენი, რომელიც დაკავშირებულია შიშშილობის ძლიერ შეგრძნებასთან და სიმაძღრის შეგრძნების არარსებობასთან. ჭარბი საკვების მიღებას თან ახლავს კუჭის არის დისკომფორტი და ხელოვნურად გამოწვეული პირღებინებით მოზარდები ცდილობენ გახდომას. ბულიმიით დაავადებულ მოზარდებს პირღებინების გამოწვევა შეუძლიათ საკვების ყოველი მიღების შემდეგ. დიდი რაოდენობით საკვების მიღების შემდეგ მათ ეუფლებათ მოკლესუნაანი ეიფორია და მშვიდდებიან, მაგრამ გასუქების შიში და კუჭის არეში ცუდი შეგრძნებები აიძულებს მათ მიმართონ ხელოვნურ ღებინებას. ზოგიერთი მოზარდი ისეა შეწყვეული ღებინებას, რომ წელში ოდნავი მოზრაც კი საკმარისია ამისათვის. ერთგვარი ეიფორიის განცდა ღებინების შემდეგაც დგება, რომლის შემდეგაც ჩქარა იწყება დათრგუნულობა და დეპრესია. ზანდაზან მოზარდის ასეთი ქცევა იქცევა რიტუალად, ჩვეად. ბულიმიის შეტევები ვითარდება დეპრესიის გაძლიერების კვალობაზე.

ბულიმიის დროს ვითარდება ექსპლოზიური, ეგოიზმი, უკიდურესი ფორმით გამოხატული მოთხოვნილებები. ასეთ მოზარდებს „ოჯახის ტირანებსაც“ უწოდებენ.

ფილოსოფიური (მეტაფიზიკური) ინტოქსიკაციის სინდრომი. ეს სინდრომი გამოიხატება სოციალურ და ფილოსოფიურ პრობლემებზე მოზარდის და ჭაბუკის მუდმივ ფიქრში. ეს პრობლემები შეიძლება იყოს სიცოცხლისა და სიკვდილის არსი, ადამიანის დანიშნულება, თავისუფლება, საზოგადოების ცხოვრების გაუმჯობესება, „მეხუთე განზომილება“, „მეექვსე გრძობა“ და ა.შ. მოზარდი წარმოსახვაში „ამუშავებს“ საკუთარ ფილოსოფიურ პრინციპებს, ეთიკურ ნორმებს, სოციალური რეფორმების პროექტებს. ანალოგიური „თეორიების“ არსებითი ნიშანია რეალობისაგან მოწყვეტა, რეალური ცხოვრებისაგან განსვლა. მათი მსჯელობები ურთიერთგამომრიცხავი და უაზროა, რასაც ისინი, სამწუხაროდ, ვერ ამჩნევენ. ერთ-ერთი ასეთი მოზარდი მთელი სერიოზულობით ამტკიცებდა, რომ მშვიდობის მიღწევა შეიძლება მხოლოდ საყოველთაო ვეგეტარიანული დიეტის შემოღებით; ეს იმიტომ, რომ ხორცეული ადამიანში აღვიბებს მხეცს და აქცევს მას აგრესიულად. განსხვავებულ, საწინააღმდეგო აზრებს ასეთი მოზარდები მიიჩნევენ უმნიშვნელოდ და მიუღებლად.

ასეთი მოზარდები ჩაეკტილნი არიან თავის თავში და ცხოვრობენ მხოლოდ საკუთარ ფიქრებსა და ფანტაზიებში. მეტაფიზიკურ ინტოქსიკაციას გარდამავალ ასაკში, ხანდახან, ემატება ფობიები და დეპერსონალიზაციის სინდრომიც. ფილოსოფიური ინტოქსიკაციის რეალური ფსიქოლოგიური ფაქტორების დადგენა ვერ ხერხდება თავისი შინაარსით ეს სინდრომი ძალიან უახლოვდება პარანორმალურ ბოლვას, მაგრამ მისგან იმით განსხვავდება, რომ მას არ ახლავს ამ იდეების ცხოვრებაში განხორციელების მცდელობა.

ყოფიერების გლობალური პრობლემებისადმი ინტერესი მოზარდისა და ჭაბუკის ინტელექტის ნორმალური, დადებითი თვისებაა, მაგრამ ზოგიერ მოზარდთან ეს თვისება ძალიან გადაჭარბებულია, გაზვიადებულია, ჰიპეტროფირებულია და ლებულობს მახინჯ ფორმებს.

მოზარდული და ჭაბუკური ქცევის დევიაციის ერთ-ერთი ფორმაა ე.წ. სასკოლო ნეროზობი, რაც, ძირითადად, გამოიხატება სკოლაში არ წასვლის მტკიცე სურვილში. ასეთი მოზარდი ყოველნაირად ცდილობს არ წავიდეს სკოლაში. მას უნდა შიში სკოლის მიმართ. ამის მიზეზი შეიძლება იყოს ისეთი ფაქტორები, როგორცაა: ცუდი აკადემიური მოსწრება, კონფლიქტები მასწავლებლებთან, დაძაბული ურთიერთობა თანატოლებთან და სხვა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ადამაშვილი ნ. თვითცნობიერების ონტოგენეტური განვითარება „ბავშვის ფსიქოლოგია“ (სასკოლო ასაკი) ვლ. ნორაძის რედაქციით. თბ. 1968
2. ბარამიძე ნ. ფსიქოლოგიური ნარკვევები. წერალები. სტატიები, ბათუმი. 1999 წ.
3. გოგიჩაიშვილი თ. უმცროსი სასკოლო ასაკის მოსწავლეთა ასაკობრივ-ფსიქოლოგიური თავისებურებანი, თბ.; 1991
4. გოგიჩაიშვილი თ. გარდამავალი ასაკის მოსწავლეთა ასაკობრივ-ფსიქოლოგიური თავისებურებანი. თბ. 1992 წ.
5. გოგიჩაიშვილი თ. უფროსი სასკოლო ასაკის მოსწავლეთა ასაკობრივ-ფსიქოლოგიური თავისებურებანი. თბ. 1993 წ.
6. გოგიჩაიშვილი თ. ფსიქოლოგია, თბ. 1997წ.
7. ზარანდია მ. ბავშვის განვითარების აქსელერაციის კანონზომიერებანი, თბ., 1985 წ.,
8. ზარანდია მ. პროფესიული ორიენტაცია და პიროვნების ფორმირების ფსიქოლოგიური საკითხები. თბ. 1987წ.
9. იმედაძე ნ. მოსწავლეთა ემოციური აღზრდის ძირითადი ფსიქოლოგიური საკითხები. „პედაგოგიური ფსიქოლოგია“. შ. ჩხარტიშვილის რედაქციით. ნაწილი მეორე, თბ. 1965წ.
10. იმედაძე ნ. სასკოლო ასაკის ბავშვის ემოციური განვითარება. „ბავშვის ფსიქოლოგია“ ვლ. ნორაძის რედაქციით, თბ. 1968წ.
11. კაკაბაძე ვ. მოთხოვნილებების ფსიქოლოგია, თბ. 1989წ.
12. კეჭყაძე ი. აქსელერაცია და ექსწლიანთა სწავლების ზოგიერთი საკითხი, ბათუმი, 1979წ.
13. კოვჩანაძე კ. იდეალები გარდამავალ ასაკში „პედაგოგიური ფსიქოლოგია“ ნაწილი მეორე, შ. ჩხარტიშვილის რედაქციით, თბ. 1965წ.
14. კოტეტიშვილი ი. (რედ). პირველი კლასის მოსწავლეთა აზროვნების ფსიქოლოგიური თავისებურებანი. თბ. 1985წ.
15. კოტეტიშვილი ექსპერიმენტული სწავლების ფსიქოლოგიური შინაარსი დაწყებით კლასებში., თბ. 1987წ.
16. ლეჟავა გ. ფოცხვერია მ. საფარულიძე რ. (რედ) „ვისწავლოთ ნარკოტიკების გარემოცვაში ცხოვრება?“ კლინიკა „ბემონი“. თბ. 1997წ.
17. მალრაძე მ. ასაკობრივი ფსიქოლოგიის საკითხები. ქუთაისი.1998წ.
18. მერაბიშვილი გ. ფსიქოთერაპია, თბ. 1999წ.
19. მჭედლიშვილი გ. ზეპირი და წერითი მეტყველების შეცდომების ფსიქოლოგიური საკითხები დაწყებით სკოლაში. „პედაგოგიური ფსიქოლოგია. ნაწილი პირველი, შ. ჩხარტიშვილის რედაქციით. თბ. 1962წ.
20. ნადირაშვილი შ. განზოგადების განვითარება დაწყებითი სკოლის ასაკში „პედაგოგიური ფსიქოლოგია“, ნაწილი პირველი, შ. ჩხარტიშვილის რედაქციით. თბ. 1962 წ.

21. ნადირაშვილი შ. განზოგადების განვითარება სასკოლო ასაკის პერიოდში., თბ. 1965წ.
22. ნადირაშვილი შ. აზროვნების განვითარება სასკოლო პერიოდში „ბავშვის ფსიქოლოგია“ ვ. ნორაკიძის რედაქციით, თბ.1968წ.
23. ნადირაშვილი შ. პიროვნების სოციალური ფსიქოლოგია, თბ. 1975 წ.
24. ნასრაშვილი ნ. მოსწავლეთა პროფორიენტაციის ფსიქოლოგიური საკითხები. თბ., 1979წ.
25. პეტროვსკი ა. (რედ.) ასაკობრივი და პედაგოგიური ფსიქოლოგია, თბ. 1977წ.
26. როგავა ნ. უმცროსი სასკოლო ასაკის ბავშვის ნებისყოფის ძირითადი თავისებურებანი. თბ. 1968წ.
27. როგავა ნ., გობეჩია ფ. არასრულწლოვანთა დანაშაულებრივი ქცევის პედაგოგიურ-ფსიქოლოგიური საკითხები, თბ., 1980წ.
28. სარჯველაძე ნ. სუბიექტის მოთხოვნილებების გავლენა სხვა ადამიანთა პიროვნული თვისებების შეფასებაზე სოციალური ურთიერთობის პროცესში, მაცნე1971 წ.№4.
29. სვიადლოშჩი ა. ქალთა სექსოპათოლოგია, თბ., 1991 წ.
30. უზნაძე დ., პედოლოგია, ტფილისი, 1933წ.
31. უზნაძე დ., ბავშვის ფსიქოლოგია , თბ.1947წ.
32. უზნაძე დ. შრომები. ტ. 5 თბ., 1967წ.
33. ქვარცხავა რ. თავშეკავების აღზრდის ფსიქოლოგიური თავისებურებანი. თბ., 1971წ.
34. ყოლბაია მ. ძნელი ბავშვები, თბ., 1995წ.
35. ყოლბაია მ. ბავშვის ფსიქოლოგია, თბ. 1998წ.
36. ჩხარტიშვილი შ. სასკოლო ცხოვრების დასაწყისის ფსიქოლოგია „პედაგოგიური ფსიქოლოგია“ ნაწილი პირველი თბ.ნ 1962 წ.
37. ჩხარტიშვილი შ. ნებისყოფა და მისი აღზრდა. თბ., 1964წ.
38. ჩხარტიშვილი შ. ფსიქოლოგია მასწავლებლის სამსახურში. თბ. 1964 წ
39. ჩხარტიშვილი შ. მოსწავლის ასაკობრივი თავისებურებანი „პედაგოგიური ფსიქოლოგია“ ნაწილი მეორე თბ, 1965წ.
40. ჩხარტიშვილი შ. აღზრდის სოციალური ფსიქოლოგია., თბ. 1974წ.
41. ჩხარტიშვილი შ. აღზრდა გარდამავალ ასაკში, თბ. 1975წ.
42. ჩხარტიშვილი შ. ექვსწლიანთა სასკოლო სწავლების საკითხისათვის. თბ., 1980წ.
43. ჭრელაშვილი ნ. ასაკობრივი განვითარების პერიოდიზაციის პრობლემა, „ბავშვის ფსიქოლოგია“ (სკოლამდელი ასაკი). ვლ. ნორაკიძის რედაქციით. თბ. 1964წ.
44. Абрамова Г.С. Возрастная психология Екатеринбург 2000г.
45. Анастаси Психологическое тестирование Т. I-II, 1982 г.
46. Асмолов А.А. Психология о личности. М., 1988г.
47. Бандура А. Уолтерс П. Подростковая агрессия. М. 2000г.

48. Бардиян К. Подготовка ребенка к школе. М. 1983 г.
49. Берн Е. Секс в человеческой любви. М., 1990 г.
50. Бет А. Вторая книга о любви. Минск. 1984г.
51. Бодалев А.А. Психология о личности. М., 1988г.
52. Божович Л.И. Личность и ее формирование в детском возрасте. М. 1968г.
53. Божович. Л.И. Этапы формирования личности в онтогенезе «Вопросы психологии». 1979 г. №2.
54. Бородина П. Исследование уровня притязаний. М. 1985г.
55. Борцовский М. Психологические особенности самосознания подростка. Киев. 1980 г.
56. Бронфенбреннер У. Два мира детства. М. 1976г.
57. Брунер Д. Психология познания. М. 1977 г.
58. Берон Р. Ричардсон Д. Агрессия. Питер. 1998 г.
59. Бютнер К. Жить с агрессивными детьми. М. 1991 г.
60. Бреслав Г.М. Эмоциональные особенности формирования личности в детстве (норма и патология) М. 1998г.
61. Бурлачук Л. Морозов С., Словарь-справочник по психодиагностике. Питер. 2000г.
62. Васильева З. (ред.) Изучение учителем личности ученика. М. 1991 г.
63. Васильок Ф. Психология переживаний. М. 1984 г.
64. Васлюккая М. Искусство любви. М. 1990 г.
65. Веккер Л. Психика и реальность. М. 2000 г.
66. Вилконас В. Психология эмоциональных явлений М. 1967г.
67. Выготский Л.С. Развитие высших психических функций. М. 1960 г.
68. Выготский Л.С. Проблемы возрастной психологии детского развития . «вопросы психологии». 1972 г. №2
69. Выготский Л.С. Детская психология. Собр. соч. Т.4. М. 1984г.
70. Гадасина А. Плоды запретов. М. 1991г.
71. Галперин П.Я. Запорожец А.В. Карпова С.Н. Актуальные проблемы возрастной психологии. М. 1978 г.
72. Гозман Л.Я. Психология эмоциональных отношений М. 1987 г.
73. Голод С.И. Личная жизнь, любовь, половые отношения. Л. 1990 г.
74. Гришicina П.В. Психология конфликта. М. 200 г.
75. Давыдов В.В. Виды обобщений в обучении. М. 1972 г.
76. Денисова З.В. Механизмы эмоционального поведения ребенка. Л. 1978 г.
77. Донован Б. Физиология полового развития. М. 1974 г.
78. Дорожкова К.Н. Роль социальных и биологических факторов в развитии ребенка. М. 1993 г.
79. Драгунова Т.В. Подросток. М. 1986 г.

80. Емельянов В. Л. Преступность несовершеннолетних с психическими аномалиями. М. 1980
81. Жуковская В.И. Психологические основы выбора профессии. Минск 1978г.
82. Жутикова Н.В. Учителю о практике психологической помощи. М. 1988г.
83. Зак А. Развитие теоретического мышления у младших школьников. М. 1984 г.
84. Зельцлер А. Причины и формы проявления ускоренного роста детей. М. 1968г.
85. Зенковский В.В. Психология детства. М. 1996г.
86. Зимбардо Ф. Социальное влияние. Питер. 1999 г.
87. Зимбардо Ф. Застенчивость. М. 1988г.
88. Зимняя И.А. Педагогическая психология. Питер. 2000 г.
89. Здравосмыслов А.П. Потребность, интересы, ценности. М. 1986г.
90. Зюбин Л.К. Трудные дети. Л. 1973 г.
91. Ивашко Ф. Коломинский Я. (Ред.) Актуальные проблемы возрастной и педагогической психологии. Минск, 1980
92. Изард К. Психология эмоции. Питер. 2000 г.
93. Ильин Е.М. Мотивация и мотивы. Питер. 1999 г.
94. Исаков Д.Н. Психосоматические расстройства у детей. Питер. 2000 г.
95. Келли Г.Т. Основы современной сексологии. Питер. 2000 г.
96. Кле М. Психология подростка. М. 1991г.
97. Климов Е. Как выбрать профессию. М. 1990 г.
98. Ковалев В.В. (ред) Патологические формы девянтного поведения у подростков М. 1989 г.
99. Колесов Д. Мягков И. Учителю о физиологии и психологии подростка. М. 1996 г.
100. Коломинский Я.Л. Познай самого себя. Минск. 1981 г.
101. Коломинский Я.Л. Панко Э. (ред.) Детская психология. Минск. 1982г.
102. Коломинский Я.Л. Психология детского коллектива Минск. 1984 г.
103. Коломинский Я.Л. Панко Э. Учителю о психологии шестилетних детей. М. 1988г.
104. Кон И.С. Введение в сексологию. М. 1988 г.
105. Кон И.С. Психология старшеклассника. М. 1980г.
106. Кон И.С. В поисках себя. М. 1984 г.
107. Кон И.С. Психология ранней юности. М. 1989
108. Кондрашенко В. Т. Девянтное поведение у подростков. Минск. 1998 г.
109. Конев Изучение познавательных процессов шестилеток. М. 1990 г.
110. Кочетов А.И. Перевоспитание подростка. М. 1981 г.
111. Крайг Г. Психология развития. Питер 2000 г.

112. Краковский А. О подростках. М. 1979г.
113. Кривцова С.В. (ред) подросток на перекрестке эпох. М. 1997 г.
114. Крутецкий В.А. Психология М. 1986г.
115. Леоnard К. Акцентуированные личности . Киев. 1986г.
116. Леонтьев А.Н. Деятельность, сознание, личность. М. 1975 г.
117. Левин К. Разрешение социальных конфликтов. Питер 2000г.
118. Липкина А.И. Самооценка школьника. М. 1976 г.
119. Личко А.Е. Панов Ю.В. Психопатологические нарушения у подростков. Л. 1987г.
120. Личко А.Е. Битенский В.С. Подростковая психология. Л. 1991 г.
121. Личко А.Е. Шизофрения у подростков. Л. 1992
122. Личко А.Е. Психологии и акцентуации характера у подростков. Л.1993 г.
123. Личко А.Е. Подростковая психиатрия. М.1995г.
124. Личко А.Е. (ред). Психологические расстройства у подростков. Л.1997 г.
125. Манова-Томова В. Пиров Н. Пенушлиева П. Психологическая реабилитация при нарушении поведения в детском возрасте. София. 1981 г.
126. Малахов Б. Половое воспитание подростка. Л. 1981 г.
127. Маслоу А. Новые рубежи человеческой природы. Питер. 2000 г.
128. Майерс Социальная психология. Питер. 2000 г.
129. Моргуn В. Ткаченко М. Проблемы перводизации развития личности в психологии. М. 1991 г.
130. Мухина В.С. Детская психология. М. 1985 г.
131. Мухина В.С. Психология детства и отрочества М. 1998 г.
132. Наташзон Э. Индивидуальный подход к трудным учащимся. М. 1980 г.
133. Нейбсрт Р. Вопросы пола. М. 1980 г.
134. Нуллер Ю. Депрессия и деперсонализация. Л. 1981г.
135. Нуллер Ю. Михаленко И. Аффективные психозы Л. 1988г.
136. Оллпорт Н. Личность в психологии. Питер. 1999 г.
137. Осипова А. обшая психотерапия. М. 2000 г.
138. Осорига М. Секретный мир детей. Питер. 1999 г.
139. Павлютенков Е. формирование мотивов выбора профессии. Киев. 1988 г.
140. Панкрат А. Мотивы выбора профессии. Минск. 1986 г.
141. Первин Л. Джон О. Психология личности. Питер. 2000 г.
142. Пиаже Ж. Речь и мышление ребенка. М. 1943 г.
143. Пиаже Ж. Генезис элементарных логических структур. Классификации и сериации. М., 1963г.
144. Пиаже Ж. Избранные психологические труды. Психология интеллекта. Генезис числа у ребенка. Логика и психология. М. 1969г.

145. Потапов С. Вакса О. Этикет для подростков, или искусство нравиться себе и другим. М. 2000 г.
146. Райс Ф. Психология подросткового и юношеского возраста. Питер 2000 г.
147. Реан А. Коломинский Я. Социальная педагогическая психология. Питер. 1999 г.
148. Рогов Е.И. Настольная книга практического психолога Т. I-II. М. 2000г.
149. Рудесман К. Групповая психотерапия . Питер. 2000 г.
150. Сельчиков К.В. (ред.) Психологическая типология. Минск. 1999г.
151. Смирнова Н.С. Соловьева В.С. Биологический возраст человека. М. 1986 г.
152. Снайдер Дж. Практическая психология для подростков, или как найти свое место в жизни. М. 2000 г.
153. Столин В.Е. Самосознание личности. М. 1983г.
154. Субботский Е.А. Как рождается личность. М. 1978г.
155. Субботский Е.А. Снерд Ю.Золотой век детства. М., 1981
156. Снерд Ю. Индивидуальность подростка и выбор профессии.Таллин . 1988 г.
157. Тайсон Ф. Тайсон Р. Психоаналитические теории развития. Екатеринбург. 1998 г.
158. Таменко В. (ред.) Трудный подросток. Киев. 1985 г.
159. Тараненко В. Человек и его потребности. М. 1989 г.
160. Толстых Н.М. Возрасты жизни. М. 1985 г.
161. Флейвел Д.Х. Генетическая психология Жана Пиаже. М. 1967 г.
162. Халперн Д. Психология практического мышления. Питер.1999г.
163. Хьелл Л. Зиглерд Д. Теории личности М. 1997
164. Хрипкова А.Г. Антропова А.В. Фарбер Д. Возрастная физиология и школьная гигиена. М. 1990 г.
165. Шванцара и др. Диагностика психологического развития. Прага. 1978 г.
166. Чалдин Р. Психология влияния. Питер. 2000 г.
167. Цыркин С. (ред.) Справочник по психологии и психиатрии детского и юношеского возраста. Питер. 1999
168. Эльконин Д.Б. К проблеме периодизации психического развития в детском возрасте «Вопросы психологии», 1971. №4
169. Эльконин Д.Б. Природа детства и его периодизация. «Избранные психологические труды.»М. 1989 г.
170. Ярошевский М. История психологии М. 1976 г.
171. Krech D. Cruchfield R. Livson N., Wilson N. Parducci A., Grundlagen der Physiologie. Munchen. 1992
172. Melchom M. Melchom G. Intelligent. Berlin. 1981 .

173. Mussen P. Conger Y Kagan I. Husten A/ Lehrbuch der Kinder psychologie B.1. II. Stuttgart. 1993
174. Novak F. Finster H. Heidenreich und Kelber Y. Psychologie. Munchen. 1987
175. Novak F. Finster M. Schneider K. Psychologie. Munchen 1989.

ახალი ლიტერატურა

1. Вирджиния Н. Квин Н. Прикладная психология, Санкт-петербург. 2002
2. Гордуа Ж. Что такое психология. М., 1996 г. т. I-II/
3. Илин Е. Психология индивидуальных различий, Питер, 2004 г.
4. Коломинский Я, Пашко Е. Игуменов С. Психическое развитие детей в норме и патологии. Питер 2004 г.
5. Максименко С. Общая психология. М., 2002 г.
6. Миллер С, Психология развития. Методы исследования, Питер 2002 г.
7. Мухина В., Хвостов А. (сост.) Возрастная психология, Хрестоматия, М., 2002.
8. Ньюкомб Н., Развитие личности ребенка. Питер, 2002г.
9. Реан А. (ред.) Психология подростка. Питер. 2003 г.
10. Ремшмидт Х. Психотерапия детей и подростков. Питер. 2003 г.
11. Сперлинг А. Психология М., 2002 г.
12. Френкин Р. Мотивация поведения. Питер. 2003г.
13. Хейес Н. Оррелл С. Введение в психологию. М., 2003 г.
14. Хеллен Би. Развитие ребенка, Питер, 2004 г.
15. Шеффер Д. Дети и подростки, Питер. 2003 г.

აეტიოლოგიის საკითხები	3
✓ თავი I - ასაკობრივი ფსიქოლოგიის ზოგადი საკითხები	4
↳ თავი II - ბავშვის ფსიქიკური განვითარების ფაქტორები და განმსაზღვრელი პირობები	27
თავი III - ბავშვის ფსიქოლოგიური მზაობა სასკოლო ცხოვრებისათვის	54
✓ თავი IV - ასაკობრივი პერიოდიზაციის პრობლემა	59
თავი V - ფსიქო-ფიზიკური განვითარების აქსელერაცია	75
✓ თავი VI - უმცროსი სასკოლო ასაკის მოსწავლეთა ასაკობრივ-ფსიქოლოგიური თავისებურებანი	81
↳ თავი VII - უმცროსკლასელთა გრძნობები, ემოციები და ნებელობითი სფერო	118
თავი VIII - პიროვნების განვითარება უმცროს სასკოლო ასაკში	133
თავი IX - ძველადღესობის თავისებურებანი უმცროს სასკოლო ასაკში	158
✓ * თავი X - გარდამავალი ასაკის მოსწავლეთა ასაკობრივ-ფსიქოლოგიური თავისებურებანი	168
✓ თავი XI - გარდამავალი ასაკის მოზარდის სასწავლო საქმიანობა და კოგნიტიური განვითარება	186
↳ თავი XII - პიროვნების განვითარება გარდამავალ ასაკში	224
↳ თავი XIII - გარდამავალი ასაკის მოზარდის ემოციურ-ნებელობითი სფერო	264
თავი XIV - მოთხოვნები გარდამავალ ასაკში	282
თავი XV - გარდამავალი ასაკის მოზარდის სექსუალური განვითარება	290
✓ თავი XVI - ამხანაგობა და მეგობრობა გარდამავალ ასაკში	303
↳ თავი XVII - მოზარდის დამოკიდებულება უფროსებთან და თანატოლებთან	317
თავი XVIII - ძელი მოზარდები	333
თავი XIX - პროფესიის არჩევა გარდამავალ ასაკში	340
თავი XX - უფროსკლასელთა ანატომიურ-ფსიქოლოგიური თავისებურებანი	353
✓ თავი XXI - უფროსკლასელთა სასწავლო საქმიანობა და შედეგებითი ფსიქიკური პროცესები	356

თავი XXII – პიროვნების განვითარება უფროს სასკოლო ასაკში	361
თავი XXIII – უფროსებთან და თანატოლებთან ურთიერთობა უფროს სასკოლო ასაკში. ადრეულ ჭაბუკთა მეგობრობა	376
თავი XXIV – უფროსკლასელთა გრძნობები და ემოციები	387
თავი XXV – უფროსკლასელთა ფსიქოსექსუალური განვითარება და ოჯახური ცხოვრებისათვის მომზადება	392
თავი XXVI – პროფესიის არჩევა უფროს სასკოლო ასაკში	407
თავი XXVII – მოზარდთა და ჭაბუკთა დევიაციური ქცევები	413
გამოყენებული ლიტერატურა	457